

ქეთევან ერემაძე

ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის

წიგნი მეორე



ქეთევან ერემაძე

ძირითადი უფლებები
თავისუფლებისთვის

წიგნი მეორე



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი 2021



USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

წინამდებარე სახელმძღვანელო შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. სახელმძღვანელოს შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი. იგი არ წარმოადგენს ამერიკის მთავრობის ოფიციალურ მოსაზრებას და არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

რედაქტორი

ჯონი ხეცურიანი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

კომპიუტერული

შპს-ს მენეჯერი

ქეთევან გოგავა

ISBN 978-9941-18-377-5

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

ავტორისაგან.....	11
შესავალი.....	13
1. თანასწორობის უფლება	16
1.1. თანასწორობა, როგორც ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი.....	18
1.2. თანასწორობის უფლების ძირითადი არსი.....	21
1.2.1. დისკრიმინაციის აკრძალვა	22
1.2.2. დისკრიმინაციის დადგენის კრიტერიუმები/ სტადიები.....	24
1.2.2.1. თანასწორობის უფლებაში ჩარევა – დიფერენციაცია	24
1.2.2.2. დისკრიმინაციის საფუძველი – ნიშანი, რომელსაც ეფუძნება განსხვავებული მოპყრობა	38
1.2.2.2.1. „სხვა ნიშნის“ პოტენციური დიაპაზონი.....	45
1.2.2.3. შესაძლებელია თუ არა თანასწორობის უფლების დაცვა სხვა უფლებებთან სავალდებულო ურთიერთკავშირის გარეშე?	49
1.2.2.4. თანასწორობა კანონის თუ სამართლის წინაშე?	51
1.3. თანასწორობის უფლებაში ჩარევის მართლზომიერების შეფასება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ.....	54
1.3.1. კანონის დისკრიმინაციულობის შემოწმების ტესტები.....	54
1.3.1.1. „მკაცრი შეფასების ტესტი“	55
1.3.1.2. „რაციონალური დიფერენციაციის ტესტი“	62
1.3.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა თანასწორობის უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის „მკაცრი შეფასების ტესტით“ და „რაციონალური დიფერენციაციის ტესტით“ შემოწმების თაობაზე.....	63
1.3.2.1. „მკაცრი შეფასების ტესტის“ გამოყენება ე.წ. „კლასიკური ნიშნით“ დიფერენციაციის კონსტიტუციურობის შესამოწმებლად.....	63

1.3.2.2.	„მკაცრი შეფასების ტესტის“ გამოყენება დიფერენციაციის ინტენსივობის მაღალი ხარისხის გამო	70
1.3.2.3.	კანონის დისკრიმინაციულობის შემოწმება „რაციონალური დიფერენციაციის ტესტის“ მიხედვით	74
1.3.2.4.	ტესტების უარყოფა, მოდიფიცირების მცდელობა თუ არასწორი გამოყენება?	78
1.3.3.	„მკაცრი შეფასების ტესტის“ და „რაციონალური დიფერენციაციის ტესტის“ თავსებადობა საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტთან	82
1.4.	მოპყრობის დისკრიმინაციულობის შეფასება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ	84
1.4.1.	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა	86
1.5.	დისკრიმინაციის სახეები	98
1.5.1.	პირდაპირი დისკრიმინაცია და არაპირდაპირი/ირიბი დისკრიმინაცია	98
1.5.2.	შევიწროება, სექსუალური შევიწროება	105
1.5.3.	ნაგულისხმევი ნიშნით დისკრიმინაცია	107
1.6.	პოზიტიური დისკრიმინაცია	107
1.7.	თანასწორობის სპეციალური ნორმები	110
1.7.1.	საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები	110
1.7.2.	საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები	117
1.7.3.	საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები	125
2.	ადამიანის ღირსების ხელშეშვალოვა	130
2.1.	ადამიანის ღირსების კონსტიტუციური ფარგლები ...	130
2.2.	ადამიანის ღირსება როგორც ფუნდამენტური პრინციპი	134
2.3.	წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, არაადამიანური ან დამამცირებელი	

	სასჯელის გამოყენების დაუშვებლობა	140
2.3.1.	წამება	146
2.3.2.	არაადამიანური მოპყრობა და სასჯელი.....	150
2.3.2.1.	საპატიმრო სასჯელების (მათ შორის, უვადო პატიმრობის) შეფასება არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის/სასჯელის ამკრძალავ დებულებასთან მიმართებით	152
2.3.2.1.1.	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები.....	152
2.3.2.1.2.	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები.....	157
2.3.3.	დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი.....	160
2.3.3.1.	ხელბორკილების გამოყენება, სასამართლოს სხდომათა დარბაზში პატიმრის „გალიაში“ მოთავსება, პატიმრის ჩხრეკა, როგორც დამამცირებელი მოპყრობა	168
2.3.4.	აბსოლუტური უფლების დასაცავად სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები.....	182
3.	პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება	191
3.1.	უფლების ძირითადი არსი და მნიშვნელობა.....	191
3.2.	პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების პრაქტიკული გამოყენების პოტენციალი.....	195
3.3.	პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დაცული სფერო.....	198
3.4.	მოქმედების ზოგადი თავისუფლება/ქცევის თავისუფლება.....	202
3.5.	ზოგადი პიროვნული უფლება.....	209
3.5.1.	პიროვნული თვითგამორკვევის უფლება	210
3.5.1.1.	საკუთარი წარმოშობის გარკვევის უფლება	210
3.5.1.2.	თვითიდენტიფიკაციის უფლება.....	213
3.5.1.2.1.	გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია – თვითიდენტიფიკაციის უფლების ფუნდამენტური ასპექტები	214
3.5.1.2.2.	ინდივიდის სახელი და გვარი	224
3.5.1.3.	ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება.....	228

3.5.1.3.1.	საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული გარანტიები ...	230
3.5.1.3.2.	ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების დაცვა კონსტიტუციის მე-12 მუხლის საფუძველზე.....	243
3.5.2.	პირადი ცხოვრების უფლება	251
3.5.2.1.	განმარტოების უფლება/უფლება დარჩე მართო	251
3.5.2.2.	პირადი ცხოვრების ძირითადი სფერო	254
3.5.3.	თვითგამონატვის უფლება.....	257
4.	პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებაში	261
4.1.	პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ზოგადი არსი და მნიშვნელობა.....	262
4.2.	უფლების ფარგლები.....	263
4.2.1.	პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეგლამენტირება საქართველოს კონსტიტუციით	264
4.3.	ადამიანის პირადი სივრცის ხელშეუხებლობა	268
4.3.1.	კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება	271
4.3.1.1.	კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის კონსტიტუციური გარანტიები	275
4.3.1.2.	ჯეროვანი გარანტიების მოთხოვნა ხელისუფლების მხრიდან თვითნებობის გამოსარიცხად – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები.....	277
4.3.1.2.1.	უფლებაში ჩარევა მხოლოდ კანონის შესაბამისად. „კანონის ხარისხის“ მოთხოვნა.....	278
4.3.1.2.1.1.	კანონის განჭვრეტადობის აუცილებლობა	278
4.3.1.2.1.2.	დამატებითი მოთხოვნები „კანონის ხარისხის“ დასაკმაყოფილებლად	285
4.3.1.2.2.	ჩარევა უნდა იყოს „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“	289
4.3.1.2.3.	უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში	293
4.3.1.3.	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და	

	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა კომუნიკაციის თავისუფლებაში ჩარევისას ჯეროვანი გარანტიების დაკმაყოფილების აუცილებლობის თაობაზე	299
4.3.1.3.1.	ე.წ. ორი გასაღების საქმე	299
4.3.1.3.2.	რომან ზახაროვი რუსეთის წინააღმდეგ	315
4.3.2.	საცხოვრებელი ადგილისა და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობა	324
4.4.	პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება	328
4.4.1.	ოჯახური ცხოვრების უფლება	329
4.4.1.1.	ერთი სქესის პირთა უფლება ოჯახურ ცხოვრებაზე	345
4.4.2.	პირადი ცხოვრების კერძო სფერო	348
5.	ქორწინების უფლება	350
5.1.	ქორწინების უფლების კონსტიტუციური გარანტიები	351
5.2.	ქორწინება, როგორც მხოლოდ ქალისა და მამაკაცის კავშირი – კონსტიტუციური ცვლილება ადამიანის უფლებების საწინააღმდეგოდ	358
6.	თავისუფლების უფლება	362
6.1.	უფლების არსი და მნიშვნელობა	364
6.2.	საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი – უფლების ზოგადი გარანტია	366
6.3.	თავისუფლების უფლებაში ჩარევისას კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ზოგადი გარანტიები	369
6.4.	დაკავების ინსტიტუტის კონსტიტუციური ჩარჩო	374
6.4.1.	დაკავების ფორმალური და მატერიალური საფუძვლები	374
6.4.2.	დაკავებული პირის საპროცესო გარანტიები	380
6.4.3.	თავისუფლების უფლებაში ჩარევა რა შემთხვევაში გულისხმობს პირის დაკავებას?	385
6.5.	ბრალდებულის პატიმრობის კონსტიტუციური ფარგლები	392
6.5.1.	ბრალდებულის პატიმრობის ვადა	393

6.5.2.	პატიმრობის 9 თვიანი ვადის ერთზე მეტად გამოყენების შესაძლებლობის კონსტიტუციური ფარგლები ...	398
6.5.3.	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები პატიმრობის საფუძვლებისა და ფარგლების თაობაზე	401
6.6.	უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდული პირის კომპენსაციის მიღების უფლება.....	413
7.	სამართლიანი სასამართლოს უფლება.....	415
7.1.	უფლების ძირითადი არსი და ფარგლები	417
7.1.1.	საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი – უფლების ზოგადი კონსტიტუციური გარანტია.....	421
7.1.1.1.	„ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“.....	421
7.1.1.1.1.	„სასამართლოს“ მნიშვნელობა სამართლიანი სასამართლოს უფლების მიზნებისთვის – კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული გარანტიები	426
7.1.1.1.2.	საქმის განხილვა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.....	435
7.1.1.2.	საქმის სამართლიანი განხილვის უფლება.....	458
7.1.1.2.1.	სასამართლოსადმი მიმართვა	460
7.1.1.2.2.	საქმის საჯარო განხილვა	465
7.1.1.2.3.	საქმის განხილვა ზეპირი მოსმენით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები	475
7.1.1.2.4.	დაცვის უფლება – საქართველოს კონსტიტუციით (31-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით) და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით) გათვალისწინებული გარანტიები	490
7.1.1.2.5.	მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა	504
7.1.1.2.5.1.	მოწმეთა დაკითხვის კონსტიტუციური საფუძვლები (კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული გარანტიები).....	515

7.1.1.2.5.2.	Al-Khawaja and Tahery-ის ტესტი	519
7.1.1.2.6.	სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება	525
7.1.1.3.	საქმის დროული განხილვის უფლება	538
7.1.1.4.	გადაწყვეტილების აღსრულება.....	545
7.2.	უდანაშაულობის პრეზუმფცია	551
7.2.1.	საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გარანტია.....	551
7.2.2.	საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული გარანტია.....	557
7.2.3.	საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული გარანტია.....	558
7.3.	მტკიცებულებების ხარისხობრივი მოთხოვნები.....	560
7.3.1.	საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები	560
7.3.2.	საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული გარანტია.....	572
7.3.3.	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მტკიცებულებების ხარისხის გავლენის შეფასება სამართალწარმოების სამართლიანობაზე.....	576
7.4.	განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი (Ne bis in idem)	580
7.5.	Nullum crimen, nulla poena sine lege – საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები	588
7.5.1.	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები.....	588
7.5.2.	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები.....	601

ავტორისაგან

ნაშრომის – „ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის“ – პირველი წიგნი გამოიცა 2020 წელს. ის მოიცავს ინფორმაციას თანასწორობის უფლების, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების კონსტიტუციური ფარგლების შესახებ. მეორე (წინამდებარე) წიგნი დამატებით ეთმობა ისეთ უფლებებს, როგორებიცაა: ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა, თავისუფლების უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება. ამავე დროს, მიზანშეწონილად ჩაითვალა ნაშრომის ერთიანი სახით გამოცემა, ამიტომ წინამდებარე წიგნი მოიცავს პირველი წიგნის შინაარსსაც (არსებითი ცვლილებების გარეშე).

ფუნდამენტური უფლებების შეძლებისდაგვარად სრულად ხელმისაწვდომობის მიღწევისთვის უშუალო წყარო და ეფექტური გზა სასამართლო ხელისუფლებაა. უფლებები რეალურ შინაარსს, უმეტესწილად, მართლმსაჯულების პროდუქტებით იძენს. თითოეული უფლების ძირითადი არსის, ფარგლების გააზრების და დაცვის პროცესში გადამწყვეტი როლი უდავოდ აქვთ მათი (უფლებების) ოფიციალური, სავალდებულო ინტერპრეტაციის ლეგიტიმაციის მქონე ინსტიტუტებს (სასამართლოებს). ამიტომ უმნიშვნელოვანესია ფუნდამენტური უფლებების განვითარების დინამიკის როგორც არსებული შედეგების, ისე სამომავლო პერსპექტივების პერმანენტული, სიღრმისეული, კრიტიკული, შედარებითი ანალიზი სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე. რაც თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც უფლებების დაცვის მეტი შესაძლებლობების მიგნებისთვის, ისე თავად სასამართლო ხელისუფლების პროგრესისთვის ამ გზაზე. ნაშრომის – „ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის“ – მიზანი არის სწორედ ფუნდამენტური უფლებების კონსტიტუციური დიაპაზონის რელევანტური სასამართლო პრაქტიკის მეშვეობით გაანალიზება. წიგნი სრულად ეყრდნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებების ანალიზს.

ყურადსაღებია, რომ საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პირველად კონსტიტუციის მიღების შემდეგ, არსებითი ცვლილებები შეეხო ადამიანის ძირითადი უფლებების მარეგულირებელ დებულებებს. შესაბამისად, აქტუალური გახდა თითოეული უფლების მარეგლამენტირებელი მოქმედი კონსტიტუციის ნორმის ამავე უფლების ნამდვილ არსთან მატერიალური თავსებადობის

ანალიზი. მთავარი საკითხი მაინც არის იმის შემოწმება, ხომ არ დავიწროვდა რომელიმე ფუნდამენტური უფლების (უფლებების) ძირითადი არსი, შედეგად, თავად კონსტიტუცია ხომ არ იქცა საფრთხედ საკუთარი მიზნის – თავისუფლებისა და ღირსების უზენაესობის დაცვისთვის. გარდა ამისა, პრინციპულია საკითხი – რამდენად იყო თითოეული ცვლილება განპირობებული ობიექტური აუცილებლობით, შესაბამისად, რამდენად ემსახურება ყოველი მათგანი უფლებით უფრო სრულად სარგებლობის შესაძლებლობის და დაცვის უკეთესი პერსპექტივების შექმნას. რადგან დაუშვებელია ფუნდამენტური უფლებების მარეგულირებელი კონსტიტუციის დებულებები იყოს ხელისუფლების მხოლოდ პოლიტიკური გემოვნების ან ცალკეულ პოლიტიკოსთა ამბიციების დაკმაყოფილების შიშველი სამიზნე.

ზემოაღნიშნული ამოცანებისთვის წიგნში განხილულია ფუნდამენტური უფლებების მხოლოდ ნაწილი. მასში არ არის ინფორმაცია რამდენიმე უმნიშვნელოვანეს უფლებასთან (მაგალითად, გამონახტვის თავისუფლებასთან, რწმენის თავისუფლებასთან, საკუთრების უფლებასთან და სხვა) დაკავშირებით, რაც განპირობებულია თითოეულ მათგანზე მუშაობისთვის დამატებით დიდი დროის და რესურსების დათმობის ობიექტური საჭიროებით. ვიმედოვნებთ, მომავალში გვექნება ამ საკითხების ანალიზის/კვლევის გაგრძელების შესაძლებლობა.

აქვე მსურს, გულითადი მადლობა გადავუხადო ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ასევე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელთა მხარდაჭერით, მჭიდრო თანამშრომლობითა და ძალისხმევით შესაძლებელი გახდა წიგნზე მუშაობა და მისი გამოცემა.

ნაშრომი განკუთვნილია მრავალფეროვანი აუდიტორიისთვის: პირველ რიგში, სტუდენტებისთვის, რადგან ის ხელს შეუწყობს ძირითადი უფლებების ფარგლების უკეთ გააზრებას და მათი ეფექტურად დაცვის პრაქტიკული უნარების გამოიმუშავებას; ვიმედოვნებთ, ის საინტერესო და სასარგებლო იქნება პრაქტიკოსი იურისტებისთვის, განსაკუთრებით მოსამართლეებისთვის, ადვოკატებისთვის, ასევე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების წარმომადგენლებისთვის, რომლებსაც აქვთ უფლებების დაცვაზე ორიენტირებული სათანადო კანონმდებლობის შექმნისა და მისი აღსრულების კონსტიტუციური ვალდებულება.

თბილისი, 2021

შესავალი

თავისუფლების მთელი სისრულით შეგრძნებისკენ სწრაფვა სუნთქვას ჰგავს, ამიტომ მისი მოპოვებაც, შენარჩუნებაც და დაცვაც ჩვენს ყოველწამიერ ცხოვრებას განაპირობებს.

ისტორია არაერთი გაკვეთილით გვასწავლის, რომ თავისუფლება ილუზორული განდება, თუკი საკუთარი გულუბრყვილობით დაგვაავიწყდება, რომ დაუბალანსებელი და ვერგაკონტროლებული ძალაუფლება წარმოადგენს პერმანენტულ საფრთხეს თავისუფლებისთვის, ან თუკი უმეცრებით „ჩვენი“ თავისუფლება „სხვის“ თავისუფლებაზე უფრო ძვირფასი მოგვეჩვენება ან/და „სხვათა“ თავისუფლება ისე დაგვაფრთხობს, რომ მასთან საბრძოლველად და გასამკლავებლადაც არ ვიტყვიით უარს.

თავისუფლება ნამდვილი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ პირობებში, თუ შევძლებთ იმის გაცნობიერებას, რომ არ არსებობს „ჩემი“, „შენი“, „ვინმეს“, „უმრავლესობის“, „უმცირესობის“ მეტი ან ნაკლები თავისუფლება. თავისუფლება არის უნივერსალური პლატფორმა თითოეული ადამიანის უნიკალურობისთვის. ის ყველასთვის თანაბრად კვებავს ინდივიდუალიზმის, განსხვავებულობის, მრავალფეროვნების, განვითარების, ბედნიერებისკენ სწრაფვის შანსს, რომელსაც ან თამამად გამოვიყენებთ, ან შიშნარევი „სიფრთხილით“ თუ განსხვავებულის მიუღებლობითა და სიძულვილით ერთგვაროვან, უსახურ მასაში დავიკარგებით.

თავისუფლების სამართლებრივი მასშტაბის ევოლუციური გააზრება, ამ კონტექსტში თითოეული ფუნდამენტური უფლების შეუცვლელი როლის/დანიშნულების ადეკვატურად შეფასება უმნიშვნელოვანესია ხარისხიანი თავისუფლებისთვის. ამ თვალსაზრისით, საბაზისო დატვირთვა აქვს კონსტიტუციით ფუნდამენტური უფლებების სათანადო რეგლამენტირებას და მათი დაცვის განჭვრეტადი, საკმარისი გარანტიების შექმნას. თუმცა, ასევე უალტერნატივო მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციის ინტერპრეტატორთა მიერ ქვეყნის უზენაესი კანონის მისივე მიზნის ერთგულებით განმარტებას და, შესაბამისად, ადამიანის თავისუფლების დაცვის რეალური პერსპექტივის შექმნას.

თავისუფლების უზრუნველსაყოფად ძირითადი უფლებების აღიარება თავისთავად მოითხოვს ადამიანის პერსონალური ავტონომიის, თვითმყოფადობის და ინდივიდუალიზმის ხელისუფლების თვითნებობისგან დაცვას. იმავდროულად, უპირობოდ გულისხმობს თითოეულის თავისუფლების სხვათა ასეთივე თავისუფლების დაცვის/არდარღვევის პასუხისმგებლობით შეზავებას, რადგან ვინმესთვის საფრთხის შექმნა, ზიანის მი-

ყენება, უფლებების დარღვევა შეუძლებელია თავისუფლების საფარქვეშ ჰპოვებდეს ლეგიტიმაცია. ამიტომ, კონსტიტუციის ტექსტის ავტორთა და მის ინტერპრეტატორთა მთავარ გამოწვევას წარმოადგენს თითოეული ადამიანისთვის თავისუფლების ყველაზე თავისუფალი და თამამი მასშტაბის შეთავაზება, ოღონდაც როგორც ხელისუფლების, ისე თავად თავისუფლების დიქტატურისაგან დაცვის პირობებში/გზით, რაც მოითხოვს, ერთი მხრივ, ხელისუფლების თვითნებობის გამორიცხვას, ხოლო, მეორე მხრივ, თითოეულის პასუხისმგებლობას სხვათა თავისუფლების წინაშე.

ნაშრომის – „ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის“ – მიზანი არის ფუნდამენტური უფლებების კონსტიტუციური დიაპაზონის სწორედ ამ ხელწერით გაანალიზება, მათი მეტი პრაქტიკული ხელმისაწვდომობისთვის გზების ძიება, ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციაში არსებული სათანადო ინსტრუმენტების როლის გააზრება და მათი რესურსის შესაძლებლობად განხილვა.

წიგნი არსებითად ეყრდნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის ანალიზს. ბუნებრივია, უფლებების რეალური შინაარსის და დაცვის სათანადო ინსტრუმენტების შექმნის თვალსაზრისით, გადამწყვეტი როლი, მისი კომპეტენციიდან გამომდინარე, აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს. ამ კონტექსტში უმნიშვნელოვანეს, შეუცვლელ წყაროს წარმოადგენს ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. მათი განმარტებების გაზიარება არის, ერთი მხრივ, შესაძლებლობა, მაგრამ, მეორე მხრივ, ვალდებულებაც ხელისუფლებისთვის თითოეული უფლების არსის, დიაპაზონის სწორად გააზრებისთვის. ამიტომ ნაშრომში საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე განზოგადებულია ძირითადი უფლებების ფარგლებთან და დაცვასთან დაკავშირებული სტანდარტები, კრიტერიუმები, მოთხოვნები, თითოეული მათგანის მიზნობრიობა, უპირატესობები და ნაკლოვანებები, დროში მათი ტრანსფორმაციის/განვითარების საფუძვლები, ისევე, როგორც გამოყენების შედეგები.

ზოგადად, სასამართლო ხელისუფლება უნდა იყოს საზოგადოების განვითარებისა და გამოწვევების ადეკვატურად უფლებების პროგრესული გააზრების გზამკვლევი, რომელიც თითოეული ადამიანისთვის მუდმივად შექმნის შესაძლებლობებს თავისუფლებისა და ბედნიერების ძიების გზაზე. ამიტომ, როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ, ისე საერთო

სასამართლოებმა მართლმსაჯულების შედეგები ადამიანის ძირითადი უფლებების საუკეთესო პერსპექტივით დაცულობას უნდა დააფუძნონ და სწორედ ასე სასამართლო სანდო, საიმედო ინსტრუმენტად, ხოლო კონსტიტუცია – პრაგმატულ დოკუმენტად აქციონ.

სასამართლოს ასეთ როლზე და უზარმაზარ პასუხისმგებლობაზე ყურადღების საგანგებოდ გამახვილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენს რეალობაში, როდესაც სასამართლო თავად დგას გზაგასაყარზე. სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ეტაპიდან დღემდე, ერთნაირი სიმწვავით (თუ პროგრესირებადი სიმწვავით არა) დგას სასამართლოს დამოუკიდებლობის საკითხი. წლების განმავლობაში როგორც პოლიტიკური ხელისუფლების, ისე თავად სასამართლოს მესვეურთა ხშირად ურთიერთკოორდინირებული ძალისხმევით, ქართული მართლმსაჯულება ქართული დემოკრატიისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ იქცა. კანონმდებლობაში ჩადებული თუ შენარჩუნებული ნაღმების, პოლიტიკური ნების არარსებობის და მოსამართლის მანტიით ფარისევლობის შედეგად მივიღეთ ინსტიტუტი, რომელსაც სასამართლოსთან მხოლოდ სახელწოდება აკავშირებს, სადაც ადამიანის უფლებების დარღვევის მოლოდინი კანონზომიერებაა, დაცვა კი – აუხსნელი გამოწვევაა.

გაზვიადებული არ იქნება შეფასება, რომ ხელისუფლებების (რომლებიც სწორედ სასამართლოს მეტი დამოუკიდებლობის მიღწევის დაპირებებით იკვალავდნენ გზას ძალაუფლების მოპოვებისკენ) და მათი „რჩეული მოსამართლეების“ მეცადინეობით საქართველოში სასამართლოს დამოუკიდებლობის იდეა დამარცხდა და თუ/ვიდრე მცირედი შანსი მაინც არსებობს, ამ ისტორიის წერა სუფთა ფურცლიდან უნდა დაიწყოს, რადგან თავისუფლება ფიქციაა დამოუკიდებელი სასამართლოს გარეშე.

1. თანასწორობის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 11. თანასწორობის უფლება

„1. ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

4. სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის“.

თანასწორობის უფლების მარეგლამენტირებელი დებულებები საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მიხედვით¹:

მუხლი 14.

„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

1 „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონის პირველი მუხლის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუცია ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. აღნიშნული ცვლილებების განხორციელებამდე მოქმედ დებულებებზე მითითებისას გამოყენებული იქნება ფორმულირება: კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია.

მუხლი 38.

„1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ საკუთარი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას“.

1.1. თანასწორობა, როგორც ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი

თანასწორობის იდეის ტრიუმფისთვის ყოველწუთიერი თავდადების გარეშე დემოკრატია ავანტიურა იქნებოდა. არადა, ეს რისკი მუდამ რეალურად არსებობს, ამასთან, თანაბრად რეალურად, როგორც ახალგაზრდა, მყიფე, ისე ხანგრძლივი ისტორიის მქონე დემოკრატიებში, რადგან პარადოქსია, მაგრამ მრავალფეროვნება დღემდე რჩება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. მოჩვენებითი ზავი თანამედროვეობასა და ტრადიციებს, ტოლერანტობასა და შეუწყნარებლობას, პლურალიზმსა და შოვინიზმს შორის დრო და დრო მთელი სისასტიკით ავლენს რეალურ სახეს და მახეს უგებს კაცობრიობის ჯერ კიდევ ყველაზე საიმედო თავშესაფარს.

იმავედროულად, თანასწორობის მიზნების დისკრედიტაციის ნებისმიერ მცდელობასთან ვერგამკლავება არა მხოლოდ კონკრეტული ადამიანების ღირსებას უქმნის საფრთხეს, არამედ თანდათან ფიტავს და ილუზორულს ხდის თავისუფლებას. ამიტომ, კონსტიტუცია უნდა წარმოადგენდეს საიმედო პლატფორმას მათთვის, ვინც მრავალფეროვნებასა და ინდივიდუალიზმს განვითარების საუკეთესო შესაძლებლობად განიხილავს/მიიჩნევს და ვინც პერსონალურ თავისუფლებას ეძიებს ტოლერანტობისა და პლურალიზმისადმი ბუნებრივი ღიაობის, განსხვავებულის პატივისცემის გზით.

ბუნებრივია, ამ თვალსაზრისით, საზოგადოების ინტელექტუალური ტენდენციები ახდენს იმის მკაფიო ლუსტრაციას, თუ როგორ ესმის მას დემოკრატიის არსი და რამდენად სწამს თავისუფლებისა და ღირსების უზენაესობის.

თავისუფლება ღირებულია მხოლოდ იმ პირობებში, თუ ის ყველა/თითოეული ადამიანისთვის თვისობრივად ერთნაირი სიკეთეა, თანაბრად ხელმისაწვდომია. თუკი თავისუფლება პრივილეგიის სამიზნე ან შედეგია, მხოლოდ ვინმესთვის ან თუნდაც ბევრისთვის, უმრავლესობისთვის განკუთვნილი სიკეთეა, თუ მისი არსებობა ფუფუნებაა და არა ჩვეულებრივი, ყოველწუთიერი მდგომარეობა, მაშინ ის თავისუფლებაც არ არის. თავისუფლება ხარისხიანი შეიძლება იყოს მხოლოდ თანასწორობის პირობებში.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის თავისუფლების და თანასწორობის ასეთ ურთიერთკავშირზე არაორაზროვნად მიუთითებდა საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია (მე-14 მუხლი), რომლის თანახმად: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალი და კანონის წინაშე თანასწორია ...“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „ამ ნორმაში კანონის წინაშე თანასწორობა

მოსხენიებულია ადამიანის თავისუფლებასთან ერთად, რაც მიანიშნებს თანასწორობის მნიშვნელობაზე ადამიანის თავისუფლებისთვის... ადამიანის უფლებები ერთნაირად არის თითოეული ადამიანის კუთვნილება, ამიტომ მათ უნდა ჰქონდეთ ერთნაირი ხელმისაწვდომობა ფართო გაგებით თავისუფლებაზე – უფლებებით სარგებლობაზე, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი თავისუფლების სრულყოფილად შეგრძნება². ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს მასზე თანაბარი წვდომის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე³.

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონით განხორციელებული ცვლილებების შედეგად, მოქმედ რედაქციაში (მე-11 მუხლის პირველი პუნქტი) აღარ არის პირდაპირი მითითება თავისუფლებისა და თანასწორობის ურთიერთგანპირობებულობაზე. ბუნებრივია, ასეთი საგანგებო ჩანაწერის არარსებობა თანასწორობის უფლებას ვერ გამოფიტავს მისი შინაარსისა და მიზნობრიობისგან. ასევე, გადაჭარბებული იქნებოდა მოთხოვნა ზემოაღნიშნული დებულების კონსტიტუციის ტექსტში არსებობის უპირობო აუცილებლობასთან დაკავშირებით. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის უზენაესი კანონი მისი შექმნის დღიდან, თანასწორობის დეკლარირების ისტორიული დანიშნულებისა და მიზნის საგანგებოდ ხაზგასმით და უფლების ფარგლების სრულად გააზრების პერსპექტივის შექმნით, სამართლებრივად აბსოლუტურად სწორად მიუთითებდა თავისუფლებისა და თანასწორობის იდეების ნაგულისხმევ თანაარსებობაზე, ამ დებულების კონსტიტუციური ცვლილებებით გაუქმება სამართლებრივ დასაბუთებასა და ბევრად სერიოზულ გამართლებას მოითხოვს, ვიდრე მხოლოდ კონსტიტუციური ცვლილებების ავტორთა სამართლებრივი თუ პოლიტიკური გემოვნების მიხედვით საკითხის გადაწყვეტა.

უმნიშვნელოვნესია, რომ თანასწორობა არის ადამიანის თავისუფლების იდეით გამსჭვალული პირველივე დოკუმენტების არსის, მიზნის თვისობრივად განმსაზღვრელი. მაგალითად, ვირჯინიის 1776 წლის 12 ივნისის უფლებათა დეკლარაციის პირველი მუხლის თანახმად: „ყველა ადამიანი

2 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/539 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 3; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/534 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამავულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4.

3 ქ. ერემაძე, „თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში“, 2018 წ., გვ. 83.

ბუნებით თანაბრად თავისუფალი და დამოუკიდებელია და დაბადებისთანავე ფლობს კონკრეტულ უფლებებს⁴. ასევე, საფრანგეთის ადამიანის და მოქალაქის უფლებათა 1789 წლის 26 აგვისტოს დეკლარაციის პირველი მუხლის თანახმად: „ადამიანები იბადებიან თავისუფალნი და თანაბარი უფლებებით და ასეთებად რჩებიან“⁵.

სწორედ ასეთი ისტორიულ-სამართლებრივი კონტექსტით შთაგონება გახდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგი განმარტებების საფუძველი: „თანასწორობის იდეა არის ... საყრდენი იმისა, რა მიზნით და სულისკვეთებითაც იქმნებოდა სახელმწიფოთა კონსტიტუციები, ამასთან, რატომაც ვისწრაფვით ადამიანები დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს რეალიზაციისკენ“. „საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ადგენს არა მხოლოდ კანონის წინაშე თანასწორობის ძირითად უფლებას, არამედ კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს“⁶. „...ეს არ არის მხოლოდ უფლება, ეს არის იდეა, კონცეფცია, პრინციპი, რომელსაც ეფუძნება სამართლებრივი სახელმწიფო და დემოკრატიული ღირებულებები“⁷. შესაბამისად, „კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების უპირატესობით შეზღუდული სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ... ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს“⁸.

მაშასადამე, თანასწორობა, პირველ რიგში, განიხილება, როგორც ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი. იგი ემსახურება წესრიგს, რომელშიც ადამიანის თავისუფლება და ღირსება უზენაესი ღირებულებებია.

4 დეკლარაციის ოფიციალური ტექსტი იხ.: www.loc.gov.

5 დეკლარაციის ოფიციალური ტექსტი იხ.: www.textes.justice.gouv.fr.

6 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება №2/1-392 საქმეზე საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

7 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 1.

8 იქვე, II, 1.

1.2. თანასწორობის უფლების ძირითადი არსი

თანასწორობის უფლების ძირითადი არსი და მიზანი არის ანალოგიურ, მსგავს გარემოებებში მყოფ პირებს სახელმწიფო მოეპყროს ერთნაირად, „არ დაუშვას არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ და პირიქით“⁹. იმავდროულად, თანასწორობის უფლების საფუძველი არის შესაძლებლობების თანასწორობის და არა ფაქტობრივი გათანაბრების უზრუნველყოფა. ის გულისხმობს განვითარებაზე თანაბარი შესაძლებლობის გარანტირებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „... პრინციპული მნიშვნელობა აქვს კანონის წინაშე თანასწორობის განსხვავებას გათანაბრებისგან. ამ პრინციპის ფარგლებში სახელმწიფოს ძირითადი მიზანი და ფუნქცია ადამიანების სრული გათანაბრება ვერ იქნება, რადგან ეს თავად თანასწორობის იდეასთან, უფლების არსთან მოვიდოდა წინააღმდეგობაში. თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ანუ ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას. თანაბარი შანსები იქნება თუ არა თანაბრად გამოყენებული, დამოკიდებულია კონკრეტული პირების უნარებზე. უნარების სახელმწიფოს ძალისხმევით გათანაბრების მცდელობა კი, უმეტესწილად, თავად იწვევს დისკრიმინაციას“¹⁰. „კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობების განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისათვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწორობებს პირიქით“¹¹.

9 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება №2/1-392 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*; 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 2; 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/477 საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 68; 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/534 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 5.

10 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 2.

11 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება

1.2.1. დისკრიმინაციის აკრძალვა

თანასწორობის უფლების დაცვა მოითხოვს/გულისხმობს დისკრიმინაციის აკრძალვას.

ლათინური სიტყვა *discriminatio* განსხვავებას ნიშნავს¹². შესაბამისად, ლინგვისტური თვალსაზრისით, დისკრიმინაცია განსხვავებული მოპყრობაა. თუმცა, სამართლებრივი მნიშვნელობით, ნებისმიერი განსხვავება არ არის დისკრიმინაცია და, მაშასადამე, არც თანასწორობის უფლების დარღვევაა. ადამიანის უფლებათა სამართლის მიხედვით, დისკრიმინაცია არის მნიშვნელოვნად/არსებითად თანასწორობის მიმართ თვითნებური, გაუმართლებელი არათანასწორი მოპყრობა, ასევე მნიშვნელოვნად/არსებითად არათანასწორების მიმართ გაუმართლებელი, თვითნებური თანასწორი მოპყრობა¹³.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, დისკრიმინაცია არის ანალოგიურ ან შედარებით მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ ისეთი განსხვავებული მოპყრობა, რომელსაც არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება¹⁴. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა, თავისთავად, დისკრიმინაციას არ ნიშნავს. ცალკეულ შემთხვევაში, საკმარისად მსგავს სამართლებრივ ურთიერთობებშიც კი, შესაძლოა, დიფერენცირებული მოპყრობა დასაშვები, სასურველი, საჭირო, აუცილებელი და გარდაუვალიც იყოს. „დიფერენციაცია უფრო წესია, ვიდრე გამონაკლისი. ეს ხშირად აუცდენელია. შესაბამისად, დიფერენცირება საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სფეროსთვის უცხო არ არის ... თუმცა თითოეული მათგანი არ უნდა იყოს დაუსაბუთებელი“¹⁵. სასამართლომ დიფერენცირებული მოპყრობის დისკრიმინაციულობის

ყვეტილება, II, 2.

12 ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მეორე შესწორებული გამოცემა, თბილისი, 1973, გვ. 111.

13 Handbook on European non-discrimination law (European Union Agency for Fundamental Rights, Council of Europe, 2010), 21.

14 *D.H. and Others v. the Czech Republic*, app. №57325/00, (ECtHR (GC), 13.11.07), §175; *Carson and Others v. the United Kingdom*, app. №42184/05, (ECtHR (GC), 16.03.10), §§61, 70; *Burden v. the United Kingdom*, app. №13378/05, (ECtHR (GC), 29.04.2008) §60; *I.B. v. Greece*, app. №552/10, (ECtHR, 03.10.2013), §75.

15 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“* და *„საქართველოს კონსერვატიული პარტია“* საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 3.

შეფასებას საფუძვლად დაუდო შემდეგი ძირითადი მიდგომა: „განსხვავებული საკანონმდებლო რეგულირება, რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში არ ჩაითვლება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დარღვევად. კანონმდებელს უფლება აქვს, კანონით განსაზღვროს განსხვავებული პირობები, მაგრამ ეს განსხვავება უნდა იყოს დასაბუთებული, გონივრული და მიზანშეწონილი“¹⁶. „დიფერენცირებული მოპყრობისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ დისკრიმინაციული დიფერენციაცია და ობიექტური გარემოებებით განპირობებული დიფერენციაცია. განსხვავებული მოპყრობა თვითმიზანი არ უნდა იყოს. დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს. მაშასადამე, დისკრიმინაცია არის მხოლოდ თვითმიზნური, გაუმართლებელი დიფერენციაცია, სამართლის დაუსაბუთებელი გამოყენება კონკრეტულ პირთა წრისადმი განსხვავებული მიდგომით. შესაბამისად, თანასწორობის უფლება კრძალავს არა დიფერენცირებულ მოპყრობას ზოგადად, არამედ მხოლოდ თვითმიზნურ და გაუმართლებელ განსხვავებას“¹⁷.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა არ წარმოადგენს დისკრიმინაციას, არამედ მხოლოდ ის, რომელიც ატარებს თვითნებურ, თვითმიზნურ ხასიათს, რომლის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს, დაუსაბუთებელია. ამასთან, დისკრიმინაციას ადგილი არ აქვს, თუ არათანაბარი მოპყრობა არის უნებლიე, ექვემდებარება ახსნას, რაციონალიზაციას, გამართლებას¹⁸. დიფერენცირებული მოპყრობის დისკრიმინაციულობის შესამოწმებლად საკონსტიტუციო სასამართლო იყენებს კონკრეტულ ინსტრუმენტებს (ტესტებს), რომელთა აღწერას ეთმობა წინამდებარე წიგნის სპეციალური თავები.

- 16 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/7/219 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები: ჯანო ჯანელიძე, ნინო უბერი, ელენორა ლავგილავა და მურთაზ თორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.
- 17 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 3; 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/539 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 6; 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/534 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 7.
- 18 ქ. ერემაძე, „თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში“, 2018 წ., გვ. 87.

1.2.2. დისკრიმინაციის დადგენის კრიტერიუმები/სტადიები

დისკრიმინაცია შემდეგი კომპონენტების კუმულაციას ეფუძნება: 1. ეს არის დიფერენციაცია; 2. შესაძარებელ პირებს/ჯგუფებს შორის (არსებითად თანასწორი პირები, ვისაც განსხვავებულად ეპყრობიან, ან არსებითად არათანასწორი პირები, ვისაც თანასწორად ეპყრობიან); 3. დაცული საფუძვლის/დიფერენციაციის ნიშნის მიხედვით/გამო; 4. დიფერენცირებული მოპყრობის მიზანი ან/და შედეგი არის პირის/პირთა ჯგუფის ჩაყენება არახელსაყრელ მდგომარეობაში; 5. ასეთ მოპყრობას არ აქვს გონივრული, ობიექტური გამართლება.

იმის დასადაგენად, მოპყრობა (კანონი, პრაქტიკა) დისკრიმინაციულია თუ არა, აუცილებელია ამ კომპონენტების თანმიმდევრული შემოწმება.

1.2.2.1. თანასწორობის უფლებაში ჩარევა – დიფერენციაცია

პირველ ეტაპზე უნდა დადგინდეს, ხდება თუ არა დიფერენციაცია, რაც, როგორც აღინიშნა, გულისხმობს: ა) არსებითად თანასწორი პირების მიმართ არათანაბარ მოპყრობას; ბ) არსებითად არათანასწორი პირების მიმართ თანაბარ მოპყრობას. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად: „აშკარა უნდა იყოს არსებითად თანასწორი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა (ან არსებითად არათანასწორი პირების მიმართ თანასწორი მოპყრობა). ამ საკითხების უპირატესად დადგენის გარეშე შეუძლებელია ნორმის დისკრიმინაციულობის შეფასება, რადგან თუ ნორმა არ იწვევს პირთა დიფერენციაციას, მისი დისკრიმინაციულობის შეფასება საფუძველს მოკლებულია“¹⁹.

შესაბამისად, თანასწორობის უფლებაში ჩარევის დასადაგენად უნდა მოხდეს: ა) შესაძარებელი ჯგუფების იდენტიფიცირება (რადგან განსხვავებული მოპყრობა არ არსებობს განყენებულად, იზოლირებულად); ბ) გარკვევა, არიან თუ არა შესაძარებელი ჯგუფები არსებითად თანასწორები (ან არსებითად უთანასწოროები) და ადგილი აქვს თუ არა მათ მიმართ დიფერენცირებულ მოპყრობას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან ... პირები შედარებად კატეგორიებს უნდა წარმოადგენდნენ. ... ერთი და იგივე პირები გარკვეულ ურთიერთობასთან, ვითარებასთან მიმარ-

19 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები*: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2.

თებით შეიძლება განხილულ იქნენ არსებითად თანასწორად, ხოლო სხვა გარემოებებთან მიმართებით – არა²⁰. ამავე დროს, სასამართლომ აღნიშნა, რომ „... ზოგადად პირები არსებითად თანასწორი სუბიექტები არიან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობის ბუნება მათ განსხვავებულად განხილვას მოითხოვს“²¹.

შესადარებელი ჯგუფების არსებითად თანასწორობის შესამოწმებლად, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, შეიძლება გამოვეყნოთ რამდენიმე კრიტერიუმი/მოთხოვნა:

1) პირები „...ამა თუ იმ შინაარსით, კრიტერიუმით მსგავს კატეგორიაში, ანალოგიურ გარემოებებში უნდა ხვდებოდნენ, არსებითად თანასწორნი უნდა იყვნენ კონკრეტულ ვითარებასა თუ ურთიერთობებში“²². არსებითად თანასწორობა ნიშნავს შესადარებელი ჯგუფების არა მხოლოდ ან მაინცდამაინც იდენტურ, არამედ თვისობრივად მსგავს, ანალოგიურ ვითარებაში/გარემოებებში ყოფნას. შესადარებელი პირების ფაქტობრივი ან/და სამართლებრივი მდგომარეობა უნდა იყოს მსგავსი. „თუ პირთა დიფერენცირებას საფუძვლად უდევს მათი განსხვავებული ფაქტობრივი ან/და სამართლებრივი მდგომარეობა, სახეზე არ იქნება კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით შესაფასებელი მოცემულობა“²³.

2) შესადარებელი ჯგუფების არსებითად თანასწორობის საკითხის შემოწმება უნდა მოხდეს არა აბსტრაქტულად, არამედ კონკრეტულ ურთიერთობასთან/ვითარებასთან მიმართებით. „პირთა არსებითად თანასწორობის საკითხი უნდა შეფასდეს არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ სამართალურ ურთიერთობასთან კავშირში. დისკრიმინაციულ მოპყრობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირები კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით შეიძლება განხილულ იქნენ როგორც არსებითად თანასწორი სუბიექტები“²⁴.

20 იქვე, II, 2.

21 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/6/623 საქმეზე შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 5.

22 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2.

23 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბურჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II, 19.

24 იქვე, II, 19.

3) გვხვდება შემთხვევები, როდესაც შესაძარებელი პირების არსებითად თანასწორობის დასადგენად სასამართლო მიუთითებს მათ ერთნაირ ინტერესზე²⁵, მოთხოვნილებასა²⁶ თუ საჭიროებაზე²⁷.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან შესაძარებელი ჯგუფების არსებითად თანასწორობის/არსებითად უთანასწორობის საკითხის დადგენასთან დაკავშირებით:

საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* გასაჩივრებული იყო „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა (პირველი მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების: „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან“)²⁸, რომელიც დევნილის სტატუსს ანიჭებდა მხოლოდ იმ პირთა ჯგუფს, რომლებიც იძულებით გადაადგილდნენ კანონით განსაზღვრული ოკუპირებული ტერიტორიებიდან. ხოლო პირები, რომლებმაც იძულებით დატოვეს თავისი საცხოვრებელი ადგილი ტერიტორიებიდან, რომლებიც კანონით არ არის განსაზღვრული როგორც ოკუპირებული ტერიტორია, არ მოექცნენ კანონის რეგულირების სფეროში.

მოსარჩელე აღნიშნავდა, რომ 2008 წლის კონფლიქტის შედეგად, მას მოუწია, იძულებით დაეტოვებინა საკუთარი საცხოვრებელი ადგილი. მისი აზრით, იგი იყო არსებითად თანასწორი იმ პირებთან მიმართებით, რომელთა საცხოვრებელი ადგილი მდებარეობდა კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

25 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №1/7/580 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე გიორგი კეკელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.

26 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 101.

27 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის წინააღმდეგ*.

28 „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირად, დევნილად (შემდგომ დევნილი) ჩაითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მის ან მასთან მცხოვრები ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიისა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო“ (კანონის საქმის განხილვის დროისთვის მოქმედი რედაქცია).

კანონით განსაზღვრული ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები და მოსარჩელის იდენტურ მდგომარეობაში მყოფი პირები საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია არსებითად თანასწორ პირებად მათი იძულებით გადაადგილების საფუძველების, მიზეზების, უფლებათა დარღვევის მდგომარეობის, განვლილი და მოსალოდნელი საფრთხეების მიხედვით. კერძოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ მდგომარეობა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ტერიტორიებზე, სადაც საქართველოს იურისდიქცია არ ვრცელდება, არსებითად ერთნაირია: აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, სადავო ნორმის საფუძველზე დევნილებად აღიარებული პირების მსგავსად, ტერიტორიის ოკუპაციისა და სამხედრო აგრესიის შედეგად, იძულებული გახდნენ, მიეტოვებინათ საკუთარი საცხოვრებელი სახლები; „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიების იდენტურად, ამ ტერიტორიებზე არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია და სხვა სახელმწიფო ახორციელებს ფაქტობრივ კონტროლს. შესაბამისად, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები მოკლებული არიან შესაძლებლობას, მოახდინონ პრევენცია ან რეაგირება კონკრეტულ სამართალდარღვევებზე, უზრუნველყონ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ეფექტური დაცვა. ამასთან, ხელოვნურად გავლებული საზღვრის გადაკვეთა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიების საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საფრთხის იდენტურია. მაშასადამე, ასეთი ადამიანების პრობლემები არის მსგავსი, ხოლო სახელმწიფოს უუნარობა, დაიცვას მათი უსაფრთხოება მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, არის არსებითად ერთნაირი.

მსგავსი სამართლებრივი მდგომარეობა/სტატუსი გახდა საფუძველი პირების არსებითად თანასწორებად მიჩნევისთვის საქმეში *საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*. მოსარჩელები ასაჩივრებდნენ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმას, რომლის მიხედვით ბრალდებულები, რომელთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2010 წლის პირველ ოქტომბრამდე, და ბრალდებულები, რომელთა მიმართაც დევნა დაიწყო ამ თარიღის შემდეგ, განსხვავებული საპროცესო გარანტიებით სარგებლობდნენ.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, დამოუკიდებლად იმისგან, რამდენად განსხვავებულია საპროცესო ნორმები,

რომლებიც უნდა გავრცელდეს პროცესის კონკრეტული სუბიექტების მიმართ, იდენტური საპროცესო მდგომარეობის (სტატუსის) მქონე პირები მიჩნეული უნდა იქნენ არსებითად თანასწორებად. „ბრალდებული პირები თავისი სტატუსის მიხედვით, ვერ იქნებიან განსხვავებულები მხოლოდ იმის გამო, რომ მათი ბრალდება მოხდა ერთწლიანი, ერთთვიანი ან ერთდღიანი ინტერვალით. ამ პირების არსებითად თანასწორად მიჩნევის აუცილებლობას განაპირობებს მათი არსებითად ერთნაირი (იდენტური) საპროცესო მდგომარეობა – ისინი არიან ბრალდებულები, ამასთან, შესაძლოა იყვნენ ბრალდებულები მსგავსი დანაშაულის ჩადენისთვის. ... ვერც თავისთავად დროის ფაქტორი და ვერც სხვადასხვა დროს მოქმედი განსხვავებული საპროცესო წესები ვერ გამოიწვევს ბრალდებული პირების განსხვავებულობას, ვინაიდან პირთა არსებითად მსგავსებას ან განსხვავებას განაპირობებს არა მათდამი მოპყრობა, არამედ მათი მდგომარეობა, სტატუსი პროცესში. ... სისხლისსამართლებრივი დევნის არსი და მიზნები არ იცვლება იმის მიხედვით, თუ დროის რა მონაკვეთში ხორციელდება დევნა ან რომელი საპროცესო კანონი გამოიყენება დევნის პროცესში. ... აქედან გამომდინარე, უცვლელი რჩება პირის ინტერესი, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიმდინარეობისას გააჩნდეს უფლების დაცვის ადეკვატური მექანიზმები. ... თუ დავუშვებთ, რომ ერთი და იგივე საპროცესო სტატუსის მქონე პირების მიმართ განსხვავებული წესების გამოყენება განაპირობებს მათ არსებითად განსხვავებულობას, მაშინ მათდამი მოპყრობის შეფასება, თავისთავად, დარჩება კონსტიტუციის მე-14 მუხლის მიღმა და იდენტური სტატუსის მქონე პირების მიმართ ნებისმიერი განსხვავებული მოპყრობა თავისთავად გამართლებული იქნება, რაც კანონმდებელს მისცემს შეუზღუდავ შესაძლებლობას, მათ მიმართ დაადგინოს რადიკალურად განსხვავებული ინტენსივობით ჩარევის ფორმები. შედეგად, ადამიანის თავისუფლებაში ისეთი მაღალი ინტენსივობის ჩარევები, როგორსაც კანონზომიერად იწვევს სისხლის სამართლის საპროცესო წესები, ხელოვნურად გავა კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცული სფეროდან“²⁹.

საქმეზე შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გასაჩივრებული იყო საქართველოს სამოქალაქო

29 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/6/557,571,576 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 13-15.

საპროცესო კოდექსის ნორმები³⁰, რომლებიც არეგულირებდა სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრის საკითხს. კერძოდ, სასარჩელო მოთხოვნისა და სასამართლო ინსტანციების მიხედვით სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის იყო განსხვავებული. კანონმდებელი იურიდიული პირებისთვის აწესებდა უფრო მაღალ სახელმწიფო ბაჟს.

საკონსტიტუციო სასამართლოს, პირველ რიგში, უნდა დაედგინა ფიზიკური და იურიდიული პირები რამდენად წარმოადგენდნენ არსებითად თანასწორ სუბიექტებს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით. სასამართლოს განმარტებით: „ზოგადად, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა მათი ბუნებისა და უფლებრივი სტატუსიდან გამომდინარე. თუმცა, ამ ორ პირს შორის არსებული განსხვავება ყოველთვის ვერ განაპირობებს მათ არსებითად უთანასწორო პირებად მიჩნევას. ... მოცემულ შემთხვევაში ფიზიკური და იურიდიული პირები არიან თუ არა არსებითად თანასწორები, უნდა გადაწყდეს დიფერენცირების დამდგენი სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებიდან და აგრეთვე, შესაძარებელ ჯგუფებსა და დიფერენცირების ფაქტს შორის ურთიერთდამოკიდებულებიდან გამომდინარე. ... სამართლებრივ სტატუსში სხვაობის მიუხედავად, ფიზიკური პირიც და იურიდიული პირიც საერთო სასამართლოებს საკუთარი ინტერესების დასაცავად მიმართავენ და მათთვის კონსტიტუციით თანაბრად დაცული უფლების რეალიზებას ახდენენ. იმავდროულად, დაუსაბუთებელი სარჩელებისგან თავის არიდების მიზნით დადგენილი სახელმწიფო ბაჟი თანაბრად ეფექტურია როგორც ფიზიკური, ისევე იურიდიული პირების მიმართ. არ არსებობს გარემოება, რომელიც მიუთითებდა, რომ ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დადგენილი ერთი და იმავე ოდენობის სახელმწიფო ბაჟი განსხვავებულ ტვირთად შეიძლება დააწვეს მათ. ფიზიკური პირი შეიძლება იყოს ფინანსურად უზრუნველყოფილი, მაშინ, როდესაც იურიდიული პირს შეიძლება ჰქონდეს ფინანსური პრობლემები. სადავო ნორმები პირების დიფერენცირებას ახდენს არა მათი ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, არამედ მათი სტატუსის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს რაიმე კრიტერიუმი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა სა-

30 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის სიტყვები: „ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – 150 ლარს“, 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“1 ქვეპუნქტის სიტყვები: „ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – 150 ლარს“, 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის სიტყვები: „ხოლო თუ განმცხადებელი იურიდიული პირია – 300 ლარს“. (კანონის საქმის განხილვის დროისთვის მოქმედი რედაქცია).

დავო სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ ფიზიკური და იურიდიული პირების არსებითად არათანასწორ სუბიექტებად მიჩნევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმებით დიფერენცირება დადგენილია არსებითად თანასწორ პირებს შორის. ...³¹.

კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით ფიზიკური და იურიდიული პირების არსებითად თანასწორ სუბიექტებად მიჩნევის შესაძლებლობის საკითხი განიხილა ასევე სასამართლომ საქმეზე *ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი – საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ*. სადავო ნორმის³² თანახმად, ფიქსირებული გეოგრაფიული და არაგეოგრაფიული ზონის სააბონენტო ნომერზე, ასევე მობილური სატელეფონო მომსახურების მიმღები აბონენტებისთვის სააბონენტო ნომერზე კალენდარულ თვეში საფასური ფიზიკური პირისთვის შეადგენდა 0.20 ლარს, ხოლო იურიდიული პირისთვის, ორგანიზაციისთვის და დაწესებულებისთვის – 0.50 ლარს.

სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვისას არ გამოკვეთილა რაიმე გარემოება, რომელიც მიუთითებდა იურიდიული პირის მომეტებულ ინტერესზე, ჰქონდეს წვდომა საგანგებო სამსახურის მომსახურებაზე. მეტიც, ფიზიკური პირების ინტერესი რიგ შემთხვევებში შესაძლოა აღმატებულიც იყოს, ვინაიდან ისინი საგანგებო სამსახურს მიმართავენ, მათ შორის ისეთი სიკეთეების დასაცავად, რომელიც იურიდიულ პირს საერთოდ არ გააჩნია (მაგალითად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის გამოძახება პირის ჯანმრთელობის დასაცავად). ამავე დროს, არ ყოფილა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც დაარწმუნებდა სასამართლოს, რომ იურიდიული პირის სახელზე რეგისტრირებული სატელეფონო ნომრებიდან ბუნებრივად უფრო მეტი ზარი ხორციელდება საგანგებო სამსახურში და, შესაბამისად, იურიდიული პირის ტელეფონის ნომრებიდან თავისთავად უფრო ინტენსიურად ხდება „112“-ის მომსახურებით სარგებლობა³³.

31 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/6/623 საქმეზე *შპს „სადაზღვევო კომპანია უნიონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 5-7.

32 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „112“-ის მომსახურების საფასურის, მისი განაკვეთისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის №489 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

33 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება №2/3/1279 საქმეზე *ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი – საქარ*

სასამართლომ დაადგინა, რომ „ერთი მხრივ, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს გააჩნიათ საგანგებო სამსახურით სარგებლობის მსგავსი ინტერესი და, ამავე დროს, მათთვის სერვისის მიწოდება დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ თანაბარი რესურსის გაღებასთან, მეორე მხრივ კი, საკუთრების კონსტიტუციური უფლება თანაბრად იზღუდება ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მომსახურების შესყიდვაზე ბარიერის დაწესებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის შესაძარებელ პირთა ჯგუფს შორის იმგვარი განმასხვავებელი ნიშნები, რომელიც გამორიცხავდა მათ არსებითად თანასწორობას საგანგებო სამსახურის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების გაღების მიზნებისათვის“³⁴.

საქმეზე სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“, სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გასაჩივრებული იყო „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 6³ მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ...“ კონსტიტუციურობა. სადავო ნორმის თანახმად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე სახელმწიფო ქონება უსასყიდლოდ საკუთრებაში შეიძლება გადაცემოდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს – დევნილებს, აგრეთვე საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას. მოსარჩელეთა აზრით, რადგან სადავო ნორმა სახელმწიფო ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ მიღების შესაძლებლობას აძლევდა მხოლოდ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას, ასეთი შესაძლებლობის მიღმა ტოვებდა სხვა რელიგიურ ორგანიზაციებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ ეტაპზე უნდა შეეფასებინა, იყვნენ თუ არა არსებითად თანასწორი სუბიექტები საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია და სხვა რელიგიური ორგანიზაციები (მოსარჩელები წარმოადგენდნენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ორგანიზაციული ფორმით რეგისტრირებულ რელიგიურ ორგანიზაციებს), ამასთან, სადავო ნორმა იწვევდა თუ არა დიფერენციაციას.

თველოს ადვოკატთა ჯგუფი“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II, 44.

34 იქვე, II, 45.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს რელიგიურ ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს რელიგიურ საქმიანობას და სადავო ნორმის საფუძველზე მას აქვს უფლება, სახელმწიფოსგან საკუთრებაში უსასყიდლოდ მიიღოს ქონება³⁵. იმავედროულად, „ინსტიტუციურად ჩამოყალიბებული რელიგიური გაერთიანებები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ სახელმწიფოში რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მათ ეძლევათ სამართლებრივ ურთიერთობებში მორწმუნეთა ჯგუფის სახელით შესვლისა და შესაბამისი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა. ამგვარი გაერთიანებების უმთავრესი მიზანი რელიგიური საქმიანობის განხორციელებაა. ხოლო ამ საქმიანობის ფარგლებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მათ საკუთრებაში არსებული უძრავი თუ მოძრავი ქონება. მაგალითად, საკუთრების უფლების სარგებლობით რელიგიური ორგანიზაციები უზრუნველყოფენ აღმსარებლობისთვის აუცილებელ პირობებს შესაბამისი რელიგიის მიმდევრებისთვის. აქედან გამომდინარე, ყველა რელიგიურ ორგანიზაციას თანაბრად აქვს სახელმწიფოსგან ქონების უსასყიდლოდ მიღებისა და მათი რელიგიური მიზნებისთვის გამოყენების ინტერესი. შესაბამისად, შესაძარებელი ჯგუფები არსებითად თანასწორ პირებს წარმოადგენენ. იმის გათვალისწინებით, რომ სადავო ნორმით სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში მიღების უფლებამოსილება ენიჭება მხოლოდ საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას, ამკარაა, რომ სადავო ნორმა დიფერენცირებულად ეპყრობა არსებითად თანასწორ პირებს“³⁶.

საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გასაჩივრებული იყო „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა, რომელიც ადგენდა სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდის ზოგად ვალდებულებას, მათ შორის, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირების მიმართაც.

მოსარჩელის აზრით, სადავო ნორმა, არსებითად თანასწორი პირების – კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე წევვამდელებისა და კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე რეზერვისტების მიმართ ადგენდა

35 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება №1/1/811 საქმეზე სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“, სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II, 9.

36 იქვე, II, 10.

განსხვავებულ მოპყრობას. კერძოდ, კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე წვევამდელებს ჰქონდათ ალტერნატიული შრომითი სამსახურის მოთხოვნის და, შესაბამისად, სამხედრო სამსახურისაგან გათავისუფლების უფლება, მაშინ, როდესაც ასეთი წინააღმდეგობის მქონე რეზერვისტებს ეს შესაძლებლობა არ გააჩნდათ.

ვინაიდან პირების არსებითად თანასწორობის/უთანასწორობის შეფასება ხდება კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან, ანუ უშუალოდ სადავო ნორმით დადგენილ რეგულაციასთან მიმართებით, სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული ნორმის მიზნებისთვის გამოიცილა დასახელებული პირების არსებითად თანასწორად განხილვის შესაძლებლობა. კერძოდ, გადაწყვეტილების თანახმად, სადავო ნორმა არ ეხებოდა ზოგადად სამხედრო ვალდებულებას ან სამხედრო სავალდებულო სამსახურს. მისი რეგულაციის უშუალო სფერო იყო მხოლოდ სამხედრო სარეზერვო სამსახურის ვალდებულების დადგენა. შესაბამისად, ეს ნორმა არ ეხებოდა წვევამდელებს და მათ რეზერვავალდებული პირების თანაბრად ან მათგან განსხვავებულად არ უდგენდა პრივილეგიებს ან აკრძალვებს. შედეგად, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სადავო ნორმა იწვევდა არსებითად თანასწორთა მიმართ არათანაბარ მოპყრობას, რადგან წვევამდელები არ წარმოადგენდნენ სადავო ნორმის რეგულირების სუბიექტებს³⁷.

თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ იქვე მიუთითა ასეთი პირების არსებითად თანასწორად განხილვის ზოგად შესაძლებლობაზე. მისი განმარტებით: „ბუნებრივია, ის, რომ სადავო ნორმა არ ვრცელდება წვევამდელებზე, ეს თავისთავად ვერ აბათილებს იმ რეალობას, რომ ზოგადად კანონმდებელი ალტერნატიული შრომითი სამსახურის მოთხოვნის მიმართ განსხვავებულ შესაძლებლობებს ადგენს წვევამდელებისა და რეზერვისტებისთვის. ... კანონმდებლობის ანალიზმა აჩვენა, რომ რეზერვში გასაწვევ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირებს, წვევამდელისაგან განსხვავებით, არ აქვთ ალტერნატიული შრომითი სამსახურის მოთხოვნის უფლება“³⁸.

მაშასადამე, ერთადერთი მიზეზი კონკრეტული დავის ფარგლებში აღნიშნული პირების, როგორც არსებითად თანასწორების მიმართ, დიფერენცირებული მოპყრობის შეფასების შეუძლებლობისა იყო ის გარემო-

37 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/477 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 70-71.

38 იქვე.

ება, რომ დიფერენცირებას არ იწვევდა უშუალოდ სადავო ნორმა. თუმცა, ამ საქმეზე სასამართლომ რეგულაციის კონსტიტუციურობა მაინც შეაფასა (და დაადგინა დისკრიმინაცია) არსებითად არათანასწორი პირების მიმართ თანაბარი მოპყრობის კონტექსტში. კერძოდ, მოსარჩელის აზრით, სადავო ნორმა არსებითად უთანასწორო პირებს (რეზერვისტები, რომელთაც აქვთ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა და რეზერვისტები, რომელთაც არ აქვთ ასეთი წინააღმდეგობა), თანაბარ ტვირთს აკისრებდა – მათ ერთნაირად ევალუბოდათ სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდა. სასამართლოს განმარტებით: „...ეს პირები უნდა იქნენ განხილულნი არსებითად უთანასწოროებად მათი რწმენის მიხედვით. ... სადავო ნორმა, სიტყვასიტყვით, ადგენს საქართველოს ყველა მოქალაქისთვის სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლის ვალდებულებას. ვინაიდან რეზერვისტები შეიძლება იყვნენ განსხვავებული რწმენის მქონე პირები, მათ შორის, იმ რწმენის მატარებლებიც, რომელიც უკრძალავს მათ ძალადობას, სიცოცხლის მოსპობას, ნეიტრალური შინაარსის კანონი მათთვის ერთნაირი ვალდებულების დადგენით ფაქტობრივად მათ განსხვავებულ, უთანასწორო რეჟიმს უდგენს. შესაბამისად, სახეზეა არსებითად არათანასწორი პირების მიმართ თანასწორად მოპყრობა“³⁹.

კიდევ ერთი საქმე, რომელზეც სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა იწვევდა არსებითად არათანასწორი პირების მიმართ თანაბარ მოპყრობას, არის *საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*. გასაჩივრებული იყო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ნორმა (36-ე მუხლის 41 პუნქტი), რომლის თანახმად, სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეების თანამდებობაზე გამწესება ხდებოდა 3 წლის ვადით.

მოსარჩელე იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე. სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის ამოწურვის პერიოდისათვის მას ექნებოდა მოსამართლის თანამდებობაზე ყოფნის 20 წლიანი გამოცდილება, თუმცა რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ გამწესების სურვილის შემთხვევაში, სადავო ნორმის საფუძველზე, ის დაინიშნებოდა 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით. ანალოგიური წესი გავრცელდებოდა მასზე იმ შემთხვევაშიც, თუკი უფლებამოსილების ამოწურვამდე მოისურვებდა კონკურსში მონაწილეობის მიღებას.

მოსარჩელის მტკიცებით, სადავო ნორმა დისკრიმინაციული იყო, ვინაიდან ადგენდა თანაბარ მოპყრობას არსებითად უთანასწორო პირთა

39 იქვე, II, 70-74.

ჯგუფებს შორის. კერძოდ, სადავო ნორმის საფუძველზე, 3 წლიანი ვადით თანამდებობაზე გამწესდებოდნენ როგორც ის პირები, რომელთაც არ ჰქონდათ სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილება, აგრეთვე ისინი, რომელთაც სამოსამართლო საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება გააჩნდათ.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „მოსამართლეობის კანდიდატთა ერთ ნაწილს შესაძლოა გააჩნდეს ის სამოსამართლო გამოცდილება, რომელიც იმავე წარმატებით შეიძლება შეფასდეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ, როგორც ეს მოხდებოდა მოსამართლის 3 წლიანი ვადით გამწესებისას განხორციელებული საქმიანობის შეფასების ფარგლებში. ხოლო მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების მსურველთა მეორე ჯგუფს კი სამოსამართლო გამოცდილება არ გააჩნია. შესაბამისად, არ არსებობს მათი ასეთი საქმიანობის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შეფასების შესაძლებლობა. ... განსახილველ შემთხვევაში სადავო ნორმა არეგულირებს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევა/დანიშვნასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ამ ურთიერთობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კანდიდატების ინდივიდუალურ მახასიათებლებს, ასევე ამ მახასიათებლების დადგენის ობიექტურ შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, მათი სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილების გათვალისწინებით, პირთა ეს ორი ჯგუფი მოცემული სამართალურთიერთობის მიზნებისთვის განხილულ უნდა იქნენ არსებითად უთანასწორობად. ... სადავო ნორმა ადგენს სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ყველა მოსამართლისთვის (ვისაც მომავალში სურს უვადოდ მოსამართლის თანამდებობის დაკავება) განსაზღვრული ვადით გამწესების, შესაბამისად, სამოსამართლო საქმიანობის შეფასების თანაბარ ვალდებულებას. ვინაიდან გასაჩივრებული ნორმა ეხება პირთა იმ ნაწილსაც, რომელთაც გააჩნიათ არანაკლებ 3 წლიანი სამოსამართლო გამოცდილება, რომლის ობიექტურად შეფასება და შესაბამისი დასკვნის გაკეთება შესაძლებელია, ნეიტრალური შინაარსის ნორმა, მათ ერთნაირი ვალდებულების დადგენით, ფაქტობრივად, განსხვავებულ, არათანაბარ ტვირთს აკისრებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასეთი პირების მიმართ გასაჩივრებული ნორმით დამატებითი ტვირთის დაკისრება არსებითად არათანასწორი პირების მიმართ თანასწორ მოპყრობად უნდა ჩაითვალოს“⁴⁰.

40 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება №3/1/659 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 51-53.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვითაც, კონვენციის მე-14 მუხლთან მიმართებით საკითხის განსახილველად უნდა არსებობდეს შედარებით მსგავს/ანალოგიურ სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობის ფაქტი⁴¹.

ერთი შეხედვით, ყურადღებას იპყრობს ტერმინოლოგიური სხვაობა პოტენციური კომპარატორების დასახელებებს შორის. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს ტერმინს, „ანალოგიურ ან მსგავს/არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირები“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კი მათ უწოდებს „არსებითად თანასწორ პირებს“. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ორივე სასამართლო თვისობრივად ერთსა და იმავეს გულისხმობს. ტერმინი „არსებითად თანასწორები“ უკავშირდება მხოლოდ კონკრეტულ ურთიერთობასთან, ვითარებასთან მიმართებით პირების ასე შეფასების საკითხს (რასაც საკონსტიტუციო სასამართლო პირდაპირ აღნიშნავს ყველა რელევანტურ გადაწყვეტლებაში) და არამც და არამც არ ნიშნავს, რომ ზოგადად კონკრეტული პირები/პირთა ჯგუფები არიან ან არ არიან არსებითად თანასწორები. მეტიც, სასამართლო საკითხის განმარტებისას, თუ ვინ არიან არსებითად თანასწორი პირები, სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ იგულისხმებიან არსებითად მსგავს, ანალოგიურ გარემოებებში მყოფი პირები. იმავედროულად, არც „არსებითად თანასწორი პირები“ და არც „მსგავს/არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირები“ არ მოითხოვს პირების იდენტურ მდგომარეობაში ყოფნას.

საქმეზე *Burden v. the United Kingdom* განმცხადებლები იყვნენ დები, რომლებიც წლების მანძილზე ერთად ცხოვრობდნენ ბინაში, რომლის თანამესაკუთრებლაც წარმოადგენდნენ. ისინი ჩიოდნენ, რომ ერთის გარდაცვალების შემთხვევაში, მეორეს უნდა გადაეხადა მემკვიდრეობის გადასახადი. განმცხადებლების აზრით, ასეთი რეგულაცია იწვევდა მათ საკუთრებაში დისკრიმინაციულ ჩარევას. ისინი კომპარატორებად ასახელებდნენ ქორწინებაში და სამოქალაქო პარტნიორობაში მყოფ წყვილებს, რომლებიც გათავისუფლებულები იყვნენ მემკვიდრეობის გადასახადისგან.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ დედამამიშვილები და ქორწინებაში ან სამოქალაქო პარტნიორობაში მყოფი წყვილები არ შეიძლება განხილულ იქნენ მსგავს მდგომარეობაში მყოფ

41 *Biao v. Denmark*, app. №38590/10, (ECtHR, 24.05.2016), §89; *Vallianatos and Others v. Greece*, app. №29381/09; №32684/09, (ECtHR, 07.11.2013), §76; *Izzettin Dogan and Others v. Turkey*, app. №62649/10, (ECtHR, 26.04.2016), §56.

და შედარებად ჯგუფებად. დედამამიშვილობა ეფუძნება სისხლით ნათესაობას და ფუნდამენტურად განსხვავდება მეუღლეთა ურთიერთობისგან, რაც თავისი არსით წარმოადგენს სპეციალურ, ამასთან თავისუფალ ნებაზე დაფუძნებულ ურთიერთკავშირს⁴².

საქმეზე *Laduna v. Slovakia* განმცხადებელი მიუთითებდა, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფ პირებს, მსჯავრდებულებთან შედარებით, ნაკლები დრო ეძლეოდათ პაემნებისთვის. კერძოდ, მათ შეეძლოთ მნახველები თვეში ერთხელ ნახევარი საათით მიეღოთ, ხოლო მსჯავრდებულებს – თვეში ორი საათით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საკითხი ყველა შეთხვევაში ეხებოდა პატიმრებს, პირებს, რომელთა თავისუფლება შეზღუდულია. ისინი, როგორც პატიმრები, არსებითად თანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან, დამოუკიდებლად იმისგან, წინასწარ პატიმრობაში არიან თუ მსჯავრდებულის სტატუსით იმყოფებიან სასჯელალსრულების დაწესებულებაში. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებულ მოპყრობას⁴³.

საქმეზე *Izzettin Dogan and Others v. Turkey* განმცხადებლები იყვნენ ალევინის მიმდევრები, რომლებსაც თურქეთის ხელისუფლებამ უარი უთხრა საჯარო რელიგიური მსახურების უზრუნველყოფაზე. კერძოდ, ისინი ითხოვდნენ ხელისუფლების მხრიდან რელიგიური მსახურების უზრუნველყოფას საჯარო მსახურების ფორმით, *cemevis*-სთვის სალოცავი ადგილის სტატუსის მინიჭებას, ალევინის რელიგიური ლიდერების აღიარებას და საჯარო მოსამსახურის სტატუსის მინიჭებას, ბიუჯეტში ალევინის ლოცვებისათვის სუბსიდიების გათვალისწინებას.

განმცხადებლების აზრით, ალევინის მიმდევრები ნაკლებად ხელსაყრელ მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე ისლამის სუნიტური მიმდინარეობის წევრები.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, პირველ რიგში, უნდა დაედგინა, ჰქონდა თუ არა ადგილი არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ განსხვავებულ მოპყრობას.

მოპასუხე სახელმწიფოს აზრით, ალევინის თემისა და ისლამის სუნიტური მიმდინარეობის შედარება არასწორი იყო, რადგან ალევინის მდგომარეობა შედარებადი იყო სუფის წესრიგის (ტარიქათი) მიმდევრების მდგომარეობასთან⁴⁴.

42 *Burden v. the United Kingdom*, app. №13378/05, (ECtHR (GC), 29.04.2008).

43 *Laduna v. Slovakia*, app. №31827/02, (ECtHR 13.12.2011).

44 *Izzettin Dogan and Others v. Turkey*, app. №62649/10, (ECtHR, 26.04.2016), §42-44.

სასამართლოს განმარტებით, სამართლებრივი აღიარების და საჯარო რელიგიური მსახურების მოთხოვნის საკითხთან მიმართებით, განმცხადებლები და სხვა პირები, რომლებსაც ამ სიკეთეებით სარგებლობა შეეძლოთ, არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირები იყვნენ. გადაწყვეტილების თანახმად, იმის მიუხედავად, „თუ რა ადგილი უჭირავს ალევოზის მუსლიმურ თეოლოგიაში, არ არსებობს ეჭვი, რომ ამ რელიგიურ მოძღვრებას აქვს ღრმა ფესვები თურქულ საზოგადოებასა და ისტორიაში, რომ ის წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი ჯგუფით და თავის რელიგიურ რიტუალებს ასრულებს cemevis-ში. ...ალევოზში აყალიბებს რელიგიურ საზოგადოებას, რომელსაც აქვს განსხვავებული მახასიათებლები თეოლოგიური დოქტრინის, ძირითადი რელიგიური რიტუალების, სალოცავებისა და საგანმანათლებლო ადგილების თვალსაზრისით. აღიარებასთან დაკავშირებული საჭიროებები და საჯარო მსახურების მოთხოვნა შედარებადია იმ პირთა საჭიროებებთან, რომლებიც უზრუნველყოფილი არიან საჯარო მსახურებით. შესაბამისად განმცხადებლები, როგორც ალევოზის წარმომადგენლები არიან შედარებად სიტუაციაში იმ ბენეფიციარებთან, რომლებსაც მიეწოდებათ რელიგიური საჯარო მსახურება რელიგიის საქმეთა დეპარტამენტისაგან“⁴⁵. იმავდროულად, ვინაიდან კონვენციის მე-9 მუხლით დაცული რელიგიის თავისუფლება გულისხმობს ინდივიდის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი რელიგია კერძო და საჯარო სივრცეში ლოცვის, სწავლების თუ სხვა ფორმით, განმცხადებლები იყვნენ ნაკლებად ხელსაყრელ მდგომარეობაში მათთან შედარებით, ვისაც ჰქონდათ საჯარო ლოცვის შესაძლებლობა⁴⁶.

1.2.2.2. დისკრიმინაციის საფუძველი – ნიშანი, რომელსაც ეფუძნება განსხვავებული მოპყრობა

თანასწორობის უფლებით სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი ფარგლების სწორად გააზრებას და ისეთ ინტერპრეტაციას, რომელიც უფლებას არ გამოფიტავს მისი ძირითადი არსისგან. ამ კონტექსტში ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს დისკრიმინაციის ნიშნის კონსტიტუციური დიაპაზონისა და მისი იდენტიფიცირების აუცილებლობის საკითხის სათანადოდ გაანალიზება.

45 იქვე, §69.

46 იქვე, §70.

ტრადიციულად, სახელმწიფოთა კონსტიტუციებში თუ საერთაშორისო აქტებში თანასწორობის უფლების მარეგლამენტირებელ დებულებებში ვხვდებით დისკრიმინაციის ამკრძალავი იმ ნიშნების ჩამონათვალს, რომლებზე დაყრდნობითაც პირთა ჯგუფების მიმართ დაუსაბუთებელი განსხვავებული მოპყრობა ისტორიულად ყველაზე ხშირი იყო. ეს ნიშნები წარმოადგენს ადამიანის მაიდენტიფიცირებელ, პირად, ფიზიკურ თვისებებს, კულტურულ ნიშნებს, სოციალურ „სტატუსს“, ისინი ადამიანის იმანენტური, თავისთავადი, ღირსებიდან მომდინარე და მისი განმაპირობებელი მახასიათებლებია. ასეთებია: რასა, სქესი, ეთნიკური წარმომავლობა, რელიგიური კუთვნილება და სხვა. სწორედ ასეთი ლოგიკით თუ ინერციით დაიწერა თანასწორობის უფლების მარეგლამენტირებელი საქართველოს კონსტიტუციის დებულებაც (მე-14 მუხლი). საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „... სახელმწიფოთა კონსტიტუციები და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო დოკუმენტები, იძლევა გარკვეული ნიშნების ჩამონათვალს, რომელიც მიემართება კანონმდებელს და უთითებს, თუ რომელ საფუძვლებს არ უნდა უკავშირდებოდეს არათანაბარი მოპყრობა. ჩამონათვალში მითითებული ნიშნები მომდინარეობს ადამიანის იდენტობის გამომხატველი ფაქტორებიდან, ემყარება მათი ღირსების პატივისცემას და გააჩნია თავისი ისტორიული წანამძღვრები. ხსენებული ნიშნების საფუძველზე დიფერენცირება წარმოადგენს დისკრიმინაციის მომეტებული რისკის მატარებელ შემთხვევებს და კანონმდებლისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. აღნიშნული განპირობებულია ადამიანთა სოციალურ სტატუსში რაიმე ფორმის იერარქიულობის დაუშვებლობით. ჩამონათვალის არსებობა ამ ნიშნებთან დაკავშირებული ადამიანთა დიფერენცირების შემთხვევების უპირატეს შეზღუდვაზე მიუთითებს“⁴⁷. „ისტორიულად კონსტიტუციებში ხდებოდა იმ ნიშნების ჩამოთვლა, რომელთა მიხედვით, ადამიანთა ჯგუფებს აერთიანებდა მათთვის დამახასიათებელი პირადი, ფიზიკური თვისებები, კულტურული ნიშნები ან სოციალური კუთვნილება. ამ ნიშნების კონსტიტუციებში ჩამოთვლა ხდებოდა ზუსტად მათ საფუძველზე ადამიანების დისკრიმინაციის დიდი გამოცდილების არსებობის და, ამასთან, ასეთი მოპყრობის გაგრძელების შიშის გამო (საპასუხოდ)“⁴⁸.

47 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება №2/1/473 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 1.

48 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯ-

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, თანასწორობის უფლების კონსტიტუციური გარანტიები გავაანალიზოთ 2018 წლის 16 დეკემბრამდე არსებული რედაქციისა (მე-14 მუხლი) და დღეს მოქმედი ტექსტის (მე-11 მუხლის პირველი პუნქტი) მიხედვით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ითვალისწინებდა ნიშნების ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებზე დაყრდნობითაც კონსტიტუცია კრძალავდა დისკრიმინაციას, კერძოდ, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

საკონსტიტუციო სასამართლო, მისი ფუნქციონირების პირველ წლებში, კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულების განმარტებისას მკაცრად შემოიფარგლებოდა მხოლოდ მასში ჩამოთვლილი ნიშნების საფუძველზე დიფერენცირებული მოპყრობის შეფასების შესაძლებლობით, რაც, უმეტეს შემთხვევაში, ხდებოდა სარჩელების არსებითად განსახილველად არმიღების საფუძველი⁴⁹. სასამართლომ აღნიშნული საკითხისადმი მსგავსი მიდგომა დააფიქსირა არაერთ აქტში. მაგალითად, ერთერთ განჩინებაში ვკითხულობთ: „საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილია ის ნიშნები, რომელთა მიხედვითაც აკრძალულია ადამიანის დისკრიმინაცია. მოსარჩელებმა და მათმა წარმომადგენლებმა ვერ დაასაბუთეს სადავო ნორმების მიმართება კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაუშვებელი დისკრიმინაციის რომელიმე სახესთან“⁵⁰. „სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ ... უფლება დარღვეული უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის დებულებაში მოცემული ჩამონათვალისა და რაიმე ნიშნის მიხედვით“⁵¹.

თუმცა დროთა განმავლობაში ცხადი გახდა, რომ მხოლოდ კონკრეტული ნიშნების ჩამონათვალით უფლების შემოფარგვლა მისივე (უფლების)

ვენები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4.

49 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 28 მარტის განჩინება №2/8/157 საქმეზე *მოქალაქე დურმიშხან ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.

50 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის განჩინება №1/5/362-363,367 საქმეზე *დავით მირცხულავა, გიორგი კუპრეიშვილი და შალვა და ვლადიმერ დოლიძეები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.

51 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 2 ივნისის განჩინება №2/10/383.

არსის საწინააღმდეგო იქნებოდა, რადგან კანონის წინაშე თანასწორობის მიზანი არის თითოეული ადამიანის დაცვა ნებისმიერი დაუსაბუთებელი განსხვავებისაგან. თანასწორობის პრინციპი, ზოგადად, მოითხოვს არსებითად თანასწორობისადმი თანაბარ მოპყრობას (და პირიქით) და არა მხოლოდ კონკრეტულ სფეროში ან მხოლოდ კონკრეტული ნიშნით იდენტიფიცირებადი პირებისადმი ასეთ მოპყრობას⁵². მოგვიანებით, 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით №2/1-392 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ პრინციპულად შეცვალა მიდგომა და უარი თქვა სასამართლოში დამკვიდრებულ ზემოაღნიშნულ გამოცდილებაზე, ვინაიდან აშკარა იყო, რომ კონსტიტუციის მე-14 მუხლში დასახელებული ნიშნების ამომწურავ ჩამონათვლად მიჩნევის პრაქტიკის ერთგულების შემთხვევაში, კონსტიტუციის ამ ნორმის შინაარსი არებითად დასცილდებოდა თანასწორობის პრინციპის არსს*⁵³.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით დაცული სფეროს სრულყოფილი განმარტებისთვის საკონსტიტუციო სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია მისი გათანაბრება ნორმის სიტყვასიტყვით შინაარსთან. „... ამ მუხლში არსებული ნიშნების ჩამონათვალი, ერთი შეხედვით, გრამატიკული თვალსაზრისით, ამომწურავია, მაგრამ ნორმის მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მხოლოდ მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვალის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა. ... მხოლოდ ვიწრო გრამატიკული განმარტება გამოფიტავდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს და დააკნინებდა მის მნიშვნელობას კონსტიტუციურსამართლებრივ სივრცეში“⁵⁴. სასამართლომ აღნიშნა, რომ „... დიფერენცირებული მიდგომა შესაძლოა მოხდეს არა მხოლოდ ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით. ... დისკრიმინაციის აკრძალვა სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ მის მიერ დადგენილი ნებისმიერი რეგულაცია შეესაბამებოდეს თანასწორობის ძირითად არსს – არსებითად თანასწორობებს მოეპყროს თანასწორად და პირიქით. აქედან გამომდინარე, თანასწორობის ძირითად არსთან კონფლიქტში მყოფი ნებისმიერი ნორმა უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამარ-

52 ქ. ერემაძე, „კანონის წინაშე თანასწორობა, როგორც თავისუფლების გარანტია“, თბილისი, 2015, გვ. 31.

53 ქ. ერემაძე, „თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში“, 2018, გვ. 87.

54 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება №2/1-392 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 2.

თლოს მსჯელობის საგანი⁵⁵. „კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი ნიშნების ამომწურავად მიჩნევა თავისთავად გამოიწვევს სასამართლოს მიერ იმის დადასტურებას, რომ ნებისმიერი სხვა ნიშნით დიფერენციაციის შემთხვევები არ არის დისკრიმინაციული, რადგან არ არის დაცული კონსტიტუციით. ბუნებრივია, ასეთი მიდგომა არ იქნებოდა სწორი, რადგან თითოეული მათგანის კონსტიტუციის მე-14 მუხლში მოუხსენიებლობა დიფერენციაციის დაუსაბუთებლობას ვერ გამოორიციხავს“⁵⁶.

მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-14 მუხლის ფართოდ განმარტებას საფუძვლად დაუდო თავად უფლების ძირითადი არსი, რადგან კანონის წინაშე თანასწორობა არის ყველას, თითოეულის უფლება, კანონის მხრიდან თანაბარ დაცვაზე⁵⁷.

ზემოაღნიშნულ მიდგომაზე დაყრდნობით, სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება არაერთი საქმე, როდესაც მან შეაფასა კონსტიტუციის მე-14 მუხლში დაუსახელებელი ნიშნებით დიფერენცირების კონსტიტუციურობა და უმეტეს შემთხვევებში დაადგინა დისკრიმინაციის არსებობა. მაგალითად, საქმეზე *საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩარევად მიიჩნია ადამიანების დიფერენცირება „დასაქმების ადგილის“ ნიშნით⁵⁸. საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ* სასამართლომ მიუთითა, რომ კანონის წინაშე თანასწორობის უფლებაში ჩარევა დაკავშირებული იყო „სამართლებრივი ურთიერთობის დაწყების დროსთან“⁵⁹. საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* დადგინდა, რომ პირთა დიფე-

55 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 4.

56 იქვე, II, 4.

57 ქ. ერემაძე, „თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში“, 2018, გვ. 89.

58 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება №2/1-392 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 2.

59 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება №2/1/473 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*. II, 11.

რენციაცია ხდებოდა მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დროზე დამოკიდებულებით. საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა ვაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ* სასამართლომ შეაფასა სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დიფერენციაციის გამოიმწვევი ნორმების კონსტიტუციურობა⁶⁰. საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* დიფერენცირების ნიშნად მიჩნეულ იქნა „სამოსამართლო საქმიანობა“⁶¹. საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – გურა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას ასაკობრივი ცენზის საფუძველზე⁶² და სხვა.

დიდწილად სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შედეგია, რომ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონით, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი შეიცვალა და დღეს თანასწორობის უფლების მარეგლამენტირებელ კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში გვაქვს დისკრიმინაციის ნიშნების ღია ჩამონათვალი. კერძოდ, ამ დებულების თანახმად: „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“.

მაშასადამე, კონსტიტუციის მოქმედი რედაქცია დისკრიმინაციას კრძალავს არა მხოლოდ ჩამოთვლილი ნიშნების, არამედ „სხვა ნიშნის“ მიხედვითაც.

60 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა ვაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ*.

61 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება №3/1/659 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.

62 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება №2/2/863 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – გურა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის შედეგად, ისედაც არსებობდა უფლების ფართოდ განმარტების კონსტიტუციური ვალდებულება (კონსტიტუციის ტექსტში ჩამოთვლილი ნიშნებით არშემოფარგვლის გზით) და გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა კონსტიტუციაში ზემოაღნიშნული ცვლილების შეტანას, მაინც მისასაღმებელია ამ კონტექსტში უკეთესი კონსტიტუციური ფორმულირების შემუშავება.

ზოგადად, დისკრიმინაციის ნიშნების არაამომწურავი ჩამონათვალის გაკეთება მეტ გარანტიას ქმნის უფლების ფარგლების ხელოვნური დავიწროვების რისკის საწინააღმდეგოდ. კონსტიტუციაში თუ საერთაშორისო აქტებში უფლების მარეგლამენტირებელი ასეთი დებულებები მიუთითებს დოკუმენტების ღიაობაზე, უფლება იქნას ფართოდ განმარტებული, ამასთან სწორედ ასეთ ვადლებულებას უჩენს ხელისუფლებებს. დისკრიმინაციის ნიშნების ამომწურავი/ჩაკეტილი ჩამონათვალის გაკეთებისას კი რჩება მხოლოდ ერთი გზა – საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოებმა დაძლიონ კონსტიტუციის ტექსტის წინააღმდეგობები და უზრუნველყონ უფლების ეფექტური დაცვა მისი ფართოდ განმარტების გზით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველომ სწორედ ეს გზა გაიარა.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციაში დასახელებული ცვლილების განხორციელებამდე საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (2014 წლის 2 მაისი), რომელმაც, სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე კონსტიტუციური ვალდებულების ძალით, გაითვალისწინა დისკრიმინაციის ნიშნების ღია ჩამონათვალი⁶³. მნიშვნელოვანია, რომ მასში მოცემულია დისკრიმინაციისგან დაცული ნიშნების გაცილებით ვრცელი ჩამონათვალი, ვიდრე ეს კანონის მიღების დროს მოქმედი კონსტიტუციის ტექსტით (მე-14 მუხლი) ან დღეს, კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით არის გათვალისწინებული. კერძოდ, გვხვდება ისეთი ნიშნები, როგორებიცაა: მოქალაქეობის, დაბადების ადგილის, პროფესიის, ოჯა-

63 დასახელებული კანონის პირველი მუხლის („კანონის მიზნები“) თანახმად: „ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად“.

ხური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამონატვის. ამასთან, როგორც აღინიშნა, კანონი მიუთითებს ნიშნების არაამომწურავ ჩამონათვალზე და აცხადებს პასუხისმგებლობას ნებისმიერი „სხვა ნიშნით“ დისკრიმინაციისგან პირების დაცვის ვალდებულების თაობაზე.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით აღსანიშნავია კანონმდებლის მიერ ისეთ ნიშნებზე სახელდებით ყურადღების გამახვილება, როგორებიცაა: შეზღუდული შესაძლებლობები, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა. ბუნებრივია, ამ ნიშნების კანონში მოუხსენიებლობა ვერ გამოირიცხავდა მათზე დაყრდნობით დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებას, რაზეც არაორაზროვნად მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკაც⁶⁴. ეს მით უფრო ადვილი იქნებოდა ნიშნების ღია ჩამონათვალის პირობებში, მაგრამ მაშინ, როდესაც ამ საფუძვლებით იდენტიფიცირებადი ადამიანები ჯერ კიდევ წარმოადგენენ მკაფიოდ გამოკვეთილ მოწყვლად ჯგუფებს, მათი სათანადო დაცვის უზრუნველსაყოფად, დასახელებულ ნიშნებზე ხაზგასმით მითითება არაორაზროვნად გულისხმობს შესაბამისი ვალდებულებების აღიარებას და სათანადო ზომების როგორც კანონით, ისე სამართალშეფარდების პროცესში გატარების აუცილებლობას.

1.2.2.2.1. „სხვა ნიშნის“ პოტენციური დიაპაზონი

მნიშვნელოვანი საკითხია, დებულებას – „სხვა ნიშანი“ – გაფართოვების როგორი პერსპექტივა/დიაპაზონი აქვს ან შეიძლება ჰქონდეს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) ნიშნების ამომწურავი ჩამონათვალის პირობებში (როდესაც ჩანაწერი – „სხვა ნიშანი“ არ არსებობდა), როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკონსტიტუციო სასამართლომ უფლება ფართოდ განმარტა და არაორაზროვნად მიუთითა, რომ არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ჩამოთვლილი ნიშნებით. თუმცა არც ერთ გადაწყვეტილებაში

64 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ სასამართლომ შეაფასა სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დიფერენციაციის გამომწვევი ნორმების კონსტიტუციურობა; საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ სასამართლომ შეაფასა დიფერენციაცია სოციალური კუთვნილების ნიშნით, რომელიც, თავის მხრივ, ამ საქმეზე გულისხმობდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ დისკრიმინაციას.

არ განუმარტავს, ამა თუ იმ ნიშნის კონსტიტუციით მოაზრებულ ნიშნად მისაჩნევად რაიმე კრიტერიუმების დაკმაყოფილებას ითხოვდა თუ არა. იმავდროულად, პრაქტიკაში გამოვლინდა მრავალფეროვნება ასეთი ნიშნებისა.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მისი პრაქტიკის მიხედვით: „მხოლოდ მაიდენტიფიცირებელი მახასიათებლების ან „სტატუსის“ ნიშნით განსხვავებულ მოპყრობას აქვს პოტენციალი, ჩაითვალოს დისკრიმინაციად მე-14 მუხლით ნაგულისხმევი მნიშვნელობით“⁶⁵. სასამართლოს განმარტებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილია კონკრეტული საფუძვლები, რომლებიც განსაზღვრავს „სტატუსს“, მათ შორისაა, რასა, ეროვნება ან სოციალური წარმომავლობა. თუმცა სია არის საილუსტრაციო და არ არის ამომწურავი“⁶⁶.

იმავდროულად, „სხვა ნიშნის“ განმარტებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, შეიძლება ითქვას, ურთიერთწინააღმდეგობრივია კონკრეტული კრიტერიუმების გათვალისწინების/დაკმაყოფილების აუცილებლობის საკითხთან დაკავშირებით. საქმეზე *Engel and Others v. Netherlands* სასამართლომ განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლში ნიშნების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და „სამხედრო რანგი“ შეიძლება განხილულ იქნას დისკრიმინაციის ნიშნად⁶⁷. თუმცა სხვა არაერთ საქმეზე სასამართლომ უფრო ვიწრო განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ დისკრიმინაციის აკრძალვის ნიშანი უნდა იყოს ადამიანის პერსონალური მახასიათებელი (და არა რაიმე სხვა ნიშანი)⁶⁸. საქმეზე *Carson and Others v. the United Kingdom* სასამართლომ ერთდროულად მიუთითა, რომ ნიშანი გულისხმობს პერსონალურ მახასიათებელს და „სხვა ნიშანი“ ფართოდ უნდა განიმარტოს⁶⁹. თუმცა საქმეზე *Springett and Others v. United Kingdom* აღნიშნა, რომ ნიშა-

65 *Carson and Others v. the United Kingdom*, app. №42184/05, (ECtHR (GC), 16.03.10), §61; *Izzettin Dogan and Others v. Turkey*, app. №62649/10, (ECHR 26.04.2016), §60.

66 *Engel and Others v. the Netherlands*, app. №5100/71; 5101/71; 5102/71; 5354/72; 5370/72, (ECtHR 08.06.1976), §72; *Carson and Others v. the United Kingdom*, app. №42184/05, (ECtHR (GC), 16.03.10), §70.

67 *Engel and Others v. the Netherlands*, app. №5100/71; 5101/71; 5102/71; 5354/72; 5370/72, (ECtHR 08.06.1976), §72.

68 *Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark*, app. №5095/71; 5920/72; 5926/72, (ECtHR 7.12.1976), §56; *Gerger v. Turkey*, app. №24919/94, (ECtHR 08.07.1999), §69; *Magee v. the United Kingdom*, app. №28135/95, (ECtHR 06.06.2000), §50.

69 *Carson and Others v. the United Kingdom*, app. №42184/05, ((ECtHR 16.03.2010), §70.

ნი – პერსონალური მახასიათებელი პირის თანდაყოლილი უნდა იყოს, უნდა უკავშირდებოდეს მის შინაგან რწმენას ან არჩევანს⁷⁰. მოგვიანებით სასამართლო „სხვა ნიშანს“ კითხულობს მხოლოდ როგორც ისეთ ნიშანს, რომელიც არსებითად ანალოგიური ან მსგავსია კონვენციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი ნიშნებისა. კიდევ ერთი განმარტების თანახმად, „სხვა ნიშანში“ იგულისხმება ნებისმიერი შემთხვევა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება პირის პერსონალურ გარემოებებს⁷¹. უფრო მოგვიანებით კი „სხვა ნიშანი“ კვლავ ფართოდ განიმარტა და აღინიშნა, რომ ამ ჩანაწერის ინტერპრეტაცია არ შემოიფარგლება თანდაყოლილი პერსონალური მახასიათებლებით⁷².

საბოლოოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ „სხვა ნიშანში“ ამოიკითხა სექსუალური ორიენტაცია, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობები, ოჯახური მდგომარეობა⁷³, ორგანიზაციის წევრობა⁷⁴, სამხედრო წოდება⁷⁵, საცხოვრებელი ადგილი⁷⁶.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსგან განსხვავებით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ნიშნების გაფართოების წინაპირობად არავითარ გარემოებასა თუ კრიტერიუმს არ მიუთითებს და არსებული პრაქტიკაც ცხადყოფს, რომ ნებისმიერი ნიშანი, რომელიც არ არის დასახელებული დისკრიმინაციის ამკრძალავ კონსტიტუციის დებულებაში, უპირობოდ მიიჩნევა „სხვა ნიშანად“ კონსტიტუციის მიზნებისთვის.

მეტიც, პრაქტიკა მოწმობს, რომ ცალკეულ შემთხვევაში „ნიშნის“ იდენტიფიცირებამ შესაძლოა, საერთოდ დაკარგოს მნიშვნელობა.

მართალია, უმეტესწილად, დისკრიმინაცია სწორედ კონკრეტულ ნიშანზე/მიზეზზე დაფუძნებული მოპყრობაა, თუმცა არ შეიძლება აბსოლუტურად გამოირიცხოს ალბათობა, პირს/პირთა ჯგუფს თვითმიზნურად

70 *Springett and Others v. the United Kingdom*, app. №34726/04, 14287/05; 34702/05; (ECtHR 27.04.2010), §7.

71 *Laduna v. Slovakia*, app. №31827/02, (ECtHR 13.12.2011), §55.

72 *Biao v. Denmark*, app. №38590/10, (ECtHR 24.05.2016), §89. *Clift v. The United Kingdom*, app. №7205/07, (ECtHR, 13.07.2010), §56-58.

73 *Petrov v. Bulgaria*, app. №15197/02, (ECtHR 22.05.2008).

74 *Danilenkov and Others v. Russia*, app. №67336/01 (ECtHR 30.07.2009).

75 *Engel and Others v. the Netherlands* app. №5100/71; №5101/71; №5102/71; №5354/72; №5370/72, (ECtHR 08.06.1976).

76 *Carson and Others v. the United Kingdom*, app. №42184/05 (ECtHR 16.03.2010).

განსხვავებულად მოექცნენ (მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირებთან შედარებით) და არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენონ გამოკვეთილი ნიშნისადმი მისი/მათი კუთვნილების გარეშეც. ასეთ შემთხვევებში დიფერენციაციის ნიშნის იდენტიფიცირების შეუძლებლობა ვერ აბათილებს მოპყრობის იდენტურ შედეგს. მაშასადამე, ის გარემოება, რომ განსხვავებული მოპყრობა რაიმე ნიშნის გამო არ განხორციელებულა, ვერ გამოორიცხავს მის (მოპყრობის) დისკრიმინაციულობას.

ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით გადადგმული ნაბიჯები: მაგალითად, საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმით ადგილი არ ჰქონდა დიფერენცირებულ მოპყრობას პოლიტიკური და ქონებრივი ნიშნებით, როგორც ამაზე მოსარჩელე მიუთითებდა. თუმცა სასამართლომ არ ჩათვალა საჭიროდ, ერთი მხრივ, მოსარჩელე შეეხოჭა ვალდებულებით, დაეკონკრეტებინა დიფერენციაციის ზუსტი ნიშანი, მეორე მხრივ, არც თავად მიანიშნა განსხვავებული მოპყრობის კონკრეტულ საფუძველზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეზე მსჯელობისთვის სრულიად საკმარისი იყო, რომ ადგილი ჰქონდა არსებითად თანასწორი პირების მიმართ არათანაბარ მოპყრობას. ასევე საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამავულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი არ ჰქონდა „საცხოვრებელი ადგილის“ მიხედვით დიფერენციაციას (როგორც ამას მოსარჩელე ამტკიცებდა), თუმცა იმის გამო, რომ ნორმა იწვევდა არსებითად თანასწორი პირების მიმართ არათანაბარ მოპყრობას, სადავო ნორმა შეაფასა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით და დაადგინა მისი დისკრიმინაციულობა.

საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ არა მხოლოდ მოსარჩელის მიერ ნიშნის არასწორად დასახელება არ მიიჩნია დაბრკოლებად სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტისას, არამედ არაორაზროვნად მიუთითა, რომ დიფერენციაციის ნიშანი არ არის გადამწყვეტი, აუცილებელი წინაპირობა დისკრიმინაციის სამტკიცებლად. დაუსაბუთებელი განსხვავებული მოპყრობის ფაქტი უკვე წარმოადგენს დისკრიმინაციას, თუნდაც ის არც ერთი ნიშნისადმი პირის მიკუთვნებით არ იყოს განპირობებული.

მაშასადამე, ერთი მხრივ, დისკრიმინაცია, როგორც წესი, სწორედ კონკრეტული ნიშნის გამო პირებისადმი დაუსაბუთებელ განსხვავებულ მოპყრობას და მათ არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას გულისხ-

მობს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ნიშნის, როგორც ფაქტორის, უგულვებლყოფა არ შეიძლება, ეს არასწორიც იქნება. მეტიც, ის გარემოება, თუ რომელი ნიშნით ხდება დიფერენცირება, გავლენას ახდენს (ერთ-ერთი კრიტერიუმია) დიფერენციაციის დისკრიმინაციულობის ტესტის სწორად შერჩევაზე. თუმცა, იმავდროულად, სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ცალკეულ შემთხვევებში, ნიშნის იდენტიფიცირება, უბრალოდ, შეუძლებელია, რაც თავისთავად ვერ გამოორიცხავს დაუსაბუთებელ, თვითმიზნურ განსხვავებულ მოპყრობას და არახელსაყრელ მდგომარეობაში პირის/პირთა ჯგუფის ჩაყენებას. შესაბამისად, რომელიმე ნიშნის გამოკვეთა არ უნდა იყოს უპირობო მოთხოვნა, რომლის გარეშეც დისკრიმინაციაზე საუბარი გამოირიცხება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული „სხვა ნიშნის“ დიაპაზონის ურთიერთწინააღმდეგობრივი და ზოგჯერ საკმაოდ მკაცრი, ვიწრო განმარტების პარალელურად, საინტერესოა, რომ ცალკეულ გადაწყვეტილებებში სასამართლო „ნიშანს“ არ მიიჩნევს დისკრიმინაციის დადგენისთვის სავალდებულო კომპონენტად. კერძოდ, მისი განმარტებით: „თანასწორობა ირლვევა იმ მომენტიდან, როდესაც პირს სხვებთან შედარებით განსხვავებულად ეპყრობიან და არ არსებობს ამ მოპყრობის გამართლება“⁷⁷. „რადგან დაცული ნიშნების სია არ არის ამომწურავი, აუცილებელი არ არის კონკრეტული ნიშნის განსაზღვრა დისკრიმინაციისთვის“⁷⁸.

1.2.2.3. შესაძლებელია თუ არა თანასწორობის უფლების დაცვა სხვა უფლებებთან სავალდებულო ურთიერთკავშირის გარეშე?

თანასწორობის უფლების ფარგლებზე საუბრისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ დისკრიმინაციის ნიშანთან დაკავშირებული საკითხების ადეკვატური ინტერპრეტაცია, არამედ ურთიერთობათა იმ არეალის განსაზღვრა, რომლის ველზეც განსხვავებული მოპყრობა დასაბუთებას საჭიროებს.

ამ კონტექსტში საინტერესოა სხვაობა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და საქართველოს კონსტიტუციის რელევანტურ დებულებებს, შესაბამისად, მათი ინტერპრეტაციების – ადამიანის უფლებათა

77 *Rasmussen v. Denmark*, app. №8777/79, (ECtHR, 28.11.1984), §34.

78 *Lithgow and Others v. the United Kingdom*, app. №9006/80; 9262/81; 9263/81; 9265/81; 9266/81; 9313/81; 9405/81, (ECtHR, 08.07.1986), §176; *Fredin v. Sweden*, app. №12033/86, (ECtHR, 18.02.1991), §60.

თა ევროპული სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, პრაქტიკას შორის.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად: „ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე...“. ხოლო მე-12 ოქმის პირველი მუხლის თანახმად: „კანონით დადგენილი ნებისმიერი უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე...“.

მაშასადამე, მე-14 მუხლი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ კონვენციით დაცული უფლებებით სარგებლობისას დისკრიმინაციის აკრძალვაზე. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ დისკრიმინაციაზე მსჯელობის შესაძლებლობები გაფართოვდა მე-12 დამატებითი ოქმით, რომელმაც არეალი გაზარდა კანონით (ხელმომწერი ქვეყნების კანონმდებლობით) აღიარებულ ნებისმიერ უფლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის გარანტიების შექმნით. კონვენციის მე-12 ოქმის პირველი მუხლი დისკრიმინაციის საერთო/ზოგად აკრძალვას ითვალისწინებს – უზრუნველყოფს თანასწორ მოპყრობას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კონვენციის მე-14 მუხლი დამოუკიდებლად არ არსებობს და შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ კონვენციის და მისი ოქმების დებულებებით უზრუნველყოფილი „უფლებებით და თავისუფლებებით სარგებლობასთან“ დაკავშირებით⁷⁹. მე-14 მუხლი დამოუკიდებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ მისი გამოყენებისთვის არ არის აუცილებელი, კონვენციის და ოქმების მატერიალურ-სამართლებრივი დებულებები დარღვეული იყოს⁸⁰, მაგრამ ის არ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც არ ექცევა კონვენციის ერთი ან მეტი დებულების მოქმედების სფეროში⁸¹.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისგან განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუცია არ მიუთითებს დისკრიმინაციის აკრძალვაზე კონსტიტუციით (ან/და კანონმდებლობით) გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას. თანასწორობის მარეგლამენტირებელ დებულებაში

79 *Petrovic v. Austria*, app. №20458/92, (ECtHR, 27.03.1998), §22; *Izzettin Dogan and Others v. Turkey*, app. №62649/10, (ECHR 26.04.2016), §55; *Vallianatos and Others v. Greece*, app. №29381/09; №32684/09, (ECtHR, 07.11.2013), §72.

80 *Biao v. Denmark*, app. №38590/10; (ECtHR, 24.05.2016), §88.

81 *Schalk and Kopf v. Austria*, app. №30141/04, (ECtHR, 24.06.2010), §47.

საუბარია ზოგადად „სამართლის წინაშე“ თანასწორობის შესახებ (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მიხედვით – „კანონის წინაშე“ თანასწორობაზე). შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ეს დებულება კრძალავს დისკრიმინაციას საზოგადოებრივი ურთიერთობების ნებისმიერ სფეროში, თუ ნებისმიერი უფლებით სარგებლობისას. კერძოდ, სასამართლოს პრაქტიკის თანახმად: „თანასწორობის ძირითადი უფლება სხვა კონსტიტუციური უფლებებისგან იმით განსხვავდება, რომ ის არ იცავს ცხოვრების რომელიმე განსაზღვრულ სფეროს. თანასწორობის პრინციპი მოითხოვს თანაბარ მოპყრობას ადამიანის უფლებებითა და კანონიერი ინტერესებით დაცულ ყველა სფეროში ... თანასწორობის ძირითად არსთან კონფლიქტში მყოფი ნებისმიერი ნორმა უნდა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი“⁸². „სამართალშემოქმედს აკისრია კონკრეტული საკითხის არადისკრიმინაციულად მოწესრიგების ვალდებულება. ეს ვალდებულება თან სდევს სამართალშემოქმედების პროცესს, იმის მიუხედავად, იგი მიმართულია კონსტიტუციური უფლებების თუ კანონიერი ინტერესების რეგულირებისკენ“⁸³.

შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლო ნორმის დისკრიმინაციულობაზე მსჯელობს იმისგან დამოუკიდებლად, მოსარჩელე, თანასწორობის უფლების პარალელურად, მიუთითებს თუ არა სხვა რომელიმე უფლების დარღვევაზე. ამასთან, თუ პირი ერთდროულად სხვა უფლების დარღვევაზეც დავობს, არ მიიჩნევა სავალდებულოდ, ჯერ ამ უკანასკნელის დარღვევის ფაქტი დაადგინოს და მხოლოდ შემდეგ იმსჯელოს დისკრიმინაციაზე.

1.2.2.4. თანასწორობა კანონის თუ სამართლის წინაშე?

თანასწორობის უფლების ფარგლების კონტექსტში ყურადსაღებია კიდევ ერთი ცვლილება უფლების მარეგლამენტირებელ კონსტიტუციურ დებულებაში. კერძოდ, 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის-

82 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 4; 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/539 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 4; 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/534 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 5.

83 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბურაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ*, II, 21.

გან (მე-14 მუხლი) განსხვავებით, რომელიც მიუთითებდა „კანონის წინაშე“ თანასწორობაზე, დღეს მოქმედი რედაქციით დეკლარირებულია „სამართლის წინაშე“ თანასწორობა. მიუხედავად იმისა, რომ უფლების მიზნებისთვის, დებულება – „კანონის წინაშე“ – საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ასევე ფართოდ განიმარტებოდა და არც ერთ შემთხვევაში არ გულისხმობდა ბუკვალურად მხოლოდ კანონის – საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტის – წინაშე თანასწორობის დაცვის ვალდებულებას, ვფიქრობ, ასეთი ცვლილება დამატებით მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიძლება/უნდა გახდეს ხელისუფლების შემხვედრი ვალდებულებების განსახორციელებლად, რადგან ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, მთლიანად სამართალი იყოს სტერილური დისკრიმინაციული მოპყრობის ლეგიტიმაციის შესაძლებლობისგან. მაგალითად, კრიტიკულად აუცილებელია, რომ მართლმსაჯულების შედეგები, ისევე, როგორც ნებისმიერი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ სამართლის შეფარდების/გამოყენების პრაქტიკა, იყოს არადისკრიმინაციული.

ამ კონტექსტში საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 ოქმის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინება, რომლითაც აიკრძალა „საჯარო დაწესებულების მხრიდან ვინმეს დისკრიმინაცია“. ევროპის საბჭოს განმარტებით ბარათში, ამ საკითხზე კომენტარში აღნიშნულია, რომ ეს დებულება ეხება დისკრიმინაციას: 1. ნებისმიერი უფლებით სარგებლობისას, რომელიც ინდივიდს მინიჭებული აქვს ეროვნული სამართლით; 2. იმ უფლებით სარგებლობისას, რომელიც შესაძლოა გამომდინარეობდეს საჯარო ორგანოს აშკარა ვალდებულებიდან, ანუ, როდესაც საჯარო ორგანო, ეროვნული სამართლის თანახმად, ვალდებულია, გარკვეული ფორმით მოიქცეს; 3. საჯარო ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას; 4. საჯარო ორგანოს რაიმე სხვა ქმედებით ან უმოქმედობით⁸⁴.

კომენტარში ასევე აღნიშნულია, მართალია, ოქმი ძირითადად იცავს სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციისგან, მაგრამ მან ასევე შეიძლება მოიცვას ურთიერთობები კერძო პირებს შორის, რომელთა მოგვარება ევალება სახელმწიფოს. მაგ.: „თვითნებურად უარის თქმა სამუშაო ადგილას ან რესტორანში შეშვებაზე, ან ისეთი სერვისების მიღებაში ხელშეშლა, რომელთა ხელმისაწვდომობაც კერძო პირებზეა დამოკიდებული,

84 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმი (ETS №177), განმარტებითი ბარათი, §22. იხ.: <http://conventions.coe.int/Treaty/en/Reports/Html/177.htm>.

მაგ: სამედიცინო მომსახურება ან კომუნალური სერვისები – წყალი და ელექტროენერჯია⁸⁵.

საქმეზე *X and Y v. the Netherlands* ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფა სახელმწიფოს კერძო ურთიერთობებში ჩარევასაც ავადლებულებს⁸⁶.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია შესაბამისი დებულებების არსებობა საქართველოს კანონში „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. კერძოდ, მე-3 მუხლის თანახმად: „ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში...“. კანონი საგანგებოდ ამხეილებს ყურადღებას თანაბარი მოპყრობის აუცილებლობაზე შრომით და სოციალურ ურთიერთობებში⁸⁷. სხვა საკითხია, რამდენად საკმარისი, ქმედითი და ეფექტურია კანონმდებლობით გათვალისწინებული ინსტრუმენტები, რომ არაფერი ვთქვათ კერძო სფეროზე სათანადო გარანტიების გავრცელების თაობაზე კანონის დუმილზე.

85 იქვე, §28.

86 *X and Y v. the Netherlands*, app. №8978/80, (ECtHR, 26.03.1985), §23.

87 კანონის მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად: „თანაბარი მოპყრობის პრინციპი ვრცელდება აგრეთვე:

ა) შრომით და წინასახელმეკრულებო ურთიერთობებზე, მათ შორის:

ა.ა) წინასახელმეკრულებო ურთიერთობისას შერჩევის კრიტერიუმებსა და დაქირავების პირობებზე, აგრეთვე კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე, პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე, საქმიანობის სფეროს მიუხედავად;

ა.ბ) პროფესიული იერარქიის ყველა საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის, კვალიფიკაციის ამღლების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ყველა ფორმის (პრაქტიკული პროფესიული გამოცდილების ჩათვლით) ხელმისაწვდომობაზე;

ა.გ) დასაქმების, შრომის, შრომის ანაზღაურებისა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის პირობებზე;

ბ) დასაქმებულთა ორგანიზაციის, დამსაქმებელთა ორგანიზაციის ან ისეთი ორგანიზაციის წევრობასა და საქმიანობაზე, რომლის წევრებიც განსაზღვრულ პროფესიულ ჯგუფს განეკუთვნებიან, ამ ორგანიზაციებიდან მიღებული სარგებლის ჩათვლით;

გ) სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის პირობებზე, განათლებაზე, საქონლისა და მომსახურების მიწოდებაზე, მათ შორის:

გ.ა) სოციალურ დაცვაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე, სოციალურ შეღავათებზე და სხვა;

გ.ბ) ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე;

გ.გ) განათლების ხელმისაწვდომობაზე;

გ.დ) საჯაროდ ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების მიღებაზე (საცხოვრებლის ჩათვლით).“

1.3. თანასწორობის უფლებაში ჩარევის მართლზომიერების შეფასება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ

1.3.1. კანონის დისკრიმინაციულობის შემოწმების ტესტები

ძირითად უფლებებში ჩარევის კონსტიტუციურობის, მაშასადამე, უფლების სავარაუდო დარღვევის საკითხს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით. სამართლის წინაშე თანასწორობა არის ერთადერთი უფლება, რომელში ჩარევის გამართლებისთვის სასამართლო განსხვავებულ ტესტებს იყენებს, რასაც თავად უფლების ბუნებით და მისი დაცვის თავისებურებებით ხსნის. კერძოდ, სასამართლოს პრაქტიკის თანახმად: „ვინაიდან დიფერენცირებული მოპყრობის ყველა შემთხვევა ერთნაირი სიმძიმის არ არის, თითოეული მათგანის ერთნაირი სტანდარტითა და იდენტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეფასების შემთხვევაში, სასამართლომ, თანასწორობის უფლების დაცვის მოტივით, შესაძლოა, მას მიზანი შეუცვალოს, გაზარდოს რისკი დიფერენცირებული მოპყრობის პრაქტიკულად ყველა შემთხვევის არაკონსტიტუციურად მიჩნევისა და იმაზე მეტად შეზღუდოს კანონმდებელი, ვიდრე ამას კონსტიტუციის მე-14 მუხლი მოითხოვს“⁸⁸. „კანონის წინაშე თანასწორობის უფლების ბუნებიდან გამომდინარე, მასში ჩარევისას სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები განსხვავებულია, ... შესაბამისად, განსხვავებული მოპყრობის გონივრულობის შეფასების მასშტაბიც განსხვავებულია“⁸⁹.

მართალია, სასამართლო ყურადღებას ამხვილებს თანასწორობის უფლებაში ჩარევისას სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებში მოქმედების შესაძლებლობაზე, თუმცა, იმავდროულად, ბოჭავს ხელისუფლებას უფლებაში ჩარევის ობიექტური დასაბუთების ვალდებულებით. „ზოგადად, ისტორიულად ცვლადია შეფასებები და შეფასებების ინსტრუმენტები იმისა, რა არის „ბუნებრივი“, „გონივრული“ და „აუცილებელი“ ამ სფეროში. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, თანასწორობის პრინციპი კანონმდებელს შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას არჩევანის თავისუფლებას უტოვებს იქამდე, სანამ ხელმისაწვდომია დიფერენცირე-

88 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II. 5.

89 იქვე.

ბული მოპყრობის ობიექტური დასაბუთება⁹⁰.

თანასწორობის უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობას სასამართლო ამოწმებს ე.წ. „მკაცრი შეფასების ტესტით“ და „რაციონალური დიფერენციაციის ტესტით“. განსხვავებულია მათი (ტესტების) გამოყენების წინაპირობები, საფუძვლები. არჩევანს სასამართლო აფუძნებს „დისკრიმინაციის ნიშნისა“ და „უფლებაში ჩარევის ინტენსივობის“ გამოკვლევას/შესწავლას.

1.3.1.1. „მკაცრი შეფასების ტესტი“

„მკაცრი შეფასების ტესტით“ შემოწმებისას აუცილებელია: ა) სახელმწიფოს მხრიდან დიფერენცირებული მოპყრობის გამართლებისთვის დაუძლეველი ინტერესის არსებობის დასაბუთება და ბ) ამ ინტერესის/მიზნის მიღწევისთვის შერჩეული რეგულაციით უფლებაში ჩარევის თანაზომიერების მტკიცება.

„დაუძლეველი ინტერესი“, თავისი არსით, არის კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზანი. თუმცა განსხვავებული ტერმინის გამოყენება მიუთითებს როგორც ლეგიტიმური მიზნის განსაკუთრებულობაზე, ისე მისი დაცვის თვისობრივად მომეტებულ საჭიროებაზე, რომლის დაძლევაც შეუძლებელია უფლებაში ჩარევის გარეშე.

სასამართლო „მკაცრი შეფასების ტესტს“ იყენებს, თუ: ა) დიფერენციაცია ეფუძნება ე.წ. „კლასიკურ ნიშანს“; ბ) უფლებაში ჩარევა ხდება „მაღალი ინტენსივობით“.

ა) „მკაცრი შეფასების ტესტის“ გამოყენება „კლასიკური ნიშნის“ გამო

სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი დიფერენციაცია ზედმიწევნით შემოწმებას და ფრთხილ მიდგომას მოითხოვს. თუმცა დიფერენციაციის დისკრიმინაციულობის შეფასება განსაკუთრებული სიმკაცრით უნდა მოხდეს, როდესაც განსხვავებული მოპყრობა ეფუძნება ისეთ ნიშნებს, რომლებზე დაყრდნობითაც დისკრიმინაცია ისტორიულად ხშირი და ძალზე გავრცელებული იყო, ამასთან, რომელთა ჩამოთვლაც კონსტიტუციებში ხდებოდა ზუსტად ასეთი მოპყრობის გამეორების შიშით და ამის საწინააღმდეგოდ⁹¹. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ

90 იქვე.

91 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II.

ამ ნიშნებს „კლასიკური ნიშნები“ უწოდა და თავდაპირველად, ფორმალურად, კონსტიტუციის მე-14 მუხლში (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) ჩამოთვლილ ნიშნებს დაუკავშირა.

„კლასიკური ნიშნის“ საფუძვლით „მკაცრი ტესტის“ გამოყენების განჭვრეტადობისთვის მნიშვნელოვანია შემდეგ საკითხზე ყურადღების გამახვილება: ვინაიდან სასამართლომ ფორმალურად „კლასიკური ნიშანი“ უწოდა კონსტიტუციის ტექსტში დასახელებულ ნიშნებს, გულისხმობს თუ არა ეს, რომ: ა) ნებისმიერი ნიშანი, რომელიც კონსტიტუციის ტექსტში სახელდებული არ არის, არ შეიძლება/არ უნდა ჩაითვალოს „კლასიკურ ნიშნად“? ბ) ან, პირიქით, ნებისმიერი იდენტიფიცირებადი ნიშანი, რომელიც, მართალია, კონსტიტუციის ტექსტში მოხსენიებული არ არის, მაგრამ ითვლება, მოიაზრება თანასწორობის უფლებით დაცულად (სასამართლოს პრაქტიკის შედეგად), სასამართლომ უნდა მიიჩნიოს „კლასიკურ ნიშნად“ და გამოიყენოს „მკაცრი ტესტი“? გ) კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში ნიშნების ღია ჩამონათვალის პირობებში, „კლასიკურმა ნიშანმა“ ხომ არ დაკარგა მისი რაციონალური გამოყენების საფუძველი/შესაძლებლობა?

ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხს განაპირობებს სასამართლოს პრაქტიკის მთავარი ლოგიკა – მისთვის „კლასიკური ნიშნის“ იდენტიფიცირებისთვის მნიშვნელოვანია/კრიტერიუმია არა კონსტიტუციის ტექსტში მისი სახელდების ფაქტი, არამედ საფუძველი, რომელიც, როგორც წესი, ხდებოდა ხოლმე მთავარი მიზეზი დისკრიმინაციის ნიშნების კონსტიტუციებში ჩაწერისა. როგორც აღინიშნა, ეს იყო კაცობრიობის გამოცდილება ადამიანების განსაკუთრებული მოწყვლადობისა სწორედ კონკრეტულ ნიშნებზე დაყრდნობით, რომელიც უკავშირდებოდა ადამიანის იდენტობას, მის ღირსებას, ბუნებით თანდაყოლილ, ისტორიულად ან ადამიანის თავისუფალი არჩევანის საფუძველზე მიღებულ ადამიანურ განსხვავებებს, პირად, იმანენტურ მახასიათებლებს, „რომელთა მიხედვით ადამიანთა ჯგუფებს აერთიანებდა მათთვის დამახასიათებელი პირადი, ფიზიკური თვისებები, კულტურული ნიშნები ან სოციალური კუთვნილება“⁹². ეს ნიშნები მათი მატარებელი პირების იდენტობას ფუნდამენტურად განსაზღვრავენ და სწორედ ეს ხდის მათ დისკრიმინაციის მიმართ განსაკუთრებულად მგრძობიარეს და მოწყვლადს.

92 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება №2/1-392 საქმეზე საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე, სადაც მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ნიშანი კონსტიტუციაში დასახელებული არ იყო, რადგან ის, ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, აერთიანებდა ადამიანების მოწყვლად ჯგუფს, საკონსტიტუციო სასამართლომ შეფასების „მკაცრი ტესტი“ გამოიყენა. კერძოდ, 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ სექსუალური ორიენტაცია არ წარმოადგენს კონსტიტუციაში დასახელებულ დიფერენცირების ნიშანს, თუმცა სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა პირთა მოწყვლადობის ხარისხის გათვალისწინების აუცილებლობაზე. კერძოდ: „...უნდა აღინიშნოს, რომ დისკრიმინაციული მოპყრობის საფრთხე პირთა კონკრეტულ ჯგუფებთან მიმართებით იცვლება საზოგადოებრივი განვითარების კვალდაკვალ, რაც შეფასების მიღმა არ უნდა დარჩეს. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, მიემართება მოწყვლად ჯგუფებს, მათ შორის, სექსუალურ უმცირესობებს, რაზეც მიუთითებს არაერთი საერთაშორისო აქტი თუ რეკომენდაცია. მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 2011 წლის 14 ივლისის №17/19 რეზოლუცია „ადამიანის უფლებების, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ“, ევროპის საბჭოს ოცამდე რეკომენდაცია სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. ამგვარი სენსიტიური სფეროს მოწესრიგებისას სამართალშემოქმედი ვალდებულია, გამოიჩინოს განსაკუთრებული ყურადღება, რათა თავიდან იქნას აცილებული პირთა უფლებების დარღვევის საფრთხე“⁹³. მართალია, მოცემულ საქმეზე დიფერენციაციის ინტენსივობაც მაღალი იყო, თუმცა ნიშნის ბუნებას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა მკაცრი ტესტის გამოყენებისთვის.

მაშასადამე, როდესაც საქმე ეხება კონსტიტუციის ტექსტში არდასახელებულ ნიშანს, სასამართლო მას ავტომატურად ვერც გამოორიცხავს „კლასიკური ნიშნებიდან“ და ვერც მიიჩნევს ასეთად. მან, პირველ რიგში, უნდა გამოიკვლიოს თავად ნიშნის ბუნება. თუ ის თავისი არსით უკავშირდება ადამიანის იდენტობას, ღირსებას, მის პირად, იმანენტურ მახასიათებლებს და სწორედ ასეთი საფუძვლით პირების მოწყვლადობას, სასამართლო მას განიხილავს „კლასიკურ ნიშნად“. შედეგად, ამ კონტექსტში კონსტიტუციური ცვლილებებიც აბსოლუტურად არაფერს არ ცვლის და ნიშნების ღია ჩამონათვალი კითხვის ქვეშ არ აყენებს „კლასიკური ნიშნის“ ლოგიკას თუ მისი გამოყენების რაციონალურობას.

93 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბურაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II. 29.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. „კლასიკურ ნიშანზე“ დაყრდნობით კანონის დისკრიმინაციულობის შეფასების ტესტის შერჩევის პრაქტიკამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. სკეპტიკოსთა ერთ-ერთი არგუმენტის თანახმად, სასამართლომ მოახდინა ნიშნების ერთგვარი დიფერენცირება და „არაკლასიკური“ ნიშნები „მეორეხარისხოვანად“ მიიჩნია. მათი აზრით, „საკონსტიტუციო სასამართლოს ეს მიდგომა არ არის შესაბამისობაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან, ვინაიდან სტრასბურგის სასამართლო არ აღიარებს დისკრიმინაციის საფუძვლების იერარქიას per se“⁹⁴.

ბუნებრივია, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება, მით უფრო, სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების ანალიზი და სავარაუდო ნაკლოვანებებზე ყურადღების გამახვილება, ყოველთვის მნიშვნელოვანია, რადგან რეალურად შეიძლება გააჩინოს მეტი შესაძლებლობა პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ადამიანის უფლებების უკეთესი პერსპექტივით დაცვისთვის. თუმცა ზემოაღნიშნული მსჯელობა, ჩემი აზრით, ეფუძნება, ერთი მხრივ, სასამართლოს გადაწყვეტილებების, ფაქტობრივად, არასწორ ინტერპრეტაციას, იმის მტკიცებას და კრიტიკას, რაც გადაწყვეტილებებში არ წერია, ხოლო, მეორე მხრივ, ლოგიკას, რომ ნებისმიერი სტანდარტი, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტის იდენტური არ არის, თავისთავად უფლების დამრღვევია.

ძალიან მოკლედ ზემოაღნიშნული მოსაზრების მცდარობის თაობაზე:

საკონსტიტუციო სასამართლოს არც ერთი გადაწყვეტილება არ იძლევა საფუძველს დასკვნისთვის, რომ ის ახდენს ნიშნების დიფერენცირებას „კლასიკურ“ და „მეორეხარისხოვან“ ნიშნებად. სასამართლომ ახსნა განსხვავებული ტესტების გამოყენების საჭიროება საკითხის ყოველ ჯერზე სწორად გადასაწყვეტად და მათი გამოყენება დაუკავშირა შესაბამის საფუძვლებს, რომელთა შორის კონსტიტუციაში დასახელებული ნიშნები (მათი კონსტიტუციაში დასახელების მიზეზის და არა თავისთავად დასახელების ფაქტის გამო) მიიჩნია მათზე დაყრდნობით დიფერენციაციის დისკრიმინაციულობის უფრო მკაცრად შეფასების საფუძვლად მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ნიშნები ადამიანის იმანენტური, ბუნებრივი მახასიათებლებია, განაპირობებს მათ პიროვნებას და მჭიდროდ უკავშირდება ღირსებას, რის გამოც ამ საფუძვლებით ადამიანებისადმი განსხვავებული

94 ნ. მჭედლიძე, „დისკრიმინაციის აკრძალვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში და მისი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან“, გვ.159.

მოპყრობის გამართლება ობიექტურად ძალიან რთული ან, ცალკეულ შემთხვევებში, თითქმის შეუძლებელია.

კონსტიტუციაში არდასახელებული ნიშნების „მეორეხარისხოვან ნიშნებად“ მიჩნევის სასამართლოსთვის დაბრალება, სულ მცირე, არასამართლიანია იმ ფონზე, რომ ნიშნების ამომწურავი ჩამონათვალის პირობებში, ნებისმიერ სხვა ნიშანზე დაყრდნობით განსხვავებული მოპყრობის დისკრიმინაციულობის შეფასების და, შესაბამისად, დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულება სწორედ საკონსტიტუციო სასამართლომ დაამკვიდრა. მეტიც, თანასწორობის უფლებასთან დაკავშირებით მისი გადაწყვეტილებების აბსოლუტური უმეტესობა კონსტიტუციის ტექსტში არდასახელებული ნიშნით დიფერენციაციის შეფასებას ეთმობა, როდესაც სასამართლომ გამოიყენა „მკაცრი ტესტი“ და დაადგინა დისკრიმინაცია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ნამდვილად არ იცნობს ე.წ. „კლასიკური ნიშნის“ ცნებას, თუმცა სწორედ ზოგიერთ ნიშანზე დაყრდნობით განსხვავებული მოპყრობისას, მისი აზრით, სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები ძალიან ვიწროა. შესაბამისად, ასეთი მოპყრობის გამართლება მოითხოვს განსაკუთრებული მიზეზების არსებობას, ზოგჯერ კი სასამართლოს ასეთი მოპყრობის გამართლება შეუძლებლადაც მიიჩნია. საქმეზე *Kiyutin v. Russia* სასამართლომ განაცხადა, რომ თუ ძირითადი უფლებების შეზღუდვა გავრცელდებოდა საზოგადოების განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფზე, რომელიც წარსულში დისკრიმინაციას ექვემდებარებოდა, სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლები ვიწრო იქნებოდა და მნიშვნელოვანი არგუმენტების მოყვანა დასჭირდებოდა ამგვარი შეზღუდვების დასაწესებლად⁹⁵. მაგალითად, სექსუალური ორიენტაციის, ისევე როგორც სქესის ნიშნით განსხვავებული მოპყრობა საჭიროებს განსაკუთრებით დამაჯერებელ და წონიან მიზეზებს ასეთი მოპყრობის გასამართლებლად⁹⁶. როდესაც განსხვავებული მოპყრობის საფუძველია სექსუალური ორიენტაცია ან სქესი სახელმწიფოს შეფასების ზღვარი ვიწროა⁹⁷. განსხვავებული მოპყ-

95 *Kiyutin v. Russia*, app. №2700/10, (ECTHR, 10.03.2011), §63; *I.B. v. Greece*, app. №552/10, (ECTHR, 03.10.2013), §78-79.

96 *Smith and Grady v. the United Kingdom*, app. №33985/96; 33986/96, (ECTHR, 27.09.1999), §90; *Karner v. Austria*, app. №40016/98, (ECTHR, 24.07.2003), §37; *Vallianatos and Others v. Greece*, app. №29381/09; №32684/09, (ECTHR, 07.11.2013).

97 *Timishev v. Russia*, app. №55762/00; 55974/00, (ECTHR, 13.12.2005), §56; *Nachova and Others v. Bulgaria*, app. №43577/98, №43579.98, (ECTHR, 06.07.2005), §145; *Biao v. Denmark*, app. №38590/10, (ECTHR, 25.03.2014), §94.

რობა მხოლოდ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით კონვენციის თანახმად მიუღებელია⁹⁸.

სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ცალკეულ ნიშნებზე, რომლებზე დაყრდნობით განსხვავებული მოპყრობის გამართლება შეუძლებელია. „თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში დაუშვებელია პირის მიმართ ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით განსხვავებული მოპყრობის გამართლება. ... პირის ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით დისკრიმინაცია წარმოადგენს რასობრივი დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას“⁹⁹.

მაშასადამე, მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ იცნობს ტერმინს „კლასიკური ნიშანი“ და არც უფლებაში ჩარევის გამართლების ინსტრუმენტები არ არის საკონსტიტუციო სასამართლოს ტესტების იდენტური, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსად, უფრო მკაცრად აფასებს და „განსაკუთრებული მიზეზებით“ დამაჯერებელ დასაბუთებას მოითხოვს, როდესაც განსხვავებული მოპყრობა ეფუძნება ნიშანს, რომელიც ადამიანის იმანენტური, პირადი, ბუნებრივი მახასიათებელია და უკავშირდება მის იდენტობას, ღირსებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საფუძველშივე მცდარია მიდგომა/დასკვნა, რომ კონკრეტული ნიშნების მიხედვით დიფერენცირების უფრო მკაცრად შეფასება, ნიშნების დისკრიმინაციულად შერჩევის საფუძველზე ტესტების თვითნებურად გამოყენებას გულისხმობს.

ბ) „მკაცრი შეფასების ტესტის“ გამოყენება უფლებაში ჩარევის მაღალი ინტენსივობის გამო

„მკაცრი შეფასების ტესტის“ გამოყენების საჭიროებას საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს ასევე დიფერენციაციის ინტენსივობის ხარისხის მიხედვით.

დიფერენციაციის ინტენსივობის შემოწმება:

სასამართლოს პრაქტიკის თანახმად: „დიფერენციაციის ინტენსივობის შეფასების კრიტერიუმები განსხვავებული იქნება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დიფერენციაციის ბუნებიდან, რეგულირების სფეროდან გამომდინარე. თუმცა ... გადაამწყვეტი იქნება, არსებითად თანასწორი პირები რამდენად მნიშვნელოვნად განსხვავებულ პირობებში მოექცევიან, ანუ დიფერენციაცია რამდენად მკვეთრად დააცილებს თანასწორ პირებს

98 *Salgueiro da Silva Mouta v. Portugal*, app. №33290/96, (ECtHR, 21.12.1999), §36; *Vallianatos and Others v. Greece*, app. №29381/09; №32684/09, (ECtHR, 07.11.2013), §77.

99 *D.H. and Others v. the Czech Republic*, app. №57325/00, (ECtHR (GC), 13.11.2007), §176.

კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობებისაგან¹⁰⁰.

შეფასებას საკითხზე – რამდენად მკვეთრად ხდება არსებითად თანასწორი პირების დაცილება თანაბარი შესაძლებლობებისგან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აკეთებს საკონსტიტუციო სასამართლო. ამიტომ მნიშვნელოვანია იმის დადგენა, რას ეფუძნება ის ამ საკითხის გადაწყვეტისას.

დიფერენციაცია ინტენსიურია, როდესაც:

ა) სადავო ნორმით „დიფერენცირებული“ ჯგუფი, არსებითად თანასწორი პირებისგან განსხვავებით, სრულად მოკლებულია კონკრეტულ სიკეთეზე ხელმისაწვდომობის ან ამა თუ იმ ურთიერთობებში შესვლის შესაძლებლობას¹⁰¹;

ბ) დიფერენცირება დროში შეუზღუდავია¹⁰²;

გ) ასევე შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა, დიფერენცირებულ პირებს რამდენად შეუძლიათ, საკუთარი ძალისხმევით შეამცირონ დიფერენციაციის ხარისხი ან აღმოფხვრან ის. მაშასადამე, დიფერენციაციის ნეგატიური შედეგების საკუთარი ძალისხმევით აღმოფხვრის/შემცირების შესაძლებლობა გავლენას ახდენს ჩარევის ინტენსივობის ხარისხზე;

დ) სასამართლომ დიფერენცირების ინტენსივობაზე პოტენციურად გავლენაუნარიანად მიიჩნია თავად ის სიკეთე (მისი მნიშვნელობა, გავლენის ხარისხი კონკრეტულ ურთიერთობებში), რომელზე განსხვავებულ ხელმისაწვდომობასაც ადგენს სადავო ნორმა¹⁰³. მაგალითად, ასეთად მიიჩნია, საარჩევო უფლებით სარგებლობისას უფასო საეთერო დრო:

100 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები*: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.

101 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/539 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*; 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/5/556 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ია უჯმაჯურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*; 2018 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება №2/3/663 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.

102 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/11/629,652 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – როინ გავაშელიშვილი და ვალერიან მიგინიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ*.

103 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №2/3/591 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „თავისუფალი საქართველო“ და „ახალი მემარჯვენეები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.

„ერთი მხრივ, მასმედიით სარგებლობის შესაძლებლობა, პირდაპირპროპორციულად, გავლენას ახდენს საარჩევნო უფლების ეფექტურ რეალიზაციაზე, რადგან ის არის ყველაზე უშუალო და მარტივი გზა ამომრჩევლებთან კომუნიკაციისა, მათი ინფორმირებულობისა, ზუსტად ის არის უშუალო წყარო (სხვა წყაროებთან ერთად), საიდანაც ამომრჩეველს შეიძლება შეექმნას წარმოდგენა ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ამ თვალსაზრისით, საარჩევნო სუბიექტების თანაბარი შანსები ამომრჩეველს აძლევს შესაძლებლობას, თანაბრად გაეცნოს თითოეული მათგანის წინასაარჩევნო პროგრამას, დაპირებებს, შესაძლებლობებს, შეაფასოს ისინი, შეადაროს ერთმანეთს და გააკეთოს მისთვის საუკეთესო არჩევანი“¹⁰⁴. სასამართლომ ასეთ ფაქტორად მიიჩნია ასევე უფასო დაწყებით განათლებაზე ხელმისაწვდომობა¹⁰⁵.

ერთი მხრივ, დიფერენციაციის ინტენსივობის შესამოწმებლად მეტი განჭვრეტადობა და კონკრეტულ თითქოს სასურველია, თუმცა, მეორე მხრივ, ისიც ცხადია, რომ ყველა საჭირო კრიტერიუმის მკაფიო, ამომწურავი იდენტიფიცირება ობიექტურად შეუძლებელია, შესაბამისად, საბოლოოდ, ინტენსივობის ხარისხის შემფასებელი ყოველთვის იქნება სასამართლო.

1.3.1.2. „რაციონალური დიფერენციაციის ტესტი“

„რაციონალური დიფერენციაციის ტესტის“ მიხედვით ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას:

ა) საკმარისია დიფერენცირებული მოპყრობის რაციონალურობის დასაბუთებულობა, მათ შორის, როდესაც აშკარაა დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა, გარდაუვალობა ან საჭიროება; ბ) რეალური და რაციონალური კავშირის არსებობა დიფერენციაციის ობიექტურ მიზეზსა და მისი მოქმედების შედეგს შორის¹⁰⁶.

104 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 23.

105 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №2/3/540.

106 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.

რაციონალური დიფერენციაციის ტესტს სასამართლო იყენებს: 1) თუ დიფერენციაცია არ ხდება ე.წ. „კლასიკური ნიშნით“; 2) თუ ჩარევის ინტენსივობა არ არის მაღალი.

მაშასადამე, სხვაობა „მკაცრი შეფასების“ და „რაციონალური დიფერენციაციის“ ტესტებს შორის მდგომარეობს შემდეგში:

ა) „მკაცრი შეფასების ტესტის“ გამოყენებისას, სახელმწიფომ უნდა ამტკიცოს, რომ განსხვავებული მოპყრობის საჭიროებისთვის არსებობს „დაუძლეველი ინტერესი“. „რაციონალური დიფერენციაციის ტესტით“ შემოწმებისას კი სახელმწიფოს ევალება დიფერენციაციის რაციონალურობის, გარდაუვალობის მტკიცება. ანუ საკმარისია მისი ობიექტური მიზეზის არსებობის, გასაგებობის, რეალისტურობის ახსნა;

ბ) „მკაცრი შეფასების ტესტის“ ფარგლებში შემოწმების შემდგომი საფეხურია დასახელებული დაუძლეველი ინტერესის დაცვა დასაშვები, აუცილებელი და პროპორციული, ანუ თანაზომიერი, გზით. „რაციონალური დიფერენციაციის ტესტის“ შემდგომი ეტაპი კი გულისხმობს მხოლოდ ჩარევის ობიექტურ მიზეზსა და შედეგს შორის რაციონალური კავშირის არსებობის დადგენას.

გ) შედეგად, „მკაცრი შეფასების ტესტით“ დიფერენციაციის შემოწმებისას იგულისხმება, რომ სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები ვიწროა. მან, ერთი მხრივ, უნდა ამტკიცოს, რომ დიფერენციაცია ემსახურება დაუძლეველ, ღირებულ ინტერესს, ხოლო, მეორე მხრივ, რომ ამ ინტერესის დასაცავად განსხვავებული მოპყრობა აბსოლუტურად აუცილებელია. ხოლო „რაციონალური დიფერენციაციის ტესტის“ ფარგლებში სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები უფრო ფართოა.

1.3.2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა თანასწორობის უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის „მკაცრი შეფასების ტესტით“ და „რაციონალური დიფერენციაციის ტესტით“ შემოწმების თაობაზე

1.3.2.1. „მკაცრი შეფასების ტესტის“ გამოყენება ე.წ. „კლასიკური ნიშნით“ დიფერენციაციის კონსტიტუციურობის შესამოწმებლად

საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გასაჩივრებული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის რიგი ნორმები, რომლებიც არეგულირებდნენ სასამარ-

თლოს მიერ პირის ქმედუხუნაროდ¹⁰⁷ აღიარებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, მეურვის და მზრუნველის უფლება-მოვალეობებს. კერძოდ, სადავო ნორმების თანახმად, მეურვე სამეურვეო პირს განსაკუთრებული წარმომადგენლობის გარეშე წარმოადგენდა მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში. ამასთან, ამ პირის სახელითა და მისი ინტერესებიდან გამომდინარე, დებდა ყველა აუცილებელ გარიგებას.

მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმების საფუძველზე, გონებრივი ჩამორჩენილობისა და სულიერი აშლილობის მქონე პირებს სამოქალაქო უფლებებით სარგებლობა სრულად ეკრძალებოდათ.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ქმედუხუნაროდ აღიარებულ პირებს და სხვა სრულწლოვან პირებს, რომელთაც არ ჰქონდათ შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობები, თანაბრად ჰქონდათ ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოფითი, წვრილმანი სამოქალაქოსამართლებრივი გარიგებების დადების მოთხოვნილება. შესაბამისად, იმ გარიგებების დადების ნაწილში, რომელთა შინაარსის აღქმა, გაცნობიერება ქმედუხუნარო პირებს შეეძლოთ, ისინი სხვა სრულწლოვან, ქმედუხუნარიან პირებთან მძიმარტებით არსებითად თანასწორი სუბიექტები იყვნენ. სადავო ნორმები ითვალისწინებდა დიფერენცირებულ მოპყრობას, რადგან ქმედუხუნარო პირებს, ქმედუხუნარიანებისგან განსხვავებით, არ ჰქონდათ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად შეეძინათ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, ჩართულიყვნენ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში, მიეღოთ გადაწყვეტილება საკუთარი მკურნალობის შესახებ და ა.შ.

სასამართლომ სადავო ნორმების დისკრიმინაციულობა შეაფასა „მკაცრი ტესტის“ გამოყენებით, რადგან ადგილი ჰქონდა დიფერენცირებას ე.წ. „კლასიკური ნიშნით“ – პირების სოციალური კუთვნილების გამო, ამასთან, ჩარევის ინტენსივობა იყო ძალიან მაღალი. კერძოდ, თითოეული სადავო ნორმა არსებითად ცვლიდა პირის სამართლებრივ სტატუსს და იწვევდა მძიმე სამართლებრივ და პრაქტიკულ შედეგებს. პირი ფორმალურად განუსაზღვრელი ვადით ითვლებოდა სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების დადების უნარის არმქონედ, სრულად ხდებოდა დამოკიდებული თავის მეურვეზე და ერთმეოდა უფლება, დამოუკიდებლად მიეღო მონაწილეობა სამოქალაქო ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, ისეთ სფეროებში, რომლებიც უშუალოდ იყო დაკავშირებული მის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან, არსებობასა და განვითარებასთან. იგი ვერ დებდა ისეთ წვრილმან გარიგებებსაც კი, როგორებიც არის საკვების,

107 საქმის განხილვის დროისთვის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ტერმინი.

საყოფაცხოვრებო ნივთებისა თუ სამგზავრო ბილეთის შექმნა და სხვა. სადავო ნორმები მოსარჩელის მსგავს სამართლებრივ მდგომარეობაში მყოფ პირებს სამოქალაქო ნების არმქონედ აცხადებდა ნებისმიერ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით, მისი შინაარსის შეცნობის სირთულისა და არსებული რისკების მიუხედავად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ „კოგნიტური უნარების შეზღუდვა ... არ შეიძლება წარმოადგენდეს პირის ქმედუნარიანობის სრულად შეზღუდვის თვითკმარ მიზეზს. ქმედუნარიანობის აბსოლუტური და ბლანკეტური ჩამორთმევა უფლებაში მაღალი ინტენსივობით ჩარევას წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს პირის ავტონომიურობის დაკარგვას ცხოვრების, პრაქტიკულად, ყველა სფეროში. პირი სრულად კარგავს დამოუკიდებელი და თავისუფალი მოქმედების უფლებას. მეტიც, ქმედუნარიანობის ჩამორთმევა ხდება განუსაზღვრელი ვადით. შესაბამისად, პირის უფლებაში ასეთი ინტენსივობის ჩარევა განპირობებული უნდა იყოს უალრესად მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნის არსებობით და უნდა წარმოადგენდეს ამ მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებად მზლუდველ საშუალებას“¹⁰⁸.

მაშასადამე, სასამართლომ ჩარევის გამართლების შემოწმებისას, პირველ რიგში, მოითხოვა „დაუძლეველი ინტერესის“ არსებობა. ამ ტერმინის სინონიმად გამოიყენა – „უალრესად მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზანი“ და ასეთად მიიჩნია თავად ამ პირებზე ზრუნვა, მათი ინტერესების დაცვა. სამოქალაქოსამართლებრივი გარიგებები, რომელთა დადების უფლებაც ერთმეოდათ ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებს, უფლებებთან ერთად წარმოშობდა ვალდებულებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობდა რისკი, რომ შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირები დამოუკიდებელი მოქმედების პირობებში, შეზღუდული გონებრივი უნარების გამო, საკუთარ ინტერესებთან შეუსაბამო გარიგებას დადებდნენ. რიგ შემთხვევებში მათ ასეთ გაუცნობიერებელ ქმედებებს, შეიძლებოდა მათთვის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიეყენებინა.

მიუხედავად მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნების არსებობისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ მათ მისალწევად ბლანკეტური შეზღუდვის დაწესება იწვევდა ქმედუუნარო პირების რიგ უფლებებში იმაზე უფრო ინტენსიურ ჩარევას, ვიდრე ეს ობიექტურად იყო აუცილებელი. სასამართლოს განმარტებით, ამგვარი დიფერენციაციის გამართლება, შეფასების მკაცრი ტესტიდან გამომდინარე, დაშვებული იქნებოდა მხოლოდ იმ

108 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 13.

შემთხვევაში, თუ „ჭკუასუსტობისა“ და „სულით ავადმყოფობის“¹⁰⁹ პათოლოგიების მქონე პირის შეუზღუდავი უნარების იდენტიფიკაცია და შეზღუდვის მათზე მორგება სახელმწიფოსთვის შეუსრულებელი ამოცანა იქნებოდა.

სასამართლოს განმარტებით, შეუზღუდავი და შეზღუდული უნარების გამიჯვნა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, თუმცა ეს არ არის შეუძლებელი. გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „მოქმედი კანონმდებლობა, ქმედუნარიანობის საკითხის გადაწყვეტისას არ ითვალისწინებს დაავადების ხარისხიდან გამომდინარე სამოქალაქოსამართლებრივი შედეგების დიფერენცირების შესაძლებლობას (გარდა ალკოჰოლური და ნარკოდამოკიდებული პირების შემთხვევისა). კანონმდებლობა განასხვავებს მხოლოდ სრულ ქმედუნარიანობას და სრულ ქმედუნარობას. „ჭკუასუსტობის“ და „სულით ავადმყოფობის“ გამო ქმედუნაროდ აღიარებულ პირებთან მიმართებით იგი არ ითვალისწინებს მომიჯნავე ვითარებას. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პირს ფსიქიკური დაავადების მიუხედავად, შენარჩუნებული აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი სოციალური ცხოვრების ცალკეულ სფეროებში, რომელიც მიმართულია საკუთარი პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ, შეესაბამება მის ინტერესებს და არ ხელყოფს ვინმეს უფლება-ინტერესებს, კანონმდებლობა არ იძლევა პირის ნების გამოვლენასთან დაკავშირებით დიფერენცირებული მიდგომის შესაძლებლობას, რომელიც იქნებოდა სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ინტელექტუალური და ნებელობითი უნარების ფაქტობრივი დაქვეითების ხარისხის თანაზომიერი. ... პირის უფლება-თავისუფლებაში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ იმ მინიმალური მოცულობით, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად. დაცვითი ღონისძიებები ავტომატურად არ უნდა გულისხმობდეს პირისათვის ქმედუნარიანობის სრული მოცულობით დაკარგვას, ხოლო იქ, სადაც ეს შესაძლებელია, სრულწლოვან პირს უნდა ჰქონდეს უფლება, დადოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ყოველდღიური ყოფითი გარიგებები. ... ქმედუნარიანობის სრული შეზღუდვა შესაძლებელია გამართლებული იყოს ფსიქიკური ჯანმრთელობის უკიდურესად მძიმე და გამოუსწორებელი პრობლემებით, მაგრამ პირისათვის ერთი შეზღუდული უნარის შესაძლო უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის მიზნით სხვა შეუზღუდავი უნარების რეალიზაციაში ხელშეშლა გაუმართლებელია. ... რეგულაცია, რომელიც უპირობოდ ყველა ტიპის, მათ შორის, მცირე მნიშვნელობის ყოფით სა-

109 საქმის განხილვის დროისთვის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ტერმინები.

მოქალაქე გარიგებებზეც ვრცელდება, უფლებაში ჩარევის არაპროპორციულ საშუალებას წარმოადგენს¹¹⁰.

სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ აღნიშნული კატეგორიის პირები უნდა განიხილებოდნენ როგორც უფლებათა სუბიექტები და არა როგორც მხოლოდ პაციენტები. ამიტომ შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონკრეტული ხერხების განსაზღვრის პროცესში კანონმდებელმა უნდა შეიმუშავოს ის ოპტიმალური მექანიზმი, რომელიც სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას, პირის ქმედუნაროდ აღიარების პროცესში გაითვალისწინოს მისი ნებელობითი და ინტელექტუალური უნარის მოშლის/დაზიანების ხარისხი სოციალური ცხოვრების კონკრეტულ სფეროებში და, ამგვარად, მაქსიმალურად უზრუნველყოს ამ პირის უფლებების და თავისუფლებების დაცვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა თანასწორობის უფლების დარღვევა.

საქმეზე სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გასაჩივრებული იყო საქართველოს საგადასახადო კოდექსის ნორმა (168-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის სიტყვების „საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით“), რომლის თანახმად, საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა ჩათვლის უფლების გარეშე თავისუფლდებოდა დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადახდისგან.

სადავო ნორმა იწვევდა დიფერენციაციას რელიგიის – ე.წ. „კლასიკური“ ნიშნით.¹¹¹ შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიყენა „მკაც-

110 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 26-30.

111 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება №1/2/671 საქმეზე სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „წმინდა

რი შეფასების ტესტი“, რომლის თანახმად, სასამართლოს განმარტებით: „დიფერენცირების მართლზომიერებისთვის უნდა დადგინდეს, რომ იგი ემსახურება ღირებულ ლეგიტიმურ მიზნებს და წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ვარგის (გამოსაძევ), აუცილებელ და პროპორციულ საშუალებას“¹¹².

ამ შემთხვევაშიც ტერმინის – „დაუძლეველი ინტერესის“ – სინონიმად სასამართლო იყენებს ტერმინს – „ღირებულ ლეგიტიმური მიზანი“. ასეთად, საქართველოს პარლამენტმა დაასახელა ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობის მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის სათანადო დაცვა, მოვლა-პატრონობა, კულტურულ-ისტორიული ღირებულების მქონე ტაძრების აღდგენა და რესტავრაცია-კონსერვაცია; აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლითა და ამავე მუხლის საფუძველზე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან დადებული კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული ნორმატიული ჩარჩოს რეალიზაცია. სასამართლომ მიიჩნია, რომ დასახელებული ინტერესები „ღირებულ სამართლებრივი სიკეთეა“¹¹³ და თითოეულ მათგანთან მიმართებით ცალ-ცალკე შეაფასა უფლებაში ჩარევის თანაზომიერება.

სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებულ დიფერენციაციას არ გააჩნდა ლოგიკური კავშირი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესთან. კერძოდ, სადავო რეგულირება მიმართული იყო არა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული მომ-

სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 20.

112 იქვე, 22.

113 გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: „საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით“. აღნიშნული ნორმა მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუცია ადგენს კულტურულ მემკვიდრეობას მიკუთვნებული ნაგებობების დაცვის გარანტიებს. იმავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციას გააჩნია პირდაპირი მოქმედების ეფექტი და მისი ნორმატიული ძალა არ არის დამოკიდებული ქვემოთ მითითებულ აქტებში შესაბამისი კონსტიტუციური დებულებების ასახვაზე. ამის მიუხედავად, კონსტიტუციით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულფასოვანი აღსრულებისთვის ხშირად საჭიროა საკანონმდებლო მოწესრიგება. აქედან გამომდინარე, სადავო ნორმის მიზანი, აღასრულოს კონსტიტუციური მოთხოვნა, უდავოდ ღირებულ სამართლებრივი სიკეთეა“ (II-24).

სახურების, არამედ იმ მომსახურების დღგ-ისგან გათავისუფლებისაკენ, რომელიც უშუალოდ საპატრიარქოს დაკვეთით ხორციელდებოდა. ამდენად, სადავო ნორმის რეგულირების ქვეშ ექცეოდა როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან, ასევე ამგვარი სტატუსის არმქონე სხვა ტაძრებთან და ეკლესიებთან დაკავშირებული მომსახურება. ამავე დროს, სადავო ნორმის საფუძველზე დღგ-ისგან არ თავისუფლდებოდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მიმართებით სხვა პირის (საპატრიარქოს გარდა) დაკვეთით განხორციელებული მომსახურებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმით დადგენილ დიფერენციაციას არ გააჩნდა ლოგიკური კავშირი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესთან. ამ ლეგიტიმური მიზნის მიღწევა სრულად იყო შესაძლებელი არსებითად თანასწორ პირებს შორის დიფერენცირების გარეშე¹¹⁴.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მოთხოვნის აღსრულების ინტერესთან მიმართებით სადავო რეგულაციის თანაზომიერების საკითხის შეფასებისას, სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფოს ისტორიაში ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარებაში ნებისმიერი პრივილეგიის მინიჭების დასაშვებობის თავისთავად მოაზრება აზრს დაუკარგავდა თანასწორობის უფლებას და შეუთავსებელი იქნებოდა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებთან¹¹⁵. სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ისტორიაში ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარების მიზანს არ წარმოადგენს მართლმადიდებლობის, როგორც რელიგიური რწმენის უპირატესობის წარმოჩენა სხვა რელიგიებთან შედარებით. ეკლესიისთვის გარკვეული უფლების მინიჭება არ გულისხმობს იმავე უფლებით სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიერ სარგებლობის ხელშეშლას. „ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარება დაკავშირებულია მის ისტორიულ ღვაწლთან და არ ემსახურება მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგიისთვის პრივილეგირებული სამართლებრივი მდგომარეობის შექმნას აწმყოში. გაწეული ისტორიული ღვაწლი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც პრივილეგიის ლეგიტიმურობის წყარო. დიფერენცი-

114 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება №1/2/671 საქმეზე სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 27.

115 იქვე, 33.

რება და ეკლესიისთვის სამართლებრივად უპირატესი მდგომარეობის შექმნა არ არის და არ შეიძლება იყოს კონსტიტუციის მიზანი. ამასთან, სასამართლო არ გამორიცხავს დიფერენცირების მართლზომიერებას ზოგიერთ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხელშეწყობის ესა თუ ის ღონისძიება ობიექტურად და რაციონალურად იქნება დაკავშირებული ეკლესიის ღვაწლთან და კონკრეტულ ისტორიულ გარემოებებთან¹¹⁶.

სასამართლომ დაადგინა, რომ განსახილველ სამართლებრივ ურთიერთობაში საქართველოს საპატრიარქოს პრივილეგიებულ მდგომარეობაში ჩაყენებას არ გააჩნდა მყარი, გარდაუვალი კავშირი ეკლესიის ისტორიულ ღვაწლთან და მხოლოდ სახელმწიფოს კეთილი ნების გამოვლინებას წარმოადგენდა. შესაბამისად, სახელმწიფო კეთილმოსურნედ მოეპყრო მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას და ვერ უზრუნველყო ნეიტრალურობა სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიმართ.

ვინაიდან სადავო ნორმით გათვალისწინებულ დიფერენცირებას არ გააჩნდა რაციონალური კავშირი დასახელებულ ლეგიტიმურ მიზნებთან, ის ვერ პასუხობდა საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს და ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად.

1.3.2.2. „მკაცრი შეფასების ტესტის“ გამოყენება დიფერენციაციის ინტენსივობის მაღალი ხარისხის გამო

საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ¹¹⁷ მიუხედავად იმისა, რომ არსებითად თანასწორი პირების მიმართ არათანაბარი მოპყრობა არ ეფუძნებოდა „კლასიკურ ნიშანს“, სასამართლომ ნორმის კონსტიტუციურობა „მკაცრი ტესტის“ მიხედვით შეაფასა, ვინაიდან მიიჩნია, რომ სადავო რეგულაცია არსებითად თანასწორ პირებს საგრძნობლად, მნიშვნელოვნად აცილებდა კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში მონაწილეობის თანაბარი პირობებისგან, კერძოდ, ის, პრაქტიკულად, გამორიცხავდა დევნილე-

116 იქვე, 34-35.

117 გასაჩივრებული იყო „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა (პირველი მუხლის პირველი პუნქტის სიტყვების: „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან“), რომელიც დევნილის სტატუსს ანიჭებდა მხოლოდ იმ პირთა ჯგუფს, რომლებიც იძულებით გადაადგილდნენ კანონით განსაზღვრული ოკუპირებული ტერიტორიებიდან. ხოლო პირები, რომლებმაც იძულებით დატოვეს თავისი საცხოვრებელი ადგილი ტერიტორიებიდან, რომლებიც კანონით არ არის განსაზღვრული როგორც ოკუპირებული ტერიტორია, არ მოექცნენ კანონის რეგულირების სფეროში.

ბის იდენტურ მდგომარეობაში მყოფ პირთა შესაძლებლობას, ესარგებლათ დევნილის სტატუსით გათვალისწინებული გარანტიებით.

„მკაცრი ტესტის“ მიხედვით ნორმის კონსტიტუციურობის შემოწმებისთვის სასამართლომ გაარკვია, რა იყო სადავო ნორმის შემოღებისთვის სახელმწიფოს „დაუძლეველი ინტერესი“. საქართველოს პარლამენტმა ასეთად დაასახელა ტერიტორიის ოკუპაციის ფაქტით გამოწვეული შედეგების, მათ შორის, პირთა იძულებით გადაადგილების სამართლებრივი რეგლამენტაცია, მათთვის დევნილის სტატუსის მინიჭება და მათ მიმართ სახელმწიფოს შესაბამისი ვალდებულებების აღიარება (ადეკვატური სოციალური გარანტიების გავრცელების გზით). საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა საქართველოს პარლამენტის ეს მოსაზრება. გადაწყვეტილების თანახმად: „ომისა და აგრესიის, ქვეყნის ოკუპაციის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირებისთვის მათი უფლებების უმრავლესობით სარგებლობის საკითხი თავისთავად დგება კითხვის ნიშნის ქვეშ, ისევე, როგორც არაერთი ფუნდამენტური უფლების დარღვევა მათი მდგომარეობის გარდაუვალი შედეგია. ამიტომ ეს პირები განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს განეკუთვნებიან და სახელმწიფოს მხრიდან სპეციალურ დაცვას საჭიროებენ. ამასთან, ამ პროცესში გამომწვევითა თითოეული მათგანისადმი თანაბარი მოპყრობა“¹¹⁸.

იმავედროულად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა ვერ ჩაითვლებოდა დასახელებული ინტერესის მიღწევის დასაშვებ, ვარგის საშუალებად, რადგან გამორიცხავდა მისი მიღწევის შესაძლებლობას, ტოვებდა რა ტერიტორიის ოკუპაციის ფაქტის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების ნაწილს დევნილის სტატუსის მიღმა. სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნორმა დევნილის სტატუსს ანიჭებდა რა მხოლოდ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს, შესაბამისად, მხოლოდ მათზე ავრცელებდა სახელმწიფოს საგანგებო ზრუნვას, ძალისხმევას, ვალდებულებებს (გასაჩივრებული კანონი დევნილებისთვის ქმნიდა არაერთ მნიშვნელოვან გარანტიას, რომელიც უზრუნველყოფდა დევნილთა ადაპტაციას ახალ გარემოსთან და ხელს უწყობდა მათი თვითრეალიზების შესაძლებლობას). ხოლო ტერიტორიებიდან, რომლებიც „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით არ არის მიჩნეული, როგორც ოკუპირებული ტერიტორია, იმა-

118 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/534 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 7.

ვე საფუძვლითა და მიზეზებით იძულებით გადაადგილებულ პირებს პირისპირ ტოვებდა სასიცოცხლო პრობლემებთან. საკუთარ საცხოვრებელ სახლში მათი დაბრუნება უკავშირდებოდა სიცოცხლის, უსაფრთხოების, თავისუფლების, ჯანმრთელობის ხელყოფის რისკებს.

შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა იწვევდა არსებითად თანასწორი პირების გაუმართლებელ დიფერენციაციას.

საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ხვიჩა ყირმიზაშვილი, ვია ფაცურია და გვანცა გავნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ სადავო ნორმები (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-3 წინადადება და მე-6 ნაწილის მე-3 წინადადება) დაზარალებულის სტატუსის მინიჭების/გაუქმების შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლებას ანიჭებდა მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის შედეგად დაზარალებულ პირებს და გამორიცხავდა სხვა კატეგორიის დანაშაულით დაზარალებული პირების მიერ იმავე უფლებით სარგებლობას.

შესაძარებელი პირები იყვნენ, ერთი მხრივ, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის და, მეორე მხრივ, ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის შედეგად შესაძლო დაზარალებული პირები. მათი არსებითად თანასწორებად მიჩნევისათვის განმსაზღვრელი იყო არსებითად იდენტური სამართლებრივი მდგომარეობა. სასამართლოს განმარტებით, როგორც განსაკუთრებით მძიმე, ასევე მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულთა საქმეებზე დაზარალებულებს დანაშაულის შედეგად ადგებათ ზიანი. ამასთან, დანაშაულთა განსხვავებული კატეგორია, თავისთავად, არ ნიშნავს განსხვავებული ზიანის არსებობას. „შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებული იყოს დანაშაულიდან მომდინარე საზოგადოებრივი საშიშროება, დამნაშავის გასაკიცხაობის ხარისხი და არ განსხვავდებოდეს დაზარალებულისათვის დანაშაულით მიყენებული ფიზიკური, მორალური და ქონებრივი ზიანის მოცულობა. ამასთან, შესაძლოა, კანონმდებელმა სხვადასხვა დროს სხვადასხვა კატეგორიაში მოაქციოს ესა თუ ის დანაშაული და, შესაბამისად, გადაანაცვლოს დაზარალებულის სტატუსზე წვდომის შესაძლებლობები, თუმცა, ბუნებრივია, დანაშაულის კვალიფიკაციასთან ერთად, ვერ შეიცვლება პირის დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ხარისხი და დაზარალებულად ცნობის ინტერესი“¹¹⁹. „აღნიშნული

119 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/12/1229, 1242, 1247, 1299 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ხვიჩა

ინტერესი ორივე ჯგუფისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია და ემსახურება ეკვივალენტური სიკეთით სარგებლობას. დაზარალებულის ინტერესი, გააჩნდეს უფლების დაცვის ადეკვატური მექანიზმი, არსებითად არ იცვლება იმის მიხედვით, თუ რომელი კატეგორიის დანაშაული იქნა მის წინააღმდეგ ჩადენილი¹²⁰.

სასამართლომ დაადგინა, რომ დიფერენციაციის ნიშანი იყო „დანაშაულის კატეგორია“¹²¹, რომელიც არ წარმოადგენდა „კლასიკურ“ ნიშანს. თუმცა სასამართლომ მაინც გამოიყენა „მკაცრი შეფასების ტესტი“, რადგან ნორმა იწვევდა მაღალი ინტენსივობის დიფერენციაციას, კერძოდ, უთანასწორო მოპყრობის შედეგად, პირთა ერთი კატეგორია სრულად იყო მოკლებული პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას. „... მოსარჩელების მსგავს კატეგორიაში მყოფი პირებისათვის კანონით მინიჭებული უფლებების ეფექტური დაცვის სამართლებრივი საშუალებების ჩამორთმევა შესაძლოა, ფაქტობრივად, მათთვის უფლების მინიჭებაზე უარის თქმას გაუთანაბრდეს. ... შესაბამისად, ამგვარი დიფერენცირების კონსტიტუციურობა უნდა შემოწმდეს მკაცრი შეფასების ტესტის საფუძველზე“¹²².

სასამართლომ ამ შემთხვევაში მიუთითა „ლეგიტიმური მიზნის“ და არა „დაუძლეველი იტერესის“ არსებობის აუცილებლობაზე. ასეთ მიზნად მიჩნეულ იქნა სასამართლოს გადატვირთვისაგან დაცვა. დადგინდა, რომ სადავო ნორმა წარმოადგენდა ამ მიზნის მიღწევის ვარგის და ყველაზე ნაკლებად მზღლუდავ/აუცილებელ საშუალებას, თუმცა ვერ პასუხობდა პროპორციულობის მოთხოვნებს შემდეგ გარემოებათა გამო: „სადავო ნორმით განსაზღვრულ საქმეთა კატეგორიის სირთულისა და სიმრავლის გათვალისწინებით, არ ყოფილა წარმოდგენილი ხელშესახები დასაბუთება, რომ მოსარჩელეთა მსგავს კატეგორიაში მყოფი პირებისათვის პროკურორის დადგენილების გასაჩივრების შესაძლებლობის მინიჭება გამოიწვევდა სასამართლოს გადატვირთვას და შეაფერხებდა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს. ... ამასთან, სადავო ნორმებით გათვალისწინებული დიფერენცირება შეეხება ნებისმიერი მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულით დაზარალებული პირის უფლებებს და არ იღებს მხედველობაში დაზარალებულის მიმართ დამდგარი უფლებრივი

ყირმიზაშვილი, ვია ფაცურია და გვანცა გაგნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 42.

120 იქვე, II, 40.

121 იქვე, II, 48.

122 იქვე, II, 50-51.

ზიანის მოცულობას. შესაბამისად, ... სასამართლოს გადატვირთვისაგან დაცვის ინტერესი ვერც ამ შემთხვევაში გადაწონის შეზღუდულ ინტერესს და დადგენილი ბალანსი არ არის სამართლიანი¹²³.

1.3.2.3. კანონის დისკრიმინაციულობის შემოწმება „რაციონალური დიფერენციაციის ტესტის“ მიხედვით

საქმეზე საქართველოს მოქალაქე ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ¹²⁴ სასამართლომ გამოიყენა „რაციონალური დიფერენციაციის ტესტი“, ვინაიდან დიფერენციაცია არ ეფუძნებოდა ე.წ. „კლასიკურ ნიშანს“, ამასთან, დიფერენციაციის ინტენსივობა არ იყო მაღალი.

სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა დიფერენცირების მიზეზი, მისი რაციონალური ახსნა. მოპასუხემ არათანასწორი მოპყრობის გამართლებად დაასახელა უცხო ქვეყნის მიერ გაცემული მართვის მოწმობის დოკუმენტის ჩამორთმევის შეუძლებლობა საქართველოს სახელმწიფოს მიერ. ამის საპირისპიროდ სასამართლომ მიუთითა თავად სადავო მუხლის შენიშვნაზე, რომლის თანახმად, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი დადგენილ ვადაში ნებაყოფლობით არ გადაიხდიდა (არ აღასრულებდა) მასზე დაკისრებულ ჯარიმას, მას დაერიცხებოდა საურავი, ხოლო შემდგომ, ჯარიმის ან საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში, მას ჯარიმა შეეცვლებოდა ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევით. მაშასადამე, სადავო ნორმა თავად ითვალისწინებდა უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის მართვის უფლების ჩამორთმევის შესაძლებლობას. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ სამართლებრივ საფუძველს იყო მოკლებული მოპასუხის ის არგუმენტიც, რომ სახელმწიფოს არ ჰქონდა ფაქტობრივი შესაძლებლობა, ჩამოართვას უცხოელ მოქალაქეებს მართვის უფლება. ადმინისტრაციულ სამართალ-

123 იქვე, II, 58.

124 გასაჩივრებული იყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების მართვისას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისათვის თავის არიდება იწვევდა საქართველოს მოქალაქისთვის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევას 3 წლის ვადით, ხოლო საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელი მოქალაქისა და მოქალაქეობის არმქონე პირისთვის (გარდა იმ პირისა, რომელიც საქართველოს კანონების და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების თანახმად, სარგებლობდა იმუნიტეტით) დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

დარღვევათა კოდექსის რიგი მუხლები შესაბამისი რეგულაციების დარღვევისათვის ითვალისწინებს მართვის უფლების ჩამორთმევას და ამ ნორმის ადრესატების დიფერენცირება არ ხდება მოქალაქეობის ნიშნით.

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ თუ უცხოელებისთვის ჯარიმის დაკისრება მოპასუხეს საკმარისად მიაჩნდა მის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, გაუგებარი იყო, იმავე ზომების გატარება საქართველოს მოქალაქეების მიმართ რატომ ვერ იქნებოდა მიზნის მისაღწევად საკმარისი.¹²⁵

საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული დიფერენციაცია იყო გაუგებარი, აუხსნელი და ეწინააღმდეგებოდა თანასწორობის უფლების მოთხოვნებს.

საქმეზე შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ¹²⁶ მოსარჩელე მიუთითებდა, რომ თანასწორობის უფლება ირღვეოდა კერძო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსისადმი კუთვნილების ნიშნით. შესაბამისად, დიფერენცირების ნიშნის გამო, მკაცრი ტესტის გამოყენების საფუძველი არ არსებობდა. იმავდროულად, სასამართლომ დაადგინა, რომ დიფერენციაციის ინტენსივობა არ იყო მაღალი. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით: „სადავო ნორმები ადგენს ბარიერს სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებაზე. თუმცა, მათ კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის სრულად არ წაურთმევია უფლება, თავიანთ უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად სასამართლოსთვის მიემართათ. ... მართალია, აღნიშნული ნორმები კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვის ითვალისწინებენ უფრო მაღალ სახელმწიფო ბაჟს, მაგრამ სადავო ნორმებით დადგენილი არ არის განუზომლად დიდი ხარჯები და როგორც თავად მოსარჩელემ განმარტა, მისთვის პრობლემას წარმოადგენს დიფერენცირების ფაქტი და არა ბაჟის საფასურის ოდენობა თავისთავად. ამავე დროს, სადავო ნორმების საფუძველზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი (სხვაობა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის გადასახდელ ბაჟებს შორის) წარმოადგენს სასამართლოს ხარჯების და ზოგადად სამართლიანი სასამართლოს უფ-

125 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება №1/4/535 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 18,19.

126 გასაჩივრებული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმები, რომლებიც სასარჩელო მოთხოვნისა და ინსტანციების მიხედვით განსხვავებულად განსაზღვრავდა სახელმწიფო ბაჟის ოდენობას ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, კერძოდ, კანონმდებელი იურიდიული პირებისთვის აწესებდა უფრო მაღალ სახელმწიფო ბაჟს.

ლების რეალიზებისათვის საჭირო რესურსის მცირე კომპონენტს, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება მთლიან სასამართლო ხარჯებთან შედარებით უმნიშვნელოც კი იყოს. შესაბამისად, განსახილველი საქმის ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლო ასკვნის, რომ სადავო ნორმები არსებითად თანასწორ პირებს მნიშვნელოვნად არ აცილებს სამართლიანი სასამართლოს თანაბარი ხელმისაწვდომობისაგან, დიფერენცირების ინტენსივობა არ აღწევს იმ ხარისხს, რომ უთანასწორობა შეფასდეს „მკაცრი ტესტის“ გამოყენებით, შესაბამისად, სასამართლო დიფერენცირების კონსტიტუციურობას შეაფასებს „რაციონალური დიფერენცირების ტესტით“¹²⁷.

სასამართლომ დაადგინა, რომ დიფერენციაციას არ ჰქონდა რაციონალური ახსნა. გაუგებარი იყო, სადავო ნორმებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის ერთნაირი ბაჟის ოდენობის დაწესება რატომ იქნებოდა ნაკლებად ეფექტური იურიდიული პირების მიერ დაუსაბუთებელი სარჩელების წარდგენის პრევენციისთვის. „ზოგადად, გონივრულია არგუმენტი, რომლის თანახმადაც, რაც უფრო მეტი ფინანსური რესურსი აქვს ამა თუ იმ პირს, მის მიმართ სახელმწიფო ბაჟს შეიძლება ნაკლებად ჰქონდეს შემაკავებელი ეფექტი დაუსაბუთებელი სარჩელის წარდგენაზე. თუმცა აშკარაა, რომ პირის ფინანსური შესაძლებლობა არ არის დაკავშირებული მის სტატუსთან (ფიზიკურ ან იურიდიულ), ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფიზიკური პირი შეიძლება გაცილებით მეტ ფინანსურს რესურსს ფლობდეს იურიდიულ პირთან შედარებით ან/და პირიქით. ამავდროს, ფიზიკურმა პირმა იმავე წარმატებით შეიძლება წარადგინოს თვითმიზნური, დაუსაბუთებელი სარჩელები, როგორც იურიდიულმა პირმა, და არც ამ თვალსაზრისით არსებობს ამ ორი პირის დიფერენცირების ხელშესახები საფუძველი. ... იმისათვის, რომ სადავო ნორმამ რაციონალური დიფერენციაციის ტესტის მოთხოვნები დააკმაყოფილოს, აუცილებელია სადავო ნორმით დადგენილი დიფერენცირება მიზნის მიღწევის რაციონალურ საშუალებას წარმოადგენდეს. საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგადად, სადავო ნორმით გათვალისწინებულ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის დაწესება, ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, თუმცა მოპასუხემ ვერ დაასაბუთა სადავო ნორმებით დაწესებული დიფერენცირებული მიდგომის საჭიროება. არ არსებობს ლოგიკური, რაციონალური

127 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/6/623 საქმეზე შპს „სადაზღვევო კომპანია უნიონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 12.

ახსნა სადავო ნორმებით დადგენილ სახელმწიფო სერვისებზე ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის განსხვავებული სახელმწიფო ბაჟის დაწესების საჭიროებასთან დაკავშირებით¹²⁸.

საქმეზე საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ¹²⁹ სასამართლომ ასევე გამოიყენა „რაციონალური დიფერენციაციის“ ტესტი, რადგან მოცემულ შემთხვევაშიც დიფერენციაცია არ ხდებოდა ე.წ. „კლასიკური ნიშნით“, ამასთან, დიფერენციაციის ინტენსივობა არ იყო მაღალი. კერძოდ, სადავო ნორმა არსებითად არ აშორებდა მოსამართლეთა ერთ ჯგუფს (რომელსაც ჰქონდა სამოსამართლო გამოცდილება) მეორე ჯგუფისგან (ვისაც სამოსამართლო გამოცდილება არ ჰქონდა) მოსამართლის თანამდებობის დაკავების თანაბარი შესაძლებლობების უგულვებლყოფით, რადგან სადავო ნორმის მიხედვით, მათ 3 წლიანი განსაზღვრული ვადის პირობებში უფლება ჰქონდათ, დაეკავებინათ მოსამართლის თანამდებობა.

გადაწყვეტილების მიხედვით, სადავო ნორმამ ვერ დააკმაყოფილა „რაციონალური დიფერენციაციის ტესტის“ პირველი საფეხურის მოთხოვნა. სასამართლოს განმარტებით, მოპასუხემ ვერ წარმოადგინა სათანადო არგუმენტაცია, რომლითაც დაასაბუთებდა, რა რაციონალური ახსნა ჰქონდა 3 წლიანი ვადით თანამდებობაზე გამწესების სახით დამატებითი ტვირთის დაწესებას ისეთი მოსამართლეობის კანდიდატების მიმართ, რომელთა ამ ფორმით შეფასების ობიექტური საჭიროება არ არსებობდა. „ამგვარად, არ არის წარმოდგენილი სადავო ნორმით გათვალისწინებული დიფერენცირებული მიდგომის რაიმე რაციონალური საჭიროების დასაბუთება. ... ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა არ აკმაყოფილებს რაციონალური დიფერენციაციის ტესტს...“¹³⁰.

128 იქვე, II, 17-19.

129 *გასაჩივრებული იყო* „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 41 პუნქტი, რომლის თანახმად: „სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება 3 წლის ვადით. ამ ვადის გასვლამდე არაუადრეს 2 და არაუგვიანეს 1 თვისა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ მუხლის 4¹ პუნქტით გათვალისწინებული შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს და იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, გაამწესოს თუ არა აღნიშნული მოსამართლე თანამდებობაზე უვადოდ“.

130 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/6/623 საქმეზე შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 64-65.

1.3.2.4. ტესტების უარყოფა, მოდიფიცირების მცდელობა თუ არასწორი გამოყენება?

დროთა განმავლობაში გაფერმკრთალდა ზღვარი „მკაცრი შეფასების ტესტისა“ და „რაციონალური დიფერენციაციის ტესტის“ შორის. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ტესტის სწორად შერჩევისთვის თითქოს საფუძვლებს სკრუპულოზურად ამოწმებს, შემდგომ მსჯელობას, როგორც წესი, ფაქტობრივად, თანაზომიერების პრინციპს აფუძნებს: ადგენს ლეგიტიმურ მიზანს და ამოწმებს ჩარევის საშუალების დასაშვებობას, აუცილებლობას და ვიწრო პროპორციულობას.

ამ თვალსაზრისით, ყურადღებას გავამახვილებ რამოდენიმე გარემოებაზე:

1) „მკაცრი შეფასების ტესტით“ შემოწმებისას სასამართლო უმეტესწილად ცდილობს გამოიყენოს ტერმინები: „დაუძლეველი ინტერესი“, „მნიშვნელოვანი“ ან „ღირებული ლეგიტიმური მიზანი“, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც უბრალოდ ლეგიტიმურ მიზანზე მიუთითებს¹³¹; 2) მართალია, სასამართლო აფასებს ლეგიტიმური მიზნების მნიშვნელობას და ხშირად ისინი მართლაც მომეტებული დაცვის ღირსი ინტერესებია, თუმცა თითქმის არც ერთ გადაწყვეტილებაში არ გვხვდება ახსნა, რა კრიტერიუმის გამოყენებით ასკვნის სასამართლო, რომ კონკრეტული ინტერესი არის არა უბრალოდ ლეგიტიმური მიზანი, არამედ „დაუძლეველი ინტერესი“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყოველ ჯერზე, როდესაც სასამართლო ამოწმებს მოპასუხის მიერ დასახელებული ინტერესების კონსტიტუციასთან თავსებადობას, ის „მკაცრი ტესტის“ მიზნებისთვის, სწორედ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, ღირებულებას, მისი დაცვის მომეტებულ ინტერესს და გარდაუვალ საჭიროებას აფასებს; 3) „რაციონალური დიფერენციაციის ტესტის“ გამოყენებისას, სასამართლო ხშირად არ შემოიფარგლება დიფერენციაციის საჭიროების, ლოგიკურობის, რაციონალურობის, გარდაუვალობის ახსნით, არამედ, მართალია, უფრო დაბალი სტანდარტით, ვიდრე „მკაცრი ტესტის“ შემთხვევაში, მაგრამ მაინც სწავლობს ჩარევის ლეგიტიმური მიზნის/ინტერესის არსებობას¹³²; 4) „რაციონალური დიფერენცი-

131 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება №1/2/671 საქმეზე „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“, სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 13.

132 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვე-

აციის ტესტის“ გამოყენებისას სასამართლო აფასებს არა რაციონალური კავშირის არსებობას ჩარევის გარდაუვალობასა და მის შედეგს შორის, არამედ იყენებს თანაზომიერების პრინციპს, რაზეც ზოგჯერ პირდაპირ მიუთითებს კიდევ.

ვფიქრობ, კანონის დისკრიმინაციულობის შეფასების ტესტების გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი დაახლოება, ზოგჯერ მათი ფაქტობრივი იდენტურობის ჩათვლით, აზიანებს იმ მიზანს, სამართლებრივ პერსპექტივას, რომლისთვისაც სასამართლომ თავის დროზე ორი განსხვავებული ტესტის შემოღების საჭიროება დაინახა.

ტესტების გამოყენების აკურატულობის თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ასევე 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №3/2/767,1272 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, სადაც სასამართლომ, შეიძლება ითქვას, წინა პრაქტიკისგან არსებითად განსხვავებული მსჯელობა განავითარა. კერძოდ, გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „მიუხედავად იმისა, კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შერჩეულ უნდა იქნას რაციონალური დიფერენცირებისა თუ მკაცრი შეფასების ტესტი, ორივე მათგანის ფარგლებში, აუცილებელია, რომ სადავო ნორმით განსაზღვრულ შეზღუდვას გააჩნდეს ლეგიტიმური საჯარო მიზანი და შერჩეული საკანონმდებლო საშუალება იყოს დასახელებულ მიზანთან რაციონალურ და გონივრულ კავშირში. დიფერენცირებული მოპყრობის გამოწვევი ღონისძიება, რომელიც დასახელებულ მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, ჩაითვლება თვითმიზნურად და დისკრიმინაციულად. ... შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევებში, როდესაც აშკარაა, რომ დიფერენცირება არ პასუხობს რაციონალური ტესტის მოთხოვნებს, სასამართლო სადავო ნორმას არაკონსტიტუციურად ცნობს დიფერენცირების ტესტის შერჩევის გარეშე“¹³³.

აღნიშნულ საქმეზე სადავო იყო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ნორმა (59-ე მუხლის მე-4 პუნქტის მე-2 წინადადება), რომელიც ადგენდა სასამართლოს მანდატურის ზღვრულ ასაკს – 50 წელს. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა დისკრიმი-

ტილება №2/2/863 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – გურა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.*

133 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №3/2/767,1272 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 40.

ნაციული იყო, ვინაიდან არსებითად თანასწორ პირებს (50 წლამდე და 50 წელს გადაცილებულ პირებს) უწესებდა განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს. კერძოდ, 50 წლის ასაკს მიღწეული პირები კარგავდნენ უფლებას, დაეკავებინათ მანდატურის თანამდებობა, ამასთან, მათ მიმართ არსებობდა თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.

მოპასუხის მიერ დიფერენცირებული მოპყრობის ლეგიტიმურ მიზნად დასახელდა სასამართლოს მანდატურის სამსახურის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა, საერთო სასამართლოებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უსაფრთხოების დაცვა.

საკონსტიტუციო სასამართლომ ტესტების შერჩევის გარეშე პირდაპირ შეაფასა დასახელებული მიზნების ლეგიტიმურობა და გაიზიარა მოპასუხის პოზიცია ამ თვალსაზრისით. იმავდროულად, დაადგინა, რომ ვინაიდან 50 წლის ასაკის მიღწევა, ზოგადად, არ წარმოადგენს გარემოებას, რომელიც *a priori* იწვევს ადამიანის იმგვარი უნარების დაქვეითებას, რომელიც აუცილებელია სასამართლოს მანდატურის ფუნქციების სრულყოფილად განსახორციელებლად, „სასამართლოს მანდატურად საქმიანობის განხორციელებისთვის 50 წლიანი ასაკობრივი ცენზის დადგენა არ არის რაციონალურ კავშირში დასახელებულ ლეგიტიმურ მიზანთან“¹³⁴. საბოლოოდ, სასამართლომ გადაწყვიტა: „... 50 წლის ასაკის მიღწევა არ არის ის თავისთავადი გარემოება, რომელიც დააქვეითებს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობას, შეასუსტებს ფიზიკურ მონაცემებს და შეუძლებელს გახდის მის მიერ მანდატურის საქმიანობის სრულყოფილად განხორციელებას. შესაბამისად, 50 წელს მიღწეულ და მიუღწეველ მოქალაქეებს შორის დადგენილი დიფერენცირება არ არის რაციონალურ კავშირში დასახელებულ ლეგიტიმურ მიზნებთან. ამგვარად, არ არსებობს ასაკობრივი ნიშნით დაწესებული განსხვავებული მოპყრობის ობიექტური და გონივრული გამართლება“¹³⁵.

აღნიშნულ საქმეზე სასამართლოს განმარტებები მიუთითებს, რომ მას შემოაქვს კიდევ ერთი, როგორც თვითონ უწოდებს, „რაციონალური ტესტი“, რომელიც გულისხმობს ორი პირობის კუმულაციას: სადავო ნორმას უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური საჯარო მიზანი; შერჩეული საკანონმდებლო საშუალება უნდა იყოს დასახელებულ მიზანთან რაციონალურ და გონივრულ კავშირში, წინააღმდეგ შემთხვევაში, დიფერენციაცია იქნება თვითმიზნური. ამ ტესტს სასამართლო იყენებს ძირითადი ტესტების („მკაცრი შეფასების ტესტის“ და „რაციონალური დიფერენციაციის ტესტის“) შერჩევამდე, და თუ ამკარა იქნება, რომ დიფერენცირება არ პასუხობს „რაცი-

134 იქვე, II, 43.

135 იქვე, II, 44.

ონალური ტესტის“ მოთხოვნებს, სადავო ნორმას არაკონსტიტუციურად ცნობს დიფერენცირების ტესტის შერჩევის და გამოყენების გარეშე.

სასამართლოს მსჯელობა „რაციონალური ტესტის“ შემოღების შესახებ იძლევა შემდეგი დასკვნის შესაძლებლობას: „რაციონალური ტესტი“ საფუძველს გამოაცლის „რაციონალური დიფერენციაციის ტესტს“. კერძოდ, „რაციონალური ტესტის“ ფარგლებში სასამართლო, ლეგიტიმური მიზნის მოთხოვნით, უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს, ვიდრე „რაციონალური დიფერენციაციის ტესტი“ მის პირველ საფეხურზე. ხოლო შემდგომ ეტაპზე შემოიფარგლება „რაციონალური დიფერენციაციის ტესტის“ მეორე პირობით. ვინაიდან ამ პირობების კუმულაცია „რაციონალური დიფერენციაციის ტესტზე“ უფრო მაღალ მოთხოვნას ადგენს (პირველ კომპონენტში), გაუგებარია, „რაციონალური ტესტის“ დაკმაყოფილების შემდეგ, რა უნდა შეამოწმოს სასამართლომ „რაციონალური დიფერენციაციის ტესტის“ ფარგლებში (როდესაც საკითხი სწორედ ამ ტესტით შემოწმებას ექვედებარება). მეორე მხრივ, „მკაცრი შეფასების ტესტით“ ნორმის შემოწმების აუცილებლობისას, აზრს მოკლებული ხდება სავალდებულო წინაპირობად „რაციონალური ტესტის“ გამოყენება, რადგან „მკაცრი ტესტის“ ფარგლებში, სასამართლო ამოწმებს „დაუძლეველი ინტერესის“ არსებობას (რაც უფრო მკაცრია, ვიდრე მხოლოდ ლეგიტიმური მიზანი), ხოლო მიზანსა და ჩარევას შორის რაციონალური/გონივრული კავშირის არსებობა თავისი არსით თანაზომიერების პრინციპის პირველი საფეხურის – დასაშვებობის იდენტურია.

„რაციონალურ ტესტთან“ დაკავშირებით ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, თვითნებური განსხვავებული მოპყრობის აკრძალვა მოთხოვნილია დიფერენციაციის ყველა შეთხვევის გამართლებისთვის. შესაბამისად, დამოუკიდებლად იმისგან, რომელ ტესტს იყენებს სასამართლო, ის ყველა საქმეზე მკაფიოდ წერს, რომ ნებისმიერი დაუსაბუთებელი, აუხსნელი, თვითნებური დიფერენციაცია არის დისკრიმინაცია. პრაქტიკის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასამართლო თვითნებურს უწოდებს ნებისმიერ განსხვავებულ მოპყრობას, თუკი საბოლოოდ მას გამართლება არ ექნება და ასეთი თანაბრად შეიძლება იყოს, როგორც „მკაცრი შეფასების“, ისე „რაციონალური დიფერენციაციის ტესტით“ შეფასების ფარგლებში დადგენილი დარღვევა. შედეგად, თანასწორობის უფლების დარღვევა ყოველთვის გულისხმობს ხელისუფლების თვითნებობას, რადგან თუკი განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს საფუძველი – დაუძლეველი ინტერესი თუ რაციონალური საჭიროება, ან, თუ ის არ გამოიყენება

როგორც უკიდურესი აუცილებლობა ან რაციონალური შესაძლებლობა, მაშინ ის არასააჭირო და, მაშასადამე, თვითნებურია.

„რაციონალური ტესტის“ მეტი განჭვრეტადობისთვის, ვფიქრობ, აუცილებელი იყო სასამართლოს მკაფიოდ აეხსნა, რაში მდგომარეობს სიახლის არსი, რა შეთხვევებს უკავშირდება ის და, რაც მთავარია, რითია განპირობებული მისი აუცილებლობა. ეს ტესტი კიდევ უფრო მყიფედ და გაუგებრად გამოიყურება იმ ფონზე, რომ იმავე დღეს სასამართლომ თანასწორობის უფლებასთან დაკავშირებით მიღებულ სხვა გადაწყვეტილებაში (2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/12/1229, 1242, 1247, 1299 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გავნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) ეს სტანდარტი აღარ გაიმეორა და კვლავ რუტინულად ძველ პრაქტიკაზე მიუთითა, ანუ ერთსა და იმავე დღეს სასამართლომ თანასწორობის უფლებასთან დაკავშირებულ ორ სხვადასხვა საქმეზე მიიღო ერთმანეთისგან განსხვავებულ სტანდარტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.

არც შემდგომი პრაქტიკაა თანმიმდევრული. თანასწორობის უფლებასთან დაკავშირებული რამოდენიმე გადაწყვეტილებიდან სასამართლო მხოლოდ ერთ საქმეზე (2019 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება №2/4/1365 საქმეზე ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) იმეორებს ახალ სტანდარტს №3/2/767,1272 გადაწყვეტილებაზე მითითებით, ხოლო სხვა შემთხვევებში ინარჩუნებს იქამდე არსებულ ტრადიციულ განმარტებებს.

1.3.3. „მკაცრი შეფასების ტესტის“ და „რაციონალური დიფერენციაციის ტესტის“ თავსებადობა საქართველოს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტთან

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონით შემოღებულ იქნა ნორმა, რომელიც მიუთითებს ძირითად უფლებებში ჩარევის მართლზომიერების თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით შეფასების აუცილებლობაზე. კერძოდ, კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს იმ ლეგიტიმური მიზნის მნიშვნელობას, რომლის მიღწევასაც იგი ემსახურება“¹³⁶.

136 წინამდებარე წიგნის ამოცანას არ წარმოადგენს იმის ანალიზი, შეფასება, რამდენად

დასახელებულმა ნორმამ აქტუალური გახადა საკითხი – ვრცელდება თუ არა ის თანასწორობის უფლებაზე დანარჩენი ფუნდამენტური უფლებების იდენტურად? ზოგადი მითითება ადამიანის ძირითადი უფლებების შეზღუდვის წესზე, ლოგიკურად უნდა გულისხმობდეს ყველა ძირითად უფლებასთან დაკავშირებით საერთო რეგულაციის შემოღებას. თუ ასეა, რა პერსპექტივა შეიძლება ჰქონდეს თანასწორობის უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შესამოწმებლად „მკაცრი ტესტისა“ და „რაციონალური დიფერენციაციის ტესტის“ შენარჩუნებას? სხვა სიტყვებით, რამდენად შეესაბამება ამ ტესტების გამოყენება კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს?

მიმაჩნია, რომ კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი თვისობრივად არაფერს ცვლის თანასწორობის უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შემოწმების კონტექსტში და ამ დებულების არსებობა არ/ვერ აჩენს ამ თვალსაზრისით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შეცვლის აუცილებლობას, შემდეგი გარემოებების გამო:

ა) მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედ რედაქციაში არ არსებობდა 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის იდენტური შინაარსის ნორმა, თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით უფლებებში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასების ვალდებულება საკონსტიტუციო სასამართლომ თავად დაადგინა. საამისოდ საფუძვლები ამოიკითხა კონსტიტუციის მე-7 მუხლში¹³⁷ და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადებაში¹³⁸. მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანაზომიერების პრინციპს ჰქონდა კონსტიტუციური საფუძველი, შესაბამისად, ის სავალდებულო იყო შესასრულებლად. იმავედროულად, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა ყველა ფუნდამენტურ უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის თანაზო-

ადეკვატურად თუ საკმარისად აღწერს კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი „თანაზომიერების პრინციპის“ მიზანს და შინაარსს. ვიღებთ როგორც მოცემულობას, რომ აღნიშნული დებულება ემსახურება ამ პრინციპისთვის კონსტიტუციური საფუძვლის აღწერას.

137 „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლი, 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

138 „სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში“ (საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადება, 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

მიერების პრინციპით შემოწმების კონსტიტუციურ ვალდებულებაზე¹³⁹. ასეთი განმარტება თავისი შინაარსით უტოლდება კონსტიტუციის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნას.

ბ) თანაზომიერების პრინციპით შეზღუდვის კონსტიტუციური ვალდებულების პარალელურად, სასამართლომ, ისევ კონსტიტუციაზე დაყრდნობით, დაადგინა კანონის წინაშე თანასწორობის უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შეფასებისთვის ორი ტესტის გამოყენების ვალდებულება. შედეგად, სასამართლომ თანაზომიერების პრინციპის, „მკაცრი შეფასების ტესტის“ და „რაციონალური დიფერენციაციის ტესტის“ თანაარსებობა/ურთიერთთავსებადობა შესაძლებლად მიიჩნია კონსტიტუციის ფარგლებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ „მკაცრი შეფასების ტესტი“ და „რაციონალური დიფერენციაციის ტესტი“ შინაარსობრივად იმავე კონსტიტუციურ რეალობაში შემოიღო, რომელიც დღეს მოქმედებს.

თანასწორობის უფლებაში ჩარევის კონსტიტუციურობის შემოწმების ორი ტესტის მიმართ, შესაძლოა, არსებობდეს გარკვეული სკეპტიციზმი, მეტიც, შესაძლოა, მომავალში გაჩნდეს მათი დახვეწის ან შეცვლის ობიექტური საჭიროება. ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანია ფართო გახსნილობა ადამიანის უფლებების დაცვის ინსტრუმენტების შემდგომი განვითარების/ეფექტურობის მიღწევის მიმართ. შესაბამისად, ზემოაღნიშნული მოკლე ანალიზის მიზანი იყო არა ამ ტესტების უაღტერნატივობის და სამუდამოდ უცვლელად შენარჩუნების აუცილებლობის მტკიცება, არამედ მხოლოდ იმის დასაბუთება, რომ დასახელებული კონსტიტუციური ცვლილება (მუხლი 34.3) არ წარმოადგენს „მკაცრი შეფასების“ და „რაციონალური დიფერენციაციის“ ტესტებზე უარის თქმის თავითკმარ საფუძველს.

1.4. მოპყრობის დისკრიმინაციულობის შეფასება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მას შემდეგ, რაც განმცხადებელი წარმოაჩენს განსხვავებული მოპყრობის არსებობას, მტკიცების ტვირთი გადადის სახელმწიფოზე, რომელ-

¹³⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/393,397 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.

მაც უნდა დაასაბუთოს განსხვავების გონივრულობა. „ამგვარი დასაბუთება უნდა იყოს ობიექტური და არგუმენტირებული ან სხვა სიტყვებით, უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს და უნდა არსებობდეს პროპორციული, გონივრული ურთიერთმიმართება გამოყენებულ ზომებსა და მისაღწევ მიზანს შორის“¹⁴⁰.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო დისკრიმინაციის ყველა შემთხვევის შესაფასებლად ამ ერთიან ტესტს იყენებს, შემოწმების სიმკაცრის ხარისხი მაინც განსხვავებულია. მართალია, სასამართლო ყველა რელევანტურ საქმეზე მიუთითებს, რომ ხელშემკვრელი სახელმწიფო სარგებლობს შეფასების გარკვეული ზღვრით იმის დასაადგენად, თუ როდის და რა ფარგლებში არის გამართლებული მსგავს ვითარებაში განსხვავებული მოპყრობა, ანუ აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, შეაფასოს მსგავს სიტუაციაში განსხვავებული მოპყრობის მართებულობა¹⁴¹, ამასთან, თავისუფალი შეფასების ფარგლები განსხვავებულია გარემოებების, განსახილველი საკითხის/საგნისა და მისი საფუძვლების მიხედვით¹⁴², მაგრამ კონვენციის მოთხოვნების დაცვის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ეკისრება სასამართლოს¹⁴³.

როგორც აღინიშნა, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რამოდენიმე ნიშნით განსხვავებულ მოპყრობაზე (მაგალითად, სექსუალური ორიენტაციის, სქესის ნიშნით), რომლის დისკრიმინაციულობის შეფასებისას ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიხედულების ზღვარი ძალიან ვიწროა. სასამართლოს განმარტებით, თუ ძირითადი უფლებების შეზღუდვა გავრცელდება საზოგადოების განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფზე, რომელიც წარსულში დისკრიმინაციას ექვემდებარებოდა, სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლები ვიწრო იქნება და მნიშვნელოვანი არგუმენტების მოყვანა დასჭირდება ამგვარი შეზღუდვების დასაწესებლად¹⁴⁴.

140 *Biao v. Denmark*, app. №38590/10, (ECtHR, 24.05.2016), §90; *D.H. and Others v. the Czech Republic*, app. №57325/00, (ECtHR (GC), 13.11.2007); *Izzettin Dogan and Others v. Turkey*, app. №62649/10, (ECtHR, 26.04.2016), §56; 59. *I.B. v. Greece*, app. №552/10, (ECtHR, 03.10.2013), §78.

141 *Burden v. the United Kingdom*, app. №13378/05, (ECHR [GC], 29.04.2008), §60; *Schalk and Kopf v. Austria*, app. №30141/04, (ECHR, 24.06.2010); *Vallianatos and Others v. Greece*, app. №29381/09; №32684/09, (ECHR 07.11.2013), §76; *Izzettin Dogan and Others v. Turkey*, app. №62649/10, (ECHR, 26.04.2016), §56.

142 *Kiyutin v. Russia*, app. №2700/10, (ECtHR, 10.03.2011), §62; *I.B. v. Greece*, app. №552/10, (ECtHR 03.10.2013), §78.

143 *Biao v. Denmark*, app. №38590/10, (ECtHR, 24.05.2016), §93.

144 *Kiyutin v. Russia*, app. №2700/10, (ECtHR, 10.03.2011), §63 ; *I.B. v. Greece*, app. №552/10,

ასეთი ჩარევის გამართლებისთვის სასამართლო სახელმწიფოსგან ითხოვს ჩარევის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, დამაჯერებელი და წონადი მიზეზების არსებობას. იმავდროულად, სასამართლოს პრაქტიკის თანახმად: „თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელიც ეფუძნება პლურალიზმისა და განსხვავებული კულტურების პატივისცემის პრინციპებს, დაუშვებელია ობიექტურად გამართლებული იყოს განსხვავებული მოპყრობა, რომელიც ექსკლუზიურად ან დიდწილად ეფუძნება პირის ეთნიკურ წარმომავლობას“¹⁴⁵.

მეორე მხრივ, სასამართლომ აღნიშნა, რომ შეფასების თავისუფლების ფართო არეალი აქვთ სახელმწიფოებს, როდესაც საქმე შეეხება ეკონომიკური ან სოციალური სტრატეგიის შესახებ ზოგადი გადაწყვეტილებების მიღებას¹⁴⁶. სასამართლოს განმარტებით, ხელისუფლების ეროვნული ორგანოები უკეთ იცნობენ საზოგადოებასა და მის საჭიროებებს, შესაბამისად, საერთაშორისო მოსამართლეზე უკეთ შეუძლიათ შეაფასონ საზოგადოების ინტერესები სოციალურ ან ეკონომიკურ საფუძვლებთან მიმართებით. სასამართლო, როგორც წესი, პატივს სცემს კანონმდებლის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, თუ იგი გონივრულ საფუძველს ამკარად მოკლებული არ არის¹⁴⁷.

1.4.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

საქმეზე *Vallianatos and Others v. Greece* განმცხადებლები იყვნენ ჰომოსექსუალი წყვილები, რომლებიც თვლიდნენ, რომ საბერძნეთის კანონმდებლობით შემოღებული „სამოქალაქო კავშირების“ ინსტიტუტი ვრცელდებოდა რა მხოლოდ სხვადასხვა სქესის ზრდასრული პირებისგან შემდგარ წყვილებზე, იწვევდა ერთნაირსქესიანი წყვილების პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევას და დისკრიმინაციას ჰეტეროსექსუალ წყვილებთან შედარებით. ისინი აღნიშნავდნენ, რომ საბერძნეთი იყო ერთადერთი ქვეყანა ევროპაში, რომელმაც დააკანონა ქორწინების ალტერნატიული ფორმა სამოქალაქო კავშირების სახით მხოლოდ სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებისთვის და ამ გზით გამორიცხა ერთნაირსქესიანი წყვილები მისი მოქმედების სფეროდან. განმცხადებ-

(ECtHR, 03.10.2013), §78-79.

145 *Timishev v. Russia*, app. №55762/00; №55974/00, (ECtHR, 13.12.05).

146 *Burden v. the United Kingdom*, app. №13378/05, (ECtHR, 29.04.2008), 60; *Biao v. Denmark*, app. №38590/10, (ECtHR, 24.05.2016), §93.

147 *Stec and Others v. the United Kingdom*, app. №65731/01; 65900/01, (ECtHR, 12.04.2006).

ლები მიიჩნევენ, რომ მათ მიმართ ასეთ განსხვავებულ მოპყრობას არ გააჩნდა რაიმე ობიექტური და გამამართლებელი მიზანი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, პირველ რიგში, შეამოწმა კონვენციის მე-14 მუხლის ფარგლებში საკითხის შეფასების შესაძლებლობა: წინარე პრაქტიკაზე დაყრდნობით, დაადგინა, რომ განმცხადებელთა ურთიერთობები დაცული იყო კონვენციის მე-8 მუხლით. „ხელოვნური იქნება, ამტკიცო, რომ მე-8 მუხლის მიზნებისათვის ერთნაირსქესიან წყვილებს არ გააჩნიათ „ოჯახური ცხოვრება“ სხვადასხვა სქესიან წყვილებისგან განსხვავებით“ (*Schalk and Kopf v. Austria*, №30141/04, (ECHR 22.11.2010), §94)¹⁴⁸. შედეგად, დაასკვნა, რომ წინამდებარე საქმეში გამოიყენებოდა კონვენციის მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან ერთობლიობაში.

სასამართლომ შეაფასა, განსხვავებულ მოპყრობას ჰქონდა თუ არა გონივრული და ობიექტური გამართლება:

კანონის მოქმედების სფეროდან ერთნაირსქესიანი წყვილების გამოირიცხვის გასამართლებლად მოპასუხე სახელმწიფოს მთავრობა ძირითადად ორი სახის არგუმენტს დაეყრდნო: 1. მისი მტკიცებით, სამოქალაქო კავშირების ინსტიტუტის ჰომოსექსუალ წყვილებზე გავრცელების შემთხვევაში, მათ წარმოეშობოდათ რიგი უფლებების და ვალდებულებებისა (მათი ქონებრივი მდგომარეობის, ფინანსური ურთიერთდამოკიდებულებისა თუ მემკვიდრეობითი უფლებების თვალსაზრისით), რაც მოქმედი კანონმდებლობით მათთვის ისედაც ხელმისაწვდომი იყო კონტრაქტის საფუძველზე. 2. დასახელებული კანონის ამოცანას წარმოადგენდა ქორწინების გარეთ დაბადებული ბავშვების, მარტოხელა მშობლების ოჯახების დაცვა, ასევე ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტების ტრადიციული გაგების გაძლიერება.

პირველ საკითხთან მიმართებით სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონით გათვალისწინებულ სამოქალაქო კავშირს, როგორც ქორწინების ალტერნატივას, არსებითი ღირებულება გააჩნდა მომჩივანთათვის, მიუხედავად იმისა, თუ როგორ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობდა ის. სასამართლომ გაიმეორა, რომ ერთნაირსქესიან წყვილებს ურთიერთდამარეობის ისეთივე საჭიროება გააჩნიათ, როგორც ჰეტეროსექსუალ წყვილებს. შესაბამისად, სამოქალაქო კავშირი წარმოადგენდა მათი ურთიერთობების ფორმალიზებისათვის საბერძნეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ერთადერთ შესაძლებლობას. ამ უფლების მინიჭებით, მათ საშუალება მიეცემოდათ, მოეწესრიგებინათ საკუთრების, ურთიერთრჩენისა და მემკვიდრეობის საკითხები არა როგორც კერძო პირებს კონტრაქტ-

148 *Vallianatos and Others v. Greece*, app. №29381/09; № 32684/09; (ECtHR, 07.11.2013), §73.

ტების დადების გზით, არამედ სამოქალაქო კავშირების მომწესრიგებელი სამართლის ნორმების საფუძველზე. ამგვარად სახელმწიფოს მიერ მათი ურთიერთობები ოფიციალურად იქნებოდა აღიარებული.

სასამართლომ ზოგადად გაიზიარა მთავრობის მიერ დასახელებული მიზნების მნიშვნელობა და საკუთარ პრაქტიკაზე მითითებით აღნიშნა, რომ ლეგიტიმურია ხელისუფლების ნება, მიიღოს კანონი, რომელიც დაარეგულირებს ქორწინების გარეთ დაბადებული ბავშვების მდგომარეობას და არაპირდაპირ გააძლიერებს ქორწინების ინსტიტუტს. „სასამართლო იზიარებს, რომ ტრადიციული გაგებით ოჯახის დაცვა, წონიანი და კანონიერი მიზანია, განსხვავებული მოპყრობის გასამართლებლად“ (*Karner v. Austria*, app. №40016/98, (ECtHR, 24.07.2003), §40). ბუნებრივია, რომ ბავშვის ინტერესის დაცვა ასევე ლეგიტიმური მიზანია (*X and Others v. Austria*, app. №19010/07, (ECtHR, [GC], 19.02.2013) §138).

სასამართლომ გაიმეორა, რომ სახელმწიფოთა მიხედვლების ფარგლები ვიწროა, როდესაც განსხვავებული მოპყრობა ეფუძნება სქესის და სექსუალური ორიენტაციის ნიშანს. შესაბამისად, საბერძნეთის მთავრობას უნდა დაემტკიცებინა, რომ მათ მიერ დასახელებული მიზნების მისაღწევად აუცილებელი იყო კანონით გათვალისწინებული სამოქალაქო კავშირების შექმნის სუბიექტთა წრიდან ერთნაირსქესიანი წყვილების გამორიცხვა. „...პროპორციულობის პრინციპის დაცვა არ ნიშნავს მხოლოდ მიზნის მიღწევის შესაფერისი საშუალების არჩევას. არამედ, ასევე უნდა დამტკიცდეს, რომ მიზნის მისაღწევად აუცილებელი იყო ადამიანთა გარკვეული კატეგორიის – მოცემულ საქმეში ჰომოსექსუალურ ურთიერთობებში მყოფი პირების – გამორიცხვა კანონის მოქმედების სფეროდან“¹⁴⁹.

სასამართლომ დაადგინა, რომ კანონით შემოღებულ იქნა სამოქალაქო პარტნიორობის ახალი ფორმა სამოქალაქო კავშირის სახით, რომლის მოქმედების სფეროდან გამოირიცხნენ ერთნაირსქესიანი წყვილები, მაშინ, როდესაც აღნიშნული კანონი სხვადასხვა სქესის წყვილებს, მიუხედავად იმისა, ჰყავდათ თუ არა შვილები, ურთიერთობების მრავალი ასპექტის დარეგულირების შესაძლებლობას აძლევდა. მთავრობის არგუმენტაცია შეეხებოდა მხოლოდ ჰეტეროსექსუალ წყვილებს, რომელთაც ჰყავდათ შვილები, და არ ამართლებდა დასახელებული კანონის საფუძველზე წარმოშობილ განსხვავებულ მოპყრობას ერთნაირსქესიან და სხვადასხვა სქესიან წყვილებს შორის, რომელთაც შვილები არ ჰყავდათ. სასამართლომ აღნიშნა, რომ მთავრობამ ვერ წარმოადგინა სარწმუნო არგუმენტე-

149 იქვე, §85.

ბი იმის დასამტკიცებლად, რომ კანონით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად საჭირო იყო ერთნაირსქესიანი წყვილების გამორიცხვა მისი მოქმედების სფეროდან. სასამართლოს აზრით, შესაძლებელი იყო კანონმდებელს გაეთვალისწინებინა სპეციალური ნორმები ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების თაობაზე და იმავდროულად, სამოქალაქო კავშირების შექმნის ზოგადი შესაძლებლობა თანაბრად გაევერცელებინა ჰომოსექსუალ და ჰეტეროსექსუალ წყვილებზე¹⁵⁰.

სასამართლომ მიუთითა, რომ საბერძნეთის კანონმდებლობის თანახმად, სხვადასხვა სქესიანი წყვილებს, ერთნაირსქესიანი წყვილებისგან განსხვავებით, კანონის მიღებამდეც შეეძლოთ თავიანთი ურთიერთობების სამართლებრივი აღიარება ქორწინების ინსტიტუტის ან უფრო შეზღუდული ფორმით – სამოქალაქო კოდექსის ნორმებით გათვალისწინებული დე ფაქტო პარტნიორობის საფუძველზე. შესაბამისად, ერთნაირსქესიანი წყვილებს ჰქონდათ განსაკუთრებული ინტერესი, ესარგებლათ სამოქალაქო კავშირის შექმნის უფლებით, ვინაიდან სხვადასხვა სქესიანი წყვილებისგან განსხვავებით, აღნიშნული წარმოადგენდა მათი ურთიერთობების სამართლებრივად აღიარებისათვის საბერძნეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ერთადერთ საფუძველს.

სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა მე-8 მუხლთან ერთობლიობაში.

საქმეში *Petrov v. Bulgaria* განმცხადებელი იყო პატიმარი, იგი დაპატიმრებამდე ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა პარტნიორთან არარეგისტრირებულ ქორწინებაში, რომელთანაც ჰყავდა შვილი. სხვა პატიმრებისგან განსხვავებით, რომლებსაც მეუღლეებთან თვეში ორჯერ დარეკვის უფლება ჰქონდათ, ის ვერ სარგებლობდა ასეთი შესაძლებლობით ერთადერთი მიზეზის გამო – არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში და ფორმალურად, კანონის მიზნებისთვის მისი პარტნიორი არ ითვლებოდა მეუღლე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საპატიმროში ტელეფონით კომუნიკაციის წესების მიზნებისთვის ქორწინებაში მყოფი და ფაქტობრივ პარტნიორობაში მყოფი წყვილები არსებითად თანასწორები არიან. სასამართლოს განმარტებით, ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შეფასების გარკვეული ფარგლები აქვთ მინიჭებული, რათა დაქორწინებულ და დაუქორწინებელ წყვილებს განსხვავებულად მოეპყრონ ისეთ სფეროებში, როგორცაა, მაგალითად, დაბეგვრა, დაზღვევა ან სოციალური პოლიტიკა. მაგრამ არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, რომელიც გაამართლებდა განსხვავებულ მოპყრობას დაქორწინე-

150 იქვე, §88-89.

ბულ და დაუქორწინებელ წყვილებს შორის, როდესაც საქმე ეხება პარტნიორთან ტელეფონით კონტაქტის შენარჩუნებას¹⁵¹.

საქმეზე *I. B. v. Greece* განმცხადებელს, რომელიც საიუველირო საწარმოში მუშაობდა, დაუდგინდა იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ/შიდსი). საწარმოს თანამშრომლებმა ხელმძღვანელისგან მოითხოვეს მისი გათავისუფლება. დამქირავებელმა მიმართა რამდენიმე ღონისძიებას: კომპანიაში მოიწვია ექიმი/სპეციალისტი აივ ინფექციისა და მისი გადაცემის გზების თაობაზე თანამშრომლებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად. შემდეგ გადაწყვიტა განმცხადებლის სხვა განყოფილებაში გადაყვანა, სხვა ტერიტორიაზე. თუმცა ამ სტრუქტურული ერთეულის უფროსი პოზიციის დატოვებით დაემუქრა, თუ განმცხადებელს მასთან გაამწესებდნენ. დამქირავებელმა განმცხადებელს დახმარება შესთავაზა საკუთარი ბიზნესის აწყობაში, თუკი პირადი განცხადებით დატოვებდა სამუშაო ადგილს, რაზეც მისგან უარი მიიღო. ამის შემდეგ დამქირავებელმა განმცხადებელი გაათავისუფლა სამსახურიდან და გადაუხადა ბერძნული კანონმდებლობით გათვალისწინებული კომპენსაცია. განმცხადებელმა მალე იშოვა სხვა სამუშაო კერძო კომპანიაში.

განმცხადებელმა მისი გათავისუფლების გადაწყვეტილება გაასაჩივრა სასამართლოში. პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ გათავისუფლება იყო უკანონო, რადგან ხელშეკრულების შეწყვეტის ერთადერთ საფუძველს წარმოადგენდა მისი ავადმყოფობა. სასამართლოს განმარტებით, დამსაქმებლის ქცევა, მიუხედავად თანამშრომლების მხრიდან მასზე განხორციელებული ზეწოლისა, წარმოადგენდა უფლებამოსილების გადამეტებას. მან განმცხადებლის გათავისუფლება გადაწყვიტა კომპანიის შეუფერხებელი ფუნქციონირების გაგრძელების უზრუნველსაყოფად, პროტესტისა და საჩივრების თავიდან ასაცილებლად, რითაც უპირატესობა მიანიჭა საკუთარ თანამშრომელთა უმრავლესობას. სააპელაციო სასამართლომაც განმცხადებლის სასარგებლოდ გადაწყვიტა საქმე (არ დააკმაყოფილა დამსაქმებლის სააპელაციო საჩივარი), დაადგინა, რომ მის ავადმყოფობას ნეგატიური გავლენა არ მოუხდენია კომპანიის მუშაობაზე. მოგვიანებით, საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა არ იყო უსამართლო, რადგან ეს გამართლებული იყო დამქირავებლის ინტერესებით, აღედგინა თანამშრომლებს შორის მშვიდობიანი სამუშაო ურთიერთობები და კომპანიის შეუფერხებელი ფუნქ-

151 *Petrov v. Bulgaria*, app. №15197/02, (ECtHR, 22.05.2008).

ციონირება, რაც შეუძლებელი იქნებოდა განმცხადებლის სამუშაოზე შენარჩუნების პირობებში.

განმცხადებელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მიუთითებდა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევაზე მე-8 მუხლთან ერთობლიობაში. მისი აზრით, არსებობდა რიგი ფაქტორებისა, რომლებიც დაასაბუთებდა, რომ წინამდებარე საქმეზე სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების უფრო ვიწრო ფარგლები ჰქონდა. ეს ფაქტორები იყო: მისი კოლეგების მხრიდან ამკარა ცრუდამოკიდებულება აივ-დადებითი პირების მიმართ; ფაქტი, რომ ის იმ მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნებოდა, რომელიც დისკრიმინაციის მსხვერპლი იყო, განიცდიდა სტიგმატიზებას, სოციალურ გარიყვას და მარგინალიზებას; მისი მტკიცებით, აივ-დადებითი სტატუსის გამო გათავისუფლების მომენტიდან ის უნდა გამკლავებოდა არა მხოლოდ ავადმყოფობას, არამედ ასევე ამ საფუძვლით გათავისუფლების ნეგატიურ შედეგს.

მოპასუხე სახელმწიფოს პოზიციის თანახმად, დამქირავებელმა განმცხადებელი გაათავისუფლა კომპანიის ინტერესების დასაცავად, მშვიდობიანი სამუშაო ურთიერთობების შესანარჩუნებლად და არა აივ-სტატუსის მიმართ ცრუ წარმოდგენის გამო. ის შეეცადა გამოსავალი ეპოვა, საკუთარი კომპანიის სიცოცხლისუნარიანობისთვის საფრთხის შექმნის გარეშე და განმცხადებლის ინტერესების გათვალისწინებით. დამსაქმებელი ვერ უგულებელყოფდა დასაქმებულების შიშს. ჰარმონიული სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა დამსაქმებლის არა მხოლოდ უფლება, არამედ ასევე ვალდებულება იყო საკუთარი თანამშრომლების წინაშე¹⁵². იმავდროულად, ამ საქმეზე საბერძნეთის მართლმსაჯულების სისტემა უძღური იყო, დამსაქმებლისგან მეტი მოეთხოვა.¹⁵³

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საკუთარ პრაქტიკაზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ აივ-ინფიცირებული ადამიანების სტატუსი არ შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ სამედიცინო პრობლემად, რადგან მისი ზეგავლენა იგრძნობა პირადი ცხოვრების ყველა სფეროში¹⁵⁴. სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ განმცხადებლის სამსახურიდან გათავისუფლების მაპროვოცირებელი საფუძველი მისი აივ-დადებითი სტატუსის დადასტურება იყო. სწორედ ამ გარემოებამ გადააწყვეტინა ჯერ მის თანამშრომლებს და ბოლოს დამსაქმებელს, უარი ეთქვათ მასთან მუ-

152 *I.B. v. Greece*. app. №552/10, (ECtHR, 03.10.2013), §51.

153 იქვე, §54-55.

154 იქვე, §70.

შაობაზე. სასამართლოს განმარტებით, ნათელი იყო, რომ განმცხადებლის გათავისუფლებას შედეგად მოყვა მისი სტიგმატიზება. ამ ღონისძიებას მიძიმე შედეგები ჰქონდა მის პიროვნულ უფლებებზე, მის მიმართ პატივისცემასა და პირად ცხოვრებაზე. რასაც ემატებოდა ახალი სამუშაოს მოძიებასთან დაკავშირებული ბუნდოვანება, რადგან წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით ახალი სამუშაოს შოვნა შესაძლოა, ობიექტურად რთული ყოფილიყო. ის ფაქტი, რომ განმცხადებელი გათავისუფლების შემდეგ დასაქმდა, არ აბალანსებდა მისი გათავისუფლების დამაზიანებელ ეფექტს მის პირადი ცხოვრებაზე¹⁵⁵.

ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე დაადგინა, რომ შეზღუდული შესაძლებლობები და ჯანმრთელობის მდგომარეობა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის დაცვის ქვეშ ხვდება. „სხვა ნიშანი“ მოიცავს ადამიანების განსხვავებას ჯანმრთელობის სტატუსის გამო, აივ ინფექციის ჩათვლით (*Kiyutin v. Russia*, app. №2700/10, (ECtHR, 10.03.2011), §57)¹⁵⁶. იმავდროულად, დაადგინა, რომ განმცხადებელს, მის მსგავს მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებთან (მის თანამშრომლებთან) შედარებით, სწორედ ამ ნიშანზე დაყრდნობით, განსხვავებულად მოეპყრნენ. როგორც კომპანიის თანამშრომელს, განმცხადებელს შეიძლებოდა ჰქონოდა ლეგიტიმური მოლოდინი, რომ მუშაობას გააგრძელებდა იმ დრომდე, ვიდრე არ ჩაიდენდა ისეთ ქმედებას, რაც კანონმდებლობით გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა. თუმცა, ამ მოლოდინის საპირისპიროდ, ის გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც მისი აივ-დადებითი სტატუსი გამოვლინდა. სასამართლოს განმარტებით, ნათელი იყო, რომ განმცხადებელს უარესად მოექცნენ, ვიდრე მის კოლეგებს და ეს მხოლოდ აივ-დადებითი სტატუსის გამო მოხდა.

უფლებაში ჩარევის გამართლების შეფასებისას, სასამართლომ, პირველ რიგში, მიუთითა, რომ აივ-ვირუსის მქონე ადამიანები მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენდნენ, ცრუდამოკიდებულებისა და სტიგმატიზების გამოცდილებით, რის გამოც, სახელმწიფოებს ასეთ შემთხვევაში უნდა ჰქონოდათ თავისუფალი შეფასების ვიწრო ფარგლები.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ამ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ განმცხადებლის აივ-სტატუსს არ ჰქონდა რაიმე გავლენა მის შრომისუნარიანობაზე, რაც გაამართლებდა მასთან კონტრაქტის შეწყვეტას. ასევე კომპანიის არსებობას არაფერი ემუქრებოდა თანამშრომლების მხრიდან ზეწოლის გამო. იმავდროულად, უარყოფითად შეაფასა საკასაციო სასა-

155 იქვე, §71-72.

156 იქვე, §73.

მართლოს პოზიცია, რომელმაც გამართლებულად მიიჩნია თანამშრომელთა შიში და საკუთარი გადაწყვეტილება დაამყარა აშკარად მცდარ დაშვებას, რომ განმცხადებლის დაავადება გადამდები იყო. საკასაციო სასამართლომ კომპანიის „შეუფერხებელ ფუნქციონირებას“ მიანიჭა ის მნიშვნელობა, რომელიც თანამშრომლებს სურდათ და ამით ეს დეფინიცია თანამშრომლების სუბიექტურ დამოკიდებულებას გაუთანაბრა¹⁵⁷.

ევროპულმა სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხე სახელმწიფოს პოზიცია იმის თაობაზე, რომ საკასაციო სასამართლო განმცხადებლის სასარგებლოდ ვერ გადაჭრიდა პრობლემას, რადგან დამსაქმებელს შემდეგ მოუწევდა დიდი ოდენობით ხარჯის გაღება, რაც კომპანიის მუშაობის ხანგრძლივ შეფერხებას გამოიწვევდა, ხოლო განმცხადებელს კვლავ მტრულ გარემოში მოუწევდა ყოფნა. სასამართლოს განმარტებით, არასწორი და გაუმართლებელია სპეკულაციური მიდგომა საკითხისადმი, როგორი დამოკიდებულება ექნებოდათ კომპანიის თანამშრომლებს, თუ საკასაციო სასამართლო ძალაში დატოვებდა დაბალი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებას, ამასთან, თუ საბერძნეთში იარსებებდა კანონმდებლობა ან მყარად დამკვიდრებული პრეცედენტული სამართალი სამუშაო ადგილზე აივ-დადებითი ადამიანების დაცვის თაობაზე¹⁵⁸.

შედეგად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა მე-8 მუხლთან ერთობლიობაში.

საქმეზე *Izzettin Dogan and Others v. Turkey* განმცხადებლები იყვნენ ალევზიმის მიმდევრები, რომლებსაც თურქეთის ხელისუფლებამ უარი უთხრა საჯარო რელიგიური მსახურების უზრუნველყოფაზე. კერძოდ, ისინი ითხოვდნენ ხელისუფლების მხრიდან რელიგიური მსახურების უზრუნველყოფას საჯარო მსახურების ფორმით, *cemevis*-სთვის სალოცავი ადგილის სტატუსის მინიჭებას, ალევზიმის რელიგიური ლიდერების აღიარებას და საჯარო მოსამსახურის სტატუსის მინიჭებას, ბიუჯეტში ალევზიმის ლოცვებისათვის სუბსიდიების გათვალისწინებას. აღნიშნულ საკითხებზე ხელისუფლების უარი მათ გაასაჩივრეს სასამართლოში. ეროვნულმა სასამართლოებმა ეს მოთხოვნები არ დააკმაყოფილეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განმცხადებლები მიუთითებდნენ კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევაზე მე-9 მუხლთან კავშირში, რამდენადაც, მათი აზრით, ალევზიმის მიმდევრები ნაკლებად ხელსაყრელ მდგომარეობაში იყვნენ ვიდრე ისლამის სუნიტური მიმდინარეობის წევრები.

157 იქვე, §88.

158 იქვე, §89.

ევროპულმა სასამართლომ, არაერთი სხვა საქმის მსგავსად, აღნიშნა, რომ ალევის მორწმუნეთა მიერ საკუთარი აღმსარებლობის თავისუფლებით სარგებლობა დაცულია კონვენციის მე-9 მუხლით¹⁵⁹. საქმეზე *Hasan and Eylem Zengin v. Turkey*, (№1448/04, 09.10.2007, §66) მითითებით, გაიშრობა: „... ალევებში არის რელიგიური აღმსარებლობა ღრმა ფესვებითა და ისტორიით თურქულ საზოგადოებაში, და მას გააჩნია მისთვის დამახასიათებელი ნიშნები ... ეს არ არის სექტა ან „რწმენა“, რომელსაც არ აქვს სათანადო აღიარება, წარმომადგენლობა, სიმტკიცე და მნიშვნელოვნება“.

სასამართლომ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ევროპაში არ არსებობს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობის უნივერსალური მოდელი. სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ თავისუფალი შეფასების ფარგლებში სხვადასხვა რელიგიურ საზოგადოებასთან თანამშრომლობის ფორმების შესარჩევად. იგივე შეეხება საჯარო სერვისის მიწოდების რეგულირებას სხვადასხვა სფეროში¹⁶⁰. იმავდროულად, „...დომინანტ რელიგიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას შეიძლება მრავალი ფორმა ჰქონდეს კონტექსტის გათვალისწინებით. თუმცა მე-9 მუხლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად თითოეული სისტემა უნდა მოიცავდეს შესაბამის გარანტიებს რელიგიის ინდივიდუალური თავისუფლებისათვის ... მართალია, რელიგიის თავისუფლება არ მოითხოვს ხელშემკვრელი სახელმწიფოებისაგან გარკვეული სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას, რომელიც რელიგიურ საზოგადოებებს სპეციალური პრივილეგიების მატარებელ სტატუსს მიანიჭებდა, თუმცა ამგვარი სტატუსის მიმნიჭებელი ვალდებულება, დაიცვას ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი და უზრუნველყოს, რომ რელიგიურ საზოგადოებებს ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობა, მოიპოვონ ეს სტატუსი, ხოლო შესაბამისი კრიტერიუმების მისადაგება იყოს არადისკრიმინაციული ხასიათის“¹⁶¹.

სასამართლოს განმარტებით, თურქეთში რელიგიის სამართლებრივი აღიარება უკავშირდება მნიშვნელოვან სარგებელს რელიგიური დემონინაციებისათვის. ამ სტატუსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი არის საჯარო მსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა. ამ თვალსაზრისით, რელიგიის საქმეთა დეპარტამენტის მიერ აღიარებული მუსლიმური მიმდინარეობა უზრუნველყოფილია საჯარო მსახურებით, რომლისთვისაც გამოიყოფა თანხები სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ეს საშუალებას იძლე-

159 *Sinan Işık v. Turkey*, app. №21924/05, (ECtHR 02.02.2010), §46; *Mansur Yalçın and Others v. Turkey*, app. №21163/11, (ECtHR, 16.09.2014), §§71, 74.

160 *Izzettin Dogan and Others v. Turkey*, app. №62649/10, (ECtHR, 26.04.2016), §62.

161 იქვე, §§63, 64.

ვა, ჩატარდეს მუსლიმურ რელიგიასთან დაკავშირებული მრავალი რელიგიური აქტივობა¹⁶². ამის საპირისპიროდ, განმცხადებლები მოკლებულნი იყვნენ აღნიშნულ შესაძლებლობებს იმ საფუძვლით, რომ მათი რწმენა ეროვნული ხელისუფლების მიერ მიჩნეული იყო „სუფის წესრიგად“¹⁶³.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, რამდენად ემსახურებოდა განსხვავებული მოპყრობა ლეგიტიმურ მიზანს და იყო თუ არა ამ მიზნის მიღწევის პროპორციული საშუალება.

მოპასუხე სახელმწიფომ განსხვავებული მოპყრობის ლეგიტიმურ მიზნად დაასახელა სეკულარიზმის პრინციპის დარღვევის რისკი საკანონმდებლო და რელიგიური წესების დადგენას შორის ბალანსის დარღვევით.

ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ის აღიარებს სეკულარიზმის პრინციპის მნიშვნელობას თურქულ კონსტიტუციურ წესრიგში. როდესაც რელიგიის სფეროში უნდა შეფასდეს სახელმწიფოს ქმედების თავსებადობა კონვენციის მუხლებთან, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ისტორიული კონტექსტი და სადავო რელიგიის კონკრეტული მახასიათებლები. შესაბამისად, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური საფუძვლები კონკრეტული დენომინაციისათვის გარკვეული სისტემის უზრუნველსაყოფად. ამან ასევე შეიძლება გარკვეულ სიტუაციებში გამართლოს განსხვავებული მოპყრობა და რელიგიურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმების გამოყენება¹⁶⁴.

მოცემულ შემთხვევაში განსხვავებული მოპყრობის გამამართლებელი მთავარი არგუმენტი ეფუძნებოდა თეოლოგიურ დებატს იმის შესახებ, თუ რა ადგილი ეჭირა ალევინის რწმენას მუსლიმურ რელიგიაში. სასამართლომ ამავე საქმეზე დაადგინა, რომ ამგვარი მიდგომა შეუსაბამო იყო სახელმწიფოს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულებასთან და აშკარად კვეთდა სახელმწიფოს თავისუფალი შეფასების ფარგლებს, თავად აირჩიოს სხვადასხვა რწმენის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ფორმები.

სასამართლოს განმარტებით, განმცხადებლებისა და იმ ადამიანების მდგომარეობას შორის, რომლებიც სარგებლობდნენ რელიგიური საჯარო მსახურებით, არსებობდა მნიშვნელოვანი დისბალანსი: *cemevis* არ იყო აღიარებული სალოცავ ადგილებად, მათ რელიგიურ ლიდერებს არ ჰქონდათ სამართლებრივი სტატუსი და მათ მიმდევრებს არ შეეძლოთ

162 იქვე, §71.

163 იქვე, §72.

164 იქვე, §75.

საჯარო მსახურებით სარგებლობა. მაშინ, როცა რელიგიის საქმეთა დეპარტამენტის მიერ აღიარებული მუსლიმური რელიგია იყო თითქმის სრულად სუბსიდირებული, არავითარი საჯარო სერვისი არ მიეწოდებოდა ალევზიმის მიმდევრებს. მეტიც, თურქული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა არანაირ მაკომპენსირებელ მექანიზმს ამ უთანასწორობის აღმოსაფხვრელად¹⁶⁵.

შედეგად, სასამართლომ დაადგინა, რომ ალევის საზოგადოების ბლანკეტური გამორიცხვა ზემოაღნიშნული სიკეთეების მიღების შესაძლებლობიდან, ასევე მაკომპენსირებელი ზომების არარსებობა, იყო აშკარად არაპროპორციული დასახელებული მიზნის მისაღწევად. მოსარჩელეთა მიმართ განსხვავებულ მოპყრობას არ ჰქონდა ობიექტური და გონივრული გამართლება.

საქმეზე *Cusan and Fazzo v. Italy*¹⁶⁶ განმცხადებლები იყვნენ მეუღლეები, რომლებსაც სურდათ ახალშობილი შვილის დარეგისტრირება შესაბამის უწყებაში დედის გვარით. მათ ამ მოთხოვნაზე უარი მიიღეს, რადგან იტალიის კანონმდებლობის მიხედვით, ქორწინებაში დაბადებულ ბავშვებს, დაბადებისას ეძლეოდათ მამის გვარი. კანონმდებლობა აღნიშნული წესიდან გამონაკლისს არ ითვალისწინებდა მაშინაც კი, როცა მეუღლეები თანხმდებოდნენ ბავშვისთვის დედის გვარის მინიჭების თაობაზე. თუმცა ეროვნული სამართალი უშვებდა პირის გვარის შეცვლის შესაძლებლობას. ასევე, წინამდებარე საქმეში მომჩივნებს შვილისთვის დედის გვარის დამატების უფლება მიეცათ.

განმცხადებლები მიუთითებდნენ კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევაზე მე-8 მუხლთან ერთობლიობაში. მათი აზრით, ადგილი ჰქონდა მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირების (ბავშვის მამის და დედის) მიმართ განსხვავებულ მოპყრობას. კერძოდ, მამისგან განსხვავებით, დედისთვის შეუძლებელი იყო საკუთარი გვარი გადაეცა ახალშობილისთვის მეუღლის თანხმობის შემთხვევაშიც კი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე მიუთითა გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე¹⁶⁷. სასამართლოს რელევანტური პრაქტიკის მიხედვით, ტრადიციას, რომლის თანახმადაც ოჯახის ერთიანობა გამოიხატება მისი ყველა წევრისთვის მამის გვარის

165 იქვე, §80.

166 *Cusan and Fazzo v. Italy*, app. №77/07, (ECtHR, 07.01.2014).

167 *Burghartz v. Switzerland*, app. №16213/90, (ECtHR, 22.02.1994); *Ünal Tekeli v. Turkey*, app. №29865/96, (ECtHR, 16.11.2004); *Losonci Rose and Rose v. Switzerland*, app. №664/06, (ECtHR, 09.11.2010).

მიცემაში, არ შეუძლია გაამართლოს ქალების წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაცია.

მოცემულ საქმეზეც სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვებისთვის მამის გვარის მინიჭების ბლანკეტური წესი (გამონაკლისის გარეშე, მეუღლეთა მხრიდან ალტერნატიული ერთობლივი ნების არსებობის მიუხედავად) იყო არაგონივრულად მკაცრი და ეფუძნებოდა სქესის ნიშნით დისკრიმინაციას.

დადგინდა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა მე-8 მუხლთან ერთობლიობაში.

ანალოგიურად საქმეში *Unal Tekeli v. Turkey* განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ კანონმდებლობა, რომელიც ქალს ავალდებულებდა ქორწინების შემდეგ მეუღლის გვარი ეტარებინა, იყო დისკრიმინაციული. მართალია, ქალს ჰქონდა უფლება, ქმრის გვართან ერთად საკუთარი ქალიშვილობის გვარიც ეტარებინა, თუმცა, რადგან მას, მამაკაცისგან განსხვავებით, ევალებოდა მეუღლის გვარის ტარებაც, სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაცია სქესის ნიშნით.¹⁶⁸

საქმეში *Glor v. Switzerland* განმცხადებელი ვალდებული იყო სამხედრო სამსახურის მოუხდელობის სანაცვლოდ გადაეხადა გადასახადი. ეროვნული კანონმდებლობით გადასახადის გადახდა ევალებოდა სამხედრო სამსახურისთვის ვარგის ყველა პირს, რომელიც არ მოიხდიდა სამხედრო სამსახურს. გადასახადისგან თავისუფლდებოდნენ პირები, რომლებსაც შესაძლებლობები 40%-მდე ჰქონდათ შეზღუდული ან რწმენის გამო უარს აცხადებდნენ სამხედრო სამსახურზე. ამ უკანასკნელთ ევალებოდათ „სამოქალაქო სამსახურის“ მოხდა.

განმცხადებელი დაავადებული იყო დიაბეტით, რის გამოც ის სამხედრო სამსახურისთვის უვარგისად ცნეს, თუმცა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აღწევდა შეზღუდული შესაძლებლობების იმ ზღვარს, რომელიც საკმარისი იქნებოდა გადასახადის გადახდისგან გასათავისუფლებლად. განმცხადებელი მზად იყო „სამოქალაქო სამსახური“ მოეხადა, მაგრამ ამაზე უარი უთხრეს. შედეგად, ის ვერ მიდიოდა ჯარში ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მაგრამ ვალდებული იყო გადაეხადა კანონით გათვალისწინებული გადასახადი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო, სათანადო საფუძვლის გარეშე, განმცხადებელს ეპყრობოდა იმ პირების მსგავსად, რომლებმაც უარი თქვეს სამხედრო სამსახურის მოხდაზე. კერძოდ, განმცხადებელს ჯანმრთელობის მდგომარეობის

168 *Unal Tekeli v. Turkey*, app. №29865/96 (ECtHR, 16.11.2004).

გამო (კონვენციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული „სხვა ნიშანი“) არ შეეძლო სამხედრო სამსახურის მოხდა. თუმცა კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა გამონაკლისს იმ პირებისთვის, რომლებსაც, მართალია, არ ჰქონდათ 40%-მდე შეზღუდული შესაძლებლობები, მაგრამ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლეოდა სამხედრო სამსახურის გავლის შესაძლებლობას. ასეთ პირებს კანონმდებლობა არ სთავაზობდა ალტერნატიული სამოქალაქო სამსახურის მოხდის საშუალებას და იმ პირთა მსგავსად, რომლებიც უარს ამბობდნენ სამხედრო სამსახურზე, აკისრებდა გადასახადის გადახდას. შედეგად, დადგინდა დისკრიმინაციული მოპყრობა¹⁶⁹.

1.5. დისკრიმინაციის სახეები

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი დისკრიმინაციის აკრძალვის ზოგადი დებულების დეკლარირებით, ცხადია, კრძალავს ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას და იცავს ადამიანებს მისი (დისკრიმინაციის) ყველა გამოვლენისგან.

1.5.1. პირდაპირი დისკრიმინაცია და არაპირდაპირი/ირიბი დისკრიმინაცია

პირდაპირი დისკრიმინაცია გულისხმობს როგორც არსებითად თანასწორი პირების მიმართ თვითნებურ, გაუმართლებელ განსხვავებულ მოპყრობას, ისე არსებითად არათანასწორი პირების მიმართ თვითნებურ, გაუმართლებელ თანასწორ/ერთნაირ მოპყრობას. მას თვისობრივად სწორედ ასე აღწერს საქართველოს კანონიც „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომლის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება

169 *Glor v. Switzerland*, app. №13444/04, (ECHR, 30.04.2009).

და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად¹⁷⁰.

არაპირდაპირი დისკრიმინაცია გულისხმობს ისეთ ვითარებას, რომლის დროსაც ფორმით ნეიტრალური მოპყრობა თავისი არსით დისკრიმინაციულია. ის, პირდაპირი დისკრიმინაციის მსგავსად, შეიძლება გამოიხატოს პირების არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებით არსებითად

170 მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება დასახელებული კანონით უფლებაში ჩარევის გამართლების საფუძვლების აშკარად არააკურატულ რეგლამენტირებაზე, რადგან ამ გარემოებას, გარდა სამართლებრივი ფორმულირების წუნისა, შესაძლოა, ნეგატიური გავლენა ჰქონდეს უფლების ფარგლების ინტერპრეტაციაზე. კანონი (მუხლი 2.2.) განსხვავებული მოპყრობის გასამართლებლად (ანუ მისი დისკრიმინაციულობის გამოსარიცხად) ითვალისწინებს რიგი პირობების კუმულატიურად დაკმაყოფილების აუცილებლობას. კერძოდ: 1. ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს; 2. ჰქონდეს ობიექტური და გონივრული გამართლება; 3. უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში; 4. ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერი ასეთი მიზნის მისაღწევად.

მაშასადამე, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი განსხვავებული მოპყრობის გამართლებისთვის ლეგიტიმურ მიზნებად განიხილავს მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზნებს. ერთი მხრივ, ასეთი ჩანაწერი გამორიცხავს ნებისმიერი სხვა ინტერესის (კონსტიტუციით/კანონით დაცული სიკეთის) პოტენციურ ლეგიტიმურ მიზნად განიხილვის შესაძლებლობას, რაც ნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევებში განსხვავებული მოპყრობა თავისთავად დისკრიმინაციული იქნება. ხოლო, მეორე მხრივ, ძალზე სახიფათოა განსხვავებული მოპყრობის გამართლების ძიება ისეთ მყიფე ველზე (სამართლებრივი თვალსაზრისით), როგორიც „ზნეობის დაცვა“.

რაც შეეხება დასახელებული ნორმით გათვალისწინებულ დანარჩენ სამ პირობას, ისინი ერთმანეთის იდენტურია. კერძოდ, მოთხოვნა, რომ „განსხვავებულ მოპყრობას ჰქონდეს ობიექტური და გონივრული გამართლება“, თავისი არსით, გულისხმობს ლეგიტიმური მიზნების არსებობასა და მათ დასაცავად უფლებაში თანაზომიერ ჩარევას. მოთხოვნა, რომ „ჩარევა აუცილებელი იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ასევე მიუთითებს მხოლოდ ისეთ ჩარევაზე, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს გონივრული და ობიექტური გამართლება, რადგან ასეთი საფუძვლის გარეშე ჩარევა თვითნებურია და ვერ იქნება გამართლებული დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამ ფონზე კიდევ უფრო გაუგებრად გამოიყურება კანონმდებლის ბოლო მოთხოვნა, რომ გამოყენებული საშუალებები მიზის მიღწევის თანაზომიერი იყოს, რადგან წინა ორი პირობა სწორედ უფლებაში თანაზომიერი ჩარევის აუცილებლობას ეფუძნება. თუ დებულების – „ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად“ – გრამატიკულ განმარტებას მივყვებით, რჩება შთაბეჭდილება, რომ კანონმდებელი ფორმულირებას – „აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ – უკავშირებს მხოლოდ ლეგიტიმურ მიზნებს და განიხილავს მათ მსაზღვრელად, რაც თავისთავად არასწორია.

კანონმდებელი უფლებაში ჩარევის გამართლების იდენტურ ფორმულირებას გვთავაზობს არაპირდაპირი/ირიბი დისკრიმინაციის განმარტებისას (კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი).

თანასწორ პირებთან შედარებით ან არსებითად არათანაბარ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ გაუმართლებელი თანაბარი მოპყრობით. თუმცა პირდაპირ და არაპირდაპირ დისკრიმინაციას შორის მთავარი განმასხვავებელი არის ის, რომ არაპირდაპირი დისკრიმინაციისას დისკრიმინაციულ შედეგს იწვევს ფორმით ნეიტრალური მოპყრობა (კანონი ან პრაქტიკა). „ამ დროს განსხვავებულია არა თვით მოპყრობა, არამედ ამ მოპყრობის ეფექტი, რომელსაც სხვადასხვაგვარად აღიქვამენ სხვადასხვა ჯგუფს მიკუთვნებული ადამიანები¹⁷¹.

მაშასადამე, თუ პირდაპირი დისკრიმინაცია გამოიხატება თვითნებურ განსხვავებაში, შეზღუდვაში, უპირატესობის მინიჭებაში, არაპირდაპირი დისკრიმინაციის მახასიათებელია ის, რომ მას აქვს ნეიტრალური ხასიათი – ანუ გულისხმობს ზოგად, საერთო წესს/პრაქტიკას და მიზნად არ ისახავს განსხვავებას, შეზღუდვას, უპირატესობის მინიჭებას.

არაპირდაპირი დისკრიმინაციის ასეთი ბუნება განმარტებულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ გაეროს კომიტეტის მიერ, რომლის მიხედვით, არაპირდაპირ დისკრიმინაციასთან გვაქვს საქმე, როდესაც კანონი, პოლიტიკა ან პროგრამა თავად არ გამოიყურება (ჩანს) როგორც დისკრიმინაციული, თუმცა იმპლემენტაციის შედეგად აქვს დისკრიმინაციული ეფექტი¹⁷². ასევე რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კომიტეტის განმარტების თანახმად, კონვენციით გათვალისწინებული დისკრიმინაციის განმარტება სცდება მხოლოდ მის პირდაპირი ფორმით გამოვლინებას და მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ქმედება, ფაქტობრივად, დისკრიმინაციული ეფექტის მქონეა, ანუ გვხვდება დისკრიმინაციის არაპირდაპირი ფორმა¹⁷³.

ევროკავშირის დირექტივების მიხედვითაც, არაპირდაპირია დისკრიმინაცია, როდესაც, ერთი შეხედვით, ნეიტრალური მოპყრობა არათანასწორ შედეგებს იწვევს ცალკეული პირების მიმართ მსგავს სიტუაციაში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და მის მისაღწევად გამოყენებული საშუალებები არის აუცილებელი და პროპორციული¹⁷⁴.

171 სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, ევროპის საბჭო, 2013, გვ. 33.

172 ESCR Committee, General Comment №16: The equal right of men and women to the enjoyment of all economic, social and cultural rights (Art. 3). §13.

173 *L. R. et al v. Slovakia*, Communication №/C/66/D/31/2003 (CERD Committee, 2003), §10.4.

174 Council Directive of 5 July 2006 on the implementation of the principle of equal opportunities

არაპირდაპირ/ირიბ დისკრიმინაციას თვისობრივად ანალოგიურად აღწერს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი¹⁷⁵.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არაპირდაპირი დისკრიმინაცია გულისხმობს შემდეგი ელემენტების კუმულაციას: 1) ეს არის ფორმით ნეიტრალური ფაქტორი (კანონი/დებულება, კრიტერიუმი, პრაქტიკა); 2) რომელიც გარკვეულ პირთა ჯგუფს კომპარატორებთან შედარებით აყენებს არახელსაყრელ მდგომარეობაში; 3) არ აქვს გონივრული და ობიექტური გამართლება.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია „ფორმით ნეიტრალური ფაქტორის“ სწორად შეფასება: როგორც აღინიშნა, ეს არის ისეთი დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა, რომელიც ყველას მიმართ თანასწორად მოქმედებს¹⁷⁶ და, ერთი შეხედვით, თითქოს შეუძლებელია იყოს დისკრიმინაციული. ის (დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა) მიზნად არ ისახავს ვინმეს არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენებას, თუმცა, მიუხედავად ამისა, გარკვეული პირების/პირთა ჯგუფების მიმართ აქვს ნეგატიური ზეგავლენა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით: „მოპყრობებს შორის განსხვავებამ შესაძლოა ზოგადი პოლიტიკის ან ღონისძიების არაპროპორციულად მიკერძოებული ეფექტის ფორმა მიიღოს, რაც რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციაა“¹⁷⁷. „ზოგადი პოლიტიკა ან ღონისძიება, რომელსაც კონკრეტული ჯგუფის მიმართ აქვს არაპროპორციული საზიანო გავლენა, შეიძლება ჩაითვალოს დისკრიმინაციულად,

and equal treatment of men and women in matters of employment and occupation (recast), Article 2(1)(b); Council Directive 2004/113/EC of 13 December 2004 implementing the principle of equal treatment between men and women in the access to and supply of goods and services, Article 2(b).

175 დასახელებული კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: „ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად“.

176 Handbook on European non-discrimination law (European Union Agency for Fundamental Rights, Council of Europe, 2010), 29.

177 *Opuz v. Turkey*, app. №33401/02, (ECtHR, 09.06.2009), §183; *Zarb Adami v. Malta*, app. №17209/02, (ECtHR 20.06.06), §80.

მიუხედავად იმისა, არის თუ არა აღნიშნული პოლიტიკა ან ღონისძიება კონკრეტულად ამ ჯგუფზე მიმართული, თუნდაც არ ხასიათდებოდეს დისკრიმინაციული განზრახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარ პოლიტიკასა თუ ღონისძიებას აქვს „ობიექტური და გონივრული“ დასაბუთება¹⁷⁸.

აღსანიშნავია, რომ არაპირდაპირი დისკრიმინაცია უმეტესად ვლინდება არსებითად არათანასწორი პირობების მიმართ თანასწორი მოპყრობის ფორმით. შესაბამისად, ხშირად ის (არაპირდაპირი დისკრიმინაცია) სწორედ ასეთივე შინაარსით (არსებითად არათანასწორი პირობების მიმართ თანასწორი მოპყრობის) განიმარტება.

საქმეზე *Thlimmenos v. Greece* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-14 მუხლი ირღვევა არა მარტო მაშინ, როდესაც მსგავს სიტუაციაში მყოფ პირებს განსხვავებულად ეპყრობიან, არამედ მაშინაც, როდესაც სახელმწიფო ობიექტური და გონივრული გამართლების გარეშე განსხვავებულად არ ეპყრობა განსხვავებულ მდგომარეობაში მყოფ პირებს.¹⁷⁹ აღნიშნულ საქმეზე ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, ნასამართლევ პირებს ეკრძალებოდათ, დაუფლებოდნენ სერტიფიცირებული ბუღალტრის პროფესიას, რადგან ნასამართლობა გულისხმობს სანდოობის (რაც ამ პროფესიისთვის უპირობოდ მოთხოვნილია) ნაკლებობას. განმცხადებელი იყო იეჰოვას მოწმე, რომელიც სასჯელს იხდიდა სამხედრო სამსახურისას სამხედრო ფორმის ტარებაზე უარის თქმის გამო, პაციფისტური რწმენის მიზეზით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ უსაფუძვლო და გაუმართლებელი იყო პირებისთვის ამა თუ იმ პროფესიის მიღების აკრძალვა მაშინ, როდესაც მათი მსჯავრდების საფუძველი/მიზეზი არავითარ კავშირში არ იყო მათ არაკეთილსინდისიერებასა თუ არასანდოობასთან. ვინაიდან მთავრობამ ვერ შეძლო ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისების უზრუნველყოფა, დადგინდა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი მე-9 მუხლთან¹⁸⁰.

ასეთი მიდგომა სასამართლომ არაერთგზის გაიმეორა სხვა საქმეებზეც: „დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება ირღვევა, როდესაც სახელმ-

178 *D.H. and Others v. the Czech Republic*, app. №57325/00, (ECtHR (GC), 13.11.07), §184; *Biao V. Denmark*, app. №38590/10, (ECtHR, 24.05.2016), §91;103; *Kurić and Others v. Slovenia*, app. №26828/06, (ECtHR (GC), 12.03.2014); *Izzettin Dogan and Others v. Turkey*, app. №62649 /10, (ECtHR 26.04.2016), §57.

179 *Thlimmenos v. Greece*, app. №34369/9, (ECtHR, 06.04.2000), §44.

180 *Thlimmenos v. Greece*, app. №34369/97, (ECtHR, 06.04.2000).

წიფოები ვერ ახერხებენ ადამიანებს განსხვავებულად მოეპყრონ, როცა მათი მდგომარეობა არსებითად სხვადასხვაა¹⁸¹.

მაშასადამე, არაპირდაპირი დისკრიმინაცია ძირითადად არის იმის შედეგი, რომ სახელმწიფო პოზიტიურ ვალდებულებას არ ასრულებს იმ პირებთან მიმართებით, ვისაც ეს სჭირდება.¹⁸² არაპირდაპირი დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად უმნიშვნელოვანესია განსხვავებების გათვალისწინება და შესაბამისი წესის თუ პრაქტიკის სათანადოდ დარეგულირება/კომპენსირება.

ნეიტრალური კანონის/ნორმის დისკრიმინაციულობის შეფასება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, კონსტიტუციით აკრძალულია როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი დისკრიმინაცია. სასამართლოს განმარტებით: „დისკრიმინაცია არის არა მარტო ისეთი შემთხვევა, როდესაც საჯარო ხელისუფლების მოქმედება პირდაპირ ისახავდა მიზნად პირის ან პირთა ჯგუფის დისკრიმინაციას, არამედ ისეთიც, რომელსაც შედეგად მოჰყვა მათი *de facto* დისკრიმინაცია“¹⁸³. „კანონის წინაშე თანასწორობის მოთხოვნის დარღვევის დადგენისას არ არის სავალდებულო, რომ უთანასწორო სამართლებრივი მდგომარეობის შექმნა არის შესაბამისი ნორმის მიმღები ორგანოს მიზანი. ამ შემთხვევაში, მთავარია არა კანონმდებლის განზრახვა, არამედ რეალური შედეგი“¹⁸⁴.

შესაბამისად, თანასწორობის უფლებასთან მიმართებით შეფასებას ექვემდებარება თავისი შინაარსით ნეიტრალური კანონიც – ნორმა, რომლის რეგულირების უშუალო საგანს და მიზანს არ წარმოადგენს პირთა ჯგუფის არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება. „კანონის ნეიტრალური ბუნება თავისთავად და ყოველთვის არ გამოდგება იმის უპირობოდ

181 *Pretty v. the United Kingdom*, app. №2346/02, (ECtHR, 29.04.2002), §88.

182 Handbook on European non-discrimination law (European Union Agency for Fundamental Rights, Council of Europe, 2010), 29.

183 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბურაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ*, II, 25.

184 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება №2/1-392 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 6.

სამტკიცებლად, რომ მისი ნეიტრალობა აბსოლუტურად გამორიცხავს გაუმართლებელ დიფერენციაციას¹⁸⁵.

საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ სადავო ნორმა ადგენდა სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდის ზოგად ვალდებულებას. მოსარჩელები წარმოადგენდნენ „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ მქონე პირებს, რომლებიც თვლიდნენ, რომ სადავო ნორმა იწვევდა რწმენის ნიშნით მათ დისკრიმინაციას. სადავო ნორმის კონსტიტუციის მე-14 მუხლთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით შემოწმებისთვის, სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა საკითხი იმის თაობაზე, ნორმა, მისი ნეიტრალური ბუნებიდან გამომდინარე, იძლეოდა თუ არა ამ თვალსაზრისით შეფასების შესაძლებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ნებისმიერი ნორმა, მისი რეგულირების საგნისა და მიზანმიმართულების მიუხედავად, პოტენციურად შეფასებადია დისკრიმინაციულობის თვალსაზრისით, თუ ის პირდაპირ ან არაპირდაპირ იწვევს არსებითად თანასწორი პირების მიმართ არათანაბარ მოპყრობას (ან პირიქით). სასამართლოს განმარტებით: „ცხადია, კანონები (ნორმები) სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის თაობაზე ზოგადი და ნეიტრალურია, მათი მიზანი კონკრეტული რელიგიური ან სხვა უმცირესობების შევიწროება არ არის. სადავო ნორმაც, ამ თვალსაზრისით, ნეიტრალურია – მისი მიზანია ზოგადად სარეზერვო სამსახურის მოხდის ვალდებულების დადგენა, ის ... საერთოდ არ არის მიმართული რწმენის თავისუფლებასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირებისკენ, ანუ თავისი არსითა და დანიშნულებით ნეიტრალურია რწმენის (რელიგიის) მიმართ. თუმცა ნიშანდობლივია, რომ ის, იმავდროულად, მნიშვნელოვან ტვირთს აკისრებს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირებს, რადგან ისევე როგორც ყველა მოქალაქეს, მათაც უდგენს სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდის ვალდებულებას. კანონმდებლობის დანარჩენი მიზანმიმართულებაც ამაზევე მიუთითებს. ... იმავდროულად, კანონის ყველას მიმართ თანაბრად გამოყენება ყოველთვის არ მეტყველებს მის სამართლიანობაზე ... ზოგადი დანიშნულების კანონი შეიძლება არაპირდაპირ დისკრიმინაციული იყოს, რადგან ის ადამიანთა განსაზღვრულ ჯგუფს, დანარჩენებთან შედარებით, აკისრებდეს გაცილებით მძიმე ტვირთს. აქედან გამომდინარე,

185 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/477 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 64.

დაუშვებელია იმის თქმა, რომ *prima facie* უნდა გამოირიცხოს ზოგადი და ნეიტრალური კანონების შეფასების შესაძლებლობა თანასწორობის უფლებასთან მიმართებით. ... ნათელია, რომ კანონი, რომელიც პირდაპირი ჩანაწერით (გზით), სიტყვასიტყვით აკრძალავს კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის გამოვლენის შესაძლებლობას და დაავალდებულებს პირებს, მათი რწმენის გაუთვალისწინებლად, სხვა მოქალაქეების მსგავსად მოიხადონ სამხედრო სავალდებულო სამსახური, ანუ კანონი, რომლის უშუალო მიზანიც არის კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირთა სხვა მოქალაქეებთან გათანაბრება სამხედრო სამსახურის მოხდის ვალდებულებასთან მიმართებით, დაარღვევს მათი რწმენის თავისუფლებას. ასევე ლოგიკურია, რომ კანონი, რომელიც არაპირდაპირი გზით იდენტური შედეგის მომტანია, დამოუკიდებლად იმისა, რომ მისი რეგულირების საგანი და უშუალო მიზანი განსხვავებული რწმენის ადამიანების გათანაბრება არ არის, ასევე არღვევს ადამიანის უფლებას რწმენის გამოვლენაზე¹⁸⁶.

1.5.2. შევიწროება, სექსუალური შევიწროება

შევიწროება დისკრიმინაციის სპეციფიური სახეა. ის გულისხმობს შემდეგი გარემოებების ერთობლიობას: 1. პირის მიმართ ხორციელდება არასასურველი მოპყრობა მისთვის დამახასიათებელი რომელიმე ნიშნის გამო; 2. ამგვარი მოპყრობა მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას¹⁸⁷; 3. არასასურველი მოპყრობა შეიძლება გამოიხატოს ვერბალური ან არავერბალური ფორმით, ფიზიკური ქცევით¹⁸⁸.

186 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/477 საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 63-65, 80.

187 Council Directive of 5 July 2006 on the implementation of the principle of equal opportunities and equal treatment of men and women in matters of employment and occupation (recast), Article 2(1)(c); Council Directive 2004/113/EC of 13 December 2004 implementing the principle of equal treatment between men and women in the access to and supply of goods and services, Article 2(c); Council Directive 2000/43/EC of 29 June 2000 implementing the principle of equal treatment between persons irrespective of racial or ethnic origin, Article 2(3).

188 Council Directive of 5 July 2006 on the implementation of the principle of equal opportunities and equal treatment of men and women in matters of employment and occupation (recast), Article 2(1)(d); Council Directive 2004/113/EC of 13 December 2004 implementing the principle of equal treatment between men and women in the access to and supply of goods and services, Article 2(d).

პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციისგან განსხვავებით, შევიწროება არ მოითხოვს შესაძარებელი პირების დადგენას¹⁸⁹.

შევიწროება შეიძლება გამოიხატოს შემდეგ ფორმებში: მიუღებელი კომენტარები (მაგალითად, ადამიანის კანის ფერის ან ეთნიკური მახასიათებლების, რწმენის შესახებ; სტერეოტიპების გამოხატვა პირის წარმომავლობის ან დაბადების ადგილის თაობაზე), ჰომოფობიური სიტყვების, ეპითეტების, ფრაზების გამოყენება, შეურაცხმყოფელი ხუმრობა, არასასიამოვნო მზერა, პირის იზოლირება, არასასურველი ფიზიკური კონტაქტი¹⁹⁰.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციისა და ძალადობის ფორმად განიხილება „სექსუალური შევიწროება“. ის განიმარტება, როგორც „არასასურველი ქცევა, რომელიც უკავშირდება პირის სქესს და მიზნად ისახავს მისი ღირსების შელახვას, ან მისთვის დამაშინებელი, დამაცინებელი, მტრული, დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას¹⁹¹. სექსუალური შევიწროება ასევე არის განმარტებული და აკრძალული „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით¹⁹².

სექსუალურ შევიწროებად შეიძლება ჩაითვალოს: სექსუალური შინაარსის შემცველი წერილების, შეტყობინების ან გამოსახულების გაგზავნა; შეურაცხმყოფელი კომენტარები სხეულის ნაწილებთან დაკავშირებით; შეხება, რომელიც პირს დისკომფორტს უქმნის და ა.შ. ის შეიძლება გამოიხატოს „რალაცის ნაცვლად“ – *quid pro quo* – ფორმით. მაგალითად, როდესაც პირის დასაქმება ხდება სექსუალური ურთიერთობის შეთავაზებაზე დათანხმების სანაცვლოდ. „სექსუალური შევიწროება მოიცავს ისეთ

189 მნიშვნელოვანია, რომ შევიწროებას განმარტავს და კრძალავს საქართველოს კანონმდებლობაც. კერძოდ, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 3¹ პუნქტის თანახმად: „შევიწროება არის ნებისმიერი ნიშნით პირის დევნა, იძულება ან/და პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას“.

190 Non-Discrimination in International Law: A Handbook for Practitioners (Interights, 2011 Edition), 81.

191 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია), მუხლი 40.

192 დასახელებული კანონის მე-2 მუხლის 3² პუნქტის თანახმად: „სექსუალური შევიწროება არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას“.

მიუღებელ ქცევას, როგორცაა ფიზიკური კონტაქტი და ინიციატივა, სექსუალური ტიპის შენიშვნები, პორნოგრაფიის ჩვენება და სექსუალური ხასიათის მოთხოვნა სიტყვიერად ან ქმედებით. ასეთ ქცევა შეიძლება იყოს დამამცირებელი და პრობლემას ქმნიდეს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის; ის შეიძლება დისკრიმინაციულად ჩაითვალოს: თუ ქალს აქვს გონივრული საფუძველი იმის საფიქრებლად, რომ მისი უარი, სავარაუდოდ, დაბრკოლებას წარმოშობს სამუშაო ადგილთან, მათ შორის, სამსახურში მიღებას ან დაწინაურებასთან დაკავშირებით; ან ეს ქცევა ქმნის მტრულ სამუშაო გარემოს¹⁹³.

1.5.3. ნაგულისხმევი ნიშნით დისკრიმინაცია

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად: „ამ მუხლით განსაზღვრულ პირობებში დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება განხორციელდა“.

ეს დებულება გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც გვხვდება დისკრიმინაციის ყველა ელემენტი იმ სხვაობით, რომ ნიშანი, რომლის გამოც ადგილი ჰქონდა პირის მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას, მას რეალურად არ გააჩნია. დისკრიმინაციის იდენტიფიცირებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ პირის მიმართ ადგილი აქვს დაუსაბუთებელ, აუხსნელ განსხვავებულ მოპყრობას მისი არახელსაყრელ პირობებში ჩაყენების მიზნით ან/და ასეთი შედეგის გამოწვევით. შესაბამისად, თუ პირი არის ასეთი მოპყრობის მსხვერპლი, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ის მართლაც განეკუთვნება თუ არა კონკრეტული ნიშნით იდენტიფიცირებად ჯგუფს.

1.6. პოზიტიური დისკრიმინაცია

„პოზიტიური დისკრიმინაცია“ გულისხმობს ღონისძიებების გატარებას/პირობების შექმნას პირთა ჯგუფებისთვის (დაცული მახასიათებლების მქონე პირები), მათ მიმართ წარსულში დისკრიმინაციული მოპყრობის შედეგად არსებული დისბალანსის აღმოსაფხვრელად/ისტორიული უსამართლობის საკომპენსაციოდ. ამ ვითარების აღსაწერად განსხვავებული ტერმინოლოგია გამოიყენება, როგორცაა: „პოზიტიური“ ან „სა-

193 CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია, №19, პ. 17, 18.

პირისპირო“ დისკრიმინაცია, „პრეფერენციული მოპყრობა“, „დროებითი სპეციალური ღონისძიებები“¹⁹⁴. „ზოგჯერ ამას უწოდებენ „საპირისპირო“ დისკრიმინაციას, რადგან დისკრიმინაციული მოპყრობით სარგებელს იღებს პირი, რომელიც ნაკლებ სახარბიელო მოპყრობას ელოდება, მანამდე არსებული სოციალური ტენდენციიდან გამომდინარე. ზოგჯერ ამას უწოდებენ „პოზიტიურ“ ქმედებას, რადგან ეს არის ქმედება, რომელიც კონკრეტულ მიზნად ისახავს წარსულში არსებული უთანასწორობის გამოსწორებას, ტრადიციულად მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობის ხელშეწყობით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ის კეთილშობილურ მიზანს ემსახურება და არ ეფუძნება გარკვეული ჯგუფების მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას“¹⁹⁵. „ეს არის დროებითი და გამონაკლისი სახის ღონისძიებები იმ ინდივიდთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რომლებიც სხვა შემთხვევაში დისკრიმინირებულნი იქნებოდნენ, ასევე მაგალითის დასამკვიდრებლად, რომ სხვებიც წახალისდნენ და ამგვარადვე მოექცნენ განსხვავებული ნიშნის მქონე ადამიანებს“¹⁹⁶.

მაშასადამე, ეს არის პოლიტიკა (პოზიტიური ქმედება/პრაქტიკა), რომელიც მიმართულია დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე, დისკრიმინაციის არსებული შედეგების გამოსწორებასა და მის სამომავლო პრევენციაზე.

უმნიშვნელოვანესია, „პოზიტიური დისკრიმინაცია“ ინარჩუნებდეს თავსებადობას თანასწორობის უფლების ძირითად არსთან. შესაბამისად, ის უნდა გამოიყენებოდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, სათანადო წინაპირობების არსებობისას, გონივრული დროის განმავლობაში და თავისი არსით პროპორციულ ზომას წარმოადგენდეს. მაშასადამე, ასეთმა ღონისძიებებმა თავად არ უნდა გამოიწვიოს დაუსაბუთებელი, თვითმიზნური განსხვავება უპირატესობის მინიჭების გზით და დაარღვიოს თანასწორობის უფლება.

194 მაგ.: გაეროს კომიტეტი რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, „ზოგადი რეკომენდაცია №32; სპეციალური ღონისძიებების მნიშვნელობა და ფარგლები საერთაშორისო კონვენციაში რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, Un Doc. CERD/C/GC/32, 24.09.2009; გაეროს კომიტეტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, „ზოგადი კომენტარი N13; განათლების უფლება“ Un Doc.E/C. 12/1999/10; 8.12.1999; გაეროს კომიტეტი ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, „ზოგადი რეკომენდაცია №25: კონვენციის მუხლი 4.1. (დროებითი სპეციალური ღონისძიებები)“, Un Doc.A/59/38/(SUPP), 18.03.2004; და სხვა.

195 სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, ევროპის საბჭო, 2013, გვ. 43.

196 იქვე, გვ. 42.

საამისოდ, აუცილებელია: ა) სამიზნე ჯგუფის იდენტიფიცირება, რომელიც წარსულში განიცდიდა/განიცდის დისკრიმინაციას და, ფაქტობრივად, არათანაბარ მდგომარეობაშია კომპარატორ ჯგუფთან მიმართებით; ბ) ღონისძიება ატარებდეს დროებით ხასიათს – გაგრძელდეს მხოლოდ იმდენ ხანს, რამდენიც ობიექტურად საკმარისია კომპარატორების თვისობრივი თანასწორობის მისაღწევად და არ გავრცელდეს იმაზე მასშტაბურად, ვიდრე ეს საჭიროა არსებული უთანასწორობის გამოსასწორებლად. რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კომიტეტის მიხედვით, ამგვარი ღონისძიებები დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი ერთადერთი მიზანია არსებული უთანასწორობის მოსპობა და მომავალში დისბალანსის შექმნის პრევენცია¹⁹⁷; გ) ასეთი ჩარევა უნდა იყოს პროპორციული¹⁹⁸.

მაგალითად, საქმეზე *Andrle v. the Czech Republic* განმცხადებელი (ორი შვილის მამა) ჩიოდა იმის გამო, რომ ჩეხეთის კანონმდებლობით შეუძლებელი იყო საპენსიო ასაკის დაწევა მამაკაცებისთვის, რომლებიც შვილებს ზრდიდნენ, მაშინ, როდესაც ეს უზრუნველყოფილი იყო ქალებისთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე სახელმწიფოს პოზიცია, რომ ასეთი ღონისძიების ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენდა ფაქტობრივი უთანასწორობის შედეგების შემსუბუქება/კომპენსირება, რომელიც ჩეხეთის წარსული გამოცდილებით იყო გამოწვეული, როდესაც ქალები პასუხისმგებელნი იყვნენ ოჯახზე, შვილების აღზრდაზე და იმავდროულად მუშაობდნენ სრულ განაკვეთზე. სასამართლომ მიუთითა, რომ ეროვნული ხელისუფლება უკეთეს პოზიციაში იყო

197 გაეროს კომიტეტი რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, „ზოგადი რეკომენდაცია №32; სპეციალური ღონისძიებების მნიშვნელობა და ფარგლები საერთაშორისო კონვენციაში რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, UN Doc. CERD/C/GC/32, 24.09.2009; §21-26.

198 განსაკუთრებული, სპეციალური ღონისძიებების შემოღების შესაძლებლობას ითვალისწინებს საქართველოს კანონიც „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომლის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად: „დისკრიმინაცია არ არის განსაკუთრებული და დროებითი ღონისძიებები, რომლებიც შემუშავებულია ფაქტობრივი თანასწორობის წასახალისებლად ან მისაღწევად, განსაკუთრებით – გენდერულ, ორსულობისა და დედობის საკითხებში, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ“. მასასადამე, კანონით შექმნილია განსაკუთრებული ღონისძიებების ლეგიტიმაციისთვის საფუძველი. ასეთ ღონისძიებები არ ჩაითვლება დისკრიმინაციად, თუ: ა) ისინი დროებითია; ბ) შემუშავებულია ფაქტობრივი თანასწორობის წასახალისებლად ან მისაღწევად; გ) ამასთან გამოყოფილია განსაკუთრებით რამოდენიმე სეგმენტი: გენდერული, ორსულობისა და დედობის საკითხები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები.

იმის სწორად განსასაზღვრად, როდის გახდებოდა ქალთა არასახარბიელო მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო ეს „პოზიტიური ქმედება“ აშკარად არაპროპორციული ტვირთი მამაკაცებისთვის. მნიშვნელოვანი იყო, რომ ჩვენთვის ხელისუფლება ეტაპობრივად დგამდა კონკრეტულ ნაბიჯებს აღნიშნული „პოზიტიური ქმედებებით“ მამაკაცების მიმართ არათანაზომიერი მოპყრობის გამოწვევის პრევენციისთვის. კერძოდ, კანონმდებლობიდან ამოღებულ იქნა საპენსიო ასაკის დაწვევის მარეგულირებელი ნორმა იმ ქალებისთვის, რომლებსაც ერთი შვილი ჰყავდათ. ამასთან, ხელისუფლებამ საკანონმდებლო პოლიტიკა განავითარა საერთო საპენსიო ასაკის მომატებისკენ იმისგან დამოუკიდებლად, რამდენი შვილი გაზარდა მშობელმა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ხელისუფლების ორგანოთა მიდგომა გონივრულად და ობიექტურად გამართლებულად შეიძლება ჩათვლილიყო იმ დრომდე, ვიდრე სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები ქალებისთვის სპეციალური მოპყრობის საჭიროებას სრულად არ აღმოფხვრიდა. სასამართლომ ჩათვალა, რომ არსებული უთანასწორობის გამოსასწორებლად დახარჯული დრო და გადადგმული ნაბიჯები აშკარად არაგონივრული არ იყო და შესაბამისად, არ სცდებოდა ამ სფეროში სახელმწიფოთა მიხედულების ფარგლებს¹⁹⁹.

1.7. თანასწორობის სპეციალური ნორმები

1.7.1. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ“.

2017 წლის კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად ამ დებულებით ჩანაცვლებულ იქნა საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლი, რომლის თანახმადაც:

„1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი

199 *Andrie v. the Czech Republic*, app. №6268/08, (ECtHR, 17.02.2011).

ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ საკუთარი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას“.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი არის სპეციალური რეგულაცია ორიენტირებული უმცირესობების უფლებების დაცვაზე. კერძოდ, ის ქმნის დამატებით გარანტიებს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობებისთვის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის №2/8/366 განჩინების თანახმად: „დასახელებული მუხლი²⁰⁰ უნდა განვიხილოთ როგორც სპეციალური ნორმა, რადგანაც იგი ადგენს თანასწორობას, როგორც უმცირესობათა უფლებების დაცვის ერთ-ერთ ნორმას“²⁰¹.

ამავე განჩინებაში სასამართლომ გააკეთა „უმცირესობის“ განმარტება, კერძოდ: „უმცირესობა არის სახელმწიფოს დანარჩენ მოსახლეობაზე რიცხობრივად მცირე ჯგუფი, რომელსაც არ უკავია გაბატონებული პოზიცია და რომლის წევრებს ახასიათებთ ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი ნიშნები, რომლებიც მას სხვებისგან განასხვავებენ და გამოხატავს საკუთარი კულტურის, ტრადიციების, რელიგიის ან ენის შენარჩუნებისკენ მიმართულ სოლიდარობის გრძნობას“²⁰². ასეთივე განმარტება გაკეთებულია საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 2 ივნისის განჩინებაშიც №2/10/383²⁰³.

200 იგულისხმება საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 38-ე მუხლი.

201 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის №2/8/366 განჩინება, პ. 4.

202 იქვე.

203 უმცირესობის ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ დეფინიციად მიჩნეულია 1997 წელს დისკრიმინაციის პრევენციისა და უმცირესობების დაცვის საკითხებზე გაეროს ქვეკომიტეტის სპეციალური მომხსენებლის მიერ შემოთავაზებული განმარტება, რომლის მიხედვითაც: „უმცირესობა არის სახელმწიფოს დანარჩენ მოსახლეობაზე რიცხობრივად მცირე ჯგუფი, რომელსაც არ უკავია გაბატონებული პოზიცია და რომლის წევრებს – ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს – ახასიათებთ ეთნიკური, რელიგიური ან

მაშასადამე, ნორმის სუბიექტები არიან მხოლოდ დასახელებულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირები. იმავდროულად, საიმისოდ, რომ ადამიანი ჩაითვალოს უმცირესობის წევრად, ის უნდა ახდენდეს საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ამ უმცირესობასთან.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალვის ზოგადი დებულება უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ზუსტად ისეთივე კონსტიტუციურ გარანტიას წარმოადგენს, როგორც ნებისმიერი ადამიანისთვის, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი მათთვის დამატებით ქმნის სპეციფიური უფლებებით ინდივიდუალურად თუ ერთობლივად სარგებლობის შესაძლებლობას. კერძოდ, კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა არის უმცირესობების თვითმყოფადობის გარანტია, რაც, მათი ეთნოსისა და რელიგიის შესაბამისად, უმრავლესობის თანაბრად, განვითარებისა და ცხოვრების შესაძლებლობას გულისხმობს, ამასთან აძლევს საკუთარი კულტურის შენარჩუნების და განვითარების, ასევე დედაენით ჩვეულებრივად სარგებლობის უფლებას როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საჯაროდ. სწორედ კულტურა, რელიგია და დედა ენა არის უმცირესობების თვითმყოფადობის საძირკველი, მათი იდენტობის შენარჩუნებისა და ამ გზით, არსებობის განმაპირობებელი. სოციალური იდენტობის დაცვის შეუძლებლობის პირობებში, თავისუფალ განვითარებას პერსპექტივა არ აქვს. შესაბამისად, ასეთი გარანტიების არარსებობა თავისთავად გულისხმობს უმცირესობის წარმომადგენელთა გაწირვას არა მხოლოდ დისკრიმინაციისთვის, არამედ მათი ღირსების შელახვისთვისაც.

ამიტომაც ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობებისთვის საგანგებო გარანტიების შექმნა გამყარებულია როგორც კონსტიტუციით, ისე საერთაშორისო ინსტრუმენტებით. მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლის თანახმად: „იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობები, პირებს, რომლებიც ასეთ უმცირესობას განეკუთვნებიან, არ შეიძლება უარი ეთქვათ უფლებაზე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ და აღასრულონ თავიანთი რელიგია, ან გამოიყენონ მათი მშობლიური ენა“.

ენობრივი ნიშნები, რომლებიც მას სხვებისგან განასხვავებს და რომლებიც გამოხატავენ საკუთარი კულტურის, ტრადიციების, რელიგიის და ენის შენარჩუნებისკენ სოლიდარობის გრძობას“ (იხ.: Study on the Rights of Persons belonging to Ethnic, Religious and Linguistic Minorities; Mr. Francesco Capotorti, E/Cn.4/Sub.2/384/Rev.1 (Sales No. E.78XIV.1, New York; United Nations, 1979), §568).

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი განმარტავს, რომ ეს მუხლი უმცირესობების წარმომადგენლებს დამატებით უფლებებს ანიჭებს იმ უფლებების გარდა, რაც ყველა ინდივიდს გააჩნია²⁰⁴.

მაშასადამე, დისკრიმინაციის ამკრძალავი ზოგადი დებულებისგან განსხვავებით, რომელიც ყველა, თითოეული ადამიანისთვის ქმნის გარანტიას, დაცულები იყვნენ დაუსაბუთებელი განსხვავებული მოპყრობისგან საზოგადოებრივი ურთიერთობების ნებისმიერი სფეროში, კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი საგანგებოდ მხოლოდ უმცირესობებისთვის ქმნის კონკრეტულ გარანტიებს: ისარგებლონ თავიანთი კულტურით, რელიგიით, გამოიყენონ მშობლიური ენა. იმავდროულად, ეს დებულება გულისხმობს უმცირესობების წარმომადგენელთა შესაძლებლობას, როგორც დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად, ისე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ ამ უფლებებით²⁰⁵.

მნიშვნელოვანია საკითხი – დასახელებული კონსტიტუციური გარანტიები უნდა შეიქმნას მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეებისთვის თუ ნებისმიერი ადამიანისთვის მოქალაქეობრივი კუთვნილებისგან დამოუკიდებლად?

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი (ისევე, როგორც 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 38-ე მუხლი) მიუთითებს, რომ უმცირესობების ეს უფლებები კონსტიტუციით გარანტირებულია საქართველოს მოქალაქეებისთვის. საქართველოს კონსტიტუციის ტექსტისგან განსხვავებით, გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი ადგენს, რომ ეს არის ყველას და არა მხოლოდ მოქალაქეების უფლება. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის 23-ე ზოგად კომენტარში აღნიშნულია, რომ სახელმწიფომ არ უნდა შეზღუდოს უმცირესობების უფლებებით დაცულ პირთა წრე და ეს უფლებები მხოლოდ მოქალაქეებზე არ უნდა გაავრცელოს²⁰⁶. ამას მიუთითებს ევროსაბჭოს „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციაც, რომელიც ითხოვს სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი უმცირესობების უფლებების დაცვას, მათი მოქალაქეობრივი კუთვნილებისგან დამოუკიდებლად.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციის 38-ე მუხლის განმარტებისას არ მიუთითებს მოქალაქე-

204 UN Human Rights Committee General Comment No. 23; Article 27 (Rights of Minorities), 8.04.1994; CCPR/C/21/Rev.1/Add.5, §1. <http://www.refworld.org/docid/453883fc0.html>.

205 იქვე, §3.1.

206 იქვე, §5.5.

ობაზე, როგორც სავალდებულო პირობაზე²⁰⁷. მართალია, სასამართლოს საგანგებო მსჯელობა არ დასჭირვებია საკითხზე – ვინ არიან უფლების სუბიექტები, მეტიც, შესაძლოა, მისი პირდაპირი განზრახვა არც ყოფილა კონსტიტუციით დასახელებულ პირთა წრის გაფართოვება, თუმცა ფაქტია, რომ შესაბამის განჩინებებში უფლების განმარტებისას, ის არ აღნიშნავს, რომ ეს მხოლოდ მოქალაქეთა უფლებაა.

კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის დაცულობა მოითხოვს სახელმწიფოს მიერ შემხვედრი ვალდებულებების შესრულებას, კერძოდ, მისი ნეგატიური ვალდებულებაა, არ განახორციელოს არც ერთი ქმედება (სამართლის ნორმების მიღების თუ ფაქტობრივი ქმედების გზით), რომელიც მიმართული იქნება უმცირესობების უმრავლესობასთან ასიმილაციისკენ; ხელი არ შეუშალოს და არ შექმნას ხელოვნური დაბრკოლებები უმცირესობებისთვის მათი კულტურის, რელიგიის შენარჩუნებისა და განვითარების, დედაენით სარგებლობის პროცესში. ამასთან, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა: უზრუნველყოს უმცირესობების კულტურის, რელიგიისა და სოციალური იდენტობის გადარჩენა და განვითარება²⁰⁸, მათი ეფექტური ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, უფლებების სრულად რეალიზების მიზნით; კონკრეტული ზომების გატარება უმცირესობების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად²⁰⁹; ასევე, მნიშვნელოვანია, რომ უმცირესობების წარმომადგენლების ინტეგრაციის დაკმაყოფილება ხდებოდეს არა განცალკევებით, არამედ მათი ინტეგრირებით უმრავლესობაში, საზოგადოებაში.

სხვაობა საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტსა და 38-ე მუხლს (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) შორის:

როგორც აღინიშნა, ფუნდამენტური უფლებების მარეგულირებელ კონსტიტუციის დებულებებში ცვლილებების განხორციელებისას მნიშვნელოვანია, გაანალიზდეს თითოეული ცვლილება, რადგან ყოველი მათგანი შეიძლება იყოს გავლენაუნარიანი უფლების ფარგლებზე, მისი დაცვის პერსპექტივებზე. ამ მიზნისთვის შევადაროთ საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 38-ე მუხლს:

207 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის №2/8/366 განჩინება; 2006 წლის 2 ივნისის განჩინება №2/10/383.

208 UN Human Rights Committee General Comment No.23; Article 27 (Rights of Minorities), 8.04.1994; CCPR/C/21/Rev.1/Add.5, §8. <http://www.refworld.org/docid/453883fc0.html>.

209 იქვე, §9.

ა) კონსტიტუციის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება, განსხვავებით მე-11 მუხლის მე-2 პუნქტიდან, დამატებით ამახვილებდა ყურადღებას ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელთა თანასწორობაზე სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ რედაქციულ ცვლილებასთან, რომელიც გავლენას არ ახდენს უფლების ფარგლებზე და თვისობრივად არაფერს ცვლის უფლებით დაცული სფეროს მიზნებისთვის: კონსტიტუციის მე-14 მუხლით (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) დეკლარირებული კანონის წინაშე თანასწორობის უფლება ისედაც მოითხოვდა (ისევე, როგორც მოითხოვს მოქმედი რედაქციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი) საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროში, მათ შორის, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ურთიერთობებში, ყველას თანასწორობას ნებისმიერი ნიშნისგან დამოუკიდებლად. ამ დებულებას სწორედ ასე განმარტავდა (განმარტავს) საკონსტიტუციო სასამართლოც. აქედან გამომდინარე, თანასწორობის უფლების ზოგადი ნორმის ეს მოთხოვნა თავისთავად ვრცელდება სპეციალურ ნორმაზეც, საგანგებო მითითების საჭიროების გარეშე.

ბ) კონსტიტუციის 38-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადება მიუთითებდა, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობებს აქვთ უფლება, თავისუფლად განავითარონ საკუთარი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში თუ საჯაროდ „ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე“. შესაბამისად, დასახელებული დებულება კრძალავდა არა მხოლოდ „ყოველგვარ დისკრიმინაციას“ ამ სფეროში, არამედ „ჩარევასაც“. მოქმედი რედაქციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ასეთ ჩანაწერს არ შეიცავს.

შესაძლოა, აღნიშნული ცვლილება სულაც არ იყოს უმნიშვნელო და მხოლოდ რედაქციული შინაარსის. სიტყვა „ჩარევას“ კონსტიტუციის დებულებაში დამოუკიდებელი მნიშვნელობა ჰქონდა, ის ტერმინის – „დისკრიმინაციის“ – იდენტური შინაარსით ვერ იქნებოდა ჩაწერილი, მით უფრო, რომ მასთან ერთად ეწერა. კონსტიტუციის ტექსტში ერთი და იმავე შინაარსის ასაღწერად ერთდროულად ორი ტერმინის გამოყენებას შეუძლებელია ჰქონდეს სამართლებრივი ახსნა. უფლებაში „ჩარევა“, ცხადია, გაცილებით უფრო ფართო შინაარსის მატარებელია, ვიდრე მხოლოდ დისკრიმინაცია. ეს უკანასკნელი გულისხმობს თანასწორობის უფლებაში დაუსაბუთებელ ჩარევას. თუმცა ნებისმიერი სხვა ჩარევა, რომელიც თა-

ვისი შინაარსით არ არის დისკრიმინაცია, თავისთავად არ გულისხმობს მის უვნებელობას ადამიანის უფლებებისთვის. ამა თუ იმ უფლებაში ნებისმიერი დაუსაბუთებელი (ლეგიტიმური მიზნის გარეშე და არათანაზომიერი) ჩარევა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

შესაბამისად, კონსტიტუციის 38-ე მუხლი საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, აღჭურვავდა უფლებით, განევიტარებინათ საკუთარი კულტურა, ესარგებლათ დედაენით პირად ცხოვრებაში თუ საჯაროდ, არა მხოლოდ დისკრიმინაციის, არამედ ნებისმიერი სხვა შინაარსის ჩარევის გარეშე.

გ) საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლი ყურადღებას ამახვილებდა დასახელებული უმცირესობების მიერ საკუთარი კულტურის „განვითარებაზე“. ცვლილებების შედეგად, კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი საუბრობს უმცირესობების მიერ საკუთარი კულტურის „შენარჩუნებასა და განვითარებაზე“.

მიუხედავად იმისა, რომ კულტურის შემდგომი განვითარება მისი შენარჩუნების გარეშე შეუძლებელია, რაც ნიშნავს, რომ კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქცია, პრინციპში, მოიაზრებდა უმცირესობათა კულტურის შენარჩუნების გარანტიასაც, ვფიქრობ, ამ ტერმინზე დამატებით ყურადღების გამახვილება ურთიერთობათა ასეთ სენსიტიურ სფეროში მეტი დაცულობის განცდას უჩენს უმცირესობებს და განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს სახელმწიფოსგან. ის (ტერმინი) ქმნის საყრდენს, რათა უმცირესობებმა საკუთარი კულტურის შენარჩუნების ბაზაზე დააშენონ განვითარების პერსპექტივები.

დ) კონსტიტუციის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას“. აღნიშნული დებულება არ გვხვდება მე-11 მუხლის მე-2 პუნქტში.

თუმცა ასეთი ჩანაწერის არარსებობა თვისობრივად ვერაფერს ცვლის და არ ზრდის საფრთხეებს ქვეყნის სუვერენიტეტის, სახელმწიფო წყობილების, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობისთვის, რადგან დასახელებული ინტერესების დაცვა/მათი დაურღვევლობა ყველასთვის თანაბრად წარმოადგენს კონსტიტუციურ ვალდებულებას. აღნიშნულ ინტერესებთან პოტენციურად დაპირისპირებული უფლებები ამავე მიზნების დაცვის მოტივით შეიძლება შეიზღუდოს, რადგან ასეთია ზოგადად კონსტიტუციური წესრიგი.

1.7.2. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონით თანასწორობის უფლების მარეგლამენტირებელ დებულებას, არაერთ ცვლილებასთან ერთად, დაემატა სპეციალური ნორმა (მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი), რომლის თანახმად: „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად“.

იმ პირობებში, როდესაც კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი კრძალავს დისკრიმინაციის ნებისმიერ გამოვლენას, მათ შორის, სახელდებით აკონკრეტებს სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობას, რაც თავისთავად აჩენს სახელმწიფოს შესაბამის ვალდებულებებს, მნიშვნელოვანია ამ დებულების საგანგებოდ დამატების აუცილებლობის და მიზნობრიობის გაანალიზება.

ქალისა და მამაკაცის მეტი თანასწორობის მისაღწევად და დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად წლების განმავლობაში სახელმწიფოების ძალისხმევის, მათ შორის, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე გადამწყვეტი, შესაბამისი ზომების გატარების მიუხედავად, ფაქტია, რომ დღემდე თვალშისაცემია დისბალანსი საზოგადოებრივი ურთიერთობების სხვადასხვა სფეროში ქალების საზიანოდ. აღსანიშნავია, რომ ხშირად, ამ თვალსაზრისით, სათანადო კანონმდებლობის მიღება საგრძნობი გარდატეხის უზრუნველმყოფელი და ეფექტური ვერ არის, რადგან სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალებსა და მამაკაცებს შორის ბუნებრივი წონასწორობის მიუღწევლობა უმეტესად საზოგადოების სტერეოტიპებისა და ქვეყნის კულტურული ფაქტორების უშუალო შედეგია.

იმავედროულად, უდავოა, რომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქალებს შეეძლოთ საოჯახო და საზოგადოებრივი ცხოვრების, მათ შორის, სამსახურებრივი საქმიანობის, დაბალანსება, მათთვის სასურველი პროფესიით მუშაობა და კარიერული განვითარება, შრომის ადეკვატური ანაზღაურების მიღება მამაკაცების თანასწორად, პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტი ინტეგრირება, პოლიტიკური კარიერის აწყობა და ა.შ.

შესაბამისად, არაერთი ქვეყნის კონსტიტუციით, თანასწორობის ზოგადი უფლების აღიარების პარალელურად, შეიქმნა სპეციალური დებუ-

ლებები, რომლებმაც დამატებითი კონსტიტუციური ვალდებულებებით შეზღუდეს ხელისუფლებები²¹⁰. საქართველოს შემთხვევაშიც, რაც სფეროებში ქალების ფაქტობრივი მდგომარეობის ნეგატიური ტენდენციების შენარჩუნებამ დღის წესრიგში დააყენა დამატებითი პოზიტიური ქმედებების განხორციელების შესაძლებლობისა თუ ვალდებულებისთვის გარანტიების შექმნის აუცილებლობა. ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი ქმნის ლეგიტიმურ პლატფორმას ე.წ. „პოზიტიური ღონისძიებების“ განხორციელებისთვის, რაზეც არაორაზროვნად მიუთითებს დებულება, რომლის თანახმად, „სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს“ საიმისოდ, რომ უზრუნველყოს ქალების და კაცების „არსებითი თანასწორობა“ და აღმოფხვრას უთანასწორობა.

იმავედროულად, მნიშვნელოვანია, ამ ნორმამ პრაქტიკაში ჰპოვოს სწორი იმპლემენტაცია, სახელმწიფოს პოზიტიური ქმედებები, ერთი მხრივ, საკმარისი იყოს დასახული მიზნების უზრუნველსაყოფად, ხოლო, მეორე მხრივ, თავად არ გახდეს საეჭვო დისკრიმინაციულობის თვალსაზრისით. სწორედ დისკრიმინაციის გამოწვევის გამოსარიცხად კონსტიტუცია მიუთითებს ტერმინზე – „არსებითი თანასწორობა“, რაც ნიშნავს, რომ კონსტიტუცია ვერ იქნება/არ უნდა იყოს ტოლერანტული უნარების და შესაძლებლობების გაუთვალისწინებლად მექანიკური თანასწორობის მიღწევის მცდელობების მიმართ.

კონსტიტუციის დასახელებული ნორმა, წარმოადგენს რა საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების გზაზე გადადგმული ნაბიჯების ერთგვარ ასახვას, ამავე ინსტრუმენტების მეშვეობით, უნდა ჰპოვოს მიზნობრივი რეალიზაცია, მათ შორის, სათანადო საკანონმდებლო გარანტიების შექმნის გზით.

კერძოდ, აღსანიშნავია, რომ საქართველო ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის (CEDAW) ხელმომწერი სახელმწიფოა²¹¹. კონვენცია კრძალავს ქალთა დისკრიმინაციას და სახელმწიფოებს ავალდებულებს, შესაბამისი პოლიტიკა სისრულეში მოიყვანონ ყველა შესაძლო საშუალებით, გადადგან ეფექტური ნაბიჯები დისკრიმინაციული პრაქტიკის, კანონმდებლობისა და წესების

210 მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „ქალებსა და მამაკაცებს თანაბარი უფლებები აქვთ. სახელმწიფო ხელს უწყობს ქალებისა და მამაკაცების თანაბარუფლებიანობის რეალურ დამკვიდრებას და ზრუნავს არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად“.

211 კონვენცია მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1979 წლის 18 დეკემბერს, ძალაშია 1981 წლის 3 სექტემბრიდან; საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 1994 წლის 22 სექტემბრის №561 დადგენილებით.

ეროვნულ დონეზე აღმოსავლურად. კერძოდ, კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად: „მონაწილე სახელმწიფოები ყველა დარგში, და კერძოდ, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ დარგებში, მიიღებენ ყველა შესაბამის ზომას, მათ შორის, საკანონმდებლოსაც, ქალთა ყოველმხრივი პროგრესისა და განვითარების უზრუნველსაყოფად, რათა მამაკაცებთან თანასწორ საფუძველზე უზრუნველყოფილი იყვნენ ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების განხორციელებითა და სარგებლობით“. მე-5 მუხლი მოითხოვს სახელმწიფოებისგან, მოხდეს ცნობიერების ამაღლება და არსებული სტერეოტიპების აღმოფხვრა. მე-7-მე-16 მუხლებში ჩამოთვლილია სფეროები, რომლებშიც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქალისა და კაცის თანასწორობის უზრუნველყოფას. კერძოდ, ეს სფეროებია: პოლიტიკური და საჯარო ცხოვრება, საერთაშორისო დონეზე წარმომადგენლობა, მოქალაქეობა, განათლება, დასაქმება, შრომითი ურთიერთობები, ჯანდაცვა, ეკონომიკური და სოციალური სფეროები, საოჯახო ურთიერთობები.

საქართველომ ასევე მოახდინა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება (2017 წლის 19 მაისი), რამაც დღის წესრიგში დააყენა როგორც შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მიღების, ისე მისი ეფექტური აღსრულების ღონისძიებების გატარების აუცილებლობა.

წინამდებარე წიგნის ამოცანა არ არის, ამ თვალსაზრისით გააანალიზოს საქართველოს რელევანტური კანონმდებლობა. ყურადღებას დაუთმობთ მხოლოდ რამოდენიმე საკითხს, რათა ცხადი გახდეს, რომ კანონმდებლობაში პოზიტიური ძვრების მიუხედავად, არაერთი პრობლემა ჯერ კიდევ ელის სათანადო საკანონმდებლო მოწესრიგებას. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია სპეციალური კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ (2010 წლის 26 მარტი), რომლის მიზანია: უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას (მუხლი 2), უნდა აღინიშნოს, რომ ის (კანონი) უფრო მეტად დეკლარაციული ხასიათისაა და მნიშვნელოვნადაა მოკლებული მისი ეფექტური ქმედითობის რეალურ მექანიზმებს. მართალია, მკაფიოა კანონის მცდელობა, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა მოხდეს საზოგადოებ-

რივი ურთიერთობების შექმნის დაგვარად ყველა სფეროში²¹², ამასთან ის განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს გენდერულ თანასწორობაზე შრომით ურთიერთობებში, განათლებისა და მეცნიერების სფეროში, საინფორმაციო რესურსებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ სფეროებში, საქონლის ან მომსახურების მიწოდებისას და ხელმისაწვდომობისას, საოჯახო ურთიერთობებში და საარჩევნო უფლებით სარგებლობისას, თუმცა, როგორც აღინიშნა, ამ ნორმების აბსოლუტური უმრავლესობა პრინციპებისა და დეკლარაციული დებულებების ერთობლიობაა, რომელთა პრაქტიკული ქმედითობა დამატებით რეგულაციების სკრუპულოზურ გაწერას მოითხოვს.

მნიშვნელოვანია, რომ დასაქმების და შრომით ურთიერთობებში გენდერული თანასწორობის საკითხს ეხება დასახელებული კანონის რამდენიმე ნორმა²¹³. თუმცა აღნიშნული გარანტიები ძირითადად მიემართება

212 კერძოდ, დასახელებული კანონის მე-4 მუხლის (გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიები) თანახმად: „1. სახელმწიფო ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. 2. გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით, დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფილია:

- ა) ქალისა და მამაკაცის თანასწორი ინდივიდუალური უფლებები და თავისუფლებები;
- ბ) ქალისა და მამაკაცისათვის განათლების მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობა და განათლების თავისუფალი არჩევანი სწავლების ყველა ეტაპზე;
- გ) მეუღლეთა უფლებრივი თანასწორობა;
- დ) შვილებთან დაკავშირებული თანასწორი უფლებები და მოვალეობები;
- ე) ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლება-მოვალეობები – იყვნენ ბავშვთა მეურვეები, მზრუნველები, რწმუნებულები, მშვილებლები;
- ვ) ოჯახსა და საზოგადოებაში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა;
- ზ) პროფესიის ან სამუშაოს სახეობის თავისუფლად არჩევა, თანამდებობრივი დაწინაურება, პროფესიული მომზადება/გადამზადება;
- თ) საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავება პროფესიული ნიშნის, უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;
- ი) თანასწორი მოპყრობა ქალისა და მამაკაცის მუშაობის ხარისხის შეფასებისას;
- კ) თანაბარი სოციალური უზრუნველყოფა ქალისა და მამაკაცის ავადმყოფობისას და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში;
- ლ) თანასწორი შესაძლებლობების შექმნა ქალისა და მამაკაცის ჯანმრთელობის დაცვისას;
- მ) ქალისა და მამაკაცისათვის თანასწორი შესაძლებლობების შექმნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობისას“.

213 კერძოდ, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტები, რომელთა თანახმად: „გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით, დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფილია: ზ) პროფესიის ან სამუშაოს სახეობის თავისუფლად არჩევა, თანამდებობრივი დაწინაურება, პროფესიული მომზადება/გადამზადება; თ) საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავება პროფესიული ნიშნის, უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის

საჯვარო სფეროში დასაქმებას. შესაბამისად, კანონი ვერ პასუხობს კერძო სექტორში ამ თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებს.

კანონი არ მიუთითებს დისკრიმინაციის შესაძლო შემთხვევებში მტკიცების ტვირთის შებრუნებაზე, როგორც ამას მოითხოვს „სქესის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევებში მტკიცების ტვირთის შესახებ“ ევროკავშირის 1997 წლის 15 დეკემბრის დირექტივა 97/80/EC, რომლის 4.1. მუხლის თანახმად: „თუ პირი, რომელსაც მიაჩნია, რომ მიადგა ზიანი მის მიმართ თანასწორი მოპყრობის პრინციპის გამოუყენებლობის გამო, დაამტკიცებს სასამართლოში ან სხვა კომპეტენტურ ორგანოში ფაქტებს, რომელთა საფუძველზე არსებობს ვარაუდი, რომ ადგილი ჰქონდა პირდაპირ ან არაპირდაპირ დისკრიმინაციას, მაშინ მოპასუხე მხარემ უნდა ამტკიცოს, რომ თანასწორი მოპყრობის პრინციპის დარღვევას ადგილი არ ჰქონია“.

კანონი არ იცნობს გენდერული თანასწორობის მიღწევის ისეთ საერთაშორისო ინსტრუმენტებს, როგორებიცაა, მაგალითად: გენდერული მენისტრიმინგი, გენდერული ზეგავლენის შეფასება, გენდერული ბიუჯეტი და სხვა.

ასევე, ყურადსაღებია, რომ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი განმარტავს „განსაკუთრებული ღონისძიების“ ცნებას. კერძოდ, ეს არის „ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს დისკრიმინაციული შედეგების გამოსწორებას და მიმართულია პირთა წრისადმი, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას გენდერული თავისებურებებიდან გამომდინარე“. თუმცა აღნიშნული დებულება არ შეიცავს ასეთი ღონისძიებების დისკრიმინაციულობის გამორიცხვისთვის გარანტიებს, კერძოდ, არ მიუთითებს მათ საგამონაკლისო და დროებით ხასიათზე, როგორც ამას მოითხოვს შესაბამისი საერთაშორისო ინსტრუმენტები. მაგალითად, კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) შემდეგნაირად განმარტავს „დროებით სპეციალურ

შესაბამისად“. ასევე მე-6 მუხლი (გენდერული თანასწორობა შრომითი ურთიერთობებისას), რომლის პირველი პუნქტი განმარტავს შევიწროებისა და სექსუალური შევიწროების ცნებებს ამ ურთიერთობის მიზნებისთვის; ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „სახელმწიფო ხელს უწყობს დასაქმების თანაბარ ხელმისაწვდომობას ორივე სქესის პირთათვის“. მე-3 პუნქტი ადგენს, რომ „დასაქმებისას და შრომითი მოვალეობების შესრულებისას დასაშვებია სქესის ნიშნით პირთა არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება ან/და მათთვის უპირატესობის მინიჭება, რაც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება“. ხოლო მე-4 პუნქტი ადგენს შრომის სათანადო პირობების შექმნის ვალდებულებას ორსული ქალებისა და მეძუძური დედებისთვის, „რაც გამორიცხავს მათ საქმიანობას მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან გარემოში, აგრეთვე ღამის საათებში“.

ლონისძიებებს“: „მონაწილე სახელმწიფოთა მიერ დროებითი ზომების მიღება, რომლებიც მიმართულია ქალთა და მამაკაცთა ფაქტობრივი თანასწორობის დამყარების დასაჩქარებლად, არ მიიჩნევა, როგორც ეს წინამდებარე კონვენციით განისაზღვრება, დისკრიმინაციულად, თუმცა იგი არანაირად არ უნდა იწვევდეს არათანასწორუფლებიანი ან დიფერენცირებული სტანდარტების შენარჩუნებას; ეს ზომები უნდა გაუქმდეს, როდესაც მიღწეული იქნება შესაძლებლობათა თანასწორობის და თანასწორუფლებიანი ურთიერთობის მიზნები“ (მუხლი 4.1.).

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების შესაბამისად, განსაკუთრებულ, სპეციალურ ღონისძიებებს შორის ერთ-ერთ გავრცელებულ, თუმცა ძალიან საკამათო ინსტრუმენტს წარმოადგენს „გენდერული კვოტების“ გამოყენება პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების მეტი ინტეგრირებისთვის. იმ პირობებში, როდესაც ქალები არ მიიჩნეოდნენ საარჩევნო უფლების სუბიექტებად²¹⁴, ცხადია, რთული იქნებოდა მხოლოდ კონსტიტუციებით მათთვის ამ უფლების აღიარებით, მყისიერად სტერეოტიპის მძევლობისგან სოციუმის სრულად გათავისუფლება. მართალია, ქალები აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობენ შეუფერხებლად, მაგრამ დღემდე გაცილებით მცირეა მათი რაოდენობა არჩევით თუ დანიშნით პოლიტიკურ თანამდებობებზე.

პოლიტიკურ სარბიელზე ქალების მამაკაცებთან თანასწორობის უზრუნველსაყოფად და ფაქტობრივი უთანასწორობის დასაკომპენსირებლად, არჩევანი გენდერული კვოტის შემოღებაზე სხვადასხვა დროს

214 მაგალითად, აშშ-ში ქალების საარჩევნო უფლების თაობაზე კონსტიტუციური ცვლილება (XIX შესწორება) კონგრესის მიერ შეთავაზებულ იქნა 1919 წლის 4 ივნისს და ძალაში შევიდა 1920 წლის 18 აგვისტოს (ამ ცვლილებას იმ დროს 48 შტატიდან მხოლოდ 36-მა შტატმა დაუჭირა მხარი). 1918 წლის 12 ნოემბრიდან სარგებლობენ ქალები საარჩევნო უფლებით გერმანიასა და ავსტრიაში (1918 წლის 12 ნოემბრის კანონი გერმანია-ავსტრიის სახელმწიფოსა და მმართველობის ფორმის შესახებ. Gesetz vom 12. November 1918 ueber die Staats-und Regierungsform von Deutschoesterreich, წყარო: Staatsgesetzblatt in retrodigitalisierter Form bei ALEX – Historische Rechts-und Gesetzestexte.). შვეიცარიაში ქალები არჩევნებში სრულფასოვნად მონაწილეობას იღებენ 1971 წლის 7 თებერვლის რეფერენდუმის საფუძველზე მიღებული ცვლილებებით. საქართველოში ქალისა და მამაკაცის თანასწორობა საარჩევნო უფლებით სარგებლობისას გათვალისწინებულ იქნა 1921 წლის კონსტიტუციით (მუხლი 46). იმავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ 1921 წლის კონსტიტუციის მიღებამდე, არჩევნების ჩატარების წესი რეგულირდებოდა 1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული „დამფუძნებელი კრების არჩევნების“ დებულებით, რომლითაც მამაკაცებსა და ქალებს 20 წლის ასაკიდან თანაბრად ეძლეოდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

გააკეთა არაერთმა სახელმწიფომ²¹⁵. თუმცა ამ ინსტიტუტის მიზნობრივი ქმედითობაც (სხვა პოზიტიური ღონისძიებების მსგავსად) საკითხისადმი ზედმიწევნით ფრთხილ მიდგომას მოითხოვს, რათა, თანასწორობის მიღწევის სახელით, ის თავად არ იქცეს საფრთხედ თანასწორობისთვის. შესაბამისად, უფლების ძირითად არსთან თავსებადობის შენარჩუნება არის მთავარი გამოწვევა დისკრიმინაციის აღმოფხვრის გზების მაძიებელთათვის.

ამ მიზნებისთვის, საინტერესოა გენდერული კვოტის პოტენციურად მომხრე და საწინააღმდეგო არგუმენტების გათვალისწინება. საკითხის მხარდამჭერთა აზრით: 1. ეს არის ქალების მიმართ წარსულში უსამართლო მოპყრობის/დისკრიმინაციის გამოსწორების გზა; 2. ემსახურება ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოფხვრას ქალების საჯარო/პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტი ინტეგრირების უზრუნველყოფით. ამ გზაზე ის ქალებისთვის ხელის შემშლელი ბარიერების მაკომპენსირებელი საშუალებაა; 3. გენდერული კვოტის დაწესებით დისკრიმინაციის (მამაკაცების მიმართ) გამოწვევას გამორიცხავს ის გარემოება, რომ საბოლოოდ პოლიტიკურ პარტიაზე (მამასადამე, პარტიულ სიაში კონკრეტულ შემადგენლობაზე) თუ მაჟორიტარ კანდიდატზე, არჩევანს აკეთებს ამომრჩეველი; 4. ეს ღონისძიება დროებით ხასიათს ატარებს.

მოწინააღმდეგეები კი მიუთითებენ, რომ კვოტირება არღვევს თანასწორობის პრინციპს: 1. ის გულისხმობს შედეგების გათანაბრებას უნარების იგნორირებით. ქალებს კაცებთან შედარებით ანიჭებს მექანიკურ უპირატესობას; 2. ეწინააღმდეგება არჩევანის თავისუფლებას, რადგან ამომრჩეველი კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას აძლევს ხმას, შედეგად კი იღებს რეალობას, რომელშიც პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებს უპირატესობა ენიჭებათ არა კვალიფიკაციის, არამედ გენდერული ნიშნით; 3. უმთავრესი კი მაინც ის არის, რომ კვოტირება ხშირად თავად ქალებისთვის არის მიუღებელი, რადგან გათანაბრების ხელოვნური მხარდაჭერით ხდება ხაზგასმა მათი ბუნებრივი უუნარობისა, სახელმწიფოს მხარდაჭერის გარეშე, დამოუკიდებლად მიაღწიონ წარმატებას პოლიტიკურ სარბიელზე.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-7 მუხლი ეხება ქალების პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრე-

215 კერძოდ: პოლონეთმა, ბელგიამ, საფრანგეთმა, სლოვენამ, სერბეთმა, ყირგიზეთმა, ფილიპინებმა, ნეპალმა. ნებაყოფლობითი კვოტირება არის შევლეთში, გერმანიაში, ნორვეგიაში – პარტიები ნებაყოფლობით იყენებენ კვოტირებას პარტიული სიის შედგენისას.

ბაში მონაწილეობას და სახელმწიფოებს ავალდებულებს, ქალებს, მამაკაცების თანაბრად, ჰქონდეთ არჩევნებში მონაწილეობის, პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულობის და საჯარო ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობა²¹⁶. თუმცა კონვენცია თავისთავად არ გულისხმობს და არ მოითხოვს სახელმწიფოებისაგან გენდერული ნიშნით კვოტების სავალდებულოდ დაწესებას. დასახელებული კონვენციის მე-4 მუხლი, რომელიც საგანგებოდ ეხება დროებით სპეციალურ ღონისძიებებს, სახელმწიფოებს უდგენს არა ვალდებულებას ასეთი ზომების გატარებისა, არამედ მოთხოვნას, რომ სპეციალური ზომები არ ჩაითვალოს დისკრიმინაციად, თუ მათი მიზანი ფაქტობრივი თანასწორობის მიღწევად და აქვთ დროებითი ხასიათი. სპეციალური ზომები შეიძლება იყოს სხვადასხვა, მათ შორის, გენდერული კვოტებიც. თანასწორობის მისაღწევად სახელმწიფო რომელ სპეციალურ ზომას შეარჩევს, ეს მისი დისკრეციული უფლებამოსილების სფეროა და დამოკიდებულია ინდივიდუალურ შემთხვევებზე²¹⁷.

მაშასადამე, გენდერული კვოტის გამოყენება, სხვა სპეციალური ღონისძიებების მსგავსად, რომლებიც მეტი თანასწორობის მიღწევას ემსახურებიან, შეიძლება თავისთავადი საფრთხის მატარებელი იყოს თანასწორობის უფლებისთვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ასეთი ღონისძიებების გონივრული დაბალანსება, მათი მხოლოდ მაშინ და იმ ინტენსივობით თუ ხანგრძლივობით გამოყენება, რამდენადაც ეს ობიექტურად აუცილებელია კონკრეტული მიზნების რეალურად მიღწევის პოზიტიური დინამიკის შეუქცევადობის ხელშესახებობისთვის. როგორც აღინიშნა, ამ თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა აქვს დროს და შეძლებისდაგვარად ინდივიდუალურ მიდგომაზე დაფუძნებულ გადაწყვეტებს. ამასთან, თავისთავად და მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მი-

216 კონვენციის მე-7 მუხლის თანახმად: „მონაწილე სახელმწიფოები ყველა შესაბამის ზომას მიიღებენ ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა დისკრიმინაციის აღსაკვეთად და, კერძოდ, მამაკაცთა თანასწორად უზრუნველყოფენ ქალებს უფლებით: ა) ხმა მისცენ ყველა არჩევნებსა და საჯარო რეფერენდუმზე და არჩეულ იქნან ყველა საჯარო არჩევით ორგანოში; ბ) მონაწილეობდნენ მთავრობის პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში და იკავებდნენ სახელმწიფო თანამდებობებს, აგრეთვე სახელმწიფო მართვის ყველა დონეზე ახორციელებდნენ ყველა სახელმწიფოებრივ ფუნქციას; გ) მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების და ასოციაციების საქმიანობაში, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების პრობლემებზე მუშაობენ“.

217 United Nations, Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation №25, *Temporary Special Measures*, UN DOC. CEDAW/C/2004/II/WP.1/Rev. 1, 30 (2004), §28.

უთითებს ქალების მცირე რაოდენობაზე პოლიტიკური თანამდებობების დაკავების თვალსაზრისით, არ შეიძლება იყოს თვითკმარი საფუძველი გენდერული კვოტების დასაწესებლად. ამ კონტექსტში საინტერესოა მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მიდგომა, რომლის თანახმად, ევროკაშირის დირექტივა ქალების მიმართ პრეფერენციურულ მიდგომას – კვოტების დაწესებით თუ სხვა პოზიტიური ღონისძიებებით, არ მიიჩნევა დასაშვებად, თუ ის კვალიფიკაციით აშკარად და ობიექტურად ჩამორჩებოდა კაცს²¹⁸.

1.7. 3. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის“.

ბუნებრივია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები სხვათა თანაბრად არიან დაცულნი თანასწორობის ზოგადი უფლებით (მუხ.11.1), რაც თავისთავად გულისხმობს სახელმწიფოს შემხვედრი ვალდებულებების არსებობას. მაგრამ ამ თვალსაზრისით კონსტიტუციაში დამატებით, ხაზგასმით მითითება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებზე, შექმნას განსაკუთრებული პირობები შშმ პირებისთვის, რათა ხელი შეუწყოს მათ კონკურენტუნარიანობას, სრულ და ხარისხიან ინტეგრირებას საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროში, უდავოდ მნიშვნელოვანია.

2014 წლის 12 აპრილს საქართველომ მოახდინა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის (CRPD)²¹⁹ რატიფიკაცია. კონვენციის მიზანია, ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების რეალიზება, მათი თანდაყოლილი პიროვნული ღირსების პატივისცემა²²⁰. ამ მიზნების მისაღწევად კონვენცია ხელმომწერი სახელმწიფოებისგან რიგი პოზიტიური ვალდებულებების²²¹

218 *Katarina Abrahamsson and Leif Anderson v. Elisabet Fogelqvist*, Case C-407/98, (ECJ, 06.07.2000), §62.

219 მიღებულია 2006 წლის 13 დეკემბერს.

220 კონვენციის მუხლი 1.

221 კერძოდ, კონვენციის მე-4 მუხლის (ზოგადი ვალდებულებები) თანახმად: „1. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ და ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა სრულ რეალიზებას, შეზღუდული შესაძლებლობის სა-

ფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ამ მიზნით მონაწილე ქვეყნები ვალდებულიებას იღებენ:

- a. მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული უფლებების უზრუნველყოფისათვის;
 - b. მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა, მათ შორის საკანონმდებლო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ყველა დისკრიმინაციული კანონის, დადგენილების, წესის, ტრადიციის შესაცვლელად ან გასაუქმებლად;
 - c. ყველა პოლიტიკასა და პროგრამაში გათვალისწინებულ იქნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა და ხელშეწყობა;
 - d. თავი შეიკავონ ყველა იმ აქტივობისა და მეთოდებისაგან, რომელიც ეწინააღმდეგება წინამდებარე კონვენციას; უზრუნველყონ სახელმწიფო სტრუქტურებისა და დაწესებულებების წინამდებარე კონვენციასთან შესაბამისობაში მოქმედება;
 - e. მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა ყველა კერძო პირის, ორგანიზაციისა ან კერძო საწარმოს მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად;
 - f. განახორციელონ ან ხელი შეუწყონ წინამდებარე კონვენციის მე-2 მუხლით განსაზღვრული, ისეთი სახის უნივერსალური დიზაინის მქონე პროდუქტის, მომსახურების, დანადგარებისა და მოწყობილობების კვლევა-გამოგონებით საქმიანობას, რომელთა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგება მინიმალურ ადაპტაციასა და თანხებს მოითხოვს; ხელი შეუწყონ მათ გამოყენებასა და მისაწვდომობას, სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შექმნაში უნივერსალური დიზაინის იდეის გატარებას;
 - g. განახორციელონ ან ხელი შეუწყონ კვლევით და გამოგონებით საქმიანობას, ასევე ახალი ტექნოლოგიების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე გათვლილი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მობილურობის ხელშეწყობის, დამხმარე საშუალებებისა და ტექნოლოგიების მისაწვდომობასა და გამოყენებას; ამასთანავე უპრატესობა მიანიჭონ მაქსიმალურად მისაწვდომი ფასის მქონე ტექნოლოგიებს;
 - h. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიაწოდონ ინფორმაცია მობილურობის ხელშეწყობის და სხვა დამხმარე ტექნოლოგიებისა და საშუალებების, მათ შორის ახალი ტექნოლოგიების შესახებ; მიაწოდონ ინფორმაცია სხვა სახის დამხმარების, დამხმარე მომსახურებისა და საშუალებების შესახებ;
 - i. ხელი შეუწყონ პროფესიონალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მომუშავე პერსონალის განათლებას წინამდებარე კონვენციაში წარმოდგენილი უფლებების საკითხებზე, რათა უზრუნველყონ ამ უფლებებით გარანტირებული დახმარებისა და მომსახურების უკეთესი უზრუნველყოფა.
2. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებით ყველა მონაწილე სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოყენებისა და საჭიროების შემთხვევაში საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, მიიღოს ყველა ზომა აღნიშნულ უფლებათა სრული დაცვის სისტემატური, პროგრესირებადი უზრუნველყოფისათვის, წინამდებარე კონვენციაში ფორმულირებული იმ ვალდებულებების გარდა, რომელთა დაუყოვნებლივ შესრულებას ითვალისწინებს საერთაშორისო სამართალი.
3. კანონმდებლობისა და წინამდებარე კონვენციის განხორციელების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებაში, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მო-

განხორციელებას მოითხოვს.

კონვენცია საგანგებოდ მიუთითებს დისკრიმინაციის აკრძალვაზე შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე და მის აღმოსაფხვრელად რიგი ზომების მიღების აუცილებლობაზე. კერძოდ, მე-2 მუხლის თანახმად: „დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე“ გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ ნებისმიერ განსხვავებას, გარიყვას ან აკრძალვას, რომლის მიზანს ან შედეგს წარმოადგენს აღიარების, თანაბარი უფლებებისა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო და ნებისმიერ სხვა სფეროში მათ მიერ ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზების მინიმუმამდე დაყვანა ან სრული უარყოფა; იგი მოიცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას, მათ შორის, უარს გონივრულ მისადაგებაზე“. ხოლო მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად: „თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაბამის ზომას გონივრული მისადაგების უზრუნველყოფისათვის“ (პ. 3); „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფაქტობრივი თანასწორუფლებიანობის მიღწევისა და დაჩქარებისათვის მიღებული კონკრეტული ზომები, წინამდებარე კონვენციით, არ განიხილება როგორც დისკრიმინაცია“ (პ. 4).

კონვენციით გათვალისწინებული „გონივრული მისადაგება“ განიხილება როგორც სპეციალური ღონისძიება შშმ პირების თანასწორობის უზრუნველსაყოფად, რომლის გაუთვალისწინებლობა/დაუცველობა იწვევს დისკრიმინაციას. კერძოდ, კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად: „გონივრული მისადაგება“ გულისხმობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციებისა და კორექტივების

ნაწილე სახელმწიფოები მჭიდროდ ითანამშრომლებენ და აქტიურად ჩართავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების საშუალებით“.

4. წინამდებარე კონვენცია ვერ ახდენს გავლენას იმ დებულებებზე, რომლებიც გაცილებით ქმედითად უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზებას და შესაძლოა წარმოადგენდნენ მონაწილე სახელმწიფოს, ან მის ტერიტორიაზე მოქმედი საერთაშორისო კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს. დაუშვებელია, კონვენციის მონაწილე ნებისმიერ სახელმწიფოში კანონით, კონვენციით, წესებითა და ტრადიციებით აღიარებული და მოქმედი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ნებისმიერი სახის შეზღუდვა ან აკრძალვა იმ საბაბით, რომ წინამდებარე კონვენცია არ ითვალისწინებს, ან მხოლოდ ნაწილობრივ აღიარებს ამ უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს.

5. წინამდებარე კონვენციის დებულებები ვრცელდება ნებისმიერი ფედერალური სახელმწიფოს ყველა შემადგენელ ერთეულში, ყოველგვარი შეზღუდვისა და გამონაკლისის გარეშე“.

განხორციელებას, რომლებიც არ იწვევს დაუძლეველ და გაუმართლებელ სირთულეებს და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და თავისუფლების ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზებას“. გონივრული მისადაგების პრინციპი შესაბამის პასუხისმგებელ პირებს სპეციალური საჭიროებების მქონე პირების მიმართ ინდივიდუალური მოპყრობის, გარემოსა და პირობების მისადაგების ვალდებულებას აკისრებს.

გონივრული მისადაგება, ძირითადად, გამოიყენება დასაქმების სფეროში²²². ის გულისხმობს, რომ დამსაქმებლები/სხვა სერვისების მიმწოდებლები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ ფიზიკური ან სოციალური გარემოს გონივრული მოდიფიკაცია, რათა ხელი შეუწყონ შუშ პირებს, როგორც კონკრეტული დავალებების/ამოცანების შესრულებაში, ისე აუცილებელ სერვისებზე ხელმისაწვდომობაში. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის მიღების შემდეგ გონივრული მისადაგების პრინციპი გავრცელდა სხვა სფეროებზეც, მაგალითად, განათლებაზე²²³.

მნიშვნელოვანია, რომ გონივრული მისადაგების გამოყენება მოხდეს მაშინ/ისეთ პირობებში, თუ ის არ გულისხმობს არაპროპორციული, არასათანადო ტვირთის დაკისრებას პასუხისმგებელი პირებისთვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რელიგვანტური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გონივრული მისადაგების პრინციპს. მიუხედავად იმისა, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი ქმნის შუშ პირებთან მიმართებით „პოზიტიური ღონისძიებების“ განსახორციელებლად ლეგიტიმურ საფუძველს (კერძოდ, ამ ნორმის თანახმად: „დისკრიმინაცია არ არის განსაკუთრებული და დროებითი ღონისძიებები, რომლებიც შემუშავებულია ფაქტობრივი თანასწორობის წასახალისებლად ან მისაღწევად, განსაკუთრებით ... შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ“), მის მნიშვნელოვან ნაკლად შეიძლება მივიჩნიოთ გონივრული მისადაგების პრინციპის გაუთვალისწინებლობა. ის („გონივრული მისადაგება“) არ გვხვდება

222 დასაქმების სფეროში გონივრული მისადაგება გულისხმობს „ნებისმიერ მოდიფიკაციას ან ცვლილებას სამუშაო პრაქტიკაში, გარემოში ან შესრულების მანერაში, ანდა გარემოებებში, რომლებიც უკავშირდება კონკრეტულ პოზიციას და რომლებიც შესაძლებელს ხდის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირისთვის განაცხადის შეტანას მის დასაკავებლად, შესაბამისი ფუნქციების შესრულებას და თანასწორი სარგებელისა და პრივილეგიების მიღებას დასაქმებიდან“ (ჩარჩო დირექტივა, მუხლი 5; CRPD, მუხლი 27).

223 CRPD, მუხლი 24.2 (c).

არც საქართველოს კანონში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“. გარდა ამისა, დასახელებული კანონი, ძირითადად, დეკლარაციული დებულებების ერთობლიობას წარმოადგენს, მათი პრაქტიკული რეალიზაციის ინსტრუმენტების გაწერის გარეშე.

კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი გამოყენებულ უნდა იქნას ამ თვალსაზრისით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების მთელი სისრულით გასააზრებლად და მყარი, ეფექტური, ქმედითი გარანტიების შესაქმნელად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ხარისხიანი თავისუფლების უზრუნველსაყოფად.

2. ადამიანის ღირსების ხელშეშვალობა

საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 9. ადამიანის ღირსების ხელშეშვალობა

1. ადამიანის ღირსება ხელშეუვალია და მას იცავს სახელმწიფო.
2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება“.

ადამიანის ღირსების ხელშეუვალობის მარეგლამენტირებელი დებულებები საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მიხედვით:

მუხლი 17.

1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.
2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.
3. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება“.

2.1. ადამიანის ღირსების კონსტიტუციური ფარგლები

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით, ერთი მხრივ, აღიარებულია ადამიანის ღირსების ხელშეუვალობის პრინციპი, ხოლო, მეორე მხრივ, აბსოლუტური უფლება ადამიანის წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენების დაუშვებლობის თაობაზე.

საქართველოს კონსტიტუციის როგორც მიღების ეტაპზე, ისე 2017 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად ვერ მოხდა ადამიანის ღირსების ხელშეუვალობის კონსტიტუციური დიაპაზონის მთელი სისრულით გააზრება, რაზეც მიუთითებს კონსტიტუციის შესაბამისი დებულებების ლოგიკა. კერძოდ, 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი აღიარებდა ადამიანის პატივის და ღირსების ხელშეუვალობას. ტერმინების – „პატივის“ და „ღირსების“ ერთად მოხსენიება საფუძვლიანს ხდიდა მოლოდინს, რომ ეს დებულება ქმნიდა კონსტიტუციურ გარანტიებს სამოქალაქოსამართლებრივი გაგებით ადამიანის პატივისა და ღირსების დასაცავად. ნორმის ასეთი წაკითხვის ტენდენცია მკაფიოდ გამოიკვეთა საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა განხილვის დროს, როდესაც მხარეები უფლების სწორედ ასეთ განმარტებას აფუძნებდნენ საკუთარ არგუმენტებს. ბუნებრივია, ღირსე-

ბის მარეგლამენტირებელი დებულების მხოლოდ ამ საკითხებთან დაკავშირება ავიწროებდა მის (ღირსების ხელშეუვალობის) კონსტიტუციურ მასშტაბს. მართალია, ადამიანის პატივი და ღირსება კონსტიტუციურ დაცვას სწორედ მე-17 მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში პოვებდა, მაგრამ, მნიშვნელოვანია, რომ ეს დებულება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ამ სიკეთეთა დაცვით, რაზეც პირდაპირ მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლომ: „კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის განმარტებისას, სასამართლოსთვის ამოსავალი წერტილი ვერ იქნება პატივისა და ღირსების სამოქალაქო-სამართლებრივი გაგება. როგორც ამ ნორმის მიზნებიდან, ასევე, მისი და მისი მსგავსი ნორმების სხვადასხვა სახელმწიფოთა კონსტიტუციებში შეტანის ისტორიული გამოცდილებიდან და მიზეზებიდან გამომდინარე, ღირსების კონსტიტუციურ-სამართლებრივი განმარტება განსხვავებულია“²²⁴.

კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული სფერო კიდევ უფრო გაუგებარი ხდებოდა ამავე მუხლის მე-2 პუნქტით, რომელიც სამოქალაქო-სამართლებრივი დატვირთვით „პატივის და ღირსებისგან“ თვისობრივად განსხვავებულ საკითხს არეგულირებდა – წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვას. იმავდროულად, მუხლის ასეთი კონსტრუქცია უზიძვებდა ინტერპრეტატორებს მცდარი განმარტებისკენ იმის თაობაზე, რომ მე-17 მუხლის პირველი პუნქტით დაცული სიკეთეებიც, წამების აკრძალვის მსგავსად, აბსოლუტური უფლებებია. ამიტომ, ხშირად სწორედ ამ პოზიციას აპელირებით, კონკრეტული პირები ითხოვდნენ, მაგალითად, გამონატვის თავისუფლების დაუსაბუთებელ შეზღუდვას პატივსა და საქმიან რეპუტაციასთან მისი პოტენციური კონფლიქტისას.

2017 წლის კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, ადამიანის ღირსების მარეგლამენტირებელი დებულება ნაწილობრივ გაუმჯობესდა. კერძოდ, მე-9 მუხლის პირველი პუნქტი, ძველი რედაქციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტისგან განსხვავებით, საუბრობს „ღირსების ხელშეუვალობაზე“ (და არა „პატივის და ღირსების ხელშეუვალობაზე“), რაც აქარწყლებს პოტენციურ საფუძველს ამ დებულებით მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივი გარანტიების შექმნის, ისევე როგორც ადამიანის პატივის შეუზღუდაობის (აბსოლუტური ბუნების) მტკიცების შესაძლებლობის თაობაზე. თუმცა მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით კვლავ არის დაცული აბსოლუ-

224 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/2-389 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ*, II, 30.

ტური უფლება ადამიანის წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენების დაუშვებლობის თაობაზე. შესაბამისად, მუხლის ასეთი კონსტრუქციის პირობებში, ისევ რჩება საფუძველი კითხვისთვის, კანონმდებელი ადამიანის ღირსებას სრულად ხომ არ ათანაბრებს მხოლოდ ამ აბსოლუტურ უფლებასთან? ანუ, კონსტიტუციის მიზნებისთვის ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა მხოლოდ წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის/სასჯელის აკრძალვას ხომ არ გულისხმობს? ამ ეჭვებს კიდევ უფრო აძლიერებს მუხლის სათაური – „ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა“, რომელიც კანონზომიერს და ლოგიკურს ხდის მოლოდინს, რომ მუხლით აღიარებული იქნება სწორედ ღირსების უფლება, ამასთან, აქვე იქნება მოცემული მისი კონსტიტუციური ფარგლები.

უდავოა, რომ წამება და არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობა/სასჯელი ადამიანის ღირსების ხელშეუვალობის ხელყოფის ყველაზე მძიმე გამოხატულებაა, რითაც შესაძლოა, აიხსნას ამ აბსოლუტური უფლების ადამიანის ღირსებასთან ერთად, მასთან სიმჭიდროვეში დეკლარირება. თუმცა ის ნამდვილად არ/ვერ ამოწურავს ღირსების კონსტიტუციურ ფარგლებს.

ღირსების კონსტიტუციური წონიდან, თავისუფლებისთვის (თითოეული ფუნდამენტური უფლებით სარგებლობისთვის) მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა მისი სხვა უფლებებისგან დამოუკიდებლად, ცალკე რეგლამენტირება. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძირითადი კანონის მიდგომა, რომლის პირველი მუხლის თანახმად: „ადამიანის ღირსება ხელშეუვალია. მისი პატივისცემა და დაცვა – ნებისმიერი სახელმწიფო ხელისუფლების ვალდებულებაა. ადამიანის ძირითადი უფლებები საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლებებისათვის და მართლმსაჯულებისათვის სავალდებულოა, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი“. ეს დებულება არაორაზროვნად მიუთითებს, რომ კონსტიტუცია ადამიანის ღირსებას განიხილავს არა როგორც ერთ კონკრეტულ უფლებას, არამედ, როგორც უმთავრეს ღირებულებას, რომელიც მთლიანად კონსტიტუციის მიზნობრიობას განსაზღვრავს. საქართველოს კონსტიტუციის ტექსტის განსხვავებული კონსტრუქციის მიუხედავად, უმნიშვნელოვანესია, რომ სწორედ ასეთია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა ღირსების, როგორც ფუნდამენტური ღირებულების, გააზრებისადმი. მისი განმარტებით: „კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ნორმის შესაბამისად, მთავარი

ღირებულება არის ადამიანი, როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი. ... ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას, რომლის ჩამორთმევა და შეზღუდვა დაუშვებელია²²⁵.

შემთხვევითი არ არის, რომ არც ერთი საერთაშორისო აქტი ღირსების, როგორც დამოუკიდებელი უფლების არსის დეკლარირებას არ ახდენს. უმეტესად გვხვდება ფორმულირება – „ადამიანის ღირსება და ძირითადი უფლებები“. რელევანტური საერთაშორისო აქტების პრეამბულაშივე ვკითხულობთ, რომ ადამიანის თავისუფლების, მისი ყველა ფუნდამენტური უფლების განუსხვისებელი, თანდაყოლილი ბუნების აღიარება საფუძველშივე პირობადებულია ადამიანის ღირსებით, როგორც უმაღლესი ფასეულობით. მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ „ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისთვის დამახასიათებელი ღირსების და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობის და საყოველთაო მშვიდობის საფუძველს“. იმავდროულად, პირველივე მუხლში ასახულია დეკლარაციის მთავარი სათქმელი, სულისკვეთება, რომელიც შემდგომში კვებავს დეკლარაციის მთელ ტექსტს: „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით“. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის პრეამბულაში ვკითხულობთ: „წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ითვალისწინებენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გამოცხადებული პრინციპების შესაბამისად, ადამიანთა მოდგმის ყველა წევრის თანდაყოლილი ღირსების, განუყოფელი და თანასწორი უფლებების აღიარება მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობის და მშვიდობის საფუძველია, ... აღიარებენ, რომ ეს უფლებები გამომდინარეობს ადამიანის პიროვნების თანდაყოლილი ღირსებიდან...“²²⁶.

მამასადამე, ღირსება საერთაშორისო აქტებით არაორაზროვნად მიჩნეულია, როგორც უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ კონკრეტული უფლება. ის

225 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/2-389 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ*, II, 30.

226 იდენტური შინაარსის პრეამბულა აქვს არაერთ სხვა რელევანტურ საერთაშორისო აქტს, მაგალითად, გაეროს 1984 წლის 10 დეკემბრის კონვენციას წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ.

განაპირობებს და სამართლებრივად ასაბუთებს ადამიანის თავისუფლების, მისი უფლებების თავისთავადობას, განუსხვისებლობას, წარუვალობას.

2.2. ადამიანის ღირსება როგორც ფუნდამენტური პრინციპი

ღირსების კონსტიტუციური ფარგლების გააზრებისთვის სწორი ფუნდამენტი უდავოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით შეიქმნა. კერძოდ, სასამართლომ ღირსება, როგორც ღირებულებათა სისტემის საფუძველი და ფუნდამენტური პრინციპი, კონსტიტუციის მიზნის, სულისკვეთების გზამკვლევადა შემოიჩინა, რადგან დაბადებით თავისუფალი ადამიანის დოქტრინის სიცოცხლისუნარიანობის, ქმედითობის უზრუნველყოფა სწორედ ღირსების დაცულობას ეფუძნება. სასამართლოს განმარტებით: „თავისუფლების სამართლებრივ მასშტაბს ადამიანის ღირსება ქმნის, ამიტომ თავისუფალი ადამიანების საზოგადოება იმ სახელმწიფოთა უპირატესობაა, სადაც ადამიანის ღირსება ღირებულებათა სისტემის საფუძველია. ღირსება არის თითოეული ადამიანის თვითმყოფადობის საფუძველი და თანაბარი გარანტია, იყოს სხვებისგან განსხვავებული საკუთარ უნარებზე, შესაძლებლობებზე, გემოვნებაზე, განვითარების გზის ინდივიდუალურ არჩევანზე დამოკიდებულებით“²²⁷. „... ადამიანის ღირსების დაცვა არის ის, რაც უპირობოდ ეკუთვნის ყველა ადამიანს სახელმწიფოსაგან. ღირსებაში იგულისხმება სოციალური მოთხოვნა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის რესპექტირებაზე“²²⁸. საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ადამიანის ღირსების ფუნდამენტური პრინციპის აღიარებით სწორედ ასეთი წესრიგის გარანტირებას ემსახურება: „საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ადამიანს და მის უფლებებს, როგორც უმაღლეს ფასეულობას. ფასეულობათა კონსტიტუციური სისტემა დაფუძნებულია ძირითადი უფლებების პრიორიტეტსა და პატივისცემაზე“²²⁹. „სახელმწიფოსათვის ადამიანი არის უმთავრესი მიზანი, პატივისცემის ობიექტი, მთავარი ფა-

227 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 11.

228 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/2-389 საქმეზე საქართველოს მოქალაქე მათა ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, II, 30.

229 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/3/423 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 6.

სეულობა და არა მიზნის მიღწევის საშუალება...⁴²³⁰.

საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესრიგის უზრუნველსაყოფად საიმედო ინსტრუმენტებად, უპირველეს ყოვლისა, კონსტიტუციის ძირითადი პრინციპები გამოიყენა: „ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები წარმოადგენენ ადამიანის ღირსების დაცვის სამართლებრივ გარანტიას“⁴²³¹. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული დატვირთვა მიანიჭა საქართველოს კონსტიტუციის შემდეგ დებულებას: „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“⁴²³². სასამართლოს განმარტებით: „ეს არის ერთ-ერთი ფუძემდებლური ნორმა-პრინციპი, რომელიც იძლევა ადამიანის უფლებების მასშტაბისა და მნიშვნელობის შეგრძნების შესაძლებლობას, განაპირობებს მთლიანად კონსტიტუციისა და, განსაკუთრებით, კონსტიტუციური უფლებების განმარტებისა და გამოყენების ფარგლებს“⁴²³³. ამ ნორმით „საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ადამიანს და მის უფლებებს, როგორც უმაღლეს ფასეულობას“⁴²³⁴, არსებითად წყვეტს საკითხს იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო ხელისუფლების საქმიანობა ნებისმიერ სფეროში ზღვარდადებულია ადამიანის უფლებებით. ხელისუფლებამ არა მხოლოდ ყველა ფუნდამენტური უფლებებით სრულყოფილი სარგებლობისთვის სათანადო და საკმარისი გარანტიები უნდა შექმნას, არამედ ამა თუ იმ

230 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/2-389 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ*, II, 30.

231 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/407 საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 1.

232 საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი წინადადება. 2017 წლის კონსტიტუციურ ცვლილებებამდე იგივე დებულება გარანტირებული იყო მე-7 მუხლით.

233 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №1/466 საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 3.

234 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/3/423 საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 3.

სფეროში (და ამ თვალსაზრისით, ყველა სფეროში) საკუთარი პოლიტიკის წარმართვისას მკაცრად უნდა შეიზღუდოს თავი ძირითადი უფლებებით, არ უნდა გამოიწვიოს არც ერთი უფლების დაუსაბუთებელი, თვითნებური შეზღუდვა, უფლებათა დარღვევა. „ადამიანის უფლებები, მთელი თავისი შინაარსითა და ფარგლებით, უშუალოდ და პირდაპირ მოქმედებს, რაც, პირველ რიგში, ბოჭავს ხელისუფლებას არა მხოლოდ ამა თუ იმ ნორმატიული აქტით კონკრეტული უფლების არათანაზომიერად შემზღუდველი დანაწესების დადგენაში, არამედ კრძალავს კონსტიტუციითვე ფუნდამენტური უფლებების ძირითადი არსის დაძლევას, მისი დარღვევის, ხელყოფის ნორმატიული საფუძვლის შექმნას“²³⁵.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთგზის მიუთითა ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და ღირსების დაცულობის ურთიერთგანპირობებულობაზე. „ადამიანის ღირსების კონსტიტუციური პრინციპი ყველა ფუნდამენტური უფლების – ადამიანის თავისუფლების საფუძველია, ისევე როგორც უფლებებით სრულყოფილად სარგებლობა და მათი ეფექტური დაცვა ადამიანის ღირსების ხელშეუვალობის უშუალო გარანტიაა“²³⁶. „ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება ... მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება. ამიტომ ამ უფლებებში სახელმწიფოს არათანაზომიერი, გადამეტებული ჩარევა ხელყოფს ადამიანის ღირსებასაც“²³⁷. „ღირსება ... არ შეიძლება იქნეს განხილული, როგორც მხოლოდ ერთ-ერთი სუბიექტური კონსტიტუციური უფლების ობიექტი. ღირსება არის ის უფლება და ამავე დროს, ის ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება ძირითადი უფლებები. ... ღირსების ხელყოფა, ფაქტიურად, ყოველთვის უკავშირდება სხვა ძირითადი უფლების ან უფლებების დარღვევას“²³⁸. „ადამიანის უფლებათა კონცეფცია ემსახურება უმთავრეს იმპერატივს, ადამიანის ღირსების დაცვას, რომელიც აისახება კიდევ

235 იქვე.

236 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 12.

237 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/407 საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 1.

238 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/2-389 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე მია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ*, II, 31.

აღნიშნულ უფლებებში...²³⁹. „სახელმწიფო საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველ პუნქტს არღვევს მაშინ, როდესაც ფუნდამენტური უფლებების დარღვევის გზით (შედეგად), მიზნად ისახავს ადამიანის დამცირებას, მისი მიზნის მიღწევის საშუალებად გამოყენებას ან/და მისი ფაქტობრივი ქმედება ასეთ შედეგს გარდაუვლად იწვევს“²⁴⁰. ადამიანის ღირსებასა და ფუნდამენტურ უფლებებს შორის ასეთ მჭიდრო ურთიერთკავშირზე საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით მიუთითა არაერთი კონსტიტუციური უფლების (პიროვნების თავისუფალი განვითარების, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, თანასწორობის, საკუთრების უფლებების, თავისუფლების უფლების, რწმენის თავისუფლების და სხვა) განმარტებისას.

მაშასადამე, ღირსება, როგორც ფუნდამენტური პრინციპი, მოითხოვს ადამიანის თავისუფლებას ფართო გაგებით – ყველა ფუნდამენტური უფლებით სარგებლობის შედეგად განვითარების გარანტირებულ შესაძლებლობას. ამიტომ ღირსება კვებავს თითოეულ ფუნდამენტურ უფლებას. შესაბამისად, ის, როგორც პრინციპი აბსოლუტურია იმ გაგებით, რომ გამოირიცხავს ისეთი წესრიგის გაუქმებას ან თუნდაც სათუოობას, რომელშიც ადამიანის თავისუფლება არის უმთავრესი მიზანი. მისი (ღირსების) აღიარება აბსოლუტურად გამორიცხავს რომელიმე ფუნდამენტური უფლების დაუსაბუთებელი, გაუმართლებელი შეზღუდვის/ შეუქცევადი დარღვევის ლეგიტიმაციის შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ღირსების ფუნდამენტური პრინციპი გამოიყენა არა მხოლოდ როგორც შესაძლებლობა და დამატებითი არგუმენტი ძირითადი უფლებების ფარგლების უკეთ გააზრებისა და დაცვისთვის, არამედ უშუალოდ მასზე დაყრდნობით შეაფასა ადამიანის არსებობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სოციალური უფლებების ხელმყოფი ნორმებიც.

საქმეზე საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ გასაჩივრებული იყო ნორმა („ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24

239 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება №3/1/512 საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 43.

240 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბეტა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 16.

აპრილის №126 დადგენილებით დამტკიცებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი), რომლის თანახმად, პირი ვერ დარეგისტრირდებოდა სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან ბაზაში და, შესაბამისად, ვერ მიიღებდა სოციალურ დახმარებას, თუ ის უნებართვოდ ცხოვრობდა სახელმწიფო საკუთრებაში²⁴¹.

მოსარჩელემ მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირების მოთხოვნით. თუმცა, სადავო ნორმის საფუძველზე, მას უარი ეთქვა განაცხადის რეგისტრაციაში გატარებაზე, რადგან მისი საცხოვრებელი ადგილი წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას, რის შესახებაც სააგენტოს აცნობა მესაკუთრემ.

მოპასუხის განმარტებით, სადავო ნორმის მიზანს არ წარმოადგენდა „პირთა რომელიმე ჯგუფის, მათ შორის, მოსარჩელის, როგორც სუბიექტის, დამცირება და მისი განხილვა მხოლოდ მიზნის მიღწევის საშუალებად.“²⁴² არამედ ამოცანა იყო სახელმწიფო საკუთრების დაცვა. მთავრობის მტკიცებით, სადავო ნორმით გათვალისწინებული რეგულაცია წარმოადგენდა ამ მიზნის მიღწევის ვარგის და ნაკლებად მზლუდავ საშუალებას, ვინაიდან, მაგალითად, სახელმწიფო საკუთრებაში უკანონოდ შეჭრილი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება გაცილებით მძიმე ტვირთი იქნებოდა მისთვის.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმის მოთხოვნებიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ქონებაში უნებართვოდ მცხოვრები პირები დატოვებდნენ სახელმწიფო საკუთრებას, მათ მიეცემოდათ მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირების უფლება და, შესაბამისად, აღუდგებოდათ სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობა. ამდენად, სასამართლოს შეფასებით, სადავო ნორმით, სა-

241 სადავო ნორმის თანახმად, „განაცხადი მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციისათვის არ მიიღება, თუ მაძიებელი უკანონოდ იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართში და ამ ფართის კანონიერი მესაკუთრე არ ეთანხმება ამ ფაქტს, რაც სააგენტოსთვის ცნობილი გახდა კანონიერი მესაკუთრის მომართვის საფუძველზე“. აღნიშნული მუხლის მიზნებისთვის, ამავე დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტით, მაძიებელი განიმარტება როგორც მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მსურველი ოჯახი, რომელიც შეიძლება გახდეს სოციალური დახმარების მიმღები.

242 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება №2/3/663 საქმეზე საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II, 45.

ხელმწიფო სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობას იყენებდა პირების მძიმე არჩევანის წინაშე დასაყენებლად. ის ამ ფორმით ცდილობდა, ეიძულებინა ადამიანები, გაეთავისუფლებინათ უნებართვოდ დაკავებული სახელმწიფო საკუთრება, რომელიც ძირითად შემთხვევებში წარმოადგენდა პირის ერთადერთ საცხოვრებელ ადგილს²⁴³.

სასამართლომ, პირველ რიგში, ყურადღება გაამახვილა, რომ „...საარსებო შემწეობის მიზანს ადამიანის პირველადი მოთხოვნილებების, მათ შორის, საკვებით, სასმელი წყლითა და საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფა წარმოადგენს. აღნიშნულის გარეშე შეიძლება, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს თავად ადამიანის არსებობაც კი. ... სოციალური შემწეობის ფუნქციას ადამიანის პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გარდა ამ უკანასკნელის საზოგადოებაში ინტეგრაცია წარმოადგენს, რაც აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ადამიანს, რომელიც მოკლებულია ელემენტარულ საყოფაცხოვრებო პირობებს, აგრეთვე სერიოზული დაბრკოლებები ექმნება საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ ასპექტში მონაწილეობისას. საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ ასპექტიდან პირის გარიყვა ქმნის სერიოზულ რისკს ე.წ. ჩრდილქვეშ მყოფი საზოგადოების შექმნისთვის, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფორმით უარყოფითად აისახება სახელმწიფოს კეთილდღეობაზე“²⁴⁴.

სასამართლოს შეფასებით, სადავო ნორმის საფუძველზე პირის სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაციის შეზღუდვით სახელმწიფო გაცნობიერებულად ტოვებდა სოციალური დახმარების გარეშე პირებს, რომლებსაც ეს დახმარება გადარჩენისათვის და საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის სჭირდებოდათ. ამდენად, სახელმწიფო ადამიანების გაჭირვებას, მათ მოწვევადობას იყენებდა სახელმწიფო საკუთრების დასაცავად. სასამართლომ გაიმეორა, რომ „სახელმწიფოს არ აქვს უფლება, გადაუხვიოს ადამიანის, როგორც მთავარი კონსტიტუციური ღირებულების აღიარების ვალდებულებას და განიხილოს ადამიანი, როგორც შიშველი ობიექტი და მიზნის მიღწევის საშუალება იმის მიუხედავად, თუ როგორი მნიშვნელოვანი კერძო ან საჯარო ინტერესის მიღწევას ისახავს მიზნად“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის №2/5/560 გადაწყვეტილება საქმეზე სა-

243 იქვე, II, 47.

244 იქვე, II, 48-49.

ქართველოს მოქალაქე ნოდარ მუმლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-30)²⁴⁵.

საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში ის არ წყვეტდა საკითხს, მოსარჩლეებს უნდა გაეთავისუფლებინათ თუ არა უკანონოდ დაკავებული ქონება. არამედ უნდა განეხილა, რამდენად შეესაბამებოდა ღირსების კონსტიტუციურ უფლებას სოციალური დახმარების მიღების უფლების ჩამორთმევის იძულებით ღონისძიებად გამოყენება.

სასამართლოს განმარტებით: „სადავო ნორმების შედეგად სახელმწიფო ადამიანების გაჭირვებას იყენებს საკუთარი ქონების დაცვის მიზნით. სახელმწიფოს მიერ ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური გაჭირვების მიზნის მიღწევის საშუალებად გამოყენება სცდება იძულების ღონისძიებისათვის დამახასიათებელი დასაშვები ზემოქმედების ფარგლებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმით დადგენილი ფორმით სოციალური დახმარების მიღების შესაძლებლობის წართმევა, თავისი არსით, წარმოადგენს იმგვარ ღონისძიებას, რომელიც არ შეიძლება სახელმწიფო ქონების დასაცავად იქნეს გამოყენებული, იძულების ღონისძიების სახით. სადავო ნორმით დადგენილი ღონისძიება ორიენტირებულია მხოლოდ დასახული მიზნის მიღწევაზე, ხოლო მიზნის მიღწევის საშუალებად გამოყენებულია ადამიანების მძიმე სოციალური მდგომარეობა. ... საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი კრძალავს ადამიანის სამართლის შიშველ ობიექტად განხილვას და მისი მიზნის მიღწევის საშუალებად გამოყენებას. განსახილველ შემთხვევაში სახელმწიფო, იმისათვის, რომ მიაღწიოს ლეგიტიმურ მიზანს, იყენებს ადამიანის მძიმე სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობას, მის მოწყვლადობას კონკრეტული საჯარო მიზნის მიღწევის საშუალებად და ხსენებული *a priori* აქცევს სადავო ნორმას ადამიანის ღირსების შემლახველად²⁴⁶.

2.3. წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენების დაუშვებლობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება“.

245 იქვე, II, 50.

246 იქვე, II, 52-54.

როგორც აღინიშნა, წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის/სასჯელის დაუშვებლობის კონსტიტუციის მე-9 მუხლით რეგლამენტირება არ ამოწურავს ადამიანის ღირსების კონსტიტუციურ ფარგლებს, თუმცა, მიუთითებს მასთან ძალიან მჭიდრო კავშირზე. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი, ისევე, როგორც სხვა უფლებებისთვის, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით აღიარებული უფლებისთვისაც წარმოადგენს საფუძველს, რომლის დარღვევა გარდაუვლად იწვევს ადამიანის ღირსების კონსტიტუციური პრინციპის ხელყოფას“²⁴⁷.

კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით აღიარებულია ადამიანის ფუნდამენტური უფლება, ნებისმიერ ვითარებაში უპირობოდ იყოს დაცული წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა თუ სასჯელისგან, შედეგად მისი ინსტრუმენტალიზაციის საფრთხისგან. შესაბამისად, ეს უფლება აბსოლუტურია. კონსტიტუცია და საერთაშორისო ინსტრუმენტები არ ტოვებს სივრცეს სახელმწიფოსთვის, ამ თვალსაზრისით მიიღოს განსხვავებული გადაწყვეტილება საკუთარი მიხედულების ფარგლებში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად: „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას“. ხოლო მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დაუშვებელია ამ მუხლიდან გადახვევა ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს²⁴⁸. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით: „კონვენციის მე-3 მუხლი შეიცავს დემოკრატიული საზოგადოების ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებებს“²⁴⁹. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა არის ცივილიზაციის მონაპოვარი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის ღირსების პატივისცემას. შესაბამისად, დაუშვებელია მისი შეზღუდვა ან

247 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 17.

248 ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მსგავსად, არაერთი სხვა საერთაშორისო აქტი, მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-4 მუხლი, კრიტიკულ ვითარებებში (საომარი ან სხვა საგანგებო ვითარება) დაუშვებლად აცხადებს სახელმწიფოებისთვის იმ ვალდებულებებისგან გადახვევას, რომლებიც ეხება წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის/ სასჯელის აკრძალვას.

249 *Selmouni v. France*, app. №25803/94, (ECtHR, [GC], 28.07.1999), §95; *Labita v Italy*, app. №26772/95, (ECtHR, [GC], 06.04.2000), §119; *Gäfgen v. Germany* app. №22978/05, (ECHR, [GC], 01.06, 2010), §87; *Mocanu and Others v. Romania*, app. №10865/09, 45886/07, 32431/08, (ECtHR, [GC], 13.11.2012), §315; *Bouyid v. Belgium*, app. №23380/09, (ECtHR, 01.10.2015).

მისგან გადახვევა. სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, რომ „ამ მუხლით აბსოლუტურად არის აკრძალული წამება, არაადამიანური თუ დამამცი-რებელი მოპყრობა ან დასჯა, არსებული გარემოებებისა და მსხვერპლის საქციელის მიუხედავად“²⁵⁰. „კონფლიქტის არანაირი დონე არ ამცირებს პირის უფლებას, დაცული იყოს არასათანადო მოპყრობისაგან“. კონვენ-ციის მესამე მუხლი არ ითვალისწინებს გამონაკლისებს და არანაირი გა-დახვევა არ არის ნებადართული მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საგანგებო მდგომარეობის დროს, როცა ერის სიცოცხლეს ექმნება საფრთ-ხე. ურთულეს პირობებშიც კი, როგორცაა ტერორიზმისა და ორგანიზე-ბული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, კონვენცია სრულად კრძალავს წამებასა და არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას, მიუხედავად პირის ქცევისა²⁵¹. აღნიშნული გულისხმობს, რომ გაუმართ-ლებელი და დაუშვებელია მე-3 მუხლის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ ჩადენილი ყველა ქმედება, რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს იგი²⁵². წარსული ან შესაძლო სამომავლო ქმედებები, რამდენადაც არასასურვე-ლი ან საფრთხისშემცველი არ უნდა იყოს ისინი, კითხვის ნიშნის ქვეშ ვერ დააყენებს ამ უფლებას²⁵³.

ბუნებრივია, საკითხი ანალოგიურად არის გადაწყვეტილი საქარ-თველოს კონსტიტუციითაც. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა ადამიანებს აბსოლუ-ტურად იცავს ამავე ნორმით აკრძალული ქმედებებისგან. ანუ, კონსტი-ტუციური აკრძალვა ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი, ... ღირ-სების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის გამოყენების თაობაზე ადა-მიანების აბსოლუტური უფლებებია, რაც ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუცია უპირობოდ გამორიცხავს ამ უფლებებში ჩარევას. ნიშანდობლივია, რომ ეს აკრძალვა ვრცელდება ომის და საგანგებო მდგომარეობის დროსაც. შესაბამისად, არ არსებობს ლეგიტიმური მიზანი, დაუძლეველი ინტერე-სი, როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ის (ტერიტორიული მთლი-ანობის, სუვერენიტეტის დაცვა, ტერორიზმთან ბრძოლა, სახელმწიფო

250 *Labita v Italy*, app. №26772/95, (ECtHR, [GC], 06.04.2000), §119; *Svinarenko and Slyadnev v. Russia*, app. № 32541/08, 43441/08, (ECHR, 17.07.2014), §113.

251 *Chahal v. the United Kingdom*, app. №22414/93, (ECtHR, 15.11.1996); *Labita v Italy*, app. №26772/95, (ECtHR, [GC], 06.04.2000), §119; *Gäfgen v. Germany* app. №22978/05, (ECHR, [GC], 01.06. 2010); *Svinarenko and Slyadnev v. Russia*, app. №32541/08, 43441/08, (ECHR, 17.07.2014), §113; *Bouyid v. Belgium*, app. №23380/09, (ECtHR, 01.10.2015).

252 *Tomasi v France*, app. №12850/87, (ECtHR, 27.08.1992); *Labita v Italy*, app. №26772/95, (EC- tHR, [GC], 06.04.2000), §119.

253 *Chahal v. the United Kingdom*, app. №22414/93, (ECtHR, 15.11.1996).

უსაფრთხოება და სხვა), რომლის დასაცავადაც შესაძლებელი იქნებოდა ამ უფლებებში ჩარევის გამართლება.²⁵⁴ „...კონსტიტუციამ პოტენციური კონფლიქტი მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულ სიკეთესა და კონსტიტუციით დასაცავ ნებისმიერ სხვა ღირებულ ინტერესს შორის, რომლის დაცვის მუდმივი ვალდებულებაც ქვეყნის ხელისუფლებას აქვს, იმთავითვე და უპირობოდ გადაწყვიტა ადამიანის ღირსების სასარგებლოდ. ... ვერც ერთი ... სიკეთის დაცვა ვერ გამართლებს ადამიანის წამებას, არაჰუმანურ და სასტიკ მოპყრობას, ... ღირსების შემლახველ ქმედებას ან სასჯელს. ... დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომლის საფუძველი და მიზანი თავისუფალი ადამიანია, შეუძლებელია არსებობდეს ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი, ღირსების შემლახველი მოპყრობის მოთხოვნილება, საჭიროება და, მით უფრო, კონსტიტუციური გამართლება. დემოკრატიას ვერ შექმნის, ვერ დაიცავს და ვერ უზრუნველყოფს ისეთი ხელისუფლება და სამართალი, რომელიც ადამიანის წამებას, არაადამიანურ, ღირსების ... შემლახველ მოპყრობას და სასჯელს დასაშვებად მიიჩნევს დემოკრატიისვე ინტერესებში, რადგან შეუძლებელია დემოკრატიისა და ღირსების შელახვის ურთიერთთავსებადობა. დემოკრატიის იდეა თავისუფალ და, შედეგად, ღირსებადაცულ ადამიანს, საზოგადოებას ეფუძნება და ემსახურება. ამიტომ საფუძველშივე მცდარი და ცინიკურია იმის დაშვება, რომ თავისუფალი ადამიანების საზოგადოება მიიღწევა ადამიანის წამებით, არაჰუმანური მოპყრობით, სასტიკი და ღირსების შემლახველი სასჯელებით“²⁵⁵.

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი დაუშვებლად აცხადებს: ა) ადამიანის წამებას; ბ) არაადამიანურ მოპყრობას ან სასჯელს; გ) დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს. სამივე ტიპის მოპყრობა წარმოადგენს ადამიანის ღირსების უხეშ ხელყოფას და აკრძალულია აბსოლუტურად. მიუხედავად მოპყრობის ამ ფორმებს შორის სხვაობისა, ის, რაც სამივე მათგანის აბსოლუტურად აკრძალვას განაპირობებს, არის „სისასტიკის მინიმალური ზღვარი“, რომელსაც მოპყრობა აღწევს. იმის დასადგენად, მოპყრობა არის თუ არა ამ კონდიციის, არ არსებობს უნივერსალური, აბსოლუტურად განსაზღვრული მკაფიო კრიტერიუმები და ყოველ ჯერზე უნდა შეფასდეს საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე. ამასთან, როგორც წესი, გავ-

254 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 19.

255 იქვე, II, 20-21.

ლენაუნარიან ფაქტორებად მიიჩნევა მოპყრობის ხანგრძლივობა, შედეგად პირის ფიზიკური და სულიერი/ფსიქოემოციური მდგომარეობა, ცალკეულ შემთხვევებში – პირის სქესი, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ზოგადად, როგორც არაჰუმანური, სასტიკი, ისე ... ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელი არის ადამიანზე განზრახ ფიზიკური, ფსიქოლოგიური, მორალური ზემოქმედება, იძულება, რაც, შედეგად, ადამიანს აყენებს განსაცდელს, სტრესს, სატანჯველს. ამასთან, ადამიანზე ასეთი წნეხი, იძულება, ზემოქმედება როგორც თვისობრივად, ისე ხანგრძლივობით ინტენსივობის გარკვეულ ხარისხს, მაღალ დონეს უნდა აღწევდეს“²⁵⁶. „... მოპყრობა რომ ჩაითვალოს არაჰუმანურად, სასტიკად ან ... ღირსების შემლახველად, ის უნდა აღწევდეს სიმწვავის განსაზღვრულ დონეს“²⁵⁷. „არაჰუმანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ზღვარს რომ მიაღწიოს, ქმედება უნდა სცილდებოდეს იმ ტკივილის, დისკომფორტის, სულიერი ტანჯვისა და სირცხვილის შეგრძნებას, რომელსაც ადამიანი გარდაუვლად განიცდის სასჯელისა და სხვა თავისუფლებაშემზღვეველი ლეგიტიმური მოპყრობის დროს...“²⁵⁸ ამავე დროს, მოპყრობის სიმწვავის დონის შეფასება დამოკიდებულია ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაზე. „[მოპყრობის] შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოპყრობის ხასიათი და კონტექსტი, მისი განხორციელების მეთოდები, ხანგრძლივობა, ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტი პირზე“²⁵⁹. „...ღირსების შემლახავია მოპყრობა, რომელიც მსხვერპლს აღუძრავს შიშს, ძლიერ ტკივილს, დამცირების ან დაქვემდებარების შეგრძნებას ან ისეთი ქმედება, რომელიც ახდენს პირის ფიზიკურ ან მორალურ გატეხას და აიძულებს მას, რომ მოიქცეს საკუთარი შეგნების საწინააღმდეგოდ“²⁶⁰. იმავეზე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომლის განმარტებით: „არასათანადო მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სისას-

256 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 22.

257 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება №2/4/665,683 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ, II, 13.

258 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 185.

259 იქვე, II, 180.

260 იქვე, II, 181.

ტიკის მინიმალურ ზღვარს, იმისათვის, რომ მესამე მუხლის მოქმედების ქვეშ მოხვდეს. აღნიშნული მინიმუმის შეფასება დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორცაა მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური შედეგები და ზოგ შემთხვევაში, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა²⁶¹. დამატებითი ფაქტორია მიზანი, რის გამოც განხორციელდა არასათანადო მოპყრობა, განზრახვასა და მოტივაციასთან ერთად²⁶², თუმცა მსხვერპლის დამცირებისა და შეურაცხყოფის განზრახვის არარსებობა ვერ გამორიცხავს მესამე მუხლის დარღვევას²⁶³. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს კონტექსტს, რომელშიც არასათანადო მოპყრობა განხორციელდა, მაგალითად, განსაკუთრებით დაძაბული და ემოციური ატმოსფეროს არსებობა²⁶⁴.

მნიშვნელოვანია, რომ დროთა განმავლობაში, სამართლის მეტი ჰუმანურობის იდეის პროგრესის გზაზე, ფერმკრთალდება ზღვარი წამებას, არაადამიანურ მოპყრობასა და დამამცირებელ მოპყრობას/სასჯელს შორის. ის, რაც წლების წინ არაადამიანური მოპყრობის კვალიფიკაციას მიიღებდა, დღეს უთანაბრდება წამებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ტანჯვის ხარისხი, რომელმაც შესაძლოა წამების ზომას მიაღწიოს, არ არის დროში გაყინული. კონვენცია ცოცხალი ინსტრუმენტი, რომელიც ინტერპრეტირებულ უნდა იქნეს აწმყოს პირობების გათვალისწინებით. ამიტომ გარკვეული ქმედებები, რომლებიც ადრე კლასიფიცირებული იყო არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად და არა წამებად, შესაძლოა განსხვავებულად იქნეს აღქმული ახლა ან მომავალში²⁶⁵.

261 *Gäfgen v. Germany*, app. №22978/05, (ECHR, [GC], 01.06.2010), §88; *Svinarenko and Slyadnev v. Russia*, app. №32541/08, 43441/08, (ECHR, 17.07.2014), §114; *Bouyid v. Belgium*, app. №23380/09, (ECtHR, 01.10.2015).

262 *Aksoy v. Turkey*, app. №21987/93, (ECHR, 18.12.1996), §64, *Krastanov v. Bulgaria*, app. №50222/99, (ECtHR, 30.09.2004), §53; *Gäfgen v. Germany*, app. №22978/05, (ECHR, [GC], 01.06.2010), §88.

263 *Svinarenko and Slyadnev v. Russia*, app. №32541/08, 43441/08, (ECHR, 17.07.2014), §114; *Bouyid v. Belgium*, app. №23380/09, (ECtHR, 01.10.2015).

264 *Selmouni v. France*, app. №25803/94, (ECtHR, [GC], 28.07.1999), §104; *Gäfgen v. Germany* app. №22978/05, (ECHR, [GC], 01.06.2010), §88; *Bouyid v. Belgium*, app. №23380/09, (ECtHR, 01.10.2015).

265 *Selmouni v. France*, app. №25803/94, (ECtHR, [GC], 28.07.1999).

2.3.1. წამება

წამება განიხილება უფლების ყველაზე მძიმე დარღვევად²⁶⁶. წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ გაეროს 1984 წლის 10 დეკემბრის კონვენციის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ამ კონვენციის მიზნებისათვის, ტერმინი „წამება“ ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას, რომლითაც ამა თუ იმ პირს განზრახ მიეყენება ძლიერი ტკივილი ან ტანჯვა, ფიზიკური ან სულიერი, ისეთი მიზნებით, როგორებიცაა მისგან ამ მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოპოვება, მისი დასჯა ქმედებისათვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვიმტანილია, ან მისი ან მესამე პირის დაშინება ან იძულება, ან ნებისმიერი ხასიათის დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილი ან ტანჯვა მიყენებულია სახელმწიფო თანამდებობის პირის, ან ოფიციალური თანამდებობით მოქმედი სხვა პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, ან მისი ნებართვით, ან მისი უსიტყვო თანხმობით. იგი არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან, ან მათი თანმდევია“.

მაშასადამე, კონვენცია ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე ელემენტზე, რომელთა ერთობლიობა ქმნის წამების კვალიფიკაციას, კერძოდ:

1. ქმედება პირს უნდა აყენებდეს ძლიერ ფიზიკურ ან/და სულიერ ტკივილს, ტანჯვას. წამება საჭიროებს „ტანჯვის მწვავე ხარისხს“. ქმედების სისასტიკეს, ტანჯვის ინტენსიურობას შესაძლოა განაპირობებდეს სხვადასხვა ფაქტორები: მოპყრობის ხანგრძლივობა, მეთოდი, ხასიათი, ფიზიკური და ფსიქოემოციური/სულიერი შედეგები;

2. ტკივილის/ტანჯვის მიყენება უნდა ხდებოდეს განზრახვით. წამების კვალიფიკაციისთვის განზრახვის ელემენტი მნიშვნელოვანია. პირი, რომელიც იღებს სასტიკი მოპყრობის თაობაზე გადაწყვეტილებას, ისევე, როგორც აღასრულებს მას, ყოველთვის მოქმედებს განზრახვით, ტკივილი და ტანჯვა მიაყენოს ადამიანს;

3. ასეთი ქმედება მიზნად უნდა ისახავდეს ინფორმაციის ან აღიარების მოპოვებას (ამ ან მესამე პირისგან), დასჯას ქმედებისთვის, რომელიც მან ან მესამე პირმა ჩაიდინა, ან რომლის ჩადენაშიც ეჭვიმტანილია, დაშინებას ან იძულებას (მისი ან მესამე პირის), დისკრიმინაციას;

266 *Selmouni v. France*, app. №25803/94, (ECtHR, [GC], 28.07.1999).

4. ტკივილის ან ტანჯვის მიყენება უნდა ხდებოდეს სახელმწიფო თანამდებობის პირის ან სახელმწიფო მოხელის მიერ, ან მისი წაქეზებით, ნებართვით თუ უსიტყვო თანხმობით;

5. წამება არ მოიცავს ტკივილს ან ტანჯვას, რომელიც მხოლოდ კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება, არსებითად განუყოფელია მათგან, ან მათი თანმდევია. ამ კონტექსტში ყურადსაღებია, რომ ფრაზა – „კანონიერი სანქციები“ – არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს კანონით ფიზიკური ტკივილის, ტანჯვის გამომწვევი სანქციების (მათ შორის, ე.წ. სხეულებრივი სასჯელების) დადგენის შესაძლებლობას, ლეგიტიმაციას. პირიქით, წამების აკრძალვის აბსოლუტური ბუნება იმპერატიულად მოითხოვს, პირველ რიგში, სწორედ კანონით ასეთი ქმედების შემოღების გამორიცხვას. კონვენციაში გამოყენებული ფრაზა – „ტკივილი ან ტანჯვა, რომელიც კანონიერი სანქციების შედეგად წარმოიქმნება“, გულისხმობს იმ თავისთავად, ბუნებრივ დისკომფორტს, რომელიც უკავშირდება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული თანაზომიერი სანქციების/პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შედეგად უფლებების შეზღუდვას. მაშასადამე, საუბარია ფუნდამენტური უფლებების არსთან თავსებად პროპორციულ შეზღუდვებზე.

შეუძლებელია ყველა იმ ქმედების ამომწურავი ჩამონათვალის გაკეთება ან კლასიფიცირება, რომელიც წამების კვალიფიკაციას შეიძენს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყოველ ჯერზე საკითხი გადაწყდება ინდივიდუალური გარემოებების და შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით. თუმცა, უკვე არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, შეიძლება წამების კონკრეტულ მაგალითებზე ყურადღების გამახვილება. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ წამებად მიიჩნია პირზე ფიზიკური ძალადობა, გაუპატიურება, ელექტროშოკის გამოყენება, დაბმა, საკანში ხანგრძლივი ვადით და მკაცრი რეჟიმის ქვეშ მართო დატოვება²⁶⁷, მოშიმშილე პატიმრის იძულებითი კვება, მკვლელობის მუქარა, დაკითხვის წარმოება ოთახში, სადაც არის პერმანენტული, განგრძობადი ხმაური (ხმა, რომელიც განუწყვეტლივ ისმის), ან ძილისთვის განკუთვნილ საათებში ძილის ხარჯზე, ხანგრძლივი დაკითხვის განმავლობაში საჭმლისა და სასმლის გარეშე დატოვება (ან მნიშვნელოვნად შემცირებული დოზით მიწოდება). შესაძლებელია წამებას გაუტოლდეს ფსიქიკური ტანჯვა, მაგალითად, დაკავებული პირის შიშისა და სტრესულ მდგომარეობაში ჩაყენება,

267 *Dikme v. Turkey*, app. №20869/92, (ECHR, 11.07.2000).

როდესაც ემუქრებიან, რომ მისი ოჯახის წევრებს აწამებენ²⁶⁸ ან მოკლავენ, თუკი ის არ აღიარებს დანაშაულს და სხვა.

პირველი საქმე, რომელშიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა წამებას, იყო *Aksoy v. Turkey*. მსხვერპლის მიმართ გამოიყენეს „პალესტინური დაკიდება“, კერძოდ, ის გააშიშვლეს, ხელები შეუკრეს ზურგს უკან და მკლავებით დაკიდეს, რამაც საბოლოოდ გამოიწვია ორივე მკლავს პარალიზება²⁶⁹.

საქმეზე *Selmouni v. France*²⁷⁰ განმცხადებლის მიმართ როგორც დაკითხვისას, ისე პატიმრობის მთელი დროის განმავლობაში სისტემატურად გამოიყენებოდა ძალადობის სხვადასხვა ფორმა: სასტიკად სცემდნენ, ათრევდნენ თმებით, აშარდავდნენ, ემუქრებოდნენ, რომ ლამფის გამოყენებით შეტრუსავდნენ, მის მიმართ ასევე ადგილი ჰქონდა სექსუალურ ძალადობას, გაუკუღმართებულ ქმედებებს და სხვა. გამოყენებული ქმედებები ერთდროულად იყო ძალადობრივი და დამამცირებელი. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ წამების დასადაგენად საკმარისად მიიჩნია ფაქტი, რომ ფიზიკურმა და ფსიქიკურმა ძალადობამ, განსაკუთრებულმა სისასტიკემ გამოიწვია განმცხადებლისთვის ძლიერი ტკივილი, ტანჯვა.

საქმეზე *Mindadze and Nemsitsveridze v. Georgia*²⁷¹ ერთ-ერთი მომჩივანი პოლიციის სამმართველოში დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას პოლიციის ოფიცერთა მხრიდან. ის ამტკიცებდა, რომ მის მიმართ გამოიყენეს ელექტროშოკი, სცემეს, კისერში ურტყამდნენ რკინის ბოქლომს, თავზე იარაღის მიბჯენით აიძულეს, ხელი მოეწერა წინასწარ მომზადებული აღიარებისთვის. ამასთან, ემუქრებოდნენ მისი მეუღლის დაკავებით, რისთვისაც მის ბინაში „ჩადეს“ ნარკოტიკები.

ევროპულმა სასამართლომ გაიმეორა, რომ საქმეებზე, რომლებშიც კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევაზე საუბარი, მტკიცებულებათა შეფასებისას ის იყენებს „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტს. ამასთან, როდესაც განსახილველი მოვლენები სრულად ან დიდწილად სახელმწიფო ორგანოების ექსკლუზიური ცოდნის/ეფექტური კონტროლის ფარგლებში ექცევა, იქმნება ფაქტთა ძლიერი პრეზუმფცია იმ დაზიანებებთან მიმართებით, რომლებიც დაკავების პერიოდში განჩნდა. მტკიცების ტვირთი მთავრობაზეა. მან, შესაბამის მტკიცებულებებზე დაყრდ-

268 *Akkoc v. Turkey*, app. №22947/93, (ECHR, 10.10.2000).

269 *Aksoy v. Turkey*, app. №21987/93, (ECHR, 18.12.1996).

270 *Selmouni v. France*, app. №25803/94, (ECtHR, [GC], 28.07.1999).

271 *Mindadze and Nemsitsveridze v. Georgia*, app. №21571/05, (ECtHR, 01.06.2017).

ნობით, უნდა წარმოადგინოს დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებს დაზარალებულის მიერ გაცხადებულ ინფორმაციას²⁷².

მოცემულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ფაქტზე, რომ მომჩივანს არ ჰქონდა მის მიერ არჩეულ ადვოკატზე დროული ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა, რამაც დამატებით გაართულა მყისიერად მისი სათანადო სამედიცინო შემოწმების უზრუნველყოფა ჯანმრთელობის მდგომარეობის დასადგენად და ექსპერტიზის ჩატარება სხეულზე წამების, არაადამიანური მოპყრობის კვალის აღსაწერად. მიუხედავად ამისა, მომჩივნის დაგვიანებულმა გამოკვლევამაც კი, რომელიც ჩატარდა კერძო ექსპერტების მიერ მისი ოჯახის მოთხოვნით, დაადასტურა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზემოქმედების არსებობა, რომლებიც შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო იმგვარი არასათანადო მოპყრობით, როგორც საჩივარში იყო მითითებული. ასევე სხვადასხვა მოწმე, რომლებმაც ნახეს პირველი მომჩივანი სავარაუდო არასათანადო მოპყრობის დღეს ან მალევე მას შემდეგ, ეროვნული სასამართლოს წინაშე აცხადებდნენ, რომ მათ პირველ მომჩივანზე შენიშნეს ფიზიკური დაზიანებების კვალი.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე ალტერნატიული განმარტება არასათანადო მოპყრობის ნიშნების შესაძლო წარმომავლობის შესახებ, რაც მომჩივნის თანმიმდევრულ ბრალდებას უფრო მეტად დამაჯერებელს ხდიდა²⁷³. სასამართლომ დამატებით ყურადღება გაამახვილა, რომ აღნიშნულ ფაქტებზე კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანოებმა არ ჩაატარეს ადეკვატური გამოძიება.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ საკმარისად დასაბუთებულად მიიჩნია, რომ მომჩივანს ტანზე აღენიშნებოდა იმ ტიპის არასათანადო მოპყრობის კვალი, რომელსაც ის აღწერდა და ასაჩივრებდა ეროვნულ დონეზე. ეროვნულმა სახელმწიფო ორგანოებმა ვერ შეძლეს მისი საჩივრების სწრაფი და სრული გამოძიება. მთავრობას არც კი უცდია, წარმოედგინა არასათანადო მოპყრობის კვალის წარმოშობის ალტერნატიული და დამაჯერებელი ახსნა. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულების გათვალისწინებით, პასუხი აგოს იმ პირებისთვის მიყენებული დაზიანებებისთვის, რომლებიც მისი კონტროლის ქვეშ იმყოფებიან პატიმრობაში, სასამართლომ დაადგინა, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა დამტკიცდა, რომ მომჩივანი, მისი დაკავების შემდეგ, დაექვემდებ

272 *Bouyid v. Belgium*, app. №23380/09, (ECtHR, 01.10.2015), §82-83;

273 *Mindadze and Nemsitsveridze v. Georgia*, app. №21571/05. (ECtHR, 01.06. 2017), §107.

ბარა პოლიციის მხრიდან სასტიკ მოპყრობას. არასათანადო მოპყრობის კონკრეტული სახეების გათვალისწინებით (ელექტროშოკის გამოყენება, რკინის ბოქლომით ცემა), რომლებიც პოლიციის ოფიცრებმა გამოიყენეს ერთადერთი მიზნით – მომჩივნისგან აღიარების მოსაპოვებლად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს იყო ადამიანის ფიზიკური ხელშეუხებლობისა და ღირსების შელახვის მძიმე ფორმა, რომელიც კონვენციის მე-3 მუხლის მიზნებისთვის ითვლება წამებად.

2.3.2. არაადამიანური მოპყრობა და სასჯელი

არაადამიანური მოპყრობა ან სასჯელი ასევე გულისხმობს პირისთვის ძლიერი ფიზიკური ან/და სულიერი/ფსიქიკური ტკივილის, ტანჯვის მიყენებას. სხვაობა წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას შორის არის მიყენებული ტანჯვის სიმძიმეში, ინტენსივობაში. არაადამიანური მოპყრობა გულისხმობს წამებასთან შედარებით სისასტიკის ნაკლებ დონეს. მის დასადგენად არ არის აუცილებელი მიზნის ელემენტის არსებობა. თუმცა, როგორც აღინიშნა, ეს სხვაობა თანდათან ფორმალური და რთულად გასარჩევი ხდება, რადგან თანამედროვე პირობებში ადამიანის ღირსებისა და თავისუფლების დაცვისადმი მზარდი ყურადღების ფონზე, არაადამიანური მოპყრობა, სულ უფრო მკაცრ შეფასებას მოითხოვს.

არაადამიანურ მოპყრობას განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით ადამიანების დაკავების მომენტში, დაკითხვისას ან პატიმრობაში/ სასჯელალსრულების დაწესებულებაში ყოფნისას.

პოლიციის მიერ თავისუფლებაალკვეთილი პირის მიმართ ძალის გამოყენების შეფასებისას (იმის დასადგენად, მიაღწია თუ არა მოპყრობამ დაუშვებელი სისასტიკის ზღვარს) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავად ფაქტს, რომ ძალის ბოროტად გამოყენება განხორციელდა იმ პირობებში, როდესაც პირი პოლიციის ეფექტური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა. ასეთ შემთხვევებში გამოიყენება სისასტიკის ზღვრის შეფასების შედარებით დაბალი სტანდარტი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პირები მოწყვლად მდგომარეობაში არიან და კონვენციის მე-3 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოებს, დაიცვან მათი ფიზიკური ხელშეუხებლობა. ასევე, გათვალისწინებული უნდა იყოს მსხვერპლის შიშისა და დაუცველობის შეგრძნებები²⁷⁴. ეს განსაკუთრებით გასათვალისწინებელია არას-

274 *Salman v. Turkey*, app. №21986/93, (ECtHR, 27.06.2000); *Denis Vasilyev v. Russia*, app. №32704/04, (ECHR, 17.12.2009); *Valiulienė v. Lithuania*, app. №33234/07, (ECHR, 26.03.2013); *Bouyid v. Belgium*, app. №23380/09, (ECtHR, 01.10.2015), §78.

რულწლოვან თავისუფლებადკვეთილ პირებთან მიმართებით, ვინაიდან მათი მოწყვლადობის ხარისხი კიდევ უფრო მაღალია. ევროპული სასამართლოს შეფასებით, მხოლოდ სილის გარტყმასაც კი შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული ფსიქოლოგიური შედეგები, რომლებიც არ შეესაბამება კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს. პოლიციასთან თანამშრომლობაზე უარის თქმის შემთხვევაში სილის გარტყმა შესაძლოა, აღქმული იყოს, როგორც სასტიკი ძალადობის ან სასჯელის საფრთხე.

საქმეში *Davydov and Others v. Ukraine*²⁷⁵ სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს, უფლებამოსილი (სამართალდამცავი) პირები სათანადოდ დაატრენინგონ, რომ მათ გააჩნდეთ მაღალი დონის კომპეტენცია პროფესიული მოვალეობების შესრულების დროს, რათა არც ერთი ადამიანი არ გახდეს მათ მიერ მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობის მსხვერპლი. სამართალდამცავ პირებს ფიზიკური ძალის გამოყენების უფლება აქვთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკიდურესად აუცილებელი და ლეგიტიმური მიზნის პროპორციულია. კერძოდ, დაკავებული პირების მიმართ არ უნდა მოხდეს ძალის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია წესრიგის, უსაფრთხოების, მათ შორის, პერსონალური უსაფრთხოების დასაცავად. იმავდროულად, გამოყენებული ძალა დასახული კანონიერი მიზნების თანაბომიერი უნდა იყოს. ასეთ დროს აუცილებელია შესაძლო ზიანის მინიმიზება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, არსებობდეს სხვადასხვა საშუალება დიფერენცირებული ძალის გამოყენებისთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფოს მიერ დაკავებული პირის მიმართ ძალის გამოყენება იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა ამის უკიდურესი აუცილებლობა, ლახავს პირის ღირსებას და არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს. მეტიც, სასამართლომ მიუთითა, რომ უკიდურესი საჭიროების არარსებობის შემთხვევაში, მე-3 მუხლის დარღვევის დასადგენად აუცილებელი არ არის, სასამართლომ შეაფასოს მიყენებული ტანჯვის სისასტიკე²⁷⁶. იმ შემთხვევაში კი, თუ უკიდურესი აუცილებლობა დადასტურდება, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა გადაამწყვეტი ფაქტორი, მათ შორის, სასტიკი მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური ან/და მენტალური ეფექტები, ასევე პირის მოწყვლადობა²⁷⁷.

275 *Davydov and Others v. Ukraine*, app. №17674/02, 39081/02, (ECtHR, 01.10.2010), §268.

276 *Keenan v. the United Kingdom*, app. №27229/95, (ECtHR, 03.04.2001), §113.

277 *Bouyid v. Belgium*, app. №23380/09, (ECtHR, 01.10.2015), §78.

2.3.2.1. საპატიმრო სასჯელების (მათ შორის, უვადო პატიმრობის) შეფასება არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის/სასჯელის ამკრძალავ დებულებასთან მიმართებით

სასჯელის უმთავრესი მიზანი არის/უნდა იყოს პირის რესოციალიზაცია (დანაშაულის პრევენციასა და სამართლიანობის დაცვასთან ერთად) და არა მისი დასჯა, დამცირება, ტანჯვა. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია ზოგადად სასჯელების სამართლიანობის მიღწევა. სწორედ ამ კონტექსტში საინტერესოა საპატიმრო სასჯელების არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის/სასჯელის ამკრძალავ დებულებასთან მიმართებით თავსებადობის შეფასება.

2.3.2.1.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები

საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის სიტყვების – „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე“²⁷⁸ – იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით, რომელიც აწესებდა სასჯელს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება – გამოშვრალი მარიხუანის პირადი მოხმარების (და არა რეალიზაციის) მიზნებისთვის შეძენა-შენახვის გამო.

სასამართლომ დაადგინა კრიტერიუმები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია საპატიმრო სასჯელების კონსტიტუციურობის შეფასება არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის/სასჯელის ამკრძალავ კონსტიტუციურ დებულებასთან მიმართებით. კერძოდ, მისი განმარტებით: „თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა, რიგ შემთხვევებში, ითვლება არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად – მაგალითად, წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივი ვადა, ასევე დანაშაულებრივი ქმედებისთვის დაკისრებული აშკარად არაპროპორციული საპატიმრო სასჯელი. იმავდროულად, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივი ვადა, უვადო პატიმრობაც კი თავისთავად არ გულისხმობს არაადამიანურ, სასტიკ მოპყრობას და სასჯელს. შესაძლოა, ხანგრძლივი თავისუფლების აღკვეთა

278 ნორმის დავის განხილვის დროისთვის მოქმედი რედაქცია.

(15, 20 წელი), ისევე, როგორც უვადო პატიმრობა, არა მხოლოდ არ არღვევდეს, არამედ შემხებლობაშიც კი არ იყოს აღნიშნულ უფლებასთან, მაშინ, როდესაც გაცილებით უფრო ხანმოკლე თავისუფლების აღკვეთა მიჩნეულ იქნეს ადამიანისადმი არაპროპორციულ მოპყრობად და სასტიკ სასჯელად. მაშასადამე, თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობის, როგორც კრიტერიუმის, სრულად უგულებელყოფა ამ დროს არ შეიძლება, თუმცა, თავისთავად, ხანგრძლივობა ყოველთვის და ავტომატურად ამ უფლების დარღვევას არ იწვევს. ხანგრძლივი და უვადო თავისუფლების აღკვეთა გათავისუფლების შანსის (შესაძლებლობის) გარეშე განიხილება არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად. იმავდროულად, გათავისუფლების შესაძლებლობის არსებობა ვერ გამოდგება სასჯელის არაადამიანურ და დამამცირებელ სასჯელად მიჩნევის გამორიცხვისთვის, თუ სასჯელი მკვეთრად არაპროპორციულია ჩადენილი ქმედებისა.

... მაშასადამე, აშკარად არაპროპორციულ სასჯელებს, რომლებიც არ შეესაბამებიან დანაშაულის ხასიათს და სიმძიმეს, არა მარტო აქვთ მიმართება სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელის კონსტიტუციურ აკრძალვასთან, არამედ არღვევენ კიდევ ამ კონსტიტუციურ დანაწესს²⁷⁹. სასამართლოს შეფასებით: „თუ სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისთვის განმსაზღვრელი, ამოსავალი არის ის განსაცდელი, ტკივილი, სტრესი, რასაც განიცდის ადამიანი, ამასთან, როდესაც სახელმწიფოს ასეთი დამოკიდებულება იწვევს ადამიანის ამა თუ იმ უფლებაში/უფლებებში (სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, თანასწორობის და სხვა) ჩარევის ისეთ ინტენსივობას, რომელიც აშკარად სცდება კონსტიტუციით უფლებაში ჩარევისთვის მკაცრად დასაშვებ ფარგლებს, მაშინ შეუძლებელია, რომ არაადამიანურ მოპყრობად და სასჯელად არ იქნეს მიჩნეული ადამიანისთვის თავისუფლების აღკვეთა მაშინ, როდესაც ამისთვის საფუძველი და, შესაბამისად, საჭიროება არ არსებობს საერთოდ, ან, როდესაც თავისუფლების აღკვეთის კონკრეტული ვადა აშკარად არაპროპორციულია ჩადენილი ქმედებისთვის საკმარისი პასუხისმგებლობის მიზნების მისაღწევად. ასეთი მიდგომის მტკიცება მით უფრო ადვილია ადამიანის თავისუფლების (ხელშეუხებლობის უფლების) მნიშვნელობის გააზრების კვალდაკვალ“²⁸⁰.

279 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 24,25.

280 იქვე, II, 27.

იმავედროულად, სასამართლომ დაადგინა: „იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს სასჯელის არაპროპორციულობაზე მსჯელობა მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, სასჯელი დანაშაულებრივ ქმედებასთან მიმართებით უნდა იყოს უფრო მეტი, ვიდრე „უბრალოდ გადამეტებული“. კერძოდ, სასჯელის კონსტიტუციურობის შეფასება ეფუძნება შემდეგ გარემოებებს: 1) მოწმდება აშკარა არაპროპორციულობა დანაშაულის სიმძიმესა და მისთვის გათვალისწინებულ სასჯელს შორის – კანონმდებლობით ამა თუ იმ ქმედებისთვის დაკისრებული სასჯელი გონივრულ და პროპორციულ დამოკიდებულებაში უნდა იყოს კონკრეტული დანაშაულით გამოწვევად ზიანთან, რომელიც ადგება/შეიძლება მიაღვეს პირებს/საზოგადოებას. სასჯელი ჩაითვლება აშკარად არაპროპორციულად და არაადამიანურ, სასტიკ სასჯელად, თუ მისი ხანგრძლივობა მკვეთრად, უხეშად დისპროპორციულია ქმედების უმართლობის ხარისხთან, გამოწვევად საფრთხეებთან. 2) კანონი უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, მოსამართლემ სასჯელის დაკისრებისას გაითვალისწინოს კონკრეტული საქმის გარემოებები, ქმედებით გამოწვეული ზიანი, დამნაშავის ბრალეულობის ხარისხი და სხვა, რათა ფაქტობრივად გამოირიცხოს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ყველა რელევანტური ფაქტორის/გარემოების გათვალისწინებლად არაპროპორციული სასჯელის შეფარდება. მაშასადამე, ერთი მხრივ, ზოგადად, ამა თუ იმ დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელი უნდა იყოს ქმედებით გამოწვევად საფრთხეებთან გონივრულ პროპორციაში, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა იყოს შესაძლებლობა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის დაკისრება მოხდეს დანაშაულის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით. ამასთან, მოსამართლის დისკრეციის ფარგლები ასევე განჭვრეტადი უნდა იყოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს როგორც ერთგვაროვანი ურთიერთობების მიმართ ერთნაირი მიდგომა, ისე მოსამართლის დისკრეციის მიზნობრივი გამოყენება – გამოირიცხოს დისკრეციაზე დაყრდნობით მხოლოდ სუბიექტური შეხედულებებით გადაწყვეტილების მიღების რისკები“²⁸¹.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საპატიმრო სასჯელების კონსტიტუციასთან შესაბამისობისთვის შემდეგი მოთხოვნების დაკმაყოფილების ვალდებულებაზე: „სამართლებრივ სახელმწიფოში სისხლის სამართლის – ქმედების კრიმინალიზაციისა და მისი დასჯადობის ფუნქცია მხოლოდ მაშინაა წარმატებული, როდესაც ის გამოიყენება როგორც ultima ratio. საზოგადოების და ადამიანის ინტერესების დასაცავად სისხლისსამართლებრივი ნორმები უნდა გამოიყენებოდეს როგორც უკიდურე-

281 იქვე, II, 38.

სი საშუალება, როდესაც ამოწურულია სამართლებრივ სიკეთეთა დაცვის არასისხლისსამართლებრივი საშუალებები²⁸². „ვინაიდან თავისუფლების აღკვეთის საპირწონე არის შეზღუდული თავისუფლება, ის უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმ ხანგრძლივობით, როდესაც და რამდენადაც ეს უკიდურესად აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამ თვალსაზრისით, ხელისუფლების მიმართ არის მთავარი მოთხოვნა: შედგეს ობიექტური მართლმსაჯულება²⁸³. ამ კონტექსტში სასამართლოს დამატებითი მოთხოვნაა, გაირკვეს, უზრუნველყოფს თუ არა სასჯელი თავად სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. „იმი-სათვის, რომ კონკრეტული სასჯელის არსებობა გამართლებული იყოს სამართლებრივ სახელმწიფოში, ის თავად სასჯელის მიზნების მიღწევის ადეკვატური საშუალება უნდა იყოს. სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ ქმედებისთვის დაწესებული ნებისმიერი სასჯელი, თუ ის აცდენილი იქნება სასჯელის მიზნებს, თავად გახდება მიზანი. ადამიანის დასჯა სასჯელის მიზნების მიღმა, ამ მიზნების მიღწევის აუცილებლობის გარეშე ან მათ არაადეკვატურად, თავად დასჯას აქცევს სახელმწიფოს მიზნად და მთავარ ფუნქციად, შედეგად არარად აქცევს სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას²⁸⁴. „სამართლებრივ სახელმწიფოში კანონზომიერია მოლოდინი, რომ სასჯელი, თავისი შინაარსით, ფორმით, თვისობრივად და არსებითად გაცდება შურისძიების პრიმიტიულ სურვილს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სამართალთან და რომელიც ობიექტურად ვერ შეუწყობს ხელს ვერც ადამიანების, საზოგადოების დაცულობას, ვერც დანაშაულის შემცირებას და ვერც დამნაშავე პირის რესოციალიზაციას, საბოლოოდ ვერ შეუწყობს ხელს ვერც სამართლის პროგრესულ და მისი დანიშნულების შესაბამის განვითარებას და ვერც საზოგადოების წევრების ჰარმონიულ თანაარსებობას, შედეგად, ვერ უზრუნველყოფს იმ სამართლებრივ წესრიგს, რომლის დაცვისთვისაც უნდა გამოიყენებოდეს სახელმწიფოს იძულების უკიდურესი საშუალებები²⁸⁵. „სასჯელი, თავისი არსით, თავისთავად გულისხმობს, იწვევს ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვას. ეს სასჯელის გამოყენების თანმდევი კანონზომიერი შედეგია, რაც დამნაშავეს, სულ მცირე, დისკომფორტს უქმნის, იწვევს მასზე გარკვეულ მორალურ, ფსიქო-ემოციურ ზეგავლენას. თუმცა ამან არ უნდა მიაღწიოს ისეთ სიმწვავეს, რაც სასჯელს ადამიანისთვის ტანჯვისა და ტკივილის (მორალური

282 იქვე, II, 37.

283 იქვე, II, 29.

284 იქვე, II, 40.

285 იქვე, II, 42-43.

თუ ფიზიკური) მიყენების მიზნის საშუალებად გადააქცევს. სასჯელი ასეთად შეიძლება იქცეს, მათ შორის, მაშინაც, როდესაც ის არ გამოიყენება როგორც უკიდურესად აუცილებელი და ერთადერთი საშუალება²⁸⁶.

სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხოლოდ საკუთარი თავისთვის (საკუთარი ჯანმრთელობისთვის) ზიანის მიყენების რეალური საფრთხე არ შეიძლება იყოს პირის პასუხისმგებლობის საფუძველი. მისი განმარტებით: „საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების საფრთხის გამო პირისთვის თავისუფლების აღკვეთა ემსახურება მხოლოდ ზოგადი პრევენციის მიზანს, რომ სხვამაც არ ჩაიდინოს იგივე ქმედება და საკუთარ ჯანმრთელობას ზიანი არ მიაყენოს. მხოლოდ ზოგადი პრევენციის მიზანი, კონსტიტუციური გამაშუალებლის, ანუ პროპორციულობის გარეშე, მიემართება კონკრეტულ ინდივიდს და აქცევს მას ძალაუფლების ობიექტად, რადგან, სასჯელი ლეგიტიმაციას არ იღებს ქმედებისგან, მას არ ამართლებს პირის ქმედებიდან მომდინარე საშიშროება. ამგვარად, ადამიანი იქცევა ინსტრუმენტად სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, რაც გარდაუვლად იწვევს მისი ღირსების ხელყოფას. ... ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტიტუციის შესაბამისად პირისთვის თავისუფლების აღკვეთა ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ ამ ქმედების ავტორს უქმნის საფრთხეს და არ არის მიმართული (არ შეიძლება იყოს მიმართული) სხვათა უფლებების დარღვევისკენ. ... ამდენად, მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შექმნა/შენახვისთვის სისხლისსამართლებრივი სასჯელის დაწესება, რომელიც შესაძლოა იწვევდეს პირის თავისუფლების აღკვეთას, წარმოადგენს არაპროპორციულ ზომას ჯანმრთელობის დაცვის ზოგადი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად²⁸⁷. ასეთი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების მიღწევას და, შედეგად, სასჯელს გადააქცევს მიზნად. „სამართლებრივ სახელმწიფოში კანონმდებლობა არ უნდა იძლეოდეს ე.წ. „სანიმუშო“ სასჯელების გამოყენების შესაძლებლობას, რადგან სასჯელი მისივე მიზნებისგან ობიექტურად აცდენილი ხდება, ის არა მხოლოდ სასჯელის მიზნების მიღწევის უვარგისი საშუალება, არამედ სწორედაც რომ სასჯელის მიზნების კონტრპროდუქტიული საშუალება ხდება – გამოიწვევს იმ რისკებს, რომელთა თავიდან ასაცილებლადაც არის შემოღებული, როგორც ასოციალური ქცევის კორექტირების უკიდურესი საშუალება. ასეთი მიდგომა არღვევს პროპორციულობის პრინციპს, შედეგად იწვევს პირის არაპროპორციულ დასჯას და მისი ღირსების ხელყოფას²⁸⁸.

286 იქვე, II, 58-59.

287 იქვე, II, 82-84.

288 იქვე, II, 101-102.

მოგვიანებით საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რიგი ნორმების (სსკ-ის 273-ე მუხლის, 265-ე მუხლის, 260-ე მუხლის, სასკ-ის 45-ე მუხლის და სხვა) კონსტიტუციურობის შესახებ და იგივე არგუმენტაციაზე დაყრდნობით არაკონსტიტუციურად ცნო სხვადასხვა ნარკოდანაშაულისთვის გათვალისწინებული სანქციები²⁸⁹.

2.3.2.1.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილია, რომ მართალია, სრულწლოვანი სამართალდამრღვევებისთვის უვადო პატიმრობის შეფარდება თავისთავად არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 (ან/და სხვა) მუხლებს, მაგრამ „არაშემცირებადმა“ უვადო პატიმრობის დაკისრებამ შესაძლოა წამოჭრას მე-3 მუხლთან მიმართების საკითხი. კონვენციის მიზნებისთვის აუცილებელია, ამგვარი სასჯელი *დე იურე* და *დე ფაქტო* იყოს შემცირებადი²⁹⁰. იმის დადგენისას უვადო პატიმრობა შეიძლება თუ არა ჩაითვალოს „შემცირებადად“, სასამართლო არკვევს, პირს აქვს თუ არა გათავისუფლების რაიმე შანსი, კერძოდ, ეროვნული კანონმდებლობა იძლევა თუ არა სასჯელის გადახედვის საშუალებას მისი შემცირების, გაუქმების, შეწყვეტის ან პირობით ვადამდე გათავისუფლების მიზნით, რაც შესაბამისობაში იქნება კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებთან²⁹¹. ამავე დროს, უვადო პატიმრობა ვერ გახდება „არაშემცირებადი“ მხოლოდ იმის გამო, რომ პრაქტიკაში ის სრულად იქნა მოხდილი.

საქმეზე *Kafkaris v. Cyprus* დიდმა პალატამ არ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რადგან კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის პრე-

289 იხ.: 2016 წლის 26 თებერვლის განჩინება №3/1/708,709,710; 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინება №3/2/771, 775, 776, 777, 786, 787, 788; 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება №1/9/701,722,725 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გაგიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება №1/8/696 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება №1/6/770 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

290 *Kafkaris v. Cyprus*, app. №21906/04, (ECHR, 12.02.2008), §97; *Harakchiev and Tolumov v. Bulgaria*, app. №15018/11; 61199/12 (ECtHR, 08.07.2014), §243; *Trabelsi v. Belgium*, app. №140/10, (ECtHR, 04.09.2014), §112.

291 *Kafkaris v. Cyprus*, app. №21906/04, (ECHR, 12.02.2008), §98.

ზიდენტს, გენერალურ პროკურორთან შეთანხმებით, ნებისმიერ დროს შეეძლო უვადო პატიმრობის ჩანაცვლება უფრო ნაკლები ვადით. მართალია, პროცედურას ჰქონდა ხარვეზები, კერძოდ, არ იყო დადგენილი/გამოქვეყნებული კრიტერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც პრეზიდენტი ახორციელებდა თავის დისკრეციას, მას (პრეზიდენტს) არ მოეთხოვებოდა ამ გადაწყვეტილების დასაბუთება და არც ასეთი პრაქტიკა არსებობდა, დაუშვებელი იყო სასამართლო წესით გასაჩივრება, ამასთან, ზოგადად, უვადო პატიმრების გათავისუფლების პერსპექტივა შეზღუდული იყო, რადგან ის მხოლოდ პრეზიდენტის დისკრეციას წარმოადგენდა, თუმცა არსებობდა პრეზიდენტის მიერ ამ დისკრეციის გამოყენების რამდენიმე კონკრეტული მაგალითი. შესაბამისად, ვერ ჩაითვლებოდა, რომ მომჩივანს გათავისუფლების ყველანაირი შანსი ჰქონდა ჩამორთმეული.

საქმეზე *Vinter and Others v. the United Kingdom* დიდმა პალატამ განმარტა, რომ თუ პირი დაპატიმრებულია გათავისუფლების პერსპექტივისა და მისი უვადო პატიმრობის გადასინჯვის შესაძლებლობის გარეშე, არსებობს რისკი, რომ ის ვერასდროს მოინანიებს დანაშაულს, რადგან, როგორც გამორჩეულიც უნდა იყოს მისი პროგრესი რეაბილიტაციის მიმართულებით, მისი სასჯელი რჩება მკაცრად განსაზღვრული. შესაბამისად, დიდმა პალატამ დაადგინა, რომ ადამიანის ღირსებასთან შეუსაბამო იქნებოდა თავისუფლების აღკვეთა რეაბილიტაციის მოტივაციის შექმნის და ერთ დღესაც თავისუფლების დაბრუნების შანსის მიცემის გარეშე. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ ევროპულ სისხლის სამართლის პოლიტიკაში აქცენტი სულ უფრო მეტად კეთდება პატიმრობის სარეაბილიტაციო მიზანზე უვადო პატიმრების შემთხვევაშიც, როგორც ეს აშკარად გამოხატულია ცინის ევროპულ წესებში (მე-6, 102.1 და 103.8 წესები), მთელი რიგი ხელშემკვრელი სახელმწიფოების პრაქტიკაში, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის 10.3 მუხლში და ამ მუხლის შესახებ ზოგად კომენტარში²⁹².

აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ პირველად განმარტა, რომ სამუდამო პატიმრობამისჯილმა პირმა უნდა იცოდეს სასჯელის მოხდის დაწყებისთანავე, რა უნდა გააკეთოს გათავისუფლების პერსპექტივის გაჩენისთვის, რა პირობებით შეიძლება მოხდეს გათავისუფლება, მათ შორის, როდის შეიძლება მოხდეს მისი საქმის განხილვა. შესაბამისად, როდესაც ეროვნული კანონმდებლობით არ არის დადგენილი უვადო პატიმრობის

292 *Vinter and Others v. the United Kingdom*, app. №66069/09, 130/10, 3896/10, (ECtHR, 09.07.2013).

გადასინჯვის მექანიზმი, მე-3 მუხლთან შეუსაბამობა ამ საფუძვლით წარმოიშობა უვადო პატიმრობის შეფარდების მომენტიდანვე²⁹³.

საქმეზე *Harakchiev and Tolumov v. Bulgaria*²⁹⁴ სასამართლოს დიდმა პალატამ უვადო პატიმრებთან დაკავშირებით დაადგინა შემდეგი პოსტულატები:

„(a) უვადო პატიმრობის კონტექსტში კონვენციის მე-3 მუხლი უნდა განიმარტოს როგორც სასჯელის შემცირების შესაძლებლობით აღმჭურველი, რაც ეროვნულ სახელმწიფო ორგანოებს მისცემს უფლებამოსილებას, იმსჯელონ, უვადო პატიმრის ცხოვრებაში არის თუ არა იმდენად მნიშვნელოვანი ცვლილება და სასჯელის მოხდის პროცესში პროგრესი რეაბილიტაციის კუთხით, რაც მიანიშნებდა, რომ პატიმრობის გაგრძელება ველარ იქნებოდა გამართლებული ლეგიტიმური საფუძვლებით;

(b) სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და სასჯელის შეფარდების საკითხებზე ხელშემკვრელი სახელმწიფოების თავისუფალი შეფასების ფარგლების გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ამოცანა არ არის განსაზღვროს, როდის ან რა ფორმით უნდა მოხდეს სასჯელის გადასინჯვა. თუმცა საერთაშორისო გამოცდილება უთითებს უვადო პატიმრობის შეფარდების შემდეგ არაუგვიანეს ოცდახუთი წლისა სასჯელის პერიოდული გადასინჯვისთვის შექმნილი ინსტიტუტის მიმართ აშკარა მხარდაჭერაზე;

(c) თუკი ეროვნული კანონმდებლობა ამგვარი გადასინჯვის შესაძლებლობას არ ქმნის, უვადო პატიმრობა ვერ მიუახლოვდება კონვენციის მე-3 მუხლის სტანდარტებს;

(d) უვადოდ პატიმრობაშეფარდებული არ უნდა იყოს ვალდებული, მოიხადოს განუსაზღვრელი რაოდენობის წლები, სანამ შეძლებს საჩივრის წარდგენას მისი სასჯელის პირობების კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო. მეტიც, თუ სასჯელი შეფარდების შემდეგ შემცირებას არ ექვემდებარება ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, უსაფუძვლო იქნება მოლოდინი, რომ პატიმარი იმუშავებს საკუთარ რეაბილიტაციაზე იმ პირობებში, რომ გაურკვეველ მომავალში შემოღებული იქნება მექანიზმი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს, რეაბილიტაციის საფუძველზე განხილულ იქნეს მისი გათავისუფლება. უვადოდ პატიმრობაშეფარდებული უფლებამოსილია, იცოდეს სასჯელის მოხდის პროცესში რა უნდა გააკეთოს, რათა განხილული იყოს მისი გათავისუფლება და როდის იქნება შესაძლებელი მისი სასჯელის გადასინჯვა. შედეგად, როდესაც

293 *Harakchiev and Tolumov v. Bulgaria*, app. №15018/11; 61199/12 (ECtHR, 08.07. 2014), §243.

294 *Harakchiev and Tolumov v. Bulgaria*, app. №15018/11; 61199/12 (ECtHR, 08.07. 2014).

ეროვნული კანონმდებლობა არ ქმნის უვადო პატიმრობის გადასინჯვის რაიმე მექანიზმს ან შესაძლებლობას, კონვენციის მე-3 მუხლთან შეუსაბამობა ამ საფუძვლით წარმოიშობა ასეთი პატიმრობის შეფარდებისთანავე და არა პატიმრობის მომდევნო ეტაპებიდან²⁹⁵.

ამ საქმეზე სასამართლომ დამატებით აღნიშნა: „მართალია, კონვენცია არ არის რეაბილიტაციის უფლების გარანტი და მე-3 მუხლი ვერ განიმარტება, როგორც სახელმწიფო ორგანოებზე აბსოლუტურ ვალდებულებათა დამკისრებელი, პატიმრებისთვის უზრუნველყონ სარეაბილიტაციო და რეინტეგრაციის პროგრამები, აქტივობები (როგორცაა კურსები, კონსულტირება და სხვა), ის ავალდებულებს სახელმწიფო ორგანოებს, უვადო პატიმრებს მისცენ შანსი, თუნდაც შორეული, ერთ დღესაც მოიპოვონ თავისუფლება. იმისათვის, რომ ეს შანსი იყოს ნამდვილი და ხელშესახები, სახელმწიფო ორგანოებმა პატიმრებს ასევე უნდა მისცენ საკუთარი თავის რეაბილიტაციის სათანადო შესაძლებლობა²⁹⁶. „... ეს, რა თქმა უნდა, ის სფეროა, რომელშიც ხელშემკვრელი სახელმწიფოები სარგებლობენ თავისუფალი შეფასების ფართო ფარგლებით. თუმცა უვადო პატიმრობის რეჟიმი და პირობები ვერ იქნება საკითხი, რომლის მიმართაც ამ კონტექსტში გულგრილობა დასაშვებია. ეს პირობები და რეჟიმი უნდა იყოს იმგვარი, რომ უვადო პატიმრისთვის შესაძლებელი გახდეს საკუთარი რეფორმირებისკენ ძალისხმევის მიმართვა, რათა ერთ დღეს მოიპოვოს მისი სასჯელის გადასინჯვის შესაძლებლობა⁴²⁹⁷.

2.3.3. დამამცირებელი მოპყრობა და სასჯელი

როგორც აღინიშნა „რთულია და ყოველთვის არ არის შესაძლებელი ერთმანეთისგან გაიმიჯნოს არაადამიანური, სასტიკი მოპყრობა და სასჯელი ადამიანის ... ღირსების შემლახველი, დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელისგან, რადგან უმეტეს შემთხვევაში, შეუძლებელია ადამიანის მიმართ სასტიკმა და არაადამიანურმა მოპყრობამ არ გამოიწვიოს მისი დამცირება⁴²⁹⁸. თუმცა, ამავე დროს, დამამცირებელ მოპყრობას შეფასე-

295 *Harakchiev and Tulumov v. Bulgaria*, app. №15018/11; 61199/12 (ECtHR, 08.07. 2014), §246.

296 *Dickson v. the United Kingdom*, app. №44362/04, (ECtHR, 04.12.2007), §28; *Vinter and Others v. the United Kingdom*, app. №66069/09, 130/10, 3896/10, (ECtHR, 09.07.2013), §§ 113-118.

297 *Harakchiev and Tulumov v. Bulgaria*, app. №15018/11; 61199/12 (ECtHR, 08.07. 2014), §264-265.

298 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 22.

ბის დამოუკიდებელი კრიტერიუმებიც აქვს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „მოპყრობა ან სასჯელი ჩაითვლება დამამცირებლად, თუ ის გამოიხატება ადამიანის ნების და სინდისის საწინააღმდეგო მოქმედების ჩადენის იძულებაში. ამასთან, სასჯელის დამამცირებლად მიჩნევისთვის, ადამიანზე ზემოქმედების (ფსიქოლოგიური, მორალური), მისი შეზღუდვის და იძულების ფარგლები უნდა სცდებოდეს იმ ბუნებრივ ზღვარს, რომელიც თავისთავად თანმდევი და თანაარსია კონკრეტული სასჯელისა (რომელიც პირს შეფარდებული აქვს). დამამცირებელია მოპყრობა, რომელიც მსხვერპლში აღძრავს შიშს, ტანჯვას და დამცირებას, რომელიც შეურაცხყოფს მსხვერპლს. ამ დროს მხედველობაშია მისაღები, რამდენად არის ქმედების მიზანი პირის დამცირება და შეურაცხყოფა, ამასთან, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, რამდენად სერიოზულ გავლენას ახდენს აღნიშნული ქმედება მსხვერპლის პიროვნებაზე“²⁹⁹. წამებისა და არაადამიანური მოპყრობისაგან განსხვავებით, დამამცირებელი მოპყრობისათვის არ არის აუცილებელი, მან გამოიწვიოს სასტიკი ან ხანგრძლივი შედეგები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, არასათანადო მოპყრობა, რომელიც აღწევს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, როგორც წესი, გულისხმობს სხეულის დაზიანების, ინტენსიური ფიზიკური ან მენტალური ტანჯვის მიყენებას. თუმცა, ამ ასპექტების არარსებობის პირობებშიც, როდესაც მოპყრობა შეურაცხყოფს, ამცირებს პირს, ავლენს მის მიმართ უპატივცემულობას, აკნინებს მის ადამიანურ ღირსებას ან წარმოშობს შიშის, ტანჯვის, არასრულფასოვნების გრძობას, რასაც შეუძლია პიროვნების მორალური ან ფიზიკური წინააღმდეგობის გატეხა, შეიძლება შეფასდეს, როგორც დამამცირებელი და მოექცეს მესამე მუხლით დადგენილი აკრძალვის ფარგლებში³⁰⁰. ასევე სასამართლომ შესაძლოა საკმარისად ჩათვალოს ის გარემოება, რომ მსხვერპლი დამცირებულია მისივე თვალში, თუნდაც არ იყოს დამცირებული სხვების თვალში³⁰¹. მაგალითად, დისკრიმინაციული მოპყრობა, პატიმრების მიმართ ხელისუფლების წარმომადგე-

299 იქვე, II, 22.

300 *Vasyukov v. Russia*, app. №2974/05, (ECHR, 05.04.2011), §59; *Gäfgen v. Germany*, app. №22978/05, (ECHR, [GC], 01.06. 2010), §89; *Svinarenko and Slyadnev v. Russia*, app. №32541/08, 43441/08, (ECHR, 17.07.2014), §114-115; *Bouyid v. Belgium*, app. №23380/09, (ECtHR, 01.10.2015).

301 *Tyrer v. the United Kingdom*, app. №5856/72, (ECHR, 25.04.1978), §32; *M.S.S. v. Belgium and Greece*, app. №30696/09, (ECHR, [GC], 21.01.2011), §220; *Svinarenko and Slyadnev v. Russia*, app. №32541/08, 43441/08, (ECHR, 17.07.2014), §115; *Bouyid v. Belgium*, app. №23380/09, (ECtHR, 01.10.2015).

ნელთა მხრიდან არაპროპორციული ზომების, ფიზიკური ძალის გამოყენება, რომელიც არ არის მკაცრად აუცილებელი და ინსპირირებული ამ უკანასკნელთა ქმედებებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, ლახავს პირის ღირსებას, არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს და კვალიფიცირდება, როგორც დამამცირებელი მოპყრობა.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი არსებობს კონვენციის მესამე მუხლის მიხედვით „დამამცირებელი მოპყრობის/დასჯის“ არსსა და „ღირსების პატივისცემას“ შორის³⁰². მან (ევროპულმა სასამართლომ) ნაზი გაუსვა, რომ კონვენციის მესამე მუხლის კონტექსტში ფორმულირება „დამამცირებელი მოპყრობა“ გამოხატავს ადამიანის ღირსების განსაკუთრებით სერიოზულ შელახვას. პირველად ეს მიდგომა დააფიქსირა საქმეზე *Tyrer v. the United Kingdom* გამომოტანილ გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხებოდა პირის „დამამცირებელ დასჯას“. სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს არ განუცდია მძიმე ან ხანგრძლივი ფიზიკური ზემოქმედება, მისი დასჯა, როდესაც მას ეპყრობოდნენ როგორც ობიექტს ხელისუფლების ხელში, წარმოადგენდა „თავდასხმას მისი პიროვნების ღირსებასა და ფიზიკურ ხელშეუხებლობაზე“³⁰³.

საქმეზე *Bouyid v. Belgium*³⁰⁴ მომჩივნები იყვნენ ძმები, რომლებიც გახდნენ პოლიციის ოფიცრების მხრიდან დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლნი. ისინი მიუთითებდნენ ორ ეპიზოდზე:

პირველი მომჩივანი მეგობართან ერთად თავისი საცხოვრებელი სახლის კართან იდგა, როდესაც სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა პოლიციელმა სთხოვა, წარედგინა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რაზეც მომჩივანმა უარი განაცხადა და საპასუხოდ მოსთხოვა, ეჩვენებინა მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი. ოფიცერმა მომჩივანს ქურთუკში ხელი ჩაავლო და ძალის გამოყენებით პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანა. როდესაც მომჩივანი პოლიციის ოფიცერთან ერთად ოთახში მარტო დარჩა, ოფიცერმა მას სახეში სილა გააწნა, რადგან ის დაკავების ფაქტს აპროტესტებდა.

მომჩივანმა ევროპული სასამართლოს წინაშე წარადგინა დაკავების დღეს ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა, რომელიც ადასტურებ-

302 *Kudła v. Poland*, app. №30210/96, (ECHR, [GC] 26.10.2000), §94; *Yankov v. Bulgaria*, app. №39084/97, (ECHR, 11.12.2003), §114; *Svinarenko and Slyadnev v. Russia*, app. №32541/08, 43441/08, (ECHR, 17.07.2014), §138.

303 *Tyrer v. the United Kingdom*, app. №5856/72, (ECHR, 25.04.1978), §33.

304 *Bouyid v. Belgium*, app. №23380/09, (ECtHR, 01.10.2015).

და, რომ ის იმყოფებოდა „შოკურ მდგომარეობაში“, ამასთან, აღენიშნებოდა „ერთიერთი მარცხენა ლოყაზე და მარცხენა ყურის ნიჟარაზე“.

მთავრობა ამტკიცებდა, რომ მომჩივნის მიერ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ჩვენებაზე უარის თქმის გამო, პოლიციის ოფიცერს, მომჩივნის იდენტიფიცირების მიზნით, სხვა გზა არ ჰქონდა, მისი პოლიციის განყოფილებაში გადაყვანის გარდა. განყოფილებაში მომჩივანმა შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციელს, რომელიც, თავის მხრივ, სიმშვიდისკენ მოუწოდებდა. ვინაობის დადგენის შემდეგ ის მყისიერად გაათავისუფლეს, ამავე დროს აცნობეს, რომ მის წინააღმდეგ აღიძვრებოდა საქმე საჯარო მოხელისათვის წინააღმდეგობის გაწევის, შეურაცხმყოფელი ქცევისა და სიტყვიერი მუქარის ფაქტზე.

მეორე მომჩივანსაც, ერთ-ერთ საქმეზე პოლიციის განყოფილებაში გამოკითხვაზე ყოფნისას, პოლიციის ოფიცერმა სილა გააწნა, რის შემდეგაც, საკანში მოთავსების მუქარით, ხელი მოაწერინა ჩვენებაზე. მან (მომჩივანმა) ევროპულ სასამართლოში ასევე წარადგინა ინციდენტის დღეს ექიმის მიერ გაცემული სამედიცინო ცნობა, რომელიც ადასტურებდა მომჩივნის „მარცხენა ლოყაზე სილურჯეების არსებობას“. მთავრობის მტკიცებით, მეორე მომჩივანი დაკითხვის დროს გამაღიზიანებლად იქცეოდა – ქანაობდა სკამზე, დროდადრო საწერ მაგიდას ეყრდნობოდა, უმიზნოდ იცინოდა. მან რამდენიმეჯერ შეცვალა ჩვენება, ამბობდა, რომ პოლიციელები იყვნენ მოსყიდულები და ემუქრებოდა მათ. მთავრობა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მეორე მომჩივნის აგრესიული დამოკიდებულების მიუხედავად, რომელიც აშკარად კონფლიქტისკენ იყო მიმართული, პოლიციის ოფიცერი სიმშვიდეს და მოთმინებას ინარჩუნებდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაიმეორა, რომ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული პრეტენზიები შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა გამყარდეს, რომელთა შესაფასებლად სასამართლო იყენებს „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტს³⁰⁵. ამასთან, როდესაც საკითხი მთლიანად ან ნაწილობრივ ხვდება ხელისუფლების ექსკლუზიურ კომპეტენციაში, წარმოიშობა საფუძვლიანი ვარაუდი დაკავების დროს გაჩენილ დაზიანებებთან დაკავშირებით. მსხვერპლის მიერ სათანადო მტკიცებულებების წარდგენის შემდეგ მტკიცების ტვირთი გადადის ხელისუფლებაზე, რომელსაც ევალება, შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენით, დამაჯერებლად ახსნას და გააქარწყლოს მსხვერპლის მიერ

305 *Labita v Italy*, app. №26772/95, (ECtHR, [GC], 06.04.2000), §121; *Gäfgen v. Germany*, app. №22978/05, (ECHR, [GC], 01.06. 2010), §92.

დასახელებული გარემოებები³⁰⁶. სასამართლომ დაადგინა, რომ იგივე პრინციპი გამოიყენებოდა პოლიციაში პიროვნების შემოწმების ან დაკითხვის დროს (როგორც ეს მოხდა მომჩივნების შემთხვევაში) წარმოშობილ დაზიანებებთან დაკავშირებით. ასევე, წინარე პრაქტიკაზე დაყრდნობით, აღნიშნა, რომ იმ პირის მიმართ, რომელსაც შეეზღუდა თავისუფლება ან, უფრო ზოგადად, რომელიც წინააღმდეგობაშია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან, ფიზიკური ძალის გამოყენება, რაც არსებითად პირის საქციელით არ იყო განპირობებული, აკნინებს მის ადამიანურ ღირსებას და ფაქტობრივად წარმოადგენს კონვენციის მესამე მუხლით გათვალისწინებული აკრძალვის დარღვევას.

სასამართლოს შეფასებით, წინამდებარე საქმეში წარმოდგენილი სამედიცინო ცნობები, რომელთა ავთენტურობა არ იყო სადავო, მიუთითებდა პირველი მომჩივნის შემთხვევაში, მის „შოკურ მდგომარეობას“, „ერითემას მარცხენა ლოყაზე“, „ერითემას მარცხენა ყურის ნიჟარაზე“, ხოლო მეორე მომჩივნის შემთხვევაში – „სილურჯეებს მარცხენა ლოყაზე“, რომლებიც წარმოადგენდა სახეში გარტყმის შესაძლო შედეგებს. მნიშვნელოვანი იყო, რომ ცნობები გაიცა ინციდენტების დღეს, მომჩივნების მიერ პოლიციის განყოფილების დატოვებიდან მოკლე პერიოდში, ეს აძლიერებდა მათ მტკიცებულებით ღირებულებას. იმავდროულად, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ მთავრობამ ვერ წარმოადგინა საწინააღმდეგო მტკიცებულებები, რაც გამოძიებაში არსებული სერიოზული ხარვეზების გათვალისწინებით, შეუძლებელს ხდიდა დასკვნის გამოტანას, რომ ოფიცრების განცხადებები (რომ მათ დაზიანებები არ მიუყენებიათ, მეტიც, რომ მომჩივნებმა თავად გაირტყეს სახეში) იყო უტყუარი. ევროპულმა სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ მომჩივნების მიერ წარმოდგენილ ცნობებში აღწერილი დაზიანებები წარმოიშვა იმ დროს, როდესაც ისინი იმყოფებოდნენ პოლიციის განყოფილებაში, მათი კონტროლის ქვეშ.

სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ პოლიციის ოფიცრების ნებისმიერი ქმედება, რომელიც ამცირებს ადამიანის ღირსებას, არის კონვენციის მესამე მუხლის დარღვევა. ეს ძირითადად ეხება პოლიციის თანამშრომლების მიერ პირის მიმართ ფიზიკური ძალის გამოყენებას, იმ პირობებში, როდესაც ეს არ იყო არსებითად გამოწვეული ამ პირის საქციელით, მიუხედავად მისთვის დამდგარი შედეგისა. წინამდებარე საქმეში მთავრობა არ ამტკიცებდა, რომ მომჩივნებისთვის სილის გარტყმა გამოწვეული იყო მათივე საქციელით. ის, უბრალოდ, უარყოფდა გარტყმის

306 *Rivas v. France*, app. №59584/00, (ECtHR, [GC], 01.04.2004), §38; *Gäfgen v. Germany*, app. №22978/05, (ECHR, [GC], 01.06. 2010), §92.

ფაქტს. ამასთან, საქმის მასალებით დადგინდა, რომ თითოეული გარტყმა იყო იმპულსური და არ არსებობდა საკმარისი საფუძველი ძალის გამოყენების გასამართლებლად.

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მესამე მუხლის დარღვევა. მისი განმარტებით: „ნებისმიერ შემთხვევაში გარტყმა, რომელიც განხორციელდა სამართალდამცავი ორგანოს ოფიცრის მიერ პირზე, რომელიც მთლიანად მისი კონტროლის ქვეშაა, წარმოადგენს პირის ღირსებაზე სერიოზულ თავდასხმას³⁰⁷“. „სახეში გარტყმა ზემოქმედებს პიროვნების სხეულის იმ ნაწილზე, რომელიც გამოხატავს მის ინდივიდუალურობას, ავლენს მის სოციალურ იდენტობას და წარმოადგენს მისი გრძნობების – მხედველობის, საუბრისა და სმენის – ცენტრს, რომლებიც გამოიყენებიან სხვებთან კომუნიკაციისათვის“³⁰⁸. სასამართლომ არაერთ საქმეზე გაამახვილა ყურადღება სოციალურ ინტერაქციაში სახის როლზე³⁰⁹.

სასამართლომ გაიმეორა, რომ კონვენციის მესამე მუხლის შესაბამისად დამამცირებელი მოპყრობის დასადგენად, საკმარისია იმის დემონსტრირება, რომ მსხვერპლი დამცირებულია საკუთარ თვალში. მისი შეფასებით, თუნდაც ერთი, წინასწარი განზრახვის გარეშე განხორციელებული გარტყმა სახეში, რომელსაც არ აქვს რაიმე სერიოზული ან ხანგრძლივი ზეგავლენა პირზე, შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც დამამცირებელი ამ პირის მიერ³¹⁰. ეს განსაკუთრებით ეხება შემთხვევებს, როდესაც გარტყმა ხდება სამართალდამცავი ორგანოს ოფიცრის მიერ მისი კონტროლის ქვეშ მყოფი პირის მიმართ, რადგან ეს ხაზს უსვამს მათ შორის არსებულ ვერტიკალურ/დაქვემდებარებულ ურთიერთობებს. ფაქტმა, რომ მსხვერპლმა იცის ასეთი ქმედების უკანონობის შესახებ, შესაძლოა მასში წარმოშვას უსამართლობისა და უძღურების შეგრძნება. მეტიც, პირები, რომლებიც დაკავებულები არიან ან უბრალოდ გადაყვანილები ან გამოძახებულები პოლიციის განყოფილებაში ვინაობის დადგენის მიზნით ან დასაკითხად (როგორც ეს იყო მომჩივნების შემთხვევაში), ისედაც მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფებიან. ამიტომ ხელისუფლებას მუდმივად აქვს მათი დაცვის ვალდებულება. ერთ-ერთი ოფიცრის მიერ გარტყმით მიყენებული დამცირებით ისინი უგულვებელყოფენ ამ მოვალეობას³¹¹.

307 *Bouyid v. Belgium*, app. №23380/09, (ECtHR, 01.10.2015), §23.

308 *Bouyid v. Belgium*, app. №23380/09, (ECtHR, 01.10.2015), §24.

309 *S.A.S.v. France*, app. №43835/11, (ECtHR, [GC], 01.07.2014).

310 *Bouyid v. Belgium*, app. №23380/09, (ECtHR, 01.10.2015), §25.

311 *Bouyid v. Belgium*, app. №23380/09, (ECtHR, 01.10.2015), §27.

დიდმა პალატამ გამოიციხა ამ ვითარების ისე შეფასების ალბათობა, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონოდა პოლიციის ოფიცრის დაუფიქრებელ ქმედებას, რომელიც განპირობებული იყო მსხვერპლის უპატივცემულო ან პროვოკაციული ქცევით. სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ ყველაზე რთულ პირობებშიც კი კონვენცია აბსოლუტურად კრძალავს წამებასა და არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას, პირის საქციელისგან დამოუკიდებლად. დემოკრატიულ საზოგადოებაში არასათანადო მოპყრობა არასოდეს არ არის შესაბამისი რეაგირება იმ პრობლემებზე, რომელთა წინაშეც დგას ხელისუფლება. კონვენციის მესამე მუხლი სახელმწიფოს უწესებს პოზიტიურ ვალდებულებას, დაატრენინგოს მისი სამართალდამცავი ორგანოების ოფიციალური პირები ისე, რომ უზრუნველყოს მათი კომპეტენტურობა მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, რათა არავინ გახდეს წამების ან ისეთი მოპყრობის მსხვერპლი, რომელიც ამ მუხლს ეწინააღმდეგება³¹².

სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა გარემოებაზე, რომ პირველი მომჩივანი ინციდენტის დროისთვის იყო არასრულწლოვანი (17 წლის). მისი განმარტებით, არასათანადო მოპყრობამ შესაძლოა იქონიოს უფრო დიდი ზეგავლენა (განსაკუთრებით ფსიქოლოგიური თვალსაზრისით) არასრულწლოვანზე, ვიდრე ზრდასრულზე. ხაზი გაუსვა, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა, რომლებსაც კავშირი აქვთ არასრულწლოვანებთან მათი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, გაითვალისწინონ მათი მოწყვლადობა ასაკის შესაბამისად. პოლიციელების ქმედებები არასრულწლოვანების მიმართ შესაძლოა იყოს კონვენციის მესამე მუხლის მოთხოვნებთან შეუსაბამო მხოლოდ იმ საფუძველით, რომ ისინი არიან არასრულწლოვანები, მაშინ, როდესაც იგივე ქმედება შესაძლოა მისაღები იყოს ზრდასრულებთან მიმართებით. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა ამ თვალსაზრისით უნდა გამოავლინონ დიდი სიფრთხილე და თვითკონტროლი³¹³.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციის ოფიცრების მიერ თითოეული მომჩივნისთვის სახეში ხელის გარტყმა იმ დროს, როდესაც ისინი იმყოფებოდნენ მათი კონტროლის ქვეშ პოლიციის განყოფილებაში, არ შეესაბამებოდა მომჩივანთა ქცევით განპირობებული ფიზიკური ძალის გამოყენების აუცილებლობას და, შესაბამისად, დაამ-

312 *Davydov and Others v. Ukraine*, app. №17674/02, 39081/02, (ECtHR, 01.10.2010), §268; *Bouyid v. Belgium*, app. №23380/09, (ECtHR, 01.10.2015), §28.

313 *Bouyid v. Belgium*, app. №23380/09, (ECtHR, 01.10.2015), §30.

ცირა მათი ღირსება. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნები სხეულის მხოლოდ მსუბუქ დაზიანებაზე მიუთითებდნენ და არ აცხადებდნენ, რომ გადაიტანეს სერიოზული ფიზიკური ან მენტალური ტანჯვა, სასამართლომ დაადგინა, რომ ქმედება უნდა შეფასებულიყო როგორც დამამცირებელი მოპყრობა და არა როგორც არაადამიანური მოპყრობა ან წამება.

საქმეზე *Gutsanovi v. Bulgaria*³¹⁴ მომჩივნები იყვნენ ბ-ნი გუცანოვი, ადგილობრივი პოლიტიკოსი (ვარნის მუნიციპალური საბჭოს თავმჯდომარე), მისი მეუღლე და ორი არასრულწლოვანი ქალიშვილი. ბ-ნი გუცანოვი (ის იყო ეჭვმიტანილი კორუფციაში) დააკავეს მეუღლისა და შვილების თანდასწრებით. კერძოდ, მომჩივნის სახლში გამთენიისას მივიდა რამდენიმე შეიარაღებული და ნიღბიანი პოლიციის ოფიცრისაგან შემდგარი სპეციალური ჯგუფი. მას შემდეგ, რაც ბ-ნი გუცანოვი არ დაემორჩილა ბრძანებას, გაეღო კარი, პოლიციელებმა ძალით გააღეს ის და შევიდნენ შენობაში, რამაც გააღვიძა ბ-ნი გუცანოვის ცოლი და შვილები. ბინაში ჩატარდა ჩხრეკა, რომლის შედეგად ამოიღეს რიგი მტკიცებულებები. როდესაც ბ-ნი გუცანოვი პოლიციის ესკორტის თანხლებით დატოვა სახლი, გარეთ შეკრებილები იყვნენ ჟურნალისტები.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ, მართალია, აღნიშნული ოპერაციის დროს ოჯახის არცერთ წევრს არ მიყენებია ფიზიკური დაზიანება, ღონისძიება მაინც მოიცავდა ძალის გამოყენების გარკვეულ ელემენტებს. კერძოდ, სახლის წინა კარი ძალით იქნა გაღებული სპეციალური დანაყოფის მიერ, ბ-ნი გუცანოვი გამოიყვანეს შეიარაღებულმა ნიღბიანმა ოფიცრებმა და ბორკილებდადებული ჩაიყვანეს ქვედა სართულზე. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ ბ-ნი გუცანოვი იყო ცნობილი პოლიტიკოსი. ამავე დროს, საქმის მასალებში არ იყო რაიმე მტკიცებულება არც მისი შესაძლო დანაშაულებრივი/ძალადობრივი წარსულის თაობაზე და არც იმის შესახებ, რომ მას შეეძლო საფრთხე შეექმნა პოლიციელებისათვის. სასამართლოს შეფასებით, მომჩივნების სახლში იარაღის არსებობა თავისთავად არ ამართლებდა სპეციალური შენაერთის გაგზავნასა და გამოყენებული ძალის მოცულობას. გარდა ამისა, დაკავების ფაქტზე ოჯახის წევრების პოტენციური დასწრება ისეთ გარემოებას წარმოადგენდა, რომელიც უნდა გათვალისწინებულიყო დაკავების ოპერაციის დაგეგმვისა და განხორციელებისას. ჩხრეკის აუცილებლობისა და კანონიერების წინასწარი სამართლებრივი ანალიზის არარსებობამ ოპერაციის დაგეგმვა მთლიანად პოლიციისა და საგამოძიებო ორგანოების დისკრეციას დაუქვემდებარა, რომლის დროსაც არ მოხდა ქ-ნი გუცანოვასა და მისი ორი

314 *Gutsanovi v. Bulgaria*, app. №34529/10, (ECtHR, 15.10.2013).

არასრულწლოვანი შვილის (ხუთი და შვიდი წლის) კანონიერი ინტერესების გათვალისწინება. სამართალდამცავმა ორგანოებმა არ განიხილეს ოპერაციის განხორციელების ალტერნატიული საშუალებანი, მაგალითად, მისი მოგვიანებით განხორციელება ან პოლიციელების სხვა ტიპის ეკიპაჟის/დანაყოფის გამოყენება. აღნიშნულმა მოვლენებმა ქ-ნ გუცანოვასა და მის შვილებზე მძიმე გავლენა იქონია. ასევე, ფაქტი, რომ ოპერაცია განხორციელდა დილით ადრე და მოიცავდა ნიღბიან სპეციაგენტებს, აძლიერებდა შიშისა და შფოთვის შეგრძნებას მომჩივნებში. შედეგად, სასამართლოს შეფასებით, მოპყრობამ გადააჭარბა კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. ქალბატონი გუცანოვა და მისი შვილები დაექვემდებარნენ დამამცირებელ მოპყრობას.

დამამცირებელი მოპყრობა დადგინდა ბატონი გუცანოვის მიმართაც. ამ თვალსაზრისით, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე: პოლიციის ოპერაცია დაიგეგმა და განხორციელდა რიგი გარემოებების გაუთვალისწინებლად, მათ შორის, მხედველობაში არ იქნა მიღებული იმ დანაშაულის ბუნება, რომლის ჩადენაშიც ის იყო ეჭვიმიტანილი, მისი ძალადობრივი წარსულის არარსებობა და ცოლისა და ბავშვების სავარაუდო ყოფნა სახლში. შედეგად, სასამართლოს შეფასებით, დაკავებისას გამოყენებული ზომები გადაჭარბებული იყო. ფორმა, როგორც განხორციელდა დაკავება, მომჩივანში აღძრავდა შიშის, შფოთვისა და უძღურების განცდას, რასაც შეეძლო გამოეწვია დამცირებისა და დაკნინების გრძნობა საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების თვალში.

2.3.3.1. ხელბორკილების გამოყენება, სასამართლოს სხდომათა დარბაზში პატიმრის „გალიაში“ მოთავსება, პატიმრის ჩხრეკა, როგორც დამამცირებელი მოპყრობა

დამამცირებელ მოპყრობად შეიძლება ჩაითვალოს პირის მიმართ ბორკილების გამოყენება. თუმცა ასეთ შემთხვევაში გასათვალისწინებელია რიგი ფაქტორებისა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით: „რაც შეეხება იძულების ისეთ საშუალებას, როგორიცაა ხელბორკილი, აღნიშნული თავისთავად არ წარმოშობს კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ საკითხს, როდესაც მისი გამოყენება უკავშირდება კანონიერ დაპატიმრებას და თუ დაკავებას არ ახლავს იმაზე მეტი ძალის გამოყენება ან საჯარო დემონსტრაცია, რაც აუცილებელია კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, არსებობს თუ არა დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი და-

კავებისას გაწევს წინააღმდეგობას, შეეცდება მიმალვას, სხვას მიაყენებს დაზიანებას ან გაანადგურებს მტკიცებულებებს³¹⁵.

მაშასადამე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ხელბორკილების გამოყენება ჩაითვლება დამამცირებელ მოპყრობად, თუ:

ა) ახლდა უკანონო დაკავებას/დაპატიმრებას;

ბ) არ არსებობდა ამის ობიექტური აუცილებლობა კონკრეტულ ვითარებაში. როგორც წესი, ბორკილების გამოყენება გამართლებული შეიძლება იყოს მაშინ, როდესაც არსებობს რეალისტური, განჭვრეტადი საფრთხე (დასაბუთებული ვარაუდით გამყარებული), რომ პირი დაკავებისას შეეცდება წინააღმდეგობის გაწევას, გაქცევას/მიმალვას, მტკიცებულებების განადგურებას ან ძალის გამოყენებას და ამ გზით სხვათა უფლებებისთვის საფრთხის შექმნას. ხშირად ეს შესაძლოა კანონზომიერი იყოს ძალადობრივი დანაშაულების ჩადენაში ეჭვმიტანილი/ბრალდებული პირების შემთხვევაში, თუმცა ძალადობრივი ან/და სხვა მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტი თვითკმარი არ არის იმის სამტკიცებლად, რომ პირი აუცილებლად შეეცდება გაქცევას ან ძალის გამოყენებას ხელისუფლების წარმომადგენლების ან/და კერძო პირების მიმართ;

გ) ხელბორკილების გამოყენება ხდება საჯაროდ, ან ოჯახის წევრების, ახლობლების თანდასწრებით, როდესაც ამის ობიექტური საჭიროება არ არსებობს. თუმცა, საჯაროობის ელემენტი არ არის გადამწყვეტი. საკმარისია, თუ თავად პირი აღიქვამს ამას დამცირებლად. სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას პირი საკუთარ თვალში დამცირებისგანაც;

დ) როდესაც აშკარა და განჭვრეტადია ხელისუფლების წარმომადგენელთა მიზანი, ბორკილების დადებით დაამცირონ ადამიანი. შედეგად, როდესაც ხელბორკილების გამოყენებამ ძლიერი ფიზიკური ან/და სულიერი ტკივილი მიაყენა მას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე არაერთ საქმეზე დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა სასამართლო სხდომათა დარბაზში ბრალდებულის „მეტალის გალიაში“ მოთავსების გამო³¹⁶.

315 *Öcalan v. Turkey*, app. №46221/99, (ECtHR, [GC], 12.05.2005), §182; *Gorodnitchev v. Russia*, app. №52058/99, (ECtHR, 24.05.2007), §§101, 102, 105, 108; *Svinarenko and Slyadnev v. Russia*, app. №32541/08, 43441/08, (ECHR, 17.07.2014), §117.

316 *Sarban v. Moldova*, app. №3456/05, (ECtHR, 04.10.2005); *Ramishvili and Kokhraidze v. Georgia*, app. №1704/06, (ECHR, 27.01.2009); *Khodorkovskiy v. Russia*, app. №5829/04, (ECHR, 31.05.2011).

აღნიშნული მოპყრობა შეფასდა როგორც „დამამცირებელი“³¹⁷. საკითხის შესწავლისას სასამართლოს ყურადღების საგანს წარმოადგენდა, გამართლებული იყო თუ არა ეს ისეთი გარემოებებით, როგორებიცაა: უსაფრთხოების რისკები, ბრალდებულის პიროვნება³¹⁸, მისი საქციელი, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ნასამართლობა³¹⁹, მისი გაქცევის რისკი ან მისგან მომდინარე სხვა საფრთხეები. სასამართლომ ასევე გაითვალისწინა რამდენიმე დამატებითი ფაქტორი: სხდომებზე საზოგადოების დასწრება და სამართალწარმოების მედიის მიერ გაშუქება³²⁰.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულის „გალიაში“ მოთავსება იწვევს არა მხოლოდ „დამამცირებელ მოპყრობას“, არამედ ასევე გავლენაუნარიანი შეიძლება იყოს უდანაშაულობის პრეზუმფციიზაზე და მთლიანად სამართლიან მართლმსაჯულებაზე.

საქმეზე *Svinarenko and Slyadnev v. Russia*³²¹ მომჩივნები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ასაჩივრებდნენ სასამართლო დარბაზში მათ მოთავსებას მეტალის გალიაში, რაც, მათი მტკიცებით, წარმოადგენდა კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ დამამცირებელ მოპყრობას.

პირველი მომჩივანი ბრალდებული იყო ყაჩაღობაში და იარაღის უკანონოდ შეძენა/შენახვა/ტარებაში. მეორე მომჩივანს კი ბრალი წაუყენეს შემდეგი დანაშაულების ჩადენაში: შეიარაღებული ჯგუფის შექმნა; ორგანიზებული ჯგუფის მიერ ყაჩაღობის ჩადენა, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი იარაღის და ძალადობის გამოყენებით; ძვირფასი მეტალების უკანონო შენახვა და ტრანსპორტირება ორგანიზებული ჯგუფის მიერ და სხვა.

სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას მომჩივნები ისხდნენ სკამზე, რომელიც ოთხივე მხრიდან გარშემორტყმული იყო 10 მილიმეტრი დიამეტრის მქონე მეტალის გისოსებით. ამ კონსტრუქციას ჰქონდა 255 სმ სიგრძე, 150 სმ სიგანე და 225 სმ სიმაღლე, ფოლადის ბადის ქერი და მეტალის გისოსებიანი კარები. გისოსებს შორის მანძილი 19 სანტიმეტრს შეადგენდა. გისოსებიანი საბრალდებო სკამის გვერდით იდგნენ შეიარაღებული პოლიციის გუშაგები.

მომჩივნები აცხადებდნენ, რომ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულე-

317 *Ramishvili and Kokhraidze v. Georgia*, app. №1704/06, (ECHR, 27.01.2009), §102.

318 *Ramishvili and Kokhraidze v. Georgia*, app. №1704/06, (ECHR, 27.01.2009), §101.

319 *Khodorkovskiy v. Russia*, app. №5829/04, (ECHR, 31.05.2011), §125.

320 *Sarban v. Moldova*, app. №3456/05, (ECtHR, 04.10.2005), §89; *Khodorkovskiy v. Russia*, app. №5829/04, (ECHR, 31.05.2011), §125.

321 *Svinarenko and Slyadnev v. Russia*, app. №32541/08, 43441/08, (ECHR, 17.07.2014).

ბის მოთავსება სასამართლო დარბაზის მეტალის გალიაში წარმოადგენდა ბლანკეტურ პრაქტიკას და გამოიყენებოდა ინდივიდუალური გარემოებების, სამართალდარღვევის ტიპის, ნასამართლობის თუ მისი უქონლობის მიუხედავად³²². ამასთან, ასეთი პრაქტიკა იყო უკანონო, რადგან შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებები, რომლებიც სასამართლო დარბაზში გალიის გამოყენებას ითვალისწინებდნენ, არასოდეს გამოქვეყნებულა³²³.

მომჩივნების განმარტებით, მათი მოთავსება გალიაში ნაფიც მსაჯულებზე ზეგავლენის მოხდენის უკანონო საშუალებას წარმოადგენდა, შედეგად, მათი საქმე არ იყო განხილული სამართლიანად, უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვით. გარდა ამისა, ასეთმა მოპყრობამ მათში გამოიწვია უმწეობის, არასრულფასოვნებისა და ტანჯვის შეგრძნებები, ზეგავლენა მოახდინა მათი კონცენტრირების უნარზე პროცესის მსვლელობისას³²⁴. ისინი აღნიშნავდნენ, რომ როგორც „მაიმუნები ზოოპარკში“, ისე წარმოჩინდნენ საზოგადოების წინაშე, რომელთა შორის იყვნენ ნაფიც მსაჯულთა კანდიდატები, მოწმეები იმავე დასახლებიდან, ასევე მომჩივანთა ოჯახის წევრები და ახლობლები. გარდა ამისა, სისხლის სამართლის პროცესები შეუქდებოდა ადგილობრივი ტელევიზიით³²⁵. მომჩივნების მტკიცებით, სახელმწიფომ ვერ წარადგინა მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ მათი მოთავსება გალიაში იყო გამართლებული უსაფრთხოების მიზეზებით. ეს ჰგავდა ველური ცხოველებისადმი მოპყრობას, რომლებიც ცირკსა თუ ზოოპარკში მეტალის გალიებში არიან მოთავსებულნი. ასეთი მოპყრობა მომჩივნებში ბადებდა შიშს, იწვევდა მათ დამცირებას როგორც საკუთარ, ასევე საზოგადოების თვალში და წარმოშობდა ტკივილისა და არასრულფასოვნების შეგრძნებებს³²⁶.

მთავრობამ განაცხადა, რომ რუსეთში „მეტალის ბარიერები“ სასამართლო დარბაზებში 1994 წელს შემოიღეს რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროს, უზენაესი სასამართლოს და შინაგან საქმეთა სამინისტროს 1993 წლის 3 თებერვლის ერთობლივი ცირკულარის საფუძველზე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აგორებული დანაშაულის ტალღის საპასუხოდ და სახელმწიფო სისტემის რეორგანიზაციის პირობებში. აღნიშნული ღონისძიების მიზანი იყო ბრალდებულთა გაქცევის აღკვეთა, ბადრაგზე, მოსამართლეებზე, მოწმეებზე და მსხვერპლებზე ბრალდებულის თავდას-

322 *Svinarenko and Slyadnev v. Russia*, app. №32541/08, 43441/08, (ECHR, 17.07.2014), §103.

323 §104.

324 §§105-106.

325 §108.

326 §112.

ხმის პრევენცია და სასამართლო დარბაზებში დამსწრეთა უსაფრთხოების დაცვა³²⁷. მთავრობის მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ სიტუაცია გამოსწორდა, „უსაფრთხოების ბარიერების“ გამოყენება კვლავ გამართლებული იყო, რადგან წარმოადგენდა გაქცევის პრევენციის საშუალებას, შესაძლებლობას აძლევდა მოსამართლეებსა და პროკურორებს, ყურადღება არ გადაეტანათ თავიანთი პირველადი ფუნქციებიდან, ხოლო მსხვერპლებს, მოწმეებსა და პროცესის სხვა მონაწილეებს – თავი უფრო დაცულად ეგრძნოთ, ამასთან უზრუნველყოფდა ბრალდებულთა დაცვას მათი მსხვერპლების რისხვისგან. დამატებით, მთავრობამ აღნიშნა, რომ ბრალდებულები არ იყვნენ შეზღუდულნი მოძრაობაში მაჯის თუ ფეხის ბორკილებით და თავისუფლად შეეძლოთ, მიეღოთ მათთვის კომფორტული მდგომარეობა³²⁸.

მთავრობის პოზიციის თანახმად, „უსაფრთხოების ბარიერების“ მიღმა თავსდებოდა ყველა ეჭვიმიტანილი და ბრალდებული, რომელიც წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა. თუმცა წინასწარი პატიმრობის შეფარდების თუ გაგრძელების პროცედურა თავად წარმოადგენდა გარანტიას უკანონობის და აღნიშნული უსაფრთხოების ზომის დაუსაბუთებელი გამოყენების წინააღმდეგ. წინასწარი პატიმრობა გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს მიერ ინდივიდუალური გარემოებების შეფასების შედეგად აღმოჩნდებოდა, რომ არსებობდა მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის ან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე და მხოლოდ იმ პირებთან მიმართებით, რომლებიც ეჭვიმიტანილნი ან ბრალდებულნი იყვნენ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდნენ³²⁹.

მთავრობის განმარტებით, რადგან მოცემულ საქმეში მომჩივნებს ჩადენილი ჰქონდათ ძალადობრივი დანაშაულები ჯგუფურად, ეს უკვე წარმოადგენდა საკმარის საფუძველს მათი ძალადობისადმი მიდრეკილების და უსაფრთხოების რეალური რისკების არსებობის დასადასტურებლად. შესაბამისად, ისინი სასამართლო დარბაზში მოთავსებულნი იყვნენ გალიაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და ეროვნული კანონმდებლობის სრული დაცვით. არ არსებობდა არავითარი მტკიცებულება, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო სავალალო ან რომ ისინი საჭიროებდნენ მუდმივ სამედიცინო დახმარებას სასამართლო სხდომების დროს. მომჩივნები არ იყვნენ საზოგადოებისთვის ცნობილი საჯარო

327 §89.

328 §91.

329 §93.

ფიგურები, რომ მათ გამოჩენას სასამართლო დარბაზში „უსაფრთხოების ბარიერის“ მიღმა გავლენა მოეხდინა მათ რეპუტაციაზე. მათი საქმე არ იყო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე და არ არსებობდა მტკიცებულება იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის პროცესები, ადგილობრივი მედიის გარდა, ფართოდ შექცებოდა მედიის მიერ ან რომ მათ ესწრებოდა საზოგადოება. მეტიც, მოწმეები და მსხვერპლები უარს აცხადებდნენ სასამართლო სხდომებში მონაწილეობის მიღებაზე მომჩივანთა მხრიდან შურისძიების შიშით³³⁰. მთავრობამ დამატებით აღნიშნა, რომ „უსაფრთხოების ბარიერს“ არ შეეძლო გავლენა მოეხდინა ნაფიც მსაჯულებზე ან უდანაშაულობის პრეზუმფციაზე, ვინაიდან ეს იყო ოცი წლის წინ დამკვიდრებული ჩვეულებრივი ღონისძიება, რომელიც პატიმრობაში მყოფი ყველა პირის მიმართ გამოიყენებოდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, პირველ რიგში, ყურადღება გაამახვილა, რომ ასეთი პრაქტიკა რეგულირდებოდა მინისტრის გამოუქვეყნებელი ბრძანებით, რაც თავისთავად ძალიან პრობლემატური იყო, ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონის უზენაესობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რაც, მათ შორის, სამართლებრივი ნორმების ხელმისაწვდომობას გულისხმობს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით შერჩეული საშუალებები არ უნდა მოიცავდეს შეზღუდვის ისეთ ზომებს, რომლებიც თავისი სისასტიკის დონით ან არსით მოაქცევს მათ მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში³³¹.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, საზოგადოების წინაშე მომჩივანთა წარმოჩენამ გალიაში შეარყია მათი იმიჯი, გამოიწვია მათში დამცირების, უმწეობის, შიშის, ტანჯვის და არასრულფასოვნების შეგრძნებები³³². ამასთან, ყურადსაღები იყო, რომ მომჩივნები სადავო მოპყრობას დაექვემდებარნენ ნაფიც მსაჯულთა მიერ მათი საქმის განხილვის მთელი პროცესის განმავლობაში (საქმის განხილვა წელიწადზე მეტ ხანს გრძელდებოდა)³³³. სასამართლომ მიუთითა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიდგომაზე, რომლის თანახმად, სასამართლოს საჯარო განხილვისას ხელბორკილდადებული განსასჯელის მოთავსება მეტალის გალიაში წარმოადგენს დამამცირებელ მოპყრობას და ზეგავლენას ახდენს მისი საქმის განხილვის სამართლიანობაზე. გარდა ამისა, აღნიშნა,

330 §95.

331 §127.

332 §129.

333 §130.

რომ გაეროს პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები-სა და საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალების რეგლამენტების თანახმად, იძულების გარკვეული საშუალებების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ტრანსპორტირებისას გაქცევის პრევენციის მიზნით და იმ პირობით, რომ იძულების საშუალება მოიხსნება ბრალდებულის სასამართლოს წინაშე წარდგომისთანავე³³⁴.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნებს ჰქონდათ ობიექტურად გამართლებული შიში იმისა, რომ მათი მოთავსება გალიაში მათ მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას წარმოშობდა მსაჯულებში, რადგან ქმნიდა აღქმას, რომ ისინი წარმოადგენდნენ ისეთ საფრთხეს, რომ საჭირო იყო ფიზიკური შეზღუდვის უკიდურესი საშუალებების გამოყენება. ეს კი ხელყოფდა უდანაშაულობის პრეზუმფციას. სასამართლოს შეფასებით, ასეთი ვითარება მომჩივნებში დამატებით გამოიწვევდა შფოთვისა და სტრესს³³⁵.

სასამართლომ დამაჯერებელ არგუმენტად არ მიიჩნია ის, რომ თანამედროვე ვითარებაში პირის მოთავსება გალიაში სასამართლო განხილვის განმავლობაში აუცილებელი საშუალებაა განსასჯელის ფიზიკურად შესაზღუდად, მისი გაქცევის თავიდან ასარიდებლად, მის აგრესიულ ქცევასთან გასამკლავებლად და გარშემომყოფთაგან განსასჯელის დასაცავად. სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული პრაქტიკის გაგრძელება ვერ აიხსნება სხვანაირად, თუ არა გალიაში მოთავსებული პირის დამცირება და მისთვის შეურაცხყოფის მიყენება. ასეთი მოპყრობით პირის დამცირების მიზანი აშკარაა³³⁶. მისი შეფასებით, გალიის გამოყენება ზემოაღნიშნულ კონტექსტში ვერ იქნება გამართლებული უსაფრთხოების დაცვის სავარაუდო საჭიროებაზე მითითებით, მით უფრო, რომ წინამდებარე საქმეში აღნიშნული საფრთხის არსებობა დასაბუთებული არ იყო მთავრობის მიერ. ამ თვალსაზრისით, თვითკმარ არგუმენტად ვერ იქნებოდა მიჩნეული მომჩივნების მიერ ძალადობრივი დანაშაულების ჩადენა ან წარსულში მათი ნასამართლობა³³⁷.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლო განხილვის განმავლობაში პიროვნების მოთავსება მეტალის გალიაში, ასეთი მოპყრობის ობიექტურად დამამცირებელი ბუნების გათვალისწინებით, რაც შეუთავსებელია ცივილიზებული ქცევის

334 §132.

335 §133.

336 §135.

337 §137.

სტანდარტთან, თავისთავად წარმოადგენს ადამიანის ღირსების ხელყოფას მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ³³⁸.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პატიმრის ჩხრეკაზე საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლის მიერ, მით უფრო, თუ ხდება პატიმრის გაშიშვლება. ამავე დროს, პირის გაშიშვლება, როგორც არაუკიდურესი საჭიროება, თავისთავად თვითკმარია არასათანადო მოპყრობის დასადგენად. საქმეზე *Rawanczuk v. Poland*, სასამართლომ განაცხადა: „როდესაც განმცხადებლის გაშიშვლებული ჩხრეკა არ ხორციელდება ამკარად იძულებითი გარემოებების გამო, სასამართლო ყოველთვის დაადგენს მე-3 მუხლის დარღვევას“.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ*. გასაჩივრებული იყო ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმების წესი. კერძოდ, სადავო ნორმების თანახმად („პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სამართლებრივი რეჟიმის განხორციელების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2013 წლის პირველი აგვისტოს №200 ბრძანების 114-ე მუხლის პირველი და მე-2 წინადადებები), სრული შემოწმებისას ხდებოდა ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხეულის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და პროთეზის (მისი არსებობის შემთხვევაში) დათვალიერება. სრული შემოწმებისას ბრალდებულის/მსჯავრდებულის ვალდებული იყო უფლებამოსილი პირის მითითების შემდეგ, მთლიანად გაიხადოს ან გაიშიშვლოს სხეულის შესაბამისი ნაწილები (ანალოგიურად, „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №5 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №116 ბრძანების 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებები განსაზღვრავდა სრული შემოწმების წესს, რომელიც ხორციელდებოდა ქალთა №5 დაწესებულებაში).

ამავე დროს, სადავო ბრძანებები (№200 ბრძანების 113-ე მუხლი, №116 ბრძანების 22-ე მუხლის მე-8 პუნქტი) განსაზღვრავდა ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმების საფუძვლებს/შემთხვევებს. კერძოდ, ესენია: ა) დაწესებულებაში მიღება; ბ) დაწესებულებიდან გაგზავნა; გ)

338 §138.

სამარტოო საკანში მოთავსება; დ) საკნის ტიპის საცხოვრებელ სადგომში მოთავსება; ე) განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით დაწესებულების დროებით დატოვება/დაბრუნება; ვ) დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლა/დაბრუნება; ზ) სხვა შემთხვევებში ღირეტიტორისა და მის მიერ უფლებამოსილი მოსამსახურეების მითითება.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „თავისუფლების აღკვეთა ან თავისუფლების სხვაგვარად შეზღუდვა გარდაუვლად ქმნის ადამიანისთვის ტკივილის, სირცხვილისა თუ სხვაგვარი დისკომფორტის შეგრძნებას. მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელი, როგორც წესი, არ მიიჩნევა ადამიანის ... ღირსების შემლახავ მოპყრობად. ცხადია, პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა თუ ბრალდებულთა შემოწმების პროცედურები, რომლებიც, მათ შორის, მოიცავს ადამიანის სხეულის ანდა მისი ნაწილის გაშიშვლებას, ინტენსიურად ზღუდავს პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას. ნებისმიერ შემთხვევაში ღონისძიება, რომელიც მოიცავს პირის ვალდებულებას, გაშიშვლდეს და გაიშიშვლოს სხეულის გარკვეული ნაწილები სხვა პირთა თანდასწრებით, გარკვეულწილად, იწვევს დისკომფორტისა და სირცხვილის შეგრძნებას. ... ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ პირის გაშიშვლება ინტენსიური ხასიათის შეზღუდვაა ... იგი, თავისთავად, არ უნდა შეფასდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით აკრძალულ მოპყრობად. იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანის სხეულის ან მისი ცალკეული ნაწილების გაშიშვლების ღონისძიება ხორციელდება მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად და ამ მიზნის მიღწევის აუცილებელ, თანაბომიერ საშუალებას წარმოადგენს, იგი არ შეფასდება, როგორც საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით აკრძალული არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობა“³³⁹.

სასამართლომ აღნიშნული უფლების დარღვევის გამორიცხვისთვის შემდეგი მოთხოვნები დაადგინა: „დაუშვებელია, პირის მიმართ ისეთი ინტენსიური შემზღუდველი ღონისძიება, როგორიც არის სხეულის ან მისი ცალკეული ნაწილების გაშიშვლება, გამოყენებულ იქნეს გარდაუვალი აუცილებლობის გარეშე. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირები არ უნდა დაექვემდებარონ იმგვარ წნებს, რომელიც აშკარად აჭარბებს თავისუფლების შეზღუდვის თანმდევ ლეგიტიმურ მოპყრობასა და თავისუფლების შეზღუდვის პრაქტიკულ საჭიროებებს. მნიშვნელოვანია,

339 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება №2/4/665,683 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ, II, 16-17.

რომ თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული და მისი თანმდევი ყველა სხვა ზომა იყოს შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის განკუთვნილი, თანაზომიერი საშუალება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოპყრობა თვითმიზნურად ჩაითვლება. ... თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განხორციელებული ღონისძიებები, რომლებიც ზღუდავს იქ მოთავსებული პირების უფლებებს, არ უნდა იწვევდეს ტკივილის, დისკომფორტის, ფსიქოლოგიური ტანჯვისა და სირცხვილის შეგრძნებას იმაზე მეტად, ვიდრე ადამიანი გარდაუვლად განიცდის სასჯელისა და სხვა თავისუფლებაზე შეზღუდველი ლეგიტიმური მოპყრობის დროს. ... ამგვარად, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის გაშიშვლება ლეგიტიმური მიზნის არარსებობის პირობებში, ობიექტური საჭიროების გარეშე, არათანაზომიერი ინტენსივობით, ქმნის პირის მიმართ დისკომფორტის, სირცხვილისა და დამცირების შეგრძნებას, რაც წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით აბსოლუტურად აკრძალულ მოპყრობას³⁴⁰.

მოპასუხემ სადავო ნორმების ლეგიტიმურ მიზნებად დაასახელა პენიტენციური სისტემის უსაფრთხოების, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული და იქ დასაქმებული პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა³⁴¹.

მოსარჩელის აზრით, ნორმა პრობლემური იყო მისი ბლანკეტურობის გამო, რადგან ხდებოდა ყველა ბრალდებულის/მსჯავრდებულის რუტინული შემოწმება მათ მიერ ჩადენილი (შესაძლო) დანაშაულის, ყოფაქცევისა და სხვა ინდივიდუალური მახასიათებლების მხედველობაში მიღების გარეშე. მოსარჩელე ასევე მიუთითებდა ბრალდებულების/მსჯავრდებულების სპეციალური ტექნიკური საშუალებებით, სკანერით შემოწმების შესაძლებლობაზე, როგორც ნაკლებად მზღუდავ ალტერნატივაზე.

პირველ არგუმენტთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სრული პირადი შემოწმება წარმოადგენს პენიტენციური დაწესებულების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებას. ის არ არის რომელიმე პირის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისთვის განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომა. სრული შემოწმების ინტერესი, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, სახეზეა დაწესებულებაში მოთავსებული ყველა პირის მიმართ³⁴². ამავ დროს, სრული შემოწმება პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის იდენტიფიცირებასაც ემსახურება, რათა,

340 იქვე, II, 19-20.

341 იქვე, II, 35.

342 იქვე, II, 61.

ერთი მხრივ, შემოწმდეს და აღირიცხოს, ხომ არ გააჩნია პირს რაიმე დაზიანება და, მეორე მხრივ, გამოირიცხოს დაწესებულებაში დაავადებების გავრცელების საშიშროება. ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების ინტერესი არსებობს ყველა კატეგორიის ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ და მხოლოდ გარკვეული კატეგორიის ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შემოწმებით ვერ მიიღწევა სადავო ნორმებით გათვალისწინებული ღონისძიების მიზანი³⁴³. სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ დაწესებულებაში აკრძალული ნივთების, წარწერებისა და სხვა ობიექტების შეტანის/გატანის, ბრუნვისა და დამზადების საფრთხე ვერ გამოირიცხება ვერცერთი კატეგორიის ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ. „პირმა, რომელმაც ნაკლებად მძიმე დანაშაული ჩაიდინა, შესაძლოა, მანც მოინდომოს დაწესებულებაში აკრძალული ობიექტის შეტანა, საკუთარი თავის დაცვის, პირადი გამორჩენის მიზნით, ან იმიტომ, რომ დააშინეს, ან თუნდაც შეცდომით“³⁴⁴. სასამართლომ საფრთხედ განიხილა ის გარემოებაც, რომ, თუ სრულ შემოწმებას არ დაექვემდებარებიან ამა თუ იმ კატეგორიის ბრალდებულები/მსჯავრდებულები, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულმა პირებმა შესაძლოა ბოროტად გამოიყენონ ამგვარი რეგულაცია და დაწესებულებაში აკრძალული ნივთები, წარწერები და სხვა ობიექტები მოხვდეს იმ კატეგორიის პირების მეშვეობით, რომლებიც არ ექვემდებარებიან შემოწმებას. ასეთი რეგულირება, შესაძლოა, ბოროტად იქნეს გამოყენებული, მათ შორის, კრიმინალური ორგანიზაციების მიერ³⁴⁵.

მოსარჩელის მეორე არგუმენტთან დაკავშირებით (ბრალდებულების/მსჯავრდებულების სპეციალური ტექნიკური საშუალებებით, სკანერით შემოწმება წარმოადგენს ნაკლებად მზლუდავ ალტერნატივას), სასამართლომ განმარტა, რომ „სკანერით შემოწმება და სრული პირადი შემოწმება პირის გაშიშვლების ფორმით არ არის სრულად ურთიერთჩანაცვლებადი ღონისძიებები. შეუძლებელია, სკანერის მეშვეობით ყველა აკრძალული ნივთის, ნივთიერების, წარწერისა თუ სხვა ობიექტის აღმოჩენა, რომელთა შეტანა, დამზადება, ბრუნვა საფრთხეს უქმნის პენიტენციურ დაწესებულებაში წესრიგს, იქ მოთავსებული და დასაქმებული პირების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს“³⁴⁶. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა წარმოადგენდა დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მიღწევის ყველაზე ნაკლებად მზლუდავ ღონისძიებას.

343 იქვე, II, 62.

344 იქვე, II, 63.

345 იქვე, II, 64.

346 იქვე, II, 70-71.

პროპორციულობის ეტაპზე ნორმების კონსტიტუციურობის შემოწმებისას სასამართლომ სადავო ნორმა შეაფასა თითოეულ ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებით ცალ-ცალკე:

სადავო ნორმებით გათვალისწინებული სრული პირადი შემოწმების რიგი საფუძვლების ნაწილი უკავშირდებოდა ბრალდებულის/მსჯავრდებულის გარესამყაროსთან კონტაქტს (ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაწესებულებაში მიღება, გაგზავნა, დაწესებულების დროებით დატოვება/დაბრუნება და ხანმოკლე გასვლა/დაბრუნება). სასამართლოს განმარტებით, ასეთ დროს განსაკუთრებით იზრდება დაწესებულებაში აკრძალული ნივთების, წარწერებისა და სხვა ობიექტების მოხვედრის, ასევე დაწესებულებიდან ამგვარი ობიექტების გატანის საფრთხე. „შესაბამისად, ნებისმიერი ასეთი საფუძვლით პირის შემოწმება, თითოეულ შემთხვევაში დაწესებულების უსაფრთხოების, იქ დასაქმებული პირების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის, აგრეთვე სამართალდარღვევის თავიდან აცილების ინტერესებს ემსახურება. ... ნებისმიერ ასეთ შემთხვევაში შემოწმების ჩაუტარებლობა შეიცავს დასახელებული ინტერესების დაზიანების იმპენენტურ საფრთხეს. შესაბამისად, გარესამყაროსთან კონტაქტამდე და კონტაქტის შემდეგ სრული შემოწმების ღონისძიების ჩატარებით მიღწეული ეფექტი, დაწესებულებაში წესრიგის, ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისადმი საფრთხის აცილების ინტერესი გადაწონის იმ დისკომფორტისა და სირცხვილის შეგრძნებას, რასაც იწვევს ბრალდებულის/მსჯავრდებულის გაშიშვლება“³⁴⁷.

სასამართლომ ასევე ჩათვალა, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაწესებულების შიგნით გადაადგილებისას, სამართლო საკანში და საკნის ტიპის საცხოვრებელ სადგომში განთავსებისას, მისი სრული შემოწმება ემსახურება პენიტენციური დაწესებულებისთვის, ასევე ბრალდებულის/მსჯავრდებულის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის თავიდან აცილებას (ასეთ შემთხვევებში ბრალდებულის ემოციური მდგომარეობისა და შიდა გადაადგილების სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობს თვითდაზიანების, საკნიდან სამართლო ან საკნის ტიპის საცხოვრებელ სადგომში აკრძალული ნივთების და სხვა ობიექტების გადაადგილების საფრთხე). შესაბამისად, ამ საფუძვლებით სრული შემოწმების ჩატარებით მიღწეული შედეგი, მნიშვნელობიდან გამომდინარე, გადაწონის გაშიშვლებით გამოწვეულ ნეგატიურ შეგრძნებებს³⁴⁸.

სადავო ნორმები ასევე ითვალისწინებდა სრულ შემოწმებას დაწე-

347 იქვე, II, 75.

348 იქვე, II, 76.

სებულების დირექტორის და მის მიერ უფლებამოსილი პირების გადაწყვეტილებით. სასამართლოს განმარტებით: „იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობა ამგვარი ინტენსივობის მქონე ღონისძიების გამოყენების უფლებამოსილებით აღჭურავს რომელიმე ორგანოს, აუცილებელია ეს უფლებამოსილება და მისი გამოყენების ფარგლები განსაკუთრებით მკაფიოდ განისაზღვროს“³⁴⁹. საკითხი იმგვარად უნდა მოწესრიგდეს, რომ გამოირიცხოს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, ან იმ შემთხვევაში გამოყენების შესაძლებლობა, როდესაც არ არსებობს ამის უპირობო აუცილებლობა³⁵⁰. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ ერთ-ერთი სადავო ნორმა (№200 ბრძანების 113-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის გასაჩივრებული რედაქცია) არაკონსტიტუციურად ცნო. კერძოდ, მისი შეფასებით, ბრძანება არ განსაზღვრავდა დირექტორისა და მის მიერ უფლებამოსილი მოსამსახურეების მიერ მითითების გაცემის კრიტერიუმებს, სრული შემოწმების მიზნებს. ასევე არ ითვალისწინებდა, დროის კონკრეტულ მონაკვეთში რა რაოდენობით იყო შემოწმების ჩატარება დაშვებული. მაგალითად, არ გამოირიცხავდა დირექტორის უფლებამოსილებას, ჩატაროს ერთი და იგივე პირის სრული პირადი შემოწმება დღეში 10-ჯერ, 15-ჯერ ან მეტჯერ³⁵¹. ბრძანება ასევე არ გამოირიცხავდა დირექტორის უფლებამოსილებას, მიიღოს გადაწყვეტილება ისეთი პირის მიმართ სრული შემოწმების ჩატარების შესახებ, რომელიც უკვე შემოწმდა აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამდე დროის მოკლე პერიოდში, მაგალითად, რამდენიმე საათით ან წუთით ადრე³⁵².

შედეგად, სასამართლომ დაადგინა: „პენიტენციურ დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვან და რთულ გამოწვევას წარმოადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონმდებელი უფლებამოსილია, აღჭურვოს პენიტენციური დაწესებულების დირექტორი ან სხვა თანამდებობის პირები უსაფრთხოების უზრუნველმყოფი მოქნილი მექანიზმებით, მათ შორის, დაწესებულების ტერიტორიის, შენობა-ნაგებობებისა და იქ განთავსებული პირების მონიტორინგის ღონისძიებების გამოყენების უფლებამოსილებით, რათა გამოირიცხოს დაწესებულებაში აკრძალული ნივთების, წარწერებისა და სხვა ობიექტების ფლობა, შეტანა, დამზადება, ბრუნვა და ა.შ. უსაფრთხოების მოქნილი მექანიზმების საჭიროება არსებობს გაზრდილი რისკების გათ-

349 იქვე, II, 78-79.

350 იქვე, II, 80.

351 იქვე, II, 82.

352 იქვე, II, 83.

ვალისწინებით. ვერ გამოირიცხება იმის შესაძლებლობა, რომ ნებისმიერ დროს დამზადდეს ან შეტანილ იქნეს დაწესებულებაში ისეთი ობიექტი, რომელიც საფრთხეს უქმნის დაწესებულებაში წესრიგს, იქ მყოფი პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. აღნიშნული საფრთხის მუდმივად არსებობა აჩენს ბრალდებული/მსჯავრდებული პირების მონიტორინგის, მათი შემოწმების აუცილებლობას და, შესაბამისად, ქმნის მისი განხორციელების ლეგიტიმაციას. ... ამავდროს, ყოველთვის იდენტური არ არის ის საფრთხე, რომლის თავიდან ასაცილებლადაც ტარდება სრული პირადი შემოწმება. შესაბამისად, ყოველთვის ერთი და იგივე მნიშვნელობის არ არის ის სიკეთე, რის მისაღწევადაც ხორციელდება ინდივიდუალურ შემთხვევებში განხორციელებული პირადი შემოწმება. მაგალითისთვის, ერთი და იგივე ბრალდებული/მსჯავრდებული პირის შემოწმება დღის განმავლობაში რამდენჯერმე ან ისეთი პირის შემოწმება, რომელმაც რამდენიმე წუთის თუ საათის წინ უკვე გაიარა სრული შემოწმება, ემსახურება მინიმალური საფრთხის აღკვეთას. ცხადია, ვითარება განსხვავებულია მაშინ, როდესაც არსებობს გარკვეული ინფორმაცია პირის მიერ აკრძალული ნივთის, წარწერისა თუ სხვა ობიექტის დამზადების ან რაიმე ფორმით შექმნის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, მაღალია საფრთხის ხარისხი და, შესაბამისად, პირის სრული შემოწმების ინტერესიც. ამგვარი ინფორმაციის არარსებობის პირობებში საფრთხე მინიმალური და ზედმეტად თეორიულია იმისათვის, რომ გაამართლოს ისეთი ინტენსიური მზლუდავი ღონისძიება, როგორც არის პირის გაშიშვლება. ... ამგვარად, №200 ბრძანება არ შემოსაზღვრავს დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ სრული შემოწმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას მკაფიო კრიტერიუმებით. მკაფიო კრიტერიუმების არარსებობის გამო №200 ბრძანება ქმნის პირის გაშიშვლების შესაძლებლობას მინიმალური საფრთხის აღკვეთის მიზნით. როგორც აღინიშნა, ბრალდებული/მსჯავრდებული პირის გაშიშვლება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაშია დაშვებული. მხოლოდ უკიდურესი, რეალისტური საფრთხის შემთხვევები ამართლებს ისეთი ღონისძიების გამოყენებას, რომელიც იწვევს ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირებში უალრესად დიდ დისკომფორტსა და სირცხვილის შეგრძნებას. №200 ბრძანება კი უშვებს პირის გაშიშვლების ღონისძიების ჩატარებას ისეთ პირობებშიც, როდესაც საფრთხე მინიმალური და ზედმეტად თეორიულია. ასეთ შემთხვევებში პირის გაშიშვლება აღწევს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით აკრძალული მოპყრობის ხარისხს. შესაბამისად, №200 ბრძანების 113-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნ-

ქტი არაკონსტიტუციურია საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით³⁵³.

2.3.4. აბსოლუტური უფლების დასაცავად სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები

საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნობრივი რეალიზაციისთვის სახელმწიფოს ეკისრება შემხვედრი პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების განხორციელება.

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებებია:

ა) პირველ რიგში, შექმნას ასეთ მოპყრობასთან ეფექტურად ბრძოლის სათანადო საკანონმდებლო გარანტიები, რაც უპირატესად გულისხმობს კანონმდებლობით შესაბამისი ქმედებების კრიმინალიზაციას და მათთვის ადეკვატური, საკმარისი, პროპორციული პასუხისმგებლობის გათვალისწინებას. წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად: „1. თითოეული მხარე-სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ წამების ყველა აქტი მისი სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობის მიხედვით განიხილებოდეს, როგორც დანაშაულები. იგივე შეეხება წამების აქტის ჩადენის მცდელობასა და ნებისმიერი პირის ქმედებას, რომელიც წამებაში თანამონაწილეობას ან მონაწილეობას წარმოადგენს.

2. თითოეული მხარე-სახელმწიფო აწესებს სათანადო სასჯელებს ამგვარი დანაშაულებისთვის, მათი მძიმე ხასიათის გათვალისწინებით³⁵⁴.

ბ) უმნიშვნელოვანესია, ყოველ ჯერზე, ასეთ ქმედებათა ეფექტური გამოძიება, სრულყოფილი და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება, დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა. წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის მე-12 მუხლის თანახმად: „თითოეული მხარე-სახელმწიფო უზრუნველყოფს, რომ მისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა ჩაატარონ სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება, როდესაც არსებობს გონივრული საფუძველი იმის საფიქრალად, რომ წამების აქტია ჩადენილი მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ რომელიმე ტერიტორიაზე“. მე-13 მუხლის თანახმად კი: „თითოეული მხარე-სახელმწიფო უზრუნველ-

353 იქვე, II, 84-86.

354 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულად არის აღიარებული წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა (მუხლები 144¹; 144²; 144³).

ყოფს, რომ ნებისმიერ პიროვნებას, ვინც აცხადებს, რომ მის მიმართ გამოყენებული იქნა წამება ამ სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ რომელიმე ტერიტორიაზე, უფლება ჰქონდეს, საჩივრით მიმართოს და თავისი საქმე სწრაფად და მიუკერძოებლად განახილვინოს მის კომპეტენტურ ორგანოებს. მიღებულ უნდა იქნას ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ მომჩივანი და მოწმეები დაცულნი იყვნენ ცუდი მოპყრობის ან დაშინების საგან, რაც შედეგია მისი საჩივრის ან ნებისმიერი მიცემული ჩვენებისა“.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, როდესაც პირი წარმოადგენს სანდო მტკიცებულებას, რომ ის პოლიციის ან სახელმწიფოს უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან დაექვემდებარა მოპყრობას, რომელიც არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს, ეს მუხლი, კონვენციის პირველი მუხლით განსაზღვრულ ზოგად ვალდებულებასთან ერთად (სახელმწიფომ საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში დაიცვას ყველას კონვენციით განსაზღვრული უფლებები და თავისუფლებები), არაპირდაპირ მოითხოვს, რომ ჩატარდეს ეფექტური გამოძიება, რომელმაც შესაძლებელი უნდა გახადოს პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და დასჯა³⁵⁵. წინააღმდეგ შემთხვევაში, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და სასჯელის ზოგადი სამართლებრივი აკრძალვა, მიუხედავად მისი ფუნდამენტური მნიშვნელობისა, პრაქტიკაში არაეფექტური იქნებოდა და სახელმწიფო ორგანოებისთვის თუ მათი წარმომადგენლებისთვის, ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელი გახდებოდა (სრული დაუსჯელობით) იმ პირთა უფლებების შელახვა, რომლებიც მათი კონტროლის ქვეშ იმყოფებიან. სასამართლოს შეფასებით, ნებისმიერი გამოძიება არასათანადო მოპყრობის მძიმე ბრალდების ფაქტებზე უნდა იყოს, როგორც სწრაფი, ისე ყოვლისმომცველი. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ორგანოები ყოველთვის სათანადოდ უნდა ეცადონ იმის დადგენას, თუ რა მოხდა და არ უნდა დაეყრდნონ ნაჩქარევ, არასაკმარისად დადასტურებულ დასკვნებს გამოძიების დასახურად ან გადაწყვეტილების მისაღებად. გამოძიების ნებისმიერი ხარვეზი, რომელიც საფუძველს აცლის შესაძლებლობას, დადგინდეს დაზიანებათა მიზეზები და პასუხისმგებელი პირების ვინაობა, ამ სტანდარტის დარღვევის რისკს წარმოადგენს³⁵⁶.

ამ თვალსაზრისით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი მოთხოვნები/ზოგადი პრინციპები თანმიმდევრულად

355 *Labita v Italy*, app. №26772/95, (ECtHR, [GC], 06.04.2000), §119.

356 *Mindadze and Nemsitsveridze v. Georgia*, app. №21571/05. (ECtHR, 01.06.2017), §104.

არის აღწერილი საქმეში *Bouyid v. Belgium*³⁵⁷. გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ:

„35. ... სახელმწიფო აგენტების მიერ წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ზოგადი აკრძალვა პრაქტიკაში იქნება არარეალიზებადი, თუ არ იარსებებს არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიების ეფექტური მექანიზმი.

36. ... კონვენციის პირველი მუხლის საფუძველზე სახელმწიფოს ზოგადი ვალდებულების გათვალისწინებით, რომ „მან უნდა დაიცვას მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირის კონვენციით გათვალისწინებული უფლებები“, მესამე მუხლი ითხოვს, რომ უნდა არსებობდეს ოფიციალური გამოძიების ფორმა, სადაც პირი შეძლებს სათანადოდ დაამტკიცოს, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნების დარღვევას, *inter alia*, პოლიციის ოფიცრის ან მსგავსი უფლებამოსილი პირების მხრიდან.

37. ასეთი გამოძიების მთავარი მიზანია ეროვნული კანონმდებლობის ეფექტური იმპლემენტაციის უზრუნველყოფა, რომლითაც აკრძალულია სახელმწიფოს წარმომადგენელთა მხრიდან წამება, ღირსების შემლახავი ან დამამცირებელ მოპყრობა ან დასჯა.

38. ზოგადად, იმისთვის, რომ გამოძიება იყოს ეფექტური, მასზე (გამოძიებაზე) პასუხისმგებელი პირები და ინსტიტუტები უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი იმათგან, ვინც ამ გამოძიების სამიზნეა. ეს გულისხმობს, არა მხოლოდ იერარქიული ან ინსტიტუციური კავშირის არარსებობას, არამედ პრაქტიკულ დამოუკიდებლობას.

39. მიუხედავად იმისა, თუ რომელი მოდელი გამოიყენება, ხელისუფლებამ უნდა იმოქმედოს საკუთარი ინიციატივით. გარდა ამისა, გამოძიების ეფექტურობისთვის, მას უნდა შეეძლოს პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და დასჯა. საგამოძიებო ორგანოებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, გაითვალისწინონ არა მხოლოდ იმ სახელმწიფო აგენტების მოქმედებები, რომლებმაც უშუალოდ გამოიყენეს ძალა, არამედ ყველა გარემოება.

40. ... ნებისმიერი ხარვეზი გამოძიებაში, რომელიც ამცირებს მის შესაძლებლობას, რომ დაადგინოს დაზიანებების მიზეზი ან პასუხისმგებელი პირების ვინაობა, ქმნის ეფექტური გამოძიების აუცილებელი სტანდარტის დარღვევის რისკს.

41. ამ კონტექსტში ასევე ნაგულისხმევია სისწრაფის საჭიროება. ხელისუფლების მიერ სწრაფი რეაგირება არასათანადო მოპყრობის თა-

357 *Bouyid v. Belgium*, app. №23380/09, (ECtHR, 01.10.2015).

ობაზე საჩივრების გამოძიებისას, შესაძლოა, ზოგადად მიჩნეულ იქნას, როგორც აუცილებლობა საზოგადოების ნდობის შესანარჩუნებლად, იმის საჩვენებლად, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ემორჩილებიან კანონს და არ არიან ლოიალურები, შემწყნარებლები უკანონო ქმედებების მიმართ.

42. მსხვერპლს უნდა შეეძლოს, ეფექტური მონაწილეობა მიიღოს გამოძიებაში.

43. და ბოლოს, გამოძიება უნდა იყოს ამომწურავი, რაც გულისხმობს, რომ ხელისუფლება ყოველთვის უნდა ცდილობდეს გულმოდგინედ გამოიკვლიოს, თუ რა მოხდა და არ უნდა დაეყრდნოს სწრაფ ან დაუსაბუთებელ დასკვნებს გამოძიების დასახურად³⁵⁸.

გ) სახელმწიფომ უნდა გაატაროს სათანადო ზომები საიმისოდ, რომ დაიცვას ადამიანები ასეთი მოპყრობისგან ნებისმიერი მესამე პირის (არა მხოლოდ სახელმწიფოს უფლებამოსილი პირების, არამედ კერძო პირების) მხრიდან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს სახელმწიფოთა ვალდებულებაზე, საკუთარი იურისდიქციის ქვეშ უზრუნველყონ ინდივიდების დაცვა წამებისა და არაადამიანური მოპყრობისგან, რომელიც ხორციელდება, როგორც სახელმწიფო მოხელეების, ასევე კერძო პირების მიერ. ამ უკანასკნელთაგან მომდინარე ძალადობის შემთხვევაში, სახელმწიფოს ვალდებულება გამოიხატება ასეთი რისკების ეფექტური პრევენციის უზრუნველყოფაში, იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამცავმა ორგანოებმა იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ ამგვარი მოპყრობის ალბათობის თაობაზე.

დ) სახელმწიფოს ვალდებულებაა, არ მოხდეს პირის დეპორტაცია, ექსტრადიცია ან გადაცემა იმ სახელმწიფოში, რომელშიც მას ემუქრება წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი. მაშასადამე, ადამიანის უფლება, დაცული იყოს წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა აკრძალული ფორმების გამოყენებისგან მის მიმართ, მოიცავს უფლებას, პირი არ იქნეს დაბრუნებული იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ის აღმოჩნდება ასეთი მოპყრობის მსხვერპლი. ამიტომ სახელმწიფო, პირის გადაცემამდე, უნდა დარწმუნდეს, რომ ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოს კანონმდებლობა და პრაქტიკა შეესაბამება საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.³⁵⁹ გაეროს კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად: „1. არც ერთმა მხარე-სახელმწიფომ არ უნდა მოახდინოს პირის გაძევება, დაბრუ-

358 *Bouyid v. Belgium*, app. №23380/09, (ECtHR, 01.10.2015).

359 *Soering v. the United Kingdom*, app. №14038/88, (ECtHR, 07.07.1989).

ნება („refouler”) ან ექსტრადიცია სხვა სახელმწიფოში, როდესაც არსებობს სერიოზული საფუძველი იმის საფიქრალად, რომ იქ მის მიმართ წამება შეიძლება იქნეს გამოყენებული. 2. იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ამგვარი საფუძველი, კომპეტენტური ორგანოები მხედველობაში იღებენ საქმესთან კავშირის მქონე ყველა გარემოებას, მათ შორის, როდესაც ეს მიზანშეწონილია, მოცემულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა უხეში, აღმაშფოთებელი ან მასობრივი დარღვევების მუდმივი პრაქტიკის არსებობას“.

სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულებაა, უფლებამოსილმა სახელმწიფო ორგანოებმა, მისმა წარმომადგენლებმა, თანამდებობის პირებმა არ განახორციელონ არასათანადო მოპყრობა (წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა). ასეთი რისკები განსაკუთრებით სკრუპულოზურად უნდა იქნეს აწონილი სახელმწიფოს უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ „ლეგიტიმური ძალის“ გამოყენების პროცესში. თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც ლეგიტიმური ძალის გამოყენების საჭიროებისთვის სათანადო საფუძვლის არსებობის საკითხის გარკვევა, ისე გამოყენებული ძალის პროპორციულობის შეფასება.

სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო მოპყრობის მაგალითები ხშირია შეკრებებზე/მანიფესტაციებზე უფლებამოსილი პირების მიერ ძალის გამოყენებისას, ეჭვიმტანილი/ბრალდებული პირების დაკავებისას, დაკითხვისას, ასევე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, როდესაც პირები იმყოფებიან სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ.

საქმეზე *Abdullah Yaşa and Others v. Turkey*³⁶⁰ მომჩივანი დემონსტრაციის დაშლისას დაშავდა უფლებამოსილი პირის მიერ მისთვის სახეში (ცხვირის არეში) ცრემლსადენი გაზის შეფრქვევის შედეგად. მან მიიღო სერიოზული დაზიანებები. ეროვნულ დონეზე მისი დავა წარუმატებელი აღმოჩნდა. პროკურატურამ საქმეს მსვლელობა არ მისცა იმ საფუძველით, რომ კანონის აღმასრულებლები მოქმედებდნენ საჯარო წესრიგის შენარჩუნებისა და გამძვინვარებული მასისგან თავდაცვის მიზნით. თუმცა, პროკურატურას არ ჩაუთვლია საჭიროდ იმის შეფასება, გამოყენებული ძალა იყო თუ არა პროპორციული.

დავის საგანს არ წარმოადგენდა ცრემლსადენი გაზის გამოყენების ფაქტი. საქმეში არსებული მტკიცებულებების (მათ შორის, ვიდეომასალის) მიხედვით, აშკარად ჩანდა, რომ დემონსტრაცია არ იყო მშვიდობიანი და საკამათო არ იყო უფლებამოსილი პირების მიერ ცრემლსადენი გაზის გამოყენების ლეგიტიმურობის საკითხი. სადავო იყო ის, რომ ცრემ-

360 *Abdullah Yaşa and Others v. Turkey*, app. №44827/08, (ECtHR, 16.07.2013).

ლსადენი გაზის გაფრქვევა მოხდა პირდაპირ დემონსტრანტების მიმართულებით.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, სატყორცნი საშუალებით ცრემლსადენი გაზის გაფრქვევა, თუ სატყორცნი არასწორად იქნება გამოყენებული, ზოგადად, შეიცავს სერიოზული დაზიანების მიყენების, ადამიანის მოკვლის რისკსაც კი. შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში *mutatis mutandis* უნდა გამოყენებულიყო მისი პრეცედენტული სამართალი პოტენციურად ლეტალური ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით. სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან მთავრობას არ წარმოუდგენია მომჩივნის ბრალდებების უარყოფელი მტკიცებულებები, ჩაითვალა, რომ სატყორცნი საშუალებიდან გაზი გაიფრქვა პირდაპირი მიმართულებით (როგორც ამას მომჩივანი ამტკიცებდა, ამასთან ამ ფაქტზე შესაბამისი ვიდეომასალაც მიუთითებდა). ეს კი ვერ მიიჩნეოდა პოლიციის მიერ სათანადო ზომის გამოყენებად, რადგან ცრემლსადენი გაზის ამგვარად გაფრქვევას შეეძლო გამოეწვია სერიოზული ან ფატალური დაზიანებაც კი. სათანადო მეთოდად ითვლება შევეული კუთხიდან ცრემლსადენი გაზის გაფრქვევა, რადგან ის გამორიცხავს დაშავებას ან გარდაცვალებას იმ შემთხვევაში, თუ ვინმეს მოხვდება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დამატებით ყურადღება გაამახვილა, რომ თურქულ კანონმდებლობაში არ არსებობდა დემონსტრაციებისას ცრემლსადენი გაზის გამოყენების სპეციალური წესები ან რაიმე გაიდლაინები. იმის გათვალისწინებით, რომ ცრემლსადენი გაზის მოწყობილობის გამოყენებით გარდაიცვალა ორი ადამიანი, ხოლო მომჩივანი (რომელიც იმ დროს 13 წლის იყო) მძიმედ დაშავდა, შეიძლებოდა დასკვნის გამოტანა, რომ პოლიციის ოფიცრებს მინიჭებული ჰქონდათ მოქმედების უფრო მეტი თავისუფლება, ვიდრე ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მათ მიღებული ექნებოდათ სათანადო წვრთნა და ინსტრუქციები. სასამართლომ ჩათვალა, რომ ასეთ ვითარებაში ინდივიდის ფიზიკური უსაფრთხოება არ იყო დაცული იმ ხარისხით, რაც მოითხოვებოდა ევროპის თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებებში. შესაბამისად, დაადგინა, რომ ძალის გამოყენება, რომელსაც დაექვემდებარა მომჩივანი, არ იყო მიზნის (არამშვიდობიანი შეკრების დაშლის) მიღწევის პროპორციული.

არასათანადო მოპყრობის რისკები განსაკუთრებული სკრუპულოზურობით უნდა იქნეს გაანალიზებული და მინიმალიზებული პირის დაკავების ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში, როდესაც ადამიანი ისედაც მოწყვლადი ხდება. ამიტომ, როდესაც პირი

იმყოფება სახელმწიფოს ეფექტური კონტროლის ქვეშ (პოლიციის განყოფილებაში, პენიტენციურ სისტემაში), მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ნებისმიერი დაზიანება მის სხეულზე ხელისუფლების მიერ არის მიყენებული (კონკრეტული მოხელეების ქმედებით ან გულგრილობით, უმოქმედობით, პრევენციისთვის არასათანადო ზომების მიღებით). სახელმწიფომ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით უნდა ამტკიცოს, რომ დაზიანებები პირს სახელმწიფოს ჩინოვნიკისგან (ან ხელისუფლების დაკვეთით) არ აქვს მიღებული. მაშინაც კი, როდესაც, მაგალითად, საპატიმროში პირს დაზიანებები სხვა პატიმრებმა მიაყენეს, სახელმწიფო არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, რომ მან არ მიიღო ყველა სათანადო ზომა ასეთი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, როდესაც პირს დაზიანებები უჩნდება ძალოვან, საგამოძიებო უწყებებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, მტკიცების ტვირთი ყოველთვის აწევს სახელმწიფოს³⁶¹.

სახელმწიფოს ვალდებულებები პატიმრების წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისგან დაცვის თვალსაზრისით, ცხადია, არ შემოიფარგლება მხოლოდ მათზე ფიზიკური ძალადობის (სხვადასხვა ფორმის გამოყენების) გამორიცხვის, პრევენციის თუ ეფექტური გამოძიების აუცილებლობით. სახელმწიფოს ევალება, სრულად დაიცვას მათი უსაფრთხოება და კეთილდღეობა. დაკავებული და დაპატიმრებული პირები არ უნდა განიცდიდნენ უფლებების იმაზე უფრო მეტ/ინტენსიურ შეზღუდვას, ვიდრე ეს ბუნებრივად თანაარსია თავად თავისუფლების აღკვეთისა. დაკავება/დაპატიმრება ემსახურება კონკრეტულ ლეგიტიმურ მიზნებს. ამასთან, თავისუფლების შეზღუდვის ფაქტი მიიჩნევა თვითკმარად ამ მიზნების დასაცავად. შესაბამისად, ნებისმიერი სხვა დამატებითი ჩარევა ადამიანის უფლებებში, მით უფრო, არასათანადო მოპყრობის სხვადასხვა ფორმა, ვერცერთ შემთხვევაში ვერ იქნება გამართლებული. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ყველა თავისუფლება აღკვეთილ პირს უფლება აქვს ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის პიროვნულ ღირსებას“. ხოლო მე-3 პუნქტის თანახმად: „პენიტენციურ სისტემაში პატიმართა მიმართ განხორციელებული მოპყრობის მიზანია მათი რეფორმირება და სოციალური რეაბილიტაცია...“. ამავე მუხლთან დაკავშირებით თავის №21 ზოგად კომენტარებში (თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიმართ ჰუმანური მოპყრობა), რომელიც მიღებულია 1992 წლის 6 აპრილს,

361 *Aksoy v. Turkey*, app. №21987/93, (ECHR, 18.12.1996); *Tomasi v France*, app. №12850/87, (ECtHR, 27.08.1992); *Selmouni v. France*, app. №25803/94, (ECtHR, [GC], 28.07.1999).

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მე-10 პარაგრაფში განაცხადა, რომ „არცერთი პენიტენციური სისტემა არ უნდა იყოს მხოლოდ სამაგიეროს მიმზღველი. ის არსებითად მიმართული უნდა იყოს პატიმრის რეფორმირებასა და სოციალურ რეაბილიტაციაზე“. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპული ციხის წესებთან დაკავშირებით, მიღებული 2006 წლის 11 იანვარს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პირებისადმი მოპყრობის გარკვეული კონდიცია შეიძლება გაუთანაბრდეს წამებას ან სასტიკ მოპყრობას. კერძოდ: საპატიმრო დაწესებულებების გადატვირთულობა, განათებისა და ვენტილაციის არასათანადო პირობები, არაადეკვატური მმართველობითი სისტემა (კვების (მისი კალორაჟი, ხარისხი, საკმარისობა), ვარჯიშისა და სხვა სოციალური წესების გაუმართაობა), ძილისთვის შეუფერებელი პირობების არსებობა, არაადეკვატური გათბობა, ინტეგრალური სანიტარიის არარსებობა და ცუდი ჰიგიენური მდგომარეობა, სამედიცინო დახმარებაზე არასათანადო ხელმისაწვდომობა უთანაბრდება არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. სასამართლოს განმარტებით, პატიმრის ცხოვრების პირობები უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ღირსებას და არ უნდა იწვევდეს დეპრესიასა და სასოწარკვეთას. როდესაც საქმე ეხება დაკავების პირობებს, მხედველობაში მიიღება ასეთი პირობები კუმულაციურად და ეფექტი, რომელიც ამ ერთობლიობას აქვს ან შეიძლება ჰქონდეს პირზე³⁶².

ამ თვალსაზრისით, ასევე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პატიმრების სამედიცინო მომსახურებას. უმნიშვნელოვანესია, რომ მათ ჰქონდეთ ადეკვატური სამედიცინო სერვისებით სარგებლობის შესაძლებლობა. კერძოდ: საჭირო მედიკამენტებზე დროული და ეფექტური ხელმისაწვდომობა; კონკრეტული ჩივილების/ჯანმრთელობის კონკრეტული მდგომარეობის სათანადო კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო პერსონალის მიერ შემოწმება, დიაგნოსტიკა და მკურნალობის დანიშვნა; უზრუნველყოფილი უნდა იყოს სამედიცინო პერსონალის მიერ პატიმრის მონახულების გონივრული პერიოდულობა, საჭიროების შემთხვევაში – ჰოსპიტალიზაცია. ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა შესაძლოა გახდეს პატიმრობის გადავადების, თუმცა არა მისგან გათავისუფლების საფუძველი.

პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიზეზი არ უნდა გახდეს არასათანადო პირობები საპატიმროში, ისევე, როგორც

362 *Kalashnikov v. Russia*, app. №47095/99, (ECtHR, 15.07.2002).

შესაბამისი სამედიცინო მომსახურების არარსებობა. ამასთან, თანაბრად მნიშვნელოვანია, პათიმრების ფსიქოლოგიური ან/და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის დროული დიაგნოსტიკა და სწორი მართვა.

სახელმწიფოს არ აქვს უფლება, არაადამიანური მოპყრობა გაამართლოს მატერიალური ან ფინანსური რესურსების უკმარისობით. ის ვალდებულია, უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირები ისეთი მომსახურებით, როგორც დააკმაყოფილებს მათ ძირითად საჭიროებებს.

3. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება

საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის თანახმად: „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება“³⁶³.

3.1. უფლების ძირითადი არსი და მნიშვნელობა

ადამიანის თავისუფლების გააზრებისა და დაცვის გზების მუდმივი ძიების პროცესში სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების პრაქტიკული გამოყენების საკითხი, განსაკუთრებით მისი დამოუკიდებელ უფლებად კონსტიტუციური რეგლამენტირების პირობებში.

სხვა ძირითადი უფლებების მარეგულირებელი დებულებებისგან განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი ძალიან ლაკონურია, სულ რამდენიმე სიტყვით აღწერს უფლების შინაარსს, არ მიუთითებს პოტენციურ უფლებრივ კომპონენტებზე. თუმცა, ეს, ერთი შეხედვით, სიტყვაძუნწი დებულება ახდენს ყველაზე მოცულობითი უფლების რეგლამენტაციას, ამასთან, საკმარისად ინფორმატიულია მის არსთან, დიაპაზონთან დაკავშირებით. მოკლე დეფინიციაში თითოეული სიტყვა – „პიროვნება“, „თავისუფალი“, „განვითარება“ – მიუთითებს შესაძლებლობათა ამოწურავ სივრცეზე, უფლების მასშტაბურობაზე, რომლის სრულყოფილი განმარტების მცდელობა იმთავითვე ალოგიკურად გამოიყურება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მას თვითრეალიზაციის უფლება უწოდა³⁶⁴. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, „პირველ რიგში, გულისხმობს ადამიანის პიროვნული თვითგამორკვევისა და ავტონომიურობის უფლებას“³⁶⁵, „...უფლებას, დამოუკიდებლად,

363 პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით რეგლამენტირებული იყო მე-16 მუხლით.

364 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4.

365 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვა-

მესამე პირის (სახელმწიფოს ჩათვლით) ჩარევისა და მისგან კონტროლის გარეშე, განსაზღვროს საკუთარი მე, ვინაობა, ცხოვრების წესი, აირჩიოს გარესამყაროსთან, კონკრეტულ ადამიანებთან თუ საზოგადოებასთან ურთიერთობის შინაარსი, ფორმები, ინტენსივობა, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ინტელექტუალური, კულტურული, სოციალური, სულიერი თუ სხვა ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზები, საშუალებები³⁶⁶.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება არის მუდმივი შესაძლებლობების კარი საკუთარი პიროვნების შეცნობის, განვითარების, ინდივიდუალიზმის მიღწევის თუ დემონსტრირების, ბედნიერებისკენ სწრაფვის გზაზე. ის იცავს ადამიანის ღირსებასთან ძალიან მჭიდროდ დაკავშირებულ, იმანენტურ, გაუსხვისებელ ასპექტებს, მისი ცხოვრების პირად სფეროს, რომელიც მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ყველაზე ფართო გაგებით. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაზე შეუფერხებელი, სრული ხელმისაწვდომობა განაპირობებს თითოეული ადამიანის უნიკალურობას. ამიტომ ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციის საიმედოობა კრიტიკულად აუცილებელია. სწორედ კონსტიტუცია უნდა წარმოადგენდეს თითოეული ადამიანისთვის ავტონომიისა და დამოუკიდებლობის უმაღლესი ხარისხით სარგებლობის შესაძლებლობის უპირობო, სარწმუნო გარანტიას. ქვეყნის უზენაესი კანონი მთლიანობაში უნდა განასახიერებდეს განჭვრეტად და ყველასთვის საერთო მიდგომას/სულისკვეთებას, რომ დაუშვებელია ადამიანის იძულება, გააკეთოს, ან თავი შეიკავოს რაიმეს გაკეთებისგან მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უკეთესია მისთვის, ან ასეთია საზოგადოების უმრავლესობის აზრი, ან ამას ითხოვს საზოგადოების შეხედულებები ზნეობაზე, მორალზე, წესიერებაზე, რელიგიაზე, ტრადიციაზე და სხვა. „ერთადერთი თავისუფლება, ამ სახელს მართლა რომ იმსახურებს, არის თავისუფლება, საკუთარი კეთილდღეობა ჩვენი საკუთარი გზებით ვეძიოთ იქამდე, სანამ არ ვეცდებით სხვებს წა-

ჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბურჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II, 54.

366 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 6.

ვართვით თავიანთი კეთილდღეობა ან ხელი შევეშალოთ მისი მოპოვების ცდაში. თითოეული ინდივიდი საკუთარი სხეულებრივი, გონებრივი და სულიერი ჯანმრთელობის კანონიერი დამცველია. კაცობრიობა მეტს მოიგებს, თუ ადამიანები დაანებებენ ერთმანეთს ისე ცხოვრებას, როგორც თავად მათ ერვენებათ უკეთესად, ვიდრე იმით, რომ თითოეული ადამიანი აიძულონ იცხოვროს ისე, როგორც დანარჩენებს ერვენებათ უკეთესად³⁶⁷.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების მთავარ ღერძს წარმოადგენს ადამიანის ავტონომიურობა, რადგან თავისუფალი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ პერსონალური ავტონომიის ბაზაზე, საკუთარი ნების შესაბამისად, დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღებისას. იმავდროულად, ის გულისხმობს განვითარებას ადამიანისთვის სასურველი, საჭირო, მიღწევადი სისრულით. ამ უფლებით დაცულია თავისუფლების ის მასშტაბი, რომელსაც ადამიანი თავად მიიჩნევს მნიშვნელოვნად მისი პიროვნების განვითარებისთვის, ამასთან, ის დამოუკიდებლად განსაზღვრავს, თავისუფლებისა და ავტონომიის როგორი გამოვლენაა აუცილებელი მისი თვითრეალიზაციისთვის.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „უფლება პიროვნების თავისუფალ განვითარებაზე ეფუძნება შემდეგ კუმულაციურ პირობებს: ა) საკუთარი ნების, გადაწყვეტილების, არჩევანის შესაბამისად განვითარების შესაძლებლობას; ბ) განვითარებას, ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით – ნებისმიერი შინაარსით და მიმართულებით. ამ სფეროს ამომწურავი განმარტება შეუძლებელია. ის მოიცავს ადამიანის თავისუფლებას სხვადასხვა სფეროში: პერსონალურ თვითგამორკვევას, ინტიმური, საოჯახო ურთიერთობების საკუთარი გადაწყვეტილებების და არჩევანის შესაბამისად წარმართვას, პირადი სოციალური, გარემოცვის საკუთარი ნებით შერჩევას, სარწმუნოების თავისუფლად არჩევას და მის შესაბამისად ცხოვრებას, პოლიტიკურ, კულტურულ, სოციალურ თუ ეკონომიკურ ურთიერთობებში აქტივობას, სასურველი განათლების მიღებას, პროფესიისა თუ საქმიანობის არჩევას და ა.შ.“³⁶⁸ იმავდროულად, „პიროვნების

367 ჯონ სტიუარტ მილი, „თავისუფლების შესახებ“, იხ.: https://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=&cad=rja&uact=8&ved=2ahUKewjSkJCml_zqAhXL_CoKHaL3DhgQFjAAegQIARAB&url=https%3A%2F%2Flibrary.iliau%2Fwp-co%2Fwp-co%2Fuploads%2F2017%2F03%2Fjo%2Fstuart-mili-1.pdf&usq=A0vVaw3bipXhXN%2F6ubMJ62J_OzPa

368 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625, 640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯავია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება სა-

ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც გარესამყაროსთან ურთიერთობის დამოუკიდებლად განსაზღვრის თავისუფლებას, ასევე ინდივიდის ფიზიკურ და სოციალურ იდენტობას, ინტიმური ცხოვრების ხელშეუვალობას, ადამიანთა გარკვეულ წრესთან პერსონალურ კავშირებს იმ ინტენსივობით, რაც აუცილებელია მისი პიროვნული სრულყოფისათვის³⁶⁹.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განმარტების თანახმად, ამ უფლებით დაცულია „პირის ნებისა და ქმედების თავისუფლება როგორც კერძო, ასევე საჯარო სივრცეში“³⁷⁰. ეს ჩანაწერი მნიშვნელოვნად აფართოებს უფლებით დაცულ დიაპაზონს, არაორაზროვნად მიუთითებს ადამიანის აქტივობის თანაბრად დაცვაზე, არ აქვს მნიშვნელობა აქტივობის სფერო საჯარო იქნება, თუ კერძო, თუ ასეთი აქტივობა გავლენას ახდენს პიროვნებაზე, ხელს უწყობს მის თავისუფალ განვითარებას.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას, მისი არსიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც თითოეული ადამიანისთვის, ისე – მთლიანად საზოგადოების დემოკრატიული განვითარების პერსპექტივისთვის: „ადამიანების თავისუფალი თვითრეალიზაცია – განვითარება საკუთარი უნარების, შესაძლებლობების, სურვილების, გემოვნების, არჩევანის შესაბამისად არის გზა პერსონალური ინდივიდუალიზმისკენ, შედეგად კი წყარო პლურალისტური და, მაშასადამე, განვითარების პერსპექტივის მქონე საზოგადოების შექმნისთვის/არსებობისთვის. ... ადამიანისთვის იმანენტურია მოთხოვნილება განვითარებაზე, ინდივიდუალიზმზე, განსხვავებულობაზე, ბუნებრიობაზე, პირად სივრცეზე საკუთარი არჩევანის მიხედვით – სასურველ პირთა წრით, ურთიერთობებით, ქცევებით, მისწრაფებებით, მანერებით, ლექსიკით და ა.შ. სწორედ პიროვნების თავისუფალი განვითარების გარანტირებული შესაძლებლობა

ქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 5-6.

369 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუნაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II, 55.

370 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს №2/4/570 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 9.

არის შანსი ინდივიდუალიზმისთვის, მრავალფეროვნებისთვის და, მაშასადამე, პროგრესისთვის. მხოლოდ თავისუფლება და პერსონალური ნების, არჩევანის თუ შესაძლებლობების მიხედვით პიროვნების განვითარება განაპირობებს ადამიანის ავტონომიურობას, თითოეულის განსხვავებულობასა და განუმეორებლობას, რაც ასე მნიშვნელოვანია როგორც საკუთარი პიროვნულობის შეგრძნების, თვითრეალიზაციის და ამ გზით პირადი ბედნიერების ძიებისთვის, განცდისთვის, ისე საზოგადოების ჯანსაღი განვითარებისთვის³⁷¹.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში გაამახვილა ყურადღება თითოეული ფუნდამენტური უფლებით სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობის გზით ადამიანის თვითრეალიზაციის, თავისუფლების და ღირსების ხელშეუვალობის ურთიერთგანპირობებულობაზე. ადამიანის ნებისმიერი არჩევანი, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება მის პიროვნებას, ავტონომიას, უმნიშვნელოვანესია მისი თავისუფლებისთვის და, მაშასადამე, ღირსებისთვის. ამიტომ, როდესაც ადამიანის თავისუფალი მოქმედების არეალი სახელმწიფოს მიერ იმდენად არის რეგლამენტირებული, რომ მას აღარ რჩება პირადი თავისუფლების სივრცე, სადაც ის საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად განსაზღვრას შეძლებდა, ირღვევა მისი ღირსებაც.

3.2. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების პრაქტიკული გამოყენების პოტენციალი

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება გულისხმობს რა თავისუფლად განვითარებას ადამიანის ნების/გადაწყვეტილების შესაბამისად, ის თავისთავად ეფუძნება ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობის გზით თვითრეალიზაციას. ადამიანის თავისუფალი განვითარება ობიექტურად შეიძლება მიიღწეს მხოლოდ ყველა ფუნდამენტური უფლებით სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში. რომელიმე მათგანზე ხელმისაწვდომობის არაპროპორციული შეზღუდვა/უფლების დარღვევა მნიშვნელოვნად აკნინებს ადამიანის

371 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4.

შესაძლებლობას, განავითაროს საკუთარი პიროვნება კონკრეტული მიმართულებით. იმავდროულად, ეს უფლება მოიცავს ყველა იმ სიკეთეს, ინტერესს, თუ ასპექტს, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ არ არის რეგულაციონირებული კონსტიტუციის ტექსტით (ფუნდამენტური უფლებების მარეგულირებელი კონსტიტუციის არცერთი დებულება არ არის პასუხისმგებელი მასზე), მაგრამ მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის პიროვნებას და გავლენას ახდენს მისი თავისუფალი განვითარების შესაძლებლობაზე.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად: „ზედმეტია იმის მტკიცება, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარება ფუნდამენტური უფლებებით სრულყოფილად სარგებლობის შედეგად თვითრეალიზაციის შესაძლებლობაში გამოიხატება. ამ თვალსაზრისით, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლს შეიძლება ჰქონდეს ფუნდამენტური უფლებების ფარგლების გააზრებისთვის დამატებითი დატვირთვა იმ გაგებით, რომ ის ხაზს უსვამს თითოეული უფლების მნიშვნელობას ადამიანის თავისუფალი განვითარებისთვის, მაშასადამე, აჩენს ვალდებულებას, თითოეული უფლება განმარტებულ იქნას სწორედ ადამიანის თავისუფალი განვითარების უზრუნველყოფის პერსპექტივით. ... იმავდროულად, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი მოიცავს ყველა იმ უფლებას თუ ინტერესს, რომელიც განაპირობებს პიროვნების თავისუფალი განვითარების შესაძლებლობას, მაგრამ ამასთან მკაფიო მიმართება არ აქვს რომელიმე ფუნდამენტურ უფლებასთან“³⁷². „... კონსტიტუციის მე-16 მუხლის მიზანია, დაუცველი არ დარჩეს ცხოვრების ის სფეროები, რომლებიც პიროვნებასთან დაკავშირებული კონკრეტული უფლებებით არ არის მოცული. კონსტიტუციის მე-16 მუხლი ქმნის კონსტიტუციური დაცვის გარანტიას ურთიერთობებისთვის, რომლებიც არ თავსდება კონსტიტუციის სხვა ნორმებში, თუმცა შეადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების აუცილებელ კომპონენტს“³⁷³.

შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს კონსტიტუციის მე-12 მუხლის (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით მე-16 მუხლის) პრაქტიკული გამოყენების შემდეგ ძირითად შესაძლებლობებზე:

ა) პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ეფუძნება რა ყველა ფუნდამენტური უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას, ყოველთ-

372 იქვე, II, 15, 16.

373 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბურჯაგია და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II, 57.

ვის საფრთხის ქვეშ დგება, როდესაც ესა თუ ის ძირითადი უფლება ირღვევა. ამიტომ მნიშვნელოვანია მისი გამოყენება თითოეული უფლების ფარგლების სწორად გააზრებისა და იმ პერსპექტივის შესაქმნელად, რათა ამა თუ იმ უფლებით სარგებლობამ გააჩინოს რეალური შესაძლებლობა პიროვნების თავისუფალი განვითარებისთვის კონკრეტულ სფეროში³⁷⁴.

ბ) სასამართლოს ზოგადი მიდგომის თანახმად, კონსტიტუციური წესრიგის მიზნობრივი ფუნქციონირებისთვის აუცილებელია ამა თუ იმ ფუნდამენტური უფლების გაანალიზება, პირველ რიგში, მასზე უშუალოდ პასუხისმგებელი ნორმის კონტექსტში. ამას გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უფლების სწორად განმარტებისთვის, რადგან უფლების მარეგულირებელი ნორმები ხშირად (თუმცა, არა ყოველთვის) მიუთითებენ მასში ჩარევის საფუძვლების, ლეგიტიმური მიზნებისა თუ დასაშვები ფორმის თაობაზე. ამიტომ, ისეთ შემთხვევებში, როდესაც უფლება პირდაპირ არის აღიარებული კონსტიტუციის სპეციალური დებულებით, უპირატესად სწორედ ეს ნორმა უნდა იქნას გამოყენებული. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, ამ თვალსაზრისით, თანმიმდევრულია. მაგალითად, სასამართლოსადმი მიმართვის, საკუთრების, არჩევნებში მონაწილეობის თუ საჯარო სამსახურში საქმიანობის უფლებები, სასამართლოს განმარტებით, მართალია, წარმოადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების მნიშვნელოვან ასპექტებს, თუმცა, რადგან კონსტიტუციაში დეკლარირებულია ამ უფლებებზე პასუხისმგებელი სპეციალური ნორმები, რომლებითაც ხდება მათი პირდაპირი, უშუალო რეგლამენტაცია, სასამართლომ სწორედ ამ უკანასკნელ ნორმებზე დაყრდნობით გადაწყვიტა კონკრეტული საქმეები და არ დაინახა დამატებით მე-12 მუხლის ფარგლებში მათი შეფასების საჭიროება. საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ნოდარ მუმლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* საოქმო ჩანაწერში ვკითხულობთ: „ბუნებრივია, სახელმწიფო თანამდებობის დაკავება, სხვა მიზნებთან ერთად, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების რეალიზაციასაც ემსახურება“, მაგრამ „... პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ის ელემენტი, რომელიც იცავს პირის უფლებას, საკუთარი შეხედულებისა

374 თუმცა, ასეთი განმარტება სასამართლომ გააკეთა მხოლოდ ერთ საქმეზე – *საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტაძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.*

და უნარების შესაბამისად განსაზღვროს და ეცადოს დაიკავოს ესა თუ ის თანამდებობა სახელმწიფო უწყებაში, სპეციფიკურობის გათვალისწინებით, დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით და არა მე-16 მუხლით³⁷⁵.

გ) ისეთ შემთხვევებში, როდესაც რომელიმე უფლება/უფლებრივი კომპონენტი, ინტერესი, ასპექტი არ არის პირდაპირ, უშუალოდ დეკლარირებული კონსტიტუციის ტექსტით, მაგრამ, იმავდროულად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პიროვნული განვითარების შესაძლებლობაზე, საკონსტიტუციო სასამართლო იყენებს კონსტიტუციის მე-12 მუხლს, როგორც მთავარ კონსტიტუციურ საფუძველს უფლების განმარტებისა თუ დაცვისთვის. ამ დებულებას „... აქვს შემავსებელი ფუნქცია და იცავს პიროვნების თავისუფალი განვითარების უზოგადესი უფლების ისეთ ასპექტებს, რომლებიც არ არის დაცული აღნიშნული უფლების კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლებით გათვალისწინებულ ცალკეულ სეგმენტებში. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნებისმიერი წესი, რომელიც პიროვნების ინდივიდუალურ განვითარებას, მისი ქმედებების ავტონომიურობას ან პიროვნების მიმართ საზოგადოებისა და სახელმწიფოს დამოკიდებულების, მისი არჩევანის შესაბამისად განსაზღვრის პრინციპს ზღუდავს, შემხებლობაშია საქართველოს კონსტიტუციით დაცულ ადამიანის პიროვნულ განვითარებასა და პირადი ცხოვრების უფლებებთან“³⁷⁶.

3.3. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დაცული სფერო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს ორ ძირითად სფეროს: ა) პიროვნების ქცევის თავისუფლებას (მოქმედების ზოგადი თავისუფლება); ბ) ზოგად პიროვნულ უფლებას, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს არაერთ უფლებრივ კომპონენტს, კერძოდ: 1. პიროვნების თვითგამორკვევის უფლებას (საკუთარი წარმოშობის გარკვევის უფლება; თვითიდენტიფიკაციის უფლება; ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება); 2. პირადი ცხოვრების უფლებას (პირადი ცხოვრების კერძო/ინ-

375 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის საოქმო ჩანაწერი №2/10/560 საქმეზე საქართველოს მოქალაქე – ნოდარ მუმლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 13-14.

376 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება №1/2/622 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოგუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ, II, 15.

ტიმური სფერო: განმარტოების უფლება – უფლება დარჩე მარტო; პირადი ცხოვრების ძირითადი დაცული სფერო/ბირთვი); 3. თვითგამოსახვის უფლებას (უფლება სიტყვაზე; უფლება გამოსახულებაზე; უფლება თავის წარმოჩენაზე); 4. ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის უფლებას.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების არსიდან, ბუნებიდან გამომდინარე, უფლებრივი კომპონენტების ეს ჩამონათვალი მაინც ძალიან პირობითია, სულ მცირე, იმიტომ, რომ, როგორც აღინიშნა, ის: ა)ერთი მხრივ, საზრდოობს ყველა ფუნდამენტური უფლებით და იმავდროულად, წარმოადგენს საყრდენს მათი მიზნობრივი გააზრებისთვის/განმარტებისთვის; ბ)ხოლო, მეორე მხრივ, იცავს რა პიროვნების განვითარებისთვის მნიშვნელოვან ისეთ ასპექტებს, რომლებიც არ არის მოცუული არცერთი ფუნდამენტური უფლების მარეგულირებელი ნორმით, ის ადამიანის თავისუფალი თვითრეალიზაციის უზრუნველსაყოფად, სამომავლოდაც ქმნის ახალი გამოწვევებისთვის კონსტიტუციურ გარანტიას.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დიაპაზონის განმარტებისას შეუძლებელია მისი შინაარსის მთელი სისრულით აღწერა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მისი ფარგლების მოსინჯვისას მთავარი ამოცანა მაინც სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევისგან თავისუფალი საზღვრების მონიშვნაა.

აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების პრაქტიკული გამოყენება არ ხდებოდა. თითქოს შეუგრძობადი იყო მისი მნიშვნელობა. ყველაზე მკაფიოდ ამ დებულების გამოყენების საჭიროების საკითხი დღის წესრიგში დადგა პირადი ცხოვრების სხვადასხვა უფლებრივი კომპონენტის დაცვის კონტექსტში, როდესაც თვალსაჩინო გახდა, რომ კონსტიტუციის მე-20 მუხლი (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) ვერ პასუხობდა პირადი ცხოვრების არაერთი ასპექტის დაცვის გამოწვევებს. კერძოდ, ის (მე-20 მუხლი), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლისგან განსხვავებით, არა მხოლოდ არ მოიცავდა, არამედ, ფაქტობრივად, გამორიცხავდა მისი ქოლგის ქვეშ პირადი და ოჯახური ცხოვრების რიგი უმნიშვნელოვანესი კომპონენტების ამოკითხვის შესაძლებლობას. შესაბამისად, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებამ, პირველ რიგში, სწორედ პირადი ცხოვრების კონსტიტუციური დაცვის შემავსებლის ფუნქცია შეასრულა.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ პირადი ცხოვრების მხოლოდ რამდენიმე კომპონენტის თაობაზე იმსჯელა, მან მაინც გააკეთა ზოგადი განმარტებები პირად ცხოვრებასთან კორელაციაში კონსტიტუციის მე-16 მუხლის (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი

რედაქცია) პოტენციური დიაპაზონის თაობაზე. სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უმნიშვნელოვანესი უფლებრივი კომპონენტების დასაცავად კონსტიტუციურ გარანტიებს ქმნის საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი. კერძოდ, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს ძალიან ფართო სპექტრს უფლებრივი კომპონენტებისა: „პიროვნების თვითგამორკვევის უფლებას, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს საკუთარი წარმოშობის გარკვევის უფლებას, პიროვნული თვითიდენტიფიკაციის უფლებას – როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად საკუთარი თავის შეგრძნების, გააზრების უფლებას; საკუთარი სქესისა და სექსუალური ორიენტაციის განსაზღვრას, სქესის შეცვლის უფლების ჩათვლით, და სხვა; ასევე ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებას, თვითგამოხატვის უფლებას და ა.შ.“³⁷⁷ ასევე „პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება იცავს ადამიანის პიროვნულობის განმსაზღვრელ ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებას, როგორცაა უფლება პრივატულ სფეროზე, პირად სივრცეზე, რაც მოიცავს ადამიანის თავისუფლების შემდეგ გამოხატულებებს: განმარტოების უფლებას (უფლებას, დარჩეს მარტო), უფლებას, თავად განსაზღვროს გარესამყაროსთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმა, დრო, ინტენსივობა, გააკეთოს არჩევანი ნებისმიერ საკითხზე, რომელიც ეხება პირადად მას, ნებისმიერი შინაარსისა და სახის ურთიერთობებს მისთვის სასურველ პირებთან სხვებისაგან დამოუკიდებლად, მათი ინფორმირების გარეშე და მათგან თავისუფალ პირობებში“³⁷⁸. იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მე-16 მუხლით პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს/ბირთვის საგანგებოდ დაცვის აუცილებლობაზე: „... პირადი ცხოვრების ძირითადი სფერო – ადამიანის ინტიმური, სექსუალური ურთიერთობები, ოჯახური ცხოვრება, მისი ჩვევები, მოძღვრისთვის აღსარებისას მინდობილი ინფორმაცია, სამედიცინო გამოკვლევების შედეგები, ადამიანის ემოციები და გრძნობები, მათი პრივატულ სფეროში გამოხატვის ფორმები უნდა იყოს გან-

377 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 5.

378 იქვე, II, 14.

საკუთრებულად დაცული სახელმწიფოსა და ნებისმიერი მესამე პირის ზედამხედველობისაგან³⁷⁹.

მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება სწორედ პიროვნების თავისუფალ განვითარებასთან მჭიდრო კონტექსტში განმარტა, რადგან „... მე-16 მუხლი ... მოიცავს პირადი ცხოვრების, ადამიანის პირადი სივრცის ხელშეუხებლობის ყველა ასპექტს. ის, ერთი მხრივ, წარმოადგენს საფუძველს და ზოგად ნორმას კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული სფეროსთვის, ხოლო, მეორე მხრივ, დამატებით გარანტიას პირადი ცხოვრების ყველა იმ კომპონენტისთვის, რომელიც სპეციალურად არ არის რეგულირებული კონკრეტული მუხლით. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური დაცვის ფარგლების გააზრების კონტექსტში, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი შეიძლება ჩაითვალოს მე-16 მუხლით დაცული სფეროსთვის სპეციალურ ნორმად იმ გაგებით, რომ ის არეგულირებს პიროვნების განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს“³⁸⁰.

მოგვიანებით პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების მარეგულირებელი დებულების გამოყენება განსაკუთრებით აქტიურად მოხდა ქვეყნის თავისუფლების/მოქმედების ზოგადი თავისუფლების მნიშვნელოვანი ასპექტების განმარტებისა და პრაქტიკული ქმედითობის უზრუნველსაყოფად.

პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ცალკეული ასპექტების კონსტიტუციურ ფარგლებს განვიხილავთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამის პრაქტიკაზე დაყრდნობით. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება დამოუკიდებლად რეგლამენტირებული არ არის. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პიროვნული განვითარების უფლება, როგორც პიროვნული ავტონომიის გამონატყლება, დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). კერძოდ, მე-8 მუხლის ფარგლებში რეგლამენტირებულია პირადი ცხოვრების, ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლის, მიმოწერის უფლებები; იმავდროულად, პირადი ცხოვრებით დაცულ ასპექტებს შორის, სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, შეიძლება გამოვყოთ: პირადი სივრცის ხელშეუხებლობა; ფიზიკური და მორალური

379 იქვე, II, 12.

380 იქვე, II, 21.

ხელშეუხებლობა; პიროვნების იდენტობასთან და ავტონომიასთან დაკავშირებული ფუნდამენტური ასპექტები.

მაშასადამე, თუკი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პიროვნული განვითარების უფლება პირადი ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტია, საქართველოს კონსტიტუციაში პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების დამოუკიდებლად რეგლამინტირების პირობებში, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით მას გაცილებით ფართო დატვირთვა მიენიჭა და ის თავად მოიცავს პირადი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს კომპონენტებს (ისევე, როგორც არაერთ სხვა უფლებრივ ასპექტს).

აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში განვითარებული პრაქტიკა, რომელიც უკავშირდება პირადი ცხოვრების ფუნდამენტურ ასპექტებს (პიროვნების ავტონომიის ჩათვლით), მნიშვნელოვანია უპირატესად კონსტიტუციის მე-12 მუხლის (და, ნაწილობრივ, მე-15 მუხლის) განმარტებისას; ხოლო საცხოვრებლის, მიმოწერის და ოჯახური ცხოვრების ასპექტებთან დაკავშირებული პრაქტიკა – კონსტიტუციის მე-15 მუხლის განმარტებისას.

3.4. მოქმედების ზოგადი თავისუფლება/ქცევის თავისუფლება

საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად: „პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს პიროვნების მოქმედების ზოგად თავისუფლებას“³⁸¹. საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლი „იცავს ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების საკუთარივე შეხედულებისამებრ წარმართვის თავისუფლებას“. ის გულისხმობს ადამიანის უფლებას, „იყოს ისეთი, როგორც თავად სურს, შეუძლია, მოსწონს“³⁸².

381 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბურჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ*, II, 55.

382 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 4.

ქცევის თავისუფლება პერსონალური თვითმყოფადობის განმაპირობებელია, ამიტომ ამ ველზე თავისუფლების შეგრძნება კრიტიკულად აუცილებელია. ადამიანს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დამატებითი შეზღუდვების, კონტროლის თუ მათი მოლოდინის შიშის გარეშე მოიქცეს საკუთარი თავისთვის სრული თავისუფლების მინიჭების გზით.

ქცევის თავისუფლება იცავს ადამიანის მიერ მისი პიროვნების განვითარებისთვის მნიშვნელოვნად მიჩნეულ ნებისმიერ ქმედებას (იგულისხმება როგორც მოქმედება, ისე უმოქმედობა). ადამიანს აქვს უფლება, მისთვის სასურველ, საჭირო, საინტერესო თუ მნიშვნელოვან აქტივობებზე, მათ შორის, ისეთებზეც, რომელიც საზოგადოების წევრებს, მათ უმრავლესობას არ მოსწონთ, აღაშფოთებთ, მიაჩნიათ ამორალურად და სხვა. ოჯახის წევრების, ახლობლების თუ საზოგადოების სხვა წევრებისადმი პატივისცემა არ გულისხმობს და არ მოითხოვს მათ მოსაწონად, მათი მოსაზრებების, გემოვნების თუ გადაწყვეტილებების შესაბამისად მოქცევასა და ცხოვრების წარმართვას: „საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება გულისხმობს ადამიანის უფლებას, საკუთარი სურვილების შესაბამისად განაგოს თავისი ცხოვრება, თუნდაც საზოგადოების უმრავლესობის ან საშუალოდ გონიერი ადამიანის ხედვით ეს სურვილები არასათანადო და მიზანშეუწონელი იყოს“³⁸³. ადამიანს შეუძლია აკეთოს ყველაფერი საკუთარი არჩევანის, გემოვნების, გემგების, შესაძლებლობების, სურვილების მიხედვით და ამ გზით განავითაროს საკუთარი პიროვნება მისთვის სასურველი მიმართულებით. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება „... მოიცავს პირის თავისუფლებას, საკუთარი შეხედულებით განკარგოს თავისი ფიზიკური თუ გონებრივი სფერო, იმისგან დამოუკიდებლად, მისი ასეთი გადაწყვეტილება იქნება დადებითი თუ უარყოფითი შედეგის მომტანი მისთვის“³⁸⁴.

ქცევის თავისუფლებას საკონსტიტუციო სასამართლო საკმაოდ ფართოდ განმარტავს და თვლის, რომ ის იცავს ადამიანის მიერ საკუთარი ნების შესაბამისად გადაწყვეტილებების მიღების და ქმედების თავისუფლებას როგორც კერძო, ისე საჯარო სფეროში. იგი ასევე მოიცავს ადამიანის არჩევანის უფლებას ქცევის შინაარსზე, მისი განხორციელების ფორმასა თუ დროზე.

მიუხედავად ამ უფლების უდიდესი მნიშვნელობისა, ის არ არის შეუზღუ-

383 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 35.

384 იქვე, II, 47.

ლუდავი, აბსოლუტური და გულისხმობს მხოლოდ კანონის შესაბამისი ქცევის ლეგიტიმაციას. „პიროვნების თავისუფალი განვითარების კონტექსტში ადამიანი სარგებლობს ქცევის თავისუფლებით, რომლის ფარგლებში პირობადებულია მხოლოდ კანონით აკრძალული ქცევით. მაშასადამე, ადამიანს აქვს საკუთარი ნების, არჩევანის და შესაძლებლობების მიხედვით ყველაფრის კეთების უფლება, რაც აკრძალული არ არის კანონით“³⁸⁵. შესაბამისად, ქცევის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც ქმედება კანონსაწინააღმდეგო ხასიათს იღებს. ბუნებრივია, იმავდროულად, ყოველთვის შესაფასებელი მოცემულობაა – „კანონით აკრძალული ქმედება“. ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებითი გარანტიები დაადგინა: „ამ თავისუფლებას ზღვარს უდებს მხოლოდ სხვათა ასეთივე თავისუფლება და ლეგიტიმური/კანონიერი ინტერესები“³⁸⁶. „სახელმწიფომ უნდა აღიაროს, პატივი სცეს და უზრუნველყოს ქცევისა და განვითარების თავისუფლება იმგვარად, რომ არ მოხდეს სხვათა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების არათანაზომადი და არასათანადო შეზღუდვა, კონსტიტუციური წესრიგის დარღვევა და ღირებული ლეგიტიმური მიზნების შელახვა“³⁸⁷. „... აღნიშნული ღირებულებების დაცვის ინტერესი განაპირობებს ადამიანის კონკრეტული ქმედებების/უფლებების შეზღუდვის საჭიროებას. ... ყურადსაღებია ის გარემოება, რომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება აერთიანებს მრავალმხრივ, ერთმანეთისგან შინაარსობრივად განსხვავებულ უფლებრივ კომპონენტებს, რაც განაპირობებს ინდივიდუალური მიდგომების აუცილებლობას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული თავისუფლების შეზღუდვა უნდა შეფასდეს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით. პირებს ეკისრებათ თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვის თემნის ვალდებულება იმ შემთხვევაში, როდესაც შეზღუდვა ხდება უპირატესად დაცული, საყო-

385 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 8.

386 იქვე, II, 4.

387 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბურჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II, 65.

ველთაო ინტერესებიდან ან მესამე პირების კონსტიტუციურად დაცული ინტერესებიდან და უფლებებიდან გამომდინარე – თანაზომიერების პრინციპის მკაცრი გამოყენების საფუძველზე³⁸⁸.

მაშასადამე, ადამიანის ქცევის თავისუფლების ზღვარს წარმოადგენს მხოლოდ ისეთი შემზღუდველი კანონი, რომელიც თავისი მატერიალური შინაარსით შეესაბამება ადამიანის ფუნდამენტური უფლებების და, ზოგადად, კონსტიტუციური წესრიგის დაცვის მოთხოვნებს. შედეგად, სახელმწიფო ლეგიტიმურად მოქმედებს მხოლოდ მაშინ, თუ ადამიანის ქცევის თავისუფლებას თანაზომიერად ზღუდავს ისეთი კანონით, რომელიც იცავს სხვა ადამიანის უფლებებს/კონსტიტუციურ წესრიგს ამა თუ იმ ქცევით განპირობებული საფრთხეებისგან.

მოქმედების ზოგადი თავისუფლების ფარგლების განმარტების კონტექსტში უმნიშვნელოვანესია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების ციკლი ე.წ. ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებულ საქმეებზე. ერთი მხრივ, სასამართლომ ქცევის თავისუფლების ფარგლებში ამოიკითხა ადამიანის უფლება დასვენებაზე, გართობაზე, განტვირთვაზე, სიამოვნების მიღებაზე, ამასთან მისთვის სასურველ დროსა და ფორმით. ერთ-ერთ ასეთ ფორმად მიიჩნია მარიხუანის მოხმარებაც. მეორე მხრივ, სასამართლოს განმარტებით, ადამიანის ავტონომიურობა გულისხმობს, მათ შორის, საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღების უფლებასაც. „საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, როგორც ბუნებითი თავისუფლება, იმდენად ფუნდამენტურია, რომ პიროვნებაზე ზრუნვის მოტივით მასში ჩარევა მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნას გამოყენებული, როდესაც ეს პირის ინტერესების დაცვის უკიდურესად აუცილებელ ღონისძიებას წარმოადგენს“³⁸⁹. სწორედ უფლების ასეთი შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ისეთი ქმედების დასჯადობა, რომელსაც მხოლოდ ქმედების ადრესატისთვის შეეძლო საფრთხის შექმნა³⁹⁰.

388 იქვე, II, 66-67.

389 საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 26.

390 აღსანიშნავია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებულ რამოდენიმე საქმეზე თავდაპირველად სასამართლომ იმსჯელა კონსტიტუციის მე-17 მუხლთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) მიმართებით. ამ თვალსაზრისით, პირველი საქმე, რომელზეც სასამართლომ ძირითადი სტანდარტები შეიმუშავა, იყო საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592). თუმცა, მოგვიანებით ამ საქმეზე დადგე-

საქმეზე საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია), რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალების, მარიხუანის, ექიმის დანიშნულების გარეშე, განმეორებით მოხმარებისთვის.

სასამართლოს განმარტებით: „მარიხუანის ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარება, ძირითადად, ხორციელდება დასვენებისა და გართობის მიზნით. ... პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება ნებას რთავს ადამიანს, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, გადაწყვიტოს, თუ რომელი ტიპის გასართობი თუ რეკრეაციული აქტივობით დაკავდება იგი. ეჭვგარეშეა, რომ ადამიანის გასართობი აქტივობები მიეკუთვნება მისი პირადი ავტონომიის სფეროს. შესაბამისად, პიროვნების ზემოქმედება საკუთარ თავზე და ამგვარად გართობის ან სიამოვნების მიღება თავისთავად ხვდება მისი თავისუფალი განვითარების სფეროში. ... პირის უფლება, თავად შეარჩიოს მისთვის სასურველი განტვირთვის სახე და განახორციელოს შესაბამისი აქტივობა, მათ შორის, მოხმაროს მარიხუანა, წარმოადგენს პიროვნების პირადი ავტონომიით დაცულ სფეროს. ვინაიდან სადავო ნორმა სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებად მიიჩნევს მარიხუანის განმეორებით მოხმარებას, აშკარაა, რომ სახეზეა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევა“³⁹¹.

სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა, რამდენად კონსტიტუციური იყო სასჯელის დაწესება იმ მიზნით, რომ პირმა ზიანი არ მიაყენოს საკუთარ ჯანმრთელობას. სასამართლოს განმარტებით: „... სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ისეთი ქმედებისთვის, რომელიც არ უქმნის საფრთხეს სხვების ჯანმრთელობას, არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს აუცილებელ და პროპორციულ ჩარევად ადამიანის პიროვნული განვითარების უფლებაში. პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებებაში მიცემა (მათ შორის, თუნდაც დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება ან საპროცესო შეთანხმების დადება), ნასამართლო-

ნილი სტანდარტებისა და არგუმენტების იდენტურად გამოყენებით, სასამართლომ სადავო ნორმები შეაფასა და არაკონსტიტუციურად ცნო პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების მარეგულირებელ დებულებასთან, კერძოდ კი ქცევის თავისუფლებასთან მიმართებით.

391 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/13/732 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 12.

ბა და, შესაბამისად, პირის სტიგმატიზაცია ვერ უზრუნველყოფს ექიმის დანიშნულების გარეშე მარიხუანის განმეორებითი მოხმარებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებს და პირის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას მიზნად აქცევს. ... იმის სავალდებულოდ დადგენა, თუ რისი ჭამა, დაღევა, მოწევა შეიძლება და ამ ქმედებისათვის სასჯელის დაწესება, წარმოადგენს პირადი ავტონომიით დაცულ სფეროში ჩარევის ისეთ ფორმას, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია მხოლოდ საჯარო ინტერესების დასაცავად. პიროვნების დასჯა მხოლოდ საკუთარი ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო, წარმოადგენს სახელმწიფოსგან გამოვლენილი პატერნალიზმის ისეთ ფორმას, რომელიც არ არის თავსებადი თავისუფალ საზოგადოებასთან. „ცალსახაა, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ადამიანის თავისუფლებაში მხოლოდ იმიტომ, რომ ის ირაციონალურ ქმედებას ახორციელებს. ასეთი ჩარევა გამართლებული რომ იყოს, საჭიროა, მან მიაღწიოს გარკვეულ სიმწვავეს, სხვებს უქმნიდეს რეალურ და სერიოზულ საფრთხეს (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-74). ამდენად, სადავო ნორმით დადგენილი უფლების შეზღუდვას ვერ გაამართლებს სახელმწიფოს ინტერესი, დაიცვას პირი საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენებისაგან“³⁹².

სასამართლომ აღნიშნა, რომ მარიხუანის მოხმარება, სადავო ნორმით გათვალისწინებული სხვა დასჯადი ქმედებებისგან განსხვავებით (დამზადება, შექცენა, შენახვა), არ წარმოშობს მისი გასაღების საფრთხეს. ის მიმართულია უშუალოდ მომხმარებელზე. შედეგად, მოხმარებით საფრთხე ექმნება უშუალოდ მომხმარებლის და არა სხვა პირთა ჯანმრთელობას. „მარიხუანის აკრძალვა მორალური თვითდევრადაციის მოტივით არ წარმოადგენს ღირებულ ლეგიტიმურ მიზანს. კონსტიტუცია უზრუნველყოფს პირის თავისუფლებას თავად განსაზღვროს საკუთარი ცხოვრებისეული გეგმები და მიზნები, განახორციელოს ისეთი ქმედებები, რომლებიც არ ვნებს სხვას. ... მარიხუანის მოხმარების ისეთი შესაძლო შედეგები, როგორიცაა შრომისუნარიანობის დაქვეითება, აპათია და ჩაკეტილობა არ წარმოადგენს თავისუფალი განვითარების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებს. ... მარიხუანის განმეორებითი მოხმარება არ ქმნის ისეთ საზოგადოებრივ საფრთხეებს, რომელთა დასაცავადაც პირის სისხლისსამართლებრივი წესით დასჯა გამართლებოდა. შესაბამისად, შეუსაბამოა პირისთვის კრიმინალის სტატუსის მინიჭება ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ ამ

392 იქვე, II, 49-50.

პირის ჯანმრთელობას შეიძლება უქმნიდეს საფრთხეს და არ ქმნის სხვათა უფლებების დარღვევის მომეტებულ საფრთხეს³⁹³.

შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა იყო არაკონსტიტუციური. ის გამონაკლისის გარეშე ადგენდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მარიხუანის განმეორებითი მოხმარებისთვის განტვირთვისა და გართობის მიზნით, განურჩევლად იმისა, აღნიშნული ქმედება უქმნიდა თუ არა საფრთხეს საზოგადოებრივ წესრიგს, სხვა პირთა ჯანმრთელობას ან სხვა სამართლებრივ სიკეთეს.

მსგავს არგუმენტებზე დაყრდნობით, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმა, რომელიც მარიხუანის მოხმარებისთვის ითვალისწინებდა ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრებას³⁹⁴. თუმცა სასამართლომ არ გამოიციხა რიგ შემთხვევებში შეზღუდვის შენარჩუნების რაციონალურობა, როდესაც მარიხუანის განსაზღვრულ გარემოებებში მოხმარებას სხვებისთვის საფრთხის შექმნის პოტენციალი შეიძლება ჰქონდეს. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით: „გამართლებულია მარიხუანის მოხმარების შეზღუდვა მისი მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დასაცავად, მათი ჯანსაღი განვითარების ინტერესების უზრუნველსაყოფად. ასევე, გამართლებულია მარიხუანის მოხმარების შეზღუდვა სხვა სასწავლო, სააღმზრდელო თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, არმიაში, სამედიცინო, სახელმწიფო (საჯარო) დაწესებულებებში, აგრეთვე, საზოგადოებრივი თავშეყრის ზოგიერთ ადგილას (მაგალითად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში), საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და საჯარო წესრიგის ინტერესების დასაცავად. მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებული შეზღუდვების დაწესებისას, შესაძლოა, რელევანტური (სამაგალითო) იყოს ალკოჰოლურ სასმელებთან და თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებული, ისევე, როგორც მათგან განსხვავებული, სპეციფიკური, მათ შორის, უფრო მკაცრი რეგულაციებიც მოხმარების ადგილისა თუ ვითარების გათვალისწინებით, რომელთა განსაზღვრაც კანონმდებლის პრეროგატივას წარმოადგენს³⁹⁵. ამასთან, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კერძოდ, პრივატულ სივრცეში ან სხვაგან, დასვენების, განტვირთვის, გართობის მიზნით, როდესაც მარიხუანის მოხმარება არ არის

393 იქვე, II, 55-56.

394 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება №1/3/1282 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

395 იქვე, II, 35.

ჩადენილი ზემოაღნიშნულ ადგილებსა და ვითარებაში, „მის დასჯადობას და ამისათვის სასჯელის (სახდელის) დაკისრებას არ გააჩნია არავითარი კონსტიტუციურსამართლებრივი გამართლება“³⁹⁶.

3.5. ზოგადი პიროვნული უფლება

ზოგადი პიროვნული უფლება იცავს ადამიანის პიროვნებასთან, ღირსებასთან მჭიდროდ დაკავშირებულ, იმანენტურ ასპექტებს, მისი ცხოვრების პირად სფეროს, რომელიც მრავალკომპონენტია და მოიცავს ინტიმურ ცხოვრებას, ოჯახის წევრებთან ან განსაკუთრებული ნდობის მქონე პირებთან ურთიერთობას, პირად მოსაზრებებს, ემოციებს, გრძობებს, რომლებსაც ადამიანი საჯაროდ არ გამოხატავს, ასევე მათი გასაჯაროების ფორმასა თუ ფარგლებზე პირად არჩევანს და სხვა. სწორედ ამ ასპექტებზე მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის განმარტებით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება იცავს „პიროვნების ავტონომიურობას, პირის თავისუფლებას, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს საკუთარი შინაგანი სამყარო, მისი პირადი გონებრივი და ფიზიკური სფერო, სხვებისგან ჩაურევლად, პირადი გადაწყვეტილებით დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობა სხვა პირებთან და გარესამყაროსთან“³⁹⁷, ასევე „პირის უფლებას, თავისუფლად მოახდინოს თვითიდენტიფიცირება, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი იდენტობა, ცხოვრების წესი და სტილი, ინდივიდუალური განვითარების და სხვა პირებთან ურთიერთობის გზები და ფორმები, თავისი მორალური, სოციალური, ინტელექტუალური თუ სხვა მოთხოვნილებების და ინტერესების დაკმაყოფილების საშუალებები, ის, იმავდროულად, მოიცავს პირის ინტიმური ცხოვრების სფეროსაც, საკუთარი სქესის თუ სექსუალური ორიენტაციის განსაზღვრის უფლებას და სექსუალური ქცევის არჩევის თავისუფლებას“³⁹⁸.

როგორც აღინიშნა, ზოგადი პიროვნული უფლება პირობითად მოიცავს შემდეგ ძირითად უფლებრივ კომპონენტებს: **1. პიროვნების თვით-**

396 იქვე, II, 35.

397 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.

398 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბურჯაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II, 56.

გამორკვევის უფლებას (საკუთარი წარმოშობის გარკვევის უფლება; თვითიდენტიფიკაციის უფლება; ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება); **2. პირადი ცხოვრების უფლებას** (პირადი ცხოვრების კერძო/ინტიმური სფერო: განმარტობის უფლება – უფლება დარჩე მარტო; პირადი ცხოვრების ძირითადი დაცული სფერო/ბირთვი); **3. თვითგამოსახვის უფლებას** (უფლება სიყვავზე; უფლება გამოსახულებაზე; უფლება თავის წარმოჩენაზე); **4. ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის უფლებას.**

3.5.1. პიროვნული თვითგამორკვევის უფლება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პიროვნების თვითგამორკვევის უფლება მოიცავს საკუთარი წარმოშობის გარკვევის უფლებას, პიროვნული თვითიდენტიფიკაციის – როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად, საკუთარი თავის შეგრძნების, გააზრების უფლებას; საკუთარი სქესისა და სექსუალური ორიენტაციის განსაზღვრას, სქესის შეცვლის უფლების ჩათვლით და სხვა; ასევე ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებას³⁹⁹.

3.5.1.1. საკუთარი წარმოშობის გარკვევის უფლება

ადამიანის იმანენტური უფლებაა, იცოდეს, ვინ არის ის, რაც უპირობოდ გულისხმობს იმის ცოდნის უფლებასაც, ვინ არიან მისი მშობლები, წინაპრები, ოჯახის წევრები. ამის გარეშე შეუძლებელია, ადამიანმა მიაღწიოს საკუთარი თავის სიღრმისეულ შემეცნებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით: „დაბადება და გარემოებები, რომელშიც ბავშვი დაიბადა, ბავშვის და მოგვიანებით, ზრდასრული პირის პირადი ცხოვრების ნაწილია, რომელიც უზრუნველყოფილი და გარანტირებულია კონვენციის მე-8 მუხლით“⁴⁰⁰. ადამიანს აქვს უფლება, იცოდეს პირადი ისტორია, წარსული და გამოიკვლიოს საკუთარი წარმომავლობა. „პირადი ცხოვრების პატივისცემა მოითხოვს, ყველას შეეძლოს

399 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 5.

400 *Odièvre v. France*, app. №42326/98, (ECtHR, 13.02.2003).

თავისი, როგორც ინდივიდის, იდენტობის დეტალების დადგენა ინდივიდის უფლება ამგვარ ინფორმაციაზე მნიშვნელოვანია, რადგან ამას აქვს მისი პიროვნებისთვის განმსაზღვრელი შედეგები⁴⁰¹. თვითგამორკვევის უფლება უმნიშვნელოვანესია პიროვნების ავტონომიის დაცვისა და მისი იდენტობის განსაზღვრისთვის. საკუთარი იდენტობის ასპექტებთან დაკავშირებით ინფორმაციის ნაკლებობა და გაურკვეველობაში ყოფნა მძიმე ტვირთია ადამიანისთვის.

ამ უფლებამ სხვადასხვა ვითარებაში შეიძლება შეიძინოს განსაკუთრებული აქტუალობა. მაგალითად, თუ ბავშვის ადრეულ ასაკში მშობლების გაყრის შემდეგ ის იზრდება რომელიმე მათგანთან მეორე მშობელთან კომუნიკაციის არარსებობის, მასზე ინფორმაციის არქონის ან მცდარი ინფორმაციის ქონისას; თუ ბიოლოგიური მამა არ აღიარებს ბავშვს და არ უწევს მამობას; ბავშვთა სახლში აღზრდისას, როდესაც არ არსებობდა მშობლებთან (ან რომელიმე მათგანთან) კომუნიკაცია და სხვა. შემთხვევების მრავალფეროვნებისა და სირთულის მიუხედავად, ყველა ადამიანს აქვს უფლება, იცოდეს, ვინ არიან მისი ბიოლოგიური მშობლები. ამას, სულ მცირე, დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობის დაცვის მიზნებისთვის, მაგალითად, გენეტიკური დაავადებების პრევენციის ან მათი სწორად მართვისთვის.

ყველას აქვს უფლება, ხელოვნური დაბრკოლებების გარეშე მოიძიოს ასეთი ინფორმაცია სათანადო უწყებებში, რაც სახელმწიფოს ბოჭავს პოზიტიური ვალდებულებით, მისთვის ოფიციალურად ხელმისაწვდომი წყაროებიდან გასცეს რელევანტური ინფორმაცია. მათ შორის, უმნიშვნელოვანესია საარქივო მასალების ეფექტური ხელმისაწვდომობაც. აღსანიშნავია, რომ ეს უფლება გულისხმობს არა საკუთარი წარმომავლობის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის უფლებას, არამედ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას პირი მისი წარმომავლობის შესახებ არსებული ინფორმაციის მიღების დაბრკოლებისაგან.

საკუთარი წარმოშობის გარკვევის უფლება შეიძლება შეიზღუდოს თავად ასეთი ინფორმაციის მაძიებლის ინტერესებში. მაგალითად, არასრულწლოვანი პირი შეიძლება ფსიქო-ემოციურად არ იყოს მზად ინფორმაციის სწორად, ადეკვატურად და ზედმეტი სტრესის გარეშე მისაღებად. ცალკეულ შემთხვევებში უფლების შეზღუდვა შესაძლოა გამართლებული იყოს ასევე მშობლის/მშობლების, ოჯახის ინტერესით, რაც ყოველ ჯერზე სახელმწიფოს (უპირატესად, სასამართლოს) მხრიდან საკითხის სკრუპულოზურად შესწავლის გზით სამართლიანად გადაწყვეტას მოით-

401 *Mikulic v. Croatia*, app. №53176/99, (ECtHR, 07.02.2002).

ხოვს. თუმცა, უფლების შეზღუდვისთვის ლეგიტიმური მიზნის არსებობის შემთხვევაში, ხელისუფლების ვალდებულებაა, ერთი მხრივ, კანონმდებლობით შექმნას შესაბამისი, ეფექტური, დაბალანსებული მექანიზმები/ პროცედურები, ხოლო, მეორე მხრივ, კომპეტენტური ორგანოების მიერ (სასამართლოების ჩათვლით) დროული (ზედმეტი დაყოვნების გარეშე) და სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღების გზით უზრუნველყოს პირად იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული გაურკვეველობის აღმოფხვრა. დაუშვებელია, სახელმწიფო ორგანოების არაეფექტურმა ქმედებებმა პირი დიდი ხნის განმავლობაში (არაგონივრული დროით) დატოვოს/ჩააყენოს გაურკვეველ მდგომარეობაში.

საქმეზე *Gaskin v. the United Kingdom* მოსარჩელე მეურვეობის ორგანოში იზრდებოდა. სრულწლოვანების მიღწევისთანავე მან გადაწყვიტა, მიეღო სრული ინფორმაცია საკუთარი წარსულის და ბიოლოგიური მშობლების თაობაზე. თუმცა ხელისუფლების ორგანოებმა უარი განუცხადეს მის შესახებ დაცული დოკუმენტაციის გადაცემაზე, რადგან ის შეიცავდა პერსონალურ და კონფიდენციალურ ინფორმაციას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელეს და მის მსგავს მდგომარეობაში მყოფ პირებს აქვთ კონვენციით დაცული ინტერესი/უფლება, მიიღონ ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საკუთარი წარსულის დასადგენად. ბუნებრივია, პერსონალური, კონფიდენციალური მონაცემების დაცვა ასევე უმნიშვნელოვანესი ლეგიტიმური ინტერესია, თუმცა სისტემა ორივე ინტერესის დაბალანსებას უნდა ემსახურებოდეს. კერძოდ, ის (სისტემა) მაშინ დააკმაყოფილებს პროპორციულობის პრინციპს, თუ უზრუნველყოფს, რომ შესაბამისი პირის (მშობლის) მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის გაცხადების შემთხვევაში, ამ ინფორმაციის გაცემის საკითხს, საბოლოოდ, დამოუკიდებელი ორგანო (მაგალითად, სასამართლო) გადაწყვეტს. წინამდებარე საქმეში ასეთი პროცედურა მოსარჩელისთვის ხელმისაწვდომი არ იყო⁴⁰².

საქმეზე *Godelli v. Italy* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან იტალიის კანონმდებლობა არ უზრუნველყოფდა ორ დაპირისპირებულ ინტერესს – ბავშვის (რომელზეც უარი თქვა ბიოლოგიურმა დედამ) ინტერესს, მიეღო ინფორმაცია საკუთარი მშობლებისა და წარსულის შესახებ და ბიოლოგიური დედის ინტერესს, არ გაემჟღავნებინა პირადი ინფორმაცია, შორის ბალანსის დაცვას. კერძოდ, იტალიის კანონმდებლობა ისეთ შემთ-

402 *Gaskin v. the United Kingdom*, app. №10454/83, (ECtHR, 07.07. 1989).

ხვევებში, როდესაც ბიოლოგიური დედა იღებდა გადაწყვეტილებას, არ გაესაჯაროებინა საკუთარი იდენტობა, ბავშვს, რომელიც არ იყო ფორმალურად აღიარებული, არ აძლევდა საშუალებას, გამოეთხოვა და მიეღო ინფორმაცია ბიოლოგიური მშობლის შესახებ. შედეგად, დედის ინტერესის დაცვა ხდებოდა შვილის უფლების – მოიძიოს ინფორმაცია საკუთარი წარმოშობის შესახებ – დარღვევის ხარჯზე⁴⁰³.

3.5.1.2. თვითიდენტიფიკაციის უფლება

თვითიდენტიფიკაციის უფლება გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების ფიზიკურად, ფსიქო-ემოციურად შეგრძნების, გააზრების, შეცნობის თავისუფლებას. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია ადამიანის სექსუალური ორიენტაციის განსაზღვრის, სქესის შეცვლის უფლებები, სახელის უფლება, შვილების გაჩენის (მათი დაბადების დროისა და რაოდენობის განსაზღვრის) უფლება და სხვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „...კონსტიტუციის მე-16 მუხლი უზრუნველყოფს პირის უფლებას, თავისუფლად მოახდინოს თვითიდენტიფიცირება, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი იდენტობა, ცხოვრების წესი და სტილი, ინდივიდუალური განვითარების და სხვა პირებთან ურთიერთობის გზები და ფორმები, თავისი მორალური, სოციალური, ინტელექტუალური თუ სხვა მოთხოვნილებების და ინტერესების დაკმაყოფილების საშუალებები, ის, იმავდროულად, მოიცავს პირის ინტიმური ცხოვრების სფეროსაც, საკუთარი სქესის თუ სექსუალური ორიენტაციის განსაზღვრის უფლებას და სექსუალური ქცევის არჩევის თავისუფლებას“⁴⁰⁴.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პირადი ცხოვრება მოიცავს არა მარტო ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ხელშეუხებლობას, არამედ აგრეთვე ინდივიდის ფიზიკური და სოციალური იდენტობის ასპექტებს. „პერსონალური ავტონომიიდან გამომდინარეობს თვითგამორკვევის უფლება, რომლის არსებით ელემენტს წარმოადგენს საკუთარი სექსუალური იდენტობის განსაზღვრა. ...ისეთი ელემენტები, როგორებიცაა გენდერული იდენტობა, სახელები, სექსუალური ორიენტა-

403 *Godelli v. Italy*, app. №33783/09, (ECtHR, 25.09.2012).

404 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბურაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ*, II, 56.

ცია და სექსუალური ცხოვრება ხვდება პირად სფეროში, რომელსაც იცავს კონვენციის მე-8 მუხლი...“⁴⁰⁵.

3.5.1.2.1. გენდერული იდენტობა და სექსუალური ორიენტაცია – თვითიდენტიფიკაციის უფლების ფუნდამენტური ასპექტები

დღემდე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ადამიანების არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება, შევიწროება, გამორჩევა, მათ მიმართ დაუსაბუთებელი განსხვავებული მოპყრობა, რაც ერთდროულად იწვევს როგორც დისკრიმინაციას, ისე მათი პიროვნების თავისუფალი განვითარების და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებების დარღვევას.

წინამდებარე თავში განვიხილავთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხოლოდ ერთ საქმეს (შესაბამისი პრაქტიკის არარსებობის გამო), რომელიც შეეხება ჰომოსექსუალების პიროვნული განვითარების ცალკეული ასპექტების დაცვას.

საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბურაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ სადავო ნორმები⁴⁰⁶ ჰომოსექსუალიზმს მიაკუთვნებდა შიდა რისკ ჯგუფებს. თავის მხრივ, შიდა რისკ ჯგუფებისადმი მიკუთვნება წარმოადგენდა სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის აბსოლუტურ წინააღმდეგ ჩვენებას. ამასთანავე, სისხლისა და მისი კომპონენტების დონორის საეიშო გამოკვლევა გულისხმობდა პირისთვის ეპიდანამნეზის ჩატარებას და ამ პროცესში დონორის აივ-ინფექციით და ჰეპატიტით დაინფიცირების ისეთი რისკ-ფაქტორების განსაზღვრას, როგორებიცაა: ჰომოსექსუალიზმი, პროსტიტუცია და ნარკომანია.

405 *A.P., Garçon and Nicot v. France*, app. №79885/12, 52471/13, 52596/13, (ECtHR, 06.04.2017).

406 „სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის №241/ნ ბრძანების №1 დანართის „სისხლის, პლაზმის, სისხლის უჯრედების დონორების სამედიცინო შემოწმების შესახებ დებულება“ 24-ე მუხლის (2000 წლის 5 დეკემბრის რედაქცია) სიტყვა „ჰომოსექსუალიზმი“ და „სისხლის გადასხმის დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სავალდებულო ნორმატივების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 სექტემბრის №282/ნ ბრძანების №1 დანართის „სისხლის გადასხმის დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სავალდებულო ნორმატივები“ მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის (2007 წლის 27 სექტემბრის რედაქცია) სიტყვა „ჰომოსექსუალიზმი“.

მოსარჩელები ჰომოსექსუალებად ახდენდნენ თვითდენტიფიკაციას. სადავო ნორმებზე დაყრდნობით, მათ ეკრძალებოდათ სისხლისა და მისი კომპონენტების დონორობა, რითაც, მათი მტკიცებით, სახელმწიფო მათ არ აძლევდა თავისუფალი განვითარების უფლებას მათი სექსუალური ორიენტაციიდან გამომდინარე. ამით კი ხდებოდა ამ სოციალური ჯგუფის არა მხოლოდ სექსუალური ცხოვრების თავისუფლების არათანაზომიერი შეზღუდვა, არამედ მათ არ ეძლეოდათ ჯანსაღი სოციალური განვითარების შესაძლებლობაც.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ჰომოსექსუალებს განუსაზღვრელი ვადით, გამონაკლისის გარეშე, ერთმეოდათ უფლება, გამხდარიყვნენ დონორები, მაშინ, როდესაც სხვა პირებისთვის სექსუალური ორიენტაციის ან/და სქესობრივი ქცევის საფუძველზე აბსოლუტური აკრძალვა დადგენილი არ იყო.

სასამართლოს განმარტებით: „კონსტიტუციის მე-16 მუხლის დაცულ სფეროში ექცევა პიროვნების თავისუფალი განვითარების ნებისმიერი ფორმით რეალიზაცია. შესაბამისად, მოსარჩელების უფლება, გახდნენ სისხლისა და მისი კომპონენტების დონორები, დაკავშირებულია ადამიანის მოქმედების თავისუფალ ნებასთან, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობაში და დაცულია პიროვნული თვითგანვითარების უფლებით“⁴⁰⁷. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ დონორობა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე არის ქველმოქმედების, ადამიანური სოლიდარობის ერთ-ერთი გამოვლინება. როდესაც პირი გამოთქვამს სურვილს, გახდეს სისხლის ან/და სისხლის კომპონენტების დონორი, მის ერთადერთ მოტივს წარმოადგენს სხვა პირთა დახმარება, ამ გზით ის საკუთარი ალტრუისტული ღირებულებების შესაბამისად ამყარებს კავშირს გარესამყაროსთან⁴⁰⁸. სასამართლომ ასევე განსაკუთრებულად გამოყო ნათესავი დონორის ინსტიტუტი. ამ სტატუსით მოაზრებული პირები საკუთარ სისხლს გაიღებენ ნათესავისთვის ან ახლობლისთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, რაც ნათესაური/პირადი ურთიერთობების ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს. „სისხლის დონაციის მეშვეობით პირი ახდენს შინაგანი ღირებულებების პრაქტიკულ რეალიზებას, ამასთან, უზრუნველყოფს პერსონალური, მათ შორის, ოჯახური კავშირების

407 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბურჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, II, 59.

408 იქვე, II, 61.

განვითარებას, რაც, უდავოდ, პიროვნების თვითრეალიზაციისა და განვითარების შემადგენელ აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს...⁴⁰⁹.

სასამართლომ გაიზიარა საქართველოს პარლამენტის პოზიცია, რომ სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვა ემსახურებოდა ღირებულ ლეგიტიმური მიზნის მიღწევას – სისხლისა და მისი კომპონენტების რეციპიენტთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას ისეთი ინფექციური დაავადებებისაგან, როგორსაც წარმოადგენს აივ-შიდსი. ამასთან, სადავო ნორმით გათვალისწინებული ჩარევის ფორმა იძლეოდა ლეგიტიმური მიზნის მიღწევის შესაძლებლობას, კერძოდ, ახდენდა სარისკო დონორების სისხლისა და მისი კომპონენტების დონაციის პროცესისგან დისტანცირებას და წარმოადგენდა ქმედით ღონისძიებას სისხლის რეციპიენტთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმების საფუძვლად სოციალურ ჯგუფზე მითითება („ჰომოსექსუალიზმი“), ზედმეტად ზღუდავდა ამ სოციალურ ჯგუფში შემავალი პირების უფლებებს ისე, რომ მხედველობაში არ იღებდა გარემოებას, კავდებიან თუ არა ეს პირები სარისკო სექსუალური ქცევით და თუ კავდებიან, დროის რომელ მონაკვეთში. სასამართლოს განმარტებით: „იმისათვის, რომ შეზღუდვა პროპორციულად ჩაითვალოს, დონორობის უფლება უნდა განისაზღვრებოდეს არა პირის სექსუალური ორიენტაციის, არამედ კონკრეტული დონორის სექსუალური ქცევების საფუძველზე. შესაბამისად, დონორობის შეზღუდვა უნდა მიემართებოდეს არა პოტენციური დონორის კუთვნილებას რომელიმე სოციალური/დემოგრაფიული ჯგუფისადმი, არამედ – მის სარისკო სექსუალურ ქცევებს. ამასთანავე, შეზღუდვის დაწესებისას სამართალშემოქმედმა უნდა გაითვალისწინოს, დროის რა პერიოდში ინარჩუნებს ქცევარისკებს სისხლის დონაციის უსაფრთხოების თვალსაზრისით“⁴¹⁰.

შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმები არაკონსტიტუციურად ცნო შემდეგი ძირითადი საფუძვლებით: სექსუალური ორიენტაცია, გარდა ინფექციური დაავადების შექმნის მაღალი რისკის მქონე სექსუალური ქცევისა, განაპირობებს სხვა სახის სექსუალურ კავშირებს, ჰომოსექსუალიზმი აუცილებლად სექსუალური ცხოვრების პრაქტიკას არ გულისხმობს. ამასთან, სადავო ნორმები უგულვებელყოფდა ე.წ. „ფანჯრის პერიოდის“ ამოწურვის შესაძლებლობას და ადგენდა აბსოლუტურ აკრძალვას. სასამართლოს მიერ დადგინდა, რომ „ფანჯრის პერიოდის“ შემდეგ სისხლში ინფექციის არსებობის აბსოლუტური სიზუსტის

409 იქვე, II, 62-63.

410 იქვე, II, 72-73.

განსაზღვრა არსებული ტექნოლოგიების საშუალებით შესაძლებელი იყო და, ამ მხრივ, აღარ არსებობდა რაიმე დამატებითი ღონისძიების გატარების საჭიროება. შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნა: „სამართალშემოქმედი ვალდებულია, სწორად განსაზღვროს ნორმის შესაძლო სამართლებრივი შედეგები. ...დაუშვებელია უფლების იმაზე მეტად შეზღუდვა, ვიდრე ეს საჭიროა კონკრეტული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. სადავო ნორმებით, სისხლის ან/და სისხლის კომპონენტის დონორი ვერ იქნება პირი, რომელიც თვითიდენტიფიცირებას ახდეს ჰომოსექსუალად, მაგრამ არ კავდება სარისკო სექსუალური ქცევით. აქედან გამომდინარე, სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვა ახდენს ისეთი პირის დისტანცირებას დონაციის პროცესიგან, რომლის მიერ სისხლის ჩაბარება არ შეიცავს რეციპიენტთა ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველ რისკებს. შესაბამისად, ამ შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებული საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების შეზღუდვა არათანაზომიერია“⁴¹¹.

გენდერული იდენტობის ასპექტთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ მას არაორაზროვნად მიიჩნევს პიროვნების თავისუფალი განვითარების, კერძოდ, თვითიდენტიფიკაციის უფლების უმნიშვნელოვანეს კომპონენტად⁴¹².

თვითიდენტიფიკაციის უფლებით სარგებლობის კონტექსტში ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხი არის გენდერის სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებული პრობლემები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კონვენციის მე-8 მუხლი იცავს ტრანსგენდერი პირების უფლებას პიროვნულ განვითარებაზე და ფიზიკურ და მორალურ ხელშეუხებლობაზე⁴¹³. სასამართლომ განიხილა არაერთი საქმე, როდესაც შეზღუდვები პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში სქესის ცვლილებასთან დაკავშირებული მონაცემების ასახვის თაობაზე იწვევდა პირთა უფლებებში გაუმართლებელ ჩარევას. ამ თვალსაზრისით, სასამართლოს თავდაპირველი პრაქტიკის თანახმად, პოსტოპერაციულ ტრანსსექსუალებს შეეძლოთ იმის მტკიცება, რომ არიან პირადი ცხოვრე-

411 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბურჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ*, II, 74.

412 შესაბამისი სარჩელების არარსებობის გამო საკონსტიტუციო სასამართლოს არ განუხილავს გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები.

413 *A.P., Garçon and Nicot v. France*, app. №79885/12, 52471/13, 52596/13, (ECtHR, 06.04.2017).

ბის პატივისცემის უფლების დარღვევის მსხვერპლნი. კერძოდ, რიგ საქმეებზე დადგინდა, რომ სახელმწიფოებს კონვენციის მე-8 მუხლით ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყონ პოსტოპერაციული ტრანსსექსუალების მიერ სქესის შეცვლის სამართლებრივი აღიარება, *inter alia*, სამოქალაქო სტატუსთან დაკავშირებული მონაცემების შეცვლის შესაძლებლობის შექმნით⁴¹⁴. მოგვიანებით, სასამართლომ დაადგინა, რომ მე-8 მუხლი ასევე იცავს იმ ტრანსგენდერი პირების უფლებას სქესის სამართლებრივ აღიარებაზე, რომლებსაც არ გადაუტანიათ ან არ სურდათ გადაეტანათ სქესის შეცვლის ოპერაცია ან შესაბამისი მკურნალობა (ჰორმონალური თერაპია) სტერილიზაციისთვის⁴¹⁵.

საქმეზე *A.P., Garçon and Nicot v. France* მომჩივნები იყვნენ ტრანსგენდერი პირები. 2007-2009 წლებში მათ მიმართეს ეროვნულ სასამართლოებს მოთხოვნით, ცვლილებები შეეტანათ დაბადების მოწმობებში (სქესის და სახელის აღმნიშვნელ/მაიდენტის ციფრებელ მონაცემებში). სარჩელები არ დაკმაყოფილდა იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ მათ არ/ვერ დაადასტურეს, სქესის შეცვლის მიზნით ჩაიტარეს თუ არა საჭირო სამედიცინო მკურნალობა (ჰორმონალური თერაპია) და სტერილიზაციის ქირურგიული პროცედურა. ერთ-ერთმა მომჩივანმა უარი განაცხადა სამედიცინო შემოწმებაზე იმის დასადასტურებლად, რომ გაკეთებული ჰქონდა სქესის შეცვლის ოპერაცია (სამედიცინო შემოწმების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება სასამართლომ მიიღო მას შემდეგ, რაც თავად მომჩივნის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები მიჩნეულ იქნა არასაკმარისად). მეორე მომჩივნის შემთხვევაში, სასამართლოების შეფასებით, არ იყო დადგენილი ფაქტი, რომ ის განიცდიდა გენდერული იდენტობის დარღვევას.

საფრანგეთის კანონმდებლობით ტრანსგენდერი პირების გენდერული იდენტობის აღიარება დამოკიდებული იყო ქირურგიული ჩარევის ან ჰორმონალური თერაპიის დასრულებაზე.

მოპასუხე სახელმწიფო უფლებაში ასეთ ჩარევას ამართლებდა სამოქალაქო სტატუსის საიმედოობის და სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპების დაცვის საჯარო ინტერესით. ევროპული სასამართლოს განმარტებით, ამ ლეგიტიმური მიზნის დაცვის საპირწონედ საფრანგეთის კანონმდებლობა პირებს დილემის წინაშე აყენებდა. მათ არჩევანი უნდა

414 *Christine Goodwin v. the United Kingdom*, app. №28957/95, (ECtHR, 11.07.2002), §§ 71-93; *Van Kück v. Germany*, app. №35968/97, (ECHR, 12.06.2003), §56; *Grant v. the United Kingdom*, app. №32570/03; app. №27527/03, (ECtHR, 23.05.2006), §§39-44; *L. v. Lithuania*, (ECtHR, 11.09.2007), §59.

415 *A.P., Garçon and Nicot v. France*, app. №79885/12, 52471/13, 52596/13, (ECtHR, 06.04.2017).

გაეკეთებინათ ორ ფუნდამენტურ უფლებას – ფიზიკური ხელშეუხებლობის და პირადი ცხოვრების უფლებებს შორის. კერძოდ, ან საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ უნდა გაეკეთებინათ სქესის შეცვლის ოპერაცია/დაეწყოთ მკურნალობა სტერილიზაციისთვის და ამ გზით უარი ეთქვათ საკუთარი ფიზიკური ხელშეუვალობის პატივისცემის უფლებით სრულად სარგებლობაზე; ან უნდა დაეთმოთ მათი გენდერის აღიარების საკითხი და, შესაბამისად, დაეკარგათ ამავე უფლებით სრულად სარგებლობის შესაძლებლობა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საკითხი განიხილა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ქრილში. მიუხედავად იმისა, რომ სტერილიზაციის მოთხოვნასთან მიმართებით წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი კონსენსუსი არ არსებობს (რაც უმეტეს შემთხვევაში წევრი სახელმწიფოებისთვის შეფასების/მიხედულების ფართო ფარგლებში მოქმედების დადგენას იწვევს ხოლმე), ამ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს ჰქონდა შეფასების ვიწრო ფარგლები, რადგან საკითხი ეხებოდა ინდივიდის იდენტობის ფუნდამენტურ ასპექტებს – ადამიანის ფიზიკურ ხელშეუვალობას (რომელში ინტენსიურ ჩარევას იწვევს სტერილიზაცია) და გენდერულ იდენტობას.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ 2009-2016 წლებში 11 ხელშემკვრელი სახელმწიფოს, მათ შორის, საფრანგეთის, კანონმდებლობიდან ამოღებული იქნა ქირურგიული ჩარევის, როგორც გენდერის სამართლებრივი აღიარების აუცილებელი პირობის, მოთხოვნა. ამასთან, მსგავსი რეფორმების გატარების შესაძლებლობა განიხილეს სხვა წევრ სახელმწიფოებშიც. მზარდი მხარდაჭერით სარგებლობდა სტერილიზაციის კრიტიკერიუმის (არა მხოლოდ ქირურგიული, არამედ ჰორმონალური თერაპიის გზით) გაუქმების მოთხოვნაც.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, ტრანსგენდერი პირების სქესობრივი იდენტობის აღიარებისთვის ისეთი წინაპირობის დაწესება, როგორიცაა მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, სქესის შეცვლის ოპერაციის გაკეთება ან სტერილიზაციასთან დაკავშირებული შესაბამისი მკურნალობა, კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას პირობითს ხდიდა, რადგან პირს, სქესობრივი იდენტობის დაცვის სანაცვლოდ, უარი უნდა ეთქვა ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაზე, რომელიც ასევე დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით (ისევე, როგორც მე-3 მუხლით). შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი ჩარევა ვერ პასუხობდა კონვენციის მოთხოვნას – „ჩარევა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრა-

ტიულ საზოგადოებაში“, რადგან სახელმწიფომ ვერ დაიცვა სამართლიანი ბალანსი საჯარო და ინდივიდუალურ ინტერესებს შორის.

ამის საპირისპიროდ, ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის საკანონმდებლო მოთხოვნასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტისას სახელმწიფოები ინარჩუნებდნენ შეფასების ფართო ფარგლებს, რადგან სტერილიზაციისგან განსხვავებით, ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის გავლის ვალდებულება თავისთავად/ პირდაპირ არ გულისხმობს პირის ფიზიკურ ხელშეუვალობაში ჩარევას, მით უფრო, მის ხელყოფას. სასამართლოს განმარტებით, ეს მოთხოვნა მიზნად ისახავდა, პირველ რიგში, თავად ამ პირთა ინტერესების დაცვას. მათ დარწმუნებით უნდა სცოდნოდათ, რომ იდენტობის შეცვლის პროცედურას არ იწყებდნენ მცდარ საფუძველზე დაყრდნობით. ისევე, როგორც ენდოკრინოლოგიური ან ქირურგიული მკურნალობის დაწყებამდე ექიმებიც დარწმუნებული უნდა ყოფილიყვნენ, რომ პაციენტის მდგომარეობა არ იყო გამოწვეული სხვა მიზეზებით, რაც საბოლოო ჯამში, კვლავ პაციენტის ინტერესებს ემსახურებოდა.

საინტერესოა საქმე *HÄMÄLÄINEN v. Finland*⁴¹⁶. განმცხადებელი დაქორწინებული იყო და ჰყავდა შვილი. ქორწინებაში ყოფნის პერიოდში დადგინდა, რომ ის იყო ტრანსსექსუალი. მოგვიანებით მან ჩაიტარა სქესის შეცვლის ოპერაცია. შედეგად შეიცვალა სახელიც, რისი შესაბამისი ასახვა მოხდა მის პასპორტსა და მართვის მოწმობაში, მაგრამ ვერ შეძლო საიდენტიფიკაციო ნომრის შეცვლა, რომელიც კვლავ უთითებდა მის მამრობით სქესზე. მან ადგილობრივ სარეგისტრაციო სამსახურს მიმართა საიდენტიფიკაციო ნომრის შეცვლის თხოვნით, თუმცა ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან სქესის შეცვლის დადასტურება, შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, მოითხოვდა, რომ პირი არ ყოფილიყო ქორწინებაში ან მის მეუღლეს გაეცა თანხმობა მათი ქორწინების რეგისტრირებულ პარტნიორობად გარდაქმნაზე.

განმცხადებელმა მიმართა ჰელსინკის ადმინისტრაციულ სასამართლოს. ის განმარტავდა, რომ მისმა ცოლმა არ მისცა თანხმობა ქორწინების რეგისტრირებულ პარტნიორობად გარდაქმნაზე, რისი უფლებაც ჰქონდა. ორივეს სურდა ქორწინებაში დარჩენა, რადგან განქორწინება მათი რელიგიური მრწამსის საწინააღმდეგო იქნებოდა. ამასთან, რეგისტრირებული პარტნიორობა არ უზრუნველყოფდა იმავე გარანტიებს, რომლებსაც ქორწინება. სხვა საკითხებთან ერთად, მათი შვილის სამართლებრივი მდგომარეობა განსხვავებული იქნებოდა ქორწინებაში დაბადებული

416 *HÄMÄLÄINEN v. Finland* app. №37359/09, (ECtHR, 16.07.14).

ბავშვების მდგომარეობისგან. ქორწინების შენარჩუნება კი ნიშნავდა, რომ განმცხადებელი ვერ დარეგისტრირდებოდა როგორც მდედრობითი სქესის პირი. სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი, რის შემდეგაც განმცხადებელმა მიმართა უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოს, სადაც ამტკიცებდა, რომ თუკი მისი ქორწინება გარდაიქმნებოდა რეგისტრირებულ პარტნიორობად, ის ველარ იქნებოდა მისი შვილის ლეგალური მამა და ვერც დედა, რადგანაც ბავშვს ვერ ეყოლებოდა ორი დედა. უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საჩივარი, რადგან ფინური კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ერთი სქესის პირთა ქორწინების შესაძლებლობას. სასამართლომ მიუთითა, რომ ასეთ შემთხვევაში მათ შეეძლოთ რეგისტრირებული პარტნიორობის გაფორმება, რომელიც სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძვლებით არსებითად უტოლდებოდა ქორწინებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ წინაშე განმცხადებელი კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ დაირღვა მისი უფლება პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, ის იძულებული იყო, აერჩია კონვენციით აღიარებული ორი ძირითადი უფლებიდან ერთ-ერთი, კერძოდ, უფლება სქესობრივ თვითგამორკვევაზე ან უფლება ქორწინებაში დარჩენაზე. მის მოთხოვნას არ წარმოადგენდა ის, რომ ქორწინება გავრცელებულიყო ერთნაირსქესიან წყვილებზე, არამედ სურდა მის მეუღლესთან მანამდე შემდგარი ქორწინების შენარჩუნება. მისი განმარტებით, სქესის სამართლებრივი აღიარების სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღება გამოიწვევდა ქორწინების შეწყვეტას განქორწინების ან რეგისტრირებულ პარტნიორობად გარდაქმნის გზით. კანონიერი ქორწინების ამგვარი დარღვევა კი, მისი მტკიცებით, ეწინააღმდეგებოდა ქორწინების მუდმივობისადმი თავდადებას, რაც მას განასხვავებს სხვა ურთიერთობებისგან. განმცხადებელი და მისი მეუღლე ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ ქორწინებაში და ჰყავდათ საერთო შვილი. მათი ურთიერთობის სიმყარე, მიუხედავად ერთ-ერთი მეუღლის სქესის ცვლილებისა, აშკარად აჩვენებდა მათი ურთიერთთავდადების მაღალ ხარისხს. იმავდროულად, ქორწინებასა და რეგისტრირებულ პარტნიორობას შორის არსებობდა მნიშვნელოვანი განსხვავება შვილად აყვანის საკითხების გადაწყვეტისას. განმცხადებლის განმარტებით, ასევე საეჭვო იყო, რამდენად შენარჩუნდებოდა სამართლებრივი თვალსაზრისით განმცხადებელსა და მის ქალიშვილს შორის მამა-შვილური ურთიერთობა. მან დამატებით მიუთითა, რომ ის და მისი მეუღლე დაქორწინდნენ ძლიერი რელიგიური შეხედულებებით შთაგონე-

ბულნი, რომ მათი ქორწინება მთელი სიცოცხლე გასტანდა, შესაბამისად, არ სურდათ, გარემოებების ზეგავლენით დაეთმოთ ქორწინება.

იმავედროულად, განმცხადებლის მტკიცებით, შეცვლილი სქესის სამართლებრივ არალიარებას ნეგატიური ზეგავლენა ჰქონდა მის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ის იძულებული იყო თავისი მდგომარეობა გაემხილა სრულიად უცნობი პირებისთვის. მაგალითად, მგზავრობისას, მოქმედი პასპორტის პირობებში, იძულებული იყო, ავიაბილეთები შეეძინა ტიტულით „ბატონი“. მისი გამოცხადება აეროპორტში ქალის გარეგნობით და პასპორტით, რომელშიც მითითებული იყო, რომ ის იყო მამაკაცი, იწვევდა შემაწუხებელ კითხვებს, მღელვარებასა და სტრესს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ, პირველ რიგში, დაადგინა, რომ განმცხადებლის მდგომარეობა ექცეოდა კონვენციის მე-8 მუხლით დაცული როგორც „პირადი ცხოვრების“, ისე „ოჯახური ცხოვრების“ დეფინიციას.

სასამართლომ ეს საქმეც განიხილა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების ქრილში. კერძოდ, მას უნდა გადაეწყვიტა საკითხი – განმცხადებლის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა მოიცავს თუ არა სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ეფექტიანი და ხელმისაწვდომი პროცედურა, რაც განმცხადებელს შესაძლებლობას მისცემს, მიაღწიოს მისი სქესის სამართლებრივ აღიარებას ქორწინებაში დარჩენის პირობებში.

სასამართლომ გაიმეორა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი ვერ განიმარტება, როგორც ხელშემკვრელი სახელმწიფოებისთვის ვალდებულების დამდგენი, ერთნაირსქესიანი წყვილებისთვის უზრუნველყონ ქორწინების ხელმისაწვდომობა და რომ, თუკი ეროვნული კანონმდებლობით ერთი სქესის პირთა ქორწინება არ არის დაშვებული, სამოქალაქო პარტნიორობა ქორწინების ადეკვატური შესაძლებლობაა.

სასამართლოს განმარტებით, დაქორწინებული პირისთვის ქორწინების შეწყვეტის გარეშე სქესის სამართლებრივი აღიარება დაშვებული იყო მხოლოდ სამ წევრ სახელმწიფოში. ევროპული კონსენსუსის არარსებობის პირობებში და იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველი საქმე უდავოდ წარმოშობდა სენსიტიურ მორალურ ან ეთიკურ საკითხებს, სასამართლომ მიიჩნია, მოპასუხე სახელმწიფოს საკითხის გადასაწყვეტად ჰქონდა შეფასების ფართო ფარგლები.

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შეფასების კონტექსტში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა შემდეგი გარემოებები: ფინეთის ეროვნული კანონმდებლობა განმცხადებელს რამდენიმე ალტერნატივას

სთავაზობდა. პირველ რიგში, მას შეეძლო შეენარჩუნებინა არსებული სამართლებრივი მდგომარეობა ქორწინებაში დარჩენით და შეგუებოდა მამრობითი სქესის საიდენტიფიკაციო ნომრით გამოწვეულ უხერხულობებს. ფინურ სისტემაში განსხვავებული სქესის წყვილის კანონიერი გზით შემდგარი ქორწინება არ ბათილდებოდა ან წყდებოდა მხოლოდ იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ერთ-ერთმა მეუღლემ ჩაიტარა სქესის შეცვლის ოპერაცია და იმავე სქესის არის, რომლისაც მისი მეუღლე. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ფინეთში მანამდე არსებული ქორწინების გაბათილება ან შეწყვეტა ვერ მოხდებოდა ეროვნული სახელმწიფო ორგანოების მიერ ერთპიროვნულად. შესაბამისად, განმცხადებელს არაფერი უშლიდა ხელს, შეენარჩუნებინა საკუთარი ქორწინება. იმავედროულად, თუკი მას სურდა შეცვლილი სქესის სამართლებრივი აღიარება და მეუღლესთან ურთიერთობის სამართლებრივი დაცვა, ფინეთის კანონმდებლობა ქმნიდა მათი ქორწინების რეგისტრირებულ პარტნიორობად გარდაქმნის შესაძლებლობას, განმცხადებლის მეუღლის თანხმობით. ასეთ შემთხვევაში, ქორწინება ავტომატურად *ex lege* გარდაიქმნებოდა რეგისტრირებულ პარტნიორობად (და რეგისტრირებული პარტნიორობა – ქორწინებად, სიტუაციის მიხედვით). ეროვნული კანონმდებლობით უზრუნველყოფილი იყო კიდევ ერთი შესაძლებლობა – განქორწინება. იმავედროულად, ფინეთის სამართლებრივ სისტემაში არაფერი მიუთითებდა, რომ განმცხადებელი უნდა განქორწინებულიყო საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ. პირიქით, განქორწინების შესაძლებლობა პირის დისკრეციაზე იყო დამოკიდებული.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ წევრი ქვეყნების უმრავლესობისგან განსხვავებით, ფინეთში არსებობდა სამართლებრივი ჩარჩო სქესის შეცვლის სამართლებრივი აღიარების უზრუნველსაყოფად. სასამართლომ გაიზიარა მოპასუხე სახელმწიფოს არგუმენტი, რომ კანონმდებლობის მიზანი იყო ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში არსებული განსხვავებული პრაქტიკის უნიფიცირება და ერთგვაროვანი მოთხოვნების დადგენა სქესის ასაღიარებლად. მეუღლეთა თანხმობის მიღწევის შემთხვევაში, სისტემა უზრუნველყოფდა როგორც სქესის სამართლებრივ აღიარებას, ისე ამ ურთიერთობის სამართლებრივ დაცვას.

ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლის არგუმენტი ქორწინებასა და რეგისტრირებულ პარტნიორობას შორის მნიშვნელოვანი სხვაობის თაობაზე. ეს განსხვავება ეხებოდა მამობის დადგენისა და ოჯახის გარეთ შვილად აყვანის საკითხებს. თუმცა აღნიშნული გამონაკლისები ამ საქმეზე არ იყო აქტუალური (არ ეხებოდა განმცხადებელს), შესაბამისად, ქორწინებასა და რეგისტრირებულ პარტნიორობას შორის

განსხვავებები არსებითად ვერ ცვლიდა განმცხადებლის სამართლებრივ მდგომარეობას.

სასამართლო ასევე დარწმუნდა, რომ ფინური კანონმდებლობის თანახმად, ქორწინების გარდაქმნას რეგისტრირებულ პარტნიორობად არ ექნებოდა რაიმე ზეგავლენა განმცხადებლის მამობის საკითხზე. ბავშვი კვლავ მიიჩნეოდა კანონიერ ქორწინებაში დაბადებულად. მეტიც, ფინურ სისტემაში ქორწინებიდან გამომდინარე მამობა ან დადგენილი მამობა არ შეიძლებოდა გაბათლებულიყო იმ საფუძველით, რომ მამაკაცმა მოგვიანებით ქირურგიული ჩარევით შეიცვალა სქესი. სქესის ცვლილებას ასევე არანაირი სამართლებრივი ზეგავლენა არ ჰქონდა ბავშვზე ზრუნვის, მეურვეობისა და რჩენის პასუხისმგებლობაზე. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის ქორწინების გარდაქმნას რეგისტრირებულ პარტნიორობად ვერ ექნებოდა ზეგავლენა მის ოჯახურ ცხოვრებაზე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ შეცვლილი სქესის სამართლებრივი აღიარების წინაპირობად იმის მოთხოვნა, რომ განმცხადებლის ქორწინება გარდაიქმნას რეგისტრირებულ პარტნიორობად, წარმოადგენდა უფლებებაში თანაზომიერ ჩარევას. რეგისტრირებული პარტნიორობა იყო ერთნაირსქესიანი წყვილების სამართლებრივი დაცვის რეალური შესაძლებლობა, ამასთან, ფაქტობრივად და თვისობრივად ქორწინების იდენტური. ამ ორ სამართლებრივ კონცეფციას შორის მცირედი, უმნიშვნელო განსხვავება ვერ ჩაითვლებოდა ფინური სისტემის არსებით ნაკლად, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შესრულების კონტექსტში.

საბოლოოდ სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

3.5.1.2.2. ინდივიდის სახელი და გვარი

პიროვნების იდენტობის განმსაზღვრელი ასპექტია ასევე უფლება სახელსა და გვარზე. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „... უფლება სახელის ან/და გვარის შეცვლაზე პირდაპირ დაკავშირებულია ადამიანის იდენტობასთან და მის პიროვნულ გრძნობებთან. პირის უფლება, ჰქონდეს/შეიცვალოს ან ზოგადად აკონტროლოს სახელი/გვარი პირის ზოგადი თავისუფლების განუყოფელი ნაწილია“⁴¹⁷.

417 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება №2/4/570 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 9.

პიროვნების განვითარებისთვის ადამიანის გვარს მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს⁴¹⁸. კერძოდ, „გვარს შესაძლებელია გააჩნდეს არაერთი ფუნქციური დატვირთვა. ეს შეიძლება იყოს პიროვნების თვითიდენტიფიკაციის, საკუთარ ოჯახთან და წარმომავლობასთან ასოცირების სურვილი. ... ამასთანავე, პირს შეიძლება გააჩნდეს სურვილი, საზოგადოების მიერ აღქმული და მიღებული იყოს როგორც კონკრეტული გვარის წარმომადგენელი. გარდა ამისა, პიროვნების გვარს შესაძლებელია გააჩნდეს სხვა გამოხატვითი ფუნქციაც, რაც გულისხმობს, პირის შესაძლებლობას, საკუთარი გვარის დემონსტრირებით, ხაზი გაუსვას საკუთარი დაბადების ადგილს, წარმომავლობას, ეთნიკურ თუ ეროვნულ წარმოშობას და ა.შ.“⁴¹⁹ „ადამიანს მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში უწევს ამა თუ იმ გვარის ტარება. გვარის გამჟღავნებით ადამიანი ცნობადი ხდება საზოგადოებაში, ზოგჯერ ადამიანის გვარი რეპუტაციის სინონიმადაც განიხილება ხოლმე. ... გვარს გააჩნია ე.წ. გამოხატვითი ფუნქცია, რომელიც პირველ რიგში, ემსახურება ადამიანის იდენტობის გარეგან რეალიზებას, მის გზავნილს საზოგადოებაში, რომელშიც ხაზგასმულია პირის ინდივიდუალურობა, მისი კავშირი ოჯახთან, ეთნიკურ ისტორიასთან, რელიგიურ გრძნობებთან და ა.შ.“⁴²⁰ მეორე მხრივ, პირს შესაძლოა არ უნდოდეს, მისი გვარი ასოცირდებოდეს მის ოჯახსა თუ წარმომავლობასთან, სურდეს, უარი თქვას მის ტარებაზე. ასევე შესაძლებელია, პირს უნდოდეს, მიიღოს ახალი გვარი რელიგიური ან სხვა მოტივების საფუძველზე⁴²¹.

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მასში ჩარევის სენსიტიურობაზე: „სახელწიფო განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ადამიანის პირადი ცხოვრების უფლების იმ კომპონენტის შეზღუდვას, რომლითაც დაცულია პირის იდენტობა, ვინაიდან ნებისმიერ ჩარევას პირადი ცხოვრების აღნიშნულ ელემენტში, ადამიანი განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამს. ზემოაღნიშნული უფლებრივი ელემენტის შემზღუდველი რეგულირება შეიცავს ადამიანის პიროვნული განვითარების სტაგნაციის რისკს“⁴²².

საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გასაჩივრებული იყო ნორმა, რომელიც ადგენდა პირის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი და მეუღლის გვარების გაერთი-

418 იქვე, II, 22.

419 იქვე, II, 10.

420 იქვე, II, 22.

421 იქვე, II, 10.

422 იქვე, II, 23.

ანების შედეგად მიღებული გვარი, დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი ან აღიდგინოს ისტორიული გვარი⁴²³.

მოსარჩელემ თავისი პირვანდელი სახელით (ნუგზარ ხუნდაძე) განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და მოითხოვა საკუთარ გვართან თავისი ბებუის გვარის – ჯაყელის მიერთება, რაზეც სააგენტომ უარი უთხრა იმ საფუძვლით, რომ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებდა საკუთარი გვარის აღმავალი შტოს ნათესავის გვართან გაერთიანებას. ამის შემდეგ მოსარჩელემ მოითხოვა საკუთარი პირვანდელი გვარის შეცვლა ბებუის გვარით. მისი ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა. მოსარჩელის აზრით, სადავო ნორმით დაირღვა მისი უფლება, ვინაიდან ის იძულებული გახდა, საკუთარი გვარი დაეთმო ბებუის გვარის სანაცვლოდ. მოსარჩელის მტკიცებით, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობას განაპირობებდა მისი ვიწრო შინაარსი, კერძოდ, ის კრძალავდა გვარის შეერთებას, გარდა ორი გამონაკლისისა.

საქართველოს პარლამენტმა სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად დაასახელა სხვათა უფლებებისა და ინტერესების დაცვა. მისი განმარტებით, საქართველოში ტრადიციას წარმოადგენს, რომ პირს უფლება აქვს, საკუთარი გვარი შეუერთოს მხოლოდ მეუღლის ან მშობლის გვარს. შესაბამისად, პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის გვარის მიერთება გამოიწვევდა დაბნეულობას საზოგადოებაში, რომელსაც გაუჭირდებოდა ეპოვა კავშირი პირის ოჯახურ კავშირსა და მის მიერ არჩეულ გვარს შორის.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მიერ დასახელებული ლეგიტიმური მიზანი არ წარმოადგენდა უფლების შეზღუდვის სერიოზულ და მხედველობაში მისაღებ გარემოებას. შესაბამისად, სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით: „საზოგადოების ინტერესი პირის ოჯახურ ცხოვრებისა და ოჯახის წევრებთან მისი პირადი ურთიერთობების მიმართ ირელევანტური უნდა იყოს, თუ, რა თქმა უნდა, პირის ოჯახური საქმიანობა ან/და ურთიერთობა ოჯახის წევრებთან, თავად ამ ოჯახის წევრებს ან/და მესამე პირებს არ აყენებს ზიანს. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს გააჩნია ვალდებულება, ჩაერიოს და აღკვეთოს ადამიანის უფლებების დარღვევა. სხვა შემთხვევებში, როდესაც არ არსებობს რაიმე რელევანტური ახსნა, თუ რატომ

423 „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-4 პუნქტის სიტყვა – „მეუღლის“ (სადავო ნორმის საქმის განხილვის დროისთვის მოქმედი რედაქცია).

უნდა არსებობდეს სახელმწიფოსა თუ საზოგადოების ინტერესი პირის ოჯახურ ურთიერთობებში ინტერვენციისა, პირდაპირ მიუთითებს ღირებულებული ლეგიტიმური მიზნის არარსებობაზე. ...მნიშვნელოვანია იმის გათვითცნობიერება, რომ პირის თავისუფალ განვითარებას კანონი არ უნდა უქვემდებარებდეს საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთ ეტაპზე ჩამოყალიბებულ ტრადიციას, წეს-ჩვეულებასა თუ ადათს, ვინაიდან აღნიშნული საფრთხის ქვეშ დააყენებდა თავად ადამიანის პიროვნული განვითარების ორ მნიშვნელოვან და სუბსტანციურ პრინციპს – თავისუფლებასა და ინდივიდუალიზმს, რაც რეალურად წარმოადგენს ადამიანის განვითარების საწყისს⁴²⁴.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, უფლება სახელსა და გვარზე ექცევა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში, ვინაიდან სახელი და გვარი პირის იდენტიფიცირების თვალსაზრისით ასრულებს მნიშვნელოვან როლს⁴²⁵. ამ კონტექსტში თანაბარი დაცვა ვრცელდება როგორც გვარზე, ისე სახელზე. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ სახელი და გვარი არის არა მხოლოდ თვითიდენტიფიცირების ელემენტი, არამედ მას საზოგადოებაში პირის იდენტიფიცირებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს⁴²⁶. ევროპულმა სასამართლომ ცალკე გაამახვილა ყურადღება ბავშვის სახელის შერჩევაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს წარმოადგენს მშობლების პირად საკითხს და, შესაბამისად, ხვდება მათ პირად სივრცეში⁴²⁷, სასამართლომ აღნიშნა, რომ საზოგადოების ინტერესია, ბავშვის დაცვა შეუფერებელი, სასაცილო ან უცნაური სახელისაგან⁴²⁸.

საქმეზე *Garnaga v. Ukraine*⁴²⁹ განმცხადებელმა შესაბამის სახელმწიფო ორგანოს მიმართა მოთხოვნით, შეეცვალა თავისი ბიოლოგიური მამის სახელი მამინაცვლის სახელით, რადგან წლების განმავლობაში ცხოვრობდა დედის, მამინაცვალისა და ნახევარძმის გარემოცვაში. მას მხოლოდ გვარის შეცვლის უფლება მისცეს, ხოლო მამის სახელის შეცვლაზე უარი უთხრეს იმ მოტივით, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით, მამის სა-

424 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილება №2/4/570 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 29-30.

425 *Burghartz v. Switzerland*, app. №16213/90, (ECtHR, 22.02.1994).

426 *Bulgakov v. Ukraine*, app. №59894/00, (ECtHR, 31.03.2008).

427 *Guillot v. France*, app. №22500/93, (ECtHR, 24.10.1993).

428 *Johansson v. Finland*, app. №10163/02, (ECtHR, 06.12.2007).

429 *Garnaga v. Ukraine* app. №20390/07, (ECtHR, 16.05.2013).

ხელის შეცვლა შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, თუ თავად მამა შეიცვლიდა სახელს. მოსარჩელემ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა, მაგრამ წარუმატებლად.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელის, გვარისა და მამის სახელის არჩევა ექცევა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში. კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ უფლების მნიშვნელობის მიუხედავად, მისი შეზღუდვა შესაძლებელია დასაბუთებული საჯარო ინტერესით (მაგალითად, მოსახლეობის ზუსტი რეგისტრაციის მიზნით), ამასთან, სახელმწიფოებს აქვთ შეფასების ფართო ფარგლები სახელისა და გვარის შეცვლის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავებისას.

უკრაინის კანონმდებლობა ზოგადად ითვალისწინებდა პირის უფლებას, ზრდასრულ ასაკში შეენარჩუნებინა ან შეეცვალა სახელი. კანონმდებლობაში 2004 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად გათვალისწინებულ იქნა პირის შესაძლებლობა, შეეცვალა მამის სახელი, თუ მამა თავად შეიცვლიდა სახელს. ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებმა ეს დებულება განმარტეს ისე, რომ პირის მიერ მამის სახელის შეცვლის ერთადერთი შესაძლო საფუძვლი იყო თავად მამის მიერ საკუთარი სახელის შეცვლა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მამის სახელის შეცვლასთან დაკავშირებული შეზღუდვები არ იყო სათანადოდ დასაბუთებული ეროვნული კანონმდებლობით. ამასთან, მამის სახელის შეცვლის საკითხის მომწესრიგებელი დებულებები არ იყო საკმარისად ცხადი, თუმცა კანონმდებლობა ზოგადად აღიარებდა პირის უფლებას, შეენარჩუნებინა ან შეეცვალა თავისი სახელი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ დააბალანსეს მხარეთა ინტერესები, მათ ვერ შეასრულეს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოთ მოსარჩელის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დაცვა. შესაბამისად, დადგინდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

3.5.1.3. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება

ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება ზოგადი პიროვნული უფლების უმნიშვნელოვანესი ასპექტია, რომელიც იცავს ადამიანს მისთვის არასასურველი საჯაროობისგან, აღჭურავს გარანტიით, პირადად, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს, მის შესახებ რომელი ინფორმაცია და რა ფარგლებში გახდეს ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის, ნებისმიერი მესამე პირისთვის. „პიროვნების თავისუფალი განვითარება, უპირობოდ გულის-

ხმობს ინდივიდის არჩევანს, თავად გადაწყვიტოს, რომელ ინფორმაციას არ გახდის საჯაროს საკუთარ თავთან მიმართებით. თითოეული ადამიანის არჩევანი საჭიროებს სამართლებრივ დაცვას, რაც გარანტირებულია როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური თვალსაზრისით. აღნიშნული გულისხმობს, ერთი მხრივ, ინდივიდის უფლებას, განსაზღვროს საკუთარი ქმედებები და არჩევანი გააკეთოს იმის სასარგებლოდ, რასაც ყველაზე გონივრულად და შესაფერისად მიიჩნევს, ხოლო, მეორე მხრივ, – სახელმწიფოს ვალდებულებას, არ დაუშვას აღნიშნულ უფლებებში გაუმართლებელი ჩარევა⁴³⁰.

ადამიანის ავტონომიურობის, პირადი სივრცის დაცულობის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა, ის თავად წყვეტდეს მის პიროვნებასთან, პირად ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული მონაცემები (პერსონალური) იყოს თუ არა სხვებისთვის ხელმისაწვდომი და თუ კი, რომელი მონაცემები, ვისთვის და რა ფარგლებში, რადგან ადამიანის პიროვნული განვითარება, პრივატული სივრცის დამოუკიდებლად შექმნა შეუძლებელია თავად ამ პიროვნებისგან ნებადაურთველი, არაპროგნოზირებადი, არაგანჭვრეტადი საჯაროობის პირობებში. ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს სახელმწიფოს, საზოგადოების მხრიდან ინფორმაციული კონტროლისგან. შესაბამისად, სახელმწიფოს ვალდებულებაა, შექმნას სათანადო გარანტიები (პირველ რიგში, ადეკვატური საკანონმდებლო რეგულაციები), რათა პირი დაცული იყოს მის პიროვნებასთან დაკავშირებული პერსონალური საკითხების/მონაცემების დაუგეგმავი საჯაროობის მოულოდნელობებისგან. ასეთი გარანტიების არარსებობის პირობებში, როდესაც მყიფეა ან სულაც არ არსებობს ცოდნა და შეგრძნება იმისა, რომ ადამიანის პიროვნებასთან, მის პირად ცხოვრებასთან, პრივატულ, ინტიმურ სფეროსთან დაკავშირებული მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის მესამე პირებისთვის (არ ხდება მათი ჩაწერა, დაფიქსირება, შენახვა, გამოყენება), ამას შესაძლოა ჰქონდეს მსუსხავი ეფექტი, ადამიანს უზიდავს პასიურობისკენ, თავშეკავებისკენ, მნიშვნელოვნად დააკორექტიროს მისი ყოველდღიურობა, ქმედებები, კონკრეტული გადაწყვეტილებები, კომუნიკაციის არეალი, ფორმა და შინაარსი.

430 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 13.

უფლების მნიშვნელობისგან დამოუკიდებლად, ის არ არის აბსოლუტური. ცალკეულ შემთხვევებში, სათანადო ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, შეიძლება არსებობდეს ობიექტური საჭიროება რიგი პერსონალური მონაცემების მოპოვების, სისტემატიზაციის, შენახვის და, მათ შორის, მესამე პირებისთვის ხელმისაწვდომობისაც. თუმცა კრიტიკულად აუცილებელია, ამ თვალსაზრისით ნებისმიერი ინტენსივობის ჩარევა მოწესრიგებული იყოს კანონით, რომელიც მაქსიმალურად განჭვრეტადი და დეტალურად ინფორმატიული იქნება: უფლებაში ჩარევის კონკრეტულ მიზნებთან, ჩარევაზე უფლებამოსილ პირებთან, ჩარევის ფარგლებთან (პერსონალური ინფორმაციის შინაარსი, ტიპი), სისტემატიზაციის წესთან, შენახვის ვადებთან, შენახვაზე პასუხისმგებელ უწყებებთან/პირებთან, ამასთან მესამე პირისთვის ასეთი ინფორმაციის შესაძლო ხელმისაწვდომობის საფუძვლებთან და წესთან დაკავშირებით. იმავდროულად, ასეთი წესის დეტალურობა და განჭვრეტადობა ვერ გამორიცხავს უფლებაში ნებისმიერი ჩარევის თანაზომიერების დაცვის აუცილებლობას, როგორც კანონით, ისე მისი შეფარდების/გამოყენების პროცესში.

ამ პირობების დაცვა უმნიშვნელოვანესია, რათა ადამიანს ჰქონდეს სწორი მოლოდინები იმასთან დაკავშირებით, თუ მის შესახებ რომელი ინფორმაციის, რა ფარგლებში, როდის, რა ლეგიტიმური მიზნებისთვის მოპოვება/სისტემატიზაცია და შენახვა ხდება, ამასთან ვისთვის და როდის შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებისთვის სპეციალური კონსტიტუციური გარანტიები შექმნილია საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 41-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით). შესაბამისად, უფლების მნიშვნელოვან ასპექტებს განვიხილავთ კონსტიტუციის რელევანტური დებულებების ერთობლივად გაანალიზების გზით.

3.5.1.3.1. საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული გარანტიები

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „ყველას აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალ-

წარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის გაცნობა ინფორმაციული თვითგამორკვევისა და პირის თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელოვანი პირობაა“⁴³¹.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი იცავს პირის უფლებას, ხელი მიუწვდებოდეს საჯარო დაწესებულებაში დაცულ ოფიციალურ დოკუმენტებზე დატანილ ნებისმიერ ინფორმაციაზე⁴³². ის ღიად მიიჩნევს სახელმწიფო დაწესებულებებში დაცულ ოფიციალურ ინფორმაციას და ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს აძლევს მათი გაცნობის შესაძლებლობას⁴³³. მაშასადამე, ამ დებულების „რეგულირების სფეროში ექცევა საჯარო დაწესებულებაში დაცული ოფიციალური ინფორმაცია“⁴³⁴. იმავდროულად, „... ყურადღების ცენტრშია სუბიექტი, რომელიც დაინტერესებულია ინფორმაციის მიღებით ოფიციალური წყაროებიდან“⁴³⁵.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტებში დაცულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა, რადგან უზრუნველყოფს მოქალაქეთა ეფექტურ მონაწილეობას ხელისუფლების განხორციელების პროცესში⁴³⁶. „სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტებზე

431 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის №2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2017 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება №1/4/757 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II, 2.

432 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება №1/4/757 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II, 6.

433 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის №2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

434 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება №1/4/757 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II, 2.

435 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 13.

436 იქვე, II, 4.

ხელმისაწვდომობის უფლება უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფოში ღია მმართველობის განხორციელებას და, შესაბამისად, მნიშვნელოვანია დემოკრატიული და პლურალისტური საზოგადოების დამკვიდრებისა და შენარჩუნებისათვის. აღნიშნული უფლება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, შექმნას შესაბამისი გარანტიები, რათა შესაძლებელი გახადოს საჯარო საკითხებთან დაკავშირებით მოქალაქის ინფორმირებულობა. სახელმწიფოს ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობას აძლევს, გამოიკვლიოს მისთვის საინტერესო საჯარო მნიშვნელობის საკითხები, დასვას კითხვები, განიხილოს, რამდენად ადეკვატურად ხორციელდება საჯარო ფუნქციები და თავად იყოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებების მიღებისა და იმპლემენტაციის პროცესის აქტიური მონაწილე. ინფორმაციის ღიაობა ხელს უწყობს სახელმწიფო დაწესებულებების ანგარიშვალდებულების ამალგებასა და საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას. ... სახელმწიფო დაწესებულებებში დაცული საჯარო ინფორმაციის ღიაობა წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე ეფექტიანი საზოგადოებრივი კონტროლის მნიშვნელოვან წინაპირობას. ღია მმართველობა არსებითად მნიშვნელოვანია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო დაწესებულებებსა და მოქალაქეებს შორის ნდობის განსამტკიცებლად, სამართალდარღვევების (მაგალითად, კორუფცია, ნეპოტიზმი, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა) პრევენციისა და არსებული დარღვევების დროულად გამოსაგლენად⁴³⁷. „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლება საზოგადოების თითოეულ წევრს აძლევს შესაძლებლობას, იყოს ინფორმირებული მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე და აქტიურად ჩაერთოს სახელმწიფო თუ ადგილობრივი საკითხების განხილვასა და განხორციელებაში. ეს ყოველივე ემსახურება, საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საზოგადო მიზანს – საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებისა და სახელმწიფო საქმიანობაში სამოქალაქო ჩართულობის უზრუნველყოფას. სწორედ ამ მიზნების მისაღწევად, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტი პირებს აძლევს შესაძლებლობას, მოითხოვონ და მიიღონ საჯარო დაწესებულებაში დაცული მათთვის საინტერესო ინფორმაცია⁴³⁸.

437 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება №1/4/757 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი კრავიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, II, 5.

438 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილე-

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით: „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, საჯარო ინტერესების, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დასაცავად“.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის აღნიშნული დებულების „სუბიექტი არის პირი, რომლის კერძო სფეროს მიკუთვნებული მონაცემებიც დაცულია ოფიციალურ წყაროებში. შესაბამისად, ამ პუნქტით დაცული სიკეთე არის პირის კერძო, პრივატული სფეროს ხელშეუვალობა, პირადი მონაცემების საიდუმლოება. პირის ინტერესი, არ დაუშვას კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება და აკონტროლოს ამ ინფორმაციის გავრცელება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტია“⁴³⁹. მაშასადამე, ეს დებულება „არეგულირებს პირადი ცხოვრების ერთ-ერთ ასპექტს, რომელიც, მათ შორის, დაკავშირებულია პირის პერსონალური მონაცემების დაცვასთან. ...დებულება „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია ... არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი“ ხაზგასმით მიუთითებს, რომ კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით დაცულია „ოფიციალურ ჩანაწერებში“ ... არსებულ ინფორმაციაზე შემდგომი ხელმისაწვდომობის გარანტიები. შედეგად, ამ დებულებით დაცულია პირადი ცხოვრების ის უფლებრივი კომპონენტი, რომელიც გულისხმობს პირის უფლებას, მოითხოვოს „ოფიციალურ ჩანაწერებში“ არსებული ინფორმაციის გამჟღავნებისგან დაცვა. ...აქ საუბარია, „ოფიციალურ ჩანაწერებში“ ... არსებული ინფორმაციის მესამე პირებისთვის ხელმისაწვდომობის შინაარსობრივ ფარგლებზე და ასეთი ინფორმაციის გაცემის წესზე“⁴⁴⁰.

ბა №1/4/693,857 საქმეზე ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 8, 9.

439 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/3/406,408 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 14.

440 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 26 ივნისის საოქმო ჩანაწერი №1/5/625,640 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება სა-

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი იცავს პირის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებული ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალობას – „როგორც შეიძლება იყოს მისი საცხოვრებელი ადგილი, საკონტაქტო მონაცემები, ასაკი, სქესი და ა.შ.“⁴⁴¹ თუმცა, სასამართლოს განმარტებით, საჯარო დაწესებულებებში არსებული პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაცია და მონაცემი არ სარგებლობს დაცვის თანაბარი გარანტიით: „პირის შესახებ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული მონაცემები, იმის გათვალისწინებით, თუ ვინ არის ეს პირი, რა ინფორმაციას შეიცავს ეს მონაცემები, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მონაცემების დაცვას პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვისათვის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, განსხვავდება დატვირთვით და დაცვის საჭიროებით. ამავდროულად, კონფიდენციალობის დაცვის ინტერესი ნებისმიერ ყოფილი დანიშნულების ინფორმაციასთან დაკავშირებით არ არის მაღალი“⁴⁴².

მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის ცვლილებაზე უფლების ფარგლებთან დაკავშირებით, რაც განპირობებულია მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დაცული სფეროების ურთიერთმიმართების კონსტიტუციური ბალანსით. კერძოდ, 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა, რომ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც შეეხება პირების ჯანმრთელობას, ფინანსებს და სხვა კერძო საკითხებს, თავისთავად გამოირიცხება საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტით (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) დაცული სფეროდან და მასზე ხელმისაწვდომობა არ არის დაცული. სასამართლოს განმარტებით: „საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის ... ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუცია არ ითვალისწინებს პირის უფლებას, მოიპოვოს ოფიციალური წყაროებიდან ინფორმაცია სხვა პირის ჯანმრთელობის, ფინანსების ან სხვა კერძო საკითხების შესახებ. თუ დავუშვებთ, რომ 41-ე მუხლის პირვე-

ქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 21-23.

441 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება №1/4/693,857 საქმეზე ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 53.

442 იქვე, II, 53.

ლი პუნქტით მინიჭებული უფლების დასაცავად შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს კერძო სფეროს მიკუთვნებული ინფორმაცია, მივიღებთ პარადოქსულ სურათს – ნებისმიერ პირს შეეძლება მიიღოს ინფორმაცია სხვა პირის კერძო საკითხებზე, თუ ეს ინფორმაცია იმავდროულად არ არის სახელმწიფო, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოება. ეს, ლოგიკურად, აზრს უკარგავს 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის არსებობას, რომელიც „ტაბუს ადებს“ ინფორმაციას მისი კერძო სფეროსადმი კუთვნილების ნიშნით და არა იმის გამო, რომ ეს ინფორმაცია სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას წარმოადგენს“⁴⁴³.

თუმცა 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით №3/1/752 საქმეზე ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ სასამართლომ ზემოაღნიშნული მიდგომა შეცვალა, რადგან მიიჩნია, რომ არსებობდა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დაცული სფეროების ურთიერთმიმართების, შინაარსისა და ფარგლების განსხვავებულად განმარტების ობიექტური საჭიროება⁴⁴⁴. კერძოდ, გადაწყვეტილების თანახმად: „... ის ფაქტი, რომ საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი იცავს ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ პირის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობას, თავისთავად არ მიუთითებს, რომ ასეთ ინფორმაციაზე წვდომა არ არის დაცული საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტით. ... საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტი არ მოითხოვს, რომ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია პირის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, სრულად დახურული უნდა იყოს. პირიქით, ამავე კონსტიტუციურ დებულებაში მითითებულია ამ უფლების შეზღუდვის შესაძლებლობაზე – კანონით დადგენილი შემთხვევებში, როდესაც ეს აუცილებელია „სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“. შესაბამისად, შესაძლებელია, ეს უფლება სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავადაც შეიზღუდოს. იმ შემთხვევაში,

443 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 21.

444 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №3/1/752 საქმეზე ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 8.

როდესაც პირი ითხოვს სხვა პირის კერძო საკითხებთან დაკავშირებულ ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას, ერთმანეთს უპირისპირდება საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გარანტირებული უფლებები, რომელთა კონფლიქტის საკითხი ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, ამ უფლებების დაბალანსების გზით, თანაბომიერების პრინციპის შესაბამისად უნდა გადაწყდეს⁴⁴⁵.

იგივე მიდგომა სასამართლომ მოგვიანებით გაიმეორა საქმეზე ა(ა)იპ „მედის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ: „ინფორმაციის თავისუფლების კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევა სახეზეა მაშინ, როდესაც სადავო ნორმები ზღუდავს სახელმწიფო დაწესებულებაში დაცულ ინფორმაციაზე, მათ შორის, სხვა პირის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას“⁴⁴⁶. „პირის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა ემსახურება და ორგანულად უკავშირდება პირადი ცხოვრების უფლების ხელშეუხებლობის გარანტირებას. შესაბამისად, ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ხარისხი იცვლება იმის მიხედვით, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის გაუმჟღავნებლობას პირადი ცხოვრების უფლებისათვის. მისი დაცვის ინტერესი იზრდება პირადი ცხოვრების უფლებაზე ინფორმაციის გამჟღავნებით გამოწვეული ნეგატიური გავლენის ზრდასთან ერთად. ნეგატიური გავლენის ინტენსივობა და, შესაბამისად, ინფორმაციის დაცვის მაღალი ინტერესი, შესაძლოა, განაპირობოს ინფორმაციის კატეგორიამ, მიღებასა და გამჟღავნებასთან დაკავშირებულმა გარემოებებმა და სხვა მნიშვნელოვანმა ფაქტორებმა“⁴⁴⁷.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დაცული ინტერესების კოლიზიის და მათი გონივრული დაბალანსების აუცილებლობის თვალსაზრისით საინტერესოა საქმე ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. გასაჩივრებულ იყო „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა, რომლის თანახმად, დაუშვებელი იყო სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინ-

445 იქვე, II, 10-11.

446 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება №1/4/693,857 საქმეზე ა(ა)იპ „მედის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 11.

447 იქვე, II, 53-54.

ფორმაციის გაცემა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე. იმავდროულად, ინფორმაცია წიალის გეოლოგიური აგებულების, წიალისეულის მარაგებისა და რესურსების, საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობებისა და სხვა თვისებების ან პარამეტრების შესახებ წარმოადგენდა იმ სუბიექტის საკუთრებას, რომლის სახსრებითაც იყო მოპოვებული ეს ინფორმაცია.

საქართველოს პარლამენტმა სადავო ნორმის შემოღების ლეგიტიმურ მიზნად დაასახელა ამავე ნორმაში მითითებულ ინფორმაციაზე საკუთრების უფლებისა და მეწარმეობის თავისუფლების დაცვა, აგრეთვე წიალით სარგებლობის სფეროს განვითარება, წიალითა და წიალისეულის რაციონალური სარგებლობის უზრუნველყოფა⁴⁴⁸. საკონსტიტუციო სასამართლომ ეს ინტერესები მიიჩნია მნიშვნელოვან ლეგიტიმურ მიზნებად⁴⁴⁹. იმავდროულად დაადგინა, რომ სადავო ნორმა წარმოადგენდა დასახელებული მიზნების მიღწევის ვარგის და ყველაზე ნაკლებად მზლუდავ საშუალებას.

ვიწრო პროპორციულობის ეტაპზე სასამართლომ საკითხი გადაწყვიტა მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით დაცული სიკეთის სასარგებლოდ. კერძოდ, გადაწყვეტილების თანახმად: „... საზოგადოების ინტერესი, ჰქონდეს სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, არ არის ყველა კატეგორიის ინფორმაციასთან მიმართებით იდენტური. ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც ინფორმაცია ეხება უშუალოდ საჯარო ხელისუფლების განხორციელებას, საბიუჯეტო და სხვა მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებს, გაცილებით მაღალია ინტერესი, საზოგადოებრივი კონტროლის დატვირთვაც და საჭიროებაც. ზოგიერთ შემთხვევაში კი, ინფორმაციის შინაარსიდან და ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია, საზოგადოებრივი კონტროლის ინტერესი არ იყოს ამდენად მაღალი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურობის შეფასებისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მხედველობაში მიიღებს სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის ხასიათს და მის მნიშვნელობას ხელისუფლების საზოგადოებრივი კონტროლის თვალსაზრისით“⁴⁵⁰.

განსახილველ შემთხვევაში სადავო ნორმით შეზღუდული იყო ინფორ-

448 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №3/1/752 საქმეზე ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 19.

449 იქვე, II, 20.

450 იქვე, II, 30.

მაცია წიაღის გეოლოგიური აგებულების, წიაღისეულის მარაგებისა და რესურსების, საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობებისა და სხვა თვისებების ან პარამეტრების შესახებ. იმავდროულად, დასახელებული ინფორმაცია წარმოადგენდა იმ სუბიექტის საკუთრებას, ვისი სახსრებითაც იყო იგი მოპოვებული. სასამართლოს განმარტებით: „წიაღის გეოლოგიური აგებულების, წიაღისეულის მარაგებისა და რესურსების, საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობებისა და სხვა თვისებების ან პარამეტრების შესახებ ინფორმაცია, უპირველეს ყოვლისა, წიაღისეულის მოსაპოვებლად გამოიყენება. სწორედ ეს განაპირობებს აღნიშნული ინფორმაციის ეკონომიკურ ღირებულებას და აქცევს მას ბრუნვის ობიექტად. დასახელებულ ინფორმაციას შესაძლოა, ასევე ჰქონდეს სხვა დანიშნულებაც, იქნება ეს სამეცნიერო, გეოლოგიური, გარემოსდაცვითი და ა.შ. ამავედროულად, გარემოსდაცვითი მიზნით დასახელებული პარამეტრებისა და მათგან მომდინარე საფრთხის შესახებ პირის ინფორმირებულობა შესაძლებელია უზრუნველყოფილი იყოს მოცემული ინფორმაციის გამჟღავნებისა და ამ ინფორმაციის მესაკუთრის უფლებების შეზღუდვის გარეშე, სახელმწიფოს მიერ გარემოს შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების გზით.

... წიაღის გარკვეული პარამეტრების შესახებ ინფორმირებულობაზე საზოგადოების ინტერესს უპირისპირდება სადავო ნორმით გათვალისწინებული ინფორმაციის მესაკუთრის ეკონომიკური ინტერესები, სამეწარმეო თავისუფლების დაცვის და წიაღით სარგებლობის სფეროს განვითარების უზრუნველყოფის ინტერესები. ... სადავო ნორმით გათვალისწინებული ინფორმაციის გავრცელებით მნიშვნელოვანი ზარალი მიადგებათ აღნიშნული ინფორმაციის მესაკუთრეებს. შესაძლებელი გახდება სხვა პირების მიერ ამ ინფორმაციის ეკონომიკური გამოყენება და შეფერხდება, ზოგადად, წიაღისეულით სარგებლობის სფეროს განვითარება. განსახილველ შემთხვევაში დასახელებული ლეგიტიმური მიზნების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მათი დაცვის ინტერესი გადაწონის საზოგადოების ინტერესს, რომ მიიღოს ტექნიკური ინფორმაცია წიაღის გეოლოგიური პარამეტრების შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმით არ არის დადგენილი არაგონივრული და უსამართლო ბალანსი შეპირისპირებულ ინტერესებს შორის და დაცულია პროპორციულობა ვიწრო გაგებით⁴⁵¹.

451 იქვე, II, 31-32.

აღნიშნულის საპირისპიროდ, საქმე ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გადაწყდა კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული სიკეთის სასარგებლოდ. გასაჩივრებული იყო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები, რომლებიც აწესრიგებდა, ზოგადად, ნებისმიერ საჯარო დაწესებულებაში არსებულ საჯარო ინფორმაციაზე, მათ შორის, პერსონალური მონაცემების შემცველ საჯარო ინფორმაციაზე, ხელმისაწვდომობის საკითხს. თუმცა კონსტიტუციური სარჩელებით სადავოდ იყო გამხდარი სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის კონკრეტული სახის – საერთო სასამართლოების მიერ მიღებული აქტების (საბოლოო გადაწყვეტილებებისა და შუალედური აქტების) და მათში არსებული პერსონალური ინფორმაციის – ხელმისაწვდომობის კონსტიტუციურობა. ამავდროულად, მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ გასაჩივრებული ნორმების იმ ნორმატიულ შინაარსს, რომელიც ზღუდავდა ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობას.

საქართველოს პარლამენტმა სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად დაასახელა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, ასევე პერსონალური მონაცემების დაცვა.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმები ითვალისწინებდა ბლანკეტურ შეზღუდვას და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას კრძალავდა ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ამის საჭიროება არ არსებობდა, ანუ, როდესაც თავად პირს, მასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაუცემლობის ინტერესი არ ჰქონდა. კერძოდ, გადაწყვეტილების თანახმად: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სადავო ნორმები ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების მოპოვების შესაძლებლობას სუბიექტის თანხმობის არსებობის შემთხვევაში. თუმცა კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვის შესახებ სუბიექტის ინტერესის იდენტიფიცირების მოქნილი მექანიზმი. პირმა, რომელსაც არ აქვს მის შესახებ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ინტერესი ან სურვილი აქვს, რომ საზოგადოება გაეცნოს აღნიშნულ ინფორმაციას, უნდა გასცეს თანხმობა ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში. იმის გათვალისწინებით, რომ დასახელებული ინფორმაციის მოპოვებით დაინტერესებულ პირთა წრე განუსაზღვრელია, არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში, ფაქტობრივად, არსებობს შესაძლებლობა, რომ გაცნობიერებული გა-

დაწყვეტილების მიღების უნარის მქონე პერსონალური მონაცემების სუბიექტს არ ჰქონდეს მის შესახებ არსებული ინფორმაციის გამჟღავნების გან დაცვის ინტერესი, თუმცა ამის შესახებ არ იყოს ცნობილი ყველა დაინტერესებული პირისთვის. უფრო მეტიც, სასამართლოს გადაწყვეტილების ასლის მიღების მსურველი პირისთვის, როგორც წესი, არ არის ცნობილი სასამართლოს აქტში ასახული პერსონალური მონაცემის სუბიექტის ვინაობა. შესაბამისად, არსებული სისტემის ფარგლებში სასამართლოს გადაწყვეტილების სრული ტექსტის მოპოვება ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება, მათ შორის, იმ შემთხვევებში, როდესაც პერსონალური მონაცემების სუბიექტებს არ გააჩნიათ პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ინტერესი⁴⁵².

იმავედროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც პირს გააჩნია საკუთარი პერსონალური მონაცემების დაფარვის ინტერესი, ეს ავტომატურად არ უნდა ქმნიდეს მათი დაფარვის და საზოგადოების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის საფუძველს⁴⁵³. სწორედ ასეთ ვითარებაში დგება არსებულ ინტერესთა შორის სწორი და გონივრული, კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად საკითხის დაბალანსების აუცილებლობა⁴⁵⁴.

სასამართლომ განმარტა დაპირისპირებული ინტერესების მნიშვნელობა. სადავო ნორმები უკავშირდებოდა სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობას, მაშასადამე მართლმსაჯულების გამჭვირვალობის ინტერესს. „დემოკრატიულ სახელმწიფოში განუზომლად დიდია მართლმსაჯულების განხორციელებაზე და, განსაკუთრებით, სასამართლოს მიერ მიღებულ აქტებზე საზოგადოებრივი ზედამხედველობის მნიშვნელობა. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობას, განხორციელოს სასამართლო ხელისუფლების საზოგადოებრივი კონტროლი. ... სასამართლოს აქტებზე ხელმისაწვდომობის უფლების ჯეროვანი უზრუნველყოფა ასევე უკავშირდება მართლმსაჯულების სისტემის ანგარიშვალდებულებას, საზოგადოებრივ ზედამხედველობას და სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, დაინტერესებული პირე-

452 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება №1/4/693,857 საქმეზე ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 32-33.

453 იქვე, II, 37.

454 იქვე, II, 37.

ბისათვის ხელმისაწვდომი იყოს სასამართლოს აქტების სრული ტექსტი, მათ შორის, მათში არსებული პერსონალური მონაცემებიც. ... ცალკეულ შემთხვევაში პერსონალური მონაცემების გარეშე შეუძლებელია, სრულყოფილად შეფასდეს, რამდენად ობიექტურად და მიუკერძოებლად მიიღო სასამართლომ ესა თუ ის გადაწყვეტილება. სწორედ პერსონალური მონაცემების, საქმეში მონაწილე პირების ვინაობის დადგენის შედეგად აქვს საზოგადოებას შესაძლებლობა, რომ ჩამოიყალიბოს რწმენა მართლმსაჯულების მიუკერძოებლობისა და შერჩევითი მართლმსაჯულების არარსებობის შესახებ⁴⁵⁵.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ღია სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებში ასახული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ხარისხი, როგორც წესი, შედარებით დაბალია და ვერ გადაწონის სასამართლოს გადაწყვეტილების ღიაობის აღმატებულ კონსტიტუციურ ინტერესს. თუმცა არ გამორიცხა, რომ ღია სხდომაზე მიღებულ სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახული იყოს ინფორმაცია, რომლის ნებისმიერ დროს გასაჯაროება ნეგატიურ გავლენას მოახდენს პირადი ცხოვრების უფლებაზე⁴⁵⁶. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით: „სასამართლოს აქტში შესაძლებელია, ასახული იყოს პირის პირადი ცხოვრების შესახებ ისეთი ინფორმაცია, რომლის გავრცელებაც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს პირად ცხოვრებაზე და ზიანსაც კი მიაყენებს მას. მაგალითად, სასამართლოს აქტში, შესაძლოა, მითითებული იყოს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მისი ცხოვრების ამა თუ იმ ინტიმური დეტალის შესახებ და ა.შ. ამგვარ შემთხვევებში, ცხადია, იზრდება მსგავსი ინფორმაციის დაცვის ხარისხი და საჭიროება. ანალოგიურად, სასამართლოს აქტში შესაძლოა, მითითებული იყოს რაიმე ყოფითი ინფორმაცია, მაგალითად, პირის მიერ კონკრეტული სამუშაოს შესრულების, რაიმე სარგებლის მიღების ან გაცემის, კონკრეტულ დროს რომელიმე საჯარო ადგილას ყოფნის ან არყოფნის შესახებ და ა.შ. ცალკეული ყოფითი ფაქტის შესახებ არსებული ინფორმაციის გავრცელება, ჩვეულებრივ, არ ახდენს მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას პირად ცხოვრებაზე და, შესაბამისად, არ სარგებლობს მაღალი კონსტიტუციურსამართლებრივი დაცვის გარანტიით. თუმცა ამა თუ იმ შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლებელია, განსხვავებული იყოს კონკრეტული მონაცემის გავლენა პირადი ცხოვრების უფლებაზე და მისი კონსტიტუციურსამართლებრივი დაცვის ხარისხიც. პირის შესახებ არსებული ინფორმაციის გავ-

455 იქვე, II, 46-47.

456 იქვე, II, 56.

რცელების გავლენა პირადი ცხოვრების უფლებაზე შესაძლოა, ასევე განაპირობოს ინფორმაციის გავრცელების ფორმამ, მეთოდმა, ინტენსივობამ და სხვა ფაქტორებმა. ... ამრიგად, შეპირისპირებულ ინტერესებს შორის ბალანსი თითოეულ შემთხვევაში ინფორმაციის შინაარსსა და ინდივიდუალურ გარემოებებზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ამა თუ იმ გადაწყვეტილების ღიაობის საკითხიც თავად ამ გადაწყვეტილებაში ასახული ინფორმაციის ბუნებიდან და ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს⁴⁵⁷.

საბოლოოდ სასამართლომ დაადგინა: „... სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს ღია, თუ არ არის მისი ხელმისაწვდომობის შეზღუდვის დასაბუთებული საჭიროება. სადავო ნორმებით დადგენილი ბალანსი კი აღნიშნულის საპირისპიროა, რადგან სასამართლოს აქტებში მოცემული პერსონალური მონაცემები, როგორც წესი, დახურულია, თუ დაინტერესებული პირი არ დაასაბუთებს, რომ არსებობს აქტის ღიაობის მომეტებული ინტერესი“⁴⁵⁸. „... არაერთ შემთხვევაში, დაინტერესებული პირისათვის უშუალოდ პერსონალური მონაცემების გაცნობის გარეშე შეუძლებელია მომეტებული ინტერესის დასაბუთება. თითოეულ შემთხვევაში სასამართლოს აქტში მოცემული პერსონალური მონაცემების გაცემისას ინფორმაციის ღიაობის მომეტებული ინტერესის დასაბუთების მოთხოვნა, გამორიცხავს სასამართლოს გადაწყვეტილებების შემთხვევითი პრინციპით კონტროლს, მათში შესაძლო გადაცდომების, გარკვეული მიკერძოების ტენდენციებისა თუ შერჩევითი მართლმსაჯულების ეფექტიან საზოგადოებრივ ზედამხედველობას. შეზღუდვის ინტენსივობა კიდევ უფრო იზრდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც ვერ ხდება სასამართლოს აქტის დეპერსონალიზებული ფორმით გაცემის უზრუნველყოფა და დაინტერესებული პირებისათვის სრულად ხელმიუწვდომელია სასამართლოს აქტი, რაც არა მხოლოდ შემთხვევით კონტროლს გამორიცხავს, არამედ – უგულებელყოფს სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნას – საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სასამართლოს გადაწყვეტილებებში მოცემული დასაბუთება – მოქმედი კანონმდებლობის ავტორიტეტული განმარტება“⁴⁵⁹.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამორიცხა კანონმდებლის ლეგიტიმური შესაძლებლობა, პირის შესახებ არსებული ცალკეული კატი-

457 იქვე, II, 57-58.

458 იქვე, II, 64.

459 იქვე, II, 65.

გორიის ინფორმაციასთან დაკავშირებით დაადგინოს იმგვარი ბალანსი, რომლის ფარგლებშიც, როგორც წესი, არ გაიცემა სასამართლო აქტებში მოცემული პერსონალური მონაცემები უშუალოდ სუბიექტის ნების გარეშე. „ასეთი რეჟიმი შეიძლება დადგინდეს ინფორმაციის გავრცელების ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება ინფორმაციის შინაარსის, სუბიექტის, გასაჯაროების ფორმის, ვადის, მეთოდის თუ სხვა გარემოებების გათვალისწინებით, განსაკუთრებით ინტენსიურ გავლენას ახდენს პირად ცხოვრებაზე. მაგალითად, ასეთ კატეგორიაში შეიძლება მოექცეს მონაცემები არასრულწლოვანი პირების შესახებ, ინფორმაცია ინტიმურ სფეროებთან დაკავშირებით და ა.შ. ასეთ შემთხვევებში, ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის მომეტებულმა ინტერესმა, შესაძლოა, გადაწონოს საზოგადოების ინტერესი, რომ სასამართლოს აქტების გაცნობის გზით განახორციელოს მართლმსაჯულებაზე ზედამხედველობა. ამავდროულად, აუცილებელია, ასეთი კატეგორიის ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა მხედველობაში მიიღონ, ხომ არ არსებობს კონკრეტულ საქმეზე მომეტებული/გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც, თავის მხრივ, საქმის კატეგორიის, სამართალწარმოების მონაწილეებისა თუ სხვა გარემოებების გათვალისწინებით, გადაწონის მონაცემების კონფიდენციალობის დაცვის ინტერესს. მაგალითისთვის, თუ საქმე შეეხება სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობის პირს, შესაძლოა, არსებობდეს მის მიმართ მომეტებული/გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესი და გამოირიცხოს ინფორმაციის დახურვის საფუძველი“⁴⁶⁰.

შედეგად, სასამართლომ დაადგინა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა, რადგან კანონმდებელს ჰქონდა შესაძლებლობა, შეექმნა სასამართლოს გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობის უფლებისა და პირადი ცხოვრების დაცვის არსებულზე უკეთესად დაბალანსებული სისტემა⁴⁶¹.

3.5.1.3.2. ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების დაცვა კონსტიტუციის მე-12 მუხლის საფუძველზე

როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში საუბარია მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის/დოკუმენტების (მათ შორის, პერსონალური

460 იქვე, II, 66.

461 იქვე, II, 56-67.

ინფორმაციის) ხელმისაწვდომობაზე. „კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავს პირის უფლებას, ჰქონდეს ხელმისაწვდომობა გარკვეული კატეგორიის ინფორმაციაზე, რომელიც დაცულია სახელმწიფო დაწესებულებებში“⁴⁶². ისეთ შემთხვევაში, როდესაც ოფიციალური ინფორმაცია (დაკავშირებული პერსონალურ თვითგამორკვევასთან) ინახებოდა დაწესებულებაში, რომელიც არ წარმოადგენდა სახელმწიფო დაწესებულებას, საკონსტიტუციო სასამართლომ მასზე (ასეთ ინფორმაციაზე) ხელმისაწვდომობის საკითხი შეაფასა კონსტიტუციის მე-12 მუხლთან მიმართებით. კერძოდ, საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* გასაჩივრებული იყო ნორმა⁴⁶³, რომელიც ზღუდავდა მოსარჩელის უფლებას, წვდომა ჰქონოდა საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციაზე, რომელიც ინახებოდა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

სასამართლოს განმარტებით, სამკურნალო დაწესებულება, რომლის მიზანია ფსიქიატრიული დახმარების გაწევა, ვერ მიიჩნევა საჯარო ხელისუფლების განმახორციელებელ ორგანოდ, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ ფსიქიატრიული დაწესებულება სახელმწიფო საკუთრებაშია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველ პუნქტს (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია)⁴⁶⁴. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან ეს საკითხი შეაფასა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ფარგლებში.

სასამართლოს განმარტებით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ძირეულ კომპონენტებს წარმოადგენს „პირის შინაგანი სფეროსა და თავისუფალი განვითარებისათვის აუცილებელი მოქმედებების დამოუკიდებელი, გარე პირების ჩარევისგან თავისუფალი თვითგანკარგვა. საკუთარ პირად მონაცემებზე, მათ შორის, სამედიცინო ჩანაწერებზე წვდომის შესაძლებლობა ამ უფლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ... კონსტიტუციის მე-16 მუხლიდან გამომდინარე, პირს უფლება აქვს, დამო-

462 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 162.

463 „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის სიტყვა „ქმედუნაროა“ (ნორმის დავის განხილვის დროისთვის მოქმედი რედაქცია).

464 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 163.

უკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა ჯანმრთელობა და მკურნალობა. ამასთან, ჯანმრთელობისა და მკურნალობის შესახებ პირად მონაცემებზე წვდომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. მკურნალობაზე ინფორმირებული თანხმობის უფლება, ეფექტიანად ვერ განხორციელდება, თუ პირი არ ფლობს სრულფასოვან ინფორმაციას როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობის, ისე მის მიმართ გამოყენებული მკურნალობის ზომებისა და სამედიცინო ისტორიის შესახებ. ... შესაბამისად, აღნიშნული კატეგორიის პირები რეგულარულად და ჯეროვნად უნდა იქნენ ინფორმირებულნი მათ მკურნალობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების მიზეზების, ვადის, მკურნალობის შეწყვეტის და გაგრძელების შესახებ. ამავ დროს, საკუთარი ჯანმრთელობისა და მკურნალობის ისტორიის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სხვა კონსტიტუციური უფლებების რეალიზაციისათვის. მაგალითად, მკურნალობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მიღება წარმოადგენს, პაციენტის უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოსადმი მიმართვის უფლების რეალიზაციის აუცილებელ წინა პირობას. ... ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ პირად მონაცემებზე წვდომის უფლება, კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული როგორც პირადი სფეროს, ისე პიროვნულობის გარეგანი გამოვლინების თვითგანკარგვის უფლების ერთგვარი გამოხატულებაა⁴⁶⁵.

სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენდა „ქმედუნარო“⁴⁶⁶ პირის პერსონალური მონაცემების დაცვა. სასამართლოს განმარტებით: „... ინფორმაცია პირის ჯანმრთელობის შესახებ, წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს და სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ასეთი ინფორმაცია გაუმართლებელი ხელყოფისა და გავრცელებისაგან. იმ შემთხვევაში, როდესაც პირი მოკლებულია უნარს, გააცნობიეროს ინფორმაციის არსი და მისი გავრცელების შედეგები, მისთვის ასეთი ინფორმაციის გადაცემა შეიცავს საფრთხეს, რომ პირი თავისი გაუცნობიერებელი ქმედებებით თავისივე საზიანოდ გაავრცელებს საკუთარ პირად ინფორმაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობის მქონე პირისათვის გარკვეული კატეგორიის

465 იქვე, II, 164-167.

466 დავის განხილვის დროისთვის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ტერმინი.

ინფორმაციის, მათ შორის, მის შესახებ არსებული ინფორმაციის გადაცემის აკრძალვა, ემსახურება ამ პირის პერსონალური მონაცემების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს⁴⁶⁷.

თუმცა სასამართლომ დაადგინა უფლების დარღვევა, რადგან სადავო ნორმა არ ითვალისწინებდა „ქმედუნარო“ პირების ინდივიდუალური გონებრივი უნარების შეფასების შესაძლებლობას და ბლანკეტურად ზღუდავდა მათ უფლებას, მიიღონ ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ. სასამართლომ მიუთითა, რომ ქმედუნაროდ აღიარებული პირების შეზღუდული შესაძლებლობების მრავალფეროვანი ბუნებიდან გამომდინარე, სადავო ნორმით დადგენილი ბლანკეტური შეზღუდვა ვერ შეფასდებოდა როგორც მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებადმზღუდველი ღონისძიება⁴⁶⁸.

საკონსტიტუციო სასამართლომ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ფარგლებში ასევე შეაფასა იმ ნორმების კონსტიტუციურობა, რომლებიც შეეხებოდა სახელმწიფოს მიერ მოპოვებული პერსონალური მონაცემების შემდგომი შენახვის წესს და პირობებს. საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ* გასაჩივრებული იყო ნორმა⁴⁶⁹, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში, ელექტრონულ ფორმატში, ჩანაწერები ინახებოდა მუდმივად.

მოსარჩელე ფოთის საქალაქო სასამართლომ ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ექიმის რეცეპტის გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის. სახდელის დადებიდან 5 წლის შემდეგ მოსარჩელე, სათანადო ნარკოლოგიური გამოკვლევების შედეგად, მოხსნილი იქნა ნარკოლოგიური აღრიცხვიდან. მიუხედავად ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთიან საინფორმაციო ბანკში კვლავ რჩებოდა ინფორმაცია მოსარჩელისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

მოსარჩელის განმარტებით, სადავო ნორმა არაკონსტიტუციური იყო, რადგან ითვალისწინებდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

467 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 170.

468 იქვე, 172.

469 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი აღრიცხვის, საინფორმაციო ბანკის ფუნქციონირებისა და სააღრიცხვო-ანალიტიკური საქმიანობის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 1 მარტის №271 ბრძანების მე-15 მუხლის პირველი პუნქტი.

მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში პირისთვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელის შესახებ ინფორმაციის უვაოდ შენახვის შესაძლებლობას. იმავდროულად, შენახვის მუდმივობა სადავო ნორმის კონტექსტში გულისხმობდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმში განთავსებული პერსონალური მონაცემების შენახვას როგორც მონაცემთა სუბიექტის სიცოცხლის განმავლობაში, ისე მისი გარდაცვალების შემდგომ. მოსარჩელის მტკიცებით, სადავო ნორმა გამორიცხავდა პირის უფლებას, მიმართოს სახელმწიფოს მის შესახებ არსებული ინფორმაციის წაშლის მოთხოვნით, მონაცემების შენახვიდან გონივრული ვადის გასვლის შემდგომ. საქართველოს პარლამენტის განმარტებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაცია საწყის ეტაპზე ინახებოდა აქტიური სტატუსით 4 წლის განმავლობაში, რაც წარმოადგენდა განმეორებით ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე სამინისტროს უფლებამოსილი პირების მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი რეაგირების მოხდენისათვის აუცილებელ გონივრულ მინიმუმს, ხოლო ამ პერიოდის შემდგომ აღნიშნული მონაცემები არქივდებოდა მუდმივად, განუსაზღვრელი ვადით⁴⁷⁰.

მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ სადავო ნორმა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 და მე-20 მუხლებს (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიმეორა №1/5/625,640 საოქმო ჩანაწერით გათვალისწინებული მიდგომა, რომ სადავო ნორმა, რომელიც სახელმწიფოს მიერ უკვე მოპოვებული პერსონალური მონაცემების შენახვას არეგულირებს, არ ზღუდავს კონსტიტუციის მე-20 და 41-ე მუხლებით დაცულ უფლებებს⁴⁷¹. შედეგად, სასამართლომ დაადგინა, რომ „პირადი ცხოვრების კომპონენტი, რომელიც ზღუდავს სახელმწიფოს

470 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება №1/2/622 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოდუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ*, II, 20.

471 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/5/625,640 საოქმო ჩანაწერი საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.*

შესაძლებლობას, შეინახოს პირის შესახებ ინფორმაცია, ... დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით⁴⁷².

საქართველოს პარლამენტმა სადავო ნორმის ლეგიტიმურ მიზნებად დაასახელა მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფომ პირის შესახებ ინფორმაცია შეიძლება შეინახოს მხოლოდ იმ გონივრული ვადითა და მოცულობით, რაც აუცილებელია შესაბამისი საჯარო მიზნების მისაღწევად. მოცემულ შემთხვევაში, შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა, რომ ადმინისტრაციული სახდელის სათანადოდ აღსრულებისა და ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ სამართალდარღვევის პრევენციის ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად არ იყო აუცილებელი სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციის მუდმივად შენახვა. შედეგად, სახელმწიფო პირის შესახებ ინფორმაციას ინახავდა იმაზე ბევრად უფრო ხანგრძლივად (უვადოდ), ვიდრე ეს აუცილებელი იყო ლეგიტიმური მიზნების დასაცავად. სასამართლოს განმარტებით, სადავო ნორმა არ ახდენდა დაყოფას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს შორის სოციალური საფრთხის შესაბამისად და ითვალისწინებდა იდენტურ მოწესრიგებას ნებისმიერი სამართალდარღვევის მიმართ. ამასთანავე, სამართალდამრღვევის შესახებ ინფორმაცია ინახებოდა მუდმივად მაშინაც კი, როდესაც მის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი აქტუალობას და სამართლებრივ მნიშვნელობას კარგავდა ანდა, საკანონმდებლო ცვლილებებისა თუ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, კონკრეტული ქმედება სამართალდარღვევად აღარ ითვლებოდა. „აღნიშნული ფაქტი მიუთითებს ნორმის ზოგად ხასიათზე და ხაზს უსვამს შეზღუდვის არათანაზომიერებას. ... სადავო ნორმით გათვალისწინებული წესით სახელმწიფო უვადოდ, იმაზე მეტი ვადით ინახავს ნებისმიერი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაციას, ვიდრე ეს ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად არის აუცილებელი და არღვევს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას“⁴⁷³.

პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და შენახვის წესის ბლანკეტურობა არაერთ საქმეზე გახდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის დადგენის მიზეზი.

472 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება №1/2/622 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოლუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ, II, 15.

473 იქვე, II, 32-33.

სასამართლოს განმარტებით, ინდივიდის პირადი მონაცემების სისტემატურად შეგროვება და შენახვა ხელისუფლების ორგანოების მხრიდან წარმოადგენს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების შეზღუდვას, რაც ჯეროვან, სათანადო გამართლებას/დასაბუთებას მოითხოვს.

საქმეზე *S. and Marper v. the United Kingdom*⁴⁷⁴ მოსარჩელეთა განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ მათგან ერთის მიმართ გამოტანილ იქნა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო მეორის შემთხვევაში შეწყდა გამოძიება, მათი თითის ანაბეჭდები, უჯრედისა და დნმ-ის ნიმუშები მონაცემთა ბაზაში მაინც აღირიცხებოდა/ინახებოდა. ამ მონაცემების განადგურების მოთხოვნაზე მათ უარი მიიღეს.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, თითის ანაბეჭდები, უჯრედისა და დნმ-ის ნიმუშები იძლევა რა პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას, წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს და დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით. სასამართლომ დაადგინა, რომ ჩარევა მოსარჩელების პირად ცხოვრებაში არ შეიძლებოდა შეფასებულყო, როგორც „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. გაუმართლებლად მიიჩნია სამართალდამცავი ორგანოების ბაზაში ინფორმაციის შენახვა იმ პირების შესახებ, რომლებიც არ იყვნენ დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულნი/მსჯავრდებულნი. დამატებით მიუთითა, რომ პრობლემური იყო ბლანკეტური მიდგომა, კერძოდ, საინფორმაციო ბანკში თითის ანაბეჭდების, დნმ-ისა და უჯრედის ნიმუშების შენახვა ხდებოდა განურჩევლად ყველას მიმართ, მიუხედავად იმისა, თუ რა სიძიძის დანაშაული ჰქონდა ჩადენილი პირს. საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ არ იყო დაცული ბალანსი სახელმწიფო და კერძო ინტერესებს შორის.

საქმეზე *Peruzzo and Martens v. Germany*⁴⁷⁵ მოსარჩელები, რომლებიც იყვნენ ექვმიტანილები მძიმე დანაშაულის ჩადენაში, აცხადებდნენ, რომ მათ მიმართ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, ვინაიდან პოლიციის მიერ მოხდა მათი უჯრედის, დნმ-ის მასალის აღება და შენახვა მონაცემთა ბაზაში, რათა უზრუნველყოთ მომავალში შესაძლო დანაშაულის ჩადენისას პირის იდენტიფიცირება, რაც ხელს შეუწყობდა სისხლის სამართლის გამოძიებას.

მოცემულ შემთხვევაში ევროპული სასამართლოს განმარტებით: 1. დნმ-ის მასალის შენახვამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სისხლის სამართლის დანაშაულების გამოძიების საქმეში. 2. ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, დნმ-ის ნიმუშების აღება, დამუშავება და დაცვა

474 *S. and Marper v. the United Kingdom*, app. №30562/04; №30566/04, (ECtHR, 04.12.2008).

475 *Peruzzo and Martens v. Germany*, app. №7841/08; 57900/12, (ECtHR, 04.06.2013).

შეიძლებოდა მხოლოდ იმ პირების მიმართ, რომლებთან დაკავშირებითაც არსებობდა ვარაუდი მომავალში მაღალი ალბათობით დანაშაულის შესაძლო ჩადენის თაობაზე; ამ საქმეზე ეროვნულმა სასამართლოებმა საკუთარი გადაწყვეტილება დააფუძნეს სწორედ იმ გარემოებას, რომ ორივე მოსარჩელის შემთხვევაში არსებობდა, მათ მიერ მომავალში მსგავსი დანაშაულის ჩადენის მაღალი ალბათობა. 3. ეროვნული კანონმდებლობა შეიცავდა მონაცემების უკანონო გამოყენებისაგან შესაბამისი დაცვის გარანტიებს. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დნმ-ის მონაცემების მოპოვების, დამუშავების და შენახვის წესი აკმაყოფილებდა კონვენციის მოთხოვნებს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე დაადგინა, რომ პირის სამედიცინო ხასიათის პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვა უმნიშვნელოვანესი პრინციპია⁴⁷⁶. ისევე, როგორც ფუნდამენტური საკითხია, საკუთარ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მონაცემებზე ეფექტური ხელმისაწვდომობა დაუსაბუთებელი დაბრკოლებების გარეშე. საქმეზე *K.H. and Others v. Slovakia*⁴⁷⁷ განმცხადებლები (რვა ბოშა ქალი) ასაჩივრებდნენ, რომ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, სამედიცინო დაწესებულებიდან მიეღოთ საკუთარი სამედიცინო ჩანაწერების ასლები. მათ ორ სხვადასხვა კლინიკაში, გინეკოლოგიურ განყოფილებაში გაიარეს სამედიცინო მომსახურება, რის შემდეგაც ვეღარ ახერხებდნენ ბავშვის ჩასახვას. განმცხადებლებს გაუჩნდათ ეჭვი, რომ კლინიკაში მოხდა მათი სტერილიზაცია.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა. სასამართლოს განმარტებით, განმცხადებლები, რომლებსაც სურდათ მათი პირადი მონაცემების ამსახველი დოკუმენტების ასლების გადაღება, არ უნდა ყოფილიყვნენ ამ მოთხოვნის (დოკუმენტების ასლების გაკეთების საჭიროების) დასაბუთების აუცილებლობის პირისპირ. პირიქით, მსგავს შემთხვევებში სახელმწიფო არის ვალდებული, დაასაბუთოს და ახსნას ასეთი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტების ასლების გაკეთებაზე უარის მიზეზები. ამ შემთხვევაში კი მოსარჩელებს დასჭირდათ სასამართლო ბრძანებების მოპოვება საკუთარი სამედიცინო ჩანაწერების გასაცნობად (სხვაგვარად მათ არ მიეცათ შესაძლებლობა, გაეკეთებინათ სამედიცინო ჩანაწერების ფოტოები და ასლები). ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სამედიცინო მონაცემების უკანონოდ გამოყენების

476 *Z. v. Finland*, app. №22009/93, (ECtHR, 25.02.1997); *L.L. v. France*, app. №7509/02, (ECtHR, 10.10.2006); *Panteleyenko v. Ukraine*, app. №11901/02, (ECtHR, 29.06.2006).

477 *K.H. and Others v. Slovakia*, app. №32881/04, (ECtHR, 28.04.2009).

რისკის თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფოს შეეძლო უფრო დაბალანსებული საკანონმდებლო გარანტიების შექმნა, რაც მკაცრად განსაზღვრავდა, ვისთვის და რა შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი ამ მონაცემების გამჟღავნება.

3.5.2. პირადი ცხოვრების უფლება

პირადი ცხოვრების უფლების მნიშვნელოვანი უფლებრივი კომპონენტები საგანგებოდ არის დაცული საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით. ბუნებრივია, ეს უფლებრივი ასპექტები ასევე წარმოადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების შეუცვლელ წყაროს, შესაბამისად, ისინი სწორედ ამ პერსპექტივით, პიროვნების თავისუფალ განვითარებასთან მჭიდრო კავშირში, არის განმარტებული კონსტიტუციის მე-15 მუხლის კომენტირებისას. კონსტიტუციის მე-12 მუხლის ფარგლებში კი გავაანალიზებთ პირადი ცხოვრების უფლების ისეთ ფუნდამენტურ კომპონენტებს, როგორებიცაა: განმარტოების უფლება/უფლება დარჩე მარტო და პირადი ცხოვრების ძირითადი (ინტიმური) სფერო.

3.5.2.1. განმარტოების უფლება/უფლება დარჩე მარტო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება იცავს ადამიანის პიროვნულობის განმსაზღვრელ ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებას, როგორიცაა უფლება პრივატულ სფეროზე, პირად სივრცეზე, რაც მოიცავს ადამიანის თავისუფლების შემდეგ გამოხატულებებს: განმარტოების უფლებას (უფლებას, დარჩეს მარტო), უფლებას, თავად განსაზღვროს გარესამყაროსთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმა, დრო, ინტენსივობა, გააკეთოს არჩევანი ნებისმიერ საკითხზე, რომელიც ეხება პირადად მას, ნებისმიერი შინაარსისა და სახის ურთიერთობებს მისთვის სასურველ პირობებთან სხვებისაგან დამოუკიდებლად, მათი ინფორმირების გარეშე და მათგან თავისუფალ პირობებში. პირადი სივრცის პრივატულობა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ადამიანს გარანტირებულად უნდა ჰქონდეს მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილებისა და ნების შესაბამისად, საზოგადოებრივი კონტროლისგან თავისუფალ პირობებში, სივრცეში განავითაროს საკუთარი პიროვნება, ... იყოს ისეთი, როგორც არის, საზოგადოებრივი აზრისთვის ანგარიშის გაწევის მხედველობაში მიღების ვალდებულების გარეშე“⁴⁷⁸.

478 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640

საზოგადოებისგან განმარტოების, სოციალური თვალსაზრისით თვითშეზღუდვის უფლება ადამიანის ავტონომიურობის, საკუთარი ნების შესაბამისად ცხოვრების დაგეგმვისა და წარმართვის ფუნდამენტური ასპექტია. ადამიანებს დროდადრო სჭირდებათ საკუთარ თავთან მარტო დარჩენა საკუთარ მოსაზრებებში, გრძნობებში, ემოციებში, სამომავლო გეგმებში გასარკვევად, საკუთარი პიროვნების უკეთ შესაცნობად, მათთვის მნიშვნელოვან, აქტუალურ, საინტერესო თუ საჭირო საკითხებთან ან მოვლენებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად, ან, უბრალოდ, ყველასგან და ყველაფრისგან დასასვენებლად. ეს უფლება ძალზე იმანენტურია, ადამიანის მეს შეგრძნებისა თუ გააზრებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. ის ადამიანს აღჭურავს კომფორტით, იყოს თავისთავადი, სწორედ ისეთი, როგორიც რეალურად არის, როდესაც ის მინდობილია აზროვნებისა თუ შეგრძნებების ბუნებრივ პროცესს, ამასთან, საკუთარ თავს, გრძნობებს თუ მოსაზრებებს გამოხატავს ყველაზე ნატურალური, მისთვის სასურველი ფორმით. საზოგადოებაში, საჯარო ან თუნდაც კერძო სივრცეში (როდესაც ადამიანი არ არის მარტო) ის ქვეცნობიერად უწევს ანგარიშს გარშემომყოფებს, მათ ინტერესებს, ცდილობს, გამოიყურებოდეს და მოქმედებდეს სიტუაციის, ვითარების, გარემოს ადეკვატურად, აკონტროლებს საკუთარ ლექსიკას, ჩვევებს, მანერებს, რაზე თვითკონტროლის საჭიროებაც არ აქვს განმარტოებისას. ბუნებრივია, ადამიანები საზოგადოებაში შეიძლება ხშირად ზუსტად ისევე მოიქცნენ, როგორც პრივატულ სივრცეში მოიქცეოდნენ, თუმცა, უფრო კანონზომიერი და მოსალოდნელია ადამიანების მეტი ნატურალურობა, ბუნებრიობა განმარტოებისას. „საჯარო სივრცეში თითოეული ადამიანი შესაძლოა შეზღუდული იყოს, სულ მცირე, სხვათა პატივისცემის, საზოგადოებრივი აზრისთვის ანგარიშის გაწევის ვალდებულებით, რამაც შესაძლოა დააკორექტიროს მისი ქმედება. უფლება პირად სივრცეზე კი ქმნის შესაძლებლობას, ადამიანმა საზოგადოების, ნებისმიერი მესამე პირის, სახელმწიფოს ჩართულობის, კონტროლის, შესაბამისად, მათთვის ანაგარიშის გაწევის საჭიროების გარეშე, საკუთარი არჩევანის მიხედვით, თა-

გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 10.

ვისუფლად შექმნას მისთვის სასურველი გარემო⁴⁷⁹.

პრივატულ სფეროში სახელმწიფოს ან ნებისმიერი მესამე პირის მხრიდან ამა თუ იმ ფორმით კონტროლის დასაშვებობა კლავს ადამიანის შესაძლებლობას, შეიქმნას მისთვის საჭირო ფიზიკური, მენტალური, ფსიქო-ემოციური სიმყუდროვე, თავისუფლება. შესაბამისად, კრიტიკულად აუცილებელია, პირველ რიგში, კანონმდებლობით შეიქმნას ადამიანის პრივატული სივრცის ხელშეუხებლობის დაცვის სათანადო, განჭვრეტადი, ეფექტური მექანიზმები, ხოლო, მეორე მხრივ, დამაჯერებელი იყოს ხელისუფლების ნება, კანონმდებლობის სკრუპულოზურად აღსრულების გზით დაიცვას ადამიანები მათ პირად სივრცეში ნებისმიერი მესამე პირის მხრიდან (სახელმწიფოს ჩათვლით) ჩარევისგან.

თუ ადამიანებს გაუჩნდებათ თუნდაც ეჭვი, რომ მათი პირადი სივრცე შეიძლება ამა თუ იმ ფორმით კონტროლდებოდეს, ეს თავისთავად გამოიწვევს მათი ქცევის რეგულირებას, დააკორექტირებს ურთიერთობებს, დააბრკოლებს მათი განვითარების შესაძლებლობას საკუთარი არჩევანის, სურვილების, მიზნების მიხედვით. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „დამოუკიდებლად იმისგან, ადამიანი ამ განცდის ტყვეობაში მოხვდება თუ არა და საბოლოოდ შეცვლის/ დააკორექტირებს თუ არა საკუთარ ქცევებს, ამაზე დაფიქრების მოტივაციის არსებობაც კი წარმოადგენს ადამიანის თავისუფლებაში მძიმე ჩარევას“⁴⁸⁰. „ადამიანების პირადი ცხოვრების, სივრცის გაუმართლებელი, არაპროპორციული კონტროლი თრგუნავს მათ თავისუფალ თვითგამორკვევას და ფუნდამენტური უფლებების სრულყოფილად, მათი ნების შესაბამისად გამოყენების ინიციატივას, შედეგად, აფერმკრთალებს ადამიანების თვითრეალიზაციის, განვითარების შანსს. ... ადამიანები, პირადი არჩევანის, გადაწყვეტილების მიხედვით ქმედებისას არ უნდა იდგნენ კომპრომისის საჭიროების წინაშე – საჯარო ინტერესის დაცვისთვის უპირატესობის მინიჭების გამო უარი თქვან მათი ნების შესაბამისად საკუთარი ცხოვრების, ყოველდღიურობის წარმართვაზე. ისევე, როგორც არ უნდა სჭირდებოდეთ ამ არასასურველი კომპრომისის დაძლევა პირადი სივრცის განსაჯაროების გარისკვით“⁴⁸¹. „ადამიანების თავისუფალი განვითარების პერსპექტივა ძალიან მყიფე ხდება პერსონალური ავტონომიურობის საეჭვოობის პირობებში. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რეალური, ფაქტობრივი ხელშეუხებლობა ადამიანის პირადი სივრცისა, არამედ ასეთი ხელშეუხებლობის

479 იქვე, II, 11.

480 იქვე, II, 110.

481 იქვე, II, 113, 114.

მყარი შეგრძნება, განცდა, აღქმადობა ადამიანის მხრიდან. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო ხელისუფლების ქმედებებიც და სამართალიც იმდენად დამაჯერებელი უნდა იყოს ადამიანებისთვის, რომ ისინი მუდმივი ეჭვით არ ცხოვრობდნენ, არის კი მათი პირადული სივრცე რეალურად დაცული, ხელშეუხებელი. ადამიანის პერსონალური ავტონომიურობისა და პირადი სივრცის, მისი ნების, გადაწყვეტილების გარეშე ნებისმიერი ფორმითა და ინტენსივობით განსაჯაროების, ნებისმიერი მესამე პირის მხრიდან ხელმისაწვდომობის საფრთხეზე დაფიქრებაც კი თრგუნავს ადამიანის თვითგამორკვევას, ინიციატივას, თვითრეალიზაციის პერსპექტივებს, რაც ერთნაირად აფერხებს როგორც ადამიანების პერსონალურ, ისე საზოგადოების ჯანსაღ და დამოკრავიულ განვითარებას⁴⁸².

3.5.2.2. პირადი ცხოვრების ძირითადი სფერო

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „პირადი ცხოვრების ძირითადი სფერო – ადამიანის ინტიმური, სექსუალური ურთიერთობები, ოჯახური ცხოვრება, მისი ჩვევები, მოძღვრისთვის აღსარებისას მინდობილი ინფორმაცია, სამედიცინო გამოკვლევების შედეგები, ადამიანის ემოციები და გრძნობები, მათი პრივატულ სფეროში გამოხატვის ფორმები უნდა იყოს განსაკუთრებულად დაცული სახელმწიფოსა და ნებისმიერი მესამე პირის ზედამხედველობისაგან⁴⁸³. „პიროვნების ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინტიმური ცხოვრების ხელშეუვალობას⁴⁸⁴.

პირადი ცხოვრების ინტიმურ სფეროსთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ადამიანს მხოლოდ თავად შეუძლია. ინტიმური სფერო განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს, რადგან ეხება ადამიანის უკიდურესად პრივატულ, მათ შორის, შესაძლოა საიდუმლო ასპექტებსაც (როგორც შეიძლება იყოს პირადი ნაკლი, სამედიცინო გამოკვლევის შედეგები, პირადი დღიური და სხვა, რომელთა საიდუმლოდ შენახვა ან კონკრეტული პირებისათვის განდობა ადამიანის პერსონალური გადაწყვეტილების საგანია). შესაბამისად, ამ სფეროს ხელშეუხებლობის სათანადო გარანტიების შექმნა, ნებისმიერი მესამე პირის მხრიდან (სახელმწიფოს ჩათვლით) ამა თუ იმ ფორმით ჩარევის (ფოტო, აუდიო ან

482 იქვე, II, 14.

483 იქვე, II, 12.

484 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.

ვიდეოგადაღება, განსაჯაროება) რისკების გამორიცხვა დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა.

ადამიანების სქესობრივი კავშირები მათი პირადი ცხოვრების, ინტიმური ურთიერთობების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. საქმეზე *Dudgeon v. the United Kingdom* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სქესობრივი ცხოვრება განმარტა, როგორც პირადი ცხოვრების „ყველაზე ინტიმური ასპექტი“⁴⁸⁵. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ის გულისხმობს ადამიანის თავისუფლებას, ნებისმიერი მესამე პირის კონტროლის, ჩარევის, ხელშეშლის გარეშე, მხოლოდ საკუთარი ნების შესაბამისად გააკეთოს თავისუფალი არჩევანი პარტნიორზე და წარმართოს საკუთარი სქესობრივი ცხოვრება საზოგადოების, სახელმწიფოსგან კონტროლის თავისუფალ პირობებში.

შესაბამისად, სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას ადამიანები მათი ინტიმური ცხოვრების სფეროში მესამე პირების ჩარევისგან, კონტროლისგან, უფლების დარღვევისგან. ამ კონტექსტში სათანადო საკანონმდებლო გარანტიების შექმნა და შემდგომში მათი ეფექტური აღსრულება ერთდროულად და თანაბრად მოითხოვება. იმავდროულად, სახელმწიფოს აქვს ნეგატიური ვალდებულება, თავად არ გამოიწვიოს უფლების დარღვევა. ამიტომ, პირად ცხოვრებაში ლეგიტიმური ჩარევის შემთხვევაშიც კი, მაგალითად, როგორცაა თვალთვალი კონკრეტული კანონიერი მიზნებისთვის, ეს ოპერატიული ღონისძიება არ უნდა განხორციელდეს ისეთ ვითარებაში, რომელშიც ადამიანის პირადი ცხოვრების ძირითადი სფეროს შელახვის საფრთხე არსებობს. თუ თვალთვალს ასეთი ინფორმაციის მოპოვება მოყვება, ის დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს და ჩანაწერები განადგურდეს/წაიშლოს. სისხლის სამართლის გამოძიების მიზნებისთვის ასეთი მასალის გამოყენება დაუშვებელია. თვალთვალის განხორციელებისას ასევე მნიშვნელოვანია ხანგრძლივობა და მასშტაბი – განსაკუთრებით ხანგრძლივი და მოცულობითი თვალთვალი მაღალი ალბათობით გამოიწვევს პირადი ცხოვრების ძირითადი ბირთვის დარღვევას.

ბუნებრივია, უფლებაში ჩარევად არ ითვლება შემთხვევები, როდესაც პირი იძლევა გაცნობიერებულ თანხმობას მისი ინტიმური სფეროს ამა თუ იმ ასპექტის, დეტალების ნებისმიერი ფორმით გასაჯაროებაზე ან თავად ასაჯაროებს მათ.

ასევე ცხადია, ადამიანის თავისუფლება, დამოუკიდებლად, სურვილისამებრ წარმართოს საკუთარი სქესობრივი ცხოვრება ყოველთვის პი-

485 *Dudgeon v. the United Kingdom*, app. №7525/76, (ECtHR, 22.10.1981), §52.

რობადებული იქნება სხვათა უფლებების დარღვევის თავიდან აცილების ვალდებულებით. ამიტომაცაა, რომ სისხლის სამართლის წესით დასჯადია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მმართველი ქმედებები⁴⁸⁶.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა საქმე *Stubing v. Germany*, რომელიც ეხებოდა პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას საკუთარ დასთან ინცესტური კავშირის გამო⁴⁸⁷.

პატრიკ შტუბინგი სამი წლის ასაკიდან იზრდებოდა სახელმწიფო მეურვეობის ქვეშ, შვიდი წლის ასაკში იგი გააშვილეს, რის შემდეგაც არ ჰქონია ურთიერთობა თავის ბიოლოგიურ ოჯახთან. 23 წლის ასაკში მოსარჩელემ აღადგინა ურთიერთობა ოჯახთან. ბიოლოგიური დედის გარდაცვალების შემდეგ მას ჰქონდა ხშირი ურთიერთობა ბიოლოგიურ დასთან. ერთი წლის შემდეგ მათ დაამყარეს ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი და დაიწყეს ერთად ცხოვრება. მათ გაუჩნდათ ოთხი შვილი.

მოსარჩელეს შეუფარდეს სისხლისსამართლებრივი სასჯელი ინცესტური კავშირისათვის, რაც აკრძალულია გერმანიის კანონმდებლობით. საკითხის განხილვა მოხდა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოშიც, რომელმაც დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა პირადი ცხოვრების უფლების დარღვევას, რადგან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბიოლოგიურ და-ძმას შორის სქესობრივი კავშირისათვის განპირობებულია ქორწინებისა და ოჯახის დაცვის ინტერესით, ამასთან, ასეთი აკრძალვა გამომდინარეობს სქესობრივი თვითგამორკვევის დაცვის საჭიროებიდან და ამ ურთიერთობის შედეგად დაბადებული ბავშვებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გერმანიის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიზანი, რომელმაც აკრძალა ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი ზრდასრულ დედმამიშვილებს შორის, იყო მორალისა და სხვათა უფლებების დაცვა. სასამართლომ გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ დედმამიშვილებს შორის ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის დაშვება/აკრძალვის საკითხზე ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ერთიანი პოზიციის არარსებობის მიუხედავად, სახელმწიფოთა უმრავლესობა ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლო-

486 გაუპატიურება (მუხ. 137), სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება (მუხ. 138); პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება (მუხ. 139); სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში (მუხ. 140).

487 *Stubing v. Germany*, app. №43547/08, (ECtHR, 24.09.2012).

ბას ასეთი კავშირისათვის. შედეგად, გერმანიას ჰქონდა ამ საკითხის გადაწყვეტისას შეფასების თავისუფალი/ფართო ფარგლები.

ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გამართლებული იყო ოჯახის, თვითგამორკვევისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის აუცილებლობით. მან მიუთითა, რომ დედმამიშვილებს შორის სქესობრივი კავშირი სერიოზულ ზიანს მიაყენებდა ოჯახურ სტრუქტურას, შედეგად კი მთლიანად საზოგადოებას. საბოლოო ჯამში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დედმამიშვილებს შორის სქესობრივი კავშირისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსებობა არ არღვევს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას.

3.5.3. თვითგამოხატვის უფლება

ზოგადი პიროვნული უფლების მნიშვნელოვანი ასპექტია, ადამიანმა საკუთარი არჩევანის მიხედვით, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს, როგორ წარსდგეს საზოგადოების წინაშე (იგულისხმება როგორც გარეგნული ფორმა, ისე შინაარსობრივი ასპექტების, ხასიათის, პირადი თვისებების წარმორჩენა). ადამიანს აქვს უფლება, იზრუნოს, შეეცადოს, რომ საზოგადოებამ დაინახოს, აღიქვას და შეაფასოს ის მისთვის სასურველი შინაარსით თუ ვიზუალურად. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „თვითგამოხატვის უფლება“ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელოვანი უფლებრივი კომპონენტია⁴⁸⁸. „საქართველოს კონტიტუციის მე-16 მუხლით დაცულია პირის უფლება, აკონტროლოს საკუთარი თავის წარმორჩენა საზოგადოების თვალში და პიროვნული განვითარებისა და რეალიზაციისთვის აუცილებელი მოქმედებების განხორციელების თავისუფლება“⁴⁸⁹.

488 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯავია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.

489 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 3.

პირობითად, ეს უფლება შედგება შემდეგი ასპექტებისგან: უფლება სიტყვაზე; უფლება გამოსახულებაზე; უფლება თავის წარმოჩენაზე;

უფლება სიტყვაზე იცავს პირს, კერძო ურთიერთობებში/სივრცეში (არასაჯაროდ) მის მიერ გამოთქმული სიტყვა, მისი ნებართვის გარეშე/საწინააღმდეგოდ, მასთან შეუთანხმებლად არ იქნას ჩაწერილი (ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით) და გამოყენებული. უფლება სიტყვაზე ასევე გულისხმობს პირის დაცვას მისი სიტყვის დამახინჯების, გაყალბების, კონტექსტიდან ამოგდებათ/ არაადეკვატურად გავრცელებისგან.

სახელმწიფოს შემხვედრი ვალდებულებაა, დაიცვას ადამიანები უკანონო ჩაწერისგან ნებისმიერი მესამე პირის მხრიდან, სახელმწიფოს ჩათვლით. ეს უფლება, იმავდროულად, მნიშვნელოვანწილად გამყარებულია კომუნიკაციის თავისუფლების კონსტიტუციური გარანტიებით, რომლებიც მხოლოდ ლეგიტიმური მიზნების არსებობისას, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უფლებაში თანაბომიერ ჩარევას მიიჩნევს დასაშვებად.

უფლება გამოსახულებაზე გულისხმობს გარანტიას, ადამიანის ნებართვის/თანხმობის გარეშე საზოგადოების/ნებისმიერი მესამე პირისთვის ხელმისაწვდომი არ გახდეს ფოტოები ან ვიდეოჩანაწერები მისი გამოსახულებით. ბუნებრივია, ეს არ ვრცელდება საჯარო პირებზე, რომელთა გამოსახულებით ფოტოები ან ვიდეოჩანაწერები შეიძლება გაავრცელონ მედიასაშუალებებმა ან სხვა პირებმა. თუმცა აბსოლუტური დაცვით სარგებლობს ნებისმიერი პირი (მათ შორის, საჯარო პირები) მისი ინტიმური სფეროს ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალის გავრცელებისგან.

ცალკეულ შემთხვევაში გამოსახულებაზე უფლებაში ჩარევა შეიძლება გამართლებული იყოს ლეგიტიმური მიზნებით, მაგალითად, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ფოტოების გავრცელება სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოების მიერ ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

უფლება თავის წარმოჩენაზე გულისხმობს ადამიანის უფლებას, საზოგადოების წინაშე წარსდგეს, წარმოაჩინოს საკუთარი თავი მისთვის სასურველი, მისაღები და საჭირო რაკურსით, პირადი თვისებების საუკეთესოდ შეფუთვით, შექმნას საკუთარი ვიზუალური და შინაარსობრივი პორტრეტი. მნიშვნელოვანია, რომ პიროვნების არჩევანის უფლება, თუ როგორ წარსდგეს საზოგადოების წინაშე, ერთდროულად დაცულია პიროვნული თვითგამოხატვის უფლებით და ადამიანის მოქმედების/ქცევის თავისუფლებით.

ამ კონტექსტში ერთ-ერთ საინტერესო საკითხს წარმოადგენს ადამიანის ფიზიკური სიმიშვლის საჯაროობის – საზოგადოებაში ტანისამოსის

გარეშე გამოჩენის, როგორც პიროვნული თვითგამოხატვის ფორმის, დაცვის ფარგლები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, პირის არჩევანი, თუ როგორ სურს, გამოჩნდეს საზოგადოებაში, საჯარო თუ კერძო ადგილებში, წარმოადგენს მისი პიროვნების გამოვლინებას და, ამდენად, ხვდება კერძო ცხოვრების ცნებაში⁴⁹⁰. ინდივიდის პერსონალური ავტონომია არის პირადი ცხოვრების უფლების ამოსავალი პრინციპი⁴⁹¹ და კონკრეტული ქცევის/ქმედების აკრძალვა (თუნდაც სისხლის სამართლის კოდექსით), თავისთავად არ ნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი არ შეიძლება მოხვდეს პირადი ცხოვრების მოქმედების სფეროში⁴⁹². თუმცა, იმავდროულად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ყველაფერი, რაც პერსონალური ურთიერთობების განვითარებას ემსახურება, მე-8 მუხლით დაცული ვერ იქნება⁴⁹³. „აუცილებელია, საზოგადოების წინაშე გამოჩენამ და შერჩეულმა ფორმამ დააკმაყოფილოს სერიოზულობის მინიმალური დონე“⁴⁹⁴. სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან არცერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში ქუჩაში და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შიშველი სიარული არ არის მიღებული, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები ამ საკითხის შეფასებისას სარგებლობდნენ შეფასების ფართე ფარგლებით⁴⁹⁵.

საქმეზე *Gough v. the United Kingdom* მოსარჩელე სისტემატურად ჩნდებოდა შიშველი ქუჩაში, საჯარო ღონისძიებებზე/ადგილებში. ამ მიზეზით, ის რამდენჯერმე იქნა დაკავებული და მსჯავრდებული საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის წესების დარღვევის გამო.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით: „პირადი ცხოვრების ცნება ფართოა და არ ექვემდებარება ამომწურავ განმარტებას. ზოგადად, ის უზრუნველყოფს ინდივიდს იმ სფეროში, სადაც მას შეუძლია, თავისუფლად მოახდინოს თავისი პიროვნების განვითარება და რეალიზაცია ... „პირადი ცხოვრების“ ცნება აგრეთვე იცავს პირის იდენტობას და უფლებას, დაამყაროს და განავითაროს კავშირი სხვა ადა-

490 *S.A.S. v. France*, app. №43835/11, (ECtHR, 01.07.2014).

491 *Pretty v. the United Kingdom*, app. №2346/02, (ECtHR, 29.04.2002), §61.

492 *A.D.T. v. the United Kingdom*, app. №35765/97, (ECtHR, 31.07.2000), §23; *Pay v. the United Kingdom*, app. №32792/05, (ECtHR, 16.09.2008).

493 *Gough v. the United Kingdom*, app. №49327/11, (ECtHR, 28.10.2014).

494 *Eweida and Others v. the United Kingdom*, app. №48420/10; №59842/10; №51671/10; №36516/10, (ECtHR, 15.01.2013).

495 *Eweida and Others v. the United Kingdom*, (ECtHR, 15.01.2013).

მიანებთან და გარესამყაროსთან. ამდენად, არსებობს სხვა ადამიანებთან ინტერაქციის ზონა, საჯაროდაც კი, რომელიც ექცევა პირადი ცხოვრების მოქმედების სფეროში⁴⁹⁶.

თუმცა სასამართლომ ასევე გაიმეორა, რომ „... ყველა საქმიანობა, რაც პირს სურს, რომ განახორციელოს სხვა ადამიანებთან ერთად, რათა დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობები, არ იქნება დაცული მე-8 მუხლით ... რაც შეეხება კონკრეტულად ინდივიდის არჩევანს, თუ როგორ სურს, რომ გამოჩნდეს საზოგადოებაში ... მე-8 მუხლი არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს იცავს განურჩევლად ყველა, ნებისმიერ პიროვნულ არჩევანს ამ სფეროში: სავარაუდოდ, სასურველი წარმოჩენის არჩევანს უნდა ახასიათებდეს სერიოზულობის მინიმალური დონე. ... განმცხადებლის არჩევანს – სრულად შიშველი გამოჩენილიყო ყოველ ჯერზე, განურჩევლად, ყველა საჯარო ადგილზე, ჰქონდა თუ არა სერიოზულობის საჭირო ხარისხი, ძალიან საეჭვოა, იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს არც ერთ ცნობილ დემოკრატიულ საზოგადოებაში ამგვარ არჩევანს არ ჰქონია მხარდაჭერა“⁴⁹⁷.

496 *Gough v. the United Kingdom*, app. №49327/11, (ECtHR, 28.10.2014), §182.

497 *Gough v. the United Kingdom*, app. №49327/11, (ECtHR, 28.10.2014), §§183-184.

4. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები

საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 15. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები

„1. ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.

2. ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა“.

პირადი ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების მარეგლამენტირებელი დებულებები საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მიხედვით

მუხლი 20.

„1. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას.

2. არავის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა“.

4.1. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ზოგადი არსი და მნიშვნელობა

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას აბსოლუტურად შეუცვლელი როლი აქვს თითოეული ადამიანის თავისუფალი განვითარებისთვის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „პირადი ცხოვრების კონსტიტუციური უფლება თავისუფლების კონცეფციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს“⁴⁹⁸. ის არის „თითოეული ინდივიდის დამოუკიდებელი განვითარების საფუძველი“⁴⁹⁹. „ეს უფლება სასიცოცხლოდ აუცილებელია ადამიანის თავისუფლების, თვითმყოფადობისა და თვითრეალიზაციისათვის, მისი სრულყოფილად გამოყენების ხელშეწყობა და დაცვა არსებითად განმსაზღვრელია დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისათვის“⁵⁰⁰.

უფლების მასშტაბურობის, მრავალკომპონენტიანობის მიუხედავად, ძირითადი არსი, რომელიც კვებავს მის ყველა უფლებრივ ასპექტს და განაპირობებს მის მნიშვნელობას თითოეული ადამიანისთვის, მდგომარეობს ინდივიდის შესაძლებლობაში, „პირადად, საკუთარი შეხედულებისამებრ, დამოუკიდებლად შექმნას და განავითაროს თავისი კერძო ცხოვრება, ... იყოს დაცული და უზრუნველყოფილი მის კერძო სფეროში სახელმწიფოს, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პირების ჩარევისგან“⁵⁰¹. ამასთან, „მისი შეხედულებით ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, განსაზღვროს საკუთარი ადგილი, დამოკიდებულება და კავშირი გარე სამყაროსთან“⁵⁰². მაშასადამე, „პირადი ცხოვრების ხელშე-

498 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება №1/2/458 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ, II, 4.

499 იქვე, II, 4.

500 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/2/519 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2.

501 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4.

502 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება №1/2/458 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ, II, 4.

უხეებლობა ... იცავს ადამიანის არჩევანს, იარსებოს გარე სამყაროსგან დამოუკიდებლად, იყოს მარტო, ასევე თავისუფლად გადაწყვიტოს, რა პირობებში და მოცულობით ექნება ურთიერთობა საზოგადოების სხვა წევრებთან⁵⁰³. „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფალ განვითარებას, რადგან საშუალებას აძლევს მას, კერძო სფეროში საზოგადოების ჩარევისა და ყურადღებისაგან თავისუფალ პირობებში მოახდინოს ინფორმაციის, მოსაზრებებისა და შთაბეჭდილებების გაცვლა-გაზიარება⁵⁰⁴. „... პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ძირითადი მიზანია, დაიცვას ინდივიდი სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული თვითნებური ჩარევისაგან⁵⁰⁵.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოება მოითხოვს ადამიანის პირადი ავტონომიის პატივისცემას, მასში სახელმწიფოსა და კერძო პირების ჩარევის მინიმუმამდე შემცირებას. ეს საზოგადოების არსებობის თანმდევი, ბუნებრივი მოთხოვნილებაა, რომლის დაცვის ლეგიტიმური მოლოდინი ყველას გააჩნია⁵⁰⁶.

4.2. უფლების ფარგლები

ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების კონცეფცია ძალიან ფართოა. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირადი ცხოვრების მრავალმხრივი შინაარსიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ამომწურავი განმარტება⁵⁰⁷. ასეთივეა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა. „არც ადამიანის უფლებათა ევროპუ-

503 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/484 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2.

504 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4.

505 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/484 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 15.

506 იქვე, II, 15.

507 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4.

ლი კონვენციის მე-8 მუხლის ტექსტი და არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ამომწურავად არ განსაზღვრავს პირად ცხოვრებას⁵⁰⁸. ევროპული სასამართლოს განმარტებით, შეუძლებელია განისაზღვროს ყველა ის ურთიერთობა, რომელიც ექცევა პირადი ცხოვრების სფეროში⁵⁰⁹, ის „არ ექვემდებარება ამომწურავ განსაზღვრებას“⁵¹⁰. „სასამართლო არ თვლის შესაძლებლად ან აუცილებლად, ამომწურავად განსაზღვროს „პირადი ცხოვრების“ კონცეფცია. თუმცა ძალზე შეზღუდული იქნებოდა მისი შემოფარგვლა „შიდა წრით“, რომელშიც ინდივიდი შეიძლება მის მიერ არჩეული პირადი ცხოვრებით ცხოვრობდეს და მისგან გამორიცხავდეს გარე სამყაროს, რომელიც არ შედის ამ წრეში. პირადი ცხოვრების პატივისცემა ასევე უნდა მოიცავდეს, გარკვეულ ფარგლებში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების უფლებას“⁵¹¹.

4.2.1. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების რეგლამენტირება საქართველოს კონსტიტუციით

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონით შეიცვალა პირადი ცხოვრების მარეგულირებელი დებულებები. ამ თვალსაზრისით, წინამდებარე თავში ყურადღებას გავამახვილებთ მხოლოდ პირადი ცხოვრების უფლებრივი ასპექტების კონსტიტუციურ გადანაწილებაზე, ხოლო უშუალოდ შინაარსობრივი ცვლილებები გაანალიზებული იქნება თითოეული უფლებრივი კომპონენტის განმარტებისას წიგნის შესაბამის თავებში.

უფლების რეგლამენტირება საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით

მიუხედავად იმისა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების კონსტიტუციური გარანტია ასახული იყო საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლში და, ამ თვალსაზრისით, ის თითქოს წარმოადგენდა მთავარ ნორმას (რადგან სწორედ აქ იყო პირადი ცხოვრების

508 D. Harris, M. O’Boyle, C. Warbrick, *Law of the European Convention on Human Rights*, 2014, 524.

509 *Pretty v. the United Kingdom*, app. №2346/02, (ECtHR, 29.04.2002), §61.

510 *Costello-Roberts v. the United Kingdom*, app. №13134/87, (ECtHR, 25.03.1993), §36.

511 *Niemietz v. Germany*, app. №13710/88, (ECtHR, 16.12.1992), §29.

უფლება სახელდებული), მისი დიაპაზონის გაანალიზებისას დადგინდა, რომ უფლების არსის მხოლოდ კონსტიტუციის მე-20 მუხლით შემოფარგვლა მნიშვნელოვნად დააკნინებდა მისი კონსტიტუციური დაცვის შესაძლებლობებს და კანონზომიერად გამოიწვევდა უფლების დარღვევის რისკებს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას ფართო და მრავალმხრივი შინაარსი გააჩნია, იგი უამრავი უფლებრივი კომპონენტისაგან შედგება, რომლებიც კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლითაა დაცული“⁵¹². საქმეზე საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა: „შეცდომა იქნებოდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების მთელი შინაარსის საქართველოს კონსტიტუციის მხოლოდ მე-20 მუხლით შემოფარგვლა. პირად ცხოვრებას განკუთვნილი ცალკეული საკითხები დაცულია საქართველოს კონსტიტუციის არაერთი მუხლით, როგორებიცაა: მე-16, 36-ე, 41-ე და სხვა. ... ბუნებრივია, იმის უგულებელყოფა არ შეიძლება, რომ პირადი ცხოვრების ნებისმიერი კომპონენტის ხელყოფისას ირღვევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ზოგადად, თუმცა ეს გარემოება არ იძლევა იმის მტკიცების უფლებას, რომ ნებისმიერი ასეთი უფლებრივი კომპონენტის დარღვევით, აუცილებლად ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი. ამ დროს გასათვალისწინებელია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის რეგულირების კონსტიტუციაში მოცემული კონკრეტული კონსტრუქცია. ამის გათვალისწინების გარეშე მაღალია პირადი ცხოვრების ცალკეული უფლებრივი კომპონენტის შინაარსის, მათში დასაშვები ჩარევის ფარგლების არასწორი განმარტების საფრთხე“⁵¹³.

შედგად, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით დადგინდა:

ა) საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული იყო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შემდეგი კომპონენტები: პირადი საქმიანობის ადგილის ხელშეუხებლობა, პირადი ჩანაწერის ხელშეუხებლობის უფლება, მიმოწერის თავისუფლება, სატელეფონო და სხვა სახის

512 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/484 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 3.

513 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინება №1/7/454 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 1, 2.

ტექნიკური საშუალებებით საუბრის თავისუფლება, ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებების ხელშეუხებლობის უფლება, საცხოვრებელი ზინისა და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლება⁵¹⁴.

ბ) სასამართლომ ყურადღება გაამახვილა კონსტიტუციის მე-20 მუხლის შინაარსის განვრცობის პერსპექტივებზე ამავე მუხლით დაცული უფლებრივი კომპონენტების არსის გათვალისწინებით. „საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მიზანი უკავშირდება მასში ჩამოთვლილი სიკეთის ხელშეუხებლობის დაცვას. რაც შეეხება ზოგადად „პირადი ცხოვრების“ ხსენებას, იგი ემსახურება იმ ინტერესის ხაზგასმას, რის გამოც პირადი მიმოწერის, სახლის ან სამუშაო ადგილის ხელშეუხებლობა არის დაცული. თუ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ შეიქმნება ახალი ინსტიტუტები, რაც პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მატარებელი იქნება, ეს ზოგადი ფრაზა ჩამონათვალს გახსნის და იმ მოვლენების დაცვის საშუალებას მისცემს სასამართლოს, რაც ნორმაში პირდაპირ ჩამოთვლილი არ არის. ასე მაგალითად, მიუხედავად, თითქოსდა დეტალური ჩამონათვალისა, მე-20 მუხლი არ მოიცავს თავად ადამიანის ჩხრეკას, თუმცა, უდავოა, რომ სწორედ მე-20 მუხლი იცავს პიროვნების ხელშეუხებლობას, მხოლოდ ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით არის შესაძლებელი პიროვნების, მისი სხეულის, ტანსაცმლის ან/და პირადი ნივთების შემოწმება“⁵¹⁵.

გ) როგორც აღინიშნა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების არაერთი უფლებრივი კომპონენტის დაცვისთვის კონსტიტუციური გარანტიები საკონსტიტუციო სასამართლომ ამოიკითხა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლში და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება განმარტა, როგორც ერთგვარი საფუძველი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცულობისთვის. „... მე-16 მუხლი ... მოიცავს პირადი ცხოვრების, ადამიანის პირადი სივრცის ხელშეუხებლო-

514 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/625,640 საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 20.

515 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება №1/2/458 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ*, II, 17.

ბის ყველა ასპექტს. ის, ერთი მხრივ, წარმოადგენს საფუძველს და ზოგად ნორმას კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული სფეროსთვის, ხოლო, მეორე მხრივ, დამატებით გარანტიას პირადი ცხოვრების ყველა იმ კომპონენტისთვის, რომელიც სპეციალურად არ არის რეგულირებული კონკრეტული მუხლით. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციური დაცვის ფარგლების გააზრების კონტექსტში, საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი შეიძლება ჩაითვალოს მე-16 მუხლით დაცული სფეროსთვის სპეციალურ ნორმად იმ გაგებით, რომ ის არეგულირებს პიროვნების განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს⁵¹⁶.

დ) ქორწინებისა და ოჯახური ცხოვრების უფლებას იცავდა საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი.

ე) ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების დაცვის სპეციალური კონსტიტუციური საფუძვლები დამატებით შექმნილი იყო კონსტიტუციის 41-ე მუხლით.

უფლების რეგლამენტირება საქართველოს კონსტიტუციის მოქმედი რედაქციით

2017 წლის კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება კვლავაც არ მოექცა ერთი მუხლით დაცულ სფეროში. მისი უფლებრივი კომპონენტები, რიგი ცვლილებებით, გადანაწილებულია კონსტიტუციის მე-15, მე-12, 30-ე მუხლებსა და მე-18 მუხლის მე-2-3 პუნქტებზე.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მარეგლამენტირებელ ძირითად ნორმად უნდა ჩაითვალოს მე-15 მუხლი, რომელშიც ის არის კიდევ მოხსენიებული. თუმცა, როგორც აღინიშნა, არც ამ შემთხვევაში გულისხმობს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ყველა ასპექტის ამ მუხლით დაცვის შესაძლებლობას. ის ძირითადად შემოიფარგლება ამავე მუხლით რეგლამენტირებული უფლებრივი კომპონენტებით, როგორებიცაა: პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობა (მუხ. 15.1); უფლება პირად სივრცეზე, კომუნიკაციის ხელშეუხებლობის, საცხოვრებლისა და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლებები (მუხ. 15.2.).

516 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/625,640 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 21.

პირადი და ოჯახური ცხოვრების ერთად დეკლარირება მნიშვნელოვანია, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მე-20 მუხლის ფარგლებში (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია), პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო მასზე აპელირებით პირადი ცხოვრების უფლების ძირეული, მისი არსებითად განმაპირობებელი ასპექტების, მათ შორის, ოჯახური ცხოვრების, დაცვა. ოჯახური ცხოვრება უმეტესწილად კონსტიტუციის 36-ე მუხლთან ასოცირდებოდა, კონსტიტუციის მე-16 მუხლზე დაყრდნობით განვრცობის პერსპექტივით.

ასევე მნიშვნელოვანია კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით პირადი სივრცის ხელშეუხებლობის დეკლარირება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ის აქ მოხსენიებულია კომუნიკაციის ხელშეუხებლობისა და საცხოვრებლისა და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლებებთან კუმულაციაში, რაც უპირატესად სწორედ ამ უფლებრივი ასპექტების დაცვაზე მიუთითებს კონსტიტუციის აღნიშნული ნორმის ფარგლებში. მაგრამ, იმავდროულად, არ გამოირიცხება პირადი სივრცის უფრო ფართოდ (მისი სხვა ასპექტების) დაცვის შესაძლებლობაც, ვიდრე ეს თავსებადი იქნება კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის კონსტრუქციასთან, შეზღუდვის საფუძვლებთან და მიზანმიმართულებასთან. როგორც აღინიშნა, პირადი ცხოვრების, ზოგადად, და, მათ შორის, პირადი სივრცის ხელშეუხებლობის მნიშვნელოვანი ასპექტები საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განმარტებულ იქნა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების მარეგლამენტირებელი დებულების საფუძველზე. ვვიქრობ, სამომავლოდ მნიშვნელოვანი იქნება კონსტიტუციის მე-12 და მე-15 მუხლების თანაარსებობის სწორი, აკურატული ინტერპრეტაცია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების სრულყოფილი განმარტების პერსპექტივისთვის.

ასევე აღსანიშნავია, რომ ქორწინების უფლების მარეგულირებელ დებულებაში (30-ე მუხლი) განხორციელებული ცვლილებების შედეგად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს მისი განმარტების/გაანალიზების აუცილებლობა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან (მე-12 მუხლი) და ოჯახური ცხოვრების უფლებასთან (მე-15 მუხლი) მჭიდრო კავშირში.

4.3. ადამიანის პირადი სივრცის ხელშეუხებლობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „ადამიანის პირადი სივრცე და კომუნიკაცია ხელშეუხებელია. არავის აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი

პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა“.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „პირადი სივრცის პრივატულობა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ ადამიანს გარანტირებულად უნდა ჰქონდეს მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილებისა და ნების შესაბამისად, საზოგადოებრივი კონტროლისგან თავისუფალ პირობებში, სივრცეში განავითაროს საკუთარი პიროვნება, ურთიერთობები მხოლოდ მისთვის სასურველ პირებთან, მისთვის მისაღებ თემებსა თუ საკითხებზე, მისთვის სასურველი ფორმითა თუ მანერით, სტილით, იყოს ისეთი, როგორც არის, საზოგადოებრივი აზრისთვის ანგარიშის გაწევის მხედველობაში მიღების ვალდებულების გარეშე. ... უფლება პირად სივრცეზე ... ქმნის შესაძლებლობას, ადამიანმა საზოგადოების, ნებისმიერი მესამე პირის, სახელმწიფოს ჩართულობის, კონტროლის, შესაბამისად, მათთვის ანგარიშის გაწევის საჭიროების გარეშე, საკუთარი არჩევანის მიხედვით, თავისუფლად შექმნას მისთვის სასურველი გარემო“⁵¹⁷. „უფლება პირად სივრცეზე ყველაზე იმანენტურია, ფუნდამენტურია, ადამიანისთვის ბუნებრიობის, თავისთავადობის ყველაზე უფრო მკაფიოდ შეგრძნების კომფორტის შემქმნელია, გარანტიაა, იყოს როგორც არის, როგორც სურს ან შეუძლია რომ იყოს. ამიტომ ის ძალიან ძვირფასია საიმისოდ, რომ მისი ხელშეუხებლობა აღმასრულებელი ხელისუფლების მხოლოდ კეთილ ნებას მივანდოთ, დავტოვოთ სივრცე ან მცირედი შესაძლებლობა მაინც, ხელისუფლებამ საკუთარი მიხედულებით და მიზანშეწონილობით გადაწყვიტოს, დავტოვოს ჩვენს პირად სივრცეში მისი კონტროლის გარეშე, თუ

517 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/625,640 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 10, 11.

არა. ამიტომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების თავისთავადი შემადგენელია თითოეული ადამიანის უფლება, მოსთხოვოს ხელისუფლებას მისთვის გასაგები, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი, ეფექტური და საკმარისი გარანტიები საიმისოდ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლება ამ თვალსაზრისით საიმედოდ კონტროლდებოდეს⁵¹⁸.

საკონსტიტუციო სასამართლომ პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ, პრაქტიკულად, ყველა გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ამ უფლებით დაცულია პირების კერძო სფერო (პირადი სივრცე), რომელშიც იგულისხმება: ა) კონკრეტული ტერიტორია, ადგილი (მაგალითად, საცხოვრებელი სახლი, პირადი ავტომანქანა ან სხვა პირადი მფლობელობა), ბ) განსაზღვრულ პირთა წრე, ვისთანაც პირს სურს კომუნიკაცია, ვისაც ის ირჩევს კონკრეტული ურთიერთობისათვის, გ) საკითხები, რომელთა ანონიმურობა და ხელშეუხებლობა ან პირთა მხოლოდ კონკრეტულ წრეში განსაჯარობაც სურს პირს⁵¹⁹.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის მე-20 მუხლი (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) შემოიფარგლებოდა კომუნიკაციის თავისუფლების და საცხოვრებლისა და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლების რეგლამენტირებით. ანუ მისი დაცული სფერო თვისობრივად კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის მსგავსი იყო. იმავდროულად, ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, მასში დამოუკიდებლად მოხსენიებული არ იყო ტერმინი – „პირადი სივრცე“. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედ რედაქციაში ჩნდება საგანგებო ჩანაწერი „პირადი სივრცის“ ხელშეუხებლობის თაობაზე, თავისი არსით, ამ დებულებით კვლავ დაცულია პირადი სივრცის ხელშეუხებლობის ისეთი ასპექტები, როგორებიცაა: ა) კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება; ბ) საცხოვრებლისა და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლება. როგორც აღინიშნა, ეს უფლებრივი ასპექტები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ, თუმცა ვერ ამოწურავენ ადამიანის პირადი სივრცის ხელშეუხებლობის უფლების არსს. პირად სივრცესთან დაკავშირებული რიგი ასპექტები ასევე განმარტებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის ფარგლებში.

518 იქვე, II, 80.

519 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 3.

4.3.1. კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების ფუნდამენტური ასპექტია კომუნიკაციის თავისუფლება, რომელიც ძირითადად გულისხმობს სხვადასხვა შესაძლებლობებით ადამიანების კომუნიკაციის ანონიმურობის უფლებას ნებისმიერი მესამე პირისგან. ამ უფლების დაცულობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის პრივატული სფეროს, პირადი სივრცის ხელშეუხებლობისთვის.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონცეფცია არ შემოიფარგლება რა „ურთიერთობათა მხოლოდ შიდა წრით“ და მოიცავს სხვა ადამიანებთან, გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამყარების უფლებას (როგორც ეს ჯერ კიდევ 1992 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა საქმეზე *Niemietz v. Germany*⁵²⁰), ის იმავდროულად ქმნის გარანტიებს სხვადასხვა საშუალებით კომუნიკაციის ხელშეუხებლობისთვის. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „დაცულია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ურთიერთობა ტელეფონის, ... ინტერნეტის, ელექტრონული და ჩვეულებრივი ფოსტის და ნებისმიერი სხვა ტექნიკური საშუალებით“⁵²¹. კონსტიტუციის მიზანი არის, დაიცვას პირებს შორის, ნებისმიერი საშუალებით, საუბრისა და მიმოწერის შესაძლებლობა⁵²².

მაშასადამე, დაცული სფეროს არსი არის ტექნიკური საშუალებებით, ვერბალურად თუ სხვა გზით (მიმოწერით) კომუნიკაციის ხელშეუხებლობა, ამასთან, როგორც გაცვლილი ინფორმაციის შინაარსის, ისე კომუნიკაციის სუბიექტთა ანონიმურობა ნებისმიერი მესამე პირისგან, სახელმწიფოს ჩათვლით. „ეს უფლება არის გარანტია ადამიანებისთვის, თავად განსაზღვრონ დამოუკიდებლად, მათი სურვილისა და არჩევანის მიხედვით, კომუნიკაციის შინაარსი და პირთა წრე (პარტნიორები), ვისთანაც სურთ ურთიერთობა, მოსაზრებების გაცვლა კონკრეტულ საკითხებზე, თემებზე“⁵²³. „...ადამიანებს აქვთ უფლება, მათთვის სასურველი ან სა-

520 *Niemietz v. Germany*, app. №13710/88, (ECtHR, 16.12.1992).

521 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 3.

522 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/2/519 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 5.

523 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/625,640 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქა-

ჭირო ინფორმაცია მიაწოდონ მხოლოდ კონკრეტულ პირს (პირებს), ანუ აქვთ უფლება, აირჩიონ თემები, ინტერესები და პირთა წრე, ვისთანაც ამ თემებზე კომუნიკაცია სურთ⁴⁵²⁴. „იმავედროულად, ეს უფლება უზრუნველყოფს ადამიანების თვითგამოხატვას მათთვის სასურველ და მისაღებ სოციუმში, რაც უპირობოდ დაცული უნდა იყოს ამ პროცესში ჩარევის, კონტროლის შიშით განპირობებული თვითშეზღუდვისგან, თავშეკავებისაგან, ვინაიდან თავისუფალი თვითგამოხატვა შესაძლებელია სწორედ მხოლოდ აბსოლუტური თავისუფლებით, ნებელობით, პერსონალური გადაწყვეტილების მიხედვით, სასურველი დოზითა და ფორმით ინდივიდუალიზმის დემონსტრირებით. ამ თვალსაზრისით, ეს უფლება ემსახურება და უზრუნველყოფს ინფორმაციული თვითგამორკვევისა და აზრის, გამოხატვის თავისუფლებებს ან დაკავშირებულია მათთან. ... გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს არა მხოლოდ კონკრეტული შინაარსის მოსაზრებების, ინფორმაციის ამა თუ იმ ფორმით გამოხატვას და ამ გზით თვითრეალიზაციას, არამედ, მათ შორის, კონკრეტულ პირებთან, კონკრეტულ სოციუმში ამ მოსაზრებების გაცვლასაც⁴⁵²⁵.

კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს პიროვნების თავისუფალ განვითარებას, მათ შორის, ხელს უწყობს პირადი ცხოვრების არაერთი ასპექტით სრულყოფილად სარგებლობას, იმავედროულად, გავლენას ახდენს მთლიანად საზოგადოების ჯანსაღ განვითარებაზე: „...პირად სივრცეს (სფეროს) ადამიანი თავად ქმნის და აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მის მიერ შერჩეულ, სასურველ

ლაქები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 23.

524 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/2/519 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 6.

525 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/625,640 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 23, 24.

ან მისთვის საჭირო საკითხებზე კომუნიკაცია მიუწვდომელი, ანონიმური, ხელშეუხებელი დარჩება ყველა იმ პირისათვის, რომელიც მან საკუთარი პირადი სივრცის მიღმა დატოვა⁵²⁶. „ადამიანის უფლება, იარსებოს საზოგადოებისგან დამოუკიდებლად, ჰქონდეს ურთიერთობა პირთა იმ წრესთან, რომელსაც ის აირჩევს, წარმოადგენს პიროვნების არსებობისათვის აუცილებელ ფაქტორს“⁵²⁷. „... თუ არ იქნება ინფორმაციის დაცულობის და პირთა ანონიმურობის დაცვის შესაბამისი გარანტია, ეს კითხვის ქვეშ დააყენებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ამასთან, დააბრკოლებს, გაართულებს ამ გზით კომუნიკაციას ნებისმიერ სფეროში. რაც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუშლის დემოკრატიული პროცესების განვითარებას“⁵²⁸. „დემოკრატიული საზოგადოების არსებობა და განვითარება წარმოუდგენელია, შეუძლებელია ინფორმაციის თავისუფლების, აზრთა გაცვლისა და ადამიანების ნებისმიერ სფეროში თავისუფალი კომუნიკაციის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე“⁵²⁹.

კომუნიკაციის თავისუფლების უზრუნველყოფის ფარგლებში სახელმწიფოს ეკრძალება, გაეცნოს სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით წარმოებული საუბრებისა და შეტყობინებების შინაარსს, დააწესოს კონტროლი, ვისთან და რა ინტენსივობით შედგა ასეთი ურთიერთობები⁵³⁰. ამ ვალდებულებების კონტექსტში, საკონსტიტუციო

526 იქვე, II, 3.

527 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/484 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 5.

528 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/2/519 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 6.

529 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/625,640 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 24.

530 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 6.

სასამართლომ, უფლების მნიშვნელობისა და დაცული სფეროს სენსიტიურობიდან გამომდინარე, შემდეგი ზოგადი მოთხოვნით შეზღუდა კანონმდებელი: „დასახელებული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობისთვის და ამ გზით ადამიანების განვითარებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია საკმარისი და ეფექტური გარანტიების არსებობა, რამაც უნდა უზრუნველყოს ძალიან მყარი შეგრძნება ანონიმურობისა, ადამიანების ნებისა და გადაწყვეტილების გარეშე, მათი კომუნიკაციის აბსოლუტური ხელმიუწვდომლობისა ნებისმიერი მესამე პირისთვის, სახელმწიფოს ჩათვლით. ეს უფლებები ირღვევა მათი სრულად და ეფექტურად გამოუყენებლობის მიზეზით იმ პირობებში, თუ ადამიანებს აქვთ შიში ანონიმურობის სიმყიფისა, თუ ისინი ცხოვრობენ იმ შეგრძნებითა და განცდით, რომ მათი კომუნიკაციის შინაარსი ხელმისაწვდომია მესამე პირებისთვის. რადგან სასურველ პირებთან სასურველ თემებზე კომუნიკაცია იმ შეგრძნებით, რომ ეს სივრცე და კომუნიკაცია სულაც არ არის ანონიმური, მაღალი ალბათობით, თავისთავად ცვლის კომუნიკაციის, აზრის გამოხატვის ფორმასაც და შინაარსსაც, მათ შორის, აზრის გამოხატვაზე/კომუნიკაციაზე უარის თქმის ჩათვლით, რაც საფუძველშივე ეწინააღმდეგება და გამორიცხავს საკუთარი არჩევანის მიხედვით განვითარებას, ავიწროებს, აღარიბებს პირად სივრცეს“⁵³¹.

დაცული სფეროს განსაკუთრებულობა თავისთავად განაპირობებს უფლებაში ჩარევისას ზედმიწევნითი სიფრთხილის ვალდებულებით ხელისუფლების შეზღუდვის აუცილებლობას. „ადამიანების თავისუფალი განვითარების პერსპექტივა ძალიან მყიფე ხდება პერსონალური ავტონომიურობის საეჭვოობის პირობებში. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ რეალური, ფაქტობრივი ხელშეუხებლობა ადამიანის პირადი სივრცისა, არამედ ასეთი ხელშეუხებლობის მყარი შეგრძნება, განცდა, აღქმადობა ადამიანის მხრიდან. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო ხელისუფლების ქმედებებიც და სამართალიც იმდენად დამაჯერებელი უნდა იყოს ადამიანებისთვის, რომ ისინი მუდმივი ეჭვით არ ცხოვრობდნენ, არის კი მათი პირადული სივრცე რეალურად დაცული, ხელშეუხებელი. ადამიანის პერ-

531 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/625, 640 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯავია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 27.

სონალური ავტონომიურობისა და პირადი სივრცის, მისი ნების, გადაწყვეტილების გარეშე ნებისმიერი ფორმითა და ინტენსივობით განსაჯაროების, ნებისმიერი მესამე პირის მხრიდან ხელმისაწვდომობის საფრთხეზე დაფიქრებაც კი თრგუნავს ადამიანის თვითგამორკვევას, ინიციატივას, თვითრეალიზაციის პერსპექტივებს, რაც ერთნაირად აფერხებს როგორც ადამიანების პერსონალურ, ისე საზოგადოების ჯანსაღ და დამოკრავიულ განვითარებას⁵³².

4.3.1.1. კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის კონსტიტუციური გარანტიები

მიუხედავად უფლების უდიდესი მნიშვნელობისა, ის არ არის აბსოლუტური, შეუზღუდავი. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის კონსტიტუციურ ცვლილებებამდე საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით არ იყო დასახელებული კომუნიკაციის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნები. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო დადგა უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური ინტერესების კონსტიტუციური საყრდენების განალიზების საჭიროების წინაშე. მისი განმარტებით, კომუნიკაციის თავისუფლება „ერთ-ერთი თვალსაჩინოა იმ უფლებებს შორის, რომელთა შინაარსის განსაზღვრისას, ხელისუფლება დემოკრავიული და პოლიციური სახელმწიფოების ზღვარზე გადის. ზოგადად, ადამიანებზე ფარული დაკვირვება პოლიციური სახელმწიფოსთვისაა დამახასიათებელი. იმავდროულად, ქვეყნის კონსტიტუციური წყობის, სახელმწიფო და ეროვნული უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება ადამიანთა უფლებების ეფექტურ დაცვას, დემოკრავიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ვალდებულებაა. ზუსტად ამ საჯარო ინტერესების უზრუნველყოფას ემსახურება დასახელებული უფლების შეზღუდვა“⁵³³. საკონსტიტუციო სასამართლო უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძვლების განსაზღვრისას დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას. მისი განმარტებით: „ამ თვალსაზრისით, საჯარო ინტერესის ფარგლები დადგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლითაც, რომლის თანახმად, უფლებაში ჩარევა დასაშვებია, როდესაც ეს აუცილებელია:

532 იქვე, II, 14.

533 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/2/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 9.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად⁵³⁴. სასამართლომ აღნიშნა, რომ „ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს ვალდებულებაა, მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა აღიკვეთოს სერიოზული საფრთხეები, რომლებმაც შეიძლება დემოკრატიული ინსტიტუტების დესტაბილიზაცია გამოიწვიონ. ამიტომ, ამ საფრთხეებთან ბრძოლისთვის სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს, მათ შორის, იმის შესაძლებლობაც, რომ განახორციელოს ფარული კონტროლი, თვალთვალი პირებზე (პირთა ჯგუფზე), რომელთაგანაც ეს საფრთხეები მომდინარეობს. ასეთ დროს ზუსტად უფლებაში ჩარევის ფარული ხასიათი უზრუნველყოფს საჯარო ინტერესის დაცვის ეფექტურობას. ... ბუნებრივია, რომ კონსტიტუციით ვერ იქნება უზრუნველყოფილი იმ პირთა კონკრეტული უფლების ხელშეუხებლობა, რომლებიც ხელყოფენ ან საფრთხეს უქმნიან ქვეყნის კონსტიტუციურ წყობას, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობას, სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს“⁵³⁵.

2017 წლის კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, მკაფიოდ გაიწერა მოთხოვნები და გარანტიები (უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნების ჩათვლით), რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია უფლებაში ჩარევისას მისი დარღვევის გამოსარიცხად. კერძოდ, კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად:

- ა) შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად;
- ბ) შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი შემდეგი ლეგიტიმური მიზნების დასაცავად: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სხვათა უფლებების დაცვა;
- გ) შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას (უფლებაში ჩარევის ეს საფუძველი გათვალისწინებული იყო 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მე-20 მუხლითაც). გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

534 იქვე, II, 9.

535 იქვე, II, 9.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის კონსტიტუციურ ცვლილებებამდე ყველა ეს მოთხოვნა საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე დადგენილი ჰქონდა კონსტიტუციის მე-20 მუხლის რედაქციის ფარგლებშიც (რაც დეტალურად არის განხილული მომდევნო თავებში) და რუტინულად ერთგულებდა მათ ყველა რელიგანტურ საქმეზე. მაშასადამე, კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელებისგან დამოუკიდებლად, ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების კონსტიტუციური ვალდებულება ისედაც ჰქონდა როგორც კანონმდებელს, ისე შესაბამის სამართალშემფარდებლებს, რადგან მათ ასეთი კონსტიტუციური წონა შესძინა საკონსტიტუციო სასამართლომ.

4.3.1.2. ჯეროვანი გარანტიების მოთხოვნა ხელისუფლების მხრიდან თვითნებობის გამოსარიცხად – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები

როგორც აღინიშნა, კომუნიკაციის თავისუფლებაში ჩარევისას ხელისუფლების მხრიდან თვითნებობის გამოსარიცხად, საქართველოს კონსტიტუცია მოითხოვს სამი მთავარი პირობის კუმულაციურად დაკმაყოფილებას: 1) ჩარევა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით; 2) აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში; 3) უნდა მოხდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. პირველი მოთხოვნა უკავშირდება არა მხოლოდ ფორმალურ საკითხს, ჩარევის წესი რეგლამენტირებული იყოს კანონით, არამედ „კანონის ხარისხის“ დაკმაყოფილების აუცილებლობასაც; მეორე პირობა გულისხმობს კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების არსებობისას, მათ დასაცავად უფლებაში თანაზომიერ ჩარევას. მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებაში ჩარევის ლეგიტიმაცია კი ქმნის დამატებით გარანტიას, რომ პირველი ორი პირობა ზედმიწევნით იქნება დაცული, რათა გამოირიცხოს უფლების დარღვევის რისკები.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და შესაბამისად, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ჩარევა წარმოადგენს კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას, თუ მისი დასაბუთება ვერ მოხდება ამავე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული საფუძვლების ერთობლიობით, როგორცაა: ა) ჩარევა უნდა მოხდეს „კანონის შესაბამისად“; ბ) ემსახურებოდეს მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში მოხსენიებულ ერთ ან მეტ კანონიერ მიზანს, როგორცაა: ეროვნული უშიშროება, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესები, უწესრიგობის

ან დანაშაულის თავიდან აცილება, ჯანმრთელობის, მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; გ) უნდა იყოს „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

წინამდებარე თავში გავაანალიზებთ უფლებაში ჩარევის ყველა ზემოაღნიშნული გარანტიის მნიშვნელობას ცალ-ცალკე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური განმარტებების, დადგენილი სტანდარტების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა სრულ თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ შესაბამის სტანდარტებთან.

4.3.1.2.1. უფლებაში ჩარევა მხოლოდ კანონის შესაბამისად. „კანონის ხარისხის“ მოთხოვნა

4.3.1.2.1.1. კანონის განჭვრეტადობის აუცილებლობა

კომუნიკაციის თავისუფლებაში ჩარევის გასამართლებლად უმთავრესი კონსტიტუციური მოთხოვნაა, ჩარევა გათვალისწინებული იყოს კანონით. თუმცა, თავისთავად, კანონით საკითხის განსაზღვრა არ არის თვითკმარი. მნიშვნელოვანია, როგორია კანონი, რა მოთხოვნებს და კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ის.

პირველ რიგში, კანონი უნდა შეესაბამებოდეს „კანონის ხარისხის“ მოთხოვნებს. ნიშანდობლივია, რომ „კანონის ხარისხის“ დაკმაყოფილების სტანდარტი პირველად საკონსტიტუციო სასამართლომ სწორედ კომუნიკაციის თავისუფლებაში ჩარევის მარეგულირებელი კანონის კონსტიტუციურობის შემოწმებისას დაადგინა. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად: „კანონად“ შეიძლება ჩაითვალოს საკანონმდებლო საქმიანობის მხოლოდ ის პროდუქტი, რომელიც პასუხობს კანონის ხარისხის მოთხოვნებს. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს კანონის შესაბამისობას სამართლის უზენაესობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპებთან. ამ პრინციპების რეალური დაცვისთვის პრაქტიკული და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კანონის ხელმისაწვდომობასა და განჭვრეტადობას. ...კანონმდებელი ვალდებულია, მიიღოს ზუსტი, მკაფიო, არაორაზროვანი, განჭვრეტადი კანონმდებლობა (ნორმები), რომელიც პასუხობს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას. ეს გარემოება ერთ-ერთი გადამწყვეტი კრიტერიუმია ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას. კანონმდებლის ასეთი ვალდებულება კი სამართლებრივი სახელ-

მწიფოს პრინციპიდან მომდინარეობს⁵³⁶. „ნორმა უნდა იყოს ნათელი და განსაზღვრულობის მოთხოვნებთან შესაბამისი“⁵³⁷.

ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლომ კანონმდებლისთვის დაადგინა შემდეგი მოთხოვნები:

„კანონის ხარისხი მოითხოვს, რომ საკანონმდებლო რეგულაცია იყოს იმდენად მკაფიო, რომ პირმა, რომლის უფლებაში ჩარევაც ხდება, შეძლოს სამართლებრივი მდგომარეობის ადეკვატურად შეცნობა და საკუთარი ქმედების შესაბამისად წარმართვა“⁵³⁸. „ადამიანს უნდა შეეძლოს, ზუსტად გაარკვიოს, თუ რას მოითხოვს მისგან კანონმდებელი და მიუსადაგოს ამ მოთხოვნას თავისი ქცევა“⁵³⁹. „აუცილებელია ნორმის შინაარსობრივი სიზუსტე, არაორაზროვნება. ნორმა უნდა იყოს საკმარისად განსაზღვრული არა მხოლოდ შინაარსის, არამედ რეგულირების საგნის, მიზნისა და მასშტაბების მიხედვით, რათა ადრესატმა მოახდინოს კანონის სწორი აღქმა და თავისი ქცევის განხორციელება მის შესაბამისად, განჭვრიტოს ქცევის შედეგები“⁵⁴⁰. „განჭვრეტადი და არაორაზროვანი კანონმდებლობა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პირის დაცვას სამართალშემფარდებლის თვითნებობისგან, მეორე მხრივ კი, ადგენს გარანტიას, პირმა მიიღოს მკაფიო შეტყობინება სახელმწიფოსგან, რათა მოახერხოს ნორმის სწორი აღქმა“⁵⁴¹. მაშასადამე, პირველი ნაბიჯი ამ

536 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/2/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 11.

537 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/2-389 საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, II, 6.

538 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/2/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 11.

539 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/2-389 საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ, II, 6.

540 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/3/406,408 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 36.

541 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება №2/2/516,542 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისიაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 30.

გზაზე იყო კანონმდებლისადმი წაყენებული მოთხოვნა, რომ ნორმა იყოს საკმარისად მკაფიო, გასაგები, რათა მის ადრესატს დარჩეს ცხადი წარმოდგენა, რას მოითხოვს მისგან ნორმა და როგორ უნდა/შეიძლება მოიქცეს ის, რომ მისი ქმედება ჩაითვალოს კანონის შესაბამისად.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მკაცრად შებოჭა კანონმდებელი ვალდებულებით, უფლებაში ჩარევაზე უფლებამოსილი პირები (სახელმწიფო ორგანოები, თანამდებობის პირები) აღჭურვოს ისეთი საკანონმდებლო რეგულაციებით, რომლებიც შეიცავს მკაფიო, დეტალურ და გასაგებ წესებს უფლების შეზღუდვის შესაძლო/დასაშვებ ფარგლებთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებებში ვკითხულობთ: „კანონში დეტალურად, მკაფიოდ, საკმარისი დამაჯერებლობითა და სიცხადით უნდა იყოს მოცემული უფლებაში ჩარევის კონკრეტული მიზანი, ამოცანები, საფუძვლები. არაორაზროვანი, ნათელი და განჭვრეტადი უნდა იყოს უფლებაში ჩარევის წესი“⁵⁴². „კანონის სიზუსტე, განჭვრეტადობა და ხელმისაწვდომობა მოიცავს იმ აუცილებელ პირობასაც, რომ უფლების შეზღუდვაზე უფლებამოსილი პირების დასაშვები მოქმედების ფარგლები იყოს კონკრეტული, გასაგები, მკაფიო. კანონისადმი ასეთი მოთხოვნა აუცილებელია უფლებაში ჩარევაზე უფლებამოსილი პირის (ორგანოს) შეზღუდვისა და შემდგომი კონტროლის უზრუნველყოფისთვის, რადგან ამ თანამდებობის პირებს კონკრეტული საჯარო ინტერესის მიღწევა სამართლებრივი სახელმწიფოსგან აქვთ დაკისრებული. იმისათვის, რომ შეესაბამებოდეს სამართლის უზენაესობის პრინციპს, კანონი უნდა უზრუნველყოფდეს ხელისუფლების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან უფლების ეფექტური დაცვის შესაძლებლობას. ეს, პირველ რიგში, გულისხმობს, რომ თავად კანონით დეტალურად, სიცხადის საკმარისი ხარისხით განისაზღვროს საჯარო ხელისუფლების უფლებამოსილება ამ სფეროში. შესაბამისად, კანონი არ უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ დამოუკიდებლად დაადგინოს საკუთარ ქმედებათა დიაპაზონი. თუ უფლებაში ჩარევაზე უფლებამოსილი პირს ზუსტად და კონკრეტულად არ ეცოდინება თავისი შესაძლო მოქმედების ფარგლები, ერთი მხრივ, უნებლიედ გაიზრდება რისკი უფლებაში არასწორი, გადამეტებული ჩარევისა, ხოლო, მეორე მხრივ, ცდუნებაც უფლების შეგნებულად ბოროტად გამოყენებისა, რისი კანონზომიერი შედეგიც არის უფლების დარღვევა.

542 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/2/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 13.

სახელმწიფო ხელისუფლების კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში განხორციელების უზრუნველყოფისათვის ... ნორმა იმდენად ნათელი უნდა იყოს, რომ გამოირიცხოს მისი სურვილისამებრ ან სუბიექტურად განმარტების ალბათობა.

ზოგადად, მოთხოვნები კანონმდებლის მიმართ მით უფრო მკაცრია, რაც უფრო ინტენსიურია ჩარევა ადამიანის უფლებებში. კანონმდებელს აკისრია ვალდებულება, საჯარო ხელისუფლება უზრუნველყოს სახელმძღვანელო მიმართულებებით, რომლებიც განჭვრეტადს ხდიან მის მიერ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, აუცილებლობას თუ გარდაუვალობას, სისწორესა და მართლზომიერებას, იმავედროულად, მოქალაქეს უქმნიან წარმოდგენას, თუ რა ზომები იქნება მის მიმართ გატარებული.

კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნა არის სამოქმედო ინსტრუქცია კანონმდებლისთვის, ამავე დროს, ის წარმოადგენს შემზღუდავ გარემოებას აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებებისთვის. ამიტომ კანონმდებელი ვალდებულია, საჯარო ხელისუფლებას მაქსიმალურად ნათლად დაუდგინოს ფარგლები, რომლებშიც მან უნდა იმოქმედოს⁵⁴³.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი მოთხოვნები გაცილებით მკაცრია ფარული საგამოძიებო მოქმედებების მომწესრიგებელი კანონმდებლობის მიმართ, რომელიც პირად ცხოვრებაში ინტენსიური ჩარევის საფუძველს ქმნის, ვინაიდან ამ ნორმების შემოწმებისას გასათვალისწინებელია ასეთი ქმედებების ფარული ხასიათი, ბუნება, რაც ისედაც ობიექტურად ამცირებს მათზე კონტროლის განხორციელების გზებსაც და კონტროლის არსებული შესაძლებლობების ეფექტურობასაც. სასამართლოს განმარტებით: „... სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით წარმოებული შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლების შემზღუდველი ნორმებისადმი მოთხოვნები, ზოგადად, მათ ხელმისაწვდომობასა და განჭვრეტადობასთან დაკავშირებით, გაცილებით მკაცრია, ვიდრე ჩვეულებრივ გამოიყენება ამა თუ იმ ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას. ეს, ძირითადად, განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: ა) უფლებაში ჩარევის ბუნებით – კონკრეტული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება ტარდება ფარულად. ... შესაბამისად, კონკრეტულმა პირებმა არ იციან ... როდის ტარდება ეს ღონისძიება მათ

543 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/2/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 13.

მიმართ. ბ) პირი არ მონაწილეობს იმ სასამართლო პროცესში, სადაც უნდა გადაწყდეს მის მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების აუცილებლობის საკითხი. შესაბამისად, მან არაფერი იცის ასეთი ღონისძიების გამოყენების საფუძვლიანობისა და კანონიერების თაობაზე, მეტიც, მოკლებულია შესაძლებლობას, თავიდან აიცილოს უფლებაში სახელმწიფოს არამართლზომიერი, გადამეტებული ჩარევა. გ) გართულებულია ე.წ. „მესამე პირების“ ინტერესების ადეკვატური დაცვა. ესენი არიან პირები, უშუალოდ რომელთა მიმართაც და რომელთა მიზეზითაც არ ტარდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება. ისინი ფარული კონტროლის ობიექტები შეიძლება გახდნენ იმ პირებთან სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით დაკავშირებისას, რომელთა მიმართაც ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება. მესამე პირები სახელმწიფოს მხრიდან კონტროლს საერთოდ არ მოელოან და, შესაბამისად, არც თავის დაცვა შეუძლიათ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირადი ცხოვრების ამ სფეროს შეზღუდვისას დაცულობის ხარისხი ბევრად მაღალი უნდა იყოს⁵⁴⁴.

საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით გაამახვილა ყურადღება კანონმდებლის პასუხისმგებლობაზე, „შექმნას ისეთი სისტემა, როდესაც ობიექტურად შესაძლებელი იქნება საკმარისი, ეფექტური და გამჭვირვალე მექანიზმებით კონტროლი ხელისუფლების საქმიანობაზე. კანონი ვერ დააკმაყოფილებს „კანონის ხარისხის“ მოთხოვნებს, თუ ის ქმნის მის მიერვე დადგენილი წესების მიღმა ქმედების ცდუნებას. კანონი თავად არ უნდა ახდენდეს მისივე დარღვევის პროვოცირებას“⁵⁴⁵.

კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნასთან დაკავშირებით, პრაქტიკულად, იდენტურია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა, რომლის დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ფრაზა „კანონის შესაბამისი“ გულისხმობს, რომ გასაჩივრებული ღონისძიებები უნდა ეფუძნებოდეს ეროვნულ კანონმდებლობას და შესაბამისობაში იყოს კა-

544 იქვე, II, 13.

545 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება №11/1/625, 640 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 69.

ნონის უზენაესობის პრინციპთან⁵⁴⁶. კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, შეზღუდვა იყოს „კანონის შესაბამისი“, არ გულისხმობს მხოლოდ იმას, რომ უფლებაში განხორციელებულ ჩარევას ჰქონდეს საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში. არამედ ასევე მიუთითებს თავად „კანონის ხარისხზე“ და მოითხოვს, კანონი იყოს ხელმისაწვდომი შესაბამისი პირისათვის, რომელსაც უნდა შეეძლოს, განჭვრიტოს კანონის შედეგები მასთან მიმართებით. ამავე დროს, კანონი უნდა აკმაყოფილებდეს სიცხადის მოთხოვნას⁵⁴⁷. „კანონი უნდა იყოს ხარისხიანი (ითვალისწინებდეს ჯეროვან გარანტიებს და დაცვის მექანიზმებს) და შესაბამისობაში იყოს სამართლის უზენაესობის პრინციპთან“⁵⁴⁸. კანონი უნდა იყოს ნათელი და განჭვრეტადი: ის შესაძლებლობას უნდა აძლევდეს ინდივიდებს, იცოდნენ იმ პირობებისა და გარემოებების შესახებ, რომელთა არსებობის შემთხვევაში ხელისუფლების ორგანოებს გაუჩნდებათ უფლებამოსილება, განახორციელონ პირადი ცხოვრებისა და მიმოწერის პატივისცემის უფლებაში ფარული ჩარევა⁵⁴⁹.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე საქმეზე აღნიშნა, რომ „განჭვრეტადობაზე“ მითითება კომუნიკაციების მიყურადების კონტექსტში არ არის სხვა სფეროებში ამავე ტერმინისათვის მინიჭებული მნიშვნელობის იდენტური. სასამართლოს განმარტებით: „თვალთვალის საიდუმლო ღონისძიებების სპეციალურ კონტექსტში, როგორც არის კომუნიკაციის მიყურადება, განჭვრეტადობა, რა თქმა უნდა, არ უნდა გულისხმობდეს ინდივიდის შესაძლებლობას განჭვრიტოს, თუ როდის მოახდენენ სახელმწიფო ორგანოები მისი კომუნიკაციის მიყურადებას და ამის შედეგად მოერგოს მას. განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ღონისძიება ხორციელდება საიდუმლოდ, თვითნებობის საფრთხე კიდევ უფრო აშკარაა. შესაბამისად, აუცილებელია, არსებობდეს სატელეფონო საუბრების მიყურადების ნათელი და დეტალური წესები, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ამ მიზნით გამოყენებული ტექნოლოგიები სულ უფრო და უფრო იხვეწება. ეროვნული კანონმდებლობა

546 *Rotaru v. Romania*, app. №28341/95, (ECtHR, [GC], 04.05.2000), §52, *S. and Marper v. the United Kingdom*, app. №30562/04; 30566/04, (ECtHR, [GC], 04.12.2008), §95.

547 *Kruslin v. France*, app. №11801/85, (ECtHR, 24.04.1990), §27; *Huvig v. France*, app. №11105/84, (ECtHR, 24.04.1990), §26; *Kopp v. Switzerland*, app. №23224/94, (ECtHR, 25.03.1998), §55; *Amann v. Switzerland*, app. №27798/95, (ECtHR, 16.02.2000), §50.

548 *Malone v. the United Kingdom*, app. №8691/79, (ECtHR, 02.08.1984).

549 *Valenzuela Contreras v. Spain*, app. №27671/95, (ECtHR, 30.07.1998), §46; *Khan v. the United Kingdom*, app. №35394/97, (ECtHR, 12.05.2000).

უნდა იყოს საკმარისად ნათელი ადამიანებისთვის იმის განმარტებისას, თუ რა გარემოებებში და პირობებში ენიჭებათ სახელმწიფო ორგანოებს მსგავსი ღონისძიებების გამოყენების უფლება⁴⁵⁰.

მაშასადამე, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, იქედან გამომდინარე, რომ უფლებაში ჩარევის ეს ფორმები ფარულია, რადგან სწორედ ეს განაპირობებს მათ მიზნობრივად და ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას/უნარიანობას, მათზე ვერ ხორციელდება საჯარო კონტროლი, რაც ამძაფრებს საჭიროებას ხელისუფლების ორგანოების მიერ ძალაუფლების ბოროტად ან თვითნებურად გამოყენების საწინააღმდეგოდ ჯეროვანი გარანტიების შექმნისა. ამ კონტექსტში უმნიშვნელოვანესია, კანონში დეტალურად, მკაფიოდ გაიწეროს: რა შემთხვევებში, რა წინაპირობებისა და საფუძვლების არსებობისას, ხელისუფლების რომელი კომპეტენტური ორგანოს მიერ, რა ფარგლებში, როგორი ვადით და რა წესით/პროცედურით შეიძლება განხორციელდეს ასეთი ჩარევა. „იმ საფრთხის გათვალისწინებით, რომელიც თან ახლავს ფარულ თვალთვალთან დაკავშირებულ ნებისმიერ სამართლებრივ სისტემას, ეს ღონისძიებები განსაზღვრული უნდა იყოს კანონმდებლობით, რომელიც, თავის მხრივ, უნდა იყოს ნათელი, რადგან თვალთვალის განსახორციელებელი ტექნოლოგია სულ უფრო და უფრო სრულყოფილი და დახვეწილი ხდება“⁴⁵¹. „რადგან კომუნიკაციების საიდუმლო თვალთვალის ღონისძიებები არ ექვემდებარება ობიექტთა მხრიდან შემოწმებას ან საზოგადოებრივ ყურადღებას, კანონის უზენაესობის დარღვევა იქნებოდა აღმასრულებლისა თუ მოსამართლის დისკრეცია შეუზღუდავ უფლებამოსილებად ჩამოყალიბდეს. შესაბამისად, კანონმა კომპეტენტური ორგანოებისადმი მინიჭებული დისკრეციის მასშტაბი და მისი განხორციელების ფორმა იმდენად ნათლად უნდა განმარტოს, რომ ინდივიდებს მიეცეთ ადეკვატური დაცვის საშუალება თვითნებური ჩარევისაგან“⁴⁵².

550 *Malone v. the United Kingdom*, app. №8691/79, (ECtHR, 02.08.1984), §67.

551 *Kruslin v. France*, app. №11801/85, (ECtHR, 24.04.1990), §§23, 33; *Huvig v. France*, app. №11105/84, (ECtHR, 24.04.1990), §32; *Amann v. Switzerland*, app. №27798/95, (ECtHR, 16.02.2000), §56.

552 *Malone v. the United Kingdom*, app. №8691/79, (ECtHR, 02.08.1984), §68. *Huvig v. France*, app. №11105/84, (ECtHR, 24.04.1990), §29; *Weber and Saravia v. Germany*, app. №54934/00, (ECtHR, 29.06.2006), §94.

4.3.1.2.1.2. დამატებითი მოთხოვნები „კანონის ხარისხის“ დასაკმაყოფილებლად

„კანონის ხარისხის“ დასაკმაყოფილებლად, ხელმისაწვდომობისა და განჭვრეტადობის გარდა, უმნიშვნელოვანესია, ის (კანონი) შეიცავდეს შემდეგ მინიმალურ გარანტიებს:

ა) კანონში უნდა იყოს ჩამონათვალი იმ დანაშაულის სახეებისა, რომელთა გამოძიების და მართლმსაჯულების განხორციელების მიზნითაც, შესაძლებელია სატელეფონო საუბრების, სხვა ტექნიკური საშუალებებით კომუნიკაციის მონიტორინგი (ან თვალთვალი). აუცილებელია, ეს იყოს მხოლოდ ისეთი (მძიმე) დანაშაულები, რომელთა გამოძიება ობიექტურად, კანონზომიერად არის დაკავშირებული სირთულეებთან, ისევე, როგორც მათზე დროული, ეფექტური გამოძიებისა და მართლმსაჯულების ვერგანხორციელების შემთხვევაში მაღალი და რეალურია ალბათობა, დადგეს მძიმე, გამოუსწორებელი შედეგები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, კანონმდებლობით ნათლად უნდა განიმარტოს იმ დანაშაულთა ბუნება, რომლებიც შეიძლება გახდეს მიყურადების განხორციელების საფუძველი და იმ პირთა კატეგორიები, რომელთა ტელეფონებიც შესაძლოა დაექვემდებაროს მიყურადებას. იმავედროულად, სასამართლოს განმარტებით, დანაშაულების ბუნების აღწერის კონტექსტში კანონით განჭვრეტადობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, არ არის აუცილებელი კონკრეტული დანაშაულების სახელებით ჩამოთვლა, თუმცა აუცილებელია დანაშაულის ბუნების საკმარისი დეტალების მითითება⁵⁵³.

ბ) კანონით გათვალისწინებულ ასეთ დანაშაულებთან ბრძოლა არ უნდა გულისხმობდეს მათი გამოძიების პროცესში კომუნიკაციის კონტროლის, მონიტორინგის თავისთავად დასაშვებობას/ავტომატურ ლეგიტიმურობას. კრიტიკულად აუცილებელია, უფლებაში ასეთი ჩარევა მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვაგვარად მტკიცებულებების მოპოვება, დანაშაულის გახსნა, მართლმსაჯულების განხორციელება ან დანაშაულის პრევენცია შეუძლებელია. კანონმდებელი სამართალშემფარდებელს უპირობოდ უნდა მიუთითებდეს უფლებაში ჩარევის ასეთ მიზანმიმართულებაზე.

გ) კანონი უნდა ადგენდეს კომუნიკაციის კონტროლის (ან ფარული თვალთვალის) გონივრულ ვადებს/ხანგრძლივობას.

553 *Huvig v. France*, app. №11105/84, (ECtHR, 24.04.1990), §3; *Amann v. Switzerland*, app. №27798/95, (ECtHR, 16.02.2000), §56-58; *Valenzuela Contreras v. Spain*, (ECtHR, 30.07.1998), §46; *Weber and Saravia v. Germany*, app. №54934/00, (ECtHR, 29.06.2006), §95.

რადგან ადამიანის პირად სივრცესა და კომუნიკაციაზე კონტროლი წარმოადგენს ინტენსიურ ჩარევას პირად ცხოვრებაში, ის უკიდურესად აუცილებელი, მინიმალური დროით უნდა იყოს შეზღუდული. საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პირად სივრცეზე კონტროლის ვადის მკაცრად შეზღუდვის აუცილებლობას, ამასთან, ასეთი ვადის სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრის საჭიროებას, რათა გამოირიცხოს ადამიანზე ფარული დაკვირვება (თვალთვალი, მიყურადება, კომუნიკაციის მონიტორინგი ნებისმიერი სხვა ფორმით თუ საშუალებით) იმაზე უფრო ხანგრძლივად და ინტენსიურად, ვიდრე ეს ობიექტურად აუცილებელია კანონით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების დასაცავად⁵⁵⁴.

საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გასაჩივრებული იყო „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა, რომლის თანახმად, თუ ოპერატიული ინფორმაცია პირის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ მოითხოვდა დამატებითი მონაცემების შეგროვებას, ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს უფროსის მოტივირებული დადგენილებით, პროკურორის თანხმობით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადა შეიძლებოდა გაგრძელებულიყო 6 თვემდე.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადების ზრდასთან ერთად ჩარევის ინტენსივობაც იზრდება. მოსამართლის მიერ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების კონკრეტული ვადით ჩატარების ბრძანების გაცემის შემთხვევაში არ არსებობს პრეზუმფცია, რომ ამ ღონისძიების ჩატარების საჭიროება კვლავ იქნება აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგაც. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ბრძანებას გარკვეული ვადით გასცემს, ამ ვადის გასვლის შემდეგ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების გაგრძელება უფლებაში დამატებით ჩარევას წარმოადგენს. სადავო ნორმის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების ვადის გაგრძელების საჭიროების გადაწყვეტა პროკურორის დისკრეციას წარმოადგენდა. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა დამატებით ტვირთს აწესებდა ადამი-

554 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება №№2/1/484 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 21.

ანის კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლების რეალიზებაზე, ამასთან, ადგენდა უფლების შეზღუდვის დამოუკიდებელ შემთხვევას, რომელიც არ ითვალისწინებდა სასამართლო კონტროლს⁵⁵⁵.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, იმისთვის, რომ ინდივიდის კომუნიკაციის კონტროლი მართლზომიერად ჩაითვალოს და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ხელისუფლების ორგანოების მხრიდან ნებისმიერი სახის თვითნებობა, ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს ფარული თვალთვალის თუ კომუნიკაციის კონტროლის მინიმალურად საჭირო, გონივრულ ვადებსა და ხანგრძლივობით განხორციელება. მაგალითად, საქმეებზე *Huvig v. France*⁵⁵⁶, *Kruslin v. France*⁵⁵⁷ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა იმის გამო, რომ საფრანგეთის კანონმდებლობა არ აწესებდა რაიმე სახის ვადებს ფარული თვალთვალისა თუ კომუნიკაციის კონტროლის განხორციელებისთვის, რაც საფრანგეთის მოსამართლეებს აძლევდა შესაძლებლობას, დროში შეუზღუდავად გაეცათ ბრძანება ასეთი ღონისძიებების ჩატარების შესახებ.

საქმეზე *Iordachi and Others v. Moldova*⁵⁵⁸ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა არაერთი მიზეზით – კანონმდებლობით შესაბამისი გარანტიების გაუთვალისწინებლობის, მათ შორის, კომუნიკაციის კონტროლის ვადების არაჯეროვანი მოწესრიგების გამო. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ადგენდა ფარული თვალთვალისა თუ კომუნიკაციის კონტროლის განხორციელებისათვის ექვსთვიან ვადას, კანონმდებლობის არც ერთი სხვა დებულება არ გამორიცხავდა ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების შესაძლებლობას, ამ ვადის გასვლის შემდეგ ფარული თვალთვალისა თუ კომუნიკაციის კონტროლის განხორციელების გაგრძელების მოთხოვნით მიემართათ სასამართლოსთვის და კვლავ მიეღოთ მისგან ნებართვა. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დროში შეზღუდვა მოქმედებდა მხოლოდ ფორმალურად. ფაქტობრივად კი შესაძლებელი იყო, ხელისუფლების ორგანოებს შეუზღუდავად მოეთხოვათ და მიეღოთ ეროვნული სასამართლოსგან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების უფლება.

დ) კანონი ამომწურავად უნდა განსაზღვრავდეს ამ ფარული ღონისძი-

555 იქვე, II, 21.

556 *Huvig v. France*, app. №11105/84, (ECtHR, 24.04.1990).

557 *Kruslin v. France*, app. №11801/85, (ECtHR, 24.04.1990).

558 *Iordachi and Others v. Moldova*, app. №25198/02, (ECtHR, 10.02.2009).

ებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გამოკვლევის, გამოყენებისა და შენახვის გარანტიებს, ასეთი ინფორმაციის მესამე მხარისათვის გადაცემის, შემდგომი განადგურების ვადებს, წესსა და პროცედურებს⁵⁵⁹.

იმავე საქმეზე (*Iordachi and Others v. Moldova*⁵⁶⁰) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოლდოვას კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა შესაბამის პროცედურას, თუ როგორი წესით უნდა გადარჩეულიყო ფარულად მოპოვებული ინფორმაცია, რომელი ინფორმაციის შენახვა უნდა მომხდარიყო და რომლის არა. არ არსებობდა ამ ინფორმაციის დაცვის, კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესაბამისი პროცედურა, ასევე მისი განადგურების წესი.

ე) დიდი მნიშვნელობა აქვს, კანონმდებლობით განისაზღვროს ფარული კონტროლის სუბიექტებისთვის სამართლებრივი დაცვის სათანადო გარანტიები. გათვალისწინებული უნდა იყოს სასამართლო წესით შემდეგი საკითხების შემოწმების შესაძლებლობა: არსებობდა თუ არა საჭიროება და სათანადო საფუძვლები ფარული მიყურადების/თვალთვალისთვის; განხორციელდა თუ არა ასეთი ჩარევა სათანადო ვადებში; რამდენად კანონიერი იყო მოპოვებული ინფორმაციის შემდგომი გამოყენება და მათი დაცვა.

სამართლებრივი დაცვის სათანადო გარანტიების არსებობის აუცილებლობაზე საგანგებოდ მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო⁵⁶¹. მისი განმარტებით, კონვენცია ნებისმიერ პირს, რომლის მიმართ ხორციელდება ფარული თვალთვალი ან მიყურადება, ანიჭებს უფლებას, შეძლოს მის პირად ცხოვრებაში ჩარევის მართებულობის ეფექტურად გასაჩივრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, კონვენციის მე-8 მუხლს აზრი დაეკარგებოდა. სასამართლომ განავითარა შემდეგი მიდგომა: საიდუმლო თვალთვალის/მიყურადების ღონისძიებების ზედამხედველობა შესაძლოა სამ ეტაპზე განხორციელდეს: 1. თვალთვალის/მიყურადების დაწყებამდე (ასეთი ჩარევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე); 2. ამ ღონისძიებების განხორციელებისას; 3. დასრულების შემდეგ. პირველ ორ ეტაპზე საიდუმლო ღონისძიებების ბუნება და ლოგიკა გულისხმობს, რომ პირმა, რომლის მიმართაც ეს ღონისძიებები ტარდება, არაფერი იცის და არც უნდა იცოდეს მათ შესახებ. სასამართლომ ხაზგას-

559 *Huvig v. France*, app. №11105/84, (ECtHR, 24.04.1990), §3; *Amann v. Switzerland*, app. №27798/95, (ECtHR, 16.02.2000), §56-58; *Valenzuela Contreras v. Spain*, (ECtHR, 30.07.1998), §46; *Weber and Saravia v. Germany*, app. №54934/00; (ECtHR, 29.06.2006), §95.

560 *Iordachi and Others v. Moldova*, app. №25198/02, (ECtHR, 10.02.2009).

561 *Klass and Others v. Germany*, app. №5029/71, (ECtHR, 06.09.1978), §50.

მით აღნიშნა, რომ ის არ მიუთითებს ასეთი ინფორმაციის პირისთვის წინასწარ ხელმისაწვდომობის აუცილებლობაზე, რადგან ეს აზრს დაუკარგავდა ფარული ღონისძიებების ჩატარებას. მისი განმარტებით, ასეთი ვალდებულება ხელშემკვრელ სახელმწიფოს არც ეკისრებათ. შესაბამისად, იმის გამო, რომ პირი თავად ვერ შეძლებს ეფექტიან სამართლებრივ დაცვას და ვერ მიიღებს უშუალო მონაწილეობას სამართალწარმოების ნებისმიერ განხილვაში, აუცილებელია, რომ დადგენილი პროცედურა აწესებდეს მისი უფლებების ადექვატური და ექვივალენტური დაცვის გარანტიებს. დიდი მნიშვნელობა აქვს საზედამხედველო პროცედურების ეფექტურობასაც. სფეროში, რომელშიც უფლების ბოროტად გამოყენება და დემოკრატიული საზოგადოებისათვის საზიანო შედეგების მოტანა ამდენად მარტივია, სასურველია, პრინციპის დონეზე კონტროლის უფლებამოსილება მიენიჭოს მოსამართლეს, რადგან სწორედ სასამართლო კონტროლის ფუნქცია წარმოადგენს პროცედურის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და ჯეროვნობის გარანტიას⁵⁶². ევროპული სასამართლოს განმარტებით, მესამე ეტაპზე, მას შემდეგ, რაც დასრულდება ფარული ღონისძიებები, მათ შესახებ შეტყობინება უშუალო კავშირშია სამართლებრივი დაცვის ეფექტურობასთან. როგორც სასამართლომ აღნიშნა, მართალია, შესაბამის ორგანოებს არ მოეთხოვებათ განხორციელებული ფარული ღონისძიებების შესახებ პირის დაუყოვნებლივი ინფორმირება, რადგან ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს გამოძიების ინტერესებს, თუმცა იმ მომენტიდან, როდესაც შესაბამისი პირისათვის ამ ინფორმაციის შეტყობინებას აღარ შეუძლია გამოძიების ინტერესებისთვის ზიანის მიყენება, ხელისუფლების ორგანოებს უჩნდებათ ვალდებულება, აცნობონ პირს მის უფლებაში ასეთი ჩარევის შესახებ, რათა მან, სურვილის შემთხვევაში, შეძლოს და სასამართლო წესით გაასაჩივროს უფლებაში ჩარევის მართლზომიერების საკითხი⁵⁶³.

4.3.1.2.2. ჩარევა უნდა იყოს „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

კონსტიტუციის აღნიშნული მოთხოვნა გულისხმობს უფლებაში თანაზომიერი ჩარევის აუცილებლობას – მხოლოდ მაშინ და იმდენად, როდესაც და რამდენადაც ეს ობიექტურად აუცილებელი და გარდაუვალია. რადგან უფლებაში ნებისმიერი ჩარევა საამისოდ სათანადო საფუძველ-

562 *Klass and Others v. Germany*, app. №5029/71, (ECtHR, 05.09.1978), §55-56.

563 *Iordachi and Others v. Moldova*, app. №25198/02, (ECtHR, 10.02.2009).

ბის არარსებობისას ან იმაზე უფრო მკაცრად, ვიდრე უპირობოდ მოთხოვნილია, ვერ იქნება გამართლებული დემოკრატიული საზოგადოების დაცვის აუცილებლობით. ცინიკურია დემოკრატიის, როგორც ადამიანის თავისუფლების გარანტიის, დაცვის გამართლების მცდელობა ადამიანის უფლებების არათანაზომიერი შეზღუდვის/დარღვევის გზით. საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ სასამართლომ აღნიშნა: „კონკრეტული უფლების ადეკვატური უზრუნველყოფით ადამიანის ღირსების დაცვისას, სახელმწიფო, იმავდროულად, ვალდებულია, გაითვალისწინოს დემოკრატიულ, სამართლებრივ და სოციალურ სახელმწიფოში ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულება. ამიტომ კანონმდებლობა უნდა შეიქმნას სოციალური თანაცხოვრების ხელშეწყობისა და შენარჩუნების გათვალისწინებით, თუმცა იმ სავალდებულო პირობით, რომ დაცული იქნება თითოეული პიროვნების თვითმყოფადობა. ...ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები ერთნაირად მოითხოვს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელი როგორც კერძო, ისე საჯარო ინტერესების რეალიზაციის უზრუნველყოფას, მათ შორის გონივრული, თანაზომიერი და პროპორციული ბალანსის დაცვას. ... არაერთი ძირითადი უფლების მსგავსად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვაც თავად კონსტიტუციით არის გათვალისწინებული, ამასთან კონკრეტულადაა დადგენილი სახელმწიფოს მხრიდან უფლებაში ჩარევის დასაშვები ფარგლები“⁵⁶⁴.

უფლებაში თანაზომიერი ჩარევის წინაპირობად კონსტიტუცია განსაზღვრავს მხოლოდ კონკრეტული ლეგიტიმური მიზნების დასაცავად უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას. ეს მიზნებია: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სხვათა უფლებების დაცვა.

იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საჯარო ინტერესების არსებობა არ არის საკმარისი უფლებაში ჩარევის გასამართლებლად. თვალსაჩინო უნდა იყოს საჯარო ინტერესების დაცვის აუცილებლობა. ამიტომ „კანონმდებლობა ადეკვატური მექანიზმებით უნდა ქმნიდეს ისეთ ვითარებას, რომ საჯარო ინტერესების მისაღწევად უფლებაში ჩარევა ხდებოდეს მხოლოდ რეალური აუცილებლო-

564 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/2/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 8.

ბის შემთხვევაში⁵⁶⁵. გარდა ამისა, სახელმწიფოს არა აქვს უფლება, სერიოზულ საფრთხესთან ბრძოლის მოტივით, მიიღოს ნებისმიერი ზომა, რომელსაც ის შესაბამისად და ადეკვატურად მიიჩნევს. „დემოკრატიულ საზოგადოებაში, უფლებაში ჩარევა შეიძლება იყოს გამართლებული მხოლოდ მაშინ, თუ კანონმდებლობა უზრუნველყოფილი იქნება ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის ეფექტური მექანიზმებით. სახელმწიფო, რომელიც საკუთარ მოქალაქეებს აყენებს ფარული კონტროლის რისკის ქვეშ, არ უნდა სარგებლობდეს შეუზღუდავი უფლებამოსილებებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუბალანსებელმა კანონმდებლობამ, დემოკრატიის დაცვის მოტივით, შესაძლოა, თავად დემოკრატია გახადოს ძალზე მყიფე და სათუო“⁵⁶⁶. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევისას ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკების კანონით მინიმალიზების ეს სავალდებულო მოთხოვნა საკონსტიტუციო სასამართლომ გაიმეორა ყველა რელევანტურ საქმეზე.

როგორც სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, მართალია, სახელმწიფო პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევისას სარგებლობს თავისუფალი მიხედვლების ფარგლებით, თავად განსაზღვრავს, რა არის უფრო ეფექტური კონსტიტუციით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნების დასაცავად, თუმცა მისი ეს თავისუფლება არ არის უსაზღვრო. ის ვალდებულია, უფლებაში ჩარევისას გამოიყენოს მიზნის მიღწევის ვარგისი, უფლების ყველაზე ნაკლებად მზღუდავი და პროპორციული საშუალება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო დაარღვევს ადამიანის პირადი ცხოვრების უფლებას. „პირველ რიგში, უნდა არსებობდეს ლეგიტიმური მიზნების (მაგალითად, სახელმწიფო უსაფრთხოების, დანაშაულის გამოძიების, მისი პრევენციის, სხვათა უფლებების ხელშეუხებლობის) დაცვის აუცილებლობა. ამასთან, ასეთი ინტერესის არსებობა და დაცვის კონსტიტუციური ვალდებულება სახელმწიფოს არ აძლევს განუზომელ შესაძლებლობებს, ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლებამოსილებას მისთვის მისაღები ან, მისი აზრით, ყველაზე ეფექტური ფორმით. კონსტიტუციის მოთხოვნაა, რომ აღნიშნული ინტერესების უზრუნველსაყოფად უფლებაში ჩარევა შესაძლებელი იყოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში – როდესაც ამოწურულია ამ ინტერესების დაცვის სხვა ლეგიტიმური შესაძლებლობები, ამასთან, ყველაზე ნაკლებად მზღუდავი და პროპორციული ფორმით“⁵⁶⁷.

565 იქვე.

566 იქვე.

567 იქვე, II, 40-41.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე არაერთ საქმეზე განმარტა, რას ნიშნავს, კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისთვის ჩარევა „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტერმინის – „აუცილებელი“ – ადეკვატურად გააზრებას. ის, უფლებაში ჩარევის გასამართლებლად, მოითხოვს მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების არსებობას, რაც, თავისი არსით, უფრო მკაცრია, ვიდრე მხოლოდ „სასარგებლო“, „მიზანშეწონილი“ ან „სასურველი“. ამასთან, ჩარევა უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნების პროპორციული.

იმავედროულად, საკითხის შეფასებისას, ჩარევა აუცილებელია თუ არა დემოკრატიულ საზოგადოებაში, სახელმწიფოები, სარგებლობენ შეფასების გარკვეული ფარგლებით, რომლებიც, ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს ფართო ან ვიწრო სიტუაციის, საგნის და კონტექსტის მიხედვით. ერთი მხრივ, როდესაც არ არსებობს კონსენსუსი ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის სადავო ინტერესების მნიშვნელობის ან მისი დაცვის საუკეთესო საშუალებების თაობაზე, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი ეხება მგრძობიარე მორალურ და ეთიკურ საკითხებს, მაშინ ფარგლები არის ფართო. მეორე მხრივ, თუ საფრთხე ემუქრება პირის არსებობის ან იდენტურობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ასპექტებს, შეფასების ფარგლები ვიწროა.

კომუნიკაციის თავისუფლების კონტექსტშიც, ევროპული სასამართლოს განმარტებით: „იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნული უშიშროების დასაცავად შექმნილმა საიდუმლო თვალთვალის სისტემამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ან გაანადგუროს დემოკრატია მისი დაცვის საფარველით, ევროპული სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად არსებობს ადეკვატური და ეფექტიანი გარანტიები. შეფასება დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, ისეთზე, როგორიცაა შესაძლო ღონისძიებების ბუნება, მასშტაბი და ხანგრძლივობა, მათი მოთხოვნის საფუძვლები, ორგანოები, რომლებიც ფლობენ მისი ავტორიზების, განხორციელებისა და ზედამხედველობის უფლებამოსილებას და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი დაცვის საშუალებანი. სასამართლომ უნდა განიხილოს, რამდენად უზრუნველყოფს ზედამხედველობის პროცედურა შემზღუდავი ღონისძიებების დადგენისა და განხორციელების ზედამხედველობას იმგვარად, რომ „ჩარევა“ შემოიფარგლოს „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობით“⁵⁶⁸.

568 *Klass and Others v. Germany*, app. №5029/71, (ECtHR, 05.09.1978), §§49,50,59; *Weber and*

4.3.1.2.3. უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში

უფლებაში მხოლოდ ლეგიტიმური მიზნების დაცვის აუცილებლობისას და მხოლოდ როგორც ერთადერთი შესაძლებლობის გამოყენების გზით ჩარევის უზრუნველსაყოფად, კონსტიტუციის უპირობო მოთხოვნაა, რომ კომუნიკაციის თავისუფლების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას⁵⁶⁹. მნიშვნელოვანია, რომ ამ მხრივ კონსტიტუციამ დამატებითი გარანტიები შექმნა. კერძოდ, 2017 წლის კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად, მასში გაიწერა გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში ხელისუფლების მჭიდრო ვადაში მოქმედებისა და უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურობისთვის სასამართლო კონტროლით უპირობოდ შეზღუდვის აუცილებლობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ამ საფუძვლების მნიშვნელობის გაანალიზებას. მისი განმარტებით, უფლებაში მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ჩარევის კონსტიტუციური გარანტიის მთავარი დატვირთვა ის არის, რომ სასამართლომ, როგორც დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ინსტანციამ, შეამოწმოს, არსებობს თუ არა ჩარევის ლეგიტიმური საფუძველი, ამასთან, უკიდურესი საჭიროება უფლების ასეთი ფორმით შეზღუდვისთვის. მიზანი არის, გამოირიცხოს ხელისუფლების თვითნებობა, შეცდომა თუ ცდუნება, ჩაერიოს ადამიანის პირად ცხოვრებაში მაშინ, როდესაც ამისთვის ობიექტური საფუძველი და უკიდურესი საჭიროება არ არსებობს. „სასამართლო არის არაპოლიტიკური ხელისუფლება, რაც განაპირობებს და, იმავდროულად, ავალდებულებს მას ნეიტრალურობას. პერსონალურად და არსებითად დამოუკიდებელ, კანონმორჩილ მოსამართლეს შეუძლია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიიღოს სწორი და დასაბუთებული

Saravia v. Germany, app. №54934/00, (ECtHR, 29.06.2006), §106; *Kvasnica v. Slovakia*, app. №72094/01, (ECtHR, 09.06.2009).

569 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/625,640 საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“*, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 32.

გადაწყვეტილება უფლებაში ჩარევის აუცილებლობის თაობაზე⁵⁷⁰. „სასამართლოს გადაწყვეტილების აუცილებლობის კონსტიტუციური პირობა ემსახურება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უფლებაში ჩარევის საჭიროების არსებობის ნეიტრალური პირის მიერ შეფასებას. ... ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს უფლების შეზღუდვის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, ახასიათებს ფარული ბუნება, მათ დიდ ნაწილს საზოგადოება საერთოდ ვერ ხედავს და, შესაბამისად, ვერ აკონტროლებს. ამ ფონზე, აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან, უფლებაში არათანაზომიერი ჩარევის ცდუნება და რისკი სხვა შემთხვევებთან შედარებით მაღალია. ნეიტრალური პირის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებების გაკონტროლება ამცირებს თვითნებობის რისკებს და წარმოადგენს კანონის სწორი გამოყენების მნიშვნელოვან გარანტიას“⁵⁷¹. „კომუნიკაციის საშუალებათა მიყურადება წარმოადგენს სერიოზულ ჩარევას პირადი ცხოვრების უფლებაში და საფრთხის ქვეშ აყენებს დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლებს. ამდენად, ასეთი მიყურადება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახელმწიფო დაარწმუნებს მესამე ობიექტურ მხარეს – სასამართლოს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი საფარო ინტერესი და მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნება სერიოზული საფრთხის თავიდან ასაცილებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება პირადი ცხოვრების უფლებაში თვითნებურ ჩარევას“⁵⁷². „ცალკეული უფლების შეზღუდვისთვის სასამართლოს გადაწყვეტილების სახით დამატებითი ფორმალური კრიტერიუმის არსებობა ხაზს უსვამს ამ უფლების (თუ მისი ცალკეული უფლებრივი კომპონენტის) ბუნებას და იმ

570 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/407 საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 24.

571 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება №№2/1/484 საქმეზე *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 20.

572 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/625,640 საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 32.

ფაქტს, რომ ამ ურთიერთობაში მაღალია აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანოების თვითნებობის საფრთხე და არსებობს სასამართლოს, როგორც ნეიტრალური და მიუკერძოებელი ორგანოს მხრიდან კონტროლის განხორციელების საჭიროება. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების დათქმა ემსახურება კანონის მოთხოვნების განუხრელ დაცვას და აღმასრულებელი ორგანოების შეცდომის ან/და თვითნებობის შედეგად უფლების დარღვევის გამორიცხვას⁴⁵⁷³. „პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დასახელებული უფლებრივი კომპონენტების შესაზღუდად... კონსტიტუციური საფუძვლები არსებობს თუ არა ..., სწორედ სასამართლო ამოწმებს. რაც ნიშნავს, რომ კონსტიტუციის მიხედვით, არ არსებობს სახელმწიფოს ლეგიტიმური უფლება, თუნდაც უმნიშვნელოდ ჩაერიოს ადამიანის პირადი კომუნიკაციის უფლებაში, თუ საამისოდ არ აქვს სასამართლოს დასტური. გამონაკლისს წარმოადგენს კონსტიტუციითვე დადგენილი მეორე საფუძველი – კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება, რომლის არსებობის საკითხს, მოგვიანებით, ასევე სასამართლო არკვევს. მაშასადამე, კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული უფლების ძირითადი არსი გულისხმობს სასამართლო კონტროლის გარეშე უფლებაში ჩარევის აბსოლუტურად გამორიცხვას. ამის საწინააღმდეგოს დაშვება კონსტიტუციის მე-20 მუხლით დაცული უფლების არსს აზრს უკარგავს, რადგან სასამართლომ უნდა შეასრულოს მთავარი წინააღმდეგობის ფუნქცია და დაიცვას ადამიანები ხელისუფლების შეცდომის, თვითნებობის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისგან“⁴⁵⁷⁴.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე ხაზგასმით მიუთითა, რომ აღნიშნული კონსტიტუციური გარანტიის დანიშნულებაა არა მხოლოდ პირადი ცხოვრების შეზღუდვის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ლეგიტიმური მიზნებისთვის გამოყენების სასამართლოს მიერ შეფასება, არამედ სასამართლო კონტროლი მიზნად ისახავს ხელისუფლების კონტ-

573 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება №2/4/665,683 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ, II, 109.

574 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/625,640 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 44.

როლს ყველა ეტაპზე პირად ცხოვრებაში უსაფუძვლოდ ჩარევის რისკების გამოსარიცხად⁵⁷⁵.

დამატებით, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უფლების დაცულობის მტკიცებისთვის, თავისთავად, საკმარისი ვერ იქნება კანონში საგანგებო დებულებების არსებობა იმის თაობაზე, რომ ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელება შესაძლებელია მოსამართლის გადაწყვეტილებით (ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას). არამედ „აუცილებელია, კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაციებითა და სათანადო გარანტიების არსებობით დამაჯერებლად გამოირიცხოს პირად ცხოვრებაში ჩარევის ალბათობა კონსტიტუციით დადგენილი ამ გარანტიის მიღმა. კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა უფლებაში მოსამართლის გადაწყვეტილებით ჩარევის წესის დემონსტრირების პარალელურად, თავადვე არ უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, ქმნიდეს ცდუნებას, უფლებაში ჩარევა მოხდეს კონსტიტუციური გარანტიის იგნორირებით. მნიშვნელოვანია, რომ კანონი არ ზრდიდეს საფრთხეს ცდუნებისთვის, ხელისუფლებამ იმოქმედოს კონსტიტუციის მოთხოვნების უგულვებელყოფით“⁵⁷⁶.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განმარტა, რას ნიშნავს „გადაუდებელი აუცილებლობა“, ვინ არის უფლებამოსილი, განსაზღვროს, რა უნდა ჩაითვალოს ასეთ შემთხვევად და რა კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს მან ამ დროს. „საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობის კონკრეტული რეგლამენტაციის უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ კანონმდებელს. შესაბამისად, კონსტიტუციის ეს დებულება კატეგორიულად მოითხოვს, რომ არც ერთი პირობა, რომელიც, თუნდაც თავისი შინაარსით შეესაბამება გადაუდებელ აუცილებლობას, თუ ის კანონით არ არის გათვალისწინებული, არ შეიძლება დაედოს საფუძვლად მოსამართლის ბრძანების გარეშე უფლების შეზღუდვას. ამასთან, კანონში მოცემული პირობა, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას მოსამართლის ბრძანების გარეშე უფლებაში ჩარევისთვის, სრულად უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციით გათვალისწინებულ გადაუდებელი აუცილებლობის შინაარსს. ... „გადაუდებელი აუცილებლობა“ გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით, კონსტიტუციით გათვალისწინებული საჯარო ინტერესის მიღწევა, რეალურად არსებული ობიექტური მიზეზების გამო, შეუძლებელია კერძო ინტერესების დაუყოვნებლივი, მყისიერი შეზღუდვის გარეშე.

575 იქვე, II, 42.

576 იქვე, II, 43.

ამასთან, ძალზე მკაფიო, ნათელი და ცალსახა უნდა იყოს, რომ კონსტიტუციის ფარგლებში საჯარო ინტერესის სხვაგვარად დაცვის მცირედი ალბათობაც არ არსებობს. გადაუდებლობა მიუთითებს დროის სიმცირეზე, რაც უფლების შესაზღვრად მოსამართლის ბრძანების მოპოვების საშუალებას არ იძლევა და საჭიროებს დაუყოვნებლივ მოქმედებას⁵⁷⁷.

სასამართლომ აღნიშნა, რომ უფლების შეზღუდვის კონსტიტუციით გათვალისწინებული ეს პირობა არ მოითხოვს კანონში გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევების კატეგორიულად ამავე სახელწოდებით მოხსენიებას, თუმცა მეტი სიცხადისთვის ეს სასურველია. „... „გადაუდებელი აუცილებლობის“ არსებობა შეიძლება გაირკვეს ნორმის ანალიზის, მისი განმარტების შედეგად. ამისათვის კანონმდებლის ნება ამა თუ იმ გარემოების „გადაუდებელ აუცილებლობად“ მიჩნევის შესახებ, საკმარისად მკაფიო უნდა იყოს, რათა გამოირიცხოს სამართალშემფარდებლის მიერ მისი არასწორი ინტერპრეტაცია და თვითნებობის ალბათობა, რისი კანონზომიერი შედეგიც იქნება უფლების დარღვევა. ამასთან, კანონმდებელიც არ არის აბსოლუტურად თავისუფალი ამ ცნებისთვის კონკრეტული შინაარსის მიცემისას. ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების საზომს წარმოადგენს კონსტიტუცია, ხოლო ასეთი გადაწყვეტილების შემფასებელს – საკონსტიტუციო სასამართლო⁵⁷⁸.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ „გადაუდებელი აუცილებლობის“ ვითარება არ ათავისუფლებს სახელმწიფოს, მოგვიანებით (დროის მცირე მონაკვეთში) პირად ცხოვრებაში ჩარევის საფუძვლიანობისა და კანონიერების სასამართლოში შემოწმების ვალდებულებისგან. „მაშასადამე, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება არ გამოირიცხავს მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით უფლების შეზღუდვის კონსტიტუციური ვალდებულების შესრულების აუცილებლობას“⁵⁷⁹.

577 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 26.

578 იქვე, II, 26.

579 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/625,640 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 34.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საკითხს, რომ ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდეს ჯეროვან გარანტიებს ხელისუფლების ორგანოების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად/თვითნებურად გამოყენების საწინააღმდეგოდ. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია სამართლებრივი დაცვის მექანიზმების არსებობა უფლებაში ჩარევის მომენტამდე. თვითნებობის შეზღუდვის ეფექტურ, სათანადო საშუალებად ევროპული სასამართლო მიიჩნევს ეროვნულ დონეზე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს (ძირითადად, სასამართლოს) მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.

საქმეზე *Silver and Others v. the United Kingdom* სასამართლომ განმარტა: „რადგან ხელისუფლების ორგანოების მხრიდან განხორციელებული ფარული ღონისძიებები არ/ვერ ექვემდებარება საჯარო კონტროლს, ან შესაბამისი პირის მიერ, ვის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიება, მისიერ გასაჩივრებას, სამართლის უზენაესობის პრინციპთან შეუსაბამო იქნებოდა, რომ სამართლებრივი დისკრეცია, განხორციელდეს თუ არა პირის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა, მიენიჭოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან ასევე შეუსაბამო იქნება, თუ აღნიშნული უფლებამოსილება, რაიმე კრიტერიუმების გარეშე და შეუზღუდავი დისკრეციის სახით მიენიჭება თუნდაც მოსამართლეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ეროვნული კანონმდებლობა ნათლად უნდა უთითებდეს დისკრეციისა და უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებზე და ამით ინდივიდს ანიჭებდეს თვითნებური ჩარევისაგან დაცვის ადეკვატურ გარანტიებს“⁵⁸⁰. არაერთ სხვა საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი მოითხოვს ხელშემკვრელი სახელმწიფოებისაგან, მათი კანონმდებლობა ითვალისწინებდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს არსებობას, რომელიც განიხილავს და შეაფასებს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევის მართლობიერების საკითხს და ამით შეზღუდავს აღმასრულებელი ორგანოების მხრიდან თვითნებობის გამოვლინების შესაძლებლობას. ასეთ ორგანოს უმეტეს ქვეყნებში წარმოადგენს ეროვნული სასამართლო. ამ პროცესში ეროვნული სასამართლოს მონაწილეობის უმთავრესი დატვირთვა გულისხმობს, მან შეაფასოს და დააბალანსოს კერძო და საჯარო ინტერესები. მოსამართლეს ხელი უნდა მიუწვდებოდეს საქმის ყველა მასალაზე, რათა არსებული მტკიცებულებების ანალიზის საფუძ-

580 *Silver and Others v. the United Kingdom*, app. №5947/72; №6205/73; №7052/75; №7061/75; №7107/75; №7113/75; №7136/75, (ECtHR, 25.03.1983), §90.

ველზე მიიღოს ჯეროვანი გადაწყვეტილება და თუ ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოები საკმარის, საფუძვლიან მტკიცებულებებს ვერ წარუდგენენ, არ გასცეს პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევის ნებართვა.

როდესაც ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი რგოლის მიერ პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევის მიზანშეწონილობის განხილვის შესაძლებლობას, ევროპული სასამართლო ადგენს კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას⁵⁸¹.

4.3.1.3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა კომუნიკაციის თავისუფლებაში ჩარევისას ჯეროვანი გარანტიების დაკმაყოფილების აუცილებლობის თაობაზე

წინამდებარე თავში გაანალიზებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომლებშიც განმარტებულია ზემოაღნიშნული სტანდარტების უმრავლესობა. ორივე შემთხვევაში შეფასების საგანს წარმოადგენდა, კომუნიკაციის თავისუფლებაში ჩარევის მარეგულირებელი სისტემა აკმაყოფილებდა თუ არა ხელისუფლების თვითნებობისაგან დაცვის ჯეროვანი გარანტიების თაობაზე კონსტიტუციურ და კონვენციურ მოთხოვნებს.

4.3.1.3.1. ე.წ. ორი გასაღების საქმე

საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე მთავარი გადასაწყვეტი საკითხი იყო, ვინ უნდა ფლობდეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების (სატელეფონო საუბრების მიყურადების, ინტერნეტკომუნიკაციის მონიტორინგის) ჩატარებისთვის და პირად ინფორმაციაზე უშუ-

581 *Huvig v. France*, app. №11105/84, (ECtHR, 24.04.1990); *Amann v. Switzerland*, app. №27798/95, (ECtHR, 16.02.2000); *Bykov v. Russia*, app. №4378/02, (ECtHR, 10.03.2009).

ალოდ, პირდაპირ წვდომისთვის ტექნიკურ შესაძლებლობებს საიმისოდ, რომ გამოირიცხოს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების და, შესაბამისად, უფლების დარღვევის რისკები.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფო ამ საკითხის ინსტიტუტიური მოწესრიგებისას მიხედულების ფართო ფარგლებით სარგებლობს და ამა თუ იმ მოდელის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი პოლიტიკური გადაწყვეტილების სფეროს განეკუთვნება. „... ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების შესაძლებლობის მარეგულირებელი მოდელები/სისტემები შეიძლება იყოს განსხვავებული სხვადასხვა ქვეყანაში. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის, მათ შორის, საუკეთესოს გამოვლენა და კანონმდებლის დავალდებულება, სწორედ ეს გზა აირჩიოს. საკონსტიტუციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, კანონმდებელს შესთავაზოს ამ საკითხის ინსტიტუციონალური მოწესრიგების კონკრეტული კონსტიტუციური მოდელი“⁵⁸². თუმცა, იმავდროულად, სასამართლომ მიუთითა, რომ მიხედულების ფარგლებზე აპელირებისას, ხელისუფლების შესაძლო ქმედებები მკაცრადაა პირობადებული კონსტიტუციით განსაზღვრული მოთხოვნებით. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ყოველ ჯერზე არა მხოლოდ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა, საკითხის სადავობისას, შეაფასოს ხელისუფლების პოლიტიკური გადაწყვეტილების კონსტიტუციურობა. „ნებისმიერი რეგულაციის, მოდელის კონსტიტუციურობის შეფასებისას საზომი არის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის/დარღვევის საფრთხეების შეფასება. მაშინ როდესაც ძალაუფლების გადამეტებით უფლებებში არათანაზომიერი ჩარევის რეალური რისკები პირდაპირ გამომდინარეობს კანონიდან ან ის (კანონი) სათანადო ბერკეტებით ვერ უზრუნველყოფს ასეთი რისკების მინიმალიზებას, საკონსტიტუციო სასამართლო ნორმებს არაკონსტიტუციურად ცნობს“⁵⁸³.

სასამართლომ უფლებაში მხოლოდ კონსტიტუციური გარანტიების და თანაზომიერების პრინციპის უპირობო დაცვით ჩარევის უზრუნველსაყო-

582 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/625,640 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 54.

583 იქვე, II, 54.

ფად ყურადღება გაამახვილა ისეთ გარემოებებზე, როგორებიცაა: ვის და რა ფორმით უნდა ჰქონდეს უფლება, ჩაერიოს ადამიანის პირად სივრცეში; უფლებაში ჩარევის შეზღუდვის აუცილებლობა დროში, პირთა წრის მიხედვით; უფლებაში ჩარევაზე კონტროლის განჭვრეტადი, ეფექტური და საკმარისი მექანიზმების შექმნის აუცილებლობა.

აღნიშნულ საქმეზე გასაჩივრებული იყო „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რიგი ნორმების⁵⁸⁴ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან და მე-20 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით (საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 8³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადება მიუთითებდა ორი სახის ფარული საგამოძიებო მოქმედების (სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება და ჩაწერა; ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია

584 „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 8³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადების მიხედვით: „ფარული საგამოძიებო მოქმედებების განსახორციელებლად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოს უფლება აქვს, ჰქონდეს კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან და მათი შემაერთებლებიდან, მელსერვერებიდან, ბაზებიდან, სასადგურე აპარატურიდან, კავშირგაბმულობის ქსელებიდან და კავშირგაბმულობის სხვა შემაერთებლებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკური შესაძლებლობა და ამ მიზნით კომუნიკაციის აღნიშნულ საშუალებებთან, საჭიროების შემთხვევაში, უსასყიდლოდ განათავსოს მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემა, სხვა სათანადო აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებები“. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 1433 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: „უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადება/ჩაწერისა და კავშირგაბმულობის არხიდან ინფორმაციის მოხსნა/ფიქსაციის ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების უზრუნველსაყოფად კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი იყენებს კავშირგაბმულობისა და კომუნიკაციის ფიზიკური ხაზებიდან და მათი შემაერთებლებიდან, მელსერვერებიდან, ბაზებიდან, კავშირგაბმულობის ქსელებიდან და კავშირგაბმულობის სხვა შემაერთებლებიდან ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების ტექნიკურ შესაძლებლობას, აგრეთვე კომუნიკაციის აღნიშნულ საშუალებებთან განათავსებს და ამონტაჟებს სათანადო აპარატურას და პროგრამული უზრუნველყოფის მოწყობილობებს“. ამავე კოდექსის მე-3 მუხლის 31-ე ნაწილი განმარტავს ფარული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების ორგანიზაციის ელექტრონული სისტემის არსს. კერძოდ, ეს არის „ტექნიკურ და პროგრამულ გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომელიც გამოირიცხავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის გარეშე სამართალდამცავი ორგანოს მონიტორინგის სისტემის მუშევრებით ობიექტის აქტივაციის შესახებ ბრძანების დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას“ (სადავო ნორმების საქმის განხილვის დროისთვის მოქმედი რედაქცია).

კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზინო კომუნიკაციებთან და სასადგურე აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია. პირველი, თავისი შინაარსით, გულისხმობს სახელმწიფო უფლებამოსილი ორგანოს მიერ სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისა და ჩაწერის (სატელეფონო მოსმენების) განხორციელების შესაძლებლობას, ხოლო მეორე – სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი ინფორმაციის მოხსნას და ფიქსაციას ყველა კავშირგაბმულობის საშუალებებიდან, კომპიუტერული ქსელებიდან, კომპიუტერული სისტემიდან, რაც, ფაქტობრივად, გულისხმობს როგორც ინტერნეტურიერთობის მონიტორინგს, ისე კომპიუტერულ სისტემებში არსებულ, შექმნილ/შენახულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას) განხორციელების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ტექნიკური საშუალებებით აღჭურვაზე – შესაძლებლობაზე, ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების მიზნებისთვის შექმნას სათანადო არქიტექტურა, გამართოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციის დასახელებულ წყაროებთან განათავსოს და ფლობდეს ტექნიკურ მოწყობილობებს და მათი ადმინისტრირების ფუნქციას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სადავო ნორმა კი ითვალისწინებდა ამავე ფარული საგამოძიებო მოქმედებების განსახორციელებლად ამ ტექნიკური საშუალებების გამოყენების უფლებას და, შესაბამისად, კომუნიკაციის აღნიშნული წყაროებიდან ინფორმაციის რეალურ დროში უშუალოდ, პირდაპირ მიღების შესაძლებლობას.

სადავო ნორმებით გათვალისწინებულ უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოპერატიულ-ტექნიკური დეპარტამენტი.

სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების მიზნით კომუნიკაციის აღნიშნულ საშუალებებთან განათავსებდა მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემას. სწორედ ეს სისტემა გამოიყენებოდა სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისთვის ყველაზე ეფექტურ მექანიზმად, ვინაიდან იძლეოდა ფაქტობრივად ყველა სატელეფონო კომუნიკაციის პირდაპირ, უშუალოდ გადაჭერის შესაძლებლობას. ეს იყო მასობრივად, ნებისმიერი ტელეკომუნიკაციის საშუალებებით გაცვლილი ინფორმაციის რეალურ დროში მიღების ტექნიკური შესაძლებლობა. მართლზომ-

მიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს უშუალოდ აკავშირებდა კავშირგაბმულობის არხთან. ამასთან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მონიტორინგის სისტემის მეშვეობით ახდენდა მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემის აქტივაციას და, შესაბამისად, ინფორმაციის მიღებას. იმავდროულად, მონიტორინგის სისტემის აქტივაცია ფარული მიყურადებისას შესაძლებელი იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ელექტრონული თანხმობით, რომელიც ახდენდა ინფორმაციის შედარებას. მაშასადამე, სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადებისას მოქმედებდა „ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა“. ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა იყო მონიტორინგის სისტემის აქტივაციის წინა პირობა, ხოლო აქტივაციის შემდეგ მონიტორინგის სისტემა კომუნიკაციის შემაერთებლებს უკავშირდებოდა მართლზომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემით.

იმავდროულად, სადავო ნორმები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აღჭურავდა შესაძლებლობით, კომუნიკაციის დასახელებულ საშუალებებთან განათავსოს და დაამონტაჟოს სხვა სათანადო აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფის მოწყობილობები.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ლეგიტიმური მიზნების დაცვის უკიდურესი აუცილებლობისას სახელმწიფოს შესაძლებელია, ჰქონდეს ინფორმაციის რეალურ დროში მიღების უფლება. ცალკეულ შემთხვევაში, სწორედ ინფორმაციის რეალურ დროში მიღება შეიძლება გახდეს ერთადერთი ეფექტური შესაძლებლობა და საფუძველი დანაშაულის ოპერატიულად გამოძიებისთვის. თუმცა, იმავდროულად, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სადავო რეგულაციებიდან მომდინარე რისკებზე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ უფლების დარღვევის ალბათობა თავისთავად იზრდება, როდესაც ინფორმაციის რეალურ დროში მოსაპოვებლად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (ან გამოძიების უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანო) იმავდროულად ფლობს და ადმინისტრირებას უწევს ტექნიკურ საშუალებებს, განათავსებს შესაბამის აპარატურას უშუალოდ საკომუნიკაციო არხთან/სერვისის მიმწოდებელთან, რაც, საბოლოო ჯამში, მას პირთა განუსაზღვრელი წრის მოსმენის შესაძლებლობას აძლევს. ამის მთავარ მიზეზად სასამართლომ დაასახელა შემდეგი გარემოებები:

1. „სამართალდამცავი ორგანოები (საგამოძიებო ფუნქციით აღჭურვილი ორგანოები) და ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური პროფესიულად არის დაინტერესებული, ფლობდეს რაც შეიძლება მეტ ინფორმაციას, რაც საგრძნობლად გაამარტივებს ჩადენილი დანაშაულის გამოძიების პროცესს, ისევე, როგორც უფრო ეფექტურს გახ-

დის დანაშაულის პრევენციას. მაშასადამე, რისკის მაღალ ხარისხს სამართალდამცავი ორგანოებისა და უსაფრთხოების სამსახურის ბუნება, მათი ფუნქცია განაპირობებს. კერძოდ, როდესაც სტრუქტურა პასუხისმგებელია წარმატებულ გამოძიებაზე, ბუნებრივია, რომ ყველაზე მეტად მის ინტერესში შედის, მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. ამიტომ ასეთი სახელმწიფო ორგანოების პირდაპირი და მუდმივი წვდომა ელექტრონული კომუნიკაციის მომსახურების მიმწოდებლებთან არსებულ მონაცემებზე და ელექტრონული კომუნიკაციის თავად პროცესზე განუზომლად ზრდის ცდუნებას და რისკებს, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, უფლებაში დაუსაბუთებელი და გაუმართლებელი ჩარევისთვის. ... იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოები პირადად არიან დაინტერესებულნი საზოგადოებრივი და სახელმწიფო საფრთხეების პრევენციით, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ფარული თვალთვალის ტექნოლოგიები მუდმივად ვითარდება და იხვეწება, ასეთი შეუზღუდავი ტექნიკური შესაძლებლობების თავმოყრა ფარული მიყურადების მიზნებით უშუალოდ დაინტერესებული ორგანოს ხელში, უკვე წარმოადგენს ადამიანებზე სერიოზული ფსიქოლოგიური ზემოქმედების იარაღს მათ პირად სივრცეში შეღწევის მომეტებული რისკების გამო⁵⁸⁵.

2. სასამართლომ ყურადღება გამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ მოცემულ შემთხვევაში ინფორმაციის რეალურ დროში მოპოვების მიზნით, სათანადო ინფრასტრუქტურას, ტექნიკურ შესაძლებლობებს ქმნიდა თავად უფლებამოსილი ორგანო და პასუხისმგებელი იყო მის ადმინისტრირებაზე;

3. იმავდროულად, ამ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენდა სახელმწიფო საიდუმლოებას;

4. კანონმდებლობა ასევე არ ითვალისწინებდა ტექნიკური ინფრასტრუქტურის სრული და ყოვლისმომცველი აუდიტის განხორციელების შესაძლებლობას.

მაშასადამე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური არა მხოლოდ ფლობდა ფარული მოსმენების განსახორციელებლად ტექნიკურ საშუალებ-

585 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/625,640 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 55.

ბებს, არამედ პასუხისმგებელი იყო ამ სისტემის ფუნქციონირებაზე და ამ მიზნით ქმნიდა შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას, განათავსებდა ტექნიკურ საშუალებებს, ამასთან, ეს პროცესი იყო გასაიდუმლოებული. შედეგად, რომელ/როგორ ტექნიკურ შესაძლებლობებს, მოწყობილობებს შექმნიდა, შეიძენდა, დაამონტაჟებდა და გამოიყენებდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ამ პროცესზე არ არსებობდა გარე კონტროლის შესაძლებლობები⁵⁸⁶.

იმავედროულად, გამოიკვეთა, რომ სატელეფონო საუბრების ფარულ მიყურადებაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კონტროლის არსებული ბერკეტები ვერ გამოირიცხავდა ინსპექტორის გვერდის ავლით და, შესაბამისად, მოსამართლის გადაწყვეტილების გარეშე სატელეფონო საუბრების მიყურადების საფრთხეს. ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში, საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კონტროლის საკმარის, ეფექტურ საშუალებად ვერ გამოდგებოდა ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა, რომლის მიზანი იყო მართლბომიერი გადაჭერის მენეჯმენტის სისტემის მხოლოდ ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის შედეგად აქტივაცია. „... სატელეფონო საუბრების მიყურადების ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად სადავო ნორმით გათვალისწინებული ორეტაპიანი ელექტრონული სისტემა, ერთი მხრივ, მიმართულია სწორედ იმისკენ, რომ გამოირიცხოს ინსპექტორის ელექტრონული თანხმობის გარეშე მოსმენების შესაძლებლობა, რაც დამატებით გარანტიად უნდა იქნას მიჩნეული. თუმცა, ამავე დროს, ის ვერ ჩაითვლება სატელეფონო საუბრების მიყურადებაზე საკმარისი კონტროლის მექანიზმად, სრულად ვერ უზრუნველყოფს სატელეფონო საუბრების მიყურადების შესაძლებლობაზე კონტროლს, შედეგად, ვერ გამოირიცხავს ელექტრონული თანხმობის გარეშე და, შესაბამისად, მოსამართლის გადაწყვეტილების მიღმა სატელეფონო მოსმენების განხორციელების შესაძლებლობას. ინსპექტორი ელექტრონულ თანხმობას აძლევს მხოლოდ მასთან მიწოდებულ ინფორმაციაზე, ისევე, როგორც მხოლოდ ასეთ ინფორმაციაზე ახდენს შემდეგ კონტროლს, თუმცა ეს სქემა, სულ მცირე, ტექნიკურად ვერ გამოირიცხავს, ინსპექტორის მიღმა უფლებამოსილი ორგანოს მოქმედების შესაძლებლობას. თუ კონკრეტული სისტემის შემოღება ხდება იმიტომ, რომ სწორედ მან გამოირიცხოს ინსპექტორის (და, შესაბამისად, მოსამართლის) გვერდის ავლით სატელეფონო მოსმენების რისკები, მაშინ ის (სისტემა) ისე უნდა იყოს აწყობილი, როგორც ტექნიკურად, ისე ყველა აქტივობაზე სრული კონტროლის შესაძლებლობების

586 იქვე, II, 55-57.

თვალსაზრისით, რომ დამცავი სისტემა მუშაობდეს სრულყოფილად და არა ნაწილობრივ. ასეთი შედეგის მიღწევის შეუძლებლობის პირობებში სისტემა ვერ ჩაითვლება უფლების დაცვის საიმედო გარანტიად, ის გამოდგება მხოლოდ ვიზუალურ მტკიცებულებად, რომ კანონმდებელმა სატელეფონო მოსმენებზე იქამდე არარსებული კონტროლის მექანიზმი შემოიღო. თუ კანონით გათვალისწინებული სისტემა თავისთავად შეიცავს მომეტებულ რისკებს მის მიერვე შემოღებული კონტროლის მექანიზმის იგნორირებით მოქმედებისთვის, ის თავადვე განაპირობებს არა მხოლოდ კონტროლის ამ მექანიზმის და ინსპექტორის ინსტიტუტის არაეფექტურობას, ფიქციურობას, არამედ, რაც მთავარია, პრინციპულად ვერაფერს შეცვლის ადამიანის უფლებების დაცვის სასიკეთოდ⁵⁸⁷.

კანონით გათვალისწინებული არსებული სისტემის პირობებში არაეფექტური იყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ კონტროლის სხვა საკანონმდებლო ბერკეტებიც.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ კანონმდებლობა იძლეოდა შესაძლებლობას, სახელმწიფოს ხელში არსებული რეალურ დროში ინფორმაციის მიღების ტექნიკური შესაძლებლობები გამოყენებულიყო ორგვარად: პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ჩართულობით და მისი მონაწილეობის გარეშე, ამასთან, ასეთი არჩევანის თავისუფლებას კანონმდებლობა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ანიჭებდა. ასევე კანონმდებლობა არ შეიცავდა მკაფიო მითითებებს, თუ რა შემთხვევაში შეიძლებოდა, უფლებამოსილ ორგანოს გამოეყენებინა სხვა ტექნიკური საშუალებები. სასამართლომ აღნიშნა, რომ „როდესაც სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა და არჩევანი, შექმნას, ააწყოს ისეთი სისტემა, რომელიც გამორიცხავდა ან შეძლებისდაგვარად მინიმალურს გახდიდა ადამიანების პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი ჩარევის რისკებს და სახელმწიფო ამ შესაძლებლობას სრულად არ იყენებს, მისი ქმედება ვერ ჩაითვლება უფლებაში ყველაზე ნაკლებად მზლუდავ და პროპორციულ ჩარევად. სახელმწიფოს მცდელობა, შექმნას არსებულზე მეტი გარანტიები, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს კანონმდებლობა, ვერ გამოდგება უფლების საიმედოდ დაცვის გარანტიად და სახელმწიფოსთვის თავის მართლების არგუმენტად, თუ არსებითად გაუმჯობესებული კანონმდებლობა მაინც ტოვებს შესაძლებლობას, ქმნის რისკებს, სახელმწიფო ჩაერიოს ადამიანების პირად ცხოვრებაში საამისოდ შესაბამისი საფუძვლის და კონსტიტუციური გარანტიების გარეშე⁵⁸⁸.

587 იქვე, II, 61.

588 იქვე, II, 81.

საბოლოოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სისტემა, როდესაც სათანადო ინფრასტრუქტურას ფლობს, ქმნის, ამონტაჟებს, ადმინისტრირებას უწევს გამოძიებაზე პასუხისმგებელი ორგანო, ამასთან, როდესაც ეს პროცესი გასაიდუმლოებულია, გამორიცხავს გარე კონტროლის ეფექტური მექანიზმების შექმნის შესაძლებლობას. შედეგად, სადავო ნორმებით გათვალისწინებული სისტემის პრობლემატურობას განაპირობებდა არა მხოლოდ ფაქტი, რომ მოცემული მდგომარეობით ეს სისტემა არ შეიცავდა კონტროლის ეფექტურ და საკმარის მექანიზმებს, არამედ ის, რომ ასეთი მექანიზმების რეალურად შექმნა ობიექტურად შეუძლებელი იყო.

ამავე საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა ინტერნეტ-კომუნიკაციაზე სახელმწიფოს მონიტორინგის ბერკეტები და დაადგინა, რომ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება ამ კონტექსტშიც ირღვეოდა. მთავარი მიზეზი ხელისუფლების მხრიდან თვითნებობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკებისა ამ შემთხვევაშიც იყო ტექნიკური შესაძლებლობების სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელთ არსებობა, რაც მას აღჭურავდა ადამიანების პირად ცხოვრებაში უკონტროლოდ ჩარევის შესაძლებლობით.

კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 8³ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადება ითვალისწინებდა სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი ინფორმაციის მოხსნას და ფიქსაციას ყველა კავშირგაბმულობის საშუალებებიდან, კომპიუტერული ქსელებიდან, კომპიუტერული სისტემიდან. რაც ფაქტობრივად გულისხმობდა როგორც ინტერნეტურთიერთობის მონიტორინგს, ისე კომპიუტერულ სისტემებში არსებულ, შექმნილ/შენახულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. სადავო ნორმებით გათვალისწინებულ კომუნიკაციის საშუალებებსა და არხებში მოიაზრებოდა როგორც კავშირგაბმულობის, ასევე ინტერნეტპროვაიდერებთან არსებული კომუნიკაციის ფიზიკური ხაზები, ქსელები, სასადგურე აპარატურა და ა.შ. ამასთან, სადავო ნორმები ითვალისწინებდა როგორც შესაბამის წყაროებთან პირდაპირი წვდომის ტექნიკურ შესაძლებლობას, ისე ინფორმაციის რეალურ დროში უშუალოდ მოპოვების შესაძლებლობასაც.

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ შემთხვევაშიც აღნიშნა, რომ, ვინაიდან ინფორმაცია გასაიდუმლოებული იყო და ამასთან, ტექნიკური საშუალებების აუდიტი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მხრიდან მინიმალურ დონეზეც კი გამოირიცხებოდა, აბსოლუტურად არა-განჭვრეტადი ხდებოდა ინფორმაცია, თუ როდის, რომელ აპარატურასა

და პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებას იყენებდა სახელმწიფო. სასამართლომ მიუთითა, რომ თანამედროვე მზარდი და განვითარებადი ტექნოლოგიების პირობებში, ფიზიკურად შეუძლებელია და წარმოუდგენელიც, კანონით ან რომელიმე სხვა ნორმატიული აქტით მოხდეს ასეთი ტექნიკური შესაძლებლობების ამომწურავი ჩამოთვლა და მათი აღწერილობის ნორმატიული მოწესრიგება. თუმცა ეს, თავისთავად, არ შეიძლება ნიშნავდეს სახელმწიფოს უფლებამოსილებას, აღიჭურვოს აბსოლუტურად უკონტროლო სივრცით, „სადაც არავის არასდროს ეცოდინება, დროის რა პერიოდში, რომელი შემთხვევებისთვის, რა ტიპის/შინაარსის ტექნიკური საშუალებები გამოიყენება და, რაც მთავარია, გამოიყენება თუ არა მხოლოდ კონსტიტუციური მოთხოვნების უპირობო დაცვით“⁵⁸⁹.

მაშასადამე, ორივე შემთხვევაში უფლების დარღვევის რისკები თვისობრივად ერთი და იგივე მიზეზით იყო განპირობებული. შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების და კომუნიკაციის თავისუფლების დარღვევა: „დასახელებული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობისთვის და ამ გზით ადამიანების განვითარებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია საკმარისი და ეფექტური გარანტიების არსებობა, რამაც უნდა უზრუნველყოს ძალიან მყარი შეგრძნება ანონიმურობისა, ადამიანების ნებისა და გადაწყვეტილების გარეშე, მათი კომუნიკაციის აბსოლუტური ხელმიუწვდომლობისა ნებისმიერი მესამე პირისთვის, სახელმწიფოს ჩათვლით. ეს უფლებები ირღვევა მათი სრულად და ეფექტურად გამოუყენებლობის მიზეზით იმ პირობებში, თუ ადამიანებს აქვთ შიში ანონიმურობის სიმყიფისა, თუ ისინი ცხოვრობენ იმ შეგრძნებითა და განცდით, რომ მათი კომუნიკაციის შინაარსი ხელმისაწვდომია მესამე პირებისთვის. რადგან სასურველ პირებთან სასურველ თემებზე კომუნიკაცია იმ შეგრძნებით, რომ ეს სივრცე და კომუნიკაცია სულაც არ არის ანონიმური, მაღალი ალბათობით, თავისთავად ცვლის კომუნიკაციის, აზრის გამოხატვის ფორმასაც და შინაარსსაც, მათ შორის, აზრის გამოხატვაზე/კომუნიკაციაზე უარის თქმის ჩათვლით, რაც საფუძველშივე ეწინააღმდეგება და გამორიცხავს საკუთარი არჩევანის მიხედვით განვითარებას, ავიწროებს, აღარიბებს პირად სივრცეს“⁵⁹⁰. „როდესაც პირად ინფორმაციაზე პირდაპირი და უშუალო წვდომის ტექნიკური შესაძლებლობები სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (ან გამოძიების ფუნქციის მქონე სხვა ორგანოს) ხელთაა, რაც ..., თავისთავად განუზომლად ზრდის უფლებაში თვითნებურად, გადამეტებულად ჩარევის რისკებს,

589 იქვე, II, 75.

590 იქვე, II, 27.

ობიექტურად ძალიან რთული ხდება, თუ შეუძლებელი არა, გამოძიებაზე უფლებამოსილი ორგანოების ეფექტური კონტროლი. ეს იმ ფონზე, რომ სწორედ ასეთ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება როგორც შიდა, ისე გარე კონტროლის ეფექტური, ქმედითი, საკმარისი და, რაც მთავარია, გამჭვირვალე ბერკეტების, მექანიზმების, გარანტიების არსებობა, რაც არა მხოლოდ უზრუნველყოფს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკების გამორიცხვას/მინიმალიზებას, არამედ დამაჯერებლად აღქმადს გახდის საზოგადოების თითოეული წევრისთვის მათი პირადი სივრცის დაცულობას, ხელისუფლების მხრიდან ხელშეუხებლობას. ... ასეთი მკაფიო შეგრძნებებისთვის მყარი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე ადამიანების მუდმივი ღელვა და დაფიქრების საჭიროება, არის კი მათი პირადი ცხოვრება ნამდვილად მხოლოდ მათი პირადი სივრცე, თავისთავად, იწვევს მათი ქცევის თავისუფლების შეგნებულად ან ქვეცნობიერად კორექტირებას, მათი ნების შესაბამისად მოქმედების, განვითარების შესაძლებლობის შეზღუდვას ან, უკეთეს შემთხვევაში, საკუთარი ნების და გადაწყვეტილების შესაბამისად მოქცევას იმასთან შეგუებით, ან იმ ფაქტის იგნორირებით, რომ პირად სივრცეს იყოფს მისთვის უცნობ, არასასურველ პირობებთან. ასეთ პირობებში ზედმეტი საუბარი ადამიანის ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობაზე ... ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მოთხოვნებს. ... იმავდროულად, ინფორმაციის რეალურ დროში უშუალოდ მიღების ტექნიკური შესაძლებლობით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის აღჭურვა, როგორც უკვე აღინიშნა, ობიექტურად ართულებს გარე კონტროლის შესაძლებლობებს. ასეთი სისტემის პირობებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის კონტროლის მექანიზმები ვერ არის რა საკმარისი გარანტია სატელეფონო მოსმენების და ინფორმაციის მოხსნა/ფიქსაციის მხოლოდ მოსამართლის განჩინებით ან გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში (მოსამართლის შემდგომი თანხმობით) განხორციელების უზრუნველსაყოფად, არსებობს მომეტებული საფრთხე ინფორმაციის რეალურ დროში მიღება განხორციელდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი სავალდებულო მოთხოვნების უგულვებელყოფით, რაც იწვევს სადავო ნორმების წინააღმდეგობას კონსტიტუციის დასახელებულ დებულებასთან⁵⁹¹.

აღნიშნული საქმე მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ სასამართლომ განმარტა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების დაცვის კონსტიტუციური ფარგლები.

591 იქვე, II, 82-83.

ერთ-ერთი სადავო ნორმის⁵⁹² თანახმად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს უფლება ჰქონდა, განეხორციელებინა კავშირგაბმულობის არხში არსებული მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება და შეენახა ისინი 2 წლის განმავლობაში.

სასამართლოს განმარტებით, სატელეფონო ან სხვა ტექნიკური საშუალებებით კომუნიკაციის ხელშეუხებლობა გულისხმობს: ა) როგორც გაცვლილი ინფორმაციის დაცულობას, ბ) ისე ადამიანების იმ არჩევანის ანონიმურობასაც, კონკრეტულად ვისთან, როდის, რა საშუალებით, სად და რა ხანგრძლივობით ექნებათ კომუნიკაცია, „არა მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი მონაცემები ინფორმაციულობის ხარისხის მიხედვით, ცალკეულ შემთხვევაში, არანაკლები ინფორმაციის მატარებელი შეიძლება იყოს, ვიდრე კონკრეტული კომუნიკაციის შინაარსი, არამედ, პირველ რიგში, იმიტომაც, რომ ადამიანის პირადი სივრცე გულისხმობს საკუთარ სოციუმზე ინდივიდუალური და დამოუკიდებელი არჩევანის ანონიმურობის უფლებასაც“⁵⁹³.

სასამართლომ დაადგინა, რომ ნორმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს აღჭურვადა როგორც ტექნიკური შესაძლებლობით, ისე უშუალო უფლებამოსილებით, მოეხდინა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება და მათი შენახვა. ფაქტობრივად, ეს გულისხმობდა კავშირგაბმულობის არხში არსებული ყველა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ასლის გაკეთებას და მათ შენახვას სახელმწიფოს მიერ ე.წ. „ბანკებში“. იმავდროულად, სასამართლომ ყურადღება გამახვილა, თუ რა ტიპის/შინაარსის ინფორმაციას ინახავდა ამ გზით სახელმწიფო. სადავო ნორმა, მართალია, არ გულისხმობდა წვდომას უშუალოდ სატელეფონო საუბრების შინაარსზე, მაგრამ ის აღჭურვადა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შესაძლებლობით, გაეკეთებინა ასლი და შეენახა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, ვინ, ვის, როდის, რა ტექნიკური საშუალებით,

592 „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 8³ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის პირველი წინადადების დავის განხილვის დროისთვის მოქმედი რედაქცია.

593 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/625,640 საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 24.

რომელი ლოკაციიდან და როგორი ხანგრძლივობით დაუკავშირდა. ამასთან, სადავო ნორმა ითვალისწინებდა, აბსოლუტურად შეუზღუდავად, პირთა წრის და ლოკაციის მიხედვით, ასეთი ინფორმაციის კოპირებასა და შენახვას ორი წლის ვადით⁵⁹⁴.

სასამართლოს განმარტებით, მეტადატა წარმოადგენს ინფორმაციას მობილური სატელეფონო საშუალებების ადგილმდებარეობის, განხორციელებული თუ შემოსული ზარების, ღიად თუ ანონიმურად განხორციელებული ძიებისა თუ სხვა ონლაინ ქმედებებთან დაკავშირებით. მეტადატას ანალიზის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს ინდივიდის ქცევა, სოციალური ურთიერთობები, პირადი მახასიათებლები, რაც უშუალოდ კომუნიკაციის შინაარსთან ერთად ამ ინდივიდის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა. ასეთ მონაცემთა ერთობლიობა ქმნის შესაძლებლობას, უფლებამოსილ ორგანოებს ჰქონდეთ საკმარისი ინფორმაცია აბონენტის პირადი ცხოვრების ისეთი სფეროების შესახებ, როგორებიცაა: მათი ყოველდღიური ჩვევები, დროებითი ან მუდმივი ადგილსამყოფელი, ყოველწუთიერი გადაადგილება, საქმიანობა, სოციალური კავშირები, სოციალური გარემოცვა. მაშასადამე, ეს მონაცემები იძლევა შესაძლებლობას, შეიქმნას პირის პერსონალური და გადაადგილების პროფილი, რაც საკმარისად ინფორმაციული შეიძლება იყოს პირის პირადი სივრცის შესახებ და ინფორმაციულობის ხარისხით მნიშვნელოვნად არ ჩამოუვარდებოდეს უშუალოდ ტელეკომუნიკაციის შედეგად გაცვლილ ინფორმაციას. სასამართლომ დაადგინა, რომ „ეს ინფორმაცია შეიძლება იძლეოდეს საკმაოდ დეტალურ წარმოდგენას ადამიანის პირადი სივრცის არაერთი ასპექტის თაობაზე. ამიტომ, ცხადია, ასეთი ინფორმაციის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ფლობა/შენახვა თავისთავად აჩენს განცდას, დაფიქრების მოტივაციას იმაზე, რომ ადამიანის პირადი სივრცე იმყოფება სახელმწიფოს ზედამხედველობის, კონტროლის ქვეშ. ბუნებრივია, რომ ეს შეიძლება ნეგატიურად აისახოს ადამიანის განვითარებაზე, აქტივობებზე საკუთარი ნების, გადაწყვეტილების შესაბამისად, გამოიწვიოს ქცევის რეგულირება. შედეგად, აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება, ფლობა ადამიანის პირად ცხოვრებაში საკმაოდ მკაცრ, ინტენსიურ ჩარევას წარმოადგენს“⁵⁹⁵.

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე გარემოებაზე, რომლებიც კუმულაციაშიც და ცალ-ცალკეც ქმნიდნენ საფრთხეს ადამიანის პირად სივრცეში გადამეტებული, უსაფუძვლო ჩარევისთვის, შესაბამისად, ფუნდამენტური უფლებების დარღვევისთვის.

594 იქვე, II, 91.

595 იქვე, II, 92.

კერძოდ:

ა) მთავარ პრობლემას ამ შემთხვევაშიც წარმოადგენდა გარემოება, რომ ინფორმაციის კოპირებას და შენახვას ახდენდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა კანონმდებელს, რომ „მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გამოძიების ფუნქციისგან დისტანცირებული, ამ თვალსაზრისით პროფესიულად არდაინტერესებული, ამასთან, დამოუკიდებლობის მყარი და საკმარისი გარანტიებით აღჭურვილი და ეფექტურად კონტროლირებადი ორგანოს მიერ შენახვა, როგორც მინიმუმ, დამაჯერებლად ამცირებს უფლების დარღვევის პოტენციურ რისკებს“⁵⁹⁶.

ბ) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ასეთი მონაცემების შენახვისას უფლების დარღვევის რისკებს ზრდიდა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გამოყენებაზე რეალურად ეფექტური კონტროლის ბერკეტების შექმნის შეუძლებლობა, რაზეც მიუთითებდა არსებული საკანონმდებლო ნორმებიც.

იმავედროულად, იყო რეალური საფრთხე უკვე არსებულ ბანკებზე უკონტროლოდ წვდომისაც. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ მონაცემთა ბანკებზე კანონით გათვალისწინებული კონტროლის მექანიზმები არაეფექტური იყო და ვერ უზრუნველყოფდა ადამიანის უფლებათა დაცვის სათანადო გარანტიების შექმნას, რადგან ინსპექტორი ვერც იმ მონაცემთა ბანკების სრულფასოვან კონტროლს ახდენდა, რომელზეც დაშვება ჰქონდა.

გ) ნორმის პრობლემატურობას განაპირობებდა ასევე მისი ბლანკეტური ხასიათი. კერძოდ, სადავო ნორმა ითვალისწინებდა კავშირგაბმულობის არხში არსებული აბსოლუტურად ყველას/თითოეული ადამიანის ნებისმიერ ადამიანთან კომუნიკაციისას მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირების და შენახვის შესაძლებლობას. სადავო ნორმა არ ზღუდავდა სახელმწიფოს ვალდებულებით, მოეხდინა მხოლოდ ამ თვალსაზრისით რელევანტური ინფორმაციის კოპირება და შენახვა. მაშასადამე, ზემოაღნიშნული ინფორმაცია ინახებოდა იმისგან დამოუკიდებლად, ჰქონდა თუ არა პირს თუნდაც ჰიპოთეტური კავშირი სავარაუდო (ჩადენილ ან მომავალში დაგეგმილ) დანაშაულთან. „იმ პირობებში, როდესაც მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება და შენახვა ხდება ყოველგვარი ფილტრაციის გარეშე, აბსტრაქტული საფრთხის არარსებობის პირობებშიც კი, შესაძლებელი ხდება ინფორმაციის ავტომატური დამუშავების გამოყენებით სიღრმისეული დასკვნების გამოტანა ადამიანის პირადი ცხოვრების

596 იქვე, II, 97.

შესახებ. ასეთ პირობებში, განცდა და ცოდნა იმისა, რომ თითოეული ადამიანის ყველა მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია ინახება სახელმწიფოს ხელთ, თავისთავად შეიძლება იწვევდეს პიროვნების თვითშეზღუდვას. ბუნებრივია, ასეთი ბლანკეტური, ტოტალური შეგროვება ინფორმაციისა ასევე თავისთავად ზრდის უფლებაში ჩარევის ინტენსივობას, იმისგან დამოუკიდებლად, ამ ინფორმაციის შემდგომი გამოყენება უკავშირდება თუ არა მხოლოდ კონკრეტული დანაშაულების გახსნას და ინფორმაციის გამოყენება ხდება თუ არა მხოლოდ მოსამართლის განჩინების არსებობისას, ამასთან, ვრცელდება თუ არა ამ პროცესზე ეფექტური გარე კონტროლი⁵⁹⁷.

დ) საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობის განმაპირობებელ გარემოებად მიიჩნია ასევე მაიდენტიფიცირებელი მონაცემების 2 წლის ვადით შენახვა. „ზოგადად, მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვა წარმოადგენს რა უფლებაში ჩარევას, ბუნებრივია, ჩარევის ინტენსივობა და ხარისხი ლოგიკურად მზარდია ჩარევის დროის ხანგრძლივობის პროპორციულად. შესაბამისად, იმ პირობებშიც კი, თუ მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება/შენახვას არ მოახდენს გამოძიებაზე პასუხისმგებელი და ამ თვალსაზრისით, პროფესიულად დაინტერესებული ორგანო, 2 წლით ასეთი ინფორმაციის შენახვა, პირად სივრცეში ძალიან მაღალი ინტენსივობით ჩარევას გულისხმობს, ამიტომ, შესაბამისად, ითხოვს სახელმწიფოს მეტად დამაჯერებელ დასაბუთებას ასეთი ინტენსივობით ჩარევის აუცილებლობასა და გარდაუვალობაზე“⁵⁹⁸.

საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა ბლანკეტურად ითვალისწინებდა რა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების 2 წლის ვადით შენახვას, ის ვერ იქნებოდა მიჩნეული მიზნის მიღწევის პროპორციულ საშუალებად. „მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნები, რომელთა დაცვის აუცილებლობის მოტივითაც მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება/შენახვა შესაძლებელი უნდა იყოს, ამის საპირწონედ თითოეული ადამიანის პირადი ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტების თაობაზე ინფორმაციის შენახვა საკმაოდ ინტენსიური ჩარევაა ადამიანის თავისუფლებაში. ამიტომ, ცხადია, დრო ჩარევის ინტენსივობას და, შესაბამისად, უფლების დარღვევის რისკებს პირდაპირპროპორციულად ზრდის, რაც ბუნებრივად ავალდებულებს ხელისუფლებას, მაქსიმალურად შეზღუდოს დროში უფლებაში ასეთი ჩარევა“⁵⁹⁹.

597 იქვე, II, 109.

598 იქვე, II, 108.

599 იქვე, II, 112.

ზემოაღნიშნული არგუმენტების გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმა ერთდროულად იწვევდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 და მე-20 მუხლების (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) დარღვევას. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით: „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მაიდენტიფიცირებელი მონაცემების კოპირება/შენახვის თავად ფაქტი, არის ერთგვარად მსუსხავი ეფექტის მქონე ადამიანებისთვის, რადგან მათ იციან, რომ სახელმწიფო ფლობს და 2 წლის განმავლობაში ინახავს თითოეულის პერსონალური ხასიათის/შინაარსის ამსახველ მნიშვნელოვან ინფორმაციას. ... ხანგრძლივი ვადით ამ ინფორმაციის შენახვა და მით უფრო, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მასზე ხელმისაწვდომობის საფრთხეების გამოსარიცხად კონტროლის ეფექტური და საკმარისი მექანიზმების არარსებობა, თავისთავად ზრდის ალბათობას და ინტენსივობას ამ თვალსაზრისით დაუცველობის შეგრძნებისა. ამდენად, ასეთ პირობებში, სახელმწიფოს მიერ მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შენახვის ფაქტმა შესაძლოა, მნიშვნელოვნად დააკორექტიროს მათი კომუნიკაცია, ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტულ პირებთან კონკრეტულ ურთიერთობაზე უარის თქმის ჩათვლით. ასეთ პირობებში კი შეუძლებელია ადამიანის თავისუფალ განვითარებაზე საუბარი. ადამიანების პირადი ცხოვრების, სივრცის გაუმართლებელი, არაპროპორციული კონტროლი თრგუნავს მათ თავისუფალ თვითგამორკვევას და ფუნდამენტური უფლებების სრულყოფილად, მათი ნების შესაბამისად გამოყენების ინიციატივას, შედეგად, აფერმკრთალებს ადამიანების თვითრეალიზაციის, განვითარების შანსს. ... იმავდროულად, როგორც უმნიშვნელოც არ უნდა იყოს ადამიანის ქცევებში ამ მიზეზით ცვლილება ან/და თუნდაც არც არაფერი შეცვალოს, თავისთავად, ფიქრი/დაფიქრება იმაზე, რომ ასეთი ინფორმაცია შესაძლოა ხელმისაწვდომი გახდეს სახელმწიფოსთვის, უკვე დამაბრკოლებელია უფლებით სარგებლობის პროცესში. ადამიანები, პირადი არჩევანის, გადაწყვეტილების მიხედვით ქმედებისას არ უნდა იდგნენ კომპრომისის საჭიროების წინაშე – საჯარო ინტერესის დაცვისთვის უპირატესობის მინიჭების გამო უარი თქვან მათი ნების შესაბამისად საკუთარი ცხოვრების, ყოველდღიურობის წარმართვაზე. ისევე, როგორც არ უნდა სჭირდებოდეთ ამ არასასურველი კომპრომისის დაძლევა პირადი სივრცის განსაჯაროების გარისკვით.

მაშასადამე, მაიდენტიფიცირებელი მონაცემების სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (გამოძიებაზე პასუხისმგებელი და პროფესიულად დაინტერესებული ორგანოს) მიერ ფლობა, ამასთან, უფლების განგრძობ-

ბითი, პერმანენტული შეზღუდვა სადავო ნორმით გათვალისწინებული ხანგრძლივი დროის (2 წელი) განმავლობაში, იმავდროულად, ასეთი ინფორმაციის კონფიდენციალურობის და ხელშეუხებლობის მყარი, საკმარისი და ეფექტური გარანტიების არარსებობის პირობებში წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში გაუმართლებლად ინტენსიურ ჩარევას და, შესაბამისად, მის დარღვევას⁶⁰⁰.

იმავდროულად, სასამართლომ მიუთითა, რომ „... არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე და ... გადაუდებელი აუცილებლობის მდგომარეობის არარსებობისას უფლებამოსილი ორგანოს მიერ კოპირებულ და შენახულ მაიდენტიფიცირებელ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის რეალური რისკები. ეს კი, თავისთავად, ფიქციად აქცევს კანონის ზოგად ჩანაწერს ასეთი ინფორმაციის მოსამართლის განჩინებით ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. მაშასადამე, მაიდენტიფიცირებელი მონაცემების სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ შენახვის ფაქტი, მისი მხოლოდ მოსამართლის გადაწყვეტილებით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ეფექტური, საკმარისი გარანტიების გარეშე და შედეგად, მოსამართლის გვერდის ავლით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დაშვებით (ვერგამორიცხვით), ვერ აკმაყოფილებს კანონის ხარისხის მოთხოვნებს და იწვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული ფუნდამენტური უფლების დარღვევას⁶⁰¹.

4.3.1.3.2. რომან ზახაროვი რუსეთის წინააღმდეგ⁶⁰²

საქმეზე *Roman Zakharov v. Russia* ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა საკითხი, აკმაყოფილებდა თუ არა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სისტემა ხელისუფლების თვითნებობის წინააღმდეგ ჯეროვანი გარანტიების მოთხოვნებს.

ბატონმა ზახაროვმა, რომელიც იყო საგამომცემლო კომპანიის მთავარი რედაქტორი, ეროვნულ დონეზე დაიწყო დავა სამი მობილური ქსელის ოპერატორის წინააღმდეგ. იგი აცხადებდა, რომ ადგილი ჰქონდა მისი სატელეფონო კომუნიკაციის უფლებაში ჩარევას. კერძოდ, მისი მტკიცებით, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, მობილური ქსელის ოპერატორებმა დაამონტაჟეს სისტემა/დანადგარი, რომელიც ფედერალური

600 იქვე, II, 113-115.

601 იქვე, II, 116.

602 *Roman Zakharov v. Russia*, app. №47143/06, (ECtHR, 04.12.2015).

უშიშროების სამსახურს („ФЦБ“) აძლევდა საშუალებას, განეხორციელებინა სატელეფონო კომუნიკაციაზე მიყურადება წინასწარი სასამართლო ნებართვის გარეშე. ის მოითხოვდა აღნიშნული სისტემის/დანადგარის მოხსნას და კომუნიკაციაზე მხოლოდ ავტორიზებული პირების წვდომის უზრუნველყოფას. ეროვნულმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს ეს მოთხოვნა, მიიჩნიეს, რომ მან ვერ დაამტკიცა რომ ხდებოდა მისი სატელეფონო საუბრების მიყურადება და რომ მობილური ქსელის ოპერატორებმა გადასცეს ინფორმაცია არაავტორიზებულ პირებს. იმავედროულად, სასამართლოებმა დაადგინეს, რომ სისტემის/დანადგარის მონტაჟი თავისთავად არ არღვევდა მისი კომუნიკაციის უფლებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე ბატონი ზახაროვი აცხადებდა, რომ რუსეთში მობილური ტელეფონების კომუნიკაციების საიდუმლო მიყურადების სისტემა არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-8 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

ამ საქმეზე, სხვა არაერთ სტანდარტთან ერთად, მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება დასაშვებობის საკითხის თავისებურებებზე, რაც კომუნიკაციის თავისუფლების პოტენციურ დარღვევაზე დავის თანაარსია.

კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ტრადიციული მიდგომის თანახმად, კონვენცია არ წარმოადგენს *actio popularis* გამოყენების არეალს. სასამართლოს ვალდებულება არ არის, *in abstracto* განიხილოს შესაბამისი კანონები და პრაქტიკა, არამედ მან უნდა დაადგინოს, რამდენად იწვევს მათი გამოყენება ან გავლენა მომჩივნის მიმართ კონვენციის დარღვევას⁶⁰³. შესაბამისად, იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე საჩივრის წარდგენა, პირს უნდა შეეძლოს დაამტკიცოს, რომ იგი იყო „უშუალო დაზარალებული“.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო ამ ზოგად, რუტინულ მიდგომას არ იყენებს ხისტად, მექანიკურად. გამონაკლისი დაშვებულ იქნა საიდუმლო თვალთვალის სფეროში. საქმეში *Klass and Others v. Germany* სასამართლომ დაადგინა, რომ ინდივიდს, რიგ გარემოებებში შეუძლია მსხვერპლის სტატუსის მტკიცება საიდუმლო ზომების ნებადამრთავი კანონმდებლობის არსებობის ფაქტის გამო, ამ დროს არ არის სავალდებულო, პირმა ამტკიცოს, რომ ხსენებული ზომები მის მიმართაც იქნა გამოყენებული. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით: „ითვალისწინებს რა კონკრეტული საქმის

603 *N.C. v. Italy*, app. №24952/94, (ECtHR, [GC], 18.12.2002), §56; *Centre for Legal Resources on behalf of Valentin Câmpeanu v. Romania*, app. №247848/08, (ECtHR, [GC], 2014), §101. *Roman Zakharov v. Russia*, app. №47143/06, (ECtHR, 04.12.2015), §164.

განსაკუთრებულ გარემოებებს, ასკვნის, რომ ყოველი მომჩივანი უფლებამოსილია „იღავოს კონვენციის დარღვევის მსხვერპლის“ სტატუსით, მაშინაც კი, თუკი ვერ შეძლებს დაამტკიცოს, რომ უშუალოდ დაექვემდებარა კონკრეტული თვალთვალის ზომას. იმის განსაზღვრა, თუ რამდენად იყვნენ მომჩივნები რეალურად კონვენციის დარღვევის მსხვერპლნი, მოიცავს იმის დადგენასაც, თუ რამდენად არის გასაჩივრებული კანონმდებლობა, თავისთავად კონვენციის დებულებების შესაბამისი...“⁶⁰⁴. ეს მიდგომა სასამართლომ გაიმეორა არაერთ სხვა შემთხვევაშიც⁶⁰⁵. საქმეზე *Kennedy v. the United Kingdom* სასამართლომ აღნიშნა: „იმის შეფასებისას, თუ რამდენად შეუძლია ინდივიდს იღავოს ჩარევაზე საიდუმლო თვალთვალის ზომების ნებადამრთავი კანონმდებლობის მხოლოდ არსებობის გამო, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ეროვნულ დონეზე სამართლებრივი დაცვის მექანიზმების არსებობა და პირის მიმართ საიდუმლო თვალთვალის ზომების გამოყენების საფრთხე. როდესაც ადგილობრივ დონეზე არ არსებობს საიდუმლო თვალთვალის ზომების სავარაუდო გასაჩივრების შესაძლებლობა, საზოგადოების ეჭვი და წუხილი მასზედ, რომ საიდუმლო თვალთვალის უფლებამოსილება ბოროტად შეიძლება იქნას გამოყენებული, ვერ იქნება უსაფუძვლო. ასეთ შემთხვევებში, მაშინაც კი, როდესაც თვალთვალის რეალური საფრთხე დაბალია, არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მხრიდან შემოწმების უფრო დიდი საჭიროება“⁶⁰⁶.

ზახაროვის საქმეზეც სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული კანონმდებლობა პირდაპირ ახდენდა გავლენას მობილური სატელეფონო სერვისის ყველა მომხმარებელზე, რადგან მან საუფუძველი ჩაუყარა საიდუმლო მიყურადების სისტემას, რომლის ფარგლებშიც ეროვნული პროვაიდერის მობილური სატელეფონო სერვისით მოსარგებლე ნებისმიერი პირის კომუნიკაცია შეიძლებოდა დაქვემდებარებოდა მიყურადებას ისე, რომ პირი ამის შესახებ ვერასდროს შეიტყობდა. ამასთან, ეროვნული კანონმდებლობა არ სთავაზობდა ეფექტიანი დაცვის საშუალებას იმ პირებს, რომლებსაც ეჭვი ჰქონდათ, რომ ექვემდებარებოდნენ საიდუმლო თვალთვალს/მიყურადებას. ამიტომ შესაბამისი კანონმდებლობის *in abstracto* შეფასება გამართლებული იყო. მომჩივანს არ სჭირდებოდა მტკიცება/

604 *Klass and Others v. Germany*, app. №5029/71, (ECtHR, 05.09.1978), §38.

605 *Weber and Saravia v. Germany*, app. №54934/00, (ECtHR, 29.06.2006), §78; *Iordachi and Others v. Moldova*, app. №25198/02, (ECtHR, 10.02.2009), §30-35; *Malone v. the United Kingdom*, app. №8691/79, (ECtHR, 02.08.1984), §64.

606 *Kennedy v. the United Kingdom*, app. №26839/05, (ECtHR, 18.05.2010), §124.

დემონსტრირება, რომ ის პირადად იმყოფებოდა საიდუმლო მიყურადების საფრთხის წინაშე. შესაბამისად, მას ჰქონდა კონვენციის დარღვევის მსხვერპლის სტატუსის მოთხოვნის უფლება. სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული კანონმდებლობის არსებობის თავად ფაქტი თავისთავად წარმოადგენდა ჩარევას მე-8 მუხლით დაცულ უფლებებში⁶⁰⁷.

ამის შემდეგ ევროპულ სასამართლოს უნდა გაერკვია, ჩარევა შეესაბამებოდა თუ არა კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებს: ა) „ჩარევა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით“ და ბ) „აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

სასამართლომ ყველა რელევანტურ საქმეზე აღნიშნა, რომ როდესაც საკითხი ეხება ფარული თვალთვალის/მიყურადების მომწესრიგებელ კანონმდებლობას, ჩარევის „კანონიერება“ მჭიდროდ უკავშირდება ხოლმე „აუცილებლობის“ ტესტის დაკმაყოფილებას და, შესაბამისად, გონივრულია, სასამართლომ ერთობლივად განიხილოს მოთხოვნების – „კანონის შესაბამისად“ და „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ დაცვა⁶⁰⁸. ამ კონტექსტში „კანონის ხარისხი“ გულისხმობს, რომ ეროვნული კანონი უნდა იყოს არა მხოლოდ ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი, არამედ ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ ფარული თვალთვალის/მიყურადების ღონისძიებების გამოყენება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც არის „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, რაც შესაძლებელია უფლების ბოროტად გამოყენებისაგან ადეკვატური და ეფექტიანი დაცვის მექანიზმებისა და გარანტიების დაწესების გზით.

607 აღსანიშნავია, რომ ზუსტად იგივე სტანდარტი აქვს დადგენილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსაც 2006 წლის 14 ნოემბრის საოქმო ჩანაწერით №1/7/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე – ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. გასაჩივრებული იყო „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა, რომელიც იძლეოდა მოსამართლის გადაწყვეტილების გარეშე სატელეფონო მოსმენების განხორციელების შესაძლებლობას. სარჩელი არსებითად განსახილველად მიღებულ იქნა, რადგან სადავო ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოსარჩელისთვის შეუძლებელი იყო არა მხოლოდ უფლების შესაძლო დარღვევის, არამედ უკვე დარღვეული უფლების ფაქტზეც კონკრეტული და უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენა. იმავედროულად, მაღალი იყო ალბათობა, რომ მოსარჩელე სადავო ნორმით გათვალისწინებული ურთიერთობების მონაწილე გამხდარიყო. შემდგომში კომუნიკაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული ყველა სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების სტადიაზე სასამართლომ ამ კრიტერიუმით იხელმძღვანელა და დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის მოთხოვნის გარეშე მიიღო საქმეები განსახილველად.

608 *Kennedy v. the United Kingdom*, app. №26839/05, (ECtHR, 18.05.2010), §155; *Kvasnica v. Slovakia*, app. №72094/01, (ECtHR, 09.06.2009), §84.

სასამართლომ სკრუპულოზურად შეამოწმა, აკმაყოფილებდა თუ არა ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სისტემა ხელისუფლების თვითნებობის წინააღმდეგ ჯეროვანი გარანტიების მოთხოვნებს:

1. ხელმისაწვდომობა

სასამართლომ დაადგინა, რომ გამოსაყენებელი კანონი იყო ხელმისაწვდომი. მხარეებს შორისაც არ იწვევდა დავას, რომ საიდუმლო თვალთვალის/მიყურადების მარეგულირებელი თითქმის ყველა სამართლებრივი დებულება ოფიციალურად იყო გამოქვეყნებული და ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის⁶⁰⁹.

2. საიდუმლო ღონისძიებების გამოყენების მასშტაბი

როგორც უკვე აღინიშნა, ევროპული სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, ეროვნული კანონმდებლობა უნდა იყოს დეტალურად ინფორმატიული საიდუმლო თვალთვალის/მიყურადების ღონისძიებების გამოყენების მასშტაბის თაობაზე, ასევე ადამიანებს უნდა აწვდიდეს საკმარის და განჭვრეტად ინფორმაციას, თუ რა პირობებში აქვთ სახელმწიფო ორგანოებს მსგავსი ზომების გატარების უფლება.

მოცემულ შემთხვევაში, შესაბამისი კანონმდებლობა ადგენდა, რომ სატელეფონო ან სხვა კომუნიკაციის მიყურადება შესაძლებელი იყო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევაში (დანაშაულები, რომელთათვისაც სისხლის სამართლის კოდექსი აწესებდა სამ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას). ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კანონში საკმარისად ნათლად იყო გაწერილი იმ დანაშაულთა ბუნება, რომელიც შესაძლოა გამხდარიყო მიყურადების საფუძველი. თუმცა შემოფოთებას იწვევდა ის ფაქტი, რომ ეროვნული კანონმდებლობა კომუნიკაციების საიდუმლო მიყურადებას უშვებდა დანაშაულების ძალიან ფართო სპექტრთან მიმართებაში, მათ შორის, ჯიბის ქურდობისთვისაც. ასევე, მიყურადება შესაძლებელი იყო არა მხოლოდ ეჭვმიტანილის ან ბრალდებულის, არამედ იმ პირთა მიმართაც, რომლებიც სავარაუდოდ ფლობდნენ ინფორმაციას დანაშაულის შესახებ. სასამართლომ სხვა საქმეებზე დაადგინა, რომ მიყურადების ზომები იმ პირთან მიმართებაში, რომელიც ფლობს დანაშაულის შესახებ ინფორმაციას, შესაძლოა გამართლებული იყოს კონვენციის მე-8 მუხლით, თუმცა მოცემულ საქმეზე ეროვნული კანონმდებლობა არ განმარტავდა, ვინ შეიძლებოდა ამ კატეგორიაში მოხვედრილიყო.

609 *Roman Zakharov v. Russia*, app. №47143/06, (ECtHR, 04.12.2015), §241-242.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა კანონის არაგანჭვრეტადობაზე იმ თვალსაზრისითაც, რომ ის ხელისუფლების ორგანოებს ანიჭებდა პრაქტიკულად შეუზღუდავ დისკრეციულ უფლებამოსილებას, თავად განესაზღვრათ, რომელი მოვლენები ან ქმედებები წარმოადგენდა პოტენციურ საფრთხეს რუსეთის ეროვნული, სამხედრო, ეკონომიკური ან ეკოლოგიური უსაფრთხოებისთვის, ასევე შეეფასებინათ ასეთი საფრთხის სერიოზულობა საიდუმლო თვალთვალის/მიყურადების გასამართლებლად, რაც ქმნიდა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას⁶¹⁰.

3. საიდუმლო თვალთვალის/მიყურადების ღონისძიებების ხანგრძლივობა

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ, მართალია, ეროვნული კანონმდებლობა შეიცავდა მკაფიოდ ჩამოყალიბებულ წესებს მიყურადების ხანგრძლივობისა და განახლების შესახებ, მაგრამ არაგანჭვრეტადი იყო ამ ზომების შეწყვეტის მომწესრიგებელი შესაბამისი დებულებები, რადგან არ შეიცავდა საკმარისად ნათელ გარანტიებს უფლებაში თვითნებური ჩარევის წინააღმდეგ⁶¹¹.

4. მოპოვებული მონაცემების შენახვის, წვდომის, შესწავლის, გამოყენების, გადაცემისა და განადგურების პროცედურები

ეროვნული კანონმდებლობა ნათლად არეგულირებდა მიყურადების ღონისძიების შედეგად მოპოვებული მონაცემების შენახვის, გამოყენების და გადაცემის პროცედურას, რითაც ამცირებდა მასზე არაუფლებამოსილი წვდომისა თუ გასაჯაროების საფრთხეს. ამასთან, კანონი ითვალისწინებდა ასეთი მასალის შენახვის ექვსთვიან ვადას, თუკი არ მოხდებოდა პირის მსჯავრდება სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენაში, რაც ევროპულმა სასამართლომ ასევე გონივრულ პირობად მიიჩნია. თუმცა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ პრობლემებზე: ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ნებისმიერი იმ მონაცემის დაუყოვნებლივ განადგურების ვალდებულებას, რომელიც არ ემსახურებოდა/შეესაბამებოდა მიყურადების მიზნებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამკარად არარელევანტური მონაცემის ავტომატურად ექვსი თვის განმავლობაში შენახვა ვერ იქნებოდა გამართლებული კონვენციის მე-8 მუხლით. ასევე პრობლემატური იყო ის გარემოება, რომ პირის, რომელიც დაექვემდებარა მიყურადებას,

610 §243-249.

611 §250-252.

მსჯავრდების შემთხვევაში, საქმის განმხილველ მოსამართლეს ჰქონდა შეუზღუდავი დისკრეციული უფლებამოსილება, მოეთხოვა მტკიცებულებად გამოყენებული მასალის შემდგომი შენახვა ან განადგურება⁶¹².

5. მიყურადების ავტორიზაციის/ნებართვის პროცედურა

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, კომუნიკაციის ნებისმიერ მიყურადებაზე ნებართვა/ავტორიზაცია უნდა გაეცა სასამართლოს. თუმცა სასამართლოების მხრიდან შეფასება შეზღუდული ფორმით ხორციელდებოდა. კერძოდ, მოსამართლეს არ გადაეცემოდა მასალა, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას საიდუმლო აგენტებისა თუ პოლიციის ინფორმაციის წყაროების, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ორგანიზებისა და ტაქტიკის შესახებ. შედეგად, შესაბამისი ინფორმაციის სასამართლოსადმი მიუწოდებლობა ართმევდა მათ საშუალებას, შეეფასებინათ, არსებობდა თუ არა საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი, ეჭვი შეეგანათ იმ პირის მიერ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის შესაძლო ჩადენის ან ეროვნული, სამხედრო, ეკონომიკური ან ეკოლოგიური უშიშროებისათვის საფრთხის შექმნის თაობაზე, რომლის მიმართაც მოითხოვებოდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელება.

იმავედროულად, ეროვნული კანონმდებლობა არ შეიცავდა არანაირ მოთხოვნას ავტორიზაციის შინაარსთან დაკავშირებით. შედეგად, სასამართლოები რიგ შემთხვევებში გასცემდნენ ნებართვას დანაშაულის ჩადენის ზონაში ყველა სატელეფონო კომუნიკაციის მიყურადების შესახებ ისე, რომ არ აკონკრეტებდნენ პირს ან ტელეფონის ნომერს, ასევე ხშირად არ მიუთითებდნენ, რა ვადით გასცემდნენ მიყურადების ნებართვას. ამგვარი ავტორიზაციები ძალიან ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებდა სამართალდამცავ ორგანოებს იმის დასადგენად, თუ რომელ კომუნიკაციას და რა ვადით მიაყურადონ.

ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე დაადგინა, რომ ავტორიზაციის შინაარსთან დაკავშირებით აუცილებელია, ნათლად განისაზღვროს კონკრეტულ პირთა ვინაობა, რომლებიც უნდა დაექვემდებარონ თვალთვალს/მიყურადებას ან მოხდეს ცალკეულ შენობათა იდენტიფიცირება, რომელთა მიმართებაშიც გაიცემა ნებართვა. ასეთი ნებართვა უნდა შეიცავდეს სახელებს, მისამართებს, ტელეფონის ნომრებსა და ყველა სხვა რელევანტურ ინფორმაციას⁶¹³.

612 §253-256.

613 *Kennedy v. the United Kingdom*, app. №26839/05, (ECtHR, 18.05.2010), §160; *Liberty and Others v. the United Kingdom*, app. №58243/00, (ECtHR, 01.07.2008), §§64, 65;

კანონმდებლობა ასევე არ ქმნიდა შესაბამის გარანტიებს გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში ჩასატარებელ/ჩატარებულ მიყურადების ღონისძიებებზე ეფექტური სასამართლო კონტროლისთვის. კერძოდ, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებში შესაძლებელი იყო კომუნიკაციის მიყურადება წინასწარი სასამართლო ავტორიზაციის გარეშე, ვადით 48 საათამდე. თუმცა კანონით არ იყო გაწერილი გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლები, ამიტომ არ იყო უზრუნველყოფილი მისი მხოლოდ სათანადოდ გამართლებულ შემთხვევებში გამოყენების საკითხი. შედეგად, კანონი შესაბამის ორგანოებს აძლევდა განუსაზღვრელ დისკრეციულ უფლებამოსილებას, დაედგინათ გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება, რითაც ქმნიდა უფლების ბოროტად გამოყენების საშუალებას. მართალია, ეროვნული კანონმდებლობით მოსამართლისათვის დაუყოვნებლივ უნდა ეცნობებინათ გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით მიყურადების შესახებ, მაგრამ მოსამართლის უფლებამოსილება შემოიფარგლებოდა მიყურადების 48 საათის შემდეგ გაგრძელების აუცილებლობის საკითხის შეფასებით. შესაბამისად, რუსეთის კანონმდებლობა არ იძლეოდა იმის შემოწმების შესაძლებლობას, არსებობდა თუ არა რეალური საფუძველი გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაზე აპელირებით, სასამართლოს გარეშე ფარული ღონისძიების ჩასატარებლად.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის კანონმდებლობით გათვალისწინებული ავტორიზაციის პროცედურა ვერ უზრუნველყოფდა საიდუმლო მიყურადების ზომების შემთხვევით, ქაოტურ, არარეგულარულ ან სათანადო და ჯეროვანი განხილვის გარეშე გამოყენების თავიდან აცილებას.

დამატებით სირთულეს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ეროვნული კანონმდებლობით სამართალდამცავ ორგანოებს არ ეკისრებოდათ კომუნიკაციების სერვისის პროვაიდერებისათვის სასამართლოს ნებართვის წინასწარ წარდგენის ვალდებულება. ხოლო, თავის მხრივ, სერვისის პროვაიდერს ეკისრებოდა ვალდებულება, დაეყენებინა სისტემა/დანადგარი, რომელიც ხელისუფლებას მისცემდა ყველა მომხმარებლის მობილური ტელეფონის კომუნიკაციაზე პირდაპირი წვდომის შესაძლებლობას⁶¹⁴.

6. საიდუმლო თვალთვალის/მიყურადების ღონისძიებების განხორციელებაზე ზედამხედველობა

ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა გარე კონტროლის ეფექტურ მექანიზმებს. არსებული საზედამხედველო სისტემა არ იძლე-

614 *Roman Zakharov v. Russia*, app. №47143/06, (ECtHR, 04.12.2015), §258-267.

ოდა სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩატარებული მიყურადების ფაქტების გამოვლენის შესაძლებლობას. ხელისუფლების სათანადო ორგანოებს (სამართალდამცავ ორგანოებს) ჰქონდათ კომუნიკაციაზე პირდაპირი/უშუალო წვდომის ტექნიკური საშუალება, რაც აზრს უკარგავდა ნებისმიერ საზედამხედველო მექანიზმს და გამორიცხავდა მიყურადების კანონიერების შემოწმების შესაძლებლობას. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ასეთი სისტემა იყო არაეფექტური უფლებაში თვითნებური ჩარევის საწინააღმდეგოდ.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებაზეც: როდესაც მიყურადება ხორციელდებოდა სათანადო სასამართლო ნებართვის საფუძველზე, სასამართლო ზედამხედველობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ თავდაპირველი ავტორიზაციის ეტაპით. მას არ გააჩნდა კომპეტენცია, განეხორციელებინა ზედამხედველობა მის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე ჩატარებული ფარული ღონისძიების იმპლემენტაციაზე. რუსეთის სასამართლოებს მიყურადების ზოგადი ზედამხედველობის კომპეტენცია არ ჰქონდათ. შემდგომი ზედამხედველობა ეკისრებოდათ პრეზიდენტს, პარლამენტს, მთავრობას, გენერალურ პროკურორსა და ქვედა რგოლის პროკურორებს. ამასთან, ეროვნული კანონმდებლობა არ განსაზღვრავდა ამ ორგანოების/თანამდებობის პირების მიერ მიყურადებაზე ზედამხედველობის არანაირ წესს. არ არსებობდა საჯაროდ ხელმისაწვდომი რეგულაციები ან ინსტრუქციები, რომელიც აღწერდა მათ მიერ შეფასების მასშტაბს, პირობებს, საზედამხედველო ზომების განხილვის პროცედურას და დარღვევების გამოსწორების შესაძლებლობას. მართალია, საკანონმდებლო ბაზა თოვრიულად ადგენდა პროკურორების მიერ გარკვეული ზედამხედველობის წესებს, თუმცა, ფაქტობრივად, ეს ვერ წარმოადგენდა ადეკვატურ და ეფექტურ გარანტიას დარღვევის წინააღმდეგ⁶¹⁵.

7. მიყურადების შესახებ შეტყობინება და სამართლებრივი დაცვის ხელმისაწვდომი საშუალებანი

ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე აღნიშნა, რომ ფარული ღონისძიების დასრულების შემდეგ, როგორც კი შესაძლებელი იქნება, შეზღუდვის მიზანზე ნეგატიური გავლენის მოხდენის გარეშე, ინფორმაცია თვალთვალის შესახებ უნდა მიეწოდოს შესაბამის პირს⁶¹⁶.

615 §272-285.

616 *Klass and Others v. Germany*, app. №5029/71, (ECtHR, 05.09.1978), §58, *Weber and Saravia v. Germany*, app. №54934/00, (ECtHR, 29.06.2006), §135.

წინამდებარე საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის კანონმდებლობით, პირები, რომელთა კომუნიკაციაც დაექვემდებარა მიყურადებას, არასდროს არ იღებდნენ შეტყობინებას ამ ფაქტის შესახებ. შესაბამისად, თუ პირის წინააღმდეგ არ აღიძვრებოდა სისხლის სამართლის საქმე, რომლის ფარგლებშიც მოხდებოდა მიყურადებული მონაცემების მტკიცებულებად გამოყენება, ან თუ ინფორმაცია არ გაჟონავდა, ნაკლებად სავარაუდო იყო, რომ პირს შეეტყო მისი კომუნიკაციების მიყურადების შესახებ. ინფორმაციაზე წვდომა დამოკიდებული იყო იმაზე, რამდენად შეძლებდა პირი დაემტკიცებინა, რომ მოხდა მისი კომუნიკაციის ფარული მიყურადება. ასევე, მიყურადების ობიექტს არ ჰქონდა წვდომა იმ დოკუმენტებზე, რომლებიც ეხებოდა მისი კომუნიკაციების მიყურადებას. მსგავსი ინფორმაცია გაიცემოდა უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, კერძოდ, როდესაც ვერ მოხდებოდა პირის ბრალის დადასტურება და თუკი ინფორმაცია არ შეიცავდა სახელმწიფო საიდუმლოებას. იმის გამო, რომ რუსეთის კანონმდებლობით ინფორმაცია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში გამოყენებული საშუალებების, მეთოდების, ჩართული პირებისა და შეგროვებული ინფორმაციის შესახებ წარმოადგენდა სახელმწიფო საიდუმლოს, მიყურადების შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა იყო უკიდურესად შეზღუდული⁶¹⁷.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ რუსეთში კომუნიკაციების მიყურადების მარეგულირებელი სამართლებრივი დებულებანი არ განსაზღვრავდნენ ადეკვატურ და ეფექტიან გარანტიებს უფლებაში ჩარევის თვითნებობისა და იმ საფრთხისაგან დასაცავად, რომელიც განუყოფელია საიდუმლო თვალთვალის/მიყურადების სისტემებისგან და რომელიც განსაკუთრებით მაღალია იმ სისტემაში, სადაც საიდუმლო სამსახურებსა და პოლიციას აქვთ პირდაპირი წვდომა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ყველა მობილურ სატელეფონო კომუნიკაციაზე. შედეგად, ეროვნული კანონმდებლობა კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისთვის არ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს: ჩარევა უნდა იყოს „კანონის შესაბამისი“ და „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

4.3.2. საცხოვრებელი ადგილისა და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობა

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ასევე იცავს ადამიანის პირადი სივრცის ისეთ უფლებრივ ასპექტს, როგორცაა საც-

617 *Roman Zakharov v. Russia*, app. №47143/06, (ECtHR, 04.12.2015), §298.

ხოვრებლისა და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლება. კერძოდ, დასახელებული დებულების თანახმად: „არავის აქვს უფლება, შევიდეს საცხოვრებელ ან სხვა მფლობელობაში მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ჩაატაროს ჩხრეკა“.

საცხოვრებლისა და სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის უფლების უზრუნველსაყოფად კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი კრძალავს:

ა) ადამიანის საცხოვრებელში ან სხვა მფლობელობაში შესვლას, მფლობელი პირის ნების საწინააღმდეგოდ;

ბ) ადამიანის საცხოვრებელ სახლში ან სხვა მფლობელობაში ჩხრეკის ჩატარებას.

საცხოვრებელსა და სხვა მფლობელობაში იგულისხმება: ადამიანის საცხოვრებელი ბინა/სახლი, ნებისმიერი სხვა მფლობელობა, სადაც ის მუდმივად ან დროებით ცხოვრებს (ამასთან, თანაბარად დაცულია საკუთარი ან, მაგალითად, დაქირავებული სახლი), ბინა აგარაკზე, ეზო, სასტუმროში დროებით დაკავებული ოთახი/ოთახები, კარავი, იახტა (საკუთარი ან დაქირავებული) და სხვა. ასევე იგულისხმება პირადი საქმიანობის ადგილი: სამუშაო ოფისი, სამსახურის ოთახი/ოთახები, პირის საცხოვრებლის ნაწილში განთავსებული ოთახი (სარდაფი, ავტოფარეხი), როდესაც პირი თვითდასაქმებულია და სხვა. „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ტერმინს „საცხოვრებელი“ აქვს ავტონომიური მნიშვნელობა. კერძოდ, ჩაითვლება თუ არა გარკვეული ადგილი „საცხოვრებელად“ კონვენციის მიზნებისათვის, უნდა განისაზღვროს კონკრეტული გარემოებების გულდასმით განხილვის შედეგად. ზოგადად, საცხოვრებელი განიმარტება, როგორც ადგილი, სადაც ადამიანი მუდმივად ცხოვრობს ან რომელთანაც ადამიანს აქვს საკმარისი და უწყვეტი კავშირი. „საცხოვრებლის“ კონცეფცია მოიცავს შემდეგს: დასასვენებელი საცხოვრებლები; მეორე საცხოვრებელი; სასტუმროები, რომლებშიც პირები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობენ; დაქირავები ფართი, სადაც პირი ცხოვრობს; სოციალური საცხოვრებელი, რომელიც დაკავებულია; ბიზნესშენობები, რომლებშიც არ არსებობს მკაფიო განსხვავება პიროვნების საოფისე და კერძო რეზიდენციას შორის ან კერძო და ბიზნეს საქმიანობებს შორის, კომპანიის რეგისტრირებული ოფისი, ფილიალები ან სხვა ბიზნეს შენობები; არატრადიციული საცხოვრებლები, როგორცაა ქარავანი და სხვა არაფიქსირებული საცხოვრებელი ადგილი“⁶¹⁸.

618 ბ. ბოხაშვილი, კ. კორკელია, „პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები“, 2017, გვ. 264-265.

კონსტიტუცია ქმნის რა გარანტიას თითოეული ადამიანისთვის, დაცული იყოს მისი ნების საწინააღმდეგოდ მის საცხოვრებელში, სხვა მფლობელობაში შესვლის თუ ჩხრეკის ჩატარებისგან, იმავდროულად, დასაშვებად მიიჩნევა ამ უფლებრივი კომპონენტის შეზღუდვას კომუნიკაციის თავისუფლების შეზღუდვისთვის დადგენილი იდენტური მიზნებით და საფუძვლებით. კერძოდ, შეზღუდვა დასაშვებია: ა) მხოლოდ კანონის შესაბამისად; ბ) მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი შემდეგი ლეგიტიმური მიზნების დასაცავად: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სხვათა უფლებების დაცვა; გ) მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშეც, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. გადაუდებელი აუცილებლობისას უფლების შეზღუდვის შესახებ არაუგვიანეს 24 საათისა უნდა ეცნობოს სასამართლოს, რომელიც შეზღუდვის კანონიერებას ადასტურებს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა.

ამ შემთხვევაშიც, ერთი მხრივ, უფლების შემზღუდავი კანონის მიმართ ძალაშია „კანონის ხარისხის“ დაკმაყოფილების მოთხოვნა, ხოლო, მეორე მხრივ, სამართალშემფარდებელი შებოჭილია უფლებაში მხოლოდ ლეგიტიმური მიზნების არსებობისას თანაზომიერი ჩარევის უპირობო ვალდებულებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საცხოვრებლის ან კერძო საკუთრების ჩხრეკამ შეიძლება ხელჰყოს საცხოვრებლის პატივისცემის უფლება, თუ ის არ იქნება გამოყენებული კანონით დადგენილი წესით, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას და როგორც აუცილებელი საშუალება. მაგალითად, საქმეზე *Buck v. Germany*⁶¹⁹ ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩხრეკის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ასეთი საჭიროების ობიექტურად არსებობის ძალიან სკრუპულოზურად შეფასების საფუძველზე. ამ საქმეში სამართალდარღვევა, რომლის გამოძიების ფარგლებშიც გაიცა ბრძანება ჩხრეკის შესახებ, შეეხებოდა საგზაო მოძრაობის წესის დარღვევას. ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე: ბრძანება ჩხრეკისა და ამოღების შესახებ გაცემული იყო მართლწესრიგის უმნიშვნელო დარღვევის გამო, რომელიც, სავარაუდოდ, ჩაიდინა მესამე პირმა. თავად მოსარჩელე არ იყო ეჭვმიტანილი რაიმე დანაშაულში/სამართალდარღვევის ჩადენაში. შედეგად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა უფლების დარღვევა, რადგან ასეთი ჩარევა არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო კანონიერი მიზნის პროპორციულ საშუალებად.

619 *Buck v. Germany*, app. №41604/98, (ECtHR, 28.04.2005).

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირადი ცხოვრების უფლების ფარგლებში, კერძოდ კი საცხოვრებლის ხელშეუხებლობის კომპონენტთან მიმართებით, განიხილა რამოდენიმე საქმე, როდესაც: გარემოს დაბინძურება გავლენას ახდენდა პირების მიერ საკუთარი საცხოვრებლით ჯეროვნად სარგებლობის შესაძლებლობაზე⁶²⁰ ან/და სხვა გარემო პირობები (მაგალითად, ხმაური ღამის კლუბებიდან ან აეროპორტის თუ რკინიგზის სადგურიდან მათ სიახლოვეს ცხოვრების გამო და სხვა) არაპროპორციულ გავლენას ახდენდა საცხოვრებლისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე⁶²¹.

როგორც აღინიშნა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-20 მუხლის ფარგლებში (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია), ამოიკითხა პიროვნების ჩხრეკის/დათვალიერების კონსტიტუციური გარანტიები. კერძოდ, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა კონსტიტუციის მე-20 მუხლის შინაარსის განვრცობის პერსპექტივებზე ამავე მუხლით დაცული უფლებრივი კომპონენტების არსის გათვალისწინებით. „საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის მიზანი უკავშირდება მასში ჩამოთვლილი სიკეთის ხელშეუხებლობის დაცვას. რაც შეეხება ზოგადად „პირადი ცხოვრების“ ხსენებას, იგი ემსახურება იმ ინტერესის ხაზგასმას, რომლის გამოც პირადი მიმოწერის, სახლის ან სამუშაო ადგილის ხელშეუხებლობა არის დაცული. თუ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ შეიქმნება ახალი ინსტიტუტები, რომლებიც პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მატარებლები იქნება, ეს ზოგადი ფრაზა ჩამონათვალს გახსნის და იმ მოვლენების დაცვის საშუალებას მისცემს სასამართლოს, რომლებიც ნორმაში პირდაპირ ჩამოთვლილი არ არის. მაგალითად, მიუხედავად თითქოსდა დეტალური ჩამონათვალისა, მე-20 მუხლი არ მოიცავს თავად ადამიანის ჩხრეკას, თუმცა, უდავოა, რომ სწორედ მე-20 მუხლი იცავს პიროვნების ხელშეუხებლობას, მხოლოდ ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით არის შესაძლებელი პიროვნების, მისი სხეულის, ტანსაცმლის ან/და პირადი ნივთების შემოწმება“⁶²². იგივე მოსაზრება საკონსტიტუციო

620 *Lopez Ostra v. Spain*, app. №16798/90, (ECtHR, 09.12.1994); *Giacomelli v. Italy*, app. №59909/00, (ECtHR, 02.11.2006); *Fadeyeva v. Russia*, app. №55723/00, (ECtHR, 09.06.2005); *Dzemyuk v. Ukraine*, app. №42488/02, (ECtHR, 04.09.2014).

621 *Moreno Gómez v. Spain*, app. №4143/02, (ECtHR, 16.11.2004); *Bor v. Hungary*, app. №50474/08, (ECtHR, 18.06.2013); *Zammit Maempel v. Malta*, app. №24202/10, (ECtHR, 22.11.2011).

622 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება №1/2/458 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

სასამართლომ გაიმეორა 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებაში, როდესაც შეაფასა პოლიციელის მიერ შეჩერებული პირის ტანსაცმელზე ზედაპირული შემოწმების ჩატარების დამდგენი ნორმის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლთან მიმართებით⁶²³. ასევე, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ სასამართლომ შეაფასა ნორმები, რომლებიც განსაზღვრავდა პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებული/მსჯავრდებული პირების სრული პირადი შემოწმების საფუძვლებსა და წესს. კერძოდ, სადავო ნორმებით გათვალისწინებული ღონისძიება გულისხმობდა პირების შემოწმებას, რომლის ფარგლებშიც პირი ვალდებული იყო, გაიხადოს ან გაიშვივლოს სხეულის შესაბამისი ნაწილები⁶²⁴.

4.4. პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით“.

მნიშვნელოვანია, რომ 2017 წლის კონსტიტუციური ცვლილებების შედეგად მოხდა პირადი და ოჯახური ცხოვრების კომუნიკაციის თავისუფლებისგან დამოუკიდებლად რეგულირება (ეს უკანასკნელი მე-15 მუხლის მე-2 პუნქტითაა რეგლამენტირებული). მიუხედავად იმისა, რომ პირად და ოჯახურ ცხოვრებაში მხოლოდ თანაზომიერი ჩარევის უზრუნველსაყოფად კონსტიტუციის ფორმალური და მატერიალური მოთხოვნები კომუნიკაციის თავისუფლებაში ჩარევის კონსტიტუციური საფუძვლების იდენტიფიკაცია, (კერძოდ, ა) უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის შესაბამისად; ბ) დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი შემდეგი ლეგიტიმური მიზნების დასაცავად: სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სხვათა უფლებების დაცვა), სხვაობა

როს წინააღმდეგ, II, 17.

623 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503/513 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

624 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება №2/4/665,683 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ.

არის ჩარევის სავალდებულო წინაპირობებში – კომუნიკაციის თავისუფლების შეზღუდვა, პირადი და ოჯახური ცხოვრების შეზღუდვისგან განსხვავებით, დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. ეს სხვაობა მნიშვნელოვანია, რადგან თუკი ამ პირობების დაკმაყოფილება კრიტიკულად აუცილებელია ადამიანის პირადი სივრცის, კომუნიკაციისა და საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლებების ხელისუფლების თვითნებობისაგან დასაცავად, იმავე წინაპირობებით ხელისუფლების სავალდებულო შეზღუდვა ოჯახური ცხოვრების უფლებაში ნებისმიერი (თითოეული, ყველა) ჩარევის გასამართლებლად, არასწორი ტვირთი იქნება როგორც საჯარო, ისე კერძო ინტერესებისთვის. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციურ ცვლილებებამდე სწორედ იმ გარემოებამ, რომ კონსტიტუციის მე-20 მუხლში (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) პირადი ცხოვრება მოხსენიებული იყო კომუნიკაციის თავისუფლებასთან ერთად შეზღუდვის იდენტური წინაპირობებით (ჩარევა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას), ავტომატურად გამოირიცხა ამ მუხლით პირადი და ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტური უფლებრივი ასპექტების დაცვის შესაძლებლობა და ლოგიკურად უბიძგა მათი კონსტიტუციის მე-16 მუხლის ფარგლებში განმარტებისკენ.

4.4.1. ოჯახური ცხოვრების უფლება

ოჯახური ცხოვრება პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ის მოიცავს საკითხების ფართო წრეს და ვითარდება საზოგადოების ცნობიერების ევოლუციის თუ სოციალური ცვლილებების ადეკვატურად, რაც მიუთითებს მომავალშიც ამ უფლებით დაცული საკითხების გაფართოების კანონზომიერებასა და მოსალოდნელობაზე.

ოჯახური ცხოვრების უფლებით უპირატესად დაცულია ოჯახური კავშირები (ბიოლოგიური ან თანაცხოვრებით ჩამოყალიბებული) – ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობა, მათი თანაცხოვრების ასპექტები. დაცულია როგორც სამართლებრივად რეგისტრირებული, ისე *de facto* ოჯახური კავშირები. თანამედროვე საზოგადოებაში ქორწინება, მისი ინსტიტუციური მნიშვნელობის მიუხედავად, აღარ განიხილება ოჯახის შექმნის ერთადერთ გზად, რადგან ურთიერთობების ფორმალიზება არ შეიძლება იყოს მიზანი, ეს არის შესაძლებლობა პირადი ცხოვრების საკუთარი შეხე-

დღულებისამებრ განვითარებისთვის. ოჯახის შექმნის უფლება თავისთავად მიუთითებს ადამიანების თავისუფლებაზე, საკუთარი არჩევანის და სურვილის მიხედვით გადადგან ეს ნაბიჯი (შექმნან ოჯახი), ავტონომიურად წარმართონ ოჯახური ცხოვრება. ეს არის არჩევანი პირადი ცხოვრების კონკრეტულ შინაარსზე, რაც პიროვნების ფუნდამენტური უფლებაა, რის გამოც ის არ შეიძლება უპირობოდ იყოს შეზღუდული ერთი უალტერნატივო ფორმით (ქორწინებით) ურთიერთობის დამყარების ვალდებულებით. უფლება ქორწინებაზე ასევე დამოუკიდებელი არჩევანის სფეროა. ადამიანებს აქვთ უფლება, ოჯახური ცხოვრება დააფუძნონ ქორწინებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ოჯახური ცხოვრება მოიცავს როგორც ქორწინებაზე, ისე ფაქტობრივ თანაცხოვრებაზე დაფუძნებულ ურთიერთობას. „ოჯახური ცხოვრების“ ცნება „არ შემოიფარგლება მხოლოდ ქორწინების საფუძველზე შექმნილი ოჯახებით და შეიძლება მოიცვას სხვა *de facto* ურთიერთობები“⁶²⁵. „ოჯახური ცხოვრების“ არსებობა ან არარსებობა ძირითადად არის ფაქტის საკითხი, რომელიც დამოკიდებულია ახლო პირადი კავშირების რეალურ არსებობაზე⁶²⁶. შესაბამისად, სასამართლო ფაქტობრივ ურთიერთობაში მყოფ წყვილს ასევე უწოდებს მეუღლეებს⁶²⁷.

იმავედროულად, მნიშვნელოვანია, დადგინდეს გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაში ფაქტობრივი ურთიერთობა ჩაითვლება ოჯახურ ცხოვრებად⁶²⁸. ამ კონტექსტში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს რამოდენიმე გარემოებაზე: „როდესაც წყდება საკითხი, შეიძლება თუ არა ურთიერთობა შეადგენდეს „ოჯახურ ცხოვრებას“, რიგი ფაქტორებისა შეიძლება უკავშირდებოდეს ამას, მათ შორის, ცხოვრობს თუ არა წყვილი ერთად, რამდენად ხანგრძლივია მათი ურთიერთობა და გამოავლინეს თუ არა მათ ვალდებულება ერთმანეთის მიმართ ბავშვების ერთად ყოლით ან რაიმე სხვა საშუალებით“⁶²⁹. მიუხედავად იმისა, რომ კოჰაბიტაცია შეიძლება ასეთი ურთიერთობების მოთ-

625 *X, Y and Z v. the United Kingdom*, app. №21830/93, (ECtHR, 22.04.1997); *Anayo v. Germany* app. №20578/07, (ECtHR, 21.12.2010), §55.

626 *Serife Yigit v. Turkey*, app. №3976/05, (ECtHR, 02.11.2009), §93; *K. and T. v. Finland*, app. №25702/94, (ECtHR, [GC], 12.07.2001), §150.

627 *Johnston and Others v. Ireland*, app. №9697/82, (ECtHR, 18.12.1986).

628 U. Kilkelly, *the Rights to Respect for Private and Family Life: a Guide to the Implementation of Article 8 of the European Convention on Human Rights*, 2003, 16.

629 *Keegan v. Ireland*, (ECtHR, 26.05.1994), §44; *Van der Heijden v. the Netherlands*, app. №42857/05, (ECtHR, 03.04.2012), §50.

ხოვნად იყოს მიჩნეული, სხვა ფაქტორებიც არის საჭირო, რათა მოხდეს ურთიერთობების საკმარისი სიმყარის დემონსტრირება და დადგინდეს *de facto* „ოჯახური კავშირის“ არსებობა⁶³⁰.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა ფაქტობრივ თანაცხოვრებაზე დაფუძნებული ოჯახური ცხოვრების თვისობრივად ისეთივე დაცვის აუცილებლობაზე⁶³¹.

ოჯახური ცხოვრების უფლების ფარგლებში მნიშვნელოვანი საკითხია ბავშვის სამართლებრივი მდგომარეობა და მისი დაცვა. „საქმეზე – კრონი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Kroon v. the Netherlands*) – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: ოჯახური ურთიერთობის შედეგად დაბადებული ბავშვი არის *ipso jure* „ოჯახური ერთეულის“ ნაწილი მისი დაბადების მომენტიდან და თავად ამ აქტის გამო“⁶³². საქმეზე – ბერეჰაბი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Berrehab v. the Netherlands*), სასამართლომ აღნიშნა, რომ „ურთიერთობა, რომელიც წარმოიშვა მეუღლეებს შორის კანონიერი და ჭეშმარიტი ქორწინებიდან ... უნდა იყოს მიჩნეული „ოჯახურ ცხოვრებად“. ... ოჯახის კონცეფციიდან, რომელზეც დაფუძნებულია მე-8 მუხლი, გამომდინარეობს, რომ ასეთი კავშირის შედეგად დაბადებული ბავშვი არის *ipso jure* ამ ურთიერთობის ნაწილი. შესაბამისად, დაბადების მომენტიდან და ამ ფაქტის გამო, წარმოიშობა კავშირი ბავშვსა და მის მშობლებს შორის, რომელიც შეადგენს „ოჯახურ ცხოვრებას“, მაშინაც კი, თუ მშობლები არ ცხოვრობენ ერთად“⁶³³. აქედან გამომდინარე, ურთიერთობა დაქორწინებულ მშობლებსა და მათ შვილებს შორის ყოველთვის ექცევა მე-8 მუხლით დაცულ სფეროში“⁶³⁴. იმავდროულად, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ბავშვის სამართლებრივ მდგომარეობაზე და მისი დაცვის ფარგლებზე არ შეიძლება გავლენას ახდენდეს, ბავშვი ქორწინების თუ ფაქტობრივი თანაცხოვრების შედეგად არის დაბადებული⁶³⁵. საქმეზე *Johnston and Others v. Ireland* ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაუქორწინებელ მშობლებსა და მათ შვილებს შორის ოჯახური ურთიერთობის ნორმალური განვითარება მოითხოვს, მათი შვილები იმყოფებოდნენ იმავე სამართლებრივ და სოციალურ მდგომარეობაში, რომელშიც

630 *Kroon and Others v. the Netherlands*, app. №18535/91, (ECtHR, 27.10.1994), §30.

631 *Serife Yigit v. Turkey*, app. №3976/05, (ECtHR, 02.11.2009), §95.

632 *Kroon and Others v. the Netherlands*, app. №18535/91, (ECtHR, 27.10.1994).

633 *Berrehab v. the Netherlands*, app. №10730/84, (ECtHR, 21.06.1988), §21.

634 იხ.: ბ. ბოხაშვილი, კ. კორკელია, „პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები“ თბილისი, 2017, გვ. 174-175.

635 *Marckx v. Belgium*, app. №6833/74, (ECtHR, 13.06.1979), §40.

არიან დაქორწინებული მშობლების შვილები. მშობელთა ქორწინებასთან დაკავშირებული ვითარების გამო, შვილების განსხვავებულ სამართლებრივ მდგომარეობაში ჩაყენება იკრძალება კონვენციის მე-8 მუხლით, დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ მე-14 მუხლთან ერთად⁶³⁶.

დედასა და შვილს შორის ოჯახური ცხოვრების აღიარებისთვის ბავშვის დაბადების ფაქტი არის თვითკმარი. დაბადების მომენტიდანვე მათი ურთიერთობა ითვლება ოჯახურ ურთიერთობად⁶³⁷. ბიოლოგიურ მამასა და შვილს შორის ოჯახური ცხოვრების არსებობა კი დამოკიდებულია როგორც სამართლებრივ, ისე ფაქტობრივ გარემოებებზე⁶³⁸. კერძოდ, ამ დროს გაითვალისწინება, მათ შორის, დაბადებამდე და დაბადების შემდეგ მამის ინტერესი შვილის მიმართ, მათი ურთიერთობის ხარისხი, კონტაქტის ინტენსივობა, მამობის აღიარება. შვილად აყვანა ასევე წარმოშობს ოჯახურ ცხოვრებას მამასა და შვილს შორის.

საქმე *Nazarenko v. Russia*⁶³⁹

განმცხადებლის (ბ-ნი ნაზარენკოს) და მისი მეუღლის (ნ) გაყრის შემდეგ, მათი ქორწინების პერიოდში დაბადებული ბავშვი (ა), ბავშვზე ზრუნვისა და მეურვეობის უწყების გადაწყვეტილებით, თვის განმავლობაში კონკრეტული პერიოდულობით (კვირამონაცვლეობით) ცხოვრობდა ხან მამასთან, ხან – დედასთან. გარკვეული დროის შემდეგ განმცხადებელმა უარი თქვა ა.-ს ნ.-სთვის დაბრუნებაზე, რადგან მან ბავშვის სხეულზე სისხლჩაქცევები აღმოაჩინა, ეჭვი მიიტანა, რომ ის იყო ნაცემი და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ნ.-ის ახალი პარტნიორის მხრიდან. მომდევნო წლის განმავლობაში ა. ცხოვრობდა განმცხადებელთან და ბებიასთან. პარალელურად ბ-მა ნაზარენკომ მიმართა პოლიციას მისი ქალიშვილის ცემის და ნ.-ის პარტნიორის მხრიდან მასზე სექსუალური ძალადობის გამო. დაიწყო მოკვლევა.

ბატონმა ნაზარენკომ და ნ.-მა მიმართეს ეროვნულ სასამართლოს ა.-სთვის საცხოვრებელ ნებართვასთან დაკავშირებით. დავა გადაწყდა განმცხადებლის საწინააღმდეგოდ. სასამართლომ დაადგინა, რომ ორივე მშობელს თანაბარი წვლილი მიუძღოდა ა.-ს აღზრდაში, ორივე მათგანს ჰქონდა საკმარისი ფინანსური შემოსავალი და მათი საცხოვრებელი პირობები თანაბრად დამაკმაყოფილებელი იყო. მაგრამ ა.-ს სქესის და ასაკის

636 *Johnston v. Ireland*, app. №9697/82, (ECtHR, 18.12.1986).

637 *Marckx v. Belgium*, app. №6833/74, (ECtHR, 13.06.1979).

638 *Schneider v. Germany*, app. №17080/07, (ECtHR, 15.09.2011).

639 *Nazarenko v. Russia*, app. №39438/13, (ECtHR, 22.07.2015).

გათვალისწინებით უმჯობესი იქნებოდა, თუ იგი დედასთან იცხოვრებდა. 12 წლამდე ასაკის ბავშვის დედისგან ჩამოშორების გამართლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლებოდა, როგორი გარემოებებიც მოცემულ საქმეში არ იყო დადგენილი. დედის მხრიდან დაუდევრობის და ცუდად მოპყრობის მტკიცებულება არ არსებობდა. ბურიატიის რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება.

განმცხადებელმა მოგვიანებითაც რამდენჯერმე მიმართა სასამართლოს ა.-სთვის საცხოვრებლის უფლების მინიჭების, ასევე ნ.-სთვის დედობის უფლების ჩამორთმევის მოთხოვნით. ამ საქმის განხილვის მიმდინარეობისას, ნ.-მა საჩივარი შეიტანა ოქტიაბრსკის საოლქო სასამართლოში, რითაც განმცხადებლის ა.-ს მამობის ფაქტი გახადა სადავო და მოითხოვა მისი სახელის ამოშლა ა.-ს დაბადების მოწმობიდან, ამასთან ა.-სთვის გვარის და მშობლების ვინაობის შეცვლა. დნმ-ის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბატონი ნაზარენკო არ იყო ა.-ს ბიოლოგიური მამა. შესაბამისად, სასამართლომ შეუწყვიტა მას მამობის უფლება. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ასევე მისი სახელი უნდა ამოშლილიყო ა.-ს დაბადების მოწმობიდან და ა.-ს გვარი და მამის სახელი უნდა შეცვლილიყო. ბურიატიის რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა ეს გადაწყვეტილება.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე ბ.-ნი ნაზარენკო, კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით აცხადებდა, რომ მამობის უფლების ჩამორთმევამ მას დააკარგვინა უფლება, შეენარჩუნებინა კონტაქტი საკუთარ ქალიშვილთან და დაეცვა მისი ინტერესები სასამართლოში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, პირველ რიგში, შეაფასა, არსებობდა თუ არა პირადი ან ოჯახური ურთიერთობები მომჩივანს და ა.-ს შორის კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისთვის. სასამართლომ მიუთითა წინარე პრაქტიკაზე, რომლითაც დადგენილი აქვს, რომ მშვილვებელ ოჯახს და ნაშვილებ ბავშვს შორის ურთიერთობები, რომლებიც თვეების განმავლობაში ცხოვრობენ ერთად, წარმოადგენს ოჯახურ ცხოვრებას კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ბიოლოგიური ურთიერთობები არ არსებობს. სასამართლო ამ დროს ითვალისწინებს მშვილვებელ ოჯახს და ბავშვს შორის ახლო ემოციური კავშირის დამყარების ფაქტს, რომელიც გავს მშობლებს და შვილებს შორის არსებულ ურთიერთობებს⁶⁴⁰.

640 *Moretti and Benedetti v. Italy*, app. №16318/07, (ECtHR, 27.04.2010), §§49-50; *Kopf and Liberta v. Austria*, app. №1598/06, (ECtHR, 17.01.2012), §37.

მოცემულ საქმესთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ა. დაიბადა განმცხადებლის ნ.-სთან ქორწინების პერიოდში და რეგისტრირებული იყო, როგორც მისი ქალიშვილი. ბ-ნ ნაზარენკოს არანაირი ეჭვი არ ჰქონია ა.-ს მამობასთან დაკავშირებით, ისე ზრდიდა და ზრუნავდა მასზე ხუთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. როგორც ბავშვზე ზრუნვის ორგანომ და ფსიქოლოგებმა დაადგინეს, არსებობდა ახლო ემოციური კავშირი მასსა და ა.-ს შორის. იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელი და ა. წლების განმავლობაში თავს მამად და ქალიშვილად მიიჩნევდნენ და ჰქონდათ მჭიდრო პირადი კავშირი, სასამართლომ დაადგინა, რომ მათი ურთიერთობები წარმოადგენდა ოჯახურ ცხოვრებას კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისათვის⁶⁴¹.

სასამართლომ, წინარე პრაქტიკაზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ იქ, სადაც ოჯახური კავშირების არსებობა დადგენილია, სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს ისე, რომ კავშირი შენარჩუნდეს. მშობლის და შვილის ურთიერთობების ორმხრივად შენარჩუნება წარმოადგენს ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტურ ელემენტს და ეროვნული ღონისძიებები, რომლებიც ხელს უშლის მსგავსი ურთიერთობების შენარჩუნებას, წარმოადგენს კონვენციის მე-8 მუხლით დადგენილ უფლებაში ჩარევას⁶⁴².

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებზე ამ კონტექსტში: „მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის მე-8 მუხლის პირველადი მიზანი არის დაიცვას ინდივიდი სახელმწიფო ორგანოების თვითნებური მოქმედებებისგან, ამასთანვე არსებობს ოჯახური ცხოვრების „პატივისცემის“ პოზიტიური ვალდებულება. ეს ვალდებულება შესაძლოა მოიცავდეს ისეთი მექანიზმების მიღების აუცილებლობას, რომელიც უზრუნველყოფს ოჯახური ცხოვრების პატივისცემას ინდივიდებს შორის ურთიერთობისას“⁶⁴³. სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი მოიცავს მშობლის უფლებას, მიიღოს ზომები საკუთარ შვილთან კავშირის/ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით და სახელმწიფო ორგანოების შემხვედრ ვალდებულებას, უზრუნველყონ ასეთ ზომებზე ეფექტური ხელმისაწვდომობა⁶⁴⁴. მე-8 მუხლი მოითხოვს ეროვნული უწყებებისგან, დაიცვან სამართლიანი ბალანსი ბავშვის და მშობლის ინტერესებს შორის, ამასთან, ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია ბავშ-

641 *Nazarenko v. Russia*, app. №39438/13, (ECtHR, 22.07.2015), §58.

642 *Monory v. Romania and Hungary*, app. №71099/01, (ECtHR, 05.04.2005), §70.

643 *Nazarenko v. Russia*, app. №39438/13, (ECtHR, 22.07.2015), §61; *Glaser v. the United Kingdom*, app. №32346/96, (ECtHR, 19.09.2000), §63.

644 *Manic v. Lithuania*, app. №46600/11, (ECtHR, 13.01.2015), §101.

ვის საუკეთესო ინტერესების დაცვა, რომლებიც, მათი სერიოზულობიდან და ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მშობლის ინტერესზე უპირატესი იყოს⁶⁴⁵.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რუსეთის იმ სამართლებრივი დებულებების მოუქნელობაზე, რომლებიც არეგულირებდა ბავშვთან კავშირის უფლებას. კანონით დადგენილი იყო ამომწურავი სია პირებისა, რომლებიც უფლებამოსილი იყვნენ, შეენარჩუნებინათ კონტაქტი ბავშვთან (კერძოდ, რუსეთის კანონმდებლობით, ასეთი პირები იყვნენ მხოლოდ ახლო ნათესავები – მშობლები, ბებია-ბაბუა, ბებია-ბაბუის დედ-მამა, და-ძმა, ბიძები, დეიდები, მამიდები და ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები). კანონი არ ითვალისწინებდა გამონაკლისებს გარკვეული ოჯახური გარემოებების ან ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. შედეგად, მომჩივანის მსგავს სიტუაციაში მყოფი პირი, რომელსაც არ ჰქონდა ნათესაური კავშირი ბავშვთან, მაგრამ ზრუნავდა მასზე წლების განმავლობაში და ჩამოუყალიბდა ახლო პირადი კავშირი, ვერ მიიღებდა ურთიერთობის შენარჩუნების უფლებას ვერცერთ შემთხვევაში, მიუხედავად ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ წარადგინა სათანადო არგუმენტები, რატომ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ასეთი მოუქნელი წესის დადგენა და ამ დებულებიდან გამონაკლისების არ დაშვება, რომლითაც მოხდებოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება⁶⁴⁶.

ევროპული სასამართლოს მითითებით, კონვენციის მე-8 მუხლი ისე უნდა განიმარტოს, რომ მან წევრი სახელმწიფოები შებოჭოს ვალდებულებით, საქმეების ინდივიდუალური განხილვისას განსაზღვრონ, არის თუ არა ბავშვის საუკეთესო ინტერესებში, შეინარჩუნოს კონტაქტი პირთან, რომელთანაც არ აქვს ბიოლოგიური კავშირი, მაგრამ რომელიც ზრუნავდა მასზე საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლისთვის ა.-სთან ურთიერთობის შენარჩუნებაზე უარით, იმის გამოკვლევის გარეშე, წარმოადგენდა თუ არა ეს ა.-ს საუკეთესო ინტერესს, რუსეთის ხელისუფლებამ ვერ დააკმაყოფილა აღნიშნული მოთხოვნა⁶⁴⁷.

შედეგად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო უწყებებმა ვერ შეასრულეს საკუთარი პოზიტიური ვალდებულება და ვერ უზრუნველყვეს ოჯახური კავშირის შენარჩუნება ბ-ნ ნაზარენკოსა და ა.-ს

645 *Plaza v. Poland*, app. №18830/07, (ECtHR, 25.01.2011), §71.

646 *Nazarenko v. Russia*, app. №39438/13, (ECtHR, 22.07.2015), §65.

647 *Nazarenko v. Russia*, app. №39438/13, (ECtHR, 22.07.2015), §66.

შორის. განმცხადებლის სრულმა და ავტომატურმა გამორიცხვამ ბავშვის ცხოვრებიდან მისი მამობის უფლების შეწყვეტის შემდეგ, ასევე ეროვნული მექანიზმების მოუქნელობამ, გამოიწვია მისი ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ოჯახური ცხოვრება შეიძლება ასევე არსებობდეს მზრუნველსა და მზრუნველობაში მყოფ ბავშვს შორის⁶⁴⁸. ასეთი ურთიერთობის ოჯახურ ცხოვრებად იდენტიფიცირებისთვის მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ერთად ცხოვრების დროის ხანგრძლივობა, ურთიერთობის ხარისხი და სხვა ფაქტორები⁶⁴⁹.

იმავედროულად, ოჯახური ცხოვრების შეწყვეტა, მათ შორის, განქორწინება, არ ნიშნავს, რომ თავისთავად წყდება ოჯახური ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის⁶⁵⁰. ბავშვის გაშვილება ან მისი მოთავსება სახელმწიფო მზრუნველობაში⁶⁵¹ ასევე არ იწვევს ავტომატურად ოჯახური ცხოვრების შეწყვეტას. ამ შემთხვევებში, ისეთი სენსიტიური საკითხის გადასაწყვეტად, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს/შენარჩუნდეს ბავშვის ურთიერთობა მშობლებთან, მისი ოჯახური კავშირები, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, საკითხი გადაიჭრას უპირობოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

მოვიყვანთ რამოდენიმე მაგალითს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან:

საქმე G.S. v. Georgia ⁶⁵²

განმცხადებელი ცხოვრობდა უკრაინაში თავის პარტნიორთან – ორმაგი (ქართულ-უკრაინული) მოქალაქეობის მქონე ბატონ გ. ჩ.-სთან ერთად. მათ შეეძინათ შვილი ლ. ის დარეგისტრირებულ იქნა უკრაინაში განმცხადებლის მისამართზე და მიიღო უკრაინის მოქალაქეობა. ორ წელიწადში განმცხადებელმა გ. ჩ.-სგან გააჩინა მეორე შვილი ტ., რომელიც 4 წლის ასაკში გარდაიცვალა უბედური შემთხვევის შედეგად (სახლის ფანჯრიდან გადავარდა). ლ. ამ ტრაგიკული ფაქტის მოწმე გახდა.

648 *Moretti and Benedetti v. Italy*, app. №16318/07, (ECtHR, 27.04.2010).

649 იხ.: ბ. ბოხაშვილი, კ. კორკელია, „პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები“ თბილისი, 2017, გვ. 177.

650 *Berrehab v. the Netherlands*, app. №10730/84, (ECtHR, 21.06.1988).

651 *Olsson v. Sweden*, app. №10465/83, (ECtHR, 22.04.1988).

652 *G.S. v. Georgia*, app. №2361/13, (ECtHR, 21.07.2015).

ამ შემთხვევიდან გარკვეული დროის შემდეგ, განმცხადებელმა გ. რ.-ს ნება დართო, მათი შვილი წაეყვანა საქართველოში საზაფხულო არდადეგებზე. მან მოაწერა ხელი დოკუმენტს, რომელიც უფლებას აძლევდა გ. რ.-ს ემოგზაურა ლ.-სთან ერთად რუსეთსა და საქართველოში (2010 წლის 30 ივლისიდან 2011 წლის 28 თებერვლამდე). ლ. უნდა დაბრუნებულიყო ხარკოვში, სკოლაში სწავლის დასაწყებად, რომელშიც წინასწარ იყო ჩარიცხული. თუმცა მამამ ბავშვი უკრაინაში აღარ ჩაიყვანა. განმცხადებელი ცდილობდა დაერწმუნებინა ყოფილი პარტნიორი, მიეცა შვილისთვის უკრაინაში დაბრუნების უფლება, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ გ. რ. გაემგზავრა რუსეთში, ხოლო ლ. დარჩა საქართველოში ბიძასთან და ბაბუასთან (გ. რ.-ს ძმასთან და მამასთან) ერთად. გ. რ. პერიოდულად ჩადიოდა საქართველოში შვილის სანახავად.

რამდენიმე თვეში განმცხადებელმა დაიწყო ბავშვის დაბრუნების პროცედურები ჰააგის კონვენციის საფუძველზე, უკრაინის იუსტიციის სამინისტროს საშუალებით, რომელიც დაუკავშირდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მოითხოვა ამ საკითხთან დაკავშირებით თანამშრომლობა. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ დაიწყო სამართალწარმოება თბილისის საქალაქო სასამართლოში განმცხადებლის სახელით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ საკითხი გადაწყვიტა განმცხადებლის საწინააღმდეგოდ. ბიჭის ასაკიდან და საქმის სხვა გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ ჩათვალა, რომ ლ.-ს უკრაინაში დაბრუნება ფსიქოლოგიური სტრესის რისკის ქვეშ დააყენებდა მას. ამასთან, განმცხადებელმა ვერ შეძლო დაემტკიცებინა, რომ შვილისთვის შექმნიდა სტაბილურ გარემოს, რომელშიც ის დაცული იქნებოდა მამასთან განშორებით გამოწვეული ფსიქოლოგიური სტრესისგან. სასამართლომ არ გაიზიარა განმცხადებლის არგუმენტი, რომ ბავშვს ადაპტაციის სირთულეები ჰქონდა დედასთან განშორების გამო. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მამა იღებდა ყველა შესაძლო ზომას ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და სამკურნალოდ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ლ.-ს უკრაინაში დაბრუნების შესახებ. სასამართლომ გამოიკვლია, რომ ბავშვი დაიბადა და ცხოვრობდა ხარკოვში, შესაბამისად, ის ადაპტირებული იყო უკრაინაში არსებულ გარემოსთან. ფსიქოლოგიური და სოციალური კეთილდღეობის სამსახურის მოხსენებებთან დაკავშირებით, რომელთა თანახმადაც, ბიჭი იტანჯებოდა ადაპტაციის სირთულით და აკლდა მშობლებთან საკმარისი კომუნიკაცია, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, რომ ლ.-მ მართლაც მიიღო ფსიქოლოგიური ტრავმა დის გარდაცვალების

გამო, თუმცა ის არსებული მდგომარეობითაც იტანჯებოდა. შესაბამისად, დედასთან დაბრუნება ბავშვის ინტერესებისთვის საუკეთესო იქნებოდა. სასამართლოს განმარტებით, ტრავმირებული ბავშვი არ უნდა დაეშორებინათ მშობლებისგან. იმავდროულად, ლ. საქართველოში ჩასვლამდე მკურნალობდა დელფინოთერაპიული სარეაბილიტაციო პროგრამით, ამასთან, დედასთან ერთად დარჩენა ვერ იქნებოდა საზიანო ბავშვისთვის, რადგან დედა ფსიქიატრიული საავადმყოფოს ინტერნი იყო.

ეს გადაწყვეტილება კვლავ შეცვალა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ.

განმცხადებელი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე აცხადებდა, რომ საქართველოს სასამართლოების მიერ მისი შვილის უკრაინაში დაბრუნებაზე უარის თქმით დაირღვა მისი ოჯახური ცხოვრების უფლება. ის ამტკიცებდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ გააკეთეს მისი ოჯახური მდგომარეობის ღრმა ანალიზი და ვერ უზრუნველყვეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, არსებობს ფართო კონსენსუსი, რომ ბავშვებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას, ბავშვის საუკეთესო ინტერესი უპირატესია. ჰააგის კონვენცია („ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“, ძალაშია 1983 წლის 1 დეკემბრიდან) ამ ინტერესს აიგივებს status quo-ს აღდგენასთან, არამართლზომიერი გატაცების შემთხვევაში ბავშვის ჩვეულ საცხოვრებელ ქვეყანაში დაუყოვნებლივ დაბრუნების გზით, იმავდროულად, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ბავშვის დაუბრუნებლობა საკუთარ ქვეყანაში გამართლებული იყოს მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისი ობიექტური მიზეზებით, რაც, თავის მხრივ, ხსნის გამონაკლისების არსებობას, განსაკუთრებით, როცა ბავშვის დაბრუნებას ახლავს ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანის დიდი რისკი, ან როდესაც ბავშვი აღმოჩნდება გაუსაძლის პირობებში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე აღნიშნა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები არის მთავარი საზრუნავი ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რომელიც ბავშვებს უკავშირდება. სასამართლოს განმარტებით, ბავშვის ინტერესი აერთიანებს ორ ასპექტს: ერთი მხრივ, მისი კავშირი ოჯახთან უნდა შენარჩუნდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ოჯახი შეფასებულია განსაკუთრებით შეუსაბამოდ. იგულისხმება, რომ ოჯახური კავშირი შეიძლება გაწყდეს მხოლოდ უკიდურესად საგამონაკლისო გარემოებებში და ყველაფერი უნდა გაკეთდეს პირადი ურთიერთობების შესანარჩუნებლად, მათ შო-

რის, თუ შესაძლებელია, მოხდეს ოჯახის „აღდგენა“. მეორე მხრივ, ბავშვის ინტერესებში აუცილებლად შედის ჯანსაღ გარემოში განვითარება – მშობელი კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით ვერ მოითხოვს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომლებიც ავნებს ბავშვის ჯანმრთელობას და განვითარებას.

სასამართლომ დამატებით ყურადღება გაამახვილა დროული სამართალწარმოების მნიშვნელობაზე მსგავსი კატეგორიის საქმეზე. მისი განმარტებით, არაეფექტურმა და შეყოვნებულმა სამართალწარმოებამ შეიძლება განაპირობოს კონვენციის მე-8 მუხლის პოზიტიური ვალდებულებების დარღვევა⁶⁵³, რადგან ასეთმა მიდგომამ შესაძლოა გამოიწვიოს საქმის დე ფაქტო გადაწყვეტა. შესაბამისად, საქმეებში, რომლებიც ეხება ადამიანის ურთიერთობას საკუთარ შვილთან, არსებობს განსაკუთრებული გულისხმიერების გამოჩენის ვალდებულება. ეს ვალდებულება, რომელიც გადამწყვეტია საქმის გონივრულ ვადებში განხილვის პროცედურული მოთხოვნის შესრულების შეფასებისას, რასაც ითხოვს კონვენციის 6.1 მუხლი, ასევე წარმოადგენს მე-8 მუხლით ნაგულისხმევი პროცედურული მოთხოვნების ნაწილს⁶⁵⁴.

სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის ოჯახური ცხოვრების უფლებაში ჩარევა იყო „გათვალისწინებული კანონით“ და ემსახურებოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის ლეგიტიმურ მიზანს. თუმცა სასამართლოს უნდა გაერკვია, იყო თუ არა ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ კონვენციის 8.2 მუხლის მიზნებისთვის.

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე გარემოებაზე: მისი აზრით, არადამაჯერებელი იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს დასკვნა, რომ ბავშვისთვის არსებობდა სერიოზული რისკი უკრაინაში დაბრუნების შემთხვევაში. გასათვალისწინებელი იყო, რომ ლ.-ის დის გარდაცვალება იყო ტრაგიკული შემთხვევა. საქმეში არ არსებობდა ექსპერტის დასკვნა, რომლის მიხედვითაც ბიჭის უკრაინაში დაბრუნება გაამძაფრებდა მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. ფსიქოლოგის ანგარიშში იყო ზოგადი მითითება, რომ ბიჭმა მიიღო ფსიქოლოგიური ტრავმა და ნამდვილად ესაჭიროებოდა დახმარება, რასაც განმცხადებელიც არ უარყოფდა. პირიქით, როგორც სამედიცინო განათლების მქონე პირი, ის ეროვნული სასამართლოების წინაშე გამუდმებით გამოთქვამდა მზადყოფნას, გაეწია შვილისთვის აუცილებელი ფსიქოლოგიური დახმარება უკრაინაში.

653 *Eberhard and M. v. Slovenia*, app. №8673/05, 9733/05, (ECtHR, 01.12.2009), §127.

654 *Strömblad v. Sweden*, app. №3684/07, (ECtHR, 05.04.2012), §80.

მთავრობის არგუმენტთან დაკავშირებით, რომ ბავშვს უნდოდა საქართველოში დარჩენა, რის გამოც მამასთან და ოჯახთან განშორება მას მიაყენებდა დამატებით ფსიქოლოგიურ სტრესს, ევროპულმა სასამართლომ გაიმეორა, რომ ჰააგის კონვენციის მიზანია, თავიდან აიცილოს გამტაცებელი მშობლის მიერ დროის გასვლის საფუძვლით, ცალმხრივად შექმნილი დე ფაქტო სიტუაციის კანონიერად აღიარების საკითხში წარმატების მიღწევა. მაშასადამე, გამტაცებელმა მშობელმა ვერ უნდა მიიღოს სარგებელი საკუთარი არასწორი ქმედებით. ამასთან, ჰააგის კონვენციის მიერ დაშვებული გამონაკლისები მკაცრად უნდა განიმარტოს. კონვენციის 13.b მუხლში მითითებული ზიანი შეუძლებელია, გამომდინარეობდეს მხოლოდ იმ მშობელთან დაშორებით, რომელიც პასუხისმგებელია ბავშვის უკანონო გადაადგილებაზე და დაკავებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე იმ ფაქტების გათვალისწინებით, რომ არ ჩატარებულა ექსპერტიზა ლ.-ის მამის ოჯახისგან დაშორების შედეგებზე და არ იყო გათვალისწინებული ბიჭის მომავალი საცხოვრებელი პირობები უკრაინაში, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მთავრობის არგუმენტი ლ.-ის მამისგან (და მამის ოჯახისგან) დაშორების შემთხვევაში შესაძლო ფსიქოლოგიური ტრავმის მიღების შესახებ იყო არასწორი.

ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ უზენაესმა სასამართლომ უგულვებელყო ბიჭის საქართველოში დარჩენის შემთხვევაში არსებული პოტენციური რისკები. კერძოდ, სამედიცინო ანგარიშის მიხედვით, ბიჭს დაესვა ადაპტაციური აშლილობის დიაგნოზი. სოციალურმა მუშაკებმა დაასკვნეს, რომ ბავშვს ჰქონდა მშობლებთან ურთიერთობის ნაკლებობის პრობლემა. ფსიქოლოგმა დასკვნაში აღნიშნა, რომ მშობლებთან არასაკმარისი ურთიერთობის გარდა, ლ.-ს მიღებული ჰქონდა ფსიქოლოგიური ტრავმა „რთული და გაურკვეველი სიტუაციიდან გამომდინარე“. მართალია, უზენაესმა სასამართლომ აღიარა მშობლებთან ურთიერთობის ნაკლებობის პრობლემა, თუმცა ბიჭის საუკეთესო ინტერესების გარკვევისას, უგულვებელყო ზემოთ აღნიშნული დასკვნები⁶⁵⁵.

ევროპულმა სასამართლომ დამატებით მიუთითა შემდეგ გარემოებაზე: ეროვნულმა სასამართლოებმა ყურადღება არ მიაქციეს ფაქტს, რომ ლ.-ის მამა, ფაქტობრივად, ცხოვრობდა რუსეთში და მას ძირითადად მამის ოჯახი უვლიდა. ამასთან, არც ბიძას და არც ბაბუას არ ჰქონდათ ლ.-ზე მეურვეობის უფლება. ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, ფაქტი, რომ ბავშვის, რომელმაც ცხოვრების პირველი 6 წელიწადი გაატარა

655 *G.S. v. Georgia*, app. №2361/13, (ECtHR, 21.07.2015), §54-58.

უკრაინაში დედასთან ერთად, გაჩერება მოხდა საქართველოში მშობლების გარეშე, ბადებდა კითხვებს ამ გადაწყვეტილების ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან თავსებადობასთან დაკავშირებით. სასამართლოს განმარტებით, ბავშვისა და მშობლის მიერ დროის ერთად გატარებით ურთიერთ-სიამოვნება წარმოადგენს ოჯახური თანაცხოვრების ძირეულ ელემენტს და დაცულია კონვენციის მე-8 მუხლით⁶⁵⁶, ამიტომ ეს ფაქტორი არ უნდა ყოფილიყო ასე მარტივად უგულებელყოფილი ეროვნული სასამართლოების მიერ, რომლებიც თითქოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ⁶⁵⁷.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ვერ მოახერხა ლ.-ის საუკეთესო ინტერესების სწორად განსაზღვრა საქმის სპეციფიკური გარემოებებიდან გამომდინარე და ვერ დაიცვა მხარეების ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსი.

სამართალწარმოების სისწრაფესთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: ჰააგის კონვენციის მე-2 და მე-11 მუხლები მოითხოვს იურიდიული ან ადმინისტრაციული ორგანოებისგან სწრაფ მოქმედებას ბავშვის დაბრუნების უზრუნველსაყოფად. ექვს კვირაზე მეტი ხნის განმავლობაში უმოქმედობის შემთხვევა შესაძლოა გახდეს ახსნა-განმარტების მოთხოვნის საფუძველი. მართალია, ჰააგის კონვენციის მე-11 მუხლში მითითებული ექვსკვირიანი დროის ლიმიტი, რომელიც მოიცავს მთელ სამართალწარმოებას, არ არის სავალდებულო, ევროპულმა სასამართლომ მაინც ჩათვალა, რომ მიმდინარე პროცესის საერთო ხანგრძლივობა (დაახლოებით ოთხმოცდაათი კვირა) ბადებდა კითხვებს, ასრულებდა თუ არა მოპასუხე სახელმწიფო ჰააგის კონვენციით ნაკისრ პოზიტიურ ვალდებულებებს⁶⁵⁸.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ გამოიჩინეს სათანადო ყურადღება და ვერ უზრუნველყვეს ამ საქმის დროულად გადაწყვეტა. შედეგად, მომჩივანმა განიცადა მისი ოჯახური ცხოვრების უფლებაში არაპროპორციული ჩარევა, ვინაიდან ეროვნული სასამართლოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ პასუხობდა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პროცედურულ და პოზიტიურ ვალდებულებებს.

656 *Monory v. Romania and Hungary*, app. №71099/01, (ECtHR, 05.04.2005), §70; *Iosub Caras v Romania*, app. №7198/04, (ECtHR, 27.07.2006), §§28-29.

657 *G.S. v. Georgia*, app. №2361/13, (ECtHR, 21.07.2015), §61.

658 *G.S. v. Georgia*, app. №2361/13, (ECtHR, 21.07.2015), §63.

საქმე *Krapivin v. Russia*⁶⁵⁹

განმცხადებელმა, ანდრეი კრაპივინმა, სამი წლის შვილის თანდასწრებით, მოკლა მეუღლე. ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბ-ნ კრაპივინს ჰქონდა დროებითი ფსიქიკური აშლილობა. ამ მოტივით ის დაექვემდებარა იძულებით ფსიქიატრიულ მკურნალობას. დაახლოებით ორი წლის შემდეგ ის გამოუშვეს ფსიქიატრიული საავადმყოფოდან. დროის ამ მონაკვეთში ბავშვი იყო ბებიის – ვ.-ს (დედის დედა) მზრუნველობის ქვეშ.

ბ-ნმა კრაპივინმა მიმართა ბავშვთა სოციალური უზრუნველყოფის სამსახურს შვილის მისთვის გადაცემის მოთხოვნით, რაზეც უარი ეთქვა. შემდეგ მიმართა სასამართლოს. რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვის მცირე ასაკისა და ბებიაზე დამოკიდებულების გათვალისწინებით, მისთვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ტრავმული იქნებოდა. მოგვიანებით მან დაიწყო სამართალწარმოება ბავშვთან ურთიერთობის უფლების შესახებ, ის აცხადებდა, რომ ბებია ვაჟიშვილის ნახვის შესაძლებლობას არ აძლევდა. ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებში არ შედიოდა მამასთან ურთიერთობის განახლება. სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა შემდეგ გარემოებებს: ბ-ნმა კრაპივინმა ვერ/არ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მისი მენტალური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, ასევე, რომ ის ბავშვისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდა; მკვლელობის ფაქტი ბავშვის თვალწინ მოხდა, რამაც მას ღრმა ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა; სამი წლის ასაკიდან ბავშვს ზრდიდა და მასზე ზრუნავდა ბებია; ბ-ნი კრაპივინი ხშირად მიემგზავრებოდა გრძელვადიან სამსახურებრივ მივლინებებში⁶⁶⁰.

ერთი წლის შემდეგ კრაპივინმა კვლავ მიმართა სასამართლოს მისი, როგორც მშობლის ბავშვთან ურთიერთობის უფლების დაცვის მოთხოვნით. თუმცა სასამართლომ საკითხი ამჯერადაც მის საწინააღმდეგოდ გადაწყვიტა თვისობრივად იგივე არგუმენტებზე დაყრდნობით.

ბ-ნი კრაპივინი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ამტკიცებდა, რომ დაირღვა მისი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

ევროპულმა სასამართლომ ამჯერადაც ყურადღება გაამახვილა, რომ ყველა მსგავს შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის შეფასებას, თუ რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესები⁶⁶¹. სასამართლომ აღ-

659 *Krapivin v. Russia*, app. №45142/14, (ECtHR, 12.07.2016).

660 *Krapivin v. Russia*, app. №45142/14, (ECtHR, 12.07.2016), §73.

661 *Krapivin v. Russia*, app. №45142/14, (ECtHR, 12.07.2016), §67.

ნიშნა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესმა მთლიანობაში უზრუნველყო განმცხადებლის ინტერესების სათანადო დაცვა. მას შეეძლო წამოეყენებინა ყველა არგუმენტი ბავშვთან ურთიერთობის უფლების მოპოვების სასარგებლოდ და ხელი მიუწვდებოდა ყველა რელევანტურ ინფორმაციაზე. იმავდროულად, ეროვნული სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს: განმცხადებლისა და ბავშვის მეურვის მიერ გაკეთებულ განაცხადებს, დოკუმენტებს განმცხადებლის სისხლის სამართლის საქმიდან, საცხოვრებელი პირობების შესწავლის შედეგებს, ბავშვთა სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მოსაზრებას, ანგარიშს ბავშვის ფსიქოლოგიური გამოკვლევის შესახებ, რომელიც ჩაატარა ბავშვთა ფსიქოლოგიური, სამედიცინო და სოციალური ადაპტაციის მუნიციპალურმა ცენტრმა, წერილებს ბავშვის ბაგა-ბაღიდან და საბავშვო ბაღიდან, ასევე განმცხადებლის დამსაქმებლის სარეკომენდაციო წერილს. ამ მტკიცებულებების გათვალისწინებით, ჰქონდა რა საქმეში მონაწილე ყველა პირთან პირდაპირი კონტაქტის შესაძლებლობა, ეროვნულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ბავშვის ინტერესებში არ იქნებოდა განმცხადებელთან კონტაქტის აღდგენა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულ სასამართლოს გააჩნდა საკმარისი მტკიცებულებები წინამდებარე საქმეში ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაფასებლად⁶⁶².

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჩარევა იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობით.

საქმე *M. and M. v. Croatia*⁶⁶³

განმცხადებლები – დედა (მეორე განმცხადებელი) და მისი ქალიშვილი (პირველი განმცხადებელი) ჩიოდნენ, რომ ეროვნულმა სახელმწიფო ორგანოებმა ვერ შეძლეს სათანადო ზომების მიღება პირველი განმცხადებლის დასაცავად მამის მხრიდან არასათანადო ფიზიკური და ფსიქოლოგიური მოპყრობისგან. მშობლების განქორწინების შემდეგ ბავშვზე მეურვეობას ახორციელებდა მამა. ბავშვი რამდენჯერმე გახდა მისგან სიტყვიერი შეურაცხყოფისა და ფიზიკური ძალადობის მუქარის სამიზნე. ერთ-ერთი ასეთი ფაქტის შემდეგ განმცხადებლებმა აღნიშნულის შესახებ პოლიციას შეატყობინეს. შედეგად, მამის წინააღმდეგ დაიწყო სისხლისსამართლებრივი წარმოება (ეს პროცედურები კვლავ მიმდინარეობდა

662 §§75-76.

663 *M. and M. v. Croatia*, app. №10161/13, (ECtHR, 03.09.2015).

ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვის მომენტისთვის, მისი ინიცირებიდან ოთხნახევარი წლის შემდეგ).

პარალელურად მეორე განმცხადებელმა წამოიწყო სამოქალაქო სამართალწარმოება ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ, პირველ განმცხადებელზე მეურვეობის მოპოვების მოთხოვნით. მისი განაცხადი დროებითი მეურვეობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. პირველი განმცხადებელი, რომელმაც მკაფიოდ დააფიქსირა დედასთან ცხოვრების სურვილი და დაეწყო ქცევითი პრობლემები, მათ შორის თვითდაზიანებები, განაგრძობდა მამასთან ცხოვრებას საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა: თავისთავად ის ფაქტი, რომ მეურვეობასთან დაკავშირებული საქმისწარმოება ოთხი წლისა და სამი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, მიუთითებდა მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე მისი პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობაზე. მით უფრო, ამ საქმეზე განსაკუთრებული სიფრთხილე იყო საჭირო, რადგან საკითხი ენებოდა ტრავმირებულ ბავშვს, რომელმაც მშობლების კონფლიქტური ურთიერთობების გამო ძლიერი ფსიქოლოგიური სტრესი გადაიტანა, რაც თვითდაზიანებითი ქცევით დასრულდა. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ გააცნობიერეს ვითარების სიმძიმე. საქმისწარმოების გაჭიანურება მხოლოდ ამძიმებდა პირველი განმცხადებლის პრობლემებს.

ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ ამ დროის განმავლობაში განმცხადებელს საქმისწარმოებისას არ მოუხმინეს, არ მისცეს საშუალება, გამოეხატა თავისი მოსაზრება, ვისთან ამჯობინებდა ცხოვრებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მე-12 მუხლის გათვალისწინებით და ევროპული კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე, ვერ მიიჩნევა, რომ ბავშვები, რომელთაც შესწევთ უნარი ჩამოაყალიბონ საკუთარი აზრი, საკმარისად ჩართულები არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუკი მათ არ მიეცემათ შესაძლებლობა, მოუხმინონ. წინამდებარე საქმეშიც რთული იქნებოდა იმის მტკიცება, რომ პირველი განმცხადებლის ასაკისა და სიმწიფის გათვალისწინებით, მას არ შესწევდა საკუთარი აზრის ჩამოყალიბებისა და თავისუფლად გამოხატვის უნარი.

ევროპულმა სასამართლომ ასევე მხედველობაში მიიღო შემდეგი გარემოება: საქმეზე მოწვეულმა ექსპერტმა დაადგინა, რომ ბავშვს დედასთან სურდა ცხოვრება. ორივე მშობელი ერთ ქალაქში ცხოვრობდა და მეურვეობის შესახებ გადაწყვეტილების შეცვლა არ გამოიწვევდა მისთვის

სკოლის და ჩვეული სოციალური გარემოს შეცვლას. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი განმცხადებლის სურვილის უპატივცემულობა იმის თაობაზე, თუ რომელ მშობელთან სურდა მას ცხოვრება, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, არღვევდა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას. ამასთან, მეურვეობასთან დაკავშირებული საქმისწარმოების გაჭიანურებამ დაარღვია მეორე განმცხადებლის მე-8 მუხლით დადგენილი უფლებები.

4.4.1.1. ერთი სქესის პირთა უფლება ოჯახურ ცხოვრებაზე

ჰომოსექსუალი წყვილების ოჯახური ცხოვრების უფლების არაღიარება იყო და რიგ სახელმწიფოებში ჯერ კიდევ არის სტერეოტიპული აზროვნების შედეგი. ასეთი მიდგომა ემსახურება იმის ლეგიტიმაციის მცდელობას, რომ ამ ადამიანების გრძნობები, ემოციები, ოჯახური ცხოვრების მოთხოვნილება ნაკლებად ღირებულია ჰეტეროსექსუალ წყვილებთან შედარებით, რაც, ცხადია, მხოლოდ ართულებს მათ ყოველდღიურ ყოფას, საზოგადოებაში სრულფასოვან ინტეგრაციას, თავისუფალი განვითარების შესაძლებლობებს.

ოჯახური ცხოვრება არის რა ადამიანის არჩევანი, ვისთან სურს დაამყაროს ხანგრძლივი, მყარი, ურთიერთპატივისცემასა და პასუხისმგებლობაზე დამყარებული ურთიერთობა, ის ვერ იქნება პირობადებული სახელმწიფოს კარნახით, ვის მიმართ ჰქონდეს ადამიანს ასეთი ემოციური, სულიერი თუ სხვა სახის კავშირი, გრძნობები. მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებები და ევოლუციური პრაქტიკა ამ თვალსაზრისით. მან არაერთხელ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-8 მუხლით დაცულია პირის გენდერული იდენტობა, სექსუალური ორიენტაცია და სექსუალური ცხოვრება, როგორც პირადი სფეროს განუყოფელი ნაწილები. ამ უფლების ადრესატია ყველა, თითოეული ინდივიდი, რომელსაც სურს დაამყაროს, განავითაროს ურთიერთობები სხვებთან⁶⁶⁴. სასამართლოს განმარტებით, ერთნაირსქესიანი წყვილები, რომლებსაც აკავშირებთ ხანგრძლივი, მუდმივი ურთიერთობა, ექცევიან ოჯახური ცხოვრების ცნებაში ისევე, როგორც ჰეტეროსექსუალი წყვილები⁶⁶⁵. ეს მიდგომა ევროპულმა სასამართლომ ჩამოაყალიბა საქმეში *Schalk and Kopf v. Austria*. მისი განმარტებით: „ხელოვნური იქნებოდა სასამართლოსათვის მოსაზრების შენარჩუნება, რომ ერთი და იმავე სქესის წყვილები ვერ

664 Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights; 2019, 30 April.

665 Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights; 2019, 30 April, 53 p.

ისარგებლებენ „ოჯახური ცხოვრებით“, კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისათვის. შესაბამისად, ... ერთი და იმავე სქესის წყვილის ურთიერთობა, რომლებსაც სტაბილური დე ფაქტო პარტნიორობა აქვთ, ექცევა ცნებაში „ოჯახური ცხოვრება“, ისევე, როგორც მოექცეოდა განსხვავებული სქესის წყვილის ურთიერთობა იმავე სიტუაციაში“⁶⁶⁶.

ადამიანის უფლებათა სამართალში ერთი და იმავე სქესის პირთა უფლება ოჯახურ ცხოვრებაზე (საზოგადოებრივი განწყობებისგან დამოუკიდებლად) სამართლებრივად დავას აღარ/ვეღარ იწვევს. თუმცა, სახელმწიფოთა ღიაობის ფარგლები, ჰომოსექსუალი წყვილებისთვის ქორწინების უფლების აღიარების თვალსაზრისით, ჯერ კიდევ დაკავშირებულია საზოგადოებაში მყარად ფესვგადგმულ სტიგმასთან, ქორწინების და ოჯახის ტრადიციულ აღქმასთან, საზოგადოების მენტალური მზაობის არარსებობასთან. სახელმწიფოები უფრო მყარად გრძნობენ თავს ჰომოსექსუალი წყვილებისთვის ქორწინების ნაცვლად სამოქალაქო კავშირის ან რეგისტრირებული პარტნიორობის ინსტიტუტის შეთავაზებით, რომელიც თვისობრივად, ძირითადი არსით, ქორწინების ალტერნატივად განიხილება.

ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ კონვენცია ცოცხალი ინსტრუმენტია, რომელიც თანამედროვე პირობებთან შესაბამის ინტერპრეტირებას საჭიროებს⁶⁶⁷. აღნიშნულის გათვალისწინებით, მისი განმარტებით, კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, ოჯახური ცხოვრების უფლების დაცვის მიზნით საშუალებების არჩევისას, სახელმწიფომ მხედველობაში უნდა მიიღოს სოციალურ ურთიერთობებთან მიმართებით საზოგადოების განვითარების დინამიკა, ამასთან სოციალური და სამოქალაქოსამართლებრივი სტატუსისა და ურთიერთობების განსხვავებული აღქმა. არ არსებობს ოჯახური ცხოვრებისა თუ პირადი ცხოვრების წარმართვის ერთი გზა თუ ერთი არჩევანი⁶⁶⁸.

საქმეზე *Vallianatos and Others v. Greece* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა: „ერთი და იმავე სქესის წყვილებს ისევე შეუძლიათ დაამყარონ სტაბილური ურთიერთობები, როგორც საწინააღმდეგო სქესის წყვილებს. მათ აქვთ ურთიერთმხარდაჭერისა და დახმარების იგივე საჭიროებები, რაც ჰეტეროსექსუალ წყვილებს. ... სამოქალაქო პარტნიორობის გავრცელება ერთი და იმავე სქესის წყვილებზე შესაძლებლობას მისცემდა მათ დარეგულირებულყო საკუთრების, ქონებისა

666 *Schalk and Kopf v. Austria*, app. №30141/04, (ECtHR, 24.06.2010), §§93 – 94.

667 *Tyrer v. the United Kingdom*, app. №5856/72, (ECtHR, 25.04.1978), §31; *Christine Goodwin v. the United Kingdom*, app. №28957/95, (ECtHR, [GC], 11.07.2002), §75.

668 *X and Others v. Austria*, app. №19010/07, (ECtHR, [GC], 19.02.2013), §139.

და მემკვიდრეობის უფლებები არა როგორც კერძო ინდივიდებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, არამედ სამოქალაქო პარტნიორობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც ასევე უზრუნველყოფდა მათი ურთიერთობის სამართლებრივ აღიარებას სახელმწიფოს მიერ⁶⁶⁹.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საქმე *Oliari and Others v. Italy*⁶⁷⁰, რომელშიც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობა სტაბილურ ინტიმურ ურთიერთობაში მყოფი ჰომოსექსუალი წყვილების ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევად მიიჩნია. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით, კანონმდებლობა, რომელიც გამორიცხავს/ვაკუუმს ქმნის ერთნაირსქესიანი წყვილების ოჯახური ცხოვრების რაიმე ფორმით აღიარებაზე, არღვევს კონვენციის მე-8 მუხლს⁶⁷¹. შედეგად, სასამართლომ ჰომოსექსუალი წყვილების ურთიერთობების რეგულირების/სამართლებრივი აღიარების პოზიტიური ვალდებულება დაადგინა. სასამართლოს განმარტებით: „...როდესაც ქორწინება არ არის ხელმისაწვდომი, ერთი და იმავე სქესის წყვილებს ... აქვთ სამოქალაქო კავშირის ან რეგისტრირებული პარტნიორობის დამყარების განსაკუთრებული ინტერესი. ეს იქნებოდა ყველაზე შესაფერისი გზა, რომლითაც ისინი შეძლებდნენ თავიანთი ურთიერთობის სამართლებრივ აღიარებას და რაც მისცემდა მათ სათანადო დაცვას. ... ამასთან, სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ სამოქალაქო პარტნიორობას აქვს თავისთავადი ღირებულება განმცხადებლების მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირებისთვის, მათი ვიწრო თუ ფართო სამართლებრივი შედეგების მიუხედავად ... ეს აღიარება დამატებითი ლეგიტიმურობის განცდას სძენს ერთი და იმავე სქესის წყვილებს“⁶⁷².

მაშასადამე, თუკი ერთნაირსქესიანი პირების ქორწინების უფლების აღიარებას სასამართლო უკავშირებს ევროპული კონსენსუსის განვითარებას, შედეგად, საკითხის გადაწყვეტას სახელმწიფოთა ფართო მიხედულების ფარგლებში ტოვებს, სამოქალაქო კავშირის ან რეგისტრირებული პარტნიორობის ინსტიტუტზე სათანადო ხელმისაწვდომობის გარანტიების შექმნას სახელმწიფოთა პოზიტიურ ვალდებულებად მიიჩნევს⁶⁷³.

669 *Vallianatos and Others v. Greece*, app. №29381/09; №32684/09, (ECtHR, 07.11.2013), §81.

670 *Oliari and Others v. Italy*, app. №18766/11; №36030/11, (ECtHR, 21.07.2015).

671 Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights; 2019, 30 April, 54 p.

672 *Oliari and Others v. Italy*, app. №18766/11; №36030/11, (ECtHR, 21.07.2015), §174.

673 *Oliari and Others v. Italy*, app. №18766/11; №36030/11, (ECtHR, 21.07.2015).

4.4.2. პირადი ცხოვრების კერძო სფერო

როგორც არაერთხელ აღინიშნა, პირადი ცხოვრების უფლება მრავალკომპონენტია, კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველ პუნქტში მისი ოჯახურ ცხოვრებასთან ერთად მოხსენიება, ცხადია, არ გულისხმობს ამ ასპექტით მის შემოფარგვლას. პირადი ცხოვრების არაერთი უფლებრივი კომპონენტი გავაანალიზეთ კონსტიტუციის მე-12 მუხლის ფარგლებში.

დამატებით შეიძლება ყურადღება გავამახვილოთ პირადი ცხოვრების კერძო სფეროს მნიშვნელოვან ასპექტებზე, რომლებიც თანაბრად შეიძლება პოვებდეს დაცვას როგორც მე-12 მუხლის, ისე მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში.

ამ სფეროს განეკუთვნება უკიდურესად პერსონალური, მათ შორის, ინტიმური საკითხები. მაგალითად, ადამიანის რელიგიური კუთვნილება – არჩევანი ამა თუ იმ რელიგიაზე ან სხვა მსოფლმხედველობრივ მრწამსზე, ურთიერთობა საკუთარ მოძღვართან, ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები – წარსულში გადატანილი თუ მიმდინარე ჯანმრთელობის პრობლემები, პირის შემოსავლებისა თუ ქონებრივი მდგომარეობა, ურთიერთობა ადვოკატთან და სხვა.

ამ შემთხვევაშიც მთავარი წესია, რომ არავის, სახელმწიფოს ჩათვლით, არაფერი ესაქმება ადამიანის კერძო ცხოვრებაში და ის ხელმისაწვდომი შეიძლება იყოს მაშინ და იმდენად, როდესაც და რა ფარგლებშიც ადამიანი თავად გახდის ასეთი ტიპის ინფორმაციას ხელმისაწვდომს. თუმცა, ცხადია, პირადი ცხოვრების ეს ასპექტებიც ექვემდებარება შეზღუდვას, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი ლეგიტიმური მიზნების არსებობისას და თანაზომიერების პრინციპის უპირობოდ დაცვით. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია უკიდურესად პერსონალურია და ადამიანს აქვს უფლება, არ ისაუბროს ამაზე საჯაროდ, არ მიაწოდოს ის (ინფორმაცია) ნებისმიერ მსურველს, ეს უფლება შეიძლება შეიზღუდოს მაშინ, როდესაც ასეთი ინფორმაციის არახელმისაწვდომობა შესაძლოა საფრთხეს უქმნიდეს სხვა პირებს, მათ ჯანმრთელობას ან რომელიმე სხვა უფლებას.

აღსანიშნავია, რომ საჯარო პირების კერძო ცხოვრება მეტ გამართლებად შეზღუდვას ექვემდებარება. მაგალითად, თანამდებობის პირები კანონით არიან ვალდებული, შეავსონ საფინანსო და ქონებრივი დეკლარაციები, რომელთა მეშვეობითაც ხდება საჯარო და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია მათი და მათი ოჯახის წევრების თანამდებობრივი სარგოს, ნებისმიერი სხვა შემოსავლების, საკუთ-

რებაში არსებული ქონების, მეტიც, წლის განმავლობაში ასეთი ქონების გასხვისებისა თუ შეძენის თაობაზე (გასხვისებისა თუ შეძენის ღირებულების/ფასის მითითებით). ასეთი ინფორმაციის საჯაროობა, სულ მცირე, უმნიშვნელოვანესია კორუფციის რისკების მინიმალიზებისთვის.

5. ქორწინების უფლება

საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 30. ქორწინების უფლება, დედათა და ბავშვთა უფლებები

„1. ქორწინება, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.

2. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით“.

ქორწინების უფლების მარეგლამენტირებელი დებულებები საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მიხედვით:

მუხლი 36.

„1. ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას.

2. სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.

3. დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით“.

5.1. ქორწინების უფლების კონსტიტუციური გარანტიები

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ქორწინების უფლება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მას ერთდროულად განიხილავს როგორც პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების გამოხატულებას, ისე პირადი ცხოვრების ფუნდამენტურ ასპექტს. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით: „საქართველოს კონსტიტუცია ადამიანის თავისუფლებაზე, მის თავისუფალ განვითარებაზე ყურადღებას ამახვილებს როგორც ზოგადად, ასევე კონკრეტულად, საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეულ სფეროებში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი. ... აქ კონსტიტუციურ დონეზეა დაცული და განმტკიცებული ისეთი ტრადიციული და საზოგადოებისათვის სასიცოცხლო ეთიკური და ეგზისტენციალური მნიშვნელობის ინსტიტუტები და ფასეულობები, როგორიცაა ქორწინება და ოჯახი. კონსტიტუცია იცავს ქორწინებისა და ოჯახის ინსტიტუტებს სახელმწიფოს მხრიდან ისეთი მოქმედებებისაგან, რაც ხელყოფდა და გამოფიტავდა მათ არსს, მნიშვნელობას, უმთავრესს პრინციპებს. ... ქორწინება და ოჯახი ადამიანის პირადი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ამ სფეროში ინდივიდის თავისუფლების ხარისხი განსაკუთრებით მაღალია. სწორედ პიროვნული თავისუფლებისა და თავისუფალი განვითარების უფლების გამოხატულება და ნაწილია ქორწინების თავისუფლება. ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტი, გარდა ინსტიტუციური გარანტიისა, ძირითადი უფლების დამდგენი ნორმაცაა“⁶⁷⁴.

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ქორწინების ინსტიტუტის სამართლებრივ მნიშვნელობაზე, დატვირთვასა და შედეგებზე. მისი განმარტებით, ეს არის რთული სოციალური ინსტიტუტი, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებით, რომლის დადებასაც უკავშირდება რიგი ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლება-მოვალეობების შექმნა. ქორწინების უფლება მოიცავს მრავალმხრივი ურთიერთობების ვრცელ სპექტრს. ის, „პირველ რიგში, უკავშირდება „ოჯახის შექმნაზე“ ბუნებითი და ფუნდამენტური უფლების რეალიზაციას/დაცვას. ეს არის პირის უფლება, მოიპოვოს ურთიერთობის სამართლებრივი სტატუსი და საზოგადოებრივი აღიარება. დადგენილი წესით ქორწინება არის სამართლებრივი საშუალება, რომ პირებმა სა-

674 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება №2/2/425 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 1-3.

ხელმწიფოსაგან და საზოგადოებისაგან მოიპოვონ მათი ურთიერთობის, როგორც ქორწინების ლეგიტიმაცია⁶⁷⁵. „... ეს არის პირთა შესაძლებლობა, სტატუსი შესძინონ მათ ურთიერთობას, დაამყარონ სამართლებრივად მბოჭავი კავშირი... წყვილის კავშირის საზოგადოებრივი აღიარება და სოციუმში ინტეგრაცია ქორწინების ინსტიტუტის ცენტრალური კომპონენტია. ... ამგვარად, ქორწინების უფლების რეალიზაცია წარმოადგენს საზოგადოებრივად აღიარებული ოჯახის შექმნის საშუალებას. ქორწინება, როგორც მნიშვნელოვანი პიროვნული და, ამავე დროს, საჯარო აქტი, ემსახურება ახლად შექმნილი ოჯახის საზოგადოებაში ინტეგრაციას. ქორწინების უმნიშვნელოვანესი პირობაა წყვილის ურთიერთკავშირის აღიარება საზოგადოებისა და სახელმწიფოსაგან“⁶⁷⁶.

იმავდროულად, მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ქორწინებისა და ოჯახური ცხოვრების ურთიერთმიმართებაზე. კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს, რომ ქორწინება არის კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით. მაშასადამე, ქორწინება არის ოჯახის შექმნის და ოჯახური თანაცხოვრების საფუძველი, სამართლებრივი შესაძლებლობა (რაზეც არაორაზროვნად მიუთითებს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განმარტებებიც). თუმცა ოჯახის შექმნა/ოჯახური თანაცხოვრება არ არის მხოლოდ ქორწინების შედეგი. ქორწინება, მართალია, ემსახურება ოჯახის შექმნის მიზანს, თუმცა ის არ არის ერთადერთი გზა ოჯახის შექმნის ლეგიტიმაციისთვის. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მთავარ სათქმელს (რეგულირების სფეროს) წარმოადგენს ის, თუ რა არის ქორწინება (და არა, რა არის ოჯახი) და რა პირობების დაკმაყოფილებისას იძენს ის ლეგიტიმაციას. მართალია, კონსტიტუცია პირდაპირ/უშუალოდ არ მიუთითებს, რომ ქორწინება არის ოჯახის შექმნის ერთ-ერთი ფორმა, მაგრამ არც იმას გულისხმობს უპირობოდ, რომ ის (ქორწინება) ამ თვალსაზრისით ერთადერთი კონსტიტუციური შესაძლებლობაა. ამ კონტექსტში უმნიშვნელოვანესია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება, რომელიც არაორაზროვნად მიუთითებს, რომ კონსტიტუციის მიზნებისთვის ოჯახი არ არის მხოლოდ ქორწინების შედეგად წარმოშობილი ურთიერთობები. კერძოდ, ოჯახური ცხოვრება მოიცავს ქორწინების ან „ფაქტობრივი თანაცხოვრების“ შედეგად მეუღლეებს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს. „ასეთი ურთიერთობების

675 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 66.

676 იქვე, II, 66.

ჩამოყალიბება და განვითარება მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის თავისუფლებას, მისი ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობას⁶⁷⁷. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვითაც, კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, „ოჯახის“ ცნება არ არის დაყვანილი მხოლოდ ქორწინებას დაფუძნებულ ურთიერთობებზე. იგი შეიძლება მოიცავდეს სხვა de facto „ოჯახურ კავშირებსაც“, რომელშიც მხარეები ქორწინების გარეშე ცხოვრობენ.⁶⁷⁸

მაშასადამე, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლი ქმნის კონსტიტუციურ გარანტიას ქორწინების ინსტიტუტისთვის, მიუთითებს ქორწინების მიზანზე – წყვილმა შექმნას ოჯახი, თუმცა ამ მუხლის ამოცანას არ წარმოადგენს ოჯახის ინსტიტუტის და მისი ფარგლების სრული რეგლამენტაცია. ის, თუ როგორია ოჯახური ცხოვრების დაცვის კონსტიტუციური ფარგლები, ამაზე პასუხს იძლევა საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი.

შესაბამისად, 30-ე მუხლის ფარგლებში გავანალიზებთ უშუალოდ ქორწინების ინსტიტუტისა და უფლებისთვის შექმნილ კონსტიტუციურ გარანტიებს.

კონსტიტუცია ყურადღებას ამახვილებს ქორწინების რამდენიმე ასპექტზე, კერძოდ:

ა) ქორწინების თავისუფლება წარმოადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ერთ-ერთ გამოხატულებას და „...მოიცავს როგორც პოზიტიური, ასევე, ნეგატიური ქცევის თავისუფლებას. ამდენად, დაცულია ქორწინების როგორც პოზიტიური, ასევე, ნეგატიური თავისუფლება“⁶⁷⁹.

ბ) აღნიშნული კონსტიტუციური დებულება უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის თავისუფლებას, დაქორწინდეს მის მიერ არჩეულ პარტნიორზე, რაც გულისხმობს და მოითხოვს სახელმწიფოსგან შესაბამისი გარანტიების შექმნას აღნიშნული თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვებისაგან დასაცავად.

677 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის განჩინება №1/2/458 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ, II, 1.

678 Guide on Article 8 of the European Convention on Human Rights; 2019, 30 April, 52 p.

679 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება №2/2/425 საქმეზე საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 5.

მაგალითად, საქმეზე *სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო რეგულაცია⁶⁸⁰, რომლის თანახმად, უცხო ქვეყნის მოქალაქესთან ან მოქალაქეობის არმქონე პირთან ქორწინების რეგისტრაციისათვის საჭირო იყო სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა. მოსარჩელე – საქართველოს მოქალაქე – დაქორწინდა აშშ-ს მოქალაქეზე. სადავო ნორმის საფუძველზე მან სამოქალაქო რეესტრის შესაბამის სამსახურში წარადგინა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, არ მოხდებოდა მათი ქორწინების რეგისტრაცია. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ამგვარი თანხმობის წარდგენა არ ევალებოდა დაქორწინების მსურველ პირებს, თუ ორივე მათგანი საქართველოს მოქალაქე იყო. ის თვლიდა, რომ სადავო ნორმამ დაარღვია მისი უფლება ქორწინების თავისუფლებაზე, რადგან მისი უფლების რეალიზაცია ადმინისტრაციული ორგანოს ნებართვაზე იყო დამოკიდებული.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტებით, იქედან გამომდინარე, რომ სადავო ნორმით დადგენილ მოთხოვნას დაქორწინების მსურველთათვის აუცილებელი ხასიათი ჰქონდა და მისი შეუსრულებლობა, ფაქტობრივად, იწვევდა დაქორწინებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების რეალიზაციის შეუძლებლობას, მიზანი, რომელსაც ეს მოთხოვნა ემსახურებოდა, უნდა ყოფილიყო ძალიან მნიშვნელოვანი, მკაფიო და მისაღწევად აუცილებელი. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა უფლების დარღვევა სწორედ უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზნის არარსებობის მიზეზით. კერძოდ, სასამართლომ გაანალიზა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობის ინსტიტუტის არსი და თანხმობის გაცემის პროცედურა. გაირკვა, რომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა, რომელსაც სააგენტოს თავმჯდომარე გაცემდა, სხვა საბუთებისაგან დამოუკიდებელ და ქორწინებისათვის სავალდებულო დოკუმენტს წარმოადგენდა, ამასთან, მისი მიღებისათვის რაიმე განსხვავებული ინფორმაციისა თუ დოკუმენტების წარდგენა არ ხდებოდა, მას არ ჰქონდა დამოუკიდებელი დანიშნულება და მიზანი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტო მისი გაცემისას არ ახდენდა რაიმე ახალი გარემოების გამოკვლევას და დადგენას. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ვერ გამოიკვეთა, თუ დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელ რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს

680 „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-5 პუნქტის (2005 წლის 28 დეკემბრის რედაქცია) სიტყვები „...და სააგენტოს თანხმობით“.

თანხმობა. ამასთან, სასამართლომ სადავო ნორმის შემოღების ლეგიტიმურ მიზნად არ მიიჩნია მოპასუხის მიერ დასახელებული გარემოება, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქესთან საქართველოს მოქალაქის ქორწინებას შესაძლოა მოჰყოლოდა განსაკუთრებული სამართლებრივი შედეგები საქართველოს მოქალაქეობის მიღებასთან, შვილების მოქალაქეობასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. სასამართლომ აღნიშნა: „არ ირკვევა, თუ რატომ უნდა დაქვემდებარებოდა, შესაძლო სამართლებრივი შედეგებიდან გამომდინარე, უცხო სახელმწიფოსა და საქართველოს მოქალაქის ქორწინება დამატებითი და აშკარად ფორმალური ბარიერების დაწესებას. გარდა ამისა, ქორწინების რეგისტრაცია და საქართველოს მოქალაქეობის მიღება არის ორი სრულიად განსხვავებული პროცედურა. ქორწინების რეგისტრაციისას ობიექტურად ვერ დადგინდება უცხოეთის მოქალაქის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღების, ასევე დაქორწინების მსურველთა არსებული თუ მომავალი შვილებისა და შვილად აყვანილების მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ... მოპასუხემ სასამართლოს ვერ დაანახვა დემოკრატიული საზოგადოებისათვის ღირებული ის სიკეთე, რომლის მიღწევას ან დაცვას ემსახურებოდა სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა“⁶⁸¹.

გ) უმნიშვნელოვანესია ქორწინების ნებაყოფლობითი კომპონენტი – კონსტიტუცია აღიარებს პირის თავისუფლებას, მხოლოდ საკუთარი ნების შესაბამისად დაქორწინდეს მის მიერ არჩეულ პარტნიორზე. „ქორწინება წარმოადგენს ნებაყოფლობით და გაცნობიერებულ კავშირს, რომლის მიზანია წარმოშვას მნიშვნელოვანი სამართლებრივი, სოციალური და პიროვნული შედეგები“⁶⁸². „ქორწინების ნებაყოფლობითობის აღიარება პირის ავტონომიურობის პატივისცემის გამოხატულებაა. ... ქორწინება ნებაყოფლობითია, თუ ის პირის ნების თავისუფალ და გაცნობიერებულ გამოვლენას ემყარება. ნების გამოვლენის თავისუფლება გულისხმობს პირის მიერ საკუთარი სურვილის ძალდაუტანებელ გამოვლინებას. ხოლო, გაცნობიერებულობა მოიცავს პირის უნარს, სათანადოდ აღიქვას და გააანალიზოს ქორწინების აქტი და მისი თანმდევი პიროვნული, სოციალური

681 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება №2/2/425 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე სალომე წერთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 14.

682 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 63.

და სამართლებრივი შედეგები⁶⁸³. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „დაუშვებელია პირის იძულება, დაქორწინდეს და შექმნას ოჯახი. ასევე, დაუშვებელია დაბრკოლებების შექმნა სახელმწიფოს მხრიდან დაქორწინების მსურველთათვის არაპროპორციული და დემოკრატიული საზოგადოებისათვის მიუღებელი, ხელისშემშლელი ჩარევის გზით“⁶⁸⁴.

ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*. მოსარჩელები ასაჩივრებდნენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმას, რომლის თანახმად, ქორწინება არ დაიშვებოდა იმ პირებს შორის, რომელთაგან, თუნდაც ერთი, სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო, სასამართლოს მიერ ცნობილი იყო ქმედუუნაროდ⁶⁸⁵. მოსარჩელეთა მტკიცებით, გონებრივი ჩამორჩენილობისა და სულიერი აშლილობის მქონე პირისთვის ქორწინების უფლების სრულად ჩამორთმევა არღვევდა მათ უფლებას.

სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა არ ზღუდავდა პირთა ფაქტობრივ თანაცხოვრებას. ის მხოლოდ ასეთი თანაცხოვრების ინსტიტუციონალიზაციას კრძალავდა. ამგვარად, სახელმწიფო აფერხებდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებრივ ინტეგრაციას. სასამართლოს შეფასებით, ასეთი რეგულაციით ხდებოდა ისედაც მოწყვლადი სოციალური ჯგუფის სტიგმატიზება.

სასამართლომ საქართველოს პარლამენტის მიერ დასახელებული მიზნები – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის არანებაყოფლობითი ქორწინებისაგან დაცვა და მისი ქონებრივი ინტერესების უზრუნველყოფა, მიიჩნია კონსტიტუციით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ ინტერესებად. სასამართლოს განმარტებით: „არანებაყოფლობითი ქორწინებისაგან დაცვა საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლით დაცული ქორწინების თავისუფლების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ... ამგვარად, თუ პირი შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების გამო თავისუფლად და გაცნობიერებულად ვერ გამოხატავს ნებას ქორწინების შესახებ, ქორწინება ვერ იქნება შესაბამისობაში პირის უფლებასთან, და-

683 იქვე, II, 75.

684 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება №2/2/425 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 5.

685 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საქმის განხილვის დროისთვის მოქმედი რედაქცია.

ცული იყოს არანებაყოფლობითი ქორწინებისგან და პიროვნული ავტონომიის ხელყოფისგან⁶⁸⁶. იმავდროულად, „საზოგადოებრივ ცხოვრებაში ვერ გამოირიცხება შემთხვევები, როდესაც ანგარებით მოქმედი პირები ბოროტად იყენებენ პირის შეზღუდულ გონებრივ შესაძლებლობებს ქონებრივი სარგებლის მისაღებად. შესაბამისად, კანონმდებელი ღირებულებების ინტერესის დაცვას ახდენს“⁶⁸⁷.

უფლების შესაზღუდად ლეგიტიმური მიზნების არსებობის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო რეგულაცია არაკონსტიტუციურად ცნო, ვინაიდან ის იწვევდა უფლებაში არათანაზომიერ ჩარევას. სასამართლომ აღნიშნა, რომ „ნორმის მზლუდავი ეფექტის ლეგიტიმურ მიზნებთან თანაზომიერება მოითხოვს უფლებაში ჩარევის ინდივიდუალიზაციასა და საჭიროებებზე მაქსიმალურ მორგებას. ნორმა, რომელიც უპირობოდ და სრულად ზღუდავს უფლებას, რთულად თუ დააკმაყოფილებს კონსტიტუციურობის სტანდარტს“⁶⁸⁸. სასამართლომ მიუთითა, რომ „აღქმისა და ანალიზის უნარი არ შეიძლება ერთნაირად ჰქონდეს დაქვეითებული ქმედუწუნაროდ აღიარებას დაქვემდებარებულ ყველა პირს, არამედ იგი განსხვავებულია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროსა თუ მისაღები გადაწყვეტილების სირთულის მიხედვით“. „ქორწინების ქონებრივი და არაქონებრივი შედეგების გაცნობიერების უნარები შესაძლებელია ინდივიდუალურ შემთხვევაში განსხვავებული იყოს. ქორწინების ქონებრივი შედეგები, რომლებიც უკავშირდება გარკვეული ქონებრივი ვალდებულებების აღებას, განსხვავებულ განჭვრეტას საჭიროებს, განსხვავებით ქორწინების არაქონებრივი სოციალური შედეგებისა. ... ქმედუწუნაროდ აღიარებულ პირებს არა მხოლოდ ქორწინების ქონებრივი შედეგები ეზღუდებათ, არამედ შეზღუდულია მათი ქორწინების შედეგად პირადი არაქონებრივი უფლებების შექმნის უფლებაც. ... სხვა პირთან ერთად, ოჯახის შექმნის გაცნობიერებული სურვილი, შესაძლებელია, არსებობდეს ქონებრივი შედეგების გაცნობიერების გარეშეც. სადავო რეგულაცია არ ითვალისწინებს იმის აღბათობას, რომ „სულით ავადმყოფობისა“ და „ჭკუასუსტობის“ გამო ქმედუწუნაროდ აღიარებულ პირთა გარკვეულ კატეგორიას, შესაძლოა, არ ჰქონდეს დაკარგული უნარი, შეიგნოს ქორწინების, როგორც სოციალური აქტის მნიშვნელობა, გაიაზროს ის პირადი

686 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 73.

687 იქვე, II, 75.

688 იქვე, II, 78.

და სოციალური შედეგები, რაც ქორწინებას ახლავს. სადავო ნორმების შესაბამისად, არ ხდება პირის უნარების შემოწმება სოციალური ცხოვრების იმ სფეროს მიხედვით, რომელსაც შეეხება მისაღები გადაწყვეტილება და, ამდენად, უგულებელყოფილია ქმედუნაროდ აღიარებული პირების შეუზღუდავი უნარები⁶⁸⁹.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმით დაწესებული ბლანკეტური შეზღუდვა არ შეესაბამებოდა კონსტიტუციის მოთხოვნებს.

დ) კიდევ ერთი კონსტიტუციური გარანტიაა, რომ ქორწინება ეფუძნება მეუღლეთა თანასწორობას.

5.2. ქორწინება, როგორც მხოლოდ ქალისა და მამაკაცის კავშირი – კონსტიტუციური ცვლილება ადამიანის უფლებების საწინააღმდეგოდ

საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წელს განხორციელებულ ცვლილებებს შორის უფლებების საუარესოდ მიღებულ ერთ-ერთ ცვლილებას უდავოდ წარმოადგენს ქორწინების მარეგულირებელ დებულებაში გაკეთებული ჩანაწერი, რომ ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის კავშირი. კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციის 36-ე მუხლის პირველი პუნქტისგან განსხვავებით, რომელიც მიუთითებდა, რომ ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას, ცვლილებების შედეგად დაკონკრეტდა, ვინ შეიძლება იყვნენ ქორწინებაში მყოფი მეუღლეები: ქალი და მამაკაცი.

არაორაზროვანია, რომ აღნიშნული ცვლილების სათქმელიც და მიზანიც არის ერთი სქესის წარმომადგენელთა ქორწინების გამორიცხვა. ნიშანდობლივია, რომ ქორწინების ასეთი განმარტება ისედაც არსებობდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. ის კონსტიტუციის 36-ე მუხლის პირველ პუნქტს აკონკრეტებდა, როგორც მხოლოდ ქალისა და კაცის ნებაყოფლობით კავშირს ოჯახის შექმნის მიზნით. თუმცა კონსტიტუციური ცვლილებების ავტორებმა ასეთი ცვლილების აუცილებლობა ახსნეს იმ გარემოებით, რომ სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული ნორმის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში, მისი არაკონსტიტუტურად ცნობის ალბათობა რეალისტური იყო.

საინტერესოა ზოგადი ტენდენცია ამ თვალსაზრისით. მზარდია იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებიც აღიარებენ ერთნაირსქესიანთა ქორწინე-

689 იქვე, II, 85-91.

ბას. თავდაპირველად ასეთი უფლების ლეგიტიმაცია მოხდა ნიდერლანდების მიერ 2001 წელს. დღეს ქორწინების თანასწორობა აღიარებულია არაერთ ქვეყანაში, როგორებიცაა: ბელგია, დანია, საფრანგეთი, ისლანდია, ნორვეგია, პორტუგალია, ესპანეთი, შვედეთი⁶⁹⁰. გარდა ამისა, ჰომოსექსუალ წყვილებს წვდომა აქვთ ქორწინების ინსტიტუტზე არგენტინაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიაში, ბრაზილიაში, კანადაში, კოლუმბიაში, მექსიკაში, ახალი ზელანდიაში, სამხრეთ აფრიკაში, ურუგვაიაში. რიგი ქვეყნები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით არ აღიარებენ ქორწინების თანასწორობას, ცნობენ სხვა ქვეყანაში გაფორმებულ ქორწინების აქტებს (ესტონეთი, სომხეთი, ისრაელი).

მაშასადამე, იმ პირობებში, როდესაც ადამიანის უფლებების სამართალი, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების უფლებების ფარგლების გადააზრების თვალსაზრისით, მუდმივად პროგრესირებს, როდესაც არაერთი სახელმწიფო ადამიანის ღირსების მთელი სიგრძე-სიგანით გააზრების სასარგებლოდ სტიგმების და სტერეოტიპების მიქველობისგან მენტალურად თავისუფლდება, სწორედ ამ დროს საქართველოს ხელისუფლებას საგანგებოდ შეაქვს ცვლილებები კონსტიტუციაში აღნიშნულ საკითხზე სამართლებრივი დისკუსიის ლეგიტიმაციისთვის ყველა შესაძლებლობის ამოსაქოლად.

რიგ ქვეყნებში ქორწინების თანასწორობის აღიარება, პირველ რიგში, მიუთითებს ამ ინსტიტუტის ტრადიციული გაგების ტრანსფორმაციაზე, რასაც ასაზრდოებს ადამიანის თავისუფალი განვითარების, თანასწორობის, ღირსების პატივისცემა. მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფოები სარგებლობენ ფართო მიხედულების ფარგლებით ჰომოსექსუალების ქორწინების უფლების აღიარების საკითხთან დაკავშირებით და კონვენციის მე-12 მუხლი არ აკისრებს მათ ვალდებულებას, უზრუნველყონ ერთი და იმავე სქესის წარმომადგენელთა ქორწინების უფლებით სარგებლობა⁶⁹¹, თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი უფლების აღიარების მკაფიო ვალდებულების არარსებობა თავისთავად არ გულისხმობს სახელმწიფოების მიერ მისი კონსტიტუციით აკრძალვის ლეგიტიმაციას. საკითხის სახელმწიფოთა მიხედულების ფარგლებში გადაწყვეტის შესაძლებლობა იმთავითვე გულისხმობს განსხვავებული გადაწყვეტილებების (მათ შორის, დროში), ამასთან არა მხოლოდ პოლიტიკური აქტორების მონაწილე-

690 *HÄMÄLÄINEN v. Finland*, app. №37359/09, (ECtHR, 16.07.14).

691 *Schalk and Kopf v. Austria*, app. №30141/04 (ECtHR, 24.06.2010).

ობით, მიღების ალბათობას, რასაც არ შეიძლება გამორიცხავდეს თავად კონსტიტუცია.

თავისუფლების, ღირსების, თანასწორობის დაცვის შესაბამისი გარანტიების შექმნის თვალსაზრისით სახელმწიფოს ვალდებულება თანაბარია ყველა/თითოეული ადამიანის მიმართ, მათ შორის, ბუნებრივია, მათი სექსუალური ორიენტაციისგან დამოუკიდებლად. სექსუალური ორიენტაცია ადამიანის იდენტობის განუყოფელი ნაწილია ზუსტად ისევე, როგორც კანის ფერი, ამიტომაც ჰომოფობია საზოგადოების მენტალობის თვისობრივად ისეთივე კლიშეა, როგორც რასიზმი და ეფუძნება მხოლოდ ადამიანების „ნაკლებად ღირსეულად“ აღქმის სამარცხვინო მიდგომას. ქორწინების ისტორიული შინაარსის და ტრადიციული დატვირთვის მიუხედავად, კონსტიტუციით მისი სუბიექტების განსაზღვრა მათი სექსუალური ორიენტაციის მიხედვით, უდავოდ ახდენს სტერეოტიპებისადმი ხელისუფლების ნებაყოფლობითი მორჩილების მკაფიო ლუსტრაციას, ემსახურება ჰომოსექსუალებისადმი უპატივცემულობის, მათი სხვებთან არათანასწორად აღქმის ხაზგასმას და იმ სტიგმის გაღრმავებას, რომელიც ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება კონსტიტუციის სულისკვეთებას.

საქართველოს კონსტიტუციაში საგანგებოდ განხორციელებული ეს ცვლილება თავად კონსტიტუციის უზენაეს მიზანზე – უზრუნველყოს ადამიანის ღირსების დაცვა, თავისუფლება და ბედნიერებისკენ სწრაფვა, ძალადობის სამწუხარო ნიმუშია.

მართალია, აღნიშნული ცვლილების მკაფიო მიზანი განჭვრეტადს ხდის ხელისუფლების დამოკიდებულებას ოჯახის ინსტიტუტისადმი – ის ამ ინსტიტუტის განვითარების პერსპექტივას ვიწროდ ტრადიციული მიდგომების ჩარჩოში ხედავს, თუმცა ეს ვერ დაავიწროვებს ოჯახური ცხოვრების უფლების ფარგლებს. კონსტიტუციის 30-ე მუხლი ვერ დააკორექტირებს და ვერც განაპირობებს კონსტიტუციის მე-15 მუხლით გარანტირებული ოჯახური ცხოვრების უფლების კონსტიტუციურ დიაპაზონს.

ბუნებრივია, საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი აღიარებს რა პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას, ჰომოსექსუალური წყვილებისთვის ქმნის ჰეტეროსექსუალური წყვილების დაცვის თვისობრივად თანაბარ გარანტიებს. ამ მუხლზე დაყრდნობით, ერთი და იმავე სქესის პირებს აქვთ ლეგიტიმური უფლება, მოითხოვონ მათი ურთიერთობის სამართლებრივი აღიარება, შესაბამისად, კანონმდებელს აქვს შემხვედრი კონსტიტუციური ვალდებულება.

ამ კონტექსტში უმნიშვნელოვანესია 2017 წლის კონსტიტუციური ცვლილებების პროექტზე მომზადებული ვენეციის კომისიის დასკვნა, რო-

მელიც კონსტიტუციაში ქორწინების სუბიექტების დავიწროებასთან მიმართებით განმარტავს, რომ ის ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოახდენს გავლენას სამოქალაქო პარტნიორობის სამართლებრივ აღიარებაზე⁶⁹².

მაშასადამე, ერთი და იმავე სქესის პირთა ურთიერთობების სამართლებრივი აღიარების ინსტიტუციური მოწესრიგება კანონმდებლის კონსტიტუციური ვალდებულებაა, რადგან ამ თვალსაზრისით, ოჯახური ცხოვრების ფარგლები ხელისუფლებას პოლიტიკური მიზანშეწონილებით ან საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევის დალოდებით მოქმედების თავისუფლებას არ უტოვებს.

იმედია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგი განმარტებები სწორი გზამკვლევი გახდება მისთვის ერთი და იმავე სქესის პირებისთვის ოჯახური ცხოვრების უფლების ფარგლების განმარტების პროცესში. კერძოდ, „არჩევანის თუ შესაძლებლობების მიხედვით პიროვნების განვითარება განაპირობებს ... თითოეულის განსხვავებულობასა და განუმეორებლობას, რაც ასე მნიშვნელოვანია როგორც საკუთარი პიროვნულობის შეგრძნების, თვითრეალიზაციის და ამ გზით პირადი ბედნიერების ძიებისთვის, განცდისთვის, ისე საზოგადოების ჯანსაღი განვითარებისთვის“⁶⁹³. „ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა არ შეიძლება დამოკიდებული იყოს პირის ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისა თუ კატეგორიისადმი კუთვნილებაზე“⁶⁹⁴. პოტენციური დავის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა შეძლოს, იმოქმედოს ღირსებისა და თანასწორობის ფუნდამენტური პრინციპების ერთგულებითა და პატივისცემით. ტრადიციები, საზოგადოებრივი განწყობები, რელიგიური შეხედულებები არ შეიძლება აფერმკრთალებდეს კონსტიტუციის სულისკვეთებას – დაიცვას თოთოეული ადამიანის თავისუფლება.

692 ვენეციის კომისიის დასკვნა, პ. 38. იხ.: [http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2017\)023-e](http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2017)023-e).

693 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

694 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის განჩინება №1/11/714 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი ტატიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

6. თავისუფლების უფლება

საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 13. ადამიანის თავისუფლება

1. ადამიანის თავისუფლება დაცულია.
2. თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით.
3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონით უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არაუგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
4. პირს დაკავებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და დაკავების საფუძველი. პირს დაკავებისთანავე შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.
5. ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.
6. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

თავისუფლების უფლების მარეგლამენტირებელი დებულებები საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მიხედვით:

მუხლი 18.

1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.
2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.
3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არაუგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.
4. ამოღებულია (27.12.2006. №4136).
5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის

საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

5. ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.

6. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

6.1. უფლების არსი და მნიშვნელობა

თავისუფლების უფლება ფუნდამენტურად განსაზღვრავს ადამიანის თვითრეალიზაციის პერსპექტივას, ის მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ფართო გაგებით თავისუფლების, ანუ ყველა ძირითადი უფლებით სარგებლობის და ამ გზით განვითარების ხარისხს. თავისუფლების უფლება წარმოადგენს, შესაძლოა, არა თვითკმარ, თუმცა უალტერნატივო საფუძველს ყველა ფუნდამენტური უფლებით სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობისთვის, რადგან შეზღუდული თავისუფლების პირობებში თავისთავად შეუძლებელია სხვა უფლებებით შეზღუდული სარგებლობა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თავისუფლების უფლება „... ფუნდამენტური უფლებების ერთ-ერთ ძირითად საყრდენს წარმოადგენს და, კონსტიტუციის თანახმად, საგანგებო დაცვას ექვემდებარება“⁶⁹⁵. „პირადი ხელშეუხებლობის უფლება უმნიშვნელოვანესია ზოგადად ადამიანის თავისუფლებისთვის ფართო გაგებით – ადამიანის თავისუფალი განვითარებისთვის, უფლებებით ეფექტურად და სრულყოფილად სარგებლობისთვის. პირადი ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა კანონზომიერად, თავისთავად, ჯაჭვურად იწვევს ფუნდამენტური უფლებების უმრავლესობით შეზღუდულ სარგებლობას ან/და ზოგიერთი მათგანით სარგებლობის შეუძლებლობას. ... სწორედ ამიტომ, თავისუფლებას არ აქვს თანაბარი ეკვივალენტი, არ არსებობს ფასი, რომელიც აწონის ან სრულად ჩაანაცვლებს თავისუფლებას“⁶⁹⁶.

თავისუფლების უფლება, როგორც ხარისხიანი თავისუფლების წინაპირობა, საგანგებო დაცვით სარგებლობს საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე. „ადამიანის თავისუფლებას ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს. მისი წარმოშობა იმ საფრთხეს უკავშირდება, რომელიც ადამიანს ემუქრება შეზღუდული სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან. ამ საფრთხისაგან დაცვის საჭიროებამ განაპირობა, რომ ადამიანის თავისუფლების დაცვა აისახა თავისუფლების დიდ ქარტიაში, უფლებათა პეტიციაში და, უპირველეს ყოვლისა, ჰაბესუს კორპუს აქტში. ამ უფლებებს ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ნებისმიერი კლასიკური

695 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/2/503,513 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2.

696 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 28.

კატალოგი, როგორც ეროვნული კონსტიტუციების, ასევე საერთაშორისო სამართლის დონეზე⁶⁹⁷.

თავისუფლების უფლება მოითხოვს, ადამიანი იყოს დაცული მისი ფიზიკური თავისუფლების/ხელშეუხებლობის ნებისმიერი ინტენსივობით უსაფუძვლო შეზღუდვისგან. ის არ არის ზოგადად თავისუფლების სინონიმი. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების თანახმად, თავისუფლების უფლების ძირითადი არსი გულისხმობს „...ადამიანის ფიზიკურ თავისუფლებას, მის უფლებას, თავისუფლად გადაადგილდეს ფიზიკურად, თავისი ნების შესაბამისად, იმყოფებოდეს ან არ იმყოფებოდეს რომელიმე ადგილზე. ადამიანის თავისუფლება არის მისი გადაადგილების თავისუფლება ვიწრო გაგებით“⁶⁹⁸. ცხადია, ეს უფლება ასევე არ შეიძლება გავაიგივოთ გადაადგილების/მიმოსვლის თავისუფლებასთან. მართალია, თავისუფლების უფლების შეზღუდვის პირველადი ეფექტი სწორედ გადაადგილების თავისუფლებაში ჩარევას გულისხმობს, თუმცა ის, იმავდროულად კანონზომიერად იწვევს არაერთი ფუნდამენტური უფლების შეზღუდვას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-5 მუხლი არ ვრცელდება მიმოსვლის თავისუფლების უბრალო შეზღუდვებზე, რომელიც ხდება მე-4 ოქმის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედების სფეროში. თუმცა გადაადგილების შეზღუდვასა და თავისუფლების აღკვეთას შორის განსხვავება მხოლოდ ხარისხის ან სიმძიმის ასპექტს შეეხება. პირს აღეკვეთა თუ არა თავისუფლება მე-5 მუხლის მნიშვნელობით, უნდა შეფასდეს კონკრეტული სიტუაციის მიხედვით, ისეთ კრიტერიუმებზე ყურადღების გამახვილებით, როგორებიცაა გამოყენებული ღონისძიების სახე, ხანგრძლივობა, შედეგები და ფორმები⁶⁹⁹.

მაშასადამე, თავისუფლების უფლება გულისხმობს ადამიანის დაცულობას თვითნებური დაკავების/დაპატიმრების/თავისუფლების აღკვეთისგან. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით ის დეკლარირებულია რა სწორედ, როგორც თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება, მოითხოვს ადამიანების ფიზიკურ ხელშეუხებლობას და ამ თვალსაზრისით ქმნის თითოეულის უსაფრთხოების გარანტიას. ევროპული სასამართლოს განმარტებით: „კონვენციის მე-5 მუხლი, მე-2, მე-3

697 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/415 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 3.

698 იქვე, II, 2.

699 *Guzzardi v. Italy*, app. №7367/76, (ECtHR, 06.11.1980), §§92-93; *Buzadji v. the Republic of Moldova*, app. №23755/07, (ECtHR, 05.07.2016), §103.

და მე-4 მუხლებთან ერთობლიობაში, მიეკუთვნება იმ ძირითადი უფლებების კატეგორიას, რომელიც პირის ფიზიკურ უსაფრთხოებას იცავს ... და მისი მნიშვნელობა გადაამწყვეტია. ძირითადი მიზანი თავისუფლების თვითნებური ან გაუმართლებელი აღკვეთის პრევენცია⁷⁰⁰.

6.2. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი – უფლების ზოგადი გარანტია

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის თანახმად, „ადამიანის თავისუფლება დაცულია“, ქმნის უფლების ზოგად გარანტიას, „მისი მიზანია, არ დაუშვას თავისუფლების უკანონოდ, დაუსაბუთებლად და თვითნებურად შეზღუდვა“⁷⁰¹.

საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებდა, რომ ადამიანის თავისუფლება „ხელშეუვალია“. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ტერმინი („ხელშეუვალია“, „დაცულია“) ემსახურება, ზოგადად, ადამიანის თავისუფლების უფლების აღიარებას/დეკლარირებას, „თავისუფლების ხელშეუვალობა“ გაცილებით ადეკვატურად, ზუსტად მიუთითებდა ფუნდამენტური უფლების ბუნებაზე – ის, სხვა ძირითადი უფლებების მსგავსად, ადამიანის თანდაყოლილი, განუსხვისებელი, იმანენტურია და სწორედ ამიტომ – ხელშეუვალი. უფლების დაცვა კი სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა, რაც თავისთავად გამომდინარეობს მისი (თავისუფლების უფლების), როგორც ხელშეუვალი უფლების, აღიარების ფაქტიდან.

კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტი იცავს თითოეულ ადამიანს მისი თავისუფლების უსაფუძვლოდ შეზღუდვისგან. ადამიანები არ უნდა ცხოვრობდნენ შიშით, ან თუნდაც ქვეცნობიერად იმაზე დაფიქრებით, რომ შესაძლოა, მათ თავისუფლებას საფრთხე დაემუქროს მაშინ, როდესაც არ არსებობს საამისოდ ლეგიტიმური საფუძველი. ამასთან, ეს უფლება საგანგებოდ იცავს პირებს, რომელთა მიმართ დაწყებულია სისხლისმართლებრივი (ან ადმინისტრაციული) დევნა, ქმნის შესაბამის გარანტიებს, რათა ისინი დაცულნი იყვნენ თავისუფლების შეზღუდვისგან მაშინ, როდესაც, მიუხედავად მათ მიმართ დევნის დაწყების საფუძველი-

700 *Assanidze v. Georgia*, app. №71503/01, (ECtHR, 04.08.2004), §171; *Buzadji v. the Republic of Moldova*, app. №23755/07, (ECtHR, 05.07. 2016), §84; *Dubinskiy v. Russia*, app. №48929/08, (ECtHR, 03.07.2014), §38.

701 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/2/646 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 1.

ანობისა, უშუალოდ დაკავების/დაპატიმრების, თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის საფუძველი არ არსებობს. ასევე, შეზღუდვისთვის ლეგიტიმური საფუძვლების არსებობისას, იცავს მათ თავისუფლებაში არაპროპორციული ჩარევისგან (იმაზე უფრო ხანგრძლივად, ვიდრე ეს ობიექტურად აუცილებელია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში).

თავისუფლების უფლების უდიდესი მნიშვნელობის მიუხედავად, სხვა ძირითადი უფლებების მსგავსად, ისიც არ არის აბსოლუტური ხასიათის. სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა, დაიცვას საზოგადოების უსაფრთხოება, თითოეული ადამიანი და უზრუნველყოს ჰარმონიული თანაარსებობის შესაძლებლობა. ამ ამოცანის განსახორციელებლად ფართოა მისი (სახელმწიფოს) მიხედვლების ფარგლები. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ ეფექტურ ინსტრუმენტს წარმოადგენს დანაშაულთან (ზოგადად, სამართალდარღვევასთან) ბრძოლა – კანონმდებლობით შესაბამისი ქმედებისთვის ადეკვატური სასჯელის (სახდელის) დაკისრება, მათ შორის, თავისუფლების აღკვეთის სახით, ისევე, როგორც დანაშაულთან (ან სხვა სამართალდარღვევასთან) ბრძოლის ფარგლებში ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის შესაბამისი კონსტიტუციური მექანიზმების (დაკავების, დაპატიმრების), ფორმების გამოყენება. „...მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის თავისუფლება უმთავრესი ღირებულებაა, ის, იმავდროულად, სწორედ ამ მიზეზით ზღვარდადებულია საზოგადოების სხვა წევრების თავისუფლებით (ძირითადი უფლებებით და თავისუფლებებით). ვინაიდან თავისუფლება ყველასათვის ერთნაირი სიკეთეა და გულისხმობს საზოგადოების თითოეული წევრის თანაბარ შესაძლებლობას, შანსს განვითარებასა და თვითრეალიზაციაზე, ყველა, ვინც ამ თავისუფლებით ბოროტად ისარგებლებს, ზღვარს გადააბიჯებს, სხვის თავისუფლებას (ამა თუ იმ უფლებას) ხელყოფს, სამართლიანობა მოითხოვს, აღდგეს თავდაპირველი წონასწორობა და სამომავლოდაც საფრთხის ქვეშ არ იდგეს ყველას ერთნაირი უფლება თავისუფლებაზე. ასეთი წონასწორობის, ბალანსის დასაცავად ხელისუფლება სხვადასხვა ზომებს მიმართავს და საჭიროების შემთხვევაში იძულებითი ღონისძიების უმკაცრეს ზომასაც (სასჯელს)“⁷⁰².

მაშასადამე, კონსტიტუცია სახელმწიფოს აღჭურავს უფლებამოსილებით, შეზღუდოს (სხვადასხვა ფორმით) ადამიანის თავისუფლება, მაგრამ იმ უპირობო მოთხოვნით, რომ ნებისმიერი ჩარევა მოხდეს მხოლოდ

702 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/4/557,571,576 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 45.

შესაბამისი ლეგიტიმური მიზნების არსებობისას და თანაზომიერების პრინციპის დაცვით, ანუ მაშინ, როდესაც ეს უკიდურესად და კრიტიკულად აუცილებელია, როგორც ერთადერთი შესაძლებლობა ლეგიტიმური მიზნების დასაცავად. „ადამიანის თავისუფლება იმდენად წონადი ძირითადი უფლებაა, რომ მასში ჩარევა სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან უნდა განიხილებოდეს როგორც ultima ratio“⁷⁰³. თავისუფლების შეზღუდვა „... შესაძლებელია მკაცრი კონსტიტუციურსამართლებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც იცავს ნებისმიერ ადამიანს შესაძლო სახელისუფლებო თვითნებობისაგან. კონსტიტუციურსამართლებრივი შემოწმების სიმკაცრის ხარისხს ზრდის ის გარემოებაც, რომ ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა და განსაკუთრებით კი მისი ყველაზე ინტენსიური ფორმა – თავისუფლების აღკვეთა აფერხებს და ზოგჯერ სრულიადაც გამორიცხავს ადამიანის მიერ სხვა უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციას“⁷⁰⁴. სწორედ ამიტომ, „საქართველოს კონსტიტუციამ სახელმწიფოს სამოქმედო არეალი მკაცრად შემოფარგლა, მისი ძალაუფლების საპირწონედ კი ინდივიდი ისეთი პროცესუალური უფლებებით აღჭურვა, რომლებიც სახელმწიფოს მიერ თავისუფლების უფლებას გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისაგან დაიცავს“⁷⁰⁵.

თავისუფლების შეზღუდვისას პირს უნდა ჰქონდეს თვითნებობისგან დაცვის საკმარისი, ქმედითი და განჭვრეტადი გარანტიები, რათა შეძლოს, ეფექტურად გამოიყენოს ყველა არგუმენტი, რომელიც მიუთითებს მის უდანაშაულობაზე ან/და მისი თავისუფლების შეზღუდვის უსაფუძვლობასა თუ არაპროპორციულ ხანგრძლივობაზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, ასეთ დროს, სასტარტო პირობები არათანაბარია: ადამიანს უპირისპირდება სახელმწიფო, რომელსაც, ერთი მხრივ, აქვს კონსტიტუციური ვალდებულება, დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი, უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები, ამ მიზნისთვის კი, მათ შორის, აწარმოოს სისხლისსმართლებრივი დევნა, გამოძიება, მართლმსაჯულება, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ამოცანების რეალიზაციისთვის აქვს შესაბამისი ინსტრუმენტები, ადმინისტრაციული და ადამიანური რესურსი. ამას-

703 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/415 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 6.

704 იქვე, II, 6.

705 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/2/503,513 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4.

თან, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ხელისუფლება იღებს არათვითნებურ, ლეგიტიმურ გადაწყვეტილებებს. იმავდროულად, კანონზომიერია კომპეტენტური ორგანოების მომეტებული ინტერესი გამოძიების ქვეშ მყოფი პირის თავისუფლების შეზღუდვისა, რადგან ეს ამარტივებს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებას (განეიტრალებულია მისგან მომდინარე პოტენციური საფრთხეები – მიმალვა, მტკიცებულებების განადგურება, მოწმეებზე გავლენის მოხდება, ახალი დანაშაულის ჩადენა). შესაბამისად, არ უნდა გამოირიცხოს უფლების ბოროტად გამოყენების ან შეცდომის რისკები. ამიტომ საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი „პროცესუალურ გარანტიებს იმ პირის მიმართ ადგენს, რომელსაც სახელმწიფო სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლწესრიგის უზრუნველყოფის, საზოგადოების ან/და მისი კონკრეტული წევრის დაცვის მიზნით უპირისპირდება“⁷⁰⁶.

„პროცესუალური გარანტიების კონსტიტუციურ რანგში აყვანა სახელმწიფოს აქცევს მკაცრ ჩარჩოში ადამიანის თავისუფლების მზლუდავი საკანონმდებლო ნორმების დადგენისას და გამოყენებისას“⁷⁰⁷.

6.3. თავისუფლების უფლებაში ჩარევისას კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ზოგადი გარანტიები

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას განსხვავებული საფუძვლებით, პირობებითა და დროით ითვალისწინებს. „აღნიშნულ მუხლში გამოყენებული ტერმინები – „თავისუფლების აღკვეთა“, „...თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა“, „დაკავებული“, „დაპატიმრებული“ ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის განსხვავებულ შემთხვევებსა და მიზნებს უკავშირდება და, ამდენად, აღნიშნული მუხლით დაცული სფეროს ფარგლებს განსაზღვრავს“⁷⁰⁸.

მართალია, კონსტიტუცია თავისუფლების შეზღუდვის სხვადასხვა ფორმისთვის განსხვავებულ პროცესუალურ გარანტიებს ადგენს, თუმცა, ამავე დროს, ითვალისწინებს საერთო, ზოგად მოთხოვნებს თავისუფლებაში ნებისმიერი ინტენსივობით ჩარევის მიმართ:

706 იქვე, II, 3.

707 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/2/646 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4.

708 იქვე, II, 7.

1. კონსტიტუციის უპირობო მოთხოვნაა, უფლებაში ჩარევა მოხდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლებითა და წესით. ფორმალური თვალსაზრისით, ეს გულისხმობს, რომ უფლების შეზღუდვის პირველი წყარო უნდა იყოს კანონი. შედეგად, ნებისმიერი სხვა ნორმატიული აქტით უფლების შეზღუდვის დაწესება (რაც არ გამომდინარეობს კანონიდან), დაარღვევს კონსტიტუციის მოთხოვნებს. ფუნდამენტურია ასევე საკითხი, მზლუდავი კანონი მატერიალური შინაარსით თავსებადი იყოს უფლების კონსტიტუციურ ფარგლებთან, ანუ ყოველ ჯერზე უფლების შეზღუდვას ითვალისწინებდეს სათანადო ლეგიტიმური მიზნების დასაცავად თანაზომიერების პრინციპის დაცვით. ამავ დროს, კანონი უნდა იყოს განჭვრეტადი. თავისუფლების უფლებაში ნებისმიერი ფორმით ჩარევის ინტენსიური ბუნების გათვალისწინებით, მოთხოვნები ასეთი კანონის ხარისხისადმი, კანონზომიერად მზარდია. მასში დეტალურად, მკაფიოდ უნდა გაიწეროს თავისუფლების უფლებაში ჩარევის ლეგიტიმური მიზანი, საფუძველი, წინაპირობები, წესი, ინტენსივობა, ჩარევაზე უფლებამოსილი პირი. მაშასადამე, კანონმა თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლები უნდა დაადგინოს/განსაზღვროს საკმარისი სიზუსტით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ზედმეტად ფართო, თვითნებური ინტერპრეტაცია.

2. უმნიშვნელოვანეს გარანტიას წარმოადგენს კონსტიტუციით დადგენილი პირობა, უფლებაში ჩარევა მოხდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. კერძოდ, კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „თავისუფლების აღკვეთა ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით“. ეს არის ძირითადი წესი, პრინციპი, რომელსაც თავისუფლების უფლების მზლუდავი ნორმა უნდა აკმაყოფილებდეს⁷⁰⁹. „ამ ნორმის ძირითადი მიზანი არის ის, რომ არ მოხდეს თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა არასასამართლო ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ, ანუ ამ საკითხების გადაწყვეტაზე მხოლოდ სასამართლო უფლებამოსილი“⁷¹⁰. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, პირადი ხელშეუხებლობის უფლება არ არის აბსოლუტური, მაგ-

709 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/2/503,513 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 12.

710 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მებონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

რამ „ის აბსოლუტურად არის დაცული უკანონო, უსაფუძვლო და თვითნებური შეზღუდვისგან. პირადი თავისუფლების უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს თანხმობის, მისი გადაწყვეტილების საფუძველზეა დასაშვები. კონსტიტუციის თანახმად, სასამართლო, ერთი მხრივ, მოქმედებს როგორც ადამიანის ფიზიკური თავისუფლების დაცვის გარანტი, ხოლო, მეორე მხრივ, მისი შეზღუდვის უფლებამოსილებით აღჭურვილი ლეგიტიმური ორგანო“⁷¹¹. „თავისუფლების უფლებაში არათანაზომიერი ან/და თვითნებური ჩარევის პრევენციის მიზნით, დაკავების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება სასამართლოს კონტროლს ექვემდებარება. სწორედ ამიტომ, სასამართლოს გადაწყვეტილება თავისუფლების შეზღუდვის წინა პირობას წარმოადგენს“⁷¹². ეს არის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტია უფლებაში დაუსაბუთებელი ჩარევის რისკების გამორიცხვისთვის/მინიმალიზებისთვის. სასამართლო, როგორც ინსტიტუციურად დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი არბიტრი, დისტანცირებულია აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, მისი ფუნქციებისგან. ის უფლებამოსილია და ვალდებულიც, მიიღოს ერთადერთი სწორი, ობიექტური, სამართლიანი გადაწყვეტილება.

სასამართლოსადმი წაყენებული მთავარი მოთხოვნაა, დაკავების/დაპატიმრების/თავისუფლების აღკვეთის საკითხის განხილვისას მოქმედებდეს მრწამსით, რომ თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა გათავისუფლდეს. თავისუფლების პრეზუმცია მოითხოვს, ერთი მხრივ, დაკავებაზე უფლებამოსილი ორგანოებისგან, იმოქმედონ თვითკრიტიკული მიდგომით, წარადგინონ დამაჯერებელი მტკიცებულებები, რომლებიც უდავოს გახდის თავისუფლების შეზღუდვის ამა თუ იმ ფორმის გამოყენების უალტერნატივო საჭიროებას, ხოლო, მეორე მხრივ – სასამართლოსგან ზედმიწევნით სკრუპულოზურ მიდგომას ამ მტკიცებულებების შესწავლისას. სასამართლო, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, უნდა დარწმუნდეს, რომ: 1. არსებობს თავისუფლების შეზღუდვის შესაბამისი კანონიერი საფუძველი; 2. ის (თავისუფლების შეზღუდვა) უკიდურესად აუცილებელ, უალტერნატივო საჭიროებას წარმოადგენს; 3. მისი ხანგრძლივობა პროპორ-

711 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/2/503,513 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 2.

712 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/2/646 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 14.

ციული, არაგადაჭარბებულია კონკრეტული მიზნების დასაცავად. 4. ამ კონტექსტში ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია, თავისუფლების შეზღუდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის ყურადღების მიღმა არ დარჩეს გამოსაყენებელი კანონის (შესაბამისი საპროცესო თუ მატერიალური ნორმის) თავსებადობა თავისუფლების უფლების არსთან, მაგალითად, თავისუფლების შეზღუდვის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების საპროცესო გარანტიების ეფექტურობა ან შესაფარდებელი სანქციის პროპორციულობა, მისი ადეკვატურობა ჩადენილ სამართალდარღვევასთან მიმართებით. მართალია, კანონმდებლობა ნებისმიერი საქმის განმხილველ მოსამართლეს აღჭურავს უფლებამოსილებით, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, თუ, მისი აზრით, გამოსაყენებელი კანონი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, მაგრამ ამ შესაძლებლობის გამოყენება მავალეხელი ხდება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოსამართლეს უჩნდება ეჭვი, რომ თავისუფლების შეზღუდვის/აღკვეთის შეფარდება შესაძლოა ეფუძნებოდეს ფუნდამენტური უფლების დამრღვევ, არაკონსტიტუციურ კანონს.

როგორც აღინიშნა, დასახელებული გარემოებების შემოწმებისას სასამართლომ, თავისუფლების პრეზუმფციის ძალით, უნდა იმოქმედოს პირის გათავისუფლების წინასწარი განწყობით. სწორედ ასეთია სამართლებრივი სახელმწიფოს მოთხოვნა მოსამართლისადმი, რომელმაც თითოეული, ყველა გადაწყვეტილებით უნდა შექმნას/განამტკიცოს კანონის უზენაესობის ფაქტობრივი შეგრძნება ადამიანებში.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ქმნის რა ადამიანის თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების ზოგად გარანტიას, იმავდროულად, შეიცავს ამომწურავ ჩამონათვალს საფუძვლებისა, როდესაც და რა ფორმითაც შესაძლებელია/დასაშვებია თავისუფლების შეზღუდვა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს კონვენციის რამდენიმე მოთხოვნაზე:

ა) თავისუფლების უფლებაში ჩარევა თავისი შინაარსით/ფორმით უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა – f“ ქვეპუნქტებს. ნებისმიერი სხვა ჩარევა, რომელიც არ არის გათვალისწინებული დასახელებული დებულებებით, ეწინააღმდეგება ამავე მუხლის მოთხოვნებს⁷¹³. ევროპული სასამართლოს განმარტებით, ყველა პირს აქვს უფლება, არ შეეზღუდოს თავისუფლება ან არ გაუგრძელდეს თავისუფ-

713 *Austin and Others v. the United Kingdom*, app. №.39692/09, 40713/09, 41008/09, (ECtHR, 15.03.2012), §60; *Yakovenko v. Ukraine*, app. №5425/11, (ECtHR, 04.09.2015), §45.

ლების აღკვეთა, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც მე-5 მუხლის პირველ პუნქტშია ასახული⁷¹⁴.

ბ) ჩარევა გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით, უნდა იყოს „კანონიერი“. ამ ეტაპზე მოითხოვება არა მხოლოდ უფლებაში ჩარევის მატერიალური და პროცესუალური წესების კანონით გათვალისწინება, არამედ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ქმედების მათთან შესაბამისობაც⁷¹⁵.

გ) პატიმრობის კანონიერების შეფასებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რამდენად შეესაბამება ეროვნული კანონმდებლობა კონვენციის ზოგად პრინციპებს და რამდენად პასუხობს „კანონის ხარისხის მოთხოვნებს“. „კანონის ხარისხი“ გულისხმობს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ თავისუფლების შეზღუდვის მომწესრიგებელი ნორმები უნდა იყოს საკმარისად ხელმისაწვდომი, ზუსტი და წინასწარ განჭვრეტადი იმისათვის, რომ თვითნებობის რისკი მაქსიმალურად იყოს თავიდან აცილებული. კონვენციით დადგენილი „კანონიერების“ სტანდარტი მოითხოვს, ყველა კანონი იყოს საკმარისად კონკრეტული, რათა მისცეს საშუალება პირს, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი რჩევის საფუძველზე, არსებულ გარემოებებში გონივრული ხარისხით წინასწარ განჭვრიტოს ქმედების მოსალოდნელი შედეგები. თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულმა კანონმდებლობამ კონკრეტულად განსაზღვროს პატიმრობის პირობები⁷¹⁶.

დ) პატიმრობა არ უნდა იყოს „თვითნებური“. კონვენცია მოითხოვს, „თავისუფლების ნებისმიერი აღკვეთა ემსახურებოდეს მე-5 მუხლის მიზანს, კერძოდ, დაიცვას პირი თვითნებობისგან“⁷¹⁷. ტერმინი „თვითნებობა“ ამ კონტექსტში ფართოვდება და სცდება ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობას. შედეგად, თავისუფლების აღკვეთა, რომელიც კანონიერია ეროვნული კანონმდებლობით, შეიძლება იყოს თვითნებური და ეწინააღმდეგებოდეს კონვენციას⁷¹⁸. ძირითადი პრინციპები, რომელიც პრაქტიკით ჩამოყალიბდა, ცხადყოფს, რომ „თვითნებობის“ ცნება მე-5 მუხლის

714 *Medvedyev and Others v. France*, app. №3394/03, (ECtHR, 29.03.2010), §77.

715 *Yakovenko v. Ukraine*, app. №5425/11, (ECtHR, 04.09.2015), §57.

716 *Del Rio Prada v. Spain*, app. №42750/09, (ECtHR, 21.10.2013), §125; *Yakovenko v. Ukraine*, app. №5425/11, (ECtHR, 04.09.2015), §58.

717 *Kafkaris v. Cyprus*, app. №21906/04, (ECtHR, 12.02.2008), §116; *Dubinskiy v. Russia*, app. №48929/08, (ECtHR, 03.07.2014), §39.

718 *Mooren v. Germany*, app. №11364/03, (ECtHR, 09.07.2009), §77; *Yakovenko v. Ukraine*, app. №5425/11, (ECtHR, 04.09.2015), §59.

კონტექსტში განსხვავებულია გარკვეული ხარისხით და დამოკიდებულია პატიმრობის სახეობაზე⁷¹⁹. ზოგადი პრინციპის მიხედვით, დაპატიმრება ჩაითვლება „თვითნებურად“, როდესაც ეროვნულ სამართალთან შესაბამისობის მიუხედავად, სახეზეა სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან არაკეთილსინდისიერება ან ტყუილი⁷²⁰. იმავდროულად, თვითნებობის გამორიცხვა მოითხოვს პროპორციულობის დაცვას პატიმრობის საფუძველს და თავად სადავო პატიმრობას შორის.

6.4. დაკავების ინსტიტუტის კონსტიტუციური ჩარჩო

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები განსაზღვრავს დაკავების ინსტიტუტის კონსტიტუციურ ჩარჩოს, კერძოდ, დაკავების საფუძვლებს, წესს, დაკავებული პირის შესაბამის საპროცესო გარანტიებს.

კონსტიტუციის მიზნებისთვის ტერმინი „დაკავება“ უკავშირდება პირის თავისუფლების ფიზიკურ შეზღუდვას, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს 72 საათს და სრულდება პირის დაპატიმრების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებით ან პირის გათავისუფლებით. დაკავება, თავისუფლების აღკვეთის სხვა ფორმებთან შედარებით ნაკლებად მძიმე ფორმაა, ეს არის „თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა“⁷²¹. ამასთან, დაკავებას ერთგვარად შუალედური ხასიათი აქვს, ხოლო საბოლოო მიზანი – მართლმსაჯულების განხორციელებაა⁷²².

6.4.1. დაკავების ფორმალური და მატერიალური საფუძვლები

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადება მოითხოვს ორი ფორმალური პირობის დაკმაყოფილებას: ა) ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებ-

719 *Saadi v. the United Kingdom*, app. №13229/03, (ECtHR, 29.01.2008), §68; *Plesó v. Hungary*, app. №41242/08, (ECtHR, 02.10.2012), §57.

720 *Mooren v. Germany*, app. №11364/03, (ECtHR, 09.07.2009), §77-78; *Dubinskiy v. Russia*, app. №48929/08, (ECtHR, 03.07.2014), §40. *Yakovenko v. Ukraine*, app. №5425/11, (ECtHR, 04.09.2015), §60.

721 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/2/646 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 7.

722 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/415 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 19.

ში. როგორც აღინიშნა, ეს „საკანონმდებლო დათქმა“ გულისხმობს, რომ აღნიშნული საკითხის მოწესრიგება შესაძლებელია მხოლოდ საკანონმდებლო აქტით. ნებისმიერი სხვა ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის დაკავების შემთხვევებს, იქნება არაკონსტიტუციური ფორმალური თვალსაზრისით. ბ) დაკავება დასაშვებია მხოლოდ საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. „დაკავებისათვის უფლებამოსილი პირების კონკრეტული და ამომწურავი ჩამონათვალი აუცილებლად უნდა იქნეს განსაზღვრული საკანონმდებლო აქტით“⁷²³.

ამავე დროს, კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი ზოგადი წესიდან – უფლებაში ჩარევა მოხდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით – ერთგვარ გამოჩაგრის ადგენს და ადამიანის დაკავებას კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშეც ითვალისწინებს. „ამგვარი სპეციფიკური წესის დადგენა გადაუდებელ აუცილებლობას უკავშირდება, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილების მოპოვება შეუძლებელია ან/და დაყოვნება რეალურ საფრთხეს უქმნის კონსტიტუციურ მიზნებს – საზოგადოებრივ წესრიგს ან უსაფრთხოებას, სხვათა უფლებების დაცვას ან მართლმსაჯულების განხორციელებას“⁷²⁴. იმავდროულად, თვითნებობის რისკების გამორიცხვის/მინიმალიზებისთვის, კრიტიკულად აუცილებელია სასამართლო კონტროლის დროული განხორციელება. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, დაკავებული პირი 48 საათში უნდა წარედგინოს სასამართლოს, რომელმაც 24 საათში უნდა მიიღოს მისი გათავისუფლების ან პატიმრობაში დატოვების თაობაზე გადაწყვეტილება. მაშასადამე, „კონსტიტუცია, ითვალისწინებს რა გადაუდებელი აუცილებლობის შესაძლებლობას, ერთი მხრივ, თავისუფლების შეზღუდვას სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშეც დასაშვებად მიიჩნევს, მაგრამ, ამავე დროს, ასეთ საგამონაკლისო შემთხვევებს დროის მკაცრ ჩარჩოში აქცევს“⁷²⁵.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, საქართველოს კონსტიტუციისგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს არც დაკავებული პირის სასამართლოსადმი წარდგენის და არც დაკავების მაქსიმალურ ვადას. ის მიუთითებს დაკავებული/დაპატიმრებული პირის მოსამართლისადმი/სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსი-

723 იქვე, II, 11.

724 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/2/503,513 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 12.

725 იქვე, II, 13.

ლი მოხელისადმი „დაუყოვნებლივ“ წარდგენის ვალდებულებაზე (მუხლი 5.3.). მოხდა თუ არა დაკავებული პირის „დაუყოვნებლივ“ წარდგენა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურ გარემოებებზე დაყრდნობით აფასებს. მაგალითად, საქმეზე *Brogan and Others v. the United Kingdom*, მიუხედავად იმისა, რომ საკითხი ეხებოდა ტერორიზმში ეჭვმიტანილ პირს, 4 დღისა და 6 საათის პერიოდი სასამართლოში პირის წარდგენამდე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია ზედმეტად ხანგრძლივად. მართალია, სასამართლომ, ზოგადად, დასაშვებად მიიჩნია საქმის სირთულის და ტერორიზმთან ბრძოლის სპეციფიკური პირობების გათვალისწინება (ვარგისი მტკიცებულებების მოპოვების სირთულე, მათი დამუშავებისთვის აუცილებელი დრო და სხვა), თუმცა არა ტერმინის – „დაუყოვნებლივ“ – დაკნინების ხარჯზე. „საქმის სპეციფიკური მახასიათებლებისთვის იმგვარი მნიშვნელობის მინიჭება, რათა გამართლებული იქნეს პატიმრობის ასეთი ხანგრძლივი პერიოდი მოსამართლის ... წინაშე წარდგენის გარეშე, იქნებოდა სიტყვის – „დაუყოვნებლივ“ – მნიშვნელობის დაუშვებლად ფართო ინტერპრეტაცია“⁷²⁶.

საქმეზე *Gutsanovi v. Bulgaria*⁷²⁷ მომჩივნის მოსამართლის წინაშე წარდგენა მოხდა მისი დაკავებიდან სამ დღესა, ხუთ საათსა და ოცდაათ წუთში. ის ეჭვმიტანილი იყო სახელმწიფო ქონების გაფლანგვასა და სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებაში. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანს ორი დღის განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღია არანაირ საგამოძიებო მოქმედებებში (მხოლოდ პატიმრობის პირველ დღეს ჩატარდა რამდენიმე საგამოძიებო მოქმედება მისი მონაწილეობით), რაიონულმა პროკურატურამ მისი წინასწარი პატიმრობა არ მოითხოვა ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული, მოსამართლის ნებართვის გარეშე დაშვებული ოთხდღიანი პატიმრობის ბოლო დღემდე. გასათვალისწინებელი იყო, რომ მომჩივანი დაპატიმრებული იყო ქალაქში, სადაც მდებარეობდა სასამართლო, გარდა ამისა, დამატებითი დრო არც საგანგებო უსაფრთხოების ზომების მიღებისთვის იყო საჭირო. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაკავებიდან პირველი რამდენიმე დღის განმავლობაში მომჩივნის ფსიქოლოგიური მოწყვლადობის (დაკავებისას, პოლიციის მიერ განხორციელებული ოპერაციის ფარგლებში, ის დაექვემდებარა დამამცირებელ მოპყრობას. მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძაფრებდა მისი, როგორც ცნობილი პოლიტიკოსის

726 *Brogan and Others v. the United Kingdom*, app. №11209/84, 11234/84, 11266/84, 11386/85, (ECtHR, 29.11.1988).

727 *Gutsanovi v. Bulgaria*, app. №34529/10, (ECtHR, 15.10.2013).

მიმართ, გაზრდილი მედია ინტერესი) და მისი პატიმრობის მეორე ან მესამე დღეს მოსამართლის წინაშე წარუდგენლობის გამამართლებელი გარემოებების არარსებობის გათვალისწინებით, სახელმწიფომ დაარღვია ვალდებულება, „დაუყოვნებლივ“ წარედგინა მომჩივანი მოსამართლისათუ სხვა თანამდებობის პირის წინაშე, რომელიც განიხილავდა მისი პატიმრობის კანონიერებას.

დაკავების საფუძვლების მარეგულირებელი კანონმდებლობა, „გარდა ფორმალური მოთხოვნებისა, უნდა აკმაყოფილებდეს მატერიალურ კონსტიტუციურსამართლებრივ მოთხოვნებსაც“⁷²⁸. „მიუხედავად იმისა, რომ დაკავება ნაკლებად მძიმე ჩარევაა ადამიანის თავისუფლებაში ვიდრე თუნდაც, ... დაპატიმრება, აუცილებლად უნდა არსებობდეს ის მყარი კონსტიტუციურსამართლებრივი ბარიერი, რომლის გადალახვაც აკრძალული იქნება ძირითად უფლებაში ჩარევისას“⁷²⁹.

დაკავების ლეგიტიმურობას განაპირობებს შემდეგი მატერიალური საფუძვლები:

ა) დაკავების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სავარაუდო დანაშაულის ჩადენის ფაქტი. საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა, რომ დაკავებას წინ უნდა უძლოდეს სავარაუდო დანაშაული. ადამიანის დაკავება შესაძლოა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ დაკავებამდე ჩადენილი დანაშაულისთვის და სხვა გარემოებები არ შეიძლება იყოს დაკავების საფუძველი. „უპირველეს ყოვლისა, ფაქტობრივი გარემოებები და მონაცემები ობიექტურად უნდა იძლეოდეს იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ სახეზეა სავარაუდო დანაშაული“⁷³⁰. „თუ არ არსებობს სავარაუდო დანაშაული, მაშინ არ არსებობს დაკავების მთავარი მიზანი – მართლმსაჯულების განხორციელება, ანუ პირის დაკავება იმ დროს, როდესაც სახეზე არ არის დანაშაული, არ ემსახურება ლეგიტიმური მიზნის მიღწევას“⁷³¹. საქმეზე *ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ ერთ-ერთ სადავო ნორმას წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის მე-2 ნაწილი*⁷³², რომელიც

728 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/2/503,513 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 12.

729 იქვე, II, 16.

730 იქვე, II, 17.

731 იქვე, II, 20.

732 სადავო ნორმის საქმის განხილვის დროისთვის მოქმედი რედაქცია.

ამავე მუხლით დადგენილი დაკავების საფუძვლების პარალელურად, ითვალისწინებდა პირის დაკავების შესაძლებლობას ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობდა „სხვა მონაცემები, რომლებიც საფუძველს იძლეოდა, დანაშაულის ჩადენის ეჭვი იქნეს მიტანილი პირზე“; ასევე, როდესაც პირს არ ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი სადგომი ან ვერ დგინდებოდა მისი ვინაობა. მოსარჩელეთა აზრით, ნორმა სამართალდამცველებს აძლევდა თვითნებობის შესაძლებლობას. მათ შეეძლოთ, ასეთ მონაცემად მიეჩნიათ ოპერატიული ინფორმაცია და დაეკავებინათ პირი მხოლოდ იმის გამო, რომ არ იყო დადგენილი მისი ვინაობა ან არ გააჩნდა საცხოვრებელი ადგილი და ამგვარი დაკავებით მოუხდინათ ე.წ. „საქმის პროვოცირება“⁷³³. საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო. მისი განმარტებით, გაუგებარი იყო, რას გულისხმობდა კანონმდებელი ფრაზაში, „დანაშაულის ჩადენის ეჭვი იქნეს მიტანილი პირზე“, უკვე ჩადენილ დანაშაულს, თუ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობასაც. შედეგად, სადავო ნორმა არ გამოირიცხავდა პირის თავისუფლების უკანონო ხელყოფას. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „საქართველოს კონსტიტუცია არ იცნობს პირის დაკავების შესაძლებლობას „სხვა მონაცემების“ საფუძველზე, ეს მონაცემები შესაძლოა დაედოს საფუძვლად ეჭვს და არა პიროვნების თავისუფლების შეზღუდვას“⁷³⁴.

ბ) დაკავებისთვის მეორე მატერიალურ მოთხოვნას წარმოადგენს გონივრული ეჭვის არსებობა, რომ პირმა ჩაიდინა სავარაუდო დანაშაული. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თვითნებური დაკავების თავიდან ასაცილებლად, მართლმსაჯულების განხორციელების ლეგიტიმურ მიზანსა და ადამიანის თავისუფლების უფლებას შორის თანაბრობიერი ბალანსის შესანარჩუნებლად აუცილებელია „გონივრული ეჭვის სტანდარტით“ სარგებლობა⁷³⁵. მაშასადამე, „გადამწყვეტია ის, თუ რამდენად არის სახეზე ... სავარაუდო დანაშაული და გონივრული ეჭვი, რაც წინ

733 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №2/3/182,185,191 საქმეზე ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 1.

734 იქვე.

735 აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ცვლილებების კვალობაზე იცვლებოდა დაკავების სტანდარტის სახელწოდებაც. 2003 წელს ამ ცნების აღსანიშნავად გამოიყენებდა „საფუძვლიანი ეჭვი“, 2009 წლის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლო მას „გონივრულ ეჭვად“ მოიხსენიებს, ხოლო დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ამ სტანდარტს ჰქვია „დასაბუთებული ვარაუდი“. ცხადია, სახელწოდებების ცვლილების მიუხედავად, დაკავების სტანდარტის შინაარსი/ კრიტერიუმები უცვლელია.

უნდა უსწრებდეს პირის დაკავებას. ცალკე აღებული პირის დაკავების ფაქტი, რა თქმა უნდა, გონივრულ ეჭვს ვერ გააჩენს⁷³⁶. ამავე დროს, სასამართლომ დაკავების სტანდარტის შინაარსთან დაკავშირებით დაადგინა შემდეგი მოთხოვნები: „გონივრული ეჭვი არის ის, რაც აკავშირებს კონკრეტულ პირს კონკრეტულ დანაშაულთან. ეჭვი ადამიანის სუბიექტური დამოკიდებულებაა, მაგრამ პირის თავისუფლებაში ჩარევა ვერ მოხდება იმგვარი ეჭვის საფუძველზე, რომელიც ემყარება მხოლოდ სუბიექტურ განწყობას. ამგვარი მიდგომა იქნებოდა მწვანე შუქი თვითნებობისათვის. აქედან გამომდინარე, ... უნდა არსებობდეს ობიექტური ბმა დანაშაულსა და დაკავებულ პირს შორის, ობიექტური გარემოებები, მონაცემები, რომლებიც შექმნის იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ჩადენილია დანაშაული და სწორედ იმ პირის მიერ, რომელსაც აკავებენ. სხვა სიტყვებით, ეჭვი უნდა იყოს საფუძვლიანი. ამავდროულად, ეჭვი უნდა ემყარებოდეს ობიექტური მონაცემების კეთილსინდისიერ და გონივრულ შეფასებას⁷³⁷. სასამართლოს განმარტებით, „ეჭვი“ არ არის კანონმდებლის მიერ ამოწურავად განსაზღვრადი კატეგორია და მისი გაჩენა დამოკიდებულია მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური გარემოებების ერთობლიობაზე კონკრეტულ შემთხვევაში. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებები „გონივრულ ეჭვთან“ დაკავშირებით ჩამოყალიბდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით. მაგალითად, საქმეზე *Murray v. the United Kingdom* სასამართლომ აღნიშნა, რომ ეჭვი საფუძვლიანად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დაფუძნებულია ფაქტებზე ან ინფორმაციაზე, რომელიც ობიექტურად აკავშირებს ეჭვმიტანილ პირს შესაძლო დანაშაულთან. საქმეზე *Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom* სასამართლომ მიუთითა, რომ „გქონდეს „გონივრული ეჭვი“ ნიშნავს იმგვარი ფაქტებისა და ინფორმაციის არსებობას, რაც დააკმაყოფილებდა ობიექტურ დამკვირვებელს, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული. თუმცა რა შეიძლება ჩაითვალოს „გონივრულად“ დამოკიდებულია შემთხვევის ყველა გარემოებაზე⁷³⁸. ამავე საქმეზე ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გონივრული ეჭვის წარმოშობისთვის არ არის თვითკმარი კონკრეტული პირის მიერ წარსულში დანაშაულის (თუნდაც

736 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/415 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 26.

737 იქვე, II, 21.

738 *Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom*, app. №12244/86, 12245/86, 12383/86 (ECtHR, 30.08.1990).

მსგავსი, ანალოგიური დანაშაულის) ჩადენის ფაქტი. ამ საქმეზე განმცხადებლები ადრე მსჯავრდებულები იყვნენ ტერორიზმისთვის, რაც გახდა ერთადერთი საფუძველი მათ მიმართ ეჭვის აღძვრისა და თავისუფლების აღკვეთისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი შესაძლოა გახდეს ეჭვის მიზეზი, თუმცა ის არ შეიძლება იყოს ერთადერთი და თვითკმარი სხვა დანაშაულისთვის კონკრეტული პირის დასაკავებლად. აუცილებელია, გონივრული ეჭვი უკავშირდებოდეს ახალ დანაშაულთან პირის შესაძლო კავშირს.

მაშასადამე, პირის დაკავებისთვის ეჭვი უნდა იყოს საფუძვლიანი და არათვითნებური. შესაბამისად, დაკავება არ შეიძლება ეფუძნებოდეს ინსტიქტებს თუ წინასწარ ჩამოყალიბებულ შეხედულებებს. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ მტკიცებულებები საკმარისი უნდა იყოს პირის მსჯავრდებისთვის. გონივრული ეჭვი, თვისობრივად, ხარისხობრივად არ არის „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტის იდენტური ან თუნდაც მსგავსი. გონივრული ეჭვი მოითხოვს მხოლოდ საკმარისი მტკიცებულებების/ფაქტების ერთობლიობის არსებობას, რომლებიც მაღალი ალბათობით მიუთითებს როგორც დანაშაულის სავარაუდო ჩადენის ფაქტზე, ისე კონკრეტული პირის ამ ქმედებასთან კავშირზე.

6.4.2. დაკავებული პირის საპროცესო გარანტიები

თავისუფლების უფლების უსაფუძვლოდ ან არაპროპორციულად შეზღუდვის თავიდან აცილების უმნიშვნელოვანეს დამატებით გარანტიებს ქმნის საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად: ა) პირს დაკავებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და დაკავების საფუძველი; ბ) მას დაკავებისთანავე შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს. ეს კონსტიტუციური ბერკეტები დაკავებულ პირს აღჭურავს უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობით: შეძლოს უკანონო დაკავების თავიდან აცილება, ასევე თავისუფლების შეზღუდვის ვადის მინიმალიზება; მყისიერად იზრუნოს მისი გამამართლებელი არგუმენტების/მტკიცებულებების მოპოვებაზე, რათა თავიდან აიცილოს უსაფუძვლო მსჯავრდება ან არაპროპორციული სასჯელი.

მოთხოვნა, დაკავებული ინფორმირებული იყოს დაკავების საფუძვლის თაობაზე, ემსახურება იმას, რომ პირებს, რომელთა თავისუფლება იზღუდება, ჰქონდეთ შესაძლებლობა, იბრძოლონ გათავისუფლებისთვის, თუ მიიჩნევენ, რომ დაკავების საფუძველები დაუსაბუთებელია, უკანონოა.

იმავდროულად, ამ გარანტიის არსებობა აუცილებელია სამართალდამცავი ორგანოების/თანამდებობის პირების თვითნებობის რისკების მინიმალიზებისთვის. ის ზრდის მოხელეთა პასუხისმგებლობას, ვალდებულებას, კარგად აწონონ, შეაფასონ, მოქმედებენ თუ არა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში და თავი შეიკავონ ისეთი ქმედებისგან (დაკავების ჩათვლით), რომლის გამართლებაც შეუძლებელი იქნება. დაკავების საფუძვლის იდენტიფიცირებისა და დაკავებული პირისთვის ამ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების გარეშე, თვითნებურად (თუნდაც მცირე დროით) პირების დაკავების ცდუნება თავისთავად მზარდი იქნებოდა.

უმნიშვნელოვანესია, პირს დაკავებისთანავე განემარტოს მისი უფლებები, რათა მან, უნებურად, არ იმოქმედოს საკუთარი ინტერესების საზიანოდ, ან პირიქით – უმოქმედობით არ დააზარალოს პოზიციის ეფექტურად დაცვის პერსპექტივა. დაკავების საფუძველი და უფლებები პირს უნდა განემარტოს მისთვის გასაგებ ენაზე. თუ პირს არ ესმის ოფიციალური ენა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს თარჯიმნის დახმარება.

გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ადვოკატთან დროული (დაკავებისთანავე, მოთხოვნისთანავე) კომუნიკაციის უფლება, რათა პირმა შესაბამისი/საჭირო იურიდიული დახმარების გზით დაიცვას თავი სახელმწიფოს მხრიდან პოტენციური თვითნებობისგან, როგორც შეიძლება იყოს: თავად დაკავების უსაფუძვლობა, პატიმრობის ვადის დარღვევა ან არაპროპორციული ვადით პატიმრობის გამოყენება, სამართალდამცველების მხრიდან არასათანადო მოპყრობა, მტკიცებულებების, აღიარებითი ჩვენების იძულებით/ძალადობით მოპოვება და საბოლოოდ, როგორც არასწორი ბრალის წაყენება, ისე უსაფუძვლო/უსამართლო მსჯავრდება.

საქმეზე *ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ ნორმებზე, რომლებიც საპროცესო ვადებს და გარანტიებს უკავშირებდა პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის ორგანოში დაკავებულის მიყვანას და არა თვით დაკავების ფაქტს. კერძოდ, სადავო ნორმების თანახმად, დანაშაულის ჩადენაში ეჭვის საფუძველზე დაკავებული პირი მიჰყავდათ პოლიციის განყოფილებაში, სადაც 12 საათის განმავლობაში მოწმდებოდა მისი დაკავების კანონიერება და დასაბუთებულობა. თუკი ამ დროში დადასტურდებოდა, რომ პირის დაკავება კანონიერი და დასაბუთებული იყო, მაშინ გამოსცემდნენ დადგენილებას პირის ეჭვმიტანილად ცნობის თაობაზე და დაკავებულს უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის საფუძველს ამის შემდეგ განუმარტავდნენ.

ასევე მხოლოდ ამის შემდეგ ჰქონდა მას დამცველის მოთხოვნის უფლება. მაშასადამე, პოლიციის განყოფილებაში გადაყვანილ თავისუფლება-შებლუდულ პირს 12 საათის განმავლობაში არ ჰქონდა „ექვმიტანილის“ სტატუსი, შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებს არ ჰქონდათ მისთვის უფლებების განმარტების ვალდებულება. შედეგად, პირს დაკავებიდან პირველი 12 საათის განმავლობაში არ გააჩნდა ისეთი უფლებები, როგორებიცაა: დუმილის უფლება, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული და დამცველის მოწვევის უფლება.

საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, ყურადღება გაამახვილა საკითხზე, კონსტიტუციის მიზნებისთვის რომელი ეტაპიდან ითვლება პირი დაკავებულად. კონსტიტუციური გარანტიების ეფექტური და დროული ხელმისაწვდომობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავად დაკავების მომენტის სწორად განსაზღვრას, რადგან ამ ეტაპიდან ჩნდება აღნიშნულ გარანტიებზე ხელმისაწვდომობის კონსტიტუციური უფლება, შესაბამისად, სახელმწიფოს შემხვედრი ვალდებულებები. სასამართლოს განმარტებით, პირი დაკავებულად უნდა ჩაითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც დაკავებისათვის საგანგებოდ უფლებამოსილი პირი კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და საფუძველზე, შეუზღუდავს ადამიანს თავისუფლებას. შედეგად, პირი დაკავებულად ითვლება მისი ფიზიკურად დაკავების მომენტიდან. ამის საპირისპიროდ, სადავო ნორმებით პირის დაკავებულად ცნობა ხდებოდა არა ფიზიკურად თავისუფლების შეზღუდვისთანავე, არამედ მისი პოლიციის განყოფილებაში გადაყვანიდან 12 საათის შემდეგ. იმავდროულად, სასამართლომ დაადგინა, რომ „... დაკავებულისთვის უფლებათა განმარტება უნდა განხორციელდეს მისი დაკავებისთანავე. მოთხოვნა დამცველის დახმარებაზე უნდა დაკმაყოფილდეს მაქსიმალურად გონივრულ ვადაში“⁷³⁹. სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები არ უნდა დაელოდონ პირის პოლიციის განყოფილებაში მიყვანას ან/და პოლიციის განყოფილებაში მიყვანიდან 12 საათის გასვლას. დაკავებულს უფლებები უნდა განემარტოს მაშინვე, როგორც კი პოლიციის კომპეტენტური თანამდებობის პირი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საფუძველზე დაადგენს, რომ არსებობს კანონით გათვალისწინებული დაკავების საფუძველი და ამის გამო აკავებს პირს⁷⁴⁰.

ასევე არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სამართალდამცავი ორ-

739 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №2/3/182,185,191 საქმეზე *ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, 1.

740 იქვე.

განოს უფლებამოსილება, დაკავების საფუძველი გარკვევის ადამიანის დაკავების შემდეგ⁷⁴¹. სასამართლომ მიუთითა, რომ ადამიანის დაკავების საფუძველი პოლიციას დაკავებამდე უნდა ჰქონდეს. კანონმდებლობა არ უნდა აძლევდეს სამართალდამცველებს უფლებას, დაკავების გამამართლებელი საფუძველები ადამიანისთვის თავისუფლების აღკვეთის შემდეგ ეძიონ. „... თუ არ არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული დაკავების საფუძველები, არ უნდა არსებობდეს არც „დაკავება“...“⁷⁴².

ამავე საქმეზე სასამართლომ დაადგინა დაკავებული პირის დაცვის კონსტიტუციური უფლების დარღვევა: ერთ-ერთი სადავო ნორმის (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-5 ნაწილის) თანახმად, დამცველი საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებოდა ეჭვმიტანილის პირველ დაკითხვამდე, აგრეთვე პირველი და შემდგომი დაკითხვების დროს. სასამართლოს განმარტებით, ეს ნიშნავდა, რომ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს შეეძლოთ თვითონ განესაზღვრათ დამცველის საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაშვების დრო ეჭვმიტანილის პირველ დაკითხვამდე. კიდევ ერთი სადავო ნორმის (146-ე მუხლის მე-6 ნაწილის) შესაბამისად კი „ეჭვის საფუძველზე დაკავებული“ უნდა დაეკითხათ პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის სხვა ორგანოში მიყვანიდან არა უგვიანეს 24 საათისა. სასამართლოს შეფასებით, საქართველოს კონსტიტუცია „...მართალია, არ ადგენს დამცველის საქმეში მონაწილეობის მისაღებად დაშვების კონკრეტულ ვადას, მაგრამ კონსტიტუციის მითითებული დებულების არსიდან გამომდინარე, დაკავებული ან დაპატიმრებული პირის მოთხოვნა დამცველის დახმარების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს დაუყოვნებლივ – მაქსიმალურად გონივრულ დროში. ... დაკავებულ ეჭვმიტანილს დამცველის დახმარება ესაჭიროება არა მარტო დაკითხვამდე, არამედ დაკავების მომენტიდან, მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად და მისთვის კვალიფიცირებული იურიდიული დახმარების გასაწევად“⁷⁴³.

741 სადავო ნორმის (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 146-ე მუხლის მე-2 ნაწილის) შესაბამისად, „მას შემდეგ, რაც დაკავებულს მიიყვანენ პოლიციის დაწესებულებაში ან მოკვლევის სხვა ორგანოში და დაუყოვნებლივ შედგება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაკავების ოქმი, უნდა შემოწმდეს დანაშაულის ჩადენის ადგილას დაკავების კანონიერება და დასაბუთებულობა“.

742 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №2/3/182,185,191 საქმეზე *ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.

743 იქვე.

დაცვის უფლების დარღვევა დადგინდა რამდენიმე სხვა ნორმასთან მიმართებითაც, რომელთა თანახმად, ეჭვიმიტანილს უფლება ჰქონდა, „პირისპირ შეხვდეს დამცველს მარტო“, მაგრამ „დღეში არა უმეტეს ერთი საათისა“. დამცველთან პირისპირ შეხვედრის მაქსიმალური ერთსაათიანი ვადა ვრცელდებოდა ბრალდებულზეც.

სასამართლომ სადავო დებულებები არაკონსტიტუციურად ცნო როგორც მე-18 მუხლის მე-5 პუნქტთან, ისე 42-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით⁷⁴⁴, კერძოდ, სასამართლოს განმარტებით: „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს „...დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება...“, რაც, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ... ასევე ნიშნავს დასაცავი პირისთვის დამცველის მიერ „კვალიფიცირებულ იურიდიულ დახმარების“ გაწევას, რაც აგრეთვე გამოიხატება დამცველის დასაცავთან პირისპირ შეხვედრებშიც. ამრიგად, ყოველი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე, შეიძლება ვისაუბროთ დამცველის მხრიდან კვალიფიცირებული იურიდიული მომსახურების, შესაბამისად დამცველისა და დასაცავის პირისპირ შეხვედრების ხანგრძლივობაზე. ... ზემოაღნიშნულიდან და საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის დებულებიდან – „დაცვის უფლება გარანტირებულია“ – გამომდინარე, ... დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უნდა ჰქონდეს გონივრული, საკმარისი დრო და შესაძლებლობა, რათა მოემზადოს თავის დასაცავად და შეხვდეს მის მიერ არჩეულ დამცველს. ... დამცველთან პირისპირ შეხვედრის, კანონმდებლის მიერ დადგენილი ერთსაათიანი შეზღუდვა შეუსაბამობაშია საქართველოს კონსტიტუციის დასახელებულ დებულებებთან, ვინაიდან იგი უნდა განისაზღვროს ყოველი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის სირთულის გათვალისწინებით. ... დამცველთან პირისპირ შეხვედრების დრო კი არ უნდა იყოს შეუზღუდავი, არამედ იგი უნდა შეიზღუდოს გონივრული ვადით, რაც ყოველი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის სირთულის გათვალისწინებით საქართველოს კონსტიტუციის მიერ გარანტირებული დაცვის უფლებიდან და გამოძიების ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამასთან, იგი არ უნდა იყოს პროცესის ორივე თანასწორუფლებიანი მონაწილისთვის განზრახ ხელის შემშლელი“⁷⁴⁵. მაშასადამე, საქართველოს საკონსტიტუციო

744 საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია.

745 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №2/3/182,185,191 საქმეზე *ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაცვის მხარეს უნდა მიეცეს გონივრული, საკმარისი დრო და შესაძლებლობა, განახორციელოს სრულფასოვანი დაცვა, რაც გულისხმობს ისეთ დროს და შესაძლებლობას, რომელიც დაცვის მხარეს, სისხლის სამართლის ყოველი კონკრეტული საქმის სირთულიდან გამომდინარე, მისცემდა სრულფასოვანი მომზადების შესაძლებლობას.

6.4.3. თავისუფლების უფლებაში ჩარევა რა შემთხვევაში გულისხმობს პირის დაკავებას?

მნიშვნელოვანია საკითხი, რომელი ეტაპიდან და რა შემთხვევაში იწყებს მოქმედებას კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი გარანტიები. აღნიშნული საკითხის გაანალიზების წინაშე საკონსტიტუციო სასამართლო დადგა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „შეჩერების“ ინსტიტუტის კონსტიტუციურობის შეფასებისას. დასახელებული კანონის სადავო მუხლის მიხედვით, პოლიციელი უფლებამოსილი იყო, შეეჩერებინა პირი, თუ არსებობდა გონივრული ეჭვი მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ. ამასთან, შეჩერების ვადად განისაზღვრებოდა გონივრული ეჭვის დადასტურებისათვის ან გამორიცხვისათვის აუცილებელი გონივრული დრო.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სივრცეში პირის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებთან (2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) შემხებლობას ყოველთვის არ განაპირობებს. წარმოდგენელია, გადაადგილების თავისუფლების ყოველი შეზღუდვა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდეს ან პოლიციელს პირის სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას აკისრებდეს. არასწორია პოლიციელის მიერ პირის გადაადგილების თავისუფლების ნებისმიერი ხანმოკლე შეზღუდვის დაკავებასთან გათანაბრება. „იმისთვის, რომ თავისუფლების შეზღუდვა მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დაცულ სფეროში მოექცეს, საჭიროა, რომ უფლებაში ჩარევამ ინტენსივობის (სიმწვავის) გარკვეულ ხარისხს მიაღწიოს, როგორც მინიმუმ, თავისუფლების შეზღუდვის ვადა ხანგრძლივი უნდა იყოს“⁷⁴⁶.

სასამართლომ დაადგინა კრიტერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს კონსტიტუციის მიზნებისთვის „შეჩერებისა“ და „დაკავების“,

746 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/2/503,513 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 16.

როგორც თავისუფლებაში ჩარევის სხვადასხვა ფორმების ერთმანეთისაგან განსხვავება. მისი განმარტებით: „იმის გასარკვევად, წარმოადგენს თუ არა შეჩერება დაკავებას თუ ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის სხვა შემთხვევას, საჭიროა ჩარევის მიზნისა და ამოცანის, განხორციელებული ჩარევის სამართლებრივი შედეგის და მისი ინტენსივობის შეფასება. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი გარემოებანი, როგორებიცაა: უფლებაშეზღუდული პირის სამართლებრივი სტატუსი, შეზღუდვის ფორმა (ლეგიტიმური ძალის გამოყენება ან მისი გამოყენების რეალური საფრთხე), უფლებაში ჩარევის ხარისხი და ხანგრძლივობა“⁷⁴⁷.

სასამართლოს შეფასებით, თავისუფლებაში ჩარევა წარმოადგენს დაკავებას, როდესაც სახეზეა შემდეგი კუმულაციური პირობები: ა) სათანადო საფუძველი და მიზანი – არსებობს დასაბუთებული ვარაუდი პირის მიერ დანაშაულის ან სხვა სამართალდარღვევის ჩადენის თაობაზე და მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით აუცილებელია მისი საზოგადოებისგან დროებით იზოლირება; ბ) ხდება პირის დახურულ სივრცეში გადაყვანა. „დაკავების განსაზღვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სივრცე, ანუ პირის განსაზღვრულ (როგორც წესი, დახურულ) სივრცეში მოთავსების ფაქტი, როდესაც მას ამ სივრცის დატოვების შესაძლებლობა არ აქვს. ამასთან, პირი დაკავებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მას ფიზიკური თავისუფლება დახურულ სივრცეში გადაყვანის მიზნით შეზღუდება“⁷⁴⁸; გ) თავისუფლებაში ჩარევა ხდება ხანგრძლივი ვადით – 72 საათის ფარგლებში. სასამართლოს შეფასებით, „თავისუფლების შეზღუდვის სწორედ ამგვარ შემთხვევაზე ვრცელდება მე-18 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სასამართლოსადმი წარდგენის ვალდებულება და ამავე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დაცვის უფლების უზრუნველყოფის გარანტია“⁷⁴⁹.

დაკავებისგან განსხვავებით, სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეჩერების ინსტიტუტი წარმოადგენდა დანაშაულის პრევენციის, მისი დროული აღკვეთის ან მასზე რეაგირების მექანიზმს. პირის შეჩერება შეიძლებოდა, თუ არსებობდა გონივრული ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა, სჩადიოდა ან შესაძლოა ჩაედინა დანაშაული. შეჩერება ხდებოდა „გონივრული ეჭვის საფუძველზე“ და „გონივრული დროით“.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, სადავო ნორმის მიზნებისთვის რას გულისხმობდა შეჩერება „გონივრული ეჭვის“ საფუძველზე „გო-

747 იქვე, II, 20.

748 იქვე, II, 21.

749 იქვე, II, 21.

ნივრული დროით“: „...გონივრული ეჭვის მტკიცებულებითი სტანდარტი წარმოადგენს დასაბუთებული ვარაუდის წინა საფეხურს. გონივრული ეჭვის საფუძველზე, სახეზე არის მხოლოდ ეჭვი... შეჩერების საფუძველია პოლიციელის ეჭვი პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ, ხოლო შეჩერების მიზანს ამ ეჭვის შემოწმება წარმოადგენს. მდგომარეობა იცვლება, როდესაც ფაქტობრივი გარემოებები აშკარად იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ დანაშაული ჩადენილ იქნა. ამ შემთხვევაში ეჭვის ასპექტი იცვლება უფრო მყარი და სარწმუნო ფაქტობრივი გარემოებებით. როდესაც კავშირი დანაშაულსა და კონკრეტულ პირს შორის უფრო მეტად ხელშესახებია, მაშინ პოლიციელი არა გონივრული ეჭვის, არამედ დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე მოქმედებს“⁷⁵⁰. „... აუცილებელია, რომ გონივრული ეჭვის წარმოქმნის საფუძველები ობიექტურად შეფასებადი იყოს, ის უნდა ემყარებოდეს ისეთ გარემოებებსა ან/და ინფორმაციას, რომლის აღწერა და მკაფიოდ არტიკულირება იქნება შესაძლებელი და, რომელიც მიუყვებოდებელ დამკვირვებელს ეჭვის წარმოქმნის გონივრულობაში დაარწმუნებს. ეჭვი გონივრულია, იგი შესაძლოა ობიექტურ საფუძველს ემყარებოდეს, თუ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა პოლიციელს, მსგავს გარემოებებში, დანაშაულის შესაძლო ჩადენასთან დაკავშირებით ასეთივე ეჭვი წარმოექმნებოდა“⁷⁵¹.

რაც შეეხება „გონივრულ დროს“, სასამართლომ შეჩერების მიზნებისთვის ის ასე განმარტა: „...თავისუფლების შეზღუდვის ხანგრძლივობა მკაცრად შემოიფარგლება იმ დროით, რაც აბსოლუტურად აუცილებელია გონივრული ეჭვის შესამოწმებლად. გონივრული ვადა ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს ყველა შემთხვევაში და პოლიციელი ვალდებულია, ჰქონდეს გონივრული დასაბუთება ამა თუ იმ დროით პირის შეჩერებისთვის. შეჩერება, როგორც უფლებაში ნაკლებად ინტენსიური ჩარევა, გამართლებულია, თუ ჩარევა მკვეთრად შემოფარგლულია დროში და ეს დრო საკმაოდ მცირეა. ... თავისუფლების შეზღუდვის დრო არ უნდა იყოს იმდენად ხანგრძლივი, რომ შეჩერებულ პირს შეუქმნას შთაბეჭდილება, თითქოს მისი გადაადგილების თავისუფლება გაურკვეველი (განუსაზღვრელი) დროით არის შეზღუდული. მაგალითად, პირის შეჩერება შესაძლებელია დაკავებად იმ შემთხვევაში დაკვალიფიცირდეს, თუ გონივრული ეჭვის შემოწმებისთვის განკუთვნილი დრო მკვეთრად აღემატება, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევაში, პოლიციელის მიერ რუტინული

750 იქვე, II, 28-30.

751 იქვე, II, 32.

შემოწმებისთვის განკუთვნილ მაქსიმალურად აუცილებელ დროს⁴⁷⁵².

ამავე დროს, სასამართლომ აღნიშნა, რომ თავისუფლების უფლებაში ნებისმიერი, თუნდაც ძალიან დაბალი ინტენსივობით ჩარევა, რომელიც თავისი არსით, არ უტოლდება დაკავებას, დაცულია კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტით. შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლებას აქვს ვალდებულება, უფლებაში ნებისმიერი ჩარევისას ასაბუთოს მისი აუცილებლობა და პროპორციულობა. ეს ასე რომ არ ყოფილიყო, ხელისუფლებას ექნებოდა სრული თავისუფლება, ყოველგვარი საჭიროების გარეშეც ჩარეულიყო ადამიანის თავისუფლებაში იმ ზღვრამდე, ვიდრე ეს დაკავებაში გადაიზრდებოდა. გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვა კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში ავტონომიურ, დამოუკიდებელ შემოწმებას ექვემდებარება. ისევე როგორც კონსტიტუციის სხვა მუხლებთან შემოწმებისას, ასეთ შემთხვევაშიც, სახელმწიფო ვალდებულია ამტკიცოს, რომ უფლებაში ჩარევა აკმაყოფილებს პროპორციულობის ტესტს და წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ნაკლებად მზღუდავ საშუალებას“⁴⁷⁵³. „იმ შემთხვევაში, თუ პირი უსაფუძვლოდ არის შეჩერებული ერთი საათის განმავლობაში, მაშინ ასეთ ქმედებას არა მხოლოდ მიმართება აქვს მე-18 მუხლის პირველ პუნქტთან, არამედ ის ამ უფლების დარღვევასაც იწვევს“⁴⁷⁵⁴.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებები. მან არაერთ საქმეზე აღნიშნა, რომ კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი შეიძლება იყოს გამოყენებული თავისუფლების შეზღუდვის ძალიან მოკლე ვადის შემთხვევაშიც⁷⁵⁵.

საქმეზე *M.A. v. Cyprus*⁷⁵⁶ მომჩივანი იყო ეთნიკურად ქურთი, რომელიც დაიბადა სირიაში. 2005 წელს ის გაემგზავრა თურქეთში, შემდეგ უკანონოდ შეაღწია „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკაში“. რამდენიმე თვეში თავშესაფრის მინიჭების მოთხოვნით შუამდგომლობა შეიტანა შესაბამის სამსახურში. მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა სა-

752 იქვე, II, 33, 34.

753 იქვე, II, 16.

754 იქვე, II, 18.

755 *Brega and Others v. Moldova*, app. №61485/08, (ECtHR, 24.01.2012), §43, *Shimovolos v. Russia*, app. №30194/09, (ECtHR, 21.06.2011), §§48-50; *Iskandarov v. Russia*, app. №17185/05, (ECtHR, 23.09.2010), §140.

756 *M.A. v. Cyprus*, app. №41872/10, (ECtHR, 23.07.2013).

თანადო კანონმდებლობასთან (ლტოლვილთა შესახებ კანონთან) შეუსაბამობის გამო.

2010 წლის 17 მაისს, სირიელმა ქურთებმა (მომჩივნის ჩათვლით) ნიქოზიაში დემონსტრაცია მოაწყვეს. ისინი კვიპროსის საიმიგრაციო სამსახურის მიერ საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფის პოლიტიკის გამკაცრებას აპროტესტებდნენ. 150-მდე ადამიანი ტროტუარზე დაახლოებით 80 კარავი გაშალა, რომლებშიც 24 საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ.

2010 წლის 28 მაისს შინაგან საქმეთა მინისტრმა გასცა ბრძანება იმ სირიელი ქურთების დეპორტაციის თაობაზე, რომლებსაც თავშესაფარზე ეთქვათ უარი. მათ საჯარო რეესტრისა და მიგრაციის დეპარტამენტის მიერ გაეგზავნათ წერილები, სადაც სთხოვდნენ კვიპროსის დატოვებას. ამავე დროს, ხელისუფლებამ დემონსტრანტებისგან ტერიტორიის დაცლა გადაწყვიტა. შესაბამისი ოპერაცია 2010 წლის 11 ივნისს, დაახლოებით ღამის 3:00 სთ-დან 5:00 სთ-მდე ინტერვალში განხორციელდა. დემონსტრანტები, მომჩივნის ჩათვლით, მათი მხრიდან ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, მიკროავტობუსებით საგანგებო სიტუაციათა შტაბში გადაიყვანეს (სულ 87 მამაკაცი, 22 ქალბატონი და 40 ბავშვი).

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი დაკავება იყო უკანონო, თვითნებური და არღვევდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის (f) ქვეპუნქტს, რომლის თანახმად: „1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და მხოლოდ კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად:... (f) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, ან იმ პირის დაკავება თუ დაპატიმრება, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები დეპორტაციისა თუ ექსტრადიციის მიზნით“.

მომჩივნის მტკიცებით, ის დააკავეს შესაბამისი ბრძანების გარეშე. მართალია, ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ დემონსტრანტებმა ჩაიდინეს რიგი დანაშაულებისა, თუმცა მათი დაკავების ოფიციალური საფუძველი ეს არ იყო. გარდა ამისა, იმ დროისთვის ხელისუფლებამ არ იცოდა დემონსტრანტთა სახელები, მათი მონაცემები, შესაბამისად, არც ის ეცოდინებოდა, კონკრეტული პირები კვიპროსში კანონიერად იმყოფებოდნენ, თუ არა. აქედან გამომდინარე, სანამ მის წინააღმდეგ დაკავებისა და დეპორტაციის ბრძანება გაიცემოდა, მისი დაპატიმრება ეწინააღმდეგებოდა შიდა კანონმდებლობის პროცედურულ მოთხოვნებსა და კონსტიტუციას⁷⁵⁷.

757 *M.A. v. Cyprus*, app. №41872/10, (ECtHR, 23.07.2013), §173.

მთავრობა ამტკიცებდა, რომ დემონსტრანტებმა ნიქოზიის ერთ-ერთ ყველაზე დატვირთულ ქუჩაზე, რომელზეც ოფისები და საზოგადოებრივი შენობებია განლაგებული, დაუშვებელი ვითარება შექმნეს, რაც უქმნიდა საფრთხეს როგორც საზოგადოების, ისე თვით დემონსტრანტების ჯანმრთელობას, აბრკოლებდა ფეხითმოსიარულეთა და ტრანსპორტის მოძრაობას, არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს. დემონსტრანტებმა უარი თქვეს ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე, რომელიც ამაოდ ცდილობდა მათ დარწმუნებას, დაეტოვებინათ ტერიტორია⁷⁵⁸. ხელისუფლებას ჰქონდა ორი გზა: დემონსტრაციის ადგილზე ჩადენილი მთელი რიგი დანაშაულების გამო დაეკავებინა დემონსტრანტები და აღეკვეთა მათთვის თავისუფლება, ან ტერიტორიიდან მშვიდობიანად გაეყვანა ისინი. ძალადობისა და შეტაკებების თავიდან ასაცილებლად, ასევე თითოეული დემონსტრანტის საიმეგრაციო სტატუსის შემოწმების მიზნით, ხელისუფლებამ არჩევანი უკანასკნელზე შეაჩერა. პოლიციისთვის ამ სამუშაოს ჩატარება დემონსტრაციის ადგილზე შეუძლებელი იქნებოდა. გადაწყვეტილების მიღებისას პოლიციამ გაითვალისწინა ის, რომ დემონსტრანტთა შორის იყვნენ ქალები და ბავშვები⁷⁵⁹.

მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომჩივნის და სხვა დემონსტრანტების თავისუფლების შეზღუდვას ადგილი არ ჰქონდა არც მათი ქუჩიდან საგანგებო სიტუაციათა შტაბში გადაყვანისას, არც შტაბში, სადაც საიმეგრაციო სტატუსის დასადგენად მიმდინარეობდა მათი დოკუმენტაციის შესწავლა. ხელისუფლებამ დემონსტრანტები საგანგებო სიტუაციათა შტაბს იდენტიფიკაციის მიზნით გადასცა და არა მათ დასაკავებლად ან დასაპატიმრებლად. ისინი არ მოუთავსებიათ გისოსებს მიღმა, მათთვის არ დაუდიათ ხელბორკილები, მეტიც, უზრუნველყვეს საკვებით და სასმლით. ვისი იდენტიფიკაციაც მოხდა და დადგინდა, რომ რესპუბლიკაში კანონიერად ცხოვრობდნენ, გაუშვეს, დანარჩენები კი დააპატიმრეს. მომჩივნის დაკავება მოხდა მაშინ, როცა მას ბრალად რესპუბლიკაში უკანონო ცხოვრება წარუდგინეს⁷⁶⁰.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაიმეორა, რომ იმის დადგენისას, შეიზღუდა თუ არა თავისუფლება მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით, ამოსავალ წერტილად კონკრეტული ვითარება უნდა იქცეს, ასევე გასათვალისწინებელია მთელი რიგი კრიტერიუმები,

758 იქვე, §177.

759 იქვე, §178.

760 იქვე, §180.

როგორებიცაა გამოყენებული ზომის სახე, ხანგრძლივობა და შედეგები⁷⁶¹.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე: 2010 წლის 11 ივნისს, ღამის 3:00 საათზე, დემონსტრაციის ადგილიდან მონაწილეთა გასაყვანად მასშტაბური ოპერაცია ჩატარდა, რომელშიც დაახლოებით 250-მდე პოლიციელი მონაწილეობდა. მომჩივანი და სხვა დემონსტრანტები ავტობუსებით გადაიყვანეს საგანგებო სიტუაციათა შტაბში, სადაც რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა მათი იდენტიფიკაცია და საიმიგრაციო სტატუსის დადგენა. საქმეში არ არსებობდა მტკიცებულება, რომ პროტესტის ადგილზე მოსალოდნელი იყო საფრთხის შემქმნელი ვითარების შექმნა, რომელიც უწესრიგობას, ძალადობას, ადამიანთა ფიზიკურ დაზიანებებსა და მატერიალურ ზარალს გამოიწვევდა⁷⁶². სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ დემონსტრანტებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, მათ იმ ვითარებაში რეალური არჩევანი არც ჰქონდათ, ამიტომ ავტობუსებში ჩასხდომა და პოლიციის განყოფილებაში ყოფნა ვერ ჩაითვლებოდა ნებაყოფლობით ფაქტად. ოპერაცია განხორციელდა მაშინ, როცა დემონსტრანტთა უმეტესობას ეძინა. ღონისძიების ხასიათის, მასშტაბის, მიზნის და ხელისუფლების მიერ მიღებული საერთო ზომების გათვალისწინებით, არარეალური იქნებოდა ვარაუდი, რომ დემონსტრანტებს შესაძლებლობა ექნებოდათ, ავტობუსებში ჩასხდომაზე უარი ეთქვათ ან პოლიციის განყოფილება დაეტოვებინათ. აშკარა იყო, რომ ოპერაციის მიზანს ასევე ქვეყანაში უკანონოდ მცხოვრებ დემონსტრანტთა იდენტიფიკაცია და მათი დეპორტაცია წარმოადგენდა. პოლიციის განყოფილება დატოვეს მხოლოდ იმ დემონსტრანტებმა, რომლებიც კვიპროსში კანონიერად ცხოვრობდნენ. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ეჭვგარეშე იყო იძულების ელემენტი, რომელიც, კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით, თავისუფლების აღკვეთას გულისხმობდა. სასამართლოს შეფასებით, ის ფაქტი, რომ პოლიციის განყოფილებაში არც ერთი დემონსტრანტისთვის ხელბორკილები არ დაუდიათ, ვისოსებს მიღმა არ მოუთავსებიათ და მათ მიმართ სხვა ფიზიკური შეზღუდვა არ განუხორციელებიათ, არ წარმოადგენდა გადამწყვეტ ფაქტორს იმის დადგენისას, მოხდა თუ არა თავისუფლების შეზღუდვა. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ მიუთითა პოლიციის მიერ მიღებულ ინსტრუქციებზე, რომ გამოეყენებინათ „დაპატიმრების გონივრული ზომები“. ასეთ ვითარებაში სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის

761 *Austin and Others v. the United Kingdom*, app. №39692/09, 40713/09, 41008/09, (ECtHR, 15.03.2012), §61; *M.A. v. Cyprus*, app. №41872/10, (ECtHR, 23.07.2013), §186.

762 *M.A. v. Cyprus*, app. №41872/10, (ECtHR, 23.07.2013), §§191-192.

საგანგებო სიტუაციათა შტაბში გადაყვანა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში მისი იქ ყოფნა მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით დე ფაქტო თავისუფლების შეზღუდვას წარმოადგენდა⁷⁶³.

ამის შემდეგ სასამართლოს უნდა დაედგინა, იყო თუ არა მომჩივნის დაკავება მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისი. სასამართლომ გაიმეორა, რომ ამ დებულების მიზნებისთვის აუცილებელია, დაკავება იყოს „კანონიერი“ და „არათვითნებური“⁷⁶⁴. ამასთან, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ ეროვნული კანონმდებლობა შეესაბამება კონვენციას, მათ შორის, მასში გამონახულ ან ნაგულისხმებ ზოგად პრინციპებს. მნიშვნელოვანია, რომ შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული თავისუფლების შეზღუდვის პირობები იყოს მკაფიოდ განსაზღვრული, განჭვრეტადი⁷⁶⁵.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ შემთხვევაში, თავისუფლების უფლებაში ჩარევა იყო უსაფუძვლო. საქმეში არ იყო მტკიცებულებები, რომ პოლიციის ოფიცრების მიერ მომჩივნისა და სხვა დემონსტრანტების დასაპატიმრებლად ფაქტობრივად გამოყენებული იყო კანონმდებლობით გათვალისწინებული მათი რომელიმე უფლებამოსილება⁷⁶⁶. სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, კვიპროსის ხელისუფლება აღმოჩნდა რთულ ვითარებაში, როდესაც აუცილებელი იყო ქმედითი გადაწყვეტილების მიღება, თუმცა ეს ვერ გაამართლებდა მიღებულ ზომებს, რომლებმაც თავისუფლების შეზღუდვა გამოიწვიეს საამისოდ მკაფიო სამართლებრივი საფუძვლის გარეშე⁷⁶⁷.

შედგადა, დადგინდა, რომ მომჩივნის თავისუფლების შეზღუდვა ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტს.

6.5. ბრალდებულის პატიმრობის კონსტიტუციური ფარგლები

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: „ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს“.

ტერმინი „პატიმრობა“, ზოგადად, გულისხმობს „პირის საპატიმროში (ან სხვა შესაბამის დაწესებულებაში) მოთავსებას. იგი შეიძლება თავის თავში მოიცავდეს როგორც აღკვეთის ღონისძიების, ასევე სასჯელის სახით ფიზიკური თავისუფლების უფლების შეზღუდვას. ... ტერმინ პატიმ-

763 იქვე, §194-195.

764 იქვე, §197.

765 იქვე, §198.

766 იქვე, §200.

767 იქვე, §202.

რობის ამ შინაარსით გამოყენება გვხვდება ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო დოკუმენტებშიც. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი ტერმინ პატიმრობას იყენებს როგორც სასამართლოს განაჩენის საფუძველზე სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის (მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი), ასევე სასამართლოს განაჩენამდე პირის თავისუფლების შეზღუდვის (მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი) აღსაწერად⁴⁷⁶⁸.

თუმცა, კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებისთვის, არაორაზროვანია, რომ ამ ტერმინში იგულისხმება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა, რომელიც გრძელდება პირის დაპატიმრებიდან განაჩენის გამოტანამდე. ის არ მოიცავს სასჯელის სახით პატიმრობის ვადას, რადგან შეუძლებელია კონსტიტუცია აწესებდეს საპატიმრო სასჯელის ზღვრულ ვადას, მით უფრო, ეს ვერ იქნება ბლანკეტურად ყველა, ნებისმიერი დანაშაულისთვის 9 თვე. იმავდროულად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს ვერ იქნება ბრალდებულის პატიმრობის ვადა რომელიმე სხვა ეტაპამდე (თუ არა განაჩენამდე), რომლის შემდეგაც კონსტიტუცია დატოვებდა სივრცეს პატიმრობის შენარჩუნების/გახანგრძლივებისთვის (თუნდაც სასამართლოს გადაწყვეტილებით) ნებისმიერი ვადით საქმეზე განაჩენის გამოტანამდე.

პატიმრობა ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის ძალიან ინტენსიური ფორმაა. „დაპატიმრება წარმოადგენს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებში ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ ... ჩარევას. ზოგადად, სისხლის სამართლებრივი დევნა, განსაკუთრებით, თუ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, ბრალდებულისათვის მძიმე ტვირთს წარმოადგენს. მას უპირისპირდება სახელმწიფო, რომლის ხელთ არსებული მნიშვნელოვანი რესურსი მიმართულია პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დასამტკიცებლად. ... სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუცია მკაფიო პროცესუალურ გარანტიებს აწესებს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა სახელმწიფოს მიერ ადამიანის თავისუფლების შეზღუდვისას“⁴⁷⁶⁹.

6.5.1. ბრალდებულის პატიმრობის ვადა

როგორც აღინიშნა, პატიმრობა კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის მიზნებისთვის გულისხმობს თავისუფლების შეზღუდვის ვადას

768 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/2/646 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 23.

769 იქვე, II, 3.

პირის დაკავებიდან სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე. ყურადსაღებია, რომ კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი იცნობდა ტერმინს – „წინასწარი პატიმრობა“, რომელმაც გააჩინა სივრცე როგორც კანონმდებლისთვის, ისე სასამართლოსთვის „ბრალდებულის პატიმრობის“ მაქსიმალური ვადის არამიზნობრივი ინტერპრეტაციისა და თავისუფლების ფუნდამენტური უფლების დარღვევისთვის.

საკითხი – სისხლის სამართლებრივი დევნის რა პერიოდს უკავშირდებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტში მითითებული „წინასწარი პატიმრობა“, განაჩენის გამოტანამდე თუ საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპამდე – ორჯერ გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანი.

2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებაში №2/3/182,185,191 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი წყვეტს მხოლოდ ექვმიტანილისა და ბრალდებულის დაკავებისა და წინასწარი პატიმრობის ვადებს, იგი არ შეიცავს განსასჯელის პატიმრობის ვადას მისთვის სასამართლოს მიერ კონკრეტული დანაშაულისთვის სასჯელის შეფარდებამდე“. აღნიშნული განმარტების საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციურად მიიჩნია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები (162-ე მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილები⁷⁷⁰), რომელთა თანახმადაც, განსასჯელის (სასამართლო) პატიმრობის ვადა განისაზღვრებოდა 12 თვით და შესაძლებელი იყო ამ ვადის დამატებით 6 თვით გაგრძელება. შედეგად, ბრალდებულის პატიმრობის (განაჩენამდე) საერთო მაქსიმალური ვადა უკეთეს შემთხვევაში გამოდიოდა 21 თვე, დამატებით მისი გაგრძელება შეიძლებოდა 6 თვით.

2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებაში №3/2/646 საკონსტიტუციო სასამართლო კვლავ დადგა კონსტიტუციის აღნიშნული დებულების ფარგლების განმარტების საჭიროების წინაშე. გასაჩივრებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმა (205-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რომლის თანახმად: „ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან“⁷⁷¹. მაშასადამე, სა-

770 ნორმების დავის განხილვის დროისთვის მოქმედი რედაქცია.

771 ნორმის დავის განხილვის დროისთვის მოქმედი რედაქცია.

დავო ნორმა ადგენდა პატიმრობის ზღვრულ ვადას იმავე ხანგრძლივობით, რასაც მოითხოვდა კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მის მიერ საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გაკეთებული განმარტებები, რადგან მიიჩნია, რომ ასეთი პრაქტიკის ერთგულება გამოიწვევდა უფლების შეუქცევად დარღვევას. სასამართლოს შეფასებით: „2003 წლის გადაწყვეტილებაში, კონსტიტუციური ტერმინის განმარტებისას, საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად დაეყრდნო იმ დროისათვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ რეალობას ამავე საკითხზე. მას შემდეგ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ საქმეზე დაადგინა, რომ კონსტიტუციური უფლების და ტერმინების მნიშვნელობა, მათი შინაარსის განმარტება უნდა მოხდეს შესაბამისი საკანონმდებლო დეფინიციებისგან დამოუკიდებლად, მათგან იზოლირებულად. მოცემული დავის ფარგლებშიც, ის ვერ შეიბოჭება 2003 წელს საკანონმდებლო დეფინიციებზე დაფუძნებული უფლების განმარტებით და, თუ არსებობს რესურსი კონსტიტუციური ნორმის უფლების სასარგებლო განმარტებისთვის, საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური ვალდებულებაა, სწორედ ასე მოიქცეს“⁷⁷².

შედგად, სასამართლომ „წინასწარი პატიმრობის“ კონსტიტუციური ვადის განმარტების პროცესში თვისობრივად ახალი სტანდარტები დაადგინა. კერძოდ:

1) „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლი და კონსტიტუციის არც რომელიმე სხვა ნორმა არ გამოყოფს ერთმანეთისგან ბრალდებულისა და განსასჯელის ცნებებს. უფრო მეტიც, კონსტიტუცია საერთოდ არ იცნობს ტერმინ „განსასჯელს“ და ნებისმიერ პირს, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება, დამნაშავედ ცნობამდე ბრალდებულად მოიხსენიებს. ... აშკარაა საქართველოს კონსტიტუციის ნება, რომ ნებისმიერი პირი, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება, დამნაშავედ ცნობამდე ბრალდებულის სტატუსის ქვეშ მოაქციოს. ... იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის სტატუსს მხოლოდ სისხლის სამართლებრივი დევნის გარკვეულ, პირველად სტადიას დავუკავშირებდით (ხოლო შემდგომ ეტაპზე პირს განსასჯელად ან რაიმე მსგავსი ცნების ქვეშ მოვიზიარებდით), არა მხოლოდ გაუგებარი იქნებოდა

772 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/2/646 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 8.

ის, თუ რატომ აღჭურვა კონსტიტუციამ ამგვარი უფლებით ბრალდებული მხოლოდ პირველად (გამოძიების) ეტაპზე, არამედ ბრალდებულის კონსტიტუციით გარანტირებულ იმ უფლებებს დავავიწროებთ, რომლითაც ის სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის დროსაც სარგებლობს. ... სსსკ-ში მოცემული ტერმინები ვერ გახდება კონსტიტუციური ტერმინების განმარტების წყარო⁷⁷³.

2) „... კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტის მიზანია, პირი, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის მიღებამდე, არ დაექვემდებაროს თავისუფლების განუსაზღვრელი დროით შეზღუდვას. „ბრალდებულისა“ და „განსასჯელის“ პატიმრობა პირის ფიზიკურ თავისუფლებაში ჩარევის ფორმით ერთმანეთისგან არ განსხვავდება. ორივე შემთხვევაში პირის თავისუფლება აღკვეთილია კონკრეტული სტანდარტის ვარაუდის საფუძველზე. ... კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული პატიმრობის 9 თვიანი ზღვრული ვადა, კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა პროცესუალურ გარანტიებთან ერთად, წარმოადგენს ფიზიკური თავისუფლების არაპროპორციულად შეზღუდვის საწინააღმდეგო გარანტიას. სასამართლოს მიერ პირის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით განაჩენის მიღებამდე, თავისუფლების შეზღუდვა ეფუძნება მხოლოდ ვარაუდს პირის ბრალეულობის თაობაზე. შესაბამისად, კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტმა გაითვალისწინა კონკრეტული პერიოდი, რომლის გასვლის შემდეგაც პირი აღარ შეიძლება იმყოფებოდეს პატიმრობაში მხოლოდ (დასაბუთებული) ვარაუდის საფუძველზე, რომ მან ჩაიდინა (ან შესაძლოა ჩაიდინოს) დანაშაული ან შესაძლოა განახორციელოს სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედება. კონსტიტუცია და მოქმედი სსსკ იმპერატიულად ადგენს, რომ პირის პატიმრობა უნდა დასრულდეს, როდესაც დაპატიმრების მომენტიდან გასულია 9 თვე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა პატიმრობაში ყოფნა აუცილებელი სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესებიდან გამომდინარე⁷⁷⁴.

3) „პირის დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს და მის კონტროლს ექვემდებარება პატიმრობის საჭიროების განსაზღვრა წინასწარი პატიმრობის მთელი პერიოდისათვის. შესაბამისად, არასწორია მსჯელობა, რომ „წინასწარი პატიმრობა“ სრულდება მაშინ, როდესაც საქმე სასამართლოს გადაეცემა, ვინაიდან ამ მომენტიდან საქმე სასამართლოს კონტროლს ექვემდებარება. აღნიშნულ დასკვნას ეჭვქვეშ ვერ დააყენებს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტში ტერმინ „წინასწარის“ გამოყენება. სიტყვა „წინასწარი“ მიუთითებს პატიმრობის

773 იქვე, II, 16-17.

774 იქვე, II, 18-19.

დროებით ხასიათზე, განასხვავებს მას პატიმრობისგან, რომელიც პირს სასჯელის ან სახდელის სახით შეიძლება დაეკისროს. ... ამდენად, წინასწარი პატიმრობა (განაჩენამდე პატიმრობა) წარმოადგენს ბრალდებულის თავისუფლების დროებით შეზღუდვას, რომელიც განპირობებულია არა სისხლისსამართლებრივი დევნის რომელიმე ეტაპით, არამედ ბრალდებულის მხრიდან მომდინარე საფრთხით. ...საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი პროცესუალური გარანტია პირს იცავს არა მხოლოდ ბრალდების მხარის თვითნებობის შედეგად დაუსაბუთებელი პატიმრობისაგან, არამედ იგი ასევე უზრუნველყოფს მოსამართლის შეცდომის, მის მიერ გარემოებების არასწორად შეფასების, საქმის განხილვის გაჭიანურების შედეგად პირის განუსაზღვრელი ვადით წინასწარ პატიმრობაში ყოფნის გამორიცხვას. შესაბამისად, წინასწარი პატიმრობის ვადის შეზღუდვის საჭიროება არსებობს იმ პირობებშიც, როდესაც სისხლის სამართლის საქმეს მოსამართლე არსებითად განიხილავს⁷⁷⁵.

4) სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დაუშვებელია, ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა საქმის წარმოების/განხილვის რომელიმე ეტაპზე დარჩეს კონსტიტუციით დაცვის მიღმა. ეს განუზომლად გაზრდიდა სახელმწიფოს თვითნებობის/ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკს⁷⁷⁶. „ერთი მხრივ, ადამიანის საზოგადოებისგან იზოლირება შეიძლება აუცილებელი იყოს კონკრეტული ლეგიტიმური მიზნებისთვის, თუმცა, მეორე მხრივ, ამ ლეგიტიმურ მიზნებს უპირისპირდება რა ისეთი მნიშვნელოვანი სიკეთე, როგორცაა ადამიანის თავისუფლება, კანონმდებელი ვერ გაამართლებს შეუზღუდავი ვადით პატიმრობას. კანონმდებლის კონსტიტუციური ვალდებულებაა ლეგიტიმური მიზნების დაცვა უზრუნველყოს თავისუფლების უფლების უსაფუძვლო, გადამეტებული შეზღუდვის რისკების გამორიცხვით.“⁷⁷⁷

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ „კონსტიტუციის მე-18 მუხლის მიზნებისათვის, იმ პირობებში, როდესაც პირი პატიმრობაში იმყოფება, სახელმწიფო ვალდებულია, 9 თვის განმავლობაში ან უზრუნველყოს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის მიღება ან გაათავისუფლოს იგი. ამრიგად, კონსტიტუცია ერთგვარად საკმარისად აცხადებს 9 თვიან ვადას ბრალდებულის მიმართ განაჩენის დასაყენებლად“⁷⁷⁸.

775 იქვე, II, 20-21.

776 იქვე, II, 23.

777 იქვე, II, 26.

778 იქვე, II, 31.

სასამართლოს ეს განმარტებები დაედო საფუძვლად 2017 წელს კონსტიტუციურ ცვლილებას, რომლის შედეგადაც თავისუფლების უფლების მარეგლამენტირებელ ნორმაში ტერმინი „ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა“ შეიცვალა ტერმინით – „ბრალდებულის პატიმრობა“. შესაბამისად, განისაზღვრა, რომ ბრალდებულის პატიმრობის ვადა არის 9 თვე, რაც არაორაზროვნად, განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობის აბსოლუტური გამორიცხვით გულისხმობს მაქსიმალური 9 თვიანი ვადით პატიმრობის შემოფარგვლას პირის დაკავებიდან განაჩენის გამოტანამდე.

აღსანიშნავია, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის 9 თვიანი ვადის გათვალისწინება არ გულისხმობს ყოველ ჯერზე მისი მაქსიმალურად გამოყენების თავისთავად საჭიროებას. სასამართლომ უნდა შეუფარდოს პატიმრობა იმ ვადით, რომელიც ობიექტურად აუცილებელი და საკმარისი იქნება ლეგიტიმური მიზნების დასაცავად. შესაბამისად, პატიმრობის კონკრეტული ვადის გამოყენება უნდა მოხდეს თითოეულ საქმეზე არსებული ინდივიდუალური გარემოებების სკრუპულოზურად შესწავლის გზით. ამასთან, უმნიშვნელოვანესია მისი პერიოდულად გადასინჯვა, რადგან სათანადო საფუძვლების გამორიცხვის, გაქარწყლების შემთხვევაში თავისუფლების შეზღუდვა თვითმიზნური გახდება. ამიტომ, გონივრული პერიოდულობით, მხარის შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით, პატიმრობის შენარჩუნების საჭიროება/ვალიდურობა უნდა მოწმდებოდეს. სასამართლო, როგორც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრი, არის/უნდა იყოს მნიშვნელოვანი გარანტია თვითნებური პატიმრობის რისკების მინიმალიზების უზრუნველსაყოფად. ის უნდა მოქმედებდეს დაშვებით, რომ შესაძლოა პატიმრობისთვის სათანადო საფუძვლები/გარემოებები აღმოიფხვრა, შესაბამისად აღარ არსებობს მისი გაგრძელების ობიექტური საჭიროება და არა პირიქით – იმ დაშვებით, რომ ბრალდებულის პატიმრობაში დატოვება ყოველთვის მნიშვნელოვანია იმ რისკების დასაზღვევად, რასაც ემსახურებოდა თავდაპირველად პატიმრობის გამოყენება.

6.5.2. პატიმრობის 9 თვიანი ვადის ერთზე მეტად გამოყენების შესაძლებლობის კონსტიტუციური ფარგლები

საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი სტანდარტები დაადგინა წინასწარი პატიმრობის მიზნობრივ გამოყენებასთან დაკავშირებით. მან, ზოგადად, არ გამორიცხა ალბათობა, პირისთვის რამდენიმე ბრალის წარდგენის შემთხვევაში, თითოეულ მათგანთან მიმართებით ცალ-ცალკე

არსებობდეს პატიმრობის გამოყენების ინტერესი. სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მიზანს არ წარმოადგენს პატიმრობის ზღვრული ვადის განსაზღვრა, რომელიც „ყოველმხრივ ამოწურავს პირის მიმართ პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობას მისი მთელი სიცოცხლის განმავლობაში“⁷⁷⁹. ამავე დროს, დაადგინა წინასწარი პატიმრობის 9 თვიანი ვადის ერთზე მეტად გამოყენების შესაძლებლობის კონსტიტუციური ფარგლები.

კერძოდ, სასამართლოს განმარტებით: „... წინასწარი პატიმრობის ზღვრული 9 თვიანი ვადის განსაზღვრის მიზანი თითოეულ სისხლის სამართლის საქმესთან მიმართებით თანაბრად მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც პირის მიმართ ერთდროულად წარდგენილია რამდენიმე ბრალდება. იმ პირობებში, როდესაც პირი იმყოფება წინასწარ პატიმრობაში, კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი თანაბრად ავალდებულებს სახელმწიფოს, განახორციელოს სწრაფი მართლმსაჯულება. ბრალდებულ პირზე ზემოქმედების თვალსაზრისით, პატიმრობას უფლების შეზღუდვის ერთნაირი ეფექტი აქვს, განურჩევლად იმისა, თუ რომელ დანაშაულში ბრალდებისათვის არის იგი მოთხოვნილი. შესაბამისად, ერთდროულად წარდგენილი რამდენიმე ბრალდების პირობებში მართლმსაჯულების ინტერესების უზრუნველყოფისას ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური ვადით დაწესების მიზნები თანაბრად მიემართება თითოეულ საქმეზე სისხლის სამართლებრივ დევნას, მიუხედავად იმისა, თუ რომელ დანაშაულში ბრალდებისათვის იმყოფება პირი პატიმრობაში. ... აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წინასწარი პატიმრობის ზღვრული ვადის განსაზღვრის მიზნებისათვის სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირი უნდა ჩაითვალოს წინასწარ პატიმრობაში მყოფად, თუ ამ ბრალდების პერიოდში მის მიმართ ფაქტობრივად გამოყენებულია პატიმრობა რომელიმე სხვა სისხლის სამართლის საქმეზე. ერთდროულად წარდგენილი რამდენიმე ბრალდების პირობებში ყოველ კონკრეტულ საქმეზე წინასწარი პატიმრობის ზღვრული ვადის განსაზღვრისას ბრალდებულ პირს უნდა ჩაეთვალოს ის პერიოდი, რომელიც მან ბრალის წარდგენის შემდეგ, თუნდაც სხვა სისხლის სამართლის საქმეზე გაატარა წინასწარ პატიმრობაში. შესაბამისად, დაუშვებელია კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება იმ მომენტიდან, როდესაც ამ საქმეზე ბრალის წაყენების შემდეგ მის მიერ წინასწარ პატიმრობაში გატარებული ვადა

779 იქვე, II, 32.

(ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე) გაუტოლდება 9 თვეს. ცხადია, რომ ასეთი მოთხოვნა არ გამორიცხავს პატიმრობის განმეორებით გამოყენებას იმ დანაშაულთან მიმართებით, რომელიც პირმა პატიმრობის გამოყენების შემდეგ ჩაიდინა. წინასწარი პატიმრობის 9 თვიანი ვადის განმეორებით გამოყენება ასევე შეიძლება კონსტიტუციური იყოს იმ შემთხვევაშიც, თუ პატიმრობამდე ჩადენილ დანაშაულზე პირის ბრალდებულად ცნობის საფუძველი ბრალდების მხარისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ პირველ საქმეზე წინასწარი პატიმრობის შეფარდების შემდეგ. თუმცა ამ ორი მაგალითის შემთხვევაშიც, წინასწარი პატიმრობის შეფარდება კონსტიტუციის მოთხოვნათა საწინააღმდეგო იქნება, თუ ბრალის წარდგენა ან/და პატიმრობის მოთხოვნა ხელოვნურად ჭიანჭურდება და გამოიყენება წინასწარი პატიმრობის ვადის ხელოვნურად გასაგრძელებლად, მაგალითად, ისეთ შემთხვევაში, როდესაც გამოძიებისთვის ცნობილი იყო ის ფაქტები ან/და ინფორმაცია, რომელიც ახალი სისხლისამართლებრივი დევნის საფუძველი გახდა, და ბრალის წაყენების საკმარის საფუძველს იძლეოდა, თუმცა, ამისდა მიუხედავად, არ მოახდინა პირისათვის ბრალის წაყენება⁴⁷⁸⁰.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა წინასწარი პატიმრობის გამოყენების აუცილებლობაზე მხოლოდ კონსტიტუციის მიზნის შესაბამისად. კონსტიტუცია „დაუშვებლად მიიჩნევს წინასწარი პატიმრობის 9 თვიანი ვადით მანიპულირებას, 9 თვიანი ვადის ხელოვნურად გაგრძელებას სხვადასხვა ფორმალურად კანონიერი მეთოდებითა თუ საფუძველებით“⁴⁷⁸¹. საბოლოოდ სასამართლომ დაადგინა: „კონსტიტუციური უფლების ეფექტიანობისთვის აუცილებელია, რომ სისხლის სამართლის დევნის მწარმოებელ პირს/ორგანოს არ მიეცეს განუსაზღვრელი დისკრეცია, თავად დაადგინოს როდის ცნობს პირს ბრალდებულად და რა მომენტიდან იმოქმედებს კონსტიტუციური გარანტია. შესაბამისად, კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტთან თავსებადი არ იქნება კანონი, რომელიც დაუშვებს, რომ კონკრეტულ საქმეზე პირი დარჩეს პატიმრობაში მას შემდეგ, რაც ამ საქმეზე ბრალდებულად ცნობის საფუძველის გამოვლენის შემდეგ მას წინასწარ პატიმრობაში ფაქტობრივად გატარებული ექნება 9 თვე (მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში)“⁴⁷⁸².

780 იქვე, II, 33, 34.

781 იქვე, II, 35.

782 იქვე, II, 38, 39.

6.5.3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები პატიმრობის საფუძვლებისა და ფარგლების თაობაზე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, თავისუფლების აღკვეთის ერთ-ერთი სახე არის პატიმრობა (დაკავება/დაპატიმრება). ის წარმოადგენს კონვენციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში მოცემული ზოგადი წესიდან გამონაკლისს. მხედველობაში მისაღები ვადის ათვლა იწყება პირის დაკავებიდან/დაპატიმრებიდან და სრულდება მაშინ, როდესაც იგი გათავისუფლდება ან მსჯავრი დაედება, თუნდაც მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ⁷⁸³.

„წინასწარი“ პატიმრობის კონვენციური საფუძვლები მოცემულია მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „c“ ქვეპუნქტში, რომლის თანახმად: „1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, ესენია:

... c. პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სასამართლდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა“.

მაშასადამე, საქართველოს კონსტიტუციისგან განსხვავებით, კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „c“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს დაკავების/დაპატიმრების საფუძვლებს, რომლებიც ამართლებს მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევას.

ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს კონკრეტულ საპროცესო გარანტიებს, მათ შორის, რომ წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს გონივრულ ვადას⁷⁸⁴. კერძოდ, აღნიშნული დებულების თანახმად: „... დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისთვის კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ

783 *Labita v. Italy*, app. №26772/95, (ECtHR, 06.04.2000), §147; *Kalashnikov v. Russia*, app. №47095/99, (ECtHR, 15.07.2002), §110; *Buzadji v. the Republic of Moldova*, app. №23755/07; (ECtHR, 05.07. 2016), §85.

784 *Buzadji v. the Republic of Moldova*, app. №23755/07, (ECtHR, 05.07. 2016), §86.

ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით“.

ამ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული პატიმრობის მაქსიმალური 9 თვიანი ვადისგან განსხვავებით, კონვენცია მიუთითებს „გონივრული ვადით“ თავისუფლების შეზღუდვაზე. პატიმრობის ვადის „გონივრულობის“ შესაფასებლად, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისთვის, ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე კრიტერიუმი ჩამოაყალიბა. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საფუძვლიანი/გონივრული ეჭვის არსებობა ხანგრძლივი პატიმრობის დასაშვებობის წინაპირობაა, მაგრამ გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ მხოლოდ ეს საფუძველი არ არის საკმარისი. აღნიშნული დათქმა პირველად დადგინდა საქმეზე *Stogmuller v. Austria*. მოგვიანებით მოცემული მიდგომა ცნობილი გახდა, როგორც „ლეტელიეს პრინციპი“, რომელიც არაერთგზის დადასტურდა დიდი პალატის მომდევნო გადაწყვეტილებებში⁷⁸⁵. ამ პრინციპზე დაყრდნობით, ევროპულმა სასამართლომ ერთმანეთისგან განასხვავა პირველი ეტაპი, როდესაც გონივრული ეჭვის არსებობა საკმარისი საფუძველია დაკავებისთვის და მეორე ეტაპი, რომელიც დგება დაკავებიდან „კონკრეტული ვადის გასვლის შემდეგ“, როდესაც პატიმრობის გახანგრძლივებისთვის/შენარჩუნებისთვის მხოლოდ გონივრული ეჭვი არ არის საკმარისი და სხვა „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძვლების არსებობაა საჭირო⁷⁸⁶. ამ ეტაპზე სასამართლომ უნდა შეაფასოს/დაადგინოს: 1. რამდენად ამართლებს/მოითხოვს სასამართლო ორგანოების მიერ დასახელებული სხვა საფუძვლები (გონივრული ეჭვის გარდა) თავისუფლების აღკვეთის გაგრძელებას/შენარჩუნებას; 2. არის თუ არა ეს საფუძვლები „შესაბამისი“ და „საკმარისი“; 3. გამოიჩინეს თუ არა ეროვნულმა სახელისუფლებო ორგანოებმა „განსაკუთრებული გულმოდგინება“ საქმისწარმოებისას⁷⁸⁷.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, თავისუფლების აღკვეთის „შესაბამის“ და „საკმარის“ საფუძვლებად (გონივრული ეჭვის არსებობის გარდა) მიჩნეულია ისეთი გარემოებები, როგორიცაა: მიმალვის საშიშროება, მოწმეებზე ზეწოლის, მტკიცებულებების გაყალბების, დანაშაულის

785 *Labita v. Italy*, app. №26772/95, (ECtHR, 06.04.2000), §153; *Kudla v. Poland*, app. №30210/96, (ECtHR, 26.10.2000), §111; *Bykov v. Russia*, app. №4378/02, (ECtHR, 10.03.2009), §64.

786 *Buzadji v. the Republic of Moldova*, app. №23755/07, (ECtHR, 05.07. 2016), §92.

787 *Idalov v. Russia*, app. №5826/03, (ECtHR, 22.05.2012), §140.

განმეორებით ჩადენის რისკი, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის საფრთხე და დაკავებულის დაცვის საჭიროება⁷⁸⁸.

მკაფიოა ევროპული სასამართლოს მიდგომა, რომ პატიმრობის როგორც შეფარდება, ისე შენარჩუნება/გახანგრძლივება უნდა იყოს გამონაკლისი და არა წესი. ეს არ უნდა იყოს ზოგადი, ჩვეულებრივი, რუტინული პრაქტიკა. ეროვნული სასამართლოები უპირატესად უნდა ცდილობდნენ გამოიყენონ არასაპატიმრო ღონისძიებები, თუ ისინი საკმარისი იქნება კონკრეტული საფრთხეების პრევენციისთვის. ამიტომ, თავისუფლების უფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვის გამოსარიცხად, უმნიშვნელოვანესია, პატიმრობის თითოეული საფუძვლის არსებობა სკრუპულოზურად იქნეს შესწავლილი. მაგალითად, პირის მიმალვის საფრთხის რეალისტურობა უნდა შემოწმდეს ყველა რელევანტური გარემოების გაანალიზებით. აუცილებელია იმ ფაქტორების გადამოწმება/შეფასება, რომელთა გამოც პირი შესაძლოა მიიმალოს. მნიშვნელოვანია, რომ მოსალოდნელი პასუხისმგებლობის სიმკაცრე არ არის თვითკმარი იმის მტკიცებისთვის, რომ პირი ასეთი სასჯელის თავიდან ასაცილებლად მიიმალება⁷⁸⁹. ისევე, როგორც სხვა ფაქტორები (მაგალითად, თუ პირი ადრე მიემალა გამოძიებას მისთვის ბრალის წარდგენის შემდეგ, პირის კავშირები საზღვარგარეთ, რამაც შეიძლება გააადვილოს მისი მიმალვა, ან, პირიქით, კავშირების არარსებობა იმ ქვეყანასთან, სადაც მის მიმართ აღიძრა საქმე და ა.შ.) არ შეიძლება ჩაითვალოს თავისთავად საკმარის გარემოებად პატიმრობის გამოყენების აუცილებლობის მტკიცებისთვის. პირის მიმალვის რეალისტური საფრთხის არსებობის შესამოწმებლად, ყოველ ჯერზე, უნდა მოხდეს იმის გაანალიზება, რამდენად მნიშვნელოვანია ესა თუ ის ფაქტორი კონკრეტულ ვითარებაში/გარემოებებში. ასეთი საფრთხე უნდა შეფასდეს ყველა რელევანტურ ფაქტორთან კუმულაციაში, როგორც მიმალვის სასარგებლო, ისე მისი პოტენციურად გამომრიცხავი ფაქტორების (მაგალითად, ოჯახური მდგომარეობა⁷⁹⁰) ერთობლივად განხილვით. ამასთან, მაშინაც კი, როდესაც მიმალვის საფრთხე რეალისტურია, თუ იმავდროულად, არ არსებობს პატიმრობის გამოყენების სხვა საფუძვლები (ანუ, როდესაც მიმალვა ერთადერთი საფუძველია), მნიშვნელოვანია, სასამართლომ მიმართოს ყველა ზომას ასეთი საფრთხის არასაპატიმრო

788 *Stogmuller v. Austria*, app. №1602/62, (ECtHR, 10.11.1969), §15; *Buzadji v. the Republic of Moldova*, app. №23755/07, (ECtHR, 05.07. 2016), §87.

789 *Letellier v. France*, app. №12369/86, (ECtHR, 26.06.1991); *Muller v. France*, app. №21802/93, (ECtHR, 11.03.1997).

790 *Letellier v. France*, app. №12369/86, (ECtHR, 26.06.1991).

ალტერნატივებით დასაზღვევად. იქამდე, ვიდრე ეს ობიექტურად შესაძლებელია, თავი შეიკავოს პატიმრობის გამოყენებისგან. ანალოგიურად, დეტალურად უნდა იქნეს შესწავლილი სხვა საფუძვლების ვალიდურობაც, მაგალითად, როგორცაა მართლმსაჯულებაზე გავლენის მოხდენის რისკი – მტკიცებულებების განადგურება ან მოწმეებზე გავლენის მოხდენა და სხვა.

პატიმრობის საფუძვლების შემოწმებასთან ერთად, მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენად ეფექტურები და მონდომებულები არიან კომპეტენტური ორგანოები, შეფარდებული პატიმრობა მაქსიმალურად სწორად და დროულად გამოიყენონ გამოძიების განხორციელებისათვის კონკრეტული რისკების გამორიცხვით. მათ უნდა იმოქმედონ სწრაფად, არაგონივრული დაყოვნების გარეშე და კეთილსინდისიერად წინასწარი პატიმრობის ვადის განმავლობაში, მისი შეძლებისდაგვარად მინიმალურად გამოყენებისთვის.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, თავისუფლების ნებისმიერი პერიოდით აღკვეთა, იმისგან დამოუკიდებლად, რამდენად ხანმოკლეა ეს ვადა, დამაჯერებლად უნდა იყოს დასაბუთებული ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების მიერ. ამასთან, ნებისმიერ შემთხვევაში, პირის გათავისუფლების თუ დაკავების გადაწყვეტილების მიღებისას, ხელისუფლების ორგანოები ვალდებული არიან, განიხილონ მისი სასამართლოზე გამოცხადების უზრუნველყოფის ალტერნატიული საშუალებები⁷⁹¹. უმნიშვნელოვანესია, რომ სამართალშემფარდებლებმა იმოქმედონ თავისუფლების პრეზუმფციით. ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც წინასწარი გამოძიების ხანგრძლივობა არაა სადავო, დაკავების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს გონივრულ ვადას⁷⁹². გაჭიანურებულმა წინასწარი პატიმრობის ვადამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას უდანაშაულობის პრეზუმფციას⁷⁹³.

მაშასადამე, ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პატიმრობის ვადის გონივრულობა უნდა შეფასდეს არა აბსტრაქტულად, არამედ თითოეული საქმის ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე და კონკრეტული მახასიათებლების გათვალისწინებით. ხანგრძლივი ვადით დაკავება შეიძლება იქნეს გამართლებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეალურად არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც უდანაშა-

791 *Buzadji v. the Republic of Moldova*, app. №23755/07, (ECtHR, 05.07. 2016), §87.

792 *Stogmuller v. Austria*, app. №1602/62, (ECtHR, 10.11.1969), §5.

793 *Buzadji v. the Republic of Moldova*, app. №23755/07, (ECtHR, 05.07. 2016), §89.

ულობის პრეზუმფციის მიუხედავად, გადაწონის კონვენციის მე-5 მუხლით დეკლარირებული თავისუფლების მნიშვნელობას⁷⁹⁴.

მნიშვნელოვანია კითხვა დროის იმ მონაკვეთთან დაკავშირებით, როდესაც პატიმრობის შემდგომი გაგრძელების ლეგიტიმაციისთვის მოითხოვება დამატებითი „სათანადო“ საფუძვლები. ევროპული სასამართლოს განმარტებით, აღნიშნულ კითხვაზე პასუხი ეფუძნება „კონკრეტული ვადის გასვლის“ მნიშვნელობას⁷⁹⁵. მან რამდენიმე საქმეზე აღიარა, რომ არ არსებობს ფიქსირებული ვადა, რომელიც გამოიყენება „კონკრეტული ვადის გასვლის“ განსამარტად. სასამართლოს არ უცდია ამ კონცეფციის დღეებში, კვირებში, თვეებში ან სხვადასხვა პერიოდში გადაყვანა დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით⁷⁹⁶. მიუხედავად ამისა, რიგ საქმეებზე სასამართლომ მიიჩნია, რომ რამდენიმედღიანი პატიმრობის შემდეგ მხოლოდ გონივრული ეჭვის არსებობა თავისთავად ვერ გაამართლებს წინასწარ პატიმრობას და საჭიროა დამატებითი საფუძვლების არსებობა⁷⁹⁷.

საქმეზე *Buzadji v. the Republic of Moldova* სასამართლომ ჩათვალა, რომ სასარგებლო იქნებოდა პრეცედენტული სამართლის შემდგომი განვითარება ეროვნული სასამართლო ორგანოების ვალდებულებასთან დაკავშირებით, რომ მათ დაასაბუთონ წინასწარი პატიმრობის გაგრძელება მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მეორე ნაწილის მიზნებისთვის.

ევროპულმა სასამართლომ გაიმეორა, რომ დაკავების ვადის გონივრულობის შეფასებისას გასათვალისწინებელი პერიოდის ათვლა იწყება პირის თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან⁷⁹⁸. იმავე პერიოდიდან პირს აქვს უფლება, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი ნაწილის თანახმად, „დაუყოვნებლივ იქნეს წარდგენილი მოსამართლის ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებისათვის კანონით უფლებამოსილი სხვა მოხელის წინაშე“. ეს დებულება მოიცავს საპროცესო მოთხოვნას მოსამართლისთვის ან კანონით უფლებამოსილი სხვა მოხელისათვის, მოუსმინოს მის წინაშე წარდგენილ პირს, განიხილოს დაკავების დამადასტურებელი

794 *Buzadji v. the Republic of Moldova*, app. №23755/07, (ECtHR, 05.07. 2016), §90; *Labita v. Italy*, app. №26772/95, (ECtHR, 06.04.2000), §152; *Kudla v. Poland*, app. №30210/96, (ECtHR, 26.10.2000), §110.

795 *Buzadji v. the Republic of Moldova*, app. №23755/07, (ECtHR, 05.07. 2016), §93.

796 *Stogmuller v. Austria*, app. №1602/62, (ECtHR, 10.11.1969), §4; *Buzadji v. the Republic of Moldova*, app. №23755/07, (ECtHR, 05.07. 2016), §94.

797 *Osmanovic v. Croatia*, app. №67604/10, (ECtHR, 06.11.2012), §40-41; *Buzadji v. the Republic of Moldova*, app. №23755/07; (ECtHR, 05.07. 2016), §95.

798 *Buzadji v. the Republic of Moldova*, app. №23755/07, (ECtHR, 05.07. 2016), §97.

ან საწინააღმდეგო გარემოებები, შეაფასოს, არსებობს თუ არა დაკავების ან გათავისუფლების სასამართლებლად შესაბამისი საფუძვლები⁷⁹⁹. დაპატიმრების/დაკავების პირველადი შესწავლა მიზნად ისახავს თავისუფლების შეზღუდვის კანონთან შესაბამისობის გამოკვლევას და იმის დადგენას, არსებობს თუ არა საფუძვლიანი/გონივრული ეჭვი, რომ დაკავებულმა პირმა ჩაიდინა დანაშაული. თუ დაკავება არ ექცევა ნებადართული გამონაკლისების ფარგლებში, სასამართლომ უნდა გაათავისუფლოს პირი. იმავდროულად, საკითხი – საკმარისია თუ არა უბრალო ეჭვის არსებობა კანონიერი დაკავების ვადის გაგრძელების უზრუნველსაყოფად – მოცემულია არა მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „c“ ქვეპუნქტში, არამედ მე-3 პუნქტში. ეს უკანასკნელი დებულება პირველ დებულებასთან ერთობლიობაში, მოითხოვს პირის დაუყოვნებელ განთავისუფლებას, როდესაც მისი დაკავება აღარ იქნება გონივრული⁸⁰⁰.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, მისი პრაქტიკის შემდგომი განვითარების საჭიროება გამომდინარეობდა იმ ფაქტიდან, რომ პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გონივრული ეჭვის, როგორც დაკავების გაგრძელების საფუძვლის, არსებობა შეიძლება საკმარისი იყოს, ექვემდებარებოდა განსხვავებულ განმარტებას, რადგან კონვენციის პასუხიც არ არის მკაფიო. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი იყენებს ორ ტერმინს: „დაუყოვნებლივ“ და „გონივრულ ვადაში“. პირველი მოთხოვნა ნათელია და უკავშირდება დაკავებული პირის სასამართლოს წინაშე პირველად წარდგენის ვალდებულებას. ასეთი მკაფიოებით არ გამოირჩევა „გონივრული ვადის“ მოთხოვნა, რომელიც უკავშირდება პატიმრობის შემდგომი გაგრძელების საფუძვლიანობის შეფასებას⁸⁰¹.

სასამართლომ მიუთითა კონვენციის მაღალი ხელშემკვრელი მხარეების უმრავლესობის ეროვნულ კანონმდებლობაზე, რომელთა თანახმად, სასამართლო ორგანოები ვალდებული არიან, განგრძობითი დაკავებისთვის „შესაბამისი და საკმარისი“ საფუძვლები დაასახელონ, თუ დაუყოვნებლივ არა, როგორც მინიმუმ, დაკავებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც მოსამართლე პირველად იკვლევს ეჭვიმტანილის წინასწარი დაკავების საჭიროებას. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ასეთი მიდგომა, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არა მარტო გაამარტივებდა და უფრო აშკარას, ცხადს გახდიდა კონვენციის პრეცე-

799 *Buzadji v. the Republic of Moldova*, app. №23755/07, (ECtHR, 05.07. 2016), §98;

800 იქვე, §99;

801 იქვე, §101;

დენტულ სამართალს ამ სფეროში, არამედ ასევე გააძლიერებდა დაცვას გონივრული ვადის გასვლის შემდეგ დაკავებასთან დაკავშირებით⁸⁰².

საქმეზე *Buzadji v. the Republic of Moldova* განმცხადებელი ბრალდებული იყო თაღლითობაში. მის მიმართ გამოყენებულ იქნა წინასწარი პატიმრობა წაყენებული ბრალის სიმძიმის, საქმის სირთულისა და შეთქმულების რისკის გათვალისწინებით. პატიმრობა გაგრძელდა 3 თვე, შემდეგ შეიცვალა 8 თვიანი შინაპატიმრობით, ბოლოს ის გირაოს საფუძველზე გაათავისუფლეს. განმცხადებელი დავობდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მისი დაპატიმრების შესახებ გადაწყვეტილებაში არასაკმარისი საფუძველი მიუთითეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს უნდა შეეფასებინა, არსებობდა თუ არა „შესაბამისი“ და „საკმარისი“ საფუძველები პატიმრობის გასაგრძელებლად. ამ მიზნებისთვის მან ყურადღება გაამახვილა რამდენიმე გარემოებაზე: ეროვნული სასამართლო, რომელმაც გამოცა პირველი ბრძანება განმცხადებლის პატიმრობის შესახებ, დაეყრდნო მხოლოდ მის ვაჟიშვილებთან შეთქმულების რისკს და მისთვის ბრალად წაყენებული დანაშაულის სიმძიმეს. ამასთან, მიიჩნია, რომ ბრალდების მხარემ ვერ წარადგინა სარწმუნო მტკიცებულებები განმცხადებლის მიმალვის, მოწმეებზე ზეწოლისა და მტკიცებულების გაყალბების საფრთხის არსებობის თაობაზე⁸⁰³. იმავდროულად, განმცხადებლისა და მისი შვილების წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო განმცხადებლის დაპატიმრებამდე ათი თვით ადრე. შესაბამისად, შეთქმულებაში მონაწილეობის განზრახვა რეალური რომ ყოფილიყო, ამის განხორციელებისთვის მას პატიმრობის გამოყენებამდე საკმარისი დრო ჰქონდა. თუმცა, ეროვნულმა სასამართლოებმა ეს არგუმენტი არ მიიჩნიეს სარწმუნოდ. მათ ასევე არ გაითვალისწინეს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორცაა განმცხადებლის ქცევა გამოძიების დაწყებიდან მის დაკავებად⁸⁰⁴. ყურადსაღები იყო, რომ განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ვადის პირველად და მეორედ გაგრძელებისას სასამართლოები დაეყრდნენ არა შეთქმულების რისკს, რომელიც პატიმრობის პირველად გამოყენების საფუძველს წარმოადგენდა, არამედ მიუთითეს დამატებით მიზეზებზე – მიმალვის, მოწმეებზე ზეწოლისა და მტკიცებულების გაყალბების საფრთხეზე (ამ საფუძველების ვალიდურობა პატიმრობის პირველად შეფარდებისას გამორიცხა როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლომ). ამასთან, პატიმრობის ვადის

802 *Buzadji v. the Republic of Moldova*, app. №23755/07; (ECtHR, 05.07. 2016), §101.

803 იქვე, §115.

804 იქვე, §117.

გაგრძელების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილებებში არ იყო ახსნილი, დასაბუთებული, რატომ გახდა ეს საფუძვლები რელევანტური და საკმარისი მოგვიანებით. ევროპულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ არც ამ შემთხვევებში გაკეთებულა სასამართლოების მიერ განმცხადებლის ხასიათის, ქონების, ქვეყანასთან კავშირისა და სისხლისსამართლებრივი გამოძიების პირველი ათი თვის განმავლობაში ქვეყნის შეფასება⁸⁰⁵. პატიმრობის ვადის მესამედ გაგრძელების თაობაზე ბრალმდებლის მოთხოვნის განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ამისთვის არ არსებობდა შესაბამისი საფუძვლები. მიუხედავად ამისა, მიიღო გადაწყვეტილება განმცხადებლის შინაპატიმრობის შესახებ⁸⁰⁶. იგივე გაიმეორა სააპელაციო სასამართლომ. შინაპატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებები ასევე არ ეფუძნებოდა ასეთი ზომის გამოყენების მხარდამჭერ არც ერთ საფუძველს, გარდა მომჩივნის მიმართ წაყენებული დანაშაულის სიმძიმისა⁸⁰⁷.

ევროპულმა სასამართლომ დამატებით ყურადღება გაამახვილა ფაქტზე, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მოყვანილი საფუძვლები განმცხადებლის დაკავებისა და პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ იყო ტრაფარეტული, აბსტრაქტული. გადაწყვეტილებებში მითითებული იყო მხოლოდ დაკავების საფუძვლები, მინიმალური მცდელობის გარეშე, დაესაბუთებინათ, კონკრეტულად რომელი გარემოებების გათვალისწინებით იქნა მიღებული ასეთი გადაწყვეტილებები. გარდა ამისა, ეროვნულ სასამართლოებს არ ჰქონდათ თანმიმდევრული მიდგომა. კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოები არ დაეთანხმნენ ბრალმდებლის პოზიციას განმცხადებლის მიმალვის, მოწმეებზე ზეწოლისა და მტკიცებულების გაყალბების საფრთხის შესახებ, როგორც უსაფუძვლოს და ნაკლებად სარწმუნოს, არადა სხვა შემთხვევებში მათ გაიზიარეს იგივე პოზიცია გარემოებების აშკარა ცვლილებებზე მითითებისა და ახსნა-განმარტებების გარეშე. ევროპული სასამართლოს შეფასებით, როდესაც სასწორზე დევს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა თავისუფლების უფლება, ეროვნული ორგანოები ვალდებული არიან დამაჯერებლად აჩვენონ, რომ დაკავება საჭიროა, რაც ამ შემთხვევაში არ მომხდარა⁸⁰⁸.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა განმცხადებლის დაკავებისა და პატიმრობის ვადის გაგრ-

805 იქვე, §118.

806 იქვე, §119.

807 იქვე, §121.

808 იქვე, §122.

ძელების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად სათანადო და საკმარისი საფუძვლები. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

საქმეზე *Dubinskiy v. Russia*⁸⁰⁹ ევროპულმა სასამართლოს შეაფასა 2 საკითხი: დაკავება იყო თუ არა თვითნებური (კონვენციის მუხლი 5.1.) და დაცული იქნა თუ არა პატიმრობის „გონივრული ვადა“ (მუხლი 5.3.).

განმცხადებელი დააკავეს, როდესაც მის ავტოფარეში იპოვეს მოპარული მანქანა. ოპოჩკას რაიონულმა სასამართლომ უარი თქვა განმცხადებლის დაპატიმრებაზე, რადგან არ დაეთანხმა გამომძიებლის არგუმენტს, რომ ის შეიძლებოდა მიმალულიყო, გაეგრძელებინა დანაშაულებრივი საქმიანობა, ზეწოლა განხორციელებინა მოწმეებზე ან სხვაგვარად ჩარეულიყო სამართალწარმოების განხორციელების პროცესში. მომდევნო დღეს პოლიციის სხვა დეპარტამენტის გამომძიებელმა მომჩივნის მიერ სხვა მანქანის ქურდობაში მონაწილეობის ეჭვის საფუძველზე პატიმრობის მოთხოვნით მიმართა სასამართლოს. დედოვიჩის საოლქო სასამართლომ მომჩივანს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. დასახელებული საქმეები (რომლებიც ორი მანქანის ქურდობას ეხებოდა) გაერთიანდა.

განმცხადებელი ჩიოდა, რომ მისი დაპატიმრება ეწინააღმდეგებოდა სისხლის სამართლის ეროვნულ საპროცესო ნორმებს, რომლებიც კრძალავდა ერთი და იმავე პირის განმეორებით დაპატიმრებას სისხლის სამართლის იმავე საქმეზე ახალი გარემოებების არარსებობის შემთხვევაში. ის ეყრდნობოდა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „c“ ქვეპუნქტს და ამტკიცებდა, რომ პატიმრობაში იმყოფებოდა შესაბამისი საფუძვლის გარეშე.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის დაპატიმრებისას, მის წინააღმდეგ არსებობდა დე ფაქტო მხოლოდ ერთი ბრალი. მართალია, მას ბრალად დაედო ორი მანქანის ქურდობა, სასამართლო არ დაეთანხმა მთავრობის არგუმენტს, რომ განმცხადებლის ხელახალი დაკავება/დაპატიმრება განხორციელდა სრულიად დამოუკიდებელი სისხლის-სამართლებრივი გამოძიების ფარგლებში, რასაც მის თავდაპირველ დაპატიმრებასა და გათავისუფლებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა⁸¹⁰. ევროპული სასამართლოს შეფასებით, განმცხადებელი იმავე სისხლის-სამართლებრივი გამოძიების ფარგლებში დააპატიმრეს, რომელზეც ის სხვა უფლებამოსილმა სასამართლომ პატიმრობიდან გაათავისუფლა⁸¹¹. განმცხადებლის მონაწილეობა ორი მანქანის ქურდობაში ცნობილი იყო ხელი-

809 *Dubinskiy v. Russia*, app. №48929/08, (ECtHR, 03.07.2014).

810 იქვე, §43.

811 იქვე, §44

სუფლების ორგანოებისათვის მათ მიერ დაპატიმრების შესახებ პირველი შუამდგომლობით სასამართლოსადმი მიმართვამდე. თუმცა, საგამოძიებო ორგანოებმა არჩიეს, არ გაემუქვინებინათ ეს ინფორმაცია ოპორტუნისტულ სასამართლოს მოსამართლისთვის. ფაქტების გაუმუქვინებლობამ კი მათ შესაძლებლობა მისცა, შეედგინათ „ახალი საქმე“ განმცხადებლის წინააღმდეგ, რათა მისი დაპატიმრების უფლებამოსილება სხვა სასამართლოსგან მოეპოვებინათ⁸¹².

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, მისი მოვალეობა არ იყო პროკურატურის ორგანოების მიერ არჩეული სტრატეგიის შეფასება, თუმცა მოცემულ საქმეში შეიქმნა მყარი შთაბეჭდილება, თითქოს ხელისუფლების ორგანოებმა არაკეთილსინდისიერად გამოიყენეს სასამართლოსათვის წარდგენილი მეორე შუამდგომლობა განმცხადებლის დაპატიმრების უზრუნველსაყოფად, რითაც თავი აარიდეს სასამართლოს პირველი გადაწყვეტილების აღსრულებას (რომელიც მათ გათავისუფლებას ავალდებულებდა)⁸¹³. ამასთან, აშკარა იყო, რომ სიტუაცია არ შეცვლილა ორი დღის განმავლობაში (სასამართლოს პირველი გადაწყვეტილების შემდეგ). შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საგამოძიებო ორგანოების მიერ სხვა სასამართლოსათვის წარდგენილი მეორე შუამდგომლობა განმცხადებლის დაპატიმრების თაობაზე იყო სასამართლოს შერჩევითი მცდელობა, რომელმაც მართლმსაჯულების აღსრულება გააუარესა. ასეთი ქმედებები მკაფიოდ იყო აკრძალული ეროვნული სამართლით, რაც განამტკიცებდა დასკვნას, რომ განმცხადებლის დაპატიმრება არ იყო „კანონიერი“ ან „კანონით გათვალისწინებულ პროცედურასთან შესაბამისი“⁸¹⁴. შედეგად, დადგინდა, რომ ფორმა, რომლითაც ეროვნულმა სახელისუფლებო ორგანოებმა უზრუნველყვეს განმცხადებლის დაპატიმრება, იყო თვითნებური და არღვევდა კონვენციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტს.

განმცხადებელი ასევე ჩიოდა, რომ მისი წინასწარი პატიმრობა არაგონივრულად ხანგრძლივი იყო (გაგრძელდა წელიწადი და სამი თვე). ის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტზე დაყრდნობით აღნიშნავდა, რომ ეროვნულმა სახელისუფლებო ორგანოებმა ვერ დაასაბუთეს ხანგრძლივი პატიმრობის მიზანშეწონილობა⁸¹⁵. მთავრობის განმარტებით კი, განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა შეესაბამებოდა კონვენ-

812 იქვე, §45.

813 იქვე, §46.

814 იქვე, §47.

815 იქვე, § 51.

ციის მოთხოვნებს მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის სირთულის გათვალისწინებით⁸¹⁶.

ევროპულმა სასამართლომ გაიმეორა, რომ წინასწარ პატიმრობაში გატარებული დრო არის თუ არა გონივრული, უნდა შეფასდეს არა აბსტრაქტულად, არამედ საქმის ფაქტებისა და სპეციფიკური გარემოებების საფუძველზე. უწყვეტი პატიმრობა მოცემულ საქმეში გამართლებული იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნამდვილად არსებობდა საფა-რო ინტერესი, რომელიც, მიუხედავად უდანაშაულობის პრეზუმფციისა, გადაწონიდა პირადი თავისუფლების პატივისცემას, რაც მოთხოვნილია კონვენციის მე-5 მუხლით⁸¹⁷.

სასამართლოს უნდა შეესწავლა, ეყრდნობოდნენ თუ არა ეროვნული სასამართლო ორგანოები „შესაბამის“ და „საკმარის“ საფუძვლებს განმცხადებლის პატიმრობის დასასაბუთებლად და გამოიჩინეს თუ არა „სათა-ნადლო გულმოდგინება“ სასამართლო პროცესის წარმართვისას.

განმცხადებლის წინასწარი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილე-ბის მიღებისას, ეროვნულმა სახელისუფლებო ორგანოებმა მოიშველიეს მის წინააღმდეგ არსებული ბრალდებების სერიოზულობა. ამ კონტექს-ტში ისინი მიუთითებდნენ მის მიერ სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენისა და მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის რისკზე, მოწმეებზე ზეწოლის, მტკიცებულების განადგურების, ასევე მიმალვის საფრთხეზე⁸¹⁸. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, შე-საფარდებელი სასჯელის სიმძიმე გათვალისწინებული უნდა იქნეს განმ-ცხადებლის მიმალვის ან სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის რისკის შეფასებისას, თუმცა პატიმრობის გაგრძელების საჭიროება ვერ იქნება გამართლებული მხოლოდ სამართალდარღვევის სერიოზულო-ბის ან/და საპატიმრო სასჯელის დაკისრების ალბათობის მხედველობა-ში მიღებით⁸¹⁹. სასამართლოს შეფასებით, ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეებში, რისკი იმისა, რომ დაპატიმრებული ზეწოლას განახორციელებს მოწმეებზე ან სხვაგვარად შეუშლის ხელს სამართალ-წარმოებას, ხშირად საკმაოდ მაღალია. ამ ფაქტორებმა შეიძლება გა-ამართლოს წინასწარი პატიმრობის შედარებით გრძელი ვადის არსებობა, თუმცა ხელისუფლების ორგანოებს არ აძლევს პატიმრობის გახანგრძლი-

816 იქვე, §50.

817 *Kudla v. Poland*, app. №30210/96, (ECtHR, 26.10.2000), §110; *Dubinskiy v. Russia*, app. №48929/08, (ECtHR, 03.07.2014), §58.

818 იქვე, §63.

819 *Dubinskiy v. Russia*, app. №48929/08, (ECtHR, 03.07.2014), §64.

ვების შეუზღუდავ უფლებამოსილებას. ფაქტი, რომ პირს ბრალად ედება შეთქმულების მოწყობა, თავისთავად საკმარისი არ არის ასეთი ხანგრძლივი ვადით პატიმრობის გასამართლებლად. მისი პირადი გარემოებები და ქცევა ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული⁸²⁰.

ეროვნული სასამართლო ორგანოების მიერ მოყვანილ არგუმენტთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელს შეიძლებოდა ზეწოლა მოეხდინა მოწმეებზე, ან სხვა სახით შეეშალა ხელი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულ სასამართლოებს არ გადაუმოწმებიათ, განმცხადებელმა სცადა თუ არა მოწმეების დაშინება ან სასამართლო პროცესში სხვაგვარად ჩარევა. მეტიც, ასეთი რისკი თანდათან მცირდებოდა, რადგან მიმდინარეობდა მოწმეების დაკითხვა. შედეგად, ევროპული სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ განმცხადებლის პატიმრობის მთელი პერიოდის განმავლობაში არსებობდა უტყუარი მიზეზები, რომელთა გამოც შეიძლებოდა მიჩნეულიყო, რომ იგი ზეწოლას განახორციელებდა მოწმეებზე ან სხვაგვარად შეუშლიდა ხელს საქმის გამოძიებას⁸²¹. განმცხადებლის შესაძლო მიმალვის რისკთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულ სახელისუფლებო ორგანოებს არ დაუსაბუთებიათ, რატომ მიიჩნიეს მიმალვის რისკი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ. შედეგად, ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის პოზიცია, რომ ამ საფრთხის არსებობა რეალურად დადგინდა. ის ასევე ვერ დარწმუნდა განმცხადებლის მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების ვარაუდის დასაბუთებულობაში. მთავრობის მიერ წარდგენილ მასალებში არ არსებობდა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდნენ ამ მოსაზრებას⁸²².

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლების ორგანოებმა მხოლოდ ბრალდების სიმძიმეზე დაყრდნობით, საქმის სპეციფიკური გარემოებებით გადაწყვეტილებების დასაბუთებისა და ალტერნატიული პრევენციული ზომების მიზანშეწონილობის განხილვის გარეშე, გააგრძელეს განმცხადებლის პატიმრობა. სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ ეს საფუძველი ვერ იქნებოდა მიჩნეული საკმარისად ერთი წლისა და სამი თვის ხანგრძლივობით თავისუფლების შეზღუდვის გასამართლებლად. შესაბამისად, დადგინდა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას.

820 *Sizov v. Russia*, app. №33123/08, (ECtHR, 15.03.2011), §53. *Dubinskiy v. Russia*, app. №48929/08, (ECtHR, 03.07.2014), §65.

821 *Dubinskiy v. Russia*, app. №48929/08, (ECtHR, 03.07.2014), §66.

822 იქვე, §67-68.

6.6. უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდული პირის კომპენსაციის მიღების უფლება

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად: „ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება“. ამ დებულების პირველი წინადადება მოითხოვს კონსტიტუციის მე-13 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების დამრღვევი ქმედებების კრიმინალიზაციას და დასჯადობას. იმავდროულად, ის გულისხმობს თავისუფლების უფლების უსაფუძვლოდ ან არაპროპორციულად შემზღუდავი ქმედებების/გადაწყვეტილებების კანონიერების სასამართლოს წესით დადგენის გარანტირებულ შესაძლებლობას. ხოლო მეორე წინადადება ეხება მსხვერპლის უფლებას, მიიღოს ადეკვატური კომპენსაცია, რაც გულისხმობს ასეთ შესაძლებლობას სასამართლოს მიერ დაცვადი უფლების და არა კეთილი ნების ან დისკრეციის საფუძველზე. დავის მექანიზმი უნდა იყოს არა თეორიული და ჰიპოთეტური, არამედ ეფექტური, დროული და იძლეოდეს ყველა გარემოების რუტინულად შესწავლის საფუძველზე განცდილი ზიანის ადეკვატური კომპენსაციის სრულად მიღების შესაძლებლობას. ამასთან მნიშვნელოვანია ასეთი გადაწყვეტილების დროული აღსრულება (ანუ კომპენსაციის დროულად გაცემა). საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის აღნიშნული დებულების ტექსტი „პირდაპირ არ ითვალისწინებს უკანონოდ დაკავებული ან დაპატიმრებული პირისათვის სამართლებრივი დაცვის საშუალებებს და კომპენსაციის მასშტაბებს, თუმცა კონსტიტუციის ამ ნორმაში იგულისხმება აღნიშნული მოთხოვნები“⁸²³, რადგან „საქართველოს კონსტიტუციის ნორმები არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ სახელმწიფომ მთლიანად ან ნაწილობრივ მოიხსნას პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა დარღვევისას და დაზარალებულს არ მიეცეს უფლებების აღდგენის ეფექტური შესაძლებლობა“⁸²⁴. „სახელმწიფო ორგანოთა და თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებასა და პირისათვის მიყენებულ ზიანს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენის შემთხვევაში, უნდა მოხდეს ზიანის სრული კომპენსირება“⁸²⁵. „საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი ... ითვალისწინებს პირისათვის მიყენებული ზიანის სრულ ანაზ-

823 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/3/423 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 5.

824 იქვე, II, 6.

825 იქვე, II, 7.

ლაურებას. ზიანის ანაზღაურების მოცულობასთან დაკავშირებით მოთხოვნა არაორაზროვანი და მკაფიოა“.

სასამართლომ დამატებით გაამახვილა ყურადღება, რომ „... „უკანონოდ დაპატიმრებული პირი“ არ გულისხმობს მხოლოდ იმ პირს, ვისი დაპატიმრებაც განხორციელდა საქართველოს კონსტიტუციის მხოლოდ ამავე მუხლის სხვა მოთხოვნების დარღვევით. „უკანონოდ დაპატიმრებული“, თავისთავად, იგულისხმება საქართველოს კონსტიტუციის ნორმების დარღვევაც პირის დაპატიმრებისას, თუმცა კანონით დაპატიმრებისათვის წყენებული მოთხოვნები გაცილებით ფართოა, ვიდრე ამას კონსტიტუცია ადგენს. პირს ... კომპენსაციის უფლება აქვს მისი დაპატიმრებისას ზოგადად კანონის და არა მხოლოდ უზენაესი კანონის – კონსტიტუციის ნორმების დარღვევისას“⁸²⁶.

მნიშვნელოვანია, რომ კონსტიტუციის აღნიშნული ნორმა „ადგენს ყველა უკანონოდ დაპატიმრებული პირისათვის, გამონაკლისის გარეშე, კომპენსაციის უფლებას“⁸²⁷. „საქართველოს კონსტიტუცია არ უშვებს ისეთი საგამონაკლისო შემთხვევების დადგენას, როდესაც უკანონოდ დაპატიმრებით ან სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა ნებისმიერი სხვა უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება“⁸²⁸.

826 იქვე, II, 8.

827 იქვე, II, 18.

828 იქვე, II, 20.

7. სამართლიანი სასამართლოს უფლება

საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 31. საპროცესო უფლებები

1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.

2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

3. დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – წარმომადგენლის მეშვეობით. ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით.

4. ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.

5. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

6. არავინ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.

7. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

8. არავის დაედება განმეორებით მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

9. არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

10. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.

11. არავინ არის ვალდებული, მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით.

სამართლიანი სასამართლოს უფლების მარეგლამენტირებელი დებულებები საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის მიხედვით:

მუხლი 42.

„1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

2. ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

3. დაცვის უფლება გარანტირებულია.

4. არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის.

5. არავინ არ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

6. ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთ-სავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს.

7. კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს.

8. არავინ არ არის ვალდებული, მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით.

9. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან“.

მუხლი 40.

1. ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.

2. არავინ არ არის ვალდებული, ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.

3. დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“.

7.1. უფლების ძირითადი არსი და ფარგლები

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია სამართლიანი სასამართლოს უფლების არაერთი უფლებრივი კომპონენტი, გაწერილია შესაბამისი საპროცესო გარანტიები, რომელთა ერთობლიობამაც შესაძლებელი უნდა გახადოს ეფექტური ხელმისაწვდომობა სამართლიან მართლმსაჯულებაზე. თუმცა თითოეული ამ გარანტიის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია რამდენიმე აქტორზე: 1. კანონმდებელზე, რომლის მუდმივი ამოცანაა კონსტიტუციის შესაბამისი დებულებების ნამდვილი არსის, სულისკვეთების ერთგულებით შექმნას, განავითაროს სამართლიანი სასამართლოს უფლებით/მისი თითოეული კომპონენტით რეალურად და ეფექტურად სარგებლობისთვის სათანადო და საკმარისი წესები, პროცედურები. 2. საკონსტიტუციო სასამართლოზე, რომელმაც კონსტიტუციის რელევანტური ნორმების ინტერპრეტაციისას უნდა გააჩინოს ქმედითი და პრაგმატული შესაძლებლობები სამართლიანი სასამართლოს უფლების ყველაზე სანდო ინსტრუმენტად ქცევისთვის თავისუფლების სამსახურში. 3. საერთო სასამართლოებზე, რომლებმაც პრაქტიკულად ყველა/თითოეული საქმის გადაწყვეტისას უნდა შექმნან სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალური შინაარსი. იმის მიხედვით, როგორ გაიაზრებს თითოეული აქტორი ამ პროცესში საკუთარ როლს, ქართული სასამართლოც და სამართალიც სწორედ ისეთი იქნება.

წინამდებარე თავის ამოცანა არის უფლების მარეგლამენტირებელი კონსტიტუციის შესაბამისი დებულებების ანალიზი, პირველ რიგში, საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით.

სამართლიანი სასამართლოს უფლების განმარტების ხანგრძლივ პროცესში საკონსტიტუციო სასამართლომ შექმნა/დაადგინა უმნიშვნელოვანესი სტანდარტები, საფუძველი ჩაუყარა არაერთი საპროცესო გარანტიის სამართლიანი სასამართლოს თავისთავად შემადგენელ ელემენტებად აღიარებას და, შესაბამისად, სახელმწიფოს შემხვედრი ვალდებულებებით შეზღუდვას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს უდავოდ დიდი როლისა უფლების ფარგლების სწორად გააზრების პროცესში, სამწუხაროდ, მან „მოახერხა“ ისეთი გადაწყვეტილებების მიღებაც, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებული უმწვავესი პრობლემების შენარჩუნებას და გაღრმავებას. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ამ თვალსაზრისით მის როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ძალისხმევაზე.

ფუნდამენტური მნიშვნელობა ჰქონდა საკონსტიტუციო სასამართ-

ლოს მიერ სამართლიანი სასამართლოს უფლების, როგორც ღირებულების და ამ თვალსაზრისით, მისი მასშტაბის გააზრებას, რამაც შემდგომში მნიშვნელოვანწილად განაპირობა თითოეული უფლებრივი კომპონენტის მიზნობრივი განმარტება. საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა სამართლიანი სასამართლოს უფლების შეუცვლელ როლს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ქმედითობისთვის. იმავდროულად, ზუსტად ეს პრინციპები გამოიყენა უფლების დიაპაზონის, ფარგლების გააზრების პროცესში. მან პრაქტიკულად ყველა რელიგანტურ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ამ უფლებას დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს. „სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება ინდივიდის უფლებების და თავისუფლებების დაცვის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტიაა. ის ინსტრუმენტული უფლებაა, რომელიც, ერთი მხრივ, წარმოადგენს სხვა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და გაწონასწორების არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს“⁸²⁹.

მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, გამოკვეთა სამართლიანი სასამართლოს უფლების და, ზოგადად, სასამართლოს მისია დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების რეალიზაციის პროცესში:

1. სასამართლომ უნდა დაიცვას ყველაზე მნიშვნელოვანი, უზენაესი სიკეთე – ადამიანის თავისუფლება. სწორედ სამართლიანი სასამართლოს უფლება არის შესაძლებლობაც და გარანტიაც სხვა უფლებებით ეფექტურად, დაურღვევლად სარგებლობისთვის. „ამა თუ იმ უფლებით სრულად სარგებლობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი გარანტია ... მისი სასამართლოში დაცვის შესაძლებლობაა. თუკი არ იქნება უფლების დარღვევის თავიდან აცილების ან დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა, სამართლებრივი ბერკეტი, თავად უფლებით სარგებლობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. შესაბამისად, უფლება-თავისუფლებების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვა ან არათანაზომიერი შეზღუდვა არღვევს არა მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, არამედ, იმავდროულად, შეიცავს საფრთხეს თავად იმ უფლების უგულვე-

829 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421,422 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 1.

ბელყოფისა, რომლის დასაცავადაც სასამართლოსადმი მიმართვაა აკრძალული (შეზღუდული)⁸³⁰. „სამართლიანი სასამართლოს უფლება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მექანიზმს, რომელიც აწესრიგებს ინდივიდსა და სახელმწიფოს, ასევე კერძო პირებს შორის არსებულ სადავო ურთიერთობებს, უზრუნველყოფს კონსტიტუციური უფლებების ეფექტურ რეალიზაციას და უფლებებში გაუმართლებელი ჩარევისაგან დაცვას“⁸³¹. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს ფუნდამენტური უფლება, პირველ რიგში, ნიშნავს სახელმწიფო ხელისუფლების ყველა იმ გადაწყვეტილების (ქმედების) სასამართლოში გასაჩივრებისა და სამართლებრივი შეფასების შესაძლებლობას, რომელიც ადამიანის უფლებებს არღვევს. ამ თვალსაზრისით, სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელება „სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს უკავშირდება და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მის არსს“⁸³².

2. სასამართლომ უნდა უზრუნველყოს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ქმედითობა, რაც ასევე ადამიანის თავისუფლების დასაცავად არის ღირებული. „კანონის უზენაესობის პრინციპის ფარგლებში საჯარო ხელისუფლების კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად განხორციელების უზრუნველყოფა არარეალური იქნებოდა მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლოს ხელმისაწვდომობის გარეშე. აზრს კარგავს სამართლებრივი წესებით ხელისუფლების შეზღუდვა, თუ არ არსებობს ამ წესების შემქმნელი და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მესამე ინსტანცია, რომელიც ქმედებების ამ წესებთან შესაბამისობას დაადგენდა“⁸³³.

ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით შეიქმნა ზოგადი ჩარჩო პოლიტიკური ხელისუფლების საბაზისო შემხვედრი ვალდებულებებისა, რომლითაც მან უნდა იხელმძღვანელოს სამართლი-

830 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №1/466 საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 14.

831 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/403,427 საქმეზე *კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 1.

832 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/393,397 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 1.

833 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421,422 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 1.

ანი სასამართლოს უფლების ქმედითობის უზრუნველმყოფელი გარანტიების შექმნისას. კერძოდ, სასამართლოს განმარტებით: „სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს არა მარტო სასამართლოსადმი ფორმალურ ხელმისაწვდომობას, არამედ ასევე მოითხოვს, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს ჰქონდეს უფლების დარღვევის ფაქტზე რეაგირების ეფექტური საშუალება. ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში, სამართლიან სასამართლოზე ხელმისაწვდომობა იქნება თეორიული, ფიქციური და არა რეალური მექანიზმი უფლებების დასაცავად. ... სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება და ამ გზით უფლების დაცვის ეფექტური სამართლებრივი საშუალების მოთხოვნა თანმხვედრი უნდა იყოს სასამართლოს კომპეტენციისა, ადეკვატურად მოახდინოს უფლების დარღვევაზე რეაგირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად უფლებით სარგებლობა დადგება საფრთხის ქვეშ⁸³⁴. „... სრულყოფილი დაცვა ... უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს კანონმდებლის ვალდებულებას, შექმნას ისეთი ნორმატიული წესრიგი, რომელიც უზრუნველყოფს პირის უფლებას დროულ, სამართლიან და ეფექტიან სასამართლოზე, რათა პირმა სრულყოფილად შეძლოს მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა სასამართლოსადმი მიმართვის გზით⁸³⁵. „სამართლიანი სასამართლოს უფლების კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიები უნდა უზრუნველყოს იმის განცდას, რომ ისინი შეძლებენ საკუთარი უფლებების/კანონიერი ინტერესების სასამართლოში დაცვას, ამასთან, უნდა იწვევდნენ სასამართლოს სამართლიანობის აღქმადობას საზოგადოების მხრიდან. გამჭვირვალე, სრულყოფილი, ადეკვატური და საკმარისი პროცედურები უზრუნველყოფს სასამართლოს გადაწყვეტილებათა ლეგიტიმურობას, მათ საზოგადოებრივ აღიარებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია სასამართლოსადმი და, საბოლოო ჯამში, მთლიანად ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებისა და განმტკიცებისათვის⁸³⁶.

სამართლიანი სასამართლოს უფლება იმ უფლებების რიგს განეკუთვნება, რომლებსაც შეეხო ცვლილებები 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონით. ცვლილებების ნაწილი ტექ-

834 იქვე, II, 14.

835 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება №3/2/577 საქმეზე ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4.

836 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №3/2/574 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 59.

ნიკური ან სტილისტური ხასიათისაა, არის პოზიტიური შინაარსობრივი ცვლილებებიც. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ დებულებას წარმოადგენს 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადება, რომლის თანახმად: „საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია“. კონკრეტულ ცვლილებაზე/დამატებაზე ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის უფლებრივ კომპონენტზე მსჯელობის ფარგლებში.

7.1.1. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი – უფლების ზოგადი კონსტიტუციური გარანტია

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი არის სამართლიანი სასამართლოს უფლების ზოგადი გარანტიის შემქმნელი, უფლების დამდგენი ნორმა, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების შინაარსს, დიაპაზონს და ფარგლებს. ამ დებულების არა მხოლოდ თითოეული წინადადება, არამედ ყოველი სიტყვა ინფორმატიულია უფლების მასშტაბის სრულად გასააზრებლად.

7.1.1.1. „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“

31-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება, პირველ რიგში, მიუთითებს უფლების სუბიექტებზე – ეს „ყველას“ უფლებაა, როგორც ქვეყნის მოქალაქეების, ისე – უცხოელებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების (რა ფარგლებშიც მათზე საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება), ასევე იურიდიული პირების. „ეს ნორმა, როგორც დამოუკიდებლად აღებული, ისე საქართველოს კონსტიტუციის ძირითად პრინციპებთან და კონსტიტუციით აღიარებულ სხვა ძირითად უფლებებთან ერთობლივი წაკითხვის შედეგად ცალსახად და არაორაზროვნად სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების სუბიექტებად მიიჩნევა ყველა ადამიანი“⁸³⁷. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო შეზღუდვები/აკრძალვები უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და იურიდიული პირებისთვის სასამართლოსადმი მიმართვის თვალსაზრისით. საკონსტიტუციო სასამართლომ მათთვის შექმნა მნიშვნელოვანი გარანტიები სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად⁸³⁸.

837 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №1/466 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 22.

838 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილე-

კონსტიტუციის დასახელებული დებულებით ხაზგასმულია უფლების ინსტრუმენტული ბუნება. „...სამართლიანი სასამართლოს უფლება არის ინსტრუმენტული უფლება, უფლება უფლებისთვის – დარღვეული უფლებების დაცვის, აღდგენის ან/და უფლების დარღვევის თავიდან აცილების სამართლებრივი ბერკეტი“⁸³⁹. შესაბამისად, „სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობისთვის აუცილებელი წინაპირობაა, არსებობდეს უფლება, სიკეთე, ინტერესი, რომლის სასამართლოს წესით დაცვის საჭიროების, აუცილებლობის წინაშეც პირი დგას“⁸⁴⁰. „...აუცილებელია იყოს *prima facie* უფლება, რომლის სასამართლო წესით დაცვაც სურს მოსარჩელეს“⁸⁴¹. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ვინაიდან სამართლებრივი სახელმწიფოს პირველადი ფუნქციაა ადამიანის უფლება-თავისუფლებების სრული რეალიზაცია და ადეკვატური დაცვა, სამართლიანი სასამართლოს უფლება, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის განხორციელების ერთგვარი საზომი, გულისხმობს ყველა იმ სიკეთის სასამართლოში დაცვის შესაძლებლობას, რომელიც თავისი არსით უფლებას წარმოადგენს. „...კონკრეტული ინტერესის უფლებად განსაზღვრის შედეგი არის სწორედ ის, რომ მისი ხელყოფის ან შესაძლო ხელყოფის შემთხვევაში, უფლების სუბიექტს შეუძლია, მოითხოვოს ხელყოფის საფრთხისგან დაცვა ან მიყენებული ზიანის ანაზღაურება“⁸⁴². „უფლებებისა და თავისუფლებების ... ეფექტური რეალიზებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი სამართლებრივი დაცვის საშუალებების არსებობას. ... „უფლება“ ვერ იქნება პირის ლეგი-

ბა №1/466 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2004 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/6/264 საქმეზე შპს „უნი-სერვისი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,

839 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №1/8/594 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 6.

840 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №1/8/594 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 6.

841 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421,422 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2; 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №/466 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 16.

842 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421,422 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2;

ტიმური ინტერესების დაცვის რეალური გარანტია, ის იქნება მხოლოდ თეორიული და ფიქციური, თუ მას არ ახლავს სასამართლო წესით მისი დაცვის შესაძლებლობა⁸⁴³. ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტში არაორაზროვნად იკითხება, რომ ადამიანს უფლება აქვს, ყველა თავისი უფლების და თავისუფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ნებისმიერი უფლებით სრულად სარგებლობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი გარანტია ზუსტად მისი სასამართლოში დაცვის შესაძლებლობაა. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი „არ ახდენს დიფერენცირებას უფლებებს შორის, არ გამოყოფს გარკვეულ კატეგორიას უფლებებისა, რომელთა დაცვაც შეიძლება სასამართლოში და არ აძლევს კანონმდებელს შესაძლებლობას, რომელიმე უფლება თავისი მიხედვლებით დატოვოს სასამართლოში დაცვის გარეშე. ამასთან, კონსტიტუციით დადგენილი ეს აკრძალვა, ბუნებრივია არ ეხება მხოლოდ კანონმდებელს. ხელისუფლების არცერთ შტოს არ აქვს უფლება, შემოიღოს დიფერენცირება სასამართლოში განსჯად და არაგანსჯად უფლებებს შორის. ... მაშასადამე, თუ არსებობს უფლება, ... არსებობს მისი სასამართლოში დაცვის უფლებაც“⁸⁴⁴.

ამავე დროს, კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების მოთხოვნაა, დაინტერესებულმა პირებმა სასამართლოს მიმართონ მხოლოდ „თავისი“ უფლებების დასაცავად. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, იდეა, მიზანი მხოლოდ საკუთარი უფლებების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვისა ძირითადად ეფუძნება უფლებათა პერსონალურ ბუნებას. „...უფლებების განსხვავებული შინაარსისგან დამოუკიდებლად, მათ აერთიანებთ ერთი თვისება, ისინი პირადი ხასიათისაა, რაც ნიშნავს, რომ განეკუთვნება კონკრეტულ პიროვნებას და არავის სხვას, ნათესაური კავშირისა და სიახლოვის ხარისხისგან დამოუკიდებლად (თუნდაც მშობელს ან შვილს). უფლებების პერსონიფიცირებული ხასიათი, პირველ რიგში, სწორედ იმას გულისხმობს, რომ ის ეკუთვნის კონკრეტულ, თითოეულ ინდივიდს და, მაშასადამე, არ/ვერ ეკუთვნის სხვას, შესაბამისად, ერთი პირის უფლებით ვერ ისარგებლებს სხვა, ისევე, როგორც კონკრეტული ინდივიდის უფლება ვერ დაერღვევა სხვას. ასეთი შესაძლებლობის დაშვება პირადი უფლების

843 იქვე.

844 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება №1/2/434 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 1.

ბუნების საწინააღმდეგოა, ფიტავს მის არსს... უფლებები პერსონალური ხასიათისაა და დაკავშირებულია უშუალოდ მათ მფლობელთა ცნობიერებასთან, ალქმასთან. ... უფლებების პერსონიფიცირებული ხასიათი ვლინდება მათი სასამართლოში დაცვის ფარგლებითაც და, იმავდროულად, თავად განაპირობებს ასეთ ფარგლებს. სასამართლოს პირები მიმართავენ საკუთარი უფლებების დასაცავად. ასეთი წესრიგის იდეა და მიზანი არის, ერთი მხრივ, ადამიანის უფლების პატივისცემა, თავად გადაწყვეტოს, დგას თუ არა საკუთარი უფლებების/ინტერესების სასამართლოს მეშვეობით დაცვის საჭიროების წინაშე, ხოლო, მეორე მხრივ, მართლმსაჯულების ეფექტურობა, რომელიც მიიღწევა მხოლოდ სწორი გადაწყვეტილების მიღების გზით, და ფუჭი მართლმსაჯულების თავიდან აცილება. ამ მიზნების მიღწევა, სულ მცირე, საეჭვო გახდება (თუ არა შეუძლებელი), თუ ზოგადად დაშვებული იქნება ერთი პირის უფლების დასაცავად სხვა პირის მიერ სასამართლოსადმი მიმართვა, რადგან მხოლოდ უფლების მატარებელს შეიძლება ჰქონდეს ყველაზე ობიექტური განცდა, ალქმა, შეგრძნება საკუთარი უფლების დარღვევისა (სავარაუდო დარღვევისა), შედეგად, კონკრეტული ზიანის მიღებისა. ასეთი შეგრძნებების არარსებობის პირობებში კი უფლების დაცვის საჭიროებაც არ არსებობს. გარდა ამისა, სწორედ უფლების მატარებელს აქვს ობიექტურად მეტი ინტერესი, მოტივაცია უფლების დასაცავად და, როგორც წესი, მეტი ინფორმაციაც (მტკიცებულებები), რომელიც საკუთარი უფლების დაცვაზე და სწორი გადაწყვეტილების მიღებაზე პოტენციურად მოახდენს გავლენას⁸⁴⁵.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, ამ თვალსაზრისით, გამოწინააღმდეგა შემთხვევებზე: „უფლების მატარებელი პირის ნების გამოვლენის შეუძლებლობის პირობებში, უკიდურეს შემთხვევაში, აუცილებელი ხდება მისი ნების ჩანაცვლება... მაშასადამე, პირის უფლების სუბიექტად მიჩნევა ყოველთვის და უპირობოდ არ არის დამოკიდებული პირის ნების (უფლების ალქმის, უფლებით სარგებლობისა თუ მისი დაცვის თაობაზე ნების გამოხატვის) ნამდვილობაზე, ნების გამოხატვის შესაძლებლობაზე. ბუნებრივია, ეს არ აბათილებს ზოგადად, უფლებით სარგებლობისთვის პირის ნების არსებობის აუცილებლობას, თუმცა ობიექტურად არსებობს ამ ზოგადი მიდგომიდან გამონაკლისების საჭიროებაც“⁸⁴⁶. იმავდროულად, სასამართლომ აღნიშნა, რომ სწორედ საკუთარი ნების საფუძველზე უფ-

845 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №1/6/561,568 საქმეზე საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 23,24.

846 იქვე, II, 25.

ლებით სარგებლობის ზოგადი წესრიგიდან გამომდინარე, ასეთი გამონაკლისი შემთხვევები მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი. ამას ემსახურებოდა, მათ შორის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილებაც საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, როდესაც სასამართლომ მთელი რიგი ნორმები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ნების მეურვის/მზრუნველის მიერ სრულად ჩანაცვლების მარეგულირებელი ნორმები არაკონსტიტუციურად ცნო მათი ბლანკეტურობის გამო.

კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის აღნიშნული დებულება განაპირობებს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ფარგლებსაც. კერძოდ, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პირები უფლებამოსილი არიან, კონსტიტუციური სარჩელით მიმართონ სასამართლოს, „... თუ მათ მიაჩნიათ, რომ დაირღვა ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული მათი უფლებანი და თავისუფლებანი“. საკონსტიტუციო სასამართლომ ამ დებულებაზე დაყრდნობით პოტენციურ მოსარჩელებს ორი პირობის კუმულაციურად დაკმაყოფილება მოსთხოვა: ა) პირებმა საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა მიმართონ მხოლოდ საკუთარი უფლებების დასაცავად; ბ) უფლების სავარაუდო დარღვევის მტკიცების ფარგლებში, მათ უნდა დაასაბუთონ, რომ სადავო ნორმამ უკვე გამოიწვია მათი ამა თუ იმ ფუნდამენტური უფლების დარღვევა ან უფლების დარღვევას გამოიწვევს განჭვრეტად მომავალში. სასამართლოს განმარტებით, „აღნიშნული ნორმის მიზანს წარმოადგენს კონკრეტული ინდივიდის უფლების დაცვა ან მისი უფლებების აშკარა დარღვევის პრევენცია. სწორედ ამიტომ ... პირი არის აღჭურვილი უფლებით, ეჭვქვეშ დააყენოს ნორმატიული აქტის კონსტიტუციურობა, თუ მიიჩნევს, რომ ასეთი აქტის მოქმედებით მან უშუალოდ განიცადა ზიანი ან ზიანის მიღების საფრთხე უშუალოდ მისთვის არის რეალური...“⁸⁴⁷. ამ თვალსაზრისით, კანონმდებლობა გამონაკლისს უშვებს სახალხო დამცველისთვის, რომელსაც შეუძლია, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს ნებისმიერი პირის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მოთხოვნით. ამასთან აღსანიშნავია, რომ

847 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 1 მარტის განჩინება №1/1/413 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ირაკლი ყანდაშვილი და კომანდიტური საზოგადოება „ანდრონიკაშვილი, საქსენ-ალტენბურგი, ბარამიძე და პარტნიორები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ უკვე მყარად დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სახალხო დამცველს არ მოეთხოვება კონკრეტული პირის/პირების იდენტიფიცირება/დასახელება, ვისი უფლებებიც გასაჩივრებული კანონით (მისი ცალკეული დებულებებით) უკვე დაირღვა ან ასეთი საფრთხის პირისპირ გარდაუვლად დადგება განჭვრეტად მომავალში. სახალხო დამცველის მიერ კანონის საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებისთვის საკმარისია მისი ვარაუდი, ეჭვი, რომ კანონმა შეიძლება ფუნდამენტური უფლების (უფლებების) დარღვევა გამოიწვიოს, ჰიპოთეტურ მსხვერპლზე მითითების გარეშე. ბუნებრივია, სახალხო დამცველი არ თავისუფლდება ვალდებულებისგან, ასაბუთოს, რომ მის მიერ გასაჩივრებული დებულება ობიექტურად არის ამა თუ იმ ფუნდამენტური უფლებისთვის საფრთხის შემქმნელი.

7.1.1.1.1. „სასამართლოს“ მნიშვნელობა სამართლიანი სასამართლოს უფლების მიზნებისთვის – კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული გარანტიები

ადამიანის ფუნდამენტური უფლებათა, საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს, იმავდროულად, კონსტიტუციის მოთხოვნაა, მართლმსაჯულება განახორციელოს სასამართლომ. მნიშვნელოვანია, ტერმინ „სასამართლოს“ განმარტება სამართლიანი სასამართლოს უფლების მიზნებისთვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანო ჩაითვლება „სასამართლოდ“ კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის, თუ ის აკმაყოფილებს ამავე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ ორგანოებს შეიძლება არ ერქვათ სასამართლო ეროვნული კანონმდებლობის/სისტემის შესაბამისად. ევროპული სასამართლო ავტონომიურად განმარტავს „სასამართლოსადმი“ კონვენციით წაყენებულ მკაცრ მოთხოვნებს და ამ სფეროში სახელმწიფოებს თავისუფალი მიხედვლების ფარგლებს არ უტოვებს. კერძოდ:

1. მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო შექმნილი უნდა იყოს კანონით (უშუალოდ კონსტიტუციით ან/და კანონით, რომელიც სრულად აკმაყოფილებს კონსტიტუციის ფორმალურ და მატერიალურ მოთხოვნებს). მიზანი არის, თავიდან იქნეს აცილებული მართლმსაჯულების სისტემის მოწყობის აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციის საგნად ქცევა. ამ საკითხის მოწესრიგება შეიძლება და უნდა ხდებოდეს

მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე⁸⁴⁸. ორგანოს, რომელიც არ არის შექმნილი „კანონის შესაბამისად“, არ აქვს ლეგიტიმაცია დემოკრატიულ საზოგადოებაში, რათა განიხილოს დავები/ინდივიდუალური საჩივრები⁸⁴⁹.

2. ასეთ ორგანოს უნდა ჰქონდეს კანონით მიკუთვნებული კონკრეტული დავების სამართლებრივი გადაწყვეტის (როგორც ფაქტების დადგენის, ისე სამართლებრივი ნორმების მისადაგების) უფლებამოსილება, ანუ უნდა ჰქონდეს სასამართლოს ფუნქციები. ის უნდა იყოს კომპეტენტური, განახორციელოს მართლმსაჯულება.

3. სამართალწარმოება უნდა მიმდინარეობდეს სამართლიანი სასამართლოს უფლებით გათვალისწინებული ინსტიტუციონალური და პროცედურული გარანტიების სრული დაცვით.

4. მას უნდა ჰქონდეს კომპეტენცია, მიიღოს მხარეთათვის მხოჭავი, სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება, რომლის შეცვლა/გადასინჯვა არ უნდა შეეძლოს არასასამართლო ხელისუფლების ორგანოს⁸⁵⁰.

5. რაც ყველაზე მთავარია, „სასამართლო“ უნდა იყოს დამოუკიდებელი, პირველ რიგში, აღმასრულებელი ხელისუფლებისგან (ისევე, როგორც მთლიანად პოლიტიკური ხელისუფლების შტოებისგან) და მხარეებისგან. მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანო სრულად უნდა აკმაყოფილებდეს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესაბამის გარანტიებს.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დებულების – „მიმართოს სასამართლოს“ და ამავე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიების – „ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე“ – ერთობლივი ანალიზი.

კონსტიტუციის დასახელებული დებულებებით აღიარებულია უფლება კანონიერ სასამართლოზე, რომელიც მოითხოვს რამდენიმე პირობის კუმულაციურად დაკმაყოფილებას: 1. პირი უნდა „განსაჯოს“ მხოლოდ სასამართლომ; 2. სასამართლო უნდა იყოს შექმნილი კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე; 3. კანონით უნდა იყოს მოწესრიგებული როგორც სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობა, ისე ლეგიტიმა-

848 *Richert v. Poland*, app. №54809/07, (ECtHR, 25.10.2011), §42.

849 *Lavents v. Latvia*, app. №58442/00, (ECtHR, 28.11.2002), §144; *Kontalexis v. Greece*, app. №29321/13, (ECtHR, 06.09.2018), §38.

850 *Findlay v. the United Kingdom*, (ECtHR, 25.02.1997), §77.

ციის ფარგლები – სასამართლო სისტემის თითოეული რგოლის უფლებამოსილება, ფუნქციები.

ამ პირობების დაცულობა ემსახურება სასამართლოს კომპეტენტურობის, ეფექტურობისა და ვარგისიანობის უზრუნველყოფას ყველა პოტენციური დავის გადასაწყვეტად. ადამიანებს უნდა ჰქონდეთ განცდა, იმედი და რწმენა, რომ მათთვის პრობლემატურ, სადავო საქმეს განიხილავს სასამართლო, რომელსაც აქვს შესაბამისი უფლებამოსილება, ამასთან, დაკომპლექტებულია სათანადო კვალიფიკაციის, ცოდნის მქონე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მოსამართლეებით. დავის სასამართლოს მიერ განხილვა არ არის თვითმიზანი, ეს არის შესაძლებლობა საკითხების სწორად და სამართლიანად გადაწყვეტისა, რაც მიიღწევა მხოლოდ კომპეტენტური, საამისოდ უფლებამოსილი, ლეგიტიმური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.

სწორედ ამის უზრუნველყოფისკენ არის მიმართული კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, სასამართლო განხილვა მოხდეს განსჯადობის წესების დაცვით. სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობისთვის „მნიშვნელოვანია, რომ ... საქმის განხილვა და გადაწყვეტა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომელსაც კონსტიტუციისა და კანონის მიხედვით, შესაბამისი უფლებამოსილება, კომპეტენცია გააჩნია“⁸⁵¹. საქართველოს კონსტიტუციის ეს დებულება ქმნის საფუძველს საიმისოდ, რომ „საქმის განხილვა მოხდეს კონსტიტუციურ ჩარჩოში მოაზრებული საამისო კომპეტენციის მქონე სასამართლოების მიერ, რათა პირს შესაძლებლობა ჰქონდეს ეფექტურად ისარგებლოს სამართლიანი სასამართლოსთვის დადგენილი კონსტიტუციურსამართლებრივი გარანტიებით უფლების იმ სასამართლოში დაცვის გზით, რომელსაც ექვემდებარება საქმე საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად“⁸⁵², „რათა გამოირიცხოს ყოველგვარი თვითნებობა და არ მოხდეს პირის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა იმ სასამართლოს მიერ, რომელსაც კანონმდებლობით მისი საქმე არ ექვემდებარება“⁸⁵³.

851 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557,571,576 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 106.

852 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება №2/1/598 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 7.

853 იქვე, II, 5.

ამ უფლების კონსტიტუციური საფუძვლები განმტკიცებულია შესაბამისი ნორმებით: საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. იმავდროულად, კონსტიტუციის მე-60 მუხლი დეტალურად გაწერს საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტების წესს, კომპეტენციას, მიმართვაზე უფლებამოსილ სუბიექტებს, სამართალწარმოების საფუძვლებს და გადაწყვეტილების იურიდიული ძალის საკითხს. კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, „მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები“. ამავე პუნქტის მე-6 წინადადების მიხედვით, საერთო სასამართლოების სისტემა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით. კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტი ასევე ითვალისწინებს საერთო სასამართლოების სისტემის ფარგლებში საქმეების ნაფიცი მსაჯულების მიერ განხილვის შესაძლებლობას კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. კონსტიტუციის 61-ე მუხლი განსაზღვრავს უზენაესი სასამართლოს სტატუსს (ის არის საკასაციო სასამართლო) და დაკომპლექტების წესს.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუცია ზემოაღნიშნული ნორმებით „განსაზღვრავს სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმებს. ესენია: საკონსტიტუციო კონტროლი, მართლმსაჯულება და კანონით დადგენილი სხვა ფორმები. ამდენად, საქართველოს კონსტიტუცია სახელდებით სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ორ ფორმას – საკონსტიტუციო კონტროლს და მართლმსაჯულების განხორციელებას იცნობს. ... ამავე დროს, საქართველოს კონსტიტუცია განსაზღვრავს სასამართლო ხელისუფლების ხსენებული ფორმების განმახორციელებელ სუბიექტებს. კერძოდ, ... საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. ხოლო, სასამართლო ხელისუფლების განხორციელების მეორე ფორმას – მართლმსაჯულებას, ახორციელებენ საერთო სასამართლოები. ... აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუცია თავად არ ახდენს საერთო სასამართლოების სისტემის შიგნით მართლმსაჯულების განმახორციელებელ სასამართლო ორგანოთა სპეციალიზაციის ან მათ შორის იერარქიის განსაზღვრას. აღნიშნული საკითხის მოწესრიგების

უფლებამოსილებას საქართველოს კონსტიტუცია ანიჭებს საკანონმდებლო ხელისუფლებას⁸⁵⁴.

კონსტიტუციის დასახელებულ ნორმებზე დაყრდნობით სასამართლო-თა ფუნქციური/შინაარსობრივი, ინსტანციური და ტერიტორიული მოწყობა განსაზღვრულია ორგანული კანონით „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ და ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“.

ამავე დროს, კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულია სპეციალიზებული სასამართლოების შექმნის შესაძლებლობა მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში, ასევე სამხედრო სასამართლოს შემოღება საომარი მდგომარეობის დროს და მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში. კონსტიტუცია ამავე დებულებით კრძალავს საგანგებო სასამართლოების შექმნას.

ზოგადად, ფართო პოლიტიკური ხელისუფლების დისკრეცია, გადაწყვეტოს, სასამართლო ხელისუფლების როგორი მოდელი და ინსტიტუციური თუ ფუნქციური მოწყობა იქნება უფრო ქმედითი. თუმცა ხელისუფლების პოლიტიკური მიხედულების ფარგლები მკაცრადაა შეზღუდული კონსტიტუციის უპირობო მოთხოვნით – სასამართლო სისტემა, მისი თითოეული რგოლი იყოს კომპეტენტური, უნარიანი, საკმარისი და ეფექტური მთავარი მიზნის მისაღწევად – ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დასაცავად. შესაბამისად, როგორი არის ან როგორ შეიცვლება კანონმდებლობა ამ თვალსაზრისით, ყოველთვის შეიძლება იყოს შეფასებადი კონსტიტუციის მოთხოვნებთან.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი პირებისთვის ქმნის გარანტიას, საკუთარი უფლებების დასაცავად თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი კონსტიტუციით გათვალისწინებული სასამართლოს სისტემის ნებისმიერ რგოლზე. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციური უფლება გულისხმობს მიმართვის თანაბარ შესაძლებლობას საერთო სასამართლოებისადმი და საკონსტიტუციო სასამართლოსადმი. „საკონსტიტუციო სასამართლოს და საერთო სასამართლოებს აქვთ განსხვავებული კომპეტენცია, ისინი პირებს სთავაზობენ უფლების განსხვავებული დაცვის საშუალებებს და თვისობრივად განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ერთ-ერთ მათგანში გასაჩივრება

854 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილება №2/1/598 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 8.

ვერ ჩაითვლება მეორეში გასაჩივრების ალტერნატივად, სრულად ვერ ჩაანაცვლებს მას, ვერ უზრუნველყოფს პირს უფლების დაცვის ამომწურავი საშუალებებით⁸⁵⁵. საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის ამკრძალავი დებულების კონსტიტუციურობის შეფასებისას სასამართლომ აღნიშნა: „სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს როგორც საერთო იურისდიქციის სასამართლოებში, ისე საკონსტიტუციო სასამართლოში უფლების დაცვის შესაძლებლობას. ...საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვა მაშინ ჩაითვლება სამართლიანი სასამართლოს უფლების არაპროპორციულ შეზღუდვად, უფლების დარღვევად, თუ საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა კონკრეტული უფლების დაცვის ერთადერთ ან უფლებაში აღდგენის განსხვავებულ, იმავდროულად, უფლების დაცვის აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს, რომლის გარეშეც, უფლების სრულყოფილი, ადეკვატური დაცვა შეუძლებელი იქნება. ...ბუნებრივია, ძალზე მნიშვნელოვანია უფლების საერთო სასამართლოში დაცვის ბერკეტი, ...თუმცა ცალკეულ შემთხვევაში, ეს შეიძლება ვერ აღმოჩნდეს საკმარისი დარღვეული უფლების აღდგენისთვის, დაცვისთვის. ...ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოსადმი პირებს მხოლოდ მაშინ აქვთ მიმართვის უფლება, როდესაც ნორმატიული აქტით ირღვევა მათი კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები, ისინი საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების არარსებობის პირობებში, შეიძლება აღმოჩნდნენ შემდეგი პრობლემის წინაშე: მათი უფლების შემლახველი ნორმატიული აქტების კანონიერების საერთო სასამართლოში გადაწყვეტის შემთხვევაშიც კი პრობლემა ვერ ამოიწურება, როდესაც უფლების სავარაუდო დარღვევის მიზეზი კანონია“⁸⁵⁶. „...როდესაც პირს გააჩნია საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება, მას უნდა ჰქონდეს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის უფლებაც, რადგან ეს სასამართლო სწორედ ამ უფლებების დაცვის განსაკუთრებულ ბერკეტებს ფლობს, რომლის მსგავსიც საერთო სასამართლოს არ გააჩნია. ... მაშასადამე, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა წარმოადგენს უფლების დაცვის განსხვავებულ და, მით უფრო, ცალკეულ შემთხვევაში, ერთადერთ შესაძლებლობას, კონსტიტუციური უფლებების მქონე სუბიექტებისათვის საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის უფლების აკრ-

855 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №1/466 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 14.

856 იქვე, II, 20.

ძალგით, ხდება სამართლიანი სასამართლოს უფლების არათანაზომიერი შეზღუდვა⁸⁵⁷.

სხვა საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა არ იქნა მიჩნეული საკმარისად სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობისთვის, შესაბამისად, საერთო სასამართლოებისადმი მიმართვის ამკრძალავი დებულება არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. კერძოდ, გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „უსაფუძვლო საკონსტიტუციო სასამართლოში უფლების დაცვის მეტი ეფექტურობის მოტივით საერთო სასამართლოში გასაჩივრების აკრძალვის გამართლება. ეს გარემოება ... ვერ ჩაითვლება ლეგიტიმურ მიზნად, რადგან საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოები უფლების დაცვის განსხვავებულ სამართლებრივ შესაძლებლობებს იძლევიან და ერთი მეორის ალტერნატივად ვერ ჩაითვლებიან“⁸⁵⁸.

საკონსტიტუციო სასამართლოს ასევე მოუწია მსჯელობა საკითხზე – ნაფიცი მსაჯულების სასამართლოს მიერ საქმის განხილვის მოთხოვნა არის თუ არა სამართლიანი სასამართლოს უფლების თავისთავადი და სავალდებულო უფლებრივი კომპონენტი. სასამართლოს განმარტებით: „... ნებისმიერი სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები ფართოა სასამართლო სისტემის მოწყობასთან დაკავშირებით. მთავარი მოთხოვნა, რომლითაც დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ხელისუფლებები მკაცრად არიან შებოჭილები, არის ის, რომ სასამართლო ხელისუფლება მთლიანობაში პასუხობდეს მის წინაშე მდგარ მთავარ გამოწვევას – უზრუნველყოს სამართლიანი მართლმსაჯულება, რისთვისაც ის ალტურვილი უნდა იყოს სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაციისთვის აუცილებელი ყველა საჭირო, ადეკვატური და საკმარისი ბერკეტი. თავისთავად ცხადია, რომ არ არსებობს სასამართლო ხელისუფლების სისტემის ერთი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს ქმედით, დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, კვალიფიციურ და სამართლიან მართლმსაჯულებას. სახელმწიფომ საკუთარი განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, შესაძლოა განახორციელოს სასამართლო ხელისუფლების რეფორმა მისი განმტკიცების, დამოუკიდებლობის, ხელმისაწვდომობისა თუ სანდოობის ხარისხის ამაღლების მიზნით. ამ პროცესში სახეცვლილება შეიძლება განიცადოს სასამართლო სტრუქტურამ, ფორმირების წესმა, კომპეტენციისა თუ იურის-

857 იქვე, II, 20.

858 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება №1/2/434 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 13.

დიქციის განსაზღვრამ და სხვა. ამ თვალსაზრისით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სახელმწიფოს მიერ სასამართლო ხელისუფლების რეფორმის გზაზე განხორციელებულ ერთ-ერთ ასეთ ეტაპს წარმოადგენს⁸⁵⁹. საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებით, რადგან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არის საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული სასამართლო სისტემის ნაწილი, ის თავისთავად ექცევა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის ქვეშ. იმავდროულად, ვინაიდან სასამართლო ხელისუფლების კომპეტენციის მიზანია ადამიანის უფლებების ადეკვატური და სრულყოფილი დაცვა, მართლმსაჯულების განმახორციელებელი მთელი კონსტიტუციური სისტემის ფუნქცია უნდა პასუხობდეს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სრულყოფილად სარგებლობის მოთხოვნებს⁸⁶⁰. საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის განხილვაზე ხელმისაწვდომობის არარსებობა თავისთავად და ყოველთვის არ გულისხმობს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მართლმსაჯულების სისტემაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ ასრულებს უალტერნატივო ფუნქციას, რომელიც უპირობოდ აუცილებელია უფლებების სრულყოფილად დასაცავად. „პრინციპულად არასწორი იქნება იმის მტკიცება, რომ ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე საქმის განხილვისას პირებს თავისთავად ერღვევათ სამართლიანი სასამართლოს უფლება, თუკი მათ, იმავდროულად, უზრუნველყოფილი აქვთ სამართლიანი სასამართლოს უფლების ყველა უფლებრივი კომპონენტით სარგებლობის შესაძლებლობა. უსაფუძვლოა იმის მტკიცებაც, რომ ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის განხილვა, ყველა შემთხვევაში, გულისხმობს ნებისმიერი უფლების უკეთ დაცვის შესაძლებლობას, რის გამოც, ეს სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის განუყოფელი კომპონენტია და მისი არარსებობისას, სამართლიანი სასამართლოს უფლება ირღვევა. ... საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით საქმის სასამართლო განხილვა (იმ ფარგლებში, რომელზეც ის ვრცელდება) არის ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე საქმის სასამართლო განხილვის არსებითად თანაბარი ალტერნატივა. კერძოდ,

859 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/4/557,571,576 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 90-91.

860 იქვე, II, 95.

კანონმდებლობით ნაფიცი მსაჯულებისთვის დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში, საერთო სასამართლოები ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით და მათ გარეშე, ერთსა და იმავე საკითხებს იხილავენ და შედეგობრივად იგივე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა აქვთ⁸⁶¹.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არის საერთო იურისდიქციის სასამართლოების კომპეტენციის ფარგლებში მართლმსაჯულების განხორციელების ალტერნატიული ფორმა, რომელიც, თავის მხრივ, უნდა პასუხობდეს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის ყველა აუცილებელ მოთხოვნას. „უფლების ეფექტურად დაცვას და სამართლიან მართლმსაჯულებას თავისთავად ვერც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი უზრუნველყოფს და ვერც მოსამართლის მიერ საქმის განხილვა, თუ თითოეული მათგანი არ იქნება ალტერნატიული უფლების დაცვისთვის აუცილებელი, ეფექტური და საკმარისი გარანტიებით – საქმის განმხილველი სასამართლოს ინსტიტუციური და პერსონალური დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის გარანტიებიდან დაწყებული სამართალწარმოების ყველა საჭირო პროცედურის ჩათვლით. ამიტომ ნებისმიერი სისტემა, მათ შორის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნდა პასუხობდეს ყველა იმ მოთხოვნას და გამოწვევას, რასაც მართლმსაჯულება უნდა ემსახურებოდეს“⁸⁶².

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის ფარგლებში გარანტირებულია არა მხოლოდ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სასამართლოს მიერ კონკრეტული დავის განხილვა, არამედ სასამართლოში საქმეთა განაწილების ისეთი გამჭვირვალე სისტემის შექმნა, რომელიც საიმედოდ გამოირიცხავს სასამართლოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირების ან პოლიტიკური ხელისუფლების ზეგავლენით საქმეთა თვითნებურ განაწილებას სასურველ/საიმედო მოსამართლეებზე, ისევე, როგორც თავად მოსამართლეთა ინტერესების გათვალისწინებას ამ პროცესში. შესაბამისად, კანონმდებელს აქვს ვალდებულება, შექმნას ნორმათა ისეთი სისტემა (კანონმდებლობა), რომელიც უზრუნველყოფს საქმეთა განაწილებას აღნიშნული რისკების განეიტრალებით.

861 იქვე, II, 96-97.

862 იქვე, II, 99-100.

7.1.1.1.2. საქმის განხილვა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ

საქმის განხილვა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ სამართლიანი სასამართლოს უფლების ფუნდამენტური კომპონენტია, რომელიც არსებითად განაპირობებს ამ უფლებით რეალურად სარგებლობის შესაძლებლობას. კანონმდებლობით სათანადო საპროცესო და მატერიალური გარანტიების შექმნა ვერ იქნება თვითკმარი სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველსაყოფად, თუ ამ ნორმების პროფესიონალურად და კეთილსინდისიერად გამოყენების გზით „სამართლის ქმნაზე“ პასუხისმგებლობა დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს არ ჩაბარდება. სასამართლოს დამოუკიდებლობა ისევე ღირებულია, როგორც კანონის უზენაესობა, რადგან ეს უკანასკნელი ფიქცია იქნება, თუ მის „დაცვას“ საზოგადოებისთვის არასანდო მოსამართლეები დაეპატრონებიან.

დემოკრატიულ სახელმწიფოში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სასამართლო იწვევდეს საზოგადოებაში ნდობას⁸⁶³, რადგან სწორედ ეს (საზოგადოების ნდობა) არის თითოეული მოსამართლის და მთლიანად ხელისუფლების ლეგიტიმურობის საფუძველი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „სასამართლოს მიერ ხელისუფლების განხორციელების ლეგიტიმაციის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წყაროა მისი საზოგადოებრივი ნდობა“⁸⁶⁴. „სამართლიანი მართლმსაჯულება მოითხოვს არა მხოლოდ ყველა საჭირო, საკმარისი და ადეკვატური პროცედურითა თუ გარანტიით სასამართლოს აღჭურვას, არამედ, იმავედროულად, გულისხმობს მის ასეთად აღქმადობას საზოგადოების და დავის მონაწილეთა მხრიდან. ...ამ თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო ინსტიტუტისადმი მხარეთა და, ზოგადად, საზოგადოების ნდობას...“⁸⁶⁵. იმავედროულად, მხოლოდ დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოს შეუძლია გააჩინოს და ასაზრდოოს ნდობა მართლმ-

863 *Padovani v. Italy*, app. №13396/87, (ECHR, 26.02.1993).

864 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ „მედის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 45.

865 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის №1/4/557, 571,576 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ II, 101.

საჯულებისადმი. „ხალხისგან მიღებული ლეგიტიმაცია თავისთავად ვერ განაპირობებს ხელისუფლების მიერ საზოგადოების ნდობის და პატივისცემის შენარჩუნებას. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, ამ თვალსაზრისით, არის საზოგადოების უზრუნველყოფა ძლიერი, კვალიფიციური და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლებით. ადამიანებს სასიცოცხლოდ სჭირდებათ განცდა და იმედი, რომ შეძლებენ საკუთარი სიმართლის დაცვას, რადგან ამის გარეშე წარმატების პერსპექტივები თუ განვითარებისკენ სწრაფვა ყოველთვის მყიფე იქნება“⁸⁶⁶.

სასამართლოს დამოუკიდებლობა ეფუძნება სამი მთავარი პირობის კუმულაციას:

ა) კანონმდებლობით სასამართლოს ინსტიტუციური და მოსამართლეთა პერსონალური დამოუკიდებლობის უზრუნველმყოფელი სათანადო და საკმარისი გარანტიების გათვალისწინებას. კრიტიკულად აუცილებელია, უპირველესად, კონსტიტუციით და კანონმდებლობით შესაბამისი, ეფექტური ინსტრუმენტების შექმნა, რაც, ერთი მხრივ, საზოგადოებისთვის დამაჯერებელს გახდის სასამართლოს დამოუკიდებლობის რეალისტურობის პერსპექტივას, ხოლო, მეორე მხრივ, თითოეულ მოსამართლეს შემატებს თვითდაჯერებულობას, რომ ის კანონით საიმედოდ არის დაცული ყოველი საქმის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად გადაწყვეტისთვის პოტენციური რისკების აღმოსაფხვრელად, გამოწვევებთან გასამკლავებლად. ასეთად მიიჩნევა: მოსამართლეთა შერჩევისა და თანამდებობაზე განწესების (წარდგენის, დანიშვნის თუ არჩევის) სათანადო წესის, სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის, მოსამართლეთა შეუცვლელიობის გარანტიების, დისციპლინური დევნის დაბალანსებული და გამჭვირვალე პროცედურებით აღჭურვილი სისტემის, პირადი უსაფრთხოების, ასევე იმუნიტეტის სწორად შერჩეული ფარგლების, სასამართლოზე პოტენციური ზემოქმედების აღმკვეთი სათანადო და საკმარისი ბერკეტების, ფინანსური და სოციალური უზრუნველყოფის გარანტიების შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლების შექმნა.

ბ) ხელისუფლების რეალურ ნებას, ჰყავდეს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო, რაც, სათანადო საკანონმდებლო გარანტიების შექმნის გარდა, მისგან მოითხოვს ამავე ნორმების ერთგულებას. ეს გულისხმობს, სულ მცირე, ხელისუფლების (საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოების) სრულ დისტანცირებას სასამართლო კორპუსისგან, განსახილველი საქმეებისგან, ამასთან, სასამართლოზე ზეწოლის, მის

866 ქ. ერემაძე, „თავისუფლების დამცველნი თავისუფლების ძიებაში, საკონსტიტუციო კონტროლის 20 წელი საქართველოში“, თბილისი, 2018 წ.

საქმიანობაში ჩარევის კონკრეტულ ფაქტებზე ეფექტურ სამართლებრივ რეაგირებას, კანონმდებლობის მოთხოვნების ზედმიწევნით აღსრულებას.

გ) თავად მოსამართლეთა უპირობო მზაობას, დაემორჩილონ მხოლოდ კონსტიტუციას, კანონს და ყოველ კონკრეტულ საქმეზე იმოქმედონ პროფესიული ღირსების კარნახით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით: „გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსამართლეთა მზაობას, განახორციელონ მათზე დაკისრებული ფუნქცია ხელისუფლების დანარჩენი შტოებისგან დამოუკიდებლად“⁸⁶⁷. ამ თვალსაზრისით, ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც მოსამართლეთა პროფესიონალიზმი, ისე მათი შინაგანი თავისუფლება, რაც განჭვრეტადს და დამაჯერებელს გახდის მათ მცდელობას, გადადგან ყველა შესაძლო თამამი ნაბიჯი ადამიანის უფლებების დასაცავად.

საბოლოო ჯამში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რამდენად ტოვებს სასამართლო დამოუკიდებელი ორგანოს შთაბეჭდილებას, რამდენად აღიქვამს მას საზოგადოება ასეთად. ევროპული სასამართლოს შეფასებით, სასამართლო დამოუკიდებელია, თუ ის დამოუკიდებელია ობიექტური დამკვირვებლის თვალში. ამ დროს უპირველესად იგულისხმება მოსამართლეთა დამოუკიდებლობა პოლიტიკური ხელისუფლებისგან და მხარეებისგან, ასევე თავად სასამართლო სისტემის შიგნით პოტენციური ზეგავლენის საფრთხისგან⁸⁶⁸.

სამწუხაროდ, საქართველოში სასამართლო ხელისუფლების რეალური მდგომარეობა მიუთითებს ფუნდამენტურ პრობლემებზე სამივე მიმართულებით. წინამდებარე წიგნის მიზანი არ არის ამ საკითხთან დაკავშირებით კანონმდებლობაში არსებული ყველა გარანტიის ავკარგიანობის, საკმარისობისა თუ ეფექტურობის შეფასება, ისევე, როგორც ყველა პრობლემის იდენტიფიცირება და დეტალური ანალიზი. ვფიქრობთ, მხოლოდ რამდენიმე ასპექტზე ყურადღების გამახვილებაც საკმარისია.

პრობლემები მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების ეტაპიდანვე იღებს სათავეს. ზოგადად, ამ თვალსაზრისით არ არსებობს უნივერსალური მოდელი. ხშირია პრაქტიკა, როდესაც მოსამართლეთა განწესება ხდება პოლიტიკური ხელისუფლების შტოების (პარლამენტის, პრეზიდენტის) მონაწილეობით/თანამონაწილეობით. ზოგიერთ სახელმწიფოში მოსამართლეთა დანიშვნა სრულად პოლიტიკური პროცესის ფარგლებში ხდება, ზოგან კი ისინი აპოლიტიკური ორგანოს მიერ შეირჩევიან პროფესიული ნიშნით შეფასების შედეგად. ასევე გვხვდება შერეული მოდელები,

867 *Campbell and Fell v. the United Kingdom*, app. №7819/77; 7878/77, (ECHR, 28.06.1984).

868 *Parlov-Tkalcic v. Croatia*, app. №24810/06, (ECHR, 22.12.2009).

რომლის ფარგლებშიც მოსამართლეთა შერჩევაში მონაწილეობს როგორც აპოლიტიკური, ასევე პოლიტიკური ორგანოები. თუმცა მოსამართლეების განწესება ხელისუფლების პოლიტიკური შტოების მიერ თავისთავად არ ეწინააღმდეგება დამოუკიდებლობის მოთხოვნას. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ახორციელებენ თუ არა მოსამართლეები მართლმსაჯულებას მათგან დამოუკიდებლად.

საქართველოს გამოცდილებაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასამართლოს მეტი დამოუკიდებლობის მიღწევის მცდელობის გზაზე პოლიტიკური მდგენელისგან ამ პროცესის მნიშვნელოვნად გათავისუფლება ვერ აღმოჩნდა მიზნის მიღწევის უკეთესი შესაძლებლობა. ამ თვალსაზრისით, წარმატებისთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ინარჩუნებს, ერთი მხრივ, მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების (მათ შორის, მხოლოდ ან უპირატესად პროფესიულ პლატფორმაზე დაყრდნობით) წესის გამჭვირვალობა, სამართლიანობა, ხოლო, მეორე მხრივ, შესაბამისი აქტორების სათანადო ნება და უნარი, სასამართლო კორპუსი დააკომპლექტონ რეალურად დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, კეთილსინდისიერი და პროფესიონალი მოსამართლეებით.

მაგალითად, „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2017 წლის 13 ოქტომბრის №1324-რს საქართველოს კონსტიტუციური კანონის მიღებამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები თანამდებობაზე აირჩეოდნენ საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით. ცვლილებების შედეგად კი, საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით, ირჩევს საქართველოს პარლამენტი. შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა განწესებისთვის შეიქმნა დაბალანსებული მოდელი, რომელიც მოიცავს პირის როგორც აპოლიტიკური, სასამართლო სისტემის ორგანოს, ასევე პოლიტიკური ორგანოს მიერ შეფასებასა და მხარდაჭერას. დასახელებული კონსტიტუციური კანონის განმარტებითი ბარათის თანახმად, ცვლილებები ეფუძნება ვენეციის კომისიის 2010 წლის შესაბამის რეკომენდაციას. „სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის შესახებ“ ვენეციის კომისიის 2010 წლის 16 მარტის CDL-AD(2010)004 მოხსენების III ნაწილის მე-2 და მე-3 თავები განამტკიცებს პრინციპს, რომლის მიხედვითაც, მოსამართლეთა დანიშვნასა და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს მოსამართლეობის კანდიდატების დამსახურებას, პროფესიული კვალიფიკაციისა თუ პიროვნული მახასიათებლების

შეფასებას. ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია, არსებობდეს სასამართლო სისტემის ფორმირების გამჭვირვალე პროცედურები და თანმიმდევრული პრაქტიკა. ამასთან, მნიშვნელოვანია, შემუშავებულ იქნეს სასამართლო ხელისუფლების ფორმირების იმგვარი მექანიზმი, რომელიც, მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში, გამორიცხავს პოლიტიკური შეხედულებების დომინირებას კანდიდატთა დამსახურებაზე. ვენეციის კომისიის დასახელებული მოხსენების მიხედვით: „ახალ დემოკრატიებში, რომლებშიც ძალაუფლების სამართლებრივი კულტურითა და ტრადიციებით ბოჭვის ნაკლები გამოცდილება არსებობს, აუცილებელია, შემუშავებულ იქნეს გამოხატული კონსტიტუციური გარანტიები ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს მიერ მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში პოლიტიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად“. ვენეციის კომისიის განმარტებით, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის სათანადო მექანიზმს ხელისუფლების პოლიტიკური შტოებისაგან დამოუკიდებელი მართლმსაჯულების საბჭოების ან ეკვივალენტური ორგანოების არსებობა წარმოადგენს, რომელთაც უნდა გააჩნდეთ გადამწყვეტი გავლენა მოსამართლეთა დანიშვნასა და კარიერასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამავდროულად, „სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ლეგიტიმური მიზნის მიღწევისათვის საჭიროა, რომ ამგვარი მართლმსაჯულების საბჭოებს თავად ჰქონდეთ დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტიები, მათი დაფუძნების, უფლებამოსილებებისა და ავტონომიის საკითხებთან დაკავშირებით“⁸⁶⁹.

მიუხედავად, დასახელებული კონსტიტუციური ცვლილებების მიზნობრიობისა, როგორც აღინიშნა, ვერც ამ წესმა მოიტანა უკეთესი შედეგი. მართალია, დღეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა განწესებაში მსუყე კომპონენტი სწორედ თავად სასამართლო ხელისუფლებას უკავია, ფაქტობრივად, ის ყველაზე რეალურ საფრთხეს წარმოადგენს სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის.

იგივე შეიძლება ითქვას მოსამართლეთა უვადოდ განწესების წარუმატებლობაზე ქართულ რეალობაში. ზოგადად, სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველყოფელ ერთ-ერთ გარანტიას წარმოადგენს მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის სათანადოდ განსაზღვრა. უმ-

869 იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა – თეიმურაზ ტულუშის, ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძის და თამაზ ცაბუჭაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, პ. 25.

ნიშვნელოვანესია დროის გარკვეულ ინტერვალში მოსამართლეთა საქმიანობის სტაბილურობა. საშუალოდ, 8-დან 15 წლამდე მერყეობს უფლებამოსილების ვადა იმ ქვეყნებში, რომლებშიც მოსამართლეთა უვადოდ განწესება არ ხდება. მოსამართლის კონკრეტული (ხანგრძლივი) ვადით ან უვადოდ განწესება მისი დამოუკიდებლობის გარანტიაა იმ თვალსაზრისით, რომ ხელისუფლებას განაიარაღებს ცდუნებისგან, მისთვის არასასურველი მოსამართლეები „სანდო“ მოსამართლეებით ჩაანაცვლოს პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილებებთან ერთად. მაშასადამე, ეს (ხანგრძლივი ვადით ან უვადოდ განწესება) ხელს უწყობს სასამართლო კორპუსის დისტანცირებას პოლიტიკური კალენდრისგან – მოსამართლეები ამ პოზიციას იკავებენ სხვადასხვა პოლიტიკური ძალის ხელისუფლებაში მონაცვლეობის განმავლობაში. ეს თავად მოსამართლეებსაც აძლევს მეტ თავდაჯერებულობას და სითამამეს პოლიტიკური ხელისუფლებისგან მკაფიო დისტანცირების პროცესში. ხანგრძლივი ვადით ან უვადოდ განწესება ასევე აფერმკრთალებს პოლიტიკურ ხელისუფლებასთან სიახლოვის და ამ გზით საკუთარი პოზიციების გამყარების „საჭიროებას“.

თუმცა ხანგრძლივი ვადით ან, მით უფრო, უვადოდ განწესება მხოლოდ იმ პირობებში შეიძლება იქცეს სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტიად, თუ მოსამართლეთა შერჩევა ეფუძნება სათანადო კრიტერიუმებს და უკიდურესად გამჭვირვალე წესს, რომელიც უპირობოდ არის ორიენტირებული თითოეული კანდიდატის პროფესიონალიზმის, კომპეტენტურობის, კეთილსინდისიერების, დასაკავებელ პოზიციასთან მათი პიროვნული თვისებების ადეკვატურობის მიხედვით შერჩევაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება იღებს ხანგრძლივ ან უვადო ბოროტებას. რადგან ზემოაღნიშნული თვისებების, უნარების არმქონე, ხელისუფლების მორჩილებისთვის განწესებული პირები, ყველა ხელისუფლებას თანაბრად მორჩილებენ. ქვეყანაში პოლიტიკური ცვლილების შემდეგ ისინი ხშირად თავად აგნებენ ახალ ხელისუფალთან მისასვლელ გზას და საკუთარი სტაბილური კეთილდღეობის სანაცვლოდ, სამართლის ერთგულებას კვლავაც „ხელისუფლის“ ერთგულებას ამჯობინებენ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მოსამართლის საპატიო თანამდებობაზე კომპეტენტური პირების განწესება დამოუკიდებელი და კვალიფიციური მართლმსაჯულების უზრუნველყოფას ემსახურება⁸⁷⁰. „საზოგადოების რწმენა, რომ მართლმსაჯულება ნამდ-

870 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 36.

ვილად კეთილსინდისიერი, კომპეტენტური და მიუკერძოებელი პირების მიერ ხორციელდება, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სასამართლოს ეფექტურობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნაა, რომ მოსამართლეთა შერჩევის პროცედურა უზრუნველყოფდეს სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ჩამოყალიბებას. კანონით დადგენილი პროცედურა არ უნდა აღძრავდეს დასაბუთებულ ეჭვებს მოსამართლეთა შერჩევის პროცესთან, შერჩეული მოსამართლეების კეთილსინდისიერებასა და კვალიფიციურობასთან დაკავშირებით. საზოგადოებას უნდა ჰქონდეს განცდა, რომ მოსამართლეთა შერჩევის პროცესი მიუკერძოებლად და კვალიფიციურად ხორციელდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდმივად იარსებებს კითხვები შერჩეული მოსამართლეების კეთილსინდისიერებასთან და კვალიფიციურობასთან დაკავშირებით, რაც, საბოლოო ჯამში, საფუძველს გამოაცხადის საზოგადოების ნდობას სასამართლო ხელისუფლების მიმართ. ამავდროს, აღსანიშნავია, რომ შერჩევის პროცესის გამჭვირვალობა მისდამი სანდოობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა⁸⁷¹.

მაშასადამე, სასამართლოს დამოუკიდებლობის მისაღწევად სათანადო კონსტიტუციური გარანტიების არსებობა⁸⁷², ისევე, როგორც ამ თვალ-

871 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – თეიმურაზ ტულუშის, ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, პ. 91.

872 აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციით სასამართლოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი გარანტიებია გათვალისწინებული. კერძოდ, 59-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია“.

63-ე მუხლის თანახმად: „1. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით. არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.“

2. მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის, მანქანის ან პირადი გაჩხრეკა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში – საკონსტიტუციო სასამართლოს თანხმობის გარეშე. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამისად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს. თუ შესაბამისად იუსტიციის უმაღლესი საბჭო ან საკონსტიტუციო სასამართლო არ მისცემს თანხმობას, თავისუფლებაზეზღუდული მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსამართლის და მისი ოჯახის უსაფრთხოებას.

4. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი, მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

5. საერთო სასამართლოს მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დასაშვებია მხოლოდ ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. მოსამართლის შეუცვლელობა გარანტირებულია ორგანული კანონით. სასამართლოს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია არ შეიძლება გახდეს უვალოდ განწესებული მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველი.

6. საერთო სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. საერთო სასამართლოს მოსამართლის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება ორგანული კანონით. საერთო სასამართლოს მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვალოდ, ორგანული კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლე შეირჩევა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის ნიშნით. გადაწყვეტილებას მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უმრავლესობით. მოსამართლის თანამდებობაზე განწესებისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება ორგანული კანონით“.

64-ე მუხლის თანახმად: 1. საერთო სასამართლოების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის უზრუნველყოფის, მოსამართლეთა დანიშნვისა და გათავისუფლების და სხვა ამოცანების შესრულების მიზნით იქმნება საერთო სასამართლოების სისტემის ორგანო – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

2. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში შედიან 4 წლის ვადით განწესებული 14 წევრი და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტს შეადგენენ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ მოსამართლეთაგან არჩეული წევრები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში, გარდა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ არჩეული წევრებისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა, შედიან საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრი და პარლამენტის მიერ სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მესუთედის უმრავლესობით არჩეული წევრები. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრთაგან ორგანული კანონით დადგენილი წესით 4 წლის ვადით, მაგრამ არაუმეტეს მისი როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადისა, ირჩევს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს 4 წლის ვადით ირჩევს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო მის მიერ არჩეულ წევრთაგან.

3. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ანგარიშვალდებულია საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს წინაშე. ანგარიშგების წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

4. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით“.

საზრისით კანონმდებლობის გაუმჯობესება, მათ შორის, უმნიშვნელოვანესი ინსტიტუციური გადაწყვეტის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება (როგორცაა, მოსამართლეთა უვადოდ განწესება, საქმეთა განხილვა ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით, მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების პროცედურის/წესის პოლიტიკური კომპონენტისგან დიდწილად გათავისუფლება), არა მხოლოდ ვერ უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობას, არამედ ამ გზაზე მინიმალურ პროგრესსაც კი ვერ შეუწყობს ხელს, მეტიც, შესაძლოა, გააღრმავოს სისტემაში არსებული პრობლემები, თუ:

ა) საკანონმდებლო რეგულაციები (მათ შორის, საგანგებოდ განხორციელებული ცვლილებები) ეხება პრობლემის აღმოფხვრის მხოლოდ ნაწილს და მათ საფარვეშ შენარჩუნებულა ხელისუფლებისთვის სასურველი, მორჩილი მოსამართლეების სისტემაში მოხვედრის/შენარჩუნების ბერკეტები. ანუ, როდესაც არ არსებობს ხელისუფლის რეალური ნება მისგან დამოუკიდებელი სასამართლოს ფორმირებისა და ის, კოსმეტიკური ცვლილებების თუ მოჩვენებითი გამჭვირვალობის პარალელურად, ზრუნავს ამავე ბერკეტების იგნორირებით/დაძლევით მოქმედების შესაძლებლობაზე.

ბ) თავად მოსამართლეები ვერ გრძნობენ სისტემის შიგნიდან გაჯანსაღების რეალურ აუცილებლობას, ვერ ხედავენ საკუთარ თავს საზოგადოების თვალთ და საზრდოობენ ერთადერთი მიზნით – რაც შეიძლება ხანგრძლივად, მყარად შეინარჩუნონ, გაიმჯობესონ პოზიციები. შედეგად, დამოუკიდებლობის მისაღწევად გათვალისწინებულ საკანონმდებლო ბერკეტებს ამავე მიზნის საწინააღმდეგოდ იყენებენ – სისტემაში უშვებენ, აწინაურებენ, აძლიერებენ მათ, ვინც სასამართლოში არსებულ ვითარებას მინიმალურადაც ვერ „შეუქმნის საფრთხეს“.

ამის მკაფიო მაგალითია, საკანონმდებლო რეფორმების რამდენიმე ტალღის შედეგად, სწორედ იმ მოსამართლეების (მათი აბსოლუტური უმრავლესობის) უვადოდ განწესება ან/და დაწინაურება (ნაცვლად უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ მათი სისტემიდან გაშვებისა), რომლებმაც სასამართლო ხელისუფლებას ყველაზე დიდი რეპუტაციული ზიანი მიაყენეს.

ხელისუფლების რეალური ზრახვების ლუსტრაცია მოხდა ასევე, როდესაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე განწესების ახალი წესის გამოყენების შედეგად (რომელიც განსაკუთრებით საქართველოს პარლამენტში და ნაწილობრივ იუსტიციის უმაღლეს საბჭოშიც გამჭვირვალედ მიმდინარეობდა იმ თვალსაზრისით, რომ ყველა

მსურველს ჰქონდა კანდიდატებთან გასაუბრების თვალყურის მიდევნების შესაძლებლობა), თანამდებობაზე განწესდნენ პირები, რომლებმაც საზოგადოებას თავი დაამახსოვრეს სწორედ ხელისუფლების მამებელი გადაწყვეტილებების მიღებით, მეტიც, ისეთებიც, რომლებმაც მინიმალურადაც ვერ დააკმაყოფილეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათ შორის, არ ჰქონდათ სათანადო იურიდიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი.

დასანანია, რომ სასამართლოს „დამოუკიდებელი მოსამართლეებით“ დაკომპლექტებაში წვლილი საკონსტიტუციო სასამართლომაც შეიტანა. მიუხედავად იმისა, რომ შეეძლო, სულ მცირე, ხელი შეეშალა ამ პროცესისთვის და მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის გაეხსნა კარი, მან არ გამოიყენა ეს შესაძლებლობა, ვერ გაიაზრა საკუთარი კონსტიტუციური ვალდებულება. გასაკვირიც არ არის – სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლე თავად უნდა იყოს დამოუკიდებელი. სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ თავის დროზე (2016 წელს) საკუთარი დამოუკიდებლობაც არ დაიცვა მოსამართლეთა ნაწილის ძალისხმევით, რომლებმაც პოლიტიკურ ხელისუფლებასთან მჭიდრო კოორდინაციით, პროფესიული ღირსება და ინსტიტუტის დამოუკიდებლობა საკუთარ კეთილდღეობაზე და კონკრეტულ თანამდებობებზე (საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეობაზე, მოადგილეობაზე, სხვა ადმინისტრაციულ პოზიციაზე, ასევე საერთო სასამართლოების სისტემაში უვადო მოსამართლეობაზე და უმაღლეს თანამდებობებზე) გადაახურდავეს.

საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გასაჩივრებული იყო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის რიგი ნორმები⁸⁷³, რომლებიც განსაზღვრავდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის წესს. კერძოდ, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ფარულად უყრიდა კენჭს საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატებს. აღნიშნული კენჭისყრა იმართებოდა რამდენიმე ეტაპად, კანდიდატების გამოცხადებული ვაკანსიის რაოდენობამდე დაყვანის, შერჩევისა და სა-

873 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-7 პუნქტის პირველი წინადადების სიტყვები: „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ... თავის მიერ განსაზღვრული პროცედურით ატარებს ფარულ კენჭისყრას კანდიდატის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის თაობაზე“, მე-2 და მე-10 წინადადებები, ამავე მუხლის მე-12 პუნქტის პირველი და მე-3 წინადადებები, მე-13 პუნქტის მე-2 წინადადება და მე-15 პუნქტის პირველი, მე-3 და მე-4 წინადადებები.

ბოლოოდ წარდგენის მიზნით. კანდიდატების შერჩევის დაწყებიდან 3 კვირის განმავლობაში პროცედურაში მონაწილეობის მსურველი პირები წარადგენდნენ განცხადებასა და დოკუმენტებს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას პირის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ, თუ ის დააკმაყოფილებდა მოსამართლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და სრულყოფილად ექნებოდა წარდგენილი განცხადება და თანდართული დოკუმენტები. რეგისტრაციის პროცედურის დასრულებისთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვებგვერდზე აქვეყნებდა განმცხადებელთა სიას, ავტობიოგრაფიებს და ინფორმაციას კანდიდატად მათი რეგისტრაციის შესახებ. კანდიდატების შერჩევის მომდევნო პროცედურა ითვალისწინებდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატის შემდგომ ეტაპზე გადაყვანის მიზნით, ფარული კენჭისყრის ჩატარებას. ამ ეტაპზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატის კვალიფიკაციის შეფასებას ახდენდნენ წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე საბჭოს თითოეული წევრი ბიულეტენში ფარულად შემოხაზავდა არა უმეტეს იმ რაოდენობის კანდიდატს, რამდენი ვაკანსიაც იყო გამოცხადებული. აღნიშნულ ეტაპზე შეირჩეოდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის გამოცხადებულ ვაკანსიაზე 3-ჯერ ან 2,5-ჯერ მეტი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. თუ მათი რაოდენობა შემდგომ ეტაპზე გადასაყვანთა კვოტაზე ნაკლები ან მისი ტოლი აღმოჩნდებოდა, ეს კანდიდატები შერჩევის შემდგომ ეტაპზე კენჭისყრის გარეშე გადავიდოდნენ. კანდიდატის შეფასების მომდევნო ეტაპს წინ უძღოდა საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ წინასწარ მოძიებული ინფორმაციის გაცნობა და კანდიდატების ინდივიდუალური წარდგენა ინტერვიუზე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს უფლება ჰქონდათ, კითხვები დაესვათ თითოეული კანდიდატისთვის. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო კანდიდატების მოსმენის დასრულების შემდეგ ფარულად უყრიდა კენჭს კანდიდატებს, გამოცხადებული ვაკანსიის რაოდენობამდე მათი დაყვანის მიზნით. შემდგომ ეტაპზე გადადიოდა საუკეთესო შედეგის მქონე იმ რაოდენობის კანდიდატი, რამდენი ვაკანსიაც იყო გამოცხადებული. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენას სათითაოდ ეყრებოდა კენჭი. კანდიდატი წარდგენილად ჩაითვლებოდა, თუ მას საბჭოს ღია სხდომაზე, ფარული კენჭისყრით, მხარს დაუჭერდა საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი.

საქართველოს სახალხო დამცველის მტკიცებით, კანონმდებლის მიერ განსაზღვრული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის სისტემა ვერ უზრუნველყოფდა შერჩევის სამართლიანი პროცედურებით განხორციელებას და იმ კანდიდატებს, რომლებიც აკმაყოფილებდნენ შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, გაუმართლებლად უზღუდავდა შესაძლებლობას, საკუთარი პროფესიული თუ სხვა პიროვნული უპირატესობების შესაბამისად ყოფილიყვნენ შერჩეულნი საქართველოს პარლამენტის წინაშე წარსადგენად. სადავო ნორმებით დადგენილი სისტემა შესაძლებელს ხდიდა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ შერჩევის პროცესი წარმართულიყო თვითნებურად, კანდიდატთა უფლებების დარღვევის გზით. კერძოდ, სადავო ნორმები, რომლებიც ფარულ კენჭისყრას ითვალისწინებდა, არ მოითხოვდა მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო გადაწყვეტილების მიღების პროცესში შებოჭილი არ იყო ისეთი კრიტერიუმებით, როგორებიცაა კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. გარდა ამისა, სადავო ნორმებით დაცული არ იყო კანდიდატის უფლება, საუკეთესოობის შემთხვევაში დაეკავებინა საჯარო თანამდებობა. მოსარჩელე დამატებით აღნიშნავდა, რომ გადაწყვეტილების ფარულად მიღებას არ გააჩნდა ეფექტური დამზღვევი მექანიზმები, რომელთა ფარგლებშიც გამოირიცხებოდა საბჭოს წევრთა მიერ ისეთი კანდიდატების შერჩევა, რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ კეთილსინდისიერებისა და კვალიფიციურობის კრიტერიუმებს. ამავე დროს, როგორც ფარულობა, ისე დასაბუთების არარსებობა, გამორიცხავდა საბჭოს წევრთა გადაწყვეტილების თანმიმდევრულობის შემოწმებას, ართულებდა მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და მიკერძოების შემთხვევების გამოვლენის შესაძლებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილებით სადავო ნორმები კონსტიტუციურად ცნო. მოსამართლეთა ნაწილმა, ნაცვლად იმისა, რომ კონსტიტუციის მიზნობრივი განმარტების გზით, სწორი, მყარი და ხელისუფლებისთვის შეუქცევადად მავალელებელი ფუნდამენტი შეექმნა დამოუკიდებელი და კვალიფიციური სასამართლოს უზრუნველყოფის რთულ გზაზე, უკვე მერამდენედ უერთგულა კარგად ნაცად, კონსტიტუციის მექანიკური განმარტების ხელოვნურ რუტინას. ამ უსარგებლო შრომაში სასამართლომ მის მიერვე თვისებრივად მსგავს საკითხზე ორიოდ წლით ადრე გამოტანილი გადაწყვეტილებით⁸⁷⁴

874 იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი*

დადგენილი სტანდარტებიც არად ჩააგდო. თუმცა, რა გასაკვირია, როდესაც მან აღნიშნული სტანდარტები იმავე გადაწყვეტილებით უგულვებელყო, რომლითაც დაადგინა: საკითხი მაშინაც ეხებოდა რა სასამართლოს დამოუკიდებლობის პრობლემებს, საკონსტიტუციო სასამართლო შემოიფარგლა სამართლებრივად სწორი, კონსტიტუციის შესაბამისი სტანდარტების მხოლოდ განმარტებით, მაგრამ იქვე მიაგნო ფორმალურ, ამასთან ფუნდამენტურად მცდარ გზას ამ სტანდარტების პრაქტიკული გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

ყურადღებას გავამახვილებთ 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილების მთავარ პრობლემებზე:

1. სასამართლომ დაადგინა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება დასაბუთებას და შემდგომ სასამართლოს მიერ მისი კანონიერების შემოწმებას არ საჭიროებს. ასეთი მიდგომა გაამართლა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსაკუთრებული კონსტიტუციური სტატუსით და მისი წევრების დამოუკიდებლობის გარანტიებით, რაც სასამართლოს აზრით, საკმარისი საფუძველია დასკვნისთვის, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება, დასაბუთების გარეშეც სწორი იქნება⁸⁷⁵.

ამის პასუხად, სრულად გასაზიარებელია ამავე გადაწყვეტილებაზე განსხვავებული აზრის ავტორთა მოსაზრება: „არ არსებობს პირდაპირი კორელაცია კონსტიტუციური ორგანოს ან მისი წევრების დამოუკიდებლობის მაღალ გარანტიებსა და მისი გადაწყვეტილების მიღების წესს, გადაწყვეტილების დასაბუთებულობის მოთხოვნას შორის. ... რაც უფრო დიდია ამა თუ იმ ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გავლენა ადამიანის უფლებებსა და ქვეყნის სამართლებრივ სისტემაზე, მით უფრო იზრდება მისი გადაწყვეტილების დასაბუთების მნიშვნელობა“⁸⁷⁶. „გადაწყვეტილების დასაბუთების გარეშე მიღების უფლებამოსილება ფაქტობრივად მის მიზანშეწონილობაზე, სურვილზე დაყრდნობით მიღებას უთანაბრდება. მსგავს შესაძლებლობას კი ... კონსტიტუცია მხოლოდ პოლიტიკურ ხელისუფლებას ხალხის მიერ უშუალო კონტროლის განხორციელების

დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

875 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 49.

876 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – თეიმურაზ ტულუშის, ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, პ. 13.

პირობით ანიჭებს. ... იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობაზე ხალხის კონტროლის კონსტიტუციური მექანიზმები უაღრესად შეზღუდულია. შესაბამისად, დემოკრატიის პრინციპი მოითხოვს, რომ ხსენებულმა ორგანომ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებები მიიღოს სამართლის საფუძველზე და არა მიზანშეწონილობაზე დაყრდნობით⁸⁷⁷.

როგორც აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილებაში უკვე დადგენილი ჰქონდა, რომ „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია საბჭოს წევრების მიერ უკანონო, თვითნებური ან/და მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღების პრევენციისათვის. პირის პროფესიული დანიშვნისას, როდესაც გადაწყვეტილება თანამდებობაზე განწესების შესახებ არ წარმოადგენს პოლიტიკური პროცესის შემადგენელ ნაწილს, გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულების არარსებობა ქმნის უფლებამოსილების არაჯეროვნად განხორციელების საფრთხეს, მოსამართლეობის კანდიდატს ართმევს სამართლიანი სასამართლოს უფლებით ეფექტიანად სარგებლობის შესაძლებლობას, ართულებს და ცალკეულ შემთხვევებში შეუძლებელს ხდის მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებას სასამართლოს მიერ. ... ამასთანავე, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების არსებობის პირობებში, კანდიდატი მოკლებულია შესაძლებლობას, გამოასწოროს საკუთარი ხარვეზები, რადგან არ იცის, რის გამო ეთქვა უარი მოსამართლის თანამდებობაზე განწესებაზე და რა უნდა მოიმოქმედოს შემდგომ კონკურსზე წარმატების მისაღწევად⁸⁷⁸. ამასთან, სასამართლოს განმარტებით, „საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია დასაბუთების მოთხოვნა არა მხოლოდ ფორმალურად განწესების აქტთან დაკავშირებით, არამედ – დასაბუთებულობა უკავშირდება თანამდებობის განწესების მთელ პროცესს (როგორ წარიმართა ეს პროცესი და რამ განაპირობა ამა თუ იმ კანდიდატის დანიშვნა ან დანიშვნაზე უარის თქმა). ეს კი პირველ რიგში გულისხმობს შეფასების როგორც კრიტერიუმების, ასევე მთლიანად შეფასების სისტემის ობიექტურ კრიტერიუმებზე მაქსიმალურად აგებას და სუბიექტური კრიტერიუმების მინიმუმამდე დაყვანას⁸⁷⁹.

877 იქვე, პ. 21-22.

878 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები მთვარისა კველიშვილი, ნაზი დოთიაშვილი და მარინა გლოველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 21.

879 იქვე, II, 31.

2. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის სამივე ეტაპზე იძლეოდა საუკეთესო კანდიდატების შერჩევის შესაძლებლობას.

საკმარისია, ამ შემთხვევაშიც შემოვიფარგლოთ განსხვავებული აზრიდან რამდენიმე ამონარიდით, რომლებიც დამაჯერებლად აჩვენებს გასაჩივრებული პროცედურების უსამართლობას და უუნარობას, ქვეყანა უზრუნველყოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენტური და კეთილსინდისიერი მოსამართლეებით.

კერძოდ, შერჩევის პირველ ეტაპთან დაკავშირებით, მოსამართლეებმა აღნიშნეს: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები რეგისტრირებულ პირთა შესახებ გადაწყვეტილებას იღებდნენ მხოლოდ კანდიდატის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე. შერჩევის ამ ეტაპზე საბჭო არ ახდენდა დამატებითი ინფორმაციის მოპოვებას⁸⁸⁰. მოსამართლის თანამდებობაზე პირის განწესება კონსტიტუციით პირობადებულია კეთილსინდისიერების და კვალიფიციურობის კრიტერიუმებით, ამასთან, ეს მახასიათებლები მრავალი ობიექტური და სუბიექტური ელემენტისაგან შედგება და თითოეული მათგანის შეფასება, რიგ შემთხვევებში, სხვადასხვა სახის ინფორმაციაზე დამოკიდებული, რაც გარდაუვლად მოითხოვს ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის დამუშავებას და გამოკვლევას⁸⁸¹. ეს კი შეუძლებელი იყო მხოლოდ კანდიდატთა მიერ წარდგენილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. ასევე, გასათვალისწინებელი იყო, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისთვის ჰქონდა კანდიდატების რეგისტრაციიდან 5 სამუშაო დღე. კანდიდატების შერჩევა ხდებოდა მხოლოდ დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე და არ იყო გათვალისწინებული მათთან გასაუბრება ან რაიმე სხვა მეთოდი, რომელიც საბჭოს წევრებს შესაძლებლობას მისცემდა, შეეფასებინათ კანდიდატების პროფესიული და პიროვნული თვისებები. განსხვავებული აზრის ავტორთა შეფასებით: „ფაქტობრივად შეუძლებელია ასეთ შემჭიდროებულ 5-დღიან ვადაში, მხოლოდ დოკუმენტაციის შესწავლის გზით, სრულფასოვნად შეფასდეს მოსამართლეობის კანდიდატების (რომელთა რიცხვი შესაძლოა რამდენიმე

880 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – თეიმურაზ ტულუშის, ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩხილაძის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, პ. 42.

881 იქვე, პ. 43.

მე ასეულიც კი იყოს) პიროვნული და პროფესიული თვისებები. ამრიგად, გადაწყვეტილების მიღების ვადა და კანდიდატების შეფასების ფორმატი ობიექტურად გამორიცხავს ამ ეტაპზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ მოსამართლეობის კანდიდატების სრულფასოვნად შეფასებას. ... ამავდროულად, ... პროცედურა არ იძლევა შესაძლებლობას, რომ რაიმე ფორმით დასაბუთდეს მათი გადაწყვეტილება. კერძოდ, გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, ისე, რომ საზოგადოებას არანაირი მონაცემი არ აქვს იმის თაობაზე, თუ როგორ მივიდა იუსტიციის უმაღლესი საბჭო ასეთ გადაწყვეტილებამდე და რატომ მიანიჭა მოსამართლეობის ცალკეულ კანდიდატებს უპირატესობა⁸⁸². „ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პირველ ეტაპზე არსებული პროცედურის გათვალისწინებით იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს გააზრებული გადაწყვეტილება კანდიდატების კეთილსინდისიერების და კომპეტენტურობის კრიტერიუმებით სრულფასოვნად შერჩევის საფუძველზე. ამასთანავე, გადაწყვეტილების დასაბუთებულობის მოთხოვნის არარსებობა და პროცედურა, საერთო ჯამში, იწვევს საზოგადოების უნდობლობას, ვინაიდან საზოგადოების წევრებისათვის, ერთი მხრივ, გასაგებია, რომ პროცედურა ობიექტურად არ იძლევა კანდიდატების სათანადოდ შეფასების შესაძლებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, არ არის ახსნილი, როგორ მივიდა იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესაბამის გადაწყვეტილებამდე, რა კრიტერიუმებით და არგუმენტაციით შეარჩია ან დაიწუნა ესა თუ ის კანდიდატი⁸⁸³.

რაც შეეხება სადავო ნორმებით გათვალისწინებულ მეორე და მესამე კენჭისყრის ეტაპებს, განსხვავებული აზრის ავტორთა შეფასებით: „ქულებით შეფასების შემდგომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო კანდიდატებს არჩევს ფარული კენჭისყრით ისე, რომ არ დგინდება კავშირი კანდიდატის მიერ მიღებულ ქულებსა და საბჭოს გადაწყვეტილებას შორის. ასევე არ არის საზოგადოებისთვის ცნობილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რომელმაც წევრმა დაუჭირა ამა თუ იმ კანდიდატს მხარი და რა ქულით ჰყავდა მას ეს კანდიდატი შეფასებული. უფრო მეტიც, არ გამოირიცხება მაღალი ქულების მქონე კანდიდატებმა ვერ მიიღონ საბჭოს მხარდაჭერა და – პირიქით – შემდეგ ეტაპზე გადავიდნენ შედარებით დაბალქულიანი კანდიდატები. ამგვარი პროცედურა უნდობლობას იწვევს საზოგადოებაში, ვინაიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატთა ფარული

882 იქვე, პ. 95-96.

883 იქვე, პ. 98.

კენჭისყრის შეფასების ქულებთან კავშირის არარსებობის და სრული დაუსაბუთებლობის პირობებში საზოგადოებას არ აქვს ინფორმაცია, რა არგუმენტაციით, რომელ პიროვნულ/პროფესიულ მახასიათებელზე მითითებით იქნა შერჩეული ან დაწუნებული ესა თუ ის კანდიდატი⁸⁸⁴.

საბოლოოდ მოსამართლეებმა აღნიშნეს: „სადავო ნორმების საფუძველზე მიღებულ გადაწყვეტილებას არც დასაბუთება მოეთხოვება, არც გადაწყვეტილების მიღების ობიექტური საფუძვლების გაგებაა შესაძლებელი და უცნობია თავად გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის ვინაობაც. მსგავსი მოწესრიგება შეიცავს მნიშვნელოვან საფრთხეებს, რომ გადაწყვეტილება ეფუძნებოდეს არარელევანტურ, არასათანადო კრიტერიუმებსა და მოტივებს, ნაკარნახევი იყოს პოლიტიკური გავლენებით, ნეპოტიზმით, პატრონაჟით, ფავორიტიზმით, თვითდაინტერესებით, კორპორატივიზმით, კორუფციით ან თუნდაც კანდიდატების არასწორი შეფასებით. ამდენად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის სადავო ნორმებით დადგენილი წესი ვერ უზრუნველყოფს აღნიშნულ პროცესში მონაწილე კანდიდატებისათვის თანაბარი შესაძლებლობების გარანტირებასა და ხელოვნური უპირატესობებისა თუ შეღავათების გამორიცხვას. ამავდროულად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნულ პროცესში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან ადგილი არ აქვს საკუთარი უფლებამოსილებების არასათანადოდ გამოყენებას, არ გამოირიცხება მოსამართლეობის კანდიდატების შესაძლებლობების შეფასებისას შეცდომების დაშვების შესაძლებლობაც. ... ამგვარ პირობებში გამოირიცხება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში მონაწილე წარუმატებელი კანდიდატის შესაძლებლობა, დაიცვას თავი, ერთი მხრივ, გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის მიკერძოებისაგან, არასამართლიანი, არაკანონიერი გადაწყვეტილებისაგან, მეორე მხრივ კი, მისი კანდიდატურის არსებულ პოზიციასთან შესაბამისობის დადგენის პროცესში დაშვებული შეცდომებისაგან⁸⁸⁵.

3. დამატებით პრობლემას წარმოადგენდა კენჭისყრის ფარულობა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ზოგადად, ფარული კენჭისყრა ემსახურება ისეთ მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს, როგორცაა გადაწყვეტილების მიმღები პირის/ორგანოს დაცვა გარეგანი ჩარევებისა და ზემოქმედებისაგან, მესამე პირების კონტროლისა თუ ზეწოლისგან. ფარული კენჭისყრა ქმნის გარანტიას, გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს დამოუკიდებლად, ნების აბსოლუტურად თავისუფლად გა-

884 იქვე, პ. 103.

885 იქვე, პ. 56-57.

მოვლენის საფუძველზე და მნიშვნელოვნად აზღვევს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს მათ წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებებისგან⁸⁸⁶.

ამის საპირისპიროდ განსხვავებული აზრის ავტორებმა აღნიშნეს: „გადაწყვეტილების საჯარო მიღება გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. გადაწყვეტილების ფარული კენჭისყრით მიღება კი მნიშვნელოვნად ამცირებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების ანგარიშვალდებულების ხარისხს. ამდენად, ფარული კენჭისყრის გამართლებას სჭირდება არგუმენტები, რომელიც მიუთითებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნებაზე, გარე ზემოქმედების ისეთ საფრთხეებზე, რომლებიც ღია კენჭისყრის პირობებში ვერ იქნება თავიდან აცილებული“⁸⁸⁷. „კანდიდატთა შერჩევის არსებული მოდელის პირობებში კენჭისყრის ფარულობა ფაქტობრივად გამორიცხავს მის მინიმალურ დასაბუთებულობასაც კი. კანდიდატთა შეფასება კეთდება არა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, როგორც კოლეგიური ორგანოს, არამედ მისი თითოეული წევრის მიერ. შესაბამისად, ამ მოდელში გადაწყვეტილების დასაბუთება უკავშირდება საბჭოს წევრის მიერ კანდიდატთა სათანადოდ შეფასებასა და ხმის მიცემას შეფასების შედეგების მიხედვით. ფარული კენჭისყრის პირობებში კი უცნობია, რომელმა წევრმა რომელ კანდიდატს მისცა ხმა. შესაბამისად, თეორიულადაც კი შეუძლებელია, განისაზღვროს კანდიდატთა რომელ შეფასებას დაეფუძნა საბჭო, როგორც კოლეგიური ორგანო ან/და მისი წევრები, არ იკვეთება ბმა გაკეთებულ შეფასებებსა და კენჭისყრის შედეგად მიცემულ ხმებს შორის“⁸⁸⁸.

სადავო ნორმებზე დაყრდნობით უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცესმაც უტყუარად დაადასტურა, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე პროცედურა არ შეიცავდა გარანტიებს, რომელიც საბჭოს წევრების თვითნებობისა და მიუკერძოებლობისაგან დაიცავდა შერჩევაში მონაწილე კანდიდატებს, რაზეც პირდაპირ მიუთითა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (ODIHR), რომელიც მოსამართლეთა შერჩევის პროცესში

886 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 51.

887 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – თეიმურაზ ტულუშის, ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძის და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, პ. 60.

888 იქვე, პ. 62.

აქტიურ მონიტორინგს ახორციელებდა და საკუთარი სადამკვირვებლო მისიის მიერ მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, წარმოადგინა საბოლოო შეფასებები როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებული შერჩევის პროცედურის,⁸⁸⁹ ისე პარლამენტში მიმდინარე პროცედურების შესახებ⁸⁹⁰.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან, მათ შორის, სადავო ნორმებთან დაკავშირებით, საკუთარი დასკვნა და რეკომენდაციები წარმოადგინა ვენეციის კომისიამ.⁸⁹¹ კრიტიკული იყო მისი შეფასებები სწორედ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კენჭისყრის ფარულობასა და შესაბამისი დასაბუთების ვალდებულების არარსებობასთან დაკავშირებით. ვენეციის კომისია კანონმდებელს ფარული კენჭისყრის სრულად გაუქმებისკენ მოუწოდებდა.

მართალია, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის/წარდგენის წესში 2020-2021 წლებში ორჯერ განხორციელდა ცვლილებები, რომლებმაც გაითვალისწინა გადაწყვეტილების დასაბუთების, ღია კენჭისყრის ჩატარების და გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობები, თუმცა, ერთი მხრივ, კანონმდებლობა მაინც ვერ არის საკმარისი პროცესის არაკეთილსინდისიერად წარმართვის გამოსარიცხად, ხოლო, მეორე მხრივ, პროცესის მონაწილე აქტორები – საქართველოს პარლამენტი და იუსტიციის უმაღლესი საბჭო მათი ქმედებებით და სასამართლო ხელისუფლებისადმი მკაფიოდ ლუსტრირებული დამოკიდებულებით, არ ტოვებენ მიზეზს თუნდაც მცირედი იმედისთვის, რომ უზენაეს სასამართლოში განაწესებენ რეალურად დამოუკიდებელ, კეთილსინდისიერ და კვალიფიციურ მოსამართლეებს.

889 ეუთოს/ODIHR საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის პირველი ეტაპის ანგარიში; ივნისი-სექტემბერი; 2019 წელი (ანგარიშის ინგლისური და ქართული ვერსიები ხელმისაწვდომია ელ. მისამართზე: <https://www.osce.org/odihr/429488>.

890 ეუთოს/ODIHR საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მეორე ანგარიში; ივნისი-დეკემბერი; 2019 წელი (ანგარიშის ინგლისური და ქართული ვერსიები ხელმისაწვდომია ელ. მისამართზე: <http://www.osce.org/odihr/443494>.

891 ვენეციის კომისიის 2019 წლის 24 ივნისის საგანგებო მოსაზრება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევასა და დანიშვნასთან დაკავშირებით; მიღებულ იქნა ვენეციის კომისიის 119-ე პლენარულ სესიაზე; 21-22 ივნისი, 2019 წელი; (CDL-AD(2019)009); ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2019\)009-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2019)009-e).

სასამართლოს მიუკერძოებლობა

საქმის დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ განხილვა მოითხოვს/ მოიცავს სასამართლოს მიუკერძოებლობას. ორივე კომპონენტი კუმულაციას ემსახურება მთავარ მიზანს – ყოველ საქმეზე შედგეს სამართლიანი მართლმსაჯულება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „სამართლიან სასამართლოზე უფლების ხელმისაწვდომობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სასამართლოს მიუკერძოებლობა. ზოგადად, სასამართლოს მიუკერძოებლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში და ზუსტად ეს კრიტერიუმია გადაწყვეტი სასამართლო ხელისუფლების მიერ საზოგადოებაში ნდობის მოსაპოვებლად“⁸⁹².

მოსამართლის მიუკერძოებლობა ნიშნავს საქმისადმი წინასწარი დაინტერესებისა და ტენდენციურობის გამორიცხვას⁸⁹³, შესაბამისად, გულისხმობს მის აბსოლუტურ ნეიტრალურობას განსახილველი საქმის მიმართ და საკითხის გადაწყვეტას წინასწარი განწყობის გარეშე, მხოლოდ კონსტიტუციისა და კანონის საფუძველზე. მოსამართლე არა მხოლოდ მიუკერძოებელი უნდა იყოს, არამედ ასე გამოიყურებოდეს და აღიქმებოდეს მხარეების და საზოგადოების მიერ.

ზოგადად, მოქმედებს მოსამართლის მიუკერძოებლობის პრეზუმფიცია, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება. ასეთი დაშვება მოსამართლის, როგორც ინსტიტუციურად ნეიტრალური არბიტრის, სტატუსიდან გამომდინარეობს. მაშასადამე, ივარაუდება, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით განწესებული მოსამართლე არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, ვიდრე დამაჯერებლად დადასტურებადი არ იქნება გარემოებები, რომლებიც მის მიკერძოებულობაზე შეიძლება მიუთითებდეს. ამ დროს ასევე სკრუპულოზურ შესწავლას საჭიროებს საკითხი, ხომ არ არსებობს მოსამართლის ქცევისგან დამოუკიდებელი უდავო ფაქტები, რომლებმაც შესაძლოა გააძლიეროს საზოგადოების აზრი/აღქმა მისი მიკერძოებულობის შესახებ.

მიუკერძოებლობის არარსებობა მნიშვნელოვნად ამცირებს ან ხშირად გამორიცხავს სწორი, სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. ასეთი რისკებისგან მართლმსაჯულების დაზღვევას, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის განმტკიცებასა

892 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/393,397 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ონისე მეზონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2.

893 *Micallef v. Malta*, app. №17056/06, (ECtHR, 15.10.2009), §93.

და სასამართლოს სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის შენარჩუნებას ემსახურება მოსამართლის აცილების (მათ შორის, თვითაცილების) ინსტიტუტი. სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მიხედვით⁸⁹⁴, მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას არ შესწევს უნარი, საქმე განიხილოს მიუკერძოებლად ან როდესაც გონიერ დამკვირვებელს შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ მოსამართლეს არ შესწევს საქმის მიუკერძოებლად განხილვის უნარი (2.5).

მოსამართლის მიუკერძოებლობის შეფასება ხდება სუბიექტური და ობიექტური ტესტით. სუბიექტური ტესტით შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული მოსამართლის პიროვნულ ქცევასა და მრწამსს, ხომ არ აქვს წინასწარ ჩამოყალიბებული მოსაზრება/პოზიცია, შესაბამისად, პირადი დაინტერესება და მიკერძოება განსახილველი საქმის მიმართ⁸⁹⁵. ობიექტური ტესტით შეფასებისას უნდა გაირკვეს, რამდენად ქმნის სასამართლო და მისი შემადგენლობა (მოსამართლეები) საკმარის გარანტიას იმისათვის, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი მის მიკერძოებასთან მიმართებით.⁸⁹⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ობიექტური ტესტით მოსამართლის მიუკერძოებლობის შეფასებისას, სწავლობს, არსებობს თუ არა ფაქტი, რომელიც მოსამართლის/სასამართლოს მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ეჭვებს წარმოშობს, ამასთანავე ადგენს, მოსამართლემ წარმოადგინა თუ არა საკმარისი გარანტიები, რათა გამოერიცხა ყოველგვარი ლეგიტიმური ეჭვი მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით⁸⁹⁷. ობიექტური მიუკერძოებლობის დასადგენად განმცხადებლის ვარაუდი მიკერძოების შესახებ მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი. მთავარია, შესაძლებელია თუ არა აღნიშნული ეჭვის ობიექტურად გამართლება⁸⁹⁸. ამდენად, სუბიექტური ტესტით შეფასებისას, შესწავლის ობიექტია თავად სასამართლოს/მოსამართლის ქცევა და საქმისადმი პირადი დაინტერესების, ტენდენციურობის არსებობა, ხომ არ მოქმედებდა ის პირადი მოტივაციით და წინასწარი განწყობით რომელი-

894 ბანგალორის 2001 წლის სამოსამართლო ქცევის კოდექსი, მიღებული სასამართლო ხელისუფლების შეუვალობის განმამტკიცებელი სასამართლო ჯგუფის მიერ, განხილული უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეთა მრგვალ მაგიდაზე, რომელიც გაიმართა ჰააგაში, მშვიდობის სასახლეში, 2002 წლის 25-26 ნოემბერს.

895 *Micallef v. Malta*, app. №17056/06, (ECtHR, 15.10.2009).

896 *Piersack v. Belgium*, app. №8692/79, (ECtHR, 01.10.1982), §30.

897 *Micallef v. Malta*, app. №17056/06, (ECtHR, 15.10.2009).

898 *Ferrantelli and Santangelo v. Italy*, app. №19874/92, (ECtHR, 07.08.1996), §58; *Padovani v. Italy*, app. №13396/87, (ECHR, 26.12.1993), §27.

მე მხარის და საქმის შედეგის მიმართ. ხოლო ობიექტური ტესტით მოწმდება არა მოსამართლის ქცევის მოტივაცია, არამედ პოტენციური გარე ფაქტორები, რომლებმაც შესაძლოა გააჩინონ ობიექტური ეჭვი მოსამართლის მიკერძოებულობის თაობაზე. ამ დროს მნიშვნელოვანია, მიიღო თუ არა სასამართლომ/მოსამართლემ ყველა სათანადო ზომა ამ ეჭვების დამაჯერებლად გასაქარწყლებლად.

კონკრეტულ საქმეზე მოსამართლის მიუკერძოებლობის დადგენისთვის შესწავლილ უნდა იქნეს მისი ურთიერთობა მხარეებთან, არსებობს თუ არა მოსამართლესა და სამართალწარმოების რომელიმე პირს შორის იერარქიული ან სხვა კავშირები. ამასთან, მისი ქმედება შეფასებულ უნდა იქნეს არა იზოლირებულად, არამედ მთლიან კონტექსტში. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს ასეთი კავშირის ხასიათი და ზეგავლენის მოცულობა⁸⁹⁹. სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების მიხედვით, „მოსამართლემ ... თავი უნდა აარიდოს ისეთ სიტუაციებს, რომლებიც წარმოშობენ გონივრულ ეჭვს ან ქმნიან ფავორიტიზმის ან მიკერძოების შთაბეჭდილებას (4.3.)“; „მოსამართლემ არ უნდა დაუშვას, რომ მისმა ოჯახურმა, სოციალურმა ან სხვა ურთიერთობებმა არაჯეროვანი ზეგავლენა მოახდინოს მოსამართლის ქცევაზე ან სამოსამართლო გადაწყვეტილებაზე“ (4.8.); მაგალითად, ობიექტური მიუკერძოებლობა დარღვეულია, თუ მოსამართლის ოჯახური კავშირები (მშობლებთან, შვილებთან, მეუღლესთან...) არ მიიჩნევა მიკერძოების საფუძვლად⁹⁰⁰.

მოსამართლე ვერ ჩაითვლება მიუკერძოებლად, თუ იმავე საქმესთან მას შემხებლობა ჰქონდა, როგორც ბრალმდებელს⁹⁰¹; თუ მის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილება შეიცავს დასკვნებს, რომლებიც განსახილველ საქმეზე ბრალდებულის ბრალეულობას განაპირობებს. ფაქტი, რომ მოსამართლეს მსგავს საქმეზე (რომელიც არ არის დაკავშირებული განსახილველ საქმესთან) აქვს გამოტანილი გადაწყვეტილება ან მან ცალკე სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში გამოიტანა გადაწყვეტილება თანაბრალდებულის საქმეზე, არ არის თვითკმარი საფუძველი მისი მიკერძოებულობის მტკიცებისთვის⁹⁰². თუმცა, თუ მოსამართლის მიერ ადრე განხილული/გადაწყვეტილი საქმის მიხედვით ნათელი ხდება პოტენციურად მიკერძოებული დამოკიდებულება მიმდინარე/განსახილველი საქმის მიმართ, მაშინ ეჭვები მიკერძოებაზე შეიძლება საფუძვლიანი

899 *Pullar v. the United Kingdom*, app. №22399/93, (ECtHR, 10.06.1996), §38.

900 *Micallef v. Malta*, app. №17056/06, (ECtHR, 15.10.2009), §100.

901 *Piersack v. Belgium*, app. №8692/79, (ECtHR, 01.10.1982), §30.

902 *Khodorkovskiy and Lebedev v. Russia*, app. №11082/06; 13772/05 (ECtHR, 25.07.2013), §544.

იყოს⁹⁰³. მიუკერძოებლობა დაირღვევა ასევე, თუ სააპელაციო წესით საქმეს განიხილავს მოსამართლე, რომელმაც იგივე საქმე განიხილა პირველი ინსტანციით⁹⁰⁴.

უმნიშვნელოვანესია მოსამართლის აცილების/თვითაცილების შესაბამისი საფუძვლებისა და გამჭვირვალე პროცედურების გაწერა ეროვნული კანონმდებლობით. ერთი მხრივ, მხარეებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მოახდინონ რისკების მინიმალიზება, რათა მათი საქმე არ განიხილოს დაინტერესებულმა, მიკერძოებულმა მოსამართლემ, ხოლო, მეორე მხრივ, თავად სასამართლოს/მოსამართლეს უნდა შეეძლოს, დააყენოს თვითაცილების საკითხი, თუკი აქვს ეჭვი, რომ ვერ იქნება ობიექტური, ან მკაფიოდ ლუსტრირებულია საზოგადოების აღქმა მისი შესაძლო მიკერძოების თაობაზე. ასეთი წესების არსებობა განჭვრეტადს ხდის ხელისუფლების სურვილს და მიზანს, უზრუნველყოს სასამართლოს/მოსამართლის მიკერძოებაში ნებისმიერი ეჭვის გაქარწყლება.

ბუნებრივია, რომელიმე მხარის მიერ მოსამართლის აცილების საკითხის დაყენება არ შეიძლება იყოს თვითკმარი მისი აცილების სავალდებულობისთვის. თავისთავად ეჭვის გაჟღერება და სამართლებრივად დასაბუთების მცდელობა საკმარისი რომ ყოფილიყო, აცილების ინსტიტუტი გახდებოდა ერთგვარი იარაღი მხარეთა ხელში, თავიდან აერიდებინათ მათთვის არასასურველი მოსამართლეების მიერ საქმის განხილვა. მაგალითად, ამ თვალსაზრისით, არაგონივრულია გამოირიცხოს ალბათობა, რომ ხელისუფლებამ ხელოვნურად დააყენოს საკითხი მისთვის არასასურველი მოსამართლეების აცილების თაობაზე, მათ შორის, საზოგადოებრივი განწყობის შესაქმნელად ამ მოსამართლეების მიკერძოებულობასთან დაკავშირებით (ეს ალბათობა ერთი ორად იზრდება საკონსტიტუციო სასამართლოში, მის მიერ განსახილველი საქმეების სპეციფიკიდან გამომდინარე). მით უფრო, თუ ხელისუფლებას ეიმედება მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა, რომლებიც არასასურველი მოსამართლის/მოსამართლეების აცილებას მხარს დაუჭერენ. ამ პროცესში მნიშვნელოვანია დასაბუთებული და დამაჯერებელი პასუხი გაეცეს დაინტერესებული პირების შესაძლო მანიპულაციის მცდელობებს, საქმეს ჩამოაცილონ კონკრეტული მოსამართლე/მოსამართლეები. არ უნდა გამოირიცხოს არც თავად მოსამართლის მხრიდან არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება და სურვილი, ხელოვნურად განერიდოს საქმის განხილვას, მის გადაწყ-

903 *Ferrantelli and Santangelo v. Italy*, app. №19874/92, (ECtHR, 07.08.1996); *Poppe v. the Netherlands*, app. №32271/04, (ECtHR, 24.03.2009).

904 *Fazli Aslaner v. Turkey*, app. №36073/04, (ECtHR, 04.03.2014).

ვეტაზე პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით (განსაკუთრებით ეს შეიძლება მოხდეს პოლიტიკურად სენსიტიურ საქმეებზე). ამიტომ, უმნიშვნელოვანესია მოსამართლის აცილების თაობაზე დასახელებული თითოეული საფუძვლის სკრუპულოზურად შესწავლა. როგორც მოსამართლის აცილების, ისე აცილებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება თანაბრად საპასუხისმგებლოა, რადგან ამ გადაწყვეტილების მიმღებთ აკისრიათ ვადლებულება, ერთი მხრივ, არ დაუშვან მოსამართლის უსაფუძვლოდ ჩამოცილება კონკრეტული საქმიდან, ხოლო, მეორე მხრივ, პირიქით – საკითხის არასათანადოდ, არაგულისხმიერად შესწავლის შედეგად, საქმით დაინტერესებულ პირს არ მისცენ ამ საქმის გადაწყვეტის შესაძლებლობა, რადგან ორივე შემთხვევაში დაზარალებდა მთავარი – სწორი გადაწყვეტილების მიღების მიზანი.

7.1.1.2. საქმის სამართლიანი განხილვის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, „საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება უზრუნველყოფილია“.

საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია ასეთ ჩანაწერს არ შეიცავდა. ბუნებრივია, სამართლიანი სასამართლოს უფლების აღიარება თავისთავად გულისხმობს საქმის სამართლიანი განხილვის შესაბამისი გარანტიების აღიარებას. ამის საწინააღმდეგოს დაშვება უფლებას ფიქციად აქცევს. ამ ჩანაწერის არარსებობის პირობებში, საკონსტიტუციო სასამართლოს მცდელობა, საქმის სამართლიანი განხილვის შესაბამისი გარანტიები სათანადო სისრულით ამოეკითხა კონსტიტუციიდან, ძირითადად უკავშირდებოდა დებულების „უფლებათა დასაცავად“ მიზნობრივ განმარტებას. სწორედ ამ დებულებაზე დაფუძნებით განმარტა სამართლიანი სასამართლოს უფლების ძირითადი უფლებრივი კომპონენტები. უფლებების ეფექტურად, სრულყოფილად დაცვა არის სასამართლოსადმი მიმართვის და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის მთავარი მიზეზიც და მიზანიც. ამიტომ, ერთი მხრივ, ადამიანები უნდა იყვნენ აღჭურვილნი საკმარისი, ადეკვატური მექანიზმებით, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს, დაიცვან საკუთარი ინტერესები, გავლენა მოახდინონ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების პერსპექტივაზე, ხოლო, მეორე მხრივ, თავად სასამართლოს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ინსტრუმენტები საიმისოდ, რომ ყოველ საქმეზე შეძლოს სწორი გადაწყვეტილების მიღება. საკონსტიტუციო

სასამართლოს განმარტებით: „სამართლიანი სასამართლოს უფლება არაერთი უფლებრივი კომპონენტისგან შედგება, რომელთა ერთობლიობამაც უნდა უზრუნველყოს ... ადამიანის რეალური შესაძლებლობა, სრულყოფილად და ადეკვატურად დაიცვას, აღიდგინოს საკუთარი უფლებები, ... სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლება-თავისუფლებებში ჩარევისას დაიცვას ადამიანი სახელმწიფოს თვითნებობისაგან. შესაბამისად, სამართლიანი სასამართლოს უფლების თითოეული უფლებრივი კომპონენტის როგორც ფორმალური, ისე მატერიალური შინაარსით საკმარისი პროცედურული უზრუნველყოფა სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულებაა“⁹⁰⁵.

სასამართლომ თითქმის ყველა გადაწყვეტილებაში მიუთითა უფლებრივი კომპონენტების იმ სავალდებულო მინიმუმზე, რომლებზეც ეფუძნება და საკმარისი ხელმისაწვდომობა აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობისთვის. კერძოდ, იმისათვის, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლებამ უზრუნველყოს ადამიანის სრულყოფილი დაცვა, ის უნდა მოიცავდეს შესაძლებლობათა შემდეგ მინიმუმს: „პირის უფლებას, მიმართოს სასამართლოს, მოითხოვოს მისი საქმის სამართლიანი საჯარო მოსმენა, გამოთქვას თავისი მოსაზრებები და დაიცვას თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით, სასამართლო განხილვა მოხდეს გონივრულ, შემჭიდროებულ ვადებში და საქმე განიხილოს დამოუკიდებელმა, მიუკერძოებელმა სასამართლომ“⁹⁰⁶.

სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელობის მიუხედავად, ის არ არის აბსოლუტური და „შეიძლება შეიზღუდოს გარკვეული პირობებით, რაც გამართლებული იქნება დემოკრატიულ საზოგადოებაში ლეგიტიმური საჯარო ინტერესით“⁹⁰⁷. ამასთან, „შეზღუდვები უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს და დაცული უნდა იყოს გონივრული თანაბომიერება დაწესებულ შეზღუდვასა და დასახულ მიზანს შორის. ... ამ პირობების დაცვა აუცილებელია, რადგან შეზღუდვები არ უნდა ამცირებდეს

905 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/4/557,571,576 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 88.

906 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/393,397 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 1.

907 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №1/466 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 15.

პირისათვის ნებადართულ ხელმისაწვდომობას იმ ზღვრამდე, რომ თავად უფლების არსი შეილახოს⁹⁰⁸.

სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვის ეს საფუძვლები თანაბრად ვრცელდება მის უფლებებზე კომპონენტებზე.

7.1.1.2.1. სასამართლოსადმი მიმართვა

სამართლიანი სასამართლოს უფლებაზე ხელმისაწვდომობა, პირველ რიგში, მოიცავს საკუთარი უფლებების/ინტერესების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობას. ამ თვალსაზრისით საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული მკაფიო გარანტიის მიუხედავად, საქართველოს კანონმდებელმა არაერთი ნორმით დაადგინა პირდაპირი აკრძალვები ამა თუ იმ უფლების/კანონიერი ინტერესის დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლიანი სასამართლოს უფლების ფარგლების განმარტება დასჭირდა ამ უფლებასთან შემხებლობის პირველივე საფეხურიდან – სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობიდან⁹⁰⁹. მისი პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტში არაორაზროვნად იკითხება, რომ ადამიანს აქვს უფლება, ყველა/ნებისმიერი უფლების და თავისუფლების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. უფლებით სრულად სარგებლობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი გარანტია სწორედ მისი სასამართლოში დაცვის შესაძლებლობაა. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი „არ ახდენს დიფერენცირებას უფლებებს შორის, არ გამოყოფს გარკვეულ კატეგორიას უფლებებისა, რომელთა დაცვა შეიძლება სასამართლოში და არ აძლევს კანონმდებელს შესაძლებლობას, რომელიმე უფლება თავისი მიხედულებით დატოვოს სასამართლოში დაცვის გარეშე. ამასთან, კონსტიტუციით დადგენილი ეს აკრძალვა ... არ ეხება მხოლოდ კანონმდებელს. ხელისუფლების არცერთ შტოს არ აქვს უფლება, შემოიღოს დიფერენცირება სასამართლოში განსჯად და არაგანსჯად უფლებებს შორის. ... თუ არსებობს უფლება, ... არსებობს მისი სასამართლოში დაცვის უფლება“⁹¹⁰.

908 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/393,397 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ონისე მეზონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 1.

909 იხ.: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1996 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/3/13 საქმეზე მოქალაქე ალექსანდრე ცხოვრებაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2009 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება №1/2/434 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

910 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტი-

ამ კონსტიტუციურ გარანტიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც ინდივიდებისთვის, მათი უფლებების ეფექტურად დაცვისა და რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, ისე სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვისთვის, იმოქმედოს კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში. „... საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ სასამართლო ხელისუფლების იურისდიქციის შეზღუდვა – სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის შეზღუდვით სასამართლო კომპეტენციას განკუთვნილი საკითხების სასამართლო განსჯადობის სფეროდან გამოყვანა, *prima facie* საფრთხეს უქმნის როგორც ინდივიდის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, ისე სასამართლო ხელისუფლების უნარს, შეაკავოს და გააწონასწოროს პოლიტიკური ხელისუფლება“⁹¹¹.

საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* გასაჩივრებული იყო „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები (მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი და 59¹ მუხლი), რომლებიც ადგენდნენ შემდეგ აკრძალვას: ამავე კანონის რიგი დებულებების დარღვევისთვის დაინტერესებულ პირს არ ჰქონდა სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, ხოლო მაუწყებლის მიერ მათ დარღვევაზე რეაგირება ხორციელდებოდა თვითრეგულირების მექანიზმით, რომლის გადაწყვეტილებებიც ასევე არ ექვემდებარებოდა სასამართლოში გასაჩივრებას. დასახელებული კანონის ერთი-ერთი დებულება (56-ე მუხლის მე-4 პუნქტი), რომლის დარღვევის გამოც, დაინტერესებულ პირებს სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა არ ჰქონდათ, ადგენდა: „იკრძალება პორნოგრაფიის, აგრეთვე ადამიანისა და მოქალაქის ღირსებისა და ძირითად უფლებათა შემლახავი ისეთი პროგრამის ან რეკლამის განთავსება, რომელიც შეიცავს უხამსობას“⁹¹². მაშასადამე, ეს ნორმა არაორაზროვნად მიუთითებდა, რომ მაუწყებლის მიერ ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, პირს არ გააჩნდა სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა. ნიშანდობლივია, რომ ნორმა იწვევდა არა სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვას, არამედ აკრძალვას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, რიგ შემთხვევებში, გამონაკის თავისუფლებას შეიძ-

ლება №1/2/434 საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 1.

911 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421,422 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 1.

912 ნორმის დავის განხილვის დროისთვის მოქმედი რედაქცია.

ლება მიენიჭოს უპირატესობა სხვა უფლებებთან შედარებით, მაგრამ ამის მართლზომიერების შეფასება სასამართლოში უნდა მოხდეს თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით. „ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეაფასოს დარღვეული უფლება ან უფლების დარღვევის საფრთხე ... და დაუპირისპიროს იგი გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობას“⁹¹³. სასამართლომ დაადგინა, რომ მაუწყებლის მიერ დარღვეული უფლების აღდგენის, მათ შორის, უფლების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვა არღვევდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

საყურადღებოა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს დღემდე უწევს სასამართლოსადმი მიმართვის ამკრძალავი რეგულაციების კონსტიტუციურობის შეფასება. საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ხვიჩა ყირმიზაშვილი, ვია ფაცურია და გვანცა გავნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გასაჩივრებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები, რომელთა თანახმად: პროკურორის დადგენილება პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობაზე უარის თქმის შესახებ, მძიმე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულების არსებობისას არ ექვემდებარებოდა სასამართლოში გასაჩივრებას (56-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-3 წინადადება); პროკურორის მიერ დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების გაუქმებისას პირი უფლებამოსილი იყო, გაესაჩივრებინა ის ზემდგომ პროკურორთან, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოო იყო, გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შემთხვევისა (56-ე მუხლის მე-6 ნაწილის მე-3 წინადადება).

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი აღჭურავს პირს უფლებით, „დაიცვას საკუთარი უფლებები ინსტიტუციურად და სისტემურად დამოუკიდებელ სასამართლო ორგანოში. ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების შესაძლებლობა და სასამართლოს წესით გასაჩივრება არ არის უფლების დაცვის იდენტური საშუალებები. შესაბამისად, ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების შესაძლებლობა ვერ ჩაანაცვლებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას“⁹¹⁴.

913 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421,422 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 6.

914 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/12/1229, 1242, 1247, 1299 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ხვიჩა

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, დაზარალებულის სტატუსის არქონის შემთხვევაში პირებს ერთმევათ ისეთი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა, როგორცაა საქმის მასალების გაცნობისა და შესაბამისი საპროცესო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, განრიდების, მედიაციის, საპროცესო შეთანხმების დადების პროცესში მონაწილეობის, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებები⁹¹⁵. ამრიგად, დაზარალებულის სტატუსის მქონე პირს კანონმდებელი აღჭურავს მთელი რიგი უფლებებით, რომელთა ხელმისაწვდომობაც მხოლოდ ამ სტატუსის მოპოვებითაა შესაძლებელი. სადავო ნორმები კი დაზარალებულის სტატუსთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების სასამართლოში გასაჩივრების აკრძალვით, პირდაპირ უშვებდა პროკურორის მხრიდან ამ უფლებების/გარანტიების არამართლზომიერად შეზღუდვის/ხელყოფის შესაძლებლობას. გასათვალისწინებელი იყო, რომ სადავო ნორმები შეეხებოდა ნებისმიერ მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევებს, რომელთა დიდი ნაწილი მნიშვნელოვან მორალურ, ფიზიკურ თუ ქონებრივ ზიანს აყენებს დაზარალებულს. შედეგად, მიყენებული ზიანის მოცულობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა დაზარალებულისათვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით ეფექტურად სარგებლობის უზრუნველყოფას⁹¹⁶.

სასამართლომ დაადგინა, რომ მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულის საქმეებზე დაზარალებულის სტატუსის შესახებ დადგენილების სასამართლოს წესით გასაჩივრების აკრძალვა ემსახურებოდა პროცესის ეკონომიურობის უზრუნველყოფისა და სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვის ლეგიტიმურ მიზანს, ამასთან, წარმოადგენდა მისი მიღწევის ვარგის და აუცილებელ საშუალებას, თუმცა ვერ აკმაყოფილებდა კონსტიტუციის მოთხოვნებს ნორმის შეფასების ვიწრო პროპორციულობის ეტაპზე. სასამართლომ, საკუთარ პრაქტიკაზე დაყრდნობით, გაიმეორა, რომ, ერთი მხრივ, სახელმწიფოს ნებისმიერი ორგანოს პოტენციურად ყველა გადაწყვეტილების სასამართლო კონტროლი მნიშვნელოვან ტვირთად დააწვებოდა მართლმსაჯულების სისტემას. თუმცა, მეორე მხრივ, „ზოგადი ადმინისტრაციული ხასიათის სირთულეები, რასაც შესაძლებელია ადგილი

ყირმიზაშვილი, ვია ფაცურია და გვანცა გავნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 10.

915 იქვე, II, 22.

916 იქვე, II, 29.

ჰქონდეს გასაჩივრების შემთხვევაში, არ შეიძლება გახდეს სასამართლო-სადმი მიმართვის უფლების შეზღუდვის საფუძველი⁹¹⁷.

სასამართლომ დაადგინა, რომ პირის დაზარალებულად ცნობის საკითხის გადასაწყვეტად ხდება დანაშაულის ფაქტისა და პირის მიმართ მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანის არსებობის დადგენა, ამ საკითხის გადაწყვეტა არ გამოირჩევა განსაკუთრებული სირთულით და არც ყველა შემთხვევაში ხდება სადავო. შესაბამისად, ამ კატეგორიის საქმეების განხილვის შედეგად სასამართლოს გადატვირთვის რისკი განსაკუთრებით მაღალი არ არის. ამავე დროს, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ დაზარალებულის სტატუსის შესახებ პროკურორის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში შეიზღუდებოდა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლები: „დაზარალებულის სტატუსის მინიჭება/გაუქმება არ არის პროკურორის თავისუფალი მიხედვლების ფარგლებში გადასაწყვეტი საკითხი. კანონით დადგენილი ობიექტური საფუძვლების, კრიტერიუმების არსებობისას პროკურორი ვალდებულია, პირი ცნოს დაზარალებულად ან არ გააუქმოს მისი დაზარალებულის სტატუსი. პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლო ამოწმებს პროკურორის გადაწყვეტილების სამართლებრივი და ფაქტობრივი წინაპირობების სისწორეს და არ იჭრება მის დისკრეციულ უფლებამოსილებაში“⁹¹⁸.

საკონსტიტუციო სასამართლომ, ზოგადად, არ გამორიცხა შესაძლებლობა, რომ სასამართლოს გადატვირთვისა და მართლმსაჯულების შეფერხების ხელშესახები, რეალური საფრთხის შემთხვევაში გამართლებული იყოს დაზარალებულის სტატუსის შესახებ პროკურორის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრების უფლების შეზღუდვა, თუმცა მისი განმარტებით: „ამ პროცესში აუცილებელია, დაზარალებულის მიმართ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის მოცულობის გათვალისწინება. სასამართლოს გადატვირთვით და მართლმსაჯულების შეფერხების ხელშესახები მტკიცებულებებით დადასტურების გარეშე, მხოლოდ სასამართლოს გადატვირთვაზე ზოგადი მითითება ვერ გაამართლებს სადავო ნორმებით გათვალისწინებულ

917 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის №2/6/264 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „უნისერვისი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2.

918 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/12/1229, 1242, 1247, 1299 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გვანიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 28.

იმგვარ ბლანკეტურ შეზღუდვას, რომელიც არ ითვალისწინებს დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ხარისხს და დაზარალებულისათვის კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობის მნიშვნელობას⁹¹⁹.

შედგება, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმებით არ იყო დადგენილი სამართლიანი ბალანსი კერძო და საჯარო ინტერესებს შორის.

7.1.1.2.2. საქმის საჯარო განხილვა

საქმის საჯარო განხილვა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველსაყოფად. მართალია, ის უშუალოდ კონსტიტუციის 31-ე მუხლით რეგლამენტირებული არ არის, მაგრამ სამართლიანი სასამართლოს უფლების სხვა არაერთი უფლებრივი კომპონენტის მსგავსად, მოიაზრება, როგორც ამ უფლების თავისთავადი, აუცილებელი, ფუნდამენტური ასპექტი. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი შესაძლებლობისთვის დამატებითი საყრდენი შექმნილია კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 პუნქტით, რომლის თანახმად: „სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასამართლოს გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ“. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „დასახელებული კონსტიტუციური დებულება სასამართლოში საქმის განხილვის ზოგად წესად ადგენს ღია სხდომას. საქართველოს კონსტიტუცია ... განცალკევებით გამოყოფს სასამართლოს სხდომების საჯაროობის პრინციპს. ამგვარი კონსტიტუციური გადაწყვეტა მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუცია მართლმსაჯულების გამჭვირვალობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და მას სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის სამოქმედო პრინციპად განიხილავს“⁹²⁰.

საქმის საჯარო, ღია განხილვის მიზანი არის, ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების გამჭვირვალობას, სასამართლოზე ეფექტურ საზოგადოებრივ კონტროლს და, ამ გზით, საზოგადოების სასამართლოსადმი ნდობას. სწორედ საზოგადოებისგან ეფექტური კონტროლი უზრუნველყოფს, ზოგადად, ხელისუფლების ადამიანების სამსახურში ჩაყენების და მიზნობრივი ქმედითობის შესაძლებლობას, რადგან ის ხელს უწყობს ძალაუფლების

919 იქვე, II, 31.

920 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება №1/4/693,857 საქმეზე ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 44.

ბოროტად გამოყენების, თვითნებობის ან შეცდომის რისკების მინიმალიზებას. ცხადია, აუცილებელია სასამართლო ხელისუფლების ეფექტური კონტროლიც. საამისოდ კი საზოგადოებას უნდა ჰქონდეს საკმარისი სამართლებრივი ბერკეტები. ერთ-ერთ ასეთ შესაძლებლობას წარმოადგენს საქმეთა საჯარო განხილვა. პროცესის საჯაროობა სასამართლოსადმი ნდობის ხელშეწყობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა⁹²¹.

მაშასადამე, სასამართლო პროცესის საჯაროობა არის შესაძლებლობა: ა) საზოგადოებისთვის – სასამართლო ხელისუფლებაზე კონტროლის გზით, ხელისუფლებისადმი ნდობის განსავითარებლად/შესანარჩუნებლად; ბ) მხარეებისთვის – საქმის ღია განხილვა იცავს რა მხარეებს მართლმსაჯულების ფარულად, საიდუმლოდ, საზოგადოების მხრიდან კონტროლის და კრიტიკული ანალიზის გარეშე განხორციელებისაგან, ქმნის დამატებით შანსს სწორი, სამართლიანი გადაწყვეტილების მისაღებად; გ) თავად სასამართლოსთვის – მეტი დამოუკიდებლობის და სამართლიანობის მისაღწევად, რადგან საზოგადოების ეფექტური კონტროლის ქვეშ საქმის განხილვა/გადაწყვეტა ზრდის მოსამართლეთა თვითკონტროლს, შედეგად, შესაძლებლობას ხარისხიანი მართლმსაჯულების განსახორციელებლად. საბოლოო ჯამში, პროცესის საჯაროობა ემსახურება სამართლიანი სასამართლოს უფლების მიზნების რეალიზაციას, რაც ნებისმიერი დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს⁹²².

საქმის საჯარო განხილვის ძირითადი არსი გულისხმობს პროცესის ღიაობას ყველა დაინტერესებული პირისთვის/საზოგადოებისთვის (და არა მხოლოდ მხარეებისთვის), მედია საშუალებებისთვის, რომელთა წვდომა პროცესებზე დამატებითი ეფექტური შესაძლებლობაა საზოგადოების ინფორმირებულობისთვის. ის ასევე მოიცავს სასამართლოს გადაწყვეტილების საჯაროდ/საქვეყნოდ გამოცხადებას, რაც ქმნის გარანტიას არა მხოლოდ პროცესზე (საქმის განხილვის მიმდინარეობაზე), არამედ მართლმსაჯულების შედეგებზე საზოგადოებრივი კონტროლისთვის.

მაშასადამე, თუ არ არსებობს სხდომის დახურვის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები, ყველა მსურველს აქვს უფლება, დაესწროს პროცესს. ესენი შეიძლება იყვნენ არა მხოლოდ მხარეები და საქმის განხილვის სხვა მონაწილენი, არამედ ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს ინტერესი (აკადემიური, სამეცნიერო ან საქმის რეზონანსულობით, მაღალი საზოგადოებრივი მნიშვნელობით განპირობებული ინტერესი და

921 *Pretto and Others v. Italy*, app. №7984/77, (ECtHR, 08.12.1983), §21.

922 *Sutter v. Switzerland*, app. №8209/78, (ECtHR, 22.02.1984), §26.

სხვა) კონკრეტული საქმის მიმართ. თითოეული მსურველის დასწრების უფლება შეზღუდულია მხოლოდ სხდომათა დარბაზში მათი ფიზიკურად დატევის ობიექტური შესაძლებლობით, რადგან დარბაზის ტევადობის არაადეკვატური მსურველების სიჭარბემ შეუძლებელი არ უნდა გახადოს პროცესის გამართვა. კანონმდებლობა მედიასაშუალებებს უნდა აღჭურვავდეს სასამართლო განხილვის მიმდინარეობის, შინაარსის და შედეგების თაობაზე ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდების საკმარისი შესაძლებლობით. მათ უნდა ჰქონდეთ პროცესებზე დასწრების და იქ ნაწილისა თუ მოსმენილის თაობაზე ინფორმაციის გავრცელების უფლება. ცალკეულ შემთხვევებში შესაბამისი ლეგიტიმური საფუძვლის – მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის და საქმის მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესაძლოა, არსებობდეს მთელი პროცესის ტრანსლირების/ან სრულად ჩაწერის შესაძლებლობაც. თუმცა ყველა საქმის პირდაპირი ტრანსლირება არ არის კონსტიტუციის უპირობო მოთხოვნა და ასეთი შესაძლებლობის არარსებობა თავისთავად არ არღვევს არც სამართლიანი სასამართლოს უფლებას (საქმის საჯაროდ განხილვის კომპონენტს) და არც გამოხატვის თავისუფლებას. რა წესით და ფარგლებში შეიძლება აშუქებდეს მედია პროცესებს – ეს საკითხი ექვემდებარება რეგულირებას. ამ თვალსაზრისით დადგენილი რეგულაციები თავსებადი უნდა იყოს სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის ინტერესებთან, ისევე, როგორც დაუსაბუთებლად, არაპროპორციულად არ უნდა ზღუდავდეს მედიასაშუალებების გამოხატვის თავისუფლებას⁹²³.

923 საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს საერთო სასამართლოებსა და საკონსტიტუციო სასამართლოში პროცესების მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქების სამართლებრივ საფუძვლებს. კერძოდ: „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „სასამართლოში, ასევე სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის ფოტო-, კინო-, ვიდეოგადაღება ხორციელდება ამ კანონით დადგენილი წესით“. ეს წესი დეტალურადაა აღწერილი ამავე კანონის 13¹ მუხლში (სასამართლო სხდომის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქება), რომლის თანახმად: „1. სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო პროცესის აუდიო-, ვიდეოჩაწერა. სასამართლომ მოთხოვნისთანავე უნდა უზრუნველყოს აუდიო-, ვიდეოჩაწერის მხარეებისთვის ხელმისაწვდომობა. თუ სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე, მხარეები ვალდებული არიან ხელი მოაწერონ ხელწერილს აუდიო-, ვიდეოჩაწერის გაუმჟღავნებლობაზე. 2. საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია შეუზღუდავად განახორციელოს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო-, აუდიოჩაწერა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე. საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ჩანაწერის გადაცემა მასობრივი ინფორმაციის სხვა

პროცესის ღიაობის უდავოდ დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, ეს უფლებრივი კომპონენტიც ექვემდებარება შეზღუდვას, რაზეც არაორაზროვნად მიუთითებს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი. დასახელებულ დებულებას, ერთი მხრივ, შემოაქვს კონსტიტუციური ვალდებულება საჯარო პროცესზე ფუნდამენტური უფლების გარანტირებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, მიუთითებს, რომ ეს უფლება არ არის აბსოლუტური. კონსტიტუცია, როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, უფლების შეზღუდვის და-

საშუალებებისათვის მათი მოთხოვნისთანავე.

3. თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ სარგებლობს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებით, ასეთი უფლებამოსილებით სარგებლობა შეუძლია სხვა საერთო საეთერო მაუწყებელს სასამართლო სხდომის დაწყების წინ საქმის განმხილველი მოსამართლისათვის წერილობითი განცხადების წარდგენის საფუძველზე. თუ ასეთი განცხადება წარდგენილია ერთზე მეტი საერთო საეთერო მაუწყებლის მიერ, მოსამართლე უფლებამოსილ პირს შეარჩევს წილისყრის საფუძველზე. პირს, რომელიც ახორციელებს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ უფლებამოსილებას, ეკისრება იმავე პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებაც.

4. სასამართლო სხდომის დარბაზში ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეორჩაწერა უნდა განხორციელდეს სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან. სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ ნებისმიერ პირს აქვს უფლება, სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან განახორციელოს სასამართლო სხდომის აუდიორჩაწერა. აღნიშნული მოქმედებების განხორციელებისას დაუშვებელია სასამართლო სხდომის დარბაზში მოძრაობა, ხმაური, შუქის ან სხვა ისეთი ემისიების გამოყოფა, რომლებიც ხელს უშლის მართლმსაჯულების განხორციელების ნორმალურ პროცესს. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში მოსამართლეს (სასამართლოს) შეუძლია მიიღოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ზომები.

5. თუ სასამართლო სხდომაში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობენ, სასამართლო სხდომის ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო-, აუდიორჩაწერა უნდა განხორციელდეს ნაფიცი მსაჯულების გადალების, მათი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან/და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე.

6. თუ დაზარალებულის ან/და მოწმის უსაფრთხოების ინტერესები ამას მოითხოვს, მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია აკრძალოს დაზარალებულის ან/და მოწმის გადაღება, მისი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან/და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელა.

7. ნებადართულია სასამართლოს ეზოსა და შენობის დერეფანში ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო-, აუდიორჩაწერა და ეთერში გადაცემა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. დაუშვებელია სასამართლოს მიერ დადგენილი წესით სასამართლოს შენობაში შესული პირისათვის პირადი ნივთების, მათ შორის, მობილური ტელეფონის, კომპიუტერის, ფოტო-, კინო-, ვიდეო – ან/და აუდიოსაშუალებების ჩამორთმევა“.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად: „სასამართლო სხდომაზე რადიო-, ტელე-, აუდიო – ან ვიდეორჩაწერის გაკეთება დასაშვებია მხოლოდ კონკრეტული საქმის განმხილველი სასამართლოს თანხმობით“. უფრო დეტალური რეგულაციები გაწერილია საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით.

წესებაზე უფლებამოსილად მხოლოდ კანონმდებელს მიიჩნევა. კერძოდ, ზემოაღნიშნული დებულების თანახმად, „დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“. ცხადია, კანონმდებელი შეზღუდულია უპირობო ვალდებულებით, მის მიერ დადგენილი რეგულაციები დაუქვემდებაროს ადამიანის უფლებამცემ-ტური უფლებებით ბოჭვას, მაშასადამე, უფლების შეზღუდვა შესაძლებელი გახადოს მხოლოდ სათანადო ლეგიტიმური მიზნების არსებობისას, მათი დაცვის საჭიროებისას და მხოლოდ თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიები და შეზღუდვის საფუძვლები. კერძოდ, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით შექმნილია ზოგადი გარანტია საქმის საჯარო განხილვაზე: „... ყველას აქვს ... მისი საქმის ... საქვეყნო განხილვის უფლება ...“. ხოლო მეორე წინადადების თანახმად: „სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაუშვან, დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას, როდესაც საქვეყნობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს“.

მაშასადამე, კონვენცია ითვალისწინებს უფლების შეზღუდვას: 1. საჯარო ინტერესებისთვის, როგორებიცაა: მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების⁹²⁴, ასევე მართლმსაჯულების ინტერესების დაცვა; 2. კერძო ინტერესებისთვის, როგორებიცაა: არასრულწლოვანთა ინტერესები⁹²⁵ და მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა.

მნიშვნელოვანია, რომ კონვენციით გათვალისწინებული (ზემოაღნიშნული) რომელიმე ან რამდენიმე საფუძვლის არსებობისას, სასამართლოს უნდა ჰქონდეს არა უპირობო ვალდებულება, არამედ შესაძლებლობა დახურული სხდომის ჩატარებისა. ამ დროს მან ყურადღებით უნდა შეისწავლოს კონკრეტული ლეგიტიმური მიზნებისთვის ზიანის მიყენების საფრთხის რეალურობა და მასშტაბი, ამასთან, მიზნის მისაღწევად გამოიყენოს

924 *B and P v. UK*, app. №36337/97, 35974/97, (ECtHR, 24.04.2001), §39; *Zagorodnikov v. Russia*, app. №66941/01, (ECtHR, 07.09.2007), §26.

925 *B and P v. UK*, app. №36337/97, 35974/97, (ECtHR, 24.04.2001), §38.

ყველაზე ნაკლებად მზლუდავი და პროპორციული ზომები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, მაგალითად, საქმის მასალებში საიდუმლო ინფორმაციის არსებობა თავისთავად არ მოითხოვს საქმის დახურულ სხდომაზე განხილვას. უმნიშვნელოვანესია საჯაროობის პრინციპის და ეროვნული უსაფრთხოების საკითხების გონივრულად დაბალანსება. ეროვნულმა სასამართლომ სკრუპულოზურად უნდა შეისწავლოს და დაადგინოს, რომ პროცესის დახურვა უპირობოდ განპირობებულია სახელმწიფო ინტერესების დაცვის საჭიროებით⁹²⁶. საჯაროობის განსაკუთრებული აუცილებლობა და მოლოდინი არსებობს სისხლის სამართალწარმოებისას. თუმცა, როგორც აღინიშნა, კონვენციის მე-6 მუხლი უშვებს საჯარო/ღია პროცესის შეზღუდვის შესაძლებლობას მართლმსაჯულების ინტერესებისთვის, მაგალითად, მოწმეთა უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის, პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით⁹²⁷.

საქართველოს კანონმდებლობა ასევე დეტალურად გაწერს სხდომათა სრულად ან ნაწილობრივ დახურვის საფუძვლებსა და წესს⁹²⁸.

926 *Welke and Bialek v. Poland*, app. №15924/05, (ECtHR, 01.03.2011), §77.

927 *B and P v. UK*, app. №36337/97; 35974/97, (ECtHR, 24.04.01), §38.

928 „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის (საქმის განხილვის საქვეყნოობა) თანახმად: „სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე“ (პ. 1). დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (პ. 2). „სასამართლო გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხადდება საქვეყნოდ“ (პ. 3). „ღია სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება მთლიანად ქვეყნდება სასამართლოს ვებგვერდზე, ხოლო დახურულ სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების შემთხვევაში სასამართლოს ვებგვერდზე ამ გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი ქვეყნდება. სასამართლო გადაწყვეტილებებში შეტანილი პირის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების საკითხი წყდება კანონის შესაბამისად“ (პ. 31).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს 182-ე მუხლის თანახმად: „1. სასამართლო სხდომა, როგორც წესი, ტარდება ზეპირად და საჯაროდ; 2. სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მასალებს სასამართლო დახურულ სხდომაზე განიხილავს. 3. სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ: ა) პერსონალური მონაცემების, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით; ...გ) პროცესის მონაწილის ან/და მისი ოჯახის წევრის (ახლო ნათესავის) პირადი უსაფრთხოების დაცვის მიზნით ან თუ გამოიყენება პროცესის მონაწილის დაცვის ის სპეციალური ღონისძიება, რომელიც მოითხოვს სასამართლო სხდომის დახურვას; დ) სქესობრივი დანაშაულის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან ოჯახური დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით; ე) პირადი მიმოწერის და პირადი შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას, თუ ამაზე თანახმა არ არის პირი. 4. მოსამართლე უფლებამოსილია წესრიგის დაცვის მიზნით, საკუთარი ინიციატივით ნაწილობრივ ან სრულად დახუროს სასამართლო სხდომა. 4¹. სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ განჩინების გამოტანის

საქმის საჯარო განხილვა მნიშვნელოვანია სამივე ინსტანციაში (იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე განიხილება ზეპირად და იმავდროულად, არ არსებობს საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის აუცილებლობა). ზედა ინსტანციაში საქმის საჯარო განხილვა ვერ გაამართლებს პირველ ინსტანციაში საქმის დახურულ სხდომაზე განხილვას და ვერ გამოორიცხავს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას, ისევე, როგორც პირიქით.

როგორც აღინიშნა, საჯარო სასამართლო განხილვის უფლების შემადგენელი კომპონენტია გადაწყვეტილების საქვეყნოდ გამოცხადება. მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში ცხად-

მიუხედავად, მოსამართლე უფლებამოსილია ამ საქმეში დაზარალებულად ცნობილ პირს მისცეს სხდომაზე ან სხდომის ნაწილზე დასწრების უფლება. 4². დახურულ სასამართლო სხდომაზე მოწმისა და დაზარალებულის მონაწილეობით მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესს, მოწმის/დაზარალებულის სურვილის შემთხვევაში, ესწრება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი. 5. თუ დახურულ სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს ისეთი გარემოების საჯაროდ განხილვას, რომელიც საჯაროდ არ უნდა გაცხადდეს, და სხდომის დახურვის შუამდგომლობას მოწინააღმდეგე მხარე არ ეთანხმება, ეს საკითხი დახურულ სხდომაზე განიხილება. 6. მოსამართლე ვალდებულია საჯაროდ გამოაცხადოს სასამართლო სხდომის დახურვის საფუძველი. 7. სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს დახურულ სხდომაზე დამსწრე პირი, არ გაახმაუროს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ამ სხდომაზე გახდა ცნობილი. 8. სასამართლო სხდომაზე 14 წლამდე პირი არ დაიშვება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის პროცესის მონაწილეა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია 14 წლამდე პირს დართოს ნება, დაესწროს სასამართლო სხდომას. 9. შეიარაღებული პირი სასამართლო სხდომის დარბაზში დაიშვება მხოლოდ სხდომის თავმჯდომარის ნებართვით. 10. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია არ დაუშვას სასამართლო სხდომაზე პირი, რომელიც შეუფერებელ ფორმაში ან მდგომარეობაში გამოცხადდა⁴.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოთვლის ლეგიტიმურ მიზნებს, რომელთა არსებობისას შესაძლებელია სხდომის დახურვა, ამასთან მიუთითებს შესაბამის წესზეც. კერძოდ: საკონსტიტუციო სასამართლოს ინიციატივით ან მხარეთა შუამდგომლობით პირადი, პროფესიული, კომერციული, სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის მიზნით საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომა ან სხდომის ნაწილი შეიძლება დაიხუროს. დახურულ სხდომაზე, აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება დაესწრონ მოწმეები, ექსპერტები და თარჯიმნები. მხარეთა შუამდგომლობით საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია დახურულ სხდომაზე დასწრების უფლება მისცეს სხვა პირებსაც. სასამართლო საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის შესახებ საკითხს წყვეტს სათათბირო ოთახში განჩინების მიღებით (პ. 3). გადაწყვეტილება ნებისმიერ შემთხვევაში ცხადდება საქვეყნოდ (პ. 5). დასახელებული კანონის იგივე მუხლი საჯარო სხდომაზე დასწრებას უკრძალავს შეიარაღებულ პირებს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლოს იცავენ. ეს პირები დაიშვებიან მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ნებართვით (პ. 6). აღნიშნული რეგულაციები ვრცელდება მხოლოდ საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შემთხვევებზე (პ. 8).

დება, დამოუკიდებლად იმისგან, საქმის განხილვა მოხდა ღია თუ დახურულ სხდომაზე⁹²⁹. ამავე დროს, გადაწყვეტილების საჯაროდ გამოცხადება ყოველთვის არ გულისხმობს გადაწყვეტილების ტექსტის სხდომათა დარბაზში წაკითხვის ვალდებულებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით: „გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნების სხვა საშუალებები“ შესაძლოა ასევე თავსებადი იყოს კონვენციის მე-6 მუხლთან⁹³⁰. ეს კომპონენტი გულისხმობს გადაწყვეტილების გასაჯაროებას ლეგიტიმური გზებით ყველა დაინტერესებული პირის (და არა მხოლოდ მხარეების) ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ცალკეულ შემთხვევებში, უსაფრთხოების ლეგიტიმური მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ იმ ნაწილების გასაიდუმლოება, რომლის გამჟღავნება ზიანს მიაყენებს ეროვნული უშიშროების ინტერესებს, ან სხვათა უსაფრთხოებას⁹³¹. გამონაკლისები ასევე შეიძლება უკავშირდებოდეს, მაგალითად, ბავშვების საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებულ⁹³² ან სხვა პერსონალურ საკითხებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა სასამართლოს გადაწყვეტილებების, როგორც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაციის ღიაობის და ამ გზით მართლმსაჯულების გამჭვირვალობის მნიშვნელობაზე: „დემოკრატიულ სახელმწიფოში განუზომლად დიდია მართლმსაჯულების განხორციელებაზე და, განსაკუთრებით, სასამართლოს მიერ მიღებულ აქტებზე საზოგადოებრივი ზედამხედველობის მნიშვნელობა. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობას, განახორციელოს სასამართლო ხელისუფლების საზოგადოებრივი კონტროლი. ხალხს უნდა შეეძლოს ფართო საზოგადოებრივი განხილვის საგნად აქციოს და შეაფასოს სასამართლოს თითოეული გადაწყვეტილება, მასში გაკეთებული განმარტება და დადგენილება. საზოგადოებრივი კონტროლი ხელისუფლების იმ შტოს მიმართ, რომელიც სხვა შტოებისგან დამოუკიდებლად ახორციელებს საქმიანობას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. საზოგადოების ინფორმირების საშუალებით შესაძლებელია, თავიდან იქნეს აცილებული დახურულ კარს მიღმა მიკერძოებული გადაწყვეტილებების მიღება და სასამართლო, როგორც ხელისუფლების შტო, შესაბამისი კონსტიტუციური ჩარჩოების გათვალისწინებით, ანგარიშვალდებული იყოს

929 *Ryakib Biryukov v. Russia*, app. №14810/02, (ECtHR, 17.01.2008).

930 *Moser v. Austria*, app. №12643/02, (ECtHR, 21.09.2006), §101.

931 *Raza v. Bulgaria*, app. №31465/08, (ECtHR, 11.02.2010), §53.

932 *B and P v. UK*, app. №36337/97; 35974/97, (ECtHR, 24.04.2001).

საზოგადოების წინაშე. ... სასამართლოს აქტებზე ხელმისაწვდომობის უფლების ჯეროვანი უზრუნველყოფა ასევე უკავშირდება მართლმსაჯულების სისტემის ანგარიშვალდებულებას, საზოგადოებრივ ზედამხედველობას და სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სასამართლოს აქტების სრული ტექსტი ...⁹³³. „სასამართლოს სხდომების საჯაროდ ჩატარება, სასამართლოს საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობა, მათ შორის, სწორედ მისი აქტების საჯარო ხელმისაწვდომობა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უმნიშვნელოვანესი უფლებრივი კომპონენტია. ...ნებისმიერი ადამიანი უფლებამოსილია, ჰქონდეს მის მიმართ მიმდინარე სამართალწარმოების ფარგლებში მიღებული აქტების საზოგადოებისთვის გაცნობის, საზოგადოების მიერ მის საქმეზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი, გარდა სასამართლო ხელისუფლების კონტროლისა, უზრუნველყოფს საზოგადოების მხრიდან სასამართლოს მიმართ ნდობის ჩამოყალიბებას“⁹³⁴.

სასამართლოს განმარტებით, დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში სასამართლოს აქტების როლის და მათში გადმოცემული ინფორმაციის მნიშვნელობის გათვალისწინებით, მათი ხელმისაწვდომობის მიმართ არსებობს მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი, მიუხედავად იმისა, თუ რომელ სამართლებრივ საკითხს შეეხება, ვის მიმართ არის მიღებული და რა დატვირთვა აქვს კონკრეტულ დროში თუ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე თითოეულ ინდივიდუალურ საქმეზე მიღებულ სასამართლო აქტს. „მართლმსაჯულების ფარგლებში მიღებული აქტები თავისთავად არის საზოგადოების მომეტებული ინტერესის საგანი“⁹³⁵. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გადაწყვეტილების ღიაობის ინტერესსა და ადამიანის (ვისაც გადაწყვეტილება ეხება) პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესს შორის კონსტიტუციური ბალანსის სწორად დაცვის აუცილებლობაზე. მისი განმარტებით, როგორც წესი, ღია სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებში ასახული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის ხარისხი შედარებით დაბალია და ვერ გადაწონის სა-

933 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება №1/4/693,857 საქმეზე ა(ა)იპ „მედის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 46-47.

934 იქვე, II, 48.

935 იქვე, II, 51.

სამართლოს გადაწყვეტილების ღიაობის აღმატებულ კონსტიტუციურ ინტერესს. „ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს, რომ ღია სხდომაზე მიღებულ სასამართლოს გადაწყვეტილებებში ასახული იყოს ინფორმაცია, რომლის ნებისმიერ დროს გასაჯაროება ნეგატიურ გავლენას მოახდენს პირადი ცხოვრების უფლებაზე. ამდენად, ცალკეულ, ინდივიდუალურ შემთხვევებში შესაძლებელია, არსებობდეს იმ პირის პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის დაცვის მომეტებული ინტერესი, რომელსაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებაში არსებული ინფორმაცია. ამრიგად, ... უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოს აქტებში მოცემული ინფორმაციის ბუნებას, მათი გავრცელებისგან დაცვის ინტერესის შეპირისპირებას მართლმსაჯულების გამჭვირვალობის ინტერესთან“⁹³⁶. „სასამართლოს აქტში შესაძლებელია, ასახული იყოს პირის პირადი ცხოვრების შესახებ ისეთი ინფორმაცია, რომლის გავრცელებაც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს პირად ცხოვრებაზე და ზიანსაც კი მიაყენებს მას. მაგალითად, სასამართლოს აქტში, შესაძლოა, მითითებული იყოს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მისი ცხოვრების ამა თუ იმ ინტიმური დეტალის შესახებ და ა.შ. ამგვარ შემთხვევებში, ცხადია, იზრდება მსგავსი ინფორმაციის დაცვის ხარისხი და საჭიროება. ანალოგიურად, სასამართლოს აქტში შესაძლოა, მითითებული იყოს რაიმე ყოფითი ინფორმაცია, მაგალითად, პირის მიერ კონკრეტული სამუშაოს შესრულების, რაიმე სარგებლის მიღების ან გაცემის, კონკრეტულ დროს რომელიმე საჯარო ადგილას ყოფნის ან არყოფნის შესახებ და ა.შ. ცალკეული ყოფითი ფაქტის შესახებ არსებული ინფორმაციის გავრცელება, ჩვეულებრივ, არ ახდენს მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას პირად ცხოვრებაზე და, შესაბამისად, არ სარგებლობს მაღალი კონსტიტუციურსამართლებრივი დაცვის გარანტიით. თუმცა, ამა თუ იმ შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლებელია, განსხვავებული იყოს კონკრეტული მონაცემის გავლენა პირადი ცხოვრების უფლებაზე და მისი კონსტიტუციურსამართლებრივი დაცვის ხარისხიც. პირის შესახებ არსებული ინფორმაციის გავრცელების გავლენა პირადი ცხოვრების უფლებაზე შესაძლოა, ასევე განაპირობოს ინფორმაციის გავრცელების ფორმამ, მეთოდმა, ინტენსივობამ და სხვა ფაქტორებმა.

ამრიგად, შეპირისპირებულ ინტერესებს შორის ბალანსი თითოეულ შემთხვევაში ინფორმაციის შინაარსსა და ინდივიდუალურ გარემოებებზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ამა თუ იმ გადაწყვეტილების ღიაობის საკითხიც თავად ამ გადაწყვეტილებაში ასახული ინფორმაციის ბუნები-

936 იქვე, II, 56.

დან და ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს⁹³⁷.

7.1.1.2.3. საქმის განხილვა ზეპირი მოსმენით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები

სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებრივი კომპონენტია საქმის განხილვა ზეპირი მოსმენით. საჯარო სასამართლო განხილვა გულისხმობს ზეპირი მოსმენით საქმის განხილვას. საჯარო პროცესი ყოველთვის იმართება ზეპირი მოსმენით, თუმცა ზეპირი მოსმენით საქმის განხილვა ყოველთვის საჯარო პროცესს არ გულისხმობს (როგორც აღვნიშნეთ, სხდომა შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ დაიხუროს).

კონსტიტუციის უპირობო მოთხოვნას არ წარმოადგენს აბსოლუტურად ყველა საქმის/საკითხის ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა, თუმცა ის (კონსტიტუცია) ხელისუფლებას არც იმის შესაძლებლობით აღჭურავს, რომ მხოლოდ მიზანშეწონილებით გადაწყვიტოს, როდის მისცეს ადამიანებს სასამართლოში საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის შესაძლებლობა და როდის არა.

აღსანიშნავია, რომ ამ უფლებას საქართველოს კონსტიტუციით დაცვის მყარი ლეგიტიმაცია საკონსტიტუციო სასამართლომ შესძინა. საკონსტიტუციო კონტროლის ფარგლებში არაკონსტიტუციურად გამოცხადდა არაერთი ნორმა, რომელიც სასამართლოში საქმეების/კონკრეტული საკითხების ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის დისკრეციულ უფლებამოსილებას, ზოგჯერ კი ვალდებულებას ადგენდა განსახილველი საკითხების სამართლებრივი საფუძვლების მხედველობაში მიღების გარეშე.

სასამართლომ, პირველ რიგში, დაადგინა, რომ საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა სამართლიანი სასამართლოს უფლების უმნიშვნელოვანესი უფლებრივი კომპონენტია. შესაბამისად, „ნებისმიერი რეგულაცია, რომელიც ახდენს პირის აღნიშნული შესაძლებლობების შეზღუდვას, წარმოადგენს ჩარევას სამართლიანი სასამართლოს უფლებაში“⁹³⁸. საკონსტიტუციო სასამართლომ, ერთი მხრივ, განმარტა ზეპირი მოსმენით საქმის

937 იქვე, II, 57-58.

938 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება №2/2/558 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 4

განხილვის მნიშვნელობა სამართლიანი მართლმსაჯულების განსახორციელებლად, ხოლო, მეორე მხრივ, დაადგინა კრიტერიუმები, როდის არის საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა კრიტიკულად აუცილებელი.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის უპირატესობებზე, რაც განაპირობებს კიდევ მისი სამართლიანი სასამართლოს უფლებრივ კომპონენტად მოაზრების აუცილებლობას. კერძოდ:

1. ზეპირი მოსმენით საქმის განხილვა, პირველ რიგში, წარმოადგენს მნიშვნელოვან ბერკეტს მხარეებისთვის, გავლენა მოახდინონ სწორი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაზე და ამ გზით სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებაზე. „საქმის ზეპირი მოსმენა ითვალისწინებს რა მხარეთა უშუალო მონაწილეობას საქმის განხილვაში, რაც ნიშნავს მათ შესაძლებლობას, წარადგინონ მტკიცებულებები, გამოთქვან მოსაზრებები, დაიცვან თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით, სწორედ ამ გზით, წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას პროცესის შეჯიბრებითობის, დაცვის უფლებით ადეკვატურად სარგებლობისთვის, ამასთან, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს მხარეთა შესაძლებლობას, უკეთ დაიცვან საკუთარი ინტერესები, გავლენა მოახდინონ საქმის გადაწყვეტაზე, ხელი შეუწყონ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას“⁹³⁹.

2. ზეპირი მოსმენით საქმის განხილვა, იმავდროულად, არის უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობა თავად სასამართლოსთვის, მხარეებთან უშუალო კომუნიკაციის გზით შეისწავლოს, გაარკვიოს და დაადგინოს ყველა მნიშვნელოვანი გარემოება, რაც მას უტყუარად მისცემს სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. „საქმის ზეპირი განხილვა ... ეხმარება მოსამართლეს, საქმის ყოველმხრივი გამოკვლევის საფუძველზე გამოიტანოს ობიექტური, სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება“⁹⁴⁰. „სამართლიანი განხილვა ძნელად მიიღწევა ფაქტების საიდუმლო, ცალმხრივი გამოკვლევით. ზეპირი მოსმენა ხელს უწყობს სასამართლოს ყოველმხრივ ინფორმირებას ფაქტობრივი გარემოებების ირგვლივ. ამასთან, დაცვის მხარესთან უშუალო ურთიერთობა უფრო მოსახერხებელია თავად სასამართლოსთვისაც, რადგან მას აქვს

939 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №3/2/574 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 61.

940 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება №2/2/558 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 35.

შესაძლებლობა, პასუხი მიიღოს ყველა კითხვაზე და ამით ნათელი მოჰყინოს საქმის ბუნდოვან გარემოებებს⁹⁴¹.

3. ზეპირი განხილვა კანონზომიერად ზრდის დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების ალბათობას და ამარტივებს, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებით ეფექტურად სარგებლობის შესაძლებლობას. „მხარის მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენის უფლება ხელს უწყობს გადაწყვეტილების დასაბუთებლობას, აძლიერებს მომავალში მხარის გასაჩივრების უფლების რეალიზაციის შესაძლებლობას და ამცირებს გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი საფუძვლების დაუსაბუთებლობის ან/და უკანონობის არსებობას/არსებობის ალბათობას“⁹⁴².

4. „საქმის საჯარო, ზეპირი მოსმენა გამორიცხავს რა „საიდუმლო მართლმსაჯულებას“, როდესაც კანონზომიერია ეჭვები როგორც მატერიალური, ისე საპროცესო ნორმების არასწორი, თვითნებური გამოყენებისა, აფერმკრთალებს როგორც ცდუნებას სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა, ისე ეჭვებს ასეთი თვითნებობისა. შესაბამისად, საქმის ზეპირი მოსმენა აძლიერებს როგორც მხარეთა, ისე საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულებისადმი, საბოლოო ჯამში კი, განაპირობებს სასამართლოს გადაწყვეტილებათა მეტ გამჭვირვალობას და ლეგიტიმურობას, ამცირებს შეცდომის დაშვების ალბათობას“⁹⁴³.

სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვა შეიძლება მოხდეს, მათ შორის, საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის გზითაც, მაგრამ მხოლოდ იმ სავალდებულო პირობის დაცვით, რომ ამგვარი შეზღუდვა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და დაცულია თანაზომიერი ბალანსი ინტერესებს შორის. შედეგად, ზეპირი მოსმენის გარეშე საკითხის განხილვა/გადაწყვეტა თავისთავად და ყოველთვის არ ნიშნავს სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა გარემოებებზე, როდესაც საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა უპირობოდ მოთხოვნილია კონსტი-

941 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №3/2/574 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 62.

942 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება №2/2/558 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 41.

943 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №3/2/574 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 63.

ტუციით: გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკითხს, კონკრეტულ შემთხვევაში, როგორია საქმის განმხილველი სასამართლოს კომპეტენცია, კერძოდ, თვისობრივად რა საკითხების შესწავლა/შეფასება/გამოკვლევა უწევს მას. „ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტია, სასამართლო იხილავს მხოლოდ სამართლებრივ საკითხებს, თუ, იმავდროულად, ახდენს ფაქტების (ფაქტობრივი გარემოებების) შეფასება/შესწავლასაც“⁹⁴⁴. „ზეპირი განხილვის უფლების დაცვის სტანდარტი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სამართალწარმოების შინაარსზე. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის განხილვა უკავშირდება ფორმალურ-სამართლებრივი საკითხების დადგენას, ნაკლებია ზეპირი მოსმენის გამართვის ინტერესი. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი „jura novit curia“ („სასამართლომ იცის კანონი“) და მხარეების მიერ სამართლებრივ გარემოებებზე მითითებას მხოლოდ დამხმარე ფუნქცია აქვს. განსხვავებულია მიდგომა იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო წყვეტს როგორც ფორმალურ-სამართლებრივ საკითხებს, ასევე, აფასებს ფაქტობრივ გარემოებებს. ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემთხვევაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ზეპირი მოსმენის ჩატარებასა და პირისთვის მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობის მინიჭებას“⁹⁴⁵. „როდესაც სასამართლო, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, დგას ფაქტების დადგენის საჭიროების წინაშე, არსებობს მომეტებული ინტერესი, ჩატარდეს საქმის ზეპირი განხილვა, სადაც მხარეებს ექნებათ შესაძლებლობა, წარადგინონ მტკიცებულებები, ახალი ფაქტობრივი გარემოებები, გამოთქვან მოსაზრებები, გამოხატონ პოზიციები როგორც საკუთარი, ისე მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებზე შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში და, საბოლოო ჯამში, დაარწმუნონ სასამართლო საკუთარი არგუმენტების სისწორეში, შედეგად, გავლენა მოახდინონ საკითხის გადაწყვეტაზე, ხელი შეუწყონ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას, რაც ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც კონკრეტული პირების უფლებების დაცვისთვის ან დარღვევის თავიდან აცილებისთვის, ისე ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის“⁹⁴⁶.

944 იქვე, II, 74.

945 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება №2/2/558 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 42.

946 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №3/2/574 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უფულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 42.

როგორც წესი, ზეპირი მოსმენით საქმის განხილვის აუცილებლობა არსებობს პირველი ინსტანციის სასამართლოში, რადგან ძირითადად სწორედ ამ ეტაპზე ხდება ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. თუმცა გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ რომელი ინსტანციის სასამართლო იხილავს საქმეს, არამედ რა საკითხებს წყვეტს კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო. თუ სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, განიხილოს არა მხოლოდ სამართლებრივი საკითხები, არამედ ფაქტობრივი გარემოებებიც ან, თუ ზედა ინსტანციის სასამართლო საქმეს იხილავს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, მაშინ ძალაში რჩება ზეპირი მოსმენით საქმის განხილვის აუცილებლობა. ისევე, როგორც, თუ პირველი ინსტანციის სასამართლო წყვეტს მხოლოდ სამართლებრივი კვალიფიკაციის საკითხებს – ამა თუ იმ ადმინისტრაციული ორგანოს/თანამდებობის პირის მიერ კანონის გამოყენების სისწორეს, როცა არ არის საჭიროება ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისა და, შესაბამისად, მხარე მალალი ალბათობით ვერ მოახდენს გავლენას საქმის განხილვა/გადაწყვეტაზე, არ არსებობს უპირობო აუცილებლობა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისა⁹⁴⁷.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ზეპირი მოსმენით საქმის განხილვის აუცილებლობა არსებობს, როდესაც პირის მონაწილეობას პროცესში შეუძლია გავლენის მოხდენა საკითხის გადაწყვეტაზე. კერძოდ, როდესაც ხდება ფაქტობრივი გარემოებების შეფასება (ან თავიდან შეფასება), ამასთან, როდესაც პირს შეუძლია ახალი ფაქტების, გარემოებების წარდგენა, რომელთა შეფასება ჯერ არ მომხდარა და, როდესაც მისი უშუალო მონაწილეობა პროცესში, ამა თუ იმ გარემოებიდან გამომდინარე (რომელიც ინდივიდუალურად შეფასებადია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში), პოტენციურად ზრდის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის ალბათობას“⁹⁴⁸.

სასამართლომ ასევე არაერთ საქმეზე დაადგინა, რომ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება აუცილებელია მაშინაც, როდესაც არსებობს ზეპირი მოსმენის გარეშე მიღებული გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების შესაძლებლობა. მისი განმარტებით: „ზოგადად, პირველი ინსტანციის სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილების ზედა ინსტანციაში გასაჩივრების მექანიზმი ემსახურება პირველ ინსტანციაში დაშვებული შეცდომების, კანონის არასწორად გამოყენების გამოსწორებას

მენტის წინააღმდეგ, II, 75.

947 იქვე, II, 76.

948 იქვე, II, 77.

და ამ გზით უფლების დარღვევის საფრთხის თავიდან აცილებას. რაც, თავისთავად, არ ნიშნავს პირველ ინსტანციაში უფლების დარღვევის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობის დაშვებას და, მით უფრო, გამართლებას⁹⁴⁹.

იმავე სტანდარტებზე მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. კერძოდ, მისი განმარტებით, საჯარო განხილვის უფლება, რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, გულისხმობს საქმის ზეპირი განხილვის უფლებას. ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის გამამართლებელი გარემოებები უკავშირდება კომპეტენტური ეროვნული სასამართლოს მიერ გადასაწყვეტი საკითხების ბუნებას⁹⁵⁰. ზეპირი მოსმენის არარსებობა შეიძლება შეესაბამებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნას, როდესაც განსახილველი საკითხი არ იწვევს ეჭვს იმ ფაქტებთან ან კანონთან დაკავშირებით, რომლებსაც უნდა დაეფუძნოს გადაწყვეტილება⁹⁵¹. მხოლოდ სამართლის საკითხების შემცველი საქმის განხილვა შეიძლება შეესაბამებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს, იმის მიუხედავად, რომ აპელანტს არ ჰქონია სასამართლოს წინაშე საკუთარი პოზიციის წარდგენის შესაძლებლობა⁹⁵². ზეპირი მოსმენის საჭიროება არ არსებობს, როდესაც არ არსებობს სადავო ფაქტები, რომელთა ზეპირი განხილვა აუცილებელია და სასამართლოებს მხარეთა მიერ წარდგენილი არგუმენტებისა თუ წერილობითი მასალების საფუძველზე შეუძლიათ სამართლიანად გადაწყვიტონ დავა⁹⁵³. სამართლებრივი არგუმენტები, ასევე ტექნიკური ფაქტობრივი საკითხები, შესაძლებელია, უფრო ეფექტიანად იქნეს წარმოდგენილი წერილობითი ფორმით, ვიდრე ზეპირად⁹⁵⁴. ზეპირი მოსმენით საქმის განხილვა განსაკუთრებით აუცილებელია პირველ ინსტანციაში⁹⁵⁵. თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს დამოკიდებულია ეროვნულ სასამართლო სისტემაზე და უფლებამოსილი

949 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 91.

950 *Miller v. Sweden*, app. №55853/00, (ECtHR, 08.05.2005), §29.

951 *Fredin v. Sweden*, app. №12033/86, (ECtHR, 18.02.1991), §21-22; *Oganova v. Georgia*, app. №25717/03, (ECtHR, 13.11.2007), §27.

952 *Miller v. Sweden*, app. №55853/00, (ECtHR, 08.02.2005), §30.

953 *Saccoccia v. Austria*, app. №69917/01, (ECtHR, 18.12.2008), §73.

954 *Pursiheimo v. Finland*, app. №57795/00, (ECtHR, 25.11.2003); *Sutter v. Switzerland*, app. №8209/78, (ECtHR, 22.04.1984); *Salomonsson v. Sweden*, app. №38978/97, (ECtHR, 12.11.2002), §39; *Oganova v. Georgia*, app. №25717/03, (ECtHR, 13.11.2007), §32.

955 *Hakansson and Stureson v. Sweden*, app. №11855/85, (ECtHR, 21.02.1990), §64.

სასამართლოს კომპეტენციაზე – რა საკითხების გამოკვლევა/შეფასების საჭიროების წინაშე დგას ის. სააპელაციო და საკასაციო წარმოება, რომელიც შეეხება მხოლოდ სამართლის საკითხებს (და არა ფაქტობრივ გარემოებებს), შეიძლება შეესაბამებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს, მიუხედავად იმისა, რომ აპელანტს არ მიეცა სასამართლოს წინაშე პირადად გამოსვლის შესაძლებლობა, ოღონდაც იმ პირობით, რომ პირველ ინსტანციაში საქმის განხილვა მოხდა ზეპირი მოსმენით⁹⁵⁶. სამართალწარმოების გადამწყვეტ ეტაპზე ზეპირი განხილვის არარსებობა შეიძლება ზედა ინსტანციების მიერ სათანადოდ ვერ გამოსწორდეს⁹⁵⁷.

აღსანიშნავია, რომ როდესაც სააპელაციო სასამართლო ერთდროულად განიხილავს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლის საკითხებს, ამასთან ახდენს პირის ბრალეულობის თუ უდანაშაულობის სრულ შეფასებას, სასამართლო ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენებების პირდაპირი შეფასების გარეშე⁹⁵⁸. ბრალდებულმა სააპელაციო სასამართლოს პირადად უნდა მისცეს ჩვენება. ზეპირი მოსმენით საქმის განხილვა ბრალდებულის დაცვის უფლების გარანტიას წარმოადგენს⁹⁵⁹. მაშასადამე, ზეპირი მოსმენის გამართვა აუცილებელია, როდესაც სასამართლო იურისდიქცია ვრცელდება როგორც სამართლის საკითხებზე, ისე მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებზე, ან, როდესაც სასამართლომ უნდა შეაფასოს ხელისუფლების ორგანოების მიერ რამდენად სწორად იქნა ფაქტები დადგენილი⁹⁶⁰.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ წლების მანძილზე არაერთ საქმეზე გაიმეორა ზემოაღნიშნული სტანდარტების/კრიტერიუმების შესაბამისად მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებლობა, რაც წესით სავსებით საკმარისი უნდა ყოფილიყო როგორც კანონმდებლისთვის სათანადო ნორმების კონსტიტუციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად და კანონმდებლობის ასეთი რისკებისგან დასაზღვევად, ისე სასამართლო ხელისუფლებისთვის შესაბამისი პრაქტიკის დასაწერგად. თუმცა, მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლოს

956 *Monnell and Morris v. the United Kingdom*, app. №9562/81, 9818/82 (ECtHR, 02.03.1987), §58; *Sutter v. Switzerland*, app. №8209/78, (ECtHR, 22.02.1984), §30; *Oganova v. Georgia*, app. №25717/03, (ECtHR, 13.11.2007), §28.

957 *Malhous v. the Czech Republic*, app. №33071/96, (ECtHR, (GC), 12.07.2001), §62.

958 *Lacadena Calero v. Spain*, app. №23002/07, (ECtHR, 22.11.2011), §38.

959 *Tierce and Others v. San Marino*, app. №24954/94; №24971/94; №24972/94 (ECtHR, 25.07.2000), §95.

960 *Malhous v. the Czech Republic*, app. №33071/96, (ECtHR, (GC), 12.07.2001), §60.

ბოლო დრომდე უწევს ამ პრობლემასთან მიბრუნება კანონმდებლობაში ან/და სასამართლო პრაქტიკაში ზეპირი მოსმენით საქმის განხილვის კონსტიტუციური მოთხოვნების უგულვებელყოფის გამო.

საქმეზე ააიპ „ფრემა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შეაფასა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის მე-8 ნაწილის⁹⁶¹ კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

სასამართლომ, სადავო ნორმის განმარტების და მისი გამოყენების პრაქტიკის გაანალიზების შედეგად, დაადგინა, რომ ის (სადავო ნორმა) ითვალისწინებდა ყადაღის დადების დადასტურების შესახებ შუამდგომლობის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესაძლებლობას და ამით ართმევდა პირს უფლებას, ზეპირ მოსმენაზე წარადგინოს საკუთარი მოსაზრებები და მტკიცებულებები. იმავდროულად, სადავო ნორმით გათვალისწინებული პროცედურა მოსამართლისგან მოითხოვდა რიგი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევასა და შეფასებას, რის შემდგომაც სასამართლო დაადასტურებდა ან უარყოფდა ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ საგადასახადო ორგანოს აქტებს. კერძოდ, მოსამართლე ყადაღის დადების დადასტურებისა ან მისი უარყოფის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად იკვლევდა, ერიცხებოდა თუ არა საგადასახადო დავალიანება გადასახადის გადამხდელს, აღიარებული იყო თუ არა აღნიშნული დავალიანება, რამდენად შეასრულა გადასახადის გადამხდელმა კანონმდებლობით დაწესებული ვალდებულებები, რა ღირებულების ქონება გააჩნდა მას, არიდებდა თუ არა იგი თავს საგადასახადო ორგანოსთან თანამშრომლობას, არსებობდა თუ არა გადასახადის გადამხდელის მხრიდან ქონების

961 საქართველოს საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ამავე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ორგანომ ან აღსრულების ეროვნულმა ბიურომ, ქონებაზე ყადაღის დადების პროცედურების განხორციელების შემთხვევაში, ყადაღის დადებიდან 48 საათში სასამართლოს უნდა წარუდგინოს შუამდგომლობა პირის ქონებაზე, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების დადასტურების შესახებ. ამავე მუხლის მე-7 ნაწილი ითვალისწინებს საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილებას, გარკვეულ შემთხვევებში დაუყოვნებლივ დააღოს ყადაღა გადასახადის გადამხდელის ქონებას. საგადასახადო ორგანოს მიერ შუამდგომლობით მიმართვის შემდგომ სასამართლო ვალდებულია, მომდევნო 48 საათის განმავლობაში გამოიტანოს განჩინება შუამდგომლობის სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე ან უარყოფის შესახებ. თუ აღნიშნულ ვადაში საგადასახადო ორგანო ან აღსრულების ეროვნული ბიურო სასამართლოში არ წარადგენს შუამდგომლობას ან სასამართლო არ გამოიტანს განჩინებას პირის ქონებაზე (მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე) ყადაღის დადების დადასტურების შესახებ, ყადაღა გაუქმებულად ჩაითვლება, ხოლო ქონებაზე დადებული ლუქი იხსნება.

გასხვისების რისკი, რამდენად მნიშვნელოვანი ზიანი შეიძლება მისდგომოდა გადასახადის გადამხდელს ქონებაზე ყადაღის დადების შემდგომ მისი სამეწარმეო საქმიანობისა და საგადასახადო ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით და სხვა⁹⁶². მაშასადამე, სადავო ნორმით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტა მოითხოვდა, რომ სასამართლოს შეესწავლა და შეეფასებინა მტკიცებულებები, დაკავშირებული გადასახადის გადამხდელის ქონებასა და საქმიანობასთან და აღნიშნულის საფუძველზე დაედგინა რიგი ფაქტობრივი გარემოებები. სადავო ნორმის ფარგლებში სასამართლო წესით უნდა მომხდარიყო საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების დადასტურება ან უარყოფა⁹⁶³.

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული განხილვა არსებით გავლენას ახდენდა პირის უფლებებსა და ვალდებულებებზე, რაც ასევე წარმოშობდა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის მომეტებულ ინტერესს. „... ქონებაზე ყადაღის დადებისთანავე, პირს ეზღუდება მისი განკარგვის უფლება. ქონების განკარგვის რიგი სახეების აკრძალვა, ხშირ შემთხვევაში, ყადაღადადებულ ქონებას უკარგავს ფუნქციას და ღირებულებას. შესაბამისად, ქონებაზე ყადაღის დადება წარმოადგენს საკმაოდ მაღალი ინტენსივობის მქონე მზლუდავ ღონისძიებას, რომელიც უარყოფითად აისახება გადასახადის გადამხდელის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ... ყადაღის მზლუდავი ბუნებიდან გამომდინარე, ქონების მესაკუთრეს აქვს მაღალი ინტერესი, რომ მის მიმართ გამოყენებული საგადასახადო უზრუნველყოფის ღონისძიების მართებულობის სასამართლო წესით განხილვისას ზეპირი განხილვის ფარგლებში ჰქონდეს, საკუთარი მტკიცებულებებისა და პოზიციის წარდგენის უფლება. ქონებაზე ყადაღის დადასტურების შესახებ საქმის განხილვის შედეგებმა შესაძლებელია ნეგატიური შედეგი იქონიოს როგორც გადასახადის გადამხდელის ეკონომიკურ საქმიანობაზე, ასევე მის ფინანსურ მდგომარეობაზე, დაფაროს დაკისრებული საგადასახადო ვალდებულებები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა ეფუძნებოდეს მყარ კონსტიტუციურსამართლებრივ საფუძველს“⁹⁶⁴.

962 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/8/734 საქმეზე ააიპ „ფრემა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 13.

963 იქვე, II, 13.

964 იქვე, II, 15-16.

საქართველოს პარლამენტი ყადაღის დადების დადასტურების შესახებ უამდგომლობის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის ლეგიტიმურ მიზნად დაასახელა ყადაღის დადებით გადასახადის გადამხდელის საკუთრების უფლების არამართლზომიერად შეზღუდვის თავიდან აცილება და სწრაფი, ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფა.⁹⁶⁵

სწრაფი, დროული მართლმსაჯულების განხორციელება, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების არსებითი კომპონენტი, ნამდვილად წარმოადგენს ლეგიტიმურ მიზანს, რომელთანაც ზეპირი მოსმენით საქმის განხილვა მოდის კონკურენციაში. ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვა უდავოდ უზრუნველყოფს უფრო მჭიდრო ვადებში მართლმსაჯულების განხორციელებას, რაზეც არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლომ. თუმცა მოცემულ საქმეზე ამ მიზანზე აპელირებით უფლების შეზღუდვა მოკლებული იყო გონივრულ საფუძველს, რადგან მოსარჩელის სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვის გამართლება ხდებოდა თავად მოსარჩელის ინტერესებით. სასამართლოს განმარტებით: „სამართალწარმოების სწრაფად დასრულება, ამ შემთხვევაში, სწორედ გადასახადის გადამხდელის ქონებაზე ყადაღის ხანგრძლივად, უსაფუძვლოდ დადების თავიდან აცილებას ემსახურება. ... გაუმართლებელია პირის სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვა მისივე ინტერესებზე მითითებით. როდესაც საქმის განხილვის სწრაფად დასრულება თავად პირის ინტერესებშია, შეუძლებელია, პირს გააჩნდეს საქმის ხელოვნურად გახანგრძლივების მოტივაცია. პირიქით, ასეთ შემთხვევაში იგი თავად უკეთ გადაწყვეტს, მის რომელ ინტერესს მიანიჭოს უპირატესობა და რა მოცულობით ისარგებლოს სამართლიანი სასამართლოს უფლებრივი გარანტიებით“⁹⁶⁶.

რაც შეეხება სამართალწარმოების ეფექტიანად განხორციელების მიზანს, სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა წარმოადგენს მექანიზმს, რომელიც ამცირებს სასამართლოს მიერ დახარჯულ დროსა და რესურსს, ემსახურება პროცესის ეკონომიურობას, რაც, საბოლოო ჯამში, იცავს სასამართლოს გადატვირთულობისაგან⁹⁶⁷. თუმცა დაადგინა, რომ შეზღუდვა არ იყო ამ მიზნის მიღწევის ვარგისი/გამოსადეგი საშუალება. სასამართლოს განმარტებით: „სასამართლოს გადატვირთულობის თავიდან აცილების მიზნით ზეპირი მოსმენის უფლების

965 იქვე, II, 19.

966 იქვე, II, 20.

967 იქვე, II, 21.

შეზღუდვა ისეთ საქმეებზე, რომლებიც ძალიან მცირე რაოდენობით ხდება და ტვირთად არ აწვება სასამართლო სისტემას, ვერ ჩაითვლება მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებად. დღეის მდგომარეობით, საქმეთა რაოდენობიდან გამომდინარე ... მინიმალურია ის ტვირთი, რაც შესაძლოა, სადავო ნორმით გათვალისწინებული საქმეების ზეპირი მოსმენით დააწვეს სასამართლო სისტემას. აქედან გამომდინარე, სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება არ წარმოადგენს სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვის ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსადეგ საშუალებას⁹⁶⁸.

საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით ძოწენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გასაჩივრებული იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმა (430-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება), რომლის თანახმად, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება განიხილებოდა ზეპირი მოსმენის გარეშე. ამავ მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება აღგენდა, რომ სასამართლოს შეეძლო დაედგინა ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭირო იყო და ხელს უწყობდა საქმის გარემოებების გარკვევას. ამდენად, ზეპირი განხილვის ჩატარება საქმის განმხილველი მოსამართლის დისკრეციას წარმოადგენდა. შესაბამისად, სადავო ნორმა აღგენდა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის ზოგად წესს, თუ საქმის განმხილველი მოსამართლე არ გადაწყვეტდა ზეპირი მოსმენის ჩატარებას.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ საკითხი ეხებოდა საქმის განახლების შესახებ შეტანილი განცხადების შინაარსობრივ მხარეს. კერძოდ, ხდებოდა იმ ახლად აღმოჩენილი გარემოების შეფასება, რომელიც წარმოადგენდა საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილი განცხადების საფუძველს. მოსარჩელის აზრით, აღნიშნულ პროცესში, ახლად აღმოჩენილი გარემოებისა და მტკიცებულების სრულყოფილად გამოსაკვლევად, უმნიშვნელოვანესი იყო მხარეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამასთან, საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილი განცხადების დაკმაყოფილება იწვევდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას, რაც არსებით გავლენას ახდენდა პირის უფლებებსა და ვალდებულებებზე. შესაბამისად, სადავო ნორმა გამორიცხავდა რა მხარეთა მონაწილეობას ახლად აღმოჩენილი გარემოების განხილვისა და დასაშვებობის გადაწყვეტის პროცესში, იწვევდა სამართლიანი სასამართლოს უფლების ორი მნიშვნელოვანი კომპონენტის – საქმის ზეპირი მოსმენით განხილვისა და დაცვის უფლებების დარღვევას.

სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა წარმოადგენდა სწრაფი

968 იქვე, II, 23-24.

და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ვარგის და ყველაზე ნაკლებად მზლუდავ საშუალებას. პროპორციულობის ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა დაედგინა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ განცხადების განხილვისას სასამართლო ახდენდა მხოლოდ სამართლებრივი ასპექტების შეფასებას თუ ასევე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევას. ამასთან, რამდენად მნიშვნელოვანი იყო უფლება თუ სამართლებრივი ინტერესი, რომლის დაცვის შესაძლებლობასაც ზღუდავდა სადავო ნორმა.

მოსარჩელე დავობდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით გაუქმების საკითხის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის კონსტიტუციურობაზე⁹⁶⁹. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული საფუძვლით საქმის წარმოების განახლება მოითხოვდა სასამართლოსგან კონკრეტული ფაქტის – ახლად აღმოჩენილი გარემოებისა და მტკიცებულების შეფასებას. კერძოდ, საერთო სასამართლოს უნდა გამოეკვლია ახლად აღმოჩენილი გარემოების ან/და მტკიცებულების მნიშვნელობა, მისი როლი და გავლენა უნარიანობა გადაწყვეტილების საბოლოო შედეგზე. უნდა შეეფასებინა, ეს გარემოება ან/და მტკიცებულება წარმოდგენილი რომ ყოფილიყო საქმის განხილვის დროს, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში, გამოიწვევდა თუ არა მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ასევე უნდა შეეფასებინა, წარმოდგენილი მტკიცებულება ცნობილი იყო თუ არა მხარისათვის საქმის განხილვისას და დაედგინა, რამდენად არსებობდა ამ მტკიცებულების უფრო ადრე წარდგენის შესაძლებლობა. მაშასადამე, სადავო ნორმით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტა მოითხოვდა სასამართლოს მიერ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილ შესწავლას და ზოგიერთი ახალი ფაქტობრივი გარემოების დადგენას⁹⁷⁰.

იმავედროულად, სადავო ნორმით გათვალისწინებული განცხადების

969 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

970 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/8/765 საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით ძოწენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 30.

განხილვა მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა პირის უფლებებსა და ვალდებულებებზე. კერძოდ, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით შეტანილი განცხადების საფუძვლიანობის შემთხვევაში, ხდებოდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება, რომელმაც წარმოშვა იურიდიული შედეგი და, რომლის მიმართაც მხარეს გააჩნდა შეუქცევადად აღსრულების ლეგიტიმური მოლოდინი. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებას კი შეიძლებოდა გამოეწვია პირის სამართლებრივი მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესება. შესაბამისად, სადავო ნორმით მოწესრიგებული პროცესის მიმართ პირს გააჩნდა განსაკუთრებული სამართლებრივი ინტერესი, რათა არ მომხდარიყო მის სასარგებლოდ მიღებული, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მისსავე საუარესოდ გაუქმება⁹⁷¹.

მაშასადამე, სადავო ნორმის ფარგლებში, ერთი მხრივ, არსებობდა ფაქტობრივი გარემოებების დადგენის საჭიროება, ხოლო, მეორე მხრივ, გადასაწყვეტი საკითხის მიმართ პირის მომეტებული სამართლებრივი ინტერესი. სასამართლოს განმარტებით: „ამ პირობებში, პირის ინტერესი, არ მოხდეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საქმეზე ზეპირი მოსმენის ჩატარების გარეშე გაუქმება, მნიშვნელოვნად აღემატება სწრაფ მართლმსაჯულებაზე სამოქალაქო სამართალწარმოების მეორე მხარისა თუ ზოგადად, საზოგადოების ინტერესს. ამასთანავე, მოსარჩელის უფლების შეზღუდვისათვის დამაბალანსებელი მექანიზმი ვერ იქნება ის გარემოება, რომ სასამართლოს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება, რათა ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში განსაზღვროს, არსებობს თუ არა ზეპირი მოსმენის ჩატარების აუცილებლობა და თუ ამგვარი საჭიროება გამოიკვეთება, გამართოს სხდომა ზეპირი მოსმენით. სადავო საკითხზე მოსამართლისათვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭება სამართლიანი სასამართლოს უფლების მოთხოვნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება შეესაბამებოდეს, თუ არსებობს მისი კონსტიტუციის შესაბამისად გამოყენების შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში, იმისდა მიუხედავად, თუ რა სახისა თუ სირთულის სამართლებრივ ურთიერთობას ეხება საქმე, სასამართლოს ყოველ ჯერზე სჭირდება მისთვის წარდგენილი ახლად აღმოჩენილი გარემოების/მტკიცებულების შეფასება, უკვე მიღებულ და კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე მისი გავლენაუნარიანობის განსაზღვრა, ასევე იმის შეფასება თუ რამდენადაა დაცული ახლად აღმოჩენილი გარემოების სასამართლოსათვის

971 იქვე, II, 31.

წარდგენის წესი და ჰქონდა თუ არა მხარეს მისი უფრო ადრე აღმოჩენისა და წარდგენის შესაძლებლობა. ამდენად, საკითხის გადაწყვეტა ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში საჭიროებს ფაქტების დადგენას. ამავე დროს, ახლად აღმოჩენილი გარემოების არსებობის მოტივით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ყოველთვის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს იმ პირის უფლებებზე, რომლის ინტერესების საწინააღმდეგოდაც არის მიმართული იგი. ამდენად, ყველა შემთხვევაში, როდესაც სასამართლო აუქმებს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, არსებობს ზეპირი მოსმენის ჩატარების აუცილებლობა⁹⁷².

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ზეპირი მოსმენის ჩატარების გარეშე გაუქმებით, საერთო სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში დაარღვევდა იმ პირის სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რომლის ინტერესების საწინააღმდეგოდაც ხდებოდა გადაწყვეტილების გაუქმება. ამ თვალსაზრისით, მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების კონსტიტუციის შესაბამისად გამოყენების შესაძლებლობა არ არსებობდა⁹⁷³. შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა ცნო არაკონსტიტუციურად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებული პირების საქმეთა ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობაზე. მისი განმარტებით, პირს, რომელსაც ბრალი ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, სასამართლოზე დასწრება/მონაწილეობა უნდა შეეძლოს⁹⁷⁴. წინააღმდეგ შემთხვევაში, საეჭვოდ გამოიყურება კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა. ამავე დროს, ტერმინი „სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდება“ კონვენციის მიზნებისთვის ვრცელდება სხვა სამართალდარღვევებზეც (მაგ., ადმინისტრაციული, საბაჟო დარღვევები). ამასთან, სამართალდარღვევის სიმძიმეზე დამოკიდებულებით, შესაძლოა, ზეპირი მოსმენით საქმის განხილვა ისეთივე სიმკაცრით არ მოითხოვებოდეს, როგორც სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულების შემთხვევაში.

972 იქვე, II, 32.

973 იქვე, II, 33.

974 *Tierce and Others v. San Marino*, app. №24954/94; №24971/94; №24972/94 (ECtHR, 25.07.2000), §94; *Jussila v. Finland*, app. №73053/01, (ECtHR, (GC), 23.11.2006), §40; *Hermi v. Italy*, app. №18114/02, (ECtHR, (GC), 18.10.2006), §58-59; *Sejdovic v. Italy*, app. №56581/00, (ECtHR, (GC), 01.03.2006), §81, 84.

საქმეზე *Liepins v. Latvia*⁹⁷⁵ მომჩივანი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევაზე, რადგან მას არ მიეცა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიეღო მისი საქმის საკასაციო განხილვაში. კერძოდ, ის დამნაშავედ იქნა ცნობილი დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ ქურდობაში და მიესაჯა 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. რეგიონულმა სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა საჩივარი და პატიმრობის ვადა 6 თვით შეუმცირა. მან გადაწყვეტილების სამართლებრივი საკითხები უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა, რომელმაც მისი მოთხოვნა, მონაწილეობა მიეღო საქმის განხილვაში, არ დააკმაყოფილა. ამასთან, საბოლოოდ, საქმე გადაწყვიტა მომჩივნის საწინააღმდეგოდ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში, უზენაეს სასამართლოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები არ უნდა დაედგინა, არამედ უნდა შეეფასებინა საქმეში გამოყენებული სამართლის ნორმების განმარტებების სისწორე. მასასადაამე, უზენაესი სასამართლოს კომპეტენცია შეზღუდული იყო სამართლებრივი საკითხებით. გარდა ამისა, მომჩივანი სასამართლოს წინაშე არ დავობდა, რომ საქმეში არსებული სამართლებრივი საკითხები ვერ იქნებოდა განცალკევებული ფაქტობრივი გარემოებების განხილვისაგან, რაც საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, მის დასწრებას სავალდებულოს გახდიდა. თუმცა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვაზე ბრალდებულის პირადი დასწრება სამართლიანი სასამართლოს უფრო ფართო კონცეფციის ასპექტია. მოცემულ საქმეზე მან მიიჩნია, რომ პროცესზე დასწრებას შეჯიბრებითობის პრინციპის თვალსაზრისით (რომელიც მოითხოვს, მხარეებს მიეცეთ გონივრული შესაძლებლობა, მათი საქმე იმგვარად წარმოადგინონ, რომ მეორე მხარესთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გარემოებებზე: პროკურორს, მომჩივნისგან განსხვავებით, ჰქონდა საკასაციო სხდომაზე დასწრების უპირატესობა და შესაძლებლობა, უზენაესი სასამართლოსათვის წარედგინა ზეპირი ახსნა-განმარტება, რომელიც მიზნად ისახავდა სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენას. აღნიშნული ახსნა-განმარტებები მიმართული იყო მომჩივნის საჩივრის არ დაკმაყოფილებასა და მისი მსჯავრდების ძალაში დატოვებისკენ. ევროპულმა სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ, ვინაიდან მომჩივანი იმყოფებოდა პატიმრობა-

975 *Liepins v. Latvia*, app. №31855/03, (ECtHR, 25.02.2015).

ში, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მის მიერ მოთხოვნის წარდგენის შემთხვევაში, ხელისუფლებას უნდა უზრუნველყო მისი სხდომაზე დასწრება. მომჩივანმა აღნიშნული მოთხოვნა დააყენა სხდომამდე ერთი კვირით ადრე, თუმცა უზენაეს სასამართლოს შესაბამისი რეაგირება არ მოუხდენია.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ვალდებულებას წარმოადგენდა, გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები, რათა პირს ჰქონოდა უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. პროცედურული სამართლიანობის პრინციპი მოითხოვდა, რომ მომჩივანს მისცემოდა შესაძლებლობა, პროკურორის საპასუხოდ, საკასაციო სხდომაზე გაეკეთებინა ზეპირი განცხადებები. შედეგად, სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.

7.1.1.2.4. დაცვის უფლება – საქართველოს კონსტიტუციით (31-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით) და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით) გათვალისწინებული გარანტიები

სამართლიანი სასამართლოს უფლების ფუნდამენტური უფლებრივი კომპონენტია დაცვის უფლება. მიუხედავად მისი საგანგებო რეგლამენტაციისა კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით, ის, იმავდროულად, უზრუნველყოფილია ამავე მუხლის პირველი პუნქტით, რადგან მასზე სრული და ეფექტური ხელმისაწვდომობა საბოლოოდ ყოველ საქმეზე სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა ყოველთვის იწვევს/გულისხმობს პირველი პუნქტის დარღვევასაც.

სამართლიანი სასამართლოს უფლების მარეგლამენტირებელ დებულებებში განხორციელებულ ცვლილებებს შორის აღსანიშნავია დაცვის უფლების უფრო დეტალური გაწერა. საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი შემოიფარგლებოდა მხოლოდ შემდეგი ჩანაწერით: „დაცვის უფლება გარანტირებულია“. მოქმედი რედაქციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად კი „დაცვის უფლება გარანტირებულია. ყველას აქვს უფლება სასამართლოში დაიცვას თავისი უფლებები პირადად ან ადვოკატის მეშვეობით, აგრეთვე კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში – წარმომადგენლის მეშვეობით.

ადვოკატის უფლებების შეუფერხებელი განხორციელება და ადვოკატთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით“. მიუხედავად იმისა, რომ უფლების აღიარება საკმარისი იყო/უნდა ყოფილიყო მისი მთელი სისრულით სარგებლობისა და დაცვისთვის შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შესაქმნელად და სათანადო პრაქტიკის განსავითარებლად, ამასთან, სწორედ აქეთკენ იყო მიმართული, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს რელევანტური განმარტებებიც, მეტი კონკრეტიკა უფლების კონსტიტუციური საფუძვლების შექმნისას მისასაღმებელია.

უფლების ფარგლებთან დაკავშირებით კიდევ უფრო დეტალურია ინფორმაცია ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში, რომლის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად:

„3. ყოველ პირს, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

a. მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობოს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;

b. ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

c. დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;

d. დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში;

e. ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა, ან ილაპარაკოს ამ ენაზე“.

დაცვის უფლების რეალიზაცია მჭიდროდ უკავშირდება შეჯიბრებითობის პრინციპს. სამართლიანი სასამართლოს უფლების ეს ორი ფუნდამენტური ასპექტი განაპირობებს, უზრუნველყოფს ერთი მეორის სრულყოფილად რეალიზაციის შესაძლებლობას, ამასთან, მათი გამოყენების ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის კონსტიტუციური გარანტიის დაცულობაზე. საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ საქმეზე გაამახვილა ყურადღება ამ კომპონენტების ურთიერთკავშირზე: „... საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის შესაძლებლობის არსებობა ერთნაირად იწვევს ჩარევას როგორც სამართლიანი სასამართლოს, ისე დაცვის უფლებაში. ამასთანავე, სახელმწიფოს ეკისრება მტკიცების იდენტური ტვირთი, რათა გაამართლოს სა-

ქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების დასახელებული ასპექტის შეზღუდვა⁹⁷⁶. „საქმის ზეპირი მოსმენა ითვალისწინებს რა მხარეთა უშუალო მონაწილეობას საქმის განხილვაში, რაც ნიშნავს მათ შესაძლებლობას, წარადგინონ მტკიცებულებები, გამოთქვან მოსაზრებები, დაიცვან თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით, სწორედ ამ გზით, წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას პროცესის შეჯიბრებითობის, დაცვის უფლებით ადეკვატურად სარგებლობისთვის, ამასთან, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს მხარეთა შესაძლებლობას, უკეთ დაიცვან საკუთარი ინტერესები, გავლენა მოახდინონ საქმის გადაწყვეტაზე, ხელი შეუწყონ სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას“⁹⁷⁷. საკონსტიტუციო სასამართლომ დაცვის უფლების სავარაუდო დარღვევაზე უმეტეს შემთხვევებში იმსჯელა საქმის ზეპირი მოსმენით განხილვის და შეჯიბრებითობის პრინციპის შეფასების ფარგლებში. „სწორედ დაცვის უფლებით სარგებლობა არის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი ბერკეტი, რაც საქმის ზეპირი მოსმენით განხილვას კიდევ უფრო ეფექტურს ხდის უფლების დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ბუნებრივია, ცალკეულ შემთხვევაში, დაცვის უფლებით სარგებლობა შესაძლებელია საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის დროსაც. ანუ საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა თავისთავად და ყოველთვის არ გულისხმობს პირის დაცვის უფლების დარღვევასაც. მაგრამ, როდესაც საქმის ზეპირი მოსმენით განხილვა აუცილებელია უფლების სრულყოფილი დაცვისთვის, ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვა არღვევს არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტს, არამედ მე-3 პუნქტით გარანტირებულ დაცვის უფლებასაც, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების უმნიშვნელოვანეს უფლებრივ კომპონენტს. რადგან ასეთ შემთხვევაში, ... ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვა უფლების დარღვევას იწვევს სწორედ იმის გამო, რომ პირს საერთოდ არ აქვს მტკიცებულებების წარდგენის, საკუთარი პოზიციის პირადად ან დამცველის მეშვეობით დაფიქსირების, დაცვის შესაძლებლობა“⁹⁷⁸.

976 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/8/765 საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით ძოწენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 16.

977 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №3/1/574 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 61.

978 იქვე, II, 95.

დაცვის უფლების ფარგლებს გავაანალიზებთ სწორედ ზემოაღნიშნულ კომპონენტებთან ურთიერთკავშირში, საქართველოს კონსტიტუციის და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რელევანტურ დებულებებზე დაყრდნობით.

ზოგადად, დაცვის უფლების არსი იმაში მდგომარეობს, რომ „პირს, რომლის მიმართაც გარკვეული პროცესუალური ზომები ტარდება, უნდა გააჩნდეს შესაბამის პროცედურასა და მის შედეგებზე ეფექტური ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა“⁹⁷⁹. ბუნებრივია, დაცვის უფლების კონსტიტუციური გარანტია არ შემოიფარგლება სისხლის სამართლის სფეროთი და თანაბრად ვრცელდება როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე⁹⁸⁰.

დაცვის უფლებით სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობისთვის მნიშვნელოვანია როგორც კანონმდებლობით, ისე სათანადო პრაქტიკით არაერთი პირობის დაკმაყოფილება. კერძოდ:

1. როგორც საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ისე ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „c“ ქვეპუნქტი ყურადღებას ამახვილებს პირის უფლებაზე, დაიცვას თავი პირადად. ეს გარანტია გულისხმობს პირის უფლებას, მისი სურვილის შემთხვევაში, თვითონ დაიცვას საკუთარი თავი, რაც მოითხოვს უშუალოდ მის ეფექტურ, ქმედით მონაწილეობას საქმის განხილვაში, სასამართლო პროცესში, შესაძლებლობას, წარადგინოს საკუთარი პოზიცია, არგუმენტები, მტკიცებულებები, რომლებიც, მისი აზრით, მნიშვნელოვანია საკუთარი უფლებების/კანონიერი ინტერესების დაცვისთვის.

2. კონსტიტუციის და კონვენციის დასახელებული დებულებები ასევე მიუთითებს პირის შესაძლებლობაზე, დაიცვას თავი მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით, რაც გულისხმობს პირისთვის სასურველ ადვოკატზე არჩევანისა და გარანტირებული ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხები:

ა) პირი დაზღვეული უნდა იყოს მისთვის არასასურველი, მის მიერ არარჩეული და არასანდო დამცველის საქმეში მონაწილეობისგან. ამ გარანტიის არარსებობამ დაცვის უფლება შესაძლოა ფიქციური გახადოს, რადგან ადვოკატისადმი ნდობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია დასაცავი

979 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/2/503,513 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 54.

980 იქვე, II, 55.

პირის მასთან (ადვოკატთან) ხარისხიანი კომუნიკაციის, ყველა აუცილებელი ინფორმაციის გაცვლის, დაცვის სტრატეგიის სწორად აგებისა და, საბოლოო ჯამში, უფლების ეფექტური რეალიზაციისთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მიუხედავად ადვოკატისა და მის კლიენტს შორის რწმენაზე დამყარებულ ურთიერთობის მნიშვნელობისა, ეს უფლება არ არის აბსოლუტური. ის ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს, როდესაც სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ მართლმსაჯულების ინტერესების მოთხოვნაა, ბრალდებული წარმოდგენილი იყოს სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნული დამცველით⁹⁸¹. თუმცა, როდესაც შეზღუდვისთვის ლეგიტიმური საფუძვლები არ არსებობს, დამცველის საკუთარი სურვილით არჩევის უფლების შეზღუდვა წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას, მე-3 პუნქტის (c) ქვეპუნქტთან ერთად, თუ ამ უფლების შეზღუდვა გავლენას ახდენს მთლიანად სამართალწარმოების სამართლიანობაზე⁹⁸². ასეთ შემთხვევებში შეფასების საგანი იქნება, რამდენად იქონია მოცემულმა გარემოებამ გავლენა მთლიანობაში სამართლიანი სასამართლოს უფლებით ეფექტურად სარგებლობის შესაძლებლობაზე.

ბ) დაცვის უფლების ერთ-ერთი მთავარი ასპექტი არის დამცველთან თავისუფალი კომუნიკაცია ყოველგვარი ჩარევის გარეშე. თუ ადვოკატს არ ექნება შესაძლებლობა, მეთვალყურეობისგან თავისუფალ პირობებში შეხვდეს და ესაუბროს კლიენტს, კონფიდენციალურ პირობებში მიიღოს მისგან ყველა საჭირო ინფორმაცია, მაშინ სამართლებრივ დახმარებას გამოეცლება საფუძველი. კონსტიტუცია და კონვენცია მიზნად ისახავს, უზრუნველყოს უფლებების ეფექტური, პრაქტიკული და არა ილუზორული დაცვა. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა დაფუძნებული იყოს ნდობასა და ურთიერთგაგებაზე. ბუნებრივია, ეს ურთიერთობა შეიძლება შეიზღუდოს დროსა და სივრცეში/ადგილის მიხედვით, თუმცა შეზღუდვის ინტენსივობამ გავლენა არ უნდა მოახდინოს დაცვის უფლებით ეფექტურად, ქმედითად სარგებლობაზე.

გ) ფუნდამენტური საკითხია დამცველზე დროული ხელმისაწვდომობა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ არჩეულ ადვოკატზე

981 *Croissant v. Germany*, app. №13611/88, (ECtHR, 25.09.1992), §25; *Meftah and Others v. France*, app. №32911/96, 35237/97, 34595/97, (ECtHR, [GC], 26.07.2002), §45; *Klimentyev v. Russia*, app. №46503/99, (ECtHR, 16.11.2006), §116; *Dvorski v. Croatia*, app. №25703/11, (ECtHR, 20.10.2015), §79.

982 *Meftah and Others v. France*, app. №32911/96, 35237/97, 34595/97, (ECtHR, [GC], 26.07.2002), §46-47; *Dvorski v. Croatia*, app. №25703/11, (ECtHR, 20.10.2015), §79.

ხელმისაწვდომობის უფლება ვრცელდება წინასასამართლო ეტაპზეც. ბრალდებულს გარანტირებული უნდა ჰქონდეს ადვოკატის დახმარების შესაძლებლობა მისი დაკავების მომენტიდანვე, ეჭვმიტანილის/ბრალდებულის სახით პირველივე დაკითხვისთანავე, რადგან გამოძიების ეტაპზე მიღებული მტკიცებულება განსაზღვრავს სასამართლოში განსახილველი საქმის ფარგლებს⁹⁸³. ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა შეამოწმონ, იცოდა თუ არა ბრალდებულმა ადვოკატის დახმარების მიღების უფლების შესახებ, ამასთან, რეალურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა, ესარგებლა დამცველის დახმარებით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, კონვენციის მე-6 მუხლის პირველადი მიზანი არის „ნებისმიერი სისხლის სამართლის ბრალდებაზე“ კომპეტენტური „ტრიბუნალის“ მიერ სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული მუხლი არ ვრცელდება წინა სასამართლო ეტაპზე. ამიტომ მე-6 მუხლი, განსაკუთრებით კი მისი მე-3 პუნქტი მოქმედებს იქამდე, ვიდრე საქმე გაეგზავნება სასამართლოს, ვინაიდან სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობა შეიძლება დაზიანდეს საწყის ეტაპზე დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო. კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (c) ქვეპუნქტით უზრუნველყოფილი უფლება არის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთი-ერთი შემადგენელი ელემენტი⁹⁸⁴. დაცვის უფლების უზრუნველსაყოფად, როგორც წესი, საჭიროა, ბრალდებულს მიეცეს საშუალება, მაქსიმალურად ეფექტურად ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით სისხლის სამართლებრივი პროცედურების საწყის ეტაპზე⁹⁸⁵. ბრალდებული ხშირად მოწყვლად მდგომარეობაშია სამართლებრივი პროცედურების განხორციელებისას და ამის სწორად კომპენსირება შესაძლებელია უზრუნველყოფილი იყოს მხოლოდ ადვოკატის დახმარებით, რომლის ერთ-ერთი ფუნქცია, სხვა ფუნქციათა შორის, არის ბრალდებულის მიერ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების არმიცემის უფლების დაცვა⁹⁸⁶. მაშასადამე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს, პირს, რომელსაც სისხლის სამართლის

983 *Salduz v. Turkey*, app. №36391/02, (ECtHR, 27.11.2008), §54.

984 *Salduz v. Turkey*, app. №36391/02, (ECtHR, [GC], 17.11.2008), §50; *Dvorski v. Croatia*, app. №25703/11, (ECtHR, 20.10.2015), §76.

985 *Salduz v. Turkey* app. №36391/02, (ECtHR, [GC], 17.11.2008), §52.

986 *Salduz v. Turkey* app. №42371/02 (ECtHR, 01.04.2010), §101; *Dvorski v. Croatia*, app. №25703/11, (ECtHR, 20.10.2015), §77.

დანაშაულის ჩადენა ედება ბრალად და რომელსაც არ სურს, საკუთარი თავი პირადად დაიცვას, სამართალწარმოების საწყისი ეტაპიდანვე ჰქონდეს საშუალება, აირჩიოს საკუთარი ინტერესების დამცველი და მიიღოს იურიდიული დახმარება⁹⁸⁷. სამართალწარმოების სამართლიანობა მოითხოვს, ბრალდებულს ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს სხვადასხვა სახის მომსახურება, რომელიც კონკრეტულად დაკავშირებულია იურიდიულ დახმარებასთან⁹⁸⁸. საქმეზე *Salduz v. Turkey* სასამართლომ დაადგინა: იმისათვის რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება იყოს „პრაქტიკული და ეფექტური“, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი მოითხოვს, ბრალდებულისთვის ადვოკატი ხელმისაწვდომი იყოს პოლიციის მიერ ეჭვმიტანილად დაკითხვის პირველივე მომენტიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს გარკვეული გარემოებები, რომელთა გამოც შეიძლება ამ უფლების შეზღუდვა მოხდეს. თუმცა, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც არსებობს ლეგიტიმური საფუძველი ადვოკატისადმი ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გამართლებისთვის, ეს არ უნდა იწვევდეს უფლების დარღვევას. დაცვის უფლება ჩაითვლება დარღვევულად, როდესაც პოლიციის მიერ დაკითხვის ეტაპზე ადვოკატის გარეშე საკუთარი თავის წინააღმდეგ მიცემული ჩვენება გამოყენებული იქნება პირის ბრალდებისთვის⁹⁸⁹.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსგავსად, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, სამართლიანი სასამართლოს უფლების შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ და უშუალოდ სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდით. ყოველ საქმეზე შედგება თუ არა სამართლიანი მართლმსაჯულება, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, ჰქონდა თუ არა პირს ყველა სათანადო საპროცესო გარანტიაზე ეფექტური ხელმისაწვდომობა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან/და დაკავების მომენტიდან. ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაცვის უფლებით დროულად სარგებლობას, რადგან სწორედ ამ უფლებაზე ხარისხიანი ხელმისაწვდომობა არსებითად განსაზღვრავს/განაპირობებს საქმის შემდგომი გადამწყვეტის ბედს. შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლო დაცვის უფლების ფარგლებს განიხილავს როგორც კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტთან, ისე მე-13 მუხლის

987 *Martin v. Estonia*, app. №35985/09, (ECtHR, 30.05.2013), §§90, 93.

988 *Dayanan v. Turkey*, app. №7377/03, (ECtHR, 13.10.2009), §32; *Dvorski v. Croatia*, app. №25703/11, (ECtHR, 20.10.2015), §78.

989 *Salduz v. Turkey* app. №36391/02, (ECtHR, [GC], 17.11.2008), §55-57; *Panovits v. Cyprus*, app. №4268/04, (ECtHR, 11.12.2008), §66; *Dvorski v. Croatia*, app. №25703/11, (ECtHR, 20.10.2015), §80.

მე-4 პუნქტთან მიმართებით, რომლის თანახმად: „პირს დაკავებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და დაკავების საფუძველი. პირს დაკავებისთანავე შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს“. საბოლოოდ, ორივე დებულება ემსახურება სამართლიანი სასამართლოს უფლებით ეფექტურად სარგებლობას, სამართლიან მართლმსაჯულებას⁹⁹⁰.

3. ცალკეულ შემთხვევებში სახელმწიფოს ეკისრება ბრალდებულის ადვოკატით უზრუნველყოფის პოზიტიური ვალდებულება. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, უზრუნველყოფილი იყოს ადვოკატის უფასო დახმარების მიღების უფლება შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, კერძოდ: 1) თუ ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა შეუძლებელს ხდის, მან დამოუკიდებლად აანაზღაუროს ადვოკატის მომსახურების საფასური; 2) არსებობს სავალდებულო დაცვის შემთხვევა და სისხლის სამართლის საქმეში არ მონაწილეობს ბრალდებულის მიერ აყვანილი ადვოკატი. უფასო სამართლებრივი დახმარებით უზრუნველყოფა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ამას „მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები“. მაგალითად: ა) როდესაც განჭვრეტადია, რომ სამართალწარმოების შედეგი იქნებოდა განსხვავებული, თუ ბრალდებულს ეყოლებოდა ადვოკატი; ბ) დანაშაულის სიმძიმე/სერიოზულობა, საქმის კომპლექსურობა (განსაკუთრებით პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას) კანონზომიერად მოითხოვს კვალიფიციურ დახმარებას (დამცველით სარგებლობას); გ) როდესაც ბრალდებული დაკავებულია⁹⁹¹; დ) თუ სააპელაციო ინსტანციაში სამართალწარმოებისას წარმოიშობა რთული სამართლებრივი საკითხი, რომელიც უნდა შეფასდეს საქმის ზეპირი განხილვისას, ამასთან, როდესაც ბრალდების მხარე წარმოდგენილია პროცესზე და ბრალდებული დამოუკიდებლად, ადვოკატის გარეშე, ვერ მიიღებს ქმედით მონაწილეობას, გავლენას ვერ მოახდენს სამართალწარმოების შედეგებზე.

4. პირს უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა საკუთარი დაცვის მოსამზადებლად. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, დაცვით უზრუნველყოფა გულისხმობს „არა მხოლოდ ფიზიკურად დამცველის ყოლას, არამედ დაცვისთვის ადეკვატურად მომზადების შესაძლებლობასაც. ამიტომ კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს მინიმალურ,

990 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/393,397 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ონისე მეზონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2.

991 *Prezec v. Croatia*, app. №48145/07, (ECtHR, 15.10.2009), §32.

ამასთან გონივრულ, საკმარის დროს იმისათვის, რომ პირს ჰქონდეს შესაძლებლობა, დაიცვას თავი პირადად ან დამცველის მეშვეობით⁹⁹². დროის საკმარისობა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თითოეული საქმის სირთულის, კომპლექსურობის, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით. საკუთარი დაცვის მომზადებისთვის საკმარისი შესაძლებლობები, შესაბამისი დროის გარდა, მოითხოვს ასევე საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დროულ და ეფექტურ ხელმისაწვდომობას.

საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გასაჩივრებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან მიმართებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული იყო პროკურორის უფლებამოსილება, კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის შენახვის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, გამოძიების ადგილის მიხედვით, მიემართა სასამართლოსთვის შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ამ მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულებები (1432–14310 მუხლების დებულებები), რომლებიც, თავის მხრივ, განსაზღვრავენ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პრინციპებს და წესს.

საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საქმეზე დაადგინა შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა. თუმცა მოსარჩელეს დამატებით მიაჩნდა, რომ სადავო ნორმები არღვევდა მისი დაცვის უფლებასაც.

სასამართლომ გაამახვილა ყურადღება დაცვის უფლების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე სისხლის სამართლის პროცესში: „სისხლის სამართალწარმოებაში დაცვის უფლება, ბრალდებულისათვის მინიჭებულ სხვა საპროცესო გარანტიებთან ერთად, წარმოადგენს სახელმწიფოსა და ბრალდებულის ხელთ არსებული შესაძლებლობების დამაბალანსებელ ინსტრუმენტს. სისხლის სამართალწარმოებაში მხარეს, ერთი მხრივ, წარმოადგენს სახელმწიფო, რომელიც წარმართავს გამოძიებას მის ხელთ

992 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/393,397 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2.

არსებული უზარმაზარი რესურსებითა და უფლებამოსილებით, ხოლო მეორე მხრივ – ბრალდებული, რომლის შესაძლებლობები (მათ შორის ფინანსური, ადამიანური რესურსები), როგორც წესი, შეზღუდულია. აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შორის არსებული ობიექტური სხვაობა კომპენსირებული უნდა იყოს დაცვის მხარისათვის მინიჭებული სხვადასხვა საპროცესო ინსტრუმენტებით იმგვარად, რომ ბრალდებული არ აღმოჩნდეს არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში ბრალდების მხარესთან შედარებით⁹⁹³. „დაცვის უფლების გარანტირებით კონსტიტუცია მიზნად ისახავს, პირის მსჯავრდების პრევენციას უსამართლო სამართალწარმოების შედეგად. შეჯიბრებითი სამართალწარმოების ფარგლებში აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მხარეთათვის პირველ რიგში მტკიცებულებათა მოპოვების და წარდგენის მაქსიმალურად თანაბარი შესაძლებლობების მინიჭებით. სწორედ ამიტომ ბრალდებულს აქვს პირადად ან დამცველის მეშვეობით თავის დაცვის უფლება – შესაძლებლობა, გამოიყენოს როგორც ფაქტობრივი ცოდნა, ასევე სამართლებრივი დახმარება, გააჩნია ბრალდების თანასწორი უფლებები, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს დაცვის მხარის მიერ ბრალდებისაგან თავის დაცვის შესაძლებლობა სხვადასხვა პროცედურული ინსტრუმენტებით“⁹⁹⁴.

სადავო ნორმები დაცვის მხარეს უზღუდავდა წვდომას კომპიუტერული წესით შენახულ მტკიცებულებებზე, შესაბამისად, ბრალდებულის პოზიციის ჩამოყალიბება, არგუმენტირება და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა ხორციელდებოდა მხოლოდ იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც არ წარმოადგენდა კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში განთავსებულ ინფორმაციას, ანდა დოკუმენტაციას. შედეგად, ბრალდებულის ხელმისაწვდომობის მიღმა რჩებოდა ინფორმაციის უზარმაზარი სპექტრი, რომელიც სხვადასხვა დანაშაულის ხასიათის გათვალისწინებით, შესაძლოა ყოფილიყო არა მხოლოდ არსებითი და აუცილებელი მისი პოზიციის დასაბუთებისთვის, არამედ ცალკეულ შემთხვევებში, დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, ერთადერთი გამამართლებელი მტკიცებულებაც.

სასამართლომ დაადგინა: „სადავო ნორმების არაპროპორციულად მზღუდავი ხასიათი სამართლიანი სასამართლოს უფლების ქრილში გამო-

993 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/650, 699 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 27.

994 იქვე, II, 30.

ინატება არა მხოლოდ სასამართლო პროცესში მხარეთა თანასწორობის პრინციპის შეზღუდვასა და უგულვებლყოფაში, არამედ დაცვის უფლების განხორციელებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვების და წარდგენის შესაძლებლობის არარსებობაშიც. შესაბამისად, კომპიუტერული წესით შენახულ ინფორმაციაზე წვდომის ორივე მხარისთვის შეზღუდვის შემთხვევაშიც კი, ვინაიდან ბრალდებულს ეზღუდება გამამართლებელი მტკიცებულებების მოპოვების საშუალება ინფორმაციის მნიშვნელოვნად ფართო სპექტრზე, ილახება მისი დაცვის უფლება სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციური უფლების სხვა კომპონენტების შეზღუდვისგან დამოუკიდებლად⁹⁹⁵.

საქმეზე *Dvorski v. Croatia*⁹⁹⁶ მომჩივანს, რომლის მიმართ გამოძიება მიმდინარეობდა დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი სამი მკვლელობის და ხანძრის გაჩენის ბრალდებით, არ მიეცა საშუალება, პოლიციაში დაკითხვის ეტაპზე წარმოდგენილი ყოფილიყო საკუთარი სურვილით არჩეული ადვოკატი. ასეთ პირობებში მიცემული აღიარებითი ჩვენება გამოყენებული იყო მის მიმართ ბრალის წასაყენებლად. მომჩივნის განცხადებით, დაკითხვის დღეს დილიდან პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდა მისი მშობლების მიერ დაქირავებული ადვოკატი გ. მ., მაგრამ პოლიციის ოფიცრებმა მას არ მისცეს მომჩივანთან შეხვედრის საშუალება. გ. მ.-ის რამდენიმე მცდელობა, შეხვედროდა მომჩივანს პოლიციის განყოფილებაში, წარუმატებელი აღმოჩნდა. ამავე დროს, პოლიციამ მომჩივანს არ შეატყობინა, რომ ოჯახმა მისი ინტერესების დამცველად დაიქირავა გ. მ.

სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ სცნო სამი მკვლელობის ჩადენაში დამამძიმებელ გარემოებებში, ყაჩაღობაში და ხანძრის გაჩენაში, რისთვისაც მიუსაჯა ორმოცი წლით თავისუფლების აღკვეთა. მომჩივანმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. იგი დავობდა, რომ ბრალდება ეფუძნებოდა მის მიერ პოლიციაში მიცემულ აღიარებით ჩვენებას, რომელიც არ იყო გაკეთებული მისი სურვილით არჩეული ადვოკატის (გ. მ.-ის) თანდასწრებით, დაკითხვას ესწრებოდა ადვოკატი მ. რ., რომელიც მას პოლიციამ შესთავაზა. უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის წინაშე მომჩივანი აღნიშნავდა, რომ პოლიციაში დაკითხვის ეტაპზე მას სურდა, ადვოკატ გ. მ.-ის წარმოდგინა მისი ინტერესები, ვინაიდან იცნობდა და ენდობოდა მას (გ. მ. მისი ადვოკატი იყო სხვა საქმეზე). თუმცა პოლიციამ

995 იქვე, II, 33.

996 *Dvorski v. Croatia*, app. №25703/11, (ECtHR, 20.10.2015).

არ მისცა ამის შესაძლებლობა. გარდა ამისა, პოლიციამ არ წარუდგინა მას ადვოკატთა რეესტრი, საიდანაც იგი შეძლებდა მისთვის სასურველი ადვოკატის არჩევას. ადვოკატი მ. რ. გამოძახებულ იქნა პოლიციის მიერ და მას ჰქონდა მხოლოდ 25 წუთი მომჩივანთან გასაუბრებისთვის, რაც, წარდგენილი ბრალდების სიმძიმისა და სერიოზულობის გათვალისწინებით, აშკარად არ იყო საკმარისი.

ევროპულმა სასამართლომ, პირველ რიგში, დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები: პოლიციამ მომჩივანი დაკითხა ადვოკატ მ. რ.-ის თანდასწრებით. ეს ჩვენება გამოყენებულ იქნა მტკიცებულების სახით მის წინააღმდეგ. მომჩივნის მშობლების მიერ დაქირავებული ადვოკატი გ. მ. რამდენჯერმე ეცადა, პოლიციაში დაკითხვის დღეს შეხვედროდა მომჩივანს, რისი საშუალებაც პოლიციის ოფიცრებმა არ მისცეს და ამის შესახებ არც მომჩივანს შეატყობინეს. ამასთან, გ. მ.-ის ვიზიტი და მოთხოვნა, შეხვედროდა მომჩივანს, განხორციელდა პოლიციის მიერ მომჩივნის დაკითხვამდე⁹⁹⁷. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანმა პოლიციაში დაკითხვისას საკუთარი ინტერესების დამცველად ფორმალურად აირჩია ადვოკატი მ. რ., ეს არ იყო ინფორმირებული გადაწყვეტილება, ვინაიდან მან არ იცოდა, რომ მისი მშობლების მიერ დაქირავებული ადვოკატი იმ დროისთვის უკვე იმყოფებოდა პოლიციაში და ცდილობდა მასთან შეხვედრას⁹⁹⁸.

ევროპულ სასამართლოს უნდა გაერკვია, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, არსებობდა თუ არა სათანადო და შესაბამისი საფუძვლები იმისათვის, რომ მომჩივნის კონტაქტი ადვოკატ გ. მ.-სთან შეზღუდულიყო. მოპასუხე სახელმწიფომ ამის ერთადერთ მიზეზად დაასახელა ადვოკატ გ. მ.-ის შესაბამისი მინდობილობის არარსებობა.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეროვნული კანონმდებლობა მკაფიოდ ითვალისწინებდა შესაძლებლობას, დამცველი დაქირავებული ყოფილიყო თავად ექვმიტანილის ან მისი ნათესავების, მათ შორის, მშობლების მიერ. მთავრობის მითითება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე (62-ე მუხლის მე-4 პუნქტზე), რომლის თანახმად, ბრალდებულს შეეძლო ოჯახის მიერ დაქირავებულ დამცველზე უარის თქმა, უსაფუძვლო იყო იმ პირობებში, როდესაც ბრალდებული არ იყო ინფორმირებული მისთვის ახლო ნათესავების მიერ ადვოკატის დაქირავების შესახებ. სასამართლოს შეფასებით, კანონი ნებისმიერ შემთხვევაში ავალდებულებდა პოლიციას, უზრუნველყო მომჩივნის ინფორმირება მისი მშობლების მიერ დაქირავებული დამცველის – გ. მ.-ს პოლიციის განყოფილებაში მის-

997 *Dvorski v. Croatia*, app. №25703/11, (ECtHR, 20.10.2015), §92.

998 *Dvorski v. Croatia*, app. №25703/11; (ECtHR, 20.10.2015), §93.

ვლის თაობაზე, რაც პოლიციამ არ გააკეთა⁹⁹⁹. ევროპული სასამართლოს განმარტებით, ამ უმოქმედობის ახსნა შეუძლებელი იყო ფაქტით, რომ მომჩივანმა ხელი მოაწერა მინდობილობას ადვოკატი მ. რ.-ის სასარგებლოდ. მან ეს გადაწყვეტილება მიიღო ისე, რომ არც კი იცოდა ადვოკატი გ. მ.-ის მიერ მისი დახმარების მცდელობების შესახებ¹⁰⁰⁰. სასამართლომ დაადგინა, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ იყო რაიმე მტკიცებულება, რომელიც გაამართლებდა პოლიციის უმოქმედობას, რის შედეგადაც მომჩივანმა დაკითხვისას ვერ ისარგებლა მისთვის სასურველი ადვოკატის მომსახურებით.

მნიშვნელოვანი იყო ასევე, რომ მომჩივანს ადვოკატი მ. რ.-ის მომსახურება პოლიციაში დაკითხვისას თავს მოახვიეს, რაც მან არაერთხელ განაცხადა სამართალწარმოების მიმდინარეობის პროცესში. ევროპული სასამართლოს განმარტებით, ასეთ გარემოებებში უსაფუძვლო იქნებოდა მტკიცება, რომ მინდობილობის ხელმოწერით და პოლიციისთვის ჩვენების მიცემით, მომჩივანმა აშკარად დათმო კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლება, ყოფილიყო წარმოდგენილი მის მიერ ინფორმირებული არჩევანის შედეგად არჩეული ადვოკატი¹⁰⁰¹.

საბოლოოდ, სასამართლომ უნდა დაედგინა, მომჩივნისთვის დამცველის არჩევის უფლების შეზღუდვამ მოახდინა თუ არა უარყოფითი გავლენა მთლიანად სამართალწარმოების სამართლიანობაზე, იმ პირობებში, როდესაც მომჩივნის მიერ პოლიციაში მიცემული ჩვენება გამოყენებული იყო მისი ბრალდებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ის არ წარმოადგენდა ბრალდების მხარის ძირითად დასაყრდენ მტკიცებულებას და საქმის განმხილველმა სასამართლომ მისი ჩვენება განიხილა სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში.

საქმეში არსებულ მასალებზე დაყრდნობით, სასამართლომ დაადგინა, რომ ადვოკატი მ. რ.-ის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურება ვერ იქნებოდა ეფექტური, რადგან მომსახურების პერიოდი იყო ძალიან ხანმოკლე ბრალდების სერიოზულობისა და სირთულის გათვალისწინებით¹⁰⁰². იმავდროულად, გ. მ.-ს უკვე დილითვე შეეძლო მომჩივნის დახმარება, ბევრად უფრო ადრე დაკითხვის დაწყებამდე. ასევე მნიშვნელოვანი იყო, რომ გ. მ.-ს მომჩივანი კარგად იცნობდა, რადგან ის მისი ადვოკატი იყო სხვა საქმეებზეც. მომჩივნისთვის ცნობილი რომ ყოფილიყო გ. მ.-ს მისი

999 §96.

1000 §97.

1001 §102.

1002 §106.

ინტერესების დასაცავად გამოცხადების ფაქტი, მას ბევრად მეტი დრო ექნებოდა საკუთარი დაცვის მოსამზადებლად¹⁰⁰³.

ევროპულმა სასამართლომ, წინარე პრაქტიკაზე დაყრდნობით, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი დამცველის მონაწილეობის მნიშვნელობას გამოძიების ეტაპზე, ვინაიდან ამ დროს მოპოვებული მტკიცებულება განსაზღვრავს ჩარჩოს, რომელშიც საქმე იქნება განხილული სასამართლო პროცესზე. სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულ პირს ამ ეტაპზე უკვე უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, თავად აირჩიოს მისი ინტერესების დამცველი. ამავდროულად, ადვოკატს უნდა ჰქონდეს საშუალება, უზრუნველყოს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, პირის დაცვის ფუნდამენტური ასპექტები: დაცვის ორგანიზება, ბრალდებულისათვის სასარგებლო მტკიცებულებების მოგროვება, დაკითხვისთვის მომზადება, ბრალდებულის მორალური მხარდაჭერა და პატიმრობის პირობების შემოწმება¹⁰⁰⁴.

იმის განსაზღვრისას, მომჩივანმა ისარგებლა თუ არა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის სამართლიანი სასამართლოს უფლებით, ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ეროვნული სასამართლოების არასათანადო ძალისხმევაზე ამ კონტექსტში, ასევე პოლიციის მოქმედებებზე, რომლებითაც მან გამოძიების საწყის ეტაპზე შეზღუდა მომჩივნის უფლება, ჰქონოდა კავშირი მისი ოჯახის მიერ არჩეულ ადვოკატთან, რამაც მთელს სამართალწარმოებაზე იქონია გავლენა. ნათელი იყო, რომ პოლიციის ქმედების შედეგად, იმის ნაცვლად, მომჩივანს გამოეყენებინა დუმილის უფლება, მან აღიარებითი ჩვენება მისცა, რომელიც მის წინააღმდეგ მტკიცებულებად იქნა ჩადებული საქმეში. ამასთან, სხვა მტკიცებულებების არსებობის მიუხედავად, მნიშვნელოვანი იყო, რომ აღიარებითმა ჩვენებამ იქონია გავლენა სისხლის სამართალწარმოების განვითარებაზე მომჩივნის წინააღმდეგ¹⁰⁰⁵.

საბოლოოდ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა კუმულაციურად, უდავოდ ეჭვის ქვეშ დააყენა მომჩივნის დაცვის უფლება და შელახა მთლიანად სამართალწარმოების პროცესის სამართლიანობა¹⁰⁰⁶. შედეგად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი და მე-3 პუნქტის „ც“ ქვეპუნქტი.

1003 §107.

1004 §108.

1005 §111.

1006 §112.

7.1.1.2.5. მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა

საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად: „სამართალწარმოება ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“. ეს პრინციპები საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელი კომპონენტებია¹⁰⁰⁷.

შეჯიბრებითობის პრინციპი, სხვა საპროცესო გარანტიებთან ერთად, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის, საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფის ინსტრუმენტს. შეჯიბრებითობა გულისხმობს მხარეთა შესაძლებლობას, წარმოადგინონ მტკიცებულებები, ახალი ფაქტობრივი გარემოებები, გამოთქვან მოსაზრებები, დაუპირისპირდნენ მოწინააღმდეგე მხარის პოზიციას, გამოიკვლიონ მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, გამოთქვან საკუთარი პოზიცია მათ შესახებ და ეჭვქვეშ დააყენონ მათი სანდოობა თუ ავთენტურობა, საბოლოოდ, შეეცადონ, დაარწმუნონ სასამართლო თავისი არგუმენტების სისწორეში, გავლენა მოახდინონ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „როგორც სისხლის, ისე სხვა ტიპის სამართალწარმოების ფარგლებში შეჯიბრებითობის პრინციპის მთავარი მიზანია, უზრუნველყოს პროცესის მხარე შესაძლებლობით, გაეცნოს, აზრი გამოთქვას და თუ ეს მის ინტერესებშია, გააქარწყლოს ყველა მტკიცებულება და არგუმენტი, რომელზეც სასამართლომ შეიძლება დააფუძნოს თავისი მოსაზრება, აგრეთვე დაარწმუნოს სასამართლო თავისი პოზიციის სისწორეში, წარუდგინოს მას შესაბამისი მტკიცებულებები და მოსაზრებები, რასაც სასამართლომ პასუხი უნდა გასცეს თავის დასაბუთებულ გადაწყვეტილებაში, როგორც მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების, ისე უარყოფის შემთხვევაში. ამ მიზნიდან გამომდინარე, ნათელია, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს უფლების სხვა გარანტიებსაც – მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებას, საკმარისი დროისა და შესაძლებლობის ქონას დაცვის მოსამზადებლად და დაცვის უფლებას, პირადად ან დამცველის მეშვეობით მოწინააღმდეგე მხარის მოწმეების დაკითხვის და საკუთარი მოწმეების გამოძახებისა და

1007 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/13/1234,1235 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 74.

თანაბარ პირობებში დაკითხვის უფლებას, დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღების უფლებას და ა.შ.¹⁰⁰⁸.

როგორც აღინიშნა, ზეპირი მოსმენით საქმის განხილვა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს შეჯიბრებითობის ხარისხს, რაზეც არაორაზროვნად მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პრაქტიკულად ყველა რელიგანტურ გადაწყვეტილებაში.

მხარეთა თანასწორობა შეჯიბრებითობის პრინციპის არსებითი შემადგენელი და განმაპირობებელია, რადგან ის გულისხმობს მხარეთა თვისობრივად თანაბარ შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ პროცესში, გამოთქვან მოსაზრებები, წარადგინონ საკუთარი პოზიცია და მისი გამამყარებელი არგუმენტები, მოუსმინონ მოწინააღმდეგე მხარეს, შეაფასონ მისი მტკიცებულებები, წარადგინონ საწინააღმდეგო, გამაბათილებელი არგუმენტები. თანასწორობის პრინციპი მოითხოვს, მხარეებს ჰქონდეთ ერთნაირი შესაძლებლობა, გავლენა მოახდინონ სწორი გადაწყვეტილების მიღების პერსპექტივაზე. ცხადია, ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია მხარეებს ჰქონდეთ წვდომა თითოეული მათგანის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე სრულად, ანუ საქმეში არსებულ ყველა მასალაზე. შედეგად, უნდა გამოირიცხოს ისეთ მტკიცებულებებზე, ფაქტებზე დაყრდნობით საქმის გადაწყვეტა, რომლებიც ცნობილი არ იყო ორივე მხარისთვის და არ იყო განხილული, შეფასებული მათ მიერ პროცესზე. „თანასწორობის მოთხოვნა უზრუნველყოფს, რომ მხარეები ერთმანეთთან მიმართებით არ დაექვემდებარონ განსხვავებულ მოპყრობას და რომელიმე არ აღმოჩნდეს არახელსაყრელ მდგომარეობაში. თანასწორობა შეჯიბრებითობის აუცილებელი პირობაა, რადგან შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე უფლებები – საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვან ყველა გარემოებაზე და მტკიცებულებაზე აზრის გამოთქმის, გაქარწყლების და პასუხის მიღების უფლება თანაბრად უნდა გააჩნდეს ყველა მხარეს“¹⁰⁰⁹. იმავდროულად, „თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპი დეკლარირებულია სასამართლოში საქმის განხილვის სხვა პრინციპებთან – გადაწყვეტილების საქვეყნოობასთან, სამართალწარმოების სახელმწიფო ენაზე განხორციელების და თარჯიმნით უზრუნველყოფის წესებთან ერ-

1008 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/1/608,609 საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, II, 18

1009 იქვე, II, 19.

თად და ეხება არა მხოლოდ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებას, არამედ სასამართლო ხელისუფლების მიერ განხორციელებულ სამართალწარმოებას ზოგადად¹⁰¹⁰.

საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეფხიბრებითობისა და თანასწორობის არსსა და მნიშვნელობაზე, რაც თავად პროცესის სპეციფიკურობით არის განპირობებული: ერთი მხრივ, ბრალდების მხარეს, დაცვის მხარესთან შედარებით, ბუნებრივი უპირატესობა აქვს – მას გააჩნია მნიშვნელოვნად მეტი მატერიალური და ადამიანური რესურსი. თუმცა, მეორე მხრივ, განსხვავებულია მხარეთა მტკიცების ტვირთი – მტკიცებულებების მოპოვება უმთავრესად ბრალდების მხარის ვალდებულებაა, რადგან მან გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით უნდა დაამტკიცოს პირის მიერ დანაშაულის ჩადენა. „ამდენად, ბრალდების და დაცვის მხარეთა შესაძლებლობები და ამოცანები ბუნებრივად განსხვავდება. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობის პრინციპი მოითხოვდეს დაცვისა და ბრალდების მხარის სრულ, ტოტალურ გათანაბრებას. ... ხსენებული პრინციპი ზღუდავს ბრალდების მხარისათვის დაუბალანსებელი პრივილეგიის მინიჭებას და ამ ფორმით საქმის გადაწყვეტაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობის ხელოვნურად გაზრდას¹⁰¹¹. „სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობის უფლება გულისხმობს არა მხარეთა სრულ, ტოტალურ გათანაბრებას, არამედ მათთვის გონივრულობის ფარგლებში თანაბარი შესაძლებლობის მინიჭებას, დაცვის მხარის აღჭურვას იმგვარი საპროცესო უფლებებით, რომ შეძლოს ბრალდების მხარესთან კონკურენცია, სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენა. ამ კონტექსტში არ უნდა არსებობდეს იმგვარი საკანონმდებლო მოწესრიგება, რომელიც ბრალდების მხარეს ჩააყენებს უპირატეს მდგომარეობაში, მიანიჭებს მას რაიმე ისეთ პრივილეგიას, რომლის დაბალანსებაც მთლიანი პროცესის განმავლობაში ვერ მოხდება და დაცვის მხარე არსებითად უარეს სამართლებრივ მდგომარეობაში აღმოჩნდება¹⁰¹². „...მხარეთა შორის ... ბალანსი მოიცავს

1010 იქვე, II, 19.

1011 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/13/1234,1235 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 74.

1012 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/4/809 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტიტვიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 19.

სისხლის სამართლის პროცესში საგამოძიებო ღონისძიებებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ თანასწორობას, ასევე აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად მოპოვებული სხვადასხვა ხასიათის მტკიცებულებათა საკუთარი პოზიციის დასაბუთებისათვის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების ჩაურევლად მიღებასა და სამართალწარმოებაში მონაწილეობას დამოუკიდებლად განსაზღვრულ სტრატეგიაზე დაყრდნობით¹⁰¹³. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა შეჯიბრებითობის პრინციპის შემდეგ მოთხოვნაზე: ის (შეჯიბრებითობის პრინციპი) თავის თავში მოიაზრებს რა კონფრონტაციის უფლებას, სისხლის სამართლის პროცესში გულისხმობს, რომ დაცვის მხარეს პროცესის განმავლობაში უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გამოიკვლიოს მის წინააღმდეგ წარმოდგენილი მტკიცებულებები და დაკითხოს ბრალდების მხარის მოწმეები¹⁰¹⁴. „შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნაა, რომ პირის მსჯავრდებულად ცნობა არ მოხდეს იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლის გამოკვლევის შესაძლებლობაც მას სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში ერთხელაც კი არ ჰქონია. ამასთანავე, მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა, მათთან დაკავშირებით აზრის გამოთქმა და სანდოობის ეჭვქვეშ დაყენება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, როდესაც იმ მოსამართლის (ნაფიც მსაჯულთა) წინაშე ხდება მტკიცებულებათა წარდგენა, რომლებმაც უნდა მიიღონ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება. კონფრონტაციის უფლება, როგორც წესი, არსებით სხდომაზე რეალიზებადი უფლებაა და მის მიზანს წარმოადგენს ბრალდებულისათვის მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებებთან დაპირისპირებისა და მათი გაქარწყლების შესაძლებლობის მინიჭება“¹⁰¹⁵.

საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* გასაჩივრებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმები¹⁰¹⁶,

1013 იქვე, II, 7.

1014 იქვე, II, 75.

1015 იქვე, II, 82.

1016 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილები. 136-ე მუხლის პირველი ნაწილით განისაზღვრებოდა პროკურორის უფლებამოსილება, კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის შენახვის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, გამოძიების ადგილის მიხედვით, მიემართა სასამართლოსთვის შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით. ამავე

რომლებითაც განისაზღვრებოდა პროკურორის უფლებამოსილება, კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის შენახვის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, გამოძიების ადგილის მიხედვით, მიემართა სასამართლოსთვის შესაბამისი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით.

ერთ-ერთ მოსარჩელეს ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში. ძირითადი მტკიცებულებები, რომელთაც ეფუძნებოდა ბრალდების შესახებ დადგენილება, იყო დაკავების და ჩხრეკის ოქმი, ასევე ოთხი პოლიციელის ჩვენება. თუმცა, მოსარჩელის მტკიცებით, ერთ-ერთი პოლიციელი შემთხვევის ადგილზე საერთოდ არ იმყოფებოდა და, შესაბამისად, დაკავებისა და ჩხრეკის პროცესში არ მონაწილეობდა. მისი აზრით, ამ ფაქტის (პოლიციელის არყოფნის) დადასტურება შესაძლებელი იყო როგორც შემთხვევის ადგილზე განთავსებული სათვალთვალო ვიდეოკამერებით, ისე სატელეფონო კომპანიის საკუთრებაში არსებული ჩანაწერებით. ამასთან, ეს ინფორმაცია საკმარისი იქნებოდა ჩხრეკისა და ამოღების ოქმის, ასევე მის საფუძველზე მოპოვებულ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობისთვის. თუმცა მოცემული ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობა სასამართლომ სადავო ნორმების საფუძველზე არ დააკმაყოფილა, რადგან კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალებიდან ინფორმაციის გამოთხოვის ჩატარების თაობაზე სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის უფლება დაცვის მხარეს არ გააჩნდა.

მეორე მოსარჩელეს ბრალი ედებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, კერძოდ, პოლიციის თანამშრომლებისთვის წინააღმდეგობის გაწევაში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების გზით როგორც შემთხვევის ადგილზე, ასევე პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციულ შენობაში. მოსარჩელე არ

მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი ამ მუხლით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებაზე ვრცელდებოდა ამავე კოდექსის დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების პრინციპებს, წესს, მისი განხორციელების უფლებამოსილ ორგანოს, მისი ჩამტარებელი ორგანოს მიერ ინფორმაციის შენახვისა და აღრიცხვის ვალდებულებას, ამგვარი მოქმედების შეწყვეტის საფუძველზე, მის მინიმუმამდე დაყვანას, ამოღებული ინფორმაციის/მასალის განადგურების, ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინებისა და ამგვარი მოქმედებების რეესტრის დადგენის წესს.

აღიარებდა ამ ფაქტს და აღნიშნავდა, რომ თავდასხმა განხორციელდა პოლიციელთა მიერ, მისი ქმედებები კი მიზნად ისახავდა მხოლოდ თავდაცვას. მისი განმარტებით, როგორც შემთხვევის ადგილზე, ასევე პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული იყო სათვალთვლო კამერები, თუმცა მათი ვიდეორჩანაწერის ასლის მიღება სადავო ნორმათა მოქმედების პირობებში მან ვერ შეძლო. თბილისის საქალაქო სასამართლომ მისი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ აღნიშნული სახის ჩანაწერების გამოთხოვის უფლება მხოლოდ პროკურორს გააჩნდა.

მოსარჩელეთა მტკიცებით, სადავო რეგულაციით განსაზღვრული წესი, რომელიც მხოლოდ ბრალდების მხარეს (პროკურორს) აძლევდა უფლებას, მიემართა სასამართლოსთვის კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის შუამდგომლობით, არღვევდა სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებს და, შესაბამისად, ზღუდავდა დაცვის მხარის კონსტიტუციურ უფლებას სამართლიან სასამართლოზე.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „სისხლის სამართალწარმოებაში ... შეჯიბრებითობა უზრუნველყოფს ორივე მხარის შესაძლებლობას მოიპოვოს და წარმოადგინოს საკუთარი მტკიცებულებები; უფლებას გამოიკვლიოს და საკუთარი მოსაზრება გამოთქვას მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე იმისდა მიუხედავად, აღნიშნული ეხება ფაქტების დადგენას, სამართლებრივ არგუმენტს, საქმის არსებით გარემოებებს თუ პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს. შესაბამისად, შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაცვის მხარეს გააჩნდეს ბრალდების არგუმენტების გაქარწყლების ადეკვატური და რეალური შესაძლებლობა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს როგორც უფლებას ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა-გაბათილებაზე, ასევე ამავე მიზნით უფლებას მტკიცებულების მოპოვებაზე“¹⁰¹⁷.

სასამართლომ დაადგინა, რომ განსახილველ საქმეში სადავო ნორმები სრულად ართმევდა დაცვის მხარეს კომპიუტერული წესით შენახული ინფორმაციის, დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ სასამართლოსთვის მი-

1017 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/650, 699 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 7.

მართვის უფლებას ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის მიმართ იმის მიუხედავად, ეს ინფორმაცია ზღუდავდა თუ არ მესამე პირთა კონსტიტუციით დაცულ უფლებებს ან უქმნიდა თუ არა მისი გადაცემა საფრთხეს კონსტიტუციით დაცულ სხვა სიკეთეს. აღნიშნული უფლებამოსილების მხოლოდ პროკურორისთვის მინიჭება განაპირობებდა დაცვის მხარის შეუძლებლობას, ბრალდების პროზიციისთვის დაეპირისპირებინა დასაბუთებული კონტრარგუმენტები, როდესაც გამამართლებელი მტკიცებულებები შენახული იყო კომპიუტერული წესით. დაცვის მხარის მიერ კომპიუტერული მტკიცებულების მოპოვება სრულად უკავშირდებოდა ბრალდების მხარის „კეთილ ნებას“, მათ შორის, ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც მტკიცებულება ბადებდა გონივრულ ეჭვს დაცვის ქვეშ მყოფი პირის ბრალეულობის შესახებ ან/და წარმოადგენდა ალიბის. იმავდროულად, სადავო ნორმით იზღუდებოდა დაცვის მხარის წვდომა სისხლის სამართლის საქმისათვის რელევანტური ინფორმაციის ძალიან ფართო სპექტრზე (მაგალითად, როგორებიცაა პოლიციელის ფორმაზე დამაგრებული ვიდეოტექნიკის გამოყენებით მოპოვებული ინფორმაცია, ე.წ. ქუჩის კამერების ჩანაწერები, მობილური ოპერატორების ინფორმაცია მომსახურე ანძების შესახებ, ინფორმაცია არქივიდან, საჯარო და სამოქალაქო რეესტრიდან, ინფორმაცია პირის მიერ სახელმწიფო საზღვრის კვეთის თაობაზე და ა.შ.)¹⁰¹⁸. მაშასადამე, დაცვის მხარეს ჩამორთმეული ჰქონდა დაცვისათვის მნიშვნელოვანი ციფრული ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების შესაძლებლობა და დაცვის ეფექტიანად განხორციელება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო ბრალდების მხარეზე, რომელსაც მოქმედი სისხლის საპროცესო კანონმდებლობით უფლება ჰქონდა, არ დაეკმაყოფილებინა დაცვის მხარის შუამდგომლობა და არ გამოეთხოვა დაცვისათვის მნიშვნელოვანი კომპიუტერული მონაცემების შემცველი ინფორმაცია.

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, სადავო რეგულირება ზღუდავდა მხარეთა საპროცესო თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელებას, აბრკოლებდა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევის შესაძლებლობას, ქმნიდა საფრთხეს, რომ ცალკეულ შემთხვევებში სასამართლო განხილვის შედეგი დაფუძნებოდა ბრალდების მხარის გულგრილობას, შეცდომას ან/და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და პირს პასუხისმგებლობა დაკისრებოდა ისე, რომ ვერ დაეცვა თავი ბრალდებისაგან¹⁰¹⁹.

1018 იქვე, II, 16.

1019 იქვე, II, 21.

სასამართლომ დაადგინა, რომ იმ პირობებში, როდესაც კომპიუტერული სისტემებიდან ინფორმაციის გამოთხოვაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს, შუამდგომლობას ბრალდების მხარე დააყენებს თუ დაცვის მხარე, რადგან ინფორმაციის გამოთხოვის საჭიროებას და გამოსათხოვი ინფორმაციის მნიშვნელობას მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ყველა შემთხვევაში გადაწყვეტს სასამართლო. შესაბამისად, არ არსებობდა ლეგიტიმური მიზანი უფლებაში ასეთი ჩარევის გასამართლებლად. სასამართლოს განმარტებით: „გაურკვეველია, რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს დაცვის მხარისთვის სასამართლოს წინაშე შუამდგომლობის დაყენების და ამ შუამდგომლობის დასაბუთებულობის შემთხვევაში გამამართლებელი მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობის ჩამორთმევა იმ პირობებში, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დაცვის მხარეს ანიჭებს სასამართლოსთვის, მათ შორის, ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ შუამდგომლობით მიმართვის უფლებას, როგორცაა ჩხრეკა-ამოღება, რაც შესაძლებელია ცალკეულ შემთხვევებში უფრო მაღალი ინტენსივობით ქმნიდეს მესამე პირთა პირად ცხოვრებასა, თუ კერძო საკუთრებაში ჩარევის საფრთხეს“¹⁰²⁰.

შესაბამისად, სადავო ნორმებით დადგენილი შეზღუდვა ატარებდა თვითმიზნურ ხასიათს და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტს.

საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტიტვიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გასაჩივრებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილი, რომლის თანახმად, დაცვის მხარის შუამდგომლობით სასამართლოს განჩინების საფუძველზე მოპოვებული საგანი, ნივთი, ნივთიერება, აგრეთვე ინფორმაციის შემცველი დოკუმენტი პირველადი გამოკვლევისათვის წარედგინებოდა ბრალდების მხარეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, სადავო ნორმის მიხედვით, საქმეზე დაცვის მხარის მიერ გამოძიების წარმოების პროცესში სასამართლოსათვის მიმართვის გზით მოპოვებული ნებისმიერი სახის მატერიალურად არსებული ობიექტი, რომლის მოპოვებაც ვერ ხერხდებოდა სასამართლო განჩინებისა და შესაბამისი საგამოძიებო ღონისძიებების გარეშე, გადაეცემოდა ბრალდების მხარეს პირველადი გამოკვლევისათვის, მიუხედავად იმისა, დაცვის მხარე გეგმავდა თუ არა ამ ობიექტის სამართალწარმოებაში მისი პოზიციის დასაბუთებისა და არგუმენტირებისათ-

1020 იქვე, II, 22.

ვის გამოყენებას ანუ მტკიცებულებად ქცევას¹⁰²¹. ამასთან, ბრალდების მხარეს კანონმდებლობა არ უზღუდავდა ხსენებული ობიექტის როგორც გარეგნული, ისე შინაარსობრივი გამოკვლევის საშუალებას¹⁰²². სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ ტერმინი „პირველადი გამოკვლევა“ გულისხმობდა მხოლოდ ობიექტის გარეგან დათვალიერებას და რომ შესაძლებელი არ იყო მისი შინაარსის გაცნობა.

სასამართლოს განმარტებით, ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ მხარეს გააჩნია საგამოძიებო მოქმედების შედეგად ამოღებული ობიექტის პირველად გამოკვლევის უფლება, თავისთავად არ ნიშნავს მხარეთა შორის თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას, თუ მეორე მხარესაც გააჩნია ამ ობიექტის გამოკვლევის, შესწავლისა და გამოყენების შესაძლებლობა. „სისხლის სამართლის პროცესში მხარის ინტერესს წარმოადგენს მტკიცებულების გამოკვლევა ინფორმაციის მიღებისა და მისი გამოყენების მიზნით. თუ აღნიშნული ინტერესი ობიექტურად დაკმაყოფილებადია და მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, გონივრულ დროს სისხლის სამართლის პროცესის შესაბამის სტადიაზე გამოიკვლიოს ეს ობიექტი, მაშინ არ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ერთი მხარის მიერ პირველი გამოკვლევა არღვევს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის უფლებას და მხარე იმყოფება არსებითად უარეს სამართლებრივ მდგომარეობაში“¹⁰²³.

სასამართლომ დაადგინა, რომ პირველადი გამოკვლევის ინსტიტუტი ატარებდა ბუნდოვან ხასიათს, ვინაიდან არც სადავო და არც რომელიმე სხვა ნორმა არ აზუსტებდა, კონკრეტულად რა პროცედურას გულისხმობდა, რა ვადებში და ფარგლებში უნდა ჩატარებულიყო. არაფერი გამორიცხავდა, ბრალდების მხარეს პირველადი გამოკვლევისათვის გადაცემული ობიექტის გამოკვლევა დროში გაეჭიანურებინა და არაგონივრულად დიდი ხნით შეეფერხებინა მეორე მხარისათვის მისი გადაცემა ან საერთოდ არ გადაეცა¹⁰²⁴. მაშასადამე, სადავო ნორმის საფუძველზე შეიძლებოდა შექმნილიყო მდგომარეობა, როდესაც დაცვის მხარეს ფიზიკურად არ მიეცემოდა საშუალება, წინასასამართლო სხდომამდე თავად გამოეკვლია და საკუთარი პოზიციის დასაბუთების მიზნებისათვის შეეფასებინა

1021 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/4/809 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტიტო ნორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 14.

1022 იქვე, II, 18.

1023 იქვე, II, 19-20.

1024 იქვე, II, 23.

ნა ობიექტი, რადგან ბრალდების მხარეს საკანონმდებლო რეგულირება არ ზღუდავდა დროის თვალსაზრისით ან სხვა კრიტერიუმით, რომელიც უზრუნველყოფდა დაცვის მხარის მიერ მტკიცებულებათა სათანადო გამოკვლევას წინასასამართლო სხდომამდე. ამასთან, საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებდა შემზღუდავ მექანიზმებს გამოლევადი ნივთიერებების ან ფიზიკურად განადგურებადი საგნების ბრალდების მხარის მიერ პირველადი გამოკვლევის მიმართ და არ არეგულირებდა შემთხვევებს, როდესაც დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ამოღებული მტკიცებულება ნადგურდებოდა ან გამოილეოდა პირველადი გამოკვლევის ფარგლებში და შეუძლებელი ხდებოდა მისი შემდგომი გამოკვლევა დაცვის მხარის მიერ¹⁰²⁵. სასამართლოს შეფასებით, ასეთ შემთხვევებში არსებობდა რეალური საფრთხე, რომ დაცვის მხარეს არ მიეცემოდა მისი შუამდგომლობით ამოღებული ობიექტის გამოკვლევის, მისი შინაარსის გაცნობის, ექსპერტიზის ჩატარების ან სხვა გზით ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა. შედეგად, პროცესის მონაწილე მხარეები იმყოფებოდნენ განსხვავებულ სამართლებრივ მდგომარეობაში, ამასთან, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის შეზღუდვას იწვევდა არა ის ფაქტი, რომ ბრალდების მხარე პირველი იკვლევდა ობიექტს, არამედ ის, რომ არ არსებობდა პირველადი გამოკვლევის პროცესზე შესაბამისი კონტროლის განხორციელების და ზემოაღნიშნული რისკების თავიდან აცილების შესაძლებლობა¹⁰²⁶.

საქართველოს პარლამენტის განმარტებით, სადავო ნორმა ემსახურებოდა მტკიცებულებათა ავთენტიკურობისა და მტკიცებულებითი თვისებების უზრუნველყოფას. ამასთან, ხელს უწყობდა საგამოძიებო ორგანოს მხრიდან ეფექტური და ყოველმხრივი გამოძიების წარმოებას, სისხლის სამართლის პროცესისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურებისა და ხელყოფისაგან დაცვას და, საბოლოო ჯამში, ადგენდა საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების გარანტიას¹⁰²⁷.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა აღნიშნული მიზნების ლეგიტიმურობა. ამასთან დაადგინა, რომ სადავო ნორმა, მართალია, წარმოადგენდა მიზნის მიღწევის ვარგის საშუალებას, მაგრამ არ იყო ყველაზე ნაკლებადმზღუდავი. სასამართლოს განმარტებით: „...დაცვისა და ბრალდების მხარეთა თანასწორობის კონტექსტში აუცილებელია მტკიცებულებათა გამოკვლევის წესი განისაზღვროს იმგვარად, რომ კანონმ-

1025 იქვე, II, 26.

1026 იქვე, II, 27.

1027 იქვე, II, 30.

დებლობამ უზრუნველყოს დაცვის მხარის უფლებების პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობა, სათანადოდ გამოიკვლიოს და, შესაბამისად, პოზიციის დასაბუთებისათვის გამოიყენოს მისი შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულება. ამასთან, შეჯიბრებითი საპროცესო მოდელის ფარგლებში, სადაც სასამართლოს აქტიური ჩართულობა მინიმალიზებულია, დაცვის მხარისათვის მტკიცებულებათა მოპოვებისა და გამოყენების აუცილებელი გარანტიების საკანონმდებლო რეგლამენტაცია სასიცოცხლო ხასიათს ატარებს. ... ზემოთ განხილული ლეგიტიმური მიზნების მიღწევა შესაძლებელია უფრო ნაკლებად მზღუდავი საშუალებების გამოყენებით. სადავო ნორმა იმპერატიულ დანაწესს ითვალისწინებს და ბრალდების მხარეს განუსაზღვრელ უფლებას ანიჭებს, პირველადად გამოიკვლიოს დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებები. ამასთან, კანონმდებლობა ექსპლიციტურად არ ითვალისწინებს აღნიშნული უფლების რეალიზების ხასიათის, კერძოდ, პირველადი გამოკვლევის ფარგლების და ვადის, კონტროლის მექანიზმებს. იგი ასევე არ ადგენს დაცვის მხარის მიერ შუამდგომლობის დაყენების შესაძლებლობას ისეთ შემთხვევებში, თუ ბრალდების მხარე პირველადი გამოკვლევის მოტივით არაგონივრულად აჭიანურებს მოპოვებული საგნის გადაცემას ან საერთოდ არ გადასცემს მას. ამგვარ ვითარებაში აუცილებელია არსებობდეს რაიმე მექანიზმი, რომლის გამოყენებითაც დაცვის მხარეს შესაძლებლობა ექნება, წინასასამართლო სხდომამდე, გონივრულ ვადაში მიიღოს მისი შუამდგომლობით ამოღებული ობიექტი, გამოიკვლიოს იგი და შემდგომში გამოიყენოს საკუთარი პოზიციის გასამყარებლად. ამგვარი კონტროლის მექანიზმს შესაძლოა წარმოადგენდეს სასამართლო, რომელსაც დაცვის მხარე მიმართავს ამოღებული ობიექტის გადაცემის შუამდგომლობით, სასამართლოს კი ექნება შესაძლებლობა, შეამოწმოს, რამდენად გონივრულად იყენებს ბრალდების მხარე პირველადი გამოკვლევის უფლებას. ... სადავო ნორმა ასევე პრობლემურია ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამოღებული ობიექტი ვარგისია მხოლოდ ერთჯერადი გამოკვლევისათვის (გამოლევადია, ექვემდებარება განადგურებას). ... ბრალდებისა და დაცვის მხარის ინტერესების გონივრულ დაბალანსებად ვერ ჩაითვლება იმგვარი საკანონმდებლო მოწესრიგება, რომელიც მხოლოდ ერთჯერადად გამოკვლევისათვის ვარგისი ობიექტის შესწავლის უფლებას ყოველ ჯერზე ანიჭებს მხოლოდ ბრალდების მხარეს და დაცვის მხარეს არ აძლევს შესაძლებლობას, გამოიკვლიოს მისი ინიციატივით ამოღებული ობიექტი. ასეთ პირობებში აშკარად ირღვევა მხარეთა შორის თანასწორობა და შეჯიბრებითობა, ბრალდების მხარე იმ-

ყოფნა უკეთეს სამართლებრივ მდგომარეობაში და არ არსებობს რაიმე ტიპის მოწესრიგება, რომელიც მის ამგვარ უპირატესობას რაიმე ფორმით დააბალანსებდა¹⁰²⁸.

7.1.1.2.5.1. მოწმეთა დაკითხვის კონსტიტუციური საფუძვლები (კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული გარანტიები)

შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპების უზრუნველყოფას დამატებით ემსახურება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარანტია, რომლის თანახმად: „ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების გამოძახება და ისეთივე პირობებში დაკითხვა, როგორიც აქვთ ბრალდების მოწმეებს“.

„სისხლის სამართლის პროცესში მოწმის მიერ მიცემული ჩვენება შესაძლოა განსაკუთრებით მნიშვნელოვან და, რიგ შემთხვევებში, გადამწყვეტ მტკიცებულებას წარმოადგენდეს¹⁰²⁹. სწორედ მოწმის მიერ მიცემული ჩვენების მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუცია 31-ე მუხლის მე-4 პუნქტით სახელდებით გამოყოფს ბრალდებულის ბრალდების მხარესთან თანასწორობის უფლებას საკუთარ მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის კონტექსტში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ დაცვის მხარის მოწმეების გამოძახებისა და დაკითხვის უფლება ბრალდების მხარესთან თანაბარ პირობებში განმარტა კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ხოლო ბრალდების მოწმის ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობისთვის გარანტიები – კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში¹⁰³⁰.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის “d” ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს, „დაკითხოს ან დააკითხვინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში“. ამ პროცესუალური გარანტიის ფარგლებში, ბრალდებულს, ერთი მხრივ, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დაუსვას კითხვები (პირადად ან დამცველის მეშვეობით) ბრალდების მხარის მოწმეებს, მათსადამე, ამ გზით მიიღოს

1028 იქვე, II, 35-37.

1029 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/13/1234,1235 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 72.

1030 იქვე, II, 76.

მონაწილეობა ძირითადად მის (ბრალდებულის) წინააღმდეგ მიცემული ჩვენებების შემოწმებაში; ხოლო, მეორე მხრივ, უნდა შეეძლოს, მოითხოვოს, ბრალდების მოწმეთა დაკითხვის თანაბარ პირობებში, იმ მოწმეების გამოძახება და დაკითხვა, რომლებსაც მისი ინტერესების, პოზიციის სასარგებლო ჩვენების მიცემა შეუძლიათ. შესაბამისად, მთავარი ამოცანაა, შეიქმნას სათანადო გარანტიები ბრალდებული პირისთვის, რათა მან შეძლოს მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ პირის დაკითხვაში, რომელთა ჩვენებებიც პოტენციურად გავლენაუნარიანი შეიძლება იყოს სასამართლოს განაჩენზე.

ეს უფლება არ არის აბსოლუტური. სასამართლომ შესაძლოა უარი უთხრას ბრალდებულს მისი მოწმეების გამოძახებაზე და დაკითხვაზე, თუ მიიჩნევს, რომ ამ პირთა დაკითხვას კავშირი არ აქვს საქმესთან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ასეთ შემთხვევაში განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ ამ პირების დაკითხვაზე უარმა განსაკუთრებული ზიანი მიაყენა საქმის სწორად გადაწყვეტის შესაძლებლობას, ამასთან, ბრალდებულის ინტერესების საზიანოდ¹⁰³¹.

ასევე ბრალდებულს შეიძლება განსაკუთრებულ (იშვიათ) შემთხვევებში უარი ეთქვას მოწმეთა დაკითხვაზე, თუ მათი დაკითხვა შეუძლებელია სამართლებრივი ან ფაქტობრივი სირთულეების გამო. უმნიშვნელოვანესია, რომ ასეთი უარის საფუძვლები განჭვრეტადი კანონით მკაფიოდ და აშკარად იყოს განსაზღვრული. მაგალითად, ასეთ შემთხვევებს შესაძლოა წარმოადგენდეს: მოწმის ავადმყოფობა, გარდაცვალება, მისი ადგილსამყოფლის თაობაზე ინფორმაციის უქონლობა და სხვა.

საქმეზე *Kartvelishvili v. Georgia*¹⁰³² მომჩივანი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის „d“ ქვეპუნქტის საფუძველზე ჩიოდა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მისი მოწმეების დაკითხვაზე უარის თქმით შეილახა მისი უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე. ის მკვლევლობის ჩადენისთვის იხდიდა სასჯელს. ერთ დღეს სასჯელალსრულების დაწესებულების თანამშრომლებმა მის საკანში ჩაატარეს ჩხრეკა, როდესაც იქ მყოფ ყველა პირს, მომჩივნის ჩათვლით, დაატოვებინეს საკანი. ჩხრეკა გადაღებულ იქნა სასჯელალსრულების დაწესებულების ოპერატორის მიერ. ღონისძიების დასრულებისთანავე, სასჯელალსრულების დაწესებულების თანამშრომელმა შეადგინა წერილობითი ოქმი, რომლის მიხედვითაც, საკანში მომჩივნის საწოლის ლეიბის ქვეშ ნაპოვნი იქნა დანა. შედეგად, მომ-

1031 *Kostovski v. the Netherlands*, app. №11454/85, (ECtHR, 20.11.1989).

1032 *Kartvelishvili v. Georgia*, app. №17716/08, (ECtHR, 07.09.2018).

ჩივანს ბრალი წარუდგინეს სასჯელალსრულების დაწესებულებაში აკრძალული საგნის ტარებისთვის.

სასამართლოში საქმის განხილვისას სასჯელალსრულების დაწესებულების თანამშრომლები, რომლებმაც ჩაატარეს ჩხრეკა, დაკითხულ იქნენ ბრალდების მოწმეებად. მომჩივანმა სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა მისი თანასაკნელების (7 პირის) დაკითხვის თაობაზე, რადგან მათ შეეძლოთ ზუსტად აღეწერათ, როგორ ვითარებაში ჩატარდა ჩხრეკა. ეს ინფორმაცია არსებითი მნიშვნელობის იყო იმის დასადგენად, ჩხრეკისას ჰქონდა თუ არა ადგილი მისი უფლებების დარღვევას. მომჩივანი მიუთითებდა მხარეთა თანასწორობის პრინციპზე და უფლებაზე, მისი მოწმეები დაკითხულიყვნენ ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში. თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა იმ საფუძველით, რომ განსასჯელმა სათანადოდ ვერ დაასაბუთა მათი გამოძახების აუცილებლობა. ამასთან, სასამართლოს შეფასებით, ამ პირების, როგორც მსჯავრდებულების, ჩვენება არ იქნებოდა სანდო.

ბრალდების მოწმეების სასამართლოში დაკითხვის დროს სასჯელალსრულების დაწესებულების თანამშრომლებმა მისცეს განსხვავებული, მათ შორის, ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები. საქმეში ერთ-ერთ მტკიცებულებას წარმოადგენდა ასევე ჩხრეკის ვიდეორჩანაწერი, რომლითაც, მომჩივნის მტკიცებით, ზუსტად არ მჟღავნდებოდა ის, რომ დანა მისი ლეიბიდან გადმოვარდა. საქმის პროკურორმაც აღიარა, რომ ჩხრეკის ვიდეორჩანაწერით ნათლად არ დგინდებოდა, თუ სად იქნა ნაპოვნი დანა.

საბოლოოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლომ. უზენაესმა სასამართლომ კი საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაიმეორა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტში ასახული ძირითადი გარანტიები, მათ შორის, (d) ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარანტია, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის შემადგენელ ელემენტებს. ამასთან, სასამართლოს ამოცანა, კონვენციის თანახმად, არის იმის შეფასება, მთლიანად პროცესი არის თუ არა სამართლიანი (*Van Mechelen and Others v. the Netherlands*), 23.04.1997, §50). ეროვნული სასამართლოების საქმეა, მათ წინაშე წარდგენილი მტკიცებულების, ისევე, როგორც იმ მტკიცებულების რელევანტურობის შეფასება, რომლის წარდგენაც ბრალდებულს სურს. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის (d) ქვეპუნქტი მათ ავალებს იმის შეფასებას, თუ რამდენად გამართლებულია მოწმეთა გამოძახება¹⁰³³. ბრალდებულის

1033 *Kartvelishvili v. Georgia*, app. №17716/08, (ECtHR, 07.09.2018), §60.

მხრიდან საკმარისი არ არის იმის გაპროტესტება, რომ არ მიეცა კონკრეტული მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა. მან ასევე უნდა დაასაბუთოს, რატომ არის/იყო მნიშვნელოვანი შესაბამისი მოწმეების მიერ ჩვენების მიცემა და რატომ უნდა ჩაითვალოს მათი ჩვენება აუცილებლად სიმართლის დადგენისთვის (*Guilloury v. France*, app. №62236/00, 22.06.2006, §55; *Borisova v. Bulgari*, app. №56891/00, 21.12. 2006, §46).¹⁰³⁴

წინამდებარე საქმეზე, ევროპულ სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა საკითხი, მომჩივანს ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა, წარედგინა საკუთარი პოზიცია იმგვარად, რომ არ ყოფილიყო ჩაყენებული პროკურორთან შედარებით არასახარბიელო მდგომარეობაში და რამდენად სამართლიანად წარიმართა მთელი პროცესი.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, ხელისუფლების ორგანოებს ევალეზობდათ სისხლის სამართლის საქმის ყველა გარემოების (როგორც ბრალდებულის სასარგებლო, ისე საწინააღმდეგო) ობიექტურად და სრულყოფილად გათვალისწინება. ნებისმიერი მატერიალური მტკიცებულება ან/და მოწმის ჩვენება, რომელსაც შეეძლო კორექტირება შეეტანა საქმეში ან უარეყო აღნიშნული ფაქტი, რელევანტურად უნდა მიჩნეულიყო სამართლიანი განხილვის მიზნისთვის. ეროვნულ ხელისუფლებას იმავეს ავალდებულებდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რამდენადაც სასამართლო, რომელიც შებოჭილია ფუძემდებლური პრინციპით *in dubio pro reo*, საქმეს უნდა განიხილავდეს ბრალდებულის ბრალეულად მიჩნევის წინასწარი განწყობის გამორიცხვით და ეჭვის შემთხვევაში, ის ყოველთვის გადაწყვიტოს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ (*Melich and Beck v. the Czech Republic*, app. №35450/04, 24.06.2008, §49)¹⁰³⁵.

სასამართლომ დაადგინა შემდეგი გარემოებები: მომჩივანი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა როგორც სასჯელალსრულების დაწესებულების თანამშრომლების მიერ ჩხრეკის ჩატარებას, ისე დასკვნას, რომ აღმოჩენილი დანა ნამდვილად მას ეკუთვნოდა. მან მიმართა ეროვნულ სასამართლოებს, დაეკითხათ მისი თანასაკნელები, რომელთაც ჰქონდათ შესაძლებლობა, დაკვირვებოდნენ ჩხრეკას (ეს ფაქტი თვით სასჯელალსრულების დაწესებულების თანამშრომლებმაც აღიარეს), მათი ჩვენებები დაადასტურებდა ჩხრეკის დროს სასჯელალსრულების დაწესებულების თანამშრომელთა სავარაუდო თვითნებობის ფაქტს.

ევროპული სასამართლომ შეფასებით, მომჩივნის ეს შუამდგომლობა

1034 *Kartvelishvili v. Georgia*, app. №17716/08, (ECtHR, 07.09.2018), §61.

1035 *Kartvelishvili v. Georgia*, app. №17716/08, (ECtHR, 07.09.2018), §62.

ნამდვილად არ იყო არასათანადო, პირიქით, სწორედაც რომ მის წინააღმდეგ მიმართული ბრალდების ფაქტობრივი საფუძვლის რელევანტური იყო და, სავარაუდოდ, გააძლიერებდა მისი დაცვის ხაზს. მით უფრო იმ სამი გარემოების გათვალისწინებით, რომლებმაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა მთელი პროცესის სამართლიანობა, კერძოდ: 1. ბრალდების მოწმეებმა – სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლებმა, რომელთაც ჩაატარეს ჩხრეკა, მისცეს აშკარად შეუთავსებელი, ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები იმ ვითარების შესახებ, რომელშიც დანა იქნა აღმოჩენილი; 2. პროკურორმა სასამართლო განხილვის დროს აღიარა, რომ ჩხრეკის ვიდეოჩანაწერი ნათლად არ ასახავდა, დანა მომჩივნის საწოლში იქნა ნაპოვნი, თუ არა; 3. არსებობდა აშკარა წინააღმდეგობა ხსენებულ ვიდეოჩანაწერსა და ჩხრეკის ოქმს შორის, რომელიც მიუთითებდა, რომ დანა ნაპოვნი იქნა საწოლის ლეიბის ქვეშ.¹⁰³⁶

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული სასამართლოების დაუსაბუთებელი უარის შედეგად, მოესმინათ მომჩივნის მოწმეებისთვის, ამ უკანასკნელს წაერთვა ერთადერთი შესაძლებლობა, ეფექტურად შეცილებოდა მის წინააღმდეგ წარდგენილ ბრალდებას. მთავრობის მიერ დასახელებული სხვა მტკიცებულებები – ვიდეოჩანაწერი, ჩხრეკისა და დანის ამოღების წერილობითი ოქმი, სასამართლოს შეფასებით, არ წარმოადგენდა რაიმე დამატებით, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ პირდაპირ მტკიცებულებებს, ამიტომ არასაკმარისი იყო ბრალდების დასადასტურებლად.¹⁰³⁷

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ დაცვის მოწმეების დაკითხვაზე უარის თქმით, მათი ჩვენების პოტენციური მნიშვნელობის შეფასების გარეშე, მთლიანი პროცესი გახდა უსამართლო, შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის (d) ქვეპუნქტის დარღვევას.

7.1.1.2.5.2. Al-Khawaja and Tahery-ის ტესტი

ერთ-ერთ საყურადღებო საკითხს წარმოადგენს ანონიმურ მოწმეთა ჩვენებები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ მიუთითა უფლების დარღვევაზე, როდესაც ბრალდებულისთვის არ იყო მოწმის ვინაობა ცნობილი და ის ვერ ამოწმებდა მის მიერ მიცემული ჩვე-

1036 *Kartvelishvili v. Georgia*, app. №17716/08, (ECtHR, 07.09.2018), §63.

1037 *Kartvelishvili v. Georgia*, app. №17716/08, (ECtHR, 07.09.2018), §64.

ნების სისწორეს, ვერ იღებდა მონაწილეობას მის დაკითხვაში, ამასთან ასეთი ჩვენება არსებით გავლენას ახდენდა გამამტყუნებელ განაჩენზე¹⁰³⁸.

ევროპული სასამართლო ადგენს მკაცრ სტანდარტებს სისხლის სამართალწარმოებაში ანონიმური ჩვენებების გამოყენების დასაშვებ ფარგლებთან და შემთხვევებთან მიმართებით.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საქმე *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*. სასამართლომ ერთგვარად შეაჯამა და განავითარა იმ საქმეებზე დადგენილი პრინციპები, რომლებზეც ბრალდების მოწმე არ ესწრებოდა სასამართლო განხილვას და მის მიერ მანამდე მიცემული ჩვენება დაშვებულ იქნა მტკიცებულებად.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ, პირველ რიგში, გაიმეორა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „d“ ქვეპუნქტი მოითხოვს, ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული ყველა მტკიცებულება წარმოდგენილი იყოს მისი თანდასწრებით, საჯარო განხილვაზე, შეჯიბრებითი პაექრობის უზრუნველსაყოფად¹⁰³⁹. სასამართლომ ამ კონტექსტში ხაზი გაუსვა გამოძიების ეტაპის მნიშვნელობას, რადგან ამ დროს მოპოვებული მტკიცებულება განსაზღვრავს ჩარჩოს, რომლის ფარგლებში წაყენებული ბრალიც განიხილება სასამართლოში¹⁰⁴⁰. მე-6 მუხლი, განსაკუთრებით კი მისი მე-3 პუნქტი, შესაძლოა რელევანტური იყოს, სანამ საქმე გაიგზავნება სასამართლოში, რამდენადაც საქმის სასამართლო განხილვის სამართლიანობას მნიშვნელოვანი საფრთხე ექმნება საწყის ეტაპზე ამ ნორმების დაუცველობით¹⁰⁴¹.

იმავედროულად, ევროპული სასამართლოს განმარტებით, პოლიციის მიერ მოკვლევისა და სასამართლო გამოძიების ეტაპზე მოპოვებული ჩვენებების მტკიცებულებად მიღება თავისთავად არ ეწინააღმდეგება მე-6 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-3 პუნქტის „d“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ მოხდება დაცვის მხარის უფლებების პატივისცემა. როგორც წესი, ეს უფლებები მოითხოვს, რომ ბრალდებულს ჰქონდეს ადეკვატური და სათანადო შესაძლებლობა, მის წინააღმდეგ

1038 *Doorson v. the Netherlands*, app. №20524/92, (ECtHR, 26.03.1996), §76.

1039 *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*, app. №26766/05, 22228/06, (ECtHR, 15.12.2011), §118. *Schatschaschwili v. Germany*, app. №9154/10, (ECtHR, (GC) 15.12.2015), §103.

1040 *Salduz v. Turkey* app. №36391/02, (ECtHR, [GC], 17.11.2008), §54.

1041 *Salduz v. Turkey* app. №36391/02, (ECtHR, [GC], 17.11.2008), §50, §104; *Schatschaschwili v. Germany*, app. №9154/10, (ECtHR, (GC) 15.12.2015).

მოწვეულ მოწმეს დაუსვას კითხვები მაშინ, როდესაც ის (მოწმე) ჩვენებას იძლევა ან საქმისწარმოების მომდევნო სტადიებზე¹⁰⁴².

სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ იმ მოწმის ჩვენების მტკიცებულებად მიღება, რომელიც არ ესწრებოდა სასამართლო სხდომას და რომლის წინასასამართლო ჩვენება ერთადერთი და გადამწყვეტი მტკიცებულება იყო ბრალდებულის წინააღმდეგ, ავტომატურად არ იწვევდა 6.1 მუხლის დარღვევას. სასამართლომ დაასაბუთა, რომ ე.წ. „ერთადერთის და გადამწყვეტის“ წესის ხისტი, მოუქნელი გამოყენება, წინააღმდეგობაში მოვიდოდა სასამართლოს ტრადიციულ მიდგომასთან, რომლითაც ის კონვენციის 6.1. მუხლის მიზნებისთვის, სწავლობს, აფასებს, იყო თუ არა საქმისწარმოება მთლიანობაში სამართლიანი.

საქმეზე *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom* შემუშავებული პრინციპების თანახმად, აუცილებელია, სამ ეტაპად იქნას შესწავლილი იმ საქმისწარმოების შესაბამისობა კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან და მე-3 პუნქტის „d“ ქვეპუნქტთან, რომელზეც ბრალდების მოწმე არ ესწრებოდა სასამართლო განხილვას და მის მიერ მანამდე მიცემული ჩვენება დაშვებულ იქნა მტკიცებულებად. კერძოდ, უნდა შეფასდეს:

1. არსებობდა თუ არა მოწმეთა დაუსწრებლობისა და, შესაბამისად, დაუსწრებელი მოწმის ჩვენებების მტკიცებულებად დაშვების საპატიო მიზეზი;

2. დაუსწრებელი მოწმის ჩვენება იყო თუ არა ბრალდებულის მსჯავრდების ერთადერთი და გადამწყვეტი საფუძველი;

3. არსებობდა თუ არა საკმარისი დამაბალანსებელი ფაქტორები/პროცედურული გარანტიები, რომლებიც მოანდენდა დაცვის მხარისთვის გამოუცდელი მტკიცებულების დაშვების შედეგად შექმნილი დაბრკოლებების კომპენსირებას და მთლიანობაში, სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფას¹⁰⁴³.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, საქმის განმხილველმა სასამართლომ, პირველ რიგში, უნდა გადაწყვიტოს, არსებობს თუ არა მოწმის დაუსწრებლობის საპატიო მიზეზი და შესაძლებელია თუ არა დაუსწრებელი მოწმის მტკიცებულების დაშვება. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოწმის

1042 *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*, app. №26766/05, 22228/06, (ECtHR, 15.12.2011), §118; *Schtschaschwili v. Germany*, app. №9154/10, (ECtHR, (GC) 15.12.2015), §105.

1043 *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*, app. №26766/05, 22228/06, (ECtHR, 15.12.2011), §147; *Schtschaschwili v. Germany*, app. №9154/10, (ECtHR, (GC) 15.12.2015), §107.

მტკიცებულება დაშვებული იქნება, საქმის განმხილველი სასამართლო სხდომის დასასრულს, ყველა წარმოდგენილი მტკიცებულების გათვალისწინებით, აფასებს დაუსწრებელი მოწმის მტკიცებულება არის თუ არა ბრალდებულის მსჯავრდების ერთადერთი ან გადამწყვეტი საფუძველი. დაუსწრებელი მოწმის მიერ მიწოდებული მტკიცებულების წონაზე იქნება დამოკიდებული, როგორი დატვირთვა უნდა ჰქონდეს დამაბალანსებელ ფაქტორებს, რათა მთლიანობაში უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანი სასამართლო განხილვა¹⁰⁴⁴.

Al-Khawaja and Tahery-ის ტესტის სამივე ეტაპი ურთიერთდაკავშირებულია და ერთობლიობაში ემსახურება იმის დადგენას, განსახილველი სისხლის სამართლის საქმის წარმოება ერთიანობაში იყო თუ არა სამართლიანი.

მნიშვნელოვანია საკითხი, ყოველთვის აუცილებელია თუ არა დამაბალანსებელი ფაქტორების არსებობა. სასამართლომ ასეთი ფაქტორების არსებობის აუცილებლობა დაადგინა, როდესაც მსჯავრდება მხოლოდ ან გადამწყვეტი ხარისხით ეფუძნება დაუსწრებელი მოწმეების მტკიცებულებას¹⁰⁴⁵. რაც შეეხება საკითხს, აუცილებელია თუ არა საკმარისი დამაბალანსებელი ფაქტორების არსებობის შემოწმება იმ საქმეებზეც, რომლებზეც დაუსწრებელი მოწმის მტკიცებულების მნიშვნელობა არ უახლოვდება განმცხადებლის მსჯავრდების საფუძვლად მიჩნეული ერთადერთი თუ გადამწყვეტი მტკიცებულების მიჯნას, სასამართლო განმარტავს, რომ ის ზოგადად აუცილებლად მიიჩნევს ერთიანობაში საქმის წარმოების სამართლიანობის შესწავლას. ეს ტრადიციულად გულისხმობს როგორც ბრალდებულის წინააღმდეგ გადაუმოწმებელი მტკიცებულების მნიშვნელოვნების, ისე მართლმსაჯულების ორგანოების მიერ დაცვის მხარისთვის წარმოშობილი დაბრკოლებების დამაბალანსებელი ღონისძიებების შეფასებას¹⁰⁴⁶.

საქმის სასამართლო განხილვის სამართლიანად მისაჩვენად აუცილებელი დამაბალანსებელი ფაქტორების ფარგლები დამოკიდებული იქნება დაუსწრებელი მოწმის მტკიცებულების წონაზე. რაც უფრო მნიშვნელოვა-

1044 *Schatschaschwili v. Germany*, app. №9154/10, (ECtHR, (GC) 15.12.2015), §117.

1045 *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*, app. №26766/05, 22228/06, (ECtHR, 15.12.2011), §147.

1046 *Gani v. Spain*, app. №61800/08, (ECtHR, 19.02.2013), §41; *Beggs v. the United Kingdom*, app. №25133/06, (ECtHR, 06.11.2012), §§156-159; *Garofolo v. Switzerland*, app. №4380/09, ECtHR, 02.02.2013), §§52, 56-57.

ნია ეს მტკიცებულება, მით მეტი წონა აქვს დამაბალანსებელ ფაქტორებს, რათა საქმისწარმოება მთლიანობაში მიჩნეულ იქნას სამართლიანად.

ევროპულმა სასამართლომ ცალ-ცალკე განმარტა ტესტის სამივე ეტაპთან დაკავშირებული პრინციპები:

ტესტის პირველ ეტაპთან მიმართებით, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოწმის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი უნდა არსებობდეს საქმის განმხილველი სასამართლოს პერსპექტივიდან, კერძოდ, სასამართლოს უნდა გააჩნდეს სხდომაზე მოწმის დასწრების შეუძლებლობის ფაქტობრივი ან სამართლებრივი საფუძვლები. თუ დადგინდება, რომ არსებობდა მოწმის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი (როგორცაა გამოუცხადებლობა გარდაცვალების ან შიშის გამო¹⁰⁴⁷, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო¹⁰⁴⁸, ან თუ მოწმე მიუწვდომელია), ეს ქმნის გამამართლებელ საფუძველს სასამართლოსთვის დაუსწრებელი მოწმის ჩვენებების დასაშვებად.

საქმეებზე, რომლებშიც მოწმის გამოუცხადებლობის მიზეზი არის მისი მიუწვდომლობა, ევროპული სასამართლო მოითხოვს, რომ საქმის განმხილველ სასამართლოს ყველა გონივრული საშუალება ჰქონდეს გამოყენებული მოწმის გამოცხადების უზრუნველსაყოფად¹⁰⁴⁹. ის ფაქტი, რომ მოწმე არ იმყოფებოდა საქმისწარმოების ქვეყანაში ან ეროვნულ სასამართლოებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა, დაედგინათ მისი ადგილსამყოფელი, თავისთავად არ არის საკმარისი კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „d“ ქვეპუნქტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული დებულება ხელშემკვრელ სახელმწიფოს ავალდებულებს, გადადგას პოზიტიური ნაბიჯები, რათა ბრალდებულს შესაძლებლობა მისცეს, თავად დააკითხოს ან დააკითხვინოს მის წინააღმდეგ წარმოდგენილი მოწმე¹⁰⁵⁰. იგულისხმება, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა მიმართონ ყველა გონივრულ ძალისხმევას მოწმის გამოცხადების უზრუნველყოფისთვის. ისინი აქტიურად უნდა ეძებდნენ მოწმეს, ეროვნული სახელმწიფო ორგანოების, მათ შორის, პოლიციის დახმარებით და მოქმედი წესის შესაბამისად მიმართონ საერთაშორისო სამართლებრივ დახმარებას¹⁰⁵¹. სასამარ-

1047 *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*, app. №26766/05, 22228/06, (ECtHR, 15.12.2011), §§120-125.

1048 *Vronchenko v. Estonia*, app. №59632/09, (ECtHR, 18.07.2013), §58.

1049 *Gabrielyan v. Armenia*, app. №8088/05, (ECtHR, 10.04.2012), §78; *Kostecki v. Poland*, app. №14932/09, (ECtHR, 04.06.2013), §§65, 66.

1050 *Schatschaschwili v. Germany*, app. №9154/10, (ECtHR, (GC) 15.12.2015), §120.

1051 *Gabrielyan v. Armenia*, app. №8088/05, (ECtHR, 10.04.2012), §83; *Schatschaschwili v. Germa-*

თლო სხდომაზე მოწმის გამოცხადების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ყველა გონივრული ძალისხმევის საჭიროება ასევე მოიცავს ეროვნული სასამართლოების მიერ მოწმის სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზების ყურადღებით შესწავლას, მოწმის გამორჩეული მდგომარეობის გათვალისწინებით¹⁰⁵².

ტესტის მეორე ეტაპთან დაკავშირებით (დაუსწრებელი მოწმის მტკიცებულება იყო თუ არა ბრალდებულის მსჯავრდების ერთადერთი ან გადაამწყვეტი საფუძველი), სასამართლო განმარტავს, რომ „ერთადერთი“ მტკიცებულება გაგებულ უნდა იქნას, როგორც ბრალდებულის წინააღმდეგ არსებული მხოლოდ ერთი მტკიცებულება¹⁰⁵³. „გადაამწყვეტი“ მტკიცებულება ვიწროდ უნდა განიმარტოს, რადგან ამგვარი მასშტაბისა და მნიშვნელოვნების მტკიცებულება მაღალი ალბათობით საქმის შედეგის განმაპირობებელია. როდესაც მოწმის გადაუმოწმებელი მტკიცებულება გამყარებულია ბრალდების სხვა მტკიცებულებით, იმის შეფასება, გადაამწყვეტი იყო თუ არა ის, დამოკიდებული იქნება მხარდამჭერი მტკიცებულების ძალაზე. რაც უფრო ძლიერია ბრალდების მტკიცებულება, ნაკლებად სავარაუდოა, რომ გამოუცხადებელი მოწმის მტკიცებულება იგივე რეჟიმში განიხილებოდეს, როგორც გადაამწყვეტი [მტკიცებულება]¹⁰⁵⁴.

ტესტის მესამე ეტაპთან დაკავშირებით (არსებობდა თუ არა საკმარისი დამაბალანსებელი ფაქტორები დაცვის მხარისთვის შექმნილი დაბრკოლებების კომპენსირებისთვის), სასამართლომ განმარტა, რომ დამაბალანსებელმა ფაქტორებმა ხელი უნდა შეუწყონ ასეთი მტკიცებულების სანდოობის სამართლიან და სათანადო შეფასებას¹⁰⁵⁵. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოები ასეთი მტკიცებულებას სიფრთხილით მოეკიდონ. უნდა ჩანდეს, რომ მათთვის (სასამართლოსთვის) დაუსწრებელი მოწმეების ჩვენებებს ნაკლები წონა აქვს¹⁰⁵⁶. აუცილებე-

ny, app. №9154/10, (ECtHR, (GC) 15.12.2015), §121.

1052 *Schatschaschwili v. Germany*, app. №9154/10, (ECtHR, (GC) 15.12.2015), §122.

1053 *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*, app. №26766/05, 22228/06, (ECtHR, 15.12.2011), §131.

1054 *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*, app. №26766/05, 22228/06, (ECtHR, 15.12.2011), §131; *Schatschaschwili v. Germany*, app. №9154/10, (ECtHR, (GC) 15.12.2015), §123.

1055 *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*, app. №26766/05, 22228/06, (ECtHR, 15.12.2011), §147; *Schatschaschwili v. Germany*, app. №9154/10, (ECtHR, (GC) 15.12.2015), §125.

1056 *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*, app. №26766/05, 22228/06, (ECtHR, 15.12.2011), §157.

ლია ეროვნული სასამართლოების მიერ ასეთი მტკიცებულების სათანადოდ მიჩნევის საკითხის დეტალური დასაბუთება. დამატებითი გარანტია შეიძლება იყოს გამოძიების სტადიაზე დაუსწრებელი მოწმის დაკითხვის ვიდეორჩანაწერის ჩვენება საქმის სასამართლო განხილვაზე, რათა სასამართლოს, პროკურატურასა და დაცვის მხარეს შესაძლებლობა მიეცეთ, დააკვირდნენ მოწმის ქცევას დაკითხვისას და საკუთარი შეხედულება შეიქმნან მისი სანდოობის შესახებ¹⁰⁵⁷. ასევე მნიშვნელოვანი გარანტიაა საქმის სასამართლო განხილვაზე მოწმის გადაუმოწმებელი ჩვენების განმამტკიცებელი ბრალდების მტკიცებულების ხელმისაწვდომობა. ამგვარი მტკიცებულება შესაძლოა მოიცავდეს სასამართლო სხდომაზე იმ პირის მიერ მიცემულ ჩვენებებს, რომელსაც დაუსწრებელმა მოწმემ მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა¹⁰⁵⁸, საექსპერტო დასკვნას¹⁰⁵⁹. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს დაცვის მხარისთვის შესაძლებლობის შეთავაზება, ასეთ მოწმეს კითხვები დაუსვას არაპირდაპირ, მაგალითად, წერილობით, სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას¹⁰⁶⁰. მნიშვნელოვან დამაბალანსებელ გარანტიად განიხილება ასევე განმცხადებლისთვის ან დაცვის მხარის წარმომადგენლისთვის შესაძლებლობის მიცემა, დაკითხოს მოწმე გამოძიების სტადიაზე¹⁰⁶¹.

7.1.1.2.6. სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება

მართლმსაჯულების შედეგი სამართლიანობის მიღწევა, აღდგენა უნდა იყოს. „ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა, რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან“¹⁰⁶². ამიტომ სასამართლოს გადაწყვეტილებები სწორედ ამის უზრუნველყოფისკენ უნდა იყოს მიმართული. „ამ მიზნის მიღწევას ემსახურება სამართლიანი სასამართლოს უფლების

1057 *Chmura v. Poland*, app. №18475/05, (ECtHR, 03.04.2012), §50; *Rosin v. Estonia*, app. №26540/08, (ECtHR, 19.12.2013), §62; *Schatschaschwili v. Germany*, app. №9154/10, (ECtHR, (GC) 15.12.2015), §127.

1058 *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*, app. №26766/05, 22228/06, (ECtHR, 15.12.2011), §156.

1059 *Gani v. Spain*, app. №61800/08, (ECtHR, 19.02.2013), §48; *Schatschaschwili v. Germany*, app. №9154/10, (ECtHR, (GC) 15.12.2015), §128.

1060 *Scholer v. Germany*, app. №14212/10, (ECtHR, 18.12.2014), §60; *Schatschaschwili v. Germany*, app. №9154/10, (ECtHR, (GC) 15.12.2015), §129.

1061 *Gani v. Spain*, app. №61800/08, (ECtHR, 19.02.2013), §48.

1062 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/534 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 3.

არაერთი პროცესუალური გარანტია, უფლებრივი კომპონენტი, მათ შორის, სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის, გასაჩივრების, დავის ხელახლა წარმოების უფლება საამისოდ შესაბამისი საფუძვლების, პირობების არსებობის შემთხვევაში¹⁰⁶³.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი, კონსტიტუციის სხვა რელევანტურ დებულებებთან (მუხ. 59; 61) ერთად, ქმნის მყარ საფუძველს სასამართლოს გადაწყვეტილებების ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში გასაჩივრების შესაძლებლობისთვის. „უფლება სამართლიან სასამართლოზე არ არის აბსტრაქტული და მოიაზრებს უფლების დაცვის შესაძლებლობას კონსტიტუციის ინსტიტუციური სისტემით განსაზღვრული სასამართლო ხელისუფლების ორგანოების მეშვეობით, კონსტიტუციაში მოცემული ინსტიტუციური მოთხოვნების გათვალისწინებით“¹⁰⁶⁴. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტი იცავს სასამართლო სისტემის თითოეულ რგოლზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას, „მათ შორის, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას“¹⁰⁶⁵. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის დასახელებული დებულება „მოიცავს არა მარტო პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვას, არამედ ზემდგომ ინსტანციებში საჩივრის შეტანის უფლებასაც“¹⁰⁶⁶.

მიუხედავად იმისა, რომ მოქმედებს სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების პრეზუმფცია, არაგონივრული იქნებოდა სასამართლოს მიერ შეცდომის, თვითნებობის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თუ

1063 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება №3/1/531 საქმეზე *ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 20.

1064 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბუჯაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი)*, საქართველოს მოქალაქეები – *ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამაღბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბუჯაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი)* საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 68.

1065 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე *საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 7.

1066 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის №2/3/286 გადაწყვეტილება საქმეზე *მოქალაქე ოლეგ სვინტრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.

სხვა მიზეზით არასწორი გადაწყვეტილების გამოტანის რისკის აბსოლუტურად გამორიცხვა. ასეთი ალბათობის პირობებში კი ადამიანი დაცული უნდა იყოს ახლა უკვე სასამართლოს გადაწყვეტილებით გამყარებული მისი უფლების შეუქცევადად დარღვევის საფრთხისგან. სწორედ გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში იცავს პირს „დაუსაბუთებელი და უკანონო სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგად უფლების დარღვევისაგან“¹⁰⁶⁷.

სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება: 1) ასრულებს პრევენციულ ფუნქციას. ის თავისთავად ზრდის მოსამართლის მეტი თვითკონტროლის და კანონმდებლობის ზედმიწევნითი დაცვით, ამასთან, მისი მიზნობრივი განმარტებით სწორი, სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანის მოტივაციას, შესაბამისად, „...წარმოადგენს მოსამართლის მხრიდან თვითნებობის თავიდან აცილების მექანიზმს და მოსამართლეს უბიძგებს, თავიდან აიცილოს შესაძლო შეცდომები...“¹⁰⁶⁸. 2) მას აქვს დამშვებული შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობის ფუნქცია; 3) ზრდის პირის განცდას, რომ მისი საქმე გადაწყდა სამართლიანად¹⁰⁶⁹. „საქმის განხილვის პროცესში გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ შეცდომების დაშვების პრევენციასა და კანონიერი გადაწყვეტილების მიღების ალბათობის ზრდასთან ერთად, გასაჩივრების უფლება უზრუნველყოფს პირის განცდის ჩამოყალიბებას, რომ მას სამართლიანად მოექცნენ. კონკრეტული გადაწყვეტილების გასაჩივრება პირს შესაძლებლობას აძლევს, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე კიდევ ერთხელ წარმოადგინოს საკუთარი პოზიციები და დაუპირისპირდეს მოპასუხე მხარეს, რაც ზრდის პირის სანდოობის აღქმას სასამართლო გადაწყვეტილების შედეგისადმი“¹⁰⁷⁰; 4) ხელს უწყობს ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამო-

1067 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე, II, 7.

1068 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 55.

1069 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 22.

1070 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/1/598 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 45.

ყალიბებას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში¹⁰⁷¹. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „გასაჩივრების უფლების არსებობას უმთავრესად ორი მიზანი გააჩნია: ქვედა ინსტანციის მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორება და კანონის განმარტების და გამოყენების ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრება“¹⁰⁷².

სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლების არაერთი სხვა უფლებრივი კომპონენტის მსგავსად, შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვას შესაბამისი კონსტიტუციური საფუძვლების არსებობისას – ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად თანაზომიერი საშუალებების გამოყენებით.

იმავედროულად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა ის საფუძვლები თუ კრიტერიუმები, რომელთა არსებობისას გასაჩივრების უფლებით სარგებლობა კონსტიტუციით უპირობოდ მოთხოვნილია. კერძოდ, პირს უნდა ჰქონდეს სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება:

1. თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით ხდება მისი თავისუფლების შეზღუდვა. საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ საქმეში გაამახვილა ყურადღება, რომ რადგან თავისუფლების შეზღუდვის ნებისმიერი ფორმა (დაკავება, წინასწარი პატიმრობა, თავისუფლების აღკვეთა და სხვა) წარმოადგენს ადამიანის თავისუფლებაში ინტენსიურ ჩარევას, თავისუფლების შეზღუდვის თაობაზე სასამართლოს ყოველი გადაწყვეტილება უნდა საჩივრდებოდეს ზემდგომ ინსტანციაში. ასეთი შესაძლებლობის არარსებობა არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

საქმეზე საქართველოს მოქალაქე ოლეგ სვინტრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმა (243-ე მუხლის მე-11 ნაწილი), რომლის თანახმად, პატიმრობის ან შინაპატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ მოსამართლის ბრძანების კანონიერება და დასაბუთებულობა არ საჩივრდებოდა. სასამართლოს განმარტებით: „პირისათვის პატიმრობაში შემდგომი ყოფნის კანონიერების და დასაბუთებულობის შემოწმების უფლება-

1071 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 55.

1072 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 20.

ზე უარის თქმა არღვევს ... თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის კონსტიტუციურ უფლებებსაც, რადგან ადამიანს არ შეიძლება წაერთვას თავისუფლება და უკანონოდ აღმოჩნდეს პატიმრობაში. დაპატიმრების კანონიერების გარანტიას წარმოადგენს ალკვეთის ღონისძიების შეფარდების საფუძვლიანობის სასამართლო შემოწმების მოთხოვნის უფლება. ... თავისუფლების ნებისმიერ შეზღუდვას, მათ შორის კანონიერი საფუძვლების არსებობის დროსაც, უნდა დაუპირისპირდეს ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების უფლება¹⁰⁷³.

საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმა, რომელიც კრძალავდა სასამართლოსადმი გამოხატული უპატივცემულობის გამო პირისთვის 30 დღე-ღამემდე ვადით პატიმრობის შეფარდების თაობაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას. გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „გასაჩივრებული ნორმები ითვალისწინებს სამართალდამრღვევის მიმართ ისეთი მკაცრი ღონისძიების გამოყენებას, როგორცაა პატიმრობა. ... პირისათვის მოსამართლის განკარგულების გასაჩივრების შესაძლებლობის ჩამორთმევა არსებითად არღვევს დაპატიმრებული პირის უფლებას სამართლიან სასამართლოზე. თავისუფლებაზეზღუდული პირის მდგომარეობა არ იცვლება იმის მიხედვით, თავისუფლება შეეზღუდა სასამართლოს განაჩენის, ბრძანების თუ განკარგულების საფუძველზე. ამიტომ მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, ერთნაირად გაასაჩივროს თავისუფლების შეზღუდვის კანონიერება, მიუხედავად შეზღუდვის საფუძვლისა“¹⁰⁷⁴.

2. თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით ამა თუ იმ უფლებაში ჩარევის ინტენსივობის ხარისხი მაღალია. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „პირის ინტერესი, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება, პირდაპირ არის დამოკიდებული სასამართლოს გადაწყვეტილებით შეზღუდული უფლების ინტენსივობაზე. რაც უფრო ინტენსიურია პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან მომდინარე უფლების შეზღუდვა, მით უფრო მაღალია ხსენებული გადაწყვეტილების

1073 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება №1/2/286 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ოლეგ სვინტრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2.

1074 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/393,397 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ონისე მებონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.

სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების ინტერესი¹⁰⁷⁵. მაგალითად, სასამართლომ არაერთ საქმეზე დაადგინა, რომ, „როდესაც სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვა უკავშირდება ამა თუ იმ სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურებსა და მისი გასაჩივრების უფლებას, შეფასების სტანდარტები მკაცრია. პირს, რომელსაც სახელმწიფო სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობას აკისრებს, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, სრულად ისარგებლოს საქმის სამართლიანი განხილვის პროცედურული გარანტიებითა და გასაჩივრების უფლებით¹⁰⁷⁶.

საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების სიტყვების „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“ კონსტიტუციურობა¹⁰⁷⁷. სადავო ნორმები შეეხებოდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც სამართალდარღვევის ჩადენის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებდა ადმინისტრაციული ორგანო, ეს გადაწყვე-

1075 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 25.

1076 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 16.

1077 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის პირველი და მე-2 წინადადების თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შეიძლება გასაჩივრებულიყო „ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234¹ მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, – ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა; გადაწყვეტილება სხვაგვარი ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, – ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან), რის შემდეგაც საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“; ამავე ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების მიხედვით, აგრეთვე გასაჩივრდება „შინაგან საქმეთა ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის შესახებ, – ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“. „შინაგან საქმეთა ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება საურავის დარიცხვის შესახებ, – ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“.

ტილება საჩივრდებოდა სასამართლოში. შედეგად, მოსარჩელეს ჰქონდა შესაძლებლობა, სასამართლოში გაესაჩივრებინა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული უფლების მზღლუდავი სამართლებრივი აქტი და მოეთხოვა ამ აქტის კანონიერების გადამოწმება მიუკერძოებელი ორგანოს მიერ. თუმცა, მისთვის პრობლემური იყო ის, რომ არ ჰქონდა მისი პასუხისმგებლობის დამდგენი აქტის ორი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა.

საქართველოს პარლამენტმა სადავო ნორმების ლეგიტიმურ მიზნებად დაასახელა სწრაფი, ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება, პროცესის ეკონომიურობის უზრუნველყოფა და სასამართლო სისტემის გადატვირთვისგან დაცვა.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთ საქმეზე აღნიშნა, რომ სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების კომპონენტებს, ამასთან, გასაჩივრების უფლების შეზღუდვა ამცირებს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს. თუმცა, სასამართლოს განმარტებით, დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება შეიზღუდოს თავად გასაჩივრების მსურველი პირისათვის სწრაფი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიზნით. „მოსარჩელის გასაჩივრების უფლების შეზღუდვა და მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის სწრაფად დაკისრება ვერ იქნება განხილული როგორც სწრაფი მართლმსაჯულების უფლებიდან მომდინარე მოთხოვნა. მოსარჩელისათვის გასაჩივრების უფლების მინიჭება მის მიერ სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების მიღებას ვერ შეაფერხებს. ამავე დროს, სადავო ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობის მეორე მხარე (სახელმწიფო) სამართლიანი სასამართლოს (მათ შორის სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების) უფლების სუბიექტს საერთოდ არ წარმოადგენს, შესაბამისად, მოპასუხე მხარე ვერ მიუთითებს ადმინისტრაციული დავის „მეორე მხარის“ სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების უფლების დაცვის საჭიროებაზე. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების უზრუნველყოფის ლეგიტიმური მიზანი ვერ გამოდგება სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვის კონსტიტუციურობის სამტკიცებლად“¹⁰⁷⁸.

სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვა პროცესის ეკონომიურობის და სასამართლო გადატ-

1078 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 14.

ვირთვისგან დაცვის ლეგიტიმური მიზნის უზრუნველსაყოფად. ამასთან, დაადგინა, რომ სადავო ნორმები იყო ლეგიტიმური მიზნის მიღწევის ვარგისი და ყველაზე ნაკლებადმზღვრადი საშუალებები¹⁰⁷⁹. შეზღუდვის პროპორციულობა კი ცალ-ცალკე შეამოწმა ორ მთავარ სამართლებრივ სიკეთესთან მიმართებით (1. ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორების შედეგად საქმის სწორად, უშეცდომოდ გადაწყვეტა; 2. კანონის განმარტებისა და გამოყენების ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება), რომელთა დაცვასაც ემსახურება სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება.

საკონსტიტუციო სასამართლომ, პირველ რიგში, შეაფასა, სადავო ნორმით გათვალისწინებული შემთხვევები შეეხებოდა თუ არა უფლების იმდენად ინტენსიურ შეზღუდვას, რომლის პირობებშიც აუცილებელი იყო პირისათვის ორი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობის მინიჭება. სასამართლოს განმარტებით: „...საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად არსებული რეპრესიული მექანიზმების ერთობლიობას, რომლის უფლების შემზღვრადი ბუნება უმთავრესად სამართალდარღვევის საპასუხოდ გაწერილ სანქციებში ვლინდება, თუმცა ამით არ ამოიწურება. ... ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, დანაშაულის მსგავსად, წარმოადგენს სამართლებრივად გასაკიცხ ქმედებას, რასაც მოჰყვება საჯარო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორც სახელმწიფოს საპასუხო მოქმედება“¹⁰⁸⁰. „...სამართალდამრღვევად ცნობის შედეგად, ადამიანზე ზემოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ მის მიმართ გამოყენებული სანქციის მოცულობით. სანქციისგან დამოუკიდებლად (მათ შორის იმ შემთხვევაში, როდესაც სანქცია საერთოდ არ გამოიყენება) პირის სამართალდამრღვევად ცნობას უკავშირდება მისი გაკიცხვა, რაც ასევე წარმოადგენს ზემოქმედების ფორმას. ამდენად, პირის მიმართ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული სანქციის მოცულობა არ იძლევა სრულ სურათს მისი უფლებების შეზღუდვის სიძიძის წარმოსაჩინად. მძიმე სამართალდარღვევის ჩადენაში ბრალეულად ცნობა წარმოადგენს პასუხისმგებლობის მძიმე ფორმას, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებული იქნეს მსუბუქი სანქცია. ამგვარად, პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმებთან მიმართებით პირის გასაჩივრების ინტერესს, უპირველესად, განსაზღვრავს არა პირის მიმართ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული სანქციის მოცულობა,

1079 იქვე, II, 18.

1080 იქვე, II, 27.

არამედ იმ სამართალდარღვევის სიმძიმე, რომლის ჩადენასაც ედავებიან მას. კერძოდ, თუ მაღალია მართლსაწინააღმდეგო ქმედების გაკიცხვის ხარისხი, პირს გააჩნია შესაბამისი გადაწყვეტილების გასაჩივრების მომეტებული სამართლებრივი ინტერესი¹⁰⁸¹.

სასამართლომ ამავე დროს აღნიშნა, რომ, მართალია, მძიმე სამართალდარღვევებზე სააპელაციო სასამართლოში დავის შესაძლებლობის შეზღუდვა შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველ პუნქტს, თუმცა ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ინდივიდუალურად, შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან კავშირში არის შესაძლებელი. მოცემული დავის ფარგლებში სასამართლო ვერ შეაფასებდა ყველა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სიმძიმეს და თითოეულ მათგანთან დაკავშირებით ვერ გადაწყვეტდა სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შეზღუდვის კონსტიტუციურობის საკითხს. თუმცა, მისი განმარტებით: „შეფასების მიღმა არ უნდა დარჩეს ისეთი შემთხვევები, როდესაც სანქციის სახე თავისთავად მიუთითებს სამართალდარღვევის სიმძიმეზე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკა ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ადამიანის ფიზიკური თავისუფლების ხელშეუხებლობის დაცვა განსაკუთრებულ კონსტიტუციურ სამართლებრივ გარანტიებს საჭიროებს. ... თავისუფლების უფლების დაცვის კონსტიტუციური გარანტიები არ ამოიწურება მატერიალური საფუძვლებით. საქართველოს კონსტიტუცია მოითხოვს, რომ პირი ალჭურვილი იყოს სათანადო პროცესუალური გარანტიებით, რომლებიც მაქსიმალურად დააზღვევს ამ უფლებაში არამართლზომიერად ჩარევის რისკებს. ... აღნიშნულიდან გამომდინარე, სახდელის სახით თავისუფლების აღკვეთის გათვალისწინება, თავისთავად მიუთითებს სამართალდარღვევის სიმძიმეზე. ამდენად, სახდელის პროპორციულობის პრეზუმფციის პირობებში, ქმედება, რომლისთვისაც პასუხისმგებლობის სახით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა, მძიმე სამართალდარღვევას წარმოადგენს. შესაბამისად, არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილებების გასაჩივრების მომეტებული ინტერესი იმ სამართალდარღვევათა საქმეებზე, რომელთათვისაც სახდელის სახით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა¹⁰⁸². სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლოში დავის შესაძლებლობა გამოირიცხებოდა, მათ შორის, ისეთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებთან დაკავში-

1081 იქვე, II, 29.

1082 იქვე, II, 33-35.

რებით, რომლებზეც, სახდელის სახით, სხვა სანქციებთან ერთად, გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა. სასამართლოს შეფასებით: „სამართალდარღვევად მიჩნეული ქმედებისთვის ადმინისტრაციული სახდელის სახით პატიმრობის გათვალისწინება თავისთავად მიუთითებს სამართალდარღვევის მძიმე ბუნებაზე. შესაბამისად, ამგვარ შემთხვევაში პირს უნდა ჰქონდეს მისი სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა, დამოუკიდებლად იმისა, რამდენად იქნა გამოყენებული მის მიმართ პასუხისმგებლობის ხსენებული ზომა“. შედეგად, სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში დააკმაყოფილა სარჩელი¹⁰⁸³.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ერთ-ერთი გასაჩივრებული ნორმა (272-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის სიტყვები „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“) გამორიცხავდა საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების კანონიერებასთან დაკავშირებით მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ქონებრივი სანქციის არსებობა თავისთავად არ მიუთითებს სამართალდარღვევის სიმძიმეზე. ამიტომ საურავის დარიცხვის გამო სააპელაციო სასამართლოსადმი მიმართვის შეზღუდვის კონსტიტუციურობა შეიძლება შეფასდეს მხოლოდ კონკრეტულ სამართალდარღვევებთან კავშირში. ვინაიდან წინამდებარე საქმეზე ამგვარი სამართალდარღვევები იდენტიფიცირებული არ ყოფილა, სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული სადავო ნორმა არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს. თუმცა, მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ გაკეთებული შემდეგი განმარტება: „საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის მსგავსად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სხვა სანქციაც აღწევდეს უფლების შეზღუდვის ინტენსივობის იმ ხარისხს, რომელიც საკმარისია შემადგენლობის მძიმე სამართალდარღვევად მიჩნევისათვის. შესაბამისად, ორი ინსტანციის სასამართლოში დავის აუცილებლობა შესაძლოა იმ სამართალდარღვევებთან მიმართებითაც არსებობდეს, რომელიც სახდელის სახით თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებს. თუმცა აღნიშნული ალბათობის მიუხედავად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24-ე მუხლში ჩამოთვლილი სხვა სახდელები, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, თავისთავად არ მიუთითებენ უფლების ინტენსიურ შეზღუდვაზე სააპელაციო სასამართლოსათვის მიმარ-

1083 იქვე, II, 37.

თვის უფლების მიზნებისათვის. ამ პირობებში, სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობის შეზღუდვის კონსტიტუციურობაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული სამართალდარღვევის შინაარსის შეფასებისას¹⁰⁸⁴.

დასახელებული საქმე საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების მნიშვნელობაზე არაერთგვაროვანი პრაქტიკის არსებობისას.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნები განსაკუთრებით მკაცრია პასუხისმგებლების დამდგენ ნორმებთან მიმართებით. გარკვეული ქმედების ამკრძალავი და მისი ჩადენისთვის პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმები საკმარისი სიცხადით უნდა იყოს ფორმულირებული. ამავ დროს, „პირის ქმედებების მართლზომიერება დამოკიდებული უნდა იყოს კანონზე და კანონის მოთხოვნები არ უნდა იცვლებოდეს საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობის მიხედვით. ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობა და შინაგანი რწმენით მოქმედება მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამართლის განვითარებაში, თუმცა აღნიშნულის რეალიზება არ უნდა ხდებოდეს სამართლებრივი უსაფრთხოების მოთხოვნათა ხარჯზე. კანონის ინტერპრეტაციის თავისუფლება, მტკიცებულებათა შინაგანი რწმენით შეფასება მოსამართლის პიროვნული დამოუკიდებლობის აუცილებელი ელემენტია და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი მართლმსაჯულების ჩამოყალიბებისთვის. მიუხედავად ამისა, პირმა საკმარისი სიცხადით უნდა იცოდეს, რას მოითხოვს მისგან კანონი, განსაკუთრებით, თუ იგი ქმედების თავისუფლების შემზღუდავ და პასუხისმგებლობის დამდგენ ნორმებს შეეხება. ბუნებრივია, ვერ იარსებებს მოლოდინი, რომ ერთგვაროვანი პრაქტიკა არასდროს შეიცვლება, თუმცა საპროცესო კანონმდებლობა არ უნდა აფერხებდეს პრობლემურ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას“¹⁰⁸⁵.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოების რაოდენობის გათვალისწინებით, არსებობდა გამოსაყენებელი კანონის ნორმების შინაარსის არსებითად განსხვავებულად განმარტებისა და არაერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების რეალური ალბათობა. ასეთ პირობებში კი სააპელაციო წესით გასაჩივრება არა მხოლოდ კონკრეტული პირის უფლების დაცვას, არამედ ასევე სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას ემსახურება. აღნიშნული-

1084 იქვე, II, 42-43.

1085 იქვე, II, 46.

დან გამომდინარე, მსგავს შემთხვევებში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების მომეტებული ინტერესი არსებობს¹⁰⁸⁶. სასამართლოს განმარტებით: „ერთგვაროვანი სასამართლოს პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით, გასაჩივრების უფლების უზრუნველყოფა მოითხოვს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების შემოწმებას მხოლოდ სამართლის ნორმების გამოყენების სისწორის თვალსაზრისით. ხსენებულ ფორმატში არ არის აუცილებელი, სააპელაციო სასამართლომ ასევე გადაამოწმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების სისწორე. შესაბამისად, მხოლოდ სამართლებრივი გადახედვა სააპელაციო სასამართლოს გადატვირთვას შედარებით ნაკლებად გამოიწვევს. ... ამავ დროს, აპელაციის დაუშვებლობა იმ პირობებში, როდესაც ერთი ინსტანციის სასამართლოები ნორმებს განსხვავებულად განმარტავენ, სააპელაციო მექანიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციაზე უარის თქმას უთანაბრდება. ამ პირობებში, ფაქტობრივად, სახეზეა კანონის განმარტებისა და გამოყენების კრიზისული სიტუაცია, რომლის გამოსწორების ყველაზე ეფექტური გზა არის აპელაცია. სასამართლოს გადატვირთულობისაგან დაცვის არგუმენტი ვერ გაამართლებს გასაჩივრების შეზღუდვას იმ პირობებში, როდესაც ეს ყველაზე მეტად არის საჭირო. ზოგადად, სასამართლოს გადატვირთვისგან დაცვის მთავარი მიზანია მისი ფუნდამენტური ფუნქციის ეფექტურად შესრულების უზრუნველყოფა და არა პირიქით, ამ ფუნქციებზე უარის თქმა“¹⁰⁸⁷.

ზემოაღნიშნულ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმები იმ ნაწილში, რომელიც პირს ართმევდა შესაძლებლობას, სააპელაციო სასამართლოში გაესაჩივრებინა სამართალდარღვევასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლოთა განმარტებები ამა თუ იმ კანონის ნორმის შინაარსთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

ერთ-ერთ საქმეზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრების ინტერესი შედარებით დაბალია იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილებას პირველი ინსტანციით იღებს საქართველოს უზენაესი სასამართლო¹⁰⁸⁸. კერძოდ, აღნიშნულ საქმეზე გასაჩივ-

1086 იქვე, II, 49.

1087 იქვე, II, 50-51.

1088 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/1/598 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს

რებული იყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმა (35-ე მუხლის მე-6 პუნქტი), რომლის თანახმად, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ საჩივრდებოდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების წესად უშუალოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოსთვის მიმართვის განსაზღვრა მას ართმევდა პირველი ინსტანციით მიღებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების სხვა სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „საქართველოს უზენაესი სასამართლო წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ საბოლოო ინსტანციას და სწორედ მას ეკუთვნის საბოლოო სიტყვა ამა თუ იმ საქმის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. ... მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, არ არსებობს ორგანო, რომელიც შეამოწმებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერებასა და დასაბუთებულობას. შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ „შეცდომის დაშვების რისკი“ თან სდევს საკანონმდებლო სისტემას და თავად ამ სისტემიდან მომდინარეობს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური ფუნქციის საწინააღმდეგო იქნებოდა იმის დაშვების შესაძლებლობა, რომ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები კანონიერებისა და დასაბუთებულობის კუთხით გადასინჯვას დაქვემდებარებოდა. ...ამდენად, გასაჩივრების უპირველესი მიზანი, სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორება არარელევანტურია საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებასთან მიმართებით. ამავე დროს, ცხადია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისას, არც ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის განვითარების ინტერესი არსებობს“¹⁰⁸⁹. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტის შემთხვევაში, მისი გადაწყვეტილების გასაჩივრების ინტერესი იყო მინიმალური. თუმცა აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებლობით, საქართველოს უზენაეს სასამართლოს ენიჭება პირველი ინსტანციით საქმის განხილვის კომპეტენცია, ამას თან უნდა სდევდეს პირის სასამართლო უფლებების დაცვის ჯეროვანი და ეფექტური გარანტიები,

პარლამენტის წინააღმდეგ, II, 20.

1089 იქვე, II, 51-52.

რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების რეალიზებას¹⁰⁹⁰.

7.1.1.3. საქმის დროული განხილვის უფლება

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადების თანახმად: „საქმის ... დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია“.

საქმის დროული განხილვა სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი ასპექტია. სადავო საკითხების მჭიდრო ვადებში გადაწყვეტა კრიტიკულად აუცილებელია უფლებების ეფექტური დაცვისთვის, ამასთან, საქმის შედეგების თაობაზე გაურკვეველობის პერიოდის მინიმალუზებით ცალკეული ადამიანების თუ საზოგადოების ნორმალური განვითარებისთვის, სასამართლოსა და, ზოგადად, სამართლისადმი სანდოობის უზრუნველყოფისთვის.

საქმის გონივრულ ვადაში განხილვაზე უფლების მინიმალური მოთხოვნაა, დავის/საქმის გადაწყვეტა მოხდეს იმ დრომდე, ვიდრე ამას მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მხარეებისთვის/დაინტერესებული პირებისთვის, რათა მათ შეძლონ უფლების დარღვევის თავიდან აცილება ან/და მისი ეფექტური დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუნდაც სამართლებრივად გამართული და დამაჯერებლად დასაბუთებული გადაწყვეტილება აზრს დაკარგავს, თუ ის ვერ იქნება უნარიანი, უზრუნველყოს იმ სიკეთეზე ხელმისაწვდომობა, რომლის დაცვაზე ორიენტირებითაც განხორციელდა მართლმსაჯულება. მაშასადამე, თუკი მართლმსაჯულება „ვერ მოასწრებს“ უფლების დაცვას, დროში დაგვიანებულმა სამართალმა შესაძლოა გამოფიტოს ის (სამართალი) მისივე მიზნისგან. მართლმსაჯულების განხორციელება მნიშვნელოვანია, თუ მას აქვს პრაქტიკული, პრაგმატული და არა მხოლოდ თეორიული, სამართლის სამომავლო განვითარებაზე ორიენტირებული რესურსი/პოტენციალი. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც მოითხოვს, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს გონივრულ ვადაში და, იმავდროულად, გააჩნდეს სათანადო ბერკეტები ადამიანის უფლების ეფექტურად დაცვის უზრუნველსაყოფად“¹⁰⁹¹.

1090 იქვე, II, 53-55.

1091 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/8/765 საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით ძოწენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 20; 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტი-

საქმის დროული განხილვის უფლება წარმოშობს სახელმწიფოს შემხვედრ კონსტიტუციურ ვალდებულებას, თითოეულ საქმეზე მართლმსაჯულება განხორციელდეს დაუსაბუთებელი დაყოვნების გარეშე, რაც გულისხმობს სათანადო კომპეტენტური ორგანოების ვალდებულებას, იმოქმედონ კეთილსინდისიერად, არათვითნებურად, დროის მაქსიმალურად მჭიდროდ გამოყენებით. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია ასევე, ხელისუფლებამ შექმნას სათანადო საკანონმდებლო გარანტიები, რომლებიც გამორიცხავს ვადების დაუდევრად ან შეგნებულად გაფლანგვას და, პირიქით, უბიძგებს/აიძულებს კომპეტენტურ ორგანოებს, იმოქმედონ დროულად, უზრუნველყონ ადამიანების ეფექტური წვდომა სასამართლოზე. მაშასადამე, ხელისუფლება შეზღუდულია პოზიტიური ვალდებულებით, კანონმდებლობით გაითვალისწინოს მართლმსაჯულების განხორციელებისთვის (ნებისმიერი შინაარსის დავაზე) მჭიდრო, თუმცა საკმარისი ვადები, რაც შექმნის შესაძლებლობას, დაბალანსდეს როგორც გონივრულ დროში საქმის განხილვის, ისე სწორი, სამართლიანი გადაწყვეტილების მიღწევის პერსპექტივა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო რეგულაციები იძლეოდეს ყველა საქმის ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით ვადების გამოყენების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გონივრულ ვადაში საქმის განხილვა/გადაწყვეტის მიზანი არის სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილი პირების თვითნებობის, გულგრილობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკების გამორიცხვა, რაც საბოლოო ჯამში, ემსახურება დაუსაბუთებელი გაჭიანურების გარეშე საქმის დროულად გადაწყვეტას, და შესაბამისად, უფლებების ეფექტურად დაცვას.

იმავდროულად, არასწორი იქნება იმის მტკიცება, რომ მცირე დროში საქმის განხილვა ყოველთვის გამორიცხავს გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების დარღვევას ან ხანგრძლივი ვადის გამოყენება თავისთავად მიუთითებს ამ კომპონენტის დარღვევაზე. შესაძლოა, საქმის გადაწყვეტა 3 თვეში იწვევდეს უფლების დარღვევას, ხოლო 5-6 (ან მეტი) წლის განმავლობაში – არა. სამართალწარმოების ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ საქმეზე ინდივიდუალური გარემოებების მხედველობაში მიღებით.

ყურადსაღებია რამდენიმე ფაქტორი, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანია სამართალწარმოების ვადის გონივრულობის სწორად შეფასებისთვის. ეს ფაქტორებია:

ლება საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 14.

ა) მართლმსაჯულების გზით გადასაწყვეტი საკითხის/ინტერესის მნიშვნელობა პირისთვის. მაგალითად, დრო განსაკუთრებული სკრუპულოზურობით შემოწმებას საჭიროებს, როდესაც პირი პატიმრობაშია (მის მიმართ გამოყენებულია დაკავება, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა, თავისუფლების აღკვეთა), მით უფრო, თუ საქმე არასრულწლოვნის პატიმრობას ეხება¹⁰⁹²; ასევე უმნიშვნელოვანესია განათლების უფლებასთან, საპენსიო უფლებასთან¹⁰⁹³ ან პირად და ოჯახურ უფლებებთან¹⁰⁹⁴ დაკავშირებული დავების დროული გადაწყვეტა.

ბ) განსახილველი საქმის კომპლექსურობა, ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების გამოკვლევის, შეფასების, განსაზღვრის სირთულე. თუ საქმის სწორად გადაწყვეტისთვის აუცილებელია ექსპერტიზის (ექსპერტიზების) ჩატარება, მოწმეების დაკითხვა, სახელმწიფო ორგანოების ჩართულობით რელევანტური ინფორმაციის/დასკვნის მოძიება/მოპოვება და ა.შ., ეს ობიექტურად მეტ დროს საჭიროებს. როგორც აღინიშნა, დროული მართლმსაჯულება არ მოითხოვს თვითმიზნურად მოკლე ვადებში საქმის განხილვა/გადაწყვეტას. ვადის გონივრულობა გულისხმობს დროს, რომელიც ობიექტურად აუცილებელია საქმის ყოველმხრივ შესასწავლად, ყველა რელევანტური მტკიცებულების შესაფასებლად და სწორი გადაწყვეტილების მისაღებად. თუ მცირე დროში შეუძლებელი იქნება სწორი გადაწყვეტილების მიღება, მაშინ სწრაფ მართლმსაჯულებას აზრი არ ექნება. მაშასადამე, მიზანი არის სწორი, სამართლიანი გადაწყვეტილების მიღწევა, ამასთან იმ დრომდე, ვიდრე ამას დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია დაინტერესებული პირებისთვის. დროული მართლმსაჯულების დაცვაზე აპელირება უსაფუძვლო ხდება, თუ ეს თავად მართლმსაჯულების ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს. „სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების ლეგიტიმური მიზნების დაცვა ალოგიკურია, თუ ამის შედეგი ისევ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სრულყოფილად სარგებლობის შეუძლებლობაა“¹⁰⁹⁵.

გ) დაინტერესებული პირის (რომლის საქმეც იხილება/რომლის მიმართაც ხორციელდება მართლმსაჯულება) მიერ ვადების აკურატულად გამო-

1092 *Laino v. Italy*, app. №33158/96, (ECtHR, 183.02.1999), §22; *Adam v. Germany*, app. №44036/02, (ECtHR, 04.12.2008), §66.

1093 *Codarcea v. Romania*, app. №31675/04, (ECtHR, 02.06.2009).

1094 *Orsus and Others v. Croatia*, app. №15766/03, (ECtHR, 16.03.2010).

1095 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/8/765 საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით ძოწენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 90.

ყენება. ამ დროს ყურადსაღებია, ის თავად ხომ არ იწვევს ვადების გაჭიანურებით საქმის განხილვას. მაგალითად, თუ ტაქტიკური მოსაზრებებით, ბრალდებული ხშირად აყენებს შუამდგომლობებს საქმის გადადების, მოსამართლის აცილების თაობაზე, იცვლის ადვოკატს და სხვა. ამავ დროს, ვადის გაჭიანურებად არ ჩაითვლება პირის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული საპროცესო გარანტიების კეთილსინდისიერად გამოყენება, თუნდაც ეს მნიშვნელოვან დროს მოითხოვდეს¹⁰⁹⁶. შესაბამისი საპროცესო გარანტიების (გასაჩივრების უფლება, მოსამართლის აცილების უფლება და სხვა) არსებობა გათვლილია მათი გამოყენების შესაძლებლობაზე სამართლიანი მართლმსაჯულების მიღწევის მიზნით. ამიტომ დაინტერესებულმა პირმა ყველა შესაძლებლობა რომ გამოიყენოს, ეს ვერ გახდება გონივრულ ვადაში საქმის განხილვის დარღვევის მიზეზი. თუმცა ყველა, რომელიმე ან რამდენიმე ამ შესაძლებლობის თვითმიზნურად გამოყენება გონივრული ვადის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

მაშასადამე, გონივრულ ვადაში საქმის განხილვა დაცვის ღირსია მაშინ, როდესაც ის თანაარსია და ხელს არ უშლის სამართლიანი სასამართლოს უფლების ყველა სხვა უფლებრივი კომპონენტით ეფექტურად, მიზნობრივად სარგებლობას და სწორი გადაწყვეტილების მიღწევის შესაძლებლობას. დროული მართლმსაჯულების დაცვის მიზნით ვერ იქნება გამართლებული, მაგალითად, დაცვის უფლებით ეფექტურად სარგებლობის, ფაქტობრივი გარემოებების კვლევის საჭიროებისას ზეპირი მოსმენით საქმის განხილვის ან სასამართლო გადაწყვეტილების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების შესაძლებლობის შეზღუდვა/აკრძალვა, რადგან სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთი კომპონენტის დაცვა მეორე უფლებრივი კომპონენტის დარღვევის ხარჯზე, საბოლოო ჯამში, გამოირიცხავს სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

დ) კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების/თანამდებობის პირების ეფექტური მოქმედება: შეფასების საგანს წარმოადგენს მათი კეთილსინდისიერება და პროფესიონალიზმი. მნიშვნელოვანია, ვადების გაჭიანურება არ ხდებოდეს მათი უმოქმედობით, ან არასათანადო, არაეფექტური ჩართულობით, საქმისადმი ინდიფერენტულობით, სათანადო ორგანოებს შორის საჭირო კოორდინაციის არარსებობით ან, პირიქით, კონკრეტული საპროცესო ინსტრუმენტების თვითმიზნურად გამოყენებით და ა.შ.

ზემოაღნიშნულ ფაქტორებზე ყურადღებას ამახვილებს ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომლის განმარტებით, საქმის განხილვის ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის გარე-

1096 *Lisławska v. Poland*, app. №37761/97, (ECtHR, 13.07.2004), §34.

მოებებისა და შემდეგი კრიტერიუმების ქრილში: საქმის კომპლექსურობა, მომჩივნისა და ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების ქმედება და რა საკითხი/ინტერესი დგას მომჩივნისათვის საფრთხის ქვეშ¹⁰⁹⁷.

საქმეზე *Veiss v. Latvia*¹⁰⁹⁸ მომჩივნის მამობის აღიარების საკითხს ეროვნული სასამართლოები იხილავდნენ 7 წლის განმავლობაში. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქმე არ იყო განსაკუთრებული სირთულის, ამასთან, მთავრობამ ვერ წარადგინა არგუმენტები, რომლებსაც შეიძლებოდა სასამართლო დაერწმუნებინა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ საქმის გაჭიანურებას მომჩივნის ქმედებები განაპირობებდა. იმავდროულად, იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნისათვის საფრთხის ქვეშ იდგა მამობის აღიარების საკითხი, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ აუცილებელი იყო საქმის გულმოდგინედ და სწრაფად განხილვის უზრუნველყოფა, რათა მინიმუმამდე დაყვანილიყო დრო, როდესაც მომჩივნის ოჯახური მდგომარეობა გაურკვეველი იყო. საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა უფლების დარღვევა.

საქმის გონივრულ ვადაში განხილვის კონტექსტში მნიშვნელოვანი თემაა ასევე სასამართლოების გადატვირთულობა. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, ისე ააწყოს სასამართლო სისტემა (ქვემდებარეობისა და განსჯადობის საკითხები, სასამართლო კორპუსის დაკომპლექტება ადეკვატური, საკმარისი რაოდენობის მოსამართლეებით, საქმეთა განხილვის მოქნილი პროცედურები და ა.შ.), რომ განიმუხტოს ხელოვნური გადატვირთულობა და საქმეთა სიმრავლე არასწორ ტვირთად არ იქცეს თითოეული საქმის დროულად, სამართლიანად და ხარისხიანად გადაწყვეტის საზიანოდ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომით, სასამართლოს გადატვირთულობიდან გამომდინარე სამართალწარმოების გაჭიანურება ზოგჯერ მისაღებია, თუმცა სასამართლოების ქრონიკული გადატვირთულობა წარმოადგენს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევას, უზრუნველყოს ეფექტური, ქმედითი სასამართლო სისტემა და კონკრეტულ შემთხვევაში იწვევს ინდივიდების სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას.

სამართალწარმოების ხანგრძლივობის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვა მაშინ, როდესაც კონკრეტული საქმისთვის აქტუალური ხდება გამოსაყენებელი კანონის კონსტიტუციურობის შეფასების აუცილებლობის

1097 *Frydlender v. France*, app. №30979/96, (ECtHR, [GC], 27.06.2000), §43; *Kincses v. Hungary*, app. №66232/10, (ECtHR, 27.01.2015).

1098 *Veiss v. Latvia*, app. №15152/12, (ECtHR, 28.01.2014).

საკითხი. ასეთ შემთხვევებში სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობის შეფასებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითვალისწინებს, საერთო სასამართლოებთან შედარებით, საკონსტიტუციო სასამართლოს განსაკუთრებულ როლს, ამოცანებს, საქმიანობის სპეციფიკას.¹⁰⁹⁹ ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ დადგენილია სასამართლოს წარდგინებების რიგგარეშე განხილვის აუცილებლობა, რამაც, საბოლოო ჯამში, დამატებით უნდა შეუწყოს ხელი საერთო სასამართლოს მიერ საქმის დროულ და ფუნდამენტური უფლების დარღვევის რისკის გამორიცხვით გადაწყვეტას. თუმცა წარდგინების რიგგარეშე განხილვა დღის წესრიგიდან არ ხსნის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის შეძლებისდაგვარად მჭიდრო ვადებში განხილვის აუცილებლობას. საერთო სასამართლოს წარდგინებების მიღმაც, ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც უფლებების დაცვის ეფექტურ/აუცილებელ გზას წარმოადგენს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა, უმნიშვნელოვანესია სასამართლოს მიერ საქმის დროული განხილვა/გადაწყვეტა. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საქმის განხილვის მაქსიმალური 9 თვიანი ვადა (რომელიც ერთჯერადად 2 თვით შეიძლება გახანგრძლივდეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ნებართვით)¹¹⁰⁰, თუმცა არ არის აუცილებელი, ის ყოველ ჯერზე სრულად იქნეს გამოყენებული. ცალკეულ შემთხვევებში კანონმდებლობით პირდაპირ არის გათვალისწინებული ამა თუ იმ საქმის კონკრეტულ მჭიდრო ვადებში განხილვა/გადაწყვეტა¹¹⁰¹. იმავდროულად, კანონმდებლობა არ ავალდებულებს რა სასამართლოს, საქმეები განიხილოს მათი შემოტანის რიგითობის მკაცრი დაცვით, არ გამორიცხავს სასამართლოს შესაძლებლობას/უფლებას და ზოგჯერ ვალდებულებას, საქმის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ის დაჩქარებულ ვადებში განიხილოს, მაგალითად, თავისუფლების უფლებასთან ან გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული საქმეები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც კონსტიტუციის გარანტის როლიდან გამომდინარე, შესაძლოა, ზოგჯერ აუცილებელი იყოს საქმეების განხილვა არა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, არა-

1099 *Trickovic v. Slovenia*, app. №39914/98, (ECtHR, 12.06.2001); §63; *Klein v. Germany*, app. №33379/96, (ECtHR, 27.07.2000), §39.

1100 იხ.: „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი.

1101 ამავე კანონის 22-ე მუხლის მე-2 - მე-4 პუნქტები.

მედ საქმის ბუნებისა და პოლიტიკურ და სამოქალაქო პირობებში მისი მნიშვნელობის გათვალისწინებით¹¹⁰².

დასაბუთებია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ამ კონტექსტის გათვალისწინება რამდენიმე კრიტიკულ სიტუაციაში ვერ მოახერხა. მაგალითად: 1) ე.წ. „კაბელების საქმეზე“, როდესაც პოლიტიკური ხელისუფლების „სათანადო ძალისხმევის“ შედეგად, გადაწყვეტილების მიღებისთვის საკმარისი რაოდენობის მოსამართლეებმა „ყველა საჭირო ზომა“ მიიღეს, რათა საქმის განხილვა ხელოვნურად გაჩერებულიყო. სამწუხაროდ, მათ უპირატესობა მიანიჭეს არა ადამიანის თავისუფლებას (საკითხი მოსარჩელების თავისუფლების უფლებას ენებოდა), არამედ ქვეყნის პოლიტიკურ კალენდარს – საქმეს ჰქონდა რა პოლიტიკური კონტექსტი, მისი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ განხილვა, ნებისმიერი შედეგით საკითხის გადაწყვეტის შემთხვევაში, პოლიტიკური ხელისუფლების მხრიდან პოტენციურ საფრთხედ აღიქმებოდა. ნიშანდობლივია, რომ საკითხი დღემდე (სარჩელის შეტანიდან 5 წლის თავზე) არ არის გადაწყვეტილი. მის გადაწყვეტას მოსარჩელებისთვის აღარც აქვს მნიშვნელობა (2017 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ისინი შეიწყალა).

2) ე.წ. „მოსამართლეების საქმეზე“, რომელზეც გასაჩივრებული იყო არასათანადო პროცედურებით მოსამართლეთა თანამდებობაზე გამწესება. საკონსტიტუციო სასამართლომ ჯერ სადავო ნორმების არშეჩერებით შექმნა სასამართლო კორპუსის არაჯანსაღი პროცედურით დაკომპლექტების შეუფერხებლად გაგრძელების შესაძლებლობა, ხოლო შემდეგ საქმის გადაწყვეტის მიზანმიმართული გაჭიანურებით (ელოდებოდა რა კანონმდებლის მიერ საკანონმდებლო ცვლილებების მიღებას, რათა მათზე დაყრდნობით/მათი გამოყენებით, სამართლებრივად აბსოლუტურად არასწორად, გამოეტანა გადაწყვეტილება სადავო ნორმების კონსტიტუციურობის სასარგებლოდ) მნიშვნელოვნად დააზარალა მთელი ეს პროცესი. ამაზე პირდაპირ მიუთითა მოსამართლეთა ნაწილმა გადაწყვეტილებაზე დაწერილ განხილვებულ აზრში: „ნორმის კონსტიტუციურობის თაობაზე დავის სამართლიანი გადაწყვეტა მოიცავს ასევე საკითხსაც, სასამართლომ გონივრულ ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება და არ შექმნას იმის ეჭვი, თითქოს ელოდება კონსტიტუციურ დავაზე, მოპასუხის მხრიდან, სადავო აქტში იმ ცვლილებათა პაკეტის მიღებას, რომელიც, ერთი მხრივ, „კომფორტულ“ მდგომარეობაში ჩააყენებს სასამართლოს, თავი აარიდოს ამა თუ იმ ინტერესებისთვის არასასურველი გადაწყვეტილებების მიღებას და, მეორე მხრივ, აზიანებს მოსარჩელეთა უფლებების

1102 *Orsus v. Croatia*, app. №15766/03, (ECtHR, 16.03.2010), §109.

დაცვის დროულობას და ხელს უწყობს სასამართლოს მიმართ ნდობის დაკარგვას, ამცირებს სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტიანობას. სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო იმდენად გვიან, რომ ფაქტობრივად კანონმდებელს მიეცა შესაძლებლობა, ცვლილებები შეეტანა მოქმედ კანონმდებლობაში. აღნიშნული გარემოება შემდგომ სასამართლომ გამოიყენა კონსტიტუციური სარჩელის არდაკმაყოფილებისათვის¹¹⁰³.

7.1.1.4. გადაწყვეტილების აღსრულება

სამართლიანი სასამართლოს უფლებით სრულყოფილად სარგებლობის, მის ყველა უფლებრივ კომპონენტზე, პროცესუალურ გარანტიებზე ეფექტური ხელმისაწვდომობის უმთავრესი ინტერესი უკავშირდება მართლმსაჯულების საბოლოო შედეგს – სასამართლოს გადაწყვეტილებას. ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს სამართლიანი და დამაჯერებლად დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას, რომელმაც სადავო საკითხების სწორად გადაწყვეტის გზით ხელი უნდა შეუწყოს როგორც კონკრეტული პირების უფლებების/კანონიერი ინტერესების დაცვას/აღდგენას, ისე საზოგადოების მშვიდ, ჰარმონიულ თანაცხოვრებასა და განვითარებას. შესაბამისად, კრიტიკული მნიშვნელობისაა ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებების ეფექტური აღსრულებისთვის სათანადო და მყარი გარანტიების შექმნა, რათა დაინტერესებულმა პირებმა შეძლონ სამართლიანი მართლმსაჯულების შედეგად მიღებული სიკეთეებით რეალურად სარგებლობა. მართლმსაჯულების განხორციელება, თუნდაც ყველა კონსტიტუციური გარანტიის ზედმიწევნითი დაცვით, აზრს დაკარგავს და ფუჭ, არასაჭირო პროცედურამდე გამოიფიტება, თუ მისი შედეგები სრულად არ იქნება ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამართლიანი სასამართლოს უფლებით დაცულია ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების უფლება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტური აღსრულების შესაძლებლობა, სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი უფლებრივი კომპონენტია. სასამართლოსადმი მიმართვა არ იქნება სრულყოფილი უფლებადაცვითი საშუალება, თუ პირს არ ექნება სათანადო საკანონმდებლო გარანტიები, რომ მის სასარგებლოდ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული სასა-

1103 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების – ირინე იმერლიშვილის, გიორგი კვერენჩილაძის და მაია კობაღიშვილის განხილავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 7 აპრილის №3/2/717 გადაწყვეტილებაზე (პ. 6).

მართლოს გადაწყვეტილება დროულად და ჯეროვნად აღსრულდება¹¹⁰⁴. „ყოველგვარი აზრი ეკარგება უფლების, მით უფრო – დარღვეული უფლების ნებისმიერ დონეზე აღიარებას, თუკი არ მოხდება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება“¹¹⁰⁵. „სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლება აზრს დაკარგავს, თუ მართლმსაჯულების საბოლოო პროდუქტი – სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩება“¹¹⁰⁶. შესაბამისად, იმისთვის, რომ პირმა სრულყოფილად ისარგებლოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებით, „სახელმწიფო ვალდებულია, შეიმუშაოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესაბამისი პროცედურები/რეგულაციები, რომლებიც თანაბრად დაიცავს აღსრულების პროცესში მონაწილე ყველა მხარის უფლებებს ან/და კანონიერ ინტერესებს“¹¹⁰⁷.

საქმეზე ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გასაჩივრებული იყო „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები (75-ე მუხლის მე-8 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებები), რომლებიც განსაზღვრავდა იძულებით აუქციონზე ქონების რეალიზაციის წარუმატებლად დასრულების სამართლებრივ შედეგებს. კერძოდ, პირველი აუქციონისა და ორი განმეორებითი აუქციონის უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში ქონება თავისუფლდებოდა იძულებითი რეალიზაციის განმახორციელებელი კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ყადაღისაგან. ამასთან, ამ ქონებაზე იმავე მოთხოვნასთან დაკავშირებით იმავე კრედიტორის სასარგებლოდ სააღსრულებო წარმოება აღარ განხორციელდებოდა¹¹⁰⁸.

1104 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/2/596 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნათია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 9.

1105 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის №1/14/184,228 გადაწყვეტილება საქმეზე საქციო საზოგადოებები – „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 4.

1106 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/5/879 საქმეზე ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 8.

1107 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/2/596 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნათია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 8.

1108 „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 75-ე მუხლის მე-8 პუნქტის პირველი და მე-2 წინადადებების თანახმად, „თუ დადგენილი წესით ჩატარებული აუქციონი, რომელიც შედგება პირველი აუქციონისა და ორი განმეორებითი

მაშასადამე, სადავო ნორმის თანახმად, სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვალდებული პირის ქონება, რომლის რეალიზება ვერ მოხდა დადგენილი წესით ჩატარებულ აუქციონზე, თავისუფლდებოდა ყადაღისაგან და უბრუნდებოდა მოვალეს. შესაბამისად, მესაკუთრეს ეძლეოდა სამართლებრივი შესაძლებლობა, სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული ვალდებულების არსებობის მიუხედავად, საკუთარი შეხედულებისამებრ განეკარგა/უფლებრივად დაეტვირთა ქონება, რომელიც აღმასრულებლის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით იქნა დაყადაღებული. მეტიც, იძულებითი რეალიზაციის განმახორციელებელი კრედიტორის იმავე მოთხოვნასთან დაკავშირებით, მომავალშიც გამოირიცხებოდა ამ ქონებაზე სააღსრულებო წარმოების განხორციელება. შესაბამისად, მოვალის საკუთრებაში ქონების არსებობის მიუხედავად, დადგენილი წესით ჩატარებული აუქციონის უშედეგოდ დასრულების გამო, ამ ქონების კრედიტორის სასარგებლოდ იძულებით აუქციონზე გატანა ან/და მისი რეალიზაციის შემთხვევაში ამონაგები თანხიდან კრედიტორის დაკმაყოფილება პერსპექტივაშიც გამოირიცხებოდა¹¹⁰⁹.

ამავე დროს, დადგენილი წესით ჩატარებულ აუქციონზე ქონების რეალიზების წარუმატებლობა არ გულისხმობდა, რომ ამ ქონებას ღირებულება არ გააჩნდა და მისი მეშვეობით კრედიტორის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო. სადავო ნორმა შეეხებოდა იმ ქონების აუქციონზე რეალიზების საკითხს, რომლის საბაზრო ღირებულება წარმოადგენდა 5000 ლარს ან მეტს. შესაბამისად, ის შეიძლებოდა ყოფილიყო კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების მნიშვნელოვანი, ზოგ შემთხვევაში კი – ერთადერთი წყარო.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იძულებითი რეალიზაციის განმახორციელებელ კრედიტორს, რომლის სასარგებლოდაც მიღებულია სასამართლოს გადაწყვეტილება, აქვს კონსტიტუციური უფლება, მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება აღსრულდეს ჯეროვნად. შესაბამისად, სასამართლოს შეფასებით: „ნებისმიერ შემთხვევაში, კრედიტორის მოთხოვნის ჯერ კიდევ აღუსრულებლობის პირობებში,

აუქციონისაგან, უშედეგო აღმოჩნდა და ქონება არ გაიყიდა, ეს ქონება თავისუფლდება იძულებითი რეალიზაციის განმახორციელებელი კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ყადაღისაგან. ამ ქონებაზე იმავე მოთხოვნასთან დაკავშირებით იმავე კრედიტორის სასარგებლოდ სააღსრულებო წარმოება აღარ განხორციელდება“.

1109 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/5/879 საქმეზე ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 17.

მისი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით დადებული ყადაღისაგან მოვალის ქონების გათავისუფლება, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეშლელი ქმედებაა¹¹¹⁰.

სადავო რეგულირება ასევე ვრცელდებოდა უზრუნველყოფილი მოთხოვნის უფლების მქონე კრედიტორზე, კერძოდ, იპოთეკარის/მოგირავნის სასარგებლოდ იპოთეკით ან გირავნობით დატვირთული ქონების აუქციონზე უშედეგოდ რეალიზების შემთხვევებზე. კანონმდებლობით გათვალისწინებული ზოგადი წესის შესაბამისად, მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლებოდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც გირავნობის/იპოთეკის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ იყო იმ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც გირავნობა/იპოთეკა იყო გამოყენებული. საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, ასეთ შემთხვევაში ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება და მასზე შემდგომი სააღსრულებო წარმოების განუხორციელებლობა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმას უთანაბრდებოდა. შესაბამისად, უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნის აღსრულების შემთხვევაში, სადავო ნორმა ადგენდა უფლებაში უფრო მაღალი ინტენსივობით ჩარევას¹¹¹¹.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო რეგულირება, რომელიც გამორიცხავდა მოვალის აქტივების კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების სასარგებლოდ გამოყენებას, აფერხებდა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას და ზღუდავდა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა სადავო ნორმის ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზნად დაასახელა სააღსრულებო წარმოებაში მონაწილე სხვა კრედიტორების ინტერესების დაცვა. სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის ეს პოზიცია, თუმცა მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში მიზნის ლეგიტიმურობა კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან კავშირში უნდა შეფასებულიყო. პირველ რიგში, სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო რეგულირება ზოგადი ხასიათის იყო და ვრცელდებოდა ისეთ ვითარებაზეც, როდესაც სააღსრულებო წარმოებაში სხვა კრედიტორები საერთოდ არ მონაწილეობდნენ. მაშასადამე, გარკვეულ შემთხვევებში ბუნებრივად არ იდგა სხვა კრედიტორების ინტერესების დაცვის საჭიროება. „ამდენად, მაშინ, როდესაც სააღსრულებო წარმოება მხოლოდ ერთი კრედიტორის სასარგებლოდ მიმდინარეობს, მეორე განმეორებითი აუქ-

1110 იქვე, II, 20.

1111 იქვე, II, 21.

ციონის უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში, ამ ქონების იძულებითი აუქციონის განმახორციელებელი კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ყადაღისაგან გათავისუფლება ვერ გამართლდება სხვა კრედიტორების ინტერესების დაცვაზე აპელირებით, ობიექტურად ამგვარი ინტერესების არარსებობის გამო¹¹¹².

საალსრულებო წარმოებაში სხვა კრედიტორების მონაწილეობის შემთხვევაში კი, სადავო ნორმის მოქმედების შედეგად, მოსარჩელის სასარგებლოდ აღსრულება კონკრეტულ ქონებაზე წყდება, რაც გამორიცხავდა ამ ქონებიდან მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას მათ შორის იმ შემთხვევაში, თუ მისი რეალიზება მოხდებოდა სხვა კრედიტორის სასარგებლოდ მიმდინარე აღსრულების ფარგლებში. ამდენად, სადავო ნორმის მოქმედების შედეგად იზღუდებოდა მოსარჩელის შესაძლებლობა კონკრეტული ქონებიდან სხვა, იმავე რიგის კრედიტორების თანასწორად დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა. სასამართლოს განმარტებით: „ერთი და იმავე რიგის კრედიტორებს საკუთარი მოთხოვნის დაკმაყოფილების მსგავსი კონსტიტუციური ინტერესი გააჩნიათ. ... ამდენად, სხვა კრედიტორების დაცვის ინტერესზე მითითებით მოპასუხე ფაქტიურად ახდენს ერთი პირის ქონებრივი ინტერესების იმავე მდგომარეობაში მყოფი სხვა პირის სასარგებლოდ შეზღუდვას. არ არსებობს ერთი და იმავე ქონებრივი ინტერესის მქონე პირებს შორის რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭების საჯარო ინტერესი. სახელმწიფო ერთი პირის ქონების კანონის საფუძველზე შემცირებას, ამ ქონების, მეორე, იმავე მდგომარეობაში მყოფი პირისათვის გადაცემით ვერ გაამართლებს. ... აღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებული ლეგიტიმური მიზანი ვერ გამოდგება მოსარჩელე მხარის უფლების შეზღუდვის გამამართლებელ არგუმენტად, ვერ ჩაითვლება იმგვარ საჯარო მნიშვნელობის კონსტიტუციურ სიკეთედ, რომლის მიღწევაც გაამართლებდა მოსარჩელე მხარის უფლების შეზღუდვის დაშვებას“¹¹¹³.

მოპასუხე მხარემ ლეგიტიმურ მიზნად ასევე დაასახელა სასამართლოს გადაწყვეტილების დროულად და ეფექტურად აღსრულების უზრუნველყოფა. საკონსტიტუციო სასამართლომ ვერ დაინახა სადავო ნორმის ლოგიკური კავშირი დასახელებულ მიზანთან. მისი განმარტებით, სადავო ნორმა საალსრულებო წარმოებას გამორიცხავდა მხოლოდ იმავე კრედიტორის იმავე მოთხოვნის აღსრულების მიზნით. თუმცა შესაძლებელი იყო ქონების დაყადაღება და შემდგომი რეალიზება როგორც სხვა კრედიტო-

1112 იქვე, II, 28.

1113 იქვე, II, 34.

რების მოთხოვნის დაკმაყოფილების, ასევე იმავე კრედიტორის სხვა მოთხოვნის აღსრულების უზრუნველსაყოფად. სასამართლოს განმარტებით, მოვალის საკუთრებაში გარკვეული (ზოგ შემთხვევაში – სოლიდური) ღირებულების ქონების არსებობისას ამ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება და მასზე, იმავე მოთხოვნის აღსრულების მიზნით, პერსპექტივაშიც უარის თქმა, ლოგიკურად არ უკავშირდებოდა და ვერ მოემსახურებოდა სასამართლოს გადაწყვეტილების დროულად და ეფექტურად აღსრულების ლეგიტიმურ მიზანს. პირიქით, ასეთი წესრიგი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშემშლელ, დამაბრკოლებელ რეგულირებას უფრო წარმოადგენდა¹¹¹⁴. სასამართლოს აზრით, სადავო ნორმით გათვალისწინებული ღონისძიება ვერც სხვა ქონების მოძიების ხელშეწყობას უკავშირდებოდა. მოვალის საკუთრებაში არსებული აქტივების მოძიება და დაყადაღება შესაძლებელი იყო სამ აუქციონზე ერთხელ უკვე გატანილი ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების გარეშეც. ყადაღის ძალაში დატოვება ხელს არ უშლიდა მოვალის საკუთრებაში არსებული სხვა ქონების გამოძიებას და საერთოდ არ უკავშირდებოდა ამ პროცესს¹¹¹⁵.

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის შემოღების შესაძლო ლეგიტიმურ მიზნად განიხილა ადმინისტრაციული რესურსების დაზოგვა. თუმცა დაადგინა, რომ სადავო რეგულაცია არ წარმოადგენდა მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებად მზლუდავ საშუალებას. სასამართლოს განმარტებით: „ნივთის იძულებით აუქციონზე რეალიზებაზე მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორი ახდენს გავლენას და მისი შექცენისადმი ინტერესი, შესაბამისად, რეალიზაციის შანსი შესაძლოა იცვლებოდეს დროის კონკრეტული პერიოდების ან სხვა ფაქტორების მიხედვით. შესაბამისად, არ გამოირიცხება, რომ ქონების იძულებით აუქციონზე რეალიზაციის წარუმატებელი მცდელობიდან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ შეიცვალოს ბაზარზე მოთხოვნა და მნიშვნელოვნად გაიზარდოს ქონების შექცენის ინტერესი. ... სადავო ნორმა ფაქტობრივად გამორიცხავს კრედიტორის მიერ ამ ქონების სამომავლოდ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად გამოყენებას. მათ შორის იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარად გაზრდილია ქონების შექცენის მიმართ ინტერესი და მისი რეალიზაციის შანსი. ამ თვალსაზრისითაც, სადავო ნორმა იმაზე ფართო შეზღუდვას აწესებს, ვიდრე ეს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის საჭირო. შესაძლებელია, კანონმდებელს შეემუშავებინა უფლების ნაკლებად მზლუდავი ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც მხედველობაში იქნებოდა მიღებული ქონების

1114 იქვე, II, 38-39.

1115 იქვე, II, 40.

გარკვეული ვადის შემდგომ რეალიზაციის შესაძლებლობა და უვადოდ არ გამოირიცხებოდა კრედიტორის მიერ საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ამ ქონების გამოყენება¹¹¹⁶. ასევე „ალტერნატიული ღონისძიება შეიძლება იყოს სააღსრულებო პროცედურის შემოღება, რომლის ფარგლებშიც მოხდება, იძულებითი აუქციონის უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში, სარეალიზაციო ქონების კრედიტორისათვის ნატურით გადაცემის შეთავაზება და მისი მოთხოვნის ამ გზით დაკმაყოფილება“¹¹¹⁷. შედეგად, სასამართლომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად ცნო.

7.2. უდანაშაულობის პრეზუმფცია

7.2.1. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გარანტია

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის¹¹¹⁸ თანახმად: „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით“.

კონსტიტუციის ამ დებულებით აღიარებულია უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც პირის არაბრალეულობის გარანტია საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე. ეს პრინციპი მოითხოვს, სახელმწიფო თითოეულ ადამიანს ეპყრობოდეს იმ უპირობო დაშვებით, რომ ის უდანაშაულოა, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „უდანაშაულობის (არაბრალეულობის) პრეზუმფცია წარმოადგენს სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპს, რომელიც მათ შორის გულისხმობს, ყველას მოექცნენ იმ დაშვებით, რომ ის უდანაშაულოა მანამ, ვიდრე ჯეროვანი პროცედურის გავლით სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით არ დამტკიცდება მისი დამნაშავეობა“¹¹¹⁹.

უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური გარანტია ემსახურება პირის ღირსების პატივისცემას, მის დაცვას ხელოვნური სტიგმატიზაციისგან, მისი ინსტრუმენტალიზაციის გამორიცხვას. ის თანაბრად

1116 იქვე, II, 53.

1117 იქვე, II, 52.

1118 საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით – მე-40 მუხლის პირველი პუნქტი.

1119 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 11 ივლისის №3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 62.

იცავს ყველა ადამიანს, მათ შორის, ვის წინააღმდეგაც შესაბამის, საკმარის მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა/გამოძიება, რადგან ეს დაუშვებელია მის დამნაშავეობას თავისთავად გულისხმობდეს. მართლმსაჯულების განხორციელება სწორედ იმას ემსახურება, რომ გონივრულ ეჭვის მიღმა სტანდარტით დადასტურდეს პირის დამნაშავეობა ან უდანაშაულობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო გამოძიების ხელოვნურ დანამატად გადაიქცეოდა. ამიტომ, ერთი მხრივ, პირი კანონით უნდა აღიჭურვოს ყველა სათანადო, ეფექტური და საკმარისი ბერკეტით, რათა მისი უდანაშაულობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს უსაფუძვლო ბრალდების და, მით უფრო, გამამტყუნებელი განაჩენის თავიდან არიდება. ხოლო, მეორე მხრივ, უნდა ჰქონდეს იმის გარანტია, რომ სახელმწიფო და საზოგადოება მას უდანაშაულოდ მიიჩნევს იმ ეტაპამდე, ვიდრე (და თუ) მისი დამნაშავეობა არ დადასტურდება გამამტყუნებელი განაჩენით. საამისოდ უდანაშაულობის პრეზუმფციის მიზანია მიკერძოებისა და წინასწარ შექმნილი მოსაზრებებისგან თავისუფალი, სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფა. ამავე დროს, ის ემსახურება პირის რეპუტაციის დაცვას მას შემდეგაც, რაც სამართალწარმოება მის სასარგებლოდ დასრულდება. „უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური გარანტია, ერთ მხრივ, ვრცელდება კონკრეტულ საქმეზე, სისხლის სამართლის მთელი პროცესის მანძილზე, ... მეორე მხრივ, ... მიზნად ისახავს, გააქარწყლოს საზოგადოებაში ჩამოყალიბებული შესაძლო არაჯანსაღი შეხედულება გამართლებული პირის დამნაშავეობასთან მიმართებით, რათა არ მოხდეს ინდივიდის უსამართლო სტიგმატიზაცია“¹¹²⁰. პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ, მისი ბრალეულობის თაობაზე რაიმე ეჭვის გაუღერება ასევე შეუთავსებელია უდანაშაულობის პრეზუმფციასთან¹¹²¹. უდანაშაულობის პრეზუმფცია ეფუძნება შემდეგი კომპონენტების ერთობლიობას, რომელთა კუმულაციურად დაკმაყოფილებამაც უნდა უზრუნველყოს მისი (პრინციპის) მიზნობრივი ქმედითობა. კერძოდ:

1120 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის №31/633, 634 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, II, 31; 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/7/636 საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით ცინცილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II, 31.

1121 *Geerings v. the Netherlands*, app. №30810/03, (ECtHR, 01.03.2007), §49; *Paraponiaris v. Greece*, app. №42132/06; (ECtHR, 25.09.2009), §32.

1. იმისთვის, რომ პირი დამნაშავედ ჩაითვალოს, მისი დამნაშავეობა უნდა იყოს დამტკიცებული. მხოლოდ საფუძვლიანი ეჭვი ან დასაბუთებული ვარაუდი, დაფუძნებული კონკრეტულ მტკიცებულებებზე, პირის დამნაშავედ მიჩნევისთვის თვითკმარი არ არის;

2. დამნაშავეობა უნდა დამტკიცდეს კანონით დადგენილი წესით, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ფორმალურ მოთხოვნას – ეს წესი კანონით იყოს დადგენილი, არამედ მატერიალურ მოთხოვნასაც, რომ პირის დამნაშავეობის დამტკიცების წესი, თავისი არსით, არ იწვევდეს მისი არცერთი ფუნდამენტური უფლების დარღვევას, პირველ რიგში, უდანაშაულო პირის როგორც ბრალდებას, ისე მსჯავრდებას. ამასთან, კანონი უნდა იყოს განჭვრეტადი და სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის შესაბამისი;

3. კანონით გათვალისწინებული წესის მატერიალური შინაარსით ვარგისიანობას, პირველ რიგში, უზრუნველყოფს კონსტიტუციის უპირობო მოთხოვნა, რომ დამნაშავეობის დამტკიცება მოხდეს მხოლოდ სასამართლოს მიერ, გამამტყუნებელი განაჩენით. თუ არ არსებობს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, არ არსებობს დამნაშავე. შედეგად, პირი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს გამოძიება, სისლხისსამართლებრივი პროცედურები, ხორციელდება მართლმსაჯულება – მთელი ამ დროის განმავლობაში, თუნდაც იმყოფებოდეს პატიმრობაში, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე (და თუ) სასამართლო არ გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს. ამ თვალსაზრისით, უდანაშაულობის პრეზუმფცია არის უმნიშვნელოვანესი გარანტია არა მხოლოდ გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე პირის უსაფუძვლოდ დამნაშავედ მიჩნევის/გამოცხადების საწინააღმდეგოდ, არამედ, იმავდროულად, არის ბერკეტი, პირი მხოლოდ სამართლიანი მართლმსაჯულების შედეგად გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით იქნას ცნობილი დამნაშავედ;

4. გამამტყუნებელი განაჩენის უცილობელი წინაპირობა კი არის დადასტურებული ბრალი (არავითარი სასჯელი ბრალის გარეშე – *Nulla poena sine culpa*);

5. პირის დამნაშავედ მიჩნევის ათვისის წერტილი არის გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა. აღსანიშნავია, რომ ეს პრინციპი პირს იცავს იმ დრომდე, ვიდრე გამამტყუნებელი განაჩენი ძალაში არ დარჩება საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით. მხოლოდ პირველი ინსტანციის მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა არ არის საკმარისი¹¹²².

1122 *Konstas v. Greece*, app. №53466/07, (ECtHR, 24.05.2011), §36.

მნიშვნელოვანია, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია ქმნის უდანაშაულოდ მიჩნევის გარანტიას იმ ბრალდებულებისთვისაც, რომლებმაც აღიარეს დანაშაული, რადგან ეს თავისთავად უტყუარად ვერ ამტკიცებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს და არ არის მართლმსაჯულების გამამტყუნებელი განაჩენით დასრულების თვითკმარი საფუძველი. არაფერი გამორიცხავს, პირი აღიარებით ჩვენებას იძლეოდეს მასზე განხორციელებული ზეწოლის, მუქარის გამო ან სხვა მიზეზით.

მაშასადამე, „უდანაშაულობის პრეზუმფციის ფუნდამენტური პროცესუალური პრინციპის აღიარებით საქართველოს კონსტიტუცია ესწრაფვის, უზრუნველყოს სახელმწიფოს როგორც სისხლის სამართლის პროცესში ინსტიტუციურად ძლიერი მხარის გონივრული შეკავება. კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტი კანონმდებელს აკისრებს ვალდებულებას, შექმნას მართლმსაჯულების ისეთი სისტემა, რომელიც შეძლებს სისხლისსამართლებრივ პროცესს დაქვემდებარებული პირის ინტერესების ჯეროვან დაცვას, არ ჩააყენებს მას არათანაბარ (არასამართლიან) პირობებში და გამორიცხავს სახელმწიფო ორგანოთა მიერ თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების რისკს“¹¹²³.

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის ფარგლებში, აუცილებელია, პირველ რიგში, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ სისხლისსამართლებრივ დევნას, გამოძიებას, მართლმსაჯულებას, არ განიხილავდნენ პირს, როგორც დამნაშავეს, რადგან მათ ეს ჯერ უტყუარად არ იციან. დაუშვებელია, გამოძიება და მით უფრო მართლმსაჯულება, წინასწარი განზრახვით, უკვე ჩამოყალიბებული დამოკიდებულებით ეპყრობოდეს პირს, როგორც დამნაშავეს და ამით ამცირებდეს, ან თითქმის გამორიცხავდეს მისი უდანაშაულობის დადგენის შესაძლებლობას. გამოძიების ან/და სასამართლოს მიერ პირის პირდაპირ ან ირიბად დამნაშავედ მოხსენიება ყოველთვის ჩაითვლება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია, არა მხოლოდ შინაგანი განწყობით, არამედ გამოსაყენებელი ლექსიკითაც ზედმიწევნით ფრთხილი, აკურატული იყოს ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოების საჯარო შეფასებები, დამოკიდებულება. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა გულისხმობს სასამართლოს მიუკერძოებლობის ფუნდამენტური პრინციპის დარღვევასაც. ამ კონტექსტში, ბუნებრივია, მოსამართლის მიერ გაკეთე-

1123 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/7/636 საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით ცინცილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 33.

ბული განცხადებები, სხვა თანამდებობის პირების განცხადებებთან შედარებით, უფრო მკაცრ შესწავლას მოითხოვს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში უმნიშვნელოვანესია სასამართლოს, როგორც მიუკერძოებელი, ობიექტური და დამოუკიდებელი ინსტიტუტის როლი. სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოს, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, აქვს ვალდებულება, სამართალწარმოების მთელი პროცესის მანძილზე იმოქმედოს განსაკუთრებული სიფრთხილით, რათა საკუთარი ქმედებით ობიექტურ დამკვირვებელს არ გაუჩინოს პროცესს დაქვემდებარებული პირის ბრალეულობის ვარაუდის საფუძველი. ბუნებრივია, უდანაშაულობის პრეზუმფციის კონსტიტუციური პრინციპი განსაკუთრებით მკაცრ მოთხოვნებს უწესებს საქმის განმხილველ სასამართლოს, მართლმსაჯულების სისტემაში მისი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუციური როლის გათვალისწინებით, ზედამხედველობა გაუწიოს სამართალწარმოების მიმდინარეობას და დაიცვას პროცესის მიუკერძოებლობა, ობიექტურობა და სამართლიანობა“¹¹²⁴. უდანაშაულობის პრეზუმფცია ასეთივე ვალდებულებით ბოჭავს სახელმწიფო ხელისუფლების ნებისმიერ სხვა წარმომადგენელსაც (სახელმწიფო ორგანოებს თუ თანამდებობის პირებს – დეპუტატებს, მინისტრებს, პრეზიდენტს და სხვა).

საქართველოს კონსტიტუციის მსგავსად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი კრძალავს სასამართლოსა და სხვა საჯარო ორგანოების წარმომადგენლების მიერ ბრალდებულთან დაკავშირებით განცხადებების გაკეთებას, რომლებიც გამოხატავს მოსაზრებას, რომ ის დამნაშავეა, მანამ, სანამ ეს კანონის შესაბამისად, არ დამტკიცდება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე აღნიშნა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დაცულია უდანაშაულობის პრეზუმფცია, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების არსებითი შემადგენელი ნაწილია. უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევისთვის საკმარისია ვარაუდი, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ბრალდებულს დამნაშავედ მიიჩნევენ¹¹²⁵. ევროპული კონვენციის აღნიშნული ნორმა კრძალავს სახელმწიფო მოხელეების მიერ მიმდინარე სისხლის სამართლის გამოძიებასთან დაკავშირებით ისეთი საჯარო განც-

1124 იქვე. II, 35.

1125 *Allenet de Ribemont v. France*, app. №15175/89, (ECtHR, 10.02.1995), §35; *Minelli v. Switzerland*, app. №8660/79, (ECtHR, 25.03.1983), §37; *Natsvlshvili and Togonidze v. Georgia*, app. №9043/05, (ECtHR, 29.04.2014).

ხადებების გაკეთებას, რომელთა შედეგადაც საზოგადოებას გაუჩნდება განცდა, რომ ექვმიტანილი/ბრალდებული დამნაშავეა ან კომპეტენტური სასამართლოს მიერ ფაქტების შეფასება წინასწარ შექმნილ/ჩამოყალიბებულ აზრზე დაყრდნობით ხდება. უდანაშაულობის პრეზუმფცია შეიძლება დაირღვეს არა მხოლოდ სასამართლოს და მოსამართლეთა, არამედ ასევე ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა, მათ შორის, პროკურატურის მხრიდან¹¹²⁶. ამასთან, მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს განცხადება იმის თაობაზე, რომ პირი ექვმიტანილია/ბრალდებულია დანაშაულის ჩადენაში და განცხადებები პირის ცალსახა ბრალეულობის თაობაზე მის მიმართ საბოლოო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე¹¹²⁷. ევროპული სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ხელისუფლების წარმომადგენელთა სიტყვების მნიშვნელობაზე, მიზანზე, კონტექსტზე¹¹²⁸. მათ მიერ გაკეთებული განცხადება წარმოადგენს თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის დარღვევას, უნდა შეფასდეს და დადგინდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით. ამ დროს აუცილებელია განცხადების ნამდვილი არსის, მნიშვნელობის და არა მისი ბუკვალური ტექსტის გათვალისწინება¹¹²⁹.

უდანაშაულობის პრეზუმფცია ავალდებულებს მედიასაშუალებებსაც. გამამტყუნებელ განაჩენამდე პირის დამნაშავედ მოხსენიება სატელევიზიო სიუჟეტებითა თუ პუბლიკაციებით ვერ იქნება გამართლებული გამოხატვის თავისუფლებაზე აპელირებით. კანონმდებლობით გონივრულად უნდა იყოს დაბალანსებული პოტენციური კონფლიქტი გამოხატვის თავისუფლებასა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის უფლებას შორის. უნდა აღინიშნოს, რომ მედიასაშუალებების მეშვეობით კონკრეტული თანამდებობის პირების მიერ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, არ გულისხმობს თავად მედიასაშუალებების მიერ ამ პრინციპის დარღვევას. მის მიმართ პრეტენზია საფუძვლიანი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ის უშუალოდ (და არა მისი კონკრეტული რესპონდენტი თანამდებობის პირი) ავრცელებს (მტკიცებით ფორმაში) ინფორმაციას პირის დამნაშავეობის შესახებ (გამამტყუნებელ განაჩენამდე), ამასთან, როდესაც ეს არ არის ხელისუფლების მიერ მედიასაშუალებებისთვის მიწოდებული გამოძიებასთან დაკავშირებული ოფიციალური ინფორმაციის გავრცელება. ადა-

1126 *Konstas v. Greece*, no. app.№53466/07, (ECtHR, 24.05.2011), §32; *Natsvlshvili and Togonidze v. Georgia*, app. №9043/05, (ECtHR, 29.04.2014).

1127 *Garycki v. Poland*, app. №14348/02, (ECtHR, 06.05.2007), §67.

1128 *Natsvlshvili and Togonidze v. Georgia*, app. №9043/05, (ECtHR, 29.04.2014).

1129 *Lavents v. Latvia*, app. №58442/00, (ECtHR, 28.11.2002), §126.

მიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ აგრესიულმა მედია კამპანიამ შეიძლება გავლენა მოახდინოს სამართლიან სასამართლო განხილვაზე, კერძოდ, სასამართლოს მიუკერძოებლობისა თუ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაზე¹¹³⁰.

უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი მჭიდროდ უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს უფლების სხვა ელემენტებს, ასევე სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების ტვირთის განაწილებისა და მტკიცებულებების ხარისხობრივი მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე კონსტიტუციის დებულებებს¹¹³¹.

7.2.2. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული გარანტია

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის¹¹³² თანახმად: „არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს“. ეს უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური გარანტია გამომდინარეობს უდანაშაულობის პრეზუმფციიდან და, იმავდროულად, ემსახურება მას. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-31 მუხლის მე-6 პუნქტი „ემსახურება რა პირის უდანაშაულობის პრეზუმფციას, ადგენს საპროცესო გარანტიას, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართალწარმოებისას მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს“¹¹³³. არავინ უნდა ამტკიცოს, რომ უდანაშაულოა, რადგან ეს ისედაც პრეზიუმირებულია, თავისთავად დაშვებულია. მტკიცება საწინააღმდეგოს სჭირდება – უნდა დადასტურდეს, რომ პირი დამნაშავეა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უდანაშაულობის პრეზუმფციის ძალით, უდანაშაულოა. ამიტომ სახელმწიფომ (ბრალმდებელმა) უნდა ამტკიცოს პირის ბრალეულობა. ამასთან, ნებისმიერი ვარაუდი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. პირის საკუთარი უდანაშაულობის მტკიცების ვალდებულებით დატვირთვა, შექმნიდა

1130 *Natsvlshvili and Togonidze v. Georgia*, app. №9043/05, (ECtHR, 29.04.2014).

1131 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/7/636 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე დავით ცინციქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 32.

1132 საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით – მე-40 მუხლის მე-2 პუნქტი.

1133 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 25 ნოემბრის №1/13/711 განჩინება საქმეზე *საქართველოს მოქალაქე გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 8.

ნოციერ ნიადაგს სახელმწიფოს მიერ ადამიანით მანიპულირებისთვის, სახელმწიფოს თვითნებობისთვის, რაც საბოლოო ჯამში ყველაზე ფუნდამენტურ სიკეთეს – ადამიანის ღირსებას და თავისუფლებას ილუზორულს, უშინაარსოს გახდიდა. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ეფუძნება მოსამართლის დასკვნას, რომ ბრალდებულმა ვერ დაამტკიცა თავისი უდანაშაულობა, არღვევს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტს.

ამავე დროს, უდანაშაულობის მტკიცების ვალდებულების არარსებობა, ცხადია, არ გამორიცხავს პირის შესაძლებლობას/უფლებას, გამოძიებას თუ სასამართლოს წარუდგინოს მის ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება, რომელიც გააქარწყლებს ბრალდების ეჭვებს, ვარაუდებს, მტკიცებულებებს.

7.2.3. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული გარანტია

კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტით დაცულ უფლებას მჭიდროდ უკავშირდება ამავე მუხლის მე-11 პუნქტით¹¹³⁴ გათვალისწინებული გარანტია, რომლის თანახმად: „არავინ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით“. „ხსენებული დანაწესი მოიცავს ორ ასპექტს, თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიას და კანონით განსაზღვრულ ახლობელთა წრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის ვალდებულების არარსებობას. ... თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების ფუნდამენტურ კომპონენტს, იცავს რა პირს საკუთარი თავის წინააღმდეგ მაინკრიმინირებელი ჩვენების რაიმე ფორმით მიცემის დავალდებულებისა და იძულებისაგან. ხსენებული უფლება მჭიდროდ კავშირშია არა მარტო სამართლიანი სასამართლოს უფლების სხვა კომპონენტებთან, როგორებიცაა უდანაშაულობის პრეზუმფცია და დაცვის უფლება, არამედ რიგ ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპებთან. თვითინკრიმინაციის იძულებისაგან დაცვა წარმოადგენს ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უმთავრესი პრინციპის გამოძახილს, რომლის თანახმადაც, დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანი არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც ობიექტი, მიზნის მიღწევის საშუალება, არამედ იგი თავად უნდა იყოს ის მიზანი,

1134 საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით – 42-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

ორიენტირი, რომელსაც ეფუძნება სახელმწიფოს პოლიტიკა ნებისმიერი მიმართულებით¹¹³⁵. მასასადამე, კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული გარანტია გამომდინარეობს ღირსების ფუნდამენტური პრინციპიდან, რომელიც გულისხმობს ადამიანის, როგორც პიროვნების აღიარებას, მისი ინსტრუმენტალიზაციის დაუშვებლობას, რისი შემადგენელია, მათ შორის, უფლება – ადამიანი არ იყოს იძულებული, იმოქმედოს საკუთარი ნებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ.

ბუნებრივია, არაფერი გამორიცხავს, კონკრეტული სამართალდარღვევის ჩამდენმა პირებმა თავად, საკუთარი ნებით, აღიარონ დანაშაული, ითანამშრომლონ გამოძიებასთან და მიაწოდონ მტკიცებულებები, რომლებიც მათ ბრალეულობაზე მიუთითებს, ისევე, როგორც, მიაწოდონ მათი ოჯახის წევრებისა და ახლობლების¹¹³⁶ მიერ ჩადენილი დანაშაულის მამხილებელი ინფორმაცია. თუმცა ეს არ არის და არ შეიძლება იყოს ადამიანის კონსტიტუციური ვალდებულება. თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია კრძალავს პირის ნებაზე ზემოქმედებას, მისცეს ჩვენება რაიმე ფორმით საკუთარი თავის წინააღმდეგ. ასეთი კონსტიტუციური ვალდებულების არსებობა გააჩნდა არა მხოლოდ შესაძლებლობას, არამედ აუცილებლობასაც, სახელმწიფო ხელისუფლებას სამართალდამცავი ორგანოები აღეჭურვა საკანონმდებლო მექანიზმებით, რომლებითაც ისინი მიაღწევდნენ ყველა საქმეზე აღიარებითი ჩვენების მოპოვებას.

კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული გარანტია თავისთავად კავშირშია ბრალდებულის დუმილის უფლებასთან, რომელიც აღჭურავს მას შესაძლებლობით, არა თუ დანაშაული არ აღიაროს, არამედ არ ისაუბროს საერთოდ, არ მიაწოდოს გამოძიებას არანაირი ინფორმაცია. ეს არის გარანტია, ბრალდებული პირი დაზღვეული იყოს მიწოდებული ინფორმაციის მის საწინააღმდეგოდ გამოყენებისგან. დუმილის უფლებით სარგებლობა არ შეიძლება გახდეს სამართლებრივი დასკვნების გამოტანის საფუძველი პირის საზიანოდ/მისი ბრალეულობის სასარგებლოდ. სახელმწიფო ხელისუფლება ვალდებულია, დანაშაულთან ბრძოლის და ფუნდამენტური უფლებების დაცვის საჯარო ფუნქციის

1135 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/4/809 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტიტკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 40-41.

1136 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულია „ახლო ნათესავთა“ წრე, რომელთა საწინააღმდეგო ჩვენების მიცემის ვალდებულებისგანაც თავისუფლდება ადამიანი. კერძოდ, ეს პირები არიან: მშობლები, შვილად ამყვანი პირები, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული).

ფარგლებში, ჩაატაროს ეფექტური გამოძიება და განახორციელოს სამართლიანი მართლმსაჯულება. ეს ვალდებულება მას აქვს იმისგან დამოუკიდებლად, კონკრეტული პირები აღიარებენ თუ არა მათ მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს. შესაბამისად, კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტი დაუშვებელ, იურიდიული ძალის არმქონედ აღიარებს ამ ნორმის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას.

7.3. მტკიცებულებების ხარისხობრივი მოთხოვნები

7.3.1. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები

სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის სამსახურში უმნიშვნელოვანესი გარანტიები გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-31 მუხლის მე-7 პუნქტით¹¹³⁷, რომლის თანახმად: „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“.

კონსტიტუციის აღნიშნული დებულება წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ქმედითობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს. სამართლებრივი სახელმწიფო გულისხმობს და მოითხოვს ისეთი სამართლებრივი სისტემის არსებობას, რომლის პირობებშიც პირის წინააღმდეგ ბრალდების წარდგენა და პასუხისმგებლობის დაკისრება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ადეკვატური, სათანადო – თვითნებობის, ძალაუფლების ბოროტად/ჭარბად გამოყენებისა თუ შეცდომის გამომრიცხავი სტანდარტების შესაბამისად. „თვითნებობისა და შეცდომის თავიდან აცილება ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებს, ხელს უწყობს დანაშაულის სათანადოდ გამოძიებას, რეალური დამნაშავის გამოვლენას და შემდგომ მის მსჯავრდებას“¹¹³⁸. სწორედ ამიტომ, კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტი „განამტკიცებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების მნიშვნელოვან, საყოველთაოდ აღიარებულ

1137 საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედ რედაქციით მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი.

1138 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/548 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 24.

პრინციპს – „in dubio pro reo“, რომლის თანახმად, დაუშვებელია პირის მსჯავრდება საექვო ხასიათის ბრალდებების საფუძველზე ... მხოლოდ უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე პასუხისმგებლობის დაკისრების პრინციპი წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ სახელმწიფო მოხელეთა თვითნებობისა თუ შეცდომების შედეგად, არ მოხდეს უდანაშაულო პირის მსჯავრდება¹¹³⁹. „აღნიშნული კონსტიტუციური ნორმა წარმოადგენს გარანტიას, რომ პირის ბრალეულობის შესახებ სასამართლოს განაჩენი დაეფუძნოს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომლებიც აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს, ხოლო ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც შესაძლოა საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე აღმოცენდეს, გადაწყდება „in dubio pro reo“ პრინციპის შესაბამისად¹¹⁴⁰. იმავდროულად, ეს ნორმა „სახელმწიფოს უდგენს ვალდებულებას, მაქსიმალურად უზრუნველყოს სისხლისსამართლებრივ საქმეზე ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენა იმგვარად, რომ მტკიცებულებათა ერთობლიობით, საბოლოო ჯამში, გაქარწყლდეს ყოველგვარი საფუძვლიანი, გონივრული ეჭვი განაჩენის უსამართლობის და პირის ბრალეულობის შესახებ“¹¹⁴¹.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებების უტყუარობის მნიშვნელობაზე: „... ყალბი, არასანდო ან საექვო მტკიცებულების დაშვების შესაძლებლობა, იმავდროულად, უდანაშაულო პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობის დაშვებასაც გულისხმობს. ... სწორედ ამიტომ, საქართველოს კონსტიტუცია ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ მხოლოდ უტყუარი მტკიცებულება შეიძლება გახდეს პირის ბრალდების და შემდგომში მისი დამნაშავედ ცნობის საფუძველი“¹¹⁴².

სასამართლომ მტკიცებულებების უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტის დასაკმაყოფილებლად დაადგინა შემდეგი მოთხოვნები:

ა) „მტკიცებულებათა უტყუარობის კონსტიტუციური პრინციპი მოითხოვს იმას, რომ საექვო, მცდარი ან სავარაუდოდ გაყალბებული მტკიცებულებები გამოირიცხოს სისხლის სამართლის საქმეზე წარდგე-

1139 იქვე, II, 2.

1140 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/650, 699 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 36.

1141 იქვე, II, 36.

1142 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/548 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 5.

ნილი მტკიცებულებებიდან. გამორიცხული უნდა იყოს გონივრული ეჭვი წარდგენილი მტკიცებულების ნამდვილობასთან და სანდოობასთან დაკავშირებით. სათანადო პროცესუალური სტანდარტების შემცველი, არაორაზროვანი ნორმების საფუძველზე, სასამართლოს, კონკრეტული საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა შეეძლოს წარმოდგენილი მტკიცებულებების რელევანტურობის, მათი მნიშვნელობისა და უტყუარობის შეფასება¹¹⁴³. „მტკიცებულების საფუძველზე მიღებულმა ინფორმაციამ უტყუარად, ერთმნიშვნელოვნად უნდა მიუთითოს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის დასადასტურებლადაც არის წარმოდგენილი. მტკიცებულების წარდგენის მიზანს საქმისთვის რელევანტური ფაქტებისა თუ გარემოებების დადასტურება წარმოადგენს, რაც, საბოლოო ჯამში, პირის ბრალეულობაზე მიუთითებს. კონსტიტუციური მოთხოვნაა, რომ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირმა ბრალის დასაბუთებისას გამოიყენოს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებსაც ის უტყუარად მიიჩნევს, რომელთა სანდოობაში, ნამდვილობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს“¹¹⁴⁴.

ბ) „უტყუარობის კონსტიტუციური სტანდარტი მოიცავს არა მხოლოდ საეჭვო მტკიცებულების დაუშვებლობის მითითებას – უნდა გამორიცხოს ეჭვი მტკიცებულების გაყალბების ან არსებითი ნიშან-თვისებების დაკარგვის შესახებ, არამედ ასევე მოთხოვნას, რომ საქმისთვის მნიშვნელოვანი ფაქტისა თუ გარემოების დადასტურება მხოლოდ სანდო წყაროდან მიღებული და ჯეროვნად შემოწმებული ინფორმაციის საფუძველზე მოხდეს“¹¹⁴⁵.

გ) „...მტკიცებულების უტყუარობას – კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაციის სანდოობას განაპირობებს ის, თუ რამდენად არის შესაძლებელი ან უზრუნველყოფილი მისი შემოწმება“¹¹⁴⁶.

მაშასადამე, მტკიცებულებები, რომლებსაც დაეყრდნობა მართლმსაჯულება არ უნდა იყოს საეჭვო, მცდარი ან სავარაუდოდ გაყალბებული, უნდა იყოს რელევანტური, სანდო და უტყუარი, რასაც უნდა უზრუნველყოფდეს მათი სანდო წყაროდან მიღება და ჯეროვანი შემოწმების შესაძლებლობა. ამასთან, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ „უტყუარობის კონსტიტუციური პრინციპი მოითხოვს არა მხოლოდ იმას,

1143 იქვე, II, 25.

1144 იქვე, II, 7-8.

1145 იქვე, II, 7.

1146 იქვე, II, 11.

რომ გამამტყუნებელი განაჩენი უტყუარ (სანდო, გაუყალბებელ) მტკიცებულებებს ეფუძნებოდეს, არამედ იმასაც, რომ საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით ეჭვგარეშე დასტურდებოდეს პირის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში. იმ შემთხვევაში, თუ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობა ობიექტური დამკვირვებლისთვის გონივრულ ეჭვს იწვევს პირის უდანაშაულობის თაობაზე, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ აღნიშნული ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყდეს¹¹⁴⁷.

აღნიშნული კონსტიტუციური გარანტიების განმარტების თვალსაზრისით, საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. სასამართლოს უნდა შეემოწმებინა, შეიცავდა თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა საკმარის გარანტიებს იმისთვის, რომ პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი უტყუარად ყოფილიყო დადასტურებული. პასუხი უნდა გაეცა კითხვებზე: სადავო ნორმების საფუძველზე შესაძლებელი იყო თუ არა ბრალის წარდგენა ან განაჩენის გამოტანა ისეთ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომლებიც არ არის უტყუარი; წარმოშობდა თუ არა ირიბი ჩვენების გამოყენების შესაძლებლობა კონსტიტუციური უფლების დარღვევის რისკს; არსებობდა თუ არა საფრთხე იმისა, რომ განაჩენი გამოტანილი ყოფილიყო საეჭვო, ყალბ ან არასანდო მტკიცებულებებზე დაყრდნობით.

ამ საქმეზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სადავო დებულებები ადგენდა წესს, რომელიც ბრალის წაყენების მიზნებისთვის ირიბ ჩვენებას (იდენტიფიცირებადი წყაროს მითითების შემთხვევაში) დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნევდა, ხოლო საქმის არსებითი განხილვისთვის ერთ დამატებით პირობას ადგენდა – ირიბი ჩვენება სხვა ისეთი მტკიცებულებით უნდა დადასტურებულიყო, რომელიც არ იყო ირიბი ჩვენება. ამავე დროს, მტკიცებულებათა დასაშვებობის მარეგულირებელი ნორმები არ შეიცავდა რაიმე მითითებას, წესს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა ყოფილიყო გამოყენებული ირიბი ჩვენება პირისთვის ბრალის წაყენების ან განაჩენის გამოტანის დროს. შესაბამისად, ბრალის წაყენება და გამამტყუნებელი განაჩენის მიღება შესაძლებელი იყო მტკიცებულებათა იმგვარი ერთობლიობით, რომელიც არა მხოლოდ მოიცავდა ირიბ ჩვენებას, არამედ არსებითად ემყარებოდა მას. ასევე, იქმნებოდა შთაბეჭდი-

1147 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/2/1276 საქმეზე გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 3.

ლება და მოლოდინი იმისა, რომ ირიბი ჩვენება, როგორც წესი, მისაღები, სანდო და ვარგისი მტკიცებულებაა, მსგავსად სხვა მტკიცებულებებისა (თვითმნილველი მოწმის ან დაზარალებულის ჩვენება, ნივთმტკიცებულება და ა.შ.), რომლებიც ბრალის დასადასტურებლად არის წარმოდგენილი.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ირიბი ჩვენება, თავისი არსით, ბუნებით, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უტყუარ მტკიცებულებად. სასამართლომ, მართალია, არ გამოიციხა ცალკეულ შემთხვევაში ირიბი ჩვენების გამოყენების შესაძლებლობა, მაგრამ კანონმდებლობით მკაცრად გაწერილი წესით და საგამონაკლისო პირობებში, რაც დამაჯერებლად გამოიციხავს კითხვის ნიშნებს მტკიცებულებათა ერთობლიობის საექვოობასთან დაკავშირებით. კერძოდ, გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „სისხლის სამართლის პროცესში დასაშვები უნდა იყოს ისეთი მტკიცებულება, რომლის სანდოობა, ზოგადად, არ იწვევს ეჭვს და, როგორც წესი, ინფორმაციის სანდო წყაროდ შეიძლება იქნეს მიჩნეული. ასე მაგალითად, ეჭვს არ იწვევს, რომ თვითმნილველი მოწმის ჩვენება, ამოღებული ნივთმტკიცებულება, ექსპერტის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება ან სხვა მსგავსი სახის მტკიცებულება ინფორმაციის სანდო წყაროს განეკუთვნება. ... საყურადღებოა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ირიბ ჩვენებას ინფორმაციის სპეციფიკურ, სხვა მტკიცებულებებისაგან განსხვავებულ წყაროდ განიხილავს. ... ირიბი ჩვენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის სხვა მტკიცებულებით არის გამყარებული, მაშინ როდესაც თვითმნილველი მოწმის ან ექსპერტის ჩვენების დასაშვებად ცნობისთვის ასეთი პირობა დაწესებული არ არის“¹¹⁴⁸. „სასამართლოს მიერ ისეთი ჩვენების დასაშვებად ცნობა, რომელიც ემყარება სხვა პირის მიერ გაკეთებულ განცხადებას ან გავრცელებულ ინფორმაციას, შეიცავს მრავალ რისკს. მათ შორის, რთულია იმის შეფასება, თუ რამდენად სანდოა ან სარწმუნოა ასეთი ინფორმაცია, ვინაიდან სასამართლო შეზღუდულია შესაძლებლობაში, შეამოწმოს ინფორმაციის გამავრცელებელი პირის განწყობა, მისი დამოკიდებულება იმ მოვლენების მიმართ, რომლებიც სისხლისამართლებრივ საქმეს უკავშირდება. ასევე რთულია იმის განჭვრეტა, თუ როგორ ჩვენებას მისცემდა ეს პირი, ის რომ სასამართლოში გამოცხადებულიყო“¹¹⁴⁹. „...მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც მოწმის ჩვენების სანდოობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმს წარმოადგენს. ირიბი ჩვენების

1148 იქვე, II, 26, 27.

1149 იქვე, II, 29.

შემთხვევაში კი ეს მექანიზმი სანდოობის უზრუნველსაყოფად ნაკლებად ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს, რამდენადაც ირიბი ჩვენების მიმცემ პირს არ შეუძლია დაადასტუროს, თუ რამდენად უტყუარია სხვა პირის მიერ გავრცელებული ინფორმაცია¹¹⁵⁰.

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა, თუ როგორ გარემოებებში შეიძლებოდა სადავო ნორმებზე დაყრდნობით ირიბი ჩვენების გამოყენება, რაც უდავოდ მიუთითებდა ირიბი ჩვენების საშუალებით მტკიცებულებათა ერთობლიობის იმიტაციის შექმნის შესაძლებლობაზე და შედეგად, არასანდო, არასაკმარის მტკიცებულებებზე დაყრდნობით არასწორი გადაწყვეტილების მიღების მაღალ რისკებზე. კერძოდ, სადავო ნორმა არ გამოორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ ირიბი ჩვენება გამოყენებული ყოფილიყო მაშინ, როდესაც შესაძლებელი იყო ფაქტის თვითმხილველი მოწმის (ვის სიტყვებსაც ირიბი ჩვენება ეყრდნობოდა) მოწვევა სასამართლოში ჩვენების მისაცემად ან თუ მას უკვე ჰქონდა მიცემული ასეთი ჩვენება. ასეთ შემთხვევებში საეჭვო ხდებოდა ირიბი ჩვენების გამოყენების აუცილებლობა და მიზანი. „ერთდროულად ირიბი ჩვენების მიმცემი პირის და ინფორმაციის გამავრცელებელი პირის დაკითხვა, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება ობიექტური აუცილებლობით იყოს განპირობებული, თუმცა ასევე შესაძლებელია მტკიცებულებათა სიმრავლის მცდარი აღქმა შექმნას და შეცდომის დაშვების ალბათობა გაზარდოს“¹¹⁵¹. ასევე კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვნად არ გამოორიცხავდა, რომ ბრალის წარდგენისას ან განაჩენის გამოტანისას გამოყენებული ყოფილიყო ერთზე მეტი ირიბი ჩვენება, რომელიც ერთსა და იმავე ფაქტს „ირიბად“ ადასტურებდა. სასამართლოს განმარტებით: „ირიბი ჩვენებათა სიმრავლე თავისთავად არ უნდა განაპირობებდეს ამ ჩვენებების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის სანდოობას. ირიბი ჩვენების სხვა მტკიცებულებით დადასტურებით არ იცვლება ამ მტკიცებულების ბუნება, იცვლება მხოლოდ ამ სახის მტკიცებულებით დარწმუნების შესაძლებლობის ხარისხი“¹¹⁵². ასევე ვერ გამოირიცხებოდა ორმაგი ირიბი ჩვენების დაშვების შესაძლებლობა. ირიბი ჩვენების მიმცემი პირის მიერ ინფორმაციის წყაროს მითითება, თავისთავად, არ გამოორიცხავდა იმის თეორიულ შესაძლებლობას, რომ პირი, ვის ინფორმაციასაც ირიბი ჩვენება ეფუძნებოდა, ასევე არ ყოფილიყო იმ ფაქტის თვითმხილველი, რომლის დადას-

1150 იქვე, II, 31.

1151 იქვე, II, 32.

1152 იქვე, II, 33.

ტურებასაც ირიბი ჩვენება ისახავდა მიზნად¹¹⁵³. სასამართლომ დამატებით მიუთითა, რომ არაფერი გამორიცხავდა იმ ფაქტსაც, რომ ირიბი ჩვენების წყარო ცდებოდეს ან განზრახ ცრუობდეს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გაუმართლებელია ირიბი ჩვენების ავტომატურად დაშვება და მისი გამოყენება განურჩევლად იმისა, თუ რა პირობებში, როგორი ფორმითა და საშუალებით გახდა ცნობილი ირიბი ჩვენების მიმცემი პირისთვის აღნიშნული ინფორმაცია. სასამართლოს განმარტებით: „მტკიცებულება ადეკვატურად უნდა ასახავდეს იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომლის დასადასტურებლადაც არის წარმოდგენილი. მტკიცებულება ვერ იქნება უტყუარი, თუ იგი იმაზე მეტ გავლენას ახდენს მართლმსაჯულებაზე, ვიდრე ეს მისი ბუნებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მტკიცებულება არ უნდა უქმნიდეს ფაქტების დამდგენს მცდარ წარმოდგენას ამა თუ იმ ფაქტობრივი გარემოების არსებობის ან არარსებობის თაობაზე. ... ირიბი ჩვენება, ზოგადად, ნაკლებად სანდო მტკიცებულებაა, მისი გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს და, ამდენად, შეიძლება დასაშვები იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, კანონით გათვალისწინებული მკაფიო წესისა და სათანადო კონსტიტუციური გარანტიების უზრუნველყოფის პირობებში...“¹¹⁵⁴.

სადავო ნორმების მიხედვით, ირიბი ჩვენება საფუძვლად ედებოდა, როგორც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ბრალის წარდგენას, ისე გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით განაჩენის გამოტანას, რაც, სასამართლოს შეფასებით, საბოლოოდ საფრთხეს უქმნიდა მართლმსაჯულების ინტერესებს. სასამართლოს განმარტებით: „...კანონმდებლობა არ იძლევა რაიმე მითითებას იმასთან დაკავშირებით, თუ რა წონა უნდა მიენიჭოს ირიბ მტკიცებულებას პირის ბრალდებულად ცნობისთვის. ... არსებობს იმის წინა პირობები, რომ ირიბი ჩვენების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია, მისი სათანადო შემოწმების, ეჭვების გამორიცხვის გარეშე, საფუძვლად დაედოს პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას. მტკიცებულებათა ერთობლიობის დასაბუთებულ ვარაუდს მიღმა შემოწმების კანონით გათვალისწინებული სტანდარტი ვერ გამორიცხავს იმ საფრთხეებს, რომლებიც ირიბი ჩვენების, როგორც საქმისთვის მნიშვნელოვანი ერთ-ერთი ძირითადი მტკიცებულების საფუძველზე პირის ბრალდებას იწვევს. ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ პირის ბრალდებულად ცნობა შეიძლება მოხდეს ისეთ მტკიცებულებებზე დაყრდნობით,

1153 იქვე, II, 34.

1154 იქვე, II, 51-52.

რომელიც არ აკმაყოფილებს კონსტიტუციით დადგენილ უტყუარობის სტანდარტს¹¹⁵⁵. ასევე, სასამართლომ დაადგინა, რომ „სადავო ნორმები შეიცავს მტკიცებულებათა შეფასების პროცესში შეცდომების დაშვების შესაძლებლობას და საფრთხის შემცველია ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის. მაღალია ალბათობა იმისა, რომ ირიბი ჩვენება სისხლის სამართლის საქმის საბოლოო შედეგზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს. სწორედ ირიბი ჩვენების მოსმენის საფუძველზე, მოსამართლეს ან ნაფიც მსაჯულებს შეიძლება ჩამოუყალიბდეთ შინაგანი რწმენა დანაშაულთან დაკავშირებით, ხოლო სადავო ნორმები ვერ უზრუნველყოფს შეცდომის ასაცილებლად საკმარის გარანტიას“¹¹⁵⁶.

როგორც აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამორიცხა, გამონაკლის შემთხვევებში ირიბი ჩვენების გამოყენების მართლზომიერება. „ასეთი გამონაკლისის დაშვება შესაძლოა გამართლებული იყოს, თუ არსებობს ობიექტური მიზეზი, რის გამოც შეუძლებელია იმ პირის დაკითხვა, რომლის სიტყვებსაც ემყარება ირიბი ჩვენება და, როდესაც ეს აუცილებელია მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე. მაგალითად, სასამართლომ შესაძლებელია განიხილოს ირიბი ჩვენების დაშვების შესაძლებლობა, როდესაც მოწმე ან დაზარალებული დაშინებულია ან არსებობს მისი როგორც მოწმის უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა. ბრალდებულის კანონსაწინააღმდეგო ქმედებამ – მოწმის დაშინებამ არ უნდა შეაფერხოს მართლმსაჯულების განხორციელება და სწორედ ამიტომ, გამონაკლის შემთხვევებში, სასამართლო უფლებამოსილი უნდა იყოს, შეაფასოს ირიბი ჩვენების დასაშვებობისა და მისი გამოყენების აუცილებლობა. აუცილებლობა შეიძლება წარმოიშვას სხვა შემთხვევაშიც, როდესაც ინფორმაციის ავტორი თავად ვერ ახერხებს ან არ სურს ჩვენების მიცემა და ამისთვის მნიშვნელოვანი მიზეზი არსებობს“¹¹⁵⁷.

ზემოაღნიშნულისგან განსხვავებით, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენდა ირიბი ჩვენების ზოგად დასაშვებობას, მისი გამოყენება შეიძლებოდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, ამის აუცილებლობა არ არსებობდა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ირიბი ჩვენების დასაშვებად ცნობის და მისი გამოყენების საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ მკაფიოდ ფორმულირებული მარეგულირებელი ნორმებისა და სათანადო პროცესუალური გარანტიების პირობებში უნდა მოხდეს. ყოველ კონკრე-

1155 იქვე, II, 49.

1156 იქვე, II, 50.

1157 იქვე, II, 36.

ტულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა შეაფასოს გარემოებები, რომლებიც ირიბი ჩვენების წარდგენის გასამართლებლად არის დასახელებული სისხლისსამართლებრივ დევნაზე პასუხისმგებელი ორგანოს მიერ¹¹⁵⁸.

საქმეზე გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ ერთ-ერთ დავის საგანს წარმოადგენდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებით. სადავო ნორმის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.

მოსარჩელე, ერთი მხრივ, პრობლემურად მიიჩნევდა ოპერატიული წყაროს ან/და ანონიმური პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შემცველი სამართალდამცავის ჩვენების მტკიცებულებად გამოყენებას, ხოლო, მეორე მხრივ, მიუთითებდა, რომ მხოლოდ ჩხრეკის შედეგად ამოღებული მტკიცებულება, ამ მტკიცებულების საფუძველზე შექმნილ სხვა მტკიცებულებებთან ერთად, არ უნდა ქმნიდეს საკმარის საფუძველს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის იმ შემთხვევაში, როდესაც ჩხრეკის სანდოობასთან დაკავშირებით, ეჭვები არ არის გაქარწყლებული.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საერთო სასამართლოს პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც ოპერატიული ინფორმაციის მიმღები პოლიციელის ჩვენება, რომელშიც ეს უკანასკნელი, სხვა რაიმე დამატებითი ინფორმაციის მითითების გარეშე, გადმოსცემდა ოპერატიული ინფორმაციის წყაროს მონათხრობს, გამოიყენებოდა გამამტყუნებელი განაჩენის ერთ-ერთ საფუძველად. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ასეთ შემთხვევებში, პოლიციელის ჩვენება, თავისი ბუნებით, შინაარსობრივად არსებითად არ განსხვავდება მოწმის ირიბი ჩვენებისაგან¹¹⁵⁹. „შინაარსობრივად, პოლიციელის ჩვენება, რომელიც ემყარება ოპერატიული ინფორმაციის მომწოდებელი წყაროს – კონფიდენტის/ინფორმანტის ინფორმაციას, ირიბი ჩვენების ერთგვარი ფორმაა, რომელიც თანაბარ რისკებს უქმნის პირისთვის არაუტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის სახელმწიფო ვალდებულებას. ... გარდა ამისა, პოლიციელის ამგვარი ჩვენების გამამტ-

1158 იქვე, II, 37.

1159 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/2/1276 საქმეზე გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 15.

ყუნებელი განაჩენისთვის გამოყენება აშკარად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს დაცვის მხარეს. ... დაცვის მხარეს არ აქვს შესაძლებლობა, უშუალოდ დაკითხოს ოპერატიული ინფორმაციის მიმწოდებელი პირი, ეჭვქვეშ დააყენოს იმ პირის სანდოობა და დამაჯერებლობა, რომლის ჩვენებასაც სასამართლო ეყრდნობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას. დაცვის მხარისთვის ამგვარი შესაძლებლობის არქონა აშკარად ქმნის იმის საფრთხეს, რომ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა არაუტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე მოხდეს¹¹⁶⁰.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებდა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმ ჩვენების მტკიცებულებად გამოყენებას, რომელიც ეფუძნება ოპერატიული წყაროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

როგორც აღინიშნა, მოსარჩელისთვის ასევე პრობლემური იყო სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებდა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას მხოლოდ ოპერატიული წყაროს ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთიერი მტკიცებულების და მისგან მომდინარე მტკიცებულებების – ამ ჩხრეკის თვითმხილველი პოლიციის თანამშრომლების ჩვენებების, ჩხრეკა/დაკავების ოქმების და ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მაშინ, როდესაც ბრალდებული თავიდანვე აღნიშნავდა, რომ უკანონო ნივთი მას არ ეკუთვნოდა და ის მას პოლიციელებმა „ჩაუდეს“.¹¹⁶¹

მოსარჩელის მტკიცებით, ოპერატიული წყაროს კონფიდენციალურობის გამო, ვერც დაცვის მხარისა და ვერც სასამართლოს მხრიდან ვერ ხერხდებოდა იმის გადამოწმება, ნამდვილად ჰქონდა თუ არა ბრალდებულს უკანონო ნივთი და რეალურად მოხდა თუ არა „ჩადება“. ამას ემატებოდა ისიც, რომ ჩხრეკის თვითმხილველ მოწმეები თავად პოლიციის თანამშრომლები იყვნენ და არ არსებობდა ჩხრეკა/ამოღების ღონისძიების ნეიტრალური მოწმით/მტკიცებულებით გადამოწმების ვალდებულება. ამდენად, არაფერი აზღვევდა პირს პოლიციელების თვითნებობისგან და თუ პოლიციის თანამშრომლების მიერ განხორციელდებოდა უკანონო ნივთის ჩადება, ამ პოლიციელების ჩვენებები, ამოღებული ნივთი (რომელიც პირს არ ეკუთვნოდა), ჩხრეკა/დაკავების ოქმები და ექსპერტიზის დასკვნა (ამო-

1160 იქვე, II, 16-17.

1161 იქვე, II, 19.

ლებული ნივთის ოდენობასა და სახეობაზე) საკმარისი საფუძველი ხდებოდა ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად¹¹⁶².

საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა, კანონმდებლობაში არსებული მექანიზმები რამდენად აძლევდა სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოს სათანადო ინსტრუქციას, შეეფასებინა ჩხრეკის შედეგად ამოღებული მტკიცებულების სანდოობა და გამოერიცხა ისეთი მტკიცებულების გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველად გამოყენება, რომლის უტყუარობასთან დაკავშირებით, ეჭვები არ იყო გამორიცხული. სასამართლოს განმარტებით: „... პოლიციელთა ჩვენებები, ზოგადად, სანდო მტკიცებულებებია და არ არსებობს რაიმე *a priori* საფუძველი, რომ ამ უკანასკნელთა ჩვენებებს იმაზე ნაკლები მნიშვნელობა მიენიჭოს, ვიდრე, მაგალითად, სხვა პირებისას. თუმცა ... აღნიშნული არ გულისხმობს, რომ პოლიციელთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია ადეკვატური შემოწმების გარეშე იმთავითვე სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს. მტკიცებულების სანდოობის შეფასება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გარემოებების სრული და ყოველმხრივი შესწავლის შედეგად, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს ფუნქციაა (*mutatis mutandis* საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26)“¹¹⁶³.

სასამართლოს განმარტებით: „ბრალდების მხარის ვალდებულებაა, გამოიყენოს კანონიერი საშუალებები იმისათვის, რომ გაამყაროს ჩხრეკა/ამოღების ფაქტისადმი სანდოობა. სახელმწიფო ვალდებულია, შექმნას ჩხრეკის შედეგად მტკიცებულების მოპოვების იმგვარი სისტემა, რომელიც, ერთი მხრივ, სამართალდამცავებს აღჭურვავს ჩხრეკის სანდოობის უზრუნველყოფისათვის ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობით, მეორე მხრივ კი, შეამციროს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკებს. ...აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს სამართალდამცავთა ცალსახა ვალდებულება, მოიპოვონ ჩხრეკის სანდოობის უზრუნველყოფი მტკიცებულებები, როდესაც ამის შესაძლებლობა არსებობს.

...როდესაც ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთის მტკიცებულებად გამოყენების საკითხი მხოლოდ და მხოლოდ პოლიციელების ჩვენებებზეა დამოკიდებული, მათი სანდოობის განსაზღვრისათვის არსებითი იქნება ის, თუ რამ გამოიწვია ასეთი ვითარების შექმნა. პოლიციელის კეთილ-

1162 იქვე, II, 20.

1163 იქვე, II, 27-28.

სინდისიერი მოქმედების პრეზუმირება ბევრად უფრო მარტივია იმ შემთხვევაში, როდესაც დასტურდება, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, შეუძლებელი (განუზომლად რთული) იყო ჩხრეკის სანდოობასთან დაკავშირებით დამატებითი მტკიცებულების მოპოვება. თუმცა, როდესაც აშკარაა, რომ პოლიციელს შეეძლო მოეპოვებინა ჩხრეკის სანდოობის გამამყარებელი მტკიცებულება და მან ეს არ გააკეთა, მისი ქმედებებისადმი ნდობის ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს.

...ბუნებრივია, საგამოძიებო მოქმედების კომპლექსურობის გათვალისწინებით, ყველა შემთხვევაში, ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ვერ მოხდეს ჩხრეკის ფაქტის ნეიტრალური მტკიცებულებით გამყარება, თუმცა უნდა დადასტურდეს, რომ უფლებამოსილმა პირმა მიიღო გონივრული ზომები იმისთვის, რომ უზრუნველყო ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვება. ამის აშკარა მაგალითია, როდესაც საქმის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ პირის ან მისი მფლობელობის ჩხრეკის პროცესზე ნეიტრალური მოწმის დასწრების შესაძლებლობა ობიექტურად არსებობდა და პოლიციელებმა ეს არ უზრუნველყვეს. უფრო მეტიც, თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესი იძლევა შესაძლებლობას, რომ ჩხრეკის პროცესის ვიდეოგადაღებაც განხორციელდეს იმისათვის, რომ გამყარდეს ბრალდების პოზიცია. მტკიცებულების სანდოობისადმი მნიშვნელოვან ეჭვს ასევე აჩენს გარემოება, როდესაც პოლიციელთა უსაფრთხოების დაცვის პირობებში, არსებობდა ჩხრეკის ვიდეო გადაღების რეალური შესაძლებლობა და პოლიციელმა ის არ გამოიყენა.

...ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოძიებისთვის რეალურად ხელთ არსებული შესაძლებლობების გამოუყენებლობა, რაც დაადასტურებდა/გამამყარებდა პირის წინააღმდეგ არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ქმნის შეცდომის, თვითნებობის და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მნიშვნელოვან რისკებს. აღნიშნულის მიუხედავად, მოქმედი კანონმდებლობა არ ადგენს სამართალდამცავის ვალდებულებას, მოიპოვოს ჩხრეკის სანდოობის უზრუნველმყოფი ნეიტრალური მტკიცებულებები მაშინაც კი, როდესაც ეს პოლიციელის უსაფრთხოების ან/და მტკიცებულების განადგურების/გადამალვის საფრთხის შექმნის გარეშე, გონივრულ ფარგლებში მოქმედების შედეგად, შესაძლებელია¹¹⁶⁴.

შედეგად, სასამართლომ დაადგინა, რომ კანონმდებლობითა და სადავო ნორმით ვერ ხერხდებოდა არასანდო მტკიცებულების გამოყენებით პირის მსჯავრდების რისკების დაზღვევა. შესაბამისად, არაკონსტიტუ-

1164 იქვე, II, 31-35.

ციურად ცნო სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებდა ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდებოდა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა ჩვენებებით და, ამავე დროს, სამართალდამცავებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

7.3.2. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული გარანტია

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მჭიდრო კავშირში უნდა გაანალიზდეს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტით¹¹⁶⁵ დადგენილი გარანტია: „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას იურიდიული ძალა არა აქვს“. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „მტკიცებულების უტყუარობა უკავშირდება, პირველ რიგში, მისი მოპოვების ხერხის კანონიერებას. კონსტიტუციით დადგენილი ღირებულებათა სისტემა მოითხოვს მართლმსაჯულების განხორციელებას პიროვნული თავისუფლების და ადამიანის ღირსების პატივისცემით, კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისი ხერხითა და საშუალებებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, სისხლის სამართალწარმოების და მტკიცებულებათა მოპოვების წესის მკაცრი საკანონმდებლო რეგულირების გარეშე, იქმნება სახელმწიფოს მხრიდან თვითნებობის საფრთხე“¹¹⁶⁶.

ბუნებრივია, ეს კონსტიტუციური დებულება ასევე წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის ერთ-ერთ გამოხატულებას, რადგან ემსახურება კანონისა და ადამიანის უფლებათა დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე პირის სისხლის სამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების დაუშვებლობას. „სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, შეიმუშაოს მტკიცების წესი, რომელიც უზრუნველყოფს საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დადგენას, კონკრეტული პირის სამართლიან მსჯავრდებას საქართველოს კანონმდებლობის და ადამი-

1165 საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით 42-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

1166 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება №2/2/579 საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 3.

ანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლის სტანდარტების შესაბამისად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე¹¹⁶⁷.

კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების აკრძალვით საქართველოს კონსტიტუცია მიზნად ისახავს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას, პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვას, მართლმსაჯულებისადმი, პირველ რიგში, პროცესის მონაწილეების და საზოგადოების ნდობის ამაღლებას, ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნის მწარმოებელი ორგანოების პასუხისმგებლობის ზრდას, რაც, საბოლოო ჯამში, უზრუნველყოფს მთლიანად პროცესის სამართლიანობას და სამართლიან სასამართლოზე ბრალდებულის უფლების რეალიზაციას. „სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით ბრალდებულის უფლებების შეზღუდვის ინტენსივობის გათვალისწინებით, ბრალდებულის უფლებების დარღვევის ეფექტური პრევენციის და სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფის რეალური გარანტიების შექმნისათვის მტკიცებულების უკანონოდ მოპოვებელი სუბიექტისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება არ არის საკმარისი მექანიზმი. ამიტომ, კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობით, საქართველოს კონსტიტუცია ადგენს პროცესის მონაწილეების მხრიდან თვითნებობისგან შემაკავებელ ქმედით მექანიზმს“¹¹⁶⁸.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „მტკიცებულებათა უკანონოდ მოპოვება არ შეიძლება იქნეს გამართლებული ყველაზე მძიმე კატეგორიის დანაშაულში პირის მხილების ან/და ორგანიზებული დანაშაულის გამოძიების სირთულეებითაც კი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელება გასცდება კანონის ჩარჩოებს და გადაიქცევა შეუზღუდავი ძალაუფლების იარაღად, რაც ეწინააღმდეგება ადამიანის პიროვნული თავისუფლების აღიარების კონსტიტუციურ სტანდარტს“¹¹⁶⁹.

საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის დაცვის ფარგლებთან დაკავშირებით. სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტით დადგენილი გარანტია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ქმედითი, ეფექტური, თუ ის მოიცავს ყველა იმ ურთიერთობას, რომელიც უკავშირდება მტკიცებულების მო-

1167 იქვე, II, 2.

1168 იქვე, II, 5.

1169 იქვე, II, 7.

პოვების მიზნით უფლებამოსილი ორგანოების მიერ ინფორმაციის შემცველი ობიექტების მიღების პროცესს. იმ შემთხვევაში, თუ კონსტიტუციური დაცვა გავრცელდება მხოლოდ კონკრეტულ ეტაპზე ან მხოლოდ კონკრეტულ სუბიექტებზე და არა ყველა იმ სახელმწიფო ორგანოზე, რომელიც მოიპოვებს მტკიცებულებას, წარმოიშობა თვითნებობისა და კონსტიტუციური გარანტიის არაეფექტიანობის საფრთხე. „საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-10 პუნქტის სულისკვეთებიდან გამომდინარე, კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას არ გააჩნია იურიდიული ძალა, იმის მიუხედავად, თუ რომელი სუბიექტის მიერ არის იგი მოპოვებული და მტკიცებულების მოპოვების რა ეტაპზე დაარღვია შესაბამისმა ორგანომ კანონმდებლობის მოთხოვნები“¹¹⁷⁰. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესის მწარმოებელ ორგანოს ექნებოდა შესაძლებლობა, თვითნებურად აერიდებინა თავი კანონმდებლობის მოთხოვნებისათვის მტკიცებულებების მოპოვების ამა თუ იმ ეტაპზე ან/და ამა თუ იმ ღონისძიების ჩატარება მიენდოთ სხვა პირებისთვის და ამ გზით იურიდიული ძალა მიენიჭებინათ კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებებისთვის¹¹⁷¹.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, უმნიშვნელოვანესია, რომ ნებისმიერი წყაროს მიერ მიწოდებული (ან ნებისმიერი წყაროდან მოპოვებული) მტკიცებულება იყოს კანონიერი, მათ შორის, კანონიერი გზით მოპოვებული. მაგალითად, დაუშვებელია დანაშაულის ჩადენის გზით (უკანონო თვალთვალის, პირად ცხოვრებაში უკანონოდ შეჭრის, სხვისი კომპიუტერული სისტემის უნებართვოდ გამოყენებით და სხვა) მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, კერძო პირის მხრიდან კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში დაექვემდებარება თუ არა იგი სისხლის სამართლებრივ დევნას (მაგალითად, კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევისთვის, შვილად აყვანის საიდუმლოების დარღვევისთვის, იძულების ან/და მუქარისთვის), თუ ამ გზით მის მიერ მოპოვებული საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამოყენება შესაძლებელი იქნება სამართალწარმოებაში ბრალდებულის მამხილებელ მტკიცებულებად. „თუ კანონმდებლობა შექმნის ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევის გზით მოპოვებული ინფორმაციის სამართალწარმოებაში მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას, ის წააქეზებს კერძო პირების მხრიდან კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევას და შექმნის მხარე-

1170 იქვე, II, 17.

1171 იქვე, II, 17.

ების მიერ აღნიშნული შესაძლებლობით მანიპულირების საფრთხეს¹¹⁷². „ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევით მტკიცებულების მოპოვება შეუთავსებელია სამართლებრივი სახელმწიფოს არსთან, მათ შორის იმ შემთხვევაში, როდესაც ინფორმაციის მოპოვება ხდება კერძო პირის მიერ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან წაქეზების შედეგად“¹¹⁷³. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „განაჩენის ან/და ნებისმიერი სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილების ლეგიტიმურობა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების დასაბუთებისათვის გამოყენებული მტკიცებულებების დასაშვებობასა და სარწმუნოობაზე. ამიტომ, თუ კერძო პირების მიერ არაკანონიერი გზით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დაშვება ბრალდებულის ფუნდამენტურ უფლებებს არსებით ზიანს მიაყენებს, ასეთი ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია“¹¹⁷⁴.

იმავედროულად, კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადება, ხშირად შესაძლოა იწვევდეს უტყუარი მტკიცებულებების იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადებას. ამ თვალსაზრისით, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამოიციხა რიგ შემთხვევებში გამონაკლისების დადგენის და კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებებისთვის იურიდიული ძალის მინიჭების შესაძლებლობა. მაგრამ, მისი განმარტებით, გამონაკლისები არ უნდა ახდენდეს პროცესის მონაწილეების ან/და მესამე პირების კონსტიტუციური უფლებების გაუმართლებელ შეზღუდვას. საგამონაკლისო შემთხვევების განსაზღვრისას უნდა გამოირიცხოს სახელმწიფო ორგანოების თვითნებობის წახალისების და ბრალდების მხარის მიერ მტკიცებულებების მოპოვებისას კანონის გამიზნული და გაცნობიერებული დარღვევის საფრთხე, და ასეთი მტკიცებულების საფუძველზე ბრალდებულის მსჯავრდებისათვის შესაძლებლობა¹¹⁷⁵.

1172 იქვე, II, 27.

1173 იქვე, II, 28.

1174 იქვე, II, 29.

1175 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება №2/2/579 საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 33.

7.3.3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მტკიცებულებების ხარისხის გავლენის შეფასება სამართალწარმოების სამართლიანობაზე

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე აღნიშნა, რომ მის ფუნქციებში არ შედის იმის დადგენა, რამდენად დასაშვებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ესა თუ ის მტკიცებულება. სასამართლო ყოველ ჯერზე აფასებს, რამდენად სამართლიანი იყო მთლიანად სასამართლო განხილვა/სამართალწარმოების პროცესი¹¹⁷⁶. ამ კონტექსტში ის რიგ გარემოებებზე ამახვილებს ყურადღებას. მაგალითად: ჰქონდა თუ არა პირს შესაძლებლობა, ედავა მტკიცებულებების ავთენტურობაზე და შეწინააღმდეგებოდა ამ მტკიცებულებების გამოყენებას; როგორია მტკიცებულებათა ხარისხი – როგორ გარემოებებში იქნა ისინი მოპოვებული და რამდენად ბადებს ეჭვს ეს გარემოებები მტკიცებულებების ნამდვილობასა და სარწმუნოობასთან დაკავშირებით; ასევე მნიშვნელოვანია, იქონია თუ არა კონკრეტულმა მტკიცებულებამ გადამწყვეტი ზეგავლენა სისხლის სამართალწარმოების შედეგზე.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, დაუშვებელია სახელმწიფო მოსამსახურეების მიერ დანაშაულის პროვოკაციის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება¹¹⁷⁷, რადგან ასეთი მტკიცებულებების სისხლის სამართალწარმოებაში დაშვებამ, შესაძლოა, ეჭვქვეშ დააყენოს პროცესის სამართლიანობა¹¹⁷⁸.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულების სახით გამოყენებამ მოახდინა თუ არა გავლენა მთლიანობაში საქმის განხილვის სამართლიანობაზე კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის, უნდა განისაზღვროს საქმის ყველა გარემოების, მათ შორის, განმცხადებლის დაცვის უფლების, სადავო მტკიცებულების ხარისხისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით¹¹⁷⁹. თუმცა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება სამართალწარმოებას მთლიანობაში ავტომატურად არასამართლიანს ხდის. საქმის მასალებში იმ ჩვენებათა დაშვება, რომლებიც მე-3 მუხლის დარღვევით იქნა მოპოვებული,

1176 *Khan v. the United Kingdom*, app. №35394/97, (ECtHR, 12.05.2000), §34; *Allan v. the United Kingdom*, app. №48539/99, (ECtHR, 05.11.2002), §42.

1177 *Khudobin v. Russia*, app. №59696/00, (ECtHR, 26.10.2006), §133-135.

1178 *Vanyan v. Russia*, app. №53203/99, (ECtHR, 15.12.2005), §47.

1179 *Gafgen v. Germany*, app. №22978/05, (ECtHR, (GC), 01.06.2010), §165.

თავისთავად განაპირობებს მე-6 მუხლის დარღვევას¹¹⁸⁰, მათ შორის, იმ შემთხვევებშიც, თუ ამ მტკიცებულებას არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა მსჯავრდებისთვის¹¹⁸¹ ან წამების/არასათანადო მოპყრობის გზით მოპოვებული მტკიცებულება სარწმუნოა¹¹⁸². სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ წამების გზით მოპოვებული მტკიცებულებების გამოყენება გაუტოლდებოდა მართლმსაჯულების აშკარა უარყოფას მაშინაც კი, თუ პირი, რომლისგანაც წამების გზით მოიპოვეს მტკიცებულება, მესამე პირს წარმოადგენს¹¹⁸³.

საქმეზე *Mindadze and Nemsitsveridze v. Georgia*¹¹⁸⁴ მომჩივნები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დავობდნენ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის სავარაუდო დარღვევაზე, რადგან მათი მსჯავრდება მოხდა კანონის დარღვევით (მათ შორის, წამებით) მოპოვებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით. პირველი მომჩივანი დამნაშავედ ცნეს მკვლელობის მცდელობისთვის დამამძიმებელ გარემოებებში, პარლამენტის წევრზე თავდასხმისა და იარაღის უკანონო ფლობისთვის, ხოლო მეორე მომჩივანი – მკვლელობის მცდელობისთვის დამამძიმებელი გარემოებებში და იარაღის უკანონო შენახვისთვის. მომჩივნები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში რამდენიმე გარემოებაზე ამახვილებდნენ ყურადღებას: პირველი მომჩივნის პირველადი აღიარება მოპოვებული იყო წამების გამოყენებით და ადვოკატის დაუსწრებლად; ეროვნული სასამართლო დაეყრდნო იმ ჩვენებებს, რომლებიც გამეორებულ იქნა მომჩივნის მიერ დანაშაულის ადგილზე მოვლენათა აღდგენის დროს; დაზარალებულის მიერ პირველი მომჩივნის ამოცნობის პროცედურა მნიშვნელოვანი პროცესუალური დარღვევებით წარიმართა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა შემდეგი გარემოებები: პირველი მომჩივნის თავდაპირველი აღიარება (რომლითაც მან ასევე ამხილა მეორე მომჩივანი დანაშაულის ჩადენაში) მისგან მიღებული იქნა ადვოკატის გარეშე და არასათანადო მოპყრობის შედეგად, რაც უტოლდებოდა

1180 *Jalloh v. Germany*, app. №54810/00, (ECtHR, 11.07.2006), §§99, 105; *Fidanci v. Turkey*, app. №17730/07, (ECtHR, 17.01.2012), §34.

1181 *Jalloh v. Germany*, app. №54810/00, (ECtHR, 11.07.2006), §99; *Gafgen v. Germany*, app. №22978/05, (ECtHR, (GC), 01.06.2010), §166; *Ibrahim and Others v. the United Kingdom*, app. №50541/08, 50571/08, 50573/08, 40351/09, (ECtHR, 13.09.2016), §254.

1182 *Jalloh v. Germany*, app. №54810/00, (ECtHR, 11.07.2006), §105; *Gafgen v. Germany*, app. №22978/05, (ECtHR, (GC), 01.06.2010), §167; 173.

1183 *Mindadze and Nemsitsveridze v. Georgia*, app. №21571/05, (ECtHR, 01.06. 2017), §139.

1184 *Mindadze and Nemsitsveridze v. Georgia* app. №21571/05, (ECtHR, 01.06. 2017).

წამებას კონვენციის მე-3 მუხლის მიზნებისთვის. მართალია, ეს ჩვენება საქმის განმხილველმა სასამართლომ საბოლოო ჯამში ამოიღო საქმის მასალებიდან და არ იქნა გამოყენებული მომჩივნებისთვის მსჯავრის დადებისას, თუმცა ამ ფაქტით საკმარისად ვერ აღმოიფხვრა ის პრობლემები, რომლებიც განაპირობა კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული დაკითხვის მეთოდების გამოყენებამ, რომლის შედეგადაც იქნა მოპოვებული პირველი და ყველაზე გადამწყვეტი მტკიცებულება შემდგომი საგამოძიებო მოქმედებების მიზნებისთვის. ამ აღიარების საქმის მასალებიდან ამოღებამდე საგამოძიებო ორგანოები თითქმის სრულად დაეყრდნენ მას¹¹⁸⁵. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო, რომ თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში წამების შემდგომ პირველი მომჩივანი დაუყოვნებლივ იქნა გადაყვანილი იმავე პოლიციის თანამშრომლების მიერ დანაშაულის ადგილზე შემთხვევის ვითარების აღსადგენად, სადაც მან სიტყვა-სიტყვით გაიმეორა თავდაპირველი აღიარება, მათ შორის, მიუთითა მეორე მომჩივნის მონაწილეობაზეც. მეორე აღიარება პირდაპირ იქნა გამოყენებული მსჯავრდებისას, როგორც ორივე მომჩივნის ბრალეულობის დამადასტურებელი მთავარი მტკიცებულება. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის პირველ მომჩივანს უკვე ჰყავდა დანიშნული სახაზინო ადვოკატი, საქმის მასალებიდან არ იკვეთებოდა, რომ მას მიეცა შესაძლებლობა, განმეორებით აღიარებამდე კონსულტაცია გაეწყო მასთან. მეტიც, ფაქტი, რომ პირველი მომჩივანი იძულებული იყო, საკუთარი ჩვენება დაედასტურებინა პოლიციის იგივე თანამშრომლების თანდასწრებით, რომელთაც ბრალს სდებდა წამებაში, დამატებით უმძაფრებდა მას დაუცველობისა და უმწეობის განცდას. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთ გარემოებებში აღიარებითი ჩვენების ხელახლა გამეორება, თავისი არსით, უთანაბრდებოდა მანამდე წამებით მოპოვებულ აღიარებით ჩვენებას და, შესაბამისად, ვერ განიხილებოდა ვალიდურ მტკიცებულებად. ევროპული სასამართლოს მითითებით, ეროვნულ სასამართლოებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოეჩინათ განმეორებითი ჩვენებების მტკიცებულებად მიღებამდე მათი მკაცრი შესწავლის გზით. საბოლოოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობდა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი თბილისის პოლიციის სამმართველოში აკრძალული მეთოდით პირველ დაკითხვასა და დანაშაულის ადგილზე პირველი მომჩივნის მიერ მისი ჩვენების განმეორებას შორის, რომელიც გამოყენებულ იქნა პირდაპირ

1185 *Mindadze and Nemsitsveridze v. Georgia*, app. №21571/05, (ECtHR, 01.06. 2017), §140.

მტკიცებულებად მომჩივნების მსჯავრდებისთვის და მათთვის სასჯელის შეფარდების საფუძველს წარმოადგენდა¹¹⁸⁶.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ადვოკატის გარეშე მომჩივნის პირველი დაკითხვისას პოლიციის მიერ მის წამებას შეუქცევადად დამაზიანებელი ზეგავლენა ჰქონდა სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგზე და საბოლოო ჯამში, ორივე მომჩივნის მიმართ სამართალწარმოების უსამართლობა განაპირობა¹¹⁸⁷.

სასამართლომ დამატებით იმსჯელა დაზარალებულის – პარლამენტის წევრის ჩვენებებზე, რომლებსაც დაეყრდნო ეროვნული სასამართლოები მომჩივნის ბრალეულობის გასამყარებლად. კერძოდ, დაზარალებულმა ამოცნობის ჩატარებისას პირველ მომჩივანში ამოიცნო თავდამსხმელი. მან ასევე განაცხადა, რომ ამოცნობის ჩატარების შემდეგ პირველმა მომჩივანმა მასთან აღიარა დანაშაული და ამხილა მეორე მომჩივანი. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ამოცნობა ჩატარდა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესუალური მოთხოვნების აშკარა უგულებელყოფით¹¹⁸⁸.

ასევე დაადგინა, რომ დაზარალებულის ჩვენებას პირველი მომჩივნის მიერ მასთან „პირად საუბარში“ დანაშაულის აღიარების თაობაზე, რომელსაც არ ესწრებოდა არც ადვოკატი და არც დამოუკიდებელი მოწმე, არ გააჩნდა სარწმუნოების არავითარი რესურსი იგივე საფუძველებზე დაყრდნობით (კერძოდ კი წამების ფიზიკური და ფსიქიკური შედეგები, რასაც მომჩივანი რამდენიმე საათით ადრე დაექვემდებარა). იმავდროულად, ვინაიდან კომპეტენტურმა სახელმწიფო ორგანოებმა ადეკვატური რეაგირება ვერ მოახდინეს დაზარალებულის მიერ ორგანიზებული, მომჩივნის დაცვის უფლებაში ჩარევის, მუქარისა და მოსყიდვის მცდელობის მძიმე ბრალდებებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩათვლა, რომ საქმის განმხილველი სასამართლოსთვის დაზარალებულის მიერ მიცემული ჩვენების სარწმუნოების ხარისხი ძალიან დაბალი იყო. შესაბამისად, ეროვნული სასამართლოები ბრალის დადგენისას არ უნდა დაყრდნობოდნენ ამ ჩვენებებს¹¹⁸⁹.

1186 *Mindadze and Nemsitsveridze v. Georgia*, app. №21571/05, (ECtHR, 01.06. 2017), §141.

1187 *Mindadze and Nemsitsveridze v. Georgia*, app. №21571/05. (ECtHR, 01.06. 2017), §142.

1188 *Mindadze and Nemsitsveridze v. Georgia*, app. №21571/05. (ECtHR, 01.06. 2017), §143.

1189 *Mindadze and Nemsitsveridze v. Georgia*, app. №21571/05. (ECtHR, 01.06. 2017), §145.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მძიმე პროცესუალურმა დარღვევებმა მომჩივნების მიმართ მიმდინარე სასამართლო განხილვა მთლიანობაში გახადა არასამართლიანი. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევას.

7.4. განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი (*Ne bis in idem*)

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის¹¹⁹⁰ თანახმად: „არავის დაედება განმეორებით მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის“.

კონსტიტუციის აღნიშნული დებულებით დეკლარირებულია ფუნდამენტური პროცესუალური გარანტია – განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი (*Ne bis in idem*), რომელიც აღიარებულია ადამიანის უფლებათა რეგლევანტური საერთაშორისო დოკუმენტებით, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციით, რომლის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის თანახმად:

„1. დაუშვებელია სისხლის სამართლის წესით პირის ხელმეორედ გასამართლება ან დასჯა ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში იმ დანაშაულისთვის, რომლისთვისაც ის ერთხელ უკვე საბოლოოდ იქნა გამართლებული ან მსჯავრდებული ამ სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისად.

2. წინა პუნქტის დებულებები ხელს არ უშლის საქმის წარმოების განახლებას მოცემული სახელმწიფოს კანონმდებლობისა და სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისად, თუკი არსებობს ახალი ან ახლად გამოვლენილი ფაქტების მტკიცებულება, ან, თუ წინა სამართალწარმოება განხორციელდა არსებითი ხარვეზით, რომელსაც შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე.

3. დაუშვებელია კონვენციის მე-15 მუხლის საფუძველზე ამ მუხლიდან გადახვევა“.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული გარანტია და მისი მიზნობრივი ქმედითობა უშუალოდ უკავშირდება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვა სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპის არსებითი გა-

1190 საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით 42-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

მოვლინებაა, კერძოდ, სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში სახელმწიფო ორგანოების ბოჭვა, მათ მიერვე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებებით, არ განახორციელონ ერთი და იმავე ქმედებისათვის პირის განმეორებითი დევნა, პირდაპირ უკავშირდება სამართლებრივი განსაზღვრულობისა და უსაფრთხოების პრინციპებს. ინდივიდის უფლებამზღვევლი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განჭვრეტადობა, მისი სამართლებრივი განსაზღვრულობის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად და რა ფარგლებში ხდება მართლმსაჯულების პროცესში მიღებული საბოლოო ხასიათის გადაწყვეტილებების პატივისცემა“.¹¹⁹¹

განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვა, ერთი მხრივ, „იცავს ინდივიდს ერთი და იმავე ქმედების გამო განმეორებითი სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდებისგან, მეორე მხრივ კი, ემსახურება სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებებით სახელმწიფო ორგანოების ბოჭვას“¹¹⁹².

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტი აერთიანებს განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის შემადგენელ რამდენიმე ელემენტს, რომელთა შინაარსის ადეკვატურ, ჯეროვან დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ უფლების პრაქტიკული განხორციელების პროცესში. კერძოდ, იმისათვის, რომ სახეზე იყოს კონსტიტუციით აკრძალული ორმაგი მსჯავრდება: 1. პირის მიმართ უნდა არსებობდეს დასრულებული სისხლისსამართლებრივი პროცედურა კონკრეტულ დანაშაულთან მიმართებით, 2. მას უნდა ემოქმედებდეს „განმეორებით“ მსჯავრდება (*bis*), 3. „ერთი და იმავე დანაშაულისათვის“ (*idem*)¹¹⁹³.

მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, რას გულისხმობს კონსტიტუცია „ერთი და იმავე დანაშაულის“ (*idem*) ცნებაში და რომელი გარემოებების

1191 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/7/636 საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით ცინცილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 5.

1192 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/1/608,609 საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, II, 35.

1193 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/7/636 საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით ცინცილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 9.

საფუძველზე შეიძლება დადგინდეს მსგავსება ორ ან რამდენიმე დანაშაულის შემადგენლობებს შორის, რასაც საფუძველად უდევს ერთი და იგივე ქმედება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი გარანტია გულისხმობს „მსჯავრდების აკრძალვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირის მიმართ განმეორებით წარდგენილი ბრალდება ეფუძნება იგივე ან არსებითად იგივე ფაქტობრივ გარემოებებს, რაზეც პირის მიმართ უკვე არსებობს ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება. უფრო კონკრეტულად, პირვანდელი სისხლისსამართლებრივი პროცედურის შედეგად მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებაში, ისევე, როგორც იმავე პროცესის მანძილზე გამოცემულ სხვადასხვა ფორმალურ აქტებში მითითებული საფუძველები, როგორც წესი, წარმოადგენს ფაქტობრივი გარემოებების ამომწურავ ჩამონათვალს, რომლის საფუძველზედაც მოხდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება პირის მსჯავრდების ან გამართლების შესახებ. ამგვარად, შესაძარებელ დანაშაულთა (ქმედების) შემადგენლობებს შორის მსგავსების დადგენისათვის მნიშვნელოვანია, მოხდეს არსებითი ფაქტობრივი გარემოებების მკაფიო იდენტიფიცირება, რომელიც განუყოფელი უნდა იყოს სივრცესა და დროში მოქმედების თვალსაზრისით და მიემართებოდეს ერთსა და იმავე ინდივიდს (ბრალდებულს). მაგალითად, თუ პირი საერთო განზრახვით ჩაიდენს ორ ან მეტ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას სხვადასხვა ადგილას (სივრცითი ელემენტი) ან დროის სხვადასხვა მონაკვეთში (დროითი ელემენტი), მაშინ მის მიმართ არ გავრცელდება განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური გარანტია. ხოლო, თუ პირი ერთსა და იმავე ადგილას დროის კონკრეტულ მონაკვეთში განხორციელებული ქმედების (ქმედებების) გამო დაექვემდებარება განმეორებით დევნას განსხვავებული სისხლისსამართლებრივი საფუძველით, რომლის ქმედების შემადგენლობის ელემენტები (სუბიექტური (*mens rea*) და ობიექტური (*actus reus*) ელემენტები, დანაშაულის მიზნები, საჯარო და კერძო ინტერესების შეფასება) არსებითად მსგავსია პირვანდელი მსჯავრდებისას გამოყენებული სამართლებრივი ნორმისა და განმეორებით დევნას საფუძველად არსებითად მსგავსი ფაქტობრივი გარემოებები დაედო, ასეთი შემთხვევა მოექცევა კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტით დაცული უფლების სფეროში“¹¹⁹⁴.

მაშასადამე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შემდეგ ფაქტორს: განმეორებითი დევნა, ბრალდება ან მსჯავრდება უნდა ეფუძნებოდეს იდენტურ/არსებითად იგივე ფაქტებს, მტკიცებულებებს, რომელთა საფუძ-

1194 იქვე, II, 13.

ველზე პირს უკვე განესაზღვრა სასჯელი (ან გამართლდა) კანონიერი განაჩენით. ამავ დროს, ყურადღება უნდა მიექცეს მხოლოდ თავისთავად ფაქტებს, და არა მათ სამართლებრივ კვალიფიკაციას.¹¹⁹⁵

კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიის გავრცელებისათვის ასევე მნიშვნელოვანია დადგინდეს, მოხდა თუ არა პროცესის დუბლირება, ანუ განმეორებითი მსჯავრდება (*bis*). „განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური გარანტია გავრცელდება ისეთი სისხლისსამართლებრივი პროცედურის განმეორებაზე, რომელიც ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილებით არის დასრულებული“¹¹⁹⁶. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, განიმარტოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიზნებისთვის, გადაწყვეტილება როდის/რა შემთხვევაში მიიჩნევა საბოლოოდ. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „პირველადი მსჯავრდება დასრულებულად უნდა იქნეს მიჩნეული როგორც საქმის არსებითი განხილვის შედეგად გადაწყვეტილების მიღებისას, რომელშიც ხდება საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასება, ასევე რიგი პროცედურული საკითხების გადაწყვეტის მომენტიდან. ბუნებრივია, საქმის არსებითი გარემოებების შეფასება ხდება სასამართლოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის შესაბამისად, რომელიც განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური უფლების მიზნებისათვის მაშინ იქნება მიჩნეული დასრულებულად, როდესაც სასამართლოს მიერ მოხდება საქმეში არსებული არსებითი ფაქტობრივი გარემოებების ამომწურავი შეფასება. რაც შეეხება პროცედურულ საკითხებს, სისხლისსამართლებრივი პროცედურა დასრულებულად მიიჩნევა, მაგალითად, თუ ბრალდების მხარის მიერ მოხდება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება საქმეში არასაკმარისი მტკიცებულებათა არსებობის გამო; ასევე, დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გასვლის, შეწყველების ან ამნისტიის გამო“¹¹⁹⁷.

რაც შეეხება გადაწყვეტილების საბოლოო ეფექტს (*res judicata*) (დროის მომენტს, როდესაც გადაწყვეტილება იქნეს საბოლოო ძალას),

1195 *Routsalainen v. Finland*, app. №13079/03, (ECtHR, 16.06.2009), §48.

1196 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/7/636 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე დავით ცინცვილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 14.

1197 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/7/636 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე დავით ცინცვილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 15.

მას ავტონომიური კონსტიტუციური შინაარსი გააჩნია: „გადაწყვეტილება საბოლოო გახდება მას შემდეგ, რაც მის მოქმედებას შეუქცევადი ხასიათი ექნება და არ იარსებებს გასაჩივრების კანონმდებლობით გათვალისწინებული გონივრული მექანიზმები. ასეთ შემთხვევაში მაშინ შეიძლება ჰქონდეს ადგილი, როდესაც გადაწყვეტილება უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მიერ იქნა მიღებული ან გასულია კანონით დადგენილი გასაჩივრების გონივრული ვადები, რის გამოყენებაზე მხარეებმა ნებაყოფლობით თქვეს უარი. აქედან გამომდინარე, ცხადია, ისეთი სახის გადაწყვეტილებები, რომელთა გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტული პროცედურის შესაბამისად გონივრული ვადის განმავლობაში, რჩება განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური უფლების მოქმედების მიღმა“¹¹⁹⁸.

Ne bis in idem პრინციპის დასაცავად მნიშვნელოვანია შემდეგი ასპექტების გათვალისწინებაც:

არ შეიძლება იმავე ქმედებაზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყოს სხვა კვალიფიკაციით (მაგალითად, უფრო ძვირად დანაშაულზე გადაკვალიფიკირებით) მაშინ, როდესაც ამ ქმედებისთვის უკვე კონკრეტული კვალიფიკაციის საფუძველზე დადგა განაჩენი. ასევე, არ შეიძლება ერთი და იმავე ქმედების გამო პასუხისმგებლობის სხვადასხვა, რამდენიმე ზომა იქნეს გამოყენებული, მაგალითად, დისციპლინური და სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი. ცხადია, ეს არ გამორიცხავს პირის მიმართ სისხლისსამართლებრივთან ერთად დისციპლინური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამოყენებას, თუმცა არა ერთი და იმავე ქმედების გამო იდენტურ ფაქტებზე, მტკიცებულებებზე დაყრდნობით¹¹⁹⁹.

ყურადსაღებია ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგი განმარტება: „კონსტიტუციის მიზნებისთვის პრინციპულად არასწორი იქნებოდა განმეორებითი მსჯავრდებისგან დაცვის კონსტიტუციური გარანტიების მიღმა ისეთი სახის იძულებითი ღონისძიებების დატოვება, რომლებიც, მართალია, ფორმალურად საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით არ იქნებოდა გათვალისწინებული, თუმცა პირის კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის ინტენსივობით გაუტოლდებოდა სისხლისსამართლებრივი ხასიათის იძულებით ღონისძიებას და შესაბამისად, ჩაითვლებოდა „მსჯავრის დადებად“. ამგვარი დაშვება გაუმართლებლად გაზრდიდა კანონმდებლის დისკრეციას უფლებაშემზ-

1198 იქვე, II, 15-16.

1199 *Zolotukhin v. Russia*, app. №14939/03, (ECtHR, 10.02.2009).

ლუდველი ღონისძიებების მომწესრიგებელი ნორმების მიღების პროცესში, რაც აშკარა წინააღმდეგობაში მოვიდოდა კონსტიტუციის მიზნებთან. ... შესაბამისად, ... კონსტიტუციის ... მიზნებისთვის, ტერმინები „მსჯავრის დადება“ და „დანაშაული“ უნდა განიმარტოს ავტონომიური კონსტიტუციური მნიშვნელობით, მათი ბუნებისა და პრაქტიკული შინაარსის გათვალისწინებით, ხოლო საკანონმდებლო დეფინიციებს ამ თვალსაზრისით დამხმარე ხასიათი ექნება. ... უფრო დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულებითი ღონისძიების ბუნებას, მის რეალურ არსს და ასევე მისი სიმკაცრის ხარისხს. კერძოდ, ყოველი კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს, პირის მიერ ჩადენილი ქმედების საპასუხოდ, სახელმწიფოს მიერ გამოყენებული იძულებითი ღონისძიების მიზანი და ის საჯარო თუ კერძო ინტერესები, რის მიღწევასაც ემსახურება იგი. ამასთანავე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პირის მიმართ გამოყენებული ღონისძიების/სასჯელის სიმკაცრე, რომელიც უნდა შეფასდეს სასჯელის ზომის იმ უმაღლესი ზღვრის გათვალისწინებით, რასაც ადგენს გამოყენებული სამართლებრივი ნორმა და არა იმ ფარგლებში, რისი გამოყენებაც მოცემულ შემთხვევაში მოხდა სამართალშემფარდებლის მიერ“¹²⁰⁰.

კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტით არ არის დაცული ისეთი განსაკუთრებული შემთხვევები, რომლებიც ითვალისწინებს სამართალწარმოების განახლების შესაძლებლობას ანაღად გამოვლენილი ან აღმოჩენილი მტკიცებულებების გამო ან როდესაც გამოვლინდება სამართალწარმოების მნიშვნელოვანი ხარვეზები, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა სამართალწარმოების შედეგზე და რაც მისი ხელახლა დაწყების საფუძველს ქმნის¹²⁰¹. ამ საგამონაკლისო შემთხვევების არსებობა/არ არსებობის საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს¹²⁰². საკონსტიტუციო სასამართლოს გან-

1200 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/7/636 საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით ცინცვილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 10-11.

1201 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, II, 36.

1202 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/7/636 საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით ცინცვილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 17.

მარტებით: „განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპიდან გამონაკლისების არსებობა მიზნად ისახავს გონივრული ბალანსის უზრუნველყოფას სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების ორ უმნიშვნელოვანეს ინტერესს შორის. ... კონსტიტუციური მართლწესრიგის იდეა, მისი მიზნების განმტკიცება არსებითად არის დამოკიდებული კანონშემოქმედების პროცესში სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის კონსტიტუციური პრინციპების პატივისცემაზე. ამგვარად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, კანონმდებლობამ მოახდინოს იმ სამართლებრივი ეფექტების შედეგად შექმნილი რეალობის დაცვა, რისი დადგომაც ძალაში შესულმა საბოლოო გადაწყვეტილებებმა გამოიწვია. მეორე მხრივ, ასევე აუცილებელია ისეთი სამართლებრივი მექანიზმების არსებობა, რომელიც ხელს შეუწყობს საქმის ფაქტობრივი გარემოებების სიზუსტის დადგენას და გამოასწორებს სისხლისსამართლებრივი პროცესის მიმდინარეობისას დაშვებულ უხეშ ცდომილებებს“¹²⁰³.

ზემოაღნიშნული განმარტებების გათვალისწინებით, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის დაცული სფერო ვრცელდება „სისხლისსამართლებრივ მართლმსაჯულებაზე, ფართო გაგებით, მისი ავტონომიური, კონსტიტუციურ-სამართლებრივი განმარტების მნიშვნელობით. ამასთანავე, კონსტიტუციის ხსენებული დებულება გულისხმობს დაცვის გარანტიებს განმეორებითი დევნის დაწყების წინააღმდეგ, დროსა და სივრცეში ერთიან, არსებითად მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე წარმოშობილი ორი ან უფრო მეტი ქმედების მიმართ, როდესაც პირის მიმართ უკვე არსებობს კანონიერ ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება, მისი მსჯავრდების ან გამართლების შესახებ ან ასევე რიგი პროცედურული გარემოებები, რაც, თავისი არსით, სამართალწარმოების დასრულებას გულისხმობს (ბრალდების მხარის მიერ დევნის შეწყვეტა, ხანდაზმულობის ვადების ამოწურვა, ამნისტია)“¹²⁰⁴.

მაშასადამე, განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი, უპირველესად, არის ინდივიდის ხელისუფლების თვითნებობისგან დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტია. ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს შიშისგან, რომ ხელისუფლება ერთი და იმავე ქმედების გამო კვლავ განახორციელებს მის მიმართ დევნას. ამ პრინციპის მთავარი მიზანი, დატვირთვა ეფუძნება ადამიანის ღირსების პატივისცემას და სამართლებრივ უსაფრთხოებას. ადამიანი არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს მხრიდან მანიპულაციის ობიექტი. სამართალი უნდა იყოს განჭვრეტადი. ადამიანებ-

1203 იქვე, II, 7.

1204 იქვე, II, 18.

მა ზუსტად უნდა იცოდნენ, როდის და რატომ შეიძლება დადგენენ სამართლებრივი პასუხისმგებლობის წინაშე. „ერთი და იმავე ქმედებისთვის პირის განმეორებით მსჯავრდება წარმოადგენს პირის თავისუფლების ცალსახა უგულებელყოფას და აზრს უკარგავს სამართლებრივი სახელმწიფოს იმგვარ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორცაა სამართლის განჭვრეტადობა და კანონის გარეშე პასუხისმგებლობისა და დასჯის აკრძალვა. თუ პირს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა ერთი ქმედებისთვის რამდენჯერმე შეიძლება დაეკისროს და ხელისუფლება არ იზღუდება ამ მიმართებით, იმპერატიული მოთხოვნა, რომ პირმა წინასწარ იცოდეს, რა სასჯელი დაეკისრება კონკრეტული ქმედებისთვის და შეეძლოს საკუთარი ქცევის შესაბამისად კონტროლი, თავისთავად აზრს მოკლებული ხდება. შესაბამისად, პირის განმეორებით მსჯავრდება არის კონსტიტუციის და მისი ფუნდამენტური პრინციპების მიუღებელი და უხეში დარღვევა, რომელიც არ შეიძლება ექვემდებარებოდეს გამართლებას რაიმე ლეგიტიმური მიზნის მიღწევის საბაზით“¹²⁰⁵. განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის პრინციპი ხელისუფლებისთვის აბსოლუტურ და იმპერატიულ კონსტიტუციურ ვალდებულებას წარმოადგენს¹²⁰⁶, რომლისგან გადახვევა დაუშვებელია საომარი და საგანგებო მდგომარეობის დროსაც კი (საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლი; ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი).

სწორედ ამიტომ, ეს პრინციპი მოითხოვს სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოებისგან კომპეტენტურობას და კეთილსინდისიერებას, რათა, ერთი მხრივ, ყოველ კონკრეტულ საქმეზე, მათ უზრუნველყონ სათანადო, სრულყოფილი, ყოველმხრივი გამოძიება, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება, ხოლო, მეორე მხრივ, სრულად გაემიჯნონ ცდუნებას, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გზით, მიაგნონ იმავე ქმედებისთვის დამატებითი ან/და უფრო მძიმე ბრალდების წარდგენის შესაძლებლობას. „აღნიშნული პრინციპი სახელმწიფო ორგანოებს აკისრებს პასუხისმგებლობას სისხლისსამართლებრივი დევნის სათანადოდ განხორციელებისთვის, რადგან ხელისუფლების ორგანოები არ არიან უფ-

1205 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/1/608,609 საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, II, 36.

1206 იქვე, II, 36.

ლებამოსილი, წარუდგინონ პირს დამატებითი ან უფრო მძიმე ბრალდება იმ ქმედების გამო, რომლისთვისაც პირი უკვე გასამართლებული იყო¹²⁰⁷.

7.5. Nullum crimen, nulla poena sine lege – საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული გარანტიები

7.5.1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის¹²⁰⁸ თანახმად: „არავინ აგებს პასუხს ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ იგი არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“.

კონსტიტუციის ამ დებულებით განმტკიცებულია კანონიერების პრინციპი (Nullum crimen, nulla poena sine lege), რომელიც უზრუნველყოფს სამართლის საგარანტიო ფუნქციას ხელისუფლების შემდეგი ძირითადი მოთხოვნებით უპირობოდ შებოჭვის გზით:

1. ქმედებისთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, ის (ქმედება) მისი ჩადენის დროს მოქმედი კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული როგორც სამართალდარღვევა და დასჯადი ქმედება. შესაბამისად, აკრძალულია პირის პასუხისმგებლობაში მიცემა იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს კანონით არ წარმოადგენდა დასჯად ქმედებას. „...პირს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ქმედებისათვის, რომელიც სამართალდარღვევად გამოცხადდება მას შემდეგ, როცა პირმა ჩაიდინა იგი. ამდენად, კონსტიტუციის თანახმად, თავისთავად, ქმედების შიშველი ფაქტი კი არაა პასუხისმგებლობის კუთხით შეფასების ობიექტი, არამედ ქმედება, რომელიც ნორმატიულადაა მიჩნეული სამართალდარღვევად. ამით კონსტიტუცია იცავს მოქალაქეს სამართლის ნეგატიური ზემოქმედებისაგან“¹²⁰⁹.

1207 იქვე, II, 35.

1208 საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

1209 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება №1/1/428,447,459 საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II, 1.

2. კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მთავარი გზავნილი არის კანონის უკუძალის აკრძალვა. ეს არის პასუხისმგებლობის ნეგატიური შედეგებისაგან დაცვის კონსტიტუციური გარანტია, რათა პირი არ დაისაჯოს იმ ქმედების გამო, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა, ისევე, როგორც არ დაისაჯოს იმაზე უფრო მკაცრად, ვიდრე მას ამის კანონისმიერი მოლოდინი ჰქონდა. კანონის დროში მოქმედების მთავარი წესის დაცვის კონსტიტუციური ვალდებულება გულისხმობს, რომ პასუხისმგებლობის დამდგენი ან დამამძიმებელი კანონი არ უნდა გავრცელდეს ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშვა ამ კანონის მიღებამდე და, შესაბამისად, იმ დროს არ წარმოადგენდა სამართალდარღვევას და დასჯად ქმედებას საერთოდ, ან ქმედების ჩადენისას მისთვის უფრო მსუბუქი პასუხისმგებლობა იყო გათვალისწინებული. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპი „ატარებს აბსოლუტურ ხასიათს და მისი დარღვევა დაუშვებელია. ამ პრინციპის დაუცველობის შემთხვევაში საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა არა მარტო ცალკეული ადამიანის კონსტიტუციური უფლებები, არამედ ღირებულებათა წესრიგი, სამართლებრივი უსაფრთხოება, რომელიც თავად წარმოადგენს კონსტიტუციურ უფლებათა არსებობის (დაცვის) საძირკველს. ... ასეთი წესრიგის პირობებში ადამიანებს აქვთ გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელმწიფო იმოქმედებს სამართლით დადგენილ ფარგლებში და მის მიერ ჩადენილ მოქმედებას შეაფასებს არსებული ნორმატიული სინამდვილის პირობებში“¹²¹⁰. სამართალდამრღვევს, თუნდაც ყველაზე მძიმე დანაშაულის ჩამდენს, უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ ის იმაზე მეტად და მკაცრად არ დაისჯება, ვიდრე ეს მისთვის ხელმისაწვდომი, ცნობილი იყო/უნდა ყოფილიყო სამართალდარღვევის ჩადენისას. „ყველას აქვს უფლება წინასწარ იცოდეს, რისთვის, როგორ, რა წესით და როგორი ინტენსივობით აგებს პასუხს. პირი არ შეიძლება მუდმივად იყოს იმ შიშის ქვეშ, რომ ხელისუფლება უფლებამოსილი იქნება, ნებისმიერ დროს გაამკაცროს მის მიერ ჩადენილი ქმედებისთვის სასჯელი და, ამასთან, კანონის უკუძალით გამოყენებით დაამძიმოს მისი პასუხისმგებლობა. ასეთი შესაძლებლობის დაშვების პირობებში სასჯელი და ზოგადად პასუხისმგებლობა ასცდება მათსავე მიზნებს და გადაიქცევა პოტენციური შურისძიების იარაღად. შედეგად, სამართალი და კანონი დაკარგავს თავის ძირითად ფუნქციას. კანონი სამართლიანობისა და წესრიგისთვის არის საჭირო და თუკი ის გადაიქცევა ხელისუფლების ინსტრუმენტად ადამიანებით მანიპულირებისათვის, კანონი თავად გახდება იმ პრობლემების

1210 იქვე, II, 1.

მთავარი წყარო, რომელთა თავიდან აცილებისა თუ აღმოფხვრისთვისაც ის არის საჭირო¹²¹¹.

3. კანონის დროში ასეთი წესით მოქმედების მთავარი მიზანი არის კანონის განსაზღვრულობის, სამართლებრივი უსაფრთხოების პრინციპის დაცვა. „პირს კონკრეტული ქმედების ჩადენისას კანონმდებლობა უნდა აძლევდეს საკმარისად ცხად და მკაფიო ინფორმაციას იმის თაობაზე, წარმოადგენს თუ არა ეს ქმედება სამართალდარღვევას და როგორი იქნება კონკრეტული ქმედების განხორციელების შედეგად კანონის მასზე გავრცელების სამართლებრივი შედეგები. მაშასადამე, პირს კანონის მიხედვით უნდა შეეძლოს იმის განჭვრეტა, არღვევს თუ არა ის კანონს, იმისათვის რომ შეძლოს, თავიდან აიცილოს კანონის დარღვევის ნეგატიური სამართლებრივი შედეგები. ამასთან, მეორე მხრივ, პირს უნდა ჰქონდეს მკაფიო წარმოდგენა იმის თაობაზე, მის მიერ კანონის დარღვევის შემთხვევაში როგორი იქნება მოსალოდნელი პასუხისმგებლობის სიმძიმე, რა ტვირთს აკისრებს მას სახელმწიფო. ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია ადამიანის სახელმწიფოსთან ურთიერთობის განჭვრეტისა და პროგნოზირებისათვის, ამასთან, სახელმწიფოს ნებისმიერი თვითნებობის თავიდან აცილებისთვის“¹²¹².

კონსტიტუციის დასახელებული დებულება არ შემოიფარგლება მხოლოდ სისხლის სამართლის მატერიალური კანონმდებლობის ნორმების დროში მოქმედების საკითხის გადაწყვეტით. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად: „საქართველოს კონსტიტუცია უკუძალის აკრძალვის ფარგლებს ფართოდ მოიაზრებს და მას უკავშირებს საერთოდ სამართლებრივ პასუხისმგებლობას“¹²¹³. „...კონსტიტუცია ზოგადად საუბრობს სამართალდარღვევაზე და უნდა ვიფიქროთ, რომ მასში არ მოიაზრება მარტო სისხლისსამართლებრივი დელიქტები. ... კანონის უკუძალის აკრძალვა – დაშვება პასუხისმგებლობის კატეგორიასთანაა დაკავშირებული. პასუხისმგებლობა იქაა, სადაც სახეზეა სამართალდარღვევა. ... კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპი კონსტიტუციის ამ პუნქტის ში-

1211 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/4/557,571,576 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 51, 52.

1212 იქვე, II, 50.

1213 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება №1/1/428,447,459 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 2.

ნაარსიდან გამომდინარე, გულისხმობს იურიდიული პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი კანონისათვის უკუძალის აკრძალვას¹²¹⁴. ამასთან, „ტერმინი „პასუხისმგებლობა“ უნდა განიმარტოს ფართოდ და მასში უნდა ვი-გულისხმოთ ნებისმიერი იურიდიული პასუხისმგებლობა“¹²¹⁵.

კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის პირველი წინადადების მიზნობრივი გამოყენებისთვის აუცილებელია ნამდვილი და არანამდვი-ლი უკუძალის ერთმანეთისგან გამიჯვნა: „ნამდვილი უკუძალა გულისხ-მობს კანონის მოქმედების გავრცელებას იმ ურთიერთობებზე, რომლე-ბიც წარმოიშვა და განხორციელდა ახალი კანონის ამოქმედებამდე და იწვევს წარსულში მომხდარი სამართლებრივი ურთიერთობების შედეგე-ბის შეცვლას. კანონის ასეთი უკუძალა, ესაა კლასიკური, ინსტიტუციური ხასიათის უკუძალა, რაც, როგორც წესი, აკრძალულია და დაშვებულია გამონაკლისი სახით, როცა ახალი კანონი უკეთეს პირობებში აყენებს უფ-ლებების სუბიექტს. კანონის არანამდვილი უკუძალა ნიშნავს კანონის მოქ-მედების გავრცელებას იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობიან ახალი კანონის მიღებამდე, მაგრამ არსებობას აგრძელებენ მისი მოქმე-დების პერიოდშიც. კანონის არანამდვილი უკუძალა არ იწვევს ახალი კა-ნონის ამოქმედებამდე წარმოშობილი და დასრულებული სამართლებრი-ვი შედეგების შეცვლას“¹²¹⁶. „... არანამდვილი უკუძალა კანონთა დროში მოქმედების ბუნებრივი და აუცილებელი ფორმაა. აქ არ დგას საკითხი იმის შესახებ, კანონს მიეცეს თუ არა უკუძალა იმის მიხედვით, სუბიექტის მდგომარეობა უმჯობესდება თუ უარესდება. ორივე შემთხვევაში შეიძ-ლება მიეცეს მას უკუძალა. ასეთი უკუძალა სინამდვილეში არცაა უკუ-ძალა და მხოლოდ იმისი აღიარებაა, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც ადრე წარმოიშვნენ, მთლიანად ექცევიან ახალი კანონის ზემოქმედების ქვეშ“¹²¹⁷.

უმნიშვნელოვანესია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტი-ტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის ფარგლებში განმარტა არა მხოლოდ პასუხისმგებლობის დამდგენი და დამამძიმებელი კანონის უკუძალის აკრ-ძალვის გარანტია, არამედ, იმავდროულად, ამოიკითხა კონსტიტუციური საფუძველი შესაძლებლობისთვის, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან გამაუქმებელი კანონი გამოყენებულ იქნეს უკუძალით. „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის დასახელებული ნორმის მთა-

1214 იქვე, II, 4.

1215 იქვე, II, 5.

1216 იქვე, II, 6.

1217 იქვე, II, 7.

ვარი გზავნილი არის კანონის უკუძალის აკრძალვის საკითხის რეგულირება, იმავდროულად, კონსტიტუციური საფუძველი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან გამაუქმებელი კანონისთვის უკუძალის მინიჭების შესაძლებლობის შესახებ სწორედ კონსტიტუციის დასახელებული ნორმით შეიქმნა, რადგან ... აქ არის პოზიტიური ჩანაწერი ამის თაობაზე. ... 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადება კრძალავს რა კანონის უკუძალას, იქვე უშვებს გამონაკლისს ამ ზოგადი წესიდან, ამ ნორმითვე ადგენს რომ კანონის უკუძალის აკრძალვა აბსოლუტური არ არის და მიუთითებს კანონის უკუძალით გამოყენებისთვის შესაძლო კონსტიტუციურ ფარგლებზე¹²¹⁸. კერძოდ, „... კანონმდებელს შეუძლია მიანიჭოს კანონს უკუძალა, თუ ის გააუქმებს სამართალდარღვევის ჩადენის დროს მოქმედი კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას ან შემამსუბუქებს მას. ამ უკანასკნელი დანაწესით კონსტიტუცია გამობატავს მოქალაქის უფლებებისადმი ჰუმანურ დამოკიდებულებას და, ამ გზით, ახდენს მათი მხრიდან პოზიტიური ქმედებების სტიმულირებას. ახალი ნორმატიული სინამდვილე იკავებს ძველის ადგილს და შესაბამისად, აძლიერებს სამართალდარღვევის უფლებების დაცვის გარანტიებს“¹²¹⁹.

სასამართლომ აღნიშნა, რომ არ შეიძლება საკითხის გადაწყვეტა შემდეგი პრინციპით: თუკი პასუხისმგებლობის დამდგენ ან დამამძიმებელ კანონს უკუძალა არ უნდა მიენიჭოს, ე.ი. პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელ ან პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ კანონს უკუძალა აუცილებლად უნდა მიენიჭოს. „მიუხედავად იმისა, რომ ორივე ნორმა კანონის დროში მოქმედების საკითხს უკავშირდება, ეს პრინციპულად განსხვავებული რეგულაციებია, რომლებიც არც განაპირობებენ ერთიმეორეს და არც გამომდინარეობენ ერთმანეთისგან. განსხვავებულია მათი მიზნები, დანიშნულება, შესაბამისად, კონსტიტუციური საყრდენი და დაცვის კონსტიტუციური ფარგლები“¹²²⁰.

1218 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/4/557,571,576 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 57.

1219 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება №1/1/428,447,459 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 3.

1220 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/4/557,571,576 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 58,59.

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა პასუხისმგებლობის დამდგენი/დამამძიმებელი კანონის უკუძალით გამოყენების აკრძალვისა და პასუხისმგებლობის გამაუქმებელი/შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გამოყენების დაშვების კონსტიტუციური პრინციპების განსხვავებულ მიზნებზე, დანიშნულებაზე, იმავდროულად, ორივე მათგანის სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპისადმი მსახურებაზე: „... პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ან დამდგენი კანონის უკუძალით გამოყენების აკრძალვა გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და უკავშირდება კანონის განსაზღვრულობისა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამის საპირისპიროდ, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელი კანონის უკუძალით გამოყენების შესაძლებლობა არა მარტო არ ემსახურება, არამედ ლოგიკურადაც არ უკავშირდება კანონის განსაზღვრულობასა და განჭვრეტადობას, რადგან კანონის ასეთი წესით გამოუყენებლობის პირობებში, პირის მიმართ დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი კანონის (უფრო მძიმე კანონის) გავრცელების შემთხვევაში პირმა იცის როგორც ქმედების დანაშაულებრიობის, ისე კონკრეტული პასუხისმგებლობის ზომის შესახებ. თუმცა, მიუხედავად კანონის განსაზღვრულობასთან კავშირის არარსებობისა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელი კანონის უკუძალით გამოყენების შესაძლებლობა მაინც უკავშირდება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, ვინაიდან ემსახურება მისი (სამართლებრივი სახელმწიფოს) ორი მთავარი მიზნის რეალიზაციას: ა) პირის დაცვას მის უფლებებში გაუმართლებელი ჩარევისაგან (როდესაც უფლებაში ჩარევა ხდება რეალური საჭიროების, მიზნის გარეშე ან ხდება იმაზე უფრო მძიმე, ინტენსიური ჩარევა, ვიდრე ეს ობიექტურად აუცილებელია დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად) და ბ) ზოგადად, სამართლის ჰუმანურობის ხელშეწყობას. ...სამართლებრივ სახელმწიფოში ხელისუფლება შეზღუდულია უპირობო ვალდებულებით, ადამიანის თავისუფლებაში (მის ნებისმიერ უფლებაში) ჩაერიოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს გარდაუვალია და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ობიექტურად აუცილებელია. ასეთია ნებისმიერი სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური წესრიგი. ბუნებრივია, რომ სახელმწიფო ამ ვალდებულებით განსაკუთრებით შეზღუდულია პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი კანონმდებლობის შექმნისას და გამოყენებისას. ასეთი კანონმდებლობა თავისთავად ხასიათდება ადამიანის თავისუფლებაში ინტენსიური ჩარევის კანონზომიერებით. ამიტომ ასევე

კანონზომიერია ამ პროცესში სახელმწიფოს მომეტებული სიფრთხილის აუცილებლობა, რადგან სამართალი დაკარგავს თავის ფუნქციას, თუ ადამიანები დაისჯებიან ამისათვის შესაბამისი და აუცილებელი საფუძვლის გარეშე. ... ასევე ცხადია, რომ არ შეიძლება სამართლის ჰუმანურობის ფუნქციის უგულვებლყოფა, რადგან ის ხელს უწყობს არა მხოლოდ თავად სამართლის, არამედ საზოგადოების პროგრესულ განვითარებას. შესაბამისად, სამართლის ჰუმანურობის მიღწევა და ამ გზით მისი განვითარება მუდმივი მიზანია, რომლის ხელშეწყობა, უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა, თუმცა, ბუნებრივია, იმ ზღვრამდე, ვიდრე ეს არ დაუპირისპირდება სამართლისა და კანონის სხვა მიზნებსა და ძირითად ფუნქციას. ... როდესაც საზოგადოება და, შესაბამისად, სახელმწიფო მივა იმ დასკვნამდე, რომ ესა თუ ის ქმედება თავისი არსით არ წარმოადგენს ისეთი საზოგადოებრივი საშიშროების მქონე ქმედებას, რომლისთვისაც პირები უნდა დაისაჯონ ან რომ დაკისრებული პასუხისმგებლობა კონკრეტული ქმედებისთვის ზედმეტად, არაადეკვატურად მკაცრია და მომეტებულად ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას, ვიდრე ეს აუცილებელია კონკრეტული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად, შესაბამისად, როდესაც ხდება ქმედების დეკრიმინალიზაცია ან სასჯელის შემსუბუქება, საფუძველი ეცლება გარკვეული დროით ადრე ჩადენილი იგივე ქმედებისთვის პასუხისმგებლობის ან უფრო მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრებას. ადამიანებს უნდა შეეძლოთ, ისარგებლონ საზოგადოების და სამართლის განვითარების, პროგრესული, ჰუმანური აზროვნების პოზიტიური შედეგებით. პირმა პასუხი უნდა აგოს რეალურად საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენისთვის, ამასთან, იმ წესითა და ფარგლებში, რაც ობიექტურად აუცილებელი და საკმარისია კონკრეტული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნების მისაღწევად¹²²¹.

სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი ზოგადი მიდგომა თავისთავად არ გულისხმობს პასუხისმგებლობისაგან განმათავისუფლებელი ან პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გავრცელების აბსოლუტურ და უპირობო ვალდებულებას¹²²². ყოველ ჯერზე საკითხის სწორად გადასაწყვეტად სასამართლომ შემდეგი ზოგადი კრიტერიუმები დაადგინა: „პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი კანონის უკუძალით გამოყენების შესაძლებლობისთვის მხედველობაშია მისაღები, რამდენად არის ის კავშირში უშუალოდ სამართლის ჰუმანურობის ფუნქციასთან და ადამიანის თავისუფლებაში თანაზომიერი ჩა-

1221 იქვე, II, 61-64.

1222 იქვე, II, 65.

რევის აუცილებლობის მიზანთან, რათა პირების პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება არ მოხდეს უსაფუძვლოდ, რაც ასევე ეწინააღმდეგება სამართლის მოთხოვნებს. სწორედ სამართლის/კანონის ფუნქციების თანაარსებობა და მათი მიზნების თანაბრად დაცვა განაპირობებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გავრცელების დასაშვებ ფარგლებსა და შინაარსს. ... ასეთი მიზანმიმართულებიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობის გამაუქმებელი ან შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გამოყენების შესაძლებლობა შეიძლება დაუკავშირდეს მხოლოდ სამართალდარღვევისა და მისთვის დაკისრებული სანქციის მომწესრიგებელ კანონს. ... ცხადია, „დანაშაული“ და „სასჯელი“ არ მოიცავს მხოლოდ სისხლის სამართლის მატერიალური კანონმდებლობის შესაბამის ნორმებს. მაგრამ, იმავდროულად, ამ თვალსაზრისით, კანონმდებლობა უნდა შემოიფარგლოს იმ მიზანმიმართულებით, რომელიც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გავრცელების პრინციპის არსს განაპირობებს. შესაბამისად, ამ სივრცეში მოხვედრა არა ზოგადად პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პირის უფლებრივი მდგომარეობის ნებისმიერი გამაუმჯობესებელი კანონი, არამედ მხოლოდ ის ნორმები, რომლებიც დამოუკიდებლად იმისგან, მოთავსებულია თუ არა სისხლის სამართლის მატერიალურ კოდექსში, გარდაუვლად და შედეგობრივად გავლენას ახდენს მხოლოდ ზემოაღნიშნული მიზნებით სასჯელის შემსუბუქებაზე ან სასჯელისგან გათავისუფლებაზე¹²²³.

მაშასადამე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის მე-2 წინადადება ადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გამოყენების ვალდებულებას მაშინ, „როდესაც ახალი კანონის მიღება ნაკარნახევია საზოგადოების ჰუმანიზმით ან ცვლილებამდე არსებული სასჯელის ზომის საჭიროების არარსებობით“¹²²⁴.

საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის

1223 იქვე, II, 66, 67.

1224 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება №2/4/1365 საქმეზე ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 3.

კონსტიტუციურობის თაობაზე, ერთ-ერთი სადავო ნორმის (სსსკ-ის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი) თანახმად, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ახალი კანონი აუქმებდა ქმედების დანაშაულებრიობას, სასამართლო მიიღებდა გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნით და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით¹²²⁵. მაშასადამე, ქმედების ჩამდენი პირის მიმართ გამოიყენებოდა როგორც ძველი, პასუხისმგებლობის დამდგენი, ისე ახალი, პასუხისმგებლობის გამაუქმებელი კანონი. კერძოდ, ქმედების დანაშაულებრიობა და სასჯელი განისაზღვრებოდა ძველი კანონით, ხოლო ახალი კანონის საფუძველზე, დეკრიმინალიზაციის გამო, პირი თავისუფლდებოდა ძველი კანონით დაკისრებული სასჯელის მოხდისგან. შესაბამისად, სადავო ნორმა ზღუდავდა შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გამოყენებას და კონსტიტუციის მოთხოვნის მიუხედავად, პირის მიმართ კვლავ გამოიყენებოდა ძველი, პასუხისმგებლობის დამდგენი კანონი.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციური მოთხოვნა შემამსუბუქებელი კანონის გამოყენებასთან დაკავშირებით ნიშნავს, რომ პირის პასუხისმგებლობის განსაზღვრა უნდა მოხდეს ახალი კანონის მიხედვით, რაც გულისხმობს არა მხოლოდ სასჯელის აღსრულების საკითხის, არამედ, პირველ რიგში, პირის ქმედების სამართლებრივ შეფასებას ახალი კანონის საფუძველზე და სასჯელის ახალი კანონის მიხედვით განსაზღვრას. „შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გამოყენების წესი ნიშნავს, რომ არჩევანი უნდა გაკეთდეს ქმედების ჩადენის დროს მოქმედ კანონსა და ქმედების ჩადენის შემდგომ მიღებულ კანონს შორის, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას და არჩევანი უნდა გაკეთდეს ახალი, მსუბუქი კანონის სასარგებლოდ, თუ რაიმე საგამონაკლისო გარემოება არ არსებობს, რომელიც გაამართლებდა მსუბუქი კანონის უკუძალით გამოყენების შეზღუდვას“¹²²⁶.

საქართველოს პარლამენტის პოზიციის თანახმად, სადავო ნორმა მიზნად ისახავდა სამართლებრივი პროცედურების გაგრძელებას, რათა ბრალდებულს ჰქონოდა შესაძლებლობა, მიეღწია გამართლებისთვის

1225 ნორმის დავის განხილვის დროისთვის მოქმედი რედაქცია.

1226 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება №3/1/633,634 საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე, II, 22.

წარდგენილ ბრალდებაში და მის მიმართ დევნა არ შეწყვეტილიყო არამარეაბილიტირებელი საფუძვლით, როგორც არის ქმედების დეკრიმინალიზაცია. საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა ამ ინტერესის ლეგიტიმურობა. მისი განმარტებით, ძველი, პასუხისმგებლობის დამდგენი კანონის საფუძველზე გასამართლება შეიძლება ემსახურობდეს ბრალდებულის ინტერესს, გაიმართლოს თავი წარდგენილ ბრალდებაში. მეტიც, ბრალდებულ პირს უფლება აქვს, მოითხოვოს ძველი, პასუხისმგებლობის დამდგენი კანონის საფუძველზე გასამართლება, თუ წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნობა მას მისცემს სისხლის სამართალწარმოების პროცესში მიყენებული არასასურველი სამართლებრივი შედეგების გამოსწორების საშუალებას.

თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო რეგულაცია არაკონსტიტუციურად ცნო, ვინაიდან ბლანკეტური წესი, რომელიც ითვალისწინებდა ყველა დეკრიმინალიზებული ქმედებისთვის გასამართლებას, სასჯელის დანიშვნას და შემდეგ მისი მოხდისგან გათავისუფლებას, მიზნის მისაღწევად არაპროპორციულ საშუალებას წარმოადგენდა¹²²⁷. „ნორმა, რომელიც პრევენციას აცხადებს ბრალდებულის უფლების დაცვაზე, ბრალდებულს უნდა აძლევდეს საშუალებას, აირჩიოს გასამართლება ძველი კანონით ან ახალი კანონით, იმის ნაცვლად, რომ ყველა პირი, გამოწვევის გარეშე, იქნეს გასამართლებული უკვე დეკრიმინალიზებული დანაშაულისთვის, დაენიშნოს უკვე არასაჭიროდ და არაადეკვატურად მიჩნეული სასჯელი და მხოლოდ ამის შემდეგ გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისგან. პასუხისმგებლობის გამაუქმებელი კანონის უკუძალით გამოყენების კონსტიტუციური პრინციპის დასახელებული მიზნით შეზღუდვა სრულიად გაუმართლებელია იმ პირების მიმართ, ვისაც არ სურს გასამართლება ძველი კანონის მიხედვით, არ უნდა საკუთარი უდანაშაულობის მტკიცება სრულ სასამართლო პროცესზე, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, უწევს იმ რეალობის მიღება, სადაც მას გასამართლებენ, მიუსჯიან სასჯელს, შეიძლება სხვა იძულებით ღონისძიებებსაც და მხოლოდ ამის შემდეგ გაათავისუფლებენ სასჯელის მოხდისგან. ამ შემთხვევაში შეზღუდვა არ არის ლეგიტიმურ მიზანს მორგებული და პროპორციული საშუალება მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, დასახელებული ლეგიტიმური მიზანი ვერ ამართლებს ... პასუხისმგებლობის გამაუქმებელი კანონის უკუძალით გამოყენების პრინციპის შეზღუდვას“¹²²⁸.

1227 იქვე, II, 36.

1228 იქვე, II, 37.

საქმეზე ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ გასაჩივრებული ნორმა („საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2007 წლის 4 ივლისის №5196-რს კანონის მე-2 მუხლი) წარმოადგენდა ცვლილებებისა და დამატების კანონის გარდამავალ დებულებას და აწესრიგებდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის შეცვლილი რედაქციის დროში მოქმედების საკითხს. კერძოდ, მიუთითებდა, რომ სადავო კანონით გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლში განხორციელებული ცვლილება არ ვრცელდებოდა მის ამოქმედებამდე ჩადენილ ქმედებებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბოლო ქმედება ჩადენილი იყო კანონის ამოქმედების შემდგომ.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლი განსაზღვრავს არაერთგზისი დანაშაულის ცნებას. დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის 2007 წლის 3 აგვისტომდე მოქმედი რედაქციის თანახმად, არაერთგზისი დანაშაულად მიიჩნეოდა ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა, ხოლო 2007 წლის 3 აგვისტოდან მოქმედი რედაქციის მიხედვით, არაერთგზისი დანაშაულად განისაზღვრა წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. „ამდენად, ცვლილების განხორციელების შემდეგ დანაშაულის არაერთგზისად კვალიფიცირებისათვის გაჩნდა დამატებითი კრიტერიუმი – დანაშაული უნდა იყოს ჩადენილი იმავე მუხლით განსაზღვრული დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ, ანუ დავიწროვდა სუბიექტთა წრე. შესაბამისად, რიგი ქმედებები, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თავდაპირველი რედაქციის თანახმად, არაერთგზისი დანაშაულად მიიჩნეოდა, 2007 წლის 4 ივლისის ცვლილებების შემდეგ აღარ კვალიფიცირდება არაერთგზისი დანაშაულად“¹²²⁹.

სადავო ნორმით იზღუდებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის შეცვლილი რედაქციის უკუძალით გავრცელება სადავო კანონის ამოქმედებამდე ჩადენილ ქმედებებზე. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა დაედგინა, იწვევდა თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირ-

1229 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება №2/4/1365 საქმეზე ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 6.

ველი ნაწილის შეცვლილი რედაქციით გათვალისწინებული არაერთგზისი დანაშაულის განმსაზღვრელი წესი პასუხისმგებლობის შემსუბუქებას ან გაუქმებას და იყო თუ არა აღნიშნული ცვლილება განპირობებული საზოგადოების ჰუმანიზმით ან ცვლილებამდე არსებული სასჯელის ზომის საჭიროების არარსებობით¹²³⁰.

სასამართლოს განმარტებით, სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველ ნაწილში განხორციელებული ცვლილება იწვევდა რიგი დანაშაულების კვალიფიკაციის შეცვლას. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თავდაპირველი რედაქციის მოქმედების პირობებში ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, ვინც პირველი დანაშაულისათვის ნასამართლევი არ ყოფილა, ჩაითვლებოდა არაერთგზისად, შეცვლილი რედაქციის პირობებში კი კვალიფიცირდებოდა დანაშაულთა ერთობლიობად¹²³¹. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ცვლილებების შედეგად, გარკვეულ შემთხვევებში, მოხდა სასჯელის შემსუბუქება.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ კანონმდებლის მიერ ნორმის (სსკ-ის მე-15 მუხლის პირველის ნაწილის) ცვლილება და ზოგიერთ შემთხვევაში, სასჯელის შემსუბუქება ნაკარნახევი იყო ცვლილებამდე არსებული შედარებით უფრო მკაცრი სასჯელის ზომის საჭიროების არარსებობით. შედეგად, სადავო ნორმა კრძალავდა ისეთი კანონის უკუძალით გამოყენებას, რომელიც პასუხისმგებლობას ამსუბუქებდა ცვლილებამდე არსებული სასჯელის ზომის გამოყენების საჭიროების არარსებობის გამო.

საქართველოს პარლამენტმა სადავო ნორმით დადგენილი შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნებად დაასახელა: 1) პირისათვის მის მიერ ჩადენილი ქმედებიდან მომდინარე საფრთხის ადეკვატური სასჯელის დაკისრება¹²³²; 2) პასუხისმგებლობის დამამძიმებელი კანონის უკუძალით გამოყენების პრევენცია¹²³³.

სასამართლოს განმარტებით: „პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან გამაუქმებელი კანონის უკუძალით გამოყენების კონსტიტუციური უფლება ვრცელდება სწორედ ისეთ შემთხვევებზე, როდესაც კანონმდებლის გადაწყვეტილებით შემცირდა ან გაუქმდა კონკრეტული დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის ზომა. ზემოხსენებული კონსტიტუცი-

1230 იქვე, II, 8.

1231 იქვე, II, 9.

1232 იქვე, II, 19.

1233 იქვე, II, 18.

ური უფლების მიზანმიმართულებაა, პირის ქმედებაზე გავრცელდეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი იმგვარი საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც განპირობებულია ამა თუ იმ ქმედების მიმართ საზოგადოების უფრო შემწყნარებლური დამოკიდებულებით ან ცვლილებამდე არსებული მკაცრი სასჯელის ფარგლებში პირთა დასჯის საჭიროების არარსებობით. ... ხსენებული უფლების უმთავრესი დანიშნულებაა, კანონმდებელმა არ გადაწყვიტოს წარსული ქმედებებისათვის პირების მკაცრად დასჯა იმ პირობებში, როდესაც შეცვლილი კანონმდებლობა სამომავლოდ იმავე ქმედებებისათვის შედარებით მსუბუქი პასუხისმგებლობის ზომას ითვალისწინებს. ... უფლების შეზღუდვა იმ მიზნით, რომ ხელყო ამ უფლებით დაცული ფუნდამენტური სიკეთე, თავად უფლების არსის საწინააღმდეგოა და ... უცხოა კონსტიტუციურსამართლებრივი წესრიგისათვის. ამდენად, პირის მკაცრად დასჯა ვერ გამოდგება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან გამაუქმებელი კანონმდებლობის უკუძალით გამოყენების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად. ხსენებული მიზნის მისაღწევად უფლების შეზღუდვის დაშვება აზრს დაუკარგავს ამ უფლების არსებობას და პირდაპირ წინააღმდეგობაში მოვა მის სულისკვეთებასთან. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ... პირის ადეკვატურად დასჯა, მისთვის მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრება არ შეიძლება იყოს ის ლეგიტიმური მიზანი, რომელმაც შესაძლებელია, გაამართლოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან გამაუქმებელი კანონის უკუძალით გავრცელების კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა¹²³⁴.

მეორე ლეგიტიმურ მიზანთან (პასუხისმგებლობის დამამძიმებელი კანონის უკუძალით გამოყენების პრევენცია) დაკავშირებით სასამართლომ არ გამორიცხა, რომ რიგ შემთხვევებში სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ამა თუ იმ მუხლის სტრუქტურისა და შინაარსის გათვალისწინებით, სადავო ცვლილების მიღების დროს მოქმედი კანონმდებლობით დანაშაულთა ერთობლიობისათვის, არაერთგზისობასთან შედარებით, უფრო მძიმე სასჯელი ყოფილიყო გათვალისწინებული. შესაბამისად, სადავო ნორმის უკუძალით გამოყენებას შეეძლო გარკვეულ შემთხვევებში გამოეწვია პასუხისმგებლობის დამძიმება¹²³⁵. თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა ლოგიკური კავშირი სადავო ნორმასა და დასახელებულ მიზანს შორის, რის გამოც ის (ნორმა) იწვევდა უფლების თვითნებურ და მათასადამე, არაკონსტიტუციურ შეზღუდვას. კერძოდ, გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „ნებისმიერი სისხლის სამართლის კა-

1234 იქვე, II, 21-23.

1235 იქვე, II, 25.

ნონის ახალი ნორმა წარსულ ურთიერთობებზე ვრცელდება მხოლოდ პასუხისმგებლობის შემსუბუქების ნაწილში და არ ვრცელდება იმ ნაწილში, რომლითაც იგი პასუხისმგებლობას ამძიმებს. სადავო ნორმით განსაზღვრული სპეციალური მითითების არარსებობის პირობებში არაერთგზისობის ახალი დეფინიცია გავრცელდებოდა იმ პირებზე, რომელთათვისაც ეს გამოიწვევდა სანქციის შემსუბუქებას და არ გავრცელდებოდა იმ პირებზე, რომელთათვისაც სანქციას დაამძიმებდა. ამდენად, სადავო ნორმას პირებისათვის სასჯელის დამძიმების გამორიცხვის ეფექტი არ გააჩნია. მისი რეგულირება შემოიფარგლება მხოლოდ არაერთგზისი დანაშაულის ახალი დეფინიციის იმ წარსულ ურთიერთობებზე გავრცელების გამორიცხვით, რომლის ფარგლებშიც ახალი კანონი სასჯელს ამსუბუქებს (სხვა ურთიერთობებზე ქმედების ჩადენის შემდეგ მიღებული კანონი თავისთავად არ ვრცელდება). აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა არ ემსახურება კანონის მიღებამდე ჩადენილ ქმედებებზე პასუხისმგებლობის დამძიმების გამორიცხვას და ამ თვალსაზრისით არ წარმოადგენს ლეგიტიმური მიზნის მიღწევის გამოსაღვე საშუალებას¹²³⁶.

7.5.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე) თანახმად:

„1. არავინ შეიძლება მიიჩნიონ ბრალეულად რაიმე დანაშაულის ჩადენაში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც ჩადენის დროს არ ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის დროს.

2. ეს მუხლი ხელს არ შეუშლის ნებისმიერი პირის გასამართლებასა და დასჯას რომელიმე მოქმედების ან უმოქმედობისთვის, რომელიც მისი ჩადენის დროისთვის მიიჩნეოდა დანაშაულად ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების მიხედვით“.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის განმარტებისას დაადგინა მნიშვნელოვანი სტანდარტები. რელევანტური პრაქტიკის თანახმად, კონვენციის მე-7 მუხლში მოცემულია კანონის უზენაესობის პრინციპის უმნიშვნელოვანესი გარანტია,

1236 იქვე, II, 26.

რომლისგან გადახვევა დაუშვებელია, მათ შორის, კონვენციის მე-15 მუხლზე დაყრდნობით ომისა თუ სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს. აღნიშნული დებულება უნდა განიმარტოს და გამოყენებულ იქნას მისი მიზნის, სულისკვეთების შესაბამისად, იმგვარად, რომ წარმოადგენდეს ეფექტიან დაცვას თვითნებური დევნის, მსჯავრდებისა და დასჯისაგან¹²³⁷. კონვენციის ეს დებულება მოიცავს: 1) ზოგად პრინციპს, რომ ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ კანონით (*Nullum crimen, nulla poena sine lege*)¹²³⁸; 2) ბრალდებულის საუარესოდ სისხლის სამართლის კანონმდებლობის უკუძალის აკრძალვის პრინციპს¹²³⁹; 3) მოთხოვნას, რომ სისხლის სამართლის კანონი არ იყოს ფართოდ განმარტებული ბრალდებულის საზიანოდ, მაგალითად, ანალოგიით¹²⁴⁰; 4) კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას – ქმედების დანაშაულებრიობა და დასჯადობა ნათლად იყოს განსაზღვრული განჭვრეტადი კანონით.

ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-7 მუხლის მიზნებისთვის განმარტა ტერმინ – „სასჯელის“ დიაპაზონი. კერძოდ, მისი პრაქტიკის თანახმად, „სასჯელს“ გააჩნია ავტონომიური მნიშვნელობა. კონვენციის ამ დებულების ეფექტური ქმედითობისთვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს, გამოყენებული ზომა, თავისი არსით, რამდენად წარმოადგენს „სასჯელს“ აღნიშნული ნორმის მნიშვნელობით/მიზნებისთვის¹²⁴¹. ამ თვალსაზრისით, სასამართლომ რამდენიმე გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება: პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, რამდენად არის კონკრეტული ზომა შეფარდებული „სისხლისსამართლებრივი დანაშაულის“ ჩადენისათვის მსჯავრდების შედეგად. ასევე, შესაძლოა, გათვალისწინებულ იქნას დამატებითი გარემოებანი: გამოყენებული ზომის ბუნება და მიზანი, მისი კვალიფიკაცია ეროვნული სამართლის მიხედვით, მისი დადგენისა და იმპლემენტაციის დროს გამოყენებული პროცედურა და სიმკაცრე¹²⁴².

სასამართლო განასხვავებს ზომას, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს „სასჯელს“ და ზომას, რომელიც ეხება სასჯელის აღსრულებას/გატარებას. მაგალითად, როდესაც ზომა (მისი მიზანი) ეხება ვადამდე გათავისუფლების რეჟიმის ცვლილებას, ის არ წარმოადგენს „სასჯელს“ მე-7

1237 *Del Rio Prada v. Spain*, app. №42750/09, (ECtHR, 21.10.2013), §77.

1238 *Kokkinakis v. Greece*, app. №14307/88 (ECtHR, 25.05.1993), §52.

1239 *Welch v. the United Kingdom*, app. №17440/90, (ECtHR, 09.02.1995), §36.

1240 *Del Rio Prada v. Spain*, app. №42750/09, (ECtHR, 21.10.2013), §78.

1241 *Welch v. the United Kingdom*, app. №17440/90, (ECtHR, 09.02.1995), §27.

1242 *Welch v. the United Kingdom*, app. №17440/90, (ECtHR, 09.02.1995), §28.

მუხლის მნიშვნელობით. საქმეში *Uttley v. the United Kingdom*¹²⁴³ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მსჯავრდების შემდეგ ვადამდე გათავისუფლების მარეგულირებელ წესებში განხორციელებული ცვლილებები, არ იყო მის მიმართ „შეფარდებული“ სასჯელი, არამედ წარმოადგენდა პატიმრებისადმი გამოყენებული ზოგადი რეჟიმის ნაწილს, მას არ ჰქონდა სადამსჯელო ხასიათი. ვინაიდან მისი მიზანი ეხებოდა ვადამდე გათავისუფლებას, შესაბამისად, ის ვერ განიხილებოდა ბუნებით „მკაცრად“. საქმეში *Kafkaris v. Cyprus*¹²⁴⁴, სადაც საკანონმდებლო ცვლილებებით უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პატიმრებს, მათ შორის მომჩივანსაც, ჩამოერთვა სასჯელის შემცირების უფლება, სასამართლომ მიიჩნია, რომ ცვლილებები ეხებოდა სასჯელის აღსრულებას და არა თავად შეფარდებულ სასჯელს (უვადოდ თავისუფლების აღკვეთას). მისი განმარტებით, შესაძლოა, განხორციელებული ცვლილებები და გათავისუფლების პირობები მომჩივნის პატიმრობას უფრო ამკაცრებდა, მაგრამ ეს ცვლილებები ვერ განიხილებოდა როგორც იმაზე უფრო მკაცრი „სასჯელის“ შეფარდება, ვიდრე მას უკვე შეუფარდა საქმის განმხილველმა სასამართლომ¹²⁴⁵.

ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეზე აღნიშნა, რომ პრაქტიკაში შესაძლოა რთული იყოს ერთმანეთისგან მკვეთრი გამიჯვნა ზომებისა, რომლებიც წარმოადგენს სასჯელს და რომლებიც ეხება სასჯელის აღსრულებას, გატარებას¹²⁴⁶.

სასამართლომ არ გამოიციხა, რომ პირისთვის საბოლოო სასჯელის შეფარდების შემდეგ/მისი მოხდისას საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებებისა თუ სასამართლოების მიერ განხორციელებულმა ზომებმა, გამოიწვიონ შეფარდებული „სასჯელის“ ცვლილება. ასეთ შემთხვევებში, გატარებული ზომები უნდა მოხვდეს სასჯელის უკუძალით დაკისრების აკრძალვის სფეროში კონვენციის მე-7 მუხლის მიზნებისთვის. სხვაგვარად სახელმწიფოები თავისუფალნი იქნებოდნენ, კანონმდებლობის ცვლილებისა თუ არსებული წესების ინტერპრეტირების გზით, მიეღოთ ზომები, რომლებიც შეფარდებული სასჯელის მასშტაბს უკუძალით განმარტავდა მსჯავრდებულის საზიანოდ, მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ვერც კი წარმოადგენდა მოვლენების ამგვარ განვითარებას დანაშა-

1243 *Uttley v. the United Kingdom*, app. №36946/03, (ECtHR, 29.11.2005).

1244 *Kafkaris v. Cyprus*, app. №21906/04, (ECtHR, 12.02.2008).

1245 *Kafkaris v. Cyprus*, app. №21906/04, (ECtHR, 12.02.2008), §151.

1246 *Kafkaris v. Cyprus*, app. №21906/04, (ECtHR, 12.02.2008), §142; *Gurguchiani v. Spain*, app. №16012/06, (ECtHR, 15.12.2009), §31.

ულის ჩადენისა თუ სასჯელის შეფარდების დროს. ასეთ პირობებში მე-7 მუხლის პირველი პარაგრაფი დაკარგავდა სასარგებლო გავლენის პოტენციალს მსჯავრდებულ პირებზე, რადგან სასჯელის მასშტაბი მათთვის არასახარბიელოდ შეიცვლებოდა *ex post facto*.

სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა კანონის განსაზღვრულობის მნიშვნელობაზე ამ უფლების კონტექსტში. მისი განმარტებით, კონვენციის მე-7 მუხლი „კანონს“ იმავე დატვირთვას ანიჭებს, რაც მას აქვს კონვენციის სხვა მუხლებისთვის. ის მოიცავს როგორც დაწერილ კანონმდებლობას, ისე სასამართლო პრაქტიკას და გულისხმობს ხარისხობრივ მოთხოვნებს, კერძოდ, ხელმისაწვდომობას და განჭვრეტადობას. ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულია მაშინ, როდესაც პირს შეუძლია იცოდეს, შესაბამისი დებულების ფორმულირებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოს ინტერპრეტაციის შედეგად და შესაბამისი იურიდიული დახმარებით, თუ რომელი მოქმედება/უმოქმედობა გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და რა სასჯელი შეიძლება შეეფარდოს მას¹²⁴⁷. ევროპულმა სასამართლომ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სასამართლოების როლზე ბუნდოვანი კანონების ინტერპრეტაციის და ამ გზით, სამართლის განსაზღვრულობის მიღწევის პროცესში. ხელმისაწვდომი და გონივრულად განჭვრეტადი სასამართლო განმარტების ნაკლებობამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ბრალდებულის მე-7 მუხლით დაცული უფლებების დარღვევა¹²⁴⁸.

საქმეზე *Del Rio Prada v. Spain*¹²⁴⁹ მომჩივანი დავობდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევაზე. მას 1982-1987 წლებში ჩადენილი დანაშაულებისთვის (ტერორისტული დაჯგუფების წევრობა; იარაღის უკანონო ფლობა; ასაფეთქებელ ნივთიერებათა ფლობა; დოკუმენტების გაყალბება, ყალბი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გამოყენება; თავდასხმა მკვლელობის მიზნით; მკვლელობა; ჩვიდმეტი მკვლელობის მცდელობა; ქონების დაზიანება და ა.შ.) 2000 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით *Audiencia nacional*-მა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 988-ე მუხლისა და 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 70.2 მუხლის საფუძველზე სასჯელის შეკრებითობით განუსაზღვრა ოცდაათი წლით თავისუფლების აღკვეთა. 2001 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილებით *Audiencia nacional*-მა დაადგინა თარიღი (2017

1247 *Del Rio Prada v. Spain*, app. №42750/09, (ECtHR, 21.10.2013), §79;

1248 *Dragotoni and Militaru-Pidhorni v. Romania*, app. №77193/01, 77196/01, (ECtHR, 24.05.2007), §§43-44.

1249 *Del Rio Prada v. Spain*, app. №42750/09, (ECtHR, 21.10.2013).

წლის 27 ივნისი), როდესაც დასრულებოდა მომჩივნის სასჯელის სრული მოხდა. 2008 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილებით, ციხის (სადაც მომჩივანი სასჯელს იხდიდა) ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა რა მომჩივნის 3 282 დღით სასჯელის შემცირების უფლება მის მიერ გაწეული შრომის საფუძველზე, შესთავაზა *Audiencia nacional*-ს მისი გათავისუფლება 2008 წლის 2 ივლისს. ციხის, საკნისა და საერთო ზონის დასუფთავებისა და უნივერსიტეტში სწავლის გამო, მომჩივანს მიეცა სასჯელის შემცირების საშუალება სასჯელის აღსრულებაზე პასუხისმგებელი მოსამართლეების გადაწყვეტილებების საფუძველზე. თუმცა 2008 წლის 19 მაისს *Audiencia nacional*-მა არ დააკმაყოფილა შემოთავაზება და სთხოვა ციხის ადმინისტრაციას, წარმოედგინა მომჩივნის გათავისუფლების ახალი თარიღი უზენაესი სასამართლოს მიერ 2006 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით №197/2006 დადგენილი ახალი პრეცედენტის გათვალისწინებით. ამ ახალი მიდგომის მიხედვით, სასჯელის შემსუბუქება აღარ ვრცელდებოდა ოცდაათწლიან მაქსიმალურ სასჯელზე. *Audiencia nacional*-მა განმარტა, რომ ეს წესი ეხებოდა მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც მსჯავრდებულნი იყვნენ 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე და რომელთა მიმართაც, შესაბამისად, გამოყენებული იყო 70.2 მუხლი. რადგანაც მომჩივანი სწორედ ამგვარ პირს წარმოადგენდა, გათავისუფლების თარიღის წესის ცვლილება მასზე შესაბამისად უნდა გავრცელებულიყო.

მომჩივანმა გაასაჩივრა მოცემული გადაწყვეტილება. იგი დავობდა, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების გამოყენება მის მიმართ არღვევდა კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპს. ახალი წესის თანახმად, სასჯელის შემცირება პატიმრობის დროს გაწეული შრომის გამო უნდა გავრცელებულიყო ყოველ შეფარდებულ სასჯელზე და არა პატიმრობის მაქსიმალურ, 30 წლიან ვადაზე. შედეგად, მომჩივნის რეალური პატიმრობის ვადა გაიზრდებოდა თითქმის ცხრა წლით. *Audiencia nacional*-მა არ დააკმაყოფილა მისი აპელაცია და განმარტა, რომ საქმე ეხებოდა არა საპატიმრო სასჯელის ფარგლებს, არამედ იმას, თუ რამდენად მოხდებოდა სასჯელის შემცირების გამოყენება პატიმრის გათავისუფლების ვადის განსაზღვრისას. ასევე *Audiencia nacional*-მა მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში ადგილი არ ჰქონია სისხლის სამართლის კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპის დარღვევას, რადგან სისხლის სამართლის შესაბამისი ნორმები, მათი გამოყენებისას, უკვე ძალაში იყო.

მომჩივანი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე ასაბუთებდა, რომ 2000 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით მისთვის შეფარდებული თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ოცდაათწლიანი

ვადა, სასჯელების გაერთიანება და მოსახდელი თავისუფლების აღკვეთის ვადაზე ზედა ზღვრის ლიმიტის დაწესება უტოლდებოდა ახალ სასჯელს ან/და სასჯელის საბოლოო განსაზღვრას. იმ დროისათვის მოქმედ პრაქტიკაზე დაყრდნობით, მას ჰქონდა ლეგიტიმური მოლოდინი, რომ სასჯელის მოხდისას, 1987 წლიდან შესრულებული სამუშაო მას აძლევდა სასჯელის შემცირების უფლებას და გამოიყენებოდა პატიმრობის მაქსიმალურ ოცდაათწლიან ვადაზე. ამის საპირისპიროდ, მასთან მიმართებით, უზენაესი სასამართლოს მიერ არსებული პრაქტიკიდან გადახვევა წარმოადგენდა დამატებითი სასჯელის უკუძალით გამოყენებას. შეცვლილი მიდგომის შედეგად, შეწყდა 2000 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილებით დადგენილი ოცდაათწლიანი სასჯელის, როგორც დამოუკიდებელი/საბოლოო სასჯელის, მოქმედება. ესპანეთის სასამართლოებმა სასჯელის შემცირებით მისი ყოველი ინდივიდუალური სასჯელის მიხედვით, ჩამოართვეს მას გამომუშავებული სასჯელის შემცირების უფლება და დაუმატეს პატიმრობის ცხრა წელი. ამგვარი მოქმედებით სასამართლომ არა მხოლოდ შეცვალა სასჯელის შემცირების წესები, არამედ ხელახლა განსაზღვრა, არსობრივად შეცვალა ის „სასჯელი“, რომელიც უნდა მოეხადა მომჩივანს.

მომჩივნის განმარტებით, უზენაესი სასამართლოს მიერ პრაქტიკიდან გადახვევა გადაწყვეტილებაში №197/2006 არ იყო გონივრულად განჭვრეტადი წინარე პრაქტიკის გადასახედიდან და მის ვითარებაში მყოფ პირებს ართმევდა პატიმრობისას შრომის საფუძველზე სასჯელის შემცირების უფლებას, რომელიც მოცემული იყო 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსში.

მთავრობის მტკიცებით, ცალსახა და ნათელი იყო, რომ 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსის დებულებების მიხედვით მაქსიმალური ოცდაათწლიანი საპატიმრო ვადა არ წარმოადგენდა ახალ სასჯელს, არამედ იყო ზომა, რომლითაც დადგინდა ჩადენილი დანაშაულებისათვის თავისუფლების აღკვეთის მთლიანი ვადის ზედა ზღვარი. სასჯელების გაერთიანებისა და ზედა ზღვრის დადგენა მიზნად ისახავდა რეალური ვადის განსაზღვრას, რომელიც დაეფუძნებოდა სხვადასხვა სამართალწარმოების შედეგად შეფარდებულ სასჯელებს. მეტიც, 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლი ნათლად მიუთითებდა, რომ სასჯელის შემცირება პატიმრობისას გაწეული სამუშაოს გამო გამოყენებული უნდა ყოფილიყო „შეფარდებული სასჯელისადმი“, ანუ ყოველი სასჯელისათვის, რომელიც შეეფარდებოდა იქამდე, ვიდრე მიღწეული არ იქნებოდა მაქსიმალური ვადა.

მთავრობის განმარტებით, სასჯელის შემცირება პატიმრობისას გაწეული სამუშაოს გამო არ ისახავდა იმავე მიზანს, რასაც სასჯელი, არამედ წარმოადგენდა ზომას, რომელიც უკავშირდებოდა მის აღსრულებას, რამდენადაც იგი პატიმრებს აძლევდა საშუალებას, გათავისუფლებულიყვნენ ყველა შეფარდებული სასჯელის მოხდამდე, იმ პირობით, რომ ისინი გამოხატავდნენ სურვილს, დაბრუნებოდნენ სოციუმს მუშაობითა თუ სხვა ანაზღაურებადი საქმიანობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, სასჯელის შემცირება პატიმრობის დროს გაწეული სამუშაოს გამო არ უტოლდებოდა იმ ზომებს, რომლებიც პირს შეეფარდა დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებისას, არამედ ის წარმოადგენდა ზომას, რომელიც კავშირში იყო სასჯელის მოხდის დროს პატიმრის ქცევასთან.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, პირველ რიგში, დაადგინა შემდეგი გარემოებები:

მომჩივნის მსჯავრდება სხვადასხვა დანაშაულებისთვის მოხდა 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე, რომელიც მოქმედებდა დანაშაულების ჩადენის დროს (1982-1987 წწ). 2000 წლის 30 ნოემბერს, სისხლის სამართლის საპროცესო კანონისა (988-ე მუხლის) და 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსის (70.2 მუხლის) საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებით *Audiencia nacional*-მა დაადგინა, რომ მომჩივანს ყველა საპატიმრო სასჯელისათვის უნდა მოეხადა მაქსიმალური ვადა – ოცდაათი წლით თავისუფლების აღკვეთა. პატიმრობისას მის მიერ სამუშაოს შესრულების გამო, ეს ვადა უნდა შემცირებულიყო. 2008 წლის 24 აპრილს ციხის ადმინისტრაციამ *Audiencia nacional*-ს მომჩივნის ვადამდე გათავისუფლების თარიღად შესთავაზა 2008 წლის 2 ივლისი. *Audiencia nacional*-მა სთხოვა ციხის ადმინისტრაციას, მომჩივნის გათავისუფლების დრო გამოეანგარიშებინათ ახალი მიდგომის – „პაროტის დოქტრინის“ – საფუძველზე, რომელიც 2006 წლის 28 თებერვლის №197/2006 გადაწყვეტილებით მიიღო უზენაესმა სასამართლომ და რომლის მიხედვითაც, სასჯელის ნებისმიერი ცვლილება/შემცირება უნდა შეხებოდა ყოველ კონკრეტულ, ინდივიდუალურ სასჯელს მანამ, სანამ პატიმარი არ ამოწურავდა მაქსიმალური ოცდაათწლიანი თავისუფლების აღკვეთის ვადას. აღნიშნულ წესზე დაყრდნობით *Audiencia nacional*-მა მომჩივნის საბოლოო გათავისუფლების თარიღად განსაზღვრა 2017 წლის 27 ივნისი.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, მომჩივნის მიერ დანაშაულების ჩადენის დროისთვის, 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 70.2 მუხლი რამდენიმე სასჯელის შეფარდებისას თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალურ ზღვრად ადგენდა ოცდაათ წელს. შესაბამისად, არსებობდა

განსხვავება „მოსახდელი ვადის“ არსსა და ინდივიდუალ სასჯელს შორის, რომელიც მომჩივანს შეეფარდა სხვადასხვა სასამართლო გადაწყვეტილებით მისი მსჯავრდებისას. იმავდროულად, 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლი, პატიმრობისას გაწეული სამუშაოს დროის გათვალისწინებით, ადგენდა, რომ „შეფარდებული სასჯელის“ მოხდისას თავისუფლება აღკვეთილ პირს ეძლეოდა ვადის ერთი დღით შემცირების უფლება ყოველ ორ ნამუშევარ დღეზე. თუმცა მოცემული მუხლი არ შეიცავდა კონკრეტულ მითითებებს, თუ როგორ უნდა მომხდარიყო სასჯელის შემცირება სისხლის სამართლის კოდექსის 70.2 მუხლის საფუძველზე რამდენიმე სასჯელის გაერთიანებისა და ერთიანი მაქსიმალური ვადის განსაზღვრის შემთხვევაში.

ევროპულმა სასამართლომ, მათ შორის, მოპასუხე სახელმწიფოს მთავრობის განმარტებებზე დაყრდნობით, დაადგინა, რომ უზენაესი სასამართლოს №197/2006 გადაწყვეტილებამდე, იმ შემთხვევებში, როდესაც პირის მიმართ რამდენიმე საპატიმრო სასჯელის შეფარდებისას ხდებოდა მათი შეკრება და მაქსიმალური მოსახდელი ვადის დადგენა, ციხის ადმინისტრაცია და ესპანეთის სასამართლოები პატიმრობისას გაწეული სამუშაოს გამო სასჯელის შემცირებას ახდენდნენ სისხლის სამართლის 1973 წლის კოდექსის 70.2 მუხლის საფუძველზე. შესაბამისად, პენიტენციური და სასამართლო ხელისუფლება, პატიმრობისას შესრულებული სამუშაოს გამო სასჯელის შემცირებისას, ითვალისწინებდნენ მაქსიმალურ ოცდაათწლიანი საპატიმრო ვადას. 1994 წლის 8 მარტის გადაწყვეტილებაში (პირველი გადაწყვეტილება ამ საკითხზე) უზენაესმა სასამართლომ ოცდაათწლიანი მაქსიმალური პატიმრობის ვადა სამართლებრივად შეაფასა როგორც „ახალი, დამოუკიდებელი სასჯელი“, რომლის ცვლილების საშუალებასაც (მაგალითად, ვადამდელი პირობითი გათავისუფლება ან სასჯელის შემცირება) იძლეოდა კანონი. ესპანეთის სასამართლოებმა, მათ შორის, უზენაესმა სასამართლომაც, მიმართეს იმავე მიდგომას. უზენაესი სასამართლოს №197/2008 გადაწყვეტილებამდე აღნიშნული მიდგომა გამოყენებულ იქნა 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე მსჯავრდებული მრავალი პატიმრის მიმართ, რომელთა სასჯელიც შემცირდა პატიმრობისას გაწეული სამუშაოს საფუძველზე (წლები გამოაკლდა მაქსიმალურ ოცდაათწლიან საპატიმრო ვადას). მაშასადამე, ევროპული სასამართლოს განმარტებით, ნათელი იყო, რომ ესპანეთის პენიტენციური და სასამართლო ხელისუფლების პრაქტიკით მაქსიმალური საპატიმრო ვადა (ანუ 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 70.2 მუხლით დადგენილი ოცდაათწლიანი მაქსიმალური თავისუფლების აღკვეთის

ვადა) განიხილებოდა ახალ, დამოუკიდებელ სასჯელად, რომლის გარკვეული ცვლილება, მაგალითად, პატიმრობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე შემცირება, შესაძლებელი იყო. აღნიშნულის გათვალისწინებით, მაშინ, როდესაც მომჩივანი იხდიდა საპატიმრო სასჯელს, მას ჰქონდა საფუძველი ევარაუდა, რომ მასზე დაკისრებული მაქსიმალური ოცდაათწლიანი სასჯელის შემცირება შესაძლებელი იყო პატიმრობისას გაწეული სამუშაოს გამო.

ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ პატიმრობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე სასჯელის შემცირება მკაფიოდ იყო გათვალისწინებული კანონით (1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლი), ამასთან, სასჯელის ამგვარი შემცირება მოსახდელ ვადას მნიშვნელოვნად ამცირებდა – სასჯელის მესამედამდე. ამავე დროს, სხვა ზომებისგან განსხვავებით, რომლებიც გავლენას ახდენდა სასჯელის აღსრულებაზე, სასჯელის შემცირების უფლება პატიმრობისას გაწეული სამუშაოს გამო არ ექვემდებარებოდა სასჯელის აღსრულებაზე პასუხისმგებელი მოსამართლის დისკრეციულ უფლებამოსილებას. მისი ფუნქცია შემოიფარგლებოდა სასჯელის შემცირებით კანონის მიხედვით/გამოყენებით იმ შეთავაზების საფუძველზე, რომელიც მას წარედგინებოდა ციხის ადმინისტრაციის მიერ. 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მე-100 მუხლი პატიმრობისას სამუშაოს შესრულების შემთხვევაში აწესებდა სასჯელის ვადის ავტომატურად შემცირებას.

ასევე მნიშვნელოვანი იყო, რომ 1995 წლის სისხლის სამართლის კოდექსმა პატიმრობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე სასჯელის შემცირების წესი გააუქმა იმ პირებისთვის, რომელთა მსჯავრდება მოხდებოდა მომავალში. ამ კოდექსის გარდამავალი დებულებები კი 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსით მსჯავრდებულ პირებს, მათ შორის, მომჩივანსაც, აძლევდა უფლებას, ესარგებლა ამ წესით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ იმ დროს, როდესაც მომჩივანმა ჩაიდინა დანაშაულები, ასევე, როდესაც სასჯელების შეკრებითობის შესახებ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და განისაზღვრა მაქსიმალური საპატიმრო ვადა, ესპანეთის შესაბამისი კანონმდებლობა, მთლიანობაში, სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, ფორმულირებული იყო საკმარისი სიცხადით, რათა მომჩივანს განეჭვრიტა, არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, გამოსაყენებელი სასჯელის მასშტაბი, მათ შორის, რომ მასზე დაკისრებული სასჯელი წარმოადგენდა თავისუფლების აღკვეთას მაქსიმუმ ოცდაათი წლის ვადით და პატიმრობისას გაწეული სამუშაოს ვადა

გამოიქვეითებოდა მოცემული მაქსიმალური სასჯელიდან.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, „პაროტის დოქტრინის“ გამოყენება მომჩივნის სიტუაციაში პატიმრობისას შესრულებული სამუშაოს გამო სასჯელის შემცირების წესს უკარგავდა იმ სასარგებლო მიზანს, რომელიც მას ენიჭებოდა კანონით. მომჩივანს თავდაპირველად შეეფარდა რამდენიმე გრძელვადიანი თავისუფლების აღმკვეთი სასჯელი, რომელზეც ახალი წესის მიხედვით სასჯელის შემცირება, არანაირ გავლენას არ ახდენდა. შედეგად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში „პაროტის დოქტრინით“ დადგენილი ახალი მიდგომის გამოყენება პატიმრობისას შესრულებული სამუშაოს გამო სასჯელის შემცირების მიმართ ვერ განიხილებოდა მომჩივნისთვის შეფარდებული სასჯელის აღსრულების ზომად, როგორც ამას მთავრობა ამტკიცებდა. ამ მიდგომამ გამოიწვია შეფარდებული „სასჯელის“ მასშტაბის ცვლილება. „პაროტის დოქტრინის“ შედეგად, თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალურმა ოცდაათწლიანმა ვადამ, რომელზეც უნდა გავრცელებულიყო სასჯელის შემცირება პატიმრობისას გაწეულის სამუშაოს საფუძველზე, შეწყვიტა დამოუკიდებელ სასჯელად არსებობა. შესაბამისად, მოცემული ზომა ხვდებოდა კონვენციის მე-7 მუხლის პირველი პარაგრაფის ბოლო წინადადების ფარგლებში.

სასამართლომ ასევე შეაფასა, რამდენად იყო „პაროტის დოქტრინა“ გონივრულად განჭვრეტადი და აღნიშნა, რომ *Audiencia nacional*-მა გამოიყენა „პაროტის დოქტრინის“ მიერ შემოღებული პატიმრობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე სასჯელის შემცირების ახალი მეთოდი ნაცვლად იმ მეთოდისა, რომელიც გამოიყენებოდა მომჩივნის მიერ დანაშაულების ჩადენისა და მისი მსჯავრდების დროს, შესაბამისად, ჩამოართვა მას რეალური პერსპექტივა, ესარგებლა სასჯელის შემცირებით, მიუხედავად იმისა, რომ კანონით მას ამის უფლება ჰქონდა. სასჯელის შემცირებისას სისტემის ამგვარი ცვლილება იყო უზენაესი სასამართლოს მიერ არსებული სასამართლო პრაქტიკიდან გადახვევის და არა საკანონმდებლო ცვლილების შედეგი.

ევროპულმა სასამართლომ შეფასებისას გაითვალისწინა „პაროტის დოქტრინით“ დადგენილ მიდგომამდე მოქმედი სასამართლო და ადმინისტრაციული პრაქტიკა. ამ მხრივ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ერთადერთი შესაბამისი პრეცედენტი იყო 1994 წლის 8 მარტის გადაწყვეტილება, რომელშიც უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ოცდაათწლიანი მაქსიმალური თავისუფლების აღკვეთის ვადა წარმოადგენდა „ახალ, დამოუკიდებელ სასჯელს“ და მასზე ვრცელდებოდა კანონით დადგენილი

სასჯელის შემცირება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აზრით, ის ფაქტი, რომ ერთი გადაწყვეტილება არ წარმოადგენს ავტორიტეტს ესპანეთის კანონმდებლობის მიხედვით, ვერ იქნებოდა გადამწყვეტი. 1995 წელს სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ, ესპანეთის სასამართლოები ვალდებული იყვნენ, გამოეყენებინათ მოცემული კრიტერიუმი ყოველ კონკრეტულ საქმეში. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო თავად მთავრობის აღიარება, რომ „პაროტის დოქტრინამდე“ ციხისა და სასამართლო ხელისუფლების პრაქტიკის მიხედვით, მაქსიმალური ვადით თავისუფლების აღკვეთისას სასჯელის შემცირება პატიმრობისას გაწეული სამუშაოს გამო მყარად დამკვიდრებული პრაქტიკა იყო. უზენაესმა სასამართლომ დადგინდა სასამართლო პრაქტიკას გადაუხვია მხოლოდ 2006 წელს, ანუ შესაბამისი კანონის გაუქმებიდან ათი წლის შემდეგ. ამგვარად მოქმედებისას უზენაესმა სასამართლომ ახლებურად განმარტა კანონის ის დებულება, რომელიც უკვე ძალაში აღარ იყო, კერძოდ, 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც უკვე ჩანაცვლებული იყო 1995 წლის სისხლის სამართლის კოდექსით. ამასთანავე, 1995 წლის სისხლის სამართლის კოდექსის გარდამავალი დებულებები მიზნად ისახავდა 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული პატიმრობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე სასჯელის შემცირების წესის შენარჩუნებას პირთათვის, რომლებიც ამავე კოდექსის საფუძველზე იყვნენ მსჯავრდებულნი, მსგავსად მომჩივნისა, რათა გამოერიცხულიყო უფრო მკაცრი სისხლის სამართლის კანონის უკუძალით გამოყენება. თუმცა უზენაესი სასამართლოს ახალმა განმარტებამ პრაქტიკაში გამოიწვია მომჩივნისა და სხვა მსგავს ვითარებაში მყოფი პირებისთვის სასჯელის შემცირების სისტემით გათვალისწინებული სარგებლის არსის დაკარგვა.

საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის არგუმენტი, რომ უზენაესი სასამართლოს ასეთი ინტერპრეტაცია განჭვრეტადი იყო და შეესაბამებოდა 1973 წლის სისხლის სამართლის კოდექსს. მოცემულ საქმეში სასამართლო პრაქტიკისაგან გადახვევა წარმოადგენდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის იმგვარ განმარტებას, რომელიც არ იმეორებდა სასამართლო პრაქტიკის განვითარების იქამდე არსებულ კურსს. ამასთან, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სისხლის სამართლის პოლიტიკა, რომელიც მოიხმო უზენაესმა სასამართლომ, არ იყო საკმარისი სასამართლო პრაქტიკიდან გადახვევის გასამართლებლად. მართალია, სახელმწიფოები თავისუფალნი არიან, თავად განსაზღვრონ საკუთარი სისხლის სამართლის პოლიტიკა, მაგალითად, სასჯე-

ლის შემცირება შესაბამის სისხლისსამართლებრივი დანაშაულებისთვის, მაგრამ, ამავდროულად, ისინი ვალდებულნი არიან, დაემორჩილონ მე-7 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს¹²⁵⁰. სასამართლომ გაიმეორა, რომ კონვენციის მე-7 მუხლი უპირობოდ კრძალავს სისხლის სამართლის კანონის უკუძალით გამოყენებას მსჯავრდებულ პირის საზიანოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა, მომჩივანს არ ჰქონდა არანაირი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ უზენაესი სასამართლო გადაუხვევდა საკუთარი პრაქტიკიდან და *Audiencia nacional*-ი სასჯელის შემცირებას გაავრცელებდა არა თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალურ ოცდაათწლიან ვადაზე, არამედ ყოველ სასჯელზე, რომელიც მომჩივანს ჰქონდა შეფარდებული. შედეგად, სასამართლო პრაქტიკიდან მსგავსი გადახვევა მოხდა მომჩივნის ინტერესების საზიანოდ, რამაც გამოიწვია კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევა.

1250 *Maktouf and Damjanović v. Bosnia and Herzegovina*, app. №2312/08, 34179/08 (ECtHR, [GC], 18.07.2013), §75.

წყაროები:

I თავი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- 2003 წლის 28 მარტის განჩინება №2/8/157 საქმეზე *მოქალაქე დურმიშხან ლორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;*
- 2003 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/7/219 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები: ჯანო ჯანელიძე, ნინო უბერი, ელეონორა ლაგვილავა და მურთაზ თორდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;*
- 2006 წლის 31 მარტის განჩინება №1/5/362-363,367 საქმეზე *დავით მირცხულავა, გიორგი კუპრეიშვილი და შალვა და ვლადიმერ დოლიძეები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;*
- 2006 წლის 2 ივნისის განჩინება №2/10/383 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები ნოდარ ცოტნიაშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;*
- 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/393,397 საქმეზე *საქართველოს მოქალაქეები – ონისე მეზონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;*
- 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება №2/1-392 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;*
- 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493 საქმეზე *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები: „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;*
- 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება №2/1/473 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ;*
- 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/477 საქმეზე *საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;*
- 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/1/539 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;*
- 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/534 საქმეზე *საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;*
- 2013 წლის 6 აგვისტოს გადაწყვეტილება №1/4/535 საქმეზე *საქართველოს*

- მოქალაქე ავთანდილ კახნიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;*
- 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/536 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩიაშვილი და გორა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ;
- 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/6/557,571,576 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/5/556 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ია უჯმაჯურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №1/7/580 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი კეკელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2016 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №2/3/591 საქმეზე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „თავისუფალი საქართველო“ და „ახალი მემარჯვენეები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/6/623 საქმეზე შპს „სადაზღვევო კომპანია უნისონი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2017 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილება №3/1/659 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2017 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/11/629,652 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – როინ გავაშელიშვილი და ვალერიან მიგინეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ;
- 2018 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება №2/3/663 საქმეზე საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2018 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება №2/2/863 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გურა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება №1/1/811 საქმეზე სსიპ „საქარ-

თველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“, სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება №1/2/671 საქმეზე სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, ააიპ „საქართველოს სიციცხლის სიტყვის ეკლესია“, სსიპ „ქრისტეს ეკლესია“, სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“, ააიპ „მეშვიდე დღის ქრისტიანადგენტიტა ეკლესიის ტრანსკავკასიური იუნიონი“, სსიპ „ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია“, ააიპ „ქართველ მუსლიმთა კავშირი“, სსიპ „წმინდა სამების ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/12/1229, 1242, 1247, 1299 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცური და გვანცა გავნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №3/2/767,1272 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ჯიმშერ ცხადაძე და მამუკა ჭანტურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

2019 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილება №2/3/1279 საქმეზე ლევან ალაფიშვილი და „კს ალაფიშვილი და ყავლაშვილი – საქართველოს ადვოკატთა ჯგუფი“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ;

2019 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება №2/4/1365 საქმეზე ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

Engel and Others v. the Netherlands, app. N5100/71; N5101/71; N5102/71; N5354/72; N5370/72. (ECtHR 08.06.1976);

Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark, app. N5095/71; N5920/72; N5926/72, (ECtHR 07.12.1976);

Rasmussen v. Denmark, app. N8777/79, (ECtHR, 28.11.1984);

X and Y v. the Netherlands, app. N8978/80, (ECtHR, 26.03.1985);

Lithgow and Others v. the United Kingdom, app. N9006/80; N9262/81; N9263/81; N9265/81; N9266/81; N9313/81; N9405/81, (ECtHR, 08.07.1986);

Fredin v. Sweden, app. N12033/86, (ECtHR, 18.02.1991);

Burghartz v. Switzerland, app. N16213/90, (ECtHR, 22.02.1994);
Petrovic v. Austria, app. N20458/92, (ECtHR, 27.03.1998);
Gerger v. Turkey, app. N24919/94 (ECtHR, 08.07.1999);
Smith and Grady v. the United Kingdom, app. N33985/96; N33986/96, (ECtHR, 27.09.1999);
Salgueiro da Silva Mouta v. Portugal, app. N33290/96, (ECtHR, 21.12.1999);
Thlimmenos v. Greece, app. N34369/97, (ECtHR, 06.04.2000);
Magee v. the United Kingdom, app. N28135/95, (ECtHR, 06.06.2000);
Pretty v. the United Kingdom, app. N2346/02, (ECtHR, 29.04.2002);
Karner v. Austria, app. N40016/98, (ECtHR, 24.07.2003);
Ünal Tekeli v. Turkey, app. N29865/96, (ECtHR, 16.11.2004);
Petrov v. Bulgaria, app. N15197/02 (ECtHR 22.05.2008);
Nachova and Others v. Bulgaria, app. N43577/98; N43579.98, (ECtHR, 06.07.2005);
Timishev v. Russia, app. N55762/00; N55974/00; (ECtHR, 13.12.2005);
Stec and Others v. the United Kingdom, app. N65731/01; N65900/01, (ECtHR, 12.04.2006);
Zarb Adami v. Malta, app. N17209/02, (ECtHR 20.06.06);
D.H. and Others v. the Czech Republic, app. N57325/00 (ECtHR (GC), 13.11.07);
Burden v. the United Kingdom, app. N13378/05, (ECtHR (GC), 29.04.2008);
Petrov v. Bulgaria, app. N15197/02, (ECtHR, 22.05.2008);
Glor v. Switzerland, app. N13444/04, (ECHR, 30.04.2009);
Opuz v. Turkey, app. N33401/02, (ECtHR, 09.06.2009);
Danilenkov and Others v. Russia, app. N67336/01 (ECtHR 30.07.2009);
Sinan Işık v. Turkey, №21924/05, (ECtHR 02.02.2010);
Losonci Rose and Rose v. Switzerland, app. N664/06, (ECtHR, 09.11.2010);
Carson and Others v. the United Kingdom, app. N42184/05, (ECtHR (GC), 16.03.10);
Springett and Others v. the United Kingdom, app. N34726/04, N14287/05; N34702/05; (ECtHR 27.04.2010);
Schalk and Kopf v. Austria, app. N30141/04, (ECtHR, 24.06.2010);
Clift v. The United Kingdom, app. N7205/07, (ECtHR, 13.07.2010);
Kiyutin v. Russia, app. N2700/10, (ECtHR, 10.03.2011);
Laduna v. Slovakia, app. N31827/02, (ECtHR 13.12.2011);
I.B. v. Greece, app. N552/10, (ECtHR, 03.10.2013);
Vallianatos and Others v. Greece, app. N29381/09; N32684/09, (ECtHR, 07.11.2013);
Cusan and Fazzo v. Italy, app. N77/07, (ECtHR, 07.01.2014);
Kurić and Others v. Slovenia, app. N26828/06, (ECtHR (GC), 12.03.2014);

Mansur Yalçın and Others v. Turkey, app. N21163/11, (EctHR, 16.09.2014);
Izzettin Dogan and Others v. Turkey, app. N62649/10. (EctHR, 26. 04.2016);
Biao v. Denmark, app. N38590/10; (ECtHR, 24.05.2016).

II თავი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/2-389 საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;
- 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/3/423 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2010 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება №1/466 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება №3/1/512 საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქესტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №1/6/561,568 საქმეზე საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება №1/8/696 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება №1/9/701,722,725 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ჯამბულ გვიანიძე, დავით ხომერიკი და ლაშა გავიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2018 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება №2/3/663 საქმეზე საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ;
- 2018 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება №2/4/665,683 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ;
- 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება №1/6/770 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

Tyrer v. the United Kingdom, app. N5856/72, (ECHR, 25.04.1978);
Soering v. the United Kingdom, app. N14038/88, (ECtHR, 07.07.1989);
Tomasi v France, app. N12850/87, (ECtHR, 27.08.1992);
Chahal v. the United Kingdom, app. N22414/93, (ECtHR, 15.11.1996);
Aksoy v. Turkey, app. N21987/93, (ECHR, 18.12.1996);
Selmouni v. France, app. N25803/94, (ECtHR, [GC], 28.07.1999);
Labita v Italy, app. N26772/95, (ECtHR, [GC], 06.04.2000);
Salman v. Turkey, app. N21986/93, (ECtHR, 27.06.2000);
Dikme v. Turkey, app. N20869/92, (ECHR, 11.07.2000);
Akkoc v. Turkey, app. N22947/93, (ECHR, 10.10.2000);
Kudła v. Poland, app. N30210/96, (ECHR, [GC], 26.10.2000);
Keenan v. the United Kingdom, app. N27229/95, (ECtHR, 03.04.2001);
Price v. the United Kingdom, app. N33394/96, (ECtHR, 10.07. 2001);
Kalashnikov v. Russia, app. N47095/99, (ECtHR, 15.07.2002);
Yankov v. Bulgaria, app. N39084/97, (ECHR, 11.12.2003);
Rivas v. France, app. N59584/00, (ECtHR, [GC], 01.04.2004);
Krastanov v. Bulgaria, app. N50222/99, (ECtHR, 30.09.2004);
Sarban v. Moldova, app. N3456/05, (ECtHR, 04.10.2005);
Gorodnitchev v. Russia, app. N52058/99, (ECtHR, 24.05.2007);
Dybeku v. Albania, app. N41153/06, (ECtHR, 18.12.2007);
Dickson v. the United Kingdom, app. N44362/04, (ECtHR, 04.12.2007);
Kafkaris v. Cyprus, app. N21906/04, (ECHR, 12.02.2008);
Ramishvili and Kokhreidze v. Georgia, app. N1704/06, (ECHR, 27.01.2009);
Denis Vasilyev v. Russia, app. N32704/04, (ECHR, 17.12.2009);
Gäfgen v. Germany, app. N22978/05, (ECHR, 01.06, 2010);
Iorgov v. Bulgaria, app. N36295/02, (ECHR, 02.09.2010);
Davydov and Others v. Ukraine, app. N17674/02, 39081/02, (ECtHR, 01.10.2010);
Vasyukov v. Russia, app. N2974/05, (ECHR, 05.04.2011);
Khodorkovskiy v. Russia, app. N5829/04, (ECHR, 31.05.2011);
Mocanu and Others v. Romania, app. N10865/09, 45886/07, 32431/08, (ECtHR, [GC], 13.11.2012);
Insanov v. Azerbaijan, app. N16133/08, (ECHR, 14.03.2013);
Valiulienė v. Lithuania, app. N33234/07, (ECHR, 26.03.2013);
Vinter and Others v. the United Kingdom, app. N66069/09, 130/10, 3896/10, (ECtHR, 09.07.2013);
Abdullah Yaşa and Others v. Turkey, app. N44827/08, (ECtHR, 16.07.2013);

Gutsanovi v. Bulgaria, app. N34529/10, (ECtHR, 15.10.2013);
Svinarenko and Slyadnev v. Russia, app. N 32541/08, 43441/08, (ECHR, 17.07.2014);
Harakchiev and Tolumov v. Bulgaria, app. N15018/11; 61199/12 (ECtHR, 08.07.2014);
Trabelsi v. Belgium, app. N140/10, (ECtHR, 04.09.2014);
Bouyid v. Belgium, app. N23380/09, (ECtHR, 01.10.2015);
Mirzashvili v. Georgia, app. N26657/07; (ECtHR, 07.09.2017).

III -V თავები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- 2006 წლის 14 ივლისის №2/3/364 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მოქალაქე რუსუდან ტაბატაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/2-389 საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ;
- 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/407 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება №2/2/425 საქმეზე საქართველოს მოქალაქე სალომე წერეთელი-სტივენსი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2008 წლის 19 დეკემბრის განჩინება №1/7/454 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ლევან სირბილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2009 წლის 10 ივნისის განჩინება №1/2/458 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ;
- 2012 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/484 საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ხიდაშელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2012 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/2/519 საქმეზე საქართვე-

- ლოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503/513 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება №2/2/516,542 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მაისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2013 წლის 27 დეკემბრის საოქმო ჩანაწერი №2/10/560 საქმეზე საქართველოს მოქალაქე – ნოდარ მუმლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2014 წლის 4 თებერვლის №2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩქაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ;
- 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2016 წლის 14 აპრილის №1/1/625,640 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ბურჯანაძე, ლიკა საჯაია, გიორგი გოცირიძე, თათია ქინქლაძე, გიორგი ჩიტიძე, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, ააიპ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველო“, ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, ააიპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ააიპ „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და ააიპ „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2016 წლის 4 აგვისტოს №2/4/570 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2016 წლის 29 დეკემბრის განჩინება №1/11/714 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი ტატიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2017 წლის 9 თებერვლის გადაწყვეტილება №1/2/622 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ედიშერ გოგუაძე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ;
- 2017 წლის 27 მარტის გადაწყვეტილება №1/4/757 საქმეზე საქართველოს

- მოქალაქე გიორგი კრავეიშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ;
- 2017 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/13/732 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გივი შანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2018 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება №2/4/665,683 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნანა ფარჩუკაშვილი საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის წინააღმდეგ;
- 2018 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილება №1/3/1282 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №3/1/752 საქმეზე ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება №1/4/693,857 საქმეზე ა(ა)იპ „მედის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- Klass and Others v. Germany*, app. N5029/71, (ECtHR, 06.09.1978);
- Marckx v. Belgium*, app. N6833/74, (ECtHR, 13.06.1979);
- Dudgeon v. the United Kingdom*, app. N7525/76, (ECtHR, 22.10.1981);
- Silver and Others v. the United Kingdom*, app. N5947/72; N6205/73; N7052/75; N7061/75; N7107/75; N7113/75; N7136/75; (ECtHR, 25.03.1983).
- Malone v. the United Kingdom*, app. N8691/79, (ECtHR, 02.08.1984);
- Johnston and Others v. Ireland*, app. N9697/82, (ECtHR, 18.12.1986);
- Olsson v. Sweden*, app. N10465/83, (ECtHR, 24.03.1988);
- Berrehab v. the Netherlands*, app. N10730/84, (ECtHR, 21.06.1988);
- Norris v. Ireland*, app. N10581/83, (ECtHR, 26.10.1988);
- Gaskin v. the United Kingdom*, app. N10454/83, (ECtHR, 07.07.1989);
- Kruslin v. France*, app. N11801/85, (ECtHR, 24.04.1990);
- Huvig v. France*, app. N11105/84, (ECtHR, 24.04.1990);
- Moustaquim v. Belgium*, app. N12313/86, (ECtHR, 18.02.1991);
- Niemietz v. Germany*, app. N13710/88, (ECtHR, 16.12.1992);
- Costello-Roberts v. the United Kingdom*, app. N13134/87, (ECtHR, 25.03.1993);
- Guillot v. France*, app. N22500/93, (ECtHR, 24.10.1993);
- Burghartz v. Switzerland*, app. N16213/90, (ECtHR, 22.02.1994);

Keegan v. Ireland, (ECtHR, 26.05.1994);
Kroon and Others v. the Netherlands, app. N18535/91, (ECtHR, 27.10.1994);
Lopez Ostra v. Spain, app. N16798/90, (ECtHR, 09.12.1994);
Z v. Finland, app. N22009/93, (ECtHR, 25.02.1997);
X, Y and Z v. the United Kingdom, app. N21830/93, (ECtHR, 22.04.1997);
Kopp v. Switzerland, app. N23224/94, (ECtHR, 25.03.1998);
Valenzuela Contreras v. Spain, app. N27671/95, (ECtHR, 30.07.1998);
Amann v. Switzerland, app. N27798/95; (ECtHR, 16.02.2000);
Rotaru v. Romania, app. N28341/95, (ECtHR, [GC], 04.05.2000);
Khan v. the United Kingdom, app. N35394/97, (ECtHR, 12.05.2000);
A.D.T. v. the United Kingdom, app. N35765/97, (ECtHR, 31.07.2000);
Glaser v. the United Kingdom, app. N32346/96, (ECtHR, 19.09.2000);
Messina v. Italy, app. N25498/94, (ECtHR, 28.10.2000);
K. and T. v. Finland, app. N25702/94, (ECtHR, [GC], 12.07.2001);
A.B. v. the Netherlands, app. N37328/97, (ECtHR, 29.01.2002);
Mikulic v. Croatia, app. N53176/99, (ECtHR, 07.02.2002);
Pretty v. the United Kingdom, app. N2346/02, (ECtHR, 29.04.2002);
Christine Goodwin v. the United Kingdom, app. N28957/95, (ECtHR, 11.07.2002);
N.C. v. Italy, app. N24952/94, (ECtHR, [GC], 18.12.2002);
Odièvre v. France, app. N42326/98; (ECtHR, 13.02.2003);
Aliev v. Ukraine, app. N41220/98, (ECtHR, 29.04.2003);
Van der Ven v. the Netherlands, app. N50901/99, (ECtHR, 04.02.2003);
Van Kück v. Germany, app. N35968/97, (ECHR, 12.06.2003);
Moreno Gómez v. Spain, app. N4143/02, (ECtHR, 16.11.2004);
Monory v. Romania and Hungary, app. N71099/01, (ECtHR, 05.04.2005);
Buck v. Germany, app. N41604/98, (ECtHR, 28.04.2005);
Grant v. the United Kingdom, app. N32570/03; (ECtHR, 23.05.2006);
Kwiek v. Poland, app. N51895/99, (ECtHR, 30.05.2006);
Weber and Saravia v. Germany, app. N54934/00, (ECtHR, 29.06.2006);
Panteleyenko v. Ukraine, app. N11901/02, (ECtHR, 29.06.2006);
Iosub Caras v Romania, app. N7198/04, (ECtHR, 27.07.2006);
L.L. v. France, app. N7509/02, (ECtHR, 10.10.2006);
Giacomelli v. Italy, app. N59909/00, (ECtHR, 02.11.2006);
L. v. Lithuania, app. N27527/03, (ECtHR, 11.09.2007);
Johansson v. Finland, app. N10163/02, (ECtHR, 06.12.2007);
Bulgakov v. Ukraine, app. N59894/00, (ECtHR, 31.03.2008);
Liberty and Others v. the United Kingdom, app. N58243/00, (ECtHR, 01.07.2008);

Pay v. the United Kingdom, app. N32792/05, (ECtHR,16.09.2008);
S. and Marper v. the United Kingdom, app. N30562/04; N30566/04, (ECtHR, 04.12.2008);
Iordachi and Others v. Moldova, app. N25198/02; (ECtHR, 10.02.2009);
Bykov v. Russia, app. N4378/02, (ECtHR, 10.03.2009);
K.H. and Others v. Slovakia, app. N32881/04, (ECtHR, 28.04.2009);
Kvasnica v. Slovakia, app. N72094/01, (ECtHR, 09.06.2009);
Serife Yigit v. Turkey, app. N3976/05, (ECtHR, 02.11.2009);
Eberhard and M. v. Slovenia, app. N8673/05, N9733/05, (ECtHR, 01.12.2009);
Moretti and Benedetti v. Italy, app. N16318/07, (ECtHR, 27.04.2010);
Kennedy v. the United Kingdom, app. N26839/05, (ECtHR, 18.05.2010);
Schalk and Kopf v. Austria, app. N30141/04, (ECtHR, 24.06.2010);
Anayo v. Germany app. N20578/07, (ECtHR, 21.12.2010);
Plaza v. Poland, app. N18830/07, (ECtHR, 25.01.2011);
Schneider v. Germany, app. N17080/07, (ECtHR, 15.09.2011);
Zammit Maempel v. Malta, app. N24202/10, (ECtHR, 22.11.2011);
Kopf and Liberda v. Austria, app. N1598/06, (ECtHR, 17.01.2012);
Van der Heijden v. the Netherlands, app. N42857/05, (ECtHR, 03.04.2012);
Strömblad v. Sweden, app. N3684/07, (ECtHR, 05.04.2012);
Stubing v. Germany, app. N43547/08, (ECtHR, 24.09.2012);
Godelli v. Italy , app. N33783/09, (ECtHR, 25.09.2012);
Eweida and Others v. the United Kingdom, app. N48420/10; N59842/10; N51671/10; N36516/10, (ECtHR, 15.01.2013);
Garnaga v. Ukraine, app. N20390/07, (ECtHR, 16.05.2013);
Peruzzo and Martens v. Germany, app. N7841/08, N57900/12, (ECtHR, 04.06.2013);
Bor v. Hungary, app. N50474/08, (ECtHR, 18.06.2013);
Vallianatos and Others v. Greece, app. N29381/09, N32684/09, (ECtHR, 07.11.2013);
Nusret Kaya and Others v. Turkey, app. N43750/06, 43752/06, 32054/08, 37753/08, 60915/08, (ECtHR, 22.04.2014);
S.A.S. v. France, app. N43835/11, (ECtHR, 01.07.2014);
HÄMÄLÄINEN v. Finland, app. N37359/09, (ECtHR, 16.07.14);
Gough v. the United Kingdom, app. N49327/11, (ECtHR, 28.10.2014);
Manic v. Lithuania, app. N46600/11, (ECtHR, 13.01.2015);
G.S. v. Georgia, app. N2361/13, (ECtHR, 21.07.2015);
Oliari and Others v. Italy, app. N18766/11, N36030/11, (ECtHR, 21.07.2015);
Nazarenko v. Russia, app. N39438/13, (ECtHR, 22.07.2015);
M. and M. v. Croatia, app. N10161/13, (ECtHR, 03.09.2015);

Roman Zakharov v. Russia, app. N47143/06, (ECtHR, 04.12.2015);
Krapivin v. Russia, app. N45142/14, (ECtHR, 12.07.2016);
A.P., Garçon and Nicot v. France, app. N79885/12, N52471/13, N52596/13, (ECtHR, 06.04.2017).

VI თავი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- 2003 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №2/3/182,185,191 საქმეზე ფირუზ ბერიაშვილი, რევაზ ჯიმშერიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2005 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება №2/1/263 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი ჩხეიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2009 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება №2/1/415 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2009 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/3/423 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/2/503,513 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილი შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2013 წლის 14 მაისის გადაწყვეტილება №2/2/516,542 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ალექსანდრე ბარამიძე, ლაშა ტულუში, ვახტანგ ხმალაძე და ვახტანგ მისაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/2/646 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- Guzzardi v. Italy*, app. N7367/76, (ECtHR, 06.11.1980);
Brogan and Others v. the United Kingdom, app. N11209/84, 11234/84, 11266/84, 11386/85, (ECtHR, 29.11.1988);
Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom, app. N12244/86, 12245/86, 12383/86 (ECtHR, 30.08.1990);
Letellier v. France, app. N12369/86, (ECtHR, 26.06.1991);
Muller v. France, app. N21802/93, (ECtHR, 11.03.1997);
Labita v. Italy, app. N26772/95, (ECtHR, 06.04.2000);
Kudla v. Poland, app. N30210/96, (ECtHR, 26.10.2000);
Mancini v. Italy, app. N44955/98, (ECtHR, 12.12.2001);
Kalashnikov v. Russia, app. N47095/99, (ECtHR, 15.07.2002);
Assanidze v. Georgia, app. N71503/01, (ECtHR, 04.08. 2004);
Storck v. Germany, app. N61603/00, (ECtHR, 16.06.2005);
Solmaz v. Turkey, app. N27561/02, (ECtHR, 12.01.2007);
Baranowski v. Poland, app. N39742/05, (ECtHR, 02.10.2007);
Saadi v. the United Kingdom, app. N13229/03, (ECtHR, 29.01.2008);
Kafkaris v. Cyprus, app. N21906/04, (ECtHR, 12.02.2008);
Iliya Stefanov v. Bulgaria, app. N65755/01, (ECtHR, 22.05.2008);
Bykov v. Russia, app. N4378/02, (ECtHR, 10.03.2009);
Nikolova v. Bulgaria, app. N40896/98, (ECtHR, 30.09.2004);
Mooren v. Germany, app. N11364/03, (ECtHR, 09.07.2009);
Medvedyev and Others v. France, app. N3394/03, (ECtHR, 29.03.2010);
Iskandarov v. Russia, app. N17185/05, (ECtHR, 23.09.2010);
Salayev v. Azerbaijan, app. N40900/05, (ECtHR, 09.11.2010);
Soare and Others v. Romania, app. N24329/02, (ECtHR, 22.02.2011);
Sizov v. Russia, app. N33123/08, (ECtHR, 15.03.2011);
Shimovolos v. Russia, app. N30194/09, (ECtHR, 21.06.2011);
Brega and Others v. Moldova, app. N61485/08, (ECtHR, 24.01.2012);
Austin and Others v. the United Kingdom, app. N.39692/09, 40713/09, 41008/09, (ECtHR, 15.03. 2012);
Idalov v. Russia, app. N5826/03, (ECtHR, 22.05.2012);
Plesó v. Hungary, app. N41242/08, (ECtHR, 02.10.2012);
Osmanovic v. Croatia, app. N67604/10, (ECtHR, 06.11.2012);
M.A. v. Cyprus, app. N41872/10, (ECtHR, 23.07.2013);

Gutsanovi v. Bulgaria, app. N34529/10, (ECtHR, 15.10.2013);
Dubinskiy v. Russia, app. N48929/08, (ECtHR, 03.07.2014);
Ninescu v. the Republic of Moldova, app. N47306/07, (ECtHR, 15.07.2014);
Gallardo Sanchez v. Italy, app. N11620/07, (ECtHR, 24.03.2015);
Yakovenko v. Ukraine, app. N5425/11, (ECtHR, 04.09.2015);
Buzadji v. the Republic of Moldova, app. N23755/07; (ECtHR, 05.07. 2016).

VII თავი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- 2004 წლის 21 დეკემბრის №2/6/264 გადაწყვეტილება საქმეზე შპს „უნისერვისი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2005 წლის 17 მარტის №2/3/286 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე ოლეგ სვინტრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2005 წლის 28 ივლისის №1/14/184,228 გადაწყვეტილება საქმეზე სააქციო საზოგადოებები – „საქგაზი“ და „ანაჯგუფი“ (ყოფილი „თბილგაზოაპარატი“) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/3/393,397 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ონისე მეზონია და ვახტანგ მასურაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება №1/1/428,447,459 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2009 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება №1/2/434 საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421,422 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2011 წლის 11 ივლისის №3/2/416 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება №1/2/503,513 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ლევან იზორია და დავით-მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/534 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

- 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილება №3/1/531 საქმეზე *ისრაელის მოქალაქეები – თამაზ ჯანაშვილი, ნანა ჯანაშვილი და ირმა ჯანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;*
- 2014 წლის 27 თებერვლის გადაწყვეტილება №2/2/558 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2014 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება №3/2/574 საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/4/557,571,576 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ვალერიან გელბახიანი, მამუკა ნიკოლაიშვილი და ალექსანდრე სილაგაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2014 წლის 24 დეკემბრის №3/3/601 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 546-ე მუხლის და ამავე კოდექსის 518-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე;
- 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/548 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2015 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება №2/2/579 საქმეზე საქართველოს მოქალაქე მათა რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება №3/1/608,609 საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე;
- 2016 წლის 13 აპრილის №3/1/633, 634 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის და 269-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე;

- 2016 წლი 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №1/8/594 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2016 წლის 30 სექტემბრის №1/2/596 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნათია ყიფშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2016 წლის 25 ნოემბრის №1/13/711 განჩინება საქმეზე საქართველოს მოქალაქე გიორგი ლოგუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2016 წლის 29 დეკემბრის №3/5/768,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამაღბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ლვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2016 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/7/636 საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით ცინცქილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2017 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/650, 699 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2017 წლის 21 ივლისის №2/1/598 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნუგზარ კანდელაკი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2017 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/8/734 საქმეზე ააიპ „ფრემა“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2018 წლის 19 ოქტომბრის №2/7/779 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით მალანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2018 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/8/765 საქმეზე საქართველოს მოქალაქე დავით ძოწენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/12/1229, 1242, 1247, 1299 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ხვიჩა ყირმიზაშვილი, ვია ფაცურია და გვანცა გავნიაშვილი და „შპს ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

- 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/13/1234,1235 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – როინ მიქელაძე და გიორგი ბურჯანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/4/809 საქმეზე საქართველოს მოქალაქე ტიტვიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება №1/4/693,857 საქმეზე ა(ა)იპ „მედის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2019 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება №2/4/1365 საქმეზე ბადრი ბეჟანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2019 წლის 14 ნოემბრის გადაწყვეტილება №2/5/879 საქმეზე ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;
- 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/2/1276 საქმეზე გიორგი ქეზურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

- Minelli v. Switzerland*, app. N8660/79, (ECtHR, 25.03.1983);
- Sutter v. Switzerland*, app. N8209/78, (ECtHR, 22.02.1984);
- Monnell and Morris v. the United Kingdom*, app. N9562/81, 9818/82 (ECtHR, 02.03.1987);
- Kostovski v. the Netherlands*, app. N11454/85, (ECtHR, 20.11.1989);
- Hakansson and Stuesson v. Sweden*, app. N11855/85, (ECtHR, 21.02.1990);
- Fredin v. Sweden*, app. N12033/86, (ECtHR, 18.02.1991);
- Helmers v. Sweden*, app. N11826/85, (ECtHR, 29.10.1991);
- Croissant v. Germany*, app. N13611/88, (ECtHR, 25.09.1992);
- Kokkinakis v. Greece*, app. N14307/88. (ECtHR, 25.05.1993);
- Welch v. the United Kingdom*, app. N17440/90, (ECtHR, 09.02.1995);
- Allenet de Ribemont v. France*, app. N15175/89, (ECtHR, 10.02.1995);
- John Murray v. UK*, (ECtHR, 08.02.1996);
- Findlay v. the United Kingdom*, (ECtHR, 25.02.1997);
- Van Mechelen and Others v. the Netherlands*, (ECtHR, 23.04. 1997);
- Laino v. Italy*, app. N33158/96, (ECtHR, 183.02.1999);
- Khan v. the United Kingdom*, app. N35394/97, (ECtHR, 12.05.2000);
- Frydlender v. France*, app. N30979/96, (ECtHR, [GC], 27.06.2000);

Tierce and Others v. San Marino, app. N24954/94; N24971/94; N24972/94 (ECtHR, 25.07.2000);
Klein v. Germany, app. N33379/96, (ECtHR, 27.07.2000);
B and P v. UK, app. N36337/97; 35974/97, (ECtHR, 24.04.2001);
Trickovic v. Slovenia, app. N39914/98, (ECtHR, 12.06.2001);
Malhous v. the Czech Republic, app. N33071/96, (ECtHR, (GC), 12.07.2001);
Meftah and Others v. France, app. N32911/96, 35237/97, 34595/97, (ECtHR, [GC],26.07.2002);
Allan v. the United Kingdom, app. N48539/99, (ECtHR, 05.11.2002);
Salomonsson v. Sweden, app. N38978/97, (ECtHR, 12.11.2002);
Lavents v. Latvia, app. N58442/00, (ECtHR, 28.11.2002);
Pursiheimo v. Finland, app. N57795/00, (ECtHR, 25.11.2003);
Lislawska v. Poland, app. N37761/97, (ECtHR, 13.07.2004);
Miller v. Sweden, app. N55853/00, (ECtHR, 08.05.2005);
Exel v. the Czech Republic, app. N48962/99, (ECtHR, 05.07.2005);
Uttley v. the United Kingdom, app. N36946/03, (ECtHR, 29.11.2005);
Vanyan v. Russia, app. N53203/99, (ECtHR, 15.12.2005);
Sejdovic v. Italy, app. N56581/00, (ECtHR, (GC), 01.03.2006);
Guilloury v. France, app. N62236/00, (ECtHR, 22.06.2006);
Hermi v. Italy, app. N18114/02, (ECtHR, (GC), 18.10.2006);
Jalloh v. Germany, app. N54810/00, (ECtHR, 11.07.2006);
Moser v. Austria, app. N12643/02, (ECtHR, 21.09.2006);
Pessino v. France, app. N 40403/02, (ECtHR, 10.10.2006);
Khudobin v. Russia, app. N59696/00, (ECtHR, 26.10.2006);
Klimentyev v. Russia, app. N46503/99, (ECtHR, 16.11.2006);
Jussila v. Finland, app. N73053/01, (ECtHR, (GC), 23.11.2006);
Borisova v. Bulgari, app. N 56891/00, (ECtHR, 21.12. 2006);
Garycki v. Poland, app. N14348/02, (ECtHR, 06.05.2007);
Geerings v. the Netherlands, app. N30810/03, (ECtHR, 01.03.2007);
Dragotoniou and Militaru-Pidhorni v. Romania, app. N77193/01, 77196/01, (ECtHR, 24.05.2007);
Zagorodnikov v. Russia, app. N66941/01, (ECtHR, 07.09.2007);
Oganova v. Georgia, app. N25717/03, (ECtHR, 13.11.2007);
Ryakib Biryukov v. Russia, app. N14810/02, (ECtHR, 17.01.2008);
Kafkaris v. Cyprus, app. N21906/04, (ECtHR, 12.02.2008);
Melich and Beck v. the Czech Republic, app. N 35450/04, (ECtHR, 24.06.2008);
Salduz v. Turkey, app. N36391/02, (ECtHR, 27.11.2008);

Adam v. Germany, app. N44036/02, (ECtHR, 04.12.2008);
Panovits v. Cyprus, app. N4268/04, (ECtHR, 11.12.2008);
Saccoccia v. Austria, app. N69917/01, (ECtHR, 18.12.2008);
Zolotukhin v. Russia, app. N14939/03, (ECtHR, 10.02.2009);
Codarcea v. Romania, app. N31675/04, (ECtHR, 02.06.2009);
Routsalainen v. Finland, app. N13079/03, (ECtHR, 16.06.2009);
Dayanan v. Turkey, app. N7377/03, (ECtHR, 13.10.2009);
Prezec v. Croatia, app. N48145/07, (ECtHR, 15.10.2009);
Paraponiaris v. Greece, app. N42132/06; (ECtHR, 25.09.2009);
Gurguchiani v. Spain, app. N16012/06, (ECtHR, 15.12.2009);
Raza v. Bulgaria, app. N31465/08, (ECtHR, 11.02.2010);
Orsus and Others v. Croatia, app. N15766/03, (ECtHR, 16.03.2010);
Gafgen v. Germany, app. N22978/05, (ECtHR, (GC), 01.06.2010);
Welke and Bialek v. Poland, app. N15924/05, (ECtHR, 01.03.2011);
Konstas v. Greece, app. N53466/07, (ECtHR, 24.05.2011);
Richert v. Poland, app. N54809/07, (ECtHR, 25.10.2011);
Lacadena Calero v. Spain, app. N23002/07, (ECtHR, 22.11.2011);
Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom, app. N26766/05, 22228/06, (ECtHR, 15.12.2011);
Fidanci v. Turkey, app. N17730/07, (ECtHR, 17.01.2012);
Gabrielyan v. Armenia, app. N8088/05, (ECtHR, 10.04.2012);
Beggs v. the United Kingdom, app. N25133/06, (ECtHR, 06.11.2012);
Rosin v. Estonia, app. N26540/08, (ECtHR, 19.12.2013);
Gani v. Spain, app. N61800/08, (ECtHR, 19.02.2013);
Garofolo v. Switzerland, app. N4380/09, ECtHR, 02.02.2013);
Martin v. Estonia, app. N35985/09, (ECtHR, 30.05.2013);
Kostecki v. Poland, app. N14932/09, (ECtHR, 04.06.2013);
Vronchenko v. Estonia, app. N59632/09, (ECtHR, 18.07.2013);
Maktouf and Damjanović v. Bosnia and Herzegovina, app. N2312/08, 34179/08
(ECtHR, [GC], 18.07.2013);
Del Rio Prada v. Spain, app. N42750/09, (ECtHR, 21.10.2013);
Natsvlshvili and Togonidze v. Georgia, app. N9043/05, (ECtHR, 29.04.2014);
Veiss v. Latvia, app. N15152/12, (ECtHR, 28.01.2014);
Scholer v. Germany, app. N 14212/10, (ECtHR, 18.12.2014);
Rohlana v. the Czech Republic, app. N 59552/08, (ECtHR, 27.01.2015);
Kincses v. Hungary, app. N 66232/10, (ECtHR, 27.01.2015);
Liepins v. Latvia, app. N 31855/03, (ECtHR, 25.02.2015);

Dvorski v. Croatia, app. N25703/11, (ECtHR, 20.10.2015);
Schatschaschwili v. Germany, app. N9154/10, (ECtHR, (GC) 15.12.2015);
Ibrahim and Others v. the United Kingdom, app. N50541/08, 50571/08, 50573/08,
40351/09, (ECtHR, 13.09.2016);
Mindadze and Nemsitsveridze v. Georgia, app. N21571/05. (ECtHR, 01.06. 2017);
Kartvelishvili v. Georgia, app. N17716/08, (ECtHR, 07.09.2018);
Kontalexis v. Greece, app. N29321/13, (ECtHR, 06.09.2018).

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად: „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უმინაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით“ (მუხ.4.2);

„ადამიანის ღირსება ხელშეუვალია...“ (მუხ.9.1.);

„ადამიანის სიცოცხლე დაცულია...“ (მუხ.10.1.);

„ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია ...“ (მუხ.11.1.);

„ადამიანის თავისუფლება დაცულია.“ (მუხ.13.1.);

„დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.“ (მუხ.9.2);

„ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.“ (მუხ.12);

„ზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლება დაცულია ...“ (მუხ.17.1.);

„ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება.“ (მუხ.16.1);

„ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია...“ (მუხ.15.1.);

„საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.“ (მუხ.19.1);

„ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია.“ (მუხ.31.1.).



ილიას
სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ბავომოსჯველობა
ILIA STATE
UNIVERSITY
PRESS

ISBN 978-99441-18-377-5



9 789941 183775 >